ამირან და ვეფხვნი, ხევსურთა ეპოსი

ოთარ ნუცუბიძე

ეროვნული ფიზიკანი

თბილისი „მერანი“ 2001

УДК 947. 922+ 894 .631-1
Б 371

„კასეთის გამოჩენილი ადამიანები“ პირველი ტომია ამ წიგნის ავტორის, ოთარ ნაცარაშვილის მამულიშვილური ჩანაფიქრისა, რომელიც მიზნად ისახავს, ასეთივე ფორმით დამუშავებული მომდევნო წიგნები მიუძღვნას საქართველოს ყველა კუთხეს; რეგიონების მიხედვით ჩვენი გამოჩენილი მოღვაწეების წარმოჩენა მკითხველს ნათლად დაუსახავს იმ ღვაწლს, საქართველოს კეთილდღეობისთვის რომ გაიღეს პიროვნებებმა, რომელთა შესახებაც გვიამბობს ამ წიგნის ავტორი.

წიგნი დაწერილია დოკუმენტური პრობის სახით; მასზე მუშაობისას ავტორი ეყრდნობოდა როგორც ისტორიულ წყაროებს, ისე თანამედროვე მასალებს. მასში მკითხველი (იქნება ეს არაპროფესიონალი თუ მეცნიერი მკვლევარი) ბევრ საინტერესო ცნობას აღმოაჩენს როგორც ჩვენი წარსულის მოღვაწეთა შესახებ, ისე ჩვენს თანამედროვეებზე.

მხატვარი: ემირ ბურჯანაძე
რედაქტორი: ოთარ ნაცარაშვილი
გამოცემაზე პასუხისმგებელი: მერი ლეგანიძე

ISBN 99928-16-98-8

© ო. ნაცარაშვილი, 2001

აი, ახალი წიგნი, სახელწოდებითვე რომ ყოველ რიგიან მკითხველში უმალვე განუზომელ ინტერესს აღძრავს და ააფეთქებს.

„კახეთის გამოჩენილი ადამიანები“

ავტორი — ოთარ ნაცარაშვილი

ეს ხომ საქართველოს ცხრედეთ მხარის, მარად სალოცავი კახეთის ჰერსონიფიცირებული ისტორიაა, გარდასულ და აწინდელ დღეთა განუყოფელ-განუკვეთელი ერთიანობით.

იოანე ჰეტრიწის ლოგოსიც რომ მოვისმოთ — „არა განიზომების და არა განიმტკავლების“ მნიშვნელობრივი ღირებულება ასეთი წიგნისა.

მაშ, დავლოცოთ წიგნი ესე, გზადმომდგარი, ვითარცა მორიგი სამკაული და სამშვენისი მაღალაზროვანი ქართული საწიგნობელისა!..

ლევან სანიკიძე

ყველა სხვა სიკეთესთან ერთად ამ წიგნის მიზანი და მნიშვნელობა სიმბოლურიცაა, იგი ჩვენი მწუხარე დღევანდელობის გამაქარწყლებელი „მალამოა“, წარსულისა თუ დღევანდელობის მაღალ ღირებულებებთან სიყვარულით გამთბარი „ლაჯიცია“

იგი დიდის მოწიწებით აცოცხლებს ღირსეულ ქართველთა ხსოვნას, კიდევ ერთხელ წარმოაჩენს ჯეშმარიტ მამულიშვილთა დამსახურებას ერისა და ქვეყნის წინაშე...

ალბათ, უფრო იმიტომ, რომ ის პირველი ცდაა სრული ნუსხა წარმოვიდგინოს კახეთის გამოჩენილ მკვიდრთა ვალერეისა, დაზღვეული არ არის (და ვერც იქნება) ეთელი რიგი უნებლიე ხარვეზებისაგან.

კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ წმინდა და კეთილშობილია იდეა ამ უნიკალური წიგნის შექმნისა, და თუ მან ვერ დააკმაყოფილა მავანთა „მაღალი გემოვნება“, ნუ განრისხდებიან და აუკად ნუ მოიხსენიებენ ამ წიგნის სამაგალითო ადამიანური ოვისებებით დაჯილდოებულ ავტორს...

მან პირველმა სცადა, გაეცოცხლებინა რაღაც უნუკეშოდ მიძინებული მამულიშვილური გრძნობები, ღვაწლმოსილ ადამიანთა მიმართ სიყვარული და პატივისცემა...

თუნდაც მხოლოდ ამიტომ, მადლობა მას და მის ამკვარ პატრიოტულ ჩანაფიქრს...

საქართველოს მწერალთა საერთო-ეროვნული კავშირის
თავმჯდომარის მოადგილე, შოთა რუსთაველის სახელობის
ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი,
თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახ. სახელმწიფო პედ.
უნივერსიტეტის ქართული ლიტერატურის კათედრის კაძვე,
პროფესორი გურამ ბენაშვილი

წინათქმა ამ წიგნისათვის

„ძმანო კახელნო, ნამდვილ ქართველნო!“ უდიდესი სითბოთი მიესალმებოდა კახეთს სნორუპოვარი პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი.

თავისი გამოკვეთილი ტრადიციებითა და ხასიათით საქართველოს ყველა კუთხეს თავისი ეში და მომხიბლელობა ახლავს, მათი ერთიანობა ერთ დიდ მრავალფეროვან თაიგულს კრავს, რომელიც უნიკალურია თავისი სილრმისეული და თვალსაწიერი ფერადოვნებებით მთელი ქვეყნიერების სათვალავში. კახეთი ერთ-ერთი მონინავე სადროშო იყო და არის საქართველოსი, რომელიც არ უშინდებოდა ცხოვრების სიდუხჭირეს, მუდამ ამაყობდა და მომავალშიც იამაყებს თავისი ისტორიით და სახელოვანი შვილებით, მათით, ვინც ადუღაბებდა საქართველოს მთლიანობასა და იცავდა და ამდიდრებდა ერის ენასა და კულტურას.

ამ ფართო საალბომო კრებულით წიგნისა და ჩვენი ისტორიის მოყვარული საზოგადოება ნანილობრივ მაინც წარმოიდგენს ჩვენი ცხოვრების უკანასკნელი სამი საუკუნის გულისცემის იმ შეუნელებელ ბრძოლასა და ორთოლას, რაც საქართველოს ძირძველ მხარეს, კახეთს გადაუტანია და მადლი უთესია საქართველოს ერთიანობისა და ძლიერების, მისი თავისუფლების დაუცხრომელ ძიებაში; წარმოიდგენს მის სახელოვან მამულიშვილებს, რომლებიც დღითა და ღამით, წლითა და წამით, თავისი მინისა და ეროვნულობის დაუცხრომელი სიმამაყით, ნიჭისა და უნარის სრული წარმოჩენით ადიადებდნენ ადგილის დედის უმაღლესობას და ცხოვრების გზაზე ფართო ნაკვალევს ტოვებდნენ გზად და ხიდად, სადაც უნდა ევლოთ მომავალ თაობებს.

ამ კრებულში სამი საუკუნის გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრების მცირე მონაკვეთებზეა საუბარი. კახეთის ისტორია კი ათასეულებს ითვლის, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს ერის წარსულისადმი ლტოლვას. სხვა მხარეებთან ერთად, კახეთი იყო ის დიდი ციტადელი და ციხესიმაგრე, რომელიც უპირველესი ერკინებოდა ამ სამოთხეზე დამიზნებული მტრების ავ ზრახვებს და ამ ბრძოლებში ილეწებოდა ფარი და მუზარადი, ხმალი და ორლესული, რათა მის შვილებს მტრისთვის არ დაეთმოთ თავიანთი მინა-წყალი და სულიერი ზეობა.

დიახ, ამ დიდი შრომის შემდგენელმა და ფუძის ჩამყრელმა, ბატონმა ოთარ ნაცარაშვილმა, მხოლოდ სამი საუკუნით შემოსაზღვრა ნაშრომი, რომელსაც მკითხველებს ვუდგენთ. იგი თავისი წარსულის კვლევისას დიდ დახმარებას გაუწევს არა მარტო ახალგაზრდობას, არამედ ფართო საზოგადოებას, რომელსაც ინტერესი გაუჩნდება, ბევრი რამ იცოდეს ამ მართლაც სამყაროს სამოთხის – ალაზნის, ივრისა და არაგვის ხეობების შემოგარენის, – კახეთისა და მის მკვიდრთა, სახელოვან მამულიშვილთა შესახებ, რომლებმაც შეავსეს ბრწყინვალე ფურცლები ჩვენი ერის ცხოვრების ისტორიისა.

წიგნში წარმოდგენილი არიან ერის წინამძღვრები, მეომრები და მხედართმთავრები, სასულიერო და საერო მოღვაწენი, მწერლები და ხელოვნების ყველა დარგის წარმომადგენლები. უფრო მეტად წარსულის მებაირაღენი და ბევრი თანამედროვეც, ვის სახელებსაც „სამშობლო სანთლებად აინთებს“.

წიგნის ავტორის სურვილით ვნერ ამ სტრიქონებს და მინდა უპირველესად, მისივე სახელით ბოდიში მოვიხადო, თუ ვინმეს რაიმე დაკლდა ამ წიგნის განაცხადში. ბოდიში მოვუხადო იმათაც, რომელნიც ვერ მოხვდნენ ამ ნაშრომის ჩამონათვალში, რადგანაც ეს საუკუნეები ყველა სხვა საუკუნეზე უფრო მრავალფეროვანი და ახალ აზროვნებათა წარმომშობელი და, ამასთან, ბოროტარი და მკაცრი საუკუნეები იყო, ჩვენი შესაძლებლობები კი მთლიანად ვერ ამოწურავდა სათქმელს.

ასე, რომ, თუ ამჯერად ყველა ვერ მივუზღეთ ისე, როგორც ჩვენ ისტორიას ეკადრებოდა, მომავალი ხომ წინ არის!

უპირველესად, მინდა უსახელო გმირების წინაშე მოკრძალებით დავხაროთ თავი, რომელთა ცხოვრებასაც ჩვენმა ისტორიამ ბოლომდე ვერ გაადევნა თვალი და მომავალი თაობებისათვის შეუცნობელი დარჩა ბევრი რამ, რაც ისტორიის წყვდიადში ჩაინთქა...

– „მიყვარხარ, ტკბილო კახეთო, დიდო ალაზნის ქალაო!“ მღეროდა შილდაში დედას ლევანა და მის სიმღერას, რომელიც კავკასიონის უმაღლეს მწვერვალებს სნვდებოდა, ბანს აძლევდნენ ხშირად პირქუში და ხანაც მოცინარი ჩვენი ბუმბერაზი მთები და მთელი საქართველო, რომელსაც კახელების სახით ფუძემაგარი შვილები ეზრდებოდა

სილოვან ნარიმანიძე

ქარტია XV–XVIII ს.
საზღვრები
საქართველოს
ოსმალეთის
ირანის
ოსმალეთ-ირანი-საქართველოს
I ბიდბეული
II ნურბულული
III რუსთაველი
IV ამქარი
დიდქალაქები
ქალაქები
სხვა დასახლებული პუნქტები
ციხეები
ეკლესია-მონასტრები
საეპისკოპოსოები
40 კმ
ირაკლის საქართველოს ტერიტორიაზე XVIII ს. ბოლისთვის მეფოდა ქაღების ამქრის მეშვეობით
დაღესტნელი გომების მიერ XVII–XVIII სს. დაკავებული ტერიტორია

კახეთის როლი კაცობრიულ სიმბოლიკაში

კახეთი მდებარეობს კავკასიის ცენტრალურ ნაწილში და მისი ამგვარი ადგილმდებარეობა უკვე თავისთავად იყო განმსაზღვრელი იმ ღირსეული როლისა, რომელსაც ის ასრულებდა როგორც კავკასიის, ასევე ახლო აღმოსავლეთის მოსახლეობის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. ახლო აღმოსავლეთი, თანამედროვე ბიოლოგიის მონაცემებით, სამიწათმოქმედო კულტურის აკვანს წარმოადგენს და სამხრეთ კავკასია მისი მიმდებარე ტერიტორიებითურთ შედის ე.წ. „ნაყოფიერი ნახევარმთვარის" ქვეყნების შემადგენლობაში, სადაც მოამინაურეს ვაშის, ხორბლის, ხეხილის მრავალი ჯიში, აგრეთვე. რიგი ცხოველებისა და საიდანაც მოხდა მათი გავრცელება ევროპაშიც და სხვა კონტინენტებშეც. სწორედ მიწათმოქმედების ჩასახვით იწყება ყოველი ადგილობრივი მკვიდრი კულტურა და, თუ საქართველოს „გეორგია" მიწათმოქმედების განვითარების გამო ეწოდა, მაშინ უდავოდ დიდია კახეთის დამსახურება ამ მიმართულებით.

თავისი ადგილმდებარეობის, რელიეფის, ტყის მნიშვნელოვანი მასივების, წყლით კარგი უმრუნველყოფის და ნაყოფიერი ნიადაგის გამო, აგრეთვე, იმთავითვე მეტად მომგებიანი, კარგად მოფიქრებული და განხორციელებული მთისა და ბარის მოსახლეობის სამეურნეო ურთიერთობის წყალობით, რაც უდავოდ სამაგალითოა კავკასიის და ახლო აღმოსავლეთის უმეტესი რეგიონებისათვის, კახეთმა შესძლო, თავისი ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში თითქმის ყოველთვის უზრუნველეყო მკვიდრი მოსახლეობაც და უმეტესწილად მეგობლებიც საკვებითაც, სამეურნეო თუ კულტურული დასრულების საგნებითაც და განათლებითაც და ამის მიზეზი არ არის მხოლოდ მიწათმოქმედებისათვის ვარგისი ნიადაგი, რადგან არსებობს არაერთი მაგალითი კარგი სამიწათმოქმედო ნიადაგის მიუხედავად სრულიად საკალალო მდგომარეობისა ბევრ ქვეყანაში. მაშასადამე, აქ მიზეზი ხალხის გონიერებასა, ხასიათსა და შრომისმოყვარეობაში უნდა ვეძებოთ.

კახეთმა უკეთესად, ვიდრე ახლო აღმოსავლეთის თუ კავკასიის სხვა რეგიონებმა, შესძლო, დაეფარებინა გაწონასწორებული და უმეტესწილად კეთილმეგობლური ურთიერთობა ამიერკავკასიისა და ჩრდილოკავკასიის მეგობელ ხალხებთან, არაერთხელ გამხდარიყო მათი ურთიერთობის ქვაკუთხედი. ამის მაგალითია თუნდაც კახეთის საამეფოს წამყვანი როლი საქართველოს სამეფოების დამოუკიდებელი არსებობის ბოლო პერიოდში, ვგულისხმობთ ერეკლე მეორის ღირსეული მოღვაწეობის ხანას. რიოლსაც, ფაქტობრივად, მნიშვნელოვანწილად სწორედ კახეთის სამეფოსა და ხალხის გონიერებასა და ხასიათის სიმტკიცეზე იყო დამოკიდებული არა მარტო ქართველი, არამედ კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის არაერთი სამთავროს მოსახლეობის ხვედ-ბედი.

კახეთისა და მისი მიმდებარე ტერიტორიებისათვის (ვგულისხმობთ თანამედროვე აზერბაიჯანისა და ჩრდილოეთ ირანის ტერიტორიებს) დამახასიათებელი ადგილია

სახელები (ტოპონიმები), როგორიცაა, მაგ. კახა, სიღნაღი, მაღარო და სხვა, ქართველურ და მათ მონათესაესე ენებზე აღნიშნავს საცხოვრისის, ციხესიმაგრის, ქვაბულის, ხევის, მღვიმის, ქვეყნისა და რელიგიური ხასიათის ცნებებს. ეს და მრავალი მსგავსი ტერმინი მოწმობს, რომ კახეთისა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე უმეტესწილად იგივე ხალხები და ტომები მოსახლეობენ, რომლებიც აქ ათასწლეულების წინაც ფვიდრობდნენ (История Азербайджана, под редакцией Академиков И.А. Гуссйнова, А.С. Сумбат-Заде и др., Изд. Акад. Наук Азерб. ССР, Баку, 1958, стр.4).

ზემოთქმულის საფუძველიან მოწმობას წარმოადგენს გ. მელიქიშვილის მიერ ჩატარებული ფუნდამენტური გამოკვლევა ახლო აღმოსავლეთში მოპოვებული ლურსმური წარწერებისა (Г.А. Меликишвили, «Наири Урарту», თბილისი, 1954; აგრეთვე, მისივე. «К истории древней Грузии», თბილისი, 1959, მისივე „საქართველოს, კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის", 1967).

ამ გამოკვლევების შედეგად მოხერხდა ლოკალიზაცია ახლო აღმოსავლეთში და. კერძოდ. ამიერკავკასიის მიმდებარე ზაგროსის მთიანეთში ხური-ურარტული, ხეთური, ელამური, მიდიური და სხვა ქართველთა მონათესაესე და წინაპარ სამეფოებისა და ტომთა გაერთიანებებისა სწორედ იმ ტერიტორიაზე, რომელიც დღეს მეტალურგიის უძველეს კერად ითვლება და რომელმაც უძველესი პერიოდიდანვე განსაკუთრებული გეკავლენა მოახდინა უფრო დაბლობ რაიონებში მდებარე შუამდინარეთის ცივილიზაციებზე: შუმერზე, აქადზე, ბაბილონზე და ასურეთზე. თანამედროვე არქეოლოგიური მოსაპოვრების თანახმად უძველესი ბარის ცივილიზაციების უმეტესწილად სწორედ მთიებიდან ჩასულმა მოსახლეობამ შექმნა და მთელი მათი ისტორიის განმავლობაში ამარაგებდა მათ ისეთი მასალებით. რომლებიც ადგილობრივ არ მოიპოვებოდა — რიგი ლითონებით, ხე-ტყით, ყურძნის ღვინით, მრავალი სახეობის ხილით, ცვილით, თაფლით, ქვის მასალით, საქონლისა და მესაქონლეობის პროდუქტით. ცხენებით (რასაც იქ მთის ვირს ეძახდნენ) და სხვა. კახეთი, როგორც ღვინის უძველესი სამშობლო, სამეურნეო თვალსაზრისით მეტად დოვლათიანი მხარე და ერთდროულად კავკასიისა და ზაგროსის მთიანეთის ნაწილი, ბუნებრივია, ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ როლს ასრულებდა ამ პროცესში. კახეთი, როგორც ცნობილია, მტკვართან არაგვის შესართაკამდე ვრცელდებოდა და. ამგვარად, ქართლთან და მესხეთთან ერთად უდიდესი წვლილი მიუძღვის საქართველოს ძველი დედაქალაქის მშენებლობაში: გარდა ამისა, მცხეთიდან დასაელეთით და სამხრეთით განფენილი მესხური მოსახლეობის მეშვეობით კახეთი უკავშირდებოდა პონტო-კოლხეთს, ლაზიას და ხმელთაშუაზღვისპირეთს. ამიტომ არ არის გასაკვირი უკანასკნელ ხანებში კახეთის მიწაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალის მსგავსება ტროას, ხეთურის, სირია-პალესტინისა და კაპადოკიის მასალებთან, რასაც სათავე მტკვარ-არაქსის კულტურის წიაღში, ე.ი. ხუთი ათასი წლის წინ და, სავარაუდოა, კიდევ უფრო ადრინდელ პერიოდშიც უდევს.

აქ საჭიროდ მიგვაჩნია, აღვნიშნოთ. რომ სწორედ ზემოთ მითითებული უძველესი პერიოდის ადრებრინჯაოს ხანის ხმელთაშუაზღვისპირეთის საცხოვრებელ ადგილთა, მდინარეების, მიების, კუნძულების სახელწოდებები აშკარა პარალელებს პოულობს ქართველურ ენებში. გარდა სიტყვათა ფუძეების მსგავსებისა, მეცნიერები აქ ყურადღებას აქცევენ ამ პერიოდისათვის დამახასიათებელ სიტყვათა დაბოლოებებს -ს, -ნთ ბოლოსარეებით და სსვა სახის მოვლენებს, რომლებიც ასე დამახასიათებელია ქართველური ენობრივი სამყაროსათვის (ასე, მაგალითად, წინამძღვრიანთ კარი, ოთარაანთ ქერივი და სსვა). ამავე დროს, აღნიშნავენ, რომ ხმელთაშუაზღვისპირეთში უფრო მოგვიანებით დასახლებული ტომების მეტყველებაში ზემოთ მოყვანილი ენობრივი ფაქტები უკვე აღარ შეიმჩნევა.

(R. Lafon. Mots méditerraneéns en Giéorgien et dans quelques autres langues Vaucasiques. "Revue des Ètudes Anciennes", XXXVI, 1934, Paris, გვ. 32-46.

E.J. Furnée. Vorgriechisch — Kartvelisches., Louvain, Editions Peeters, 1979.

Т.Д. Златовская. У истоков Европейской Культуры. О жителях Эгейских областей в III тысячелетии до нашей эры. Изд. Акад НАук СССР, Москва, 1961, გვ 76-78.

რ. გორდეზიანი, შრომების ციკლი, 1960-90 წწ. თბილისი.

გ. მელიქიშვილი, ზემოთ მითითებული ნაშრ. 1965 წ. თბილისი).

ამგვარად, სრულიადაც არ არის გასაკვირი ცნობილი ფენომენი სწორედ კახური სიმღერების განსაკუთრებული მსგავსებისა კორსიკულ, სარდინიულ, ბასკურ მრავალხმიან სასიმღერო ხელოვნებასთან და სხვა ამგვარი ფაქტები. საერთოდ, კავშირი აღმოსავლურქართული კულტურისა როგორც არქეოლოგიური, ასევე ენობრივი მასალის საფუძველზე შავი და ხმელთაშუაზღვის ქართველურ და მონათესავე ცივილიზაციებთან სულ უფრო აშკარა ხდება ცნობილი მეცნიერების: გრ. გიორგაძის, რ. გორდეზიანის, ი. გაგოშიძის, ო. ლორთქიფანიძის, ო. ჯაფარიძის და სხვა ქართველი და უცხოელი მეცნიერების ნაშრომებიდან, რომლებიც იკვლევენ უძველეს, ქრისტიანობამდელ პერიოდს.

დიდი ქართველი ისტორიოსები: ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, გ. მელიქიშვილი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ სამხრეთ კავკასიასა და მის მიმდებარე ტერიტორიას, რომელსაც ძველთაგანვე სუბარეთი ეწოდებოდა და დასახლებული იყო ქართველური და მათი ახლომონათესავე ხალხებით. ხური-ურარტუ, მითანი, ლულები, მანა და სხვა ამ მხარის რეგიონთა, სამეფო-სამთავროთა და ტომთა სახელწოდებებია. ასე, მაგალითად, მანა ძველ ასურულ წარწერებში მოიხსენიება, როგორც განსაკუთრებით აყვავებული, დოვლათიანი, მოვლილი და მჭიდროდ დასახლებული ქვეყანა მკვიდრად ნაგები ციხე-ქალაქებით, სარწყავი არხებით. ასურელთათვის წარმოუდგენლად უხვი ვენახით, ღვინით, მარცვლეულით, პურეულით, მინაური პირუტყვით; აღწერილია მეცხენეობის, ცხენთა წვრთნის უჩვეულოდ მაღალი დონე და სპეციალური ბალახის თესვა ცხენთა საკვებად. აღნიშნულია ხალხის სიყვარული სიმღერებისადმი და სხვა დეტალები, რომლებიც ასე ტიპურია ამ რეგიონისათვის და, პირველ რიგში, კახეთისათვის (ი. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი. ს. ჯანაშია, „საქართველოს ისტორია". თბილისი, 1943).

ასურეთმა დაარბია მანას ქვეყანა და, თუ გავითვალისწინებთ, რომ ასურეთი უფრო სამხრეთით იყო განლაგებული, გასაგები გახდება, რომ მანას მოსახლეობამ უფრო ჩრდილოეთისაკენ დაიხია, ე.ი. ღლევანდელი კახეთისაკენ, რომელიც ეთნიკურად იმავე შემადგენლობისა იყო. ამგვარად, სრულიადაც არ არის შემთხვევითი თანამედროვე კახეთის მანაეის სახელწოდების ასეთი მსგავსება მანას ქვეყნის სახელთან. ასევე საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ჩვენ წელთაღრიცხვამდე მესამე და მეორე ათასწლეულში კავკასიის მხრიდან ჩასულმა ტომებმა შუამდინარეთი არაერთხელ აიღეს. სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ხალხებს უწოდებენ ქუთიებს, კასიტებს და სხვა. ხოლო შუამდინარეთის ტერიტორიაზე მრავალი სახელწოდების დამოხვევა ქართულ ადგილთა სახელებთან არ არის შემთხვევითი.

ასეთი პარალელებია: კარლუნიახი — კარდენახი, ქუთა — ქუთაისი, ურუქი — ერეკი. ქალდი — ხალდი, ერიდუ — ერეთი, კალხუ — კოლხეთი, მუშქუ — მესხი, აკელ — ოკერ და სხვა.

უნდა აღინიშნოს, რომ უძველეს აღმოსავლურ წყაროებში არა ერთი კონფლიქტია აღწერილი ქართული და მათი ახლო მონათესავე ხალხებისა შუამდინარეთისა და მეორე ამბის ტერიტორიაზე სხვადასხვა დროს მომძლავრებულ დიდ სახელმწიფოებთან. სპირად ამის მიზეზი ყოფილა აღნიშნულ ტერიტორიაზე უძველეს პერიოდში

არსებული ქართველური დასახლებები და კულტურული კერები. რომლებიც შემდგომ პერიოდში ამა თუ იმ მძლავრი ახლოაღმოსავლური სახელმწიფოს გამგებლობაში მოექცეულა. რისი თვალსაჩინო მაგალითიცაა ხეთურ წყაროებში უძველესი პერიოდიდანვე მოხსენიებული კონფლიქტები კასკას ტომებთან. რომლებიც სწორედ ქართული წარმოშობისანი იყვნენ. როგორც ამას მოწმობს ცნობილი ხეთოლოგის გრ. გიორგაძის გამოყვანილი (გრ. გიორგაძე, „არტანუჯი", №10, 2000 წ.).

სწორედ კასკას ტომების შექმნილია ცნობილი წინახეთური, ანუ ხათის ქვეყნის კულტურა. რომელსაც ძირითადად დაეფუძნა უფრო შემდეგდროინდელი ხეთური კულტურა და რომელიც ასე ახლობელია ქართული სამყაროსათვის.

საერთოდ. კულტურული თუ ენობრივი ელემენტების ხესხებას ერთი ხალხიდან მეორეში არასოდეს არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს ცალმხრივი ხასიათი. თუ ეს ერთიერთობა უმეცალია და ხანგრძლივი. ასე. მაგალითად. ქართულ ენაში მრავალად მოიპოვება ირანული სიტყვები. მაგრამ მათი მნიშვნელოვანი წილი უძველეს პერიოდში ქართველურიდან შესული სხვადასხვა ირანული წარმოშობის ხალხთა ენებში და შემდეგ უკვე ირანიზებული ფორმით უკან დაბრუნებულა ქართულ ენაში (მ. ასლანიშვილი. „ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან". თბილისი. 1966. I ტომი. და 1996. II ტომი. და სხვა შრომები.).

კახეთში მეფე-მთავრების ცნობილი სახელები ვარუ და კვირიკე უადრესად საეკ-ლესიოებია პარალელებს გვაძლევენ. ვარუ დაკავშირებულია ბგერობრივადაც (ფონეტიკურად-აც) და აზრობრივადაც (სემანტიკურადაც) ისეთ სიტყვებთან. როგორიცაა ვაკი. ვაშა. ვაბი. ვერხი. ვაცი. ფიცი. ვაბირი. ცა. ვერცხლი. ვეშაპი. ვაჭარი. ოკი. ვაშისერი. ოკეი. ვეკეხი. უჯარმა. ურჩხული. ოჯახი. ვაშხუ. ვაცხუ. მაცხოვარი. მეცხვარე. მესხი. აბო. მსხმოიარე. ბვარი. ბიარი. მეზვერე. მსხეერალი. სხივი. ცხინება. ცხელი. ცეცხლი და სხვა. კვირიკე დაკავშირებულია სიტყვებთან კვირია. კურო. კერაკი. ყვარება. ხვარნა. ხვაკი. ხორბალი. ქურეში. ბორა. ყვარელი. ქორო. ქორეანელოშ-ოსი. ქველი.კირიხი. ღირსი. ხურება. კერა. კარგი. კარი. ხარება. ხარი და სხვა. ნაბეღლია. რომ ეს სიტყვები ძირითადად უკავშირდება მზის სინათლესა. სხივოსნო-ბასა და სიმხურვალის გამომხატველ საერალურ ცნებებს და დამახასიათებელია არა მარტო ქართული. არამედ მსოფლიოს სხვა ენებისთვისაც.

ჩვენ მიერ ბემოთ მოყვანილი შესატყვისობანი ენათმეცნიერულად კანონზომიერ-რია. ბეოგრაფიულადაც კახეთი და მისი მიმდებარე რაიონები მზის. მთვარისა და ცეცხლის თაყვანისცემის მსოფლიოში აღიარებულ პუნქტს წარმოადგენდა. სხვა მრა-ვალ მოწმობასთან ერთად ამის დამადასტურებელია სტრაბონის მიერ გამორჩეულად აღნიშნული ბოგოდაკეკასიური მნიშვნელობის უძველესი მთვარის ტაძარი იბერიისა და ალბანეთის საზღვარზე. ე.ი. კახეთში და ამაეე ტერიტორიებზე არსებული ბორთა-სტრაბმის ეთნიერეს ცენტრები. ამ მიწებს ხომ ცეცხლოვანი მიწები ერქვა ძველთ-ბერნეე მრავალ ადგილას მიწის ბედაპირზე ნავთობის ამოსვლის გამო. სინათლის სხივი და ცეცხლის ალი ითვლება შუამავლებად ცასა და მიწას შორის. ამიტომ ცხენი. როგორც სწრაფი შუამავალი. ცეცხლის კულტის ერთ-ერთი ძირითად ხაეს წარმოადგ-ენდა. როგორც ბემოთ აღვნიშნეთ. ეს რეგიონი მეცხენეობის გავრცელების სათავე იყო ძველ საქართველოში. სიმბოლურია. რომ საქართველოს სამთავროებიდან სწორედ კახეთის დროშაზეა გამოსახული ცხენი.

კახეთის ერთ-ერთი უდიდესი წვლილი მსოფლიო კულტურაში არის მისი მეეენახ-ეობა-მეღვინეობის სრულიად უნიკალური მონაპოვარი. ჩვენ არ შეეცდით. როდესაც კულტურა ეახსოეთ. რადგან ამ დარგის მნიშვნელობა სწორედ სულიერი გამოცალკევ-ებისათვის კარგად ჩანს მისი განსაკუთრებული როლიდან მართლმადიდებლური ეკლესიის რიტუალში. არ არის გასაკვირი. რომ საქართველოს წინააღმდეგ მიმართული მა-

ხვილი ყოველთვის მისი მევენახეობის აღმოსაფხერელად იყო განუთვნილი. ბუნებრიეა, საქართველოს ეკონომიისთვისაც ამ დარგს ყოველთვის ჰქონდა და ექნება გადამწყვეტი მნიშვნელობა. ქართველმა ხალხმა და მისმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ უდიდესი ძალისხმევისა და თავგანწირვის წყალობით შესძლეს, დღემდე დიდი დანაკარგის გარეშე მოეტანათ ეს სულიერი და მატერიალური განძი. არსებობს ანტიკური ავტორების უძველესი წერილობითი მოწმობები, რომ სწორედ კახეთში საღვინე ეაბი ტყესავით ხშირი იყო და მოსახლეობა დიდძალი მოსაველის გამო ხშირად ვერც კი ასერხებდა მის მთლიანად მოხმარებასო. მზის სინათლის ინტენსივობის, მისი ხანგრძლივობის, ნიადაგის შემადგენლობის, ტენიანობისა და სხვა ბუნებრივი მაჩვენებლების მიხედვით ამ რეგიონს მართლაც აქვს შეუდარებელი პოტენციალი უძველესი ხარისხისა და მრავალფეროვანი ყურძნის ჯიშების შესაქმნელად. რასაც უძველესი დროიდანვე მოსახლეობის გონიერებამ და შრომისმოყვარეობამ შეუწყო ხელი. როგორც არქეოლოგიურმა, ასევე თანამედროვე ბიოლოგიურმა გამოკვლევებმა დაამტკიცეს, რომ არსად მსოფლიოში არ არის ისეთი უძველესი და თანაც უწყვეტი ტრადიცია მეკენახეობა-მეღვინეობისა, როგორც საქართველოში და, პირველ რიგში, კახეთში, რის გამოც იგი საყოველთაოდაა აღიარებული ღვინის სამშობლოდ. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ მსოფლიოში არსებული ყურძნის საღვინე ჯიშების მნიშვნელოვანი წილი ქართულია, ხოლო სწორედ ცნობილი კახური წესით დაყენებულ ღვინოში, პირველ რიგში, საფერავში და სხვა ქართულ ღვინოებშიც, ადამიანის ჯანმრთელობისათვის მრავალმხრივ მარგებელი, ბიოლოგიურადაქტიური ნივთიერებები მკვეთრად აღემატება მსოფლიოს ყველა სხვა ღვინოთა შესაბამის მაჩვენებლებს (I. Chkhikvishvili, Z. Ramazanov, O. Khachidze, "Comparative Characteristics of Some Georgian and Spanish Wines according to the Content of Polyphenolic Substances and Antiozidant Activity", თბილისი, „მოამბე". 161, №2, 2000 წ.).

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ პერიოდში ისტორიული ფაქტების დაფუძნება-დამტკიცებისას მზარდ როლს ანიჭებენ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში შემუშავებულ მეთოდებს, რომლებიც არქეოლოგიურ, წერილობით და ენობრივ მონაცემებთან ერთად ეფექტურ შედეგებს იძლევა. ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანია თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის კაპიტალური ნაშრომი (Т.В. Гамкрелидзе, Вяч. Вс. Иванов, «Индосвропейский язык и Индоевропейцы, Тбилиси, 1984), რომელშიც ახალი ენათმეცნიერული მეთოდებისა და საბუნებისმეტყველო მონაცემების შეჯერების საფუძველზე გაკეთებულია დასკვნა ცენტრალურ ამიერკავკასიაში და მის სამხრეთითაც ქართველური ტომების უძველესი პერიოდიდანვე ბინადრობის შესახებ. კახეთი გეოგრაფიულადაც. ეთნიკურადაც და კულტურულადაც იმთავითვე წარმოადგენდა ქართული სამყაროს განუყოფელ ნაწილს, როგორც ამას მოწმობს მ. ლორთქიფანიძის ცნობილი შრომები (მ. ლორთქიფანიძე, „ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების ისტორიიდან, კახეთის სამთავრო VIII-XI სს., 1954 წ. თბილისი. და მისივე 1963 წ. და სხვა მასალები ამავე თემაზე).

კახეთშია ქართველთა განმანათლებლის, წმინდა ნინოს საფლავი. კახეთში მოღვაწეობდნენ სამოსისტრო ცხოვრების დიდი აღმაველობის ახალი ტიპის ასკეტური სულიერების მამამთავარნი — დავით გარეჯელი, შიო მღვიმელი, იოსებ ალავერდელი, აბიბოს ნეკრესელი, ზენონ იფალითელი. კახეთიდან იყო უდიდესი ქრისტიანი წმინდანი ილარიონ ქართველი, აგრეთვე, ახალი დროის ყველაზე ცნობილი წმინდანები ქეთევან წამებული, წმინდა ბიძინა ჩოლოყაშვილი, წმინდა ილია მართალი.

ალავერდის საკათედრო ტაძარში მოული კავკასიიდან მოდიოდნენ ალავერდობის ღვესასწაულზე. ხალხს ახსოვდა, რომ ეს ადგილი უძველესი დროიდან რელიგიურ ცენტრს წარმოადგენდა და მთელი კავკასიის ხალხების გამაერთიანებელი და სული-

ერად დამაკავშირებელი იყო. ქართული მართლმადიდებლური ეკლესია ჭეშმარიტი გულმოწყალებით და სიბრძნით ეკიდებოდა ამ მოვლენას და ძლიერების ჟამს გაავრცელა კიდეც ქრისტიანული კულტურა კავკასიის მასშტაბით.

კახეთში შემონახულია ქრისტიანული მხატვრობის უძველესი ნიმუშები. დავით გარეჯის კომპლექსში აღმოჩენილია მეშვიდე-მეათე საუკუნეების ფერწერა. ამ ეპოქაში ხატმებრძოლობის გამო მრავალ ქვეყანაში აიკრძალა ასეთი მხატვრობა, ჩვენთან კი შემოქმედების ეს პროცესი უმტკივნეულოდ გაგრძელდა და დავით გარეჯის კომპლექსის ფერწერა უნიკალურია მსოფლიო მასშტაბით. განსაკუთრებით საინტერესოა ბოგიერთი ადგილობრივი მხატვრის ფრესკა, მაგალითად, საბერეების გამოქვაბულებში, რომლებმაც თანამედროვე მხატვრობაზეც კი მოახდინეს გავლენა.

უმნიშვნელოვანესი მხატვრობაა ოშაანში, ბოჭორმაში, აგრეთვე, ბოდბეში, სადაც გვიქვს მეცხრამეტე საუკუნის ფერწერა, როგორც ამ გვიანი პერიოდის იშვიათი ქართული ნიმუში. აქვე არ შეიძლება არ გავიხსენოთ წელილი ისეთი მხატვრებისა, რიგორებიცაა მეცხრამეტე საუკუნეში მოღვაწე მხატვარ-პორტრეტისტები, ცნობილ კახურ საგვარეულოთა წარმომადგენლები თაეადი აფუხანი და თაეადი ანდრონიკაშვილი, მეოცე საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი ქართველი მხატვარი ფიროსმანი. რომლის შემოქმედებაც სწორედ ქართული მართლმადიდებლური მხატვრობის ტრადიციის ეკავშირება (დ. თუმანიშვილი, ნ. ფიროსმანაშვილის „პატარა მეთევზე". „ქართული ხელოვნება". 9B. 1991 წ., მ. ციციშვილი. „XVIII-XIX საუკუნეების ქართული პორტრეტული ფერწერა". 1997 წ. თბილისი).

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს კახეთის ხუროთმოძღვრება. რიგორც უტყუარი მატერიალური მოწმე ხალხის ნიჭის, გემოვნების, ოსტატობის და, საერთოდ, კულტურისა.ქართული ხელოვნებათმცოდნეობის მამამთავარმა და აღმოსავლურქრისტიანული არქიტექტურის კლასიკური ევროპული მეთოდებით კვლევის დამნერგველმა გიორგი ჩუბინაშვილმა დიდი ფორმატის 600-გვერდიანი გამოკვლევა მიუძღვნა კახეთის არქიტექტურას. როგორც გამორჩეულ მოვლენას ქართულ ხუროთმოძღვრებაში (Г.Н. Чубинашвили. «Архитектура Кахетии». თბილისი. 1959 წ.).

გამოკვლევაში საგანგებოდ აღნიშნულია, რომ კახეთი უძველესი პერიოდიდან წარმოადგენდა მოწინავე ქვეყანას საქართველოს შემადგენლობაში, რომელიც მთელ კავკასიაში პეგემონობისთვისაც კი ებრძოდა, ხოლო მისი ხუროთმოძღვრების ძეგლები ღირსეულად წარმოაჩენს მის ასეთ მისწრაფებას. მათ ისეთი თავისებურებანი,ახასიათებს, რომლებიც განასხვავებს კავკასიის სხვა რეგიონების ტაძრებისაგან. რაც. ჩუბინაშვილის გამოკვლევით, საშენი მასალის თვისებებით არის გამოწვეული: იგულისხმება კახეთში ტაძრების ასაგებად დაუმუშავებელი ან ნაკლებად დამუშავებული რიყის ქვის გამოყენება როგორც საშენ მასალად, ასევე მოპირკეთებისათვის. რაც განაპირობებს ამ ნაგებობების ორიგინალურობას. ამავე მიზეზით იცვლება შენობის აკების ტექნიკაც და ხუროთმოძღვრის წინაშე მდგარი ესთეტიკური პრობლემებიც. აკტორს მიაჩნია, რომ სწორედ კახეთში შეიქმნა გუმბათოვანი ტაძრების ისეთი ნიგატორული ნიმუშები, რომლებიც კავკასიის სხვა ქრისტიანულ ტაძრებში უფრო მოგვიანებით აღინიშნება. აქ იგულისხმება პირველ რიგში ვაჩნაძიანის ყველაწმინდა. მასალა ნაკლებად იძლეოდა შენობის გარეგანი ორნამენტებით მორთვის საშუალებას — ჩექერიმებით გატაკება დამახასიათებელი არც არის კახეთისათვის. აქ მთავარი ყურადღება გადატანილია შენობის არქიტექტორული ფორმების განვითარება- დახვეწასა და სრულყოფაზე. ჩუბინაშვილის აზრით, ამ მხრივ, ე.ი. შენობის არქიტექტონიკის განვითარებაში უაღრესად წარმატებული მიგნებით, კახეთის ხუროთმოძღვრებას ბაღალი არ მოეძებნება არც ქართულ და არც ახლო აღმოსავლეთის ქრისტიანულ ხელოვნებაში. კახეთის სამშენებლო ტექნიკა იმდენად თავისებურ და ადგილობრივ

ნიადაგზეა განვითარებული. რომ, ფაქტობრივად, გამორიცხავს მისი თუნდაც ცალკეული ნაშუშების შექმნასაც კი არაადგილობრივი ოსტატების მიერ და, თუ ასეთი სამშენებლო ტექნიკის პარალელებს მოვიძიებთ, მათ ვიპოვით მხოლოდ საქართველოს უძველესი, საწყისი პერიოდის სუროთმოძღვრებაში და, აგრეთვე, კახეთის მიმდებარე აღმოსავლეთით და სამხრეთ ტერიტორიაზე, რომელიც ისტორიულად იგივე მოსახლეობას შეიცავდა. ჩვენსაშვილის დასკვნით, უაღრესად საინტერესო ადგილობრივი თავისებურებების მიუხედავად, კახეთის ხუროთმოძღვრება გვიჩვენებს კარდინალურ საკითხებში მთელ საქართველოსთან უეჭველ ერთობას. ქართული არქიტექტურის ერთ-ერთ მთავარ თვისებას წარმოადგენს პლასტიკურობა, სილუეტის განსაბღვრულობა, სიწყნარე და გაწონასწორებულობა, მოცულობათა პროპორციულობა და სისრულე, შეკეული და იარაზული ელემენტების ძალიან თვალსაჩინო თანაფარდობა, შენობის ყველა ელემენტის ორგანული კავშირი ერთმანეთთან და ასეთივე ორგანული კავშირი გარემომცველ ბუნებასთან, რაც ქმნის ისეთ მთაბეჭდილებას, რომ შეუძლებელია რაიმეს შეცვლა. ეს ყოველივე, ავტორის აზრით, განსაკუთრებით ძალუმად იგრძნობა კახეთში. რომლისთვისაც არ არის დამახასიათებელი, ახალ-ახალ ეპოქებში მოდის მიხედვით გადაკეთოს ძველი ტაძრები და ამით შეუცვალოს იერ-სახე, როგორც ეს ახლო აღმოსავლეთისა თუ ევროპის ზოგიერთი მსარისთვისაა დამახასიათებელი. კახეთში, რიგორც წესი, ძველი ტაძრის გადაკეთების მაგვარად მას ხელუხლებლად ტოვებდნენ და მის გვერდით ახალ ტაძარს აგებდნენ, თუ ამას ახალი გემოვნება და საჭიროება მოითხოვდა. ეფქონიოთ იმედი, რომ ასეთი მოწიწებით და მორიდებით აღსაკსე დამოკიდებულება საკუთარი ხუროთმოძღვრული მონაპოერებისადმი მომავალშიც დამახასიათებელი იქნება კახეთის მოსახლეობისათვის.

მზია ანდრონიკაშვილი
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ენათმეცნიერების კათედრის პროფესორი.
არჩილ ჭოღოშვილი
ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი.
ლევან ჭოღოშვილი
ძველი ქრისტიანული მხატვრობის საზოგადოების პრეზიდენტი.

კახეთი — გამოჩენილ ადამიანთა სამშობლო

„ვისაც უნდა სასწაული იხილოს, მან სავსე მთვარიან ღამეში თელავიდან აღმოსავლეთით ალაზნის ველს უნდა უყუროს. კეკლუცო კახეთო! ოქროსფერი ღვინის, სიხარულისა და სიამის ქვეყანავ! შენს სამოთხეში იშვა... ილია ჭავჭავაძე, ქართველი, რომელიც მთელი საქართველოსთვის ფიქრობდა",— წერდა სრულიად უცხო მხარეში დაბადებული და მერე უკანასკნელ ამოსუნთქვამდე საქართველოს ერთგული მომღერალი არტურ ლაისტი.

სწორედ ამ ნარმტაც მხარეში, ალაზნისა და ივრის ნაპირებზე, ვახუშტის სიტყვით, „...ამ სივრცეზე ცხოვრობს ქართველი, კახელებად წოდებულნი, ენითა და სარწმუნოებითა ქართლისათა"

კახელები არიან: „შვენიერნი, ჰაეროვანნი, მსგავსნი ყოველთა ქართველთა ზნითა, ჩვეულებითა და ქცევითა, არამედ ლაღნი, ამაყნი, მეხოტბენი, დიდ-მთქმელნი, მეჩხუბარნი, შემმართებელნი, ერთგულნი, მაგარნი, მხნენი, მიმყოლნი ურთიერთობისა"

მოდით, ნამიერად განზე გადავდოთ ყველა საქმე და რიჟრაჟის ნათელ ფერებს ჩვენც შევყვეთ იმ კახეთში, რომელიც მართლაც „სიცოცხლის გადასახედია". დიახ, სნორედ ცივ-გომბორიდან, თავისთავად ამ საოცარი სამყაროდან დანყებული და ათადან-ბაბადან მოყოლებული დროსავით ზანტად „ურემი მიჭრიალებდა". გზას აღვიძებდა. იმ ჭრიალში იყო სანუთროზე ზრუნვის მთელი სიბრძნე, ის აძლევდა ცხოვრებას სილაზათესა და სიმშვენიერეს. აქედან, როგორც ხელისგულზე, მოჩანს კახეთი — „ღვინის ზღვად და ხილის რიყედ"

სნორედ ეს სანახები სტაცებდა თვალს მტრის ურდოებს — მონღოლს, თათარს, სპარსს და კახეთიც, ერთიან განუყოფელ ზღუდედ აღმართული, უმკლავდებოდა მათ.

ინგრეოდა ციხე-ბურჯები, ხელმეორედ დუღაბდებოდა კედლები, ბევრჯერ ყოფილა ჩვენი სამშობლო დაფლეთილი, ანიოკებული, მაგრამ კვლავ ერთ მუშტად შეკრული, მკვდრეთით აღმდგარი.

ასეთია საქართველოს ბურჯის — კახეთის ისტორია, ცრემლ-ღიმილით შეზავებული, ჭრილობაშეუხორცებელი, მაგრამ გმირული. ჩვენ ბედსა და უბედობაზე ღაღადებენ ბახტრიონის, სიღნაღის, ყვარლის, თელავის ციხე-გალავნები. ამისი დასტურია ხორნაბუჯის, მანავის ციხეები, თურდოს ხეობა, დავით გარეჯი, ჰერეთის კარი, ჭერემი, თიანეთის უძველესი ქალაქის ჟალეთის ნანგრევები, ალავერდი, იყალთო, შუამთა, გრემი, ნეკრესი... და მაინც... კახეთი თავანეული მოვიდა დღემდე, მოვიდა ბრძოლითა და ჭიდილით, სულის მხნეობით, მამულისადმი უსაზღვრო სიყვარულით, ჯვარითა და ვაზით... და როგორც ილია ამბობდა: „სილბო გვქონდა ნაქსოვისა" — ვით ქრისტიანებს „და სიმტკიცე ნაჭედისა" — ვით მეომრებსა და მამულიშვილებს. ამით გავიტანეთ თავი, დროთა შესაფერი ლონე ვიცოდით, დროთა შესაფერი ხერხი, დროთა შესაფერი ცოდნა გვქონდა, დროთა შესაფერი მხნეობა და გამრჯელობა".

თელავი


1578
ალაზანი
ალაზანი
ალაზანი

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული რაიონი აღმოსავლეთ საქართველოში, კახეთის ისტორიულ პროვინციაში. 1930 წლიდან დამოუკიდებელი რაიონია.

ᲙᲐᲪᲐ — ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული.

ᲜᲘᲐᲓᲐᲒᲘ — ალუვიური, ძლიერ კარბონატული, თიხნარი, მდ. ალაზნის მარცხენა მხარეს — უკარბონატო თიხნარი ნიადაგი.

ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲘ — მურა დათვი, შველი, არჩვი, მგელი, მელა, ტურა, გარეული ღორი, კურდღელი, დედოფალა, ბუჩქნარის მემინდვრია, ჩვეულებრივი თაგვი, ტყის ძილგუდა, რუხი და ოქროსფერი ზაზუნა.

ᲤᲠᲘᲜᲕᲔᲚᲘ — ხოხობი, კაკაბი, გნოლი, მწყერი, შაშვი, კაჭკაჭი, ყვავი, გარეული მტრედი, ქორი, ჩხიკვი, კვირიონი, ბელურა და სხვ.

ᲗᲔᲗᲖᲘ — ხრამული, მურწა, კარჩხალი, წვერა, ლოქო, კობრი, გოჭალა, ჭანარი, ჭერეხი და სხვ.

ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲐ — კვების მრეწველობა, ღვინის ქარხანა (თელავში 3, წინანდალში, ნაფარეულში, იყალთოში, თელიანში, აკურაში). ალაზნის სარწყავი არხის მშენებლობასთან დაკავშირებით თელავში აშენდა მძლავრი მექანიკური და რკინაბეტონის ქარხნები, რომლებიც მთელი რესპუბლიკის საირიგაციო ნაგებობათა მშენებლობას ემსახურება.

თელავში არის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი, პოლიტექნიკური უნივერსიტეტის ფილიალი, ვაჟა-ფშაველას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი. 2 კინოთეატრი, კულტურისა და დასვენების პარკი „ნადიკვარი“ და სხვ.

ᲙᲣᲠᲝᲗᲐᲛᲝᲫᲚᲕᲠᲣᲚᲘ ᲫᲔᲒᲚᲔᲑᲘ — აკურის მონასტერი (IXს.), ვანთის სასახლის კომპლექსი (შუასაუკუნეები), ძველი შუამთის მონასტერი (V-VIIსს.), იყალთოს სამონასტრო კომპლექსი (VI-XIIსს.), კისისხევის გუმბათოვანი ეკლესია (VIII-IXსს.), ნაფარეულის სამეკლესიანი ბაზილიკა, რუისპირის ნმინდა შიოს მონასტერი (XII-XIIIსს.), ახალი შუამთის მონასტერი (XVIს.).

ერეკლე II — პატარა კახი
1720-1798

კახეთი ბრწყინავს ძმის სხეულთ.
ალაზნის ზვირთი ეროვლების,
ირაკლის ხელი ზეციდგის
მათ უმზერს. ძაფმე ეროვლების.
ვახტანგ ორბელიანი

საქართველოს უკანასკნელი დიდი ხელმწიფე ერეკლე II — 1744-1762 წლებში კახეთის, ხოლო 1862-1898 წლებში ქართლ-კახეთის მეფე, თეიმურაზ II-ის ძე, დაიბადა 1720 წლის 7 ნოემბერს თელავის სასახლეში, რომელიც დღემდე დაცულია თელავის ძველ ციხე-გალავანში და ალაზნის ველს გადაჰყურებს.

ერეკლე II აკავშირებდა ქართლისა და კახეთის ბაგრატიონთა ორ შტოს. დედამისი, თამარი, ვახტანგ VI-ის ასული იყო, ხოლო მამა, თეიმურაზ II — კახთა მეფე დავით II-ის ძე. 1744 წელს თეიმურაზ II ქართლში გამეფდა, ერეკლე II კი კახეთში. XVIII საუკუნის 40-იანი წლების მიწურულისათვის ნომინალურად ირანის ვასალი ქართლ-კახეთი ფაქტობრივად დამოუკიდებელ სახელმწიფოდ იქცა. ერეკლე II-მ და თეიმურაზ II-მ ნადირ-შაჰის გარდაცვალების შემდეგ (1747წ.) თბილისი ირანელებისაგან გაათავისუფლეს, თავიანთ ბატონობას დაუმორჩილეს და ხარკი დაადეს განჯისა და ერევნის ხანებს. თეიმურაზ II-ის გარდაცვალებასთან დაკავშირებით (1762წ.) ქართლ-კახეთში ერთმეფობის დამყარება საქართველოს პოლიტიკური გაერთიანებისაკენ გადადგმული დიდი ნაბიჯი იყო. ერეკლე II-მ ხელისუფლების ცენტრალიზაციისათვის ღონისძიებები გაატარა: შეზღუდა თავნება თავადები და გააუქმა ზოგიერთი სათავადო (არაგვის, ქსნის), დაასახლა უცხოელ დამპყრობთა შემოსევების შედეგად მოოხრებული რაიონები, გაატარა ბატონყმური ურთიერთობის რეგლამენტაცია ფეოდალთა შეზღუდვის მიზნით, იღვწოდა უცხოელ მოახალშენეთა მოზიდვისა და სამეფო საკუთრების გაზრდისათვის, გამოსცა კანონი (1765წ.), რომლის თანახმად ტყვეობიდან თავისი სახსრებითა და ინიციატივით დაბრუნებულ გლეხს თავისუფლება ენიჭებოდა. შექმნა და გაამრავლა თავისუფალ მიწათმფლობელ-მოლაშქრეთა ფენა, შექმნა მორიგეობის პრინციპზე დამყარებული მუდმივი ჯარი, აღადგინა საკუთრების ქალაქური ნესი (1770წ.), აკრძალა ოსმალობა-ყიზილბაშობის დროს განახლებული ყმათა უმამულოდ გაყიდვა და ტყვეებით ვაჭრობა, დარაზმა ხალხი ტყვეთა გატაცების წინააღმდეგ საბრძოლველად (1772წ.). მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარა სახელმწიფოებრივი წყობილების გადასახალისებლად. რუსეთის მიბაძვით შემოიღო სამხარეო სისტემა, სცადა, მმართველობა ცალკეული უწყებების მიხედვით დაენაწილებინა: „საგარეო საქმეთა", „სახელმწიფო შემოსავლისა" და „სამხედრო საქმეთა" დარგებად. ერეკლე II ენერგიულ ღონისძიებებს მიმართავდა მრეწველობისა და კულტურის განვითარებისათვის, რის შედეგადაც გაჩნდა ფაბრიკები და ქარხნები (შაქრის, მინის, შალის, იარაღის), სამთამადნო წარმოება (სპილენძის, იქრო-ვერცხლის, თუჯის, რკინის), მანვე განაახლა ზარაფხანა, დააარსა სემინარიე-

ბი; მეფის ირგვლივ შეკრიბა განათლებისა და კულტურის მოღვაწეთა დასი, გაბშირდა წიგნების ბეჭდვა. XVIII საუკუნის 80-იანი წლებიდან ერეკლე II-ის სამეფო საბოლოოდ დაუკავშირდა რუსეთს, გაფორმდა 1783 წლის რუსეთ-საქართველოს მფარველობითი ტრაქტატი; ერეკლე II-ს მიაჩნდა, რომ რუსეთის სახელმწიფო ხელს შეუწყობდა ქართლ-კახეთის სამეფოს შემდგომ წინსვლას, მაგრამ საქართველოს საგარეო პოლიტიკური ვითარება მალე შეიცვალა, დიდი სახელმწიფოები გააქტიურდნენ და კვლავ დაიწყეს ბრძოლა ამიერკავკასიის დასაუფლებლად. გამწვავდა მდგომარეობა ქვეყნის შიგნითაც: ერთმანეთს ექიშპებოდნენ ფეოდალები, სამეფო კარზე გაჩაღდა ინტრიგები, მრავალრიცხოვანმა ბატონიშვილებმა დაარღვიეს სამეფო დომენის მთლიანობა, ყველაფერი ეს კი გადაულახავ სიძნელედ გადაეღობა ქვეყნის განახლება-გაძლიერების გეგმებს, რომლებიც ერეკლე II-მ დასახა. ამას ზედ დაერთო ირანელთა შემოსევა და თბილისის აოხრება 1795 წელს (იხ. კრწანისის ბრძოლა).

თავისი 65-წლიანი მეფობის ჟამს ერეკლე II-მ დიდი კვალი გაავლო ქართველი ხალხის ისტორიაში. სიცოცხლის დიდი ნაწილი მან ლაშქრობაში გაატარა და ხშირად უბრალო ჯარისკაცივით ცხოვრობდა. აი, როგორ აღწერს იაკობ გოგებაშვილი „პატარა კახის" სამხედრო თვისებებს: „იგი დაუსრულებელი რეეფლია შეუწყვეტელის ბრძოლისა ჩვენის ქვეყნის მტრებთანა, საოცარის ვაჟკაცობისა, მრავლის ბრწყინვალე გამარჯვებისა. ხოლო ამ გამარჯვებათა შორის ორი კაშკაშებს განსაკუთრებული შუეითა. ერევნისა და ასპინძის ომი — აი, ხარისთვალა და ცისკარი ერეკლეს სამხედრო ბოქმედებაში.

პირველს — ერევნის ომში ჩვენი სახელოვანი მეფე სამი ათასი კაცით შეებრძოლა თვრამეტ ათასს სპარსელს ჯარს, თავისი ხელით მოუკლა მას ერთი საუკეთესო ნინამძღვართაგანი, შიშის ზარი დასცა მტერს, სძლია იგი, დააყრევინა ბევრი ზარბაზანი, ნაართვა მრავალი სიმდიდრე და საშინლად დამარცხებული გააქცია.

მეორე — ასპინძის ომში ისე იჩინა თავი, ისეთი საოცარი ვაჟკაცობა და აამხედრო ხელოვნება გამოიჩინა, რომ მთელი ევროპა გააცვიფრა, და სახელად დაერქვა „ასპინძის გმირი..."

ასპინძის ომში მან ხომ მთლიანად მოსპო ოსმალთა 6-ათასიანი ჯარი (გადარჩა მხოლოდ ორმოცამდე კაცი, რომლებმაც თავს უშველეს გაქცევით, ხოლო 60-მდე მეომარი ტყვედ ჩაიგდო).

„ქართველებს როგორღა დაუჯდათ ეს სახელოვანი გამარჯვება: ძვირად თუ იაფად? ძალიან იაფად, ისე იაფად, რომ კაცი ძნელად დაიჯერებს, თუ კარგად არ იცის ამ ომის ამბავი და ერეკლე მეფის უმთავრესი ღირსება. მოიკლა ასპინძის ომში მხოლოდ ოცდაათი ქართველი და ამდენივე დაჭრილი იქნა...

მაგრამ განა მარტო ასპინძის გამარჯვება დაისვა ასე იაფად პატარა კახმა? არა. იგი ყოველს მოგებულს ომში ჰკარგავდა მხოლოდ მცირეოდენს ჯარსა, დიდ გამარჯვებას პატარა სასყიდელს ახმარებდა, მრავალს მტერს მცირეოდენი ძალით ამარცხებდა, პატარა ღონისძიებით ბრწყინვალე ნადილს ენეოდა და სწორედ ამაში მდგომარეობს უზენაესი ღირსება სარდლისა. ეს ღირსება მეტადრე საჭირო იყო იმისთანა პატარა ქვეყნისათვის, როგორიც იყო და არის საქართველო.

სალი კლდის სიმტკიცე და სიმკვრივე ედგა სულში პატარა კახს.

თვალები არნივისა — მზის დამკორტნელი.

სისწრაფე ფიქრისა.

მკლავი — რვალისა.

მუხლი — მგლისა.

გული — ლომისა.

ერეკლე II-ის პიროვნება, მისი საქმეები ფართოდ აისახა ხალხურ შემოქმედებაში. მისი სახელი ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლების სიმბოლოდ იქცა.

პატარა კახი იმავე პალატსა და იმავე სანოლში გარდაიცვალა, სადაც დაიბადა. როდესაც ხალხმა ერეკლე მეფის სიკვდილის ამბავი გაიგო, ყოველი მხრიდან თელავს მოაწყდა, რათა მის ცხედარს გამომშვიდობებოდა.

ქართველმა ხალხმა დიდი გულისტკივილით გამოიტირა თავისი საყვარელი გმირი:

ვერ ვიაკეთ, ქართველნი, შეკვეხსნით რვინის ჯარი,
ალარ ვეკეთ ხევე ბრძალე, არც ძინი სალძარი,
დაძეგარ ბაირახეი, ალარ ეძეს ზარბაზანი!
ცხეთის ფეხ თეთრი ხეკდარი, ვეკორდეე ჩეკდის შეკეკარი
ძეგ ფეხ კეი ეკრი ოჭრანი, გაძარცხეული ეკარი,
ეკეთში ჩეუჭეენი ბაურეიანთ ეკარი.
ძაძელი ეკალარ ინიდეკეს
ირეკლის ხმალსა ძალეკრეს.
ბიდეკ ივკერეთ
ძალთან ძარნა ხაძრეს.

ბრიგოლ ორგელიანი

აღსდგ! ვძირთ-ვძირო, ნუ ვძინავს. მტერია ირძალ ხმანი,
ვინკიდ ძალნი ჩვეულ ბოდი ხარ. ძოეკეინეე უნანი ეკანი.
ან ენანეს მტერთან ძაბუნდ. ვეხდეეფოთ. ვიკეეცხეთ ირძანი.
ვინთ ბინძალად ძათდ ძირეულნი. ზიეთიკეს ოთხნი ძმანი.
ვინლე ბრთძ ძმლეეკული. ეკეერ ძახვ. მტერთა ზარია.
ძაეეძეთ ნანთან ფერალნი. ძეს ძინეკდეს ძია და ბარია.
ქუხდეს ძაკარი. ძაძანი. ვით ზეკნით ძეანს ეკარია...

გოდერძი ფირალიშვილი

მეორმოცე დღეს ერეკლე მეფის ცხედარი თელავიდან მცხეთაში წაასვენეს და სვეტიცხოვლის ტაძარში დაკრძალეს.

მისი სახელი რამდენიმე ათეულ წელს ქუხდა არა მარტო მთელ აღმოსავლეთში, არამედ ევროპაშიც.

და არა მარტო ევროპას — „მსოფლიოს ეკრა პირზე მისი სახელი", პრუსიის დიდმა ხელმწიფემ და დიდმა მხედართმთავარმა ფრიდრიხ მეორემ თქვა: ქვეყანაზე ახლა ორი დიდი სარდალი ცხოვრობს — დასავლეთში მე, აღმოსავლეთში — ერეკლე მეფეო.

და კიდევ:

ჯერ კიდევ ასპინძის ომამდე გამოქვეყნდა დიდი გერმანელი მწერლისა და ფილოსოფოსის ლესინგის პიესა „მინა ფონ ბარნჰელმი", სადაც ერეკლე ქართველთა „პრინცი" ნარმოდგენილია, ვითარცა „უმამაცესი ვაჟკაცი", რომელმაც სპარსეთი დააჩოქა და დღეს თუ ხვალ თურქეთის კარიბჭეშიც შეიჭრება ძლევამოსილად. პიესის გმირები, ახალგაზრდა გერმანელები, საქართველოში ნამოსასვლელად ემზადებიან, რათა აქ „მისი უმაღლეაობის პრინცი ირაკლის მთავარსარლობის ქვეშ, ორ-სამჯერ მაინც გაილაშქრონ თურეების წინააღმდეგ"

ევროპისა და რუსეთის ჟურნალ-გაზეთები აჭრელებული იყო ერეკლეს „საოცარი ბიოგრაფიებითა" და ლეგენდებით.

დიდი სომეხი მოღვაწე იოსებ ემინი ჯერ კიდევ 1758 წელს ლონდონიდან წერდა ერეკლეს: „შენი სახელი ინდოეთში გავიგონე, ხოლო ინგლისში შენი გამარჯვებების ამბები შევიტყვე". მერე ემინი პირადად ეწვია „ქართველთა და სომეხთა გმირს" საქართველოში. ეწვია და სიყვარულით ჩაინერა თავის მემუარებში სომეხ-ქართველთა ერთიანობის მქადაგებელმა:

„ერეკლე მეფე მომცრო სიმაღლის მამაკაცია. მის შავგვრემან სახეს ხან მწვანე, ხან ყვითელი ფერი გადაპკრავს; მას კარგად მოყვანილი ტანი აქვს, იგი მძლავრია სულითაც და სხეულითაც. მასთან საუბარი ისევე სასიამოვნო და ჭკუის სასწავლებელი იყო, როგორც განსწავლულ ინგლისელ ჯენტლმენებთან საუბარია... მისი ხმა ისეთი მელოდიური იყო, რომ ანგელოზის ხმა გეგონებოდათ..."

გიორგი XII

1746-1800

გიორგი XII დაიბადა 1746 წლის 10 ოქტომბერს თელავში. ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე (1798-1800წწ.), ერეკლე II-ის ძე. ლიტერატურაში ზოგჯერ გიორგი XIII-ის სახელითაც იხსენიება.

აღიზარდა სამეფო კარზე. XVIII საუკუნის 60-იანი წლებიდან მონაწილეობდა სახელმწიფო საქმეებში. 1765 წელს მხარი არ დაუჭირა ერეკლე II-ის წინააღმდეგ მონყობილ შეთქმულების მონანილეთა მკაცრად დასჯას, რაც მამა-შვილს შორის უთანხმოების საფუძველი გამხდარა. ამ უკმაყოფილებას კიდევ უფრო ამწვავებდა გიორგი XII-ის დედინაცვალი დარეჯან დედოფალი, რომელიც შუღლს აგდებდა გიორგი XII-სა და საკუთარ შვილებს შორის. როცა ერეკლე II-ის გარდაცვალების შემდეგ, 1798 წლის იანვარში, გიორგი XII გამეფდა, იგი უკვე მძიმე ავადმყოფი იყო. მისი მეფობის დროს ქართლ-კახეთში მეტად რთული საშინაო და საგარეო ვითარება შეიქმნა. გიორგი XII ზრუნავდა ირანელთა 1795 წლის შემოსევის შედეგად დანგრეული თბილისის აღსადგენად. მისი ბრძანებით ჩატარდა ხალხის აღნერა და შემოიღეს ფულადი გადასახადი სამეფო სასახლის ასაგებად, მაგრამ შეკრებილი თანხა ეკლესიების კეთილმონყობაზე დაიხარჯა. დაინყეს სტამბის აღდგენა. გიორგი XII ცდილობდა ერეკლეს დროინდელი მორიგე ჯარის აღორძინებას, ებრძოდა ქვეყანაში შემოჭრილ ირანულ წეს-ჩვეულებებს, ფიქრობდა ქართველთა და სომეხთა სარწმუნოებრივ ერთიანობაზე (სომხებში მართლმადიდებლური ქრისტიანობის დანერგვით). შეეცადა მონინააღმდეგე ბატონიშვილთა პარტიის დამორჩილებას და შინაური მოღალატეების ალაგმვას, მაგრამ ვერ შეძლო. საგარეო პოლიტიკაში გიორგი XII რუსეთთან ტრადიციული ურთიერთობის კურსს იცავდა. იგი მოითხოვდა 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის შესრულებას და საქართველოში რუსეთის ჯარის შემოყვანას, რომლის დახმარებითაც საშინაო და საგარეო პოლიტიკური სიძნელეებიდან თავის დაღნევას გეგმავდა. მაგრამ რუსეთის ჯარის საქართველოში შემოსვლამ (1799 წლის 26 ნოემბერი) ვერ გამოაკეთა ქართლ-კახეთის შერყეული სახელმწიფოებრივი მდგომარეობა. ასეთ ვითარებაში გიორგი XII დათანხმდა, შეეზღუდათ 1783 წლის ტრაქტატით გათვალისწინებული მეფის უფლებანი, ოღონდ მისთვის და მისი ჩამომავლებისთვის მეფობა შეენარჩუნებინათ. რუსეთის მთავრობა ხედავდა ქართლ-კახეთის სამეფოში შექმნილ კრიტიკულ მდგომარეობას და ამ სამეფოს სრული გაუქმებისათვის ხელსაყრელ მომენტს ეძებდა. აკი იპოვნა კიდეც.

...სანოლზე მიჯაჭვული ავადმყოფი მეფე წუხდა. დედოფალი მარიამი თავისი მხლებლებითა და მცირენლოვანი შვილებით ყოველდღე ფეხშიშველა დადიოდა ანჩისხატის ეკლესიაში და ხატის წინაშე დაჩოქილი ცხარე ცრემლით ავედრებდა ღმერთს მეფის სიცოცხლეს. ანტონ კათალიკოსმა პარაკლისი გადაიხადა. განბანეს ხატი, წყალი მინის სუფთა ჭურჭლით სასახლეში წაიღეს და მეფეს სახესა და მკერდზე აპკურეს.

თითქოს მოიხედა, უკეთ შეიქმნა. მაგრამ დილით, როცა დედოფალი შებრძანდა მის სანახავად, მეფე თვალებარეული, უჩვეულო სახით იხილა, შენუხდა და ცრემლმორეულმა მოახსენა:

— ბატონო, რას უბრძანებთ შვილებსა ამათ? ვის აბარებთ, თუ გეწვიათ უბედურება რაიმე? დავითი უნდა იყოს ამათი პატრონი?

— ჩემო დედოფალო, გაიგონე, რა გიამბო: მე აღვუჩენ მათ პატრონსა დიდსა და ძლიერსა. — მიუგო მეფემ. მერე გენერლის ხილვა ისურვა. სნორედ მაშინ დაინერა ნერილი, რომელშიც გიორგი მეფე იმპერატორ პავლეს აცნობებდა, დადგაო ჩემი სიცოცხლის უკანასკნელი დღე. ამავე ბარათში ეწერა: „ჩამიბარებია ანდერძად ცოლ-შვილი ჩემი და საქართველო"

მოანერა ხელი და დაუსვა ბეჭედი.

სწრაფად გავრცელდა ეს ამბავი თბილისში. ალაპარაკდნენ მეფის მტრები...

25 დეკემბერს, შობა დღეს, მეფის სანოლის მოპირდაპირე დიდ დარბაზში დაიწყეს ნირვა.

ამავე დღეს, ნირვის შემდეგ, მოახსენეს მეფეს რუსეთიდან ახლად მოყვანილი ინდოეთის ქათმების შესახებ. უცხო რამ სანახავიაო, უთხრეს. მეფე მოხარული იყო, რუსეთიდან თუ კი რამ სიკეთე მოდიოდა. უყვარდა იქიდან გამოგზავნილი ჩინური ჩაი, თავი-შაქარი და თვით სასიცოცხლო წამალსაც იქიდან ელოდა. მძიმე სენისგან შენუხებული ძლივსღა სუნთქავდა. მაინც ინება, ეჩვენებინათ უცხო რამ სანახავი. სწრაფად აცნობეს მეფის სურვილი კაცს, რომელმაც რუსეთიდან ინდური ქათმები ჩამოიყვანა და დავალებული ჰქონდა მათი მოვლა. მოჰგვარეს მეფეს ორი მამალი და ოთხი დედალი.

მდიდრულად მორთული სასახლის აჭრელებული ხალიჩების დანახვაზე ფრინველებმა წვრილი, შავი თვალები დაჭყიტეს. მხიარულად განეწყვნენ, აიფხორნენ, ნელ-ნელა გაშალეს ფრთები, ბოლო მარაოსავით ააფრიალეს. მეფე განცვიფრებით შესცქეროდა. გიორგი ბარათაშვილმა მოახსენა, ღირსება და გემოვნება ინდოეთის ქათმის ხორცისა.

— როგორ სჭამენ ამათსა ხორცსა? — იკითხა მეფემ.

— დიაღ, მეფევ! რუსეთში ძალიან მოსნონთ ნაზი და ბარაქიანი ინდოეთის ქათმის ხორცი.

— ღმერთმა დამიფაროს მაგათის ჭამისაგან, — ბრძანა მეფემ და პირჯვარი გადაიწერა. მომვლელმა ოთახიდან გაიყვანა ინდოეთის ქათმები. ქვეყანაში სწრაფად გავრცელდა ეს ჯიში: დასავლეთ საქართველოში მას დღემდე ინდოურს ეძახიან.

ორი დღის შემდეგ მეფეს მადა დაეკარგა, აღარ ინება წვნიანი კერძი, არც პატრისაგან მომზადებული სურნელოვანი ჩაი. არც წამალი მიიღო. წყალმანკი გაძლიერდა. მეფეთა გული და დაანყებინა ქოშინი. დროდადრო ალიბუხრის წყალს მოითხოვდა და სულს ამით ითქვამდა, მოიხმო თავისი მოძღვარი ექვთიმე და სთხოვა, ლოცვანი ეკითხა — ლოცულობდა და ტიროდა.

ასე ავედრებდა ღმერთს თავის ქვეყანას საქართველოს უკანასკნელი მეფე.

გიორგი XII-ის გარდაცვალების შემდეგ ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთს შეუერთ-

დარეჯან დედოფალი

1738-1807

დიდი სიბრძნე კაცის ცხოვრებაა თვალის ოვალი

ილია

ერეკლე II-ის მესამე მეუღლე დარეჯანი, ეპიტაფიის თანახმად, დაიბადა 1738 წლის 20 ივლისს. დარეჯანი ბიძაშვილია კაცია დადიანისა, ოტიას ძისა. დარეჯანი იყო გიორგი დადიანის ასული, რომელიც იხსენიება გიორგი კაცოს ძედ და კაციას ბიძაშვილად. იხსენიებიან კიდევ ოტია დადიანი და მისი ძმა კაცო. კაცო, ძმა დადიანისა, მოკლეს 1734 წ. ამ კაცოს ძეა დარეჯანის მამა გიორგი.

საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის გარდაცვალებისა და ქართლ-კახეთის სამეფო ტახტის გაუქმების შემდეგ რუსეთში საცხოვრებლად გადასახლებულთა გრძელ სიაში დედოფალი დარეჯანიც იყო, რომელსაც სამეფო კარის სხვა წარმომადგენლებთან ერთად ბრალი ედებოდა იმპერიის სანინააღმდეგო საქმიანობაში. დედოფლები (დარეჯანი და საქართველოს უკანასკნელი დედოფალი მარიამი — ო.ნ.) დაკარგული უფლებების დაბრუნებაზე ოცნებობდნენ და ყოველ ღონეს ხმარობდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად. დარეჯანი თავიდანვე წინააღმდეგი იყო საქართველოს რუსეთის მფარველობაში შესვლისაც კი და ხშირად აყვედრიდა მეუღლეს — მეფე ერეკლეს — 1783 წლის ტრაქტატის დადებას.

დარეჯანს სხვა „ცოდვებთან" ერთად დაუმტკიცდა რუსეთის დაუძინებელ მტერთან, სპარსეთში გადახვენილ ალექსანდრე ბატონიშვილთან მიმოწერა. ალექსანდრე რუსეთის საზიანოდ მოქმედებდა და, რა თქმა უნდა, დარეჯანის მასთან კავშირი რუსეთის აქაურმა წარმომადგენლებმა იმპერიის სანინააღმდეგო საქმიანობად ჩათვალეს. გენერალმა ლაზარევმა ხელში ჩაიგდო ალექსანდრეს მიერ დედისადმი გამოგზავნილი წერილი და 1802 წლის დეკემბერში ციციანოვს მოახსენა: „დარეჯან დედოფალს კავშირი აქვს თავის შვილ ალექსანდრესთან, რომლისგანაც წერილი მიიღო, სადაც იტყობინება, რომ იგი ჯარით შემოვა თბილისში და თუ ცოცხალი დარჩება, საქართველოს სამეფოს მიიღებს, ხოლო თუ მოკლავენ, დარეჯან გიორგის ასულმა დაივიწყოს, რომ მას და მეფე ერეკლეს ჰყავდათ შვილი ალექსანდრე.

1802 წლის 20 სექტემბერს სოკოლოვი კურაკინს სწერდა: „კარგი იქნება, დედოფალი დარეჯანი ნავიდეს რუსეთში, ვინაიდან უთანაგრძნობს და არიგებს ჩვენს მტერს, ჩვენს სანინააღმდეგოდ... მალე გვავნებს კიდეც, ამასთანავე გავთავისუფლდებით მისდამი დანესებული მკაცრი მეთვალყურეობიდანაც"

ასე გადანყდა 70 წლის დედოფალ დარეჯანის რუსეთში საცხოვრებლად გასტუმრება...

სპარსეთში გადახვენილი ალექსანდრე ბატონიშვილი ახერხებდა გაეგო, რა არსებული მდგომარეობა იყო საქართველოში. იგი ძლიერ განიცდიდა ბატონიშვილთა გადასახლებას, განსაკუთრებით აღშფოთდა, როდესაც გაიგო ციციანოვის გადაწყვეტილება დედის — დარეჯან დედოფლის — გასახლების შესახებ.

სამშობლოდან გაქცეული ბატონიშვილები ყოველნაირად ცდილობდნენ, აღედგინათ სამეფო ტახტი და როგორმე შეეყოვნებინათ ბაგრატიონთა ოჯახის წევრთა რუსეთში გადასახლება...

მაგრამ ამაოდ. დარეჯან დედოფალი თავის მრავალრიცხოვანი ამალით პეტერბურგს ჩავიდა.

იმპერატორმა დიდი ზეიმით მიიღო საქართველოს ქვრივი დედოფალი და სათანადო სარჩოც დაუნიშნა, რათა ყოველმხრივ კმაყოფილი ყოფილიყო და მშვიდად ეცხოვრა იმპერიის სატახტო ქალაქში.

პეტერბურგში დედოფალი დარეჯანი ცდილობდა, იმპერატორის ნდობა დაემსახურებინა. მიუხედავად იმისა, რომ იგი თავის შვილ ალექსანდრესავით შეურიგებელი მტერი იყო საქართველოში რუსული მმართველობის დამყარებისა, მოჩვენებითი საქმიანობით ცდილობდა მისი უმაღლესობის — ხელმწიფე-იმპერატორის ნდობის მოპოვებას. 1805 წლის 29 აგვისტოს დედოფალმა დარეჯანმა წერილი მისწერა ალექსანდრე და თეიმურაზ ბატონიშვილებს, რათა მოენახინებინათ თავიანთი საქციელი და საქართველოში დაბრუნებულიყვნენ. ციციანოვმა ეს წერილი დარეჯან დედოფლის მორიგ თვალთმაქცობად მიიჩნია. მან ჩარტორიისკის წერილობით აცნობა, დედოფალ დარეჯანს უნდა, ალექსანდრე და თეიმურაზი შემოვიდნენ საქართველოში და კვლავ სამეფოს აღდგენას შეუდგნენო. საეჭვოა, რომ დედოფალს იმპერატორის რაიმე ნდობა მოეპოვებინა, მაგრამ ალექსანდრე პირველი ცდილობდა მისი ზოგიერთი თხოვნა მაინც შეესრულებინა. 1806 წელს დედოფალმა ფარნაოზისა და იულიონის (თავისი შვილები — ო.ნ.) განთავისუფლება თხოვა ხელმწიფე-იმპერატორს, უკანასკნელმა შეიწყნარა თხოვნა და ორივე ბატონიშვილი გაათავისუფლა

საინტერესოა ერთი გადმოცემა: დარეჯან დედოფალი პეტერბურგში თავისი საცხოვრებელი სახლის წინ მდგარა. მის სახლთან ჩამოუტარებიათ გალიაში დამწყვდეული ჩიტები. დარეჯან დედოფალს უბრძანებია მისი ყიდვა, ყველანი გაოცებულან, რისთვის უნდოდა დედოფალს ამდენი ფრინველი.

დარეჯანს აუღია გალია, გამოუღია ფანჯარა, ჩიტები სათითაოდ გაუშვია და უთქვამს:

— ჩვენც გვყო ტყვეობა, თქვენ მაინც იყავით თავისუფალიო, და თვალცრემლიანს გალია გადაუგდია.

მიუხედავად საუკეთესო პირობებისა, რომელიც დარეჯანს სანკტ-პეტერბურგში შეუქმნეს — მას მხოლოდ საქართველოში დაბრუნების უფლება არ ჰქონდა — დედოფალს დიდხანს არ უცოცხლია, იგი 1807 წლის 8 ნოემბერს გარდაიცვალა.

დაკრძალვას თვით იმპერატორი ალექსანდრე I ესწრებოდა.

იგი დაკრძალულია ნევის ლავრაში, იქ, სადაც იმპერიაში საყოველთაოდ აღიარებულ პირებს ასაფლავებდნენ.

მარიამ დედოფალი

1768-1850

საქართველოს უკანასკნელი დედოფალი, გიორგი XII-ის მეორე მეუღლე. გიორგი ციციშვილის ქალი. გიორგი ბატონიშვილმა მასზე 1782 წელს იქორწინა.

ქართლ-კახეთის გაუქმებული სამეფო ტახტის აღდგენის მოტრფიალეთა იმპერიის ქალაქებში საცხოვრებლად გასახლებისას ყველაზე არასასურველი და საზარელი ამბავი მოჰყვა საქართველოს უკანასკნელი მეფის — გიორგი XIII-ის ქვრივის, დედოფალ მარიამის სამშობლოდან გაყვანას.

იმპერატორის მითითებით, დედოფალი მარიამი და მისი შვილები საქართველოდან მოსკოვში ან სანკტ-პეტერბურგში საცხოვრებლად 1803 წლის ბოლომდე უნდა გადაეყვანათ. ამის შესახებ იმპერატორსა და კნორინგს შორის შეთანხმებაც არსებობდა და გადაწყვეტილებაც. ამასთანავე, მეფის რუსეთის აქაური წარმომადგენლები ყოველნაირად ავიწროებდნენ ქვრივ დედოფალს და აიძულებდნენ, თავისი ნება-სურვილით დაეტოვებინა მშობლიური მხარე.

მარიამ დედოფალმა 1802 წლის 10 მარტს რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრს გრაფ ვ. კოჩუბეის მიმართა თხოვნით, რათა იგი და მისი მცირენლოვანი შვილები არ გაესახლებინათ საქართველოდან. ხოლო თუ აუცილებელი იქნებოდა მათი გადასახლება, მაშინ ედროვებინათ სამი წელი...

მაგრამ დედოფლის გულის ამაჩუყებელმა თხოვნამ შედეგი არ გამოიღო...

1803 წლის დასაწყისში ციციანოვმა (პავლე ციციშვილი — ო.ნ.) დედოფალ მარიამს წერილით აცნობა, რომ თავისი მცირენლოვანი შვილებით სასწრაფოდ უნდა გამგზავრებულიყო რუსეთში, სადაც იმპერატორი ცხოვრების საუკეთესო პირობებს შეუქმნიდა.

მარიამ დედოფლის მტრებმა ციციანოვს აცნობეს, რომ დედოფალი ბატონიშვილესა და რუსეთის სხვა მონინააღმდეგე პირებს ახალი მმართველობის წინააღმდეგ აქეზებდა, რომ მეზობელ მხარეებში აჯანყებულებს უთანაგრძნობდა და შესაძლებლობის ფარგლებში აჯანყებაშიც მონაწილეობდა. ასეთმა დაბეზღებებმა სასტიკად აღაშფოთა ციციანოვი. იგი მარიამ დედოოფლის მტრული საქმიანობის გამორკვევას არ შედგომია, ყოველგვარი დაფიქრების გარეშე გადაწყვიტა თავისი ბიძაშვილის — მარიამ გიორგის ასულ ციციშვილის — სასწრაფოდ რუსეთში გადასახლება...

იოსებ კალატოზიშვილმა აცნობა ციციანოვს, მარიამ დედოფალი შვილებიანად ხევსურეთში აპირებს გაპარვას ავლაბრის კარითო.

ციციანოვმა ლაზარევს დაავალა, დაეჩქარებინა დედოფლის რუსეთს გადასახლება. 1803 წლის 19 აპრილის დილით დავალების შესასრულებლად დედოფალთან მისული ლაზარევი მისი სადგომიდან ცოცხალი აღარ გამოსულა. არსებობს ლაზარევის მოკვლის ორი ვერსია — ერთი ოფიციალური, მეორე — თვით მარიამისგან მოთხრობილი.

ოფიციალური ვერსიით, ლაზარევი 19 აპრილს, დილის 6 საათზე, რამდენიმე ოფიცრის თანხლებით შევიდა დედოფალთან და აუწყა მას, რომ ნაბრძანები ჰქონდა რუსეთში მისი გასახლება, რაზედაც მარიამმა უარი მოახსენა. გამგზავრებაზე მის დასაყაბულებლად ლაზარევმა მასთან დასტოვა კვარტირმეისტერი სუროკოვი, რომელმაც ქართული იცოდა. როგორც კი სუროკოვი დედოფალს მიუახლოვდა, ბატონიშვილებმა — ჯიბრაელმა და თამარმა იძრეს ტანისამოსში დამალული ხანჯლები და ეცნენ სუროკოვსა და ოთახში მყოფ სხვა პირთ. ხმაურზე ოთახში ლაზარევი შემოვიდა და დედოფალს, რომელიც ტახტზე, ლოგინზე იჯდა,

სთხოვა დედოფალს, როგორმე დაენყნარებინა თავისი შვილები. ამ დროს მარიამმა მუთაქის ქვეშიდან ხანჯალი ამოაძრო და ლაზარევს გვერდში ისე მაგრად ჩასცა, რომ მან მხოლოდ რამდენიმე ნაბიჯის გადადგმა მოასწრო და კარს წინ უსულოდ დაეცა.

ლაზარევის ნამდვილ მკვლელად თანამედროვენი ნიკოლოზ ხიმშიაშვილს ასახელებდნენ. სამეგრელოს დედოფალი ნინო (გიორგი XIII-ის ასული) სწერდა 1817 წელს ერმოლოვს, რომ ხიმშიაშვილს ნიკოლოზს სიკვდილის წინ მისთვის ეთქვა — ლაზარევი მე მოვკალიო. არქიეპისკოპოსი პაფნუტი 1818 წელს წერდა, ლაზარევი ნიკოლოზ ხიმშიაშვილმა მოკლაო. პუპლია ორბელიანის სიტყვითაც, „დედოფალმა მარიამმა როგორ დიდსულოვნად იკისრა იმისი (ლაზარევის) სიკვდილი". ხიმშიაშვილმა სიკვდილის წინ აღიარა, ლაზარევი მე მოვკალიო...

მარიამ დედოფალი შვილებიანად რუსეთს გადაასახლეს. იგი იმყოფებოდა კურსკის გუბერნიის ბელგოროდის დედათა მონასტერში, როგორც პატიმარი. დედოფალ მარიამს თავიდან იმედი ჰქონდა, რომ ბელგოროდში დიდხანს არ გააჩერებდნენ და, როგორც ბატონიშვილებს, მასაც პეტერბურგში გადაიყვანდნენ საცხოვრებლად. ცოტა ადრე თვით იმპერატორი ალექსანდრე პირველი ეხვეწებოდა ქვრივ დედოფალს პეტერბურგში საცხოვრებლად გადასვლას. სულ მალე კი, ციციანოვის ვერაგული მოქმედებით, ვითარება შეიცვალა და დედოფალ მარიამს ნატვრად ექცა პეტერბურგში გადასვლა.

1806 წელს პ. ციციანოვი ბაქოში მოკლეს. მისი სიკვდილის შემდეგ მარიამ დედოფლის მდგომარეობა დიდხანს უცვლელად დარჩა, და იგი კვლავ ბელგოროდში იმყოფებოდა. 1806 წლის 10 დეკემბერს დედოფალ მარიამის შვილებმა — მიხეილმა, ჯიბრაელმა, ილიამ და ოქროპირმა იმპერატორს მიმართეს თხოვნით, რათა ხელმწიფე-იმპერატორს გაეთვალისწინებინა მათი დედის — დედოფალ მარიამის უმწეო მდგომარეობა და დედაქალაქში საცხოვრებლად გადმოსვლის ნება დაერთო. ამასთანავე ყმანვილი ბატონიშვილები თხოულობდნენ დედის სამეფო სახლის სხვა ნევრების მსგავსად კარგად მიღებასა და მონყობას...

1811 წელს მარიამსა და მის შვილს ანასტასიას მოსკოვში გადმოსახლების ნება მისცეს. 1812 წელს მოსკოვის ხანძრის დროს მარიამი ნიჟნი ნოვგოროდშია. შემდეგ კვლავ მოსკოვში...

1848 წ. მარიამი ითხოვს საქართველოში დაბრუნების ნებას, რათა აქ გაატაროს სიცოცხლის უკანასკნელი დღეები და დაიმარხოს მეუღლის გვერდით. 1849 წლის აგვისტოში იმპერატორნა დედოფალს საქართველოში დაბრუნების ნება მისცა, მაგრამ მარიამი ვეღარ ეღირსა სამშობლოში დაბრუნებას...

1850 წლის 30 მარტს მრავალტანჯული, სამშობლოს მიწას მონატრებული დედოფალი მარიამი გარდაიცვალა. მის გარდაცვალებას მოსკოვისა და პეტერბურგის თითქმის ყველა გაზეთი გამოეხმაურა. იმპერატორის მითითებით, მოსკოვის გენერალ-გუბერნატორმა სათანადო ზომები მიიღო პანაშვიდებისა და სამგლოვიარო პროცესიის შესაფერის დონეზე მოსანყობად. სამეფო სახლის წარმომადგენელთა დაკრძალვა წინასწარ შემუშავებული და შემდეგ იმპერატორის მიერ დამტკიცებული დაკრძალვის ცერემონიის მიხედვით ხდებოდა. ასე იყო 1841 წელსაც, როცა იმერეთის ყოფილი დედოფალი მარიამ კაციას ასული დაკრძალეს.

მალე შეიმუშავეს ინსტრუქცია დედოფლის სამგლოვიარო ცერემონიისა და საქართველოში ნამოსვენებისათვის, რომელიც ხელმწიფე იმპერატორმა დაამტკიცა.

დადგენილი მითითების თანახმად, სამგლოვიარო პროცესიის ბოლოში ჟანდარმთა რაზმი უნდა მდგარიყო.

მცხეთის ტაძარში მისვლისას ჭიშკართან კუბოს უნდა შეხვედროდა სრულ საეკლესიო სამოსელში გამონყობილი საქართველოს ეგზარქოსი სამღვდელოებით, ქართველ თავად-აზნაურებთან ერთად და ეკლესიაში პანაშვიდი უნდა გადაეხადა.

მარიამის ჩამოსვენების ამბავი მთელ საქართველოს მოედო. ყველა გულისტკივილით მოელოდა დედოფლის ცხედართან შეხვედრას. მოსკოვიდან შემოსული სამგლოვიარო ეტლი დიდი ამალით საქართველოს უახლოვდებოდა.

როდესაც სამგლოვიარო ეტლი მცხეთის ტაძარს მიუახლოვდა, მას გალავანთან შეეგება საქართველოს უსამღვდელოესი ეგზარქოსი სრულ საეკლესიო სამოსელში გამონყობილ სამღვდელოებასთან ერთად, რომლებმაც ცხედარი ეკლესიის კარამდე მიაცილეს.

მეორე დღეს — 18 ივნისს წირვის, პანაშვიდისა და ანდერძის აგების შემდეგ განსვენებულის კუბო ქვემეხების ქუხილსა და ქვეითთა თოფების ბათქის ქვეშ ჩაუშვეს მეფე გიორგის საფლავის გვერდით გაჭრილ სამარეში.

ანტონ II

ერისკაცობაში თეიმურაზ ბაგრატიონი

1764-1827

ანტონ II – თეიმურაზ ბაგრატიონი დაიბადა 1764 წლის 8 იანვარს თელავში. აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, ერეკლე II-ის ძე.

ნიჟინისთან და ლისკოვოსთან არის დაკავშირებული ქართველთა სამეფო გვარეულობის კიდევ ერთი სახელი, რომელმაც აქ დაამთავრა თავისი დღეები.

უკვე გეორგიევსკის ტრაქტატზე ხელმოწერის შემდეგ ჭავჭავაძის ელჩობის შემადგენლობამი იმყოფებოდნენ ერეკლე მეორის ძენი: მირიან და ანტონ ბატონიშვილები. მირიანი რუსთა სამსახურში შევიდა, ანტონი კი უკვე სასულიერო პირი იყო – იგი 1784 წელს ცარსკოე სელოს კარის ეკლესიაში დედოფლისა და სასახლის მთელი დიდებულების თანდასწრებით ხელდასხმულ იქნა არქიელად ნინონმინდელის საეელნოდებით. ეკატერინემ აჩუქა მას მსხვილ-მსხვილი ბრილიანტებით მოოყვილი ძვირფასი პანაღია.

ერეკლემ მას ალავერდელია მიტროპოლიტობა უბოძა, ხოლო 1789 წელს, რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ, 26 წლის ანტონი კათალიკოსი გახდა.

1801 წლის 10 მარტს, ე.ი. სიკვდილის წინა დღეს, იმპერატორმა პავლემ მიიღო ცნობა, მთელმა საქართველომ რუსეთთან ქვეშევრდომობის ფიცი დასდო და კათალიკოს ანტონ მეორეს უბოძა სერაფიმებით მოხატული, ბრილიანტისჯვრიანი თეთრი ბარტყულა.

იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა მეფედ კურთხევის დღეს იგი ალექსანდრე ნეველის ორდენით დააჯილდოვა.

ოც წელინადზე მეტ ხანს მართავდა ანტონი ქართულ ეკლესიას. 1810 წელს იგი გაიწვიეს რუსეთში, სადაც ალექსანდრემ სინოდის წევრად დანიშნა.

ცხოვრების სიძვირემ და პეტერბურგის კლიმატმა ანტონი აიძულა გადასულიყო ამ ქალაქიდან. მან აირჩია ნიჟნი ნოვგოროდის გუბერნია. ალბათ, იმიტომ, რომ აქ ცხოვრობდნენ მისი ნათესავები – გიორგი ალექსანდრეს ძე, რომელიც ბიძაშვილად ერგებოდა, ლევან ბაქარის ძის ქვრივი თავისი ოჯახითა და ნათესავი დედის მხრიდან ნ.ა. დადიანი. ყველა პოროკოვოს საყდრის მრევლს ეკუთვნოდა.

ანტონს თან ჩამოჰყვნენ ბერები, აგრეთვე, კარისკაცები ოჯახებით, ყველანი ქართველები. მასთან იყო მისი ბიძაშვილიც, თავადი ე.დ. ციციანოვი, მისი საქმეთამმართველი. თან ახლდნენ ქართველი ფარეშები და მოსამსახურენი.

ანტონი თითქმის ოთხ წელინადს ცხოვრობდა გიორგი ალექსანდრეს ძესთან ლისკოვოში, ხოლო 1824 წელს გადავიდა ნიჟნიში, პოროკოვოს საყდრის პირდაპირ მდებარე სახლში.

ამ ეკლესიაში ქართველებს გამოუყვეს ხარლამპის ეკვდერი კვირაობითა და უქმე დღეებში „მათ ენაზე" მღვდელმსახურების შესასრულებლად.

ანტონ მეორემ ეკლესიას აჩუქა წმინდა სამების ძველი სასნაულმოქმედი ხატი, რაც დღევანდლამდე იქ ინახება.

ზოგჯერ ანტონი ასრულებდა მღვდელმსახურებას საკათედრო ტაძარში – ჯვართამაღლების მონასტერში; იგი ქართულ ენაზე ტარდებოდა იმ დროს, როცა დანარჩენი მღვდლები და მგალობლები რუსულ ენაზე წირავდნენ და გალობდნენ.

მან ნიჟნი ნოვგოროდში წესი აუგო კარეტაში უეცრად გარდაცვლილ მღვდელმთავარს, მოსეს. ამ ცერემონიალში მონაწილეობდა ბერძენთა მიტროპოლიტი აღაფანგალი, რომელიც ნეჟინის ნაცვლად „შემთხვევით" ნიჟნიში აღმოჩნდა.

ალექსანდრე პირველის გარდაცვალების შემდეგ ანტონმა ორჯერ (ჯერ კონსტანტინესა და მერე ნიკოლოზისათვის) დააფიცა ნიჟეგოროდელები ტახტის ერთგულებაზე.

უყვარდა შინაარსიანი, დარბაისლური საუბარი, უვლიდა და უფრთხილდებოდა მისთვის ძვირფას წიგნთა კოლექციას, რაც ანტონ პირველისაგან დარჩა.

როდესაც სადმე მიდიოდა, მოოქროვილი კარეტით მგზავრობდა. კარეტა, რომელიც ნინათ დედოფალ ელისაბედს ეკუთვნოდა, მას ალექსანდრე პირველმა აჩუქა.

კარეტა ფრანგული იყო და შიგ ექვსი საუცხოოდ მორთულ-მოკაზმული ცხენი ება. კათალიკოსს გზადაგზა უამრავი ხალხი ხვდებოდა.

ერთობ გულუხვად ეხმარებოდა ღარიბ-ღატაკთ და, აგრეთვე, ნიჟნი ნოვგოროდში მცხოვრებ ქართველებს.

ანტონი გარდაიცვალა 1828 წელს, „შორს იმ ადგილიდან, რაიც იყო მისთვის უძვირფასესი და სანუკვარი"

სიკვდილის წინ, რადგან სიმდიდრე არ გააჩნდა, ითხოვა, ჩემ მსახურებს პენსია დაუნიშნეთო. თხოვნა შეუსრულეს.

ნიკოლოზ პირველმა სახელმწიფო ხარჯით დააკრძალვინა, გაუსნორა ვალები და დიდი თანხა გაიღო მისი ძეგლის ასაგებად.

მისი დაკრძალვისათვის დიდად გაისარჯა გიორგი ალექსანდრეს ძე. ჯერ საკათედრო ტაძარში დაასაფლავეს, მაგრამ 14 წლის შემდეგ „თავად გრუზინსკის საკუთარი ხელით" გადატანილ იქნა ფერისცვალების ახალ ტაძარში, სადაც დაკრძალეს დიმიტრის ეკვდერის საკურთხეველში — მარჯვენა მხარეს. ეს ტაძარი 1350 წლიდან არსებობს და აქ არიან დაკრძალული დიდი მთავრები და მინინი. შვიდი მიტროპოლიტისა და მთავარეპისკოპოსთა რიცხვშია პიტირიმი. მათ გვერდით განისვენებს ანტონ მეორე.

ანტონის ძეგლი შექმნა ცნობილმა არქიტექტორმა ეფიმოვმა. ძეგლი აღმართულია ტაძრის სამხრეთ კედელთან — თეთრი მარმარილოსაგან გამოკვეთილი საქართველოს კაშკაშა ბრინჯაოს ღერბით.

ლევან ბატონიშვილი

ბაგრატიონი

1756-1781

ლევან ბატონიშვილის ფოტო ქეკუნდეგა
პირველად ხელოვნებათმცოდნეობის
მუზეუმის ნებართვით

„ხმალი ხელის ბაგრატიონისა.
ხელისა ერეკლეისაა.
ხელი ეძღვნობისა —
ლეკის უფროს მეფისაა.
ხალეკი ძმისაძეკია.
ზედს ვთო ხელი ცერისაა.
ნიდგი ხარუნეთიდა.
ხეტრიუეკლია ხეკორსა.
ეძაკოდა ყარეი.
ხერსეკი ითს ეფრასა.
ლეკს ქალაქი ხმსხდა.
ეფ ძალი ცისა.
ლეკთ უფროსები ძმისდა.
ანეფეკ ითთ ეფს ჴირსა
ბეკ ოუ ჴირი ხეფეკ ქრ
ხეფს ეფრს ბაგრატისაა“

ლევან ბატონიშვილი (ბაგრატიონი), ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკური მოღვაწე, ერეკლე II-ის ძე დაიბადა 1756 წლის 2 თებერვალს თელავში. აღიზარდა სამეფო კარზე, სადაც მის ირგვლივ შემოკრებილი იყვნენ რჩეული ახალგაზრდები, მათ შორის პოეტი ბესიკი. ამ ახალგაზრდათაგან შემდეგში შედგა ლევან ბატონიშვილის რაზმი (2000 კაცამდე), რომელმაც მრავალ ბრძოლაში ისახელა თავი. ლევან ბატონიშვილის მეგობართა შორის იყო, აგრეთვე, დავით რექტორი.

ლევან ბატონიშვილი ჭაბუკობიდანვე ჩაება სახელმწიფო საქმეებში. 1770 წელს მან თავის უფროს ძმასთან — გიორგისთან ერთად მეფის წინააღმდეგ ამბოხებული ქსნის ერისთავის გიორგის დასამორჩილებლად გაილაშქრა. შემდეგში ამას მოჰყვა ქსნის საერისთაოს გაუქმება. ლევან ბატონიშვილი ანტონ I-თან ერთად გაიგზავნა რუსეთში მფარველობაში მიღების სათხოვნელად. ელჩობა უშედეგოდ დამთავრდა, ვინაიდან რუსეთი მოერიდა ირანთან ურთიერთობის გამწვავებას.

ამავე წლებში ლევან ბატონიშვილმა ცოლად შეირთო ქაიხოსრო ანდრონიკაშვილის ასული. ლევან ბატონიშვილის ნიჭი და უნარი მთელი ძალით გამომჟღავნდა მორიგე ჯარის ხელმძღვანელობისას (1774 წლიდან). მისი თაოსნობით აილაგმა დაღესტნელ ფეოდალთა თარეში. ლევან ბატონიშვილმა დაამარცხა ისინი სოფ. ჭალასთან, მისაქციელთან, ავჭალასთან და სხვა ადგილებში. ერეკლე II-მ მორიგე ჯარის მეთხებით დათრგუნა ფეოდალური ოპოზიციაც. ამიტომ რეაქციონერი თავადები დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ ამ ღონისძიებას. ფიქრობენ, რომ ამ წინააღმდეგობის მსხვერპლი შეიქმნა ლევან ბატონიშვილიც, რომელიც 1781 წელს ვეუინში ყოფნისას ფრიად გაურკვეველ ვითარება-

ში გარდაიცვალა. მის სიკვდილს დიდი მწუხარებით გამოეხმაურნენ ბესიკი (ოდა „სამძიმარი"), დავით რექტორი („ლეონისათვის თქმული ათნი სიტყვანი იამბიკოდ"), აზერბაიჯანელი პოეტები ვაგიფი და ვიდადი. მასვე ეძღვნება მრავალი ხალხური ლექსი. ლევან ბატონიშვილს მიენერება რამდენიმე სამიჯნურო და ეპისტოლური ლექსი.

ერეკლეს მრავალრიცხოვან შვილთაგან უმამაცესი და უნიჭიერესი, გულით, სულით, მკლავით და გონებით მამის ჭეშმარიტი ორეული.

მისი ტრაგიკული სიკვდილი რომ არა, ვინ იცის როგორ წარიმართებოდა საქართველოს ბედი. იქნებ დაეღწია საბჭოთა მარწუხებისათვის თავი ოდიდგან ნლიერსა და გაბედულს, და... კიდევ ერთხელ მოუკვდა საქართველოს გადამრჩენელი!

მღეროდა მადლიერი ხალხი გმირი უფლისნულის სახოტბო სიმღერას:

ბანკიფერდი. ცოო. ფერხუნდი ქეფსანო.
დიცი მთაო. ეჰ სუდაოდ მწაო.
ვაცრეძლო მწარედ. ეჰე. ძმეფნიერო ჭყმაო.
და სად მიფეფარე. ჰოი მიუფეთა თაო.
ირეულის ბეილო. ფრიდდ ნაზარდო ჩვილო.
და ანტონის ზრდილო და სუფთარ ნაფილო,
ლეფოს ეფეიდი. ეფეიმ ძინ ადზრდილო.
სიბრძნითი ბანფერდილო. მანფლით უწყალოდ მკლილო.

დავით რექტორი



იულონ ბატონიშვილი

1760-1816

ერეკლე II-ისა და დარეჯან დედოფლის მეორე ვაჟი იულონ ბატონიშვილი დაიბადა 1760 წელს. 1778 წელს ცოლად შერთეს რევაზ ამილახვრის ასული სალომე (სალომე იყო და ოთარ ამილახვრისა).

იულონსა და სალომეს ჰყავდათ 4 შვილი: ლევანი, ლუარსაბი, თამარი, დიმიტრი.

ერეკლე II-ის ანდერძის თანახმად, მეფობა უნდა გადასულიყო ძმიდან ძმაზე. გიორგი XIII-ის მემკვიდრე უნდა ყოფილიყო მისი ძმა იულონი (რაკი იულონის უფროსი ძმა ლევანი უკვე გარდაცვლილი იყო). იულონი არ დაემორჩილა 1801 წლის მანიფესტს და დარეჯან დედოფლის ხელშეწყობით ცდილობდა მეფობის მოპოვებას. საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა მის ერთგულებაზე დაიფიცა. იულონი ჯერ დუშეთს, შემდეგ კახეთს გაიხიზნა, და დასახმარებლად ომარხანს იწვევდა. 1801 წლის თებერვალში ფარნაოზ ბატონიმვილთან ერთად იმერეთს, სოლომონ II-სთან გადავიდა. 1802 წ. აგვისტოში უშედეგოდ ცდილობს, ჯარით შევიდეს ქართლ-კახეთში. 1804 წ. მთიულეთის აჯანყებისას იმერეთიდან ქართლში გადმოდის და მთიულეთისაკენ გაჭრას ლამობს. ბოლოს იგი კვლავ იმერეთს ბრუნდება. ეწერაში მას თავს ესხმის რუსთა ჯარი, რომელმაც ტყვედ იგდო და თბილისს ჩამოიყვანა.

1805 წ. გადაასახლეს რუსეთს. თავდაპირველად იმყოფებოდა ტულას, როგორც პატიმარი. 1806 წელს გაათავისუფლეს. დასახლდა პეტერბურგში, სადაც გარდაიცვალა 1816 წელს. დასაფლავებულია ალექსანდრე ნეველის ლავრის იოანე ოქროპირის ეკლესიაში.

ალექსანდრე ბატონიშვილი

1770-1844

ახლოებით ორასი წლის წინათ (1782 წელს) ტფილისის ქუჩებში დასეირნობდა ორიგინალურ მუნდირში გამოწყობილი ვინმე რეინეგსი და მას ადიუტანტის სახით მუდამ თან ახლდა ისეთივე მუნდირში ჩაცმული, ქართველი მეფის ერეკლე II-ის 12 წლის ვაჟი – ბატონიშვილი ალექსანდრე. ეს იყო იმ დროს, როცა იმპერატრიცა ეკატერინასა და თავად პოტიომკინს განზრახული ჰქონდათ, გაეთავისუფლებინათ ქრისტიანი ხალხები თურქეთისა და სპარსეთის უღლისაგან, როცა ყარაბაღის მელიქებსა და ერევნის სომხებს მუსლიმური უღლის გადაგდებას სთავაზობდნენ. ვინმე გერმანელი დოქტორი რეინეგსი, რომელიც ბევრს მოგზაურობდა აღმოსავლეთში, თვით პოტიომკინმა აირჩია უფლებამოსილად კავკასიის ქრისტიანთა იმედების აღფრთოვანებიაათვის. დოქტორი რეინეგსი, დიდი გატაცების მქონე კაცი, თბილისის ქუჩებში სეირნობიას ხალხს მოუნოდებდა, შეექმნათ საჯარისო რაზმები, შეკრებილიყვნენ არარატის ველზე, დამხოთ სპარსეთის შახების ტახტი, ანატოლიაც აეღოთ, დაეარსებინათ კავკასიაში ერთი ძლიერი ქრისტიანული სახელმწიფო და სხვა ამგვარ მოწოდებას და იმედებსაც მრავლად ჰპირდებოდა.

დოქტორ რეინეგსს უკვე მომავალი მხედრობის მეთაურად წარმოედგინა თავი და თავისთვის რაღაცა ორიგინალური მუნდირი გამოეგონა, რომელიც, როგორც უკვე ვთქვით, მასაც ეცვა და მის პატარა ადიუტანტსაც. აი, ამ ადამიანის ხელში და ამგვარ ოცნებაში იზრდებოდა პატარა ბატონიშვილი ალექსანდრე.

უნდა ვალიაროთ, რომ მთელ ქართულ სამეფო სახლში ყველაზე გაბედული, ნიჭიერი, ბრძოლისუნარიანი და ამაღლებული მისწრაფებების მქონე იყო დარიას (დარეჯან ლედოფალი, მეფე ერეკლე მესამეს მეუღლე – ო.ნ.) მეხუთე ვაჟი ალექსანდრე, 1770 წელს დაბადებული. იცოდა რა თავისი შვილის ალექსანდრეს ნიჭი, ერეკლემ 1794 წელს იგი ჯარის ნაწილებთან ერთად გაგზავნა იმერეთის მეფე სოლომონთან დახმარებისათვის. იმერეთიდან ნარმატებით დაბრუნების უმალ ჯარებით გაგზავნეს შუშისა და ერევნის ხანების დასახმარებლად აღა-მაჰმად-ხანის წინააღმდეგ ბრძოლაში. მან ყარაბაღის ხანებთან შაპის 8-ათასიანი ჯარი დაამარცხა. მაგრამ გამძვინვარებული აღა-მაჰმად-ხანი 1795 წლის 11 სექტემბერს საქართველოში შეიჭრა. თბილისის დანგრევის დღეს სპარსელთა წინააღმდეგ მებრძოლ ბატონიშვილებს შორის ვერ ვხედავთ ალექსანდრეს. ალბათ იმყოფებოდა იგი მაშინ, ჩვენთვის უცნობია, მაგრამ იმავე წელს სპარსელების უკანდახევის შემდეგ ქართული მხედრობის სათავეში მდგომი ალექსანდრე განჯას (ელიზავეტპოლს) არტყამს ალყას. ცოტა ხნის შემდეგ, 1797 წელს თელავში მყოფი ერეკლე ავად ხდება, თბილისში კი შავი ჭირი მძვინვარებს. ამ დროს ალექსანდრე უკვე უკმაყოფილოა თავისი მშობლების და განსაკუთრებით კი ტახტის მემკვიდრე გიორგისა. იგი ცდილობს, რათა ბორჩალოელი და ყახაზელი თათრების დახმარებით თბილისში შეღწევიდეს და თავი დამოუკიდებელ ხელმწიფედ გამოაცხადოს, მაგრამ მიზნის განხორციელებაში ხელს შავი ჭირი უშლის. 1798 წლის 11 იანვარს გარდაიცვალა ერეკლე მეორე. არც მის სიკვდილს და არც დასაფლავებას ტახტის მემკვიდრე გიორგი და ალექსანდრე არ ესწრებოდნენ. პირველი მათგანი საკუთარი თავის მეფედ გამოცხადებით იყო გართული, მეორეს კი გამოჩენის ეშინოდა, რათა ხელში არ ჩავარდნოდა გიორგის ,

რომლისგანაც მხოლოდ სიკვდილს ელოდა. მიუხედავად ამისა, როცა ერეკლეს ნეშტი დასასაფლავებლად მცხეთაში ჩაიტანეს, ალექსანდრე ღამით ფარულად შევიდა ტაძარში, უკანასკნელად ეამბორა მამის უსულო სხეულს და დუშეთის მიღმა მთებში გაიხიზნა.

სამეფო ტახტზე ასვლის დღიდანვე გიორგი მტრულად ეპყრობოდა თავის დედინაცვალს, დედოფალ დარიასა და მის შვილებს; თანდათანობით დაუწყო მათ მამულების წართმევა, რომელთაც შემდეგ საკუთარ შვილებს ურიგებდა. ამ დროიდან ალექსანდრე სამშობლოდან გადაიხვენა. სწრაფად ჩავიდა ახალციხეში, იქიდან იმერეთში, კვლავ ახალციხეში, ყარსში და ბოლოს განჯაში. გიორგის მხედრობა მას უკან დაედევნა, მაგრამ ამაოდ.

თუმცა 1800 წელს ტფილისში რუსთა ჯარის 2 პოლკი იდგა გიორგის ტახტის დასაცავად, ალექსანდრე ლეკებთან ერთად, ომარ-ხანის თანადგომით, თბილისზე თავდასხმისათვის ემზადებოდა.

ბატონიშვილი გიორგი მეფესთან შესაბმელად მოდიოდა 60 ათასი კაცით. გიორგი მეფეს კი ჰყავდა სულ 1 000 ქართველი და რუსეთის ჯარისაც 1 200 კაცი, მაშასადამე, სულ 2 200 მეომარი. ეს ორი ათასი კაცი უნდა შეჰბმოდა 60 ათას კაცს. დანიშნულ დროს მეომრები გამოჩნდნენ თავის ალაგს, ალექსანდრე ბატონიშვილმა თვალი გადაავლო ქართველთა და რუსის მხედრობას, მას გაახსენდა მამის, მეფე ერეკლეს შეგონება, **რომ რაც შეიძლება ყოველთვის და ყოველგან მოვალეა ყოველი ქართველი, რომ იგი ეცადოს და მით რაც შეიძლება ცოტა ქართველი მოკვდესო,** გაახსენდა ერეკლე მეფის ბევრი სხვა დარიგება, და, ცოტა არ იყოს, შერცხვა თავისი თავისა და სთქვა გულში, ჩემგან ეს იქნება დიდი ცოდვა და ჩემი მამის, ერეკლე მეფის დავალების გმობა, რომ ჩემის ძმის, ბეცის გიორგის მტრობით და ჯიბრით ათასი ქართველი კაცი მოკვდესო.

მე ამას ვერ ვიზამ, თვით გიორგი უნდა იყოს აქ, რომ მას ვეცე საქართველოს ღალატისთვის და ყელი გამოვლადროო, გიორგი არათ ღირს, ჩემი გმობა და შერცხვენა იქნება, რომ მისის ბოროტების გულისთვის ათასი კაცი ქართველი გავიმეტო და გავაფუჭოო.

ეს გმირი კაცი დიდი მამულიშვილური გრძნობით აღივსო. ამით იგი დიდად და მწარედ დაღონდა. მან გადაწყვიტა: არა, მე საქართველოს ათას ქართველ კაცს არ მოვუკლავ. მე ისევ უკან დავბრუნდები და მცირე რამ შეტაკების გარდა, ომს არ განვაგრძობ... საღამო ჟამს ალექსანდრე ბატონიშვილმა თავისი ჯარი უკან დასწია, ომი შეჩერდა. მეორე დღეს მისი ჯარი უკვე თავის გზას გაუდგა...

გიორგი ხედავდა იმ ბოროტებას, რაც ქვეყნის მაცხოვრებლებს თავს ატყდებოდა მეფის სახლობაში ყოველდღიურად მზარდი შუღლის გამო და ამიტომ სიკვდილის წინ თავისი სამეფო რუს იმპერატორთა მფარველობას მიანდო. 1800 წლის 25 დეკემბერს გარდაიცვალა საქართველოს უკანასკნელი მეფე გიორგი XII და მის მემკვიდრედ, წინასწარი განკარგულების მიხედვით, არავინ გამოუცხადებიათ. ქართველი ბატონიშვილები რუსეთში გადავიდნენ. ალექსანდრესაც პატიებას და საპატიო მიღებას შეჰპირდნენ, მაგრამ, ფუჭი იმედებით შეპყრობილი, იგი სპარსეთში გაემართა, რათა შაჰის დახმარებით დაუფლებოდა მამისეულ ტახტს. ამ დროიდან დაინყო ხანმოკლე მეგობრული ურთიერთობანი შაჰის მემკვიდრე აბას-მირზასა და ალექსანდრეს შორის. ამ უკანასკნელმა მცირე დროში მოასწრო, რუსების წინააღმდეგ განეწყო დაღესტნელები, განჯისა და ერევნის ხანები, დაბოლოს, სპარსეთის შაჰი. რამდენიმე წელს გრძელდებოდა სპარსეთთან ომი, რომელშიც თვით ალექსანდრე ღებულობდა ცხოველ მონაწილეობას. ომის უბედურება უფრო მეტად თავს დაატყდათ სომხებს. მათმა ნაწილმა, გადაიტანა რა დიდი გაჭირვება, ძლივს მოასწრო, გამოქცეოდა ქართველი ბატონიშვილის მძარცველურ ჯარებს, ტფილისში ჩამოსულიყო და ავლაბარში დაედო ბინა.

ეჩმიაძინის სამღვდელოებამ გადაწყვიტა, ბოლო მოეღო ამ ბოროტებისათვის და 1804 წელს, როცა რუსთა ჯარები თავად ციციანოვის მეთაურობით ერევნის ახლოს იმყოფებოდნენ, შეეცადა, ალექსანდრე რუსებთან შეერიგებინა, მაგრამ ციციანოვმა ზვიადად უარყო ეს წინადადება.

ამიერიდან ქართველი ბატონიშვილი იძულებული იყო, გაეგრძელებინა თავისი მტრული მოქმედებანი. 1805 წელს მისი მეთაურობით სპარსეთის ჯარი ყარაბაღში შევიდა.

1806 წელს მისი ჩაგონებით ოსები აჯანყდნენ. 1807 წელს იგი მონაწილეობდა თურქეთთან ომში რუსების წინააღმდეგ და 1808 წელს სპარსეთთან ომში; 1809 წელს მან სპარსეთის ჯარი თბილისს მიაყენა და შიშის ზარი დასცა ქალაქის მცხოვრებთ. 1811 წელს ახალქალაქის მახლობლად ალექსანდრემ სისხლისმღვრელი ბრძოლა გადაიხადა რუსეთთან, მაგრამ დამარცხება განიცადა. არც ამ წარუმატებლობის შემდეგ დაცემულა სულით და 1811-1812 წლებში ნამოიწყო კახეთის დიდი აჯანყება, რომელიც ძვირად დაუჯდა როგორც მთავრობას, ისე ხალხს. როცა 1813 წელს სპარსეთის შაჰი იძულებული გახდა ზავი დაედო რუსეთის მთავრობასთან, ალექსანდრე დაღესტანში გადავიდა, საიდანაც კვლავ ითხოვა საიმპერატორო შეწყნარება, მაგრამ მალე უარი თქვა საკუთარ გადაწყვეტილებაზე და ყველა დაღესტნელი ლეკი აამხედრა. ახალი ნარუმატებლობების შემდეგ, ალექსანდრე სპარსეთში დაბრუნდა, სადაც მას შაჰმა უბოძა დარალაგეზი, შარურის ნაწილი და დაავალა, ყარაბაღ-რუსეთის საზღვარზე აეგო ციხე-სიმაგრე და რუსეთის ქვეშევრდომობაში მყოფი სომხები მოეწვია მის მამულებში დასასახლებლად.

ეროონოლოგიური თანმიმდევრობის დასაცავად, საჭიროა, ითქვას, რომ ამჯერად სპარსეთის მთავრობა დიდ მონდომებას იჩენდა, ალექსანდრესთვის ცოლი შეერთო, აღდგეს ნეტკვიდრე, ძე ჰყოლოდა. ამბობენ, რომ, ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეში, 1792 წელს, 22 წლის ალექსანდრემ, მოისურვა, ცოლად შეერთო ყაბარდოელი თავადის მისოსტოვის ქალიშვილი, მაგრამ თბილისში ჩამოსული საპატარძლო ქორწილამდე გარდაიცვალა და ახალგაზრდა ბატონიშვილმა აღთქმა დადო, რომ ამიერიდან აღარ დაქორწინდებოდა. ცნობილია, რომ 1819 წელს სპარსეთის ტახტის მემკვიდრე აბას-მირზა აიძულებდა მას, ცოლად შეერთო თურქეთის ქვეშევრდომი აისორების პატრიარქის ძმისშვილი, მაგრამ ეს ნიშნობა არ შედგა. იმავე წელს ალექსანდრე წერილობით მიმართავს ქართველ თავადს, ლევან აბაშიძეს და ძმისშვილის ხელს თხოვს. თავადმა აბაშიძემ წერილი უჩვენა გენერალ ერმოლოვს, რომელმაც ბრძანა, ალექსანდრესათვის უარი ეთქვათ. ამის შემდეგ, 1820 წლის მაისში, ეჩმიაძინია ტაძარში ჩატარდა 50 წლის ალექსანდრესი და 14 წლის მარიამის, ერევნის მელიქის საჰაკ აგამალოვის ქალიშვილის ჯვრისწერის ცერემონია.

ფვირფასი, მდიდრული ქორწილის ხარჯებს გულუხვად იხდის აბას-მირზა.

დაქორწინების მიუხედავად, ალექსანდრე თავს არ ანებებს მოუსვენარ ცხოვრებას. 1812 წელს აჯანყებულმა იმერლებმა იგი მეფედ მიიწვიეს, მაგრამ მთავრობა მალე ახშობს ამ აჯანყებას. ამის შემდეგ რამდენიმე წელი ალექსანდრესი აღარაფერი ისმის, მაგრამ უცვლ, 1826 წლის ზაფხულში, სპარსეთის მხედრობის ნაწილი ალექსანდრესთან ერთად ერევნის გამოუცხადებლად ძარცვა-გლეჯით თითქმის თბილისამდე აღწევს, რითაც იწყება 1826-1827 წლების რუსეთ-სპარსეთის ომი. ცნობილია, რომ 1827 წლის 1 ოქტომბერს რუსებმა აიღეს ერევანი, იმავე თვის 19 რიცხვში კი თავრიზში შევიდნენ. ალექსანდრე ითულებული იყო, გადაელახა თურქეთის საზღვარი, მაგრამ საზღვარზე მარტო გადავიდა თუ ოჯახთან ერთად, უცნობია. მომდევნო ცნობიდან მხოლოდ იმას ვიგებთ, რომ 1828 წელს მას მეეძინა ვაჟი (ერეკლე), რომ ახალშობილის დედა იმ დროს საიდანღაც ბრუნდება ბანია ხაბლში, ერევანში. 1812 წლის 8 იანვარს გენერალი კრასოვსკი ერევნიდან წერს გენერალ პიპიაგინს: „ალექსანდრე ბატონიშვილი ახლა იმყოფება X რუსაში... მუშის ოლეში, ქალაქების – ერზერუმსა და მუშს შორის, მისი მეუღლე (მარია) კი ახალშობილთან (ერეკლესთან) ერთად დაბრუნდა ერევანში თავის მამასთან მელიქ საჰაკთან, ადგილობრივ სომეხთა შორის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან კაცთან, რომელმაც ძალიან დიდი სამსახური გაგვინია და ჩვენს მთავარ მომხრედ ითვლება“ და სხვ.

ბოლოს ალექსანდრე კვლავ გადადის სპარსეთში, სადაც სიკვდილამდე რჩება. ასე, რომ ფელარასოდეს ნახავს თავის ოჯახს. ბატონიშვილი ალექსანდრე რამდენჯერმე იწვევს თავიანთან... მეუღლეს ბავშვთან ერთად სანახავად, მაგრამ ამის გაკეთება შეუძლებელი იყო. ალექსანდრე სპარსეთში „მირზას“, „ხანის“, „გურჯისტანის ვალის“ ტიტულებს ატარებდა და სიკვდილამდე სხვადასხვა თანამდებობები ეკავა, მაგრამ ბოლოს, როგორც მოწმეები გადმოგვცემენ, მაინც უკიდურეს სიღარიბეში დალია სული. იგი გარდაიცვალა 1844 წელს და დაკრძალულია თეირანში, სომეხთა ეკლესიის კარიბჭესთან, მარჯვნივ.

უბრალო საფლავის ქვა ახლაც მიგვანიშნებს იმ ადგილს, სადაც მისი ნეშტი განისვენებს...

ახალგაზრდა დედა, საკუთარი სურვილის წინააღმდეგ ბატონიშვილ მეუღლესთან განშორებული, მამის – მელიქ საჰაკის სახლში დარჩა და მთელი თავისი სიყვარული გადაიტანა ერთადერთ ნუგეშსა და იმედზე – ჯერ კიდევ ყრმა ერეკლეზე... რამდენი ნელინადი გრძელდებოდა ახალგაზრდა თავადის შინა აღზრდა, ჩვენთვის დანამდვილებით უცნობია. მხოლოდ ის ვიცით, რომ იგი გაიგზავნა პეტერბურგში, სადაც მოათავსეს კადეტთა ერთ-ერთ კორპუსში. შემდეგ სამხედრო სამსახურში შევიდა, პოდპოლკოვნიკის ჩინს მიაღწია და ავადმყოფობის გამო გადადგა. რამდენიმე ნელი თავადმა ერეკლემ საზღვარგარეთ დაჰყო და იქიდან დაქორწინებული დაბრუნდა ტფილისში, სადაც გაატარა მთელი დარჩენილი ცხოვრება, ეკავა რა სხვადასხვა სამოქალაქო თანამდებობა. თუმცა რკინისებური აღნაგობისა და შესანიშნავი გიგანტური ძალის პატრონი იყო, ხანგრძლივმა ავადმყოფობამ 1882 ნლის 27 აპრილს ნერიტილი დაუსვა მის მიწიერ ცხოვრებას. ერეკლე უძეოდ გადაეგო და თავისი ქვრივის კმაყოფაზე დატოვა ორი ქალიშვილი. 70 ნლის დედოფალმა მარიამმა აკანკალებული ხელებით დაუხუჭა თვალები საყვარელ ძეს და ცრემლით დანამა მისი გვამი. მეფის უკანასკნელი შთამომავლის კუბოზე გამოიტირა ის ავბედობა, რომელიც ქვეყანას საქართველოს სამეფო სახლის ოჯახურმა უთანხმოებებმა მიაყენა.



დავით ბატონიშვილი

1767-1819

Დავით ბატონიშვილი, გიორგი XII-ის ძე (1767-1819). გიორგი XII-ისა და მისი პირველი მეუღლის ქეთევან ანდრონიკაშვილის უფროსი შვილი. გენერალ-ლეიტენანტი და სენატორი, საქართველოს მმართებელი.

ხელნაწერ H-2357-ის პირველ გვერდზე დავით ბატონიშვილს მიუწერია: „მე დავიბადე ქრისტეს აქეთ 1767 ივნისის 1-ს"

1787-1789 წწ. რუსეთშია სწავლის მისაღებად.

1789 წ. ათასი კაცით მონაწილეობს ყარსთან ბრძოლაში.

1795 წ. მონაწილეობს აღა-მაჰმად ხანის საწინააღმდეგო ბრძოლებში. იმავე წლის გვიან შემოდგომიდან რუსეთშია და დეკემბერში მანუჩარ თუმანიშვილს პეტერბურგიდან წერს: „პრეობრაჟენსკის პოლკში, რომელშიაც ხელმწიფე პოლკოვნიკია... ნოემბრის იე (15)-ს. პოლკოვნიკათ მიმიღეს და ის როტა ჩემი სამმართებელი, რომელსაც თვით იმისის დიდებულის სახელი ჰქვიან... ნოემბრით კთ (29)-ს ღენერალ-მაიორობა მიბოძეს იმავ ადგილას"

1798 წ. 11 ოქტომბერს გიორგი XII სთხოვს იმპერატორ პავლეს, დაამტკიცოს დავითი მემკვიდრედ. 1799 წ. 18 აპრილს პავლე ამტკიცებს დავითს მემკვიდრედ, ხოლო 1799 წ. 13 ივნისს ებოძა წმ. ანნას I ხარისხის ორდენი. 1801 წ. იანვრიდან ივნისამდე საქართველოს მმართებელია. 1803 წ. 18 თებერვალს გაასახლეს რუსეთს და სამუდამოდ დასახლდა პეტერბურგში. იმავე წლის 24 აპრილს ალექსანდრე I-მა თავისი ხელით გადასცა ალექსანდრე ნეველის ორდენი. დანიშნეს სენატორად.

პლ. იოსელიანის ცნობით, დავით ბატონიშვილს ცოლად უნდოდა რუსეთში გაცნობილი ტატიშჩევის ქალი, გიორგი მეფეს კი სურს იგი ოთარ ამილახვრის ქალ ელენეზე დანიშნოს საბოლოოდ დავითმა ცოლად შეირთო სიმეონ აბი-მელიქის ქალი ხამფერავან (ხანუმა), რომელზეც 1800 წლის 9 იანვარს დაიწერა ჯვარი. ხამფერავანი მართლმადიდებლად მონათლეს და უწოდეს ელენე. ამ ქალს დიდი მზითევი მოყვა. მაგრამ დავითმა მოინდომა მასთან განქორწინება. გიორგი XII-ის გარდაცვალების შემდეგ მან აღძრა საქმე. განქორწინებაზე კათალიკოსმა ანტონ II-მ 1805 წელს საბოლოო უარი უთხრა. რუსეთში გადასახლებისას დავითმა თან არ წაიყვანა ელენე. ელენე პეტერბურგში ჩადის 1810 წ. ცოლურობს ქმრისაგან განცალკევებით. გარდაიცვალა 1836 წ.

დავით ბატონიშვილი რუსეთს გადასახლებამდე და რუსეთშიაც ენევა სამწერლო-სამეცნიერო მოღვაწეობას. მას ეკუთვნის მრავალი ორიგინალური და ნათარგმნი ნაწარმოები. მისი თარგმნილია ვოლტერის „შობისათვის", მონტესკიეს „კანონთა არსის შესახებ", ანსილიონის „ესტეტიკებრი განსჯანი", „სამკურნალო რეცეპტები". მისი ნაშრომებია „ნარკვევი" (დაიბეჭდა თბილისს 1800 წ.) „კატილორია შემოკლებული"; 1812 წ. დაწერა პროექტი «О лучшем устройстве Грузии», 1813 წელს «Обозрение Грузии по части прав и законоведения». 1814 წელს დაწერა საქართველოს ისტორია 1744-1812 წლებისა „ახალი ისტორია" (დაბეჭდა ჯერ მ. ჯანაშვილმა, შემდეგ თ. ლომოურმა).

წერდა ლექსებსაც. მისი ლექსები დაცულია ხელნაწერებში. მის ერთ-ერთ ლექსს „გამიფრინდა სიხარულის ფრინველი" მღეროდნენ. დაბეჭდილია 1901 წ. №2 „მოგზაურში" (ლექსი დაწერილია 1812 წ. 27 მარტს).

დავით ბატონიშვილი გარდაიცვალა 1819 წ. დასაფლავებულია ალ. ნეველის ლავრის თევდორეს ეკლესიაში.

იოანე ბატონიშვილი

ბაგრატიონი

1768-1830

XIX საუკუნის პირველ მესამედში პეტერბურგში მოღვაწე ქართველ მეცნიერთა შორის გამორჩეულია თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწე და განმანათლებელი, მწერალ-მნიგნობარი, დიდი ენციკლოპედიური ნაშრომის „კალმასობის" („ხუმარსნავლის") ავტორი, საქართველოს უკანასკნელი მეფის, გიორგი XII-ის ძე იოანე ბატონიშვილი (ბაგრატიონი), რომელიც 1768 წლის 18 მაისს დაიბადა.

ერეკლე მეორისა და გიორგი XII-ის ოჯახების თითქმის ყველა წევრი, ქალი და ვაჟი, მნიგნობრულ მოღვაწეობას ეწეოდა. განსწავლულობით, პროგრესული აზროვნებითა და შემოქმედებითი ნაყოფიერებით გამოირჩეოდნენ ძმები დავითი, იოანე და თეიმურაზი. ქართლ-კახეთის სამეფოს ლიკვიდაციის შემდეგ სამივეს მოუწია რუსეთში გასახლებამ. სამივემ მოღვაწეობა განაგრძო პეტერბურგში და იქვე აღესრულნენ.

იოანე ბატონიშვილმა ჯერ კიდევ საქართველოში გაითქვა სახელი, როგორც გულადმა მეომარმა და გამჭრიახმა პოლიტიკოსმა. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი იოანემ კრწანისის ბრძოლაში აღა-მაჰმად-ხანის წინააღმდეგ 1795 წელს. 1799 წელს იოანემ თავის მამას (გიორგი XII) წარუდგინა მოხსენება („სჯულდება") სახელმწიფო ნყობილებაში რიგი რეფორმების ჩატარების აუცილებლობის თაობაზე...

სახელმწიფოებრივი ცხოვრების გაჯანსაღების მრავალ ღონისძიებათა შორის იოანე ბატონიშვილი საჭიროდ თვლიდა, თბილისში, გორსა და თელავში განხსნილიყო უმაღლესი ტიპის საერო სასწავლებლები, დაწყებულიყო გაზეთის ბეჭდვა, დაარსებულიყო ბიბლიოთეკა-მუზეუმი, სასწავლო-საგანმანათლებლო და სასტამბო საქმის ხელმძღვანელობა დაკისრებოდა საგანგებოდ შერჩეულ მოხელეს და ა.შ.

რუსეთში გადასახლების შემდეგ იოანე ბატონიშვილმა არაჩვეულებრივი ენერგიითა და გულმოდგინებით განაგრძო სამწიგნობრო-საგანმანათლებლო მოღვაწეობა, რათა ამ გზით მაინც მოეტანა სარგებლობა თავისი ქვეყნისა და ხალხისათვის. მისი ლიტერატურული მოღვაწეობა ჯერ არათუ სრულყოფილად არ არის შესწავლილი, არამედ აღნუსხულიც არ არის საჭირო სისრულით. ბოლო დროს, მაგალითად, ლილი ქუთათელაძემ გამოავლინა იოანე ბატონიშვილის ორი უცნობი შესანიშნავი ორიგინალური ნაწარმოები: „პატარა ედემით განძება" და „აღსარება". მანვე გამოიკვლია იოანეს დიდი ლექსიკოლოგიური მუშაობა და გაარკვია, რომ ენციკლოპედიურად განსწავლული ბატონიშვილი მხატვარიც ყოფილა.

იოანე ბატონიშვილი თავგადაკლული და უშურველი კოლექციონერი იყო. მისი წიგნებისა და ხელნაწერების კოლექცია საფუძვლად დაედო პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკის ქართულ ფონდს (კოლექცია იოანნა გრუზინსკოგო).

იოანე ბატონიშვილის შემოქმედებითი შრომის საუკეთესო ნაყოფია „ხუმარსნავლა" ავტორის ფართო ენციკლოპედიური განათლება, ცხოვრებისეული გამოცდილება და მხატვრული ნიჭი სწორედ ამ ვეებერთელა თხზულებაშია სრულად გამოხატული. „ხუმარსნავლა" მეცნიერული ცოდნის ენციკლოპედიაა. მეტ-ნაკლები სირთულით აქ წარმოდგენილია ცნობები საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული მეცნიერების თითქმის ყველა დარგიდან (მათემატიკა, ფიზიკა, ასტრონომია, მედიცინა, ფიზიოლოგია, ზოო-

ლოგია, გეოგრაფია, სამხედრო საქმე, ისტორია, ფილოსოფია, ღვთისმეტყველება, ფსიქოლოგია, ენათმეცნირება, ლიტერატურათმცოდნეობა...).

რასაკვირველია, უფრო ორიგინალურია „ხუმარსნავლის" ცნობები მშობლიური ქვეყნის ისტორიის, ენისა და ლიტერატურის საკითხებზე და, რაც საგულისხმოა, ამ ენციკლოპედიას ახლაც აქვს როგორც პრაქტიკულ-გამოყენებითი, ისე მეცნიერულ-შემეცნებითი მნიშვნელობა. ის საკმარისი სირთულით გვითვალისწინებს XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნის მეცნიერული ცოდნის დონეს. ამდენად, უდავოა „ხუმარსნავლის" ისტორიულ-კულტურული ღირებულება. დღესაც დიდად ფასეულია „ხუმარსნავლის" მასალები ქართულ თემატიკაზე...

„ხუმარსნავლის" მეცნიერული ნაწილი მძიმე, არქაულ-მწიგნობრული ენითა არის დაწერილი, თხრობითი ნაწილის ენა კი მსუბუქია და ხატოვანი. „ხუმარსნავლის" ნამდვილი მხატვრული სამკაულია მისი მშვენიერი დიალოგები. ამ დიალოგების ხალხურ სასაუბრო კილოს აცხოველებს მოსაუბრეთაგან ზომიერად მოხმობილი დიალექტური ფორმები (იმერიზმები, ქიზიყური დიალექტი და ა.შ.).

„ხუმარსნავლა" 15 წლის განმავლობაში, 1813-28 წლებში იწერებოდა. არსებითად იგი რეალისტური შემოქმედებითი მეთოდით გამართული ნაწარმოებია, ძველი ქართული მწერლობის უკანასკნელი და ახალი ქართული მწერლობის პირველი თვალსაჩინო მხატვრული ძეგლი.

იოანე ბატონიშვილი გარდაიცვალა პეტერბურგში 1830 წლის 15 თებერვალს, 62 წლის ასაკში. მისი საფლავის ქვა დაცულია სანკტ-პეტერბურგში ყოფილ ალექსანდრე ნეველის ტაძრის მუზეუმ-აკროპოლისში.

თეიმურაზ ბაგრატიონი

1782-1846

ადგილი ისტორიისა, ერის ეშმაკცოცხლეული, ეშმაკსინდამბული,
ანგელოს ვიუნი და წარმართოვ. მერმისის ეშმაუყლეველ სასწავლისაკენ.
ილია

ეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის უგანათლებულესი ქართველი თეიმურაზ ბაგრატიონი უფრო თეიმურაზ ბატონიშვილის სახელით არის ცნობილი. იგი თავის ვინაობასა და სამეცნიერო წოდებებს ერთ-ერთი საუკეთესო შრომის სათაურის ქვეშ ასე აყალიბებს:

„განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა, ქმნული მეფის გიორგი მეცამეტის ძის თეიმურაზის მიერ, კავალერიისა და ს[რულია]დ როსიის ს[ანკტ-]პეტერბურგის აკადემია ნაუკისა, პირველთა ჩლენთა შორის აღრიცხულისა პოჩეტნი ჩლენისა და დანიის საკოროლოს კოპენღაღანის სამეფოს საანტიკვაროსა შეკრებულებასა შინა, პირველთა ჩლენთა შორის დანესებულიაა და პარიეის სოსიეტე აზიატიკის ჩლენისა"

გიორგი XIII ახალ ისტორიოგრაფიაში გიორგი XII-დ მოიხსენიება, ხოლო თეიმურაზი მხოლოდ მეცნიერებათა აკადემიის საპატიო ნევრად, მაგრამ, ფაქტობრივად. იგი აკადემიის ნამდვილი ნევრი და, ამდენად, პირველი ქართველი აკადემიკოსია სრულიად რუსეთის მეცნიერებათა აკადემიაში (აირჩიეს 1837 ნელს). ფიქრობენ, რომ ამავე დროს აირჩიეს იგი კოპენპაგენია ანტიკვარული საზოგადოების, პარიზის საბაზო საზოგადოების და საფრანგეთის თავისუფალი ხელოვნების აკადემიის ნევრად.

თეიმურაზის ფართო და ღრმა განათლებას საფუძველი საქართველოში ჩაეყარა. მას თელავის სემინარიაში ასწავლიდა ცნობილი მეცნიერი და მოღვაწე დავით რექტორი.

თეიმურაზი ცამეტი ნლისა იყო, როცა მომსწრე და მონაწილე გახდა 1795 ნლის კრწანისის ტრაგედიისა, რომელიც მან შემდეგ კიდეც აღწერა. ახალგაზრდა თეიმურაზი ვერ გაერკვა 1801 ნლის ამბების პოლიტიკურ ვითარებაში და ზოგიერთ ბატონიშვილთან ერთად ის 1803 ნელს სპარსეთში გარდაიხვენა.

სამშობლოს პატრიოტი დარნმუნდა, რომ იქ არ იყო მისი ადგილი. თავის მეგობარ პოეტ პეტრე ლარიძესთან ერთად 1810 ნელს იქიდან გამოიპარა, დაბრუნდა თბილისში, აქედან ნასული კი პეტერბურგში დასახლდა.

მან პეტერბურგში გააფართოვა თავისი საერთო განათლება, ქართული, სპარსული, რუსული, ფრანგული, სომხური და ბერძნული ენების ცოდნა და არაბულ ენის კანონების ცოდნაც გამოიყენა.

შევნიშნავთ: ენებისადმი მიდრეკილების შედეგი იყო, რომ თეიმურაზმა „აღძრა საკითხი საქართველოში ლიცეუმის — უცხო ენათა უმაღლესი სკოლის — დაარსებისა"

თეიმურაზმა ლიტერატურული მოღვაწეობა პოეზიით დაიწყო. მისი „სამოცეული"— ლექსების პირველი ალბომი — შედგენილია „სპარსეთის სამპყრობელოსა შინა მყოფი თეიმურაზის" მიერ.

ჩვენი ამ სახელოვანი წინაპრის სადოქტორო ნაშრომი შეიცავს ათონ-მთაწმინდის ივერიის სალიტერატურო სკოლის წარმომადგენლების: იოანეს, ექვთიმეს, გიორგისა და, საერთოდ ამ ქართული კულტურის კერის შესწავლა-დახასიათებას. გამოქვეყნებულია მისი საისტორიო ნაშრომები: „დავით ბატონიშვილის ბიოგრაფია — ისტორიით" (პარიზი, 1833),

„ისტორია დაწყებითგან ივერიისა, ესე იგი გიორგიისა, რომელი არს ისტორია სრულიად საქართველოსა“ (პეტერბურღი, 1848) და სხვა.

აღსანიშნავია ისიც, რომ მისივე გამოუქვეყნებელი არსებითი მნიშვნელობის მეცნიერული აზრები შესულია აკად. მ. ბროსეს ნაშრომებში.

თეიმურაზი იმდენად გულუხვი იყო ამ მხრივ, რომ 1833 წელს წერდა კიდეც მ. ბროსეს: ჩემი ესა და ეს ხელნაწერი ნაშრომი რაკი ფრანგულად გითარგმნიათ, გემუდარებით, ჩემი სახელის გარეშე გამოეცით, მასზე „ჩემი სახელი არ იყოს და არც ჩემ მიერ შეთხზვა მაგ წიგნისა“

თეიმურაზი „ვეფხისტყაოსნის“ 1841 წლის გამოცემის მონაწილე და წინასიტყვაობის თანაავტორია, მაგრამ მ. ბროსეს მან არც აქ მოახსენებინა თავისი სახელი.

თეიმურაზის კალამს ეკუთვნის ლიტერატურული და მეცნიერული ნაშრომები: „ყაჯართა დინასტიის სპარსელ შახთა მოკლე გენეალოგია“, „არმაზის კერპის მოკლე ისტორია“, „როდის და როგორ დაიპყრეს თურქებმა სამცხე-საათაბაგო“, „იბერთა ათონის მონასტრის დაარსება და თავგადასავალი“, „განსჯანი არისტოტელისანი კეთილისთვის და ბოროტისათვის“ (თარგმანი რუსულიდან), „წიგნი ათნი გვირგვინი“ (თარგმანი სპარსულიდან), „მხედრობის დარიგები ნაპალეონისა“ (თარგმანი ფრანგულიდან) და სხვა. მასვე ეკუთვნის თეორიული ნაშრომი „გვარნი, ანუ საზომნი, ქართულისა ენისა სტიხთა“ პირველმა თარგმნა ა. პუშკინის ლექსი „ანგელოსი“, არის „რუსი და ევროპელი მწერლების ერთ-ერთი უძველესი მთარგმნელთაგანი“; იგი, როგორც მრავალმხრივი მოღვაწე, ზრუნავდა ჩვენში „სკოლების მოწყობაზე, ქმნიდა სახელმძღვანელოებს ისტორიისა და ლიტერატურის თეორიაში, ადგენდა პიესებს („სამსახეობა რაინდისა“ და ვოლტერის „აღათოკვეს“ თარგმანი) და სხვა.

თეიმურაზმა გვიანდერძა, აგრეთვე, რუსთველოლოგიური ნაშრომი. მეცნიერმა 1836 ნელს იმოგზაურა პოლონეთში, პრაღასა და ბერლინში. ამის შედეგად დაწერა „მოგზაურობა ჩემი ევროპიისა სხვათა და სხვათა ადგილთა“ ეს წიგნი სათანადო წერილითა და შენიშვნებით გამოსცა სოლომონ იორდანიშვილმა (თბ., 1945).

თეიმურაზ ბაგრატიონი ძირითადად ისტორიკოსი იყო. იგი გახლავთ აგრეთვე თავისი დროის ერთი უდიდესი ქართველი ბიბლიოფილი. მის მიერვე შედგენილი საუკეთესო წიგნებისა და ხელნაწერების სიის ფრანგული თარგმანი გამოაქვეყნა მ. ბროსემ (1838); ქართულად კი — პირველად ალ. ცაგარელმა (1844-1929) და ბოლოს (უფრო სრული სახით) ეს კატალოგი გამოსცა ს. იორდანიშვილმა .

თვით წიგნების ნაწილი ამჟამად საქართველოს მუზეუმის ბიბლიოთეკაშია დაცული. მისი სხვა წიგნები და ხელნაწერები კი რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აზიის ხალხთა ისტორიის (ყოფ. აღმოსავლეთმცოდნეობის) სანკტ-პეტერბურგის განყოფილების ბიბლიოთეკასა და ხელნაწერების განყოფილებაში ინახება. ესეც მისი ერთი დამსახურებათაგანია ქართული კულტურის წინაშე.

გამოთქმულია აზრი, თეიმურაზს საისტორიო ნაშრომები 1810-1831 წლებში უნდა დაეწერა, რადგან შემდეგ იგი მ. ბროსეს უკავშირდება და ამისათვის აღარ ეცალაო. ეს აზრი, შეიძლება, სწორი იყოს საისტორიო ნაშრომთა მიმართ, ოღონდ თეიმურაზის რუსთველოლოგიური ნაშრომი „განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა“ და პირად წერილებში გამოთქმული სათანადო აზრები 1831 წლის შემდეგაა დაწერილი.

„განმარტების... თეიმურაზისეული ხელნაწერი არ შემონახულა, მაგრამ გვაქვს 1843 წლის სექტემბერში გადაწერილი (ალბათ, დედანიც ამ წელს დასრულდა) ერთადერთი პირი, რომელსაც ავტორის — თეიმურაზის ხელში გაუვლია. ამიტომ მისი ვრცლად აღმწერელი და რუსთაველის ბიოგრაფიული ნაწილის თითქმის სრულად გამომქვეყნებელი ექვთიმე თაყაიშვილი ამ ხელნაწერს ავტოგრაფის მნიშვნელობას ანიჭებდა და თეიმურაზ ბაგრატიონის ნაწერებს შორის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაშრომად აღიარებდა; ავტორს საქართველოს ისტორიისა და ქართული ლიტერატურის საუკეთესო მცოდნეს უწოდებდა. „განმარტება, — Комментарии, — წერდა ე. თაყაიშვილი, — это одно из лучших произведений царевича Теймураза. Он здесь дает объяснение слов («Вепхисткаосани»), указывает какого происхождения данное слово, грузинского или иностранного, объясня-

ет смысл фраз и выражений и т. д... Он был лучший знаток грузинской истории и литературы», (2, გვ. 583).

მოვუსმინოთ თვით მარი ბროსესა და თეიმურაზ ბაგრატიონს. უკვე აკადემიკოსი მარი ბროსე წერს: — თეიმურაზ ბატონიშვილში „მაღალი ზნეობა შეერთებულია განათლებულ გონებასა და დიდ ცოდნასთან... რომლის მიზანია — თავისი შრომით უკვდავჰყოს ხსენება თავისი ერისა. ამ ადამიანის მდაბალ მონაფედ, — სინდისის ქვეშ უნდა ვთქვა, — ვალიარებ ჩემს თავს" (1838 ნ.).

მ. ბროსე არაერთხელ აცხადებს თავის მასწავლებლად თეიმურაზს და თავის თავს კი მის მდაბალ მონაფედ ასახელებს. იგი თეიმურაზ ბაგრატიონის ნეკროლოგში წერს: «Я не могу произнести без уважения, без удивления, имя князя, соединяющих с отличными качествами сердца самые обширные знания и самый обработанный ум... Я (его) смело могу назвать моим учителем» (Журнал Министерства народного просвещения, 1846, დამატ. გვ. 40).

თავის მხრივ თეიმურაზიც მონაფეს (შაგირდს) უწოდებს ბროსეს და მასალების ბეჭდვასთან დაკავშირებით, აფრთხილებს:

„ეცადე, ყოველს წერილებში, ყოველთვის კარგათ წაკითხვას, რომ სწორეთ გამოიცნა და მიხვდე. რომელსაც ვერ მიხვდე, მკითხე, რომ ტყუილები არ ჩაგვინერო, თორემ სირცხვილი იქნება, მერმე ქართველები მე დამცინებენ, აი ამისთანა შაგირდი გყავსო" (1834, 3, გვ. 31).

მართალია, მეცნიერული მუშაობის მეთოდიკასა და რიგ საკითხებში თეიმურაზმა ბროსესაგან ბევრი კარგი შეითვისა, მაგრამ ქართველოლოგიურ ძიებებში ბროსეს საქმიანობის ტონის მიმცემი თეიმურაზია. ჩვენი ეროვნული თვალსაზრისითაც რომ ამ სიმართლის დაცვაა უმჯობესი, ესეც უდავოა.

თეიმურაზის ნიგნის — „განმარტება პოემა „ვეფხისტყაოსნისა"— გამომცემელი ნერს: „თეიმურაზის ამ განმარტებებმა საფუძველი ჩაუყარეს „ვეფხისტყაოსნის მეცნიერულ ლექსიკოლოგიას"

ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელია თეიმურაზ ბაგრატიონის ზოგიერთი რუსთველოლოგიური წერილი და შენიშვნა, მაგრამ მათ გარეშეც, გამოცემულ ნაშრომთა მიხედვითაც ცხადია, თუ რაოდენ დიდია იგი არა მხოლოდ როგორც ისტორიკოსი ჩვენი ერისა, არამედ, აგრეთვე, როგორც რუსთველოლოგიც.

მან ფასდაუდებელი როლი შეასრულა „ვეფხისტყაოსნის" მეორე — 1841 ნლის გამოცემისათვის სპეციალური პროგრამის (იხ. მ. ბროსე), თვით პოემის ტექსტის, ნინასიტყვაობის და გამოცემაზე დართული ლექსიკონის შედგენაში უშუალო მონაწილეობით. იგი ამ და ასეთ ქართულ საქმეებს არა მარტო ცოდნით და გამოცდილებით უნყობდა ხელს, არამედ თავისი დიდი ავტორიტეტითაც.

თეიმურაზ ბაგრატიონი რუსთაველს მელექსეთა გმირ შოთას უწოდებდა. თვითონ თეიმურაზი იყო ამ გმირისა და მშობელი ერის დიდი გულით მოსიყვარულე რაინდი. იგი დამსახურებულად ატარებს საქართველოს ისტორიისა და ქართული ლიტერატურის მკვლევარის სახელს.

თეიმურაზ ბაგრატიონი დაკრძალულია ლენინგრადის ალექსანდრე ნეველის სახელობის ლავრის სასაფლაოზე. ამ ლავრის სასახლეში ამჟამად არსებობს «Музей городской скульптуры». ამაშია თეიმურაზის საფლავიდან გადმოტანილი "Доска — надгробие Грузии царевича Теймураза" (I пол. XIX в., бронза золот. чеканной работы...»).

ტრ. რუხაძე აღნიშნავს: თეიმურაზი დაკრძალულია „ლენინგრადს, ალექსანდრე ნეველის სახელობის ლავრის სასაფლაოზე, სადაც თეიმურაზმა ააგო ქართველ ბაგრატიონთა საგვარეულო ტაძარი"

ამ ცნობის მეორე ნანილი სწორი არ არის. პეტერბურგის ქართული ეკლესია ახლაც დგას და მდებარეობს ალექსანდრე ნეველის ლავრიდან შორსა და სანინააღმდეგო მხარეს, — ვასილის კუნძულის მეოთხე ხაზზე (წმ. ანდრიას, ე.წ. ანდრეევის ტაძართან, რომლის მახლობლადაც მდინარე ნევის ნაპირზე საკუთარ სახლში ცხოვრობდა თეიმურაზ ბაგრატიონი ოჯახითურთ).

მეფის ასული მარიამ-მაკრინე

უცნობია-1732

იოსეგ ალავერდელის საგალობელი

ეჰა. სულისა ეგანი და ქნარი სიტკბოებისანი და ლვთისა მაძისა საუბარნი. ხმამაღლად მსმობარეო. რომელმან ზღვა წარლვდეგ ფერხითა ძველთითა და მოიწია ქუეყანასა ანას საკრთელისა. და აქუსენ ხმა ძველიერად ხარეულისა სიტკბოსა და მოიკრიეს წარმართთა ერნი და მოისადიოს მოძღვრებათა ბიბლეთა. ეთიოპელნი წარდეთა მოეკალ ლეთა. ხარხასნი ეგენ სიდიდეთისა. და ეგარაბელნ და ეგარაბელნ ნინეს მიერ ქალაქებულნი.

ეჰეი. მაძიეი ხარეულეთი ითესენ. ამოსთეს ლიანად და ეკლესიანელ ქრისტე ღმერთი ჩვენი ეკიერეგეანოსანკეოფს დიდებასა ეკიერეგეანთა. რომელსა აქს დიდი წ�!

ზარიამ-მაკრინე კახეთის მეფის ერეკლე I-ის ასული იყო. შთამბეჭდავი გენეალოგია ჰქონდა. იყო პოეტი-მეფის, თეიმურაზ პირველის შვილიშვილის შვილი და ქეთევან ნამებულის შთამომავალი.

ალბათ, გასაოცარი არაფერია იმაში, რომ ულამაზეს მეფის ასულს პოეტი წინაპრების ნიჭი გამოჰყვა მარიამ-მაკრინეს დიახაც რომ უჭრიდა კალამი. იგი ცნობილია, როგორც ჰიმნოგრაფი, შესანიშნავი სასულიერო საგალობლების ავტორი. პოეტი ქალის სახელი დავინყებას, ალბათ, მაინც იოსებ ალავერდელის სადიდებლად დანერილმა საგალობლებმა გადაარჩინა. მათ ეკლესიაში გალობდნენ. დიდია ამ საგალობლების მხატვრული მღარე, რაც ბაზს უსვამს მარიამ-მაკრინეს პოეტური ნიჭის ბრწყინვალებას.

პოეტი ქალის ამ მშვენიერ საგალობლებს საფუძვლად ჰქონდა მისი სარწმუნოებრივი ერთგულება, სულიერი აღმაფრენა და ღმერთთან მიახლოების სურვილი.

მარიამ-მაკრინეს საგალობლები იმდენად შთამბეჭდავი და ძლიერი ყოფილა, რომ ქართულ ეკლესიას შეუტანია დიდ სანელინადო კრებულში.

მრავალმხრივ განსნავლული და დიდი მწიგნობარი, მხატვარ-კალიგრაფი ყოფილა მეფის ასული და ნლების განმავლობაში დიდი სარედაქციო მუშაობა გაუწევია. მისი რედაქციით არის გადანერილი „თუთუნი", მასვე გაუკეთებია რედაქცია თავისი ძმის, დავით-იმამყულიხანის საღვთისმეტყველო ფილოსოფიური ტრაქტატის „ღვთაების გუჯარი"

კეთილი, ქველმოქმედი ბუნების ყოფილა მარიამ-მაკრინე. მეფის ასულს მრავალი ნიგნი შეუნირავს სხვადასხვა მონასტრებისათვის: ნინოწმიდის ეკლესიისათვის — სახარება, ნათლისმცემლის მონასტრისათვის — მაქსიმე აღმსარებლის ნიგნი. ამ წიგნებზე ნარწერებმა შემოგვინახა მისი სიკეთისა და კეთილშობილების ნაკვალევი.

მარიამ-მაკრინე 1732 ნელს გარდაცვლილა. შთამომავლობას კი დარჩა საგალობლები, მეფის ასულის პოეზიით ანთებული სულის ნაპერწკალი, რათა ღმერთისაკენ, სინმინდისაკენ მიგვახედოს და განგვანყოს სულიერი ამაღლებისათვის.

ჩვენდა სამწუხაროდ, ძალზე მცირე და მწირია ბიოგრაფიული ცნობები მარიამ-მაკრინეს შესახებ. მაგრამ მისი პოეტური მემკვიდრეობა გვაძლევს ფანტაზიის გაშლის

საშუალებას, რათა წარმოვიდგინოთ ეს მშვენიერი, სპეტაკი და სულიერად ამაღლებული პოეტი ქალი.

მისი მშვენება ხიბლავდა მნახველს. გონიერი და კდემამოსილი იყო ასული მეფისა. ლაღი ცხოვრება უნდა ჰქონოდა თითქოს, მაგრამ იავარდით არ ყოფილა მოფენილი მისი ცხოვრების გზა. ან კი რომელ მის წინაპარს ერგო ასეთი გზა-სავალი...

ანენილ-დანენილი იყო საქართველო. ჩვენი მეფეები კანონიერი ტახტის ბოძებას ხან რუსეთისაგან ელოდნენ, ხან ირანისაგან.

მარიამის მამა — ერეკლე პირველიც ამ დღეში იყო. მან ტახტის მოლოდინში 22 წელიწადი რუსეთში გაატარა, 14 წელიწადი სპარსეთში და ბოლოს ირანის შაჰის „წყალობით", მშვენიერ ქართულ სახელს დამატებული ნაზარ-ალი ხანის დაუბრუნდა სამშობლოს; იმამ-ყული ხანი დაუმატეს შემდეგ მარიამის ძმის, დავით მეფის სახელსაც.

ასე განამებული მეფის კარზე გაიზარდა მარიამი. უთუოდ თავის დიდ ბებიას — ქეთევან დედოფალს ჰგავდა. მასავით ლამაზი და მშვენიერი იყო.

ბავშვობაში ბევრს უყვებოდნენ, ალბათ, ქეთევანზე, მის მოწამებრივ სიცოცხლესა და სიკვდილზე, მის ამაღლებაზე, თავგანწირვაზე. სულმოუთქმელად ისმენდა ყოველივეს, მერე კი ღამე სიზმარში ხედავდა დიდებულ დედოფალს. იგი ღმერთის, ღვთისმშობლის, სარწმუნოების სიყვარულსა და ერთგულებას ასწავლიდა თავის სისხლსა და ხორცს.

ალავერდის ტაძარში ხშირად გარინდებულა ქეთევან დედოფლისა და მეფე-პოეტის თეიმურაზის საფლავთან, თავისებურად სჯიდა წინაპრების ნამოქმედ-ნაღვანს.

ქეთევანი — წმინდანი თავისი ბუნებითა და ცხოვრებით.

თეიმურაზ პირველი თუმცა მთელი ცხოვრება ჯერ ქართლ-კახეთისა და შემდეგ საქართველოს გაერთიანებას ცდილობდა, მაგრამ მაინც ედო მხრებზე ცოდვა ბაზალეთის ომისა...

მეფე, რომელსაც დიდი უბედურება არგუნა განგებამ: ამოუწყდა ორი ოჯახი, ერთადერთი შვილიშვილი ერეკლე — მარიამის მამა დარჩა ნუგეშად.

როცა მეფის ასული წარმოიდგენდა, როგორ დასდო თავი თეიმურაზმა ქრისტიანული სარწმუნოებისათვის, რისთვისაც იგი შაჰმა სატრაბადის ციხეში გამოკეტა, მის თვალში თითქოს ცოდვა უმსუბუქდებოდა.

ცოტა იყო ცხოვრებაში სიხარული მარიამისათვის. სულიერი საზრდო აძლებინებდა, წიგნებს ენაფებოდა სულმოუთქმელად. საამისო პირობები კი ჰქონდა, წიგნიერი და განათლებული მეფე-ძმის კარზე. კითხულობდა ქართულ და სპარსულ ლიტერატურას, „ვეფხისტყაოსანს", „ვისრამიანს", „შაჰნამეს", უეჭველად დიდი გულისხმიერებით კითხულობდა თავისი დიდი პაპის, მეფე თეიმურაზის ლექსებს, მის ფაქიზ სულზე დიდ შთაბეჭდილებას მოახდენდა სარწმუნოებისათვის თავგანწირული დედოფლისადმი მიძღვნილი შვილის პოემა.

სამშობლოს მძიმე ბედზე დაფიქრებული მეფის ასული უეჭველად ელოდა ქალურ ბედნიერებას, მეუღლეს, შვილებს. და აი, სიყვარულიც მოვიდა.

ერეკლე პირველის სახლთუხუცესის (უეჭველად ღირსეული ვაჟკაცის) ედიშერ ჩოლოყაშვილის თანამეცხედრე გამხდარა. ბედნიერი იყო მარიამი, მაგრამ რატომღაც ბედნიერების დაკარგვის შიში არ ასვენებდა. ხშირად მუხლმოყრილი ევედრებოდა ღვთისმშობლის ხატს, შეენარჩუნებინა მისთვის ყოველივე...

რაინდი, შესანიშნავი ბუნების მეუღლე თავს ერჩია ქალს.

მეუღლეს კი მარიამის სათნოება, სილამაზე, კეთილშობილება და კოჭებამდე ჩაშვებული ნანნავები აჯადოებდა. ხშირად აღტაცებული უცქერდა მარიამს, ნება-ნება, მოახლის გარეშე რომ იშლიდა თმას. უყვარდა ქალს თავისი ხელით დავარცხნა, გაშლილი თმა ზღვის ტალღებივით ლივლივებდა, ღმერთქალს ჰგავდა ამ დროს, ქმრის ახლოს ყოფნითა და ყურადღებით ბედნიერს, მაგრამ მაინც რატომღაც მნუხარეს...

სპარსელების შემოტევა ხომ არ აკლდა საქართველოს და ლეკებმაც მოუხშირეს თარეშს, ქართველთა დარბევას, ლამაზი გოგო-ბიჭების მოპარვა-გატაცებას.

ვაჟკაცი იყო ედიშერ ჩოლოყაშვილი და ხმალიც უჭრიდა... იგი ლეკებთან ბრძოლაში დაიღუპა.

დაბნელდა ირგვლივ ყველაფერი მარიამისათვის, ვეღარც სეფე ქალები უქარვებდნენ ნაღველს, ვეღარც ძმა – დავითი, ვერც ნაცნობი და ვერც სასახლის კარის დიდებულები.

მეუღლემ ნაიღო მისი სიხარული, სიყვარული, ოცნება... აღარაფერი ახარებდა, მთელ დღეს ლოცვაში ატარებდა. უთუოდ უფალმა შთააგონა, რომ მისი სული ღმერთის სიახლოვეს იპოვიდა შვებას, ხსნას; სხეული აღარ არსებობდა მისთვის, მხოლოდ სული იყო, რომელიც უნდა გადაერჩინა, რათა ზეციურ საქართველოში შეერთებოდა მეუღლის სულს.

მონაზვნად აღკვეცა გადანყვიტა. მეფე-ძმას თხოვა, ნება დაერთო; მან შეიწყნარა უმცროსი დის თხოვნა, დასტური მისცა.

გულგრილად დათმო ყოველი ამქვეყნიური.

და აი, დადგა მონაზვნად აღკვეცის დღეც.

– ბატონიშვილი მარიამ ყოფილი, დღეიდან მაკრინე, – გალობასავით ჩაესმა ყურში.

მერე კოჭებამდე ჩაშვებული ნაწნავები მოაჭრეს...

– ვაიმე, – აღმოხდა უნებურად.

მეუღლე გაახსენდა, ასე ძლიერ რომ უყვარდა მისი ნაწნავები...

თავი მხრებზე ჩამოუვარდა, წყვილი ცრემლი დაუგორდა ღანვებზე. თავი ხილაბანდით გაუკრეს, ტანზე მონაზვნის ჯვალო ჩააცვეს... სადღა იყო მისი წერწეტი ტანი.

არაფერზე აღარ ფიქრობდა, მისი სხეული და სულიც იმქვეყნად წასულ მეუღლეს ეკუთვნოდა მხოლოდ.

სენაკამდე მიაცილა დედა ეფემიამ დედა მაკრინე.

მარტოდ დარჩენილი მიხვდა, უნდა ელოცა დაუსრულებლად.

უნდა ელოცა თავისი ბედკრული ქვეყნისათვის. უნდა ელოცა მეუღლისათვის. უნდა ელოცა ნინაპართა ცოდვებისათვის... თუ თეიმურაზის მხრებზე ბაზალეთის ომის ცოდვა იყო, მამამისი – ერეკლე პირველი ხომ ოთხი წელინადი ებრძოდა გიორგი მეთერთმეტეს , ძმას ძმას აკვლევინებდნენ...

მაგრამ ხატი იყო მისთვის წმიდათაწმინდა ქეთევან დედოფალი, ალბათ, მან შთააგონა პირველი საგალობლების დაწერა. მაშინ იბადებოდა სულში ეს საგალობელი, როცა ქეთევანზე, მის სარწმუნოებრივ თავდადებაზე უამბობდნენ, როცა თან დაჰყვებოდა დიდი ბებიის ხატი. როგორც სურაში წყალი, უთუოდ ისე გადმოიღვარა ქეთევან წამებულის პოეტური ნიჭი და სარწმუნოებრივი ერთგულება მარიამ-მაკრინეში და გაუბრწყინა სული და გონება. ცხოვრებაში ხომ უკვალოდ არაფერი იკარგება.



თეკლა

1776-1846

რად ვეკვირს ბატიმარს მწუხარენი.
მკირეს ხანს ლხინთა ვახმარენი.
თეკლა ბატონიშვილი

თეკლე უმრწემესი და უსაყვარლესი ასული იყო ერეკლე მეფისა. პატარაობიდანვე იგი განირჩეოდა თავისი დებისაგან ვაჟური იერით, სიმკვირცხლით და მარჯვე ქცევით. ალბათ, ამიტომ იყო, რომ 4 წლის თეკლესთვის ერეკლეს სახუმარო სიგელი უბოძებია: „თუმცა აქამდის შენ ყველასაგან ქალად იყავი ცნობილი, მაგრამ ამიერითგან გინყალობებთ ბიჭის სახელს და ვუბრძანებთ ყველა შენს ძმებს და დებს გიწოდონ თეკლა ბიჭი" ამ სიგელს ხუმრობითვე ამტკიცებდნენ კათალიკოზი ანტონი, ბიძა თეკლესი და ძმა, იულონ ბატონიშვილი...

თეკლას ბიოგრაფიული ცნობები ისევე, როგორც მარიამისა და ქეთევანისა, ნაკლებად მოგვეპოვება: ეს შეეხება განსაკუთრებით მისი ახალგაზრდობის პერიოდს.

ზაქარია ჭიჭინაძის სიტყვით, თეკლა „სამეფო სახლში იყო აღზრდილი, თავისი დედის დარეჯან დედოფლის გავლენის ქვეშ. მან იცოდა ქართული წერა-კითხვა, მშვენივრად ლაპარაკი, მნიგნობრობა და სუყველა ის კრძალულობა და სათნოებითი მხარეები, რასაც მის დროს ასწავლიდნენ ქართველ ქალებს, მნიგნობრობის მოყვარეც იყო და ხშირად ლექსებსაც სწერდა..."

თეკლა ოცდაორი წლის იყო, როდესაც მამა გარდაეცვალა; ეს მოხდა 1798 წლის 11 მარტს. ამ დროიდან გადარჩენილა თეკლას წერილი, მიმართული გარსევან ჭავჭავაძის მეუღლის მაიასადმი, სამძიმრის პასუხად. წერილი რიტორული სტილის ნიმუშს წარმოადგენს. „ცვალებამან მრავალ საგლოველისა ხედვისაგან, დამაკლო სატრფიალოსა სიცოცხლესა, აღავსო საცრემლე თვალთა ჩემთა",— წერს „მარადის ცრემლმომდინარე, მრავლის მწუხარებით გულ სისხლ-მჩქეფარე" თეკლე თავის მეგობარს.

ორი წლის შემდეგ, გიორგი მეცამეტის სიცოცხლეშივე, თეკლე ცოლად მიჰყვება ვახტანგ ორბელიანს. „მეფე იქნა სნეულებითა დამძიმებული, — გვიამბობს პლატონ იოსელიანი, — მოახსენეს ბრძანოს გათხოვება მეფის ასულის თეკლასი. ბრძანა, დალოცა, აკურთხა და დასწერა ჯვარი ვახტანგ ყაფლანისშვილზედ, რომელიცა იყო ძე თავადის დიმიტრისა..."

თეკლას ვახტანგ ორბელიანისაგან სამი ვაჟი ჰყავდა: ალექსანდრე, შემდეგში მწერალი, — „პუპულიად" წოდებული, დიმიტრი და ვახტანგი, ცნობილი პოეტი. სამივე ძმა შემდეგში აქტიური მონაწილეა 1832 წლის შეთქმულებისა. ამ შეთქმულების თანამგრძნობი იყო თვით თეკლეც, რომელმაც შემდეგში გაიზიარა, აგრეთვე, მწარე ხვედრი შეთქმულთა და, მათ შორის, თავისი შვილებისა.

არ ყოფილა არც ერთი დიდი პოლიტიკური მოვლენა საქართველოს ცხოვრებაში, რომელშიც თეკლას ასე თუ ისე მონაწილეობა არ მიეღოს... არც ერთი საზოგადო მოვლენა არ რჩებოდა მისი ყურადღებისა და გამოხმაურების გარეშე.

თეკლეს უფროსი შვილის, ალექსანდრე ორბელიანის სიტყვით, 1812 წელს დედამისი კახეთის აჯანყებაში მონაწილეობისათვის აქეზებდა ქმარსა და ნათესავებს...

იგივე ალექსანდრე გვისურათებს თეკლეს აქტიურ როლს რუსეთის სანინააღმდეგო მოძრაობის იდეური მომზადების საქმეში...

რუსეთის უმაღლესმა საგამოძიებო კომისიამ, ჩანს, ჯეროვნად შეაფასა თეკლეს როლი 1832 წლის შეთქმულების საქმეში და სათანადო მსჯავრიც გამოუტანა მას:

თეკლე გადასახლებულ იქნა ქ. კალუგაში თავის შვილებთან, დიმიტრისთან და ვახტანგთან ერთად.

უფროსი ვაჟი თეკლესი, იმ დროს პოდპორუჩიკის ჩინში მყოფი ალექსანდრე, გამწესებულ იქნა ალექსანდროვის ფორტში, კასპიის ზღვის აღმოსავლეთ კიდეზე.

გადასახლებაში თეკლემ ერთ წელიწადზე მეტი დაჰყო. ეს დრო საკმარისი იყო იმისათვის, რომ მეფის მოხუც ასულს სათანადოდ შეეფასებინა მომხდარი ამბავი და არსებული პოლიტიკური სიტუაცია.

რომანტიკული ბურუსი ქართული ფეოდალური არისტოკრატიისა სწრაფად გაფანტა ორთავიანი არნივის გაშმაგებულმა მძვინვარებამ...

კალუგიდან თეკლემ მხოლოდ 1835 წლის მაისში შესძლო გამომგზავრება... ერთი თვის მგზავრობის შემდეგ იგი ჩამოდის სამშობლოში. ამიერიდან თეკლეს ცხოვრებაში არაფერი ღირაშესანიშნავი აღარ მომხდარა. იგი უმეტეს ნანილად ცხოვრობდა თბილისში. მის საზოგადოებას შეადგენდა ქართული თავადაზნაურული არისტოკრატია და სალონები, სადაც იკრიბებოდნენ საუკეთესო ძალები მაშინდელი ქართული ლიტერატურისა: თეკლე თანამედროვე იყო ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის, ნიკო ბარათაშვილის, გიორგი ერისთავის, ნინო ჭავჭავაძე-გრიბოედოვისა, მანანა ორბელიანის. მას განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობოდა მეფის ნაცვალი მ. ს. ვორონცოვი, რომელსაც, საერთოდ, ძალიან ახლო ურთიერთობა ჰქონდა იმ დროის ქართველი მაღალი ნრის თავადაზნაურობასთან.

გარდაიცვალა თეკლე 1846 წლის 11 მარტს, იმ წელს, როდესაც დაიღუპა პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე.

ვორონცოვმა იგი მეფური პატივით დაკრძალა მცხეთაში, მამის გვერდით.



ნინო ბატონიშვილი

1773-1847

ქართველ ქალთა შორის საპატიო ადგილი უჭირავს ერეკლე II-ის შვილიშვილს, გიორგი XII-ის ასულს ნინოს. როგორც ნინო ერისთავ-შერვაშიძე გადმოგვცემს, მას სწავლა-განათლება მიუღია სამეფო სასახლეში, ნინოს ჰყოლია სპეციალური აღმზრდელები, რომელნიც ასწავლიდნენ ღვთისმეტყველებას და „ელინთა მეცნიერების" დარგებს — ღრამატიკას, რიტორიკას, დიალექტიკას, კატეღორიას და სხვა საგნებს.

იმერეთსა და სამეგრელოს შორის ატეხილმა ქიშპობამ ერეკლე მეორეს გადაანყვეტინა, ნინო სამეგრელოს მთავრის, გრიგოლ კაციას ძე დადიანისთვის მიეთხოვებინა, ხოლო მარიამ კაციას ასული დადიანი იმერეთის მეფე სოლომონ მეორეს შეერთო. ამით ერეკლეს სურდა იმერეთსა და სამეგრელოს შორის მეგობრული ურთიერთობის დამყარება. ეს ასეც მოხდა.

გრიგოლ კაციას ძე დადიანი 50 თავადით, აზნაურითა და გლეხით მივიდა თბილისს. ნეფე-დედოფალს ჯვარი დასნერეს სასახლის ეკლესიაში და პატარძალი დიდი მზითვით გაისტუმრეს ზუგდიდში, — მოგვითხრობს თანამედროვე.

ქართლ-კახეთის სამეფო კარიდან ნინოსთვის მზითვად გაუტანებიათ ძვირფასეულობა, მათ შორის, ქართული ხელნაწერი წიგნები: ქართლის ცხოვრება, სიტყვის კონა, ქილილა და დამანა, სეირანიანი, ვარდ-ბულბულიანი, შამი-ფარვანიანი, გაზაფხულისა და შემოდგომის გაბაასება, ანბანთქება, მაჯამა, ღრამატიკა, დიალექტიკა, კატეღორია, სიბრძნე-სიცრუისა, ვისრამიანი, დავრიშიანი, ამბავი დიფნის ქალაქისა, ყარამანიანი და სხვა მრავალი. ამის გარდა, ნინოსათვის გაუტანებიათ სხვადასხვა სახელმძღვანელო და საღვთისმეტყველო წიგნები.

ამ მზითევს ხალხში დიდი მითქმა-მოთქმა გამოუწვევია. ექიმი ნინო ერისთავ-შერვაშიძე წერს: ჩვენ გულნრფელად უნდა გვნყინდეს, რომ გიორგი ირაკლის ძემ არ გააორკეცა თავისი ქალიშვილის მზითვი, რადგანაც ნინოს ქორწინების ოთხი ნლის შემდეგ მეფის მთელი სალარო გახდა საკუთრება აღა-მაჰმად ხანისა 1795 წელს თბილისის დარბევის დროს.

ნინო გიორგის ასულმა ვერ შეძლო, შთამომავლობისათვის შემოენახა მამის მიერ გადაცემული განძის მეოთხედიც კი, ქართველ ხალხს შეეძლო ეამაყა მარტო მზითვის სიამი აღნერილი ძვირფასეულობით, რომლებიც ასე აკვირვებდნენ საქართველოს განთქმული სამეფოს სტუმრებს.

ნინო დედოფალი იყო ერეკლე მეორის ოჯახის წევრი, რომელმაც დიდებული მეფის ცოდნა და გამოცდილება დასავლეთ საქართველოში გადაიტანა და შეეცადა, პაპის განაზრახი აღესრულებინა, მართლაც, სამეგრელოს მთავარ გრიგოლსა და იმერეთის მეფე სოლომონ მეორეს შორის მშვიდობიანობა დამყარდა...

1804 წელს გრიგოლ დადიანი გარდაიცვალა და სამეგრელოს მმართველობა ქვრივმა ნინომ იკისრა.

ნინო მიზნად ისახავდა აფხაზეთის გამოხსნას ოსმალთა ტყვეობიდან, მაგრამ საამისოდ, პირველ ყოვლისა, საჭირო იყო ფოთის ციხის აღება, რადგან ის ოსმალეთის მთავარ დასაყრდენად ითვლებოდა შავი ზღვის სანაპიროზე, ხოლო შემდეგ — იმერეთთან კავშირის დამყარება. დედოფალმა ნინომ ისიც იცოდა, რომ, ვიდრე ფოთის ციხე თურქთა

ხელში იქნებოდა, სამეგრელოც ვერ მოისვენებდა. ამიტომ გადაწყვიტა, რადაც უნდა დასჯდომოდა, ფოთიდან თურქები გაეძევებინა. ამ მიზნით მიმართა კავკასიის მთავარმართებელ ტორმასოვს, რომელმაც ნინოს დასახმარებლად ფოთში გაგზავნა ჯარი გენერალ-მაიორის გრ. ორბელიანის მეთაურობით.

ფოთის ციხეს ალყა შემოარტყეს და გაიმართა ძლიერი ბრძოლა. ციხის აღება გაგრძელდა, მაგრამ მოიერიშეებს მამია გურიელის მეომრები მიეშველნენ და სულ მაღე მტრის ჯარი ციხიდან განდევნეს.

საინტერესოა ტორმასოვის ნერილი რუსეთის იმპერატორისადმი, რომელშიც ნინოზე ნათქვამია: „ეს ქალი განსაკუთრებულად სამართლიან პატივისცემას იმსახურებს. მის ცდას უნდა მივანეროთ გადმობირება გიორგი შერვაშიძისა. ამავე დროს ფოთის ალყას დედოფალმა ორბელიანის რაზმს თავისი ჯარები შეუერთა, შეფირ-ფაშას დასამარცხებლად... იგი ჩვენს რაზმებს საკვებს და მუშახელს ანვდიდა უფასოდ. მას რომ ჩვენთვის სიმხნე-სიმამაცისა და ერთგულების მაგალითი დაენახვებინა, თავის ჯარისათვის ხშირად საკუთარ სიცოცხლეს დიდ საფრთხეში აგდებდა, მიდიოდა ჯარში, ბრძოლის წინა ხაზზე და ხშირად იმ ადგილსაც იმყოფებოდა, სადაც საარტილერიო ბატარეის დადგმანი ხდებოდა. ამისთანა მხნეობა-სიმტკიცის და ერთგულება-თავდადების მაგალითი ჯერ აქ არავის უნახავს"

ფოთის ციხის აღების დროს დედოფალმა დაიმკვიდრა „რაინდი ქალის" სახელწოდება...

ნინო შესანიშნავი დედაა, რომელსაც გათხოვების მეათე წელს უკვე 6 შვილი ჰყოლია.

ნინოს ვაჟი ლევან 1815 ნელს იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა სამეგრელოს მმართველად დანიშნა. შვილს პეტერბურგში მცხოვრები დედა დიდ რჩევა-დარიგებას აძლევდა...

ნინო მალე მოწყდა სამშობლოს პოლიტიკურ ცხოვრებას და დროის დიდ ნაწილს შვილთან გიორგისთან ერთად რიაზანის გუბერნიაში ატარებდა. დედამ გიორგის დიდი განძეულობა უბოძა. ამ განძეულობის უმეტესი ნაწილი მისი სიკვდილის შემდეგ დაიკარგა როგორც თვით მფლობელისა, ასევე ისტორიისათვის.

ნინო ბატონიშვილი „ქართლის ცხოვრების" მცოდნე ყოფილა... სიცოცხლის ბოლო წლებში იგი ვორონეჟის მონასტერში აღკვეცილა მონაზვნად, ხოლო 1847 ნელს 75 ნლის ასაკში გარდაცვლილა, დაუსაფლავებიათ პეტერბურგში (ნევის საკრებულოში).

მრეკლე ბატონიშვილი

1828-1882

1882 წლის 27 აპრილს, დიდი ხნის ავადმყოფობის შემდეგ თბილისში გარდაიცვალა ერეკლე მეორის შვილიშვილი — ერეკლე ალექსანდრეს ძე ბატონიშვილი.

გაზეთ „დროებაში" გამოქვეყნდა დაწვრილებითი ცნობები ერეკლე ბატონიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ

„ერეკლე იყო შუათანა ტანისა, მხრებში ნახრილი, როგორც მის პაპას მეფე ერეკლეს სურათს ვხედავთ. სახითაც მას ამსგავსებდნენ... ყმაწვილკაცობაში დიდ ღონიერს ამბობდნენ, როგორც ბაგრატიონთ შთამომავალთ მოსდევს, ვერცხლის მანეთს ხელში მოჰკეცდა და რკინის ჯოხს ჰგრეხდაო. უყვარდა ქართული კაბით სიარული"

როგორც გაზეთი აღნიშნავდა, ერეკლე ბატონიშვილმა რუსეთში დაამთავრა სამხედრო სასწავლებელი და ერთხანს იქ სამხედრო სამსახურში იყო. 1862-1864 წლებში თბილისში სათავეში ედგა ნერა-კითხვის კომიტეტს, რომელიც ორ სკოლას მფარველობდა, ერთს მთანმინდაზე და მეორეს აველაბარში. ორივე სკოლას თბილისელები „ერეკლეს სკოლას" უწოდებდნენ. „შეგირდებს", რომელთა რიცხვი 75 იყო, სწავლის ფულს არ ახდევინებდნენ და სასწავლო ნივთებს და წიგნებს უფასოდ ურიგებდნენ.

ერეკლე ბატონიშვილი მცხეთის სვეტიცხოვლის ეკლესიაში დაასაფლავეს. აქ დიდძალი ხალხი ჩავიდა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. მარტო თბილისიდან — სპეციალური მატარებლით „უკანასკნელი სამი ათასი კაცი წავიდა იმ დღეს მცხეთას, საქართველოს ბატონის შვილის უკანასკნელი პატივის საცემლად და ადგილი რომ ყოფილიყო, ორი იმდენი კიდევ იყო მსურველი" — წერდა „დროება"

და აი, კიდევ ერთი საინტერესო ინფორმაცია გაზეთ დროებიდან:

„ქალაქში ბურთაობის მოთავენი გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ განვლილ კვირას, ბატონიშვილ ერეკლეს მიცვალების გამო, დიდუბეში ბურთაობა არ ყოფილა გამართული და მობურთავეებმა გადაწყვიტესო, რომ არც ორმოცის დღის განმავლობაში ექნებათ ეს დროს-გატარებაო"

რა კეთილშობილება ჰქონიათ ქართველ „მობურთავეებს" და სიყვარული ერეკლე მეორის შვილიშვილისადმი!.

ერეკლე ბატონიშვილის გარდაცვალების ამბავი მწარედ განიცადა ავსტრიელმა ბერტა ფონ ზუტნერმა, რომელიც საქართველოში 1876-1885 წლებში ცხოვრობდა. აქვე ვიტყვით, რომ ბერტა ფონ ზუტნერი ევროპის გამოჩენილი მწერალი გახლდათ და 1905 წელს ნობელის პრემია მიენიჭა. ბერტა ალფრედ ნობელის უახლოესი მეგობარი და მრჩეველი იყო.

21 წლის ბერტა კინსკიმ (შემდგომ ბერტა ფონ ზუტნერმა) მაინის-ფრანკფურტის ჩრდილოეთით მდებარე სააგარაკო ქალაქ ჰომბურგში ეკატერინე ჭავჭავაძის ოჯახში გაიცნო ერეკლე ბატონიშვილი.

ბერტამ ეკატერინესაგან შეიტყო, რომ ერეკლე იყო საქართველოს მეფის უკანასკნელი შთამომავალი, თბილისში ჰქონდა სასახლე, მთებში კი ძველი სამეფო კოშკი. ბერტას მოენონა ქართველი ვაჟკაცი და მალე მათ შორის მეგობრული ურთიერთობა დამყარდა.

ეკატერინეს ხუმრობით უთქვამს ბერტასათვის, აი, ერეკლემ რომ შენისთანა სანდომიანი პიროვნება შეირთოს, კარგი იქნებაო. ერეკლეს კი ბერტასთვის შეუბედავს: თქვენ

ყველა ის თვისება გაქვთ, რომ თავგზას აუბნევთ შუახნის მამაკაცებსო. არ ვიცოდი, რომ ამქვეყნად, თურმე არის, თქვენსავით მომხიბლავი არსებაო.

როგორც ბერტა ფონ ზუტნერი იგონებდა, ერეკლეს ამ სიტყვების შემდეგ ღამე არ სძინებია. ერეკლე პარიზს გაემგზავრა. ბერტა კი მის მოლოდინში ცდილობდა, ალექსანდრე დიუმას მოგონებებით გაეცნო საქართველო. პარიზიდან ბერტა ერეკლესგან გამოგზავნილ პაკეტს ღებულობს ძვირფასი კანფეტებით, ხოლო ეკატერინესგან იგებს, რომ ერეკლე პარიზიდან პირდაპირ საქართველოში გაემგზავრა. ვეღარ მოითმინა ბერტამ, ტირილი დაიწყო: „ო, რა სისასტიკეა!"

ბერტა ფონ ზუტნერი შემდგომ თავის მოგონებებში წერდა, ერეკლეს კიდევ რომ შევოვედროდი იმ პერიოდში, ჩემში სიყვარულის ალი ისევ აინთებოდაო.

ერეკლე მეორის შვილიშვილის გარდაცვალების შემდეგ ბერტა ფონ ზუტნერი დაუმეგობრდა ერეკლეს ქვრივს — თამარს და მის ორ ქალიშვილს.

1914 წელს გარდაიცვალა ბერტა ფონ ზუტნერი.

22 ივნისს გაზეთმა — „სახალხო ფურცელი" — ინფორმაცია დაბეჭდა სათაურით: „ბერტა ფონ ზუტნერი."

„ეს პატივცემული მანდილოსანი, გერმანელი მწერალი გახლავთ. უმთავრესი იდეა, რასაც მისი მადლიანი კალამი ემსახურებოდა, მშვიდობიანობის გამოსარჩლება და საყოველთაო შეიარაღების მოსპობა იყო. მისმა რომანმა „ძირს იარაღი" მსოფლიო სახელი მოიხვეჭა. ამ რომანში იგი ფიცხლავ ილაშქრებს ომიანობის წინააღმდეგ. მშვიდობიანობის ქადაგებისათვის მას ნობელის პრემიაც მიუსაჯეს. განსვენებული მოღვაწე ქალი რამდენიმე წელიწადი საქართველოშიც ცხოვრობდა და საკმაოდ გაეცნო ჩვენს ცხოვრებას"

ქართველები პატივს სცემდნენ ფიზიკურად ძლიერ ვაჟკაცებს.

„ვერცხლის მანეთს ხელში მოჰკეცავდა და რკინის ჯოხს ჰგრეხდაო...

ქართველები ბურთაობას არ მართავდნენ ღირსეული მამულიშვილების დაკარგვის დროს.

ეართველი რაინდები ხიბლავდნენ ულამაზეს უცხოელ ქალიშვილებს, — წერდა ბ. ზუტნერი.



ვახტანგ ორბელიანი

1812-1890

ვისც სოფლისაკენ და ბედისკენ არს დაჭერული.
დღენი კეთილნი ამ სოფელში ვისც ყარა ნახა.
ვისაც ამ ქვეყნის შვენებისთვის ადარ ხმელრის ეული.
ვისცა სიცოცხლე უკარგისად და ცრუად დასახა.
ვისაც მადალი ადარ ესმის ბუნების ენა. —

მან მომკეს ხელი. მას აეიკენ მთანი მაღალნი;
იქ იმის ეული სიცოცხლისთვის კვლავ ჯიღვიძენს:
ფეთიური ცეცხლი ეანცხოვლების მის თვალს დაშვრალსა.
სოფლის სინარული. სოფლის ტარკვს ის „ეალად ეეროსიანს:
„კვლავ ძალეთნენ ჩვენს მსინარეს ლანის და ხიმეეარს...

ვ. ორბელიანი

ქართველი პოეტი, ერეკლე II-ის ასულის თეკლე ბატონიშვილის უმცროსი ვაჟი, ვახტანგ ორბელიანი დაიბადა 1812 წლის 5(17) აპრილს.

სწავლობდა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელსა და პეტერბურგის ვაჟთა კორპუსში, რომელიც არ დაუმთავრებია. 1830 წელს დაბრუნდა საქართველოში. იყო 1832 წლის შეთქმულების ერთი მესვეურთაგანი, რის გამოც დედასთან და უფროს ძმასთან, დიმიტრისთან ერთად კალუგაში გადაასახლეს. 1838 წლიდან სამხედრო სამსახურში იყო, პრაპორშჩიკად გაამწესეს ნიჟნი-ნოვგოროდის დრაგუნთა პოლკში. მონაწილეობდა სხვადასხვა სამხედრო ოპერაციებში. 1855 წელს ქართველ დრაგუნთა პოლკის უფროსია. 1860 წელს მიენიჭა გენერალ-მაიორის წოდება. 1858-63წწ. ჩრდილოეთ კავკასიაში მუშაობდა ადმინისტრაციულ თანამდებობებზე: იყო ჯერ ყაბარდოს ოლქის, შემდეგ თერგის მხარის სამხედრო ოლქის უფროსი, 1864 წელს დაინიშნა გლეხთა საკრებულოს წევრად, შემდეგში მსახურობდა მომრიგებელ მოსამართლედ.

ვ. ორბელიანი ქართული რომანტიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელია. მის პოეტურ შემოქმედებას სათავე დაუდო სამშობლოდან გადასახლებით გამოწვეულმა ღრმა განცდებმა. ვ. ორბელიანის პოეტურ წარმოსახვაში დიდი ადგილი უჭირავს გმირთა სავანეს — მამულისათვის თავდადებულთა წმინდა სისხლით მორწყულ საქართველოს, მის მაცოცხლებელ ბუნებას. სამშობლოსაგან მოშორებით ყოფნის გამო, პოეტი თავს ადარებს ცის ნამსა და მზეს მოკლებულ მცენარეს, რომელიც უწყლოდ ჭკნება (ლექსი „გამოსალმება“). პირად განცდებს თან ერთვის საქართველოს უნუგეშო ყოფა, აწმყოთი უკმაყოფილება, რომლის ალეგორიული სურათი არის გადმოცემული ლექსში „ბულბული“ (დაიბეჭდა „ცისკარში“, 1857წ.).

ვ. ორბელიანი ინტენსიურ შემოქმედებით მუშაობას 80-იანი წლებიდან ეწეოდა. მისი ლექსები იბეჭდებოდა ჟურნალ-გაზეთებში („ივერია“, „დროება“, „მწყემსი“, „თეატრი“ და სხვ.). მისი პოეზიის ძირითადი თემა საქართველოს წარსულია. იგი ყურადღებას ამახვილებდა ქრისტიანობაზე, რომელმაც, მისი აზრით, საქართველო იხსნა („ჯვარი ვაზისა“,

1880; „იანვრის 14-ს", 1888წ.); ღვთის განგებით, სამშობლომ შეინარჩუნა უკვდავი სული, რაც ქვეყნისა და ხალხის გადარჩენის საწინდარია („იმედი"). საქართველოს წარსულის იდეალიზაციას ბუნებრივად ერწყმის ორბელიანის ღრმად პატრიოტული განცდები. პოეტა შეგნებული აქვს, რომ გმირული წარსული აღუდგენელია და ეს მისი მნუხარებანაღვლის მიზეზად ქცეულა...

სამშობლოს წარსული სიდიადე, მისი ულამაზესი ბუნება, ქართველი ხალხის შემოქმედების მაღალი ნიჭი გამოვლინდა ვ. ორბელიანის ლექსებში: „კახეთს", „სამშობლო ქვეყნის პასუხი", „ნანგრევთა შუა ლამპარი" და სხვ. განსაკუთრებული ადგილი დაუთმო პოეტმა ერეკლე II-ის საგმირო საქმეებსა და იმ დროის ხოტბას („ირაკლი და კოხტა ბელადი", „ირაკლი და იმის დრო")...

ვ. ორბელიანის ლექსთა ნაწილი გამოიცა 1879 და 1881 წწ. (ა. ორბელიანის ნაწარმოებთა კრებულში), პირველი მნიშვნელოვანი კრებული — 1894 წ. ი. ჭავჭავაძისა და პ. უმიკაშვილის რედაქციით.

ვ. ორბელიანი დაკრძალულია სიონის ტაძარში.



ალექსანდრე ორბელიანი

1801-1869

მოხუცებული ყმაწვილ კაცს!

რას დაჭირი? რა ეთხოვა? რა ცრუბლისა? რა ბაქიქია.
ნუ ეჭირა. ნუ ეთხოვა. ნუ ცრუბლისა. ნუ ბაქიქია.
ძმა, ფიცხე. ეთხოვაბდი. ეცრუბლისაბდი. ეაქიქიაბდი.
ძალიერ ახლა დროსა ეკრეფსა ეაქცია და მიეტანა.

ალ. ორბელიანი

ეთქმულთა ერთ-ერთი მეთაური, დრამატურგი, პოეტი, პროზაიკოსი, კრიტიკოსი, პუბლიცისტი, ისტორიკოსი ალ. ორბელიანი (თეკლა ბატონიშვილის შვილი, ვახტანგ ორბელიანის ძმა — ო.ნ.) ერეკლე მეორისა და ანტონის მაღმერთებელ-მადიდებელი იყო მუდამ, წმინდად ინახავდა და ემსახურებოდა მათი ეპოქის ტრადიციებს, „შტილისა" და ჟანრობრივი რეგლამენტის კლასიცისტური პრინციპებისათვის არ უღალატნია და ლიტერატურაშიც ბოლომდე კლასიცისტი დარჩა. ალ. ორბელიანის შემოქმედება, თუ ერთადერთი არა, წამყვან თემას მაინც ერეკლე მეორისა და საქართველოს ცენტრალიზებული ფეოდალური სახელმწიფოს ინტერესებისათვის სხვა თავდადებულ მეფეთა და დიდებულთა საგმირო საქმეები წარმოადგენდა. ერეკლე მისთვის დიადი პრაქტიკული ეროვნული იდეაა, როგორც: „ჭკვისა ვარსკვლავი და ვაჟკაცობა". სულიერად და პოლიტიკურად ის ერეკლეს თანამედროვე და თანამესანგრეა, იდეურად — ანტონ პირველის სკოლის „განმანათლებელი" როგორც ჭეშმარიტი კლასიცისტი, ალ. ორბელიანი „განათლებული აბსოლუტიზმის" ტენდენციურობით აფასებს საქართველოს წარსულს. ისტორიულ ტრაგედიებსა და დრამებში — „კეთილი ბერიკაცი" (ერეკლეს პერიოდზე), „ბატონიშვილის ირაკლის პირველი დრო", „მეფე დავით აღმაშენებელი", — ავტორი ნინასნარ აღებული აზრით ცვლის და აწესრიგებს ისტორიულ ფაქტებს, გამოხატავს „ზოგად-მარადიულ" იდეას, აბსტრაქტულ-რაციონალისტური მსჯელობით ცვლის მოქმედების განვითარებას, ცალმხრივად, სქემით, „უცვლელი ფსიქოლოგიური ნიშნებით" გვიხატავს გმირ მეფეებს, რომლებიც მხოლოდ სახელმწიფოს ინტერესებით სულდგმულობენ. მეფისა და სამშობლოს წინაშე ურყევი ერთგულების შეგნების მორალისტური შეგონებანი გამოხატულია დეკლარაციული პირდაპირობით: „მამულის მოყვარულმა შიში არ უნდა იცოდეს არას დროს",— ამბობს „მეფე დავით აღმაშენებელში" ლიპარიტი; „საქართველოს და ქართველების უბედურება მტანჯავდა და კელავადაც ვიტანჯები",— პათეტიკური, რიტორული ტონით აცხადებს ყმანვილი ერეკლე („ბატონიშვილის ერეკლეს პირველი დრო"). ეს არის სქემატური, სიმბოლური იდეების (ზუსტად: ერთი იდეის) და მეფეების დემონსტრაცია. აი, როგორ მსჯელობს და როგორ კატეგორიულად წყვეტს ახალგაზრდა ქართველი ქალი ურთულეს ფსიქოლოგიურ დილემას: „მამულო და სიყვარულო! რომელი აღგირჩიო მომეტებულად? ვუი, რა ვქნა? უბედნიერესი სიყვარული! ფასდაუდებელი სიყვარული! ღვთაებიანი სიყვარული! როგორ დავთმო? ეს სიყვარული რომ არ დაეთმოს, მამულს რაღა ერგოს? ახ, მამულო და სიყვარულო! რომელი

აღგირჩიო?.. ღმერთო, მომე ძალა მე, ყმაწვილსა ქალსა, რომელი ამოვირჩიო? ოჰ, ამომირჩევია მამული!"

ალექსანდრე ორბელიანს წერა-კითხვა დედამ, თეკლა ბატონიშვილმა შეასწავლა. ცხრა წლისა თბილისის „კეთილშობილთა სასწავლებელში" მიაბარეს. თექვსმეტი წლისა კარაბინერთა პოლკში მიიღეს.

ერთხანს ალექსანდრემ სამხედრო სამსახურს თავი გაანება, რათა ოჯახისთვის მიეხედა, მაგრამ მალე დაუბრუნდა არმიას და მონაწილეობა მიიღო პასკევიჩის ექსპედიციაში (ერევნის აღებაში). არჩეული იქნა აღმასრულებელი ექსპედიციის მრჩევლად.

ალექსანდრე და მისი მეუღლე, ეკატერინე (კატინკა) ბარათაშვილი შეთქმულების აქტიური მონაწილენი იყვნენ. მან, ერთმა მეთაურთაგანმა, წერილობითი კავშირი დაამყარა შეთქმულებსა და სპარსეთში გადახვეწილ მეამბოხე ბიძასთან — ალექსანდრე ბატონიშვილთან. კატინკამ აჯანყებისათვის დროშა მოქარგა. გასამართლების შემდეგ, გადაწყვეტილი ჰქონდა, თან გაჰყოლოდა ქმარს გადასახლებაში.

ხუთი წლის შემდეგ კავკასიაში გადმოიყვანეს, სამსახურიდან გამოვიდა და ლიტერატურული მოღვაწეობა განაგრძო.

გარდაიცვალა 1869 წელს, 16 დეკემბერს.

გამოსამშვიდობებელ სიტყვაში სერგეი მესხი აღნიშნავდა: „ალექსანდრე ორბელიანმა მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა საზოგადოების სამსახურს"



გარსევან ჭავჭავაძე

1757-1811

მამა ჰოეტის ალ. ჭავჭავაძისა. მეფე ვიორვის დეპეშნი. ვონიერი კაცი. აძის მეცადინეობით მეუერთდა ქართლ-კახეთი რუსეთის იმპერიას. მემოგელი მისი სცოდავსო; რადგანაც ქართლ-კახეთის სოფლებში ეკლეს-კაცობა სულ გაუდ ოიშეთისაკენ სპარს. ოსმალ. ლეკთ და სხვათაკენ ყერანაა იყო ქცეული მთელი საქართველო. ეს კარგად იცოდა ერსეკანმა. მიტომ მოახდინა შეერთება.

„საქართველოს ცხოვრება", 1913 წელი.

ქართველი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე გარსევან (დავით) რევაზის ძე ჭავჭავაძე — ალექსანდრე ჭავჭავაძის მამა — დაიბადა 1757 წლის 20 ივლისს. ბავშვობაში 15 წლის ასაკში გარსევანს მძიმე ავადმყოფობა გადაუტანია. მამამისი, რევაზი, ჯერ კიდევ გარსევანის ბავშვობაში გარდაცვლილა. ყოველ შემთხვევაში, 1768 წლისათვის იგი უკვე ცოცხალი აღარაა. გარსევანი მეფე ერეკლეს მუდმივი მზრუნველობის ქვეშ იზრდებოდა...

ბაგრატ ბატონიშვილის ცნობით, „ჭავჭავაძე იყო კახი თავადი, რომელსაც მამუჩიშვილად უხმობდნენ და აღეზარდა ობოლი მეფესა ირაკლის ვითარცა ძე". მამის გარდაცვალების შემდეგ იგი ხდება მეფის ეშიკაღასბაში და ყაზახის მოურავი. ეშიკაღასბაშის მოვალეობას შეადგენდა მეფის განკარგულებათა შესრულება, შინაწესრიგის დაცვა, სადავო საკითხების მოგვარება და სხვ. საამისოდ მას ხელქვეითი მოხელეები ჰყავდა...

მრავალი დოკუმენტი მოწმობს, რომ გარსევან ჭავჭავაძე ყოველმხრივ ცდილობდა თავისი მამულებისა და ყმების რაოდენობის გაზრდას. მან თავის სიცოცხლეში ბევრი ყმა და მამული შეიძინა...

საარქივო მასალებში გარსევან ჭავჭავაძეზე გლეხთა რაიმე საჩივარი არ მოიპოვება...

გ. ჭავჭავაძის განათლების აღსანიშნავი დოკუმენტები ჯერჯერობით მიგნებული არ არის. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ გარსევანი მაღალი სამოხელეო არისტოკრატიისა და სამეფო კართან დაახლოებული ოჯახიდან იყო, ცხადია, მასაც ისეთი განათლება უნდა მიეღო, როგორსაც იმდროინდელი ფეოდალური წრეების წარმომადგენლები იღებდნენ, მითუმეტეს, რომ ამ დროს (1755 წლიდან) თბილისში უკვე გახსნილია ფილოსოფიის სემინარია. გარსევანს რომ მართლაც კარგი განათლება უნდა ჰქონოდა მიღებული, ეს ნათლად ჩანს მთელი მისი მოღვაწეობიდან. იგი შესანიშნავად იცნობდა ქართულ მწერლობასა და ისტორიას, წერდა ლექსებსაც...

გარსევან ჭავჭავაძე ქართლ-კახეთის სახელმწიფოს უკანასკნელი პერიოდის გამოჩენილი მოღვაწე, მსხვილი ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენელი, დიდმოხელე და ერეკლე მეორესთან დაახლოებული პიროვნება იყო. რთულ ვითარებაში მოუხდა გ. ჭავჭავაძეს ელჩობა რუსეთის საიმპერიო კარზე. ეს იყო 1784-1801 წ., როდესაც ქართლ-კახეთის სახელმწიფო გაუქმდა და რუსეთის იმპერიას შეუერთდა.

გარსევან ჭავჭავაძე აქტიურ მონაწილეობას იღებდა როგორც 1783 წლის მფარველობიანი ტრაქტატის დადებისას, ისე მის ცხოვრებაში გატარებაში. იგი ისევე, როგორც ერეკლე II, კარგად აფასებდა XVIII საუკუნის II ნახევარში შექმნილ საგარეო-პოლიტიკურ სიტუაციას, ამიერკავკასიის დაუფლებისათვის მებრძოლ სახელმწიფოთა როლს და მნიშვნელობას საქართველოს მომავალი განვითარებისათვის. მას სწამდა, რომ ერთმორწმუნე რუსეთის სახელმწიფო, რომელიც თავისი სოციალ-ეკონომიკური და სახელმწიფოებრივი ნყობილებით გაცილებით უფრო მაღლა იდგა, ვიდრე ოსმალეთი და ირანი, ხელს შეუწყობდა ქართლ-კახეთის გაძლიერებას, დაიცავდა მის საშინაო დამოუკიდებლობას და ირან-ოსმალეთის აგრესორებს ჩამოაშორებდა. ასე ესმოდათ 1783 წლის რუსეთ-საქართველოს მფარველობითი ტრაქტატი ქართველ მოღვაწეებს, მათ რიცხვში გარსევან ჭავჭავაძესაც. გარსევანი ენერგიულად იბრძოდა ქართლ-კახეთის საშინაო დამოუკიდებლობისათვის, ეროვნული თვითმმართველობისა და თვითმყოფადობის დასაცავად.

გარსევან ჭავჭავაძე უდავოდ ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ფიგურა იყო საქართველოს სამეფოს არსებობის უკანასკნელი პერიოდისა და XIXს. დამდეგის მოვლენებში.

პროფ. ა. ცაგარელი: „თანამედროვეთა შეფასებით, ის იყო თავისი დროის ერთ-ერთი უჭკვიანესი ადამიანი“

გ. ჭავჭავაძე ეკუთვნოდა იმ პროგრესულ დასს, რომელიც ერეკლეს თაოსნობით იბრძოდა საქართველოს ჩიხიდან გამოსაყვანად. ამ დასს შეგნებული ჰქონდა, რომ საშინაო სიძნელეების გადალახვა და გარეშე მტრების მოგერიება პატარა და სუსტ ქართლ-კახეთის სახელმნიფოს საკუთარი ძალებით არ შეეძლო...

1811 წლის 7 აპრილს, საღამოს 4 საათსა და 30 წუთზე, 54 წლის ასაკში, პეტერბურგში დალია სული. დასაფლავებულია ალექსანდრე ნეველის ლავრაში.

გ. ჭავჭავაძე რთული პიროვნება იყო, ისეთივე რთული და მშფოთვარე, როგორც ის ეპოქა, რომელშიც მას უხდებოდა სახელმნიფოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა.

გარსევან ჭავჭავაძის ელჩობის წლები რუსეთში:

პირველი ელჩობა — 1784-1788წწ.

მეორე — 1793-1796წწ.

მესამე — 1797-1799წწ.

მეოთხე — 1800-1801წწ.

შესანიშნავი ქართველი სახელმნიფო მოღვაწე და დიპლომატი გარსევან ჭავჭავაძე გარდამავალი პერიოდის ქართული საელჩო მჭევრმეტყველების დიდი ოსტატია. ის მშობლიური ენის თანაბრად ფლობდა რუსულ ენას და ამიტომ ახალი რუსული საელჩო მეტყველების მესვეურადაც უნდა ჩაითვალოს. მძიმე და წინააღმდეგობით სავსე ისტორიულ ვითარებაში გ. ჭავჭავაძე დიდხანს ფხიზლად ხელმძღვანელობდა ქართლ-კახეთის საგარეო პოლიტიკას და თავისი წარუშლელი ღვაწლით სამართლიანად დაიმკვიდრა მტკიცე და უანგარო პატრიოტის სახელი XVIII საუკუნის დიდ ქართველთა შორის. საქართველოს სახელმნიფოებრივი ცხოვრების რღვევისა და ცვლილებების პირობებში ის მარჯვედ ერკვეოდა ურთულეს პოლიტიკურ მოვლენებში და მუდამ თავისი დიდი მოვალეობის შესაფერ სიმაღლეზე იდგა.

ჩვენი სახელმნიფოებრივი ცხოვრების ურთულეს პერიოდში, როცა ნყდებოდა საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხი და ბენვზე ეკიდა ქართველი ხალხის ეროვნული მონაპოვარი, გარსევან ჭავჭავაძე ოცი წლის მანძილზე წარმატებით მეთაურობდა მოწინავე ქართულ დიპლომატიას და სამშობლოს საკეთილდღეოდ მართავდა ქვეყნის საგარეო პოლიტიკას. ისტორიული აუცილებლობის კარნახით ის ეძებდა და პოულობდა უკეთეს გზებს საქართველოს შემდგომი წინსვლისათვის და თავისი გავლენიანი სიტყვითა და საქმით უზრუნველყოფდა ამ გზების მარჯვე მიმართულებას.

გარსევან ჭავჭავაძის ასეთ ბრნყინვალე და წარუშლელ დიპლომატიურ მოღვაწეობას ასაზრდოებდა გამჭრიახი გონება, მტკიცე ნებისყოფა და უანგარო პატრიოტიზმი, რომელთა მახვილ იარაღს მჭევრი ზეპირი და წერილობითი მეტყველება წარმოადგენდა.

ალექსანდრე ჭავჭავაძე

1786-1846

ჰანი ლექსი ტკბილი. ლხენით.
ხან მეალიესი ძიეფრანდები.
ეულს ჩვეულვრის. ელილობს. ჰანიელის.
გაჩეურეს და ოქეფრდებ.

ილია

საქართველოს ფერუთვალავ ბუნებას იმდენად უხვად დაუბერტყავს თავისი ნყალობის კალთა, რომ ჩვენი სამშობლო უმდიდრეს და ულამაზეს ნალკოტად უქცევია.

ციე-გომბორის მთის ამნვანებულ კალთებსა და ალაზნის ზურმუხტოვან ველზე გადაშლილია კახეთის თაიგული, საქართველოს სილამაზისა და სიმდიდრის თვალმარგალიტი, სოფელი ნინანდალი. ნინანდალთან დაკავშირებულია XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ლიტერატურის მნიშვნელოვანი მომენტები. 150 ნლის ნინათ ამ ადგილ-მამულის მფლობელი, სახელგანთქმული ქართველი პოეტი, ალექსანდრე ჭავჭავაძე ნინანდალს „შუა კახეთის თვალსა და ჯავარს" უნოდებდა.

საქართველოს ისტორიაში ჭავჭავაძეთა გვარი XI საუკუნის დასანყისიდან იხსენიება.

„თავადი ჭავჭავაძე არიან ორგვარად, პირველნი, რომელნიცა სახლობენ გაღმა მხარეს ყვარელსა შინა, იგინი არიან ძველთაგანვე დროსა მეფესა ლეონოისას ნელსა ქრისტეს აქეთ 1529, ესენი იყვნენ ადგილით და მუნ მოსახლენი თავადდავე და მერე გადმოსახლდნენ ყვარელსა შინა და მუნ მისცა ადგილნი..." და ახლა ინოდებიან გლახასშვილებად და მელქისადეგისაშვილებადო. „ხოლო, მეორე ჭავჭავაძენიც არიან მუნვე ადგილიდან მოსულნი..."

ალექსანდრე გარსევანის ძე ჭავჭავაძე დაიბადა 1786 ნელს პეტერბურგში.

მისი მამის, რუსეთის საიმპერატორო კარზე ერეკლე II-ის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის, გარსევან ჭავჭავაძისადმი კეთილგანწყობილების ნიშნად იგი ეკატერინე II-მ მონათლა. 1795-9966ნ. სნავლობდა პეტერბურგის კერძო პანსიონში, თბილისში დაბრუნების შემდეგ შინ, ფრანგი გუვერნიორის მეთვალყურეობით ბავშვობიდანვე ეუფლებოდა რუსულ, ფრანგულ, გერმანულ, თურქულ და სპარსულ ენებს.

1804 ნელს ჭაბუკი პოეტი მონაწილეობდა მთიულეთის ანტიცარისტულ აჯანყებაში, რომლის ჩახშობის შემდეგ ერთი ნლით ტამბოვში გადაასახლეს. იქიდან განთავისუფლებული 1807 ნელს ჩარიცხეს პეტერბურგის პაჟთა კორპუსში. 1811 ნლიდან კავკასიაში მოქმედი რუსეთის არმიის სარდლის მარკიზ პაულუჩის ადიუტანტი იყო, 1812ნ. მონაწილეობდა კახეთის აჯანყების ჩახშობაში, 1813-1466ნ. — ომში ნაპოლეონის წინააღმდეგ. 1816ნ. პოლკოვნიკი გახდა, 1826 — გენერალ-მაიორი, 1827-2866ნ. მონაწილეობდა რუსეთ-ირანის, შემდგომ რუსეთ-ოსმალეთის ომებში. 1828 ნელს დანიშნეს სომხეთის ოლქის, 1829 ნელს — კახეთის სამხედრო-სასაზღვრო დაცვის უფროსად.

1832 ნლის შეთქმულების გამოაშკარავების შემდეგ ალ. ჭავჭავაძეს 4 ნლით ტამბოვში გადასახლება მიუსაჯეს, თუმცა მალე გაათავისუფლეს „წარსულში დამსახურებისათ-

ვის" 1838ნ. ამიერკავკასიის მთავარმმართველობის საბჭოს ნევრად დანიშნეს, 1841ნ. გენერალ-ლეიტენანტის წოდება მიანიჭეს. 1842-43ნ. ასრულებდა ამიერკავკასიის მხარის სამოქალაქო სამმართველოს უფროსის მოვალეობას, 1843 წელს ხელმძღვანელობდა დაღესტნის დალაშქვრას.

ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახი ქართული საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების ერთ-ერთი ძირითადი ცენტრი იყო. მის სახლში, თბილისსა თუ წინანდალში, მოწინავე ქართველი ინტელიგენციის გარდა თავს იყრიდნენ საქართველოში მყოფი რუსი თუ ევროპელი მოღვაწეებიც. მათ შორის იყვნენ: ა. გრიბოედოვი (რომელმაც შემდგომში ცოლად შეირთო ა. ჭავჭავაძის უფროსი ქალიშვილი ნინო), დეკაბრისტი პოეტები და სხვ.

ალ. ჭავჭავაძემ სიცოცხლეშივე მოიპოვა აღიარება, „მისი ლექსები, თუმცა ბეჭდვა არ იყო მაშინ გახშირებული, ქუჩა-ქუჩა და სოფელ-სოფელ იმღერებოდა" და ხალხში მეტად პოპულარული იყო.

იგი ილაშქრებდა კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ. გარდა ამისა, მან, პირველმა ქართულ ლიტერატურაში, აიმაღლა ხმა მშრომელთა ინტერესების დასაცავად. ლექსში „ვა სოფელსა ამას" გამოხატულია იმედი, რომ წოდებათა შორის უთანასწორობა და მშრომელთა ჩაგვრა მოისპობოდა.

ა. ჭავჭავაძის მსოფლმხედველობა და მსოფლაღქმა ორგანულად არის დაკავშირებული XIXს. პირველი ნახევრის საქართველოს რთულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებასთან. საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვით გამოწვეული ღრმა ეროვნული სევდა ჭავჭავაძის შემოქმედების მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორია და აშკარად ვლინდება პოეტის არა მხოლოდ საკუთრივ პატრიოტულ ლექსებში („უნყალო სენმან", „ვისაც გსურთ", „ოჰ, ვით გვემტყუვნა", „პყრობელისაგან თანაპყრობელთა მიმართ", „ისმინეთ, მსმენნო", „ეჰა, ჩემო ოცნებავ" და სხვ.), არამედ მის სატრფიალო ლირიკულ-ელეგიურ ტონალობაშიც. სნორედ მან დაუდო სათავე „მამულისშვილურ გულისტკივილს,... მერე, სამოციან ნლებში ეგრე გაძლიერებულს ჩვენს მნერლობაში" (ი. ჭავჭავაძე).

ა. ჭავჭავაძის პოეზიაში იღებს სათავეს სოციალური პრობლემატიკაც („ვაჰ, სოფელსა ამას")— „მდაბალთა ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით" აღძრული „მოქალაქური გულისტკივილი", პროტესტი სოციალური ბოროტების წინააღმდეგ (ამ თვალსაზრისით დიდად საყურადღებოა ა. ჭავჭავაძის მიერ თარგმნილი რუსოისტული ფილოსოფიურ-პოლიტიკური თხზულებაც „ახლოოთ განჩრეკილი კაცი").

მან ერთმა პირველთაგანმა ჩაუყარა საფუძველი პატრიოტულ ლირიკას. იგი მთელი შეგნებით ამბობს:

მე ერთმან, ერთ გ ზის, — ერთს ვუძღვენ თავი,
მასვე ვმონებდე მტკიცედ და მყარად...

„ვაჰ, დრონი, დრონი".

ა. ჭავჭავაძე ქართული რომანტიზმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნარმომადგენელია. მკვლევართა ნანილი მას საქართველოში რომანტიკული მიმდინარეობის დამნყებად აღიარებს; ზოგი ქართული რომანტიზმის საწყისს XVIIIს. ქართულ მნერლობაში ეძებს, ა. ჭავჭავაძის დამსახურებას კი რომანტიკული პოეზიის შემდგომ განვითარებასა და დაკვიდრება-გაბატონებაში ხედავს; ზოგიც მიიჩნევს, რომ რომანტიკულ მიმდინარეობას პოეტი მხოლოდ შემოქმედებითი ცხოვრების დასასრულს შეუერთდა.

ალ. ჭავჭავაძე ის ვარსკვლავია, რომელიც მე-19 საუკუნის ქართული პოეზიის რომანტიზმის ცისფერ განთიადს ამშვენებს. მას მე-19 და მე-20 საუკუნეთა „შემაერთებელ" პოეტს უწოდებენ, მაგრამ სნორად უთქვამს პოეტს: „ცრუ და მუხთალი სოფელი მინყივ ავისა მქნელია". 6 ნოემბერს, 1846 წელს, როცა ალ. ჭავჭავაძის ჯანმრთელობა საუკეთესო მდგომარეობაში იყო, უცებ ქალაქში ხმა გავარდა, ალექსანდრე ჭავჭავაძე მოკვდაო. მთელი ქალაქი მოანყდა პოეტის სახლს, ყველას უნდოდა შეეტყო, ასე უცებ რა დაემართა ამ ჯანმრთელ, სიცოცხლით სავსე პოეტს.

სამნუხაროდ, ქალაქში გავრცელებული ხმა მართალი იყო. ალ. ჭავჭავაძე იმ დილას, საათის ათზე გაემზადა ვორონცოვთან წასასვლელად. რაღაც დღეობა იყო და მისალოცად წასვლა ურჩია მეუღლემ.

მშვენიერი ყარაბაღული ცხენი შეაბა მის „ადინაჩქას“ ქუჩერმა და ალექსანდრე დაეშვა პარადის ფორმით მორთული ჭავჭავაძის ქუჩით. როცა ის დაუახლოვდა გოლოვინის პროსპექტს, უეცრივ ერთმა დედაკაცმა სახლიდან საპნიანი წყალი გამოიტანა და ქუჩაზე გადაღვარა სწორედ იმ დროს, როდესაც იმას გაუსწორდა ალექსანდრეს ეტლი. ცხენი დაფრთხა, ნაართვა თავი ქუჩერს. შეშინებულმა ქუჩერმა მოსძახა ალექსანდრეს: ენიაზო, მე ამის დაჭერა არ შემიძლია, თავს უშველეო. — ალექსანდრემ იფიქრა, ქუჩერის მოშველება, წამოიწია და, რომ უნდა სწვდომოდა აღვირს, მისი გრძელი შინელის მარჯვენა კალთა მოჰყვა ბორბალს და ზედს დაეხვია, ფეხზე წამომდგარი ალექსანდრე ძირს გადმოაგდო. ეს გადმოვარდნა სასიკვდილო შეიქნა, დაეცა თავით. გრძნობამიხდილი ალექსანდრე შეიყვანეს სახლში, საცა ცოტა ხანი იცოცხლა.

ის მოკვდა იმავე ღამეს.

ძალიან იყურისხეთ ტუსაღნ ორეის ორს ძობილი.
დიუსტერი ტესიაა ძმოიულთა. ვითარ ეკვეს ეკერე ეჭრაწობილი:
ეკანეეი ეჭრეველი. ტდიბილი. ეულხმენ ძეეთ ცნობილი.
ან ძალძის ტესა ეკერეველნ. ქენ ეეიძეიო ტეობილი.

დავით რექტორი

„ნმინდად შეინახეთ ყველაფერი ის, რაც დაკავშირებულია ა. ჭავჭავაძის სახელთან, საქართველოს ისტორიასთან, გრიბოედოვის ამაღლებულ სიყვარულთან — ეს ჩვენი საერთო ისტორიაა, უკვდავებაში გადასულთა ნაღვლიანი და უძვირფასესი ისტორია“ (მიხეილ შოლოხოვი).

საინტერესოა, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძეს ჰყავდა 4 შვილი, სამი ქალი და ერთი ვაჟი.

პირველი — ნინო — დაიბადა 1812 წელს, შემდეგში მისთხოვდა რუსეთის დიდ პოეტს გრიბოედოვს.

მეორე — ეკატერინე — დაიბადა 1816 წელს, იგი იყო მეუღლე დავით დადიანის, სამეგრელოს უკანასკნელი მთავრისა. იგი გულის ავადმყოფობით გარდაიცვალა, დაკრძალულია მარტვილის მონასტერში.

მესამე — დავითი — დაიბადა 1817 წელს. სამხედრო პირი, გენერალ-ლეიტენანტი. ამ დავითის ქალზე თამარზე დაინერა ჯვარი საქართველოს უკანასკნელმა ბატონიშვილმა ერეკლემ.

მეოთხე — სოფიო — დაიბადა 1834 წელს. მისთხოვდა რუსეთში სახალხო განათლების მინისტრად ნამყოფ ბარონ ნიკოლაის. წარმოშობით ფინელი.

დავითის მეუღლე ანა ბაგრატიონი — გიორგი XII-ის შვილიშვილია, დააარსა თელავის სასულიერო ქალთა სემინარია.

ცნობილი კინორეჟისორი მერაბ კოკოჩაშვილი არის პოეტის IV თაობის წარმომადგენელი.

გრიბოედოვის ცოლის გარდა სხვას ყველას დარჩა ჩამომავლობა.

ალექსანდრე ჭავჭავაძე დაკრძალულია კახეთში, შუამთის მონასტერში.

დავით ჭავჭავაძე

1818-1884

ჩუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი, ალექსანდრე ჭავჭავაძის ვაჟი, დავით ჭავჭავაძე დაიბადა 1818 წელს სოფელ წინანდალში. სამხედრო განათლება მიიღო პეტერბურგის გვარდიის „პოდპრაპორშჩიკთა" სკოლაში. სამხედრო სამსახური დაიწყო 1834 წელს ლაიბგვარდიის ულანთა პოლკში უნტეროფიცრად. 1839-40 წლებში მსახურობდა ფსკოვის კირასირთა პოლკში. 1840 წელს გადაიყვანეს კავკასიაში და ჩარიცხეს გენერალ მ.ნ. რაევსკის რაზმში. 1841 წლიდან მსახურობდა ნიჟნი-ნოვგოროდის დრაგუნთა პოლკში. 1844 წელს შტაბს-კაპიტნის ჩინი მიიღო და კახეთის ცხენოსანთა მილიციის მეთაურად დანიშნეს. მონაწილეობდა გენერალ-ადიუტანტ ა. ნეიგარდტის ექსპედიციაში შამილის წინააღმდეგ. 1847 წელს კაპიტნის ჩინი და კავკასიის ცალკე კორპუსის მეთაურის მ. ვორონცოვის ადიუტანტობა მიიღო. 1851 წელს გადაიყვანეს ლაიბგვარდიის გრენადერთა პოლკში. ყირიმის ომის (1853-5655.) დროს დავით ჭავჭავაძე ხელმძღვანელობდა კახეთის დაცვას შამილის რაზმების თავდასხმებისაგან. 1854 წელს განსაკუთრებული დამსახურებისათვის მეფის ფლიგელ-ადიუტანტობა მიიღო. 1856 წელს თბილისის ეგერთა პოლკში გადაიყვანეს. 1861 წელს გენერალი გახდა და მეფის ამალაში ჩაირიცხა. ამავე დროს კვლავ განაგრძობდა სამხედრო სამსახურს კავკასიურ არმიაში.

1846 წელს დავით ჭავჭავაძე ქორწინდება გიორგი XII-ის ვაჟის ილია ბატონიშვილისა და ანასტასია ობოლენსკაიას ასულ ანაზე, ე.ი. დავითის შვილები დედის მხრივ სამეფო საალის — ბაგრატიონების შთამომავლები არიან. ერთი ცნობის თანახმად, დავითის შვილები „გრუზინსკის" გვარს ატარებდნენ. თუ ეს სწორია, მაშასადამე, ეს გვარი მათ დედისგან აუღიათ. ცნობილია, რომ რუსეთის სახელმწიფო საბჭოს 1804 წლისა და მინისტრთა კომიტეტის 1812 წლის დადგენილებით ქართველ მეფეთა ვაჟიშვილებს შეუნარჩუნებიათ „ბატონიშვილის" (ცარევიჩის) ტიტული. „მათი შვილები კი უნდა იწოდებოდნენ თავად გრუზინსკებად. იმერეთის ბატონიშვილთა შვილები კი — თავად იმერეტინსკებად", ნათქვამი იყო დადგენილებაში.

ანა გრუზინსკაია (ბაგრატიონი), რუსეთის სამეფო კარის ფრეილინა, ევროპული განათლების კვალობაზე აღზრდილი ქალი იყო. ჩინებულად იცოდა ფრანგული ენა და კარგად ცეკვავდა. დავითზე გათხოვების შემდეგ ანა განაგებდა ჭავჭავაძეების სალონს, რომელიც ძველებურად რჩებოდა თბილისის არისტოკრატიის თავშეყრის უპირველეს ადგილად

ანას და დავითს 11 შვილი შესძენიათ, რომელთაგან 2 პატარაობაშივე გარდაცვლილა: ერთი ელისაბედი და მეორე ლიდია, რომელიც სულ რამდენიმე თვისა 1854 წლის ზაფხულში, ლეკების მიერ წინანდლის სასახლის დარბევის, გადაწვის და მძევლების გატაცების დროს დაღუპულა. აქვე აღვნიშნავთ, რომ შამილის რაზმს წინანდალში ტყვედ აუყვანია დავითის მეუღლე ანა თავისი 5 შვილით (6 წლის სალომე, 5 წლის მართა, 3 წლის თამარი, 1 წლის ალექსანდრე და რამდენიმე თვის ლიდია. 4 წლის ელენე სტუმრად ყოფილა მამიდა ეკატერინესთან სამეგრელოში), ანას და, ილია ორბელიანის (გრიგოლის ძმის) მეუღლე ბარბარე თავისი პატარა ვაჟით და დავითის შვილების აღმზრდელი ფრანგი ქალი დრანსე. შამილმა ტყვეების დაბრუნებისთვის მოითხოვა მისი დატყვეებული ვაჟის, ჯემალ-ედ-დინის, დისშვილისა და სხვა ტყვეების გათავისუფლება, აგრეთვე, 1 მილიონი

მანეთი ვერცხლით. იმპერატორ ნიკოლოზ I-ის ჩარევის შედეგად მისი შვილი გაათავისუფლეს. მამილმა მიიღო, აგრეთვე, 40 000 მანეთი ვერცხლის ფული (ერთ-ერთი შუამავლის მცდელობის შედეგად იგი დათანხმდა ამ დაკლებული თანხის მიღებას). ეს გაცელა მოხდა 1855 წლის 10 მარტს, ე.ი. დატყვევებიდან 8 თვის შემდეგ.

დავით ჭავჭავაძეს კახეთში ბლომად ჰქონია მამულები, რომლებიც მას მემკვიდრეობით ერგო მამისა და პაპისაგან. გარსევან ჭავჭავაძისთვის მეფეთა მიერ ნაბოძებ წყალობათა სიგელებში ჩამოთვლილია მისი სამკვიდრო მამულები: ურიათუბანი, ნინანდალი, ახალკალო, მუკუზანი, ველისციხე, შილდა, შალაური, ქვემო ხოდაშენი, ახტალა და სხვ. ერთი ცნობის თანახმად, დავითს მამულები ჰქონია სომხეთშიც, დილიჟანსში.

დავით ჭავჭავაძის ოჯახს ისევე, როგორც მის დებს — ნინოსა და ეკატერინეს, ძალზე უყვარდა სოფელი წინანდალი, ბუნებითა და ჰავით გამორჩეული, მამის, ალექსანდრეს გაშენებული ულამაზესი ბაღითა და სახლით. ამიტომ ზაფხულის თვეებს, ჩვეულებრივ, იქ ატარებდნენ ხოლმე ნათესავ-მეგობრებთან ერთად. დავითს, მამის მსგავსად, ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონია იქაურ გლეხებთან. მას შვილებისთვის პარიზიდან ჩამოუყვანია ფრანგული ენის მასწავლებელი, პოლინა ესკაზო, რომელიც შემდგომში მამულების „ეკონომკად" დაუნიშნავს. მალე პოლინა ცოლად გაჰყოლია წინანდლის მკვიდრს, იოსებ საგინაშვილს. ამის შემდეგ დავითის შვილების აღმზრდელია ფრანგი ქალი დრანსე, რომელიც, როგორც ითქვა, მის ოჯახთან ერთად შამილის ტყვეობაში აღმოჩნდა.

დავით ჭავჭავაძეს მრავალრიცხოვანი შთამომავლობა ჰყავდა.

დავითის მერვე შვილის, ნინას მეუღლე ყოფილა დავით (დათა) გიორგის ძე ჯორჯაძე. მათ 3 შვილი ჰყოლიათ: ივლიტა, მერაბი და მარინე (მაკა). ივლიტა — მარჯანიშვილის სახ. თეატრისა და კინოს მსახიობი, რომლისთვისაც პაოლო იაშვილს ლექსი მიუძღვნია. მისი მეუღლე ნიკოლოზ (ბაქი) თუთბერიძე 1924 წ. დაუხვრეტიათ. მათი შვილი ოთარი 1 წლისა გარდაცვლილა; მარინეს მეუღლე იყო არჩილ ვასილის ძე კოკოჩაშვილი (რეპრესირებულია 1937 წ.). მათი ვაჟი მერაბ კოკოჩაშვილი ჩვენი თანამედროვე და ცნობილი კინორეჟისორია, იგი ერთადერთია ამ ოჯახის შთამომავალთაგან, ვინც საქართველოში, თბილისში ცხოვრობს და წარმატებით მოღვაწეობს ქართული კულტურის საკეთილდღეოდ.

ნინო ჭავჭავაძე

1812-1857

ალექსანდრე ჭავჭავაძის შესანიშნავი ოჯახი ერთადერთი იყო თბილისში, სადაც ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან ჩამოსულ სტუმრებს ხვდებოდა წმინდა ქართული სტუმართმოყვარეობა", — წერდა ალექსანდრე ფადეევი.

დიმიტრი ყიფიანის სიტყვით: „ვინც კი ჩამოდიოდა პეტერბურგიდან, მოხუცი თუ ახალგაზრდა, ა. ჭავჭავაძის ოჯახის ხშირი სტუმარი ხდებოდა"

ალექსანდრე ჭავჭავაძის მეუღლე — სალომე, ივანე ორბელიანის ასული, — ერთ-ერთ საბუთში ახასიათებს თავის ოჯახს, როგორც მეტად მნიშვნელოვან კერას, რომელმაც დიდი როლი ითამაშა რუსულ-ქართული ინტელიგენციის დაახლოების საქმეში...

აი, ამ შესანიშნავ არისტოკრატულ ოჯახში 1812 წლის 4 ნოემბერს დაიბადა ნინო ჭავჭავაძე.

ნინოს დაბადება ჭავჭავაძიანთ სახლში დიდი ზეიმით და მეტად თავისებურად აღნიშნეს. კონსტანტინე დადიანის ცნობით: „ალექსანდრეს ქალი, ნინო გრიბოედოვისა რომ დაიბადა, მამამ ერთ ქვევრში ღვინო ჩაასხმევინა მის საქორწილოდ"

ვეობაზე რევაზ ვაბავიშვილმა ლექსი უძღვნა ახალშობილს...

...მთანმინდაზე „ფიქრთ გასართველად" ასულ ბარათაშვილს ქალის ტირილი შემოესმა. „ნეტავ ვინ ქვითინებს?" — წაიჩურჩულა მან და იქით გაემართა.

თეირანში აჩეხილი გრიბოედოვის საფლავზე დამხობილი ნინო ჭავჭავაძე უსაყვარლეს მეუღლეს დასტიროდა.

გრიბოედოვის მოკვლის 125-ე წლისთავზე დაწერილ ლექსში, პოეტი ოთარ შალამბერიძე სამართლიანად კიცხავს „მძიმე ბედს", რომელმაც „ვაი, ჭკუისაგან"-ის ავტორის უდანაშაულო სისხლი დაღვარა თეირანში და „ცრემლის ტბა" დაადენინა ჭავჭავაძიანთ პირმშვენიერ ნინოს:

მითხარ, ბედო,
სად წუხვალ სარცხელის,
სად ჭმუნდა ალექსანდრეს
თეირანში დასაღვრული სისხლია!

მითხარ, ბედო ტკბილ-ტკბილია,
ან დაცარიელ ფიალაა:
სად ეძებენ სალართველოს
ცრემლის ტბაში დასაბრმობი ქალი.?!

ნინო ჭავჭავაძე ჩვიდმეტი ნლისაც არ იყო, მეუღლე რომ დაეღუპა. განსვენებულის ანდერძის თანაბამად, ქმრის ნეშტი მთაწმინდაზე დაკრძალა და აღარ გათხოვილა, ქვრივად დარჩა.

ნინო ჭავჭავაძის „სულიერ განწყობილებას ეგუებოდა შავი ფერი, თავისი ქმრის — გრიბოედოვის გარდაცვალების შემდეგ თალხს ატარებდა საყვარელი მეუღლის ერთგულების ნიშნად"

საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცულია XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან სამხედრო წრეებისა და თბილისის არისტოკრატიისათვის კარგად ცნობილი პირის, ლიტერატურისა და პოეზიის მოყვარულის, გენერალ ასტაფიევის არქივი, სადაც შევხვდით მისი მეუღლის, ელენე ასტაფიევას „მოგონებას"

როგორც „მოგონებიდან" ირკვევა, ელენე ასტაფიევა ნარმოშობით ქართველი, პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის ერთ-ერთი შვილიშვილთაგანი, ნინო და ეკატერინე ჭავჭავაძეთა ძმის, დავითის მესამე ასული.

„მოგონებიდან" ვიგებთ დღემდე უცნობ ფაქტს ნინო ჭავჭავაძის ბიოგრაფიიდან: მას დაქვრივებიდან ოცი წლის შემდეგ, 1850 წელს, შვილად აუყვანია თავისივე ძმისწული, ელენე ჭავჭავაძე.

ელენე ჭავჭავაძის ეს მოგონებაც ძირითადად ნინო ჭავჭავაძის სიახლოვეს გატარებულ შვიდ წელინადს ეხება (როგორც ცნობილია, ნ. ჭავჭავაძე გარდაიცვალა 1857 წელს) და შეიცავს ახალ ცნობებს იმ შესანიშნავი ქართველი ქალის უკანასკნელი დღეების შესახებ, რომელმაც, თანამედროვის თქმით, „თავისი იდეალური პიროვნებით კიდევ უფრო მეტის ნათელით შემოსა გრიბოედოვის მაღალღირსეული სახელი"

„მოგონება", რომლის სრული სახელწოდებაა «Детские воспоминания о Н.А. Грибоедовой ее крестницы и приемной дочери Е.Д. Астафьевой», დაუთარიღებელია, მაგრამ ყველა ნიშნის მიხედვით, დაწერილი უნდა იყოს 1929 წლის დასაწყისში, რადგან ავტორი 1928 წელს მოიხსენიებს, როგორც განვლილს, ხოლო თვით მემუარისტი (ალ. ჭავჭავაძის კიდევ ერთი შთამომავლის, ო.ი. რატიშვილ-ლეონოვას გადმოცემით) გარდაცვლილა 1929 წლის მეორე ნახევარში.

როგორც ირკვევა, მოგონება დაწერილია გრიბოედოვის გარდაცვალებიდან მე-100 წლისთავისთვის, ავტორის ღრმა მოხუცებულობის ჟამს (79 წლის ასაკში).

ელენე ჭავჭავაძის ამ მოგონებას გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება მემუარული ლიტერატურისათვის, როგორც ალ. ჭავჭავაძისა და გრიბოედოვის ოჯახებიდან უშუალოდ მომდინარე, თვით ამ ოჯახთა წევრის მიერ დაწერილ, ჯერჯერობით ერთადერთ მოგონებას.

ამჟამად ვეხებით მემუარის მხოლოდ იმ ეპიზოდს, რომელიც დაკავშირებულია ნინო ჭავჭავაძე-გრიბოედოვას უკანასკნელ დღეებთან.

ელენე დავითის ასული მოიხსენიებს 1854 წელს ლეკების მიერ ჭავჭავაძეთა სახელგანთქმული მამულის, ნინანდლის აოხრებას და აღნიშნავს, რომ თვითონ იმჟამად ნინო ჭავჭავაძესთან ერთად თავისი მეორე მამიდის, ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანის საუფლო მამულში, ზუგდიდს იმყოფებოდა.

აღწერს რა შამილის რაზმების თავდასხმას წინანდალზე და ამ მშვენიერი სავანის ბინადართა გატაცება-დატყვევებას, 1855 წელს ვერდერევსკი აღნიშნავდა:

«Из числа этих обычных обитателей Цинандал в этом году не было дома Н.А. Грибоедовой и третьей малютки Чавчавадзе, Елены. Обе они гостили у другой сестры князя Давида, княгини Е.А. Дадиан, вдовствующей правительницы мингрелии».

როგორც ცნობილია, 1854 წლის ზაფხულის დასაწყისს წინანდალთან ერთად ლეკებმა კახეთის კიდევ თვრამეტი სოფელი აიკლეს.

„როდესაც მოვიდა ცნობა ტყვეთა გამოხსნისა და მათი განთავისუფლების შესახებ, — განაგძობს მემუარისტი, — ზუგდიდში ზეიმს ბოლო არ უჩანდა. ჩემი მამიდები სასწრაფოდ შეუდგნენ სამზადისს თბილისში ჩამოსასვლელად, სადაც 1854 წელს უნდა შემოსულიყვნენ ნატყვევარი ქალები"

1854 წლის ივნისის დასაწყისს ლეკებმა წინანდალში დაატყვევეს და დაღესტნის მთებში გაიტაცეს ალექსანდრე ჭავჭავაძის რძალი, ულამაზესი ანა ჭავჭავაძე, მისი და, ბარბარე ორბელიანი, გრიგოლ ორბელიანის ძმის, ბაშ-კადიკლარის გმირის, ილია ორბელიანის მეუღლე და ნიკოლოზ ბარათაშვილის ერთ-ერთი და, ნინო ბარათაშვილი. თვით ნინო ჭავჭავაძე მხოლოდ ეკატერინესთან ზუგდიდში სტუმრობამ გადაარჩინა შამილის ტყვეობას.

ნინანდალზე ამავე თავდასხმისას ლეკებმა მოკლეს ილია ჭავჭავაძის უფროსი ძმა, კონსტანტინე ჭავჭავაძე.

ამრიგად, როგორც ირკვევა, ნინანდლის აოხრებაში გაერთიანებულა საქართველოს ოთხი დიდი პოეტის პირადი ტრაგედიაც (აქვე შევნიშნავთ, რომ ქართველ ტყვეთა გაცვლა შამილის შვილ ჯემალ-ედ-დინზე მოხდა მდინარე მიჩიკთან 1855 წლის მარტის თვის მინურულს, ხოლო ტყვეები თბილისში დაბრუნდნენ არა 1854 წელს, როგორც აღნიშნავს ავტორი, არამედ 1855 წლის 17 აპრილს)...

„თბილისში ჩამოსვლის შემდეგ, — განაგრძობს თხრობას მემუარისტი, — ნინო ალექსანდრეს ასული დაბინავდა გიორგის ქუჩაზე («На Георгиевской»), ქაშუეთის პირდაპირ, სნორედ ამ სახლში შემდგომში მოთავსებული იყო ამერიკული სასადილო"

ეს არის მემუარისტის მიერ მოწოდებული მეტად საგულისხმო ცნობა, ვინაიდან დღემდე, როგორც ცნობილია, ჭავჭავაძეთა ოჯახის არც ერთ თბილისურ სამყოფელს არ მოულწევია. ვიცით ამათი მხოლოდ ნაადგილარი თუ ნასახლარები. ასევე უცნობი იყო თვით ნინო ჭავჭავაძის თბილისური ადგილსამყოფელიც.

მხოლოდ ელენე ჭავჭავაძის ციტირებული „მოგონების" საფუძველზე ხდება შესაძლებელი იმ შენობის აღმოჩენა, სადაც უცხოვრია და სიცოცხლის უკანასკნელი დღეები გაუტარებია „მურილიოს მადონად" და „ქართველთა პენელოპედ" წოდებულ ნინო ჭავჭავაძეს. შენობას კი დღევანდლამდე თითქმის შეუცვლელად მოულწევია.

ეს არის ქაშუეთის ეკლესიის პირდაპირ, არჩილ ჯორჯაძისა და ლადო კეცხოველის ქუჩათა შესაყარში მდგარი მცირე, ძველებური იერის მქონე შენობა.

„ჩემი საწოლი მიდგმული იყო მამიდაჩემის საწოლთან, — განაგრძობს ავტორი. — მახსოვს, აგრეთვე, მუდამ მაგიდაზე მდგარი ყუთი, რომელსაც მამიდა ხშირად ახდიდა ხოლმე თავს და დასტიროდა"

გრიბოედოვის ბარათთა შესანახი ეს ხელის ყუთი, პოლისანდრის ხისაგან ნაკეთები, თითბრის სალტეებით კუთხეებშემოჭდეული, გრიბოედოვის უკანასკნელ საჩუქართან, ფაიანსის სამელნესთან ერთად, — დღეს ლიტერატურული მუზეუმის ექსპონატად არის ქცეული (გრიბოედოვისა და ნ. ჭავჭავაძის ეს მემორიალური ნივთები ლიტერატურულ მუზეუმს გადასცა ნინამდებარე „მოგონების" ავტორის, ელ. ჭავჭავაძე-ასტაფიევას ძმამ, დიმიტრი ასტაფიევმა).

შვილობილს კარგად ახსოვდა ნინოს მუდმივი გლოვა, მისი წმინდა ცრემლები.

როგორც ირკვევა, ნინო ჭავჭავაძეს სიცოცხლის ბოლო ხანებში შედარებით იშვიათად უხდებოდა თბილისში ცხოვრება. ნელინადის უმეტეს დროს იგი ატარებდა ან ახლადდაქვრივებულ ეკატერინესთან (1853 წლის აგვისტოდან) ზუგდიდსა და გორდში, ან ნინანდალში, ასევე ხშირად — ჩრდილოეთ კავკასიაში, მუავე წყლებზე, ოდესაში, პეტერბურგსა და მოსკოვში, უმცროს დასთანაც — ბარონესა სოფიო ნიკოლაისთან — ბეთანიაში.

ავტორის ციტირებული სიტყვები ეხება იმ შედარებით იშვიათ დღეებს, როდესაც ნინო ჭავჭავაძეს თბილისში უხდებოდა ყოფნა და როდესაც იგი, თანამედროვეთა ერთობლივი გადმოცემით, ყოველდღიურად დაიარებოდა გრიბოედოვის საფლავზე, სადაც შემდეგში თვითონაც დაიდო სამუდამო ბინა.

„საერთოდ იგი ცდილობდა რაც შეიძლება იშვიათად დამშორებოდა",— განაგრძობს თხრობას მემუარისტი.

როგორც ჩვენამდე მოღწეული პორტრეტებიდან ირკვევა, ელენე ჭავჭავაძე თავისი მშვენიერი, ოქროსფერი თმით, ჩანს, საუცხოო ფერწერულ კონტრასტს ჰქმნიდა დედობილის, ნინო ჭავჭავაძის სახელგანთქმულ სილამაზესთან, რომლის „ყორნის ფრთასავით" შავი თმა და ღამესავით „უძირო" თვალები ერთნაირი სიძლიერით იმორჩილებდა ყოველ მნახველს და აღვიძებდა მასში პოეტურ ბუნებას:

«Скажите, так же прекрасна улыбка Нины Александровны, как благословение?» — კითხულობდა მრავალი წლის შემდეგ შორეულ შლისსელბურგიდან მისი ერთ-ერთი თაყვანისმცემელი და დასძენდა:

«Передайте ей, что и здесь за дальними горами, я преклоняюсь перед ней, как магометанин солнцу восходящему!..»

საინტერესოა, რომ ეს ნაზი ლირიზმით აღსავსე და ჭეშმარიტი პოეზიით განათებული სიტყვები ეკუთვნის არა სალონური ტიპის მოესთეტო მგოსანს, არამედ ირან-თურქეთისა და კავკასიის მრისხანე ომების მრავალ ქარცეცხლში გამოვლილ ვეტერანს, ლეგენდარულად უშიშარ მებრძოლს — ლ. ლ. ალბრანტს.

მოგონების დასასრულს მემუარისტი მოგვითხრობს ამ იშვიათი ქართველი ქალის სიცოცხლის უკანასკნელი დღეების შესახებ:

„1857 წელს თბილისში იფეთქა ქოლერის საშინელმა ეპიდემიამ. მახსოვს ის საზარელი დილა. ნინო ალექსანდრეს ასული დივანზე იჯდა, მეც იქვე ვერთობოდი სათამაშოებით. უეცრად. იგი შეშფოთდა, აწრიალდა, „ჩქარა, მიშველე"-ო, დამიძახა.

მყისვე ხალხით აივსო ჩვენი ბინა. მახსოვს, როგორ გადამაფარა მოხუცმა გამდელმა ბურნუსი და სასწრაფოდ წამიყვანა სახლიდან. რამდენიმე საათის შემდეგ ნინო ალექსანდრეს ასული გარდაიცვალა... იგი იმავე ღამეს დაასაფლავეს მთანმინდაზე საგვარეულო აკლდამაში თავისი მეუღლის, ალ. გრიბოედოვის გვერდით (როგორც თანამედროვე პრესიდან ირკვევა — «Кавказ», 1857, № 10 — ნინო ჭავჭავაძე დაუსაფლავებიათ არა გარდაცვალებისთანავე, როგორც იგონებს მემუარისტი, არამედ მესამე დღეს, 1857 წლის 30 ივნისს).

საფლავთან ერთად ნინო ჭავჭავაძემ გრიბოედოვის უკვდავებაც გაიზიარა.

ნინო ჭავჭავაძე ისტორიაში შევიდა, როგორც თავისი დროის ყველაზე უფრო გამოჩენილი ქართველი ქალი. მან სამართლიანად დაიმსახურა საყოველთაო ღრმა პატივისცემა და აღტაცება მაღალი ზნეობის, ტრაღიკული ბედისა და ჭეშმარიტად გმირული ცხოვრების გამო.

თანამედროვის, კ. ბოროზდინის სიტყვით: ნინო ჭავჭავაძე „იყო მთელი ოჯახის მფარველი ანგელოზი და არსება, რომელსაც კავკასიაში თაყვანს სცემდა ყველა — მთავარმართველებიდან და მეფისნაცვლებიდან დაწყებული, სულ პატარა ადამიანებამდე"

„ნინო — მინიერი სრულქმნილებაა, ნინო — ზეციური ნეტარებაა",— ამბობდა ცნობილი ნუმიზმატი მ.პ. ბარათაევი (ბარათაშვილი).

„მინახავს ამის მსგავსი რა? — წერდა ნინო ჭავჭავაძეზე ნ.დ. სინიავინი, — არა, დედამიწაზე არ შეიძლება არსებობდეს ასეთი სრულყოფა, სიმშვენიერე, გული, გრძნობა, ენით გამოუთქმელი სიკეთე! ვფიცავ, მას ვერავინ შეედრება"

„ყველა, ვინც კი მას იცნობდა, — წერდა დავით ერისთავი ნინოს შესახებ, — სრულიად სხვადასხვა ფენების, წარმოდგენებისა და აზრების მქონე ადამიანებიც კი ერთსულოვნად აღიარებდნენ, რომ ეს იყო იდეალური ქალი"

დღეს, ათას ხუთასი წლის და მაინც ახალგაზრდა თბილისს მთაწმინდიდან ორი შეყვარებულის სამარე გადმოსცქერის — მტკვარდალეული გრიბოედოვისა და მისი უერთგულესი მეუღლის, უსათნოესი ქართველი მანდილოსნის, ნინო ჭავჭავაძისა...

დიდება, რომელიც წილად ხვდა გრიბოედოვსა და ნინო ჭავჭავაძეს, მხოლოდ უკვდავთა ხვედრია. ისინი უკვდავნი არიან, — სიყვარულმა სძლია სიკვდილს.

თუ გადაჭრილი ფერ ხარ ვარსკვლავი.
ისევ ბინადებს ფერი ძველება...
ფერის შეიტანგე. რომ წიდაშეს
არ უჭირო გადაფერება"...

გ. ლეონიძე

ეკატერინე ჭავჭავაძე

1816-1882

მას ჰქონდა ხება იყოთ ხელოვნის.
დ. დადიანი

ეკატერინე ალექსანდრეს ასული ჭავჭავაძე დაიბადა 1816 წლის 19 მარტს სოფ. წინანდალში. ბავშვობის პირველი წლები გაატარა „სოლოლაკის" წალკოტიან უბანში — თედორე და პრასკოვია ახვერდოვების სახლში. აქ მისი მასწავლებლები ყოფილან: ვინმე „აკაკი კონდრატიევიჩი", „აქვსენტი ტრიფონოვიჩი" და სხვები. მუსიკას კაპელმაისტერი, კომპოზიტორი სოკოლოვსკი ასწავლიდა, ფერწერას — პრასკოვია ახვერდოვა, პორტრეტისტი და მინიატურების ჩინებული ოსტატი, ფრანგულს — მ. რავერჟი, ცეკვას — მატილდა კასტელა.

ეკატერინე სულ ადვილად და მალე დაუფლებია რუსულს, ფრანგულს, ფორტეპიანოზე დაკვრას, სიმღერას, ხატვას, ცეკვას...

ყმანვილქალობაში ყოფილა მეტად ანცი და მხიარული. მას მშვენიერი ხმა ჰქონდა და მხურვალე მონაწილეობას იღებდა მამის მიერ მოწყობილ შინაურ კონცერტებში... ეკატერინე „ლეკურის" უბადლო შემსრულებელი იყო...

გრიგოლ ორბელიანი ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ამბობდა, რომ ეკატერინე იყო „დედოფლად დაბადებული, ვინცა შეხედავდა, მაშინვე უნდა მდაბლად თავი დაეკრა"

ეკატერინე ჭავჭავაძის მშვენებას პირველი პოეტური სტრიქონები მიუძღვნა გრიგოლ ორბელიანმა. 1829 წლის 22 ივლისს წინანდალში დაიწერა ლექსი „ეკატერინა ჭავჭავაძისა",

წინანდლის ვარდო,
ხელიდან ტრუდო,
ველიდან წმინდავ. ვით მთის. წყარო!
ვით ალისარი,
ხარ მოცინარი,
რომე მსილველის გული ანარო...

ეკატერინე თვითონ განსახებული სიყვარული იყო და 1831 წლის დამდეგს, თხუთმეტი წლის ფერიას უკვე ჰყავდა უსაზღვროდ შეყვარებული თაყვანისმცემელი — ივანე კონსტანტინეს ძე მუხრან-ბატონი, შემდეგში გენერალ-ლეიტენანტი და თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლი, რომელსაც ძილშიაც კი ესიზმრებოდა „ღვთიური კატინკა..."

ეკატერინე თავისი სიმშვენიერის ზეციურობას იყო მიღწეული, იგი თბილისის ბალებს აბრწყინვალებდა და იმ დროის უდარდელ-მხიარული განწყობილებით ცხოვრობდა.

გავიდა მცირე დრო და მას ხასიათი და განწყობილება შეეცვალა. ამის მიზეზი შემდეგი იყო:

ამბობენ „სიყვარულსა მალვა უნდაო", მაგრამ შმაგი სიყვარული არ „იმალება" და ივანე მუხრან-ბატონთან მიჯნურობაც გახმაურდა.

ეკატერინე ჭავჭავაძის დედა — სალომე, ამ რომანის ამბავი რომ გაიგო, ძლიერ გაჯავრებულა.

ეკატერინეს უთანაგრძივა მუხრან-ბატონის ტრფიალისთვის და სიყვარულსაც ერთბაშად შეუცვლია მისი ცელქი, ონავარი ხასიათი...

ივანემ ეკატერინეს ხელი სთხოვა. ეკატერინე დათანხმებულა და ნიშნობაც გადაუხდიათ.

ჯვრისნერისთვის იმხანად პეტერბურგში მყოფი ალექსანდრე ჭავჭავაძის ნებართვა იყო საჭირო. ივანე მუხრან-ბატონი მაშინვე პეტერბურგს გაემგზავრა ნებართვის ასაღებად და ქორწილის დღის დასანიშნად. მაგრამ ალექსანდრე ჭავჭავაძე წინაღუდგა დანიშნულთა შეუღლებას, უარი უთხრა ივანე მუხრან-ბატონს. ქორწილი ჩაიშალა...

იმავე წლის ოქტომბრის დასაწყისისათვის მუხრან-ბატონი ნინო ლევანის ასულ დადიანზე ჯვარდანერილი ჩანს.

ასეთია მოკლედ ეკატერინე ჭავჭავაძისა და ივანე მუხრან-ბატონის უიღბლო სამიჯნურო თავგადასავალი.

ეკატერინესათვის გული უცემდა პოეტსა და დრამატურგს გიორგი ერისთავსაც, იგი ერთ-ერთ ბარათში გრ. ორბელიანს სთხოვდა: „ივანე მუხრანსკის დადიანის ქალი შეურთავს, ღმერთო, იქნება კატინკა მე მერგოს, რო წახვალ, შენ ეგებ მომიხერხო...“

ინგლისელი რიჩარდ უილბრეხემი, რომელიც 1937 წლის შემოდგომაზე ჩამოვიდა თბილისში, უმალვე ეკატერინე ჭავჭავაძის მშვენების ტყვე გახდა.

გერმანელი პროფესორი კარელ კოხი გადმოგვცემს: „ეკატერინე თავის სინატიფითა და შეუდარებელი ქცევით ხიბლავდა ყველას მრავალ სალონში. მოაჯადოვა მან ჩემი მეგობარიც კი, ინგლისელი პოლკოვნიკი უილბრეხემი“

ეკატერინეს გულგრილად არც რუსი პოეტი დეკაბრისტი, გრიბოედოვის ნათესავი, ალექსანდრე ოდოევსკი უყურებდა და ლექსებიც მიუძღვნა. არსებობს ვარაუდი (შ. ალხაზიშვილი), და არცთუ უსაფუძვლო, რომ დიდმა რუსმა პოეტმა მიხეილ ლერმონტოვმა ეკატერინეს სამი ლექსი მიუძღვნა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაახლოებით იმავე დროს ნ. ბარათაშვილმა მთელი რიგი ლექსები უძღვნა ეკატერინეს, სადაც (ცხადია, ლერმონტოვისგან სრულიად დამოუკიდებლად) სათაყვანებელი არსების ცისფერ თვალებს და ტკბილ ხმას უმღერის.

რატომ ჰგვანან ლერმონტოვისა და ბარათაშვილის ლექსები ასე ერთმანეთს, თითქოს ერთი და იმავე პირის დანერილი იყოს? მხოლოდ იმიტომ, რომ სახელოვანი პოეტების ეს შედევრები ერთი და იმავე ქალისადმია მიძღვნილი და ეს ქალი ეკატერინე ჭავჭავაძეა.

ეკატერინეთი გატაცებული იყო აგრეთვე ნიკოლოზ ბარათაშვილის მეგობარი და თანამოკალმე, მიხეილ თუმანიშვილი. მ. ხელთუბნელი აღნიშნავს:

„მიხეილ თუმანიშვილი განიცდიდა იმ დროს ტრფობის ალს. წინადალში მოგზაურობდა და მისი ლექსი, რომელიც უძღვნა „კ.ჭ.“, ნათლად გვიჩვენებს, რომ იგი ვერ გადაურჩა მისი წრის ახალგაზრდების საერთო ხვედრს და ეძებდა შთაგონებას ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლში, სადაც ოცდაათიან წლებში „ლიტერატურა, სიჭაბუკე და სილამაზე“ ერთიმეორეს ჰმეტოქეობდა „გულთა“ მიზიდვის ასპარეზზე“

ამ პერიოდში ეკატერინეზე თვალი დაიჭირა დავით დადიანმა და მისი შერთვა განიზრახა... 1838 წლის 18 დეკემბერს გაიმართა დავით დადიანისა და ეკატერინე ჭავჭავაძის ნიშნობა.

დავითს ისეთი მეუღლე ესაჭიროებოდა, რომ განათლებითაც და გონება-შეხედულებითაც მისი შესაფერი ყოფილიყო. და აი, მან აირჩია ეკატერინე ჭავჭავაძისა, შვილიშვილი თავად გარსევან ჭავჭავაძისა, საქართველოს მეფის ელჩისა რუსეთში.

დავით დადიანი და ეკატერინე დედოფალი თოთხმეტი წელიწადი ცხოვრობდნენ სამეგრელოში. მშვენიერი სასახლე ააგეს ზუგდიდში და სასახლესთან საუცხო ბაღი გააშენეს. ევროპულად ცხოვრობდნენ.

1853 წლის აგვისტოში, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, 42 წლის ასაკში გარდაიცვალა დავით დადიანი. როგორც ექიმები ამბობდნენ, კუჭის ქრონიკული კატარის შედეგად, მაგრამ იმასაც ამბობდნენ, რომ იგი შეთქმულებმა მოწამლეს.

ქვრივ დედოფალს ოთხი მცირეწლოვანი შვილი დარჩა აღსაზრდელი: 7 წლის ნიკოლოზი, 6 წლის სალომე, ოთხი წლის ანდრია და რამდენიმე თვის თამარი.

ხელმნიფემ ეკატერინე სამეგრელოს მმართველად დანიშნა, სანამ ნიკოლოზი სრულწლოვანი გახდებოდა, და უმაღლეს რესკრიპტთან ერთად უბოძა პირველი ხარისხის ორდენი წმ. მთავარმონამე ეკატერინესი.

სამეგრელოს მმართველად დანიშნულ დედოფალს ძალიან გაუჭირდა საქმე, რადგან სნორედ იმ პერიოდში ინგლისელებმა ყულევს ზარბაზნები დაუშინეს. ეს დაბა სულ ახლოს არის ზუგდიდთან, ზღვის პირას. დედოფლის სასახლის აივნიდან ისმოდა ზარბაზნების ხმები და მოსჩანდა გასროლით გაჩენილი კვამლი. ამის შემდეგ ყულევი ოსმალოს ჯარმა აიღო, ომი გახურდა და მოკლე ხანში სამეგრელო ბრძოლის ველად გადაიქცა.

იმის მაგივრად, რომ შვილები აღეზარდა, დედოფალს უნდა ეზრუნა სამთავროს მართვისა და მამულის მოვლისათვის, რაც მისთვის სრულიად ახალი და უცნობი საქმე იყო. ქმრის სიცოცხლეში დედოფალი ოჯახის საქმის გარდა არაფერში ერეოდა, ამიტომ იძულებულ შეიქნა, ყველაფერი თავიდან ესწავლა და ისიც თავისით, რადგან მაზლები ისეთ კაცებად ვერა სცნო, რომ მათ მინდობოდა.

ეკატერინეს ადგილის დედა ეძახდა, ყოველღამეს წინანდალი ეზმანებოდა, ვეღარ მოითმინა, თბილისში ჩავიდა და იქიდან წინანდალს გაეშურა. წინანდალში შემოდგომა იდგა. ყვაოდა კახეთი — დოვლათით და სიუხვით, პურით და ღვინით განთქმული მხარე საქართველოსი. დედოფალმა გულით გაიხარა. მამისეული ეზო-კარის ნახვამ ბავშვობის დღეები მოაგონა, ბედნიერი ბავშვობის დღეები...

ბოლოს, როგორც ცნობილია, ეკატერინე დედოფალი მძიმე სენმა შეიპყრო. ის ზამთარი ავადმყოფმა დედოფალმა ზუგდიდს გაატარა. გაზაფხულზე უფრო ცუდად შეიქნა და თბილისიდან და პეტერბურგიდან ექიმები გამოიწვიეს. ექიმების რჩევით, იგი გორდს გადაიყვანეს. გორდში ისევ შეუტია ავადმყოფობამ...

იმ დილით დედოფალი ძალზე ცუდად გახდა... წუხდა დედოფალი, წუხდა და აბოდებდა. ნამღერებით გამოთქვამდა რაღაც გაუგებარს... მერე დამშვიდდა, თვალი გაახილა, დარბაზის ჭერს მიაშტერდა და ხმამაღლა თქვა:

ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გ ზა ვინრო, ვერცა კლდოვანი,
მისგან გასწორდეს ყოველი, სუსტი და ძალგულოვანი...

აიცოცხლისა და მიჯნურობისათვის დაბადებული ეკატერინე მთელი ღამე წვალობდა და ებრძოდა სიკვდილს. საქართველოს ამ ულამაზეს და უმამაცეს ასულს გათენებისას ნამებით აღმოხდა სული.

13 აგვისტოს მიიცვალა დედოფალი. დაასაფლავეს ეკატერინე 21 აგვისტოს მარტვილში.

ანა ბაგრატიონი-ჭავჭავაძე

?-1905

თუ-დ ქალაქის მეულლე საქართველოში. ... ამ ლამაზ თეთრებით ნასვლეულ-ნთქმული ქალაქში ცხოვრობდა. ... ულამაზესი თეთრების ჭეშმარიტ მეფეს. მაგრამ ტრაგედიანი ... ეროცებთ მისი ხშირად ბერძნული პრიფეილი. ... ეს ... ეთქვათ. მისი ხშირად ქართული პრიფეილი".

ალ. დიუმა

ელექსანდრე ჭავჭავაძის ვაჟს, დავით ჭავჭავაძეს ცოლად ჰყავდა ბაგრატიონთა გვარის შთამომავალი, საქართველოს უკანასკნელი მეფის, გიორგი XII-ის შვილიშვილი – ანა ბაგრატიონი, – განათლებული, კეთილშობილი, ლამაზი გარეგნობის ქალი.

უაღრესად ღვანლმოსილი პიროვნება იყო ანნა ჭავჭავაძე, თუმცა ჯერ კიდევ არ არის სრულად გარკვეული მისი ღვანლი ერის წინაშე.

ანა ჭავჭავაძეს უკავშირდება თელავში წმინდა ნინოს ქალთა სასწავლებლის დაარსების ისტორია. მრავალი ნინაალმდეგობის გადალახვა დასჭირდა ანნას ამ სასწავლებლის გახსნისათვის. ბოლოს გრიგოლ ორბელიანს მიმართა თხოვნით, – შუამდგომლობა გაეწია მეფის ნაცვალ ვორონცოვთან.

ასრულდა ანა ჭავჭავაძის დიდი ხნის ოცნება... 1885 წელს თელავში ქალთა სასწავლებელი გაიხსნა, რომელსაც ერეკლე II-ის სასახლე დაეთმო...

ამ ფაქტს იმდროინდელმა საპოლიტიკო და საალიტერატურო გაზეთმა „დროებამ" ასეთი კომენტარი გაუკეთა: „... ყველა საზოგადო სასწავლებელთა შორის შესანიშნავი არის კახეთში თელავის წმინდა ნინოს ქალების სასწავლებელი, რომელიც ენერგიულის მეცდიანეობით კნეინა ანა ჭავჭავაძისა და მათი იმპერატორებითის უმაღლესობაების მონაწილეობით დიდი ხანია დაარსდა ქ. თელავში, მაგრამ რადგან არ ჰქონდა საკუთარი სახლი, ამიტომ ეს სასწავლებელი ჯერ აქამდისაც გაუწყობელია. დიდი ხანია ამ ზავედენიის სახლად დანიშნულია უწინდელი ჩვენი მეფეების სასახლე და პროეკტიც იმის განახლებისათვის კარგა ხანია შემდგარია, მაგრამ დღეს დავინახეთ, შენობა იგი დასრულებული, ამ მიზეზით დღეს 11 ივლისს, თელავში მოხდა ბრწყინვალე დღესასწაული.

ამ დღეს იკურთხა უწინდელი ჩვენი მეფეების სასახლე და დაინიშნა თელავის წმინდა ნინოს ზავედენიისათვის. მთელი თელავის უეზდის კეთილშობილნი თანაუგრძნობენ ამ შემთხვევას. დიდი და პატარა შეკრებილნი იყვნენ სობოროსთან და აღტაცებით მოელოდნენ ამ სახლის კურთხევას. დილის ათ საათზედ დაიწყო წირვა სობოროში. წირვის შემდეგ ყველა სამღვდელონი ცერემონიით გაუძღვნენ წინ ხალხს და შევიდნენ სასახლეში, გადაიხადეს პარაკლისი და შემდეგ ნაკურთხის წყლით ასხურეს თვით შენობა და იქ მყოფნი. ამით გათავდა დღესასწაული და საზოგადოება აპირებდა დაშლას; გენერალ მაიორმა დავით ჭავჭავაძემ მიინვია ყველანი საუზმეზედ, რომელიც გაგრძელდა სამ საათამდის"

ანა ჭავჭავაძის ხელმძღვანელობის პერიოდში სწავლების დონე აქ საკმაოდ მაღალი იყო. ქალთა სასწავლებელს საკუთარი ბიბლიოთეკა ჰქონდა, რაც იმ დროისათვის მეტად ძნელ საქმეს წარმოადგენდა. ალექსანდრე ჭაჭავაძის სახლ-მუზეუმის უნიკალური ექსპონატია ამ ბიბლიოთეკის ბეჭედი, რომელზეც ამოტვიფრულია: „Библиотека Теланского женского уъздного заведенія Св.Нины. №583 "

ანა ჭავჭავაძე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ქართული ენის სწავლებას, რის გამოც მას მრავალი მორალური და ეკონომიკური სიძნელეების გადალახვა უხდებოდა...

თავისი ქველმოქმედებითი ცხოვრებიდან თითქმის 20 წელი თელავის წმინდა ნინოს ქალთა სასწავლებელს შეალია...

აღესრულა 1905 წელს...

შუამთაში, ჭავჭავაძეთა საგვარეულო სასუფეველში განისვენებს ბაგრატიონთა გვარის მშვენება და ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახის ღირსეული რძალი, ცხრა შვილის დედა ანა ბაგრატიონი.

თამარ ჭავჭავაძე ბაგრატიონ-გრუზინსკაია

1850-1931

თამარ ჭავჭავაძე-ბაგრატიონ-გრუზინსკაია ცნობილია, როგორც თავისი დროის ერთ-ერთი თვალსაჩინო და საინტერესო საზოგადო მოღვაწე.

იგი იყო გამოჩენილი ქართველი პოეტის ალექსანდრე ჭავჭავაძის ერთადერთი მემკვიდრის დავით ჭავჭავაძის ასული, პოეტი და მთარგმნელი ქალის ელისაბედ ორბელიანის დედა.

პაპის, ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახის ტრადიციებზე აღზრდილ ქალიშვილს თან დაჰყვა სამშობლოს სიყვარული.

დიდი ილია პირადად იცნობდა საქართველოში სილამაზით განთქმულ მშვენიერ თამარს, რომელიც ყველას ხიბლავდა თავისი სიდარბაისლითა და ნათელი გონებით.

დავით ჭავჭავაძის საკმაოდ მრავალრიცხოვან ოჯახის ნევრთა, ექვს დასა და ასამ ძმას შორის თამარს გამოჰყვა თავისი მამიდების — ეკატერინე და ნინო ჭავჭავაძეების მომაჯადოებელი სილამაზე...

ირაკლი ბაგრატიონ-გრუზინსკი იყო ერეკლე II-ის შვილის, ალექსანდრე ბაგრატიონის შვილიშვილი. როგორც პოეტი-აკადემიკოსი გ. ლეონიძე გადმოგვცემს, ირაკლი გრუზინსკი შესანიშნავი გარეგნობის ნარმოსადეგი ვაჟკაცი ყოფილა. მას განათლება პეტერბურგში ჰქონდა მიღებული. ხშირად მოგზაურობდა საზღვაგრაეთ და მდიდარი ბიბლიოთეკის პატრონი იყო.

1854 ნელს, როცა შამილის რაზმელები თავს დაესხნენ ჭავჭავაძეების სასახლეს წინანდალში, ტყვედ წაასხეს როგორც დავით ჭავჭავაძის, ისე ილია ორბელიანის ოჯახები. მამილთან ტყვედ მოხვდა პატარა თამარიც. ამ მომენტთან დაკავშირებით საინტერესოა თვითონ თამარ ჭავჭავაძის შვილიშვილის, ოლღა რატიშვილის მოგონება:

„რა საცოდავად მოჩანდა ლეკის ხურჯინიდან პატარა თამარის ლაკის ფეხსაცმლიანი ფეხები. ბავშვი ხურჯინში თავით ჩაეკიდათ ლეკებს და ისე მიაქროლებდნენ აულისაკენ. კინაღამ დაგვეხრჩოო. ჩვენს ოჯახში დღესაც ყოველთვის ვიგონებთ თამარია დაა. ათი წლის ლიდას, რომელიც ლეკების ცხენების მსხვერპლი გახდა. დედა მეტყოდა: პატარა თამარი ისე შეუყვარდა შამილს, რომ ყოველდღე საჩუქრები მიჰქონდა მასთან და ახებივრებდაო. მახსოვს ისიც, რომ ჩვენ — შვილიშვილები და შვილები, ელისაბედი და ეკატერინე შამილთან ტყვედ ნამყოფ დედას „თამარა შამილოვნას" ვეძახდით..."

თ. ჭავჭავაძის ცხოვრება ბაგრატიონების ოჯახში ერთი შეხედვით ნამდვილად ბედნიერი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მისი მეუღლის, ირაკლი ბაგრატიონ-გრუზინსკის მოულოდნელმა სიკვდილმა უდროოდ ჩააცვა ძაძები ახალგაზრდა ქალს.

მან დიდი მწუხარებით მიაბარა სვეტიცხოვლის ტაძარს ბაგრატიონთა უკანასკნელი მთავამმავალი და, ჯერ ისევ თვალზე ცრემლშეუშრობელმა, გადაწყვიტა თავისი ორი ქალიშვილით, ელისაბედითა და ეკატერინეთი, საზღვარგარეთ გამგზავრება, რათა უცხოეთში მიეცა მათთვის უმაღლესი სწავლა-განათლება.

1885 წლიდან 1903 წლამდე თამარი ცხოვრობდა დრეზდენში, რომში, ვენეციაში, უკანასკნელად — პარიზში.

იტალიაში ცხოვრების დროს თამარი გაიტაცა ამ ქვეყნის ხელოვნებამ — მიქელანჯელოსა და რაფაელის უკვდავმა ქმნილებებმა. მან ბევრი უნიკალური ნივთი ჩამოიტანა საქართველოში — მე-17-18 საუკუნის იტალიის ხელოვნების შესანიშნავი ნიმუში — იკონოსტაზი, რომელიც ამჟამად დაცულია საქართველოს ხელოვნების მუზეუმში, მე-17-18 საუკუნის საეკლესიო ხელოვნების იშვიათი ნიმუში კინოფესონალი და სხვ.

იმ დროს საქართველოს მუზეუმის მესვეური დიმიტრი შევარდნაძე, რომელიც ოცნებობდა საქართველოში ქართული ლუვრის დაარსებაზე, ხშირად მიმართავდა თ. ჭავჭავაძეს, რომელსაც ბევრი საინტერესო, უნიკალური ნივთი ჰქონდა საზღვარგარეთიდან ჩამოტანილი.

ქართული საზოგადოება თამარს იცნობდა, როგორც ქველმოქმედს, თავისი სამშობლოს სვებედით დაინტერესებულ პატრიოტ ქალს.

თამარ ჭავჭავაძეს, საქართველოში სილამაზით განთქმულ ქალს, რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრემ ფრეილინობა შესთავაზა და ფრეილინის სამკერდე ნიშანიც გამოუგზავნა — გვიამბობს მათი ახლო ნათესავი ივლიტა ჯორჯაძე.

თამარმა ასე შეუთვალა იმპერატორს: ქართველი მეფის შთამომავალი არასოდეს არ ყოფილა ფრეილინაო.

თამარ ჭავჭავაძე ბაგრატიონ-გრუზინსკაია გარდაიცვალა საკმაოდ ხანდაზმული, ოთხმოცდაერთი წლის ასაკში, 1931 წელს.



ელისაბედ ორბელიანი

1870-1942

თვალად. ცისად. მისმენა-მისმენით
ჰაეროვნად ფეფობილო.
მოძღვიმარო. ეუბარო
მოსურეუ. ენა ტებილო.
ვით ცის ფსათოობ. ეულის ბამთბობ
ვერ ბაძორეს ძორით თვალსა.
სანამ ფენეს ბამოუელი
სარეკეფო ფიმეოდესა.
ეხსოფდეს რომ ქართეული სარ.
ითის ნიადეფე ფდეარი
და ფსოლოდ ის ეკამდეფებს.
ვით ეფარდილი ფეკობარი.

აკაკი

ელისაბედ ირაკლის ასული ბაგრატიონ-ორბელიანი დაიბადა 1870 წლის 25 ოქტომბერს. მისი წინაპარი იყო ცნობილი მეამბოხე და ტახტის მუდმივი მაძიებელი ალექსანდრე ბატონიშვილი.

ელისაბედის მამა, ირაკლი ბაგრატიონ-გრუზინსკი ერეკლე II-ის შვილის, ალექსანდრე ბატონიშვილის შვილიშვილი იყო.

ელისაბედ ორბელიანი ქართულ მწერლობაში „საზანდარის" ფსევდონომით არის ცნობილი. მას უფრო იცნობენ, როგორც „ვეფხისტყაოსნის" ფრანგულ ენაზე მთარგმნელს, მაგრამ მარტო ამით არ ამოიწურება მისი დამსახურება. მის სახელთან დაკავშირებულია მრავალმხრივი ლიტერატურული საქმიანობა.

ე. ორბელიანმა ბავშვობა და ახალგაზრდობა საზღვარგარეთ გაატარა. ცხოვრობდა შვეიცარიაში, იტალიაში, საფრანგეთში. მწერალი ქალი გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ საუკეთესო ახალგაზრდობის წლების გატარება უცხოეთში მოუხდა და სამშობლოსათვის ვერაფერი გააკეთა. მაგრამ, როცა საქართველოში, თავის მშობლიურ მიწაზე ფეხი დადგა და თავისი ქართული ენის სიტკბო იგრძნო, უმალ ჩაება ქართულ კულტურულ-საზოგადოებრივ საქმიანობაში და ღრმა მოხუცებულობამდე კალამი ხელიდან არ გაუგდია...

... მამუაა ორბელიანი და ელისაბედი, მიუხედავად თავიანთი უზრუნველი ცხოვრებისა, შვილებს დემოკრატიულ-სპარტანული პრინციპით ზრდიდნენ, აჩვევდნენ შრომას, გაჭირვებულის დახმარებას, თავმდაბლობას. ამ მხრივ პატიოსნებისა და კაცთმოყვარეობის განსახიერება იყო ელისაბედის უმცროსი ვაჟი თამაზ ორბელიანი, რომელიც უცხო ენებს ასწავლიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ელისაბედის მეორე ვაჟი, ნიჭიერი პიანისტი ირაკლი ორბელიანი, ოცდაორი წელი ამერიკაში მოღვაწეობდა, სადაც გარდაიცვალა კიდეც. იგი იყო საუკეთესო პიანისტი, მის შესახებ გამოჩენილი რუსი კომპოზიტორი, ს. რახმანინოვი ამბობდა ხოლმე: ჩემ შემდეგ ჩემ ნაწარმოებებს ყველაზე უკეთ ირაკლი ორბელიანი ასრულებსო.

ცნობილია, — გვიამბობს ოლგა ლეონოვა (ელისაბედის დისშვილი-ო.ნ.), — რომ ელისაბედ ორბელიანის ვაჟი ირ. ორბელიანი სახელგანთქმულ იტალიელ მომღერალ ჯილისთან ერთად გამოდიოდა კონცერტებზე საზღვარგარეთ.

როდესაც ელისაბედის შესახებ ვლაპარაკობთ, არ შეიძლება, არ ავღნიშნოთ მისი დედოფლური, არისტოკრატული გარეგნობა, რითაც ასე აჯადოებდა უცხოეთიდან თუ რუსეთიდან ჩამოსულ სტუმრებს.

ალექსანდრე ჭავჭავაძის შთამომავლობისათვის უცხო არ იყო სალონების ტრადიცია, ამიტომ, სტუმართმოყვარეს, მხიარულს, საინტერესო მოსაუბრეს, ელისაბედ ორბელიანს მუდამ გარს ეხვეოდნენ თავისი ქვეყნის მერმისით დაინტერესებული ქართული საზოგადოების წარმომადგენლები. მისი სალონის ხშირი სტუმრები იყვნენ აკაკი, ვაჟა, იაკობ ნიკოლაძე, გიგო გაბაშვილი, უფრო გვიან — იოსებ გრიშაშვილი, შალვა დადიანი, კონსტანტინე გამსახურდია, ალექსანდრე აბაშელი, ნინო ორბელიანი, ნუცა ჩხეიძე და სხვები.

ელისაბედის ოჯახის კარი მუდამ ღია იყო რუსეთიდან, საზღვარგარეთიდან ჩამოსული სტუმრებისათვის. ისინიც ვალდებულად თვლიდნენ თავს, მშვენიერი დიასახლისისათვის დაეტოვებინათ რაიმე სახსოვარი. პოეტი ქალის ალბომში წერდნენ საკუთარ ლექსებს, ნაწყვეტებს, შენიშვნებს და სხვ.

1932 წელს ელისაბედ ორბელიანმა თავისი ალბომი საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმს გადასცა. ამჟამად იგი ამ მუზეუმის ფონდშია დაცული სახელწოდებით: „პოეტების, მხატვრების, მსახიობებისა და სხვათა ალბომი“

ელისაბედ ორბელიანის ალბომში ჩვენ შევხვდით ხელოვნებისა და ლიტერატურის გამოჩენილი წარმომადგენლების — მარსელ პრევოს, ფრანსუა კოპეს, ს. რახმანინოვის, თ. შალიაპინს, ა. ნერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ალ. აბაშელის, კ. გამსახურდიას და სხვათა ჩანაწერებს...

დღეს ბევრმა არ იცის, რომ ქ. მოსკოვში გლინკას სახელობის მუზეუმში დაცულია ე. ორბელიანის მიერ ფრანგულ ენაზე თარგმნილი მ. ლერმონტოვის „დემონი“, რომელიც მწერალ ქალს დიდი სიყვარულით მიუძღვნია ს. რახმანინოვისათვის.

„ბატონო რახმანინოვ! — სწერდა პოეტი ქალი რუს კომპოზიტორს. — თქვენ თაყვანისმცემელთაგან ყველაზე აღფრთოვანებული ვბედავ, გიბოძოთ ეს წიგნი. ის არ არის ლერმონტოვისა და თქვენი ღირსი, მაგრამ პირველი ნაყოფია ჩვენი მუშაობისა და ამიტომ გთავაზობთ თქვენ, დაიმედებული, რომ მომავალში უკეთესს გავაკეთებ.

ნაიკითხეთ მშვენიერი წინასიტყვაობა კოპესი.

ვურთავ ორ ლექსს, ერთი ზაფხულს დავწერე, მეორე მოგვიანებით.

ორივე ლექსი თქვენც ჩვენ საუბარს მოგაგონებთ გუშინდელ საღამოს, თქვენი მშვენიერი კონცერტის შემდეგ, რომლის გავლენა დღემდე გამომყვა“

ეს სიტყვები ინერებოდა 1913 წელს, როცა ს. რახმანინოვი საქართველოში ჩამოვიდა და პირველად ეწვია ორბელიანის სალონს. მშვენიერი დიასახლისის ოჯახში იგი გაეცნო დიდ ქართველ კომპოზიტორებს — ზაქარია ფალიაშვილს, დიმიტრი არაყიშვილს, კონსტანტინე მელვინეთუხუცესს და სხვებს.

დავით რექტორი ალექსიშვილი

1745-1824

ფოტო (ნახატი) ქვეყნდება პირველად. მოგვანდა ფოტო გიგი ჯაჯანიძემ (ი. თბილისი)

ეს ჩემი ძრომა რექტორსა შეესძღვენ.
ჩემსა ვამზრდელსა, ჩემსა ლიდღისა.
ბრძენს მეცნიერსა. სწავლულსა კაცსა.
განათლებულს. ქართლისა თავადსა.

დავით ბატონიშვილი

ელავის სემინარიის რექტორად დანიშვნის შემდეგ დავით ალექსიშვილის სახელი ცნობილია ზედწოდებით: რექტორი. უწოდებენ მას, აგრეთვე, „სამეცნოთ მოძღვარსა და მასნავლებელს", „ფილოსოფოსს", რომელსაც ზედმეტი სახელიც აქვს — „კომიკი ცუკია" ასე უწოდებდნენ, რადგან ის თავის დიდ ენციკლოპედიურ განათლებას უერთებდა იუმორის დიდ ნიჭს. მასზედ უთქვამს პოეტს ქალს მარიამ ირაკლი მეორის ასულს:

„დაბრძანდით მინის სკამზედა
გვერდით მოისვით ცუკია..."

XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დამდეგს ალექსიშვილებმა მნერლობისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგში გაითქვეს სახელი. დავით რექტორის პაპა — გრიგოლ მესხიშვილი ცნობილი მხატვარი იყო. გრიგოლის ძე — ალექსი, ვისგანაც მოდის ალექსიშვილის გვარი, ერეკლე მეორის დროს მოღვანეობდა... ალექსი გრიგოლის ძე მესხიშვილის დამსახურების გამო ერეკლემ ამ გვარს მიუბოძა ალექსიშვილობა. ამის შემდეგ მესხიშვილები ალექსიშვილებად იწოდებიან. დავით ალექსანდერეს ძე ალექსიშვილი-მესხიშვილი, რომელიც ახლა ალექსიშვილად მოიხსენიება, იყო კახეთიდან (სოფ. კისისხევიდან). დავითის ძმებმაც მნერლობითა და საზოგადო მოღვანეობით გაითქვეს სახელი.

იოანე ბატონიშვილი „კალმასობაში" ასე ახასიათებს დავით რექტორს: „დავით ალექსიძე... არს გონება მკვეთრი და კარგი მეხსიერი, მწერალი მშვენიერი, ვითარცა ხელნანერებით აგრეთვე დათხზვითაც... ამან შემატა ლექსიკონს, არს უცხო ისტორიკოსი ძველთა და ახალთა მოთხრობათა, რომელიც ქებულარს ჩვენთაგან" დავით ალექსიშვილის ასეთივე დახასიათება დაგვიტოვეს სხვა მნერლებმა და მისმა შეგირდებმა.

საქართველოს ერთ-ერთი კუთხის კახეთის მცხოვრებნი, ალექსიშვილები ნინათ მესხიშვილები იყვნენ. დავით რექტორის პაპა გრიგოლ მესხიშვილი საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოიტანს ამ გვარს. გრიგოლი იყო გამოჩენილი მხატვარი და კალიგრაფი თავისი დროისა. დავით რექტორის მამა ალექსიც ერთგული მებრძოლი იყო თეიმურაზ მეორისა, ირაკლი მეორისა და ანტონ პირველისა. ალექსის ღვანლი მიუძღვის ქართულ მნერლობაში, მის ერთ-ერთ საინტერესო, მაგრამ ურთულეს დარგში, რასაც ლიტურგიკული ენოდება. იმის მიუხედავად, რომ ალექსიშვილები XVIII საუკუნეშიაც გვხვდებიან, არსებობს სარწმუნო ცნობა, რომ ალექსიშვილი სახელიდან მიღებული გვარია, რომელიც დიდი ჯილდოსა და დამსახურების სამაგიეროდ ალექსის უბოძა ირაკლი მეფემ.

ალექსის ჰყავდა შვილები: დავითი, ნიკოლოზი, გიორგი, ზაქარია, იოსები და სოლომონი. მწერლობითა და საზოგადო მოღვაწეობით თავი ისახელეს დავით და სოლომონ ალექსიშვილებმა.

დავითი დაიბადა თელავში. არის საბუთები, რომ მან სწავლა განაგრძო მოსკოვის სლავურ-ბერძნულ-ლათინურ აკადემიაში. 1790 წელს დავითი გახდა თელავის სემინარიის რექტორი, სადაც 1801 წლამდე მოღვაწეობდა.

დავით რექტორის დაბადების დროის შესახებ ერთიანი აზრი არ არსებობს. 1802 წელს დავით ალექსიშვილმა განაცხადა, რომ ის 39 წლისაა, მაგრამ აქ შეცდომას უნდა ჰქონდეს ადგილი. ამ ცნობით დავითი 1763 წელს გამოდის დაბადებული, ჩვენ კი დავინახეთ, რომ 1771 წელს ის თხზულებას წერს, რაც 8 წლის ასაკში შეუძლებელია. „აქტების" ბეჭდვისას, ალბათ, შეცდომაა გაპარული. ამასთან, არსებობს მეორე ავტოგრაფიული, უფრო სანდო ცნობა, რომელიც დავით რექტორის ნაწერების ავტოგრაფიულ კრებულშია დაცული. აი, ეს ცნობა:

„როდესაც ღრამატიკას ვჰკითხულობდი და პატარაც ვიყავ, მაშინ დიდმა კათალიკოსმა, მეფის იესეს ძმამ ანტონიმ მიბრძანა: მისი სიმაღლის, მეფის ირაკლის ქება იამბიკოთი ჰსთქვიო და მაშინ ეჰსთქვი, მე კითლშობილმან ალექსის ძმამან დავითმან, რომელ ორმოცდახუთისა წლისა განვლისა ვიქმენ სრულიად კახეთისა სამეფოსა რექტორად"

დღეისათვის დასაბუთებულია, რომ დავითი თელავის სემინარიის რექტორად 1790 წელს დაინიშნა, მაშასადამე, ის 1745 წელს დაბადებულა. ამას არ ეწინააღმდეგება ისტორიკოს პლატონ იოსელიანის (1809-1875 წ.) მასალები, რომელთა მიხედვით დავით რექტორი 1824 წელს 80 წელს გადაცილებული მიიცვალა...

1755 და 1782 წლებში გაიხსნა თელავისა და თბილისის სემინარიები. აქ უნდა ესწავლა დავითს. 1762 წლიდან, როგორც დავინახეთ, როცა ანტონი რუსეთიდან ბრუნდება, დავითი განაფულია „პოლიტიკაში" („პროსოდია") და ანტონის დავალებით იამბიკოებსაც კი თხზავს ირაკლი მეორის შესაქებად.

თუ რაოდენ აფასებდნენ დავითს საეკლესიო-საერო წრეები, შემდეგიდან ჩანს: როცა ანტონ პირველი რუსეთიდან დაბრუნდა, იქაური მაგალითის მიხედვით, დააარსა „დიკასტერია" — საეკლესიო მართლმსაჯულების ორგანო; მასში შედიოდნენ ეპისკოპოსები, არქიმანდრიტები, დეკანოზები; ისინი დიკასტერიის წევრებად ინიშნებოდნენ მეფის ბრძანებით. დიკასტერიის წევრად დაინიშნა დავით რექტორიც...

ჩვენი ქვეყნის მაშინდელი მესვეურები დიდად კმაყოფილნი იყვნენ დავით ალექსიშვილის სასკოლო მოღვაწეობით. 1792 წელს მეფე ირაკლი წერს დავით რექტორს:

„შენი დიად დიდი გარჯა და შრომა გვესმის. დიაღ, მადლიერნი ვართ. შენ იცი, რასაც უმეტესსა ეცდები და ღვთით მაგ ქვეყანაშიდ კეთილს ნაყოფს გამოიღებ და... შენდა რნმუნებულს ტალანტს აღნადგინებითურთ მიართმევ. ამაზე სარწმუნო იყავ, რომ შენი შრომის მაგიერს ჯილდოს მიიღებ სულიერადაც და ხორციელად"

თელავის სემინარია, რომელიც ბასილ დიდის სახელობაზე იყო გახსნილი, გახდა XVIII საუკუნის ქართველი ინტელიგენციის სამჭედლო. გარდა იმისა, რომ დავითი რექტორი იყო ამ სემინარიისა, იგი ასწავლიდა, სხვათა შორის, „ფისიკა-თეორეტიკებრს" და „ითიკას ხრისტიან ბაუმეესტრისა"

თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობით, დავით რექტორი გამხდარა, აგრეთვე, ქართლ-კახეთის სკოლების „ინსპექტორი და უპირველესი მოძღვარი"

როცა მეფემ თბილისის სკოლების შემონმება მოისურვა, ეს საქმე დავითს მიანდო. დავითმა შეამონმა კალოუბნის, სიონის, მეტეხის, ქაშვეთისა და ანჩისხატის სკოლები.

როგორც ვთქვით, დავით ალექსიშვილს აფასებდნენ XVIII-ს. II ნახევრისა და XIX-ს. დამდეგის მოღვაწენი, მათ შორის მეფის ძენი და ასულნი. ბევრ მათგანს საამაყოდ მიაჩნდა, ეთქვა — ვიყავ თელავში შეგირდათ დავით რექტორთანაო (იონა ხელაშვილი, თეიმურაზ ბატონიშვილი...).

1801 წლიდან დავით რექტორი თბილისსა და თავის მშობლიურ სოფელში (კისისხევში) ცხოვრობდა. თავს მწერლობით ირთობდა. უკანასკნელი წლები დავითმა სიღარიბეში გაატარა, როგორც გამოჩენილი კალიგრაფი, თავს ხელნაწერების გადაწერა-გადანუსხვით ირჩენდა.

სოლომონ ლიონიძე

კნიაზ სოლომონ ლიონიძე

1754-1811

თან ახლდა მეფეს თავის მსაჯული.
ნიჭთა კეთილთა უხვად მორჭმული.
ვის არა გახსოვთ სოლომონ ქველი.
მეფის შინაგა, ყმათ საყვარელი!

ნ. ბარათაშვილი

ლიდი ქართველი ორატორი და სახელმწიფო მოღვაწე, სოლომონ ლიონიძე დაიბადა 1754 წელს თელავში. მისი სიყრმის კუთხე კახეთია. ის შიდა კახეთის ნარჩინებულ ლიონიძეთა შთამომავალია სოფელ კონდოლიდან.

სოლომონი იყო შვილი თელავის კარის დეკანოზის ანდრია ლიონიძისა... განათლება მიუღია თელავის სამეფო კარის სკოლაში. აქ მას შეეძლო მოესმინა ცნობილ ქართველ სასულიერო პირთა და მეცნიერთა ლექცია-ქადაგებანი და წაეკითხა მეფის ბიბლიოთეკაში დაცული იშვიათი წიგნები და ხელნაწერები. აქვე შეეძლო, შეესწავლა რუსული, სომხური, სპარსული და თურქული ენები, რომელთა ცოდნას იჩენდა და იყენებდა ის თავისი პოლიტიკური მოღვაწეობის ფართო ასპარეზზე.

ერეკლეს მახლობელ ადამიანთა და სახელმწიფოს უზენაეს მმართველთა შორის ს. ლიონიძეს დიდხანს ეჭირა მეტად საპატიო ადგილი. ის მე-18 საუკუნის უკანასკნელი მეოთხედისა და მე-19 საუკუნის დამდეგის საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების აქტიური მონაწილეა.

ს. ლიონიძე იბრძოდა საქართველოს გაერთიანებისათვის, მონაწილეობდა ჩვენი სამეფოების საშინაო და საგარეო საქმეებში, ზრუნავდა ქართველი ხალხის ეკონომიკური და სამხედრო ძლიერებისათვის და ხელს უწყობდა ეროვნული კულტურის აყვავებას.

სოლომონ ლიონიძის უშუალო მონაწილეობით შემზადდა, გაფორმდა და ძალაში შევიდა 1783 წლის ცნობილი ხელშეკრულება საქართველოსა და რუსეთს შორის. — „შეგობრობითი პირობა", რომლის ძალით ქართლ-კახეთი შევიდა რუსეთის მფარველობაში...

1790 წელს ს. ლიონიძის აქტიური ჩარევით დაისვა და დამუშავდა საკითხი საქართველოს დაქსაქსული სამეფო-სამთავროების შეკავშირება-შეერთებისა და დაიდო უზენაეს ხელისუფალთა საკავშირო ხელშეკრულება.

ს. ლიონიძის პირადი შემწეობით განხორციელდა ჩვენში ბევრი ისტორიული მნიშვნელობის სახელმწიფო მისია — დიპლომატიური მოლაპარაკება, სადარბაზო თათბირი, ბჭობა-კამათი და გამორჩევა...

იოანე ბატონიშვილი „კალმასობაში" ამბობს: „ესე იყო გონებამახვილი, წერილთა შინა გამოცდილი. სიტყვა-მარჯვე და საქმისა წერათა შინაცა კარგი"

საკუთარი სიტყვითა და საქმით უკვდავყოფილი ს. ლიონიძე დიდებისა და მადლიერების სხივით შემოსა მისი მომდევნო თაობის უდიდესმა წარმომადგენელმა ნ. ბარათაშვილმა. პოემა „ბედი ქართლისა" გვაუწყებს:

თან ახლდა მეფეს თავის მსაჯული,
ნიჭთა კეთილთა უხვად მორჭმული,
ვის არა გახსოვთ სოლომონ ქველი,

მეფის შინაყმა, ყმათ საყვარელი!

აქ სოლომონ ლიონიძის ნარუშლელი პორტრეტია დახატული.

ერეკლე II-ის გარდაცვალების შემდეგ ს. ლიონიძე ერთხანს ისევ ქართლ-კახეთის სახელმწიფო საქმეებისა და პოლიტიკური ცხოვრების აქტიური მონაწილეა. ის საქართველოს სამეფო კარზე ისევ თვალსაჩინო და გავლენიან მოღვაწედ მოჩანს პოლიტიკურ ძალთა ჭიდილის არენაზე. როცა ბაგრატიონთა დინასტიის შიგნით გაჩნდა შეურიგებელი დაჯგუფებანი, ს. ლიონიძე ქვრივი დედოფლის მომხრეთა შორის აღმოჩნდა... მეფის. რუსეთის მაღალი მოხელეები ამ ბრძოლაში დავით ბატონიშვილს თანაუგრძნობდნენ. ასეთ პოლიტიკურ ვითარებაში 1801 წელს ს. ლიონიძე დააპატიმრეს...

განთავისუფლების შემდეგ, 1802 წელს, სოლომონ ლიონიძეს იმერეთში ვხედავთ. სოლომონ მეორის კარზე ის დიდი პატივით მიიღეს. იმერეთის მეფემ ს. ლიონიძეს შეუნარჩუნა მაღალი თანამდებობანი და უბოძა ადგილ-მამულები იმერეთსა და რაჭაში — კაცხის, მინდასა და ბარაკონის მიდამოებში.

1803 წელს იმერეთის მეფე ს. ლიონიძეს აძლევს ელჩის რწმუნებას და დიპლომატიური მისიით მიავლენს რუსეთში ალექსანდრე I-ის კარზე. მეფის სურვილი იყო იმერეთის რუსეთთან შეერთება, მაგრამ ისე, რომ სამეფო ტახტი შეენარჩუნებინა. ამ სურვილს იზიარებდა ს. ლიონიძეც. მეფის ელჩი იმპერატორმა თუმცა პატივისცემით მიიღო, მაგრამ უპასუხოდ გამოისტუმრა. ამის მიზეზად მოჩანს მეფისა და მისი ელჩის პირადი მტრება ფარული მონაწილეობა სახელმწიფო საქმეებში.

1804 წელს ს. ლიონიძე პეტერბურგიდან იმერეთში ბრუნდება და ერთხანს კვლავ მეფესთან ვხედავთ. 1810 წელს იმერეთის რუსეთთან შეერთების და მეფის თურქეთში გაქცევის შემდეგ სოლომონი მის კვალს გაჰყვა და ქ. ახალციხეს გადაიხვეწა.

აქ უცხოობასა და სიმარტოვეში გაატარა დიდმა ორატორმა თავისი უკანასკნელი დღეები. გარდაიცვალა 1811 წელს. დასაფლავებულია ახალციხეში.



გოდერძი ფირალიშვილი

ქართველი მწიგნობარი, პოეტი, მთარგმნელი გოდერძი პავლეს ძე ფირალიშვილი დაიბადა თელავში. მოღვაწეობდა ერეკლე II-ის კარზე. 1801 წლიდან მსახურობდა პეტერბურგში, საგარეო საქმეთა კოლეგიაში, როგორც მთარგმნელი და კალიგრაფი.

გ. ფირალიშვილს ეკუთვნის „თვითმასწავლებელი ორთა ენათა, ესე იგი რუსთა ქართველისა და ქართველთა რუსულისა" (პეტერბურგი, 1820), „საზოგადო მდივნობა" (პეტერბურგი, 1921), რომლებშიც თავმოყრილია ოფიციალური და კერძო მიმონერის ნიმუშები. გ. ფირალიშვილის „ვეფხისტყაოსნის" სიუჟეტზე შექმნილი ტრაგედია, რომელიც არ შეესაბამებოდა კლასიცისტური დრამის კანონებს, არ გამოქვეყნებულა ლექსებში „გლოვა მეფისა ირაკლისა" და „ტორუასა და ნიბლიას გაბაასება" ალეგორიულად არის გამოხატული ავტორის თავგადასავალი, აგრეთვე, ერეკლე მეფისა და სოლომონ ლიონიძის კონფლიქტი.



გიორგი მაისურაძე

1817-1885

1817 წლის 6(18) ივნისს თელავის რაიონის სოფ. წინანდალში დაიბადა ქართული რეალისტური პორტრეტის ფუძემდებელი, ფერმწერი გიორგი მაისურაძე.

გიორგი მაისურაძე ყმა იყო პოეტ ა. ჭავჭავაძისა, რომელმაც იგი 1837 წელს ყმობისგან გაათავისუფლა და სასწავლებლად პეტერბურგში გაგზავნა. მაისურაძე პირველი ეართველი ფერმწერია, რომელმაც განათლება პეტერბურგში, სამხედრო აკადემიაში მიიღო (1837-4466.). იყო კ. ბრიულოვის მონაფე. 1850 წლიდან ქართულ გიმნაზიაში ასწავლიდა ხატვას. მისი ნამუშევრების დიდი ნაწილი დაკარგულია. ცნობილია რამდენიმე: ი. ჭავჭავაძის, ნ. აბულაძის პორტრეტები, ავტოპორტრეტი (1870-იანი წლები, ყველა საეართველოს ხელ. მუზ.) და სხვ.

„ნელაა ათას რვაას ოცდაჩვიდმეტსა დღესა ივნისისა, მე გენერალ-მაიორმა და კავალერმა თავადმა ალექსანდრე გარსევანის ძე ჭავჭავაძემ სამუდამოდ მივეცე თავისუფლება ჩემს საკუთარ გლეხს გრიგოლ მაისურაძეს, შვილს ივანესი, უცოლოს, უკანასკნელი რევიზიით, საქართველოში თელავის მაზრაში, სოფელ წინანდალში ჩემზე მონერილს; მხოლოდ იმ უჩვეულო ნარმატებათა ნაქეზებისათვის, რაც მან გამოიჩინა უკანასკნელი ორ ნლის განმავლობაში ფერნერასა და ხატვაში, ვხედავ რა მის მონდომებას და ნიჭს და მსურს რა ყოველივე ეს განვითარდეს და გაიფურჩქნოს საზოგადო სარგებლობისათვის, აალევე საპარგებლოდ მხატვრობისა, ვჩუქნი მე მას თავისუფლებას“ (ალ. ჭავჭავაძე)...

„ანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავსო, — ამბობს ქართული ანდაზა და მართლაც, ამ ბრძნული ხალხური ანდაზის აზრს ამართლებს ქართველი ყმა გლეხის ოჯახიდან გამოსული — გიორგი მაისურაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მაგალითი.

გიორგი მაისურაძემ ყველაფერი გააკეთა, რაც კი მასზე იყო დამოკიდებული, რომ ეართული საბვითი კულტურა შეძლებისდაგვარად განევითარებინა. მაგრამ იმდროინდელი ცხოვრების სიდუხჭირემ და უკულმართა პირობებმა ფრთები შეაკვეცა „ბემოღმედგბას და მას, როგორც ადამიანს და მხატვარს, ასპარეზი დაუხშო.

გიორგი მაიაურაძე იმდროინდელ საქართველოში მოკლებული იყო არა მარტო ფარ-ი ეამოქმედო ასპარეზსა და სათანადო შემოქმედებით გარემოცვას, მოკლებული იყო არა მარტო მომთხოვნელსა და მეცენატს, არამედ მოკლებული იყო იმ დროის სახვით ხელოვნებაში ნიმდინარე დიდ მოძრაობასთან ზიარებას და გაცნობის საშუალებებსაც, რაც ასე აუცილებელია ყველა მხატვრისათვის.

გ. მაისურაძეს მხოლოდ მისი შემოქმედებითი მოღვაწეობის დასაწყისში ხვდა წილად ბედნიერება, ყოფილიყო იმ დიდი ძვრების მეთვალყურე, რასაც ადგილი ჰქონდა მისივე ეპოქის რუსულ და ევროპულ ხელოვნებაში.

საეართველოში — ქუთაისში მცხოვრები მაისურაძე მოწყვეტილი იყო ვრცელ სამოღვაწეო ასპარეზს და იმ დროისათვის ერთ მივიწყებულ და ჩამორჩენილ პროვინციულ ეალაქში იყო გამომწყვდეული...

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სახატავი მასალები იმ დროს ქუთაისში კი არა, თბილისშიც არ იშოვებოდა.

მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ სახალხო მხატვარმა გიგო გაბაშვილმა და მისმა წინამორბედმა ცნობილმა თუ უცნობმა ქართველმა მხატვრებმა, და მათ შორის გიორგი მაისურაძემაც, უდავოდ დიდი როლი შეასრულეს ქართული საპორტრეტო ჟანრის განვითარებაში.

გ. მაისურაძის შემოქმედება არსებითად განსხვავდება საქართველოში მომუშავე მისი დროის სხვა მხატვრების შემოქმედებისაგან. მის მიერ შექმნილ პორტრეტებზე ასახული პიროვნებანი სხვადასხვა სოციალური წრეების წარმომადგენელნი არიან. მაგრამ მეტნილად რაზნოჩინელებს ხატავდა მხატვარი და ეს ერთგვარ დემოკრატიულ ხასიათს ანიჭებდა მის შემოქმედებას. ასევე რამდენადმე განსხვავებულია და თავისებური მისი ხატვის მანერაც.

გიორგი მაისურაძე ქართველი ხალხის კულტურის ისტორიას, როგორც ადამიანი და მხატვარი, შემოუნახა და არ დაუკარგა მისივე უტყუარმა ნიჭმა; არ დაუკარგა, რადგან იგი მთელი ცხოვრების მანძილზე სანთელივით ენთო და თავისი შემოქმედების სურნელსა და გუნდრუკს სნორედ მშობელი ხალხის სასახელოდ და სასიყვარულოდ აკმევდა.

გიორგი მაისურაძე უკულმართი ცხოვრების პირობებისგან განწირული მხატვარი, თანადროული ყოფისა და კულტურის პირობებში ხელახლა შემოდის ჩვენ ცნობიერებაში. დღეს მას შეიძლება მივუსადაგოთ გურამიშვილის სიტყვები: *„ვითა დავლამდი, ისე გავთენდი"*

გიორგი თუმანიშვილი

1774-1837

ქართველი პოეტი და მნიგნობარი — გიორგი ეგნატეს ძე თუმანიშვილი დაიბადა 1774 წელს კახეთში.

1790 წლიდან იყო ჯერ ერეკლე II-ის, მერე გიორგი XII-ის მდივან-მწიგნობარი. მოგვიანებით იმყოფებოდა რუსეთის სახელმწიფო სამსახურში. 1820 წელს მიიღო სტატუსი სოვეტნიკის ჩინი. დიდი წვლილი მიუძღვის გ. თუმანიშვილს ქართული ლიტერატურის ძეგლთა შეკრებისა და გამრავლების საქმეში. მისი დავალებით გადაინერა მრავალი ქართული ხელნაწერი. თვითონაც კალიგრაფი იყო. იგი ბესიკისა და საიათნოვას პოეტური სკოლის მიმდევარია. და არის, „ვეფხისტყაოსნის" ერთ-ერთი ინტერპოლატორი.

გიორგის მამა „ეგნატი მდივანი თუმანიშვილი" ირაკლის დროს გამოჩენილი მოღვაწე იყო. 1801 წლის შემდეგ მას ეჭირა მდივანბეგის თანამდებობა და დროებითი მთავრობის ნევრადაც აირჩიეს. იმ დროს ქართულ პოეზიაში სახელი და პატივისცემა ჰქონდა დამსახურებული გიორგი ეგნატის ძეს. მეგობრობდა მასთან დავით რექტორი. პეტრე ლარიძე ააე მიმართავს გიორგის:

მუსიკო, ლვინწლეეთილო ლა.
მთავარმოწყალეო, სახელტაბილოდა.
ძმეო სიყვარულით ალყსილ მეგელოდა.
ეაქოთ ედეშს დანერვილოდა.
ხისნლ ძრაყალ დადვრით სარდილოდა.
ჩეოთ ადილი სულსაკრილოდა.
ძენ ქორეველთა მცდელ სარდილოდა
ძეძაკ ყმოდე ძნეე ძარტვილოდა.

პოეტს დიდი პატივი დაუდვია მეგობარი პოეტისათვის:

გიორგი თუმანიშვილი გიორგი ძლევამოსილისათვის (კაპადუკიელი) შეუდარებია. „მუშაკი" ან იგივე გიორგი ერთგვარი ფსევდონიმია. ეს სახელი („მუშაკი") ერთგან გამოყენებულია გ. თუმანიშვილის ავტოგრაფიულ ლექსში.

ირაკლი მეფის სიცოცხლის უკანასკნელ წლებში და გიორგი მეცამეტის მეფობის ხანაში (1798-1801 წწ.) გიორგი თუმანიშვილი ჩამოყალიბებული პოლიტიკური მოღვაწე ჩანს. ის დაესწრო 1801 წლის ცნობილი მანიფესტის გამოცხადებას და რუსეთში ეახლა იოანე ბატონიშვილს. იოანეს გარდა გიორგი თუმანიშვილი მეგობრობდა პოეტ პეტრე ლარიძეს, ალ. ფავფავაძეს, გ. ავალიშვილს და სხვ...

გიორგი თუმანიშვილი „ბესიკის პოეტური სკოლის" წარმომადგენელია. მის ერთ-ერთ ლექსში, იაე როგორც ბესიკთან, რითმად გამოყენებულია სახელი „ანა":

ნარნარად ძნეო ზანანე,
სიტკბოებით ძანანე
ძენეებით ზარიფანე
ძეტოსილად ეარდის ძანე... ।

ცნობილია, რომ გიორგი თუმანიშვილმა გამართა ვეფხისტყაოსნის ერთ-ერთი ხელნაწერი და სტროფებიც შემატა მას.

დიმიტრი თუმანიშვილი

? - 1821

ახალ აღნაგო სულო და
ედემში აღმოსულოდა
ჩემს ეტლზე დაყრილი და.
სიცოცხლეს ბეჭან მოველი
უკვდავება ხარ ცხოველი.

დ. თუმანიშვილი

ქართველი პოეტი დიმიტრი იოსების ძე თუმანიშვილი მდივნად იყო ერეკლე II-ის, შემდეგ გიორგი XII-ის კარზე. მონაწილეობდა რუსეთ-საქართველოს შორის პოლიტიკური ურთიერთობის დამყარებაში. თუმანიშვილის პოეზიას ბესიკის ლირიკის გაელენა ატყვია. მისი ლექსებისათვის დამახასიათებელია გრძნობის სიცხოველე, სევდიანი განწყობილება, მწიგნობრული, მაღალფარდოვანი სტილი, განყენებული სახეებისა და ცნებების სიუხვე, უცხო ლექსიკის გამოყენება. მასვე ეკუთვნის სახოტბო და რელიგიური ხასიათის ლექსები. თუმანიშვილის ლექსი „ახალ აღნაგო" პოპულარულ სიმღერად იქცა, ითარგმნა რუსულად და ინგლისურად. მას დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ა. პუშკინზე, რომელმაც ეს ფაქტი აღნიშნა თხზულებაში „მოგზაურობა არზრუმში" თუმანიშვილის სიმღერა ნოტებზე გადაიტანა ზ. ფალიაშვილმა.

თუმანიშვილების გვარმა ბევრი კარგი და სახელოვანი მოღვაწე მოგვცა. ისინი მდივნობით იყვნენ ცნობილნი. პირველი მდივანი, მამუკა თუმანიშვილი XV საუკუნის ბოლოს გვხვდება. ირაკლი მეორის მდივანი იყო იოსებ თუმანიშვილი. მდივნები იყვნენ დიმიტრი, გიორგი, დავით და ავთანდილ თუმანიშვილები. მათ პოეზიაშიც ისახელეს თავი.

ისტორია იშვიათად არგუნებს პოეტს დიმიტრი თუმანიშვილის ბედს. თავის დროზე პუშკინმა გულთბილად ახსენა დიმიტრი თუმანიშვილის ერთ-ერთი ლექსი. პუშკინი, როგორც ცნობილია, 1828 წელს თბილისში ჩამოვიდა და, აქ, თბილისის საოჯახო სალონებსა და ლიტერატურულ წრეებში გააცნეს მას დიმიტრი თუმანიშვილის იმ დროს ფრიად პოპულარული ლექსი „ახალ აღნაგო სულოდა". პუშკინი თავის „არზრუმში მოგზაურობაში" წერს: „ქართული სიმღერის ხმა სასიამოვნოა; ერთ-ერთი სიმღერა სიტყვა-სიტყვით გადმომითარგმნეს; მასში რაღაც აღმოსავლური ფანტაზიაა, რამელსაც თავისი პოეტური ღირსება აქვს" შემდეგ მოყვანილია ლექსის სტრიქონ-სტრიქონი (პნკარედი) თარგმანი. დიმიტრი თუმანიშვილი 1821 წელს გარდაიცვალა და, მაშასადამე, ვერ მოესწრო, პირადად გაცნობოდა ახალი რუსული მხატვრული ლიტერატურის მამამთავარს.

„ახალ აღნაგოს" ავტორს საერთოდაც დიდი სიყვარულით იხსენიებენ თანამედროვენი... ლექსმა დიმიტრის თავისი ადგილი დაუმკვიდრა ძველ ქართულ პოეზიაში. „ახალ აღნაგო" ყველაზე უფრო გავრცელებული ლექსი იყო XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის პირველ ნახევარში. საინტერესოა, რომ ის უყვარდათ ქართული რომანტიზმის დიდ წარმომადგენლებსაც, მაგალითად, გრიგოლ ორბელიანს.

XIX საუკუნის 80-იან წლებში „ახალ აღნაგო" რუსულად გადაიღეს. შედარებით გვიან ეს ლექსი ინგლისურადაც გადაიღო ოლივერ უორდროპმა...

დიმიტრი თუმანიშვილის ლექსები, რომლებიც თბილისურ ხელნაწერებში გვხვდება, გამოცემულია 1938 წელს თბილისში.

გურამ რჩეულიშვილი

1934-1960

*„ძნ არ იცის კახეთი, ვინც ცოცხალია ჭკეზე ფიქრარს
დიუნახავს ალაზანი ქალიდან ამოვარდნილი ალიკერდი..*

გ.რჩეულიშვილი

ასაიქადულო ქართველი მნერალი გურამ მიხეილის ძე რჩეულიშვილი დაიბადა 1934 ნლის 4 ივლისს ქ. თელავში.

დღეს საქართველოში, ალბათ, იშვიათია ადამიანი, რომელიც არ იცნობდეს გურამ რჩეულიშვილის მაღალი ოსტატობით შესრულებულ ნანარმოებებს: „ალავერდობა", „ირინა", „სალამურა", „ნათელა", „უსახელო უფლისციხელი", „ნადირობა", „ესტატე", „კოლა და ვანო", „თვირთვილა", „ერთგული", „სიყვარული მარტის თვეში", „ტრამალი", „შემოდგომა ბაბუა კოტესი", „დევების ცეკვა", „ბათარეა ჭინჭარაული", „შპილკა", „ბაიათი თარზე", „მზიანი დღე", „მთაში" და სხვ.

ფართო საზოგადოებამ გულით მიიღო და სამუდამოდ შეიყვარა მისი კეთილშობილური სიდარბაისლით, დიდი ნიჭითა და განუზომელი სიყვარულით ავსილი ქმნილებები, მრავალი თბილი სტრიქონიც მიეძღვნა მის ხალას, ძარღვიან, უაღრესად თვითმყოფად შემოქმედებას.

ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე უტყუარი ტალანტით დაჯილდოებულმა ადრე დაბრძენებულმა ჭაბუკმა ბევრი რამის გაკეთება მოასწრო და მიაღნია, კაცურ სახელთან ერთად ლამაზი, საკუთარი წარუშლელი კვალი დაეტოვებინა მდიდარი ტრადიციებია მეონე ქართული მწერლობის ისტორიაში, ქცეულიყო თაობის საყვარელ მწერლად და რომანტიკულად ამაღლებულ პიროვნებად...

გურამს ერთ ადგილზე გაჩერება არ შეეძლო, კახეთსა და თელავში ყოფნა უყვარდა. საქართველოს ყველა კუთხე არაერთხელ ფეხითაც ჰქონდა მოვლილი. შედარებით ხშირად მშობლიურ თელავში იმყოფებოდა.

თელავის გულში, ნადიკვარზე, ერთადერთი საცხოვრებელი სახლი დგას, ძველებური ნაშენი, ერთსართულიანი ქვითკირის სახლი, სქელი კედლებით, მყუდრო ოთახებით, ბუხრითა და ფართო აივნით დამშვენებული. სახლის უკანა ფასადის აივანი სწორედ ალაზნის ველისკენ გადის და აქედან ისე დამატყვევებლად ჩანს ალაზნის ველი, როგორც ოქროსანიდან თბილისი...

სახლი ნადიკვარზე რჩეულიშვილებს ეკუთვნით. თავის დროზე აქ ცხოვრობდნენ გურამი, პაპა დიმიტრი რჩეულიშვილი, ბებო საშა ჯავახიშვილი, გურამის მამა და ბიძები, მამიდა და ნამიდაშვილები.

ეს მიდამო გურამს უყვარდა ისევე, როგორც უყვარდა ბარაქიანი, მადლიანი კახეთი...

გურამი დიდად კმაყოფილი იყო, რომ ასე მოგვიბლა მისმა მშობლიურმა კუთხემ, ბუნებამ, ალაზანმა ადამიანებმა და ხშირად გულიანად გვეპატიჟებოდა ხოლმე თელავში. — იგონებს ნუგზარ წერეთელი, — ხშირად შუაში გვეჯდა და რომელიმე საინტერესო წიგნს გვიკითხავდა ან ფრანგულიდან გვითარგმნიდა გურამის უსაყვარლესი ბებო, უკვე მოხუცებული და დიდი ჯაფისაგან ნელში მოხრილი საშა ჯავახიშვილი, მრავალმხრივად განათლებული და განსწავლული, სათნო და სასიამოვნო ადამიანი, ქართველი ხალხის

სახელოვანი შვილის, ივანე ჯავახიშვილის ღვიძლი და. ეჭვი არ არის, შვილიშვილს მანაც თავისებური ღვაწლი დასდო და გურამის კლასიკური ქართულით დაწერილ მოთხრობებს მისი ამაგის ანარეკლიც ატყვია...

გურამ რჩეულიშვილის შემოქმედების შესწავლისას კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იგი ადამიანის დამოკიდებულებას გარე სამყაროსთან, გვიჩვენებს, რომ ადამიანი არის სამყაროს შვილი, ნაწილი, სისხლი და ხორცი, ამავე დროს — მისი შემქმნელი და გარდამქმნელი. ამ მიზნით გამოძერწილი ბევრი სახე ცხადად, რელიეფურად არის ნაჩვენები. ეს ღვთით მომადლებული ნიჭი ბევრ მოთხრობაში ნათლად ჩანს...

გურამი ძალზე ადრე წავიდა ჩვენგან, წავიდა და სამუდამოდ გაუნელებელი გულისტკივილი დაგვიტოვა. შავი ზღვის ტალღებში დასრულდა ნათელი და მრავალი სიკეთის მომტანი სიცოცხლე. ეს იყო ჭეშმარიტად დიდი დანაკლისი, როგორც ქართული მწერლობისა და ქართველი ხალხისათვის, ისე მისი მეგობრებისა და ახლობლებისათვის, რადგან გურამ რჩეულიშვილი იყო უნიჭიერესი მწერალიც, ნაქები ვაუკაციც და სამაგალითო მოქალაქეც.

კონსტანტინე კოტე მაყაშვილი

1875-1927

კაცის სიტი ავიტანოთ
უფრო ზევით, უფრო ზევით
და მსოფლიოს სიტკვა თაუზედ
დაუდგეთ ეგი ქვის ქვევით.

ქართველი პოეტი კონსტანტინე (კოტე) ზაქარიას ძე მაყაშვილი დაიბადა 1875 წელს თელავის რაიონის სოფ. იყალთოში.

მამამისი, ზაქარია მაყაშვილი გაღარიბებული თავადი იყო... ხოლო დედა — აბელიშვილის ასული — მეტისმეტად გულკეთილი, უნყინარი ადამიანი.

1895 წელს კ. მაყაშვილმა დაამთავრა თბილისის გიმნაზია და პეტერბურგს გაემგზავრა, სადაც იურიდიულ ფაკულტეტზე განაგრძო სწავლა. აქ შეუდგა კოტე ქართული ენის შესწავლას. იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ იგი საქართველოში დაბრუნდა.

1900 წელს თბილისის ქართულ გიმნაზიაში მუშაობდა მასწავლებლად. 1903 წელს აირჩიეს სათავადაზნაურო ბანკში დამფასებლად, 1915 წელს — იმავე ბანკის დირექტორად.

კოტე მაყაშვილი იყო სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის დამაარსებელი და პირველი თავმჯდომარე (1926 წლამდე), ხელოვანთა კულტურის კომიტეტისა და ხელოვანთა სასახლის თავმჯდომარე. ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის, ფილარმონიულ, საისტორიო-საეთნოგრაფიო, დრამატულ საზოგადოებათა წევრი და სხვ.

კ. მაყაშვილი ქართველ პოეტთა იმ სახელოვან პლეადას ეკუთვნის, რომლებმაც მთელი თავისი ცოდნა და ნიჭი სამშობლოს მიუძღვნეს. მისი პოეტური ხმა სათავეს პოულობს XIX საუკუნის ქართულ პატრიოტულ ლირიკაში, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ილიას თაობამ მიანიჭა. და მაინც, კ. მაყაშვილის ლირიკა უფრო ვახტანგ ორბელიანისა და მამია გურიელის პოეზიას ენათესავება. ამ მხრივ, მისი ლექსები XX საუკუნის ქართულ პოეზიაში რომანტიკოსების დაგვიანებული გამოძახილი იყო. არც ერთ ქართველ მწერალს ისე თანაბიმდევრობით არ უტარებია ჩვენ დროში ძველი საქართველოს, თამარისა და ერეკლეს საქართველოს გაცოცხლების ოცნება, როგორც კ. მაყაშვილს.

როგორც ცნობილია, XIX ს. ქართულმა მწერლობამ, ილიასა და აკაკის სახელოვანმა პლეადამ ხელოვნების ახალი დროშა აღმართა ქართულ მწერლობაში, დროშა, რომელზეც მკაფიოდ იყო წარწერილი ბრძოლა საქართველოს ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის.

კოტე მაყაშვილმა თავის ერთ-ერთ სადებიუტო, უსათაურო ლექსს ილია ჭავჭავაძის სიტყვები წაუმძღვარა: „ციურო ხმაებო, ოჰ, საკვირველებო". ეს ფაქტი შემთხვევითი არ არის, იგი განსაზღვრავს კ. მაყაშვილის ლიტერატურულ კრედოს. ცნობილია, რომ ი. ჭავჭავაძის მებრძოლი პოეზიისათვის ნაკლებდამახასიათებელი იყო რომანტიკული განდგომა ცხოვრებისაგან და ციური ხმებით ტკბობა. ილიას პოეზიის სწორედ ეს მეორეხარისხოვანი მოტივი აირჩია და განავითარა კ. მაყაშვილმა...

კონსტანტინე მაყაშვილი იყო ძველი, მოწინავე ქართველი ინტელიგენციის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, რომლის პოეტურ შემოქმედებაშიც მეტ-ნაკლები მსატვრული სიძლიერით აისახა ის რთული, სულიერი წინააღმდეგობანი, რომლებიც ამ ინტელიგენციას ახასიათებდა...

კოტე მაყაშვილის შემოქმედებას უმთავრესად ასაზრდოებს ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეები, ფართო დემოკრატიული იდეალები, ფიქრი ხალხის ბედზე, მის დუხჭირ აწმყოსა და იმედის აღმძვრელ მომავალზე. მის პოეზიაში ვხვდებით ლექსებს, რომლებიც სევდიანი განწყობილებით არიან დამძიმებულნი, ვხვდებით ლექსებსაც, რომლებიც იმედის ნაპერწკლებს აფრქვევენ.

კ. მაყაშვილის ლირიკა სევდიანია, ცრემლნარევი, იგი გაბმული მოთქმაა იმედგაცრუებული და გულმოკლული პოეტისა. კოტე მაყაშვილი გულწრფელად აცხადებდა:

სული აკნესის დამწარი.
ქვეყანელი მუდამ ბედსა მე
მწარე ნადვლით ავსებენ
ცული ცრემლით ვავსებ.

სევდიანი პოეტი ერთგვარ ნუგეშს მხოლოდ ნარსულში პოულობდა. საქართველოს გმირული წარსული იყო პოეტის ოცნების მასაზრდოებელი.

... საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში კ. მაყაშვილის ლირიკა ერთგვარად გაიბზარა. სევდა და მისტიკა დაეუფლა მის პოეტურ სულს.

მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, კოტე მაყაშვილი გარდაიცვალა 1927 წლის 29 აგვისტოს ნაღვერში. იგი დაკრძალეს 2 სექტემბერს დიდუბის პანთეონში.

ზეცაზედ ვარსკვლავები
დიდსანს კოფლთფალე...
ერთ ვარსკვლავში ჩემ ყოცანი.
ეაფოფ ეესცეალე!
იმალეეცობ და ილიმები
ეერფად მოცილე!
არ ეაძორეებ თვალსა მთვარე.
ცაზე მოეალე!..

ორი საუკუნის მიჯნაზე დაუკავშირებს თავის ბედს ჩინებული პოეტი და მოქალაქე კოტე მაყაშვილი გამოჩენილი ქართველი მწერლის ეკატერინე გაბაშვილის ასულს, თამარს. ახლად ჯვარდაწერილთა სურათის ნახვას არაფერი სჯობს — ფერი ფერსა და მადლი ღმერთსაო... ქალი სათნო და კდემამოსილი, ვაჟი — ახოვანი და ამაყი. ამ მირონცხებულ წყვილს, რომელთა სათუთი გრძნობები პეტერბურგიდან გამოგზავნილ გაყვითლებულ ბარათებს შემოუნახავთ, ხუთი შვილი შეძენია: მარო, შალვა, კატუნა, ნუნუ და... ნუგეშა!

1927 წლის 29 აგვისტოს, ნაღვერში, 52 წლის ვაჟკაცი მეხდაცემულ მუხასავით წაიქცა... თითქოს წინასწარ გრძნობდაო განსაცდელს, როცა წერდა: „ვნუხვარ, ვერ დავშრიტე სიცოცხლის წყურვილი"

ელენე ახვლედიანი

1901-1975

საქართველოს სახალხო მხატვარი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი ელენე დიმიტრის ასული ახვლედიანი დაიბადა 1901 წლის 5 აპრილს ქ. თელავში.

ბრნყინვალე ფერმწერი და ნათელი პიროვნება — თავისი ძველი და მუდამ ახალგაზრდა თბილისისათვის უბრალოდ „ელენე" იყო, „ელიჩკაც" კი (ეს მოკლე და ალერსიანი სახელი მისდამი უდიდესი სიყვარულისა და პატივისცემის ნიშანია). თავის თბილისს, თავის საქართველოს დაუტოვა ელენემ უძვირფასესი განძი — ღრმად ეროვნული, თვითმყოფადი, ტემპერამენტული, გამომსახველი, დიდ მრავალფეროვნებასთან ერთად შინაგანად მთლიანი შემოქმედება, რომელმაც უაღრესად ზუსტად და სრულად ასახა მხატვრის რომანტიკული ხასიათი, მისი მებრძოლი ბუნება, მისი მთრთოლვარე სული, მისი არაჩვეულებრივად მდიდარი შინაგანი სამყარო, განუზომელი სიყვარული თავისი ქვეყნისა და თავისი ხალხისადმი და უსაზღვრო თავდადება თავისი საქმისადმი.

ელ. ახვლედიანი დაიბადა თელავში, შუაგულ კახეთში, რომლისადმი სიყვარული მას გაჰყვა სამუდამოდ. სწავლობდა თბილისში, ქალთა მეორე გიმნაზიაში.

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ელენე შევიდა სამხატვრო აკადემიაში, საიდანაც 1922 წ. გაგზავნეს საზღვარგარეთ სწავლის გასაგრძელებლად. ამ ხუთმა წელმა, რომელიც მან გაატარა იტალიასა და პარიზში, კოლოროსის „თავისუფალ აკადემიაში", ხელოვნების უდიდესი ნანარმოებთა გაცნობამ და მუყაითმა შრომამ დაასრულა მისი სამხატვრო განათლება. უკვე ჩამოყალიბებული ოსტატი მონაწილეობს პარიზის „დამოუკიდებელთა სალონის" და „შემოდგომის სალონის" გამოფენებზე, შემდეგ კი თვითონვე აწყობს პირველ პერსონალურ გამოფენას. ნამუშევრებს აგზავნის ამერიკაში და მინვევას ღებულობს ჰოლანდიაში.

ეს იყო მხატვრის პირველი და ბევრისმთქმელი გამარჯვება. „ქალაქის მიდამოების პოეზია სხვებსაც აუსახავთ მთელი სიცხოველით, მაგრამ გგონია, რომ ძველი თბილისის ატმოსფეროს პირველად გრძნობ... ელენე ახვლედიანის სურათები თითქოს სურნელებითაა დატვირთული, ყოველი სურათი გამსჭვალულია გულწრფელი ემოციებით. მისი ნახატები უაღრესად მომხიბვლელნი არიან თავისი სიმსუბუქითა და სიფაქიზით". — ასეთ შეფასებას აძლევს მას ერთ-ერთი ფრანგი კრიტიკოსი. სამშობლოში დაბრუნებული ელენე ახვლედიანის საანგარიშო გამოფენები თბილისში, თელავსა და ქუთაისში 1927-28 წლებში საქართველოს მხატვრული ცხოვრების დიდ ზეიმად იქცა. თვითმყოფადი, მკვეთრი და ძლიერი ხელწერის მქონე, სრულიად ჩამოყალიბებული ოსტატის მიერ შექმნილი სამყარო გადაიმალა აღტაცებული დამთვალიერებლის თვალწინ.

ელენე ახვლედიანის ყოველი სურათი — ესოდენ რომანტიკული, „ყოველდღიურობისაგან" თავისუფალი, თითქოს ერთი შთაგონებით, ერთი ამოსუნთქვით არის შესრულებული.

ერთ საღამოს ქუთაისში მყოფ ელ. ახვლედიანს კოტე მარჯანიშვილის ბარათი დახვდა: „თქვენთან შეხვედრა მინდა" ამ დღიდან დაიწყო მხატვრის თანამშრომლობა დიდ ხელოვანთან, რომელიც ახალ თეატრს ქმნიდა და რომლის „ჭეშმარიტი მონაფე და თანამოაზრეც გახდა იგი"

ელ. ახვლედიანის თეატრალური შემოქმედება (მან კი ოთხმოცამდე სპექტაკლი გააფორმა საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ) ქართული თეატრის ისტორიის ერთ-

ერთი ბრწყინვალე ფურცელია. მისი სპექტაკლები — „როგორ?", „ყვარყვარე თუთაბერი", „სამი ბღენძი", „მზის დაბნელება საქართველოში", „აურზაური არაფრის გამო", „რუი ბლაზი", „ძალად ექიმი", „ღამურა", „ბალ-მასკარადი", „სოფლის პატიოსნება", „ბოჰემა", „ჯამბაზები" და სხვა დაუვიწყარია სანახაობრივად.

ელენე ახვლედიანის თეატრალური დადგმებისა და კოსტიუმების ესკიზები გვაოცებენ თავისი მრავალფეროვნებით.

ელენე ახვლედიანის კოსტიუმების ესკიზები დამოუკიდებელი გრაფიკული ნანარმოებებია, მკვეთრი და ნმინდა ნახატით, ექსპრესიული, გამომეტყველი. მათში ავტორი უკვე გვევლინება, როგორც ნიჭიერი გრაფიკოსი, ნახატის დიდოსტატი. სწორედ ამიტომ, 30-იანი წლებიდან, მის შემოქმედებაში დიდ ადგილს იკავებს წიგნის გრაფიკა, ილუსტრაცია.

ქართული წიგნის გრაფიკის დიდი შენაძენია ეგ. ნინოშვილის „მოსე-მწერალი", მარკ ტვენის „ტომ სოიერი", ლონგფელოს „სიმღერა ჰაიავატაზე", დავით კასრაძის „ქალ-ჰეპელა"

ელ. ახვლედიანის შემოქმედება უაღრესად მრავალწახნაგოვანია, მაგრამ მაინც მისი ინდივიუდალობის განმსაზღვრელია პეიზაჟური ფერნერა. ბუნება — მის მრავალსახეობასა და სისავსეში — ელენეს საყვარელი თემაა.

მისი ბუნება არსებობს არა თავისთავად, ურყევად და განყენებულად, არამედ თითქოს ამსახველია თვით ოსტატის ხასიათის, განწყობილების; იგი მთრთოლვარეა და ცვალებადი, ხან მზიური და გაღიმებული, ხან მოღუშული, გულჩათხრობილი და კუშტი, ხან კი რბილი, მორცხვი, ლირიკული.

ელენეს ბუნება ხან სადღესასწაულოა და ბრწყინვალე, ხან კი უაღრესად ინტიმური, შინაურული.

განსაკუთრებით გულშიჩამწვდომია ელენეს „პატარა გატაცება" — ზამთარი, ასეთი სილამაზით რომ გასდევს მთელ მის შემოქმედებას.

თბილისი ელენე ახვლედიანის უპირველესი სიყვარული იყო, — ოსტატის მგზნებარე ფუნჯით უთვალავჯერ აღბეჭდილი და უკვდავყოფილი. თბილისი — მზიური და ფერადოვანი, თბილისი — უეცარი ზამთრის საფარქვეშ მიმალული.

ფასდაუდებელ განძად ჩვენ ელენე ახვლედიანის მხატვრული შემოქმედება, მისი უზარმაზარი მემკვიდრეობა დაგვრჩა.

ამბობენ, — „ხეები ზეზეურად კვდებიანო"

1975 წლის 28 დეკემბერს ამაყი და შეუდრეკელი წავიდა ჩვენგან ისე, როგორც მბოლოდ მას შეშვენოდა და შეეფერებოდა.

ნიკო ჩუბინაშვილი

1728-1814

ბიდი ქართველი მეცნიერი, მკვლევარი, ქართული ლექსიკოგრაფიის ფუძემდებელი ნიკოლოზ (ნიკო) ჩუბინაშვილი დაიბადა 1728 წელს ქ. თელავში. იგი გამოჩენილი ლექსიკოგრაფი, გრამატიკოსი, მთარგმნელი და პედაგოგი იყო, ძველი ქართული მწიგნობრობის მოამაგე და მკვლევარი. მან შეისწავლა ჩვენი ძველი ხასულიერო და საერო ლიტერატურის ძეგლები და ამის საფუძველზე შეადგინა ორიგინალური ლექსიკონი, რომელიც დღესაც ინარჩუნებს მაღალ მეცნიერულ ღირებულებას.

მეცნიერმა 1845 წელს იმოგზაურა პალესტინაში და აღწერა ჯვრის მონასტრის ხელნაწერები. პირველად მიაგნო აქ რიგ უნიკალურ ქართულ ძეგლს, მათ შორის გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას“

ნ. ჩუბინაშვილმა პირველმა გადმოიღო ჯვრის მონასტერში დაცული კედლის ფრესკიდან შოთა რუსთაველის პორტრეტი და ჩამოიტანა პეტერბურგში.

მან შემოქმედებითად განავითარა საბას მემკვიდრეობა და სათავე დაუდო ახალ მიმართულებას ქართულ ლექსიკოგრაფიაში; შეიმუშავა განმარტებითი ლექსიკონის შედგენის ოპტიმალური პრინციპები...

ნიკო ჩუბინაშვილის „ქართული ლექსიკონი“ ქართული ენათმეცნიერების ისტორიის შესანიშნავი ძეგლია. ნ. ჩუბინაშვილის „ქართული ლექსიკონი“ მნიშვნელოვანი მოვლენაა ქართული ენათმეცნიერული აზრის ისტორიაში არა მხოლოდ იმით, რომ ქმნის ახალ ეტაპს ლექსიკოგრაფიის განვითარების გზაზე, არამედ იმითაც, რომ მის „შესავალში“, რომელიც ქართული ენის ფონეტიკასა და გრამატიკას ეხება, წამოჭრილი და გაანალიზებულია ჩვენი ენის სტრუქტურის კვლევის საქმეში დიდი მნიშვნელობის მქონე ბევრი საკითხი.

ქართული ენის ფონეტიკის შესწავლის საქმეში მნიშვნელოვნად უნდა ჩაითვალოს ნ. ჩუბინაშვილის მოსაზრებანი ძველ ქართულ ასოთა ხმარებისა და მათ ბგერით გამოხატულებასთან დაკავშირებით.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ნ. ჩუბინაშვილის დამსახურება ქართული ზმნის სტრუქტურული ეცევის კატეგორიის (მისი ტერმინით — მიჩემებითის) შემჩნევა-ანალიზში (ალ. ღლონტი).

ეჭვგარეშეა, რომ ნიკო ჩუბინაშვილი არის ორენოვანი ლექსიკოგრაფიის ფუძემდებელი საქართველოში. ამ დარგს საფუძველი ჩაუყარა არა მარტო მისმა რუსულ-ქართულმა ლექსიკონმა, არამედ მის მიერვე უფრო ადრე შექმნილმა ქართულმა ლექსიკონმა რუსული თარგმანითურთ...

ერეკლე II-ის მიერ ვლადიმირიდან ანტონ ბაგრატიონის გამოწვევის შემდეგ გაცხოველდა ფიზიკის სწავლება თბილისისა და თელავის სემინარიებში, საქართველოს ტერიტორიაზე უხვად მოფენილ საეკლესიო-სამონასტრო სასწავლებლებში...

ფიზიკის პოპულარიზაციის მიზნით ამ საგანს თბილისის სასულიერო სემინარიაში თვით ანტონი კითხულობდა, ხოლო ამავე მიზნის ლექციებს ფიზიკასა და ფილოსოფიაში ერეკლე II-ც ესწრებოდა.

1795 წლის 12 სექტემბრის ღამეს, როცა აღა-მაჰმად-ხანმა თბილისი გადაწვა, დაიღუპა ანტონ ბაგრატიონისა და ბაგრატიონთა საგვარეულო მდიდარი ბიბლიოთეკები, და ამ დროს, ჩვენი ვარაუდით, განადგურდა არსენ იყალთოელის მიერ შედგენილი „ ისიკაც" ამგვარად, მე-19 საუკუნის დამდეგისათვის საქართველოში არსებობდა მხოლოდ ვოლფის თეორეტიკები.

1802 წ. პეტერბურგისა და მოსკოვის წიგნების მაღაზიებში გამოჩნდა ჟაკ ბრისონის ფიზიკის კურსის სამტომეული, რომლის თარგმანი პ. სტრახოვმა შეასრულა...

1809 წ. იოანე ელიზბარის ძე ერისთავის თხოვნით ბრისონის ფიზიკის კურსის თარგმნა დაუწყია 21 წლის ნიკო ჩუბინაშვილს. სამი წლის განმავლობაში ჩუბინაშვილმა სამივე ტომი თარგმნა და ერისთავს ჩააბარა.

ხაზგასმით შეიძლება ითქვას:

ნიკო ჩუბინაშვილმა ამ შრომით ფასდაუდებელი ამაგი დასდო მოსწავლე ახალგაზრდობას და, საზოგადოდ, ტექნიკური ტერმინოლოგიის ქართულ ენაზე შექმნას, რითაც ქართველ მოსწავლე-ახალგაზრდობას იმთავითვე მისცა საშუალება, ფიზიკა მშობლიურ ენაზე შეესწავლათ.

ჟაკ ბრისონის სახელმძღვანელო იმდროინდელი ევროპისა და რუსეთის სამეცნიერო წრეებში ითვლებოდა როგორც უაღრესად პროგრესული, ათეისტური და ახალი იდეებით გაჟღენთილი. ამდენად, მან ქართველი ახალგაზრდობა ააცდინა მცდარი იდეების შესნავლას, რასაც ევროპის ახალგაზრდობა ვერ გადაურჩა. ამით ბრისონის ფიზიკის ქართულმა ვარიანტმა ჩვენი ახალგაზრდობა ევროპის დონეზე დააყენა.

ნ. ჩუბინაშვილის მემკვიდრეობა ჩვენი მეცნიერებისა და კულტურის ძვირფასი შენამატია.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია ზემოხსენებული სახელმძღვანელოს ორი ეგზემპლარი: ერთი, უშუალოდ ნ. ჩუბინაშვილს უნდა ეკუთვნოდეს, რადგან მასში მრავალი ჩანსორება, გადაკეთება, ტერმინის შეცვლა გვხვდება (ფონდი №3 და №4).



ლადო ალექსი-მესხიშვილი

1857-1920

ჩ ევოლუციამდელი ქართული თეატრის ბრწყინვალე ფიგურა, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ლადო მესხიშვილი (ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილი) დაიბადა 1857 წელს ქ. თელავში.

იგი შესანიშნავი გარეგნობის, დიდებული ხმისა და მგზნებარე ტემპერამენტის მსახიობი იყო. მის მიერ განსახიერებული როლები გამოირჩეოდა დიდი ჰეროიკულ-რომანტიკული შემართებით. იგი ერთნაირად ფლობდა ოპერეტის, კომედიის, დრამის, ტრაგედიის მსახიობის ოსტატობას, იყო ფრიად განათლებული და პროგრესულად მოაზროვნე პიროვნება.

ლ. მესხიშვილმა უმაღლეს დონეზე აიყვანა ქართული სამსახიობო ოსტატობა და საზოგადოებრიობა მსოფლიო დრამატურგიის საუკეთესო ნიმუშებს აზიარა.

მან თავისი შემოქმედების პირველი პერიოდი რუსეთში გაატარა და სხვადასხვა ქალაქის თეატრალურ დასებში მდიდარი აქტიორული გამოცდილება შეიძინა.

საქართველოში იგი უკვე ცნობილ და ჩამოყალიბებულ მსახიობად დაბრუნდა, რომლის ნარმატებებსაც დიდი პროფესიონალიზმი და შესრულების რეალისტური მანერა განსაზღვრავდა .

1881 წლიდან ლადო მესხიშვილი სათავეში ჩაუდგა თბილისის დრამატულ დასს, ხელმძღვანელობდა თბილისისა და ქუთაისის თეატრებს. ქართული თეატრი მჭიდროდ დაუკავშირა თანამედროვე ცხოვრებას. ლ. მესხიშვილის თეატრი მაყურებელში აღვიძებდა მეაფრ პროტესტს სოციალური უთანასწორობისადმი, ქადაგებდა თავისუფლებისაკენ სწრაფვას, პატრიოტიზმს; იგი თვითონაც აქტიურად მონაწილეობდა 1905 წლის რევოლუციურ გამოსვლებში და მაყურებელს ბრძოლის წყურვილით აღანთებდა არა მარტო სცენიდან, არამედ უშუალოდ აძლევდა ცარიზმის წინააღმდეგ ბარიკადებზე ბრძოლის მაგალითს.

...ლადოს არ შეეძლო, ხალხის ჭმუნვა თავის ჭმუნვად არ მიეჩნია და, როცა გაისმა მშრომელთა მგრგვინვარე ხმა, როცა 1905 წლის პირველმა რევოლუციამ შეარყია, თვითმპყრობელობის ტახტი, ლადო უბრალო მაყურებლის როლში არ დარჩენილა. მის მიერ სცენიდან წარმოთქმული კაიოხის მგზნებარე სიტყვები, ჟანის მონოლოგები მალამოსავით ეცებოდა მაყურებელს და აღმაფრენას ინვევდა; კაიოსის ხმას ბანს აძლევდა ქუჩებში აღმართული ბარიკადები. ლადო ჭირშიც და ლხინშიც ხალხთან იყო. სინამდვილე რომ არ იყოს, ზღაპრად, ლეგენდად მოგეჩვენებოდათ ქუთაისის ქუჩებზე დეკორაციებისაგან აბორხლილ ბარიკადებზე მდგომი, ლომივით ფაფარაყრილი, ხალხის მშვენება, ხალხის შვილი ლადო...

მსახიობის მიერ განსახიერებული მკვეთრი სახეები იმდენად დამაჯერებელი და უკვდავი იყო, რომ შენ, მის მომსწრეს და მაყურებელს, შეგიძლია, დახუჭო თვალები, ოცნებით გადაფრინდე ჭრელი თეატრის დარბაზში და განაახლო ის სახეები, რაც სანეტაროდ დაგვიტოვა მსახიობმა.

ლადო მესხიშვილი ეწეოდა ფართო რეჟისორულ მოღვაწეობასაც. მან საქართველოში საფუძველი ჩაუყარა მხატვრული კითხვის ოსტატობას.

ლადო მესხიშვილს დიდი დამსახურებისა და პოპულარობისათვის 1922 წელს, სიკვდილის შემდეგ, მიენიჭა საქართველოს სსრ სახალხო არტისტის წოდება. 1922 წლიდან მის სახელს ატარებს ქუთაისის სახელმწიფო დრამატული თეატრი. ლადო მესხიშვილი კლასიკური ტრაგედიული როლების პირველი ქართველი შემსრულებელია.

მალე თეატრის ცხოვრებაში დაიწყო ახალი ერა. დრამატული დასი დავით ერისთავის „სამშობლოს" მომზადებას შეუდგა. ქართველი მსახიობები სამშობლოსათვის „ სამშობლოს" დგამენ.

1882 წლის 20 იანვარს ქართულ თეატრს ზღვა ხალხი მოაწყდა... ხალხმა იხილა-ლევან ხიმშიაშვილი — ლადო მესხიშვილი, ვის ნიჭიერებაზე პირდაპირ ლეგენდარული ხმები დადიოდა. ხალხის წინაშე იდგა მშვენიერებით სავსე ვაჯკაცი, რომლის თვითოეული ჟესტი, მოძრაობა იპყრობად ყველას. გულის საძირკვლამდე გამტანმა ხმამ ხომ მთლიანად დაიმონა მაყურებელი. მთელი სპექტაკლი გადაიქცა სიყვარულის, მწუხარების, ტანჯვის, გმირობის სიმფონიად.

ძველად თეატრებში არსებული ნესის თანახმად ბენეფისები მხოლოდ რჩეულთ ეძლეოდათ, „სამშობლოს" დადგმიდან თერთმეტი დღის შემდეგ ლადო მესხიშვილის ბენეფისი გაიმართა, რაც მის დიდ პოპულარობას ადასტურებს.

დაიწყო მსახიობის მეტად მძიმე, მღელვარებით აღსავსე და საინტერესო ცხოვრება. სამშობლოდან გამგზავრება და კვლავ ქართული თეატრი, ლადო თავისი ისტატობით იპყრობს ყველას, მხატვრული ზომიერების გრძნობა არასოდეს ღალატობს...

დიდი მსახიობი დიდი მასნავლებელიც იყო. ახალგაზრდები ლადოს თამაშით იღებდნენ თეატრალურ განათლებას. ლადო ჭირშიც და ლხინშიც ხალხთან იყო. სინამდვილე რომ არ იყოს, ზღაპრად, ლეგენდად მოგეჩვენებოდა, რომ 1905 ნელს ქუთაისის ქუჩებზე დეკორაციებისაგან აგებულ ბარიკადებზე ლომივით ფაფარაყრილი, ხალხის მშვენება, ხალხის შვილი ლადო ადამიანებს თავისუფლებისა და ბედნიერებისაკენ მოუნოდებდა.

ჭეშმარიტი ხელოვნება ყოველთვის სცილდება ეროვნულ ფარგლებს და ყველასათვის სათაყვანებელი და საუკუნო ხდება. ლადომ თავისი განუმეორებელი შემოქმედებით სამარადისო ძეგლი დაიდგა ჩვენი ხალხის გულში.

ზაზა ალექსიძე

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პარიზის სორბონის უნივერსიტეტის მინვეული პროფესორი ზაზა ნიკოლოზის ძე ალექსიძე დაიბადა 1935 წლის 3 აგვისტოს ქ. თელავში. 1953 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა ქ. თელავის I საშუალო სკოლა. 1953 წელს შევიდა და 1958 წელს ასევე წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი საქართველოს ისტორიის განხრით. 1958-68 წლებში მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში და აქვე გაიარა ასპირანტურის კურსი ქართულ-სომხურ ფილოლოგიაში პროფ. ილ. აბულაძის ხელმძღვანელობით. 1968 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ეპისტოლეთა ნიგნი" 1968-79 ნლებში მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის წყაროთმცოდნეობის განყოფილებაში უფროს მეცნიერთანამშრომლად. 1979 წლიდან დღემდე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის არმენოლოგიის კათედრის გამგეა. ამავე ხანებში რამდენიმე წელს შეთავსებით მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში და იყო თბილისის სასულიერო აკადემიის პროფესორი. 1984 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ადრეული შუა საუკუნეების კავკასიის იდეოლოგიისა და კულტურის პრობლემები" 1989 ნლიდან დღემდე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორია; არის გელათის მეცნიერებათა აკადემიის დამფუძნებელი ნევრი და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნევრ-კორესპონდენტი, პარიზის სორბონის უნივერსიტეტის მინვეული პროფესორი.

პროფესორი ზაზა ალექსიძე კარგად არის ცნობილი ჩვენს ქვეყანასა და უცხოეთში, როგორც თვისობრივად გამორჩეული, ფართო მასშტაბის მეცნიერი, კავკასიოლოგიის საკვანძო პრობლემათა მკვლევარი. მისმა შრომებმა, რომლებიც შექმნილია ისტორიულ-ფილოლოგიურ მეცნიერებათა და მათი დარგების სინთეზის საფუძველზე, არა მარტო დააყენეა და ახლებურად გადაჭრეს ქართველოლოგიის, არმენოლოგიისა და ალბანისტიკის მრავალი მნიშვნელოვანი პრობლემა, არამედ არსებითად შეუწყვეს ხელი საერთო კავკასიოლოგიური პრობლემატიკის კვლევის თანამედროვე ეტაპის განბორციელებას. ზ. ალექსიძე აქტიურად იკვლევს ადრე შუასაუკუნეების კავკასიის პოლიტიკურ, სოციალურ, კულტურულ და იდეოლოგიის პრობლემებს, კრიტიკულად ადგენს და ქართულ ენაზე თარგმნის ძველი სომხური საისტორიო მწერლობის ძეგლებს. მის სამეცნიერო მოღვაწეობას ორი ძირითადი მიმართულება აქვს: ქართული და სომხური მწერლობის ძეგლთა მეცნიერულ-კრიტიკული პუბლიკაცია და მათი ანალიზის საფუძველზე იმ მთავარი ისტორიულ-ლიტერატურული პროცესების გააზრება და რეკონსტრუქცია, რომლებიც მიმდინარეობდა ადრე შუა საუკუნეების კავკასიაში.

ზ. ალექსიძემ გ. აბრამიშვილთან ერთად გამოსცა ისეთი მნიშვნელოვანი ნაშრომი, როგორიცაა „ქართულ ფრესკულ ნარწერათა კორპუსი", ატენის სიონის ფრესკების ქვეშ აღმოაჩინა მხედრული დამწერლობის უძველესი ნიმუშები, ამოიკითხა და მოგვცა

პირველი მეცნიერული ანალიზი დავათის სტელებზე გამოვლენილი უძველესი ასომთავრული ანბანისა. ნლების განმავლობაში ზ. ალექსიძე იყო „საქართველოს ისტორიის წყაროების" კომისიის მთავარი სარედაქციო კოლეგიის ნევრი. მისი მხარდაჭერითა და უშუალო მონაწილეობით დაიწყო სერიის — „ქართული ეკლესიის ისტორია, მასალები და გამოკვლევები" — გამოცემა.

1990-2000 ნნ. ზ. ალექსიძის ხელმძღვანელობით მონყობილი ექსპედიციები სინას მთაზე მნიშვნელოვანი აღმოჩენებით აღინიშნა. სნორედ ამ ექსპედიციების დროს გამოავლინა მან „მოქცევაᲘ ქართლისაᲘსა" და „ასურელ მამათა ცხოვრების" უძველესი რედაქციები. განსაკუთრებით აღსანიშნავია კავკასიის ალბანეთის დაკარგული მწერლობის უნიკალური ძეგლის აღმოჩენა, რომელიც სავსებით სამართლიანად, საუკუნის აღმოჩენად შეფასდა. მანვე პირველმა ამოიკითხა და გამოაქვეყნა ქართული დამნერლობის ყველაზე ძველი ნიმუშები ნაზარეთში.

ზ. ალექსიძის ისტორიულ, ფილოლოგიურ, წყაროთმცოდნეობით, ტექსტოლოგიურ და ეპიგრაფიკულ გამოკვლევებს იცნობენ არამარტო ჩვენ ქვეყანაში. ფრანგმა კოლეგებმა მიერ დაინყეს მისი ნაშრომების ფრანგულ ენაზე თარგმნა, ხოლო ქრისტიანული კავკასიის პრობლემატიკის კვლევა სორბონის უნივერსიტეტში სნორედ მის ნაშრომებს ემყარება. ზ. ალექსიძის ნაშრომები მეცნიერული სიფხიზლისა და უტყუარი აღღოს წყალობით, ვფიქრობთ, გაუძლებს დროის გამოცდას და მომავალშიც შეინარჩუნებს მეცნიერულ ღირებულებას.

პროფ. ზ. ალექსიძის ნაშრომებს სამეცნიერო ღირებულებების გარდა პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვთ. მათი შედეგების გათვალისწინება მიზანშეწონილია კავკასიის ხალხთა ურთიერთობის პროგნოზირებისა და სათანადო რეკომენდაციების შემუშავებისათვის.

შალვა ამონაშვილი

პედაგოგი, ფსიქოლოგი, რუსეთის განათლების აკადემიის აკადემიკოსი, ამავე აკადემიის ნევრ-კორესპონდენტი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი შალვა ალექსანდრეს ძე ამონაშვილი დაიბადა 1931 წლის 8 მარტს თელავის რაიონის სოფ. ბუშეტში. 1955 წელს დაამთავრა თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი. მუშაობა დაიწყო საშუალო სკოლაში უფროს პიონერხელმძღვანელად. 1958 წელს დაამთავრა ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტის ასპირანტურა. 1960 წლიდან ამავე ინსტიტუტში მუშაობდა ლაბორანტად, უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად, სწავლულ მდივნად, ლაბორატორიის გამგედ, დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო ნაწილში, დირექტორად. 1987-1990 წლებში მუშაობდა ექსპერიმენტულ სამეცნიერო-საწარმოო პედაგოგიური გაერთიანების გენერალურ დირექტორად.

1964 წელს შ. ამონაშვილმა პროფესორ ბ. ხაჭაპურიძესა და დოცენტ გ. ფოფხაძესთან ერთად ჩამოაყალიბა ექსპერიმენტული დიდაქტიკის ლაბორატორია, რომელსაც დღემდე განაგებს.

შალვა ამონაშვილი ხელმძღვანელობდა დაწყებითი განათლების სფეროში მასობრივ ექსპერიმენტებს საქართველოს რამდენიმე რაიონში.

1992 წლის იანვრიდან პედაგოგთა საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტია. ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში შ. ამონაშვილი აღიარებული იყო, როგორც პედაგოგ-ნოვატორი. ამონაშვილის გამოკვლევები ეძღვნება „თანამშრომლობის პედაგოგიკას" (მისი ტერმინია), დაწყებითი განათლების ახალ სისტემას, პიროვნულ-ჰუმანური პედაგოგიკის საფუძვლებს.

შ. ამონაშვილი არის ყოფილი სსრკ სახალხო დეპუტატი, სსრკ უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს წევრი.

გიორგი გია არსენიშვილი

ბიორგი ლონგინოზის ძე არსენიშვილი დაიბადა 1942 წლის 5 იანვარს ქ. თელავში. აქვს უმაღლესი განათლება. — 1966 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი მათემატიკის სპეციალობით, 1970 წელს — კიევის მათემატიკის ინსტიტუტის ასპირანტურა. არის ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ასპირანტურის დამთავრების შემდეგ მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ მუშაკად, მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის უფროს მასწავლებლად. იყო ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის კათედრის დოცენტი, მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე. 1973-74 წლებში სტაჟირება გაიარა ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში. 1978 წელს აირჩიეს კიბერნეტიკისა და გამოყენებითი მათემატიკის ფაკულტეტის დეკანად, 1982 წლიდან იყო მათემატიკური მეთოდების გამოყენების კათედრის გამგე. 1993 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. უნივერსიტეტში მუშაობისას კითხულობდა სხვადასხვა სალექციო კურსს: ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა, მასობრივი მომსახურების თეორია, მათემატიკური მეთოდების გამოყენება ჰუმანიტარულ და საბუნებისმეტყველო დარგებში, მათემატიკური მეთოდების გამოყენება ეკონომიკურ გეოგრაფიაში, ეკონომეტრიკა.

გამოქვეყნებული აქვს 52 სამეცნიერო ნაშრომი, არის კავშირგაბმულობის საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

1995 წლიდან იყო სახელმწიფო რწმუნებული კახეთის რეგიონში, ხოლო 1999 წელს საქართველოს სახელმწიფო მდივანია. ფლობს გერმანულ, რუსულ ენებს.

ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და ორი შვილიშვილი.

ზაირა არსენიშვილი

საბჭოთა კინოს ისტორიას მოეპოვება მაგალითები, როდესაც მწერალი, ამ მემთხვევაში, სცენარისტი, ახალი ტიპის შექმნას უყრის საფუძველს რეჟისორის შემოქმედებაში. ასეთი იყო რეზო გაბრიაძისა და ელდარ შენგელაიას, სულიკო ჟღენტიას და რეზო ჩხეიძის, ჩინგიზ აიტმატოვისა და ტალაბეშ აკეევის ურთიერთთანამშრომლობა. ასეთი გაბლავთ ზაირა არსენიშვილისა და ლანა ღოღობერიძის შემოქმედებითი კავშირი, რამაც არაერთი საინტერესო ნიმუში შესძინა ქართულ კინემატოგრაფს.

ზაირა ივანეს ასული არსენიშვილი დაიბადა 1933 წლის 30 ნოემბერს თელავის რაიონის სოფ. იყალთოში. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ქართული კინო უდავოდ განიცდის კარგი სცენარების ნაკლებობას. ზაირა არსენიშილმა გაამდიდრა იგი დახვეწილი და ღრმა ნაწარმოებებით. მან შესძლო პოეტური სულის, დახვეწილი გემოვნების ეკრანზე გამოტანა. შესძლო მაყურებლისათვის მიეცა დაფიქრების, საკუთარ თავში წვდომის, კეთილსაწყისთა წარმოჩენის საშუალება და დაანახვა ბოროტზე, უარყოფითზე გამარჯვების გზები.

საინოლება და კეთილშობილება უფლებას არ აძლევს, გაიცხოს ადამიანი. ალბათ, ძალიან ძნელია, ყველა გიყვარდეს და ყველასი გჯეროდეს. ქალბატონ ზაირას კი სხვანაირად არ შეუძლია.

პირველად ზაირა არსენიშვილის სახელი ქართველმა საზოგადოებამ ლანა ღოღობერიძის „როცა აყვავდა ნუშის" შემწეობით გაიცნო.

ფილნი ადალგაზრდების შესახებ მოგვითხრობს, მაგრამ მასში ჩადებული ზნეობრივი პრობლემები სცილდება ვიწრო ჩარჩოებს. ადამიანის მიერ სწორი არჩევანის გაკეთება, მისი ადამიანად დარჩენის ან ჩამოყალიბების საკითხები არ არის მხოლოდ ჩვიდმეტწლიანთათვის გამიზნული. არც ერთ ვითარებაში, არანაირი განსაცდელის ჟამს არ უნდა დაკარგო შენი სახე, ღირსებები, უნარი უნდა შეგწევდეს, გარდაქმნა, უკუაგდო უარყოფითი. იმდენი უნდა იტვირთო, რაც შენი ადამიანობის საზომად გამოდგება. უარი უნდა ეთქვას სიავეს, კომპრომისს, რათა არ მოუტანო ზიანი არც საკუთარ თავს და არც გვერდით მდგომება. ამ სათქმელით დაიწყო ზაირა არსენიშვილმა მოღვაწეობა კინემატოგრაფში.

ფილმმა „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე" სახელმწიფო პრემიის ლაურეატობა მოიგო და მოუტანა გადამღებ ჯგუფს. მათ შორის „პირველ ვიოლინოს", ზაირა არსენიშვილს. იგი საიელმწიფო პრემიის ორგზის ლაურეატია.

ზაირა არსენიშვილის მოღვაწეობა მხოლოდ სცენარების წერით არ შემოიფარგლება. ოცი კინოიგუდია ქართული ფილმის რედაქტორია და მრავალ ფილმს გაუწია ლიტერატურული ედელიძღვანელობა. ერთ-ერთი მათგანია რ. ჩხეიძის „მობლიურო ჩემო მინავ" ზაირა არსენიშვილი წერს მოთხრობებს, რომანებს; იგი თავისი შემოქმედებით კიდევ ბევრ სიხარულს მოუტანს ჩვენ თანამემამულეებს.

გიორგი ბოგველიშვილი

წინანდლის საპატიო მოქალაქის გიორგი ბოგველიშვილის შემოქმედება ნახევარ საუკუნეზე მეტია მოკრძალებულ, მაგრამ თავისებურ კვალს სტოვებს ქართული პრესის ვრცელ ხნულში. იგი ქართველ ჟურნალისტთა იმ სახელოვან თაობას ეკუთვნის, რომელიც მეორე მსოფლიო ომის მრისხანე დღეებში იარაღითა და კალმით ერკინებოდა ფაშიზმს. გ. ბოგველიშვილი 1913 წლის 23 იანვარს დაიბადა თელავის რაიონის სოფ. წინანდალში. 1934 წ. ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, საიდანაც იმავე წელს გარიცხეს ილია ჭავჭავაძისა და მისი შემოქმედების ფილიპე მახარაძისეული შეფასების წინააღმდეგ გალაშქრებისათვის, რის შემდეგაც გიორგი ბოგველიშვილი იძულებული შეიქნა, სწავლა გაეგრძელებინა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში. რომელიც 1940 წელს დაამთავრა.

1941 წლის 1 აპრილს გ. ბოგველიშვილი საბჭოთა არმიაში გაიწვიეს. ახალგაზრდა ოფიცერი ფრონტზე დაზგის მეტყვიამფრქვეველთა ასეულს მეთაურობდა. 1944 წელს სარდლობამ დივიზიის გაზეთის რედაქციაში გადაიყვანა სამუშაოდ და იმ დროიდან არმიულ პრესაში სამხედრო კორესპონდენტის, ლიტმუშაკის, რედაქციის პასუხისმგებელი მდივნის, რედაქტორის მოვალეობას ასრულებდა.

არმიიდან მაიორის ჩინით დემობილიზაციის შემდეგ ის კვლავ აგრძელებს ჟურნალისტურ მოღვაწეობას: არის ჟურნალ „საქართველოს ბუნების" რედაქტორი, გაზეთ „კომუნისტის" განყოფილების გამგე, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს პრესცენტრის ხელმძღვანელი, სხვა ჟურნალ-გაზეთების თანამშრომელი. გ. ბოგველიშვილი მუშაობდა აგრეთვე ს. წინანდლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორად. დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით, არის შვიდი სამეცნიერო წიგნის ავტორი.

მერი ბოლქვაძე

ქართველი საბავშვო მწერალი მერი იოსების ასული ბოლქვაძე დაიბადა 1931 წლის 11 სექტემბერს თელავის რაიონის სოფ. წინანდალში, კახეთის ლამაზ და საქვეყნოდ ცნობილ სოფელში. 1949 წელს დაამთავრა მშობლიური სოფლის საშუალო სკოლა, ხოლო 1955 წელს პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი. 1956 წელს მუშაობა დაიწყო წინანდლის თელიანის საბავშვო ბაღის მასწავლებლად, 1957 წელს — ალ. ფავჭავაძის სახელობის სახლ-მუზეუმში ექსკურსია-მძღოლად, შემდგომ მეცნიერ მუშაკად.

მ. ბოლქვაძე 1979 წელს სამწლიანი მივლინებით (სამუშაოდ) მიემგზავრება ინდოეთის ქალაქ კალკუტაში, საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობის კულტურის განყოფილებაში.

პირველი მოთხრობა „დათოს ჩაქუჩი" დაიბეჭდა 1956 წელს ჟურნალ „დილაში" გამომცემლობა „ნაკადულმა" ზედიზედ გამოსცა მისი შესანიშნავი საბავშვო წიგნები: „ყაყაჩოები"— 1964 წელს, „ეშმაკუნა იხვი"— 1968 წელს, „მზის კუდრაჭები და პატარა ლრუბელი"— 1974 წელს, „კეთილი ფერიები"— 1977 წელს, „ვარსკვლავებიანი აუზი"— 1979 წელს, „დილის სერენადა"— 1983 წელს, „ვის მოჰყავს ზაფხული"— 1988 წელს. 1974 წელს ჟურნალ „დილას" რედაქციით — „სახელი"

1968 წელს მოსკოვის გამომცემლობა «Детская литература»-მ გამოსცა თარგმანი ბოლქვაძის წიგნისა „დათო და ზღვა", ხოლო 1979 წელს მოსკოვის გამომცემლობა «Малыш»-მა — "ჭიქა წყალი"

მ. ბოლქვაძის მოთხრობები იბეჭდებოდა სხვადასხვა ქართულ და რუსულ გაზეთებში.

1980 წლიდან იგი საქართველოს მწერალთა კავშირის წევრია. 1989 წელს მიღებული აქვს შინო მღვიმელის სახელობის პრემია, 1999 წელს დაჯილდოვდა ღირსების მედლით.

მერი ბოლქვაძე თეიმურაზ I-ის პირდაპირი შთამომავალია, ბაგრატიონ-ბაბადიშების მტო.

რევაზ ნიშველაძე:

„ნიტოვებული სახლი აკლდამას წააგავს. თვალები ჩამქრალი აქვს. საწოლქვეშ თაგვი შეუმფოთებლად ფბაქუნობს. ყველაფერს მტვერი დასდებია.

ეს ალ, დიდი ხნის შემდეგ გამოჩდნენ სახლის ბინადარნი. მწერალი ისე ოსტატურად ფაფავ 'სახლის გაცოცხლებას, რომ უცრემლოდ ვერ წაიკითხავთ. ბუხარში ცეცხლი ბაფარუნდა, სახლმა თვალებში გამოიხედა.

ეს მოთხრობა დიდი ხნის წინათ მაქვს წაკითხული, მაგრამ მიტოვებულ სახლებს რომ ვნახავ (და ასეთი ჩვენს სოფლებში საუბედუროდ იშვიათი როდია), მაშინვე გამახსენდება ბოლმე.

ავტორი მერი ბოლქვაძე გახლავთ."

ვახტანგ ბოჭორიშვილი

ქართველი ექიმი, სსრკ მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, აკადემიკოსი და საზოგადო მოღვაწე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ვახტანგ ბოჭორიშვილი დაიბადა 1924 წლის 25 მარტს.

1951 წელს დაამთავრა ქ. ხარკოვის სამედიცინო ინსტიტუტი. იმავე წელს მუშაობა დაიწყო ქ. ჩიმკენტის საავადმყოფოში ინფექციური განყოფილების გამგედ. 1952-54 წლებში მუშაობდა ექიმად სამხედრო ნანილში. 1954-56 წწ. იყო სამხედრო ჰოსპიტალში უმცროს, ხოლო შემდეგ უფროს ორდინატორად. 1956-1969 წწ. მუშაობდა დოცენტად ლენინგრადის სამხედრო აკადემიის ინფექციურ დაავადებათა კათედრაზე. 1969 წლიდან დღემდე ექიმთა დახელოვნების ინფექციურ სნეულებათა კათედრის გამგეა.

1970-73 წლებში საქართველოს ჯანდაცვის მინისტრია. 1981-1989 წწ. — IV სამმართველოს უფროსის მოადგილეა.

ვახტანგ ბოჭორიშვილი 21 წლისაც არ იყო, სოხუმის თეატრში რომ დაიწყო რეჟისორად მუშაობა, სადაც 1945 წლის მარტში გადავიდა რუსთაველის თეატრიდან, სადაც იგი ჩაირიცხა, როგორ რეჟისორთა დათვალიერების I საკავშირო კონკურსში გამარჯვებული; რუსთაველის თეატრში მეორე კატეგორიის რეჟისორის დიპლომით მოვიდა. იყო ს. ჭელიძის, მერე კი დ. ალექსიძის ასისტენტი ს. შანშიაშვილის პიესა — „ხევისბერ გოჩაზე მუშაობის დროს. სოხუმის თეატრში გადასვლა განაპირობა მისმა სურვილმა — დამოუკიდებლად განეხორციელებინა შემოქმედებითი ჩანაფიქრი.

ვახტანგ ბოჭორიშვილს ის წლები თავისი ცხოვრების საუკეთესო ხანად მიაჩნია. მან მაშინვე მიიქცია ყურადღება, როგორც არტისტული ბუნების კაცმა. პირადი ურთიერთობებისას საოცრად მომხიბვლელი იყო; ლექსებს პროფესიონალი მსახიობივით კითხულობდა. ფლობდა ორატორის ნიჭს, რითაც ერთბაშად იმორჩილებდა მსმენელს. იგი დაჯილდოებულია არაჩვეულებრივი მეხსიერებით, შესანიშნავად იცნობს ქართულ და რუსულ პოეზიას.

ვახტანგ ბოჭორიშვილი თბილად იხსენებს სოხუმის თეატრში გატარებულ დღეებს: „სოხუმმა გამაოცა თავისი სილამაზით. თავისუფალი დრო ბევრი მქონდა კითხვისათვის, ლექსების წერისათვის, სულში მუდამ გაზაფხული მქონდა“

ახალგაზრდა რეჟისორს მსახიობებთან მუშაობის საკუთარი მეთოდი ჰქონდა, რომელიც მათთან უშუალო კონტაქტის დამყარებაში ეხმარებოდა. მის „ხევისბერ გოჩას“ დიდი წარმატება ხვდა წილად. მიუხედავად ამისა, თეატრში შეიქმნა მწვავე კონფლიქტური სიტუაცია. ვახტანგ ბოჭორიშვილი დათმობაზე არ წავიდა. ვინაიდან იგი სოხუმში ჩავიდა საკუთარი შემოქმედებითი კრედოს რეალიზაციისათვის, დამოუკიდებელი ასპარეზის მოსაპოვებლად.

დამოუკიდებელი საქმის წყურვილმა, საქმისა, რომელშიც შეეძლებოდა საკუთარი დაუშრეტელი შემოქმედებითი ენერგიის დახარჯვა, ვ. ბოჭორიშვილი გაიყვანა ახალ, უცნობ გზაზე, მედიცინის ასპარეზზე და ხალხის ჯანმრთელობისათვის მებრძოლთა არმიას მისი სახით გამოჩენილი მსახური შეემატა, ვისთვისაც მკურნალის პროფესია განუყრელია ხელოვნებისაგან, კერძოდ, თეატრისაგან. მისი აზრით, თეატრი თუ ადამიანის სულის მკურნალია, მედიცინა ადამიანის ფიზიკურ მკურნალობაზე ზრუნავს.

ვახტანგ ბოჭორიშვილის სახელთან არის დაკავშირებული საბჭოთა კავშირში პირველი ეპიდემიური ცენტრის დაარსება, რისთვისაც იგი სახელმწიფო პრემიით დაჯილდოვდა.

ადამიანურ ყოფას და ბუნების ყოველგვარ მოვლენას ბატონი ვახტანგი პოეტურად აღიქვამს: „მზეს კი არ უნდა მისტიროდე, არამედ უნდა შეეხაროდე, რომ ჯერ კიდევ უყურებ მას"

ვახტანგ ბოჭორიშვილისათვის სიცოცხლე კანონზომიერი და ჰარმონიული მთლიანობაა, ხოლო სიკვდილი მისი განუყოფელი ნაწილია, ურომლისოდაც სხვა სიცოცხლის დანყება შეუძლებელია; ამიტომ ამბობს: „სიკვდილი იმიტომ არის სიცოცხლის ბოლო სადგური, რომ ადამიანი მოემზადოს მასთან შესახვედრად"

ვახტანგ ბოჭორიშვილი საქართველოს პარლამენტის ნევრია, ამასთან, დაუცხრომლად იღვნის ეროვნულ მოძრაობაში.

აქვს მრავალი სამეცნიერო ნაშრომი. მათ შორის 6 მონოგრაფია. არის საქართველოს ეროვნული მოძრაობის აქტიური ნევრი.



მიხეილ მიხო ბოჭორიძე

1873-1913

საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების ერთ-ერთი უძველესი მუშაკი, არალეგალური სტამბების შესანიშნავი ორგანიზატორი მიხეილ ზაქარიას ძე ბოჭორიძე დაიბადა 1873 წელს ქ. თელავში, ღარიბი გლეხის ოჯახში. მამა ადრე გარდაეცვალა. XIX საუკუნის 90-იან წლებში მ. ბოჭორიძის ოჯახი თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად. 1890 წლის 25 აპრილს მიხო ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარ სახელოსნოების სამჭედლო საამქროში მოეწყო; დაუკავშირდა მოწინავე მუშებს თ. აფანასიევს, ვ. სტურუას, ს. ალილუევს, ზ. ჩოდრიშვილს და მათთან ერთად მონაწილეობას იღებდა თვითგანვითარების წრეების მუშაობაში. 1894 წ. არსდება ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოების მუშათა სოციალ-დემოკრატიული წრე, რომლის ერთ-ერთი პირველი წევრი და ორგანიზატორი მ. ბოჭორიძე იყო. იგი, როგორც რსდმპ თბილისის კომიტეტის წევრი, ხელმძღვანელ როლს ასრულებდა 1898-1900 წწ. თბილისის მუშათა გაფიცვებისა და მაისობების ჩატარებაში. 1900 წლის ზაფხულში ლოტკინის ქუჩაზე, მუშის, სოლომონ აზმაიფარაშვილის სახლის სარდაფში მ. ბოჭორიძე აწყობს პირველ არალეგალურ სტამბას, სადაც პროკლამაციებს ბეჭდავდნენ 1900 წლის 1 აგვისტოს მ. ბოჭორიძე ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი სახელოსნოებიდან დაითხოვეს. იგი ბუღალტრობას სწავლობს და ღვინის საავჭრო „მელაანში" ეწყობა. ამავე დროს ერთი წუთითაც კი არ წყვეტს არალეგალურ რევოლუციურ მუშაობას. მისი ბინა ერთ-ერთ მთავარ კონსპირაციულ პუნქტს წარმოადგენდა. რევოლუციურ მუშაობაში მას დიდ დახმარებას უწევდნენ დედა — ნინო, დეიდა ბაბე და და — მარო.

მ. ბოჭორიძემ ი.ბ. სტალინსა და ზ. ჩოდრიშვილთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღო 1901 წლის 22 აპრილს თბილისის მუშათა საპირველმაისო დემონსტრაციის მონყობაში და დემონსტრაციაზე მგზნებარე სიტყვით გამოვიდა. მ. ბოჭორიძე დახმარებას უწევდა ლ. კეცხოველს ბაქოში არალეგალური სტამბის მოწყობის საქმეში, აწვდიდა მას მასალებს და ავრცელებდა სტამბაში დაბეჭდილ ლიტერატურას. 1901 წელს გაზ. „ბრძოლაში" (№2-3) „ტუსაღის" ფსევდონიმით დაიბეჭდა მისი ლექსი „ამხანაგებს" 1901 წლის სექტემბრიდან 1902 წლის მარტამდე მ. ბოჭორიძე პატიმრობაში იმყოფებოდა. განთავისუფლების შემდეგ კვლავ განაგრძობს რევოლუციურ მუშაობას. იგი აირჩიეს რსდმპ თბილისის კომიტეტის წევრად. 1902 წლის გაზაფხულზე რსდმპ თბილისის კომიტეტის დავალებით მ. ბოჭორიძე აწყობს არალეგალურ სტამბას ლოტკინის ქუჩაზე, სოლოლაშვილის ეზოში სტამბისათვის სპეციალურად აგებულ სახლის სარდაფში.

1903 წლის მარტში კავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების წარმომადგენელთა პირველ ყრილობაზე მ. ბოჭორიძეს რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის წევრად ირჩევენ და მასვე ავალებენ თბილისში დიდი არალეგალური სტამბის მოწყობას. 1903 წლის ბოლოს მ. ბოჭორიძის ხელმძღვანელობით ავლაბარში, რკინიგზის მთავარი სახელოსნოების ყოფილი მუშის დ. როსტომაშვილის მინის ნაკვეთზე ააგეს სახლი, ღრმა მინისქვეშა სარდაფით, სადაც მოეწყო არალეგალური სტამბა. ავლაბრის არალეგალურ სტამბაში დასაბეჭდ მასალებს ი. სტალინი, ა. წულუკიძე, მ. ცხაკაია და სხვები მ. ბოჭორიძის ბინაში ამზადებდნენ. იგი დიდი ოსტატობით ახერხებდა სტამბაში დასაბეჭდი მასალების მინოდებას და იქიდან დაბეჭდილის წამოღებას. რუსეთის პირველი რევოლუციის

დროს მ. ბოჭორიძე ხელმძღვანელობდა ავლაბრის არალეგალურ სტამბას და, ამავე დროს, მუშებში ეწეოდა აქტიურ პროპაგანდას. 1905 წლის 17 იანვარს მ. ბოჭორიძე დააპატიმრეს. გაანთავისუფლეს 10 თებერვალს; დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დროს იგი თბილისში ხელმძღვანელობდა მუშათა შეიარაღებული რაზმების გმირულ ბრძოლებს. დეკემბრის აჯანყების დამარცხების შემდეგ ორგანიზატორია სამხედრო-ტექნიკური ჯგუფისა, რომელიც პარტიზანული ბრძოლისათვის ემზადებოდა; 1906 წლის 15 აპრილს, ავლაბრის არალეგალური სტამბის აღმოჩენის დღეს, მ. ბოჭორიძე ჟანდარმერიამ გაზეთ „ელვის" რედაქციაში დააპატიმრა (ნიკოლოზ ოთაროვის გვარით) და მეტეხის ციხეში მოათავსა. 1906 წლის 27 ოქტომბერს იგი ციხიდან გაიქცა და არალეგალურად განაგრძობდა მუშაობას თბილისის ბოლშევიკურ ორგანიზაციაში.

1907 წლის დასაწყისში მ. ბოჭორიძე გაგზავნეს პეტერბურგს პარტიზანული რაზმებისათვის იარაღის საშოვნელად. პეტერბურგიდან იგი ვიბორგში ჩავიდა, დაუკავშირდა არალეგალური სტამბის მუშაკებს. აქ პირველად ნახა ვ. ი. ლენინი.

1907-1908 წლებში მ. ბოჭორიძე მუშაობს ბაქოს ბოლშევიკურ ორგანიზაციაში. იქ იგი ს. ინნკირველსა, თ. ჩუბინიძესა და მარო ბოჭორიძესთან ერთად აწყობს საიდუმლო შტაბს და იარაღს აწვდის სპარსეთის რევოლუციონერებს. 1908 წლის მაისში ჟანდარმერიამ აღმოაჩინა ეს შტაბი. მიხო ბოჭორიძე პატიმრობას გადაურჩა.

1909 წლის დასაწყისში თბილისისა და ბაქოს ბოლშევიკური ორგანიზაციების დავალებით, პარტიული სახსრების გასაძლიერებლად განიზრახეს გორის ხაზინის ქვეშ გვირაბის გაყვანა და ხაზინიდან ფულის გატანა. მ. ბოჭორიძე ამ საქმის ერთი-ერთი ხელმძღვანელი იყო. ჯგუფი შესდგა 11 ბოლშევიკისაგან და დაიწყეს გვირაბის გაყვანა. მაგრამ 1909 წლის 23 აპრილს პოლიციამ შეიპყრო გვირაბში მომუშავენი. მიხომ 4 ამხანაგთან ერთად გაქცევა მოასწრო. ამის შემდეგ საცხოვრებლად გადავიდა სტანიცა ბელაია გლინაში (სტავროპოლის გუბერნია), სადაც აფთიაქის მაღაზიაში მუშაობდა მიხეილ ზაქარიას ძე ბოგორაძის გვარზე და ამავე დროს ეწეოდა არალეგალურ მუშაობას.

მიხო ბოჭორიძე გარდაიცვალა 1913 წლის 31 აგვისტოს ქ. ეკატერინოდარში.



ლევან ბუიშვილი

1933-1996

ცამოჩენილი ქართველი ფიზიკოსი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, აკადემიკოსი ლევან ლავრენტის ძე ბუიშვილი დაიბადა 1933 წლის 24 აპრილს ქ. ვორონეჟში. 1951 წ. დაამთავრა თელავის I საშუალო სკოლა, ხოლო 1956 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი. პროფესორ გივი ხუციშვილის ასპირანტმა მისი ხელმძღვანელობით 1962 წ. დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1966 წ. — სადოქტორო დისერტაცია. 1968 წ. აირჩიეს უნივერსიტეტის პროფესორად რადიოფიზიკის კათედრაზე. მან დიდი წვლილი შეიტანა თანამედროვე ფიზიკის უმნიშვნელოვანესი დარგის — მაგნიტური რეზონანსის თეორიის პრობლემების კვლევაში. ლ. ბუიშვილი 250 სამეცნიერო შრომის ავტორია. მისმა სამეცნიერო მოღვაწეობამ აღიარება ჰპოვა როგორც ყოფილ საბჭოთა კავშირში, ასევე საზღვარგარეთაც.

ლ. ბუიშვილი ხელმძღვანელობდა ორმოცამდე საკანდიდატო დისერტაციის დაცვას. მისი აღზრდილებიდან ბევრი მეცნიერებათა დოქტორია.

1977 წ. გ. ხუციშვილთან ერთად 1954-1975 წწ. შრომების ციკლისათვის მიენიჭა საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში.

1985 წ. მიენიჭა საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

1983 წ. იგი აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1993 წ. აკადემიის ნამდვილ წევრად.

ლ. ბუიშვილი ხელმძღვანელობდა მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის მაგნიტური მოვლენების ლაბორატორიას და ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე.

არასოდეს ყოფილა კომუნისტური პარტიის ან რაიმე სხვა პარტიის წევრი.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის, აკადემიის მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილების მეცნიერ-მუშაკებმა გულითადად მიულოცეს ლ. ბუიშვილს ღირსშესანიშნავი თარიღი — დაბადების მე-60 და სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 35-ე წლისთავი, სადაც აღნიშნავენ:

„დიდია თქვენი წვლილი თანამედროვე ფიზიკის უმნიშვნელოვანესი დარგის — მაგნიტური რეზონანსის თეორიის პრობლემების კვლევაში. თქვენს მიერ დამუშავებულია კვაზითერმოდინამიკური მიდგომა ზუბარევის არაწონასწორული სტატისტიკური ოპერატორის გამოყენებით სპინური სისტემების დინამიკის აღსაწერად, დამუშავებულია მაღალი გარჩევის უნარიანობის ბირთვული მაგნიტური რეზონანსის ამოცანების გადაწყვეტაში კრილოვ-ბოგოლიუბოვ-მიტროპოლსკის გასაშუალოების მეთოდის კვანტური ვარიანტი.

აღსანიშნავია თქვენი ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. დიდად დასაფასებელია თქვენი თვისება — ცოდნა და გამოცდილება უხვად გაუზიაროთ ახალგაზრდობას.

ჩვენ დიდად ვაფასებთ თქვენს მოღვაწეობას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში. მრავალი წლის განმავლობაში ბრძანდებით რა აკადემიის მათემატიკისა და ფიზიკის

განყოფილების ბიუროს წევრი, თქვენ აქტიურად მონაწილეობთ განყოფილების მუშაობაში.

გამორჩეული ადამიანური თვისებების წყალობით, თქვენ ყველა თქვენი კოლეგისა და თანამშრომლის დიდი პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურეთ.

გისურვებთ, ძვირფასო ბატონო ლევან, ხანგრძლივ სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, პირად ბედნიერებას და ახალ დიდ წარმატებებს ჩვენი მეცნიერებისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ"

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი

ა. თავხელიძე

აი, ასე ახასიათებს აკადემიკოს ლ. ბუიშვილს ე. ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი გ. ხარაძე:

„საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ლევან ბუიშვილი იყო გამოჩენილი ფიზიკოსი, რომელმაც უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანა თანამედროვე მეცნიერების განვითარებაში. მისმა პირველხარისხოვანმა შრომებმა მყარ სხეულებში მაგნიტური რეზონანსის თეორიაში საქვეყნოდ გაუთქვეს სახელი ქართულ მეცნიერებას. ლევან ბუიშვილმა აღზარდა მრავალი მოწაფე, რომლებიც განაგრძობენ მათი მასწავლებლის კვალზე წარმატებულ მეცნიერულ კვლევას. ლევან ბუიშვილი იყო თავისი დალოცვილი კუთხის — კახეთის ღირსეული შვილი"

ლ. ბუიშვილი გარდაიცვალა 1996 წ. 25 ივნისს.

თინათინ გურგუთაშვილი

1921-1978

ქართული თეატრის ერთ-ერთი საუკეთესო ნარმომადგენელი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი, თელავის თეატრის ყველა დროის ნამყვანი და თელაველთათვის უსაყვარლესი მსახიობი თინათინ ვასილის ასული ბურბუთაშვილი დაიბადა 1921 ნელს ქ. თელავში და აქვე გარდაიცვალა 1978 ნელს.

მის დაკრძალვაზე მთელი ქალაქი გამოვიდა.

თეატრში დაასვენეს, სცენაზე.

ჩამოვიდნენ დედაქალაქიდან, სხვა ქალაქებიდან, მოდიოდნენ სოფლებიდან, კახეთის ყველაზე მივარდნილი სოფლებიდანაც კი.

უნყვეტ ნაკადად მოედინებოდა ზღვა ხალხი...

თეატრის წინა მოედანზე ტევა არ იყო...

რადიორეპროდუქტორებში თინა ბურბუთაშვილის ხმა ისმოდა... ლამაზი, მადლიანი...

„ტირილი არ გამაგონოთ, სიკვდილს პირისპირ უნდა შევხვდეთ, გაჩუმდით, გიბრძანებთ, გაჩუმდით, დაე, ნურავინ ნახავს ჩვენს ცრემლებს"— ღაღადებდა ბერნარდა ალბა და გოდებდა მოედანი.

და თუ ვინმე უცხო, თელავში შემთხვევით ჩამოსული ამ სანახაობით გაოგნებული იკითხავდა რა მოხდაო?

— გარდაიცვალა მსახიობი, ჭეშმარიტი, ნამდვილი, — უპასუხებდნენ.

აღარ არის თინა ბურბუთაშვილი...

აღარ არის ადამიანი, რომლისთვისაც ერთადერთი სათაყვანებელი კერპი თეატრი იყო, ხოლო ყველა თეატრს შორის მისთვის რჩეული თელავის თეატრი, ადამიანი, ვისაც უსაზღვროდ უყვარდა თელავი და თელაველები.

ამ ქალაქში ყველა იცნობდა, ყველას უყვარდა, ეიმედებოდა და ეამაყებოდა. მას ყველგან ელოდნენ და მასაც ყველასაკენ მიუწევდა გული. ყველგან ხალისი და მხიარულება შეჰქონდა, ყველას და ყველაფერს ლაზათს მატებდა.

წინა დღეს დილით რეპეტიცია ჰქონდა თეატრში, ნაშუადღევს გასვლითი სპექტაკლი ახმეტაში.

მეორე დღეს თეატრში არ ველოდით, თბილისში უნდა გამგზავრებულიყო და... უეცრად ასეთი შემზარავი ამბავი... დაუჯერებელი, ცხადთან შეუთავსებელი. ვერავინ იფიქრებდა, თუ მისი დაუოკებელი, უსაზღვრო, უკიდეგანო ენერგია ოდესმე დაილეოდა — ისე დაუზოგავად, არამომჭირნედ ხარჯავდა იგი მას. ვერც იმას ვიფიქრებდით, რომ მისი დიდი, კეთილი, თბილი, მოსიყვარულე გული ავადმყოფიც იყო. არასოდეს ლაპარაკობდა ამაზე, არ უნდოდა, რომ ეს ეჭვი გაგვჩენოდა და, თუ მაინც გაჩნდებოდა, მისთვის ჩვეული ოსტატობით გვიფანტავდა და ჩვენც უაზროდ ვიტყუებდით თავს.

შემზარავი სიცარიელე გამეფდა თეატრში. ხმას თუ ამოვიღებთ, მას ვიგონებთ. მოსაგონარი კი უამრავი დაგვიტოვა. ამ მოგონებებიდან ყველაზე მხიარულიც კი დღეს უკიდურეს ტკივილად ქცეულა.

და ეს ბუნებრივიცაა — დაობლდა თეატრი. დასის მრავალხმიანობას გამოაკლდა ძირითადი, ყველაზე მჟღერი, ძლიერი ხმა, რომელსაც წლების განმავლობაში ამ თეატრის შემოქმედებითი ცხოვრების მთავარი ტვირთი მიჰქონდა.

კვირა საღამოს სპექტაკლი მოიხსნა. სამშაბათს უკანასკნელად იდგა სცენაზე სპექტაკლის დეკორაცია, რომელსაც, ალბათ, ამ სცენაზე დადგმა აღარ უწერია...

იმ დღეს უკანასკნელად ესვენა იგი თავის თეატრში, იქ, სადაც სცენური სიცოცხლე შეიძინეს მისმა ოთარაანთ ქვრივმა და ვანა ბიჭმა, კრუჩინინამ და ლარის ოგუდალოვამ, მედეამ და ხათუნა მინდელმა, კნიაგინინა ნექტარინამ და დუმბაძისეულმა ბებიამ, დედამ ლორკას „სისხლიანი ქორწილიდან" და ბერნარდა ალბამ, მაია წყნეთელმა და კინტომ, მარია ტიუდორმა და ტისბემ, ტანქაბიკემ და ელისაბედ ბუმბულაძემ. მისმა მხიარულმა გოგონებმა და სევდიანმა ქალებმა, მზრუნველმა დედებმა და მოსიყვარულე ბებიებმა.

რამდენჯერ ახმიანებულა ეს კედლები მისი სცენაზე გამოჩენით გამონვეული ტაშით, რამდენჯერ აფერადებულა ეს სცენა მისთვის მირთმეული ყვავილებით.

იმ დღეს უკანასკნელად ვხედავდით იმ სცენაზე, რომლის მსახურებასაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება შეალია და რომელსაც ნინა, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ დაბრუნებისას, ეამბორა.

აღარ არის ქალბატონი თინა, დეიდა თინა, ჩვენი მესაიდუმლე და ყველა ჩვენი წამონყების უცვლელი თავკაცი.

თეატრმა მას გაატანა ყველაზე ლამაზი, მნიშვნელოვანი, რაც წლების განმავლობაში შეუქმნია და ყველა ის ნადილი, რომელთაც შესრულება მხოლოდ და მხოლოდ მასთან ერთად ენერა.

აღარ ჟღერს სცენაზე მისი მსუყე ხმა და ძარღვიანი ქართული, კულისებში აღარ ისმის მისი ხმამაღალი სიცილი, უსასრულოდ გრძელი გვეჩვენება გასვლით სპეტაკლებზე მიმავალი გზა, რადგან აღარ არის ის, ვინც ავსებდა, ალამაზებდა, საინტერესოსა და განუმეორებელს ხდიდა ამ დროის ყოველ ნამს.

სტენდებზე გაქრა აფიშები, რომლებიც სპექტაკლებში თინა ბურბუთაშვილის მონაწილეობას აუწყებდა მაყურებლებს.

ვეღარ ვხედებით წელგამართულ, ამაყი ნაბიჯით მოსიარულე, მოღიმარ, დარბაისელ ქალს.

თეატრის ფოიეში გაჩნდა ბურბუთაშვილის კუთხე. შავ ხავერდზე მისი სურათებია მიმაგრებული. კუთხეს არასოდეს აკლია ცოცხალი ყვავილები. ყვავილები მოაქვთ მის პარტნიორებს, რომელთათვისაც შემოქმედებითი ბედნიერების არაერთი უნეტარესი წუთი უჩუქნია; ყვავილები მოაქვთ ჩვენი თეატრის ახალგაზრდებს, რომელთაც მან შეასწავლა ცხოვრების სიბრძნე, გაანდო მსახიობის პროფესიის მრავალი საიდუმლო; მათ, ვისაც საამაყო მოგონებად დარჩენიათ მის გვერდით თამაში.

ყვავილები მოაქვთ მაყურებლებს, რომელნიც მთელი ოცდაათი წლის განმავლობაში პირველხილვის განუმეორებელი სიმძაფრით განიცდიდნენ მასთან ყოველ შეხვედრას – სცენაზე თუ ეკრანზე, თეატრალიზებულ სანახაობაზე თუ სახალხო ზეიმზე, მეგობრულ შეკრებაზე თუ ეროიზულ თავყრილობაზე.

ყვავილები მოაქვთ უბრალო ადამიანებს, რომლებსაც სამუდამოდ ჩაჯდომიათ გულში მისი თბილი ღიმილი და გულღია „გამარჯობა"

თ. ბურბუთაშვილი თელავის ნანილი იყო, მისი სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი. თელავს იმიტომ კი არ შეალია სიცოცხლე, ნიჭი, ენერგია, რომ სხვა ქალაქში თეატრის კარს მოუხურავდნენ, სრულიადაც არა! უყვარდა ეს ძველი კედლები, ვერ გაძლებდა უიმისოდ, თორემ თინა ბურბუთაშვილი ყველგან თინა ბურბუთაშვილი იყო და იქნებოდა.

დაე, თინა ბურბუთაშვილის ნათელი ხსოვნა იყოს მსაჯული ჩვენი ერთგულებისა მისთვის უაყვარესი თეატრისადმი. დაე, მისი ნათელი ხსოვნა იყოს უმაღლესი შემფასებელი, რასაც ამიერიდან მისი სათაყვანებელი თელავის თეატრი გააკეთებს.

რომანოზ რომან გველესიანი

1859-1884

ცივ-გომბორის კალთებიდან ალაზნის ველისკენ შროშანასავით დახრილ თელავს აღმოსავლეთით ლამაზი სოფელი შალაური აკრავს. სწორედ აქ დაიბადა 1859 წლის 20 ივნისს ქართველი მხატვარი რომანოზ (რომან) ნიკოლოზის ძე გველესიანი.

ამ სოფელმა საქართველოს მისცა ორი უნიჭიერესი მხატვარი, — ბიძა-ძმისშვილი რომანოზ (რომან) და დავით გველესიანები...

იშვიათი ნიჭით დაჯილდოებულმა მან ადრევე გამოამჟღავნა ხატვისადმი დიდი მიდრეკილება და, ხელმოკლეობის მიუხედავად, სნავლის გასაგრძელებლად ჯერ თბილისში, ხოლო შემდეგ პეტერბურგში გაემგზავრა. განსაკუთრებით დიდ დახმარებას უწევდა რომანოზს უფროსი ძმა ალექსანდრე გველესიანი, რომელიც სამხედრო სამსახურში იყო.

პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში ჩარიცხვის შემდეგ რომანოზ გველესიანი მუშაობდა თავდავიწყებით, არ ზოგავდა დროსა და საკუთარ ფიზიკურ შესაძლებლობებს. იგი ხშირად მთელ ღამეებს ათენებდა ნახატებზე მუშაობაში. ხელოვნებისადმი მის არაჩვეულებრივ სიყვარულს მოწმობს მხატვრის მეგობრების მოგონებები და მისი ნერილები ძმის — ალექსანდრესადმი. ჩვენამდე მოღწეულ საალბომო ჩანახატებში ხშირად შეხვდებით რ. გველესიანის მინაწერებს იმის შესახებ, რომ ისინი გაკეთებულია ღამის პირველ საათზე და უფრო გვიანაც.

რომანოზი ძალიან განიცდიდა სამშობლოდან დაშორებას. მხოლოდ ნერილები ანუგეშებდა. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილა რომანოზი მისი ქართველი მეგობრის ალ. ბერიძის პეტერბურგიდან გამგზავრების შემდეგ.

დაუღალავი შრომის შედეგად რომანოზმა სტუდენტობის ნლებში თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია. ერთ-ერთი გამოფენის დროს მისმა ნამუშევრებმა 150 ნამუშევარს შორის მე-2 კატეგორია დაიმსახურა. მსგავსი წარმატებები მისთვის უჩვეულო როდი იყო და ეს, მხოლოდ ეს ასულდგმულებდა ნიჭიერ შემოქმედს. იგი თავისი ნამუშევრების ნანილს ძმას უგზავნიდა საქართველოში, რათა მას გაეყიდა და ფული პეტერბურგში გადმოეგზავნა.

დაძაბულმა მუშაობამ და ეკონომიკურმა სივიწროვემ გატეხა სამხრეთში დაბადებული ახალგაზრდა მხატვრის ჯანმრთელობა. ნლების განმავლობაში იგი რამდენჯერმე მძიმედ გახდა ავად. ექიმები ურჩევდნენ სამშობლოში დაბრუნებას. იგი გრძნობდა, ტუბერკულოზს რომ ვერ გადაურჩებოდა და შეუდგა ახალი ალბომის ხატვას, სადაც დეტალურად აღნერა თავისი სიკვდილი და გასვენება. როგორც ფიქრობენ, ეს ალბომი პეტერბურგშია დარჩენილი.

1883 ნლის ზაფხული რომანოზმა მშობლიურ სოფელ შალაურში, თელავსა და თბილისში გაატარა. შემონახულია ამ პერიოდში შესრულებული ჩანახატები...

რომანოზ გველესიანი მარტო საუკეთესო მხატვარ-ილუსტრატორი როდია. მის შემოქმედებაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს პორტრეტული ჟანრი.

აკადემიაში სნავლის უკანასკნელ ნელს, სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე რომანოზს ნატურიდან დაუნერია რამდენიმე პორტრეტი და ეტიუდი. პორტრეტ-ეტიუდში მხატვარი იძლევა გამოსახული პირის ფსიქოლოგიურ დახასიათებას, ხსნის მის შინაგან

ბუნებას. ამ ნამუშევართა შორის განსაკუთრებით საყურადღებოა ა. ბერიძის პორტრეტი, „კახელი დოქით“, „ჩოხიანი ყმანვილი კახის“ პორტრეტი, რომელიც ქართული მხატვრობის ერთ უბადლო ნიმუშად ითვლება და ახალი ხანის დაწყებას მოასწავებს მე-19 საუკუნის დამლევის ქართულ რეალისტურ ფერნერაში.

აკადემიის დამთავრების შემდეგ, 1884 წლის სექტემბერში, რომანოზ გველესიანი საქართველოში ჩამოდის. მას განზრახული ჰქონდა ჯანმრთელობის აღსადგენად ცოტა ხანს სამშობლოში დარჩენილიყო და შემდეგ იტალიაში წასულიყო სწავლის გასაგრძელებლად.

ნათესავები და მეგობრები ყოველნაირად უწყობდნენ ხელს ახალგაზრდა მხატვარს, შეესრულებინა თავისი მიზანი, მაგრამ მათ იმედებს განხორციელება არ ეწერა. რომანოზი გაცივდა და ლოგინიდან ვეღარ წამოდგა.

1884 წლის ოქტომბერში რომანოზს დაუხატავს კონსტანტინე მაღალაშვილის პორტრეტი. ეს მისი უკანასკნელი ნამუშევარია, ახალგაზრდა, ნიჭიერი მხატვრის გედის სიმღერა.

რ. გველესიანი ძალიან ახალგაზრდა გამოესალმა წუთისოფელს. მისი ნიჭის გაფურჩქვნა-ყვავილობის პერიოდი მხოლოდ სამი წლით შემოიფარგლა. მიუხედავად ამისა, მისმა მხატვრულმა მემკვიდრეობამ დიდი როლი ითამაშა ქართული რეალისტური სახვითი ხელოვნების განვითარების ისტორიაში.

გამოსახვის სიმახვილის, შტრიხის სიმკვეთრის და სიმტკიცის, მაღალი პროფესიული ოსტატობის მბრივ რომანოზ გველესიანის ნახატებს ბადალს ვერ მოუძებნით მთელ ქართულ სახვით ხელოვნებაში, — წერს პროფესორი შალვა ამირანაშვილი ჩვენი სახელოვანი თანამემამულის შესახებ.

რ. გველესიანი გარდაიცვალა 1884 წლის 30 ნოემბერს, აკადემიის დამთავრებიდან რამდენიმე თვის შემდეგ. იგი დაკრძალულია თბილისში პეტრე-პავლეს სასაფლაოზე.

დავით გველესიანი
1890-1949

ქართველი მხატვარი დავით ალექსანდრეს ძე გველესიანი დაიბადა 1890 წლის 7 მარტს თელავის რაიონის სოფ. შალაურში.

ხატვას ეუფლებოდა მხატვარ ო.ი. შმერლინგის სკოლაში 1906-0766. 1911 წელს დაამთავრა თბილისის პირველი ვაჟთა გიმნაზია და სნავლა განაგრძო მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. უნივერსიტეტში სნავლის პარალელურად სნავლობდა სამხატვრო სასნავლებელში. ავადმყოფობის გამო მესამე კურსიდან 1914 წელს მიატოვა მოსკოვის უნივერსიტეტი. 1922 წელს თბილისის სამხატვრო აკადემიაში შევიდა და დაამთავრა ფერწერისა და პერსპექტივის განხრით. იყო სამხატვრო აკადემიის პედაგოგი, ამავე დროს ჟურნალ-გაზეთებშიც თანამშრომლობდა. ოციან და ოცდაათიან ნლებში დასურათებული აქვს მრავალი სასკოლო სახელმძღვანელო, საბავშვო ნიგნები... განსაკუთრებული სინატიფით იმუშავა დავით თურდოსპირელის მოთხრობების ილუსტრაციებზე.

გამორჩეულია დაბეჭდილი ოსტატობით შესრულებული ძველი თბილისის უბნები. ეს სურათები ყურადღებას იქცევს როგორც შესრულების ტექნიკით, ისე ისტორიულ-ეთნოგრაფიული სიზუსტით. სურათები დაცულია თბილისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში, რომელიც ნლების განმავლობაში ნარიყალაზე იყო... ზემოხსენებული მუზეუმი ნ. ბადრიაშვილთან და ალ. ციმაკურიძესთან ერთად დ. გველესიანის დაარსებულია. ამჟამად მუზეუმი სიონის ქუჩაზეა, სადაც დავით გველესიანის 36 ნამუშევარი ინახება, როგორც ზეთით, ძირითადში შავი ფანქრით და აკვარელით. აღსანიშნავია „პუშკინის ჩიხი", „შაითან ბაზრის კუთხე", „ანჩისხატის ეკლესია", „უფლისწული სვიმონის სასახლე", „გალაკტიონი", „მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე სახელოსნოში", „სუნიტების მეჩეთთან", „ალდის უბანი", „მსახიობი თამარ ჭავჭავაძე" და სხვ. 1935-3666. დ. გველესიანი მუშაობდა საქართველოს ებრაელთა მუზეუმში და საინტერესო ტილოები შექმნა მათი ტიპებისა და ნეს-ჩვეულებათა შესახებ...

1937 ნელს მოსკოვში გამართულ მხატვართა გამოფენის შესახებ იქაური პრესა აღნიშნავდა, რომ გამოფენის მონაწილეთა შორის ყურადღებას იმსახურებდნენ გამორჩენილი ქართველი მხატვრები: გ. გაბაშვილი, ე. ახალედიანი, ლ. გუდიაშვილი, დ. გველესიანი.

1930-3166. დ. გველესიანი თელავის საშუალო სკოლებში ხატვასაც ასნავლიდა. იგი თავისი პიროვნული თვისებებით, განათლებით, კაცთმოყვარეობით, პრინციპულობით ხიბლავდა ყველას გველესიანების სახლში პოეტები: გალაკტიონი, გ. ქუჩიშვილი, მხატვრები იყრიდნენ თავს...

დავით გველესიანი გარდაიცვალა 1949 ნლის 3 აგვისტოს თბილისში. დაკრძალულია თავისი ბიძის, რომანის გვერდით. აქვე განისვენებენ მისი მშობლები, ძმა ალექსანდრე და დავითის პატარა გოგონა. ასე გაქრა სამზეოდან უმემკვიდრეოდ ეს ოჯახი, მაგრამ შთამომავლობას დაუტოვა სიმდიდრე , რომლის შესნავლა ახალი თაობის ვალია...

ვალერიან გომელაური

ენერალ-მაიორი ვალერიან გომელაური დაიბადა 1933 წლის 1 იანვარს თელავში, გლეხის ოჯახში. როცა დიდი სამამულო ომი დაიწყო, მამამისი ბაგრატ გომელაური მამინვე ჩადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში. შინ დარჩა დედა სოფიო, მცირენლოვან სამ ბავშვთან: ლონგინოზთან, ვალერიანთან და ვახტანგთან ერთად.

1943 წელს გამოქვეყნდა საგანგებო დადგენილება სუვოროვისა და ნახიმოვის სამხედრო სასწავლებლების შექმნის თაობაზე, სადაც სამხედრო მოსამსახურეთა შვილებს შეეძლოთ ესწავლათ სახელმწიფოს ხარჯზე, რაც დიდი დახმარება იყო მრავალი ოჯახისათვის, რომლებმაც ომში დაკარგეს ოჯახის მრჩენალი.

10 წლის გომელაური სასწავლებლად ნოვოჩერკასკის სუვოროვის სამხედრო სასწავლებელში შევიდა. აქ მოხვედრა 40-იანი წლების ყმაწვილების ოცნება იყო. ვალერიანი ბეჯითი, დისციპლინიანი, შრომისმოყვარე და ნიჭიერი მოსწავლე აღმოჩნდა. ეს შესანიშნავი ნიშან-თვისებები მას მთელი სიცოცხლის მანძილზე გაჰყვა. ამგვარად, ვალერიან გომელაური ამ სამხედრო სასწავლებლის პირველი გამოშვების სუვოროველია.

1952 წელს ქართველი ჭაბუკი ვერცხლის მედლით დაემშვიდობა სუვოროვის სასწავლებელს, რომელიც მისთვის მეორე მშობლიური კერა იყო. ეს მომავალი გენერლისათვის პირველი წარმატება იყო. როგორც სწავლაში წარჩინებული ვ. გომელაური შემდგომი სამხედრო განათლების მისაღებად მოსკოვის რუსეთის სფსრ-ს უმაღლესი საბჭოს სახელობის წითელდროშოვან ლენინისა და ოქტომბრის რევოლუციის ორდენოსან უმაღლეს საერთო საჯარისო სამეთაურო სასწავლებელში გააგზავნეს, რომელიც 1954 წელს ფრიადზე დაამთავრა.

იმ დღიდან დაიწყო ახალგაზრდა ქართველი ლეიტენანტის რომანტიკით, სიძნელეებითა და სიბარულით აღსავსე ოფიცრის შრომითი ცხოვრება.

1964 წელს გომელაური შეეიდა ლენინგრადის ორგზის ლენინის ორდენოსან ზურგისა და ტრანსპორტის სამხედრო აკადემიაში, რომელშიც კვლავ გაიბრწყინა ჩვენი თანამემამულის ნიჭმა — აკადემიაშიც წარჩინებით დაამთავრა, ფრიადზე.

სამხედრო აკადემიის დამთავრების შემდეგ ვ. გომელაური მსახურობდა წითელდროშოვან ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში სხვადასხვა თანამდებობაზე. 1982 წელს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, ვ. გომელაურს მიენიჭა გენერალ-მაიორის მაღალი სამხედრო წოდება. იგი დაჯილდოებულია 8 მედლით. ვალერიან გომელაური სამსახურს გადიოდა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა სამხედრო ოლქში, სადაც არ უნდა იყოს ჩვენი თანამემამულე და რა თანამდებობაც არ უნდა ეკავოს, ყველგან იგი უმწიკვლოებისა და პირადი მაგალითის მიმცემია.

შალვა დავითაშვილი



კომპოზიტორი შალვა გრიგოლის ძე დავითაშვილი დაიბადა 1934 წლის 1 იანვარს ქ. თელავში.

დაამთავრა I საშუალო სკოლა. პარალელურად სწავლობდა მუსიკალურ სკოლაში. 1954 წლიდან სწავლას აგრძელებს თბილისში; ჯერ „ნიჭიერთა ათწლედში", შემდეგ კონსერვატორიაში, საკომპოზიტორო ფაკულტეტზე.

შ. დავითაშვილს დღემდე შექმნილი აქვს: ორი სიმფონია, სამი სიმფონიური პოემა, ორი ბალეტი — „ვეფხვი და მოყმე" და „ზვიადაური", რომლებიც დაიდგა ქუთაისის ოპერისა და ბალეტის თეატრში 1978-1986 წლებში, სამი კანტატა — სოლისტების, შერეული გუნდისა და სიმფონიური ორკესტრისათვის, სამი სიმფონიური პოემა — „ცხრა აპრილი", „ვეფხვი და მოყმე" და „დავით აღმაშენებელი", ხუთი ინსტრუმენტული კონცერტი (ოთხი კლარნეტისა და ფლეიტისათვის) ორკესტრთან, ვოკალურ-სიმფონიური ციკლები — ილია ჭავჭავაძის და ვაჟა ფშაველას ლექსებზე, მუსიკა სპექტაკლებისათვის (მათ შორის, თელავის დრამატულ თეატრშიც), მუსიკა თოჯინური და დოკუმენტური კინოფილმებისა და რადიო დადგმებისათვის, საესტრადო სიმღერები, მათ შორის დავით კეჟერაძის ლექსზე — „სიმღერა თელავზე" შ. დავითაშვილის მუსიკას ხშირად ასრულებენ თელაველი შემსრულებლებიც.

ყოველთვის მსიამოვნებს თელავის მუსიკალური სასწავლებლის და მუსიკალური სკოლების შემოქმედებითი წარმატებები — ამბობს ბატონი შალვა. იგი გატაცებით მუშაობს დიდი ფორმის მუსიკალურ ქმნილებებზე, რომლებიც არაერთხელ შესრულებულა სხვადასხვა ქვეყნებსა თუ ქალაქებში — თბილისში, მოსკოვში, პეტერბურგში, კიევში, ხარკოვში, ოდესაში, ჩეხოსლოვაკიაში, იუგოსლავიაში, გერმანიაში, პოლონეთში, არგენტინაში და სხვ. იგი აქტიურ პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწევა.

მუშაობდა ახალქალაქის მუსიკალური სკოლის დირექტორად, რადიოს მუსიკალურ გამფორმებლად დრამატულ რედაქციაში, სანდრო ახმეტელის თეატრში მუსიკალური ნაწილის გამგედ. ოცდაათ წელზე მეტია თბილისის II მუსიკალურ სასწავლებელში კომპოზიციის კლასის პედაგოგია. ამჟამად მუშაობს ზ. ფალიაშვილის სახლ-მუზეუმის დირექტორად.

შალვა დავითაშვილი საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეა, კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის წევრი, ღირსების ორდენის კავალერი, იყალთოს საპატიო მოქალაქე. მისი მონაცემები შეტანილია 1981 წლის ქართულ ენციკლოპედიაში, მოსკოვის საბალეტო ენციკლოპედიაში (1981 წ.), ინგლისის მუსიკალურ ენციკლოპედიაში (1998 წ.). დაბეჭდილია და გამოცემული მისი ასზე მეტი დიდი და მცირე ფორმის მუსიკალური ქმნილებები, მათ შორის საავტოროც, არჩეულია ვაჟა-ფშაველას საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილედ მუსიკის დარგში.

შალვა დავითაშვილი კითხულობდა ლექციებს თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში და შ. რუსთაველის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში.

არჩეულია საქართველოს ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად.

სოლომონ დემურხანაშვილი

ცნობილი ქართველი მწერალი სოლომონ დემურხანაშვილი დაიბადა 1937 წლის 21 მარტს თელავის რაიონის სოფ. იყალთოში.

მისი მწერლური დებიუტი 1958 წელს შედგა, როდესაც ჟურნალ „მნათობში" გამოაქვეყნა პირველი მოთხრობა „ლაპუა". მას შემდეგ ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწეოდა. მისი ნაწარმოებები — მოთხრობები, რომანები, მხატვრული თარგმანები, ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები სისტემატურად ქვეყნდება სალიტერატურო პერიოდიკაში, გამოდის ცალკე წიგნებად.

ქართველი მკითხველი ინტერესით შეხვდა მის ისეთ პროზაულ კრებულებს, როგორიცაა „ოქროს ნაპირი", „წერილები ჩემი სოფლიდან", „ჩვეულებრივი დღე", „მზის მოუცევა", „მაცდური", „უკანასკნელი ზარი", „ნეტარ არიან მორწმუნენი..." ამ კრებულებში თავმოყრილ ნაწარმოებებს გამოარჩევს სისადავე, სიმართლე, გულნრფელობა, ცხოვრებისეული სიბრძნე. მისი მოთხრობების გმირები ჩვეულებრივი უბრალო ადამიანები არიან. მწერლური ოსტატობით გვიხსნის იგი მათ სულიერ სამყაროს. მისი საუკეთესო ნაწარმოებები თარგმნილია და ცალკე კრებულებადაა გამოცემული რუსულ და სომხურ ენებზე. ს. დემურხანაშვილის საყმანვილო წიგნები „მელია ნვრილას ფათერაკები", „დედა ზღარბის ნაამბობი", „მოთხრობები" შეიყვარეს ქართველმა ბავშვებმა.

ა. დემურხანაშვილმა ქართულად ჩინებულად თარგმნა იური ნაგიბინის, მიხეილ ზოშჩენკოს, ანდრეი პლატონოვის, პავლე ზაგრებელნის, რევაზ ჩოჩიევის, ჰაფეზის ნაწარმოებები.

საინტერესო ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები გამოაქვეყნა რევაზ ინანიშვილის, გრიგოლ ჩიქოვანის, ლადო ავალიანის, შოთა ნიშნიანიძის, ლადო მრევლიშვილის შემოქმედების შესახებ.

სხვადასხვა დროს მუშაობდა გამომცემლობა „მერანის" რედაქტორად, ალმანახ „ალუნჯის" განყოფილების გამგედ, ალმანახ „ალგეთის" მთავარ რედაქტორად, მწერალთა კავშირის თელავის განყოფილების პასუხისმგებელი მდივნის მოადგილედ. არჩეული იყო მწერალთა კავშირის გამგეობის წევრად. მწერალთა კავშირის პროზის სექციის ბიუროს თავმჯდომარის მოადგილედ, ჟურნალ „დილის" სარედაქციო კოლეგიის წევრად.

ლიდა ესიტაშვილი

1924-1997

ღვანლმოსილი პედაგოგი, ხათნო და კეთილი ადამიანი ლიდა გიორგის ასული ესიტაშვილი დაიბადა 1924 წლის 15 აგვისტოს თელავის რაიონის სოფ. ნინანდალში მოსამსახურის ოჯახში. დედით უკრაინელმა 1942 წელს წარჩინებით დაამთავრა მშობლიური სოფლის საშუალო სკოლა და იმავე წელს შევიდა თბილისის 2-წლიან პედაგოგიურ ინსტიტუტში, ხოლო შემდეგ პუშკინის სახ. პედაგოგიურ ინსტიტუტში რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე, რომელიც, აგრეთვე, წარჩინებით (ნითელ დიპლომზე) დაამთავრა 1948 წელს.

პედაგოგიური მოღვაწეობა ლ. ესიტაშვილმა დაიწყო თელავის რაიონის სოფ. რუისპირში, სადაც იგი გათხოვების შემდეგ ცხოვრობდა. შემდგომში მისი ოჯახი საცხოვრებლად გადავიდა სოფ. ველისციხეში, ხოლო იქიდან დაფუძნდა ქ. თელავში. ამის გამო, მას სხვადასხვა სკოლებში მუშაობა მოუხდა ბოლოს ასწავლიდა ქ. თელავის მე-4 დაუსწრებელ და მე-5 საშუალო სკოლებში, სადაც მას პენსიაში გასვლის შემდეგაც მიიწვევდნენ ხოლმე, რათა ამაგდარ პედაგოგს თავისი ცოდნა და გამოცდილება ახალგაზრდა პედაგოგებისათვის გაეზიარებინა.

ლ. ესიტაშვილი გამოირჩეოდა შესაშური პედაგოგიური ტაქტით. გიორგი მერჩულეს სიტყვებს თუ მოვიშველიებთ: „სიტყვაᲂ მისი შეზავებულ იყო მარილითა მადლისაᲐთა“ სადაც კი მუშაობდა, ყველგან კეთილი და გულისხმიერი პედაგოგის სახელს ტოვებდა. მისი ნამონაფრები სახლში აკითხავდნენ და მეგობრობდნენ მასთან. მას დღესაც დიდი სითბოთი და სიყვარულით იგონებენ ისინი, და არა მარტო ნამონაფრები. თვით იმ სოფლების მცხოვრებნიც (რუისპირი, ველისციხე), სადაც იგი წლების მანძილზე ასწავლიდა, თანამშრომლები, კოლეგები. განათლების სამინისტროდანაც კი ჩამოდიოდნენ მის სანახავად.

ლ. ესიტაშვილს რამდენჯერმე შესთავაზეს, კომუნისტურ პარტიაში შესულიყო, მაგრამ ყოველთვის უარს ეუბნებოდა, არ სჯეროდა იმდროინდელი პარტიული ფუნქციონერებისა. ამბობდა, ვერ შევალ პარტიაში, რადგან ტყუილის თქმა არ შეშიძლიაო.

ლ. ესიტაშვილს ოფიციალურად არ ჰქონდა მთავრობის ჯილდოები და არც საქვეყნოდ იყო განთქმული, მაგრამ მინდა, მკითხველმა იცოდეს, რომ თვით ამ წიგნის შედგენის და გამოცემის იდეა მისი იყო. მან პირველმა დაიწყო შეგროვება მასალების, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ ნახევრად უკრაინელი იყო და რუსული ენის სპეციალისტი, მას ძალიან უყვარდა ქართული პოეზია (ქართული სკოლა ჰქონდა დამთავრებული) და ხშირად იტყოდა ხოლმე, რუსებს ხომ უდიდესი მწერლები და პოეტები ჰყავთ — ტოლსტოი, დოსტოევსკი, პუშკინი, ლერმონტოვი და სხვა, მაგრამ ქართული პოეზია სულ სხვა არისო, მას არანაირი პოეზია არ შეედრებაო. ძალიან გაეხარდებოდა ხოლმე, როდესაც ამოიკითხავდა რაიმე კარგს კახეთის წარმომადგენლებზე, ეამაყებოდა — აი, ეს ჩვენებურია, კახელიაო. ამიტომაც იგი ამ ადამიანების შორისაა. მას კახეთი განსაკუთრებულად უყვარდა. ლიდა ესიტაშვილის ნამონყებული საქმე მისმა შვილმა გააგრძელა და დააბოლოვა: ლიდა ესიტაშვილი გახლავთ ამ წიგნის ავტორის დედა.

მარინე თბილელი

1920-1995

ყოველ დროს თან მოაქვს ახალი ხასიათები, ახალი ელფერით, მრწამსით. ყოველ პერიოდს ჰყავს თავისი სანუკვარი გმირები და სცენაზე მათთვის სიცოცხლის მიმნიჭებელი მსახიობები. ერთ-ერთი მათგანია მარინე თბილელი.

თეატრალური და კინომსახიობი, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი, მარინე სტანისლავის ასული თბილელი დაიბადა 1920 წლის 25 ოქტომბერს ქ. თელავში.

1940 წელს დაამთავრა თბილისის თეატრალური ინსტიტუტი და იმავე წელს ჩაირიცხა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის დასში. 1946 წლიდან კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობია, 1974 წლიდან კვლავ რუსთაველის თეატრშია.

გამოირჩეოდა ჭეშმარიტი არტისტიზმით, სცენური მომხიბლაობით, მუსიკალურობით, პლასტიკურობითა და გარდასახვის უნარით.

შესრულებული აქვს შემდეგი როლები: თეკლა ბატონიშვილის (შანშიაშვილის „კრნანისის გმირები"), ფლორელას (ლოპე დე ვეგას „ცეკვის მასწავლებელი"), ლარისის (ოსტროვსკის „უმზითვო"), მარია ანტონოვნას (გოგოლის „რევიზორი"), კეკელას („ძველი ოდევლები"), დარეჯანის (ჭავჭავაძის „კაცია ადამიანის" მიხედვით), ნათელას (ბრეხტის „კავკასიური ცარცის წრე"), მილენინას (გელმანის „დასაწყისი"), იორკის მთავრის მეუღლის (შექსპირის „რიჩარდ III") და სხვა როლები.

1955 წლიდან მოღვაწეობს კინოში. როლები: ბუსუსია („აბეზარა", 1955წ.), როზალია („პატიოსნებისათვის", 1955 წ., ერევნის კინოსტუდია), ხამფერა („ხათაბალა"), თაშნაურა („ჩირიკი და ჩიკოტელა", 1972 წ.). დაჯილდოებულია ორდენითა და მედლებით.

იგი არაოდეს არ კმაყოფილდებოდა მიღწეულით, ნიადაგ ეძებდა გარდასახვის სიღრმისეულ შრეებს. დიდხანს და ინტენსიურად ცხოვრობდა თავისი გმირების სამყაროში, ახალ-ახალი ფერებითა და ნიუანსებით ცდილობდა შეევსო ისინი და, რაც ნიშანდობლივია, მიზანს ყოველთვის აღწევდა.

მარინე თბილელი ძალზე პოპულარულია, რასაც მან მიაღწია თვითმყოფადი ტალანტის სულიერი რესურსების დაუშრეტელი ხარჯვით.

მ. თბილელმა მასშტაბური ნარმოსახვის დონეზე აიყვანა ეროვნული ხასიათების კოლორიტული ფერადოვნებით ამეტყველების ხელოვნება, რითაც თავისი ხალხის აღიარება და სიყვარული დაიმსახურა.

დავით თურდოსპირელი ჩხეიძე

1888-1948

დავით ანდუყაფარის ძე თურდოსპირელი (ჩხეიძე) დაიბადა 1888 წლის 16 (28) აპრილს თელავის მაზრის სოფელ ვარდისუბანში. მამით ადრე დაობლებული პატარა დათიკო უფროს ძმასთან, შემდეგ ცნობილ პოეტ გიორგი ქუჩიშვილთან ერთად თბილისში იზრდებოდა. დედა მრეცხავად მუშაობდა, ხოლო მცირენლოვანი გიორგი და დათიკო მოჯამაგირეობდნენ — ხან მენავესთან, ხან ბაყალთან, ხან მენახშირესთან და ამგვარი ნვალებით მოპოვებული სახსრებით დედამ მაინც მოახერხა ორივე ვაჟის სასწავლებელში მიბარება.

წარმოუდგენელი სიღარიბისა და გაჭირვების მიუხედავად, რასაც დედის უდროოდ სიკვდილიც დაერთო, დავითმა შეძლო 1911 წელს ქართული გიმნაზიის კურსის დამთავრება და კიევის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე შევიდა, რომლის კურსიც 1915 წელს დაამთავრა.

ჯერ კიდევ გიმნაზიის მოსწავლე იყო დავითი, როცა სამწერლო სარბიელზე გამოჩნდა. მისი პირველი მოთხრობა „თავისუფლების მსხვერპლი" გამოსვლისთანავე (1907) აკრძალა ჟანდარმთა სამმართველომ.

„ჯერ კიდევ 1906 წ. ჩავები არალეგალურ მუშაობაში, — წერს დავითი თავის ავტობიოგრაფიაში, — ჩემს ძმა გიორგისთან ერთად ბევრჯერ შევუპყრივართ და მაგრად ვუბეგვივართ. ჩვენს ბინას ჟანდარმერია ხშირად ჩხრეკავდა"

ახალგაზრდა დავითი ამ რეპრესიებს არ შეუშინებია. 1908 წლიდან იგი უფრო აქტიურად მოღვაწეობს ქართულ პერიოდულ პრესაში და „თურდოსპირელი" იმდენად პოპულარული შეიქმნა, რომ მისი ნამდვილი სახელი და გვარი — დავით ჩხეიძე — იშვიათად თუ იხსენიებოდა. ადრე, 1907 წლიდან შეუდგა პედაგოგიურ მუშაობას. მუშაობდა კერძო მასწავლებლად, რადგან უმაღლესში სწავლის გასაგრძელებლად სხვა წყარო არ გააჩნდა.

დ. თურდოსპირელი უნივერსიტეტის კედლებშიც განაგრძობდა ლიტერატურულ და რეოლუციურ მოღვაწეობას. სტუდენტ პარმენ დათეშიძის ბინაში დავითის ხელმძღვანელობით შაპიროგრაფზე ბეჭდავდნენ მთავრობის საწინააღმდეგო პროკლამაციებს და კიევის ქუჩებში ავრცელებდნენ. დავითისავე ხელმძღვანელობით კიევში დაარსდა ეგნატე ნინოშვილის სახელობის პირველი არალეგალური წრე.

1915 წ. დავითი სრულიად რუსეთის ერობათა კავშირის წევრი გახდა და ამავე კავშირის სკოლების ინსტრუქტორი იყო ოქტომბრის რევოლუციამდე. 1917 წელს ბოლშევიკებმა დავით ჩხეიძე აირჩიეს სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ჯარისკაცთა, მუშათა და მოსამსახურეთა რევკომის პრეზიდიუმის წევრად , იმავე დროს მონაწილეობდა კიევში ქართველთა სათვისტომოს მიერ პოლიტიკური და ლიტერატურული შინაარსის ჟურნალ „ზარიას" გამოცემაში, რომელიც შაპიროგრაფზე დაბეჭდილი ვრცელდებოდა მოსკოვში, ოდესაში და სხვაგან.

1918 წელს დ. ჩხეიძე უკრაინაში შემოჭრილ გერმანელ ოკუპანტებს ჩაუვარდა ტყვედ, მაგრამ ტყვეობას მალე დააღწია თავი და კვლავ განაგრძო აქტიური ბრძოლა კიევში

„ხლებორობების" მიერ წამოსკუპებულ სკოროპადსკის მთავრობის წინააღმდეგ. ამავე 1918 წლის ბოლოს დ. თურდოსპირელი საქართველოში დაბრუნდა და ჩაება სამნერლო და პედაგოგიურ საქმიანობაში. იგი მუშაობდა საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატში, როგორც სკოლების ინსპექტორი და სახალხო განათლების სექციის ხელმძღვანელი.

1921-1925 წლებში დ. თურდოსპირელი თბილისის საშუალო სკოლებში ქართული და დასავლეთ ევროპის ლიტერატურის მასწავლებელია.

1926 წელს იგი მიიწვიეს თელავის ათწლედის დირექტორად და პედაგოგიური ტექნიკუმის პედაგოგიკისა და ლიტერატურის მასწავლებლად. ამავე წელს დ. თურდოსპირელი ინიშნება განათლების განყოფილების ინსპექტორად, შემდეგ გამგედ. 1929 წლიდან იგი სხვადასხვა ადგილას მუშაობდა სახალხო განათლების დარგში: 1930 წლამდე — კახეთის ოლქის განათლების განყოფილების ინსპექტორად, 1931 წლიდან თბილისის მუშფაკში და საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატში სამეცნიერო სექციასთან არსებულ მხარეთმცოდნეობის ცენტრალური ბიუროს თავმჯდომარედ. 1933 წელს დავითი მიიწვიეს ველისციხის საშუალო სკოლის დირექტორად და სამი წლისგანმავლობაში ხელმძღვანელობდა ახლად დაარსებულ სკოლას. ამასთან იყო ამავე სოფლის საბჭოს წევრი და კულტურული მუშაობის სექციის ხელმძღვანელი.

დ. ჩხეიძის სწორი და ენერგიული ხელმძღვანელობის შედეგად ველისციხის საშუალო სკოლამ სკოლების რესპუბლიკურ კონკურსში აკადემიური წარმატებებისათვის პირველი ჯილდო მიიღო.

სამხარეთმცოდნეო მუშაობის გაშლის მიზნით 1936 წელს დავითი სამუშაოდ გადავიდა ქვემო სვანეთში — ლენტეხის საშუალო სკოლის დირექტორად, ხოლო 1939 წელს განათლების სახალხო კომისარიატმა იგი ნაფარეულის საშუალო სკოლის დირექტორად გადაიყვანა.

1926 წელს დ.თურდოსპირელი ინიშნება თავის რაიონის განათლების განყოფილების გამგედ.

1939 წელს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, სახალხო განათლების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მას მიენიჭა სკოლის დამსახურებული მასწავლებლის წოდება და დაენიშნა პერსონალური პენსია.

იგი რამდენიმე შესანიშნავი შრომისა და მხატვრული ნაწარმოების ავტორია. გამოქვეყნებულია დ. თურდოსპირელის ორი მოზრდილი წიგნი (პედაგოგიურ და სამხარეთმცოდნეო საკითხებზე), მოთხრობებისა და ლექსების მცირე მოცულობის 17 წიგნი და მის მიერ შეკრებილი ქართული ანდაზების კრებული.

მან შექმნა საბავშვო ლექსებისა და მოთხრობების მთელი სერია, რომლის ერთი ნაწილი 1950 წელს გამოიცა, მას ეკუთვნის მემუარული ხასიათის ნაწარმოები „დღენი ჩემი ცხოვრებისა", რომელიც არ გამოქვეყნებულა. დასაბეჭდად გამზადებული დარჩა, აგრეთვე, საბავშვო მოთხრობების ორი კრებული და ერთიც დრამატული ნაწარმოები: „მაინც ბრუნავს"

დ. თურდოსპირელი გარდაიცვალა 1948 წლის 23 დეკემბერს თბილისში.

ქეთევან იაშვილი

1883-1980

ეცნაური გრძნობებით სავსე ტოვებთ ყველა საგამოფენო დარბაზს, დიდსა თუ მცირეს. ფერმწერის პალიტრის სიმდიდრე, შემოქმედებითი ფანტაზიისა და ოსტატობის დონე, მხატვრული ხერხებით გახსნილი სულიერი სილამაზე ადამიანისა, მისი მღელვარე სამყარო, ეპოქათა ჭიდილში დაბადებული ცხოვრებისეული სიბრძნე და ჟამთა ცვალებადობის უძლურება ხელოვნების დიად ძალასთან... სამყაროსათვის ამ ნამცეცისოდენა საუფლოში ერთად შეკრებილა ყველა საკაცობრიო იდეალი, ყველა ადამიანური ვნება და მისწრაფება... საათობით შეიძლება გაჩერდე თითოეულ ტილოსთან, ხელოვნების თითოეულ ნანარმოებთან და ჩაიძირო უსაზღვრო სიამოვნებაში, გაიხსენო, ისწავლო, ჩაფიქრდე კაცთა მოდგმის წარსულზე, აწმყოზე და მომავალზე...

მაგრამ სულ სხვაა ეს გამოფენა, რომელიც ყველა ქართველისათვის უწმინდეს და სანუკვარ კედლებში გაიხსნა.

ერეკლესეული ციხე-დარბაზები — ერთ დროს ერისა და ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებზე სჯა-ბაასისთვის შეკრების კერა, დღეს მარადისობის ელჩების მყუდრო ნავსაყუდლად ქცეული, ხელოვნების ოსტატთა ქმნილებების მადლით მასპინძლობს სტუმრებს, კედლები სავსეა პორტრეტებით, პეიზაჟებით, ნატურმორტებით, ჟანრული კომპოზიციებით.

უყურებთ ფუნჯის საკვეყნოდ ცნობილი თუ უცნობი ოსტატების ნებისმიერ ტილოს და მის მიღმა, თითქოს ჯადოსნური ფარდის იქით, იხატება ყველაზე მართალი, ყველაზე ამაღელვებელი, ყველაზე ბრნყინვალე და დიადი ხელოვნება, რაც კაცის მარჯვენას და გონებას შეუქმნია და რასაც ხალხის, სამშობლოს, ადამიანების და სიცოცხლის სიყვარული ჰქვია სახელად.

— ჩემი ცხოვრების მიზნად ხალხის სამსახური დავისახე. უბედნიერეს ადამიანად ჩავთვლი თავს, თუ ეს წრფელი გულით მიძღვნილი საჩუქარი ოდნავ მაინც აღმოჩნდება მშობლიური ხალხისადმი იმ დიდი სიყვარულის მაჩვენებელი, რომელიც მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე ძალას მმატებდა, მამხნევებდა, მასულდგმულებდა...

1883 წელს, კახეთის სოფელ შალაურში დაიბადა ქეთევან იაშვილი. მშობლების ყურადღებითა და მზურნველობით განებივრებული გოგონა მოწიფულობის წლებს იოლი ცხოვრების მაძიებელთა რიგებში კი არა, უკვე ჩამოყალიბებული მისწრაფებებითა და სურვილებით შეხვდა. ხალხისათვის სამსახურის სურვილმა, სილამაზისა და სათნოებისაკენ ლტოლვამ მიიყვანა ქეთევანი კერძო მესაკუთრე აფთიაქარის მანამ ქალისათვის ფეხდაუდგმელ სამზარეულოში.

მალე ენთუზიასტი ქალიშვილი კოსმეტიკოსის სპეციალობას ეუფლება და ღამეებს ათეთრებს გამოცდილ ხელოვანთა საიდუმლოების ამოცნობასა და დაუფლებაში. ექიმი კოსმეტოლოგი ქეთევან იაშვილი — ბევრის მეხსიერებაში ჩარჩენილა ეს აბრა, გამოკრული თბილისში, ძველი ვერის ვიწრო და მყუდრო ქუჩიშვილის ქუჩის ღამაზ, ერთსართულიან შენობაზე. პაციენტებს მარტო არაჩვეულებრივი ნელსაცხებლები როდი იზიდავდა აქ, ამ მყუდრო ბინაში. სილამაზის, მშვენიერებისა და სიკეთისაკენ ქეთევანის ბავშობიდან მოყოლებული სწრაფვა ხელოვნების ქმნილებათა შეძენა-შეგროვებაში განივთდა და მალე მისი მყუდრო ბინა ჯადოსნურმა ფერებმა აავსო. ასე გაჩნდა აქ მაკოვსკი და გაბაშვილი, იანქოშვილი თუ უცნობი ჰოლანდიელი და იტალიელი მხატვრები, გუდიაშვილი და თოიძე, კრამსკოი და კლოდტი, ფ. რუბო და კ. პილოტი, ასე დაიბადა უმდიდრესი კოლექცია ჩვენი ეპოქისა და წარსულის ფუნჯის ოსტატთა შესანიშნავი ნანარმოებებისა, რომელიც ნებისმიერ კოლექციონერს შეშურდებოდა.

სოლომონ იორდანიშვილი

1898-1953

ქართველი ენათმეცნიერი, რუსთველოლოგი, მთარგმნელი, სოლომონ გიორგის ძე იორდანიშვილი დაიბადა 1898 წლის 24 ოქტომბერს ქ. თელავში.

სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში, 1919 წლიდან მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. 1926 წელს დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტი (ენათმეცნიერების განხრით). მუშაობდა შ. რუსთაველის სახელობის ქართული ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტში, კითხულობდა ლექციებს უნივერსიტეტში, იყო „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის დამდგენი კომისიის მდივანი, განაგებდა საქართველოს სსრ განსახკომის სამუზეუმო სექტორს. 1945 წელს მიენიჭა ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი ნაშრომისათვის „ვეფხისტყაოსნის ბალმონტისმიერი რუსული თარგმანი" (ცალკე წიგნად გამოვიდა 1964 წელს)...

ალ. ბარამიძესთან ერთად იმუშავა მეცნიერულად გამოსცა დ. გურამიშვილის „დავითიანი"-ს ტექსტის მეცნიერულ ანალიზზე და გამოცემას დაურთო ლექსიკონი. გამოსცამ, აგრეთვე, სულხან-საბა ორბელიანის „მოგზაურობა ევროპაში" და სხვ. ნაყოფიერად იღვწოდა ლექსიკოლოგიის დარგში, მონაწილეობდა ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის შემუშავებაში. 1930-35ნნ. გამოსცა „რუსულ-ქართული ლექსიკონის" ორტომეული (გ. ახვლედიანთან ერთად), 1949ნ. სულხან-საბა ორბელიანის „ქართული ლექსიკონის" ერთ-ერთი ხელნაწერი თარგმნა რუსული და ევროპული ენებიდან. აგრეთვე, ქართულიდან რუსულ ენაზე აამეტყველა „ვისრამიანი" რუსული — 1949ნელი.

სოლომონ იორდანიშვილს ხატვა ეხერხებოდა და უყვარდა. ერთ-ერთი მეგობრისადმი მინერილ წერილში იგი აღნიშნავს:

„ნეტავი ჩემს სანუკვარ ხატვას გავყოლოდი, იქნებ უკეთესი მხატვარი ვიქნებოდი, ვიდრე ფილოლოგი..."

სოლომონის ბავშვობის მეგობარი, მისი მეუღლე, მართა ჯაჭვაძე იგონებდა: — „სოლომონი სემინარიაში სწავლის დროს არდადეგებს სოფელ ფშაველში ბებია-პაპასთან ატარებდა. იგი ერთ წუთს უქმად არ აცდენდა, კითხვა რომ მობეზრდებოდა, ხატვაზე გადავიდოდა, ხატავდა ბუნების ნიაღში. ამორჩეული ჰქონდა ადგილი მდინარე სტორის ნაპირას, წნორების ჩრდილში გაიტანდა მოლბერტს, ხის საკეც სკამს, მოეწყობოდა და ხატავდა"

სოლომონს ეხერხებოდა ხეზე ჭრაც. მისი გამოთლილი, მოჩუქურთმებული საფერფლე და საფანერე ინახება მისი ვაჟის გ. იორდანიშვილის ოჯახში.

სოლომონ იორდანიშვილი გარდაიცვალა 1953 წელს, 55 წლის ასაკში.

ლიანა კალმახელიძე

ეროვნული საოპერო თეატრის წამყვანი სოლისტი, საქართველოს სახალხო არტისტი. სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ლიანა მიხეილის ასული კალმახელიძე დაიბადა ქ. თელავში.

დაამთავრა თელავის რუსული საშუალო სკოლა და პარალელურად მუსიკალური სკოლის საფორტეპიანო კლასი. ორ წელიწადს სწავლობდა თელავის მუსიკალურ სასწავლებელში ვოკალურ ფაკულტეტზე, იმ დროს, როდესაც აქ დაიდგა ზ. ფალიაშვილის „დაისი", სადაც ლ. კალმახელიძემ მაროს პარტია შეასრულა. მას პარტნიორობას უნევდა დიდი ბათუ კრავეიშვილი. მისი შემდგომი შემოქმედებითი გზა უკავშირდება კონსერვატორიას და 1975 წლის მარტიდან დღემდე ეროვნული საოპერო თეატრის წამყვანი სოლისტია.

1976-1977 წ.წ. სტაჟირებას გადიოდა იტალიაში, მილანის სახელგანთქმულ „ლა სკალაში", დიდ იტალიელ მაესტროებთან. გასტროლებით შემოვლილი აქვს გერმანია, საფრანგეთი, იტალია, თურქეთი, ესპანეთი, ეგვიპტე, რუსეთი, უკრაინა და ყველა პოსტსაბჭოური ქვეყნები.

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.



მერაბ კოკოჩაშვილი

კულტურა. ჩემი აზრით, ადამიანის ქმნადობაა, რომელიც შემდეგომ ეროვნული სულიერი თვისებების და ძალის მატარებელი ხდება.
მ. კოკოჩაშვილი

ალექსანდრე ჭავჭავაძის პირდაპირი შთამომავალი, გამოჩენილი ქართველი კინორეჟისორი, მერაბ არჩილის ძე კოკოჩაშვილი დაიბადა 1935 წლის 21 მარტს თბილისში. მშობლები – მარინე ჯორჯაძე და არჩილ კოკოჩაშვილი მუსიკოსები იყვნენ. უმამოდ გაიზარდა (არჩილ კოკოჩაშვილი 1937 წელს გადაასახლეს). მისი ბავშვობა ომის მძიმე პერიოდს დაემთხვა. მიუხედავად ამისა, ის წლები მისთვის მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესო იყო. მერაბ კოკოჩაშვილის მშობლები უშანგი ჩხეიძესთან მეგობრობდნენ, რომელსაც ბინა არ ჰქონდა და მათთან ცხოვრობდა. აი, როგორ იგონებს ბავშვობას ბატონი მერაბი:

„აბაკელიას ქუჩა, სადაც გავიზარდე, ერთ-ერთი ულამაზესი იყო თბილისში. აქ ბევრი ძალიან კარგი პიროვნება ცხოვრობდა. მათ შორის იყვნენ ლიტერატორები, მხატვრები, არაფერს ვამბობ ვახტანგ ბერიძესა და მის მშობლებზე... ჩემი ბავშვობა მძიმე პერიოდს დაემთხვა – ომი რომ დამთავრდა, 10 წლის ვიყავი. იმ დროს ქურდობა და ბანდიტობა იყო გავრცელებული. მაშინ ბავშვების აღზრდა ქუჩაში მიმდინარეობდა. იქ განუწყვეტლივ ვთამაშობდით ფეხბურთს, კალათბურთს... ეს იყო ჩვენი ბრძოლაც, ცხოვრებასთან შეგუებაც და, საერთოდ, ყველაფერი...“

დედამისს თეატრალური საზოგადოების წარმომადგენლებთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა. ალბათ, ამ გარემოებამაც შეუწყო ხელი იმას, რომ მიხეილ ჭიაურელმა „გიორგი სააკაძეში“ პაატას როლი ათამაშა... კინოში გადაღების შემდეგ რეჟისორობაზე ან მსახიობობაზე არ უოცნებია. მეტიც, ცოტა ხანში არც კი ახსოვდა, ბუმბერაზი მსახიობების გვერდით რომ იდგა კამერის წინ. მოგვიანებით მასზე გავლენა მოახდინეს იმ უცხოური ფილმებმა, რომლებსაც 1946 წლიდან მოყოლებული მთელ საბჭოთა კავშირში, მათ შორის საქართველოს ტელევიზიითაც უჩვენებდნენ ყოველ ორშაბათ დღეს. იმ პერიოდის ახალგაზრდობისათვის მსოფლიო კინოხელოვნების ნიმუშთა გაცნობა ფანტასტიკურ მოვლენად აღიქმებოდა.

„ჩემი პირველი კონსულტანტი ელდარ შენგელაია იყო, – ამბობს მ. კოკოჩაშვილი, რომელმაც ჩემზე რამდენიმე წლით ადრე დაამთავრა პირველი საშუალო სკოლაც და მოსკოვის საკავშირო კინემატოგრაფიის ინსტიტუტიც. ეს უმაღლესი სასწავლებელი ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში. იქ ყველა პერიოდში შესანიშნავი პედაგოგები, ნიჭიერი და უგანათლებულესი ხალხი ასწავლიდა. ინსტიტუტი საფუძვლიან ცოდნას იძლეოდა კულტურის ყველა დარგში.

მოსკოვის კინემატოგრაფიის ინსტიტუტში იმ ხანად ქართველი ახალგაზრდობის მთელი დიასპორა – 15-20 ადამიანი სწავლობდა, მათ შორის, 12-მდე სტუდენტი – სარეჟისორო ფაკულტეტზე. სხვათა შორის, ქართველებს დიდი პატივისცემით გვეყურებოდნენ. საქართველოს ნუთითაც არ მოვნყვეტილვართ, ყოველი დღე „ქართული საღამოთ

მთავრდებოდა — ერთმანეთს ვუზიარებდით შთაბეჭდილებებს, ვემზადებოდით სასწავლო წარმოდგენებისათვის... მიუხედავად იმისა, რომ ძალიან კარგი პედაგოგები მყავდა, ყველაზე დიდი გავლენა ჩემზე ამ უნიჭიერეს ახალგაზრდებთან ურთიერთობამ იქონია. ეს ის ხალხი იყო, რომლებმაც თენგიზ აბულაძისა და რეზო ჩხეიძის შემდეგ ახალი ეტაპი შექმნეს ქართულ კინოში"

დღეისათვის მერაბ კოკოჩაშვილი უნივერსიტეტში ასწავლის ტელერეჟისურას, გარდა ამისა, ხელმძღვანელობს კინოენისა და სტრუქტურის ლაბორატორიას, რომელიც თავის დროზე ან გარდაცვლილმა ტატა თვალჭრელიძემ ჩამოაყალიბა. ლაბორატორია სამეცნიერო-კვლევითი ხასიათისაა. ამჟამად მუშაობენ პირველ ქართულენოვან კინოლექსიკონზე.

მ. კოკოჩაშვილი 1976 წლიდან არის კომპანია „ქართული ტელეფილმის" სამხატვრო ხელმღვანელი. ტელეფილმების სტუდია ერთ-ერთ კინოკერად ითვლება საქართველოში, მას შესანიშნავი ტრადიციები აქვს.

ამჟამად მ. კოკოჩაშვილიმა გადაიღო ახალი სურათი — „ნუცას სკოლა"

მუდმივ ფორიაქში მყოფი მერაბ კოკოჩაშვილი სიმშვიდეს მიხეილ ჭიაურელის შეგონებაში ჰპოვებს: *„რეჟისორობა — ეს არის მოთმინება, მოთმინება და კიდევ მოთმინება"*

ალექსი კუპატაძე

1911-1982

ჩესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ალექსი კუპატაძე დაიბადა 1911 წელს ქ. თელავში.

ვინც ერთხელ მაინც ყოფილა თელავში, შეუძლებელია, ქალაქის ცენტრალურ მოედანზე ყურადღება არ მიექცია ახალი, მონუმენტური შენობისთვის, რომელიც ანდამატივით იზიდავს მაყურებელს.

თელავის თეატრი, რომელიც ქართული რეალისტური თეატრის ტრადიციებზეა აღმოცენებული, ძლიერ შემოქმედებით კოლექტივად წარმოგვიდგა; ნიჭიერ შემოქმედთა შორის მაღალი პროფესიონალიზმით გამოირჩეოდნენ თინა ბურბუთაშვილი, დოდიკ სხირტლაძე, პლატონ ახელედიანი, ალექსი კუპატაძე, რომლებიც უკანასკნელი ორი-სამი წლის განმავლობაში გამოესალმნენ თავიანთ საყვარელ საქმეს, ქალაქს, მაყურებელს, ჯერ კიდევ პოტენციით სავსენი, შემოქმედებითი სიმწიფის ასაკში...

ამათგან მხოლოდ ალექსი კუპატაძეს გაუღიმა ბედმა — აუხდა ოცნება, მოესწრო თეატრის ახალ შენობასაც და იქ ერთი, როლის განსახიერებაც შეეძლო ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილში" (რეჟისორი ნ. ლორთქიფანიძე).

თელავის თეატრის ერთ-ერთმა ვეტერანმა ალექსი კუპატაძემ თავისი ცხოვრების 71 წლიდან 55 წელი თეატრს მოახმარა.

თბუთმეტი წლის ჭაბუკმა ინტუიციით იგრძნო, რომ მისი ადგილი მხოლოდ თეატრში უნდა ყოფილიყო. ამიტომაც თავდავიწყებით შეიყვარა და ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს ერთგულად ზიდა თეატრალური ხელოვნების რთული და შრომატევადი ჭაპანი.

ამ თეატრში ალექსი კუპატაძეს შესრულებული აქვს სამასამდე როლი! სამასი სხვადასხვა ხასიათის, ეროვნების, ასაკის, სოციალური მდგომარეობისა და პროფესიის ადამიანია ხასიათის გაგება, მათ სულში ჩაწვდომა, მათი არსის თავისად გახდომა, მათი გაცოცხლება!

ამ მრავალნიშნიანი არითმეტიკული ციფრის მიღმა იგულისხმება მსახიობის დიდი შემოქმედებითი დიაპაზონი, მდიდარი აქტიორული ალღო, პოტენცია და ემოციური ზემოქმედების ძალა. სწორედ ამან განაპირობა ის დიდი სიყვარული და პატივისცემა, რაც მსახიობს ხვდა წილად მაყურებლისაგან, კოლეგებისაგან, თეატრალური საზოგადოებრიობისგან.

კაცთმოყვარე, კეთილბუნებოვანი, საიმედო კოლეგა, მეგობარი, პარტნიორი, ახალგაზრდების მრჩეველი. მფარველი და მათზე დაუღალავად მზრუნველი — აი, როგორ ვიცნობდით ალექსი კუპატაძეს!

ალექსი კუპატაძის ბიოგრაფიას ნათელ შტრიხად გასდევს ისიც, რომ ღირსეული პარტნიორობა აქვს განეული სცენის ისეთი ოსტატებისთვის, როგორნიც იყვნენ ელისაბედ ჩერქეზიშვილი, ნუცა ჩხეიძე, ნიკო გოცირიძე, სერგო ზაქარიაძე, ალექსანდრე იმედაშვილი, რომელთა გვერდით სცენაზე ყოფნა დიდ პატივთან ერთად ერთგვარი გამოცდაც იყო.

ალექსი კუპატაძის აქტიორული სახის დახვეწაში გარკვეული როლი ითამაშეს ცნობილმა რეჟისორებმა: მიხ. ხერხეულიძემ, ა. ყიასაშვილმა, გ. რობაქიძემ, ვახტანგ აბაში-

ძემ, გ. სულიაშვილმა, ა. მიქელაძემ, პ. ფრანგიშვილმა, ნ. გოძიაშვილმა და სხვებმა, რომლებიც სხვადასხვა დროს მუშაობდნენ თელავის თეატრში.

დაუცხრომელი შემოქმედებითი ცხოვრება ა. კუპატაძეს სრულებით არ უშლიდა ხელს საზოგადოებრივ საქმიანობაში.

მუდამ პრინციპული და მომთხოვნი როგორც სხვათა, ისე თავისი თავის მიმართ, ნლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა თელავის სარაიონო კულტურის სახლსა და განათლების სახლის თვითმოქმედ დრამატულ კოლექტივებს, პერიოდულად ამზადებდა სპექტაკლებს სკოლების დრამატულ წრეებში, სადაც აგრეთვე ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავდა.

1961-64 წლებში ალექსი კუპატაძე თეატრის დირექტორად მუშაობდა და ერთგულად იღვწოდა მისი კეთილდღეობისათვის.

1961 წელს ალექსი კუპატაძეს მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება.

1957-1965 წწ. არჩეული იყო თელავის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატად.

ალექსი კუპატაძე დაჯილდოებულია სხვადასხვა ხარისხის მედლებითა და სიგელებით. იგი გარდაიცვალა 1982 წელს.



იოსებ ლიონიძე

1868-1938

ახელგანთქმული დეკორატორი იოსებ დიმიტრის ძე ლიონიძე დაიბადა 1868 წელს თელავის რაიონის სოფ. კონდოლში, ღარიბი თავადის დიმიტრი გაბრიელის ძე ლიონიძის ოჯახში. იოსებ ლიონიძის პაპის მამაა გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე სოლომონ ლიონიძე, რომელიც მე-18 საუკუნის დიდ ქართველ მოღვაწეთა შორის გამოირჩევა თავისი მრავალმხრივი დამსახურებით.

პირველდანყებითი განათლება იოსებ ლიონიძემ მიიღო საცხენისის სასოფლო-სამეურნეო სკოლაში. იგი აქ ინტერნატში ცხოვრობდა. ფიზიკური სისუსტის გამო იოსები არ გაამწესეს სამხედრო-საკადეტო კორპუსში, სადაც სწავლობდნენ მისი უფროსი ძმები. შემდეგ იოსები მიაბარეს თბილისის საბაღოსნო სკოლაში. რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1889 ნელს და იქვე დატოვეს მთავარ მებაღედ და სპეციალური საგნების მასწავლებლად. სკოლის დირექტორს, ცნობილ პედაგოგ ოსტაპოვიჩსა და მასწავლებელ ვანო ჯაფარიძეს მშვენივრად ჰქონდათ დაყენებული სწავლების საქმე. აქ იოსებმა იმუშავა 1896 ნლამდე. იოსების აღზრდილებიდან შემდეგში ცნობილი აგრონომები გახდნენ: მიხეილ მამულაშვილი, ბათუმის გამწვანების ტრესტის კონსულტანტი აგრონომი ლევან გორდეზიანი, გიორგი ჩივაძე და ანდრონაკი — ზეთისხილის სანერგეს გამგე ართვინში. იოსებ ლიონიძის უმნიკვლო პედაგოგიურ ღვაწლს და, მამობრივ მზრუნველობას ვერასოდეს დაივიწყებენ მისი ყოფილი მოსწავლეები.

1896 ნელს იოსებ დიმიტრის ძე ლიონიძემ ცოლად შეირთო გერმანელი ქალი მრაია ოსპარის ასული გრეფი. იგი მეტად განვითარებული ქალი იყო, ფლობდა მრავალ ევროპულ ენას. მიღებული ჰქონდა პედაგოგიური განათლება ლონდონსა და პარიზში.

მარიამ ვაატანგის ასულმა ორბელიანმა მარია გრეფი პარიზში გაიცნო და მოინვია საქართველოში თავისი დისშვილებისათვის ფრანგულის, გერმანულისა და ინგლისური ენების მასწავლებლად. დისშვილები, რომლებიც მარიამ ორბელიანმა აღზარდა, შემდეგში ცნობილი საზოგადო მოღვაწეების კიტა აბაშიძისა და პროფესორ ივანე ჯავახიშვილის მეუღლეები გაბდნენ.

პარიზიდან ლამისყანაში მოხვედრილმა მარია გრეფმა გაიცნო იოსებ ლიონიძე, გაათბოვდა მასზე და მთელი სიცოცხლე საქართველოში დარჩა.

იოსებ ლიონიძე მუშაობდა ქ. ბათუმის დეკორატიულ, ციტრუსოვან და ხილის კულტურების სანერგეებში. აქ იგი ყოველწლიურად 150 ათას ცალ ციტრუსოვან ნამყენს აბარებდა. გააშენა 57 სახის საუკეთესო ჯიშის ვარდი (კატალოგის მიხედვით) და გაავრცელა დიდი რაოდენობით. სანერგეების შექმნამ ქალაქის სხვადასხვა ადგილას დიდი ბიბგი მისცა აფარაში სუბტროპიკული და დეკორატიული კულტურების განვითარებას.

იოსები აქტიურად მონაწილეობდა ბათუმის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ეურნალ „სუბტროპიკების" გამოცემაში.

პროფესორი კრასნოვი (ბათუმის ბოტანიკური ბაღის შემქმნელი და ორგანიზატორი) და პროფესორი კოჩუნოვი იოსების ოჯახის ხშირი სტუმრები იყვნენ. ისინი ხშირად მიმართავდნენ რჩევისათვის იოსებს, როგორც მებაღე-პრაქტიკოსს.

1913 წელს პეტერბურგში მოეწყო გამოფენა „რუსული რივიერა", რომელშიც მონაწილეობა უნდა მიეღო შავიზღვისპირა მეურნეობებს; მათ შორის, რა თქმა უნდა, ქალაქ ბათუმსაც.

ზემოაღნიშნულ გამოფენაზე უმაღლესი ჯილდო ხვდა ქ. ბათუმს, პერსონალურად — იოსებ ლიონიძეს დეკორატიული და ციტრუსოვანი კულტურების გამოყვანისათვის.

სხვათა შორის, გამოფენაში მონაწილეობდა პრინცი ოლდენბურგელი. ჟიურის გადაწყვეტილი ჰქონდა, უმაღლესი ჯილდო მისი მეურნეობისათვის მიეკუთვნებინა, მაგრამ იოსებ ლიონიძემ დაამტკიცა, რომ პრინცის ექსპონატების უმეტესობა ჩამოტანილი იყო საფრანგეთიდან და არ იყო გამოყვანილი შავი ზღვის სანაპიროზე. ამიტომ პრინც ოლდენბურგელის მეურნეობას მხოლოდ მეორე პრემია მიაკუთვნეს.

1917 წელს იოსებმა ავადმყოფობის გამო თავი დაანება სამსახურს ბათუმში და ოჯახით საცხოვრებლად გადავიდა კახეთში, მშობლიურ სოფელ კონდოლში. ბათუმის ქალაქის მმართველობამ იოსებ ლიონიძეს დაუნიშნა მუდმივი პენსია 200 მანეთის რაოდენობით (ოქროთი).

1918-1919 წლებში იოსები ხელმძღვანელობდა ბორჯომის მიწა-წყლის მებაღეობის განყოფილებას, 1920-1921 წლებში კი ქალაქ თბილისის ბაღებისა და მინდვრების მეურნეობას.

1921-24 წლებში იგი მუშაობდა კოოპერატიულ ორგანიზაციებში. იყო მეღვინეობის კოოპერატივის „კახეთის" მმართველობის წევრი, შემდეგ კი ხელმძღვანელობდა ამერიკული ვაზის სანერგეების ამხანაგობას სოფელ მუკუზანში.

1924 წელს იოსებ ლიონიძე სამუშაოდ გადადის აჭარის ასსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში სასოფლო-სამეურნეო განყოფილების გამგედ. მისი ინიციატივით, აჭარაში საზღვარგარეთიდან შემოიტანეს ჯიშიანი საქონელი, მოაშენეს ფრინველი, მოეწყო საფუტკრეები და სხვ.

ი. ლიონიძემ შეადგინა ნაყოფის მომცემი სუბტროპიკული მცენარეულობის სია, რაც დიდად სასარგებლო იყო აჭარის ზონალური კულტივირებისათვის.

1925 წელს იოსებს იწვევენ ბაქოში. აქ იგი სამი წლის განმავლობაში მუშაობდა ქალაქის საბჭოს სექციის გამგედ. ამ ხნის განმავლობაში სრულიად შეეცვალა ქალაქს სახე. ბაქო დამშვენდა დეკორატიული ბაღებით.

ზემოთ დასახელებული სამუშაოების პარალელურად იოსები მუშაობდა აფშერონის ნახევარკუნძულის გამნვანების საკითხებზე: საფუძველი ჩაუყარა ქარსაცავ ზონებს, მოამზადა მასალები ბოტანიკური ბაღის გასაშენებლად.

იოსებ ლიონიძე გარდაიცვალა 1938 წლის ოქტომბერში.

ალექსანდრე მამუკელაშვილი

ალექსანდრე მამუკელაშვილი თელავის მკვიდრია, აქ დაბადებული და გაზრდილი, ბავშვობიდანვე მისი მონოდება იყო და დღემდე რჩება მუსიკა. მინიჭებული აქვს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ნოდება.

ალექსანდრემ ჯერ სამუსიკო სკოლა დაამთავრა, შემდეგ მუსიკალური სასწავლებელი. თბილისის კონსერვატორიაში ნარმატებით ჩააბარა გამოცდები. აქედან სნავლა ოდესის კონსერვატორიაში განაგრძო და რაც 1952 წელს ნარჩინებით დაამთავრა. შემდეგ კი იქვე ოპერის თეატრში დაიწყო მუშაობა სოლისტად. ოდესის ოპერის თეატრში გაიარა დიდი სკოლა და დასრულებულ სოლისტ-შემსრულებლად ჩამოყალიბდა. შემდეგ მოღვაწეობს ქ. დონეცკში. განუწყვეტელი მუშაობით დღითი დღე ხვეწდა ოსტატობას. ვოკალისტების კონკურსში, რომელიც 1953 წელს კიევში გაიმართა, ალექსანდრემ ერთ-ერთი პირველი ადგილი დაიკავა.

გადის ნლები, ალექსანდრეს მისწრაფება, ოცნება ხორცს ისხამს და თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალურ თეატრში გადმოდის სოლისტად, სადაც თავის დიდ უნარს, მთელ შესაძლებლობებს ამჟღავნებს. ვისაც კი მისი სიმღერისათვის მოუსმენია, შეუძლებელია, დიდი კმაყოფილებისა და აღტაცების გრძნობა არ დაუფლებოდა. აქვს ლამაზი, მიმზიდველი ტემბრი.

ალექსანდრემ ქუთაისის ოპერის თეატრშიც სცადა ბედი. ქუთათურებმა შეიყვარეს და გაითავისეს იგი. თეატრში კარგა ხნის მუშაობის შემდეგ აქვე მუსიკალურ სასნავლებელში დაიწყო მუშაობა პედაგოგად. თავმდაბალმა, უპრეტენზიო კაცმა აქაც მიიქცია ყველაა ყურადღება.

თელაველ კაცს სურვილი ჰქონდა მშობლიურ ქალაქშიც ეთქვა თავისი სიტყვა, ერთგვარი შემოქმედებითი ანგარიში ჩაებარებინა თანაქალაქელებისათვის. თელავის მუსიკალური სასნავლებლის დირექტორად იმუშავა ოთხი ნელი და ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ სასნავლებელი მონინავეთა რიგებში ყოფილიყო. მონდომებას და ცოდნას არ იშურებდა, ბეტად ნაყოფიერ საზოგადოებრივ, პედაგოგიურ და საორგანიზაციო მუშაობას ენეოდა. კაცთმოყვარეობასა და ცოდნასთან შერწყმულმა ღრმა ერუდიციამ პედაგოგიურ კოლექტივში დიდი ნდობა დაუმკვიდრა.

ამად არ ნახავთ ალექსანდრე მამუკელაშვილის აღზრდილებს — საკმარისია, ვახსენოთ, სახელოთა კავშირის სახალხო არტისტი მაყვალა ქასრაშვილი, უკრაინის სახალხო არტისტი კოლია ლეჟეიკი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ზანდა ბერულავა, ოუზა ეუთათელაძე, რობერტ გოგოლაშვილი, იზოლდა ნოზაძე, ლეილა გოცირიძე, ნათელა ბიზანიშვილი, გელა ეოქიაშვილი; საგუნდო ხელოვნებიდან ომარ თოფურიძე, ოთარ ალფაძე, გომარ სიხარულიძე, მალხაზ კობახიძე და სხვანი. მისი აღზრდილია ზოია ბილოვა, რომელიც ამჟამად თბილისის კონსერვატორიაში მუშაობს.

ალექსანდრე, ან როგორც მას თელავში უწოდებენ, საშა, აქ ყველას უყვარს და თვითონაც უშურველად გასცემს სიყვარულს:

— თელავი ჩემი კერპია, ჩემი საყვარელი ქალაქი — ამბობს ჩვენი თანაქალაქელი, გამოჩენილი მომღერალი და მოქალაქე, ალექსანდრე მამუკელაშვილი.

ვალერიან მამუკელაშვილი

მე ჩემი ქვეყნის დიდებას ვისმენ.
ტკბილ. ძალ უთქმელ იდუმალ ხმაში.
და მაკრა. ამ მთებს დატკბობს ისევ
ძენი ხეების ფოთლების ტაში.
მე შენი ერთი კაცრიც კი მატკბობს.
მე ძენი ერთი ფოთოლიც მიყვარს.
ვადიდებ ცოცხალ ხეების სითბოს.
ვერ ვიტან მკვდარი ხეების ფიცარს.
მე ძესს სუნთქეს ვიფიცავ. ტკბილ.
ან და სხვა ვინ მკავს დასაფიცარი
და მესმება ჩემი ხეტრისთვის.
როგორ მიყვარდება ოთხი ფიცარი.

ვ. მამუკელაშვილი

ნიჭიერი ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე, მეცნიერი, საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი, საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი, ქალაქ მცხეთის საპატიო მოქალაქე, გეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვალერიან დავითის ძე მამუკელაშვილი დაიბადა 1926 წლის 25 დეკემბერს ქალაქ თელავში. 1943 წელს დაამთავრა თელავის IV საშუალო სკოლა და სწავლა გააგრძელა თბილისის ინდუსტრიული ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტზე, გეოლოგია და მადნეულ ბუდობათა ძიების განხრით, რომელიც დაამთავრა 1948 წელს. განაწილების თანახმად მუშაობა დაიწყო ტრესტ „საქნავთში"

1956 წელს სამუშაოდ გადავიდა საქართველოს სსრ ნავთობმომარაგება-გასაღების სისტემაში.

1974 წელს აირჩიეს მცხეთის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ. 1977 წელს გადაიყვანეს მცხეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორად, ხოლო 1978 წელს დანიშნეს ქ. მცხეთის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის გენერალურ დირექტორად.

1945 წლიდან როგორც კორესპონდენტი მოღვაწეობს ჟურნალ „ნიანგში"

1982 წელს ვ. მამუკელაშვილი აირჩიეს საქართველოს ისტორიის და კულტურის ძეგლთა დაცვის მცხეთის რაიონული საბჭოს თავმჯდომარედ. მინიჭებული აქვს საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის და კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდებები. დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირის ჟურნალისტთა კავშირის საპატიო სიგელით.

ვალერიან მამუკელაშვილი 1991 წელს აირჩიეს საქართველოს სატირიკოსთა და იუმორისტთა ასოციაციის პრეზიდენტად. 1992 წელს დანიშნეს ჟურნალ „ღიმილის" მთავარი რედაქტორის მოადგილედ. არის საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის წევრი. 1992 წელს აირჩიეს საქართველოს მწერალთა კავშირის წევრად.

ვალერიან მამუკელაშვილის პირველი ფელეტონი გამოქვეყნდა ჟურნალ „ნიანგში“ 1945 წელს, რის შემდეგ სისტემატურად აქვეყნებდა ფელეტონებს და მოღვაწეობდა ჟურნალში როგორც კორესპონდენტი. წერდა აგრეთვე იგავ-არაკებს, მინიატურებს. გამოცემული აქვს შვიდი წიგნი „ნიანგის“ სერიით.

ჟურნალ „ნიანგის“ გარდა ლექსებსა და ფელეტონებს უბეჭდავდნენ გაზეთები: „კომუნისტი“, „სოფლის ცხოვრება“, „ახალგაზრდა კომუნისტი“, „პარტიული სიტყვა“, „ლიტერატურული საქართველო“ და სხვა.

ვალერიან მამუკელაშვილი მჭიდროდ თანამშრომლობდა საქართველოს სსრ ფილარმონიასთან. მის ფელეტონებს კითხულობდნენ რესპუბლიკის სახალხო არტისტები სტეფანე ჯაფარიძე, გიორგი საღარაძე, აკაკი კვანტალიანი, ალექსანდრე გომელაური, გიორგი კიკნაძე, ვალერიან მოსაშვილი, ოლღა დოლიძე და სხვები.

თხუთმეტი წლის მანძილზე ვ. მამუკელაშვილი იყო ჟურნალ „ნიანგის“ შტატგარეშე კორესპონდენტთა განყოფილების გამგე.

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით და 4 სხვა მედლით.

შალვა მატუაშვილი

ქართველი ფერმწერი, საკავშირო მხატვართა კავშირის ნევრი (1988 ნლიდან), ქ. თბილისის მხატვრის სახლთან არსებული ფერნერის შემოქმედებითი სახელოსნოს ხელმძღვანელი, ნახატისთვის „რუსთაველის გამზირი" 1988 ნლის საუკეთესო ნამუშევრის პრემიის ლაურეატი — შალვა გიორგის ძე მატუაშვილი დაიბადა 1958 ნლის 29 აგვისტოს თელავის რაიონის სოფ. ნინანდალში.

შ. მატუაშვილმა 1980 ნელს დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია და ამავე ნლიდან სისტემატურად მოღვაწეობს რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო გამოფენებში.

1984 ნლიდან არის საქართველოს მხატვართა კავშირთან არსებული ახალგაზრდა მხატვართა და ხელოვნებათმცოდნეთა შემოქმედებითი გაერთიანების ნევრი, 1985 ნლიდან მოღვაწეობს ქ. თბილისის მხატვრის სახლთან არსებულ ფერნერის შემოქმედებით სახელოსნოში. 1987 ნელს მონაწილეობს თაობების გამოფენაში თბილისის მხატვრის სახლში, ამავე ნელს ქართული სახვითი ხელოვნების დიდ რეტროსპექტულ გამოფენაში იღებს მონაწილეობას ქ. მოსკოვის ცენტრალურ მხატვრის სახლში, ხოლო 1987-88-89 ნლებში — ქართველ მხატვართა ჯგუფურ გამოფენებში მოსკოვის „მზიურში"

შ. მატუაშვილის მრავალი გამოფენა მოეწყო 1988-1999 წწ. ქალაქებში: თბილისი, მოსკოვი, პარიზი, ვაშინგტონი, მილანი, ანკარა, მიუნჰენი, ბერლინი, ერევანი (ზოგიერთ ქალაქში რამდენჯერმე), ასევე სხვადასხვა ქვეყნებში — ესპანეთში, იტალიაში, ავსტრიაში, ქუვეითში.

შალვა მატუაშვილის ნამუშევრები დაცულია თბილისის თანამედროვე სახვითი ხელოვნების სახელმნიფო მუზეუმის ფონდებში, ტრეტიაკოვის გალერეაში (მოსკოვი), აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების მუზეუმში (მოსკოვი), საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის შენობაში (თბილისი), კერძო კოლექციებში: თბილისში, ჰელსინკში, მილანში, ნიუ-იორკში, ტოკიოში, მიუნჰენში, პარიზში, რომში, ბერლინში, სიეტლიში, მოსკოვში, ანკარაში.

1999 ნელს მოეწყო შ. მატუაშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში.

მარო მაჟაშვილი

1901-1921

მე არ ვიცხობდი ამორძალო, სწორო თამარის,
მაქვს სანანებლად თქვენი სახის უსახველობა.
მაგრამ ამბობენ: რაფაელის უნდა ხელობა
თქვენს ნაძღვილ პორტრეტს, დღეს რომ ფარაეს ვარდი სამარის.
ო, არ დუცალდით ნაზი ცქერა ქმნიან კამარის
და როს ივრძენი კმორდებოდა უნადველობა.
ვეტანაუდა უხმოდ ვსნერული ბედის ქვეყლობა
და სიყვარული საკორწინო თეთრი ქამარის.

ვარლამ რუხაძე

მაშ მამულს თავი შესწირო საქმელად. ეროსანსნელად.
თუ მისთვის დაეიხოცებით. ჩვენ ის ვვეყოფა სანუელად.

ილია

ვარო კონსტანტინეს ასული მაყაშვილი — სამშობლოსათვის გულანთებული და თავგანწირული პატრიოტი, ბუნებით უხვად დაჯილდოებული, ცოცხალი და გამჭრიახი გონების, ამასთან — მორცხვი, კდემამოსილი და გულკეთილი გოგონა დაიბადა 1901 წლის 25 აგვისტოს თელავის რაიონის სოფ. იყალთოში.

1919 წელს დაასრულა ქალთა ქართული გიმნაზია და იმავე წელს ქართული უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის სტუდენტი გახდა... აი, როგორ ახასიათებს მამა შვილს:

ქართული ლიტერატურა ზედმინევნით იცოდა; წერდა მშვენიერის ქართულით და იმედს იძლეოდა, რომ ჩინებული მწერალი გამოვიდოდა მომავალში. სიკვდილის შემდგომ მას დარჩა ორი დიდი რვეული დღიურებისა და პატარა მოთხრობები. ბეჯითად შეუდგა უცხო ენათა (ფრანგულისა და ინგლისურის) სწავლას. აზრად ჰქონდა ზედმინევნით შეესწავლა ეს ენები და კაზმული სიტყვიერების კლასიკური ნაწარმოებები გადმოეთარგმნა პირდაპირ დედნიდან..."

სამშობლოს აღდგენის და ქართველი ერის კეთილდღეობის იდეით იყო მთლად გამსჭვალული. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამ იდეისაკენ იყო მიმართული მისი გონება და გული. იგი იყო მისი ოცნება და ცხოვრების მიზანიც. ამ იდეამ იმსხვერპლა კიდეც. „შევარდენის" საზოგადოების დაარსებას მარო აღტაცებით მიეგება. იგი ჩაეწერა შეგირდად და მიუხედავად ათასი დაბრკოლებისა, ხანდახან დაცინვისაც კი, იღებდა მონაწილეობას მის მეცადინეობაში. ამ საზოგადოების ავკარგიანობაში დაეჭვებულთ, უპასუხებდა ხოლმე ლათინური ანდაზით: „ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სული უნდა იყოსო..."

აკი გაამართლა კიდეც ეს ნათქვამი! — ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სული რომ ედგა, იმიტომაც არ დაუდგა გული შინ, იმიტომაც პირველთაგანმა აიტაცა უნივერსიტეტში მისული საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის, ალ. ლომთათიძის მიმართვა ახალგაზრდებისადმი:

— საქართველო განსაცდელშია და უნდა დავიცვათ!..

ივანე ჯავახიშვილის მხარდაჭერას კიდევ უფრო შეუგულიანებია ისედაც აქოჩრილი ახალგაზრდობა: „ქართველსა გული რკინისა, აბჯარი თუნდაც ხისაო“,— ამ სიტყვებით დაულოცნია რექტორს გზა სტუდენტობისათვის, რომელთა შორის იყვნენ მარო მაყაშვილი, მისი უახლოესი მეგობარი, შემდგომში ცნობილი მომღერალი ქეთო ჯაფარიძე, სუსანა ღამბაშიძე, სოფიო ჭრელაშვილი, ნათელა ერისთავი, ქსენია ცხაკაია, მარო აბრამიშვილი და სხვანი. გეზი კოჯრისკენ უნდა აეღოთ — გამანანილებელ პუნქტს იმდენი ახალგაზრდა მიანყდა თურმე, რომ ქალებისთვის უარი უთქვამთ — საჭირო აღარ არისო. ალბათ, დაინდეს კიდეც მომავალი დედები!..

მარო არ შეპუებია წინააღმდეგობას.

დედ-მამის მუდარას, — ნუ წახვალო, — მარო ასე უპასუხებს: თანამემამულთა ცრემლი და სისხლი სადაც იღვრება, იქ უნდა ვიყოო...

იმავ დღეს, 17 თებერვალს, წითელ ჯვარში ეწერება მონყალების დად სიტყვიერებისა და სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის მეორეკურსელი მარო მაყაშვილი და უერთდება კოჯრისაკენ მიმავალ სანიტარულ რაზმს, კოჯორში უკვე გააფთრებით იბრძვიან ქართველები დამოუკიდებელი საქართველოს დედაქალაქის გადასარჩენად.

ორიოდე დღე ფრონტზე, ორად-ორი ბარათი... სუსხი...

„19 თებერვალს საღამოს მის გვერდით გამსკდარმა ყუმბარამ არც კი დააცალა უკანასკნელი სალამი ეთქვა სამშობლოსა და მშობლებისათვის“,— ასე ამთავრებს მაროს ბიოგრაფიას კოტე მაყაშვილი... მაგრამ ვიდრე ეს სტრიქონები დაინერებოდა, მშობლის ცრემლები ლექსში აყღერდა, — „ჩემს მაროს“— ჰქვია ამ ლექსს, რომელიც კრებულების მიღმა დარჩა...

არც სიცოცხლის. არც სიკვდილის
ეჯარა მაქვს ხალისი.
ოებერვალმა დამიზამთრა
სამუდამოდ მაისი.
კულზე სუდა შემომაწვა
თავის მძიმე ლოდებით,
საქართველო კაიფლინთა
მაყაშვილთა ვოდებით...

... მაყაშვილთა საგვარეულოს ჯერ 21 წლის პილოტი, გიორგის ჯვრის კავალერი მიშა (მიხეილ სოლომონის ძე) მაყაშვილი არ გამოეგლოვა, რომელიც 1920 წლის 1 მაისს დაიღუპა, ოფიცერთა გამოშვების წინა ღამეს თბილისის იუნკერთა სასწავლებელში, შინაური მტრობით გამონვეული შუღლისას და აი კიდევ ახალი უბედურება...

კოტე ერთ ღამეში გათეთრებულა.

და განა მარტო მშობლები და ახლობლები დასტირიან ტრაგიკულად დაღუპულ მაროს, არამედ მთელი თბილისი, მთელი ინტელიგენცია. ამას გვიმოწმებს მაშინდელი გაზეთების სამგლოვიარო განცხადებებით გაჭედილი გვერდები...

23 თებერვალს, დღის 12 საათზე დაკრძალეს მარო — სამშობლოსათვის ბრძოლაში დაღუპული პირველი ქალი, მაყაშვილთა პატრიოტული და მხედრული მოდგმის შთამომავალი.

შალვა მაყაშვილი

1903-1990

ბატონი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე შალვა კონსტანტინეს ძე მაყაშვილი (ცნობილი ქართველი პოეტის კოტე მაყაშვილის შვილი და ეკატერინე გაბაშვილის შვილიშვილი) დაიბადა 1903 წლის 11 აპრილს თბილისში.

ბავშვობიდანვე ეზიარა ხელოვნების სამყაროს. 1923 წელს შევიდა თბილისის სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტზე, სადაც ოსტატდებოდა გიგო გაბაშვილის ხელმძღვანელობით. აკადემია დაამთავრა 1929 წელს და დაიწყო დამოუკიდებელი შემოქმედებითი საქმიანობა: განევრიანდა მხატვართა გაერთიანებაში, აქტიურად ჩაება შემოქმედებით პროცესში. 50 წლის განმავლობაში მისი ნამუშევრები „მცხეთა", „ანანური", „სვანეთი", „მიო-მღვიმე", „სიონი", „პიტარეთი", „ზარზმა" და სხვა ამშვენებდა ჩვენში მოწყობილ თითქმის ყველა გამოფენას. ამასთანავე, იგი იყო ჩინებული მთამსვლელი და მოთხილამურე. ხშირად მონაწილეობდა ალპინისტურ ლაშქრობებში, მოვლილი ჰქონდა მთელი საქართველო.

მაყაშვილების ოჯახმა დიდი მსხვერპლი გაიღო სამშობლოს თავისუფლებისათვის. კოჯორთან და ტაბახმელასთან ბრძოლაში დაიღუპა ან სახალხო გმირად შერაცხული მარო მაყაშვილი. მასთან ერთად იბრძოდა მისი ძმაც, შალვა მაყაშვილი, რომელიც მთელი თავისი ხანგრძლივი ცხოვრების განმავლობაში ებრძოდა უსამართლობას, მზად იყო, თავი დაედო საქართველოს თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის, მისი ნათელი მომავლისათვის. სამშობლოსადმი ეს სიყვარული ნათლად ჩანს მხატვრის მდიდარ შემოქმედებაში.

ფირუზ მახათელაშვილი

1914-1970

ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ლოტბარი ფირუზ დავითის ძე მახათელაშვილი დაიბადა 1914 წელს თელავის რაიონის სოფ. კურდღელაურში. ბავშვობაში ფირუზს ხშირად მოუსმენია თანამემამულეების, კახური სიმღერის ოსტატების, ლევან ასაბაშვილის („დედას ლევანა"), ილიკო სინჯიაშვილის, მიხა ავგაროზიშვილის, ლევან მაღალაშვილის, ვანო მჭედლიშვილის, მიხო ჯიღაურის, ნინია ელოშვილის და სხვათა მიერ შესრულებული სიმღერები: „სუფრული", „ბერიკაცი", „შემოძახილი", „ზამთარი", „გაფრინდი შავო მერცხალო", „თეთრო ბატო", „კახური მგზავრული", „გუშინ შვიდნი გურჯანელნი" და სხვა. უამრავი ძველი სიმღერა ჩაწერა და აღადგინა ფირუზ მახათელაშვილმა...

მრავალი წლის დაუღალავი მუშაობისა და მეშვიდე რესპუბლიკურ ოლიმპიადაში სასახელო მოღვაწეობისათვის 1951 წლის 7 დეკემბრის ბრძანებულებით მიენიჭა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

ფ. მახათელაშვილი თვითმოქმედი კომპოზიტორია. საკუთარ ტექსტებზე დაწერილი აქვს ბევრი ახალი სიმღერა.

ფირუზ მახათელაშვილმა მოსკოვში საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის მზადებასთან დაკავშირებით შექმნა ახალი მუსიკალური ინსტრუმენტი „ჩანგური", რომელიც აერთიანებს ჩონგურის, ფანდურისა და ჩანგის მუსიკალურ ელერადობას. ვერხვისა და წითელი ხისგან გამოთლილ საკრავს მეტად სასიამოვნო ხმა აქვს. „ჩანგურის" ძირითადი თავისებურება ის არის, რომ შენარჩუნებული აქვს თითოეული შემადგენელი ინსტრუმენტის სახე, გაძლიერებული ტემბრი, „ჩანგურზე" სრულდება როგორც ხალხური, ისე კლასიკური ნაწარმოებები...

ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ერთი გარემოება: სახალხო მხატვარს ლადო გუდიაშვილს შეუქმნია სურათი „სიმღერა ახალ თბილისზე". სურათზე წინა პლანზე ქალი უკრავს სწორედ ისეთ საკრავზე, როგორიც შექმნა ფ. მახათელაშვილმა („თბილისი"— 20 იანვარი, 1958 წ.).

დაუღალავი მოღვაწე და ნოვატორი ფირუზ მახათელაშვილი გარდაიცვალა 1970 წელს.

მირიან მესტვირიშვილი

ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ელემენტარული ნაწილაკების თეორიისა და გრავიტაციის ლაბორატორიის გამგე, ლენინური პრემიის ლაურეატი (1966 წ.), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი მირიან ალექსის ძე მესტვირიშვილი დაიბადა 1934 წლის 20 აპრილს თელავის რაიონის სოფ. კურდღელაურში.

1951 წელს დაამთავრა თელავის ვაჟთა I სკოლა. იმავე წელს თბილისის თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტი გახდა, მაგრამ იქ მხოლოდ 1 წელი დაჰყო და 1952 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტზე ჩაირიცხა, მეოთხე კურსიდან კი ფიზიკის ფაკულტეტზე გადავიდა. ასე ეზიარა იგი იმ ფუნდამენტურ მეცნიერებას, რომელსაც დღესაც ერთგულად და პირვანდელი გატაცებით ემსახურება. 1958 წელს, უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე, უკვე I კურსის ასპირანტი ქ. დუბნის ბირთვულ გამოკვლევათა გაერთიანებულ ინსტიტუტში მიავლინეს. 1961 წელს თბილისის უნივერსიტეტში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. იმავე წლიდან 1964 წლამდე მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტში. 1964 წლიდან კვლავ დუბნაშია და მუშაობს ბირთვულ გამოკვლევათა გაერთიანებული ინსტიტუტის თეორიული ფიზიკის ლაბორატორიაში. ეს იყო ინტენსიური ძიების, კვლევის, მნიშვნელოვან მიგნებათა მეტად ნაყოფიერი წლები. 1970 წლიდან სამუშაოდ გადადის სერპუხოვოს მაღალ ენერგიათა ფიზიკის ინსტიტუტში, სადაც წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა მრავლობითი პროცესების თეორიის ლაბორატორიას. (უნდა აღინიშნოს, რომ ამ ლაბორატორიასთან კავშირი დღესაც არ გაუწყვეტია, თუმცა უკვე მოსკოვის უნივერსიტეტის თანამშრომელია). 1971 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, 1983 წლიდან პროფესორია. 1986 წლიდან მუშაობს მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ელემენტარული ნაწილაკების თეორიისა და გრავიტაციის ლაბორატორიის გამგედ. ნაშრომისათვის „არადრეკადი პროცესების კვეთების ქცევა მაღალ ენერგიებზე" 1986 წელს მიენიჭა ლენინური პრემია (მეცნიერთა ჯგუფთან ერთად). 1988 წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

მ. მესტვირიშვილი მნიშვნელოვანი გამოკვლევების ავტორია მაღალი ენერგიების ფიზიკისა და გრავიტაციის თეორიის განხრით. მისი ნაშრომები სისტემატურად ეკვეყნდება საქართველოს, რუსეთისა და ევროპის სპეციალურ პერიოდულ გამოცემებში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მ. მესტვირიშვილის გამოკვლევა «Основа релятивистской теории гравитации» (წგნ., თანაავტორი აკად. ა. ლოგუნოვი). წიგნი ითარგმნა მსოფლიოს მრავალ ენაზე.

მ. მესტვირიშვილი ამჟამად ცხოვრობს ქ. მოსკოვში. ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი. მას არ გაუწყვეტია საქართველოსთან კავშირი, ხშირად ჩამოდის თბილისში, სადაც ძალიან ბევრი აბლობელი და მეგობარი ჰყავს; საქმიანი ურთიერთობა აქვს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტთან. სერპუხოვოსა და დუბნაში მოღვაწე ქართველი მეცნიერებისთვის მ. მესტვირიშვილი არის უდიდესი ავტორიტეტი და ამავე დროს მა-

თზე გამუდმებით მზრუნველი ადამიანი. დიდი ამაგი დასდო მშობლიურ ფიზიკის ფაკულტეტს. სწორედ მისი ინიციატივითა და ძალისხმევით გადაწყდა, ფიზიკის ფაკულტეტის დამამთავრებელი კურსის სტუდენტებს სადიპლომო პრაქტიკა გაევლოთ სერპუხოვის მაღალ ენერგიათა ფიზიკის ინსტიტუტში, რაც მეტად სასარგებლოა მომავალი მეცნიერებისათვის. ბევრი მათგანი სამუშაოდაც რჩებოდა სერპუხოვოსა და დუბნაში. დღეს მ. მესტვირიშვილის აღზრდილი ბევრი ფიზიკოსი მოღვაწეობს საზღვარგარეთის ნამყვან სამეცნიერო ცენტრებში ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკის განხრით.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი ა. ბელაშვილი წერს:

მ. მესტვირიშვილი არის აკადემიკოსების ნიკოლოზ ბოგოლუბოვის და ანატოლი ლოგუნოვის სამეცნიერო სკოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნარმომადგენელი. მისი ნაშრომები ფართოდ არის ცნობილი სამეცნიერო წრეებში. უკანასკნელი ოცი ნლის განმავლობაში იგი აკად. ა. ლოგუნოვთან და თანამშრომლებთან ერთად ავითარებს ცალკე მიმართულებას გრავიტაციაში, რაც ცნობილია გრავიტაციის რელატივისტური თეორიის სახელნოდებით. ეს თეორია მთელ რიგ პრინციპულ საკითხებში განსხვავდება აინშტაინის ფარდობითობის თეორიისგან და დღეს საინტერესო დებატების საგანია. მ. მესტვირიშვილის სამეცნიერო შედეგებიდან აღსანიშნავია ა. ლოგუნოვთან ერთად ე. ნ. ღრმადარადრეკი პროცესების განხილვა. ეს ნაშრომი პიონერული იყო ამ სფეროში და საფუძვლად დაედო ელემენტარულ ნაწილაკთა ფიზიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებას — ინკლუზიური და ექსკლუზიური, როგორც შემდგომ ეწოდა, პროცესების ანალიზს. ამ აღიარებულ ნაშრომებს მინიჭებული აქვს სსრკ ლენინური პრემია.

ბ-ნი მირიანი ახალგაზრდობიდანვე უაღრესად განათლებული და განსწავლული ადამიანი იყო. დინჯი, ყურადღებიანი მეგობრების, კოლეგების და მონაფეების მიმართ. მისი ინტერესი არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ფიზიკით. მირიანი შესანიშნავად იცნობდა მხატვრულ ლიტერატურას, თეატრს, ხელოვნების სხვა დარგებს. მან ხომ თავისი გზა თეატრალური ინსტიტუტით დაიწყო, შემდეგ ქიმიის და ბოლოს ფიზიკის ფაკულტეტებზე სწავლით. ასეთი მრავალმხრივი იყო მისი ცხოვრების არჩევანი და ბოლოს მაინც ფიზიკამ გადასძლია. მირიანი ამართლებს ცნობილ ეპითეტს — ფიზიკოსი-ლირიკოსი. ალბათ, ამის გამო უფრო მეტი სიყვარულით და პატივისცემით სარგებლობს.

მირიანი ყოველთვის ბევრს ზრუნავდა და ზრუნავს ქართველი ახალგაზრდების აღზრდისა და სწორ გზაზე დაყენებისათვის. მისი ხელშეწყობით არა ერთი ახალგაზრდა ეზიარა მეცნიერების ფართო გზას. სწორედ ამით არის იგი უდიდესი მამულიშვილი, საქართველოს ერთგული შვილი, მისი უსაზღვრო მოსიყვარულე, ქართული სულიერების, ქართული ნიჭის შორს გამტანი"

შალვა მიქელაძე

1895-1976

საქართველი მათემატიკოსი, საქართველოს აკადემიის აკადემიკოსი შალვა ექვთიმეს ძე მიქელაძე დაიბადა 1895 წლის 16 (28) მარტს ქალაქ თელავში.

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იყო ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სსრ დამსახურებული მოღვაწე. 1935 წლიდან გარდაცვალებამდე მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში გამოთვლითი მათემატიკის განყოფილების გამგედ, ხოლო 1954-70 წწ. თსუ მიახლოებითი ანალიზისა და გამოთვლითი ტექნიკის კათედრის გამგედ.

შალვა მიქელაძე იყო გამოთვლითი მათემატიკის ქართული სკოლის ფუძემდებელი, მისი შრომები ეხება ფუნქციათა მიახლოების, რიცხვითი ინტეგრირებისა და რიცხვითი განარმოების, რიცხვითი განტოლებების ამოხსნის, დიფერენცირებულ და ინტეგრირებულ განტოლებათა რიცხვითი ამოხსნის, აგრეთვე, მექანიკური ამოცანების მიახლოებითი ამოხსნის მეთოდებს.

სსრკ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1952წ.) დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით, ხალხთა მეგობრობის ორდენით, „საპატიო ნიშნის" ორი ორდენითა და მედლებით.

ნოდარ მოდებაძე

ნოდარ არჩილის ძე მოდებაძე — 1977 წლის საბჭოთა კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი, 1973 წლის ევროპის ჩემპიონი, 1974 წლის მსოფლიო თასის მფლობელი, „ფილას" ეგიდით გამართული ყველა საერთაშორისო ტურნირის მრავალგზის გამარჯვებული, 1973 წლის მოსკოვის მსოფლიო სტუდენტთა თამაშების ჩემპიონი, რომლის გახსნაზე, ლუჟნიკებზე, წილად ხვდა საბჭოთა კავშირის დროშის გამოტანა, — დაიბადა 1950 წლის 29 ოქტომბერს თელავის რაიონის სოფ. აკურაში.

1956 წელს შევიდა მშობლიური სოფლის საშუალო სკოლაში 1966 წელს ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში (ახლანდელი ტექნიკური უნივერსიტეტი) და მიიღო ინჟინერ-ქიმიკოს-ტექნოლოგის კვალიფიკაცია. შრომითი საქმიანობა დაიწყო სოფ. აკურაში.

ნ. მოდებაძე სპორტს ეზიარა 1966 წელს, როდესაც ვარჯიში დაიწყო ცნობილ მწვრთნელთან გიორგი როსტიაშვილთან თავისუფალ ჭიდაობაში.

1972 წელს მსოფლიოში განუმეორებელმა მინსკელმა თავისუფალი სტილის მოჭიდავემ ალექსანდრე მედვედმა, შეაფასა რა ნ. მოდებაძის პოტენციალი, განაცხადა, რომ ნოდარის შემდეგ სარბიელზე აღარ გამოვიდოდა, საჭიდაო ფეხსაცმელი გაიხადა, საზეიმოდ გადასცა ქართველ სპორტსმენს და დაულოცა გზა დიდი სარბიელისაკენ...

ნოდარ მოდებაძე საქართველოს 15-გზის ჩემპიონია, ხალხთა სამი სპარტაკიადის მონაწილე და ორგზის პრიზიორი. მას ეკუთვნის უნიკალური რეკორდი — მთელი სპორტული კარიერის განმავლობაში საერთაშორისო ტურნირი არათუ არ ნაუგია, ერთ შეხვედრაშიც კი არ დამარცხებულა!

ნ. მოდებაძე სპორტული კარიერის დამთავრების შემდეგ სამეურნეო საქმიანობას იწყებს: ჯერ მუშაობდა ახალგაზრდებთან თავისუფალ ჭიდაობაში, შემდეგ კი თავისი სპეციალობით, სოფლის მეურნეობის დარგში. დღეისათვის იგი არის საქართველოს პარლამენტის წევრი, ბლოკ „აღორძინების", ფრაქციის „XXI საუკუნის" წევრი.

ნოდარ მოდებაძე სოფ. აკურაში ეწევა ნამდვილად მამულიშვილურ საქმიანობას — ახორციელებს ელიას სახელობის ეკლესიის აღდგენა-რესტავრაციას, რომელსაც სოფელმა საუკუნის მშენებლობა უწოდა. მისი მონდომებით და უშუალო ხელმძღვანელობით გაკეთდა ოთხი ჭაბურღილი და სოფლის მოსახლეობა უზრუნველყოფილი იქნა სასმელი წყლით. ნ. მოდებაძემ პარალელურად დაიწყო ღვთისმშობლის ეკლესიის აღდგენა-რესტავრაცია.

ნ. მოდებაძეს ჰყავს ოთხი შვილი, სამი ვაჟი — არჩილი, ალექსი და ზურაბი და ერთი გოგონა ირმა, ერთიც შვილიშვილი — პატარა ნოდარი. სამივე ვაჟი 1998-2000 წწ. საქართველოს ჩემპიონები არიან, ხოლო ალექსიმ მონაწილეობა მიიღო სიდნეის 2000 წ. ოლიმპიურ თამაშებში. 2001 წელს გახდა ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი.

ალექსანდრე სანდრო მრევლიშვილი

საქართველოს სახალხო არტისტი, პროფესორი, პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს კომკავშირისა და კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიების ლაურეატი, ევროპისა და მსოფლიოს თეატრალური ინსტიტუტების წევრ-ექსპერტი, იუნესკოს თეატრალური ექსპერტ-კონსულტანტი ალექსანდრე (სანდრო) მიხეილის ძე მრევლიშვილი დაიბადა 1941 წლის 10 თებერვალს, თბილისში. მამა — ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე მიხეილ მრევლიშვილი.

მრევლიშვილები საეკლესიო აზნაურები არიან. მათი საგვარეულოს ყველა თაობა XIX საუკუნის ბოლომდე ეწეოდა საეკლესიო მოღვაწეობას საქართველოს სხვადასხვა ეპარქიაში, ბოლოს — იყალთოში. ერთ-ერთმა მათგანმა პირველმა ჩანერა ქართული საგალობლები ევროპულ ნოტებზე.

ა. მრევლიშვილის უახლოესი წინაპარი — ნიკოლოზ მრევლიშვილი — უაღრესად განათლებული კაცი იყო. ეწეოდა ხალხსნურ მოღვაწეობას, რისთვისაც გადაასახლეს რაჭაში, ონის მაზრაში, სადაც მოსამართლედ და გიმნაზიის რექტორად მუშაობდა. მისი წიგნების ბაზაზე შექმნილია ონის ბიბლიოთეკა, რომელიც დღემდე ერთადერთია ონში.

დედის, კილაძეების საგვარეულოში — ბართლომე კილაძე ერთ-ერთი წარმატებული ქართველი მეწარმეა რევოლუციამდელ საქართველოში. მის მიერ დაარსებულ სტამბაშია გამოცემული ბევრი ქართველი მწერლის თხზულებები, მათ შორის პირველად: დავით კლდიაშვილის თხზულებათა სრული კრებული და გალაკტიონ ტაბიძის საყოველთაოდ ცნობილი „რვეულები"

სანდრო მრევლიშვილმა 1958 წელს დაამთავრა თბილისის I საშუალო სკოლა. ამავე წელს შედის თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში, სარეჟისორო ფაკულტეტზე. პირველი კურსის დამთავრების შემდეგ, 1959 წელს, ცნობილი რეჟისორისა და პედაგოგის გ. ტოვსტონოგოვის მიწვევით სასწავლებლად გადადის ლენინგრადის ოსტროვსკის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში (შემდეგ — ლენინგრადის თეატრის, კინოსა და მუსიკის ინსტიტუტი), რომელსაც ამთავრებს 1963 წელს.

სადიპლომო სპექტაკლი განახორციელა შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში.

1963 წლიდან 1966 წლამდე მუშაობს ქ. სოხუმის სახელმწიფო თეატრში დამდგმელ რეჟისორად (სპექტაკლები „წყალდიდობა", „აპრაკუნე ჭიმჭიმელი", „შვეიკი", „დაბურული ტყის ზღაპარი" და სხვ.).

1966 წლიდან 1973 წლამდე თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის აკადემიურ თეატრში დამდგმელი რეჟისორია. პარალელურად არის თეატრალური ინსტიტუტის პედაგოგი.

1974 წელს მისი ინიციატივით იქმნება „სახელმწიფო ახალგაზრდული თეატრი-სტუდია" („მეტების თეატრი"), რომელიც პირველი სახელმწიფო ახალგაზრდული სტუდიაა მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით. ამ თეატრმა მრავალ სიახლეს მისცა დასაბამი როგორც შემოქმედებითი, ასევე თეატრალური ორგანიზაციების თვალსაზრისით, არატრადიციული თეატრალური სივრცის თეატრალური ქმედებისთვის გამოყენების მიმა-

რთულებით. 1979 წელს შექმნა „თეატრალური კარავი“, რაც სრულიად ახალი ექსპერიმენტი იყო თეატრალურ ხელოვნებაში. დღემდე ამ თეატრის უცვლელი ხელმძღვანელია. „მეტეხის თეატრში“ განხორციელებული აქვს მრავალი დადგმა, რომელთაც საყოველთაო საერთაშორისო აღიარება მოიპოვეს.

1995 წელს, საქართველოს თეატრის ისტორიაში პირველად, სანდრო მრევლიშვილმა შექმნა კერძო თეატრი — „ძველი სახლი“

1977 წელს მიანიჭეს საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება

1981 წელს ხდება საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი.

1988 წელს მიენიჭა საქართველოს სახალხო არტისტის წოდება.

1996 წლიდან — პროფესორის წოდება (საქართველოს თეატრალური ინსტიტუტი, თბილისის კულტურის ინსტიტუტი).

1997 წელს — კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემია.

არის საქართველოს პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

განხორციელებული აქვს 100-მდე დადგმა, მრავალი მასობრივ-სანახაობრივი ღონისძიება.

დაჯილდოებულია „ღირსების ორდენით“, შვაიცერის მედლით, თბილისის მერიის მედლით „ერთგულებისათვის“. არის ვარშავის, კრაკოვის (პოლონეთი) და საარბრიუკენის (გერმანია) საპატიო მოქალაქე.

არის ევროპისა და მსოფლიოს თეატრალური ინსტიტუტების წევრ-ექსპერტი, „იუნესკოს“ თეატრალური ექსპერტ-კონსულტანტი.

განხორციელებული აქვს დადგმები საზღვარგარეთაც: კიევში, ვარშავაში, კრაკოვში, ბრატისლავაში, საარბრიუკენში, ტალინში, სტამბოლში და სხვ.

სანდრო მრევლიშვილის პიესები დაიდგა საქართველოში, უკრაინაში, პოლონეთში.

საქართველოს სახალხო არტისტი, პროფესორი, პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს კომკავშირისა და კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიების ლაურეატი, ევროპისა და მსოფლიოს თეატრალური ინსტიტუტების წევრ-ექსპერტი, იუნესკოს თეატრალური ექსპერტ-კონსულტანტი ალექსანდრე (სანდრო) მიხეილის ძე მრევლიშვილი დაიბადა 1941 წლის 10 თებერვალს, თბილისში. მამა — ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე მიხეილ მრევლიშვილი. დედა — ფაინე ბართლომეს ასული კილაძე.

მრევლიშვილები საეკლესიო აზნაურები არიან. მათი საგვარეულოს ყველა თაობა — XIX საუკუნის ბოლომდე ეწეოდა საეკლესიო მოღვაწეობას საქართველოს სხვადასხვა ეპარქიებში, ბოლოს — იყალთოში. ერთ-ერთმა მათგანმა პირველმა ჩაწერა ქართული საგალობლები ევროპულ ნოტებზე.

ა. მრევლიშვილის უახლოესი წინაპარი — ნიკოლოზ მრევლიშვილი — უაღრესად განათლებული ადამიანი იყო. ეწეოდა ხალხოსნურ მოღვაწეობას, რისთვისაც გადასახლებულ იქნა რაჭაში, ონის მაზრაში, სადაც იყო მოსამართლე და გიმნაზიის რექტორი. მისი წიგნების ბაზაზე შექმნილია ონის ბიბლიოთეკა, რომელიც დღემდე ერთადერთია ონში.

დედის მხრიდან — ბართლომე კილაძე — ერთ-ერთი წარმატებული ქართველი მენარმე რევოლუციამდელ საქართველოში. მის მიერ დაარსებულ სტამბაში გამოცემულია ბევრი ქართველი მწერლის თხზულებები, მათ შორის პირველად: დავით კლდიაშვილის თხზულებათა სრული კრებული და გალაკტიონ ტაბიძის საყოველთაოდ ცნობილი პირველი „რვეულები“

სანდრო მრევლიშვილმა 1958 წელს დაამთავრა თბილისის პირველი საშუალო სკოლა. ამავე წელს შედის თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში, სარეჟისორო ფაკულტეტზე. პირველი კურსის დამთავრების შემდეგ, 1959 წელს, ცნობილი რეჟისორისა და პედაგოგის გ. ტოვსტონოგოვის მინვევით სასწავლებლად გადადის ლენინგრადის ოსტროვსკის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში (შემდეგ — ლენინგრადის თეატრის, კინოსა და მუსიკის ინსტიტუტი), რომელსაც ამთავრებს 1963 წელს.

სადიპლომო სპექტაკლი განახორციელა შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში.

1963 წლიდან 1966 წლამდე მუშაობს ქ. სოხუმის სახელმწიფო თეატრში დამდგმელ რეჟისორად (სპექტაკლები „წყალდიდობა", „აპრაკუნე ჭიმჭიმელი", „შვეიკი", „დაბურული ტყის ზღაპარი" და სხვ.).

1966 წლიდან 1973 წლამდე მუშაობს თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის აკადემიურ თეატრში დამდგმელ რეჟისორად. პარალელურად – თეატრალური ინსტიტუტის პედაგოგად.

1974 წელს მისი ინიციატივით იქმნება „სახელმწიფო ახალგაზრდული თეატრი-სტუდია" („მეტეხის თეატრი"), რომელიც პირველი სახელმწიფო ახალგაზრდული სტუდიაა მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით. ამ თეატრმა მრავალ სიახლეს მისცა დასაბამი როგორც შემოქმედებითი, ასევე თეატრალური ორგანიზაციის თვალსაზრისით, არატრადიციული თეატრალური სივრცის თეატრალური ქმედებისთვის გამოყენების მიმართულებით. 1979 წელს შექმნა „თეატრალური კარავი", რაც სრულიად ახალი ექსპერიმენტი იყო თეატრალურ ხელოვნებაში. ამ თეატრის უცვლელი ხელმძღვანელია დღემდე. „მეტეხის თეატრში" განხორციელებული აქვს მრავალი დადგმა, რომელთაც საყოველთაო საერთაშორისო აღიარება მოიპოვეს.

1995 წელს, საქართველოს თეატრის ისტორიაში პირველად, მან შექმნა კერძო თეატრი –„ძველი სახლი", რომელიც წარმატებით მოქმედებს.

1977 წელს მინიჭებული აქვს საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ნოდება

1981 წელს მიენიჭა საქართველოს კომკავშირის პრემია.

1988 წელს – საქართველოს სახალხო არტისტის ნოდება.

1996 წლიდან – პროფესორის ნოდება (საქართველოს თეატრალური ინსტიტუტი, თბილისის კულტურის ინსტიტუტი).

1997 წელს – კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემია.

არის საქართველოს პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

განხორციელებული აქვს 100-მდე დადგმა, მრავალი მასიურ-სანახაობრივი ღონისძიება.

დაჯილდოებულია „ღირსების ორდენით", შვაიცერის მედლით, თბილისის მერიის მედლით „ერთგულებისათვის". არის ვარშავის, კრაკოვის (პოლონეთი) და საარბრიუკენის (გერმანია) საპატიო მოქალაქე.

არის ევროპისა და მსოფლიოს თეატრალური ინსტიტუტების წევრ-ექსპერტი, „იუნესკოს" თეატრალური ექსპერტ-კონსულტანტი.

განხორციელებული აქვს დადგმები საზღვარგარეთაც: კიევში, ვარშავაში, კრაკოვში, ბრატისლავაში, საარბრიუკენში, ტალინში, სტამბოლში და სხვ.

სანდრო მრევლიშვილი არის პიესების ავტორი. მისი პიესები დადგმულია საქართველოში, უკრაინაში, პოლონეთში.

2000 წელს მიენიჭა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო პრემია სპექტაკლისათვის „მარტორქები ორკესტრში"

ანდრია მრევლიშვილი

1823-1889

ანდრია მრევლიშვილი XIX ს. პედაგოგთა იმ ნაწილს ეკუთვნის, ვინც თავისი სიცოცხლე სახალხო განათლების ნმინდა საქმესა და ძველი სიმღერა-საგალობლების აღდგენა-ჩაწერის საპასუხისმგებლო ამოცანას მიუძღვნა. ანდრია მრევლიშვილი 39 წლის განმავლობაში დიდი მონდომებითა და წარმატებით მოღვაწეობდა ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის პირველდაწყებით ეტაპზე. პედაგოგიური ასპარეზიდან გასვლის შემდეგაც მას თავი არ მიუნებებია თავისი საყვარელი საქმისათვის და ყოველდღიურად იღვწოდა ქართული მუსიკალური კულტურისა და განათლების გავრცელებისათვის.

ანდრია გიორგის ძე მრევლიშვილი დაიბადა 1823 წელს თელავის მაზრის სოფელ იყალთოში. მისი მამა, მაყაშვილების კარის მოძღვარი, მთელს კახეთში ცნობილი იყო თავისი მომაჯადოებელი საგალობლებით, სუფრული შემოძახილებითა და ჰარმონიული სიმღერებით.

1843 წლის 28 აგვისტოს ანდრია მრევლიშვილმა წარმატებით დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარიის სრული კურსი და გაიგზავნა თელავის სასულიერო სასწავლებლის პირველი კლასის მასწავლებლად. ამავე წლის 30 ოქტომბერს გადმოიყვანეს თბილისში სამრევლო სკოლის მეორე კლასის მასწავლებლად.

1844 წელს ანდრია დუშეთის სამაზრო სასწავლებელშია, სადაც ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა, ვიდრე ამ სკოლას სამრევლო სკოლად გადააკეთებდნენ (1850 წელი).

1850 წლიდან კავკასიის სასწავლო ოლქის მმართველობა ა. მრევლიშვილს აგზავნის ახალციხის სამაზრო სასწავლებლის მოსამზადებელი კლასის მასწავლებლად. ოთხი წლის შემდეგ რუსეთ-თურქეთის ომთან დაკავშირებით ახალციხის სასწავლებელი დროებით დაიხურა. ა. მრევლიშვილი რაჭაში მიავლინეს და დაავალეს, გაეხსნა პირველდაწყებითი სასწავლებელი. ანდრია მრევლიშვილმა დაკისრებული მოვალეობა პირნათლად შეასრულა და 1856 წელს ამავე სკოლის ზედამხედველის თანამდებობაზე დამტკიცეს.

1857 წლის ბრძანებით დაინიშნა ქუთაისის პირველდაწყებითი სასწავლებლის ზედამხედველად და რუსული ენისა და მათემატიკის მასწავლებლად.

ა. მრევლიშვილის ქუთაისის პირველდაწყებით ორწლიან სასწავლებელში პედაგოგიური მოღვაწეობა იმდენად ნაყოფიერი იყო, რომ ამ სკოლას ხშირად „მრევლოვის კლასს" ეძახდნენ.

დავით ალდიაშვილი მემუარებში იგონებს:

„როცა ერთრიგად მოვმაგრდი სწავლაში, მამაჩემმა მიმაბარა მრევლოვის მზადებელ სასწავლებელში... თვით სასწავლებლის გამგე მრევლოვი მშვენიერი, ბავშვების მოსიკეთე ადამიანი იყო. ჩვენც ძლიერ გვიყვარდა" „მრევლოვის კლასი" ქუთაისის გუბერნიის ერთ-ერთი მონინავე და ნამდვილი პედაგოგიური სასწავლებელი იყო. სასწავლო მეურნეობა საათივით ჰქონდა ანყობილი... თვითონ ანდრია მრევლიშვილი მთელ დასავლეთ საქართველოში ერთ-ერთ სანიმუშო სასწავლებლად მიაჩნდათ.

მრევლიშვილმა ქუთაისის პირველდაწყებით სასწავლებელში 25 წლის ნაყოფიერი შრომით დაიმსახურა აღზრდილებისა და ქუთაისის საზოგადოების უდიდესი სიყვარული.

ა. მრევლიშვილს პედაგოგიური მოღვაწეობა არ იქნება სრული, თუ გაკვრით მაინც არ აღინიშნა მისი წვლილი მუსიკის დარგში. მას კარგად ჰქონდა შეგნებული, რა დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მუსიკას აღზრდის საქმეში. ქუთაისის დაწყებითი სკოლის მოსნავლეები მოუთმენლად ელოდნენ სიმღერა-გალობის გაკვეთილს, რათა დამტკბარიყვნენ საყვარელი მასნავლებლისა და აღმზრდელის საამო ჰანგებით. და განა მარტო მოსნავლეები შეჰხაროდნენ მის სიმღერებს? მრევლიშვილების მუსიკალური ოჯახის სიმღერა-საგალობლებით ტკბებობდნენ არა მარტო ქუთაისის მცხოვრებლები, არამედ თბილისის საზოგადოებაც. სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენდა მსმენელზე, როდესაც ოთხი ქალიშვილით, ვაჟიშვილებითა და სიძეებით გარშემორტყმული შეჭაღარავებული ტკბილი მოხუცი კარბელოვის კილოთი წამოიწყებდა სიმღერას. მოხუცის წყნარი, მშვიდი და ტკბილი ხმა ჰარმონიულად უერთდებოდა ქალიშვილების ნაზს, წმინდასა და ნარნარ ხმებს და ამგვარად შერწყმული გალობა ისეთ მომაჯადოებელ შთაბეჭდილებას ახდენდა, რომ მსმენელები გაოგნებული რჩებოდნენ.

ა. მრევლიშვილის ტრადიციებზე აღიზარდა მრავალი ახალგაზრდა, რომლებიც თავის მოგონება-მემუარებში სიამოვნებით იხსენიებენ საყვარელსა და ტკბილმოუბარ მასნავლებელს.

ა. მრევლიშვილს მრავალი სიმღერა-გალობა აღუდგენია, დაუხვეწია და გადაუღია ნოტებზე, რომლებიც შემდეგში რამდენჯერმე შეუსწორებია და გამოცემაც მოუნადინებია, მაგრამ უსახსრობისა და მთელი რიგი ტექნიკური სიძნელეების გამო სურვილი ვერ შეუსრულებია. სამწუხაროდ, ა. მრევლიშვილის ნოტების ბედი გაურკვეველია, მათი აღმოჩენა კი დიდ სამსახურს გაუწევდა ქართულ მუსიკალურ ხელოვნებას, მის ისტორიას.

დუხჭირმა ცხოვრებამ და მძიმე შრომამ მოტეხა სახალხო განათლების ერთ-ერთი ქომაგის, ანდრია მრევლიშვილის დაუცხრომელი ენერგია. იგი გარდაიცვალა ქუთაისში 1889 წლის 5 სექტემბერს.

გიორგი მრევლიშვილი

ბიორგი (გია) მრევლიშვილი დაიბადა თბილისში, 1938 წლის 30 ნოემბერს ცნობილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის მიხეილ ნიკოლოზის ძე მრევლიშვილის და ფაინა ბართლომეს ასულ კილაძის ოჯახში. ამ ოჯახში ორი წლის შემდეგ დაიბადა მეორე ვაჟი — ალექსანდრე (სანდრო) მრევლიშვილი (ცნობილი ქართველი რეჟისორი და თეატრალური მოღვაწე).

1945 წელს გიორგი მრევლიშვილი შედის თბილისის პირველ ვაჟთა გიმნაზიაში, რომელსაც ამთავრებს ნარჩინებით (ოქროს მედლით) და 1956 წელს უგამოცდოდ, გასაუბრებით, ირიცხება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე. მისი პედაგოგები იყვნენ ცნობილი ფიზიკოსები, პროფესორები: მ. მირიანაშვილი, ა. იშხნელი, ე. ნითლანაძე, ვ. მამასახლისოვი, ო. ყანჩელი, ი. მამალაძე, ო. ყილაშვილი, გ. გამცემლიძე, ო. მდივანი, ნ. პოლიეკტოვ-ნიკოლაძე. იგი ამთავრებს ფაკულტეტს სპეციალობით „დაბალი ტემპერატურების ფიზიკა", რომელსაც ხელმძღვანელობდა ცნობილი ქართველი ფიზიკოსი, აკადემიკოსი ელეფთერ ანდრონიკაშვილი. ანდრონიკაშვილის ინსტიტუტშივე (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტი) დაიწყო ჯერ კიდევ მეოთხე კურსის სტუდენტმა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა პეტრე პრივალოვის (ამჟამად მსოფლიოში ცნობილი ბიოფიზიკოსი ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტის პროფესორი, აშშ) კალორიმეტრიულ ლაბორატორიაში (რომლის თემატიკასა და მუშაობას უშუალოდ განსაზღვრავდა ე. ანდრონიკაშვილი). სადიპლომო სამუშაოს შესრულების შემდეგ ანდრონიკაშვილმა (1961 წელს) იგი უმცროს მეცნიერ თანამშრომლად აიყვანა, ფიზიკის ინსტიტუტის ბიოფიზიკის განყოფილების კალორიმეტრულ ლაბორატორიაში. აქედან მოყოლებული, წლების განმავლობაში მას უხდებოდა მუშაობა ორ მეტად მომთხოვნ და უაღრესად განათლებულ ფიზიკოს ექსპერიმენტატორთან — ე. ანდრონიკაშვილსა და პ. პრივალოვთან.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში თანამედროვე ექსპერიმენტული ფიზიკის მრავალი დარგის განვითარება (დაბალი ტემპერატურების ფიზიკა, კოსმოსური და ელემენტარული ნაწილაკების ესპერიმენტული კვლევის მეთოდების შექმნა, ბირთვული რეაქტორების ფიზიკა და, ბოლოს, ბიოლოგიური ფიზიკა და იბოარაორგანული ქიმია) დაკავშირებულია ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელთან, რომელიც თავის ერთ-ერთ საყვარელ მონაფედ თვლიდა გ. მრევლიშვილს. წიგნში „ცოდნისათვის ბრძოლაში" (თბილისი, „საბჭოთა საქართველო", 1989 წ.), იგი წერს: „ყველაზე უფრო უშუალო ურთიერთობა ბიოფიზიკოსებს შორის მე მაქვს გიორგი მიხეილის ძე მრევლიშვილთან ან, უბრალოდ, გიასთან. სხვათა შორის, სოფელი იყალთო, საიდანაც მრევლიშვილები არიან, სულ რაღაც 4 კილომეტრით არის დაშორებული სოფელ ოჟიოდან, საიდანაც ანდრონიკაშვილების ჩვენი შტო მოდის". ე. ანდრონიკაშვილმა გია მრევლიშვილს, როგორც დაბალი ტემპერატურების ფიზიკის სპეციალისტს, დაავალა, პ. პრივალოვთან ერთად შეესწავლა ბიოლოგიური ობიექტების დაბალტემპერატურული თვისებები. პ. პრივალოვმა, უკვე გამოცდილმა ბიოფიზიკოსმა, გადანყვიტა, კვლევა დაენყოთ ყინული-წყალი ფაზურ გადასვლის ტემპერატურული უბნით, რამაც ისინი ბიოლოგიურ ობიექტებში წყლის ფიზიკური მდგომარეობის დადგენის ახალ მეთოდამდე მიიყვანა; ეს მეთოდი

მსოფლიოში ცნობილია, როგორც ჰიდრატაციის კვლევის კალორიმეტრული მეთოდი (პრივალოვ-მრევლიშვილისა) და შესულია თითქმის ყველა ცნობილ მიმოხილვით შრომაში და მონოგრაფიაში ბიოპოლიმერების ფიზიკო-ქიმიაში.

გიორგი მრევლიშვილი ხელმძღვანელობს ბიოპოლიმერების ფიზიკის განყოფილებას და ე. ანდრონიკაშვილთან ერთად ასრულებს რამდენიმე ფუნდამენტურ გამოკვლევას ბიოფიზიკის დარგში. ამ გამოკვლევათაგან აუცილებელია დავასახელოთ მათ მიერ მსოფლიოში პირველად დადგენილი მოვლენა (დაბალტემპერატურული კალორიმეტრიის საშუალებით): წყლის ფიზიკური მდგომარეობის ცვლილება ავთვისებიან სიმსივნეებში და კიბოს-ქსოვილებში და უჯრედებში ნორმალურ ქსოვილებთან შედარებით. ეს შრომა, რომელიც აბსოლუტურად უცხო იყო ფიზიკის ინსტიტუტის ყოფისათვის, შესრულდა დიდი დაბრკოლებების გადალახვით, ონკოლოგიური ობიექტების — ფიზიკის ინსტიტუტისათვის უჩვეულო ობიექტების — მრავალჯერადი კალორიმეტრული გაზომვებით და დაგვირგვინდა სამეცნიერო ნაშრომის სსრკ მეცნ. აკადემიის ჟურნალში პუბლიკაციით, რომელსაც რეკომენდაციას აძლევდა ცნობილი ონკოლოგი, აკადემიკოსი ლ. შაბადი. შემდგომში იგივე მოვლენა ამერიკელმა მეცნიერებმა ბირთვული მაგნიტური რეზონანსის მეთოდით დაამტკიცეს, რაც გახდა საფუძველი თანამედროვე სუპერზუსტი და ამავე დროს არაინვაზიური დიაგნოსტიკური მეთოდის შექმნისა, რომელიც ახლა ყველასათვის ცნობილია ბირთვული მაგნიტური ტომოგრაფიის სახელწოდებით.

1981 წელს გ. მრევლიშვილი წარმატებით იცავს სადოქტორო დისერტაციას მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტში, ბიოფიზიკის სპეციალობით, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო ხარისხით.

საგულისხმოა მისი ერთობლივი შრომები აკადემიკოს ლევან ბუიშვილთან, რომელიც ეხება ბირთვულ მაგნიტურ რელაქსაციას ბიოლოგიურ ობიექტებში და, აგრეთვე, დაბალ ტემპერატურებზე ბიოპოლიმერების სითბური თავისებურებების (მაგალითად, „ბოზონური პიკი") აღწერას მრევლიშვილისა და მისი კოლეგების ექსპერიმენტებზე დაყრდნობით.

ყველა ამ შრომამ ფართოდ გაუთქვა სახელი გ. მრევლიშვილს. იგი არაერთხელ იყო მიწვეული საერთაშორისო სიმპოზიუმებზე და კონფერენციებზე როგორც პლენარული, ასევე მიწვეული მოხსენებით ევროპისა (რუსეთი, საფრანგეთი, ინგლისი, გერმანია, შვეიცია, იტალია, რუმინეთი, პოლონეთი, ჩეხია, უნგრეთი და სხვა), ამერიკის შეერთებული შტატების და იაპონიის უნივერსიტეტებსა და სამეცნიერო ცენტრებში.

1984 წელს რუსულ ენაზე გამოაქვეყნა მონოგრაფია „ბიოლოგიური მაკრომოლეკულების დაბალტემპერატურული კალორიმეტრია", რომელიც მსოფლიოში პირველი ცდა იყო ბიოპოლიმერების ყოფაქცევის აღწერისა დაბალ და ზედაბალ ტემპერატურებზე აბსოლუტური ნულის მახლობლობაში (-273°C) (თბილისი, მეცნიერება, 1984 წ.). მოხდა უპრეცედენტო ფაქტი — ნიგნი, რამდენიმე თავის დამატებით, ახალი მონაცემების შეტანით, ითარგმნა იაპონურ ენაზე (ეს ერთადერთი შემთხვევაა იაპონურად ქართველი ფიზიკოს-მეცნიერის მონოგრაფიის თარგმნისა) და დაისტამბა ოკაიდოს უნივერსიტეტის გამომცემლობაში 1994 წელს. ავტორი მიწვეული იყო წიგნის პრეზენტაციაზე და იაპონიის ნაციონალურ კონფერენციაზე კალორიმეტრიაში, მისი თანდასწრებით დაიწყო წიგნის გაყიდვა.

გ. მრევლიშვილმა ამ წიგნისთვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლესი პრემია — საბუნებისმეტყველო მეცნიერების — პეტრე მელიქიშვილის სახელობის პრემია მიიღო (1998 წელს). გ. მრევლიშვილი არის ჯორჯ სოროსის პროფესორის საპატიო სახელის მფლობელი მთელი ექვსი წლის განმავლობაში (1992-1998 წლები); ფიზიკის ფაკულტეტის მაკრომოლეკულების ფიზიკის კათედრის გამგე (1982 წლიდან), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი (1986 წლიდან), თბილისის უნივერსიტეტის დიდი სამეცნიერო საბჭოს და პროფესორთა საბჭოს წევრი, ფიზიკის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს წევრი. სადოქტორო დისერტაციების სამეცნიერო ხარისხის მიმნიჭებელი სპეციალიზებული საბჭოს თავმჯდომარე (1995-2000). საქართველოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის წევრ-დამფუძნებელი და საქართველოს

ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. მისი და ფიზიკის ფაკულტეტის დეკანატისა და სამეცნიერო საბჭოს ინიციატივით და უნივერსიტეტის ლექტორატისა და დიდი სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით ფიზიკის ფაკულტეტზე გაიხსნა ახალი სპეციალობა „სამედიცინო დიაგნოსტიკის ფიზიკური საფუძვლები" (სტუდენტთა მიღება დაწყებულია 1999 წლიდან).

1987 წლიდან იგი არის ამერიკული ჟურნალის „Physiological Physics and Semistry and NMR in Mediwine" სარედაქციო კოლეგიის ნევრი.

1999 წლიდან პორტუგალიის სახელმწიფოს (მეცნიერებათა და ტექნოლოგიების სამინისტროს) მიერ სპეციალურად გამოყოფილი ევროკავშირის გრანტის საფუძველზე გ. მრევლიშვილი მისივე შედგენილი პროგრამის მიხედვით ეწევა სამეცნიერო მოღვაწეობას პორტოს უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტზე ბიოლოგიური კალორიმეტრიის განვითარებისათვის პორტუგალიაში. უკვე ჩატარებული ერთობლივი კვლევის შედეგები მის მიერ მოხსენებულია გერმანიის (მიუნსტერის უნივერსიტეტი), ინგლისის (უელსის უნივერსიტეტი, ლონდონის უნივერსიტეტის კოლეჯი, სტრუქტურული ბიოლოგიის განყოფილება) და იტალიის (გენუა, ნაციონალური კონფერენცია კალორიმეტრიაში) უნივერსიტეტებში. პორტუგალიის მთავრობამ გამოყოფილი გრანტის ვადა განავრცო და პორტოს უნივერსიტეტის თხოვნა თბილისის უნივერსიტეტის რექტორის, აკად. რ. მეტრეველის სახელზე – გაგრძელდეს გ. მრელიშვილის მოღვაწეობა პორტუგალიაში, დაკმაყოფილებულ იქნა. ვადის გასვლის შემდეგ პროფ. გ. მრევლიშვილი დაუბრუნდება თბილისის უნივერსიტეტს და კვლავ სამშობლოში განაგრძობს თავის მოღვაწეობას.

თინათინ მრევლიშვილი

1909-1993

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსული ენის № 2 კათედრის დამაარსებელი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი თინათინ მრევლიშვილი ღრმა განათლებულობასთან ერთად ფლობდა საუკეთესო თვისებებს. კეთილშობილური გარეგნობა, ქალური სინატიფე და სინაზე, რომელსაც გრიგოლ რობაქიძე თავის დროზე ჯოკონდას ადარებდა, შინაგანი თავდაჭერილობა, სირბილე ურთიერთობაში, ინტელიგენტური ხიბლი, ტაქტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის თინათინ მრევლიშვილის დამახასიათებელი ყველა ეს თვისება მაშინვე გეცემოდათ თვალში.

საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რამდენიმე მოწვევის დეპუტატი, საქართველოს ქალთა რესპუბლიკური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი, ჩეხოსლოვაკიასთან კულტურული ურთიერთობისა და მეგობრობის საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი, საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრული და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების გამგეობის წევრი, საქართველოს პროფკავშირების რესპუბლიკური საბჭოს წევრი, თბილისის საშუალო სკოლების პედაგოგთა კულტურის უნივერსიტეტის რექტორი საზოგადოება „ცოდნის" (ლიტერატურისა და კულტურის სამეცნიერო-მეთოდური ცენტრის ხელმძღვანელი) პრეზიდიუმის წევრი, განათლების სამინისტროსთან არსებული სასწავლო-მეთოდური საბჭოს თავმჯდომარე, რუსული ენის სახელმძღვანელოთა დამდგენი კომისიის წევრი.

თინათინ ნიკოლოზის ასული მრევლიშვილი დაიბადა 1909 წელს ქ. კიევში.

ე-ნ თინათინის დედა მარიამ იანუშკევიჩი, ეროვნებით პოლონელი, განათლებული და მოწინავე ოჯახის შვილი იყო. დამთავრებული ჰქონდა ქალთა უმაღლესი სამედიცინო კურსები. მისი ერთი ძმა — პროფესორი, პეტერბურგის მთავარი არქიტექტორი იყო, მეორე — კიევის მთავარი პროკურორი, ხოლო მესამე — გენერალი.

მამა, ნიკოლოზ მრევლიშვილი, დაიბადა იყალთოში; აქ, აკადემიის ეზოში, ეკლესიის კედელთან, დაკრძალულია მისი ბევრი წინაპარი, მათ შორის ნიკოლოზის პაპა, მღვდელ-მთავარი ეგნატე, რომელმაც ააშენა ანყურის ეკლესია.

ადრე კიევში დაბადებული, პოლონელი დედის შვილი, ქალბატონი თინათინი უზადოდ ფლობდა მშობლიურ ენას. თბილისში ჩამოსვლისთანავე მშობლებმა იგი ქალთა მე 2 ქართულ გიმნაზიაში (ახლანდელი ილ. ჭავჭავაძის სახ. თბილისის 23-ე საშუალო სკოლა) მიაბარეს, სადაც მას ქართულ ენას გამოჩენილი პედაგოგი ბაბო მჭედლიძე ასწავლიდა.

1930 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი და 1931 წელს მუშაობა დაიწყო ფონეტიკის ლაბორატორიის ასისტენტად.

თ. მრევლიშვილის დისერტაცია მიეძღვნა მ. ლერმონტოვის პროზის ლექსიკას, ლექციებს კი რუსულ ენაში 1934 ნლიდან კითხულობდა. დისერტაციის დაცვის შემდეგ მას ირჩევენ დოცენტის თანამდებობაზე.

სხვადასხვა ნლებში თ. მრევლიშვილი თბილისის უნივერსიტეტის გარდა ლექციებს კითხულობდა, აგრეთვე, თბილისის პუშკინის ახლა (სულხან-საბა ორბელიანის)

სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში. არაერთხელ იყო მისაღები გამოცდების საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე როგორც თბილისის უნივერსიტეტში, ასევე პუშკინის სახელობის და სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტებში. რაც შეეხება უმაღლეს სასწავლებლებში მიღებულ ტერმინს „დატვირთვა", იგი თ. მრევლიშვილს ყოველთვის ჭარბად ჰქონდა. წლების განმავლობაში იგი იყო ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე. 1948 წელს კი საფუძველი ჩაუყარა რუსული ფილოლოგიის განყოფილებაზე ახალ კათედრას; ეს რუსული ენის №2 კათედრაა, რომელსაც იგი 40 წელი ედგა სათავეში.

თ. მრევლიშვილი იყო: ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი, თსუ ფილოლოგიის სამეცნიერო საბჭოს წევრი, ამავე საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო პედინსტიტუტში სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი კომისიის წევრი.

სადოქტორო დისერტაცია თინათინ მრევლიშვილმა დაიცვა 1963 წელს მოსკოვში. მომდევნო წელს მას მიენიჭა პროფესორის წოდება. თავისი მოღვაწეობის პერიოდში მან მოამზადა და აღზარდა მრავალი ახალგაზრდა მეცნიერი.

თ. მრევლიშვილი გამოჩენილ ქართველ მეცნიერ ქალთა იმ პირველ ოთხეულში იყო, რომელთაც ჯერ კიდევ სამოციანი წლების დასაწყისში მიენიჭათ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება. ეს პატივი თ. მრევლიშვილს აკად. ნინო ჯავახიშვილთან, აკად. ქეთევან ლომთათიძესთან და პროფ. თამარ ღლონტთან ერთად ხვდა წილად.

თ. მრევლიშვილის მოღვაწეობააღინიშნა შრომის წითელი დროშის ორდენით და სიგელებით. მისი უშუალო მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით იენის უნივერსიტეტის ეგიდით გამოიცა ქართველ და გერმანელ სპეციალისტთა ერთობლივი შრომების რამდენიმე კრებული, ჩატარდა კონფერენციები თბილისსა და იენაში.

თ. მრევლიშვილს ეკუთვნის ასზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი სიტყვათწარმოების, მწერლის ენის, ტექსტის ლინგვისტიკის, რუსული ენის სინტაქსისა და რუსულის, როგორც უცხოური ენის, სწავლების საკვანძო საკითხებზე. მისი მონოგრაფია „რთული ქვენყობილი წინადადების სახეები ნ.ვ. გოგოლის ენაში" გამოიცა რუსულ ენაზე მოსკოველი მეცნიერის პროფესორ ფ. კუზმინის რედაქტორობით.

თინათინ მრევლიშვილი არის საუცხოო მაგალითი იმისა, თუ როგორი უნდა იყოს მეცნიერი, პედაგოგი, საზოგადოების წევრი, მეგობარი, კოლეგა, მეუღლე, დედა, მაგალითი იმისა, თუ როგორი უნდა იყოს ყოველი ჩვენგანი თავის ადგილზე.

მალიკო მრევლიშვილი

1900-1985

საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი მალიკო ნიკოლოზის ასული მრევლიშვილი დაიბადა 1900 წლის 31 დეკემბერს თელავის რაიონის სოფ. იყალთოში. ქუთაისის წმინდა ნინოს სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა თბილისის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე, მერე კი, როცა თბილისში თეატრალური სტუდია გაიხსნა, მიატოვა უნივერსიტეტი და ბავშვური გატაცება თავისი ცხოვრების საქმედ აქცია (აქვე სტუდიაში გაიცნო თავისი მომავალი მეუღლე, პოკო მურღულია). სტუდიის დამთავრების შემდეგ მ. მრევლიშვილი რუსთაველის თეატრის დასში ჩაირიცხა. კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით აიდგა ფეხი სცენაზე, ხოლო, როცა მარჯანიშვილმა დატოვა რუსთაველის თეატრი და ქუთაისში ახალი თეატრი შექმნა, მ. მრევლიშვილი მას გაჰყვა, და მონაწილეობდა თითქმის ყველა მის ნარმოდგენაში...

მ. მრევლიშვილმა სასცენო ხელოვნების კურსებზე პედაგოგიური მოღვაწეობა ჯერ კიდევ 1933 წელს დაიწყო. 1935 წლიდან რუსთაველის თეატრის სტუდიაში მიიწვიეს, ხოლო დღიდან თეატრალური ინსტიტუტის დაარსებისა უკვე სიცოცხლის ბოლომდე აქ ასწავლიდა მსახიობისათვის ერთ-ერთ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან საგანს — სასცენო მეტყველებას. იყო მსახიობის ოსტატობისა და რეჟისურის კათედრის გამგე. იგი არის თეატრალური ინსტიტუტის ერთ-ერთი დამაარსებელი. აკაკი ფაღავასთან, აკაკი ხორავასთან და ქართული თეატრის სხვა მოღვაწეებთან ერთად მონაწილეობდა საქართველოში სპეციალური თეატრალური განათლების შენობის „პირველი აგურის" დადებაში. სასცენო მეტყველების კათედრის შექმნის დღიდან (1949 წ.) სიცოცხლის ბოლომდე ამ კათედრის უცვლელი გამგეა .

1945 წელს მალიკო მრევლიშვილმა დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, 1961 წელს — დოქტორო, 1960 წელს კი მას ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება მიენიჭა...

მისი სიტყვა ყოველთვის წონიანი, აზრითა და პროფესიული სიბრძნით დატვირთული იყო. მას შეეძლო, ტონი მიეცა ყოველგვარი მსჯელობისათვის და მის აზრს ყოველთვის იზიარებდნენ. ინსტიტუტის კრებებზე დამსწრენი ხშირად ითხოვდნენ — მალიკო გამოვიდესო. ეს კეთილ ტრადიციად დამკვიდრდა. და არა მარტო იმიტომ, რომ იგი ყველაზე უფროსი იყო, არამედ მისთვის დამახასიათებელი სამართლიანი, ობიექტური, პრინციპული, შეუმცდარი მსჯელობის, მაღალი განათლებულობის, ინტელიგენტურობის, ტაქტისა და ნამდვილი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გამო.

მალიკო მრევლიშვილის გაკვეთილები შეიცავდა ადამიანის, მოქალაქის, პროფესიონალის ყველა თვისებას. მის ხელში გაიარა თანამედროვე ქართველი მსახიობების ყველა თაობამ და ყველა მათგანი მას მასწავლებლად მიიჩნევდა, თუმცა ბევრი უკვე თვითონ იყო მხცოვანი, საპატიო წოდებებითა და ჯილდოებით მკერდდამშვენებული, ცხოვრებისეული გამოცდილებით დაბრძნებული. მათ უყვარდათ და პატივს სცემდნენ თავიანთ პედაგოგს, მუდამ მიმართავდნენ მას დახმარებისა და რჩევისათვის, უსიტყვოდ სჯეროდათ მისი, მორჩილად იღებდნენ მის შენიშვნებსა და რჩევებს...

გამომცემლობა „განათლებამ" მის მიერ შედგენილი „მხატვრული კითხვის მასალების კრებული" გამოსცა, რომელიც სამაგიდო წიგნად იქცა. თეატრალურ ინსტიტუტში სტუდენტობა დღესაც მისი მეოხებით ეუფლება მხატვრული კითხვის ხელოვნებას.

მ. მრევლიშვილის მიერ 1949 წელს გამოცემული „ქართული სასცენო მეტყველების ფონეტიკური საფუძვლები" პირველი სახელმძღვანელო იყო, რომელმაც მეტყველების შესნავლა მყარ მეცნიერულ ნიადაგზე დააყენა.

მალიკო მრევლიშვილი მარტო პრაქტიკოსი პედაგოგი როდი იყო. თავის პრაქტიკულ გამოცდილებას იგი წარმატებით უხამებდა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას. მის წიგნებს, დისერტაციას, შრომებს ქართული სცენიური მეტყველების საფუძვლებზე, მის ხმირ საჯარო გამოსვლებს ერთნაირი ინტერესით აღიქვამდნენ როგორც სპეციალისტები, ისე რიგითი მსმენელები, რადგანაც პრობლემების არსს იგი ყველასათვის ხელმისანვდომი და ახლობელი ფორმით გადმოსცემდა.

ასე ცხოვრობდა მალიკო მრევლიშვილი — ფართო ინტერესებით, ღირსეულად, მოუსვენრად. არც ეტყობოდა სოლიდური ასაკი, თვითონაც ვერ ამჩნევდა მას. ყოველდღე მიდიოდა ინსტიტუტში, თავის მოწაფეებთან ძალ-ღონით, ენერგიით, ახალი იდეებით... მიდიოდა ნელში გამართული, მოღიმარი, მხნე... ასეთი წავიდა ჩვენგან.

მ. მრევლიშვილი გარდაიცვალა 1985 წელს 85 წლის ასაკში.

მიხეილ მრევლიშვილი

1904-1980

ცნობილი ქართველი მწერალი და დრამატურგი მიხეილ ნიკოლოზის ძე მრევლიშვილი დაიბადა 1904 წელს თელავის რაიონის სოფ. იყალთოში. იგი 1924 წელს, თბილისის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ შედის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე. 1928 წელს სწავლას აგრძელებს მოსკოვში და ღებულობს ეკონომიკურ განათლებას.

1933 წელს მ. მრევლიშვილი თბილისში ბრუნდება და სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე მუშაობს. დიდი სამამულო ომის დაწყების დღიდან იგი საბჭოთა არმიის რიგებშია.

ომის დამთავრების შემდეგ მ. რევლიშვილი კვლავ უბრუნდება ლიტერატურულ მოღვაწეობას. სხვადასხვა დროს მუშაობს ხალხური შემოქმედების სახლის დირექტორის მოადგილედ, საქართველოს მწერალთა კავშირის კონსულტანტად, გამომცემლობა „ზარია ვოსტოკას" მთავარ რედაქტორად, საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარედ, ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზიას" მთავარ რედაქტორად.

მ. მრევლიშვილი სამნერლო ასპარეზზე ოციან წლებში გამოვიდა. 1926 წელს დაბეჭდა თავიანი პირველი დიდი ნაწარმოები — რომანი „ინონ", რომელმაც ქართულ სალიტერატურო წრეებსა და მკითხველებში ცხოველი ინტერესი გამოიწვია. ამ რომანს ზედიზედ მოჰყვა მოთხრობები „ობობა", „სამიდა", „ხავსმოკიდებული ნაფოტები"

1946 წელს ლიტერატურული გაზეთის ფურცლებზე დაისტამბა მ. მრევლიშვილის ვრცელი მოთხრობა „ხარატაანთ კერა". ის დიდი ინტერესი, რომელიც მაშინ მოთხრობამ მკითხველ საზოგადოებაში გამოიწვია, დღემდე არ შენელებულა. ამ ნაწარმოებით მისი ავტორი ქართული მწერლობის გამოჩენილ ოსტატებს ამოუდგა გვერდში.

მ. მრევლიშვილის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია „თბილისურ ნოველებს", საადაც მწერალმა დიდი ცოდნითა და კოლორიტული ფერებით დახატა ძველი თბილისის სურათები და სახეები. მისი მომხიბლავი პოეტური ენით დაწერილი თბილისური ნოველები გულითადად შეიყვარა ქართველმა მკითხველმა.

დიდია მ. მრევლიშვილის ღვაწლი ქართული თანამედროვე დრამატურგიის განვითარებაში. პირველი პიესა, რომლითაც მწერალი დრამატურგიულ ასპარეზზე მოგვევლინა, „ნიკოლოზ ბარათაშვილი" იყო.

სამამულო ომია შემდგომ წლებში მ. მრევლიშვილის დრამატურგიამ ჩვენი თეატრებია რეპერტუარი გაამდიდრა ახლის მგზნებარე მხარდაჭერით, ცხოვრებისეული სიმართლის მთამაგონებელი ნარმოსახვით...

მიხეილ მრევლიშვილი ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწე იყო. იგი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა საქართველოს მწერალთა კავშირის დრამსექციას, იყო გამომცემლობა „მერანის" რუსული რედაქციის მთავარი რედაქტორი. ყველას კარგად ახსოვს, როგორი გატაცებით და ენერგიით რედაქტორობდა ჩვენ რუსულ ჟურნალს „ლიტერატურნაია გრუზიას" და რაოდენი შრომა გასწია ჩვენი რესპუბლიკის ქართული ლიტერატურის პოპულარიზაციისათვის.

მიხეილ მრევლიშვილი დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით. მინიჭებული აქვს საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

ლადო მრელაშვილი



ცნობილი ქართველი მწერალი ლადო ლევანის ძე მრელაშვილი დაიბადა 1926 წლის 8 მარტს თელავის რაიონის სოფ. იყალთოში.

ანყურის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სნავლას აგრძელებს თბილისის ა. პუმკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე, რომელსაც ამთავრებს 1950 წელს.

ბავშვობიდანვე უყვარდა ლიტერატურა და წერდა ლექსებს. 1960 წელს დანერა პირველი ლექსი „ლაზი ვიყავ და ლაზი ვიქნები" 1968 წელს ეს ლექსი დაიბეჭდა გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში". მისი ლექსები და მოთხრობები იბეჭდებოდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში.

1955 წელს დაიბეჭდა პირველი ნიგნი — პოემა „ზარი სამგორში", რომელმაც მიიღო განათლების სამინისტროს პრემია. ამავე ნლიდან სსრ კავშირის მნერალთა კავშირის წევრია.

ლ. მრელაშვილი ავტორია პროზაული და პოეტური კრებულებისა. მათ შორის აღსანიშნავია „იყალთოელი ბიჭები", რომელიც 1957 წელს ნიგნად გამოიცა.

1959-61 წწ. ლ. მრელაშვილი სნავლობდა მოსკოვის მწერალთა კავშირის ორნლიან უმაღლეს კურსებზე. მუშაობდა ჟურნალ „მნათობის" რედაქციაში პროზის განყოფილების გამგედ, მწერალთა კავშირში — პროზის კონსულტანტად, აქვე იყო პროზის სექციის თავმჯდომარე.

გამოსულია მისი ნიგნები: „ლექსები"(1959 წ.), „განკვეთილი სადავე" (1970 წ.), „სამი ღამის თავგადასავალი" (1971 წ.), „გზები სავსეა მოულოდნელობით" (1973 წ.).

ლ. მრელაშვილის ძირითადი ნაწარმოებია რომანი „ყაბახი" (წგნ 1-2 1964-69 წწ.) იგი ეხმაურება მწვავე სადღეისო მოვლენებს და მხატვრულად წარმოსახავს თანამედროვე სოფლის ცხოვრებას...

ლ. მრელაშვილს ეკუთვნის, აგრეთვე, ახალგაზრდობისადმი მიძღვნილი ისტორიის თემატიკაზე შექმნილი მოთხრობები (კრებ. „მოთხრობები", 1974 წ.) და რომანი „ოლოლები" (1982 წ.), რომელშიც ავტორი ფრაზისა და სიტყვის გამოყენების, მხატვრული სახის შექმნის დიდ ოსტატობას ავლენს.

ბოლო ნლებში გამოვიდა „მუცოს თორღვაის კარზედა", რომელმაც მიიღო პრემია „ნლის საუკეთესო მოთხრობა"

2000 ნელს ჟურნალ „ცისკარში" დასტამბა ვრცელტანიანი რომანი „და შეპქმნ ღმერთმან კაცი"

ლ. მრელაშვილის ნაწარმოებები თარგმნილია რუსულ, უკრაინულ, სომხურ, ლატვიურ, რუმინულ ენებზე.

რ. მიშველაძე წერს მ:

ლადო მრელაშვილის შემოქმედება თითზე ჩამოსათვლელ ნაწარმოებებს მოიცავს: „იყალთოელი ბიჭები", „ყაბახი", „ოლოლები" და რამდენიმე მოთხრობა.

მთელი შემოქმედება მნერლისა ერთ მოზრდილ ტომში ჩაეტევა, მაგრამ ამ ნაწარმოებებს მათი მხატვრული დონისა და თანამედროვის სულზე ზემოქმედების ხარისხით თუ ავწონით, ლადო მრელაშვილს თანამედროვე ქართულ პროზაში საკმაოზე უფრო დიდი

ადგილი უკავია, ჩუქურთმიანი ტახტი უდგას და მორჭმით ზის, როგორც ქართული მწერლობის ერთი სახელოვანი გენერალი.

ძნელად აღმოაჩენთ მოზარდთა კეთილი ნების აღზრდისათვის უფრო საჭირო და პოპულარულ მხატვრულ ქმნილებას, ვიდრე ქართული „ტომ სოიერი"— ლადო მრელაშვილის „იყალთოელი ბიჭებია"

სამოციანი წლების ქართული სოფლის მხატვრულ მატიანედ მიმაჩნია მწერლის უაღრესად საინტერესო, მრავალპლანიანი და ფართომასშტაბიანი რომანი „ყაბახი". იგი გამოირჩევა ღრმა ცხოვრებისეული დაკვირვებებით, საინტერესო სიუჟეტით, ოსტატური კომპოზიციური შენობითა და მდიდარი, ხატოვანი ენით. რომანის მთავარი პერსონაჟები ძია ნიკო, შავლეგო და კუპრაჭა ქართული მწერლობის მკვეთრი, საინტერესო, მარად უკვდავი ტიპების გვერდით უნდა მოვიხსენიოთ.

„ყაბახში" დიდი ვნებები, ძლიერი წინააღმდეგობანი, თანამედროვეობის ნიშნით დაღდასმული სულისშემძვრელი სოციალური მოვლენებია დახატული"



გივი მუნჯიშვილი

საქართველოს სახალხო არტისტი, ნიკო სულხანიშვილის სახელობის სახელმწიფო საგუნდო კაპელის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საგუნდო დირიჟორობის კათედრის პროფესორი, ღირსების ორდენოსანი გივი გიორგის ძე მუნჯიშვილი დაიბადა 1937 წლის 30 სექტემბერს ქ. თელავში.

სწავლობდა თელავის № 1 ვაჟთა საშუალო სკოლაში, 1954 წლიდან კი სწავლა განაგრძო თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ცენტრალურ სამუსიკო სკოლა-ინტერნატში, ე.წ. „ნიჭიერთა ათწლედში" (ამჟამად ზ. ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო გიმნაზია). 1957-1962 წლებში სწავლობდა და წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საგუნდო-სადირიჟორო ფაკულტეტი (პროფ. ვ. ფალიაშვილის კლასი). 1968-1970 წლებში სწავლობდა მოსკოვის სახელმწიფო კონსერვატორიაში საოპერო და სიმფონიური მუსიკის დირიჟორის სპეციალობით, რომელიც დაამთავრა პროფ. ო. დიმიტრიადის ხელმძღვანელობით.

1959 წლიდან ენევა ინტენსიურ პედაგოგიურ, შემოქმედებით და საშემსრულებლო მოღვაწეობას:

1959-1965 წლებში იყო თბილისის № 10 სამუსიკო სკოლის გუნდის პედაგოგი;

1961-1967 წლებში' მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სიმფონიური ორკესტრისა და გუნდის დირიჟორის (ვ. ფალიაშვილი) ასისტენტად. მან უდირიჟორა თბილისის საოპერო თეატრში სტუდენტთა ძალებით დადგმულ ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისს"— და ამავე ოპერის საგასტროლო დადგმას მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურის სასახლეში;

1963 წლიდან დღემდე არის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საგუნდო დირიჟორობის კათედრის პედაგოგი, 1988 წლიდან — პროფესორი. ამ ხნის განმავლობაში აღზარდა საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ მოღვაწე მრავალი ნიჭიერი საგუნდო დირიჟორი;

1970-1975 წლებში მუშაობდა ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ეროვნული აკადემიური თეატრის მთავარ ქორმაისტერად. აქვე უდირიჟორა საოპერო სპექტაკლებსაც (ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი", ო. თაქთაქიშვილის „მინდია", ბიზეს „კარმენი", მასკანის „სოფლის პატიოსნება");

1975 წელს დაინიშნა საქართველოს სახელმწიფო საგუნდო კაპელის სამხატვრო ხელმძღვანელად და მთავარ დირიჟორად და დღემდე, 2 ათეულ წელზე მეტია, კაპელა მისი ხელმძღვანელობით ენევა აქტიურ და ნაყოფიერ საკონცერტო მოღვაწეობას;

1986-1988 წლებში სსრკ კულტურის სამინისტროს ხაზით იყო შემოქმედებით მივლინებაში მონღოლეთში, სადაც მუშაობდა ქ. ულანბატორის საოპერო თეატრის მთავარ ქორმაისტერად.

საქართველოს ნიკო სულხანიშვილის სახელობის სახელმწიფო საგუნდო კაპელაში თითქმის მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ნაყოფიერმა შემოქმედებითმა და საშემსრულებლო მოღვაწეობამ დაადასტურა, რომ გივი მუნჯიშვილის ჭეშმარიტი შემოქმედებითი მოწოდება გუნდთან მუშაობაა. კაპელასთან ერთად მან მოამზადა და მსმენელის

სამსჯავროზე გამოიტანა მდიდარი საკონცერტო რეპეტუარი: პრაქტიკულად მთელი ქართული საგუნდო მუსიკა, რუსული და დასავლეთევროპული საგუნდო კლასიკა, მათ შორის ურთულესი დიდი და მცირე ფორმის საგუნდო თხზულებები — ბახის, ჰენდელის, მოცარტის, ბეთჰოვენის, ვერდის, მალერის, ბრუკნერის, ორფის, მუსორგსკის, რახმანინოვის, ტანეევის, ფალიაშვილის, მშველიძის, თაქთაქიშვილის, ჩიმაკაძის, ნასიძის, თანამედროვე ქართული საგუნდო მუსიკის უდიდესი ოსტატის იოსებ კეჭაყმაძის, სხვა კომპოზიტორთა საგუნდო მუსიკის შედევრები, მათ შორის ქართველ კომპოზიტორთა და თავად გივი მუნჯიშვილის მიერ შექმნილი საეკლესიო საგალობლები. ათეულობით წლის განმავლობაში აქტიურად თანამშრომლობს თბილისში მოღვაწე სიმფონიურ და კამერულ ორკესტრებთან. უკანასკნელ წლებში განსაკუთრებული შემოქმედებითი კავშირი დაამყარა თბილისის სიმფონიურ ორკესტრთან და მის სამხატვრო ხელმძღვანელთან ჯანსუღ კახიძესთან, არის ჯ. კახიძის მიერ დაფუძნებული მუსიკალური ფესტივალების — „შემოდგომის თბილისი" და „თბილისური გაზაფხული" მრავალგზის მონაწილე. აღნიშნულ ორკესტრთან ერთად წარმატებით დადგა ბეთჰოვენის IX და მალერის II სიმფონიები, კარლ ორფის კანტატა „კარმინა ბურანა", დასავლეთევროპელ კომპოზიტორთა საოპერო ფრაგმენტები.

საქართველოს ნ. სულხანიშვილის სახ. სახელმწიფო კაპელამ გივი მუნჯიშვილის დირიჟორობით „მელოდიაში" გამოსცა 3 გრამფირფიტა-გიგანტი ქართული საგუნდო მუსიკის ჩანაწერებით; თბილისის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად — 3 კომპაქტდისკი — ბეთჰოვენისა და მალერის სიმფონიები, ორფის „კარმინა ბურანა", საგუნდო ფრაგმენტები ბახის, მოცარტის, ვერდის, მუსორგსკის ნაწარმოებებიდან. კაპელის მრავალი ჩანაწერია შესული საქართველოს რადიოს ოქროს ფონდში.

გივი მუნჯიშვილს კაპელასთან ერთად ჩაწერილი აქვს მუსიკა კინოფილმებისათვის („არსენა" — 2 სერია, 1984; სატელევიზიო ფილმი „მოძღვარი", 1989) და არაერთი დრამატული აპექტაკლისათვის.

პროფესიული მოღვაწეობის გარდა გივი მუნჯიშვილს აქვს დიდი გატაცება — უმანქანო ტურიზმი. მოწაფეობის პერიოდიდან დღემდე მას კარვითა და ზურგჩანთით აქვს შემოვლილი საქართველოს მთა და ბარი, მისი ყველა კუთხე-კუნჭული.

ნაღვაწარსაუკუნოვანი პროფესიული მოღვაწეობის განმავლობაში მიღებული აქვს: საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწისა (1979) და საქართველოს სახალხო არტისტის (1985) საპატიო წოდებები, დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის" (1982) და „ღირსების" (1998) ორდენებით, მედლებით.

მიხეილ ნანობაშვილი
მიშელ დარიალი
1878-?

ეცხოეთში მოღვაწე ქართველი მომღერალი (ტენორი) მიხეილ

იმავე წელს, ზაფხულში, მ. ნანობაშვილი „მომღერალთა ქალ-ღმერთამ" თავის სამშობლოში წაიყვანა. მილანში თავის ვაჟიშვილს და ცნობილ პედაგოგებს წარუდგინა და მეცადინეობა გააგრძელებინა საუკეთესო მუსიკოსების ხელმძღვანელობით. დაბოლოს, ბრნყინვალე დებიუტის შემდეგ მიშელ დარიალი რამდენიმე ხანს მილანის კერძო თეატრში მღეროდა დიდი წარმატებით. 1903 წელს იგი უკვე პარიზში იყო, კულტურისა და ხელოვნების დანესებულებებს ეცნობოდა, თან თავის საქმეებს აგვარებდა...

ფონტენებლოში მეუღლესთან ერთად ყოფნის შემდეგ, 1907 წელს მიშელ დარიალი თვით საგასტროლოდ მიიწვიეს დიდებულ საკურორტო ქალაქ მონტე-კარლოში, სადაც პირველივე გამოსვლით მიიქცია ყურადღება და მონონება დაიმსახურა. შემდეგ ერთი თვით სენტ-ეტიენს ესტუმრა და აქაც დაიმსახურა მქუხარე ოვაციები. 1908 და მის მომდევნო ნელს მიშელი პარიზის „გრანდ ოპერაში" მღერის. 1909 წლის მაისში ესტუმრა ქ. ლავალს, სადაც „ფავორიტ ქალში" შესანიშნავად იმღერა და მეორე ღამესვე დაბრუნდა პარიზში, რადგან ორშაბათს „თავადი იგორის" გენერალური რეპეტიცია იყო დანიშნული. თანამემამულეებმა ისარგებლეს მიშელის პარიზში ყოფნით და ქართულ საღამოზე მიიწვიეს, სადაც, სხვათა შორის, ქართულადაც იმღერა და აღტაცებაში მოიყვანა მსმენელნი.

აღსანიშნავია, რომ როგორც სხვები, ისე მ. დარიალიც დაინტერესებული იყო ქართული მუსიკით და მისი პოპულარიზაციით უცხოეთში. ამიტომ თავის ძმას, ირაკლის, რომელიც, აგრეთვე, დაჯილდოებული იყო მუსიკალური ნიჭით, `თხოვდა ქართული მუსიკის ნოტებს, რომლებიც გაუგზავნეს კიდეც.

... მძიმე იყო პირველი მსოფლიო ომისა და მისი მომდევნო პერიოდი როგორც შემოქმედებით, ისე საყოფაცხოვრებო სარბიელზე.

მეორე მსოფლიო ომმა და მომდევნო ნლებმა კი სამუდამოდ მოინელეს მომღერალი. ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობის მიუხედავად, მამულიდან გადახვენილი მ. ნანობაშვილის ამაგმა უცხოელთა წინაშე უნაყოფოდ ჩაიარა.



სოფიკო შურა ნიკოლიშვილი

ქართველი მსახიობი, მწერალი, პუბლიცისტი, უაღრესად სათნო და შესანიშნავი ადამიანი, სოფიკო (შურა) ნიკოლიშვილი დაიბადა 1926 წლის 28 იანვარს თელავის რაიონის სოფ. იყალთოში მოსამსახურის ოჯახში. პაპა – პატო ნიკოლიშვილი იყალთოს აკადემიის მოძღვარი იყო, ბებია, ვარვარა – ფოფოდია. პატარა სოფიკო 7 წლისა იყო, როდესაც ოჯახი თბილისში გადასახლდა.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1948 წელს ამთავრებს თბილისის საფერშელო-სამეანო ტექნიკუმს, ხოლო 1952 წელს შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტს. მისი პედაგოგები იყვნენ ქალბატონები: ლილი იოსელიანი, მალიკო მრევლიშვილი, ნინელი ჩიქოვანი, ვალენტინა გამსახურდია, რეჟისორები: ლილი იოსელიანი, აკაკი ღვედაშვილი, მიხეილ თუმანიშვილი, ხოლო ინსტიტუტს სათავეში ედგა ბატონი აკაკი ხორავა.

ს. ნიკოლიშვილმა პირველი სცენური ნაბიჯები კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სცენაზე გადადგა. მონანილეობდა ვახტანგ ტაბლიაშვილის, ლილი იოსელიანისა და სხვა რეჟისორების სპექტაკლებში.

1954-59ნნ. მუშაობს საქართველოს სახელმნიფო ფილარონიაში ესტრადის მსახიობად. 1960 ნლიდან ზუგდიდის შ. დადიანის სახელობის სახელმწიფო თეატრშია. მისთვის სპეციალურად ინერება პიესა „გულისა". ამ თეატრში მოღვანეობს 1963 ნლამდე. მონანილეობს, აგრეთვე, სპექტაკლებში: „სიცოცხლის ტყე", „პალატა №7", „რობინ ჰუდი", „აღარ გაიმეორებს", „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს", „კინტო", „მოკვეთილი" და სხვ.

1963 ნლიდან კვლავ გადმოდის თბილისში და მუშაობას განაგრძობს ესტრადაზე, პარალელურად წერს საბავშვო გასართობ სცენარებს, რომლის ნამყვანიც თვითონვეა. ამ პროგრამებით მონაწილეობს ქ. მოსკოვის, მინსკის, კიევის კონკურსებში. არის ამ კონკურსების ლაურეატი, ჯილდოვდება ოქროსა და ვერცხლის მედლებით და ფასიანი საჩუქრებით.

ქალბატონი სოფიკო ნიკოლიშვილი თავის სამსახიობო კარიერას ასრულებს მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინო-მსახიობთა თეატრში, საიდანაც გადის დამსახურებულ პენსიაზე.

მისი ნაწარმოებები იბეჭდება სხვადასხვა ჟურნალებში; წერს ლექსებს, მოთხრობებს, ლეგენდებს. თარგმნის საყვარელი კლასიკოსების ნაწარმოებებს. გალექსილი აქვს 150 იგავ-არაკი.

გიორგი ნუცუბიძე

1882-1966

ქართველი რევოლუციონერი, მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი გიორგი სპირიდონის ძე ნუცუბიძე დაიბადა 1882 წლის 21 ივლისს ქალაქ თელავში.

გ. ნუცუბიძე ადრევე ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში. 1901 წელს მან მუშაობა დაიწყო თბილისის ორთქლმავალვაგონშემკეთებელ ქარხანაში ზეინკლის თანაშემწედ და მინა ბოჭორიძის ზეგავლენით არალეგალური მარქსისტული ლიტერატურის კითხვას დაეწაფა. 1903 წლის 27 აპრილს თბილისში გოლოვინის პროსპექტზე მუშათა მასობრივი დემონსტრაცია მოეწყო, რომლის მედროშეც ახალგაზრდა მუშა გ. ნუცუბიძე გახლდათ. საქ. სახელმწიფო ცენტრალურ ისტორიულ არქივში ინახება თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსის, პოლკოვნიკ კოვალევსკის მოხსენებითი ბარათი, რომელიც მას დემონსტრაციის მეორე დღესვე გაუგზავნია პეტროგრადში, პოლიციის დეპარტამენტში. მასში ვკითხულობთ: „ხსენებულ პროსპექტზე დღის პირველი საათის დასაწყისში გამოჩნდა ეტლი, რომელშიც კარგად ჩაცმული ახალგაზრდა კაცი იჯდა, რომლის დაკავებაც, სამწუხაროდ, ვერ შევძელით და როდესაც ის გაუსწორდა სახაზინო თეატრს, ნამოდგა ეკიპაჟში, შემოკრა ტაში და ქუჩაში დაბეჭდილი პროკლამაციების შეკვრა გადმოყარა. როგორცა ჩანს, ეს იყო პირობითი ნიშანი დემონსტრაციის დაწყებისათვის და მითითებულ ადგილის ტროტუარზე მყოფი მუშები 79-80 კაცის რაოდენობით „ვაშას" შეძახილით უმალვე გადმოცვივდნენ შუა ქუჩაში და ერთმა მათგანმა გიორგი ნუცუბიძემ აღმართა წითელი დროშა".

შეიარაღებულმა პოლიციამ დემონსტრაცია დაშალა. გ. ნუცუბიძე, რომელიც დიდხანს არ ნებდებოდა და დროშას არ თმობდა, საშინლად სცემეს, ხმლებით სხეულზე რამდენიმე ჭრილობა მიაყენეს და გრძნობადაკარგული დააპატიმრეს. გაზეთმა „ივერიამ" პირველ მაისს დაბეჭდა თბილისის გუბერნატორის ბრძანება, რომლის ძალითაც მუშა-რევოლუციონერს გ. ნუცუბიძეს სამი თვის პატიმრობა მიესაჯა, რაც მან თბილისის საგუბერნიო ციხეში მოიხადა. პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ პოლიციამ გ. ნუცუბიძე თბილისიდან გაასახლა. იგი ჭიათურაში მრეველთა საბჭოს ელსადგურის მემანქანედ მოეწყო, სადაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მუშაობდა.

ჭიათურა იმ წლებში მიყრუებულ ადგილს წარმოადგენდა. შავ ქვას წერაქვითა და ნიჩბით თხრიდნენ. მუშები გათენებიდან დაღამებამდე მუშაობდნენ, უმრავლესობა გვირაბშივე ათევდა ღამეს. რა თქმა უნდა, იმ დროს მათთვის არავითარი კულტურული გასართობი და დასასვენებელი ადგილი არ არსებობდა.

გ. ნუცუბიძე ჭიათურაში ჩასვლისთანავე ჩაება დრამწრის მუშაობაში, მას ამის საკმაო გამოცდილება ჰქონდა — თბილისში მუშათა აუდიტორიაში ნიკო გოცირიძის მიერ დადგმულ სპექტაკლებში მონაწილეობდა. გ. ნუცუბიძე მუშათა მოძრაობაშიც ჩაება. როდესაც სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში განხეთქილება დაიწყო, ჭიათურაში ჩავიდნენ ი. სტალინი, ს. ინწკირველი, ს. წულუკიძე, მ. დავიდოვი და სხვები და გამართულ დისკუსიებში პარტიის ლენინური ხაზი დაიცვეს. გ. ნუცუბიძე უმრავლესობის მხარეზე დადგა, მუშებში არალეგალური ლიტერატურის გავრცელებას შეუდგა და ცენტრიდან მივლინებულ ამხანაგებს დაეხმარა მუშათა მასობრივი კრებების მოწყობაში.

1905 წლის რევოლუცია დამარცხდა. რეაქცია მძვინვარებდა და დრამატულმა წრემ არსებობა შეწყვიტა. ჭიათურას ალიხანოვ-ავარსკის დამსჯელი რაზმი შეესია და ცეცხლითა და მახვილით ანადგურებდა. კაზაკები თეატრის შენობაში დაბინავდნენ და ყველაფერი მოსპეს.

1906 წლის 8 ივლისს გ. ნუცუბიძის თაოსნობით მისსავე ბინაში ეწყობა თათბირი, რომელსაც ესწრებიან შ. შალიკაშვილი, ი. ვარაზაშვილი, მ. ჭანიშვილი. ვ. ყიასაშვილი. გადაწყდა, ჩამოეყალიბებინათ მუდმივი დასი. მართლაც, ჭიათურის მშრომელი ფენების მხარდაჭერით შეიქმნა მუდმივი დრამატული წრე, რომელიც 16 ივლისს მართავს პირველ წარმოდგენას (აქვსენტი ცაგარელის „მათიკო"). აქედან იწყება ჭიათურის თეატრის ისტორია. გ. ნუცუბიძე ერთ წერილში აღნიშნავს: „არასოდეს დამავიწყდება მაშინდელი თავგანწირული მუშაობა, ერთმანეთისადმი სიყვარული და პატივისცემა. ყოველ რეპეტიციაზე მივდიოდით და მიგვიხაროდა ისე, როგორც ქორწილზე"

გარდა სასცენო მოღვაწეობისა, ახალგაზრდა მუშა გ. ნუცუბიძე პერიოდულ პრესაში „ზარბაზანის", "წყაროსთაველის" და „გოგიას" ფსევდონიმებით სისტემატურად ბეჭდავდა ლექსებს და ფელეტონებს.

გ. ნუცუბიძემ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე დანერა რამდენიმე პიესა, რომლებიც წარმატებით იდგმებოდა როგორც ჭიათურის მუშათა თეატრში, ასევე დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა ქალაქებსა და დაბებში. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია „ავტოკეფალია"

გ. ნუცუბიძემ 1959 ნელს ხანდაზმულობის გამო თავი დაანება თეატრს, მაგრამ სცენაზე შეყვარებული მოხუცი ვერ ისვენებდა, მხატვრული ბრიგადა შექმნა და ჭიათურის რაიონის სხვადასხვა კოლმეურნეობებში მართავდა ნარმოდგენებს .



გიგლა პაპალაშვილი

1909-1997

ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ქართული ხალხური სიმღერების ცნობილი შემსრულებელი და ლოტბარი გიორგი (გიგლა) ნიკოლოზის ძე პაპალაშვილი დაიბადა 1909 წლის 19 დეკემბერს თელავის რაიონის სოფელ იყალთოში.

პატარაობიდანვე მღეროდა. ძლივს ახსოვს, როცა შვიდი წლისას, 1917 წელს „ურმული" ამღერეს. მღეროდა დაწყებით სკოლაში, მშობლიურ იყალთოში, მღეროდა წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლაში, ხოლო ჩვიდმეტი წლის ასაკიდან იმავე სკოლის გუნდის ხელმძღვანელად დაინყო მუშაობა.

აკოლა დაამთავრა თუ არა, თავის საყვარელ რაიონს, მშობლიურ თელავს ეწვია. შრომასთან ერთად გ. პაპალაშვილი ხალხური სიმღერების მოვლა-განვითარების საქმეს ემსახურებოდა. ოცდაერთი წლის ჭაბუკი სოლისტ-მომღერალი იყო თელავის სარაიონო გუნდისა, რომელსაც მაშინ დიმიტრი მგალობლიშვილი ხელმძღვანელობდა...

ამასთან ერთად გ. პაპალაშვილი თელავის მუსიკალური სასწავლებლის ხალხური იმღერების შემსწავლელ წრეს ხელმძღვანელობს...

ომის დროს და მომდევნო წლებში გ. პაპალაშვილი სოლისტად მუშაობდა თელავის კულტურის სახლთან არსებულ მომღერალთა გუნდში, რომელსაც სასახელოდ უძღვებოდა ხალხური სიმღერის ოსტატი ფირუზ მახათელაშვილი. გიორგის ლამაზი ტემბრის პირველი ტენორი კახური სიმღერების პოლიფონიურ გადასვლებს ახავერდებდა, აჩუქურთმებდა...

მომდევნო ოთხი წელიწადი გ. პაპალაშვილმა ახმეტის რაიონში გაატარა. მან კვლავ დიდი ნარმატება მოიპოვა მეშვიდე რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე. აქ შესრულებული რეპერტუარი იმდენად მრავალმნიშვნელოვანი და საინტერესო, მნყობრი და თანაბარი იყო, რომ ჟიურიმ იგი საპატიო სიგელით დააჯილდოვა. სიგელითვე დაჯილდოვდა გუნდის მთელი შემადგენლობა. განვლილი ნაყოფიერი მუშაობისა და 1951 წლის ოლიმპიადაში კარგი მაჩვენებლების გამო გ. პაპალაშვილს, ამავე წლის 7 დეკემბრის ბრძანებულებით, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება მიენიჭა.

გ. პაპალაშვილს ორი ათასზე მეტ კონცერტში აქვს მიღებული მონაწილეობა...

თვითმოქმედ კომპოზიტორულ მოღვაწეობასაც ეწეოდა.

მას დამუშავებული აქვს სიმღერები: „ლალისებრო", „თვალად ლამაზმა ქალმანა", „აიღერა მშვიდობაზე", „მინ მოუსვლელო", „სიმღერა კახეთზე", „თუშური სატრფიალო", „შვირობა", „ამოდი მთაში", „პირიმზის ყვავილს", „სიმღერა საქართველოზე", „დაკარგული ალფლავი", „ეგ ერთი და სხვა მრავალი", „ქართველი დედა", „სამი მებრძოლი", „ბალადა ჯარიაკაცზე" და სხვა.

გიგლა პაპალაშვილი გარდაიცვალა 1997 წელს.

ანასტასია როსტომაშვილი ახმეტელისა

1887-1958

ქალისაბედ და ივანე როსტომაშვილების ქალიშვილი ანასტასია (ტასო) დაიბადა 1887 წელს ქალაქ თელავში. დაამთავრა წმინდა ნინოს სასწავლებელი და მასწავლებლობა დაიწყო ბოდბის მონასტერთან არსებულ სკოლაში. ასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას. თელავში თავის უფროს დასთან, ბარბარესთან (სტანისლავსკის სტუდიადამთავრებული, მოსკოვის სამხატვრო თეატრის მსახიობი) ერთად დააარსა სცენის მოყვარულთა წრე. დებმა აქ აკაკი ნერეთლის „პატარა კახში"შეასრულეს ლევან ხიმშიაშვილის (ბარბარემ) და ტურფას (ტასომ) როლები. სპექტაკლის რეჟისორი იყო სანდრო ახმეტელი, რომელიც 1906 წელს ტასოს მეუღლე გახდა.

მოგვიანებით ანასტასია როსტომაშვილი მუშაობდა თბილისის პირველ სამუალო სკოლაში, რომლის დირექტორიც მაშინ მიხეილ ზანდუკელი იყო. ტასოს და სანდროს ჰყავდათ 2 ვაჟიშვილი, შალვა და ჯიმშერი. შალვა იყო გზებისა და ხიდების ინჟინერ-მშენებელი (დაიბადა 1907 წელს, გამოჩენილი კომპოზიტორის გიორგი ჩუბინაშვილის სიძე და ცნობილი მუსიკათმცოდნისა და კრიტიკოსის მანანა ახმეტელის მამაა), ჯიმშერი არქიტექტორი და ლინგვისტია (დაიბადა 1917 წელს), ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამჟამად სამშობლოშია.

ივანე როსტომაშვილი

1852-1924

ჭამოჩენილი ქართველი პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, ჟურნალისტი, ენციკლოპედისტი და მწიგნობარი ივანე პავლეს ძე როსტომაშვილი დაიბადა 1852 წლის 24 დეკემბერს (ძვ. სტ.) თელავის მაზრის სოფელ კურდღლაურში. ივანეს მამა პავლე ნარმოშობით გლეხი იყო, მაგრამ შამილის ბრბოებთან მამაცური ბრძოლის გამო ობერ-ოფიცრობითა და პენსიით იყო დაჯილდოებული.

პატარა ვანოც თავიდანვე შრომისმოყვარე, ნიჭიერი და მეცადინი აღმოჩნდა. მშობლებმა იგი ჯერ თელავის სამოქალაქო სასწავლებელში მიაბარეს, მაგრამ, რაკი მისი აღზრდა, როგორც ოფიცრის შვილისა, შესაძლებელი იყო სახელმწიფო ხარჯზე, ამიტომ 9-10 წლის ვანო დედოფლისწყაროში არსებულ სამხედრო სკოლაში შეიყვანეს.

ამ სკოლაში ვანოს 6 წელინადი გაუტარებია და, როგორც თვითონ იგონებს, არც ერთი საგაკვანო წუთი იქიდან არ გამოჰყოლია. მასწავლებლებად უმთავრესად ფელდფებელნი, ჯარისკაცები ან უხეირო ოფიცრები იყვნენ, რომელთაც პედაგოგიკისა არაფერი ესმოდათ, მოსწავლეებს მხოლოდ ცემა-გვემითა და ლანძღვა-გინებით წრთვნიდნენ. ვანომაც ყველა ეს სატანჯველი გაიარა და მშობლიურ ენადავიწყებული დაბრუნდა შინ.

1870 წელს ივანე როსტომაშვილი მაშინ თბილისში ახალგახსნილ საოსტატო სემინარიაში შევიდა. ეს სასნავლებელი მალე ე.წ. ალექსანდრეს სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტად გადაკეთდა. ვანომ ინსტიტუტი დაასრულა 1874 წელს და მასწავლებლად დაინიშნა აინგილოში, სოფელ კახში.

კაიის სკოლაში ივანე როსტომაშვილი მხოლოდ 4 წელინადს მოღვაწეობდა. ამ მოკლე ხანში მან შესძლო, ძირფესვიანად გარდაექმნა სკოლის მუშაობა . სკოლის ფართო ეზოში გააშენა ხეხილის ბაღი და ვენახი. სკოლის გარეთ დარჩენილ მოზრდილთათვის შემოიღო საკვირაო საღამოს კურსები. აქ თვითონვე უსასყიდლოდ ასწავლიდა წერა-კითხვას სოფლის ახალგაზრდობას. ამგვარი შრომით „ვანო მასწავლებელმა" მოსახლეობის დიდი ყურადღება და სიმპათია დაიმსახურა.

1880 წელს ივანე ინიშნება თელავის საქალაქო სასწავლებელში მასწავლებლად. ის აქაც ვერ ისვენებს. ინყებს თავისებურ საქმიანობას: თელავში მოსვლის პირველ წელსვე აარსებს წიგნსაცავსა და სამკითხველოს, სადაც მასებისათვის ხელმისაწვდომი ხდებოდა ერთული და რუსული მონინაე პერიოდული პრესა და სხვადასხვა ლიტერატურა. 1882 წელს ივანეს ინიციატივითა და დაუცხრომელი შრომით თელავში არსდება „დეპო"— ანაზოგადოებრივი სავაჭრო, რამაც დიდი აურზაური გამოიწვია და ივანე როსტომაშვილის სანინააღმდეგოდ განაწყო ადგილობრივი ვაჭრები. მისივე მეთაურობით თელავსა და კურდღლაურში ჩამოყალიბდა სახალხო ბანკები და დაარსდა საკვირაო სკოლები, სადაც სნავლობდნენ წერა-კითხვას სკოლის გარეშე დარჩენილი გლეხის შვილები — მოზრდილი ასაკის ქალ-ვაჟნი. ყველაფერმა ამან გამოიწვია ადგილობრივი მობელეებისა და ვაჭრების პროტესტი და კატეგორიული მოთხოვნა — ივანე როსტომაშვილის თელავიდან მოშორება...

არც ამით ამოინურება ივანე როსტომაშვილის საოცარი შრომისმოყვარეობის ნაყოფიერება. ის გამოჩენილი ჟურნალისტი და გამომცემელ-რედაქტორი იყო. 1901 წელს,

მან თბილისში დაიწყო ყოველთვიური, საკმაოდ სქელტანიანი ჟურნალის „მოგზაურის" გამოცემა. 1905 წლიდან ეს ჟურნალი ყოველკვირეულ პოლიტიკურ გაზეთად გადაკეთდა.

1917 წელს თვითმპყრობელობის დამხობას მხცოვანი მოღვაწე აღფრთოვანებული შეეგება. რევოლუციის შემდეგ ახალქალაქის სამოქალაქო სასწავლებელი გიმნაზიად გადაკეთდა, ახალქალაქელებმა მის პირველ დირექტორად ძველი მოამაგე და მზრუნველი ივანე როსტომაშვილი მოითხოვეს. ივანემაც ისმინა ხალხის თხოვნა, დროებით მიანება თავი დედაქალაქს და ჯავახეთში გაემგზავრა. აქ ის ახალგაზრდული ენერგიით შეუდგა ახალი გიმნაზიის ჩამოყალიბებას, მისთვის ნორმალური პირობების შექმნას, რისთვისაც მთელი სამი წელინადი დაჰყო ამ სასწავლებელში. 1920 წელს ის კვლავ თბილისს დაბრუნდა.

72 წლის ასაკში მყოფი მხცოვანი მოღვაწე ჯერ ისევ შრომის უნარით იყო აღჭურვილი, როცა 1924 წლის 27 აგვისტოს გაზეთმა „კომუნისტმა" ქართველ საზოგადოებას აუწყა „ძველი საზოგადო მოღვაწის" ივანე როსტომაშვილის ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალება.

განსვენებულის ოჯახს სახელმწიფომ დაუნიშნა მუდმივი პერსონალური პენსია. მადლიერმა ქართველმა მშრომელებმა თავის მოამაგეს სამუდამო განსასვენებელი დიდუბის ქართველ მოღვაწეთა პანთეონში მიუჩინეს.



შოთა როსტომაშვილი

1912-1982

მუდამ მაძღრის ძზეს ლაღცულითბილი.
ხან ალაზანთან.
ხანაც იორთან.
საკუთარ გულზე რიდი ჩიდი.
გული ყოველთვის ხმეთითვის ეპყოდა.
ეს თელავის. ეს ძმრდისის
თან ნარიტუ ეს ოცხეს.
ეს დადიოდ რიგორც ხარდისის.
რიგორც ხალეთის ვაჭისეანსეს...

ფ. რაინაული

საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტი შოთა ნიკოლოზის ძე როსტომაშვილი დაიბადა 1912 წლის 19 დეკემბერს ქ. თელავში, მასწავლებლის ოჯახში.

1930 წელს დაამთავრა თელავის I საშუალო სკოლა და სწავლა გააგრძელა თბილისია სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიულ-ლიტერატურულ ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1933 წელს.

1934-40 წლებში მუშაობს ჯერ ახმეტის რაიონის სოფელ მატნის, შემდეგ ნაფარეულის და ახმეტის საშუალო სკოლების დირექტორად, ხოლო სამამულო ომის პერიოდში ახმეტია პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგეა.

1953 წლიდან ბრუნდება მშობლიურ თელავის რაიონში და მუშაობას იწყებს გაზეთ „კოლმეურნის ხმის", შემდგომში „ალაზნის განთიადის" რედაქტორად.

23 წლის განმავლობაში იყო გაზეთის უცვლელი რედაქტორი.

თელავის ეუჩებში დადიოდა სამშობლოს სიყვარულით გულანთებული კაცი. რომელმაც თანაქალაქელთა უდიდესი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

ღირსეულად იქნა დაფასებული ამაგდარი პრესის მუშაკის ღვაწლი. 1958 წლიდან პენსიაში გასვლამდე არჩეული იყო საქართველოს სსრ ჟურნალისტთა კავშირის პლენუმის წევრად, საქართველოს სსრ ჟურნალისტთა კავშირის გურჯაანის განყოფილების თავმჯდომარის მოადგილედ, აგრეთვე, უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურის კავშირის საქართველოს საზოგადოების პრეზიდიუმის წევრად. რანდენჯერმე იყო საქართველოს სსრ მიღწევათა გამოფენის მონაწილე.

შოთა როსტომაშვილი დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლებით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელით.

1971 წლის დეკემბერში პრესაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის მიენიჭა საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტის საპატიო წოდება.

შოთა როსტომაშვილი გარდაიცვალა 1982 წელს, 70 წლის ასაკში.

შოთა როსტომაშვილის მსგავსი ადამიანები უდავოდ იმსახურებენ საზოგადოების უდიდეს სიყვარულს. ასეთი ადამიანების ამქვეყნიდან წასვლისას იტყვიან ხოლმე: *„კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს"*

შალვა რჩეულიშვილი

1932-1999

ვამოჩენილი ქართველი იურისტი, ადვოკატი შალვა ვახტანგის ძე რჩეულიშვილი დაიბადა 1932 წელს ქ. თბილისში, უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტის, ვახტანგ რჩეულიშვილის ოჯახში. 1934 წელს მამა უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა, ბოლო დედა, თინა დიდიძე, პროფესიით ექიმი, ცრუ დასმენით დააპატიმრეს 1937 წელს. პატარა შალვა გაზარდა ბებიამ, ცნობილმა პედაგოგმა ალექსანდრა ჯავახიშვილმა დიდი ივანე ჯავახიშვილის დამ, რომელიც თელავში ცხოვრობდა. „საშა ბებომ", როგორც მას ოჯახში ეძახდნენ, თელაველების და მათ შორის რჩეულიშვილების რამდენიმე თაობა აღზარდა, რაც დიდი სიყვარულით აღწერა თავის მოგონებებში მისმა შვილიშვილმა, ცნობილმა ქართველმა მწერალმა გურამ რჩეულიშვილმა.

იურიდიული განათლების მიღება შალვა რჩეულიშვილმა მეუღლის, ლიდა ბელიავსკაიას გავლენით გადაწყვიტა. ლიდა ცნობილი თბილისელი ვექილის, ვლადიმირ ბელიავსკის ქალიშვილი იყო და თავადაც იურიდიულზე სწავლობდა. ამ დროისათვის შალვას უკვე დამთავრებული ჰქონდა თბილისის საფრენოსნო სპეცსკოლა და სწავლობდა თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტზე. მაგრამ საბოლოო არჩევანი მაინც იურისპრუდენციაზე გააკეთა და წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. მუშაობდა ტრესტ „საქკონსერვხილბოსტნეულის" იურისკონსულტად, იურიდიული განყოფილების გამგედ, შემდეგ კი იგივე სისტემაში სამეურნეო ხელმძღვანელად – ჯერ თბილისის ლიმონათის ქარხნის, ხოლო შემდეგ ნვენებისა და სასურსათო კონცენტრატების კომბინატის დირექტორად. სწორედ აქ გამოვლინდა სრულად შალვა რჩეულიშვილის პრინციპულობა, უსამართლობასთან და კორუფციასთან ბრძოლის გასაოცარი უნარი. ის მოიცილეს სისტემიდან, ჯერ დანიშნეს თბილისის სამხატვრო-სანარმოო კომბინატის დირექტორად, შემდეგ, ვინაიდან იქაც ასევე შეურიგებლად განაგრძობდა ბრძოლას კორუფციასთან, საერთოდ უსამსახუროდ დატოვეს. მაგრამ შალვა რჩეულიშვილმა არ დათმო პოზიციები. 43 ნლის ასაკში დაუბრუნდა ძირითად პროფესიას, დაიწყო ადვოკატად მუშაობა და სულ რამდენიმე ნელიწადში საქართველოში ერთ-ერთ საუკეთესო დამცველად იქცა. აქაც უშიშრად ებრძოდა ყოველგვარ უსამართლობასა და უკანონობას. სისტემამ არ აპატია „თავნებობა", მოუწყვეს პროვოკაცია და შეთითხნილი ბრალდებით დააპატიმრეს. ვერც კიდევ დაამსა შალვა რჩეულიშვილი და იქაც განაგრძობდა საადვოკატო პრაქტიკას – ნელიწადახევრიანი უკანონო პატიმრობის შემდეგ არა მარტო თავის სრულ გამართლებას მიაღნია, არამედ 26 სხვა პატიმარიც დაიხსნა ციხიდან. არც ერთ სხვა ადვოკატს არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ საბჭოთა და პოსტსაბჭოურ სივრცეში არ ჰქონია ადვოკატ შალვა რჩეულიშვილისნაირი წარმატებული შედეგები თავის პრაქტიკაში – მის მიერ მოგებულ საქმეთა მაჩვენებელი 95%-ს აღწევდა. უკვე მძიმე სენით შეპყრობილმა, ბოლო დღემდე არ მიატოვა საყვარელი პროფესია და სიკვდილსაც კი შეეჭიდა – საავადმყოფოს რეანიმაციის განყოფილებიდან პროცესზე „იპარებოდა" შალვა რჩეულიშვილი დაუმარცხებელი გარდაიცვალა 1999 წლის 8 ოქტომბერს. დაკრძალულია კუკიის სასაფლაოზე მეუღლის გვერდით.

„შალვა რჩეულიშვილისნაირი ადვოკატის გამოჩენა სასამართლო პროცესზე, ეს იყო უკანასკნელი საშუალება მართლმსაჯულების ხელში ჩავარდნილი ადამიანებისთვის, რომ მათ, თუ ასეთი სიმართლე, რასაკვირველია, გააჩნდათ, ეს სიმართლე დაედასტურებინათ, ან მიეღოთ სასჯელი იმ ოდენობით და იმ ზომით, რასაც რეალურად იმსახურებდნენ.

სასამართლო პროცესი საერთოდ ადვოკატს უქმნის სახელს. შალვა ამ მხრივ იყო უნიკალური, რომ ის თვითონ უქმნიდა სასამართლო პროცესს სახელს. თუ შალვა რჩეულიშვილი მონაწილეობდა სასამართლო პროცესში, ის უკვე ცნობილი იყო იმით, რომ ამა და ამ პროცესში მონაწილეობს ადვოკატი შალვა რჩეულიშვილი. ეს იყო პატივი იმ პროცესისათვის და პატივი იმ მოსამართლისათვის“

ვახტანგ გვარამია, საქართველოს დამსახურებული იურისტი.
საქართველოს პარლამენტის საკონსტიტუციო და იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

ვახტანგ რჩეულიშვილი

მისი დევიზია:
„მშვიდობა, პური,
მოყვასის სიყვარული“

საქართველოს სოციალისტური პარტიის თავმჯდომარე, პარლამენტის წევრი ვახტანგ შალვას ძე რჩეულიშვილი დაიბადა 1954 წლის 1 იანვარს თბილისში. 1977 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი, 1979-1982 წწ. იყო ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბის ვიცეპრეზიდენტი, 1982-1984 წწ. კომკავშირის ცკ-ას ლექტორთა ჯგუფის ხელმძღვანელი, 1982-1985 წწ. უცხოეთის განყოფილების ინსტრუქტორი.

ვახტანგ რჩეულიშვილი იყო აგრეთვე: მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა საინფორმაციო ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი, საქართველოს რესპუბლიკის მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, პარლამენტის თავმჯდომარის სპიკერის მოადგილე, საქტელერადიო კომიტეტის პოლიტიკური მიმომხილველი. აჟამად აჭის საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე (მეორედ) და შავი ზღვის ქვეყნების მემარცხენე-ცენტრისტული პარტიების ასამბლეის და საქართველოს ეკონომიკური ფორუმის თავმჯდომარე.

1985 წლიდან სისტემატიურად აქვეყნებს სხვადასხვა სტატიებს.

მაკო საფაროვა-აბაშიძე

1860-1940

ქართველი მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი მაკო (მარიამ) საფაროვა – აბაშიძე დაიბადა 1860 წლის 18 თებერვალს ქალაქ თელავში.

აცენური მოღვაწეობა დაიწყო 1879 წელს ი. ჭავჭავაძისა და ა. წერეთლის მიერ განახლებულ ქართულ პროფესიულ თეატრში. მისი მაღალნიჭიერი, რეალისტური ხელოვნება გამოირჩეოდა სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლის სულისკვეთებით; დიდი ოსტატობით ასრულებდა როგორც დრამატულ, ისე კომედიურ (მონანილეობდა ოპერეტებშიც) როლებს: ნატალია (გ. სუნდუკიანიას „ხათაბალა"), კლოდინა, ტუანეტი (მოლიერის „ჟორჟ დანდენი", „ეჭვით ავადმყოფი"), ელენე, მაშო (ცაგარელის „კუდურ ბანუმ", „ციმბირელი"), ლიზა (გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან"), მარია ანტონოვნა (გოგოლის „რევიზორი"), ფაიხოში (დ. ერისთავის „სამშობლო"), ოფელია (შექსპირის „ჰამლეტი"), ლუიზა (დენერისა და კორმონის „ორი ობოლი"), პოლინა (ა. ოსტროვსკის „შემოსავლიანი ადგილი").

მ. საფაროვა-აბაშიძე ქართულად თარგმნიდა რუსულ და ფრანგულ პიესებს.

ერთი ეპიზოდი მისი ცხოვრებიდან:

ი. ზურაბაშვილი:

„ქართული გიმნაზიის მომღერალთა გუნდი მზადებაშია. გაკვეთილების შემდეგ გიმნაზიის დიდ დარბაზში ყოველდღე რეპეტიციებია. კომპოზიტორი ზაქარია ფალიაშვილი გუნდს ავარჯიშებს. თუ მანამდე გუნდი მხოლოდ თავის დარბაზში ნელინადში ერთხელ ან ორჯერ ატკბობდა მსმენელთ საუცხოო ჰანგებით, ახლა ფართო საზოგადოების წინაშე უნდა ნარსდგეს და გამოჩენილი ხელოვანის მაკო საფაროვას იუბილეს მონანილე გაიდეს. იუბილე დანიშნულია 1912 წლის 22 იანვარს, ხოლო ერთი კვირით ადრე ქართული თეატრის დარბაზში დილით მონაფეთათვის უფასო კონცერტი გაიმართა ამავე იუბილარის პატივსაცემად. დარბაზი უფროსი კლასების მოსწავლეებით გაივსო, მხოლოდ პირველი ოთხი რიგი უკავიათ ხანდაზმულთ – მწერლებს, მსახიობებს, საზოგადო მოღვაწეებს, თეატრალებს.

ზეიმის ნიზეზი – ხანდაზმული დეიდა მაკო ლოჟაში იჯდა და ყველას გულისყური ამ ლოჟისაკენ იყო მიმართული. მრავალუამიერს მოჰყვა „სამშობლო" და ხანგრძლივი ტაში ჯერ კიდევ გრძელდებოდა, როცა სცენაზე გამოჩნდა ჩვენი საყვარელი მგოსანი აკაკი. აკაკის გამოჩენისთანავე ტაში უფრო გაძლიერდა. გაბრნყინებული სახით მოხუცი თავს გვიკრავდა, ბოლოს თავი მაღლა ასწია, თვალები მილულა და თავისი ტკბილი ხმით გაგვაცნო მაკოს ცხოვრება, მისი დალხენა და ჭირი. დასრულდა მოხსენებები, სცენაზე აკაკის და ლადო მესხიშვილის თანხლებით გამოჩნდა ის ადამიანი, რომელიც ოდესღაც ამ სცენის მნათობი იყო და დღეს კი იგი მთლად ყურთასმენადაკარგული, გაბრნყინებული თვალებით შემოგვყურებდა იმ ახალგაზრდებს, რომელთა მშობლებიც მისი ნიჭის თაყვანისმცემლები იყვნენ. მან ახალგაზრდებისადმი მიმართვა ასეთი სიტყვებით დაასრულა: „ქართული თეატრი გიყვარდეთ უაღრესი სიყვარულით, რადგან ეს ერთადერთი დაწესებულებაა, სადაც გაისმის ცოცხალი, თავისუფალი მართალი სიტყვა..."

მიხეილ საყვარელიძე

1892-1949

ავშვობაში, როცა ქართულად დანერილ „ჭადრაკს" (მოკლე სახელმძღვანელო) ვკითხულობდი, ბევრჯერ მიფიქრია: ნეტავ ვინაა მ. ს-ძე, ნიგნის ყდას რომ ანერია? მაშინ, რა თქმა უნდა, არც ის ვიცოდი, რომ 1926 ნელს გამოცემული „ჭადრაკი" ბრძნული თამაშის შესახებ პირველი ქართული ნიგნი იყო.

საოცარია, რომ ქართველები თითქმის 14 საუკუნეა ვიცნობთ ჭადრაკს და მ-ს-ძის ამ ნიგნამდე ჭადრაკზე საგანგებო არავის არაფერი დაუნერია, თუმცა ბევრი ჩვენი ააბელოვანი მგოსანი ჭადრაკს სიბრძნეს უქებდა. მეფე-პოეტმა თეიმურაზ მეორემ ერთ ლექსში თამაშის ერთ-ერთი ნესზეც კი ჩამოაგდო სიტყვა.

ვინ იყო მ.ს.-ძე? რატომ დაიმალა იგი ამ ინიციალების მიღმა? — ეს კითხვები დიდხანს არ მასვენებდა — ნერს მისი თანამედროვე მკვლევარი.

— ეს ხომ ჩვენი მიშაა, მიხეილ საყვარელიძე. არ გაგიგონიათ? კარგი მოკართულე იყო, ჟურნალისტიც ჩინებული, — მითხრა სასიქადულო მნერალმა ძალვა დადიანმა, როცა შევახსენე, რომ „ჭადრაკის" ავტორი ნიგნში მას მადლობას უხდის რჩევა-დარიგებისათვის.

მ. საყვარელიძე დაიბადა თელავში 1892 ნელს, მოსამსახურის ოჯახში. იგი მერვე შვილი იყო. მისი ნინაპარი საყვარელიძეები იმერეთიდან გადმოსახლდნენ კაიეთში XIX საუკუნის პირველ ნახევარში.

1913 ნელს თბილისის გიმნაზიის კურსდამთავრებულმა მიხეილმა სნავლა განაგრძო ოდესის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. სნავლა რომ დაამთავრა, თბილისში დაბრუნდა. მასსნავლებლობდა (ქართულ ენასა და ლიტერატურას ასნავლიდა) და ჟურნალისტობდა. ერთ დროს გაზეთებში „კომუნისტში" და „კოლექტივიზაციაში" მუშაობდა კიდეც. როგორც ქართულის უზადო სპეციალისტი, მუშაობდა ენის ნორმათა დამდგენ კომისიებში.

ჭადრაკს მიხეილ საყვარელიძე სტუდენტობისას ეზიარა. თამაშმა გაიტაცა, მაგრამ შეჯიბრებებში მონანილეობაზე არ უფიქრია. იგი ჩაწვდა თამაშის არსს და გადანყვიტა. ყველა ქართველისათვის გაეცნო ჭადრაკი, ამიტომაც ხელი მოჰკიდა ჭადრაკის ელემენტარული სახელმძღვანელოს შექმნას.

მიხეილი თავმდაბალი, სათნო კაცი ყოფილა. „სახელმძღვანელოს ავტორი არ ეკუთვნის ძლიერ მოჭადრაკეთა რიცხვს", — ამბობს იგი თავისი ნიგნის ბოლოსიტყვაობაში.

— როცა ვკითხეთ, რატომ არ სურდა ნიგნზე თავისი სახელი და გვარი მიეწერა, მიხეილმა ჩვეული თავმდაბლობით გვიპასუხა: „მე რა მოჭადრაკე ვარ. მერე რა, რომ სახელმძღვანელო დავნერე. ბოლოს და ბოლოს მთავარი ხელმონერა როდია, ჩემი ოცნებაა, ყველა ქართველი თამაშობდეს ჭადრაკს, იქნებ მაშინ ჩვენშიც გამოჩნდნენ ოსტატები",— მოიგონა მნერალმა შალვა აფხაიძემ.

მიხეილ საყვარელიძე თავადაც მოესწრო ოცნების ხორცშესხმას. იგი ესწრებოდა სსრ კავშირის X საჭადრაკო ჩემპიონატს, რომელიც 1937 ნლის გაზაფხულზე თბილისში მოეწყო.

ლონგინოზ სუმბაძე

1908-1984

ქართველი არქიტექტორი, ხელოვნებათმცოდნე ლონგინოზ ზაქარიას ძე სუმბაძე დაიბადა 1908 წლის 27 აპრილს თელავის რაიონის სოფ. ვარდისუბანში.

1932 წელს დაამთავრა საქართველოს საინჟინრო-სამშენებლო ინსტიტუტი. ამავე წლიდან ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. 1972 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება. 1950-58 წწ. მისი ნამუშევარი სახლებია თბილისში, გორში, ხიდი მდ. მტკვარზე, ბამბეულის კომბინატის მუშათა დასახლება, საცხოვრებელი სახლები სტალინის გამზირზე (1953წ.), კულტურის სახლი, 1975 წ., დაგეგმარების გენერალური პროექტები, 1935 წ., ბათუმის, გორის 1938-1949 წლებში (ორივე ბ. ლორთქიფანიძესთან ერთად), რუსთავის (1968 წ. ავტორთა ჯგუფთან ერთად), ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმი ღია ცის ქვეშ, განაშენიანების პროექტი (1970 წ.) და სხვ.

მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული არქიტექტორის წოდება.

რამაზ ქარუხნიშვილი

საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, კომპოზიტორი, დირიჟორი, რამაზ ქარუხნიშვილი დაიბადა 1936 წელს ქ. თელავში.

1950 წ. დაამთავრა თელავის რუსული საშუალო სკოლა და პარალელურად სამუსიკო სკოლა (ფორტეპიანო), შემდეგ სწავლა გააგრძელა ქ. თბილისის ცენტრალურ სამუსიკო სკოლაში, საგუნდო-სადირიჟორო განხრით. 1960 წელს დაამთავრა თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორია (პროფ. ანდრია ბალანჩივაძის კლასი). 1962-66 წწ. რ. ქარუხნიშვილი და მისი მეუღლე მ. ჭილაძე სათავეში ჩაუდგნენ მშობლიური ქალაქის, თელავის სამუსიკო სასწავლებელს. ამავე 1962 წელს რამაზ ქარუხნიშვილი გახდა აიალგაზრდა კომპოზიტორთა საკავშირო კონკურსის ლაურეატი.

1968 წელს დაამთავრა თბილისის კონსერვატორიის ასპირანტურა, ანდრია ბალანჩივაძესთან.

1973-81 წწ. კვლავ თელავის მუსიკალური სასწავლებლის დირექტორია. რ. ქარუხნიშვილს საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება მიენიჭა 1990 წელს.

მისი უკანასკნელი წლების ნაწარმოებები:

ორატორია — გალობანი ვედრებისანი — შერეული და ბავშვთა გუნდისა და სიმფონიური ორკესტრისათვის.
ორატორია — გალობანი მონანულისანი — შერეული გუნდი
ორატორია — გალობანი მარიამ ღვთისმშობლისანი — შერეული გუნდი
იმპროვიზაცია — ვიოლინოსათვის
ორატორია — გალობანი უფლისანი — შერეული და ბაშვთა გუნდისათვის
სონატა — ჩელოსა და ფორტეპიანოსათვის
ვოკალური ციკლები და სხვა.

ნინო ქურციკაშვილი სალია

1899-1994

ქართულ-ფრანგული ლიტერატურულ-მეცნიერული ურთიერთობების გამოჩენილი მკვლევარი, საზოგადო მოღვაწე, პროფესორი ნინო ქურციკაშვილი (სალია) დაიბადა 1899 წლის 5 ნოემბერს ქალაქ თელავში.

პატარა ნინო ხუთი წლისა იყო, როდესაც მოსკოვში წაიყვანეს, იქ გაიზარდა და სწავლა-განათლებას ეზიარა. 18 წლის ახალგაზრდა ნინო დაინტერესდა მედიცინით, აქვე დაამთავრა სამედიცინო სასწავლებელი და პირველი მსოფლიო ომის დროს მონყალების დად მსახურობდა სანიტარულ მატარებელში. 1919 წელს ნინო საცხოვრებლად გადადის ვარშავაში, სადაც ამთავრებს უმაღლეს სამედიცინო სასწავლებელს, რამდენიმე ხანს მუშაობს ექიმად თანამდებობაზე, მაგრამ შემდეგ ინტერესდება ისტორიით; ვარშავაში ამთავრებს უმაღლეს სასწავლებელს ისტორიის განხრით და 1922 წელს მიემგზავრება პარიზში.

ცნობილ პარიზში გაეცნო ნინო კალისტრატე სალიას. მალე დაქორწინდნენ.

ნინო სალია ოთხი ათეული წლის განმავლობაში უანგაროდ ემსახურებოდა საზღვარგარეთ ქართული კულტურის დიად საქმეს, მან თავის მეუღლე, პროფესორ კალისტრატე სალიასთან ერთად 1948 წლის ივლისში პარიზში დააარსა ჟურნალი „ბედი ქართლისა", რომელიც გამოდიოდა ქართულ ენაზე 1964 წლამდე (სულ გამოვიდა 40 ნომერი). ამავე დროს, 1957 წლიდან გამოსცეს ფრანგულ ენაზე დიდი ფორმატის ჟურნალი „რევიუ დე კარტველოლოჟი" (აქ სტატიები იბეჭდებოდა, აგრეთვე, ინგლისურ, გერმანულ და იტალიურ ენებზე).

ორივე მოღვაწემ დიდი მუშაობა გასწია საზღვარგარეთ ქართული კულტურის კვლევისა და პოპულარიზაციის საქმეში.

1971 წლის 4 აგვისტოს კალისტრატე სალიას დაბადების 70-ე წელი შეუსრულდა. „ბედი ქართლისას" ფურცლებზე გამოქვეყნდა უცხოელი მეცნიერების სტატიები, რომლებშიც მაღალი შეფასება მისცეს ქართველი პატრიოტების მოღვაწეობას...

... ნინო სალიამ ხელნაწერთა ინსტიტუტს საჩუქრად გადასცა 1400-ზე მეტი ძვირფასი წიგნი ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ, იტალიურ, ბერძნულ, ესპანურ, ლათინურ და სხვა ენებზე. ერთ-ერთ წერილში ქალბატონი ნინო სალია პროფესორ ელენე მეტრეველს წერს: „ავადმყოფობისა და მობუცებულობის გამო ვეღარ ვახერხებ მუშაობას, ამიტომ გადავწყვიტე ჩემი სამეცნიერო ბიბლიოთეკის ერთი ნაწილი (ქართველოლოგიური და ორიენტალისტური ლიტერატურა) გადავცე თქვენდამი არსებულ ინსტიტუტს — ათასი წიგნზე მეტი. ამასთანავე, გაახლებთ ამ წიგნების პირველ სიას"

აღნიშნული წიგნები მიიღო ინსტიტუტმა, სადაც გაიხსნა ნინო სალიას ბიბლიოთეკა, მეცნიერი მუშაკები სარგებლობენ ამ ძვირფასი ლიტერატურით...

სამშობლოს, კახეთს მონატრებულმა ნინო სალიამ 1982 წელს დაწერა გამოსათხოვარი წერილი, რომელიც დაიბეჭდა მისი ჟურნალის მე-40 ტომში. აი, რას წერს იგი: *„ჩემი სიცოცხლის დასასრულს, დარჩენილი წლები წინ რომ მიდგას, მინდა ჩემს მშობლიურ ქვეყანას, ჩემს კახეთს გამოვეთხოვო. ეს იმისათვის, რომ დღემდე ბედნიერება არ მერგო, რომ ჩემი სამშობლო შენახა, რომლის სიყვარულსა და პატივისცემას ყოველთვის ვინახავ გულში.*

მე მინდა პოეტ იოსებ ნონეშვილს დავესესხო სტრიქონები ლექსიდან „კახეთი", რომელიც შესანიშნავად გამოხატავს ჩემს აზრებს იმ ქვეყნის შესახებ, რომელ ზეც ეს ლექსია მიძღვნილი: „ცივ გომბორიდან სიმღერით, სიცოცხლის გადასახედი, მოსჩანს იისფერ ნისლებში, კახეთი, ჩემი კახეთი..."

გიორგი ქუჩიშვილი ჩხეიძე

1886-1947

ვინც ეწვევა ხეთრთველთის
ხალიჩები ხერეებს,
ხიმღერაზე რომ არ იცოდეს,
ძალიც დაიმღერებს.
ვინც მისწვდება ხეთი ქვეყნის
ეწყრეულებს და ლრეულებს,
ისიც ძალისად ეკიდეკვა,
ეზეთის ასუბრეს.
ხალიჩა ხალაძეზე,
ხალიჩა ხასხეალი,
ეკერეზე ეი ეთისდირებს
ეპრეკა ხეთრთველთა!

ახელოვანი ქართველი მნერალი გიორგი ანდუყაფარის ძე ქუჩიშვილი (ნამდვილი გვარი — ჩხეიძე) დაიბადა 1886 ნლის 17 ოქტომბერს თელავის რაიონის სოფ. ვარდისუბანში (მერეში).

მეოცე საუკუნის ქართული პოეზიის განვითარებაში გიორგი ქუჩიშვილს თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. იგი ი. ევდოშვილის ღირსეული მემკვიდრეა. თავისი შემოქმედებით პოეტი ემსახურებოდა ხალხის სოციალური და პოლიტიკური გათავისუფლების ინტერესებს.

გ. ქუჩიშვილის ბიოგრაფია ორგანულად არის დაკავშირებული მის შემოქმედებასთან.

ღარიბი-მშობლების შვილმა, მამით ადრე დაობლებულმა გიორგი ქუჩიშვილმა გამოსცადა მთელი სიმკაცრე და საშინელება ძველი ცხოვრებისა...

უსწავლელი რომ არ დარჩენილიყო, დედამ სხვა შვილებთან ერთად თბილისში ჩამოიყვანა და მიაბარა ავლაბრის სამოქალაქო სასწავლებელში, სადაც მან ორიოდე ნელი დაჰყო. სკოლის გარეთ დარჩენის დღიდან ინყება მისი ხანგრძლივი ხეტიალი და საარსებო საშუალებათა მოპოვებისათვის ბრძოლა. ვისთან არ იყო შეგირდად თუ მოჯამაგირედ: მენვრილმანესთან, ბაყალთან, მენახშირესთან, მენავთესთან, ზეინკალთან, ოქრომჭედელთან, ღვინის სარდაფში (ბოთლებისა და კასრების მრეცხავად), სარაჯიშვილის არყის ქარხანაში და სხვ.

ამგვარად, გ. ქუჩიშვილმა გაიარა ცხოვრების მძიმე სკოლა. შეიძლება ითქვას, რომ მეოცე საუკუნის ქართველი მწერლებიდან თითქმის არც ერთს არ გამოუცდია ისეთი საშინელი სიდუხჭირე, მჩაგვრელთა ისეთი სიმკაცრე და შევიწროება, როგორიც გამოსცადა ჩვენმა პოეტმა. იგი იყო მოწამე და თანამონაწილე ხალხის მძიმე ყოფისა, მისი გატაცებული სწრაფვისა თავისუფლებისაკენ. ამ გზით მიიღო მან ამომწურავი შთაბეჭდილებანი, რამაც შემდგომში მისცა მდიდარი მასალა მხატვრული შემოქმედებისათვის. თავისი ლექსებით ხალხს მოუწოდებდა მჩაგვრელების წინააღმდეგ ბრძოლისაკენ.

თბილისში გიორგი ქუჩიშვილი პროფესიონალი მწერალი ხდება. შემოქმედებითი ცხოვრების დასაწყისშივე მისი პოეზია ხალხის სოციალური და პოლიტიკური განთავისუფლების ინტერესებს ემსახურებოდა. მალე მშრომელი მასების უსაყვარლესი პოეტი გახდა.

გ. ქუჩიშვილის შემოქმედებაში ძალუმად არის წარმოდგენილი სამშობლოს სიყვარულის გრძნობა — ლექციების ციკლი „ქუჩის სიმღერები", მინიატურები — „უსახელო", „სგურის მხიდველი", „მაღაროში", ეტიუდები — „მრავალთაგანი", „ხელები", „საცოდავი" და სხვ.

გ. ქუჩიშვილი ავტორია მრავალი პოემისა და ლექსის.

ფული ეიგუფს.
ფული ღელავს!
ფული მღერის ორიას!
ეხეგუ ეახეთს!
ეხეგუ ოელავს! —
ვიძ, რა ეურფა ეხარეა!
ვასწი. ეელო.
ძირეურეე.
ეიმეერიდეე ჩეარა!
ვასწი!
ვასწი. —
ძო. და ვეე
ნისლეებს დაეფარაეს!..

გიორგი შათირიშვილი

Ყალთოს შოთა რუსთაველის სახელობის სახალხო აკადემიის რექტორი გიორგი ელიზბარის -ძე შათირიშვილი დაიბადა 1935 წლის 11 ივლისს ქ. თბილისში. იგი არც ნარმოშობით და არც დაბადებით არ არის კახელი, მაგრამ იმდენად სისტემატურცეულად არის დაკავშირებული იყალთოს აკადემიასთან, იყალთოელებთან და საერთოდ, კახეთთან, რომ არ შეიძლება არ იყოს მოხსენიებული კახეთის გამოჩენილ ადამიანთა გვერდით. მან თავად დაუკავშირა თავისი ცხოვრება საქართველოს ამ შესანიშნავ კუთხეს. გ. შათირიშვილს ხანდახან თბილისელ იყალთოელს თუ იყალთოელ თბილისელს უწოდებენ

1961 წელს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ინჟინერ-ტექნოლოგის კვალიფიკაციამიღებული გიორგი განაწილებით იყალთოში მოხვდა.

დაახლოებით ოთხი ათეული წლის წინ წამოიწყო მან თავისი უმაგალითო ინიციატივა, თითქმის შიშველ ნიადაგზე — ქართველთა სულიერი სიმამაყის, განათლებისა და აზროვნების ტრადიციის აღორძინება. მართალია, აქეზებდნენ და თითქოს ეხმარებოდნენ კიდეც, მაგრამ რომ არა მისი სიმტკიცე, ურყევი მიზანდასახულობა, ეს იმვითი, არაორდინარული წარმატება მიუღწეველი დარჩებოდა.

გიორგი შათირიშვილი პატრიოტი და დაუღალავი შემოქმედია, მან ფასდაუდებელი სამსახური გაუწია იყალთოს აკადემიის აღორძინებას და მის ფართო პროპაგანდას. ბევრი იზრუნა რუსთველისეული აკადემიისათვის, რათა მისი ტრადიციული ზეიმი „შოთაობა" გადაექცია ჭეშმარიტად სახალხო ზეიმად.

გ. შათირიშვილი ლექსებს წერს . მის ერთ-ერთ ლექსზე მუსიკა დაწერა ნუგზარ თუშიშვილმა, რომელსაც დიდი მოწონება ხვდა. სიმღერას სახელმწიფო კაპელასთან ერთად ასრულებს ქართული ესტრადის ვარსკვლავი ნანი ბრეგვაძე .

აი, ეს ლექსიც:

სიმღერა თელავზე

„აქა მოსვლით გაყმდების"...
სტუმართმოყვარე თელავი
იღებს მტერსა და მოყვარეს —
თელავი,
ჩვენი თელავი.
სიყვარულს თესავს, სიხარულს,
გვისაყვედურებს ვერავინ;
შორს მისგან შური, თვალ-ავი...
თელავის,
ჩვენი თელავის —
ხალხში დარჩენილ ლეგენდად
ერეკლე, მისი გმირობა
ატყვია მამულს ნატყვიარს...
კვლავ აცისკროვნებს მთა-ბარსა,
ალა ზნის ველსა, კავკასსა,
ხელი ჯადოსნურ მხატვრისა.
„კიდევაც დაი ზრდებიან"
ჩვენებურები ნატვრისა.
სი ზმარია თუ ზღაპარი,
მის ნახვას მუდამ იჩქარი,
დაშორდები და შენი
გული და სული აქ არის —
თელავის,
ჩვენის თელავის!

ალექსი შიუკაშვილი

1894-1982

„ადამიანი იფრენს“— ამ სიტყვებს ალექსი შიუკაშვილი ამბობს — პირველი ქართველი პლანერისტი, რომელიც დაიბადა 1894 წელს ქ. თელავში.

ავიაცია, ის იყო, ფრთებს შლიდა. თვითმფრინავები ისე ცოტა იყო, თითებზე ჩამოითვლებოდა. თბილისელებს მფრინავი მანქანა ჯერ არ ენახათ. 13 წლის ალექსანდრე შიუკაშვილმა გადაწყვიტა, თვითონ აეგო ისეთი აპარატი, რომლითაც ფრენა შეიძლებოდა. ამ მიზნის განხორციელებას ფრინველების ფრენაზე დაკვირვებისა და აეროდინამიკის შესწავლის შემდეგ შეუდგა.

ენერგიულმა ახალგაზრდამ სასურველ შედეგსაც მიაღწია.

1908 წელს ჩვენი დედაქალაქის ცაზე უცნაური ფრინველი გამოჩნდა. ეს იყო ი. შიუკაშვილის აგებული პლანერი. იგი საჩვენებელ ფრენას აწარმოებდა. ამის შესახებ ადგილობრივი გაზეთებიც წერდნენ. 14 წლის კონსტრუქტორმა შემდგომ წლებში კიდევ უფრო გააუმჯობესა პლანერის მონყობილობა. გაზარდა ფრენის ხანგრძლივობა და სიმაღლე.

18 წლისა რომ გახდა, უკვე ექვსი პლანერის ავტორი იყო და თვითმფრინავის აშენებას მიჰყო ხელი. 1913 წლის დამლევს ღამით იფრინა ოდესის თავზე. პირველი მსოფლიო ომის წლებში ბომბდამშენის, შემდეგ ავიაგამანადგურებლის მფრინავი იყო.

პირველ ქართველ პლანერისტ-კონსტრუქტორს მალე თანამოსაქმეებიც გამოუჩნდნენ, მათ შორის იყო ცნობილი რეჟისორი სანდრო ახმეტელი.

ალექსანდრე მიღწეულით არ დაკმაყოფილებულა. 1912 წელს თვითმფრინავის ავარიისას დამტვრეული ძრავა შეიძინა და საჰაერო ხომალდი ააგო, რომლის გამოცდას მახათას მთის გადაღმა ანარმოებდა.

ა. შიუკაშვილს რამდენჯერმე მოსვლია სახიფათო ავარია, მაგრამ ფრენა არ მიუტოვებია, შემთხვევის მიზეზს არკვევდა და ასწორებდა.

1918 წელს ნიუნი ნოვგოროდში ააგო ტრიპლანი — ექვსფრთიანი თვითმფრინავი, ერთ-ერთი ექვსი ტრიპლანიდან ჩვენი ავიაციის მთელი ისტორიის განმავლობაში.

იგი სამხედრო-საჰაერო ძალების სათავეებთან იდგა, ხელს უნყობდა აეროფლოტის შექმნას. თავისი ცხოვრებით მან შეაერთა ნესტეროვი, ჩკალოვი და გაგარინი.

ა. შიუკაშვილმა დიდი ინიციატივა გამოიჩინა სამოქალაქო საავიაციო ფლოტის ჩამოყალიბების საქმეში. ამ საკითხზე ორჯერ ესაუბრა ვლადიმერ ილიას ძე ლენინს.

როდესაც ახალდაარსებულმა საბჭოთა ხელისუფლებამ შინაგანი და გარეშე მტრები დაამარცხა და სამოქალაქო ომი დამთავრდა, ა. შიუკაშვილი მოსკოვის სამხედრო ოლქის საჰაერო ძალების უფროსად დანიშნეს. ნიჭიერი და საქმის აქტიური ორგანიზატორი მალე საზღვაო-საჰაერო ინსპექციაში გადაიყვანეს.

1940 წლიდან ა. შიუკაშვილი მოსკოვის სამხედრო საავიაციო აკადემიის ლექტორია.

ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ასობით ახალგაზრდას შეასწავლა მფრინავისა და ავიაკონსტრუქტორის რთული პროფესია. დანერგა 30-ზე მეტი დიდმნიშვნელოვანი გამოგონება ავიაციაში. მის კალამს ეკუთვნის მრავალი მხატვრული და ტექნიკური ნიგნი, მათ შორის ნაწარმოები „ნახევარი საუკუნე ავიაციაში“.

ა. შიუკაშვილი ფრთებმქნევ მიკროძრავიანი აპარატის დამზადებაზე ოცნებობდა, რომლითაც ადამიანი ჩიტივით იფრენდა.

ენერგიული კონსტრუქტორი, ავიატორი, გამომგონებელი და ლიტერატორი გარდაიცვალა 1982 წელს.

იოანე შიუკაშვილი

იოანე შიუკაშვილი, თვალსაჩინო დრამატურგის ნიკო შიუკაშვილის მამა მე-19 საუკუნის 80-იანი წლებიდან იყო პატარა კახის ყოფილი კარის ეკლესიის დეკანოზი. ამ ადგილზე მე-20 საუკუნის ათიან წლებამდე ილვანა, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. იოანე შიუკაშვილი თავის ხალხს შთააგონებდა სიკეთის ქმნას, სამშობლოს სიყვარულს და პატიოსნებას. ამის უტყუარი დადასტურებაა მრავლის წინაშე წარმოთქმული მისი სიტყვები და მე-19 საუკუნის ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილი სტატიე-

1890 წელს ი. შიუკაშვილმა თელავში ჩატარებულ სახელოვანი მამულიშვილის დიმიტრი ბაქრაძის პანაშვიდზე თქვა: „დროა, დავწმუნდეთ და გამოვიღოთ თითოეულმა ჩვენგანმა ნაყოფი საზოგადო, შეუდგეთ საერთო საქმესა შეძლებისდაგვარად. საკუთარი ინტერესებისათვის ბრძოლის საქმეს თუ ერი „თვალს აარიდებს", უკეთუ ახლაც გულსა და გონებას დაიხშობს, დაეცემა, დაირღვევა, განიბნევა თავის მამულისაგან და აღიგვება პირისაგან ქვეყნის სიყვარულით აღსავსენი, საერთო ძმურის კავშირით, დაცემულ ქართველთა ერის საკეთილდღეოდ. გვახსოვდეს და ვიხელმძღვანელოთ ან განსვენებულის დიმიტრი ბაქრაძის ცხოვრებითა და მაგალითით" (ივერია, 1890, №42). დიდი მამულიშვილის სიკვდილი მას „განგებისა მიერ მოგზავნილ რისხვად" მიაჩნია. 1897 წელს ი. შიუკაშვილს მჭევრმეტყველური სიტყვა ნარმოუთქვამს ნიკოლოზ ზაქარიას ძე ყავჭავაძის ცხედრის გამოსვენებისას.

მის ოჯახში სხვადასხვა დროს სტუმრად ყოფილან სახელოვანი ქართველი მამულიშვილები: ილია, აკაკი, ვაჟა, ყაზბეგი, ვასილ ბარნოვი, ანტონ ფურცელაძე, ეკატერინე გაბაშვილი და სხვები.

ი. შიუკაშვილს ურთიერთობა ჰქონია ექვთიმე თაყაიშვილთან; მისი 1916 წლის 26 მარტს დაწერილი წერილი ინახება დიდი მეცნიერის არქივში. მიმონერა ჰქონია აგრეთვე პროფ. მოსე ჯანაშვილთანაც (ხელნაწერთა ინსტიტუტი, № 1458, ლიტ. მუზეუმი, №2 1695).

იოანეს მეუღლეს ანა აბრამიშვილს დედის (ჩერქეზიშვილების) ოჯახიდან ჰქონია მდიდარი ბიბლიოთეკა. ეს ფრიად განათლებული მანდილოსანი შვილებს შთაუნერგავდა მამულის სიყვარულს. ამაგდარ დედას მიუძღვნა შემდეგში ნიკომ თავისი პირველი ნიგნი.

იოანეს და ნინოს ოთხი შვილი ჰყავდათ — სამი ქალი: ნასტია, თამრო და ეკატერინე და ერთი ვაჟი — ნიკო.

შიუკაშვილების ოჯახის უმთავრესი ინტერესის საგანი იყო მშობლიური ლიტერატურა, თეატრი და მუსიკა.

ნიკო შიუკაშვილი

1870-1938

ესანიშნავი ქართველი დრამატურგი ნიკო იოანეს ძე შიუკაშვილი დაიბადა 1870 წლის 17 მაისს ქ. თელავში.

8 წლისა იგი შეიყვანეს თელავის სასულიერო სასწავლებელში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1885 წელს.

ნიკო თბილისში 15 წლისა ჩავიდა. იგი შეჰყავთ ჯერ სასულიერო სემინარიაში, სადაც მეფის ბიუროკრატიული მოხელის ჩუდეცკის მიერ შემოღებული სულის შემხუთველი ურთიერთობები ბატონობდა. ერთი წლის შემდეგ სემინარიიდან გადადის სათავადაზნაურო პროგიმნაზიაში, ხოლო 1888 წელს სწავლას იწყებს ალექსანდრეს სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტში.

1892 წელს ნიკო შიუკაშვილმა დაიწყო პედაგოგიური მოღვაწეობა.

1892 წლის 21 ოქტომბერს, ნ. შიუკაშვილი ინიშნება სოფელ საცხენისის მასწავლებლად. შემდეგ მოღვაწეობს ახალციხის სამოქალაქო სასწავლებელში, ახალქალაქის სამოქალაქო სასწავლებელში. 1901 წლის 1 ოქტომბერს კი ისევ ახალციხეში გადაჰყავთ, სადაც 1908 წლამდე რჩება. 1908 წლის 20 აგვისტოდან იგი უკვე ზაქათალაშია საქალაქო სასწავლებლის ინსპექტორად, 1912-1916 წ. კი გორში გადაჰყავთ იმავე თანამდებობაზე. შემდეგ თბილისის სახალხო სკოლების ინსპექტორია. პარალელურად 1920 წლის 1 ივნისიდან მშობლიურ ქალაქ თელავში პოლიტგანათლების სამხატვრო ნაწილის გამგეა, სადაც 1922 წლის ოქტომბრამდე რჩება. აქ იგი არჩეული იყო თელავის მაზრის მასწავლებელთა კავშირის თავმჯდომარედ, განათლების პროფკავშირების პასუხისმგებელ მდივნად და ასწავლიდა მუსიკალურ სკოლაში ვიოლინოს კლასს.

1922 წლის ოქტომბერში ნიკო შიუკაშვილი მკვიდრდება თბილისში და ინიშნება ლექტორად დრამატულ სტუდიაში სახელმწიფო კონსერვატორიაში, სამხატვრო აკადემიაში, პოლიტგანათლების დრამატულ სტუდიაში („წითელი თეატრი"), თბილისის და ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტებში, სასცენო ხელოვნების უმაღლეს კურსებზე და სახკინმრეწვის კინომსახიობთა კურსებზე.

ნ. შიუკაშვილს განსაკუთრებით უყვარდა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში ფუსფუსი. აქ იგი ჯერ არჩეული იყო (1935 წ. 14 სექტემბერს) დოცენტად და შემდეგ პროფესორის მოვალეობის შემსრულებლად (1937 წ.). ამავე დროს იყო დრამატული ფაკულტეტის დეკანი, სამეცნიერო საბჭოს წევრი და 1924-25 წწ. პროფკავშირის ორგანიზაციასაც თავმჯდომარეობდა. მას დისერტაციის დაუცველად, ნაშრომისათვის „დიქცია და ხმატვრული მეტყველება" მიანიჭეს დოცენტის სამეცნიერო წოდება.

ნ. შიუკაშვილის სახელთან დაკავშირებულია სკოლებში მუსიკალური და დრამატული წრეების ჩამოყალიბება, საიუბილეო თარიღების აღნიშვნა და საქველმოქმედო საღამოების მონყობა...

ნ. შიუკაშვილი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარე (გორში), განათლების სექტორის გამგე, სახალხო სკოლების ინსპექტორი, ლექციებს კითხულობდა და ზოგჯერ განაგებდა კიდევაც მასწავლებელთა საზაფხულო კურსებს.

ანო შიუკაშვილი

1918-1939

ქართველი პოეტი ქალი ანო შიუკაშვილი დაიბადა 1918 წელს ქალაქ თელავში.

„მე თელავის პედაგოგიური ტექნიკუმის I კურსზე ვსწავლობ. ჯერ კიდევ მე-5 ჯგუფში ვნერდი ლექსებს, რომლებიც სასკოლო ჟურნალებში იბეჭდებოდა. შენახვით კი არ ვინახავდი, დავწერდი, გადავცემდი, მე კი ვიმახსოვრებდი... მახსოვს პირველი ლექსი და ყველა, რომელიც კი წამომცდენია...

ეგნატე ნინოშვილს მივუძღვენი ლექსი 70 წლის საიუბილეოდ, აგრეთვე — ჩემს მეგობრებს, სიყვარულს, აკაკის... მაგრამ მაშინ საჭიროდ არ ვთვლიდი თქვენამდე მოსვლას" — ნერდა იგი რედაქციას.

მას შემდეგ წლები გავიდა. „მე საკმაოდ ბევრი შევიძინე, როგორც ცხოვრებიდან, აგრეთვე წიგნებიდან, ჩემთვის საინტერესოა თქვენი რჩევა... ლექსების გარდა მაქვს რეცენზიები, მონოგრაფიები და სხვა. თუ რაიმე დაგაინტერესებთ, მზად ვარ. ისე კი, იმედი და გარანტია მაქვს, ბევრს შევეძნი!"

რაც მოასწრო, მართლაც საინტერესოა. სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი უკვე მწერალთა კავშირის წევრი იყო და ფრთებს ისწორებდა დიდი გაფრენისათვის, რომ არა სისხლიანი 1937.

— საბაბი? — საბაბს რა დალევს, თუ ვინმემ მოინდომა, — უკვე რეპრესირებული მეგობრის ოჯახთან ულალატო კონტაქტი, „არსენა მარაბდელი" მიხეილ ჯავახიშვილის ავტოგრაფით: „ახალგაზრდა ნიჭიერ პოეტს ანო შიუკაშვილს"; გაბედული ლექსები... თუნდაც ერთი გადარჩენილი ლექსი გავიხსენოთ...

ილიას მკვლელს

საქართველოს ცას შემოვრტყა ღრუბელთა ჯარი
და სალსის ზიდა ყოლეოთამდე სირცხვილის ჯვარი.
დადუმებულან ყვავილები სალსისად ცილი.
რადგანაც ძაძულს, ყელაკეცილს, მოუკლეს შეილი.
დაშეუსრეული ყელდაწეკეტით ყლიოობდა არე
და სირცხვილისგან ბნელდებოდა პირბადრი მთვარე.
მოკლეს ძაძულის მოდელი ერთგული შვილი,
აკილევით ჯიერა უმსგავი და ბოროტი შვილი...
და ალმოსავლეთ უბრწყინვალეს სხივებმა ჯვარ.
რომ შვილი იყო თვითმპყრობელი ოუსეთის ბანდა.
თვით ბრალდებული ფარეს სალსის თვალებმ.
ილია ძალეს სული ქვეყნის სამარეებმ.
დარდილული ცაზე ჯიფანტა ღრუბელთა ჯარი,
სალსის ყელს მოსწყდა მუსარება, დარდი და ჯარი.
ღელვაშფოთილი დაფარეს ამ თავდადებს,
ტირის ტყვეთ შვილი უკვდავებად დიბადებან...

რა შეაჩერებდა რისხვად მოვლინებულ საბჭოთა მანქანას — მრავალ სხვა კარგთან ერთად ისიც ჩააგდეს ციხეში — ატმის ყვავილივით ასაფეთქებლად შეღერებული, სამშობლოს, პოეზიის ცეცხლით გულანთებული პოეტი ქალი...

ივონებენ ახლა დისშვილი ლეილა გაბუნია და მარო მელიქიშვილი — რას გაუძლებდა ის სიფრიფანა გოგო, რომელსაც წინდაც არა ჰქონდა ამოკემსილიო. გაძლებით კი საოცრად ბევრს გაუძლო. ურალში გადაასახლეს და მორებს აზიდინებდნენ... მაინც ვერ გატეხეს, სულით ვერ დასცეს. დედას იქიდან ეეედრებოდა და ამხნევებდა: — მაპატიე, ასე ტანჯული სიბერე რომ მოგიტანე, მაგრამ უდანაშაულო დამნაშავე ვარ, არ ვიცი, რისთვია? ნეტავ, მჯეროდეს, რომ სამშობლოსათვის საჭირო სიკვდილით ვკვდები მტრის მიწაზე, თვალს არ დავახამხამებდიო...

საქართველოს გაზაფხულის ემბაზში განბანილი მისი ლექსის მუსიკას დახვეწა, დაყვავილება არ აცალეს... .



ვანდა შიუკაშვილი
1905-2001

ვიანისტი, პედაგოგი, კონსერვატორიის პროფესორი, საქართველოს სახალხო არტისტი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ღირსების ორდენის კავალერი ვანდა ნიკოლოზის ასული შიუკაშვილი დაიბადა 1905 წლის 21 აგვისტოს, ახალციხეში. შიუკაშვილების ფენომენი... თითქმის საუკუნე მუსიკის სამყაროში, მის სამსახურში, უანგარო მსახურებაში. გარშემო ყოველივე კალეიდოსკოპური სისწრაფით იცვლება, არ იცვლება შიუკაშვილისეული ფენომენი – მაღალი სულიერება, ადამიანური სიკეთე და მუსიკის სიყვარული და მსახურება. რით არის განპირობებული ყოველივე ეს? ჩვენს წინაშე კიდევ ერთი საიდუმლოა – ადამიანური, თითქოს ბუნებრივი და ჩვეული, და თან უჩვეულო.

მამა – ნიკო ივანეს ძე შიუკაშვილი იყო ქართველი მწერალი, დრამატურგი, პედაგოგი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, პირველთაგანი ქართველ მოყვარულ მევიოლინეებს შორის, მხატვარი, და თავისი ბუნებით – ჭეშმარიტი არტისტი, მათი საგვარეულო შამბულია კახეთის გულში – თელავში.

დედა – ნინო ალექსანდრეს ასული მესხი-შიუკაშვილისა, მწიგნობარი, პროფეაიითა და ბუნებით პედაგოგი, აღმზრდელი, ბავშვის ბუნების იშვიათი მცოდნე.

მათ ოჯახში, გონებრივი და სულიერი შუქით განათებულ შემოქმედებით გარემოში. სამი შესანიშნავი არსება დაიბადა ვანდა, ლეო და მაია. „პატარა მაია, სამნუხაროდ, მალე გამოაკლდა ამ შესანიშნავ ოჯახს და პირველი უმძიმესი სევდა განაცდევინა თავის დაბმას" სამივე ნიჭით, გარემოსადმი ინტერესით, ბავშვობიდანვე საოცარი შრომისმოყვარეობით გამოირჩეოდა, რაც პირველ რიგში წარმატებულ სწავლაში აისახა.

ვანდა შიუკაშვილი ამჟამად ღრმად მოხუცი, მრავალ ჭირ-ვარამ გამოვლილი ქალბატონია. ღვთით ნაბოძები ხანდაზმულობა, სული, განწმენდილი ძლიერი ვნებებისაგან და სიკეთითა და გაგებით აღვსილი. მთელი მისი ცხოვრება, ისევე როგორც მისი ძმის, ლეო შიუკაშვილის, ერთი მთლიანი, საოცრად ჟღერი და ურთულესი პარტიტურაა, რომელსაც თავისი მსმენელი ყოველთვის ეყოლება.

ნიგნი გამოსაცემად მზად იყო, როდესაც მოვიდა ცნობა ღვაწლმოსილი პედაგოგის გარდაცვალების შესახებ. იგი გარდაიცვალა 2001 წლის 27 მაისს, 96 წლის ასაკში

ლევან ლეო შიუკაშვილი

1908-1999

ვიოლინე, პედაგოგი, კონსერვატორიის პროფესორი, საქართველოს სახალხო არტისტი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ღირსების ორდენის კავალერი ლევან ნიკოლოზის ძე შიუკაშვილი დაიბადა 1908 წლის 25 მარტს, ახალციხეში. დისგან, ვანდა შიუკაშვილისგან განსხვავებით, მოსკოვის მუსიკალურ-კულტურულ ელიტას ეზიარა, და შემდეგ ისევ თბილისი, ისევ კონსერვატორია, ისევ მუსიკოსთა თაობები...

ყველაფერი კი იქიდან დაიწყო, რომ თბილისში ჩამოსვლისთანავე, მამამ ვიქტორ ვილშაუს კლასში მიიყვანა. ასე რომ, 13 წლისა უკვე კონსერვატორიის მოსწავლე იყო. 18 წლისამ კი დაამთავრა კონსერვატორია ვილშაუს სავიოლინო კლასით, ხოლო კონსერვატორიის ახალკურსდამთავრებული, უკვე პედაგოგად მუშაობდა I სამუსიკო სასწავლებელში და ძალიანაც მოსწონდა თავისი საქმიანობა. 20 წლის ასაკში ლევან შიუკაშვილი მოაკოვა გაემგზავრა და კონსერვატორიაში ჩაირიცხა, აბრაამ იამპოლსკის კლასში. 1932 ნელა დაამთავრა კონსერვატორია და დაბრუნდა თბილისში. იმ პერიოდის მნიშვნელოვანი გამოსვლებიდან უნდა აღინიშნოს ბეთჰოვენის კონცერტის წარმატებით შესრულება მოაკოვის სვეტებიან დარბაზში ქართველ ხელოვანთა სხვა წარმომადგენლებთან ერთად. ლევან და ვანდა შიუკაშვილების მოღვაწეობა საოცრად ჰგავს ერთმანეთს. მათ საკმაოდ საინტერესო, ხანგრძლივი შემოქმედებითი გზა განვლეს ერთად და მნიშვნელოვანი კვალი დატოვეს ქართულ სამუსიკო ცხოვრებაში, ფასდაუდებელი ამაგი დასდეს მის განვითარებას.

ლევან შიუკაშვილი 91 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ელისაბედ ჩოლოყაშვილი-როსტომაშვილი

1863-1957

ედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის ივანე როსტომაშვილის მეუღლე ელისაბედ (ლიზა) დავითის ასული ჩოლოყაშვილი დაიბადა 1863 წელს თელავის რაიონის სოფ. ლალისყურში.

იგი იყო კახელი ბაგრატიონების შთამომავალი. დაიბადა დიდად განათლებულ ოჯახში. ელისაბედის მამა დავითი იყო რაფიელ ერისთავის მამიდაშვილი, დედა — მელანია არღუთაშვილი-მხარგრძელი — ლადო მესხიშვილის დეიდა.

ელისაბედ ჩოლოყაშვილმა დაამთავრა კეთილშობილთა პანსიონი-ინსტიტუტი. 1883 წელს თავისი ბედი დაუკავშირა ივანე როსტომაშვილს, რომელთან ერთადაც გაიარა სიძნელეებით აღსავსე გზა. ქალბატონ ლიზას თაოსნობით დაარსდა გლეხი ქალებისათვის უფასო სკოლები, ბაგრატიონთა სასახლიდან მიღებული დიდძალი მზითვების წყალობით მეუღლესთან ერთად გამოსცემდა გაზეთებსა და ნიგნებს, და, საერთოდ, ენეოდა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას.

ცოლ-ქმარს ჰყავდა 8 შვილი. უფროსი ვაჟი დავითი იყო რუსული ანარქიზმის ფუძემდებლის პეტრე კროპოტკინის მონაფე და მიმდევარი, მეფის ხელისუფლების მიერ მისჯილი ჰქონდა სამუდამო პატიმრობა. 1890 წელს შეეძინათ ქალიშვილი ანასტასია (ტასო) როსტომაშვილი-ახმეტელისა, ჩვენი ეროვნული თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელის — სანდრო ახმეტელის მეუღლე.

ილია ჩოლოყაშვილი

1823-1877

„ძმაცალა ძმისა ძმაცალა“

ავკასიის არმიის სახელოვან, მამაც მხედართმთავართა შორის ერთ-ერთი საპატიო ადგილი უჭირავს კავალერიის გენერალ-მაიორ ილია ზაალის ძე ჩოლოყაშვილს. იგი 1823 წელს დაიბადა თბილისის გუბერნიის თელავის მაზრაში. კერძო სასწავლებელში აღზრდის შემდეგ 1844 წელს მან პირველი საბრძოლო ნათლობა მიიღო კავკასიის ომებში. აქ იგი მონაწილეობდა ექსპედიციებში, რომლებსაც მეთაურობდნენ პოლკოვნიკი ევდოკიმოვი, გენერლები გასეკი, ლიდერნი და არღუტინსკი. პირველსავე ბრძოლებში თავი ისახელა და 1845 წელს პროპორშჩიკის ჩინში დაიმსახურა სამხედრო ორდენის ნიშანი და წმინდა ანას მეოთხე ხარისხის ორდენი წარწერით — „მამაცობისათვის...“ შემდეგში კი ილება წმინდა ანას მესამე ხარისხის ორდენს ხმლითა და ბაბთით.

1852 წელს შტაბს-კაპიტანი ილია ჩოლოყაშვილი ნიჟეგოროდის დრაგუნთა ლეგიონში გადაჰყავთ. ამ ლეგიონის შემადგენლობაში ყირიმის ომის დროს, 1854 წელს, ცნობილ ბალაკლავკარისა და ეიურუქ-დარას ბრძოლებში მონაწილეობს. კავკასიის მცირერიცხოვანმა მამაცთა კორპუსმა ამ ბრძოლებით კატასტროფამდე მიიყვანა ანატოლიის მთელი არმია. ახალგაზრდა მამაცი ოფიცრების ნიკო ჭავჭავაძის, ბაგრატიონ-მუხრანელისა და სხვათა გვერდით თავი ისახელა ჩოლოყაშვილმა, რისთვისაც იგი ხმლითა და ბაბთით შემკული წმინდა ვლადიმირის მეოთხე ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს.

1858 წელს შტაბს-როტმისტრი ი. ჩოლოყაშვილი კავკასიის ლაიბ-ესკადრონში მსახურობს და მეფის ფლიგელ-ადიუნტანტად გვევლინება...

1862-1863 წლებში იგი მონაწილეობს ექსპედიციებში ჩრდილო კავკასიაში, არის დაღესტნის ცხენოსან-რეგულარული ლეგიონის მეთაური. აქ იგი პოლკოვნიკის ჩინსა და წმინდა ანას მეორე ხარისხის ორდენს იმსახურებს.

1872 წელს ჩოლოყაშვილი ხანგრძლივი, სახელოვანი სამსახურისათვის გენერალ-მაიორად ჩინში აამაღლეს და იმპერატორის ამალაშიც ჩარიცხეს.

1877 წელს რუსეთ-თურქეთის ომის დაწყებისას იგი მეთაურობს დაღესტნის ცხენოსან-რეგულარულ ბრიგადას და მოქმედი კორპუსის ავანგარდში იბრძვის.

4 ნაისს ყარსთან ცხარე ბრძოლა გაჩაღდა.

ოსმალო-თურქეთის კავალერიას მედგრად ეკვეთნენ ილიას ბრიგადის დრაგუნები და მტერი უკუაგდეს. ამ ბრძოლაში მამაცმა მეთაურმა მძიმე ჭრილობა მიიღო. იგი გარდაიცვალა 11 მაისს.

35 წელი გაატარა ი. ჩოლოყაშვილმა განუწყვეტლივ სამხედრო სამსახურში, მონაწილეობდა ომებში და ომშივე დაამთავრა სიცოცხლე. სრულიად დამსახურებულად უწოდებდნენ მას „მამაცთა შორის მამაცს“

გივი ჩოხელი

1937-1995

სპორტის დამსახურებული ოსტატი, ფეხბურთელი, საბჭოთა კავშირის ნაკრების პირველი ქართველი კაპიტანი, გივი დიმიტრის ძე ჩოხელი დაიბადა 1937 წლის 27 ივნისს ქ. თელავში.

1955 წელს ნარჩინებით დაამთავრა თელავის I საშუალო სკოლა და იმავე წელს მოენყო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში მექანიზაციის ფაკულტეტზე. იგი სკოლაშივე წარმატებით თამაშობდა კალათბურთსა და ფეხბურთს.

1956 წელს ჩაირიცხა თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდში და წლების მანძილზე იყო მისი ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი და არა მარტო „დინამოსი", არამედ საბჭოთა კავშირის ნაკრებისაც.

გივი ჩოხელი საბჭოთა კავშირის ნაკრების პირველი ქართველი კაპიტანი იყო.

მის პიროვნულ თვისებებზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს პროფესორ დიმიტრი ციციშვილის გამონათქვამი: „მახსოვს გივი რომ მექანიზაციის ფაკულტეტზე მოვიდა, მაშინისმა მთბოვა მისთვის ფეხბურთის სიყვარული დამევინყებინა, რომ სწავლაში ხელი არ ძეშლოდა, მაგრამ როგორც გამოირკვა, მამამისი სათანადოდ ვერ არკვევდა შვილის მესაძლებლობას. ჯერ კიდევ მისაღებ გამოცდებზე გამაოცა აბიტურიენტის საფუძვლიანმა მომზადებამ. ინსტიტუტში სწავლის 5 წლის მანძილზე გამოცდებს ყოველთვის დრუნე აბარებდა და დიპლომიც თანაკურსელებთან ერთად დაიცვა. იგი ღირსეულად ატარებს ასპირანტის მესამე კურსის სახელს. ვფიქრობ, რომ გივი აქაც ისეთ სახელს დატოვებს, როგორც ფეხბურთში. თუ ადამიანი სიტყვის ფანტაზიას არ ფლობს, მისთვის ძნელია გივიზე ლაპარაკი, იმიტომ რომ იგი ძალზე უბრალო და ჩვეულებრივი ახალგაზრდაა, მაგრამ ამასთან ერთად, მასში რამდენი ფარული სულიერი სითბო, მომხიბლაობა, სიფაქიზეა. ვისურვებდი, ბევრი გვყოლოდა ასეთი ახალგაზრდა, როგორიც გივი ჩოხელია"

„თბილისი", 1965 წ. აპრილი.

სსრკ დამსახურებული მწვრთნელი გავრილ კაჩალინი: „ძნელია, სამამულო ფეხბურთში მოიძებნოს მეორე ისეთი სპორტსმენი, რომელიც ასე კარგად თამაშობდეს სხვადასხვა ამპლუაში არა მარტო თბილისის „დინამოში", არამედ საბჭოთა კავშირის ნაკრებშიც. მე, როგორც მწვრთნელს, თვალში მომხვდა მისი ხასიათის ძვირფასი შტრიხი: მას ფეხბურთში ტაქტიკური შტრიხი იტაცებდა... ისეთები, როგორიც გივია, ძალზე ცოტანი იყვნენ ნაკრებში"

გივი დიმიტრის ძე ჩოხელი 1960 წლის ევროპის ჩემპიონის ოქროს მედლის მფლობელია. მისი კარადა სავსეა თასებით და ჯილდოებით. დროთა განმავლობაში იგი მუშაობდა თბილისის „დინამოს" გუნდის უფროს მწვრთნელად, გუნდის უფროსად.

სიცოცხლის ბოლოს იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის სამმართველოს უფროსის მოადგილე. გარდაიცვალა 1995 წლის 25 თებერვალს.

თემურ ჩხეიძე

ცალსაჩინო ქართველი რეჟისორი, საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის სახალხო არტისტი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ცნობილი ქართველი პოეტის გიორგი ჟუჩიშვილის (ჩხეიძის) შვილიშვილი თემურ ნოდარის ძე ჩხეიძე დაიბადა 1943 წლის 18 ნოემბერს ქ. თბილისში სახელგანთქმული მსახიობების, საქართველოს ახალგაზრდა არტისტების ნოდარ ჩხეიძისა და მედეა ჩახავას ოჯახში.

1965 წელს დაამთავრა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტი.

1965-67 წწ. მუშაობდა ზუგდიდის შ. დადიანის სახ. დრამატულ თეატრში. 1967-70 წწ. – თბილიასის მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში, 1970-80 წწ. – რუსთაველის სახ. სახელმწიფო აკადემიურ თეატრში, ხოლო 1980-1990 წწ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია. ამ თეატრში იგი დღემდე მუშაობს დამდგმელ რეჟისორად. 1979-1988 წწ. იყო საქართველოს სატელევიზიო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი. 1990 წლიდან თ. ჩხეიძე აქტიურად თანამშრომლობს პეტერბურგის დიდ დრამატულ თეატრთან. დგამს სპექტაკლებს, აგრეთვე, უცხოეთშიც.

1980 წელს თემურ ჩხეიძეს ილებენ რეზო ჩხეიძის ფილმში „რაიკომის მდივანი" მან შეასრულა მთავარი როლი, რამაც უდიდესი აღიარება და მაყურებლის სიმპათიები მოუტანა მას, როგორც მსახიობს.

თემურ ჩხეიძე სხვადასხვა წლებში თბილისსა და სანკტ-პეტერბურგში ენეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას.

საუკეთეო სპექტაკლების დადგმისათვის მას მიღებული აქვს პრიზები: „ოქროს ლოფიტი" „ოქროს ნიღაბი" (რუსეთი), „ოქროს ნიღაბი" (ორჯერ) – რუსთაველ საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე.

ანამ ნიფიერ ქართველ რეჟისორს თემურ ჩხეიძეს მთავარ როლში გადაიღებდნეს ფილმში „ბრბოლიურო ჩემო მიწავ", სადაც იგი წარმოგვიდგა მისთვის უჩვეულო ამპლუაში, მას კარგად იცნობდნენ. ხოლო ფილმის ცენტრალური ტელევიზიით ჩვენების შემდეგ მისი სახელი ცნობილი გახდა ხელოვნების მრავალმილიონიანი თაყვანისმცემლისათვის. თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მთავარ რეჟისორზე – თემურ ჩხეიძეზე ბევრს წერდნენ. მისგან ალებული ინტერვიუ ქვეყნდებოდა როგორც ქართულ, ასევე ცენტრალურ პრესაში.

ოთხი დღის განმავლობაში, ყოველ საღამოს საკავშირო ტელევიზიის ეკრანმა თავის გარშემო შემოიკრიბა ჩვენი ქვეყნის მილიონობით მაყურებელი.

კითხვაზე, თვენ კვლავ ფიქრობთ ფილმში გადაღებაზე, იგი ასე პასუხობს:

– არა, არა და არა. მე ყოველთვის კარგად მესმოდა, რომ ვარ თეატრის რეჟისორი. ეს პირველ რიგში. მეორე – კინოს ყოველთვის თან მიაქვს გარკვეული დრო, ცხოვრების ნაწილი. ჩემი დრო კი განუყოფლად ეკუთვნის თეატრს, სახელგანთქმული ბარჯანიშვილისეული თეატრის კოლექტივის ხელმძღვანელობა ძალიან რთული და პასუხსაგებია. მუდამ მტკიცედ მწამდა თეატრი და მხოლოდ თეატრი.

თემურ ჩხეიძეს მართლაც რომ არ ჰქონდა არჩევანი, რადგან თეატრში არ დაბადებულა, თორემ გაზრდით იქ გაიზარდა. მშობლებისაგან თეატრის სიყვარული, შეიძლება ითქვას, მემკვიდრეობით გადმოეცა. მან არა მარტო შეიგრძნო თეატრალური სამყაროს განუმეორებელი სილამაზე, მისი საოცარი და ამაღელვებელი თეატრალური კულისების ატმოსფერო, არამედ, უბრალოდ, სხვა ცხოვრება არ იცოდა და, რაც მთავარია, — სხვა არაფრისკენ არ მიისწრაფოდა. ამიტომ ბუნებრივი იყო მისი თეატრალურ ინსტიტუტში შესვლა. საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტთან დიმიტრი ალექსიძესთან სწავლამ აიძულა, სხვა თვალით შეეხედა რეჟისორის პროფესიისათვის, უფრო სერიოზულად დაფიქრებულიყო მასზე; ხოლო საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტ მიხეილ თუმანიშვილთან ასისტენტად მუშაობამ ჩამოაყალიბა იგი, როგორც რეჟისორი.

ამბობენ, გზას მიმავალი დაძლევსო. დღეს თემურ ჩხეიძე არ იქნებოდა ასეთი პოპულარული საქართველოში რომ იგი, როგორც შემოქმედი და როგორც რეჟისორი, ერთ ადგილზე გაყინულიყო. მისი დავაჟკაცება ხელოვნების ზრდასთან ერთად მიმდინარეობდა. ჯერ იყო შემოქმედებითი ძიების წლები, იმედები, საკუთარი მრწამსის დაცვა, ხელოვნებაში თავისი პოზიციის მოპოვების უფლება და შეუწყვეტელი ბრძოლა მაყურებელ-თანამოაზრისა და მაყურებელ-მეკავშირისათვის. პოპულარობა მერე მოვიდა, მოვიდა სამუდამოდ...

ნოდარ ჩხეიძე

1917-1981

საქართველოს სახალხო არტისტი, პედაგოგი ნოდარ (ბიჭიკო) გიორგის ძე ჩხეიძე დაიბადა 1917 წლის 18 აგვისტოს ქალაქ თბილისში, ცნობილი ქართველი პოეტის გიორგი ქუჩიშვილისა (ჩხეიძე) და ვასასი რამიშვილის ოჯახში.

სკოლის დამთავრების შემდეგ თავდაპირველად სამედიცინო ინსტიტუტში სწავლობდა. შემდეგ რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში. ინსტიტუტის დამთავრებისთანავე მუშაობა დაიწყო რუსთაველის სახ. სახელმწიფო აკადემიურ თეატრში, სადაც თითქმის სამი ათეული წელი დაჰყო. მის მიერ შესრულებული მრავალი როლიდან რამდენიმე განსაკუთრებით მნიშვნელოვანის გამოყოფა შეიძლება: ფილიპო (გოლდონის „საპატარძლო აფიშით"), ფრანცი (შილერის „ყაჩაღები"), ბემი (ი. ფუჩიკის „ადამიანებო, იყავით ფხიზლად!"), გიქო (სუნდუკიანის „ჰეპო"), ტირეია (სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე"), ჩინჩახოვი (კ. ბუაჩიძის „ეზოში ავი ძაღლია"), ჰამლეტი (შექსპირის „ჰამლეტი")... გადაღებულია ათამდე კინო და ტელეფილმში.

ნოდარ ჩხეიძე მთელი შეგნებული ცხოვრება ემსახურებოდა მომავალი თაობების აღზრდას. ახალგაზრდობიდან მოყოლებული სიკვდილამდე მსახურობდა თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში, 15 წლის განმავლობაში იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამხატვრო სექტორის ხელმძღვანელი. მომავალში ცნობილი მრავალი მსახიობი, მომღერალი თუ მოცეკვავე ეზიარა მასთან ხელოვნების ანბანა. ამის საილუსტრაციოდ მსახიობთა არასრული სიაც იკმარებს: ოთარ მეღვინეთუხუცესი და ზინა კვერენჩხილაძე, რამაზ ჩხიკვაძე და გურამ საღარაძე, თენგიზ არჩვაძე, გურამ ლორთქიფანიძე, თემო ჩირგაძე...

ნოდარ (ბიჭიკო) ჩხეიძე 1981 წელს გარდაიცვალა.

დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

ზაქარია ჩხიკვაძე

1862-1930

ქართველი მუსიკოსი, ფოლკლორისტი, პედაგოგი, ლოტბარი და საზოგადო მოღვაწე ზაქარია ივანეს ძე ჩხიკვაძე დაიბადა 1862 წლის 23 ნოემბერს ქალაქ თელავში. 1884 წელს დაამთავრა თბილისის სემინარია, ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას, კრებდა და ინერდა ქართულ ხალხურ სიმღერებსა და საგალობლებს. 1896 წელს გამოაქვეყნა კრებული „სალამური“

1890 წელს თბილისში დაუახლოვდა დიდ რუს კომპოზიტორს პავლე ჩაიკოვსკის. 1906 წლიდან იყო „ოპერების ქართულ ენაზე დამდგმელი ამხანაგობის“, „საისტორიო-ეთნოგრაფიული საზოგადოებისა“ და „ქართველთა შორის ნერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წევრი. 1905 წელს ზ. ჩხიკვაძის თაოსნობით დაარსდა ქართული ფილარმონიული საზოგადოება (ზ. ფალიაშვილის, ა. არაყიშვილის, ი. კარგარეთელის, გ. ნატრაძის, პ. მირიანაშვილის მონაწილეობით). 1913 წელს სოხუმში გაიხსნა ამ საზოგადოების ფილიალი. 1913-1919 წლებში ზ. ჩხიკვაძე ხელმძღვანელობდა ფილარმონიის დარგს. 1919-1922 წლებში იყო სიღნაღსა და თელავში მის მიერ დაარსებული სამუსიკო სკოლების დირექტორი. 1922-1930 წლებში ეწეოდა სამეცნიერო მუშაობას ქართული ხელოვნების მუზეუმში. გარდაიცვალა 1930 წელს.

რამაზ ჩხიკვაძე

ქართული თეატრისა და კინოს აღიარებული ოსტატი, საქართველოს სახალხო არტისტი რამაზ გრიგოლის ძე ჩხიკვაძე დაიბადა 1928 წლის 28 თებერვალს თბილისში.

რამაზ ჩხიკვაძის შემოქმედებაში განსაკუთრებით გამოიხატა ის უმთავრესი შემოქმედებითი პროცესები და მხატვრული ტენდენციები, რომელთაც განაპირობეს და განსაზღვრეს რუსთაველის თეატრის უახლესი ისტორია, მისი დღევანდელი სახე.

რამაზ ჩხიკვაძე რუსთაველის თეატრში ორმოცდაათიანი წლების დამდეგს მოვიდა და მისი პირველი როლები იმ სპექტაკლებში განასახიერა, რომელთაც პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა მთელი ქართული თეატრალური კულტურის განახლებისათვის.

1951 წელს ზდენეკი ითამაშა (ი. ფუჩიკის „ადამიანებო, იყავით ფხიზლად!"), 1953 წელს — ტიტიკო (გ. ქელბაქიანი „ახალგაზრდა მასწავლებელი").

ამ დადგმებში რ. ჩხიკვაძის მიერ შექმნილ სახეებს, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ არ ადგა მისი განსაცვიფრებელი ნიჭის ნათელი, თუმცა უკვე გამოვლენილიყო მსახიობის შემოქმედებითი პოზიცია, უნარი — გადაეტანა სცენაზე ადამიანის სულიერი ცხოვრება. რამაზის პოტენციური შესაძლებლობები განპირობებულია მისი ტალანტის მრავალწახნაგოვანი ბუნებით და შემოქმედის იმ მაძიებელი სულით, რომელიც გამონაგონის პირველქმნილი მშვენიერებით ჭეშმარიტი ხელოვნების სამფლობელოში შეგვაღწევინებს.

პლასტიკურობა, მუსიკალობა, დინამიკა, აშკარა მიდრეკილება კომედიური ექსცენტრიკისაკენ, აი მონაცემები, რომლებმაც ხელი შეუწყვეს მსახიობის ესოდენ დიდ პოპულარობას.

ა. ცაგარელის განუმეორებელი „ხანუმა" შეუცვლელი აკოფათი. ქოსიკო — გ. ნახუცრიშვილის „ჭინჭრაქა", კირილე მიმინოშვილი — დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი, ყვარყვარე, ჰ. კაკაბაძის „ყვარყვარე", აზდაკი, ბ. ბრეხტის „კავკასიური ცარცის წრე", რიჩარდ მესამე, შექსპირის „რიჩარდ მესამე" — ამ წარმოდგენებში მხატვრულ ხერხად გამოყენებულია ყოფითისა და პათეტიკურის, რეალურისა და პირობითის დაპირისპირება, მოვლენების მოულოდნელი პერიფრაზირება, მეტაფორული აზროვნება, რასაც მსახიობი აღწევს განსჯისა და სრულყოფილი აქტიორული ხელოვნების მეშვეობით.

რამაზ ჩხიკვაძე გარდასახვასთან ერთად სცენაზე გვიჩვენებს თავის დამოკიდებულებას გმირისადმი, ჟესტიკულაციით, პოზითა და მეტყველების მანერით იგი ზუსტ ასოციაციურ მინიშნებებს აღწევს. ამ როლებმა მას მსოფლიო აღიარება მოუპოვა.

გადაღებულია კინოფილმებში: „ლონდრე" (დიამბეგი, 1963); „ნატვრის ხე" (მღვდელი, 1977); „ნერგები" (ლუკა); 1974 წელს მოსკოვში VIII საერთაშორისო კინოფესტივალზე მიენიჭა პრემია მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის.

არის მარჯანიშვილის (1975 წ.) და რუსთაველის სახელობის (1980 წ.) პრემიების ლაურეატი.

გიორგი ჩხუბიანიშვილი

„მე ამერიკის მოქალაქე ვარ“

საქართველოში მას არა მარტო სახელითა და გვარით იცნობენ. ვიზუალურად ქართულ საზოგადოებაში 18 წელია არ გამოჩენილა. მისი ხმა კი წლების განმავლობაში რადიოგადაცემა „ამერიკის ხმის“ ეთერიდან ეხმიანებოდა მის ეთნიკურ სამშობლოს. მან ორი წლის ნინ დატოვა ამერიკა და რადიოეთერი „ამერიკის ხმა“ და საქართველოში დაბრუნდა.

გიორგი ჩხუბიანიშვილი დაიბადა 1956 წლის 21 აპრილს ქალაქ ლენინგრადში. 7 წლის იყო, როდესაც საცხოვრებლად საქართველოში ჩამოვიდა. მერვე კლასამდე თბილისის პირველ სამუალო სკოლაში სწავლობდა, ბოლო სამი დამამთავრებელი კლასი კი თელავში დახურა (იგი ხომ წარმოშობით თელავის რაიონის სოფელ რუისპირიდანაა). შემდეგ სწავლა გააგრძელა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, ჰიდროტექნიკისა და სანტექნიკის ფაკულტეტზე, თბოაირმომარაგებისა და ვენტილაციის ფაკულტეტზე.

საქართველოში მხოლოდ 14 წელი იცხოვრა. ეს იყო ბავშვობისა და სიყმანვილის საუკეთესო წლები. ყველა ადამიანს აქვს ნოსტალგია ამ წლების მიმართ. ხანდახან გგონია, რომ სწორედ ის ადგილია სამშობლო, სადაც ბავშვობა გაგიტარებია. თბილისი ძალიან უყვარს, მაგრამ, როგორც თვითონ გულახდილად ამბობს, მისი სახლი ამერიკაშია. დედა და ძმაც ნიუ-იორკში ცხოვრობენ.

„გპი“-ის დამთავრების შემდეგ ქალაქ მურმანსკში საბჭოთა არმიაში ოფიცრად მსახურობდა ორი წელი, ხოლო 1981 წლის მარტიდან საცხოვრებლად ამერიკის შეერთებულ შტატებში გადავიდა, სადაც 10 თვით ადრე წასული დედა და ძმა დახვედა.

თავდაპირველად მუშაობა დაიწყო ქ. ნიუ-იორკში მხაზველად. „გპი“-ში მიღებული ცოდნა გამოადგა. მაგრამ 1982 წელს სამუშაო დაკარგა. დაიწყო კრიზისი. უმუშევრობისთვის დანესებული დახმარების ამარა დარჩა. შემთხვევით რუსულენოვანი ემიგრანტული გაზეთიდან შეიტყო, რომ რადიო „თავისუფლებას“ მიუნხენში ჟურნალისტი სჭირდებოდა. ასე მოხვდა გიორგი ჩხუბიანიშვილი „თავისუფლებაში“.

1986 წელს, როდესაც 30 წელი შეუსრულდა, ამერიკის შეერთებულ შტატებში დაბრუნება გადაწყვიტა. საბჭოთა კავშირში ამ დროს გორბაჩოვისეული გარდაქმნა მიმდინარეობდა. მიუნხენის ფუფუნების შემდეგ ამერიკაში შავ მუშად მუშაობდა. მუშაობდა ტაქსის მძღოლად, გამომცემლობაშიც სცადა ბედი, ბროკერიც იყო, აქციებს ყიდდა. ერთი სიტყვით, ყველაფერს გაუძლო. ყოველივე ამის შემდეგ გამოცდები ჩააბარა ნიუ-იორკის უნივერსიტეტში, ხოლო შემდეგ საბუთები გადაიტანა ვაშინგტონში, ჯორჯ ვაშინგტონის სახელობის უნივერსიტეტში. 1991 წლის ივლისში კი „ამერიკის ხმაში“ დაიწყო მუშაობა. აქ მუშაობის პერიოდს ასე აფასებს თვითონ გიორგი ჩხუბიანიშვილი: „თავისუფლებასა“ და „ამერიკის ხმაში“ ფულის გამო არ მიმუშავია. საქართველოს ჩემი ნილი პატარა სიკეთე გავუკეთე: მსოფლიოში განვითარებული მოვლენების შესახებ ობიექტურ ინფორმაციას ვანვდიდი...“

გ. ჩხუბიანაშვილს იზიდავდა ბიზნესი. ბიზნესის სამყაროში დასაბრუნებლად საქართველო: მისთვის ყველაზე რეალური შესაძლებლობა იყო. ჯორჯ ვაშინგტონის სახელობის უნივერსიტეტში ოთხი წელი სნავლობდა ფინანსებსა და ინვესტიციებს. თბილისში საამქროს ასაშენებლად ჩამოვიდა. საქართველოში უცხოური ტექნოლოგიის იმპორტი უნდა მოახდინოს. ეს იქნება კირის ქარხანა. კირი არამარტო სოფლის მეურნეობაში, არამედ ოქროსა და სპილენძის დასამუშავებლად გამოიყენება. ამისათვის კი საჭიროა მაღალხარისხოვანი კირის გამოშვება, როგორი ტექნოლოგიაც ავსტრიელებსა და იტალიელებს აქვთ.

ზაქარია ჩხუბიანიშვილი

1903-1980

ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე და სატყეო მრეწველობს და მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენელი ზაქარია ნიკოლოზის ძე ჩხუბიანიშვილი დაიბადა 1903 წელს თელავის რაიონის სოფ. რუისპირში.

1933 წელს მან დაამთავრა თბილისის სატყეო-ტექნიკური ინსტიტუტი, 1935 წელს დაინიშნა ამიერკავკასიის სატყეო მეურნეობისა და სატყეო ტრანსპორტის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად, ერთდროულად ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. 1935 წლიდან იგი ლენინგრადის სატყეო-ტექნიკური აკადემიის ასპირანტია, მომდევნო წელს მას აპირანტურიდან იწვევენ და ნიშნავენ თბილისის სატყეო-ტექნიკური ინსტიტუტის დირექტორად. 1937-1940 წლებში ზ. ჩხუბიანიშვილი მუშაობს საქართველოს სატყეო მრეწველობის სახალხო კომისრის თანამდებობაზე.

1940 წელს იგი გადაიყვანეს სამუშაოზე, ჯერ სიღნაღის რაიკომის პირველ მდივნად, ხოლო შემდეგ ცენტრალური კომიტეტის მდივნად მრეწველობის დარგში (1941-1943 წ.წ.) და თბილისის კომიტეტის მეორე მდივნად (1944-1946 წ.წ.).

1946-1952 წლებში ზ. ჩხუბიანიშვილი საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეა, ხოლო 1952-1953 წლებში _ საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

1953 წლიდან მას საქართველოს სატყეო მრეწველობის მინისტრის პოსტი უკავია, შემდეგ კი კვლავ უბრუნდება სამეცნიერო მუშაობას და 1959-1976 წლებში ხელმძღვანელობს მისივე ინიციატივით დაარსებულ სატყეო მრეწველობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს. მის კალამს ეკუთვნის 20-მდე სამეცნიერო ნაშრომი, რომელთაგან სამი მონოგრაფიაა.

ზ. ჩხუბიანიშვილს დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოში სატყეო მრეწველობის დარგის ჩამოყალიბებისა და განვითარების საქმეში, როგორც მის ორგანიზატორსა და პირველ ხელმძღვანელს. მისი ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით შემუშავდა და პირველად დაინერგა საბჭოთა კავშირში ფოთლოვანი ჯიშის მერქნის (მურყნის) გამოყენება ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობაში, რამაც მოიტანა ათეულობით მილიონი მანეთის ეკონომია და, რაც მთავარია, დაიზოგა ასი ათასობით კმმ მაღალხარისხოვანი წიწვოვანი ჯიშის (სოჭის) მერქანი. ამ საკითხებზე დაიცვა მან საკანდიდატო დისერტაცია („მურყნის მერქანი და მისი გამოყენება ცელულოზისა და ქაღალდის მრეწველობაში", მონოგრაფია, 1961 წ.).

ზ. ჩხუბიანიშვილის ხელმძღვანელობით და მონაწილეობით აშენდა ჯერ კიდევ 30-იანი წლების ბოლოს ხე-ტყის, ავეჯისა და ქაღალდის მრეწველობის ისეთი მნიშვნელოვანი საწარმოები, როგორიცაა ავეჯის ფაბრიკა და ხის დამამუშავებელი კომბინატი თბილისში, ახმეტის სახერხი ქარხანა, ენგურის ქაღალდის კომბინატი, ხოლო 50-იან წლებში _ ახალდაბისა და ქუთაისის ავეჯის ფაბრიკები, ავეჯის მსხვილი საწარმო „განთიადი" თბილისში და სხვ. ზ. ჩხუბიანიშვილის ინიციატივით იქნა ლიკვიდირებული ბორჯომის ფანერის ფაბრიკა საკურორტო ტყეების შენარჩუნების მიზნით და წიფლის ძვირფასი მერქნის არამიზნობრივად გამოყენების აღსაკვეთად.

ზ. ჩხუბიანიშვილი დიჯილდოვებული იყო ორდენებითა და მედლებით, მინიჭებული აქვს საქართველოს დამსახურებული ინჟინრის წოდება, არჩეული იყო სატყეო მრეწველობის საკავშირო სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს საპატიო წევრად და სატყეო მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის ცენტრალური ინსტიტუტის საკავშირო საკოორდინაციო საბჭოს წევრად.

ცისია ჩხუბიანიშვილი

ცისია ალექანდრეს ასული ჩხუბიანიშვილი დაიბადა 1936 წლის 1 დეკემბერს, ქ. თელავის ძირძველ ქართულ ოჯახში, რომელსაც ტრადიციულად მოსდევდა საქართველოს ველ-მინდვრების, ბაღ-ვენახებისა და ტყის სიყვარული.

ამ ოჯახიდან გამოვიდნენ: ვასო - საქართველოს მეხილეობის ამაგდარი, სანდრო - კახეთის სოფლის მეურნეობის მეურვე, გიორგი - ცნობილი მევენახე-კლიმატოლოგი, ოსო - გამოჩენილი მერქანთმცოდნე — ჩხუბიანიშვილები. განთქმული იყო მათი ზვრები, ყვევრ-მარანი და რთველი რუისპირში, რაც აღბეჭდილია ვასილ როინაშვილის სურათში "ჩხუბიაანთ რთველი" დღესაც ეს ადგილი ჩხუბიაანთ უბნად არის ცნობილი, სადაც სანთლად შერჩენილია "ჩხუბიაანთ ეკლესია", აქ იმართება სოფლის დღეობა - დავითობა.

1954 წ. ც.ჩხუბიანიშვილი ერთდროულად ამთავრებს ქ.თელავის ქალთა პირველ საშუალო სკოლას - ვერცხლის მედლით და ნ.სულხანიშვილის სახელობის მუსიკალურ სკოლას - ნარჩინებით.

1954 წ. სწავლას აგრძელებს საქართველოს სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტში და ეუფლება მცენარეთა დაცვის სპეციალობას. სწავლის პერიოდში იგი ორჯერ მონაწილეობდა მოსკოვის ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო სამეურნეო აკადემიის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე. 1959 წ. ინსტიტუტის ნარჩინებით დამთავრების შემდეგ, აკად. ლევან ყანჩაველის რეკომენდაციით, ც.ჩხუბიანიშვილი მუშაობას იწყებს გამოჩენილ ქართველ მეცნიერ აკად.ლ.კალანდაძესთან, საქართველოს მცენარეთა დაცვის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, რომელიც დღეს ლ.ყანჩაველის სახელობისაა და მასთან.არის დაკავშირებული ც.ჩხუბიანიშვილი მიერ განვლილი სამეცნიერო გზა...

მავნე მწერებისაგან სასოფლო სამეურნეო კულტურების, ტყის, დეკორატიული მცენარეების დაცვა გარემოსათვის უსაფრთხო - მიკრობიოლოგიური საშუალებებით, ეს არის ძირითადი პრობლემატური საკითხი, რითაც შემოიფარგლება ც.ჩხუბიანიშვილის სამეცნიერო საქმიანობა. ამ მიმართულებით 1965 წ. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, რომლსაც წინ უძღვოდა გამოჩენილი გენეტიკოსის, აკად. ს.გერშენზონის (ქ.კიევი) ხელმძღვანელობით სნავლა და მუშაობა მწერების ვირუსულ პათოლოგიაში. ც.ჩხუბიანიშვილის მიერ პირველად საქართველოსთვის "სასარგებლო ვირუსების" ძიება აღნიშნულია მხცოვანი მეცნიერის მონოგრაფიაში - С.М. Гершензон "Тропой Генетики". Киев. Наукова Думка, 1992.

1968-1969 წწ. ც.ჩხუბიანიშვილმა გაიარა სამეცნიერო სტაჟირება ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის ენტომოლოგიის ინსტიტუტში. (ქ.პრაღა) მწერების პათოლოგიასა და მცენარეთა მიკრობიოლოგიურ დაცვაში, სადაც სახელგანთქმულ მეცნიერ პროფ. იაროსლავ ვაიზერთან ერთად გამოქვეყნებულმა შრომებმა საერთაშორისო აღიარება ჯპოვა. ც.ჩხუბიანშვილის მიერ გამოვლენილი და აღწერილი მეცნიერებისათვის ახალი ვირუსების სახეობები შეტანილია კატალოგში - В.В.Гулий "Микроорганизмы, полезные для биометода", Издательство "Наука", Новосибирск; 1981.

1973 წ. ც.ჩხუბიანიშვილი, როგორც სსრკ სასოფლო სამეურნეო დელეგაციის ნევრი, მივლინებულია იაპონიაში, საიდანაც მის მიერ ინტროდუცირებული ვირუსების ახალი

სახეობები საბჭოთა კავშირის რიგი სამეცნიერო ცენტრების კვლევის საგანი გახდა. შეპდეგში ცნობილი იაპონელი მეცნიერი, კასუმასა კატაგირი ადგილზე დაინტერესდა ც.ჩხუბიანიშვილის საქმიანობით (1977) და მათი ერთობლივი სამეცნიერო ნაშრომი გამოქვეყნდა ჟურნალში -"Вопросы вирусологии", N 7, 1983, Москва.

1988 წ. ც.ჩხუბიანიშვილმა ი.შმალგაუზენის სახელობის უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტში დაიცვა დისერტაცია ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

ც.ჩხუბიანიშვილი მრავალი თათბირების მონაწილეა საქართველოში, ყოფილი საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა რესპულიკაში და საზღვარგარეთის ქვეყნებში (რუსეთი, ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი, ბულგარეთი, დანია, გერმანია, იტალია, საბერძნეთი, ისრაელი, ჩინეთი, იაპონია, აშშ). მას გამოქვეყნებულია აქვს 100-მდე სამეცნიერო ნარომი, პიენიჭებული აქვს პროფესორის სამეცნიერო-პედაგოგიური წოდება, სადღეისოდ მის პიერ მომზადებულია მეცნიერებათა 10 კანდიდატი.

პროფ. ც.ჩხუბიანიშვილი საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი ნევრი - აკადემიკოსია და აშშ-ის მწერების პათოლოგიის საერთაშორისო საზოგადოების ნევრია.

პროფ. ც.ჩხუბიანიშვილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ლ.ყანჩაველის სახ. პცენარეთა დაცვის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში განაგებს ბიოლოგიური კონტროლის განყოფილებას. იგი პირველი ქართველი მეცნიერია, რომლის მეშვერობით აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ეგიდით საფუძველი ჩაეყარა სამეცნიერო ურთიერთობას ისრაელსა და საქართველოს შორის. ეს ფაქტი აღინიშნა ისრაელისა ჟურნალი "დროშა", 92-93, 1997) და საქართველოს პრესაში (გაზეთები - "მენორა", 9, 1996; "მამული", 5, 1997; „თელავის მოამბე", 27, 1997).

პროფ. ც. ჩხუბიანიშვილი განაგრძობს სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას და სადაც არ უნდა იყოს საქართველოსა თუ საზღვარგარეთის ქვეყნებში მისი თანამდევია "საიდან მოდიხარ" და "ვისი გორისა ხარ" - ეს კი თელავია მისი მშობლიური ალაგი.

მირიან ცალქალამანიძე

ამ კაცს ცუდს ვერაფერს დააცდენინებთ ყოფილ მეტოქეებზე, მხოლოდ კარგს ამბობს მათზე. არც მსაჯებს აბრალებს რაიმეს, თუმცა, როგორც ამბობენ, ისინი ხშირად სცოდავდნენ მის წინაშე. ერთ ასეთ შემთხვევას თვითონაც იგონებს.

„მაშინ ნამდვილად დამწყდა გული. ტოკიოში, მსოფლიო ჩემპიონატზე, ფინალი მოვიგე. თურქი დავამარცხე და მსოფლიო ჩემპიონად გამომაცხადეს. თურქებმა პროტესტი შეიტანეს, მსაჯთა გადაწყვეტილება სწორი არ იყოო. სპეციალურმა ჟიურიმ მსაჯთა გადაწყვეტილება გააუქმა და ჩემი დამარცხებული თურქი გახდა მსოფლიო ჩემპიონი"

ეს ამბავი 1954 წელს მოხდა. ორი წლის შემდეგ მირიან ცალქალამანიძე მელბურნში ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი გახდა. ვახტანგ ბალავაძე იგონებს:

— „ფინალში ირანელ ხოჯასტეპურს უნდა შეხვედროდა. მირიანს მხოლოდ წმინდა გამარჯვება სჭირდებოდა. სხვაგვარად ვერ გახდებოდა ჩემპიონი. ძალიან ძლიერი იყო ხოჯასტეპური, ჩოქბჯენში მასთან ჭიდილი სისულელე იყო. მე და მირიანი სასტუმროში ერთ ნომერში ვცხოვრობდით. მთელი ღამე ვუჩიჩინე, ქართული ჭიდაობის ილეთები გამოიყენე, ისევ ჩვენებური ხრიკები თუ გიშველის-მეთქი. ეტყობა, ჭკუაში დაუჯდა. ბრძოლის წინ ერთი კი ჩამოართვა ხელი მეტოქეს და მაშინვე ფეხებში შეუვარდა. ძალიან სხარტი და მოქნილი იყო მირიანი. სიმაღლე მაგას არ აწუხებდა და წონა — მით უმეტეს. [illegible] ირანელი და ბეჭებით გააკრა ხალიჩას. როცა გონს მოვიდა და მიხვ[illegible] რომ ოლიმპიური ჩემპიონი გახდა, სიხარულით ხალიჩიდან მაყურებელთა რიგებში [illegible]. ჩვენ, საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრები, პირველი რიგში ვისხედით და პირდაპირ თავზე დაგვახტა. ჩვენი ბედი, რომ 52 კილო იყო"

მირიან ცალქალამანიძეს მთელი თავისი სპორტული ცხოვრების განმავლობაში ერთი მნვრთნელი ჰყავდა — ლევ კაპიტონოვი და ერთი საზოგადოების „შრომითი რეზერვების" ღირსებას იცავდა.

„კაპიტონოვთან შემთხვევით მოვხვდი. მოტიციკლით მომაკითხავდა სამსახურში, უკან შემომისვამდა და სავარჯიშოდ მივყავდი. უსაზღვროდ მადლობელი ვარ კაპიტონოვის. მთელი თავისი გამოცდილება, სული და გული ჩააქსოვა ჩემს წვრთნაში. ჭკვიანი კაცი იყო. თუმცა, რატომ ვამბობ, იყო-მეთქი, ის ახლაც ცოცხალია და ისევ მნვრთნელად მუშაობს. იცოდა, ვის რა სჭირდება. მე და ვახტანგ ბალავაძე ფიზიკურად კარგად ვიყავით მომზადებული, გამძლეობაც არ გვაკლდა. ამიტომ, სხვებს რომ დღეში ათ კილომეტრს არბენინებდა, ჩვენ გვეტყოდა, თქვენ ხუთი გეყოფათო. ისე, ცოდვა გამხელილი ჯობს და, ჩვენ არც იმ ხუთს დავრბოდით. დავიმალებოდით სადმე ბუჩქებში და შემდგე ქოშინ-ქოშინით ვბრუნდებოდით უკან, ვითომ ბევრი ვირბინეთ და ძალიან დავიღალეთ."

ბევრი რამ ახსოვს მირიან ცალქალამანიძეს, რა დაავიწყებს მოსკოვს, მელბურნს, ტოკიოს. მოგებულ და წაგებულ ბრძოლებს, გამარჯვებულ და დამარცხებულ მეტოქეებს, მილოცვებსა და ნუგეშისცემას. ძნელია გაიარო ასეთი გზა სოფელ კონდოლიდან მელბურნამდე, და რაიმე დაგავიწყდეს.

მირიან ცალქალამნიძე დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის ორდენით"

არჩილ ჭავჭავაძე

1841-1902

ქართველ თავადთა ერთ-ერთი საგვარეულოს წარმომადგენელი, სახელმოხვეჭილი გენერალი და სამხედრო მოღვაწე არჩილ გულბაათის ძე ჭავჭავაძე დაიბადა 1841 წელს წინანდალში.

1862 წელს იგი სამხედრო სამსახურში შედის ტვერის დრაგუნთა ლეგიონში პრაპორშჩიკის სამხედრო წოდებით... განნესების პირველივე დღიდან ახალგაზრდა არჩილი ბრძოლებში ჩაება. მამაცობითა და გამჭრიახობით მან მეთაურთა ყურადღება მიიპყრო და 1864 წელს უკვე სახელმოხვეჭილ ჭაბუკ მეომარს პორუჩიკის წოდება ამშვენებს. იგი ხშირად იცვლის თანამდებობებს, სპეციალურ კურსებზე ლებულობს განათლებას და 1873 ნელს ქუთაისის ცხენოსანი რეგულარული ლეგიონის მეთაურთა შემოწმებაში მონაწილეობს, მომდევნო წელს კი ა. ჭავჭავაძე ტვერის დრაგუნთა I ესკადრონის მეთაურია.

1876 წელს თურქეთთან ომის მოახლოებასთან დაკავშირებით კავკასიის არმიის ძირითადი ნაწილები საზღვრებისაკენ დაიძრა; ომის წარმატებით წარმართვისა და ზურგის დაცვის მიზნით კავკასიის ხალხებიდან მილიციის ნაწილების შეკრება დაიწყო. შეიკრიბა დაღესტნის ცხენოსანი ლეგიონიც.

ამ ლეგიონის ფორმირების დროს გამოვლინდა დაღესტნის მოსახლეობის დიდი პატრიოტიზმი. მოხალისეთა დიდმა რაოდენობამ მთავრობას აფიქრებინა, კიდევ ახალი ლეგიონი ჩამოეყალიბებინა და ესარგებლა სწორედ ლეკების მაღალი მხედრული საბრძოლო თვისებებით. ამ ახალი ლეგიონის მეთაურად დაინიშნა ტვერის მე-15 დრაგუნთა ლეგიონის ესკადრონის ყოფილი მეთაური, მაიორი არჩილ ჭავჭავაძე. მოქმედი კორპუსის მეთაური მ. ლორის მელიქოვი ამასთან დაკავშირებით კავკასიის არმიის შტაბის უფროსს სწერდა: „თბილისში ჩემს ყოფნის დროს, პატივი მქონდა მომეხსენებინა მის უმაღლესობისათვის, თუ რამდენი დანაკლისი იქნება ტვერის ლეგიონისათვის თავად ჭავჭავაძის ნასვლა, რადგან იგი თავისი საბრძოლო თვისებებით ლეგიონის უდავოდ საუკეთესო ოფიცრად ითვლებოდა...“

1879 ნლის 18 მარტს ა. ჭავჭავაძე დანიშნეს დაღესტნის პირველი ცხენოსანი რეგულარული ლეგიონის მეთაურად და ამ ლეგიონით მონაწილეობს კასპიისპირეთში ე.წ. ახალ თექინის ექსპედიციაში. აქ 1883 ნელს მას პოლკოვნიკობა უბოძეს. იმავე ნლის 2 აგვისტოს გეორგთაფესთან ბრძოლაში პოლკოვნიკი ჭავჭავაძე წმინდა ანას მეორე კლასის ორდენით და ხმლით დააჯილდოვეს.

1888 ნელს ა. ჭავჭავაძის ლეგიონი კახეთში იდგა. როდესაც მეფე ალექსანდრე მესამე საქართველოში ჩამოვიდა, ლეგიონი მეფეს მიაცილებდა. წინანდალში ერთ-ერთ სახალხო ზეიმზე დედოფლის ყურადღება მიიპყრო ჭავჭავაძის წითელმა ყაბალახმა. გრაფმა შერემეტიევმა არჩილს სთხოვა, ყაბალახი დედოფლისათვის მიერთმია. იმპერატრიცამ ყაბალახი დაიბურა და სამახსოვროდ წაიღო.

ა. ჭავჭავაძე უდიდესი სიყვარულით სარგებლოდა დაღესტნელებში. საერთოდ. აღიარებულია, რომ ის პირველია იმათ შორის, ვისაც დიდი დამსახურება მიუძღვის დაღესტნელთა რუსეთის სამხედრო სამსახურში გაწვევაში. არჩილის სახელი იმდენად პოპულარული ყოფილა დაღესტანში, რომ 1920-იან ნლებამდე აქაურები სუფრასთან შეკრებისას პირველ სადღეგრძელოს მას უძღვნიდნენ...

1889 წელს ა. ჭავჭავაძე დრაგუნთა სევერსკის ლეგიონის მეთაურად დანიშნეს, რომელსაც 1896 წლის 24 დეკემბრამდე ედგა სათავეში, ვიდრე გენერალ-მაიორის ხარისხს მიანიჭებდნენ. ამ დროს იგი დელეგაციის წევრია, რომელიც კოპენჰაგენში გაიგზავნა დანიის მეფისათვის ქორწინების 50-ე წლისთავის მისალოცად, დანიის მეფე ლეგიონის შეფი იყო.

გენერალ-მაიორი ა. ჭავჭავაძე კავალერიის მე-9 დივიზიის ბრიგადის მეთაური გახდა. განსაკუთრებული დამსახურებისათვის იგი შემდეგ კავალერიის იგივე დივიზიის მეთაურია. იგი საერთო სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა დივიზიის ოფიცერთა და რიგით მებრძოლებს შორის.

დივიზიის მეთაურის თანამდებობაზე იგი მხოლოდ ერთ თვეს იყო. 1902 წლის 28 ივნისს გენერალ-მაიორი ა. ჭავჭავაძე გარდაიცვალა. დაკრძალულია სოფ. წინანდალში საგვარეულო სასაფლაოზე.

გარდა რუსეთის ორდენებისა. ა. ჭავჭავაძის გულმკერდს ამშვენებდა სპარსეთის ლომი და მზე, დანიის — საკომანდრო ჯვარი პირველი კლასის, რუმინეთის — „ამომავალი მზის" მეორე ხარისხისა და სხვა ორდენები.

არჩილ გულბაათის ძე ჭავჭავაძის სახით კავკასიის კავალერიამ დაკარგა ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი, ხოლო კავკასიის არმიამ მამაცი სამხედრო მეთაური, ქართველი ხალხის საამაყო და მამაცი შვილის დაკრძალვაზე რუსეთიდან 200-მდე დეპეშა მიიღეს, ხოლო მრავალ გვირგვინს შორის იყო სევერსკის დრაგუნთა ლეგიონის გვირგვინი, რომელსაც ეწერა „სახსოვრად ცნობილ და დიდებულ მეთაურს — მამაც არჩილს"

„ოცდაათის ქმრა"

ზაქარია ჭავჭავაძე

1825-1905

საუკუნის პირველი ნახევრის რუსეთის სამხედრო მოღვაწეთა შორის საპატიო ადგილი უკავიათ ისეთ სახელმოხვეჭილ გენერლებს, როგორებიც იყვნენ პავლე ციციშვილი, პეტრე ბაგრატიონი, ალექსანდრე და იასონ ჭავჭავაძეები, ივანე ანდრონიკაშვილი. XIX საუკუნის მეორე ნახევრის ისტორიას კი ამშვენებენ არჩილ და ზაქარია ჭავჭავაძეები, ივანე ამილახვარი, კონსტანტინე მამაცაშვილი და ა.შ.

ზაქარია გულბაათის ძე ჭავჭავაძე დაიბადა 1825 წლის 25 ოქტომბერს სოფელ წინანდალში. 12 წლის ზაქარია შეიყვანეს სამხედრო სკოლაში, რომელიც ნიჟეგოროდის დრაგუნთა ლეგიონთან არსებობდა. ყარაღაჯში ზ. ჭავჭავაძე ამ სკოლაში სწავლობდა, 17 წლის აიალგაზრდა კი ამავე ნიჟეგოროდის ლეგიონში მოხალისედ ჩაირიცხა. დაინყო მისი სამხედრო ცხოვრების სახელოვანი გზა, რომელმაც მას „კავკასიის გმირის" სახელი მოუტანა.

პირველი საბრძოლო ნათლობა ზ. ჭავჭავაძემ 1845 წელს მიიღო ჩრდილო კავკასიაში და აქვე დაიმსახურა პროპორშჩიკის წოდებაც. მან თავი ისახელა სულაყის ხაზზე, დაღესტანი და ჩეჩნეთი გახდა მისი დიდების ასპარეზი. ამ ბრძოლებში გამოჩნდა იგი, როგორც შეუპოვარი და მამაცი ოფიცერი, წმინდა ანას მესამე და მეოთხე ხარისხის ორდენები — ბანტით, პორუჩიკობა, შტაბკაპიტნობა და მაიორობა — ყველა ეს წოდება მან კავკასიის მთიანეთში მძიმე ბრძოლებით მოიპოვა. იგი აქ გახდა ნიჟეგოროდის ლეგიონის მე-4 დივიზიონის მე-7 ესკადრონის მეთაური. მისი უშუალო დამსახურებით დივიზიონმა თავისი უბრალო შტანდარტი გეორგიევსკის შტანდარტით შეცვალა. ეს მოხდა სოფ. ბასთან ბრძოლის შედეგად, სადაც ზაქარია ბრძანების გარეშე შეება მრავალრიცხოვან მოწინააღმდეგეს და სასტიკად გაანადგურა იგი...

შემდეგ იყო უამრავი გმირული ბრძოლა...

1871 წელს ზ. ჭავჭავაძეს გენერალ-მაიორის ხარისხი მიენიჭა და დაინიშნა კავკასიის კავალერიის დივიზიის მე-2 ბრიგადის მეთაურად. 1878 წელს მიანიჭეს მას გენერალ-ლეიტენანტის წოდება და წმინდა ანას და წმინდა გიორგის მესამე ხარისხის ორდენები ოქროს ხმლითა და ბრილიანტებით.

1877-78 წლებში რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრების შემდეგ გენერალ-ლეიტენანტი ზ. ჭავჭავაძე კავკასიის კავალერიის დივიზიის მეთაურად დაინიშნა.

1885-1893 წლებში ზაქარია კავკასიის არმიის პირველ კორპუსს მეთაურობს. იმავე წელს მან ეს კორპუსი თავის მეგობარ ი. ამილახვარს გადააბარა და თვითონ თადარიგში გავიდა. ამასთან დაკავშირებით იმავე წელს მას თბილისში შეხვედრა მოუწყეს. ზაქარიას ოტბების შენობასთან თავისი ამალით შეხვდა ი. ამილახვარი. ორკესტრმა ტვერის დრაგუნთა ლეგიონის მარში შეასრულა... ზ. ჭავჭავაძის პირველი სადღეგრძელო თვით შერემეტიევმა (ჯარების მეთაური, გენერალ-ადიუტანტი — ო.ნ.) წარმოთქვა: „თქვენო ბრწყინვალებავ, თავადო ზაქარია გულბაათის ძევ, კავკასიის არმიის ჯარებმა, რომლის წმინდა დროშებზე კავკასიის წარსულია გამოხატული, თქვენი სახელი თავისი ისტორიის ფურცლებზე ჩასნერა, როგორც უკვდავი სიმამაცის და კავკასიის ბრძოლების ბრწყინვ-

ალე გამარჯვების განსახიერება". მრავალი მისალმების შემდეგ თბილისის კომენდანტმა გენერალ-ლეიტენანტმა ა. ერისტმა ბუსარის ემირ აბდულ-ხანის სახელით ზაქარიას გადასცა ფირმანი და „ამომავალი მზის" ორდენი ბრილიანტებით...

ზ. ჭავჭავაძის თადარიგში გასვლასთან დაკავშირებით, 1893 წელს ჟურნალი „კავალი" წერდა: „დღეს, როცა ასეთ ძველებურ ვაჟკაცს კიდევ ვხედავთ, საქართველოში მომავლის იმედით გული გვევსება, რადგან ამისთანა გმირები, თითქოს გზად და ხიდად არიან მოვლენილი საქართველოს წარსულსა და მომავალს შორის"

1905 ნელს საქართველომ დაკარგა 2 მხედართმთავარი: 29 აგვისტოს დაკრძალეს გენერალ-ადიუტანტი ივანე გივის ძე ამილახვარი, ხოლო ორი თვის შემდეგ — 25 ოქტომბერს, გარდაიცვალა „კავკასიის არმიის რაინდი", გენერალ-ადიუტანტი ზაქარია გულბაათის ძე ჭავჭავაძე. გაზეთი „კავკაზი" ზაქარიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით წერდა: „აღარ გვყავს ომის უკანასკნელი რაინდი, იგი უკანასკნელი მოჰიკანია კავკასიის მეომართა სახელოვან ოჯახიდან, უკანასკნელი წარმომადგენელი იმ ბრნყინვალე სამხედრო ბელადებიდან, რომლებიც ოდესღაც ჩვენ ივერიამ მოგვცა"

ზაქარია ჭავჭავაძე წინანდალს წასვენეს და საგვარეულო სასაფლაოზე დაკრძალეს შუამთის ახალ მონასტერში.



იასონ ჭავჭავაძე

1804-1857

XIX საუკუნის პირველი ნახევრის გამოჩენილ ქართველ გენერალთა შორის ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უკავია გენერალ-მაიორ იასონ ივანეს ძე ჭავჭავაძეს.

ი. ჭავჭავაძე დაიბადა 1804 წელს სოფ. წინანდალში. იმ დროს კახეთში იდგა ნიუეგოროდის დრაგუნთა ლეგიონი. ამ ლეგიონმა შთაუნერგა იასონს და მის ძმებს სამხედრო სამსახურისადმი სიყვარული. ისინი სისტემატურად ხედავდნენ ლეგიონის ნვრთნასა და მთელ მის მოუსვენარ ცხოვრებას, ხოლო ლეგიონის ოფიცრები ხშირად სტუმრობდნენ მათ ოჯახს. ძმები ჭავჭავაძეები რუსეთ-ირანის 1826-27 და რუსეთ-თურქეთის 1828-29 წლების ომების მონაწილენი იყვნენ. იასონი ნიუეგოროდის იმ დრაგუნთა ლეგიონში მსაბურობდა, რომელსაც მაშინ მეთაურობდა პოლკოვნიკი ივანე ანდრონიკაშვილი; ამ ლეგიონში დაინყო იასონის მხედრული ცხოვრების გზა, აქვე მიიღო პირველი საბრძოლო ნათლობა და ამ ლეგიონშივე დაასრულა სამხედრო მოღვაწეობა.

ახალგაზრდა იასონმა პირველსავე ბრძოლებში ისახელა თავი. განსაკუთრებით სამახსოვრო იყო პირველი საბრძოლო ნათლობა — ბრძოლა ბაიბურთან 1829 წლის 27 სექტემბერს, როდესაც მონინააღმდეგეთა არმიები ერთმანეთის საწინააღმდეგოდ განლაგდა. უცებ თურქთა მხრიდან ცხენზე მჯდომი ოფიცერი ნიუეგოროდის ლეგიონისკენ გამოქანდა, მიუახლოვდა რუსთა მწყობრს, დამბაჩა გაისროლა და უკანვე გაიქცა. თურქ ოფიცერს დაედევნა თეთრ ცხენზე მჯდომი იასონ ჭავჭავაძე. მებრძოლებმა დაინახეს, რომ იასონი უკან მობრუნებას არ ფიქრობდა და მის დასაცავად დაიძრა ოცეული, მას მიჰყვა ესკადრონი. ამ უკანასკნელს კი მთელი ლეგიონი. და ასე აეწყო იერიში, რომელიც ნიუეგოროდის დრაგუნთა ლეგიონის ისტორიაში შევიდა, როგორც ბრძოლის საგანგებო მაგალითი.

მონინააღმდეგის განლაგებაში ნიუეგოროდის ლეგიონი შეიჭრა, რომელსაც ნინ მიუძღოდა თეთრ ცხენზე ამხედრებული, ხმალაღმართული ესკადრონის მეთაური ი. ჭავჭავაძე. შერკინება ისეთი მოულოდნელი და მძაფრი აღმოჩნდა, რომ თურქებმა ბაიბურთი სასნრაფოდ დატოვეს. ამ ბრძოლას თვალყურს ადევნებდა კავკასიის კორპუსის სარდალი გენერალი პასკევიჩი, რომელიც აღფრთოვანებული დარჩა უცნობი ოფიცრის მამაცური მოქმედებით. ბრძოლის გმირს, ი. ჭავჭავაძეს, უმაღლესი ჯილდო ელოდებოდა...

1846 ნელს ნიუეგოროდის ლეგიონი ჩრდილო კავკასიაში გადაიყვანეს, ხოლო 1849 წელს მას სათავეში ჩაუყენეს უკვე საკმაოდ ცნობილი და დამსახურებული გენერალ-მაიორის ჩინში ამაღლებული იასონ ჭავჭავაძე.

... ი. ჭავჭავაძის უდიდეს საბრძოლო დამსახურებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ იგი წმინდა გიორგის პირველი კლასის ორდენის ღირსად სცნეს, ეს ჯილდო გათვალისწინებული არ იყო ლეგიონის მეთაურისათვის, ჩვეულებრივ, ამ ორდენით აჯილდოებდნენ უმაღლეს სარდლობას...

ტანმაღალი იასონი მომხიბლავი კაცი ყოფილა: „ყელზე გიორგის ჯვრით, იგი თუჯისგან ჩამოსხმულ ქანდაკებას მოგაგონებდათ..."

იასონ ჭავჭავაძის ხელში მოიპოვა ნიუეგოროდის ლეგიონმა წმინდა გიორგის ნიშნები დროშებზე, ვერცხლის სტვირები და ოქროს დუგმები. „ამ საპატიო შენაძენებით თავად ჭავჭავაძის სახელი სამუდამოდ დარჩა ლეგიონის ისტორიაში."

იგი დაუბრუნდა მშობლიურ სოფელ წინანდალს და 1857 წელს იქვე გარდაიცვალა. იგი ქალაქ თბილისში, ქაშუეთის ეკლესიაში დაკრძალეს.

როინ ჭიკაძე

რროინ ვალერიანის ძე ჭიკაძე დაიბადა 1937 წლის 7 (10) დეკემბერს თელავის რაიონის სოფ. წინანდალში. თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამჟამინდელი რექტორი, პროფესორი, აკადემიის აკადემიკოსი. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი ქართველური ენების განხრით 1962 წელს. ამავე წლიდან დღემდე მუშაობს თელავის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. გაიარა თითქმის ყველა თანამდებობრივი საფეხური — ასისტენტიდან რექტორამდე.

როინ ჭიკაძე არის ფაკულტეტის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, არჩეულია საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა ეკოლოგიურ მეცნიერებათა და პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიების ნევრად.

როინ ჭიკაძე 1962 წლიდან თელავის პედინსტიტუტის ქართული ენის კათედრაზე მუშაობდა ჯერ ასისტენტად შემდეგ მასწავლებლად, უფროს მასწავლებლად, დოცენტად.

1979 წელს მას ირჩევენ ქართული ენის კათედრის გამგედ, იმავდროულად იყო ინსტიტუტის საბჭოს სნავლული მდივანიც. იგი წლების განმავლობაში ასრულებდა ისტორიათფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობას.

1986 წლიდან რ. ჭიკაძე ინიშნება პრორექტორად სასწავლო-სამეცნიერო მუშაობის დარგში.

ინსტიტუტში სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობისას მან თავი გამოიჩინა, როგორც ენერგიულმა ხელმძღვანელმა, რომლისთვისაც დამახასიათებელია მაღალი მომთხოვნელობა და პრინციპულობა როგორც საკუთარი თავის, ისე თანამშრომლებისა და სტუდენტების მიმართ.

რ. ჭიკაძეს მიჰყავს სალექციო და პრაქტიკული კურსი თანამედროვე ქართულ ენაში. მისი ლექციები გამოირჩევა მაღალი სამეცნიერო დონით და მეთოდური დახვენილობით. ამის შედეგია, რომ იგი სარგებლობს მაღალი რეპუტაციით ენათმეცნიერთა წრეებში. მას გამოქვეყნებული აქვს 50-მდე სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის მონოგრაფია.

მისი სამეცნიერო-კვლევითი შრომები სისტემატურად ქვეყნდება რესპუბლიკის სამეცნიერო ხასიათის ჟურნალებში, იბეჭდება ცალკე წიგნებად. მათ შორის, საჯარო განხილვისათვის წარმოდგენილი შრომა — „პარატაქსული კონსტრუქციები ქართულში" ერთხმად აღიარეს მაღალი რანგის ენათმეცნიერებმა და შეაფასეს, როგორც ახალი სიტყვა ქართულ ენათმეცნიერებაში.

როინ ვალერიანის ძე ჭიკაძე 1989 წლიდან სამგზის არის არჩეული ინსტიტუტის რექტორად.

სნორედ მისი მოღვაწეობის პერიოდში, 1999 წელს თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტს მიენიჭა უნივერსიტეტის სტატუსი.

სიმონ ჭიორელი

სიმონ ჭიორელი — ქართველი მხატვარი.

დაიბადა 1945 წლის 12 მარტს თელავის რაიონის სოფ. წინანდალში. 1968 წელს დაამთავრა ი. ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო ტექნიკუმის ფერწერის ფაკულტეტი პედაგოგების ვალენტინ შერპილოვის და გივი თოიძის ხელმძღვანელობით. 1973 წელს ქ. თბილისის სამხატვრო აკადემია — ქსოვილების მხატვრული გაფორმება — თენგიზ ჯაფარიძისა და გივი ყანდარელის ხელმძღვანელობით. მაღალ დონეზე შეფასდა მხატვრის სადიპლომო ნამუშევრები, როგორც ტექნიკუმში („მადლიან მინას"), ასევე აკადემიაში („დეკორატიული თექა").

სიმონ ჭიორელი 1968 წლიდან სისტემატურად მონაწილეობს გამოფენებში. მისი ძირითადი ნამუშევრები სხვადასხვა დროს მრავალჯერ გამოფენილა: საქართველოს სურათების გალერეაში 1968 წელს გამოიფინა „მადლიან მინას", „ 1982 წ. „პეიზაჟი", „ნატურმორტი" — ტილო, ზეთი. ამერიკაში 1982 წ. — „პეიზაჟი", „ნატურმორტი" ტილო, ზეთი. რუსეთში 1983 წ. „კახელი გლეხი" და სხვადასხვა.

კერძო კოლექციებში: ი. აბაშიძე „დალი" ზეთი, ტილო; რ. ამაშუკელი „ქალის პორტრეტი" ზეთი, ტილო; გ. ჯულუხაძე „ნატურმორტი" ზეთი, ტილო; ი. ნონეშვილი „სიმღერა" ზეთი, ტილო; გ. ბატიაშვილი „კახელი გლეხი" ზეთი, ტილო.

მნიშვნელოვანი გამოფენები მოეწყო თბილისსა და მოსკოვში 1974 წელს, ხოლო პერსონალური გამოფენა — თბილისში 1982 წელს გამომცემლობა „მერანის" საგამოფენო დარბაზში.

სიმონ ჭიორელის ნამუშევრები ინახება საქართველოში, საბურთალოს ფონდში, ამერიკაში, ჯორჯიის შტატში, საფრანგეთსა და რუსეთში.

1972 წელს გაზეთ „ახალი კომუნისტის" მიერ მონყობილ ახალგაზრდა მხატვართა ნამუშევრების გამოფენაზე, რომელსაც ხელმძღვანელობდა უჩა ჯაფარიძე, ს. ჭიორელს მიენიჭა მესამე ხარისხის პრემია.

სიმონ ჭიორელის ბიოგრაფია შეტანილია 1982 წლის გამოცემის ქართული ენციკლოპედიის მე-11 ტომში, ხოლო სტატიები მის შესახებ ქვეყნდებოდა როგორც ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში", ასევე გაზეთებში: „თბილისი", „კომუნისტი", „ახალგაზრდა კომუნისტი", „ვეჩერნი თბილისი" და სხვ.

ხარება და გოგია

შენოგია-1913

...ეს ხარება და გოგია
ალაზნის პირს მოგვიან...
ხალხური

თავისუფლების მშობელი ამ ქვეყნად მარტო თოფია.
მის უღლით ვაქელს მშვიდობას იმში სისხლისაკენ სდაია.
ილია

ხარება და გოგია!

ამ ორ სახელს განუყოფლად იხსენებენ კახეთში, მათი ცალ-ცალკე ნარმოთქმა თითქმის შეუძლებელია. ხარებასა და გოგიას საგმირო საქმეებზე ლეგენდები დადის ხალხში. დიდი და პატარა აღტაცების გარეშე ვერ ნარმოთქვამს ამ სახელებს. მრავალ ოჯახში ნახავთ მათ სურათებს. ხარებასა და გოგიას უკავშირდება კახეთში 1905 ნლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ გაშლილი პარტიზანული მოძრაობა.

1928 წელს თბილისში ცალკე ნიგნად გამოვიდა ევ. დვალის პატარა პოემა „ტყის კაცი", რომელშიც ნითელრაზმელთა მოზრდილი ჯგუფის სურათია, სურათია ასეთი ნარნერით: „ტყის კაცის", ვანო ბუჩაშვილის, „ნითელი რაზმის" ანუ „ტყის ძმების", ერთი ნანილი. დროშაზე ანერია: „მინა მინის მუშას" იქვე აღნიშნულია, რომ ეს სურათი 1906 წელს ფშავის ხეობაში დაუიატავს ვინმე დავიდოვს; სურათი რეაქციის დროს ქვეყრში ინახებოდაო.—მეორე გვერდზე დაბეჭდილია სურათზე დახატული რაზმელების სია; სულ 17 კაცის: რაზმის შტაბის უფროსი — ვანო ბუჩაშვილი, თიანეთის რაზმის მეთაური — შაქრო გელოვანი, თელავის I რაზმის მეთაური — გიორგი ბერძენიშვილი, თელავის II რაზმის მეთაური — ხარება ჯიბუტი, თელავის ტერორისტთა მეთაური — ავქსენტი სიდამონიძე, სიღნაღის I რაზმის მეთაური — სანდრო ყავლაშვილი, სიღნაღის II რაზმის მეთაური — გიგა სესიაშვილი და რაზმელები: ჩიტა ნაქარაძე, სოლო ბინკინაშვილი, გოგია კენკიშვილი, ვანო ხანდამიშვილი, ილო ბებურიშვილი, კოლია დედაბრიშვილი, ვანო ლაშაური, გიგა სესიკაშვილი, გიორგი მახნიაშვილი, ილო ფირანაშვილი.

როგორც ვხედავთ, აქ აღმოსავლეთ საქართველოს თითქმის ყველა კუთხის ნარმომადგენლებს მოუყრიათ თავი.

ხარება სიმონის ძე-ჯიბუტი (ზედმეტი სახელი „ლეკი") თუში იყო, დაიბადა ყოფილი თელავის მაზრის სოფელ ართანაში. არსებობს გადმოცემა, რომ მისი წინაპარი გურიიდან გადმოსულა კახეთში (აქ ერთადერთი ოჯახია ჯიბუტებისა). მას არავითარი სასკოლო განათლება არ მიუღია, მაგრამ წერა-კითხვა კარგად სცოდნია. ყრმობა და სიჭაბუკე მწყემსობაში გაუტარებია. 1905 წლის დასაწყისში გაუცნია თელავის მაზრაში განთქმული რევოლუციონერი ტერორისტი ავქსენტი სიდამონიძე და მისი მეშვეობით დაკავშირება არალეგალურ წრეებს. სიდამონიძე ხარებას ხშირად აგზავნიდა თბილისში სხვადასხვა პარტიული დავალების შესასრულებლად. 1906 წლიდან ჯიბუტი მეთაურობს თელავის ერთ-ერთ ნითელ რაზმს, ხოლო სიდამონიძის მოკვლის შემდეგ სათავეში უდგას ნითელ პარტიზანთა დიდ რაზმს, რომელიც რეაქციის პერიოდში მოქმედებდა კახეთის ტერიტორიაზე.

ხარება ვაჟკაცური შესახედაობისა და მეტად გულადი კაცი ყოფილა; უანგარო და ალალმართალი ხასიათი ჰქონდა.

ავქსენტი სიდამონიძე (ზედმეტი სახელი „ტყის ნადირი") დაიბადა 1883 წელს სოფ. ფშაველში. თელავის სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იქვე მუშაობდა, ბიბლიოთეკის გამგედ. 1904 წელს გაიწვიეს ჯარში. მსახურობდა შავი ზღვის ფლოტში. 1905 წელს მეზღვაურთა არეულობაში აქტიურად მონაწილეობდა, დევნიდნენ, მაგრამ გამოიქცა სევასტოპოლიდან და მთლიანად მიეცა რევოლუციურ საქმიანობას. იყო თელავის ტერორისტთა მეთაური; მოკლა ბოქაული აპუშკინი, ბაშკადიკლარის პოლკის ოფიცერი გააზი... სიდამონიძე ღალატით მოკლეს პოლიციელებმა 1907 წელს სოფ. კურდღელაურში.

გოგია კენკიშვილი დაიბადა თელავის ახლოს, სოფელ გულგულაში, ღარიბი გლეხის ოჯახში. სოფლის ერთი „ტლუ ბიჭი" ყოფილა, წერა-კითხვის უცოდინარი. ბავშვობა და სიჭაბუკე მეძროხედ გაუტარებია. ცილი დასწამეს და დააპატიმრეს, მაგრამ 1906 წელს ციხიდან გამოიქცა და შეუერთდა ნითელარმიელებს.

გოგია ბოლომდე რიგით რაზმელად დარჩა, მაგრამ დიდი სახელი დატოვა. ხარებას რაზმში რამდენიმე კაცი იყო მეთაურად (გიორგი ბერძენიშვილი, ზალიკო სვიმონიშვილი, სანდრო ყავლაშვილი, გიგა სესსიაშვილი), მაგრამ ხალხის ხსოვნაში ხარება და გოგია განუყრელ წყვილად არის დარჩენილი. გოგია მეტად მამაცი და უშიშარი კაცი ყოფილა. თუმცა, სიმართლე უნდა ითქვას, მისი საქციელი ზოგჯერ ვერ ყოფილა მთლად მიზანშეწონილი. მეტად ფიცხი ხასიათი ჰქონია, დაუნდობელი და ავი კაცის სახელი დავარდნია. როგორც ჩანს, ხარება ხშირად ტუქსავდა თავის ძმადნაფიცს. გოგიაც თურმე მხოლოდ ხარებას ემორჩილებოდა უსიტყვოდ, ხარებას წარბის ერთი ანევაც კი საკმაო ყოფილა ამ შლეგი კაცის დასაოკებლად. ბოლოს მაინც ნინდაუხედავი საქციელის გამო დაღუპულან.

როგორც აღვნიშნეთ, ავქსენტი სიდამონიძის მოკვლის შემდეგ (1907 წ.) რაზმს სათავეში ჩაუდგა ხარება ჯიბუტი. უფრო მეტი მანევრირებისა და მოხერხებული თავშესაფარისათვის რაზმი გაყოფილა ორ ჯგუფად. პირველი ჯგუფი თვითონ ხარებას მეთაურობით ახლანდელი თელავის რაიონში იმყოფებოდა, მეორე კი — გიორგი ბერძენიშვილის („ზედმეტი სახელი „ჟორჟიკა") მეთაურობით ახლანდელი გურჯაანის რაიონში. რა თქმა უნდა, ისინი ძალიან ხშირად ერთიანდებოდნენ რთული ტერორისტული აქტებისა და მსხვილი თავდასხმების დროს.

რაზმელებს თითქმის ყველას ერთნაირი — ლეგა ჩოხები ეცვათ, თავზე თუშური ქუდები ეხურათ; შეიარაღებაც თითქმის ერთნაირი ჰქონდათ. კვირაში ერთხელ აუცილებლად დაიბარებდნენ პარიკმახერს, სადაც უნდა ყოფილიყვნენ, და პირს იპარსავდნენ. თელავის საისტორიო-ეთნოგრაფიულ მუზეუმსა და ფოტოგრაფ ვანო რონინიშვილის პირად არქივში დაცულია ამ რაზმის ცალკეული ჯგუფებისა და ხელმძღვანელობის ფოტოსურათების კოლექცია. უყურებთ ამ სურათებს და გაოცებთ მათი კოხტა ჩაცმულობა. რაზმელებს, აგრეთვე, ჩვეულებად ჰქონდათ საკუთარი თოფის კონდახზე თავიანთი სახელი წაეწერათ, რაც ფოტოსურათებზეც ჩანს.

რამანა უთმელიძის ჩვენებით, თელავის მაზრის თავადაზნაურობის ნინამძღოლს მაქსიმილიან ჭავჭავაძეს კისისხევში დიდი წვეულება გადაუხდია. სხვა საპატიო სტუმართა შორის მეფის რომელიღაც გენერალიც ყოფილა. სწორედ მას გამოუთქვამს სურვილი ხარებაა რაზმელების ნახვისა — ჯარი ხომ თან არა გვყავს, არაფერს გერჩითო, შეუთვლიათ. რაზმელები მართლაც მოსულან მათთან. აუწერელი შთაბეჭდილება მოუხდენიათ სტუმრებზე, განსაკუთრებით ზალიკო სვიმონიშვილის სილამაზეს მოუტაცნია კნეინებისათვის თვალი. რაზმელებს მათთან ერთად ცოტა ნაუქეიფიათ და ისევ უკან გაბრუნებულან.

თელავის პარტიზანული რაზმის მოქმედების არე ძალიან ფართო იყო: მთელი კახეთი, აღმოსავლეთ ქართლი, თიანეთი, აზერბაიჯანისა და დაღესტნის მოსაზღვრე რაიონები. მან რამდენიმე ცხარე ბრძოლა გადაიხადა შავრაზმელებთან. ბოლოს (დაახლოებით 1911-12 წლებში) გადაწყდა, რაზმი ირანში გადასულიყო, მაგრამ საზღვართან შეტაკების დროს დამარცხდა და უკან გამობრუნდა.

ხარებას რაზმმა დახოცა ბოქაულები: თარხანოვი, გოჯიევი, ვახვახოვი და მრავალი სხვა შავრაზმელი.

რაზმი დიდად ეხმარებოდა ღარიბ მოსახლეობას. ღებულობდა ღარიბ გლეხთა სიებს და უნევდა მათ ფულად დახმარებას. რაზმი ხშირად სოფლებზე შეწერილ სხვადასხვა სახელმწიფო გადასახადებსაც იხდიდა. ვასო რონინიშვილის ჩვენებით, პირადად ხარებას რამდენჯერმე გამოუტანებია მისთვის ფული მოსკოვში ქართველი სტუდენტებისთვის გა-

დასაგზავნად. როგორც ჩანს, რაზმს საკუთარი სტიპენდიანტებიც ჰყოლია რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში.

როგორც საერთოდ ხდებოდა, შარაგზის ქურდბაცაცები სარგებლობდნენ ხარებასა და განსაკუთრებით გოგიას სახელით, ძარცვავდნენ ხალხს; ამ მძარცველებს რაზმი სასტიკად უსწორდებოდა.

სამართლიანობა მოითხოვს, ითქვას, რომ ამ ძლიერ პარტიზანულ რაზმს ზოგიერთი სუსტი მხარეც ჰქონდა. ისინი ხშირად გადაბმულ ქეიფს ანყობდნენ, მიუვალ ადგილას აიტანდნენ სანოვაგეს, საკლავს, ღვინოს და რამდენიმე დღეს ილხენდნენ „ჟორჟიკას" უცველი თამადობით. სადღეგრძელოებში ხშირად იმეორებდნენ თურმე: ჩვენში ვინც ადრე მოკვდეს, ის ძაინყალოსო. რაზმი მთელი კვირეების მანძილზე იხდიდა დაღუპული თანამებრძოლების „სულების მოსახსენებელ" პანაშვიდებს. ძალიან ჰყვარებიათ ჩონგურზე დაკვრა, ხალხური ლექსებისა და ზღაპრების მოსმენა.

რაზმში, როგორც უკვე ვთქვით, სხვადასხვა დროს გაერთიანებული იყვნენ მთელ კაბეთში სახელგანთქმული ვაჟკაცები: ზალიკო სვიმონიშვილი, ნიკო ნარეკლიშვილი („პატარა ნიკა"), სანდრო ყავლაშვილი („ძია"), გიგა სესიაშვილი („ბაღისკაცი"), ჩიტა ნიქარაძე, სოლო ბინკინაშვილი, გიგა სესიკაშვილი („ზამბილას ბიჭი"), ილო ბებურიშვილი, ილო ფირანიშვილი („ჩორტ ეგო ზნაეტ"), გიორგი მახნიაშვილი („უტრუხუნე") და სხვ. რაზმს ბეჭირად ეკედლებოდა ჯარში გასანვევი ახალგაზრდობა.

ამათგან ყველაზე ადრე მოკლეს საგარეჯოელი „პატარა ნიკა", მერე გორელი ჩიტა ნიქარაძე დაახრჩო ხუნაგმა. პირქუში და ახმახი „ზამბილას ბიჭიც" მძიმე ავადმყოფი იყო, როცა იყალთოში პოლიცია დაეცა, პოლიციას ცოცხლად არ ჩაუვარდა და თავი მოიკლა. თანამებრძოლებმა მოიპარეს მისი ცხედარი და თელავში გადმოასვენეს. მერე მთელი რაზმის სული და გული, მეტად ლამაზი და უშიშარი ვაჟკაცი — ზალიკო სვიმონიშვილი მოკლეს თბილისში, დავალების შესრულების დროს. ბინკინაშვილმა კი შეძლო და, როცა რაზმი საზღვართან მეტაკების შემდეგ უკან დაბრუნდა, ირანში გადავიდა.

1913 წლის ნოემბერში დაიღუპნენ ხარება და გოგია. ისინი რამდენიმე რაზმელით იმყოფებოდნენ თუშების სოფელ ზემო ალვანში (ამჟამად ახმეტის რაიონი). აქ მოხდა საბედისწერო შემთხვევა: გოგიამ მოკლა ერთი უბრალო თუში (როგორც ამბობენ, „რომანული ნიადაგზე"). ხარება ძალიან შემოსწყრომოდა გოგიას და ეწინასწარმეტყველა კიდეც, ერთი კვირის სიცოცხლეღა დაგვრჩენიაო. რაზმი სასწრაფოდ გაეცალა სოფელს.

გოგიას ეს ნინდაუხედავი საქციელი გამოიყენეს ადგილობრივმა შავრაზმელებმა. ბოქაულმა მათურელმა თავი მოუყარა თუშებს, გაახსენა სისხლის აღების მამაპაპური ადათი და შურისძიებისაკენ მოუწოდა. ამ ხერხმა გაჭრა და მდიდარი თუში მეცხვარეებისაგან რაზმი შეიკრა. ბოქაული „სტრაჟნიკებითურთ" სასწრაფოდ გაუძღვა რაზმს ხარებასა და გოგიას კვალდაკვალ.

მესამე დღეს მიატანეს სოფ. მაღრაანის თავში. რაზმელებს იარაღი თხილის ასწლოვან ბუჩქზე მიენყოთ, პურ-მარილი გაეშალათ და უდარდელად ქეიფობდნენ. თავდამსხმელებმა ისე ოსტატურად დაუარეს თავს, რომ ყარაულად დაყენებულ „უტრუხუნეს" არაფერი გაუგია. ბელისგულზე დასმულივით ჰყაოდათ ათი კაცი ალუაში. სამ-სამმა დაუმიზნა თითოს, ხარებას კი არც ერთმა... კარგად იცნობდნენ თუშები თავიანთ მომძეს, ერთად იგრიალა თოფმა და სამ-სამი ტყვიით განგმირული ცხრა რაზმელი დაეცა. მიზანიც კარგი იცოდნენ თუშებმა.

შეძფოთებული ხარება ნამოიჭრა და თავდამსხმელთა ხმაც გაიგონა: „შენ ნადი, ხარებ, არას გერჩით!" — ხარება მიხვდა, რაშიც იყო საქმე, ალბათ, მწარედ ჩაიცინა ვაჟკაცმა და საფეთქელზე მაუზერი მიიდო.

აქ ხარებასა და გოგიას გარდა დაიღუპნენ: საბუელი ბებურიშვილი, წინანდლელი ბედუამშვილი, სიღნაღელი შანათიშვილი, ოჟიოელი ბუზალაძე და სხვ. მხოლოდ ყარაულად დაყენებულმა „უტრუხუნემ" უშველა თავს.

მკვლელებმა იქვე ამოთხარეს დიდი ორმო და ათივე ორ წყებად ჩაასვენეს შიგ. ზემოდან ხის ტოტები დააყარეს, ზედ უზარმაზარი ლოდები დაადეს და მინა მაგრად დატკეპნეს.

დარჩენილი მეორე ჯგუფი „ჟორჟიკას" მეთაურობით, რაზმის ყველაზე ხნიერი წევრების „ძია", „ბაღისკაცის", „ჩორტ ეგო ზნაეტის", „უტრუხუნეს" და სხვათა შემადგენლობით 1917 წლის თებერვლის რევოლუციამდე იყვნენ ტყეში და 12 წლის გამუდმებული დევნის შემდეგ დაუბრუნდნენ მშვიდობიან ცხოვრებას. მაგრამ „ჟორჟიკა" 1918 წელს ალაზნის პირას ნადი-

რობის დროს მძარცველმა თათრებმა მოკლეს; „ძია", „ბაღისკაცი" და „ჩორტ ეგო ზნაეტ" მენშევიკებმა დააპატიმრეს და დახვრიტეს 1918 წელს. „უტრუხუნეც" იმავე წელს მოკლეს, ვინაიდან გადაგვარდა და მძარცველობა დაიწყო.

ორმოცდაორ წელს ეწყო ხარებას და გოგიას ძვლები მაღრაანის ტყეში. 1905 წლის რევოლუციის ორმოცდამეათე წლისთავის იუბილეს დროს კი, 1955 წლის ზაფხულში, მათი ნეშტი გადმოასვენეს ხარებას მშობლიურ სოფ. ართანაში და ხარებას მამის — სიმონ ჯიბუტის გვერდით დამარხეს.

ხარებასა და გოგიას შესახებ აუარებელი ხალხური ლექსია შექმნილი, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ სრულიად შეუკრებელი და გამოუქვეყნებელია.

ვაქვეყნებთ ხარებასა და გოგიაზე შექმნილ სამ ლექსს, რომლებიც ჩვენი თხოვნით ჩაიწერა პოეტმა სილოვან ნარიმანიძემ მაღრაანში მიხა ხომიზურისაგან (1956 წლის ნოემბერში):

ეს ხარება და გოგია
ალაზნის პირას ძოდიან,
ერთძმეთს ეუბნებიან —
*ოიმეალი ძმარე ხ
ობი.*
ვეფერ უთხრა ხარებას
— ნაფარეული ხ上ობია.

— ო, არა, ბიქია ეგეა.
მაღრაანის ტყე ხ上ობია.
ხაბინოდ ხოთ კარეა.
ნალხიცა იქა ხ上ობია.
მაღრანის ტყეში ქეიფი
ხუ�ელაფერსა ხ上ობია.

ეს ულაფაული ეიეა
დაბალია და ბრძენია.
დაბალ-დაბალი ბიქია.
კასერი ძორეეზე ხქელია.

ზურეზე ჭიდია ვინეოეეა.
თაეთ ბოლოძე ეარქელია.
ვინაც ის ტყეი ძახედებ
ინის ძორეზა ძნელია.

ძაეიობილი ხარ, ძაღრანო,
წან ძინდორი, ეკან ტყეო.
ქალებისი ხაეირნო,
კარეების ხაბითეეო.
ერთ ადგილს ძაღრანს ეტეეინ
ნაჭანი ალაზნისაო.
იქეე ბინა ტყეშია
ეანეული ბიკეებისაო.
ქეიფობენ და ლიხაობენ,
ძიძი არა იქეთ მერისაო.
არც ხეეფილი ძაეეონდებათ,
არც ლალეი ხსეინაო.
ალეაანთ კარად წამოეე
ბიქეები თეფეებისაო,
ეარს ალეა ძამორტეეინ
ინაკ აქეთ თოფეებისაო.
ხეეკეეენ და ხეეკეეენ თოფეები,
ხმა ეარ ეეკეს ბეერდეკეისაო,
ალარაკად ხსის ბიქეაბ
ხეეხლეი ალეეი ექმისაო.
დაძრაკალს უსაეეეთაო,
ბრძანეებ არი ლეთისაო.
ხასხეთეთ ეაკვრილი ხეეები
იქეე ალეს ხაკმის პირსაო.
ამხილი ძაეი ხასხეეთეთ,
ხეეკეი ძაღრანისაო,

ხეეზე ნაეიდებ ეათრებისა
ტოტეები ჩაკ ძირსაო.
ტეკეიით დაბეეეტილი ბიკეებისა
ძიკ ძეეი ეეკლის ბრსაო.
როსტეოანი ძაებეეკანსეე.
ბადილი ეკეოლეეეს ლეთისაო.
ხარ ბეერი ცოდოს ძიკეედი
და ძიდალეტე ძნისაო.
ხარებაბ ნაძლეკ ფეულებითი
ეკერაც ხაეხე ეკაკს ქისაო.
ხტეეფანეე, თხეეიანთაო,
ჰაერანთი ბეერი ცხერისაო.
ეენ ძინც რად ეკალეტეე
ფიც რად ეტეეხე ლეთისაო.
ბეერიკ ეადეეს ცოდილი
თეეშების, ფძალეებისაო,
ბეერი ჩარეეე ცხეარ-ძრაანი
ხამბეეხში, ეერის პირსაო.
მზეკეანი ეენი ხიცოცხლეე
ხიცხეეძი ეორანისაო,
კიდენ დაბრძალის ბიკეები
იმ ანალ თაობებისაო.
ძალე იკიან იმაი
ვიერიანი ძაეკრა ეზისაო,
უმეერლოდ კაკის ხიკეადილი,
დაეეეი ეკეკაკის ძალისაო.

თეიმურაზ ხელაშვილი

1919-1985

ქართველი მსახიობი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, სამამულო ომის ვეტერანი, კაცი, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლე შეალია ხელოვნების სამსახურს, დიდი ამაგი დასდო ქართული მუსიკალური კომედიისა და ოპერეტის განვითარების საქმეს, თეიმურაზ გრიგოლის ძე ხელაშვილი დაიბადა 1919 წელს ქ. თელავში. 1936-40 წლებში იგი ქ. თბილისის კინომსახიობთა სტუდიის სამსახიობო ფაკულტეტზე სწავლობს. აქედანვე მიდის ნითელი არმიის რიგებში, დიდ სამამულო ომში თეიმურაზ ხელაშვილმა სახელოვნად განვლო საბრძოლო გზა ბერლინამდე — სამამულო ომში თავდადებისა და სიმამაცისათვის დაჯილდოებული იყო წითელი ვარსკვლავისა და დიდების II ხარისხის ორდენებით, მედლებით.

1946 წელს სამშობლოში დაბრუნებული ახალგაზრდა იწყებს ინტენსიურ შემოქმედებით ცხოვრებას. შესანიშნავი გარეგნობის, კარგი ხმისა და არტისტული ნიჭის წყალობით თ. ხელაშვილმა მალე მოიპოვა პოპულარობა ესტრადაზე, კინოში, თეატრში. მაყურებელმა უმალ შეიყვარა იგი ფილმით „ბედნიერი შეხვედრა" (1948 წ.), მაგრამ თ. ხელაშვილის ნამდვილი მონოდება მუსიკალური თეატრი იყო. ეს ნათელყო პირველივე სპექტაკლებმა თბილისის ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრში, სადაც იგი 1949 წელს მივიდა და სიცოცხლის ბოლო წუთამდე დიდი ენერგიითა და შემართებით ენეოდა შემოქმედებით მოღვაწეობას. ამ თეატრში მან 100-მდე მთავარი როლი შეასრულა. მათ შორის კომბლე, არსენა, გიჟუა („რაც გინახავს, ველარ ნახავ"), ჩეზარე („ჩანიტას კოცნა"), ფირუზა („ეურკას ქორნილი"), ბაჯბაჯიჩი („სიმღერა ტყეში") და მრავალი სხვა.

თ. ხელაშვილის მიერ პროფესიული ოსტატობით განსახიერებულ როლებს ყოველთვის თან ახლდა გარეგნული მომხიბვლელობა, მიმზიდველობა, გულნრფელობა, სისპეტაკე — ის თვისებები, მის პიროვნებას ასე რომ გამოარჩევდა ცხოვრებაშიც. მათი წყალობით იქცა იგი თეატრის ახალგაზრდა თაობისათვის ჭეშმარიტი ხელოვანის ნიმუშად, მთელი თეატრის კოლექტივის უსაყვარლეს ადამიანად და ქომაგად.

თ. ხელაშვილი შემკული იყო ჭეშმარიტი მამულიშვილის ყველა თვისებით. სიდარბაისლე, ზრდილობა, სიტყვის ფასი, მეგობრობა, გაჭირვებაში თანადგომა. ერთი სიტყვით, ის ნამდვილი რაინდი იყო.

ნიკოლოზ ხომიზურაშვილი

1900-1971

მეცნიერი, ბიოლოგი, გენეტიკოსი, სელექციონერი, საქართველოს მეცნიერული მეხილეობის ფუძემდებელი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, აკადემიკოსი ნიკოლოზ მიხეილის ძე ხომიზურაშვილი დაიბადა 1900 წლის 24 იანვარს ქ. თელავში.

საშუალო განათლების მისაღებად მამამ ნიკოლოზი თელავის ვაჟთა გიმნაზიაში მიაბარა, რომელიც მან 1919 წელს ოქროს მედლით დაამთავრა. მეათეკლასელ წარჩინებულ გიმნაზისტს მიმაგრებული ჰყავდა უმცროსკლასელები, რომლებსაც იგი ლათინურ ენასა და მათემატიკას ასწავლიდა.

მრავალმხრივი იყო ნ. ხომიზურაშვილის მოღვაწეობა, მაგრამ მისი უპირველესი საქმიანობა მცენარის ბიოლოგიის შესწავლა, მისი მემკვიდრული ბუნების საიდუმლოების სიღრმეში წვდომა, სელექციური მუშაობა და ახალგაზრდა კადრის აღზრდა იყო. ეს იყო ფართო პროფილისა და დიაპაზონის მეცნიერი, რომელიც ზედმიწევნით იცნობდა საქართველოს ფლორასა და ფაუნას, რითაც ხელს უწყობდა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის წინაშე დასმული პრობლემების სწორად გადაწყვეტას...

1929 წლის სექტემბერში ნიკოლოზ ხომიზურაშვილს ირჩევენ ჯერ გენეტიკის, ხოლო შემდეგ ახლად დაარსებულ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში მეხილეობის კათედრის გამგედ.

1930 წელს თბილისში დაარსდა სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო ინსტიტუტი, სადაც იგი მიიწვიეს მებაღეობის კათედრის გამგედ. 1931 წელს ინიშნება საფინანსო კოოპერატიული ინსტიტუტის საკოლმეურნეო ფაკულტეტზე მებაღეობის კურსის ნაკაკითხად და პროფესორის მოვალეობის შემსრულებლად. ამავე წელს მისი ინიციატივით თბილისში შეიქმნა ამიერკავკასიის მეხილეობის საცდელი სადგური, რომელიც იმავე წელს რეორგანიზებულ იქნა საქართველოს მეხილეობის ზონალურ სადგურად. მისი პირველი მეცნიერ-ხელმძღვანელი და დირექტორი იყო პროფ. ნიკოლოზ ხომიზურაშვილი.

მანვე პირველად ქართულ ენაზე შეადგინა სახელმძღვანელო „მებაღეობის საფუძვლები", რომელიც 1932 წელს გამოიცა.

1933-34 წწ. იგი მიწვეული იყო სოხუმის საკავშირო სუბტროპიკული ინსტიტუტის კონტინენტურ-სუბტროპიკული მეხილეობის კათედრის გამგედ.

1939-41 წწ. აკადემიკოს ნ. კეცხოველის რედაქციითა და ნინასიტყვაობით ნიკოლოზ ხომიზურაშვილმა და ელენე ერისთავმა ორ წიგნად გამოსცეს ატლასი — „საქართველოს ხილი", ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე. დაისტამბა სახელმძღვანელო „მეხილეობის საფუძვლები"

1946 წელს ნ. ხომიზურაშვილს ენიჭება საქართველოს დამსახურებული მეცნიერის წოდება.

1957 წელს საქართველოში დაარსდა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია. ნ. ხომიზურაშვილს ირჩევენ მრავალწლიანი ნარგავების განყოფილებაში აკადემიკოსმდივნად, ხოლო 1960 წელს ვიცე-პრეზიდენტად.

ამერიკაში ყოფნის დროს შესთავაზეს იქ დარჩენა.

1961 წელს, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გაუქმების შემდეგ, პროფ. ნ. ხომიზურაშვილი ინიშნება მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო კელევითი ინსტიტუტის დირექტორად.

მალე ნ. ხომიზურაშვილს ირჩევენ საქართველოს გენეტიკოსთა საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტად, ინვევენ მსოფლიო გენეტიკოსთა მე-5 ყრილობის წევრად, ხოლო 1965 წელს მეღვინეობის მსოფლიო დეგუსტაციის საორგანიზაციო კომისიის წევრად, სადაც მიღებული აქვს ოქროს დიდი მედალი.

1964 წლის 19 მარტს სოფ. ხიდისთავში ამ სოფლის ბაზის ერთ-ერთმა მუშაკმა ნ. ხომიზურაშვილს ასეთი ლექსით მიმართა:

ხო... ძი... ზურ! ძუსს ძეკდრი
საქართველოს ძაო და ბარი.
ზედ ნაძენი ძაო და ბარი.
წალეოლს არის ძესდარი.
ანკედარი ძმობლის დარი,
ქართველების ნიერის თვალი.
ნაშოცდაან წელს ვიღოცვე.
ს ოცი არ დაშაშერდი.

ნიკოლოზ ხომიზურაშვილმა გამოაქვეყნა 76-ზე მეტი სამეცნიერო შრომა, მრავალი სტატია ჟურნალ-გაზეთებისათვის. მისი შრომებიდან აღსანიშნავია 4 ორიგინალური სახელმძღვანელო — მებაღეობის საფუძვლებით, 6 სახელმძღვანელო დოცენტ ვ. ჭიჭაშვილის თანაავტორობით, 2 ტომი ხილის ატლასი ე. ერისთავის თანაავტორობით, ორი მონოგრაფია და საქართველოს მეხილეობის ოთხტომეული მისი მთავარი რედაქტორობით. მან მემკვიდრეობით დაგვიტოვა შრომები გენეტიკის, სელექციის, მრავალწლიანი ნარგაობის აგროტექნიკის შესახებ; შრომები, რომლებიც ძირეულად პასუხობენ სამრეწველო მეხილეობის განვითარებას საქართველოში.

1971 წლის 1 თებერვალს უეცრად შეწყდა დიდი მეცნიერის გულისცემა.

თელავიდან ჩამოუტანეს მშობლიური მიწა და გულზე მიმოაბნიეს.

კახი ხუციშვილი

საქართველოს სახალხო მხატვარი, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი კახი იოსების ძე ხუციშვილი დაიბადა 1928 წლის 17 ივნისს თელავის რაიონის სოფ. ართანაში.

ბავშვობა გაატარა კახეთის ამ ულამაზეს სოფელში. ხატვის სიყვარულმა მიიყვანა იგი სამხატვრო აკადემიის კედლებში, რომელიც დაამთავრა 1954 წელს.

ამავე წლიდან დაიწყო მუშაობა კინოსტუდია „ქართულ ფილმში" დამდგმელ მხატვრად. კახი ხუციშვილს გაფორმებული აქვს 25-ზე მეტი კინოფილმი. მათ შორის 1955 წელს გადაღებული შესანიშნავი ფილმი „მაგდანას ლურჯა" აქ იგი კოსტიუმების მხატვრად მუშაობდა. კახი ხუციშვილის შესანიშნავმა სამხატვრო ნიჭმაც შეუწყო ხელი ისეთი ფილმების პოპულარობას, როგორებიცაა: 1956 წელს შექმნილი „ბაში-აჩუკი", ამავე წელს შექმნილი „ჩვენი ეზო", 1957 წელს გადაღებული მელოდრამა „სხვისი შვილები", „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი" 1962 წელს.

განსაკუთრებული აღიარება მოუტანა მხატვარს სატელევიზიო ფილმი „დათა თუთაშხიაზე" მუშაობამ. 1981 წელს ფილმის მთელ შემოქმედებით კოლექტივთან ერთად მიენიჭა სსრკ სახელმწიფო პრემია.

კახი ხუციმვილს, განსაკუთრებული ღვაწლისა და დამსახურებისათვის, 1985 წელს მიენიჭა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია.

ოთარ ხუციშვილი

ქართველი მწერალი და ჟურნალისტი ოთარ ხუციშვილი დაიბადა 1932 წლის 4 აპრილს თელავის რაიონის სოფელ რუისპირში.

იგი განსაკუთრებული პროფესიონალი ჟურნალისტია იმათ შორის, ვინც ეკონომიკის თემაზე წერს. ბევრისგან განსხვავებით, მისი შემოქმედებითი პროდუქცია გამოირჩევა ანალიტიკურობით, პრობლემების ობიექტური შეფასებით და, რაც მთავარია, პოზიტიური მუხტით, რომელიც თავის თავში მოიცავს ამ პრობლემების გადაჭრა-მოგვარების გზების ძიებას.

მისი კრიტიკული მასალები ქვეყნის მრეწველობაში, ცალკეულ მიმართულებებსა და დარგებში, ცალკეულ სანარმოებში შექმნილი მდგომარეობის თაობაზე არაერთხელ გამხდარა შესაბამისი სტრუქტურების განსჯის საკითხი, მონონება და მხარდაჭერა დაუმსახურებია ფართო მკითხველი აუდიტორიისა.

იგი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემებს რეგიონებისა და დარგების მიხედვით. მისი ნერილები ხელს უწყობს საბელმწიფო და კერძო სექტორებში ეკონომიკის მართვის ახალი საფუძვლების დამკვიდრებას, რაც მიმართულია ქვეყნის ეკონომიკის რეაბილიტაციისაკენ.

ოთარ ხუციშვილია, მრავალმხრივი და პროფესიონალი ჟურნალისტის, რეიტინგი უაღრესად მაღალია ქართველ მკითხველთა შორის.

ო. ხუციშვილი 1957-59 წლებში მუშაობდა კომკავშირის თელავის რაიონული კომიტეტის მეორე მდივნის თანამდებობაზე. სხვადასხვა წლებში იყო ახმეტისა და თელავის რაიონული გაზეთების რედაქტორი. 1992 წლიდან დღემდე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციაშია ეკონომიკის რედაქციის რედაქტორად, ამავე დროს ამ გაზეთის ყოველკვირეული დამატება „ეკონომიკის" რედაქტორია. არის ნიგნის „ნიღბების დღესასნაულის" ავტორი. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1998წ.) და მედლებით.

ჯემალ ხუციშვილი

ქართველი ფერმწერი, საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი ჯემალ ნიკოლოზის ძე ხუციშვილი დაიბადა 1938 წლის 18 აპრილს ქალაქ თელავში.

დაამთავრა თბილისის ი. ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელი. მისი მნიშვნელოვანი ნამუშევრებია: „თელავის პეიზაჟი", „ნატურმორტი ქალამნებით", „ნ. ფიროსმანაშვილი" (აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების მუზეუმი, მოსკოვი), „ვაზო, შვილივით ნაზარდო" (საქართველოს სურათების გალერეა, თბილისი), „ხევსური გოგონა", „ძველი თბილისი" და სხვ.

საქართველოს სახელმწიფო სურათების გალერეაში მისმა პირველმა გამოფენამ უმალ მიიქცია საყოველთაო ყურადღება. „ამ გამოფენამ კიდევ ერთხელ გაგვახსენა დიდი ნიკო ფიროსმანაშვილი", — წერდა ე. ამაშუკელი.

ჯ. ხუციშვილის ნახატებში განსაკუთრებით მიტაცებს თვალით დანახულის გულწადებულის და ჯადოსნური ყალამოსმულის ერთიანობის ძალა.

მხატვრის ნახატებში ხელები და თვალები მითიური თვალსანიერით წარმოგვიდგება. აქაც არის იგი თვითმყოფადი და ყველასაგან განსხვავებული.

ღრმა „მუსიკალური თვალი და ყურია" საჭირო, რომ ჩანდე ამ თვისებათა საიდუმლოს, რომ ფაქტი ყალბი, ზედაპირული, სტილიზებული ეროვნული სამოსით არ შეამკო.

ჯემალ ხუციშვილის შემოქმედებითი „იდილია" იმ დიდ შინაგან სიმართლეზეა აღმოცენებული, რომელიც უარყოფს ყოველგვარ ცრუაკადემიურ ნორმებს, ყალბ ატილიზაციას და მხტვარი „მღერის" ისე, როგორც გალაკტიონი იტყოდა: *„მაქვს ბაერდს მიდებული ქნარი, როგორც მინდა".* დიდი შინაგანი სიმართლე გვაიძულებს, ვუცქეროთ ჯემალ ხუციშვილის ფერნერულ ტილოებს, მის შემოქმედებას, როგორც მობლიური კაბეთის მინაზე მზით დამნიფებული და დამძიმებული ვაზით მოჭირნახულე კაცის გულნრფელ აღტაცებას თუ მრავალჯერ დასეტყვილი ზვრებით მის გულსევდიანობას...

მრავალფეროვანია ჯ. ხუციშვილის თემატიკა, მხატვრის უპირველესი მიზანია, ეპოვოს მოვლენის არსი და ნარმოსახოს თავისებურად. აშკარად თვალშისაცემია ხატვრის ჰუმანიზმი, კაცთმოყვარე ბუნება, სხვანაირად, ალბათ, შეუძლებელია გადმოსცე სიცოცხლის მშვენიერება, ბუნების ჰარმონია, რომელსაც ჯ. ხუციშვილი თავის ნამუშევრებში აღწევს...

ჯემალ ხუციშვილს თამამად შეუძლია, საკუთარ შემოქმედებას დეევზად წაუმძღვაროს სიტყვები: „იყავ დღესვე ნრფელი, ხვალ შეიძლება გვიან იყოს" სინრფელემ, ამართლემ, სიცოცხლის სიყვარულმა გაიყვანა იგი შემოქმედების ნათელ და ფართო გზაზე.

მხატვარ ჯ. ხუციშვილის ნამუშევრები დაცულია მოსკოვში — აღმოსავლეთის ხალხთა კულტურის სახელმწიფო მუზეუმში, ტრეტიაკოვის გალერეაში; პარიზში — თანამედროვე მხატვრობის მუზეუმში; თბილისში — ხელოვნების სახელმწიფო ეროვნულ მუზეუმში; ხალხური შემოქმედების სახელმწიფო მუზეუმში, სრულიად

საქართველოს საპატრიარქოს ფონდში... ქუთაისში, კასპში, მირზაანში; ქ. იაშვილის სახელობის სახელმწიფო გალერეის ერთ-ერთ დარბაზში მოწყობილია მხატვრის ნამუშევრების მუდმივმოქმედი ექსპოზიცია.

წლების განმავლობაში იგი მონაწილეობს ჯგუფურ გამოფენებში: იაპონიაში, ინგლისში, კანადაში, ამერიკაში, ესპანეთში, იტალიაში, საფრანგეთში, გერმანიაში, ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთში, რუმინეთში, პოლონეთში. 1967 წელს მოსკოვში გამართული პერსონალური გამოფენა უჩვენეს პარიზის ტელევიზიით.

ავთანდილ ჯაფარიძე

1914-1959

ავიაციის პოლკოვნიკი ავთანდილ დავითის ძე ჯაფარიძე დაიბადა 1914 წლის 11 ივნისს თელავის რაიონის სოფ. წინანდალში. საშუალო სკოლა (გერმანული) დაამთავრა თბილისში. 1933 წელს სნავლობდა მოსკოვის საგზაო-სატრანსპორტო ინსტიტუტში, საიდანაც გაიწვიეს ნითელ არმიაში. დაამთავრა ეისკის საავიაციო სასნავლებელი ლეიტენანტის ნოდებით, სამსახური დაიწყო საზღვაო ფლოტის ავიაციაში.

დიდი სამამულო ომის პირველივე დღიდან ა. ჯაფარიძე ბრძოლის მონინავე ხაზზეა. ომის პერიოდში მამაცმა მფრინავმა 600-ზე მეტი საბრძოლო გაფრენა მოახდინა. ავთანდილ ჯაფარიძე, როგორც მეთაური, გამოირჩეოდა პირადი მამაცობით, ფრენის მაღალი ოსტატობით.

სამშობლოს წინაშე დამსახურებისათვის პოლკოვნიკი ავთანდილ ჯაფარიძე დაჯილდოებული იყო ნითელი დროშის ოთხი ორდენით, სამამულო ომის I ხარისხის, უშაკოვის მეორე ხარისხის ორდენებითა და მედლებით.

ავთანდილ ჯაფარიძის გმირობაზე მოგვითხრობს ილო მოსაშვილის — „ზღვის არნიები", სიმონ ჩიქოვანის — „რამდენიმე დღე კონსტანტინე ლესელიძესთან", „ჩვენი მფრინავების ბრნყინვალე გამარჯვება" და სხვ.

გარდაიცვალა 1959 წლის 11 დეკემბერს.

ლევან ჯაფარიძე

1905-1972

ბამოჩენილი ქართველი ბოტანიკოსი, მცენარეთა ფიზიოლოგი და ანატომი, მცენარეთა ფიზიოლოგიისა და ანატომიის ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე ლევან ივანეს ძე ჯაფარიძე დაიბადა ქ. თბილისში 1905 წლის 13 აპრილს.

ლ. ჯაფარიძემ საშუალო განათლება თელავში მიიღო — დაამთავრა თელავის გიმნაზია. 1927 წელს კი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტი. 1930-72 წწ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის მცენარეთა ანატომიისა და ფიზიოლოგიის განყოფილების გამგეა, 1937-1939 წწ. — ამავე ინსტიტუტის დირექტორი.

ლ. ჯაფარიძის გამოკვლევები ეხება მერქნის ანატომიის, მცენარეთა სქესის, მცენარეთა ვეგეტატიური გამრავლების, ვაზის ქლოროზის, კულტურულ მცენარეთა გამძლეობის, მცენარეთა ფოთლის გერონტოლოგიის აქტუალურ პრობლემებს. 1931 წლიდან იგი მცენარეთა ანატომიის საერთაშორისო ასოციაციის წევრია, ხოლო 1958 წლიდან საქართველოს ბოტანიკური საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელი და ვიცე-პრეზიდენტი. მისი ფუნდამენტური კვლევის შედეგები ასახულია თხზულებებში: „მცენარეთა სქესი" ორ ტომად, რომელიც შემდგომში ინგლისურად ითარგმნა და გამოიცა ისრაელში, აგრეთვე „მცენარეთა მიკროქიმიის პრაქტიკუმი", რომელიც ჯერ რუსულად გამოიცა მოსკოვში, შემდეგ კი ითარგმნა და გამოიცა ჩინეთში. აგრეთვე ავტორია რიგი პრაქტიკუმებისა და სახელმძღვანელოებისა მცენარეთა ანატომიასა და ფიზიოლოგიაში. აღსანიშნავია ლ. ჯაფარიძის კონსტრუქტორული ნიჭი, რომელიც მან ჯერ კიდევ ბავშვობაში გამოამჟღავნა და შემდგომში მეცნიერული მოღვაწეობის დროს შექმნა სხვადასხვა ხელსაწყო მცენარეთა ფიზიოლოგიური კვლევისათვის, რომელსაც ნარმატებით იყენებდნენ განყოფილების თანამშრომლები წლების მანძილზე. ლ. ჯაფარიძის მიერ აღზრდილია მცენარეთა ანატომ-ფიზიოლოგთა რამდენიმე თაობა, რომელიც დღესაც აგრძელებს ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევით მუშაობას საქართველოს სხვადასხვა კვლევით ინსტიტუტში.

ლ. ჯაფარიძე დაჯილდოებული იყო ორდენებითა და მედლებით.

სორთმან ჯაფარიძე

ექიმ-ექიმ, პროფესორი, საქართველოს სამედიცინო სოციალურ-მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი სორთმან აკაკის ძე ჯაფარიძე დაიბადა 1940 წლის 14 იანვარს ქალაქ თელავში, ექიმების ოჯახში.

1957 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა თელავის პირველი საშუალო სკოლა. იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში სამკურნალო ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1963 წელს.

სორთმან ჯაფარიძე 1964 წელს იწყებს პრაქტიკულ საექიმო მოღვაწეობას ბორჯომის სანატორიუმ „ლიკანის" ქირურგად. 1967 წლიდან გადმოყავთ თბილისის რესპუბლიკურ ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში „ხელოვნური თირკმელის" განყოფილების გამგედ.

1974 წლიდან იგი მუშაობას იწყებს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ჯერ უროლოგიის კათედრის უფროს ლაბორანტად, ასისტენტად, დოცენტად, კათედრის გამგედ და მათ შორის კათედრის პროფესორად. არჩეულია უნივერსიტეტის გაერთიანებული პროფკომიტეტის თავმჯდომარედ.

ს. ჯაფარიძემ დისერტაციები, რომელთა თემა ეხებოდა თირკმელების მწვავე უკმარისობას და უროსეფსის პრობლემებს ქ. კიევში დაიცვა. 1998 წლის მარტში იგი აირჩიეს საქართველოს სამედიცინო სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად. არის ევროპის უროლოგთა ასოციაციის აქტიური წევრი. აქვს როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში გამოქვეყნებული 52 სამეცნიერო ნაშრომი. მასვე ეკუთვნის ორი გამოგონება საავტორო უფლებით. მან პირველმა მსოფლიოში შექმნა უროსეფსისის ექსპერიმენტული მოდელი. საქართველოში მან პირველმა დანერგა შარდსანვეთების კენჭების ექსტრაქციის (უოპერაციოდ გამოღების) უნივერსალური მეთოდი თავისივე გაკეთებული ლითონის ექსტრაქტორის გამოყენებით. აგრეთვე, პირველმა შეიმუშავა სეფსისის ფორმების — სეპტიცემიის და სეპტიკოპიემიის სადიფერენციაციო მეთოდი.

სორთმან ჯაფარიძე ამჟამადაც განაგრძობს აქტიურ სამედიცინო პრაქტიკულ, მეცნიერულ და პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის უროლოგიურ კლინიკაში, რომელიც მდებარეობს თბილისის ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში.

იზა ჯაჭვაძე

„ჯერ ქალად ყოფნამ დაბადა.
მერე — პოეტად ყოფნამ“.

ნაზი კილასონია

Იზა ზაქარიას ასული ჯაჭვაძე — ქართველი პოეტი და ჟურნალისტი ქალი, დაიბადა 1945 წლის 7 მარტს თელავის რაიონის სოფელ ფშაველში, პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის, შაქრო ჯაჭვაძის მრავალშვილიან ოჯახში. დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. როგორც პროფესიონალმა ჟურნალისტმა, უნივერსიტეტიდანვე დაიწყო რთული ჟურნალისტური მოღვაწეობა, ხოლო ლექსების წერა სკოლის მერხიდან „აჰყვა“. მისი პროფესიული სამწერლო ნათლობა 1975 წელს შედგა, როდესაც ჟურნალ „ნობათში“ პირველი ლექსები გამოქვეყნდა, რის შემდეგაც იზა ჯაჭვაძე ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწევა. მისი ფსევდონიმებია „სტორელი“ და „ნიავქალა“

ჯაჭვაძე რამდენიმე წიგნის ავტორია. განსაკუთრებით საყურადღებოა მისი პუბლიცისტური წერილების კრებული „მიყვარხარ, მთაო, ტიალო“, რომელშიც დიდი პროფესიონალიზმით, საქმის ღრმა ცოდნით გადმოცემულია კახეთისა და თუშ-ფშავ-ხევსურეთის პრობლემები და სადაც ერის წყლულით გულდამძიმებული მამულიშვილის ტკივილი და ოხვრა ისმის.

ქართველი მკითხველი კარგად იცნობს იზა ჯაჭვაძის შემოქმედებას როგორც პუბლიცისტიკაში, ასევე პოეზიაში. თითქმის არ დარჩენილა პრობლემა მთიელთა ცხოვრებაში, რომელსაც იზა თავისი კალმით არ გამოხმაურებოდა.

1970 წლიდან ი. ჯაჭვაძე მუშაობდა გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ შტატგარეშე კორესპონდენტად, ხოლო 1973 წლიდან გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში ჯერ ტექნიკურ მუშაკად. ხოლო დღეიათვის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ კორესპონდენტია, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის წევრი. გამოცემული აქვს ორი პუბლიცისტური და ორი პოეტური კრებული.

1995 წლიდან საქართველოს მწერალთა კავშირის წევრია.

ᲝᲡᲔᲤ ᲡᲝᲡᲝ ᲐᲘᲕᲐᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ

1888-1958

სოსო სტეფანეს ძე აივაზაშვილი დაიბადა 1888 წელს ქ. თელავში, ღარიბი გლეხის ოჯახში. ათი წლის მამით ობოლი ბავშვი ნათესავებმა ხელზე მოსამსახურედ დააყენეს თბილისში ერთ ვაჭართან; ს. აივაზაშვილი ძმის, გიორგის საშუალებით მოწინავე მუშებსა და რევოლუციონერებს ეცნობა. რევოლუციონერ მუშებთან კავშირისათვის 1904 წელს ვაჭარმა ის დაითხოვა სამუშაოდან. 1905 წ. სოსო თელავშია და მალე მუშათა ერთ-ერთი სოციალ-დემოკრატიული წრის ხელმძღვანელი ხდება.

1905 წლის ზაფხულში თელავში ჩამოყალიბდა წითელი რაზმი. ს. აივაზაშვილი, ამ რაზმის აქტიური წევრი, მონაწილეობდა შეიარაღებულ გამოსვლებში მეფის მთავრობის წინააღმდეგ. დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების დამარცხების შემდეგ იგი სხვა რაზმელებთან ერთად ტყეში გაიხიზნა და აგრძელებდა პარტიზანულ ბრძოლას ადგილობრივ ჟელისუფალთა წინააღმდეგ.

1906 წელს პოლიციელებმა მოკლეს ს. აივაზაშვილის უფროსი ძმა გიორგი, რის შემდეგაც მათ ოჯახზე პოლიციამ უფრო მკაცრი მეთვალყურეობა დააწესა.

1906 წელს ერთ-ერთი შეტაკების დროს პოლიციამ ს. აივაზაშვილი რამდენიმე ამხანაგთან ერთად დააპატიმრა. იგი მოათავსეს თელავის ციხეში. თელავში შემდგარმა სამხედრო საველე სასამართლომ აივაზაშვილს 6 წლით კატორღა მიუსაჯა.

1906-1912 წლებში ს. აივაზაშვილი პოლიტკატორღელია, იქ ის ეწეოდა მძიმე შრომას მაღაროებში, კატორღის ვადის დამთავრების შემდეგ კი გადაასახლეს იმიერბაიკალის მხარეში, საიდანაც განთავისუფლდა 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ. კატორღაში ყოფნის დროს ს. აივაზაშვილი დაავადმყოფდა ჭლექით. 1917-1929 წლამდე ცხოვრობდა ჩიტის ოლქში, სოფ. პესჩანკაში. 1929 წელს დაბრუნდა ქ. თელავში, სადაც დაიწყო მუშაობა მეტეოროლოგიურ სადგურში დამკვირვებლად.

რუსეთის პირველი რევოლუციის 50-ე წლისთავთან დაკავშირებით ს. აივაზაშვილი დააჯილდოვეს შრომის წითელი დროშის ორდენით.

სიღნაღი


სიღნაღის რაიონი
ლაგოდეხის
რ-ნი
ბაკურციხე
ანაგა
ბერკანი
ბეკირი
ნინორი
სიღნაღი
ბოდბისხევი
ალვანი
ქვემო მაჩხაანი
ქვემო მაიაკო
ბაბიანი
ძველი ანაგა
ქვემო ბოდბე
ყაბარჯენა
დედოფლის წყარო
ზემო ქედი
დედოფლის წყაროს რაიონი
ალაზანი
ნინრ
ჯ.ბასარდეკი
890
საქართველო

სიღნაღის რაიონი – ადმინისტრაციულ-ტერიტორიული რაიონი აღმოსავლეთ საქართველოში. შედიოდა თბილისის გუბერნიაში. 1930 წლიდან კახეთის დამოუკიდებელი რაიონია.

მდინარე – ალაზანი

ჰავა – ზომიერად ნოტიო, სუბტროპიკული

ნიადაგი – ალუვიურ-კარბონატული

მცენარეული – მუხა, რცხილა, ძეძვი, ჯაგარცხილა და სხვ. ჭალის ვერხვი, თელა, წნორი, იალღუნი და სხვ. კუნელი, კონახური და სხვ. ლიანები.

ცხოველი (გარეული) – მგელი, მელა, ტურა, თეთრყელა, კვერნა, მაჩვი, დედოფალა, კურდღელი, ლელიანის კატა, გარეული ღორი, ზოლებიანი აფთარი.

ფრინველი – კაკაბი, ჩვეულებრივი ხოხობი, გნოლი, მწყერი, შაშვი, ყვავი, კაჭკაჭი, გარეული მტრედი და სხვ.

თევზი – ქაშაპი, მტკვრის ტობი, ხრამული, მურწა, ფრიტა, თაღლითა, მტკვრის წვერა, გველანა, წითელტუჩა ჭერეხი, მტკვრის ციმორი, ჭანარი, ბლიკა, გოჭალა და სხვ.

მრეწველობა – მთავარი დარგია კვების მრეწველობა. არის ღვინის 7 ქარხანა (სიღნაღში, წნორში, ხირსაში, ტიბაანში, ანაგაში, ვაქირში და ქვემო მაღაროში) და სხვ.

ისტორიული ძეგლები: ბოდბისა და ხირსის მონასტრები (ტიბაანის მახლობლად), ბოდბის გამოქვაბულთა კომპლექსი (XI-XIII სს.), ვაქირის (შუა საუკ.), ეკლესია მაღაროს მახლობლად, თამარის ციხე და წმ. ელიას ეკლესია (შუა საუკ.) ძველანაგაში, სიღნაღის ციხე (შუა საუკ.) და სხვ.

ვანო სარაჯიშვილი

1879-1924

1879 წლის 1 მაისს ქ. სიღნაღში დაიბადა დიდი ქართველი მომღერალი (ლირიკულ-დრამატული ტენორი), საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, საქართველოს ბულბულად წოდებული ვანო (ივანე) პეტრეს ძე სარაჯიშვილი.

1887 წელს სწავლობდა თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში, აქვე მღეროდა მოსწავლეთა გუნდში. 1898 წელს შევიდა თბილისის სამუსიკო სასწავლებელში (ჩელოს კლასი), 1898-1900 წწ. ქართული ხალხური გუნდის (ხელმძღვ. ს. კავსაძე) მომღერალი-სოლისტი იყო. 1903 წელს პეტერბურგს გაემგზავრა და სიმღერას სწავლობდა ჯერ ი. პრიანიშნიკოვთან, შემდეგ — ა. პანაევა-კარცევასთან. მისი საოპერო დებიუტი შედგა 1907 წელს პეტერბურგში (ა.ა. წერეთლის საოპერო დასი (ალფრედი). ჯ. ვერდის ოპერა „ტრავიატაში"). პარალელურად იტალიაში კასტელანოს ხელმძღვანელობით ეუფლებოდა ბელკანტოს ხელოვნებას.

ვ. სარაჯიშვილმა საოპერო აღიარება მოიპოვა იტალიის სხვადასხვა ქალაქის თეატრებში გამოსვლებით. პეტერბურგში დაბრუნების შემდეგ მუშაობა განაგრძო იტალიურ დასში. 1908 წლიდან ცხოვრობდა თბილისში. თბილისის საოპერო სცენაზე ასრულებდა მთავარ პარტიებს ევროპელი და რუსი კომპოზიტორების ოპერებში. მღეროდა ქართველი კომპოზიტორების (მ. ბალანჩივაძის, დ. არაყიშვილის და სხვ.) რომანსებს. ჯერ კიდევ 1913 წლის 28 მაისს მონანილეობა მიიღო ზ. ფალიაშვილის ოპერის „აბესალომ და ეთერის" ახლად შექმნილი ფრაგმენტების შესრულებაში (აბესალომის პარტია). 1916-17 წწ. მღეროდა ბაქოში, 1910-20-იანი წლები სარაჯიშვილის შემოქმედების აყვავების ხანაა. იგი მონანილეობდა ზ. ფალიაშვილის ოპერების დადგმებში, მღეროდა აბესალომისა („აბესალომ და ეთერი") და მალხაზის („დაისი") პარტიებს. ცნობილია, რომ მალხაზის არია „თავო ჩემო" ფალიაშვილმა დაწერა და „დაისში" შეიტანა სარაჯიშვილის თხოვნით.

მოღვაწეობის მთელ მანძილზე სარაჯიშვილი სისტემატურად მართავდა კონცერტებს. ასრულებდა ქართველი და რუსი კომპოზიტორების რომანსებს, ქართულ ხალხურ და ნეაპოლიტანურ სიმღერებს.

ვ. სარაჯიშვილი ქართული პროფესიული ვოკალური ხელოვნების ერთ-ერთი ფუძემდებელია, ქართველი ხალხის უსაყვარლესი მომღერალი, „საქართველოს ბულბული", იგი სიცოცხლეშივე იქცა ლეგენდად.

ასეთი პოპულარობა ვანოს მოუხვეჭა მისმა იშვიათი სილამაზის ხმამ, დახვეწილმა ვოკალურმა ოსტატობამ და ნათელმა სცენურმა ნიჭმა.

ვანო სარაჯიშვილის რეპერტუარი ფართო და მრავალფეროვანი იყო; იგი თანაბარი ნარმატებით ასრულებდა როგორც ლირიკულ, ისე დრამატულ პარტიებს: შოთა (არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე"), კოტე (ვ. დოლიძის „ქეთო და კოტე"), რადამესი (ვერდის „აიდა"), ხოზე (ბიზეს „კარმენი"), ფაუსტი (გუნოს „ფაუსტი"), ჰერცოგი, ალფრედი (ვერდის „რიგოლეტო", „ტრავიატა"), ნადირი (ბიზეს „მარგალიტის მაძიებლები"), ლოენგრინი (ვაგნერის „ლოენგრინი"), ლენსკი, გერმანი (ჩაიკოვსკის „ეუგენი ონეგინი", „პიკის ქალი"), სინოდალი (რუბინშტეინის „დემონი") და სხვ. ვ. სარაჯიშვილი გადაღებულია კინოფილმ „მამის მკვლელში" (1923 წ.). მისი ხმა შემოგვინახა რამდენიმე გრამფირფიტამ.

— „ვ. სარაჯიშვილის მუსიკალურობას ბადალი არ ჰყავდა მომღერალთა შორის. იგი ქართული პროფესიული სიმღერების გულია და მისი შეუჩერებელი მაჯისცემა. ვანომ ბრწყინ-

ვალედ ჩაატარა დებიუტი ლასკალაში, წარმატებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, მიინვიეს პირველ ტენორად და ყველგან საყვარელი და სასურველი მომღერალი შეიქნა.

სარაჯიშვილი პეტერბურგში იტალიის დასის მიერ ჩატარებული სეზონის თვალმარგალიტად გადაიქცა. მისი მოსმენით არა მარტო საზოგადოება, არამედ იტალიელი მსახიობებიც ტკბებოდნენ.

ვანომ უდიდესი ღვაწლი დასდო ქართული საოპერო რეპუტაციის შექმნას. თუ მან თავისი შესრულებით აბესალომის პარტია ზენიტში აიყვანა, არც „აბესალომი" დარჩენია ვალში. „აბესალომმა" ვანოს უკვდავება მიანიჭა. ჩვენ ასეთი მგრძნობიარე მომღერალი არ გვყოლია და არც მოგვისმენია. ასეთი იყო ჩვენი ტკბილი ბულბული — ვანო სარაჯიშვილი"

დ. მჭედლიძე.

ვ. სარაჯიშვილი დაკრძალულია თბილისის ოპერის თეატრის ბაღში. მისი სახელი მინიჭებული აქვს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიას. 1947 წლიდან არსებობს მისი სახელობის ქუჩა თბილისში.

ქ. სიღნაღში მაისის თვეში ყოველწლიურად ეწყობა მომღერლისადმი მიძღვნილი ზეიმი — „ვანოობა"

„...ადვილად წარმოიდგენთ, თუ რა სიხარული იყო ჩემთვის ვანო სარაჯიშვილის პარტნიორობა. მე მაშინ ძალიან ახალგაზრდა ვიყავი, სულ 16 წლის გოგონა. მე ვთამაშობდი იმ ადამიანთან (მხ. ფილმი „მამის მკვლელი" — ო.ნ.), ვინც ქართველი ხალხის სიყვარული იყო, ხოლო ჩემი ხნის ახალგაზრდობისათვის — ნამდვილი კერპი.

სარაჯიშვილი მაშინ 45 წლის იყო, მაგრამ ნახეთ ის ეკრანზე და დარწმუნდებით, რომ სხვა ნიჭთან ერთად ბუნებამ ის საოცრად დაზოგა და შეუნარჩუნა ახალგაზრდული შეხედულება, დიდი ტემპერამენტი და მომხიბვლელობა...

საამნუხაროა რომ მის დროს ხმოვანი კინო არ არსებობდა. ძველმა ეკრანმა აღბეჭდა ვანო სარაჯიშვილის სახე, თამაში, მაგრამ მთელი მისი სიდიადე ხომ სიმღერაში იყო.

ვისაც სარაჯიშვილი მოუსმენია, მისი ხმისა და სიმღერის ძალა განუცდია, მისთვის ის დაუვიწყარია.

მრავალს მოუსმენია ვანო სარაჯიშვილი, მაგრამ ბევრს არ ჰქონია ბედნიერება მოესმინა იმ წუთებში, როცა თითონ მას ემღერებოდა, იმ წუთებში, როცა მას არ შეეძლო არ ემღერა, როცა ის თავის ღმერთთან ურთიერთობაში იყო.

მე ერთხელ მქონდა შემთხვევა ასეთ წუთში მომესმინა მისთვის. ეს მოხდა სიღნაღში. გაზაფხული იყო, აივანზე ვისხედით ძველი ციხე-გალავნის ახლო. ნათელი, მთვარიანი ღამე იყო. ქვევით ალაზნის ველი გადაშლილიყო. დღით მე დავინახე, თუ როგორ ჰყვავოდნენ იქ, ქვევით, ალუბლის და ვაშლის ხეები და ახლაც, ამ ნათელ ღამეში, მეჩვენებოდა, თითქო ვხედავდი მათ და ვყნოსავდი დამათრობელ სურნელს. მთვარით განათებული კავკასიონის თოვლიანი ქედი თეთრად ბრწყინავდა. სიჩუმეში ვიდექით და გავცქეროდით ყველანი ამ მომხიბლავ ჩვენებას. და აი, თითქოს მოულოდნელად კი არა, არამედ თითქოს ჩვენი გულიდან ამოსულიყო, მოისმა ჯერ ჩუმი ჰანგი, ისეთივე ჩუმი, როგორადაც ლოცვა იწყება.

ეს ვანო სარაჯიშვილი მღეროდა მშობლიურ ურმულს. ჩუმად დაიწყო, შემდეგ მისი ხმა თანდათან გაძლიერდა, გადაეფინა გაყუჩებულ ალაზნის ველს და შორეულ მთებს გადასწვდა. მისი ხმა, მისი არსება შეერთებული იყო ამ წუთში იმ მომხიბლავ ჩვენებასთან, რომელიც შორ მანძილზე გადაშლილიყო. მომღერალი თითქო უბრუნებდა გარემოს იმ ჰანგსა და ხმას, რომელიც მისგანვე მიეღო. ეს ხმები დაბადებული ამ ველზე, მის მწვანეში, ალაზნის ტალღებში, გლეხის კერის ღუღუნში, — იქნებ ესმოდათ ყველა ამათ ისევე, როგორც ჩვენ, ადამიანებს.

ის მღეროდა დიდბანს და ყველაფერი მას უსმენდა. მის ხმაში მისი მშობელი ხალხის ხმა ისმოდა.

ჩემს მეხსიერებაში სამუდამოდ დარჩა ეს ღამე.

სრული ერთი წლის შემდეგ გარდაიცვალა ვანო სარაჯიშვილი.

ეს თითქოს მითიურ ორფეოსად იქცა ჩვენთვის და მისი სიმღერის ძალა უკვდავ ლეგენდასავით დარჩა ხალხში"

ნატო ვაჩნაძე

სოლომონ დოდაშვილი

1805-1836

ეს თუნდა ფაღრისა-თვის ქმნილიყო
ერაქმე სიყვარულისა-თვის ძეფერისა.

ილია

დიდი ქართველი განმანათლებელი და ფილოსოფოს-ლოგიკოსი და ჟურნალიატი სოლომონ ივანეს ძე დოდაშვილი დაიბადა 1805 წლის 17 (30) მაისს სიღნაღის რაიონის სოფელ მაღაროში.

18 18 წელს შევიდა სიღნაღის სასულიერო სასნავლებელში, 1820 წელს კი თბილისის სასულიერო სემინარიაში, რომელიც 1822 წელს დაამთავრა. 1827 წელს დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის ფილოსოფიურ-იურიდიული ფაკულტეტი და ამავე ნელს დაბრუნდა თბილისში. 1828 წელს იყო გაზეთ „ტფილისის უნყებანის" ქართული გამოცემის რედაქტორი.

ს. დოდაშვილის მსოფლმხედველობის ფორმირებაზე დიდი გავლენა მოახდინა რუსეთის პროგრესულმა აზროვნებამ. პეტერბურგში იგი დეკაბრისტების გამოსვლას დაესწრო და მათი უმონყალოდ დასჯის მოწმე გახდა, რამაც მასზე წარუშლელი კვალი დატოვა. მან საქართველოში ჩამოიტანა დეკაბრისტ კ. რილეევის „ნალივაიკო", რომელიც დაპატიმრების დროს აღმოუჩინეს.

ს. დოდაშვილის მეთაურობით ქართველმა ინტელიგენტებმა 1832 წლის იანვარში დაიწყეს გამოცემა პირველი ქართული ჟურნალისა „სალიტერატურონი ნანილნი ტფილისის უწყებათანი", რომელმაც გააჩაღა ბრძოლა ქართული ენის, მწერლობისა და, საერთოდ, ქვეყნის კულტურული განვითარებისათვის. ჟურნალი ენეოდა ერეკლე II-ის გმირულ საქმეთა პოპულარიზაციას, იბრძოდა ხალხის განვითარებისათვის და სამშობლოსადმი თავდადებულ სიყვარულს ქადაგებდა. მაშინდელი მკაცრი ცენზურის პირობებში, როდესაც მეფის მსახურები ახშობდნენ ყოველგვარ მოწინავე აზრს, ჟურნალი შენიღბულად ახერხებდა კოლონიური ჩაგვრისაგან ქართველი ხალხის განმათავისუფლებელი იდეების პროპაგანდას.

მე-19 საუკუნის 20-იანი წლებიდან პეტერბურგში მყოფი ოქროპირი და დიმიტრი ბატონიშვილი იქ ჩასულ ქართველ ახალგაზრდებს პროპაგანდას უწევდნენ რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ შეიარაღებული გამოსვლის მოსაწყობად... აქტიურ შეთქმულებს შორის ერია სოლომონ დოდაშვილიც. მაგრამ იგი დანარჩენთა მონარქიულ მიზნებს არ იზიარებდა და საქართველოში რესპუბლიკური წყობილებისმაგვარი სახელმწიფოს შექმნისათვის იბრძოდა...

მთავრობამ შეიპყრო და გაასამართლა 38 შეთქმული. ისინი სხვადასხვა ვადით გადაასახლეს რუსეთის გუბერნიებში. ს. დოდაშვილი შორეულ ქალაქ ვიატკაში გაგზავნეს, სამშობლოსათვის თავდადებულმა დოდაშვილმა სასამართლო გამოძიებისას ამხილა თვითმპყრობელური მმართველობის უმსგავსობა. ამისათვის იგი სხვებზე უფრო მეტად დასჯეს.

სოლომონის დაწყებულ საქმეს განაგრძობდნენ ქვეყნის მოწინავე ძალები; მის წერილებს იმეორებდნენ თბილისის გიმნაზიის ქართველი მოსწავლეები თავიანთ ხელნაწერ ჟურნალებში. მისმა ყოფილმა მოწაფეებმა: ნ. ბარათაშვილმა, მ. თუმანიშვილმა და სხვებმა 1835 წელს დაიწყეს ჟურნალ „თბილისის გიმნაზიის ყვავილის" გამოშვება...

ჭლექით დაავადებული სოლომონ დოდაშვილი გარდაიცვალა ქ. ვიატკაში 1836 წელს, 31 წლის ასაკში.

სოლომონ დოდაშვილის ფილოსოფიური შრომებია „ლოგიკა", „ლოგიკის მეთოდოლოგია" და „რიტორიკა". ს. დოდაშვილის აზრით, ფილოსოფიური ობიექტი არის ადამიანის შინაგანი სამყარო, ანუ „სამყარო ჩვენში", რომელსაც იგი მჭიდროდ უკავშირებს მატერიალურ სამყაროს. ლოგიკის ობიექტად კი „საერთო აზროვნების წესებს", ანუ „გონებისა და აზროვნების საყოველთაო და უცვლელ კანონებს" მიიჩნევს. ს. დოდაშვილმა ლოგიკიდან და, საერთოდ, ფილოსოფიიდან გამორიცხა ყოველგვარი ზებუნებრივი ძალა. სინამდვილის შემეცნების ერთადერთ გზად ასახვა აღიარა. იგი აკრიტიკებდა სკეპტიციზმსა და სხვა „მცდარ მიმდინარეობათ" და წერდა: „ჩვენ შევიცნობთ ასახვის გზით"

ლოგიკის მეთოდოლოგიის ამოცანად ს. დოდაშვილს მიაჩნდა შემეცნების სრულყოფა, შემეცნების საზღვრების გაფართოება, ანუ ლოგიკის გამოყენება პრაქტიკაში.

„რიტორიკაში" ს. დოდაშვილი განიხილავს ესთეტიკის ზოგად პრობლემატიკას, ეხება პროზისა და პოეზიის, მჭევრმეტყველებისა და, საერთოდ, ხელოვნების თეორიას. ხელოვნებაში მისთვის ძირითადია შინაარსი და არა ფორმა, შინაარსი კი ობიექტური სინამდვილით არის გაპირობებული. შემოქმედისათვის აუცილებელია განათლება, ჭეშმარიტების სიყვარული, ბუნებრივი მონაცემები, დიდი მგრძნობიარობა.

ს. დოდაშვილი ილაშქრებს ყოველგვარი ცრუმორწმუნეობის წინააღმდეგ, ქადაგებს განათლების ფართოდ დანერგვას. მისი განმანათლებლური იდეები პატრიოტიზმით იყო ნაკარნახევი. ს. დოდაშვილის იდეებმა საფუძველი ჩაუყარა და ხელი შეუწყო თერგდალეულთა მოღვაწეობას.

დიდი ღვაწლი მიუძღვის სოლომონ დოდაშვილს ქართული ენის გრამატიკისა და ლიტერატურის განვითარების საქმეში. ჯერ კიდევ 1830 წელს დაიბეჭდა მისი სასკოლო გრამატიკა სათაურით „შემოკლებული ქართული ღრამმატიკა" (1827 წ.). წიგნის მიზანია გამართული წერა-კითხვისა და სწორი მეტყველების სწავლება. მასში შეტანილია შემდეგი დისციპლინები: მორფოლოგია, სინტაქსი, ორთოგრაფია. ს. დოდაშვილის გრამატიკა გამოირჩევა მასალის მწყობრი და თანმიმდევრული განხილვით, ნათელი მსჯელობით, მკაფიო დებულებებითა და დახვეწილი ტერმინოლოგიით. დახასიათებულია ბრუნვათა სინტაქსური ფუნქციები. ს. დოდაშვილი იყო ბელეტრისტი, ლიტერატორი, ისტორიკოსი და თეორეტიკოსი. მის თხზულებაში „რიტორიკა" განხილულია ე.წ. „აღმკობლის პროზის" (მხატვრული პროზის) თეორიის საკითხები. აქვე ეხება იგი გრამატიკის, სტილისტიკისა და მეტყველების კულტურის საკითხებსაც. ს. დოდაშვილის „მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა ანუ სიტყვიერებისა", რომელიც დაიბეჭდა ჟურნალში „სალიტერატურონი ნანილნი „ტფილისის უწყებათანი" (1832 წ., № 1,2), ძველი ქართული ლიტერატურის პერიოდიზაციის პირველი ცდაა; ავტორი ასაბუთებს ქართული მწერლობის თვითმყოფადობას, მიმოიხილავს ქართველ მწერალთა, მთარგმნელთა და ფილოსოფოსთა მოღვაწეობას. ამავე ჟურნალში გამოქვეყნდა ს. დოდაშვილის მოთხრობა „ელენა" (№4,5).

ს. დოდაშვილმა დატოვა მდიდარი ეპისტოლური მემკვიდრეობაც (წერილები ი. ხელაშვილისადმი, ფ. კიკნაძისადმი, ანა დედოფლისადმი, ოქროპირ ბატონიშვილისადმი და სხვ.).

გაიოზ რეჟტორი

ნაცვლიშვილი

1746-1821

...ეჰ-ჰეჰეიმი! ჭლაკი ეოსებაის! ოკვენის! ბოუმეგრებლად ,ღქმის!-თვის სიბრმის!..
გაიოზ რეჟტორი

XVIII საუკუნის მეორე ნახევრისა და XIX საუკუნის დასაწყისის გამოჩენილ მოღვაწეთა შორის გამოირჩევა გაიოზ რეჟტორი. ამ უდაოდ დიდი ნიჭისა და ერუდიციის ადამიანმა თავისი უნარი გამოამჟღავნა როგორც მეცნიერმა და პედაგოგმა, მთარგმნელმა და დიპლომატმა, ლიტერატორმა და ორატორმა.

გაიოზ რეჟტორი მიეკუთვნება იმ ქართველ მოღვაწეებს, რომლებმაც უდიდესი ნვლილი შეიტანეს საქართველოში სასკოლო საქმის დანერგვასა და განვითარებაში. მაგრამ გაიოზ რეჟტორის მოღვაწეობა მარტო საქართველოთი როდი განისაზღვრება. ამ შესანიშნავმა ადამიანმა, რომელმაც თავისი ცხოვრების უმეტესი ნანილი რუსეთის სხვადასხვა გარეუბანში გაატარა, ყველგან ნარუშლელი კეალი დატოვა, როგორც საუკეთესო ორგანიზატორმა, აღმზრდელმა და ჰუმანისტმა...

პირველი, ვინც მასში დიდაქტიკოსისა და მასწავლებლის თვისებები შეამჩნია, იყო მისი აღმზრდელი ანტონ კათალიკოსი, რომელიც „... გაიოზს უწოდდა კარგსა მასწავლებელსა და მოძღვარსა და ადვილად ძნელთა განმარტებელსა მოწაფეთადმი თვისთა" როგორც მისი თანამედროვენი, ასევე შემდგომი მკვლევარები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ გაიოზი ეკუთვნოდა „ანტონის ღირსეულ მოწაფეთა რიცხვს"

... გაიოზმა თავის დიპლომატიურ მისიასთან ერთად აღასრულა დიდი ეროვნული საქმე – თელავის სემინარიის გახსნა. მხოლოდ დიდი ენერგიისა და ნიჭის ადამიანს შეეძლო ერთიდროულად გასძღოლოდა ორ ისეთ დიდ საქმეს, როგორიც XVIII საუკუნის მინურულის საქართველოს საგარეო საქმეთა მოგვარება და ქვეყნის განათლების საკითხის გადაწყვეტა იყო. გაიოზ რეჟტორი ორივე საქმეს მთელი პასუხისმგებლობით მოეკიდა.

თელავის სასულიერო სემინარია გაიოზმა შექმნა ფილოსოფიური სკოლის ბაზაზე, სადაც უკვე არსებობდა სწავლა-აღზრდის დაკანონებული წესი.

სემინარიის გახსნას თვით გაიოზ რეჟტორი ასე აგვიწერს: „მოქმედება დღესასნაულობით დაწყებასა ზედა ახლისა სემინარიისა ქალაქსა შინა თელავს, თვესა მაისს, 28, დღესა შაბათსა, ნელსა 1782, დროსა ყოვლად უბრწყინვალესისა და უკეთილმსახურებისა მეფისა ირაკლი მეორისა ყოვლისა საქართველოსა, მამათმთავრობასა უწმინდელისა და უნეტარესისა პატრიარხისა და სემინარიისა ამის სრულისა დირეკტორისა და პროტეკტორისა და აქაურთა გნოსისთა დიდასკალოსისა მეფის ძის ანტონისა, რომელსაცა მონების ერთგულებით მიართმევს ამათ უსამღვდელოესთა პირთა მისვე სემინარიის რეკტორი არხიმანდრიტი გაიოს"

სემინარიის დაარსება უდიდესი ზეიმი იყო იმდროინდელი ქართველი საზოგადოებრიობის პროგრესული ნაწილისათვის...

გაიოზი.ამ საქმეში მარტო არ ყოფილა, მას შემოკრებილი ჰყავდა „ძენიცა მამულისა ჩვენისა", რომლებიც იყვნენ „მოსწრაფე განვრცობისათვის ამის ძვირფასისა საქმისა"

გაიოზის აზრით, თელავის სემინარიის გახსნა უდიდესი საშვილიშვილო საქმე იყო, „ერისთვის კახეთისა და ყოვლისა საქართველოისა, რომელსაც შინა... სათნოდ კაცთა აღიზრდებიან შვილნი და შვილის-შვილნი თქვენნი და მომავალი ნათესავნი"

საგულისხმოა, რომ თელავის სემინარიაში სხვა ეროვნების წარმომადგენლებსაც ღებულობდნენ. ცნობილი ისტორიკოსი და მკვლევარი ზ. ჭიჭინაძე მოგვითხრობს, რომ „თელავის სემინარიაში ანტონ კათალიკოზმა ოსთა შვილებიც მიაღებინა მოსწავლედ, რომელთაც კარგად უმზერდა იმავე სემინარიის რექტორი გაიოზ ნაცვლიშვილი"

გაიოზ რექტორს, როგორც საუკეთესო აღმზრდელსა და პედაგოგს, დიდად აფასებდნენ მისი ყოფილი მოსწავლეები და თანამედროვეები, რომლებიც ყოველთვის მონინების გრძნობით მოიხსენიებდნენ მას. ესენი იყვნენ: თეიმურაზ, ვახტანგ, დავით და იოანე ბატონიშვილები, სოლომონ იმერთა მეფე, დავით რექტორი და სხვა მრავალნი.

გაიოზ რექტორმა ძალიან მცირე ხანს იმოღვაწა თელავის სასულიერო სემინარიაში... სემინარიის წლისთავის (1783 წლის 28 მაისს) საზეიმოდ აღნიშვნის შემდეგ ის დიპლომატიური მისიით გაიგზავნა დაბა გეორგიევსკში. ამ მოგზაურობის შედეგების ერეკლე მეფისათვის მოხსენების შემდეგ კი გაემგზავრა რუსეთს, საიდანაც აღარ დაბრუნებულა.

გაიოზის ნამდვილი გვარი ჩვენთვის უცნობია. საგულისხმოა, რომ ის არ სცოდნ̣ იათ ორატორის თანამედროვეებსაც. შემდეგი დროის მკვლევართა მიერ ნავარაუდევი გვარები (ბარათაშვილი, თაყაიშვილი, ნაცვლიშვილი) მცდარია და უმართებულო. ამიტომ გაიოზი თანამდებობის აღმნიშვნელი ზედწოდებით იხსენიება.

სანდრო ახმეტელი

1886-1937

...ადგეს ერი, ადგეს თვით თეატრიც, [illegible] ქართული სული".
„ძმაკაცი ჩვენი დიდია, თავდაბეჭდიმელი, ვაქაქს ძრიელ-ფეროვანი სიშეფდება. ღეთაებრივი ჩიქი, ეჩარა [illegible] ტერმინობანრეგ ბუნეა".

სანდრო ახმეტელი

1886 წლის 1(13) აპრილს სიღნაღის რაიონის სოფ. ანაგაში დაიბადა ქართველი რეჟისორი, ქართული თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელი, საქართველოს სახალხო არტისტი აღეესანდრე (სანდრო) ვასილის ძე ახმეტელი.

დააბთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1919 წელს თბილისის საოპერო სტუდიაში დადგა დ. არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე" 1920წ. მიიწვიეს რეჟისორად თბილისის ქართულ თეატრში, სადაც დადგა ს. შანშიაშვილის „ბერდო ზმანია" 1923 წ. კოტე მარჯანიშვილმა მიიწვია რეჟისორად თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრში. შემდეგ იყო ამავე თეატრის მთავარი რეჟისორი და 1926-35 წწ. — სამხატვრო ხელმძღვანელი. 1924 წ. ახმეტელი იყო ერთ-ერთი ინიციატორი მსაბიობთა კორპორაცია „დურუჯის" დაარსებისა. იგი იყო კოტე მარჯანიშვილის მონაფე და მისი მრავალი დადგმის თანაავტორი (ჯ. სინგის „გმირი", ს. შანშიაშვილის „პერეთის ემირები", უ. შექსპირის „უინძორელი ცელქი ქალები" და სხვ.).

1928 წელს ა. ახმეტელმა დადგა ბ. ლავრენიევის „რღვევა", რომელიც გარკვეული ეტაპი იყო რუსთაველის თეატრის ცხოვრებაში... მის შემოქმედებაში ვლინდებოდა თანამედროვე თეატრის ამაღლებული სული, ჰეროიკა, ქართული ხალხური თეატრის იმპროვიზაციული თავისებურებები; ემოციურობა, გამომგონებლობა, ჰარმონიულობა, დინამიკურობა, ოსტატურად დადგმული მასობრივი სცენები, რომელშიც ფართოდ იყენებდა ქართულ სიმღერებსა და ცეკვებს. აი, ეს სპექტაკლებიც: ა. გლებოვის „ზაგმუკი", ნ. შიუკაშვილის „ამერიკელი ძია", მ. ლორთქიფანიძის „ათი დღე" (ჯ. რიდის მიხედვით, ა. ვასაძესთან ერთად), კ. ლიფსკეროვის „კარმენსიტა", ე. ბილბელოცერკოვსკის „საჭე მარცხნივ" (ა. ვასაძესთან ერთად), „ლამარა" (ვაჟა-ფშაველას მიხედვით), ლ. სლავინის „ინტერვენცია", ხოზიკის „ხოჭოების დოლი" (კ. პატარიძესთან ერთად), ჰაზენკლევერის „საქმის კაცი" (შ. აღსაბაძესთან ერთად), ა. მირცხულავას (მაშაშვილი) „განგაში", გ. ბუხნიკაშვილის „ნაბიჭვარი" (ვ. შკვარნიკის მიხედვით). საოპერო სპექტაკლები: ზ. ფალიაშვილის „ლატავრა" და დ. არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე"

დიდი შემოქმედება მუდამ თანამედროვეა, რა პერიოდშიც უნდა შეიქმნას იგი. მარადიული ღირებულება აქვს იმას, რაც ხალხის სულთან იბადება და მერე ისევ ხალხს უბრუნდება. სანდრო ახმეტელმა მიაკვლია ქართველი ხალხის არტისტული გენიის სანყისს, მონახა მისი გამოხატვის თანადროული ფორმები...

რა მნიშვნელობა აქვს, ვინ რომელ საუკუნეში ან რა ეპოქაში ცხოვრობდა, თუკი მისი ზნეობრივი პრინციპები, მისი მებრძოლი ჰუმანისტური იდეალები თანამედროვე გმირებში პოულობს გამოძახილს. ასე, თაობიდან თაობაში გადადიან დანტესა და რუსთველის, შექსპირისა და სერვანტესის, ტოლსტოისა და პუშკინის, ბალზაკისა და სხვათა (ყვე-

ლას როგორ ჩამოთვლი!) გმირები და უდიდეს როლს ასრულებენ ახალი კულტურის ფორმირებაში. ისინი ხალხთა შორის ქმნიან ღრმა, შინაგან უწყვეტ კავშირებს, აერთიანებენ ყველა დროის ადამიანებს მაღალი ჰუმანისტური პრინციპების დასაცავად. ასევე გადადიან თაობიდან თაობებში დიდ რეჟისორთა ქმნილებები, თუმცა ისინი მომხიბვლელ ლეგენდებად რჩებიან თაობათა ხსოვნაში. მაგრამ მუდმივმოქმედი ძალა აქვს ამ ლეგენდებში ჩადებულ გენეტიკურ კოდს, მუდამ თან გვდევს მათი სინათლის სხივი, რომელიც ახალ თაობათა ქმნილებებში ახლებურად გამოანათებს ხოლმე. ასე ანათებს სანდრო ახმეტელის სახელი, ამაღლებს ქართული თეატრის პრესტიჟს, ამდიდრებს მის ისტორიას და ჩვენს წარმოდგენებს თეატრის როლზე ხალხის ცხოვრებაში.

1915 წელს, მაშინ ჯერ კიდევ არ იყო რეჟისორი, სტატიებით, მოხსენებებით ეხმაურებოდა თეატრალურ პროცესებს. გვევლინებოდა მიუდგომელი თეატრალური კრიტიკოსის როლში, თუმცა პეტერბურგის იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებული, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა პრობლემებითაც იყო გატაცებული. იგი არსებითად ერთდროულად ყალიბდებოდა პოლიტიკურ, თეატრალურ და საზოგადო მოღვაწედ. მისი მსოფლმხედველობა იხვენებოდა საქართველოს რთული პოლიტიკურ-ეკონომიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებში... ყოველგვარი უსამართლობის, ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ჟინი, რომლითაც იგი სიჭაბუკეში აღეჭურვა, სიკვდილამდე არ განელებია. რთული შინაგანი წინააღმდეგობები, რომლითაც ასე გამოირჩეოდა მისი სიცოცხლის მთელი პერიოდი, აწრთობდა და ავაჟკაცებდა მის სულს, ამასთანავე, იგივე ძალა იყო მისი ტანჯვის, ათასი ადამიანური ტკივილის მიზეზი...

საუკუნის პირველი ოცწლეული, ისტორიულად ეს მცირე პერიოდი, ქართველი ხალხის ცხოვრებაში აუნაზღაურებელი დანაკლისით ხასიათდება: ილია ჭავჭავაძის მკვლელობა, აკაკი ნერეთლის, ვაჟა-ფშაველას, გიორგი ნერეთლის, რაფიელ ერისთავის, ანტონ ფურცელაძის, ნიკო ლომოურის, ავქსენტი ცაგარელის, მსახიობების: ნატო გაბუნიას, კოტე მესხის, კოტე ყიფიანისა, აგრეთვე სხვა მწერლების, მსახიობების, საზოგადო მოღვაწეების გარდაცვალება სანდრო ახმეტელის თაობის თვალწინ ხდებოდა. ამდენ დანაკარგს გაძლება უნდოდა, ვინც ცოცხლები იყვნენ — მოვლა და პატრონობა, სოციალური პირობები კი ამის საშუალებას არ იძლეოდა. ახმეტელი ულრმეს გულისტკივილს განიცდიდა ამის გამო. „ჩვენს მდიდარ ქვეყანაში ქართველები ღარიბები ვართ!" — გლოვის ზარივით ისმოდა მისი სიტყვა. „აღმზრდელი, გულშემატკივარი, მიტოვებული — პატივცემული საზოგადოების მიერ — ჩვენი შიო აუტანელ გაჭირვებას განიცდის, სხვისი შვილების მომღერალი, თავის საკუთარ ბავშვებს დასტირის. გულჩათუთქული დადის შიო ლუკმისათვის" — წერს ცნობილ პოეტზე შიო მღვიმელზე...

აი, ის სინამდვილე, რომელშიც უხდებოდათ იმჟამინდელ მწერლებსა და მსახიობებს მოღვაწეობა. ასეთ სინამდვილეს ებრძოდა ახმეტელი. „ქართლის ბედზე" ფიქრმა ბევრ დარგში მოასინჯინა თავისი შესაძლებლობანი. პოლიტიკური ასპარეზი, ჟურნალისტიკა, თეატრის კრიტიკა, თვითმფრინავის მოდელის შექმნის მცდელობა, ნავთობის აღმოჩენაზე ფიქრი... ერთი სიტყვით, ცხოვრებაში ადგილს ეძებდა...

რუსთაველის თეატრმა ს. ახმეტელის ხელმძღვანელობით მსოფლიო თეატრალური საზოგადოების დიდი აღიარება მოიპოვა. „რუსთაველის თეატრმა არ შეიძლება არ მოხიბლოს ევროპის თეატრალური საზოგადოება". — ამას ანატოლი ლუნაჩარსკი წერდა. ახმეტელზე და მის თეატრზე წერდნენ ქებათა ქებას რუსული, უკრაინული, ინგლისური, ამერიკული, ფრანგული, გერმანული და სხვა ევროპული ქვეყნების ჟურნალ-გაზეთები.

სანდრო ახმეტელმა პირველმა აღადგინა და სცენური სიცოცხლე მიანიჭა ქართველი ხალხის საზეიმო, სადღესასწაულო სანახაობებს. მისი სპექტაკლების ფოლკლორულ მოტივებში გამოჩნდა ჩვენი ხალხის უმდიდრესი არტისტული შესაძლებლობანი...

„ახმეტელი თავის ბუნებით თანამედროვეა და შეუძლია მონაწილეობა მიიღოს დღევანდელი თეატრის შენებაში", — თქვა ცნობილმა რუსმა კრიტიკოსმა ი. იუზოვსკიმ 1961 წელს და მართალიც არის. სანდრო ახმეტელი ჩვენი დიდი თანამედროვეა. მან ისეთი მარცვალი ჩააგდო ქართულ თეატრში, რომელიც მუდამ ღვივის.

სანდრო ინაშვილი

1899-1958

ეროვნული ოპერის გარიჟრაჟზე ორ შესანიშნავ ქართველ მომღერალს ხვდა წილად მედროშეობა, ბრწყინვალე ტრადიციის შექმნა და გზის გაკვლევა მომავალ თაობათათვის.

ვანო სარაჯიშვილი და სანდრო ინაშვილი...

რა დიდებული, ბედნიერი დამთხვევაა! ქართული ოპერა მათ გარეშე მაშინ ვერავის წარმოედგინა. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. „საქართველოს ბულბულს" — ვანო სარაჯიშვილს — ნაადრევი საფლავი არგუნა ბედმა... სანდრო კი მის შესანიშნავ ტრადიციებს განაგრძობს და სწორუპოვარი სიტკბოებით აღაგზნებს ჩვენს გულს.

ვანოსა და სანდროს მეგობრობის ამბავი ლეგენდად არის გადაქცეული. ტყუილად კი არ მღეროდნენ:

ტყემალს ქვეშაგან
ჭიჭინა და ბინაში —
ეათ ძაღლანი
ვანოსა და ინაშვილი.

რამ დააკავშირა ასე ეს ორი ხელოვანი? გულმა გული იცნო და სულმა სული. ორივე დიდი ბუნების ადამიანი იყო. ორივე დიდი მომადლებული ნიჭით დაჯილდოებული. ჩვენი ქვეყანა ნიჭთა თაიგულია. რამდენი საუცხოო მომღერალი ჰყოლია საქართველოს, ჰყავს ახლაც, მომავალშიც იქნებიან. მაგრამ რა დიდი ნიჭის პატრონიც უნდა იყვნენ, მათი სახელები ვერ დაჩრდილავს ვანოსა და სანდროს. რატომ? განა ინაშვილზე ძლიერი ხმის პატრონი ბარიტონები არა გვყავს? გვყავს და გვეყოლება კიდეც. მაშ, რატომ გვახიბლავდა სანდრო ასე? სპეციალისტების სფეროში არ ვიჭრებით და ინაშვილის ხმის შეფასებას არ შევუდგებით. ხშირად გამიგონია, ესა და ეს მომღერალი განსაცვიფრებელი ხმის პატრონიაო. მერედა ეს საკმარისია? მომისმენია ბანი, რომელსაც თევდორე შალიაპინზე ძლიერი ხმა ჰქონდა, მაგრამ ის დავიწყებას მისცემია. თევდორე შალიაპინის თითოეული ბგერა კი სამუდამოდ ჩამრჩა მეხსიერებაში. რადგან, როგორც ჩანს, მხოლოდ ხმის სიძლიერე არა წყვეტს საკითხს. რასაკვირველია, ხმის დიაპაზონს დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ, თუ მას არ ახლავს დიდი მუსიკალობა, ისე ფუჭია ყოველივე. ინაშვილის სიმღერაში, რაგინდ დიდი სმენის პატრონიც უნდა ყოფილიყავით, ვერ შენიშნავდით სიყალბეს — დეტონაციას. სანდრო ინაშვილის ხმა მშვენივრად ეღერდა, ეს ხმა რაღაც განსაკუთრებული იერით, თავისი განუმეორებელი ტემბრით გამოირჩეოდა, განცვიფრებდათ თავისი სილამაზით. არც ერთი სიტყვა არ იკარგებოდა. სანდრო ინაშვილი ხმის ფორსირებას არასოდეს არ მიმართავდა. გხიბლავდათ მისი ხმის შუა რეგისტრები, დაბლები ხომ ისეთი ჰქონდა, რომ ბევრს ის ბანად მიაჩნდა. მაგალითად, სანდრო ინაშვილის დიდი მეხოტბე ილია ზურაბიშვილი ამტკიცებდა, ბუნებით ბანად არის დაბადებული, მაგრამ თავისი განსაცვიფრებელი მუსიკალობისა და ნიჭის წყალობით, ხმის მოქნილობით წარმატებით ასრულებს ბარიტონის პარტიებსო. ეს მოსაზრება რომ სიმართლეს არ იყო მოკლებული, თუნდაც ჭაბუკობისას სანდროს მიერ

შესრულებული გრემინის პარტია ადასტურებს. ინაშვილის სცენური გარეგნობა ხომ პირდაპირ იდეალური იყო. აი, თუნდაც მისი განსაცვიფრებელი ონეგინი, რომელმაც-საყოველთაო აღიარება მოიპოვა.

სანდრო ინაშვილი ვანო სარაჯიშვილთან ერთად ქართული ოპერების მიმრქმელი იყო. ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი", „დაისი" საუკუნეებს გაუძლებს, ხოლო აბესალომისა და მალხაზის შემსრულებლის — ვანო სარაჯიშვილის და მურმანისა და კიაზოს დამამღერებლის — სანდრო ინაშვილის სახელები ხალხში ლეგენდად გადადის. ეს სტრიქონები უნერია ნატო ვაჩნაძეს ვანოსთან.

ქალაქ თბილისის მუსიკალურობა მთელ მაშინდელ რუსეთის იმპერიაში განთქმული იყო. თბილისის სახაზინო თეატრში წარმატება მომღერელისათვის ისეთი ფირმანი იყო, რომ მსახიობს სიამოვნებით მიიღებდნენ პეტერბურგისა და მოსკოვის საოპერო თეატრებში. რამდენი საუცხოო მომღერალი უნახავს თბილისს, მაგრამ ეს ვარსკვლავნი და მნათობნი მხოლოდ ცხოვრების ლაღი შვილებისათვის კიაფობდნენ. ტვირთმძიმენი, ცხოვრების გერნი მათი ხიელის და მოსმენის სიამოვნებას მოკლებული იყვნენ...

ზ. ფალიაშვილის უკვდავ „აბესალომ და ეთერს" ხორცი შეასხეს ვანო სარაჯიშვილმა და სანდრო ინაშვილმა და ამიტომაც სამართლიანად აღნიშნავს დიდი საბჭოთა ენციკლოპედია, სანდრო ინაშვილი ქართული საოპერო ვოკალური სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელიაო.

სანდრო ინაშვილი იმ ოსტატთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებსაც ხალხი ეთაყვანება და გუნდრუკს უკმევს. ხალხი ბრძენია, ის არასოდეს ტყუვდება — ბრილიანტს ყოველთვის გამოარჩევს მდარე ღირსების ქვებისაგან. ზიზილ-პიპილები დავინყებას ეძლევა, თვალს ბეზრდება და ჯართად თუ გამოდგება, ძვირფასი ქვები კი სათუთად ინახება. სანდრო ინაშვილი ჩვენი ერის კულტურის ერთ-ერთი ძვირფასი თვალია და იქნებ ამიტომაც იყო, რომ მთელი ქართველობა დიდი კმაყოფილებით შეხვდა მისთვის უმაღლესი ჯილდოს — სსრ კავშირის სახალხო არტისტის წოდების მინიჭებას.

მშრომელთა ნიაღიდან გამოსული (ის ხომ ახალგაზრდობისას რკინიგზის სახელოსნოს მუშა იყო), ხალხის მიერ დიდად დაფასებული სანდრო ინაშვილი ხანდაზმულობისას კონსერვატორიაში პედაგოგიურ მუშაობას იწყებს და ვოკალისტთა მთელ შესანიშნავ ჯგუფს ამზადებს.

დიდ ნარმატებას სანდროსთვის თავბრუ არ დაუხვევია — მისთვის უცხო იყო ზოგიერთი პრემიერისათვის დამახასიათებელ ყოყლოჩინობა. თავმდაბალი, დიდთან დიდი, პატარასთან პატარა, თავაზიანი, კდემამოსილი, ყველას ხიბლავდა და რაინდული სული ხანდაზმულობამაც ვერ ჩაუქრო.

სანდრო ინაშვილის ხავერდოვანი ხმა მშობლიური დიდი ხელოვნების პირველ თაიგულს ჩაექსოვა.

1952 ნელს სანდრომ გულის არეში რაღაც ტკივილები იგრძნო. აწუხებდა ქოშინი, მეტადრე აღმართზე ასვლისას. ხშირად ჰქონდა დიდი ტკივილები, განსაკუთრებით ღამით. მიმართეს ექიმებს და...

კარგა ხანს სინჯა ექიმმა და ბოლოს პირდაპირ მიახალა, ფილტვის კიბო გაქვთო. სანდრო მთლად მოიშალა — ეს ხომ სასიკვდილო განაჩენის გამოცხადებას უდრიდა.

უკანასკნელ დღეებში სანდროს მორიგეობით ღამეს უთევენ მეუღლე და და.

სცენაზე დიდი ოსტატის ახლობლები ცხოვრებაში არისტებად გადაიქცნენ და მომაკვდავ საყვარელ ადამიანს ნაძალადევი ღიმილით ხვდებოდნენ. მეუღლის წინადადებაზე, მინ ნაეყვანათ (საავადმყოფოდან — ო. ნ.), სანდრო არ დათანხმდა: აქ კარგად ვგრძნობ თავს, ვატყობ, რომ თანდათან მოვმჯობინდი და მალე სულ მთლად განვიკურნებიო.

მიუხედავად საშინელი ტკივილებისა, ინას, თამროს (ქალიშვილები — ო.ნ.) და საყვარელი დის დასამშვიდებლად მუხამბაზის ღიღინით დალია სული 1958 ნლის 4 ივნისს.

იონა ხელაშვილი

1772-1837

ისტორიული და არა ისტორიული
მღვდელი ნაშდვილი გასვეა სოფლისა-თვის
ფლერი

ქართველი თეოლოგი, ფილოსოფოსი და მქადაგებელი იონა ხელაშვილი დაიბადა 1772 წ. სოფ. ვაქირში, ახლანდელ სიღნაღის რაიონში. მზრუნველობდნენ ერეკლე II და გიორგი XII. ხელაშვილმა დაამთავრა თელავის სემინარია. 1803 წ. ქართველ უფლისწულებთან ერთად რუსეთს გაემგზავრა, ცხოვრობდა ვორონეჟსა და მოსკოვში, 1806 წლიდან 37 წლამდე — პეტერბურგში. იქვე დაამთავრა ალექსანდრე ნეველის სასულიერო აკადემია (1812 წ.). შემდეგ ბერად აღიკვეცა, აკურთხეს იეროდიაკვნად. სხვადასხვა დროს იყო სულიერი მოძღვარი დავით და თეიმურაზ ბატონიშვილებისა, დედოფლებისა — ანასი და მარიამისა. პეტერბურგში მცხოვრებ თანამემამულეთათვის ნარმოთქმულ ქადაგებაში გამოხატულ სევდასა და პესიმიზმს მოგვიანებით შეენაცვლა იმედიანი გაწნყობილება. საქართველოს რუსეთთან კავშირში ხელაშვილი ხედავდა თავისი ქვეყნის პოლიტიკის და კულტურის ნინასვლას. ხელაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა აღნერილია ავტობიოგრაფიულ თხზულებაში „რონინი", სადაც იგი რეალისტურად ასახავს იმდროინდელი საქართველოს ვითარებას. იოანე პეტრინის მიხედვით არის განხილული ღვთისა და სამყაროს, ღვთისა და ადამიანის ურთიერთდამოკიდებულება. ხელაშვილი დაინტერესდა გ.ვ. ლაიბნიცსა და ს. კლარკს შორის ბუნებათმცოდნეობისა და თეოლოგიურ პრობლემებზე გამართული კამათით, რაც ჩანს ს. დოდაშვილისათვის გაგზავნილი წერილიდან და მისივე ხელნაწერებიდან. ხელაშვილის აზრით, სამყარო ატომარული წყობისაა, ხოლო მის წესრიგს ღმერთი განსაზღვრავს. ხელაშვილი ეკამათებოდა ჯ. ლოკს სულის მატერიალისტური გაგებისათვის, ხოლო გ.ვ. ლაიბნიცს — მხოლოდ სულიერი სუბსტანციების (მონადების) სიმრავლის აღიარებისათვის. არისტოტელეს მოძღვრებაზე მინიშნებით განხილული აქვს ფილოსოფიური კატეგორიები (სუბსტანცია, აქციდენცია, არსება, შემთხვევითობა) და მათი განსაზღვრისას ემყარება იოანე დამასკელის თეოლოგიურ შრომას „წყარო ცოდნისა", ხელაშვილმა საინტერესო მოსაზრებები შეიმუშავა შემეცნების რაობის ასახსნელად. იგი თეოლოგია-იდეალიზაციის პოზიციიდან ცდილობდა მატერიალიზმის დაძლევას და ათეიზმის უარყოფას. მისი ეპისტოლარული მემკვიდრეობა საკმაოდ მდიდარია დიდაქტიკურ-რელიგიური წერილებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მიმონერა ხელაშვილსა და ცნობილ მოღვაწეებს (ს. დოდაშვილი და სხვა), აგრეთვე ხელაშვილსა და ქართული სამეფო ოჯახის წევრებს შორის.

იონა ხელაშვილმა საგანგებოდ შეისწავლა სასულიერო მუსიკის, კერძოდ, ქართული გალობის არსი. მისი ნააზრევი სრულად არის გადმოცემული იოანე ბატონიშვილის (ბაგრატიონის) „კალმასობაში"

იონა გადაგებულია თავის ძმებსა და ძმისწულებზე. 1820 წ. მას აღეძრა სურვილი აზნაურობის წოდების ძიებისა, რათა ამ გზით ცხოვრება გაუადვილოს თავის ძმისწულებს. 1820 წ. 3 მარტს ის მიიღებს ორ მოწმობას (ერთს აძლევენ ფარნაოზ, იოანე, ბაგრატ, თეიმურაზ, ილია, ოქროპირ და ლუარსაბ ბატონიშვილები, მეორეს კი იმერეთის დედოფლები,

ანა და მარიამი), რომ იონა და მისი ძმები სოლომონ, გიორგი და იოსებ „სქესით არიან აზნაურნი" და ზემოხოდაშენსა და თელავში მცხოვრები აზნაურის მიქელაშვილის სახლისშვილები (H 2226, ფ. 325, 326). მიქელაშვილები კი 1883 ნ. ტრაქტატში კახეთის აზნაურთა შორის იყვნენ შეტანილნი, რადგან მათ აზნაურობა ებოძათ 1777 ნ. ერეკლე II-ის მიერ.

1832 ნ. შეთქმულების გამომჟღავნების შემდეგ იონე წერს „რონინს". მის ამ ნაწარმოებსა და სხვადასხვა პიროვნებებთან გაგზავნილ წერილებში დაცული ცნობებით შესაძლებელი ხდება იონას საზოგადოებრივი მსოფლმხედველობის წარმოდგენა. მის აზროვნებაზე, არ შეიძლება, გავლენა არ მოეხდინა ფეოდალური საქართველოს დამხობის ფაქტს და ბაგრატიონთა დამხობილი დინასტიის ნაცვლად აქ ცარისტული ხელისუფლების დამყარებას.

იონა დადებითად აფასებს ერეკლე II-სა და გიორგი XIII-ის მოღვაწეობას. უარყოფითად აფასებს ბატონიშვილებს — როგორც ერეკლეს, ისე გიორგის ძეებს და არც მათი გარემოცვა მოსწონს. — უწოდებს უწიგნოს, უსვინდისოს, ორენას, პირმოთნესა და ბრუჟიანებს (ლოთებს). არ მოსწონს მას არც თავად-აზნაურთა კლასი საერთოდ, რადგან მათ თავი მოაქვთ უცხოური წარმოშობით, რითაც აიხსნება ის, რომ ყოველი მათგანი თავისი ინტერესებისათვის იღვწის და საერთო საქვეყნო საქმეზე არა ზრუნავს. საქართველოს რუსეთთან შეერთება იონასათვის მოვლენათა ბუნებრივი განვითარების შედეგია. საქართველოს დაუძლურებას სამი მიზეზი აქვს: მოსახლეობის რიცხვის შემცირება, განათლების დაცემა და გარეშე მტრებთან განუწყვეტელი ბრძოლა. დაუძლურებული საქართველოს არსებობა ძლიერი მფარველის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. ამიტომ საქართველოს რუსეთთან შეერთებით, რაც გიორგი მეფის „კეთილი გონების" ნაყოფი იყო, „განვისვენეთ აჩრდილსა ქვეშე ჯვარიანისა სკიპტრისასა", „მცირე ერი ხარ და არ ძალგიძს თავისა თვისისა დაცვა თვინიერ მფარველისა" („რონინი", გვ. 115).

იონა რუსეთის ორიენტაციისაა იმიტომაც, რომ ახალმა მთავრობამ „იწყო გამოხურვება ბრძმედში" ყველასი, განურჩევლად ჩამომავლობისა და უპირატესობას აძლევს მხოლოდ პირად დამსახურებას.

რუსეთის ორიენტაციის იდეურად მომზრე და რწმენით მონარქისტი ხელაშვილი ამავე დროს გულნრფელი ქართველი მამულიშვილია. მოსურნეა საქართველოს ზრდა-ნარმატებისა და გონებრივი პროგრესისა სნავლა-განათლების ფართოდ დანერგვის გზით. ამასთან, იგი ხაზს უსვამს თავადაზნაურობის პარაზიტიზმს და გული სტკივა გლეხობისათვის. იონა მებრძოლი არ არის. პიროქით, სავსებით ლოიალურია რუსეთის მთავრობის მიმართ, ის სხვათაც მოუწოდებს (კერძოდ, თავის აღზრდილ ს. დოდაშვილს), იყვნენ მორჩილნი მთავრობისა („ნაჩალნიკისა, ე.ი. თაონისა"), ეძიონ მფარველად „ჩვენი გამომხსნელნი რუსნი"

იონას წერილები, და საერთოდ მისი შემოქმედება, დანერილია ღვარჭნილი ენით — გრძელი პერიოდებით და ცნებების გართულებულად გადმოცემით. ამ წერილებში უხვად მოიპოვება ცნობები პეტერბურგის ქართველთა კოლონიის სულიერი და მატერიალური ყოფის შესახებ (მაგ., სოლომონ II-ის მეუღლე მარიამის კარის ეკლესიაში სლავური გალობა უკეთ ყოფილა დაყენებული, ვიდრე ქართული).

იონა ხელაშვილი იოანე ბატონიშვილის „კალმასობის პერსონაჟია" იონა ერთ-ერთ თავის ნერილში ამბობს: „დაბადების ოდენი წიგნი დაწერა, 12 წელიწადი ჰნერს იოანე ბატონიშვილი ჩემს სახელსა ზედა, ე.ი. მალაპარაკებს ყოველსავე სნავლასა, სულიერსა და ხორციელსა"

იონას შეუდგენია ლექსიკონი, რომელიც სოლომონ დოდაშვილისათვის გამოუტანებია თბილისში დასაბეჭდად. სოლომონის დაპატიმრების შემდეგ იონა ნერილებში ჩივის, რომ დოდაშვილმა არ მიხედა მის ლექსიკონს. „ათის წლისა ნამუშაკევი ლექსიკონი ჩემი წარვიტანე და მივეც ხვასტაგი დაბეჭდვად", — წერს ის თავის ძმისწულს 1833 ნ. 17 ივნისს. — სოლომონმა „ლექსიკონი დაუბეჭდელი დაუტევა, რომლისა ნაცვლად ჟურნალნი ბეჭდნა". ეს ლექსიკონი ს. დოდაშვილის ოჯახში იყო დიდხანს, ამჟამად ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული. კარგა ხანს მის ავტორად იოანე ბატონიშვილი მიაჩნდათ.

იროდიონ ევდოშვილი ხოსიტაშვილი

1873-1916

ძეკობრეობა. წინ... წინ ვასწრით.
ნუ ძმურად ოქვენი ველი.
დე ძმურს სისხლის დიდი ანდეს
და ძმებს ოფლის ნაკადული!
წინ. წინ. ძმურად ძეკობრეობოთ
ალრეგულიარნი ამ ჩვენ დროსა.
ქარის ოფლში ვეკუალოთ
ხიმარეულის და ძმობის დროშა!

Ივალსაჩინო ქართველი მწერალი იროდიონ ისაკის ძე ევდოშვილი (ნამდვილი გვარი ხოსიტაშვილი) დაიბადა 1873 წლის 7 მაისს სიღნაღის რაიონის სოფ. ბოდბისხევში, ღარიბი გლეხის ოჯახში.

თელავის სასულიერო სასნავლებლის დამთავრების შემდეგ სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში, საიდანაც 1893 წ. გარიცხეს მოსწავლეთა ფარულ რევოლუციურ ნრეში მონაწილეობისათვის. 1896 წლიდან „მესამე დასის" ნევრი გახდა. მონაწილეობდა 1905-1907 წწ. რევოლუციაში. 1909 წელს დააპატიმრეს, 1910 წელს გადაასახლეს სოლოვიჩეგოდსკში, შემდეგ ჩორნი-იარში. 1912 წელს გადასახლებიდან მძიმედ დაავადებული დაბრუნდა თბილისში, სადაც პოლიცია გამუდმებით ზედამხედველობდა.

ირ. ევდოშვილის პირველი ლექსი „გუბე" 1893 წელს „კვალში" დაიბეჭდა. 1895-96 წწ. იგი თანამშრომლობდა ი. ჭავჭავაძის „ივერიაში", რომელშიც გამოაქვეყნა პოემა „უკანასკნელი დღე სიკვდილით დასჯილისა", მოთხრობები: „მიხა დალაქი", „სასუნელი ენოქი" და სხვ.

ირ. ევდოშვილის მწარე გულისტკივილი სოციალური უთანასწორობის გამო თანდათანობით გადაიზარდა კლასობრივი ბრძოლის აუცილებლობის შეგნებაში. ევდოშვილის ლექსები „ქარიშხალი", „ჩვენება", „შეგობრებს" და სხვა რევოლუციური ბრძოლისაკენ მოუნოდებდა მშრომელ ხალხს. პოეტის საბრძოლო განწყობილება კიდევ უფრო გამძაფრდა 1896-1903 წლებში „კვალში" გამოქვეყნებულ თხზულებებში. მუშათა რევოლუციური მოძრაობის აღმავლობის გამოძახილი იყო ევდოშვილის ლექსები „სიმღერა", „ჩემს მტერს", მუშათა საერთაშორისო სიმღერების „ვარშავიანკას" და „მარსელიეზას" თარგმანები და სხვ. 1905-07 წწ. ქართულ ლეგალურ ბოლშევიკურ პრესაში იბეჭდებოდა ევდოშვილის რევოლუციური ლექსები და პუბლიცისტური სატირული ფელეტონები „სამოციანელთა" კვალად, ევდოშვილმა ხელოვნებას ხალხის სამსახური დაუსახა მიზნად და მშრომელთა თავისუფლებისათვის ბრძოლის ფუნქცია დააკისრა (პოემა „მუზა და მუშა"). პოლიტიკური სიმახვილე და აქტუალობა. მშრომელთა ინტერესებისათვის ბრძოლა განსაზღვრავდა მისი პროზაული ნაწარმოებების ხასიათსაც („შადრევანი", „დანგრეული კერპი", „ციხეში", „გველების ყორე" და სხვ.). ევდოშვილის პოეზია მასებს მომავლის რწმენას ულვიძებდა („ღამე", „სიმღერა", „მსაჯულს", „ბრძოლის სიმღერა", „გასნი, იარე ეკლიანის

გზით" და სხვ.). რეაქციის პერიოდში მის პოეზიაში სევდისა და დაღლილობის მოტივებიც გაკრთა („ისევ გოლგოთა", „მოღლილს", „გოლგოთაზე", „გატეხილი ჩანგი" და სხვ.).

ირ. ევდოშვილმა დიდი ამაგი დასდო ქართულ საყმაწვილო ლიტერატურასაც. მისი თხზულებები მოზარდ თაობას სამშობლოს სიყვარულსა და კაცთმოყვარეობას უნერგავდა (მოთხრობები „ორი ობოლი", „კაკანათი", „უბედური ქორბუდა", „პირველი სიყვარული" და სხვ.).

ევდოშვილი ქართული კრიტიკული რეალიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელია. იგი სინამდვილის კრიტიკულ ასახვას არ დასჯერდა და მისი გარდაქმნისათვის ბრძოლის გზებსაც ეძებდა. ევდოშვილმა ქართული რევოლუციური დემოკრატიული მწერლობის სკოლა შექმნა და დიდი გავლენაც მოახდინა რევოლუციურად განწყობილ ახალგაზრდა მწერლებზე. ვლ. მაიაკოვსკიმ ზეპირად იცოდა მისი მთელი რიგი ლექსები და, როცა პირველ რევოლუციის მშფოთვარე დღეებს გაიხსენებდა, ზეპირად წარმოსთქვამდა ხოლმე:

მეგობრებო წინ... წინ გასწით...

დავით სარაჯიშვილი

1848-1911

დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილი დაიბადა 1848 წლის 28 ოქტომბერს შეძლებული სოვდაგრის ოჯახში.

თბილისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ მიემგზავრება რუსეთში და ირიცხება პეტერბურგის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე, რომელსაც ამთავრებს 1871 წელს და იღებს ქიმიის და ფილოსოფიის დოქტორის საპატიო ხარისხს, მაგრამ ამით არ კმაყოფილდება და ცოდნას განიმტკიცებს ჰოპენჰაიმისა და ჰალეს უნივერსიტეტებში 1871-78 წლებში.

1878 წელს მიემგზავრება საფრანგეთში მევენახეობისა და მეღვინეობის პრაქტიკული და თეორიული საფუძვლების შესასწავლად.

სამშობლოში დაბრუნებისთანავე დავით სარაჯიშვილმა ხელი მოჰკიდა სპირტიაა და არაყის წარმოების ჩამოყალიბებას, რითაც მოამზადა პირობები კონიაკის წარმოებისათვის.

მე-19 საუკუნის პირველი ნახევრიდან რუსეთის იმპერიაში იყო ცდები კონიაკის წარმოების ჩამოყალიბებისა. ყიზლარში ამზადებდნენ არაყს „კიზლანა", თერგის ოლქში კი კონიაკს, მაგრამ ორივე წარმოება პრიმიტიულობის გამო დაიხურა.

კონიაკის წარმოების პიონერად (1884 წლიდან) რუსეთში ითვლება დავით სარაჯიშვილი. მოგვიანებით გაიხსნა კონიაკის ქარხნები სოლომონოვისა და ხუბლაროვისა, შემდგომ კი რუსეთის ყველა გუბერნიაში, მაგრამ ყველაზე საუკეთესო ხარისხის კონიაკს სარაჯიშვილის ქარხანა ასხამდა.

სარაჯიშვილის ხელმძღვანელობით 1889 წელს ყიზლარში ამუშავდა კონიაკის ქარხანა, სადაც 100-150-ათასგრადუსიანი კონიაკის სპირტი იხდებოდა. შემდეგ მწყობრში ჩადგა მოლდავეთისა და აზერბაიჯანის კონიაკის სპირტსახდელი ქარხნებიც. ზემოთ ჩამოთვლილი ადგილებიდან მიღებული სპირტი მოჰქონდათ თბილისის ცენტრალურ სანყობში, სადაც დამწიფება-დაძველების შემდეგ ამზადებდნენ კონიაკს.

უკვე 1895 წლიდან დავით სარაჯიშვილის 1, 2, 3, 4-ვარსკვლავიანი კონიაკები, „რუსული ნატურალური კონიაკის" სახელწოდებით, დიდი პოპულარობით სარგებლობდა მოსკოვში, პეტერბურგში და რუსეთის იმპერიის სხვა ქალაქებში. რუსეთის იმპერიის ბაზარზე სარაჯიშვილს გაჰქონდა 50 დასახელების ალკოჰოლური სასმელი.

სარაჯიშვილის ინიციატივით 1889 წელს მწყობრი ჩადგა ლიქიორის ქარხანაც.

1904 წლის მონაცემებით, სარაჯიშვილის ქარხნების საერთო პროდუქცია შეადგენდა 33 2 18 000 ბოთლს. სარაჯიშვილის ფირმა აერთიანებდა: 5 სარექტიფიკაციო, ერთი არაყის, ერთი ლიქიორის, 7 კონიაკის ქარხანას, სანყობებს – თბილისში, მოსკოვში, პეტერბურგში, კიევში, ვარშავაში, ბაქოში, რიგაში, ვლადიკავკაზში, ოდესაში, ფეოდოსიაში, პეტროვსკში, ჩარჯოუსა და რუსეთის იმპერიის სხვა ქალაქებში.

დავით სარაჯიშვილის ალკოჰოლურმა სასმელებმა დაიმსახურა 11 მედალი (6 ოქრო, 4 ვერცხლი და 1 ბრინჯაო), ერთი დიპლომი (ოქროს მედალზე). ეს ჯილდოები გაიცა ამიერკავკასიის, სრულიად რუსეთისა და მსოფლიო გამოფენებზე: თბილისში, ნიჟნი ნოვგოროდში, ოდესაში, კიევში, პარიზში, პეტერბურგსა და ჩიკაგოში.

სპირტიანი სასმელების წარმოების განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის 1902 წელს დავით სარაჯიშვილს მიენიჭა „კომერციის მრჩევლის" წოდება.

რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებასთან და სამოქალაქო ომის დაწყებასთან დაკავშირებით, ამ ქვეყანასთან საავაჭრო ურთიერთობა შეწყდა.

1920 წელს სარაჯიშვილის ქარხნის ბაზაზე შეიქმნა თბილისის კონიაკის ქარხანა, რომელიც ითვლება ერთ-ერთ საუკეთესო სანარმოდ.

დავით სარაჯიშვილს შვილი არ ჰყავდა, მაგრამ ამ დიდბუნებოვან ადამიანს თურმე ხშირად უთქვამს: „რას მიქვია უშვილობა. განა ყველა ბავშვი, მომავლის იმედად აღსაზრდელი, ქვეყნის საკეთილდღეოდ განსწავლული ჩემი შვილები არ არიან?"

დავით სარაჯიშვილი დიდი გულისყურითა და მფარველობით ექცეოდა ყველა ნიჭიერ ქართველ ახალგაზრდას, რომელსაც სწავლის სიყვარული და მიდრეკილება ჰქონდა.

სარაჯიშვილის სტიპენდიანტები იყვნენ: მელიტონ ბალანჩივაჩე, ია კარგარეთელი, ვანო სარაჯიშვილი, მოსე თოიძე, დიმიტრი არაყიშვილი, იაკობ გოგებაშვილი და სხვები.

სარაჯიშვილი ერთ უმდიდრეს პიროვნებად ითვლებოდა მთელ კავკასიაში.

1910 წელს, სიკვდილამდე ერთი წლით ადრე, მან დონის როსტოვში ნოტარიუსთან შეადგინა ანდერძი, რომლის თანახმადაც, დავითის სიკვდილის შემდეგ სამი მილიონი მანეთი, სხვადასხვა ოდენობით, უნდა განაწილებოდათ: წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას, ქუთაისის თეატრის ასაშენებლად, ისტორიულ-ეთნოგრაფიულ საზოგადოებას, ეუთაისის დრამატულ საზოგადოებას, ვლადიკავკაზის ღარიბ მოსწავლეებს სწავლის ქირისათვის, ქართული ფილარმონიის საზოგადოებას, ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის საზოგადოებას და სხვ.

დავით სარაჯიშვილი გარდაიცვალა 1911 წელს. იგი მთელმა საქართველომ დაიტირა. ცხედართან სიტყვა წარმოთქვა აკაკი წერეთელმა: *„მთელ საქართველოში კიდითკიდემდე ზარის ხმად გაისმა დათიკოს სიკვდილი... საუკუნოდ იყოს სახსენებელი შენი სახელი, ძმაო დათიკო. ჩვენ რომ ვერ დაგივიწყებთ, ეს გასაკვირი არ არის, მაგრამ არ დაგივიწყებს შენ ჩვენი ჩამომავლობაც და ყოველ ეროვნულ საქმის დროს შენც, როგორც თანამოაზრე, ოცნებით, გვერდით ეყოლები წარმოდგენილი..."*

ხალხის სიყვარული, როგორც იაკობ გოგებაშვილი აღნიშნავდა, დავითმა დაიმსახურა იმიტომ, რომ *„ყმაწვილკაცობიდან გულში ღრმად ჩაენერგა სამსახური თავისი ქვეყნისა, მისი სიკეთე, მისი შვება და ლხენა. მისი ჭირ-ვარამის შემცირება და მოსპობა"*

უმრავლოს კახეთს და სრულიად საქართველოს სარაჯიშვილისთანა მამულიშვილები.



სანდრო შანშიაშვილი

1888-1979

...არ სარ მოსული. მაგრამ ჩვენ, ერმანი,
ძალიც მოვისმენთ ვამოუცდელნი.
ძმა დაიწიე ჩვენი ეკანი
და ხიკვარულის დაეკიდე ულელი".

ტიციან ტაბიძე

თანამედროვე ცხოვრების ეკლის ძაო ვადაიარე,
ბედნიერების ბევრი ვარსი, წუხილი ვამოვიარე...
ძველ უმარად ანრგიალის შეკვეცებე, ვისმენდეე ეროვნულებანი.

ს. შანშიაშვილი

ესანიშნავი ქართველი დრამატურგი, ეროვნული დრამატურგიის ფუძემდებელი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ალექსანდრე (სანდრო) ილიას ძე შანშიაშვილი დაიბადა 1888 წლის 12(24) ივლისს სიღნაღის რაიონის სოფ. ჯუგაანში.

პირველი ლექსი გამოაქვეყნა გაზეთ „ისარში" 1906 წელს. პირველი პოეტური კრებული „სევდის ბაღი" — 1909 წელს. მისი ადრინდელი ლექსები დემოკრატიული სულისკვეთების, მებრძოლი განწყობილებისაა. („1905 წელი", „ბრძოლის სიმღერა", „ფოთოლი ფოთოლს" და სხვ.)... სულ რაღაც ოთხიოდე წლის განმავლობაში ს. შანშიაშვილი ნამყვან ქართველ პოეტთა რიგებში ჩადგა და ეს მაშინ, როცა ჯერ კიდევ ცოცხლობდნენ ქართული ლექსის ტიტანები, აკაკი წერეთელი და ვაჟა-ფშაველა...

სანდრო შანშიაშვილის პოეტურ შემოქმედებას საგულისხმო წერილებს უძღვნიან ქართული სალიტერატურო კრიტიკის თვალსაჩინო წარმომადგენლები: კ. აბაშიძე, არჩ. ჯორჯაძე, კ. მაყაშვილი, ნ. კურდღელაშვილი, ს. ფირცხალავა. მ. ნერეთელი, ალ. ნერეთელი, ვ. ნერეთელი, ი. აღლაძე, გ. ქიქოძე, დ. კასრაძე, ლ. ნათაძე, ს. გორგაძე, პ. მირიანაშვილი, ი. ზურაბიშვილი, შ. მიქელაძე და სხვანი.

„როცა შენს ლექსებს ვკითხულობ, — წერდა ეკ. გაბაშვილი სანდროს, — წელში მოხრილი ქართლის დედა, თითქოს თანდათან ნელში სნორდება და ვაებით მოცულ მის პირისახეზედ იმედის ნუგეში იშლება. იმუშავე მთელის შენი ძლიერის ძალღონით, დაენაფე მსოფლიო შედეევრებს პოეზიისას და გადმორგე მათი ძლევამოსილება ჩვენს ქვეყანაში"

მხცოვანმა მწერალმა მარტო ქართული პოეზიის წინაშე როდი მოიხადა ვალი. იგი მეოცე საუკუნის ერთ-ერთი შესანიშნავი ქართველი დრამატურგია, ეროვნული დრამატურგიის ფუძემდებელი და მისი ღირსეული წარმომადგენელი.

ს. შანშიაშვილის დრამა „უგვირგვინო მეფენი" რევოლუციამდელი ქართული დრამატურგიული მწერლობის უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებია. მისი მეორე პიესის „ბერდო ზმანიას" დადგმით იწყებს თეატრალურ მოღვაწეობას გამოჩენილი ქართველი რეჟისორი სანდრო ახმეტელი.

კ. მარჯანიშვილის მიერ 1922 წლის 25 ნოემბერს „ცხვრის წყაროს" ისტორიული დადგმიდან ორიოდე თვეც არ გასულა, რომ 1923 წლის თებერვალში თეატრმა დადგა ს. შანში-

ამვილის ახალი პიესა „როდამ“ (ალ. ახმეტელის რეჟისორობით). ამას მოჰყვა „ჰერეთის გმირები“ („მათრახის პანაშვიდი“) და „ლატავრა“, შემდეგ „ანზორი“, „სამნი“, „არსენა“, „ფოლადაური“, „გიორგი საკაძე“, „კრნანისის გმირები“ და სხვ.

აღსანიშნავია, რომ ს. შანშიაშვილმა რუსთაველის თეატრის რეპერტუარული „შიმშილის“ დასაძლევად თარგმნა და გააქართულა, გადმოაკეთა მრავალი დასავლეთ-ევროპული და რუსული პიესა... შეიძლება ითქვას, რომ ს. შანშიაშვილმა რუსთაველის თეატრის რეპერტუარის შექმნის საქმეში ქართველ დრამატურგთაგან ყველაზე დიდი და საპატიო როლი შეასრულა...

სნორედ სანდრო შანშიაშვილმა აღმოაჩინა და გამოიყვანა პოეტურ სარბიელზე რეოლუციამდელი ქართული პოეზიის ისეთი წარმომადგენელი, როგორიცაა ცნობილი პოეტი, მწერალი-იუმორისტი და მთარგმნელი სიკო ფაშალიშვილი. დიდი ამაგი მიუძღვის მას გ. ლეონიძის პოეტურ დებიუტშიც. სანდრომ ერთ-ერთმა პირველმა შენიშნა ამ სახელოვანი შემოქმედის პოეტური პოტენციალ და ვაჟა-ფშაველასთან ერთად გ. ლეონიძის ლიტერატურულ ნათლიად მოგვევლინა...

გარდა იმისა, რომ გამოჩენილი ქართველი მწერლის კალამს 20-ზე მეტი პიესა ეკუთვნის, ს. შანშიაშვილმა დაწერა აგრეთვე ორი ლიბრეტო: ერთის მიხედვით დიდმა ქართველმა კომპოზიტორმა ზ. ფალიაშვილმა შექმნა ოპერა „ლატავრა“, ხოლო მეორეს საფუძველზე გამოჩენილმა ქართველმა მუსიკოსმა დ. არაყიშვილმა — ოპერა „თქმულება რუსთაველზე“. ს. შანშიაშვილს ნათარგმნი აქვს ორ ათეულზე მეტი დრამატული ნაწარმოები, იგი არის პოეტური და ბელეტრისტული თხზულებების მრავალი ნიგნის ავტორი...

სანდრო შანშიაშვილმა ცხოვრების დიდი გზა განვლო, მისი ოცნება იყო ყოფილიყო „ბალხის მომღერალი“, მისი „ერთგული მსახური“, აესახა თავის ლექსში ხალხის გრძნობა და ფიქრი. თავისი ეს მაღალი მოქალაქეობრივი დანიშნულება პოეტმა ღირსეულად შეასრულა.

ს. შანშიაშვილი არის გამოჩენილი ეპიკოსი. მის კალამს ეკუთვნის რამდენიმე პოემა, რომელთა სიუჟეტები აღებულია ბერძნული მდიდარი მითოლოგიიდან. ეს პოემებია „მედეა და მშვენიერი ელენე“, „დემეტიკა“, „იასონ და რენო“, „მედეა“ და სხვ... ავტორის მიზანი იყო ეჩვენებინა ქართველი საზოგადოებრიობისათვის, თუ რა ღრმად ჰქონდა გადგმული ფესვები ქართულ კულტურას, რომელმაც დასაბამი მისცა ლეგენდას ამირანზე. მისი მიზანი იყო გადაეტანა ქართული კულტურის საზღვრები შორეულ წარსულში.

აი, რას წერს გამოჩენილი რუსი მწერალი ნიკოლოზ ტიხონოვი:

„ჩვენ ჩამოვედით საქართველოში, რათა გვეზეიმა „ვაჟაობა“ ზეიმი დამთავრდა, მაგრამ ჩვენ არ შეგვეძლო არ ჩამოესულიყავით ჩარგალიდან კახეთში და არ გვეყოფა კედლები (ეს სტრიქონები ს. შანშიაშვილის ბინაში კედელზეა დაწერილი — ო.ნ.) ამ სახლში, სოფ. ჯუგაანში, რომ დავტიოთ ჩვენი აღფრთოვანებები და მადლიერება კეთილშობილ შანშიაშვილებისადმი, რომ გამოვხატოთ ის, რაც აქ ჩვენს საუბრებში ყოველოდა. სურვილი გვაქვს დავამჩნიოთ აქ ჩვენი საუკეთესო აზრები და სხვა მეგობრების კვალზე განვთქვად ეს პოეზიის გასაკვირი თავშესაფარი და შევაქოთ ბრწყინვალე მასპინძლები, მარო და სანდრო“

ნიკოლოზ ტიხონოვი

ილო მოსაშვილი

1896-1954

„ძალუ ძმე ამობრწყინდები. ცისკარს ახითებს ნეტარსლაბადი.
თოვლითა შემოსილს მთის თხემები. მოაგონებს ყვავილებს ყვავილითა.
ტალღებნი. თეთრდები. ხმიერ ეკერთები მთვრალნი.
ხანაც ტალღებნ სავდრულ ძმრიელ ძმრალნ.“

ილო მოსაშვილი

ვამოჩენილი პოეტი და დრამატურგი, თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ილო მოსაშვილი დაიბადა 1896 წლის 7 იანვარს ფშავში, სოფელ ჩარგალში (მაშინ თიანეთის მაზრა).

ჩარგალი!.. ეს ხომ დიდი ბრძენკაცის — ვაჟა-ფშაველას სოფელია!

„ვაჟას ღარიბული სახლი მდინარე ჩარგლეულს გადასცქერის და ასიოდე ნაბიჯიდან ძლივს მოჩანს. ზურგიდან აყუდებული მთები, გვერდით — ჭიჭახევის ვინრო ხეობა, გაღმა ტყით დაბურული თავჩაჩქანიანი ახუნის გორა და შორს, მარცხნივ, ვაჟას საოცნებო საშუბის მთები, მარად მრისხანე და ზვავიანი.

სიჩუმეა ირგვლივ, განაბული მყუდროება.

ფერდოდან ფერდოზე კაცის იშვიათ გადაძახილს სხვადასხვა ხმაზე იმეორებენ ხევები. თითქოს, კლდეებში დასაფრებულნი, ერთმანეთს მუქარას უგზავნიანნ“ — ასე იგონებს უკვე დაღვინებული მწერალი თავის მშობლიურ კუთხეს, ასე ჩარჩა ხსოვნაში ვაჟას სიაბლოვეს გატარებული ყრმობის წლები, ვაჟა კი — არა მარტო შთაგონების ნყარო ყოფილა, არამედ ნათესავი და ახლობელი დედის მხრიდან.

ილო მოსაშვილის მეორე მშობლიური სოფელი ვაქირია, მამამისის კუთხე-ადგილი. ამ სოფელსაც და, საერთოდ, ქიზიყს წარუშლელი კვალი დაუმჩნევია მომავალი მწერლის ჩამოყალიბებაზე.

მას ჯერ თელავის სასულიერო სასწავლებელი დაუმთავრებია, შემდეგ კი თბილისის სასულიერო სემინარიაში გაუგრძელებია სწავლა, სადაც, მისივე გადმოცემით, ვაჟა-ფშაველას დახმარებით, მისთვის ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სტიპენდია დაუნიშნავთ. 1912 წელს ილო მოსაშვილს მონანილეობა მიუღია სემინარიელების გაფიცვაში რაც ახლად გამწესებული ბერის მიერ ქართული ენის აბუჩად აგდებას გამოუწვევია.

თბილისის სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ ი. მოსაშვილი ჯერ კიევის, ხოლო შემდეგ ხარკოვის უნივერსიტეტების სტუდენტია. 1913-1917 წლებში არდადეგებს კახეთში ატარებს. აქ შეურთავს ცოლად სოფელ მაღაროს მთავარდიაკვნის ასული თამარი, შემდგომი ოთხი ათეული წლის განმავლობაში მისი უახლოესი მეგობარი, მისი რთული ცხოვრების განუყრელი თანამეცხედრე. აქედანვე დაიწყო მოსაშვილის დიდი მეგობრობა ს. შანშიაშვილთან, ს. ახმეტელთან და ქართული კულტურის სხვა გამოჩენილ მოღვაწეებთან...

ამავე პერიოდიდან იწყება ილო მოსაშვილის გატაცება თეატრით.

ილო მოსაშვილმა მეტად შინაარსიანი ცხოვრების გზა განვლო, ათეული წლის განმავლობაშია მხარში ედგა თავის ხალხს მშვიდობიანი შრომის დროს, სამამულო ომის ქარი-

შხლიან დღეებში, ომის შემდგომ პერიოდში და თავისი ნვლილი შეჰქონდა საბჭოთა ხალხის ყველა წარმატებაში. იგი ერთ-ერთი პირველი უპარტიო მწერალი იყო, რომელმაც თავის პოეზიაში ნარმოაჩინა ჩვენი სამშობლოს ნარეკლიანი წარსული, მისი აწმყო და წარმტაცი მომავალი, ხოლო ქართული დრამატურგია გაამდიდრა ფრიად აქტუალური პიესებით: „სადგურის უფროსი", „ჩაძირული ქვები", „მისი ვარსკვლავი" და „გზა მომავლისა". როგორც პოეზიაში, ისე დრამატურგიაში ილო მოსაშვილი მოგვევლინა საკუთარი ხელნერის მქონე მხატვრად, ნაზი ლირიკული სიწრფელითა და ვაჟკაცური პათოსით გამორჩეული ნანარმოებების ავტორად.

ამ ღირსებებმა მას სიცოცხლეშივე დაუმკვიდრეს დიდი ავტორიტეტი როგორც მთელ საბჭოთა ლიტერატურაში, ისე, განსაკუთრებით, ქართულ პოეზიასა და დრამატურგია-

და ნიშანდობლივია, რომ ერეკლე მეფის აელვარებული ხმლის ქება-დიდებით დასრულდა ილო მოსაშვილის დრამატურგია. შესანიშნავ მწერალსა და მოქალაქეს ცხოვრების შუა გზაზე ულალატა გულმა. მისი უეცარი სიკვდილი ღრმა გულისტკივილით შეიცხადა როგორც ქართველმა ხალხმა, ისე მთელმა საბჭოთა საზოგადოებრიობამ.

და დარჩა მისი ნათელი ხსოვნა, რადგან იგი იყო იმ მწერალთაგანი, რომლებსაც უნარი შეუნევთ, ცხოვრების რთულ შრეებში დაინახონ სილამაზე, ყველაზე პროზაულ მოვლენებში ამოიცნონ ნინსვლისა და პროგრესის გზები.

მაა სრული უფლება ჰქონდა ეთქვა:

„როცა ვმღეროდი, რაც უნდა მეთქვა,
საბჭოთა ქვეყანავ ჩემო, შენ ზე ვმღეროდი!

ვასო ვასილ გოძიაშვილი

1905-1976

ქართველი მსახიობი, სსრკ სახალხო არტისტი, სსრკ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი, ვასო (ვასილ) დავითის ძე გოძიაშვილი დაიბადა 1905 წლის 27 ნოემბერს სიღნაღის რაიონის სოფ. ვაქირში.

სწავლობდა თბილისის დრამატულ სტუდიაში (ხელმძღვანელი ა. ფაღავა). 1924 წ. იყო რუსთაველის სახელობის თეატრის, ხოლო 1930 წლიდან გარდაცვალებამდე კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობი.

გოძიაშვილი გამოირჩეოდა ჭეშმარიტი არტისტიზმით, მკაფიო აქტიორული ინდივიდუალობით, მაღალი პროფესიული ოსტატობით, იმპროვიზაციის დიდი უნარით, აცენური მომხიბლაობით, მუსიკალობით, პლასტიკურობით. მის შემოქმედებაში აისახა რევოლუციამდელი ქართული თეატრის საუკეთესო ტრადიციები. გოძიაშვილი ნარმატებით ასრულებდა როგორც დრამატულ, ისე კომედიურ და გროტესკულ როლებს. მის მიერ შექმნილი ლუარსაბ თათქარიძის სახე („კაცია ადამიანი?!", ი. ჭავჭავაძის მიხედვით) საბჭოთა თეატრის ისტორიაში შევიდა, როგორც ქართული აქტიორული სკოლის ერთ-ერთი ბრწყინვალე მონაპოვარი. სხვა როლებიდან აღსანიშნავია: ახმა (შანშიაშვილის „ანზორი"), ჩეშმაკოვი (ანტონოვის „მზის დაბნელება საქართველოში"), ავეტიკა (ცაგარელის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ"), რუი ბლაზი (ჰიუგოს „რუი ბლაზი"), არბენინი (ლერმონტოვის „მასკარადი"), ხლესტაკოვი (გოგოლის „რევიზორი"), მეფე ერეკლე (გოთუას „მეფე ერეკლე"), რიჩარდ III (შექსპირის „რიჩარდ III"), კეისარი (შოუს „კეისარი და კლეოპატრა"), ფილიპი (შილერის „დონ კარლოსი") და სხვ. აღსანიშნავია გოძიაშვილის მიერ დადგმული სპექტაკლი „ძველი ვოდევილები" (ნერეთლის „ბუტიაობა", ცაგარელის „ოინბაზი", ბახუტაძვილის „სასამართლოში"); სადაც თვითონ ბრწყინვალედ შეასრულა ტიგრან ოფოფიანცის, არშაკას და სპექტაკლის ნამყვანის მოხუცი მსახიობის როლები. გოძიაშვილს დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული საესტრადო ხელოვნების განვითარებაში. საქართველოში პირველი საესტრადო ორკესტრი ვასო გოძიაშვილმა შექმნა — ეს იყო 30-იანი ნლების მინურულს. ვ. გოძიაშვილმა შეასრულა საესტრადოდ გაორკესტრებული „გენაცვალე", რომელიც ოთხჯერ გაამეორებინეს. კონცერტზე მყოფმა ლეონიდ უტიოსოვმა გადაკოცნა ვასო და უთხრა: „ყველაფერი ძალიან ნიჭიერად არის გაკეთებული, ასე ინყება დიდი ჯაზის შექმნა". შემდეგ ჯაზის ხელმძღვანელად ვასო დაინიშნა... იყო ესტრადის მსახიობთა I საკავშირო კონკურსის ლაურეატი...

ვასო გოძიაშვილი ნარმატებით მოღვაწეობდა კინოში. შესრულებული აქვს სიკოს („ქეთო და კოტე"), ავეტიკას („რაც გინახავს ვეღარ ნახავ") და სხვა როლები...

და მაინც, ვასო გოძიაშვილი თეატრის დაუღალავი მსახური და მისი ხელმწიფეა. იგი უზარმაზარი ქმედითი ძალის ხელოვნების პროპაგანდისტია. გოძიაშვილი ბრწყინვალედ ფლობდა ჟანრს და ძალდაუტანებელი ანცი თეატრალური თამაშის სტიქიაში ბანაობდა... ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ იგი მთლიანად ძვრება სხვისა კანშიც და სხვისა სულშიც. ძვრება ისე მარჯვედ, რომ თქვენ წინაშე ყოველთვის სრულიად სხვა ადამიანია, რომელსაც ნახავ ერთხელ და ვეღარ დაიკინყებ.

მისი მრავალმხრივი ტალანტი ნახევარი საუკუნის განმავლობაში ხიბლავდა მაყურებელს. აღიარება და სიყვარული მან შემოქმედების პირველი წლებიდანვე მოიპოვა. ვასო

გოძიაშვილი კომედიური და დრამატული როლების ბრწყინვალე შემსრულებელი იყო, ახასიათებდა გარდასახვის უსაზღვრო უნარი, დიდი მუსიკალობა, პლასტიკურობა, ღრმა ფსიქოლოგიზმი. ვასო გოძიაშვილის ნიჭი კ. მარჯანიშვილისა და ს. ახმეტელის ხელმღვანელობით გამოიკვეთა. ქართულ თეატრში იგი წითელარმიელთა რიგებიდან მოვიდა. სწავლობდა თბილისის დრამატულ სტუდიაში და მონაწილეობდა კ. მარჯანიშვილისა და ს. ახმეტელის პირველ დადგმებში. კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის შექმნის დღიდან გარდაცვალებამდე ვ. გოძიაშვილის მდიდარი აქტიორული შემოქმედება ამ თეატრის ისტორიას უკავშირდება, სადაც ქმნიდა შესანიშნავ სცენურ სახეებს, ენეოდა ფართო საზოგადოებრივ მოღვაწეობას, ზრდიდა მსახიობთა ახალ თაობებს...

დაჯილდოებულია ხუთი ორდენითა და მედლებით.

ავლიპ ზურაბაშვილი

1902-1995

ჩემი სახელის ამ დიდ სიმაღლეს
და ირეკლიგლიებას გული ვერ იტანს.
ეძიეთ ჩემს ლაშქს სადაც
ჩემი ბაღმეობის უნივერსიტეტს.
ამ ძირამ მოგცა სათბო ისეთი.
თითქოს მაგ ტერდში შმე ტქონებია.
სიღარაფელ კაცის სიტკვს იტდითი
ბოელ ბსოფლიოში ულოდებია.

ამირან გოდერძიშვილი

ამაგალითოა ცხოვრების ის გზა, რომელიც განვლო სახელოვანმა მეცნიერმა და საზოგადო მოღვაწემ, აკადემიკოსმა ავლიპ დავითის ძე ზურაბაშვილმა.

იგი, როგორც აღმზრდელი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, იშვიათი კეთილმოსურნეობით, კაცთმოყვარეობით და მაღალი მორალური თვისებებით გამოირჩეოდა.

აკადემიკოსი ა. ზურაბაშვილი საყოველთაოდ ცნობილი მეცნიერია, რომლის ნაშრომებმაც ფსიქონევროლოგიის დარგში მსოფლიო აღიარება მოიპოვა. ამავე დროს, ა. ზურაბაშვილი ბრწყინვალე მკურნალი და ფართო მასშტაბის მოღვაწე იყო, რომელიც ჭეშმარიტად საყოველთაო სიყვარულით და უღრმესი პატივისცემით სარგებლობდა მოსახლეობის ფართო ფენებში.

ავლიპ დავითის ძე ზურაბაშვილი დაიბადა 1902 წლის 15 თებერვალს სიღნაღის რაიონის სოფ. ბოდბისხევში, პირველდაწყებითი განათლება იქვე მიიღო, ხოლო 1920 წელს დასრულა ქ. თბილისის რეალური სასწავლებელი. 1927 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი და გამოჩენილი ქართველი ფსიქიატრის, პროფესორ მიხეილ ახათიანის წინადადებით, სამუშაოდ დარჩა უნივერსიტეტის ფსიქიატრიის კათედრაზე. 1930 წელს ა. ზურაბაშვილი მიემგზავრება ლენინგრადში, სადაც თითქმის 10 წლის განმავლობაში დიდი მეცნიერების — აკადემიკოსების ი. პავლოვის, ვ. ბეხტერევის და ვ. ოსიპოვის ლაბორატორიებსა და კლინიკებში სრულყოფს ცოდნას, ეწევა მეტად ნაყოფიერ სამეცნიერო მუშაობას. ამ პერიოდს ეკუთვნის მისი ფუნდამენტური გამოკვლევები თავის ტვინის სტრუქტურული ევოლუციის შესახებ, რომელმაც მას ნეირომორფოლოგიაში ონტოგენეზური მიმართულების ერთ-ერთი ფუძემდებლის საპატიო ადგილი დაუმკვიდრა. 1938 წელს ა. ზურაბაშვილი ინიშნება საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად, რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა, პარალელურად დიდი ხნის განმავლობაში განაგებდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ფსიქიატრიის კათედრას და აკადემიკოს ი. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის თავის ტვინის მორფოლოგიის ლაბორატორიას.

ამ ხანებში იგი გარს იკრებდა ახალგაზრდა ნიჭიერ სპეციალისტებს, აყალიბებდა კლინიკურ განყოფილებებსა და ლაბორატორიებს, ფართოდ ნერგავდა კვლევის ახალ მეთოდებსა და მიმართულებებს. ა. ზურაბაშვილმა განამტკიცა და განავითარა პროფე-

სორ მ. ასათიანის ტრადიციები და საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე ქართულ ფსიქიატრიულ სკოლას, რომელსაც დღეს საქვეყნო აღიარება აქვს.

აკადემიკოს ა. ზურაბაშვილს ეკუთვნის 400-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი გამოქვეყნებული ქართულ, რუსულ, გერმანულ, ფრანგულ და ინგლისურ ენებზე. გამოცემული აქვს 22 მონოგრაფია ქართულ და რუსულ ენებზე.

ა. ზურაბაშვილი თავისი მოღვაწეობის 55 წლის განმავლობაში ამუშავებდა ორ ძირითად ფუნდამენტურ მიმართულებას, რაც მეცნიერებისათვის უდიდესი თეორიული და პრაქტიკული შენაძენია და რამაც საყოველთაო აღიარება მოიპოვა როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ.

ერთია ფსიქიკური მოქმედების სტრუქტურულ-დინამიკური საფუძვლები (უფრო ადრეული პერიოდის ძიებანი) ნორმათა პათოლოგიაში, ხოლო მეორე — ევოლუციურ-დინამიკური მიმართულებები კლინიკურ ფსიქიატრიაში, აგრეთვე, პერსონოლოგიისა და პათო-პერსონოლოგიის პრობლემები.

სპეციალური ყურადღების ღირსია ა. ზურაბაშვილის კაპიტალური შრომები ციტოარქიტექტონიკის დარგში, რომელთა საფუძველზე მას სრულიად სამართლიანად თვლიან ნეირომორფოლოგიაში სინაპსოარქიტექტონიკური მიმართულების ფუძემდებლად.

ა. ზურაბაშვილი მეცნიერულ მუშაობაში თუ საზოგადოებრივ მოღვაწეობაში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ეთიკის, მორალის, ჰუმანიზმის პრობლემებს ფსიქოლოგიაში, ფსიქოპათოლოგიასა და კლინიკურ ფსიქიატრიაში.

დიდია მისი წვლილი პიროვნული, პერსონოლოგიური ანდა ეგოფსიქოთერაპიის პრინციპების განვითარებაში, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პედოფსიქიატრიასა და პედაგოგიკაში. მას პერსონოლოგიური თვალსაზრისით აქვს დამუშავებული დედობის, ობლობისა და სხვა საკითხები — დაკავშირებული აღზრდისა და ოჯახის მორალური კლიმატის პრობლემებთან.

ამაგდარი სწავლული არჩეული იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად. 1946 წელს ა. ზურაბაშვილს მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება. მისი მეცნიერული შრომები აღინიშნა სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ვ. ბეხტერევის სახელობის და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. თარხნიშვილის სახელობის პრემიებით. იყო ტვინის შემსწავლელი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი, რამდენიმე საკავშირო და საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების და ასოციაციის საპატიო წევრი. დაჯილდოებულია სამი ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით და ოქტომბრის რევოლუციის ორდენებით. მიღებული აქვს მთავრობის სხვა საპატიო ჯილდოებიც.

სანდრო მირიანაშვილი
1915-1987

პოპულარული ქაერთველი კომპოზიტორი, საქართველოს სახალხო არტისტი, ალექსანდრე (სანდრო) პეტრეს ძე მირიანაშვილი დაიბადა 1915 წლის 12 სექტემბერს ქ. სიღნაღში.

სწავლობდა თბილისის, მოსკოვისა და ლენინგრადის კონსერვატორიებში. ხელმძღვანელობდა საგუნდო ანსამბლებს ლენინგრადსა და თბილისში.

საზოგადოების განსაკუთრებულ ინტერესს ინვევს კომპოზიტორის შემოქმედებითი საქმიანობა 1950-იანი წლების დასაწყისში, რომლის სახელთანაც არის დაკავშირებული ქართული ესტრადის ახალი მიმართულების ჩამოყალიბება და განვითარება.

იმ პერიოდში ჩვენ მუსიკალურ ცხოვრებაში თანდათან იკვეთებოდა მისწრაფება ახალი ჟანრის — ქართული ესტრადო სიმღერების შექმნისა, გამოჩნდნენ ცალკეული შემსრულებლებიც, რომლებიც სრულიად ახლებურად, აქამდე უჩვეულო სტილითა და მანერით მღერდნენ.

კომპოზიტორმა ს. მირიანაშვილმა შეძლო, აღმოეჩინა ნიჭიერი ახალგაზრდობა და შეეკრა ისინი ერთ კოლექტივად. ამასთან, მას ჰქონდა არაჩვეულებრივი უნარი მომღერლებთან მუშაობის, სიმღერის ხასიათის გახსნისა და სხვა.

ს. მირიანაშვილის, შესანიშნავი კომპოზიტორის, პედაგოგისა და აკომპანიატორის, ეს და სხვა მონაცემები დიდად უწყობდა ხელს მისი ვოკალური ჯგუფების წარმატებას. 50-იანი წლების ქართული ესტრადის სათავეებთან მასთან თავი მოიყარეს ამ ჟანრით გატაცებულმა ახალგაზრდა მომღერლებმა, რომლებმაც შემდგომში ასახელეს ქართული ესტრადა, აქედან პირველთაგანი იყვნენ: გია ჭელიძე, გიორგი მონწერელია, ეთერ გვაზავა და ციცინო ციცქიშვილი.

ორკესტრის შემოქმედებით წინსვლასა და წარმატებებში, მისი მხატვრული პროფილის გამოკვეთაში გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნოდა კომპოზიტორ სანდრო მირიანაშვილს, რომელიც ახალგაზრდული მგზნებარებითა და პროფესიული კეთილსინდისიერებით მოეკიდა მის მიერ შექმნილ ვოკალურ ანსამბლთან მუშაობას, მისი რეპერტუარის დახვეწასა და გამრავალფეროვნებას.

უნივერსიტეტის ლიტერატურული წრის ალმანახ „პირველ სხივში" მირიანაშვილის ყურადღება მიიპყრო მწერალ ნოდარ დუმბაძის ორმა ლექსმა — „დაილოცოს" და „სტუდენტური სიმღერა". მშობლიური მიწის სიყვარულით ამღერებულ ლექსის ავტორს, კომპიზიტორი ს. მირიანაშვილიც გვერდით ამოუდგა და ორივემ ერთად ისინი სიმღერად აქცია, ხალხს შეაყვარა, მათი კუთვნილება გახადა.

სანდრო მირიანაშვილის სიმღერები საქართველოს სილამაზის და სიბრძნის, კეთილშობილებისა და სიფაქიზის მადიდებელია. სანდრო მირიანაშვილის შემოქმედებითი ,ხელწერა მარტივია და საოცრად მელოდიური. სწორედ ამ ორი კომპონენტის შერწყმაშია მისი კამერული ნაწარმოებების განსაკუთრებული მომხიბვლელობა. მისი მელოდიები ადვილად აღსაქმელი და დასამახსოვრებელია, ამიტომაც დიდი პოპულარობით სარგებლობს ფართო მასებში.

კომპოზიტორმა მთელი თავისი შემოქმედება დაუკავშირა ქართული საესტრადო რომანსების შექმნას და დღეს იგი ამ ჟანრის ერთ-ერთ მედროშედ ითვლება.

იგი ჯერ სულ პატარა იყო, 1918 წლის დეკემბერში დიდ მომღერალს, ვანო სარაჯიშვილს ერთ-ერთ კონცერტზე თაიგული რომ მიართვა, ვანომ ხელში აიტაცა პატარა ბიჭუნა და მხურვალედ დაკოცნა. ამ კოცნის დროს ხომ არ გაანდო ქართული რომანსის საიდუმლო ჯადოქარმა შემსრულებელმა პატარას?

უნივერსიტეტში კომპოზიტორ სანდრო მირიანაშვილის მისვლისას წამოჭრილი იდეის — ჩამოეყალიბებინათ ახალი ტიპის ვოკალურ-ინსტრუმენტული დუეტი, სადაც სიმღერასთან ერთად გამოიყენებოდა ქართული ლერწმის სალამურები, — განსახორციელებლად საჭირო იყო სალამურების ტემპირება, რის შემდგომად შესაძლებელი გახდებოდა მათი დაკვრა როიალის აკომპანემენტით.

დუეტის რეპერტუარში შედიოდა ს. მირიანაშვილის სიმღერები: „გიყვარვარ თუ არ გიყვარვარ", „როგორ არ მეყვარები", „დილაა თუ ბინდია", „ისევ ის ბიჭი ვარ"; გ. ცაბაძის „1500 სანთელი", ლ. იაშვილის „გაზაფხული" და „ექსპრომტი"; ა. მაჭავარიანის „მინდვრად ვნახე" და სხვა მრავალი.

დიდი წარმატებით გამოვიდა დუეტი საბჭოთა კავშირის ბევრ ქალაქში, საგასტროლო მოგზაურობისას, რისთვისაც არაერთი მადლობა დაიმსახურა.

საკავშირო და რესპუბლიკის ახალგაზრდული პრესა ხაზგასმით აღნიშნავდა დუეტის ნარმატებას კონკურსზე. ამ ორიგინალურ დუეტს მეტად მაღალი შეფასება მისცეს ჟიურის წევრებმა, ცნობილმა საბჭოთა მომღერლებმა: ბარსოვმა, უტიოსოვმა და სხვებმა. რომელთა რეკომენდაციითაც დუეტმა კომპოზიტორ სანდრო მირიანაშვილთან ერთად რამდენიმე კონცერტი გამართა მოსკოვში მსახიობთა ცენტრალურ სახლში და ჩაიკოვსკის სახელობის დარბაზში.

1957 ნლიდან დუეტი მიინვიეს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის შტატის სოლისტებად. ასე დაინყო დუეტის პროფესიული გზა ესტრადაზე.

1957-1961 ნლებში არ ყოფილა არც ერთი მნიშვნელოვანი კონცერტი ჩვენს რესპუბლიკაში, დუეტს რომ მონაწილეობა არ მიეღოს.

ს. მირიანაშვილს არ გამოპარვია თვითმოქმედი კოლექტივის არც ერთი ახალი მუსიკალური ნანარმოების ავტორი, არც სტუდენტ-თვითმოქმედ კომპოზიტორთა მიერ შექმნილი გულნრფელი და სიცოცხლით სავსე ლაღი სიმღერები.

ეს სიმღერები სტუდენტების მიერ იქმნებოდა ზეპირად და ასევე ვრცელდებოდა ხალხში. კომპოზიტორმა ს. მირიანაშვილმა სტუდენტების მუსიკალური შემოქმედება ქაღალდზე გადაიტანა და შემოუნახა არა მარტო ავტორებს, არამედ ერს, შთამომავლობას, როგორც მისაბაძი და სამაგალითო სტუდენტიახალგაზრდობის ზრდა-განვითარებისა მხატვრულ თვითმოქმედებაში.

ახალგაზრდობამ უმალ აიტაცა და შეიყვარა ეს სიმღერები. მათ შემსრულებლებად გვევლინებოდნენ ცნობილი პროფესიონალი მომღერლებიც. ზ. ხელაიას, თ. ჩოჩუას, ს. კოროშინაძის, ზ. რცხილაძისა თუ გ. ჭელიძის სიმღერები პოპულარული ხდებოდა და ღირსეულად იკავებდა ადგილს პროფესიული სიმღერების გვერდით.

მრავალი პოპულარული თანამედროვე ქართული სიმღერის ავტორმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა, კომპოზიტორმა სანდრო მირიანაშვილმა კლავიერში დაასრულა მუშაობა ოპერაზე „ცურტავის ფრესკებზე", რომელიც „შუშანიკის წამების" შექმნის 1500-ე წლისთავს მიეძღვნა. ოპერას საფუძვლად დაედო მწერლისა და ჟურნალისტის ვლადიმერ ალფენიძის „ცურტავის ზარების" მიხედვით შექმნილი ლიბრეტო. კომპოზიტორს გამოყენებული აქვს, აგრეთვე, სხვადასხვა ეპოქის ქართველი პოეტების ლექსები.

ს. მირიანაშვილის უანგარო მუშაობის შედეგია ის სასიხარულო და საამაყო ფაქტიც, რომ დროთა ვითარებაში ზემოაღნიშნული ინსტიტუტის ვოკალური ჯგუფის მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოს ფილარმონიის სრულუფლებიანი წევრი გახდა; ისინი ფილარმონიის წამყვან მსახიობთა რიგებში ჩაირიცხნენ, რაც მათი ხელოვნების აღიარების დამადასტურებელი იყო.

სანდრო მირიანაშვილმა პოეტ იოსებ ნონეშვილის ტექტსზე შექმნა საგანგებო სიმღერა—„სიმღერა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტზე“— ასე ეწოდებოდა სანდრო მირიანაშვილისა და იოსებ ნონეშვილის ერთობლივ ნაწარმოებს. იგი საზეიმო ვითარებაში შესრულდა. სიმღერის პრემიერაზე დარბაზის თითეულ სკამზე იდო დასტამბული ნოტები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს სიმღერა ინსტიტუტის სასულე ორკესტრსაც ჰქონდა შესწავლილი.

ვოკალური ჯგუფის ერთ-ერთი პოპულარული ნომერი იყო, აგრეთვე, გ. ბზვანელის „ნუკრია“, რომელიც პოეტ ნაზი კილასონიას ლექსზე შეიქმნა.

ინსტიტუტის ვოკალური ანსამბლი ხშირად გამოდიოდა თბილისის დიდ სცენებსა და დარბაზებში, ამიტომ მისი გამოსვლის ყოველ ნიუანსს ითვალისწინებდა მისი ხელმძღვანელი ს. მირიანაშვილი, რომელიც ნაწარმოების სრულყოფილად შესრულების გარდა დიდ ყურადღებას უთმობდა საშემსრულებლო კულტურას, თავის დაჭერასა და არტისტიზმს, სასცენო კოსტიუმების გემოვნებით და მოხდენილად გამოყენებას.

ბიძინა კვერნაძე

ბამოჩენილი ქართველი კომპოზიტორი, საქართველოს სახალხო არტისტი ბიძინა ალექსანდრეს ძე კვერნაძე დაიბადა 1928 წლის 29 ივლისს ქ. სიღნაღში.

ბიძინა კვერნაძე კოლორიტული პიროვნებაა. მოძრაობა დინჯი, აუჩქარებელი, მეტყველება ნელი, დარბაისლური, ამავე დროს აზორვნება — სხარტი და მკვირცხლი, რეაქცია მოვლენებზე — ელვისებური.

ნარმოშობით იმერელია, დაიბადა და აღიზარდა ქიზიყში, ამიტომ მის პიროვნებაში საქართველოს ამ ორი მადლიანი მხარის სიმშვენიერე, ადამიანური ხასიათებისა და თვისებების თავისებურებანი შეზავდა და ორგანულად შეერწყა. მასთან ერთხელ შეხვედრაც კი საკმარისია, რომ სამუდამოდ დაგამახსოვრდეს და აღივსო მისდამი პატივისცემითა და სიყვარულით. მხოლოდ ძალიან ახლობლებმა თუ იციან, ამავე დროს რა ფაქიზი და ფიცხია, რა ნუხილსა და განცდას დაატარებს...

ხანდახან არც იმედის გაცრუება, სანუკვარი ოცნების აუხდენლობაა მისთვის უცხო. ყველაფერი ეს ხომ ნამდვილ ხელოვანთა ხვედრია. მაგრამ ბ. კვერნაძე არასოდეს არ გაბოროტებულა. მისი ხასიათის სირბილე, დამყოლი ბუნება, სურვილი იმისა, რაც შეიძლება მეტი კარგი დაინახოს სხვაში, მისი შინაგანი ინტელიგენტური თვისებებიდან მომდინარეობს.

ბ. კვერნაძის დახვეწილ გემოვნებას, მის მახვილ მუსიკალურ სმენას არ გამოეპარება სიყალბე, მოჩვენებითობა. კომპოზიტორის შემოქმედება მისი თვალნათლივი ადამიანური თვისებების ანარეკლია, ამავე დროს სულისა და შინაგან სამყაროს უხილავ წახნაგებსაც ავლენს. ბ. კვერნაძის პირველივე ნაწარმოებებში გამოიკვეთა ავტორისეული ხელნერა, აზროვნების მანერა, მხატვრულ სახეთა და იდეათა სფერო.

დიდ არტისტიზმამდე ამაღლებული საცეკვაო სტიქია მეფობდა ისეთ პარტიტურებში, როგორიც არის „ცეკვა-ფანტაზია", ბალეტი „ქორეოგრაფიული ნოველები", ქორეოგრაფიული პოემა „სერაფიტა", „მოლოდინი"— სიმებიანი ორკესტრისათვის.

ბ. კვერნაძე შემოქმედებითი გზის ევოლუციურმა აღმავლობამ მიიყვანა პოეტურ სიტყვამდე. იგი უფრო და უფრო ხშირად მიმართავს ვოკალურ მუსიკას და ქმნის ჰუმანიზმითა და პატრიოტული გრძნობით გასხივოსნებულ ისეთ ნაწარმოებებს, როგორიც არის: „ჩემი ლოცვა"— გუნდისა და ორკესტრისათვის ნ. ბარათაშვილის ლექსებზე, გ. ლეონიძის ლექსების მიხედვით დაწერილი „ძველი ქართული ნარნერები"— ტენორისა და ორკესტრისათვის, ვოკალურ-სიმფონიური პოემა ხმისა და სიმფონიური ორკესტრისათვის ე. თათარაიძის ლექსებზე, ოპერა „იყო მერვესა წელსა"„შუშანიკის ნამების" მიხედვით ამ ნაწარმოებებში კომპოზიტორი საინტერესო, სრულიად ახალი თვისებებით წარსდგა მსმენელის წინაშე, ისინი მადლიან მასალას იძლევიან განსჯისა და ფიქრისათვის, განხილვისა და ანალიზისათვის. მისი ადამიანური თვისებებისათვის უცხოა ისეთი გრძნობები, როგორიც არის პრეტენზიულობა, გადაჭარბებული პატივმოყვარეობა, სურვილი თავის ნარმოჩენის, საკუთარი ნაწარმოებების ბედზე უზომო ზრუნვა.

ბ. კვერნაძე არის საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, შოთა რუსთაველისა და ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემიების ლაურეატი, ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის მდივანი.

ჰამლეტ გონაშვილი

1926-1985

რა ესმოდის მღერა ელის. სმენად
მხეცნი მოვიდნ.
ძისვე ხმის სიტკბოსაკენ
წელით ქვანიცა გამოსხდიან...
ხალხური

რაც ვარ,—
თავისთავად დიდი.
ილია

ქართული ხალხური სიმღერების უბადლო შემსრულებელი, უნიკალური ხმის მქონე ლოტბარი ჰამლეტ გონაშვილი დაიბადა 1926 წელს სიღნაღის რაიონის სოფ. ანაგაში.

სიმღერა ცოცხალია, სიმღერა სისხლსავსეა, სიმღერა — ჰამლეტ გონაშვილის გენური საწყისი და თავიწყარო. სიმღერამ შვა თავისი მემკვიდრე, ადამიანის სახე მისცა და ჩვენ, მოკედავთ, იშვიათი ბედნიერება გვარგუნა, შევსწრებოდით მისი ხმის ხილვად მშვენიერებას. მაგრამ ბუნება ადამიანებს დიდხანს არ აბედნიერებს. ამის კვალობაზე, მგონი, ჩვენ დიდხანსაც კი ვიყავით ბედნიერები და ბედის ნებიერები.

იგი მალე და საოცრად უბრალოდ დაიბრუნა ბუნებამ უკან. მითითა და პოეზიით ჩვენამდე მოღწეულია საოცარი აღნერა სიმღერისა და მომღერლისა. ორფეოსი თავისი ღვთაებრივი სიმღერებით მოძრაობის უნარს ანიჭებდა ხეებსა და ლოდებს, ათვინიერებდა გარეულ მხეცებს.

ჰამლეტ გონაშვილი მითიურის რეალური ხორცშესხმა იყო. აკი უთქვამს ამერიკელ მომღერალს, როცა მისი სვანური ზარის მღერა შესთავაზეს: ამას ადამიანი არ მღერისო...

დიდი მწუხარება ჩუმია და უტყვი, ამით ჰგავს იგი დიდ სიყვარულს. დიდი სიყვარულით შეგვაყვარა თავი და დიდად დაგვამწუხრა, ამიტომ არის ჰამლეტ გონაშვილზე ლაპარაკი ესოდენ ძნელი. პირველი, რაც აგვეკვიატება, ის არის, რომ სხვას მოვუსმინოთ, დაე, იმათ თქვან; იმ სხვებსაც ხომ ჩვენსავით უმძიმთ:

ანზორ ერქომაიშვილი: *დღესაც ელოდება ხალხი ჰამლეტს, დღესაც ველოდებით ჩვენც. ყველა ფარდის გახსნისას ასე გვგონია, სადაცაა შემოვა, ღრმად ჩაისუნთქავს, არნივივით შეიმართება, ერთს მისებურად დაბერავს ნესტოებს და თავად ღვთაებრივად მომხიბვლელი, ღვთაებრივად ამღერდება...*

ვახუშტი კოტეტიშვილი: *ძნელია, საქართველოში ცნობილი გახდე სიმღერით. იქ, სადაც მთელი ერის ცხოვრებაში ასე ღრმად შეჭრილია სიმღერის ფენომენი, სადაც მღერიან, როცა ძე თუ ასული იბადება, სადაც ქორწილში მღერიან, სადაც ამბობენ — დარდიან გულ ზე სიმღერა ტირილის მაგიერიაო და მიცვალებულსაც სიმღერით დასტირიან...*

„ოთარაანთ ქვრივის" გიორგივით ალალი იყო, „ოთარაანთ ქვრივის" გიორგივით აღსასრული ჰპოვა.

ანაგაში ამბობენ: საოცრად უბრალო იყოო. უარი არ შეეძლო, მით უფრო, სიმღერაზე როგორ გააწბილებდა კაცს? ჩვენ სასოფლო სცენაზე 1924 წელს ვანო სარაჯიშვილს უკანასკნელად უმღერია. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა... ვინ არ გვსტუმრებია, იმ სცენაზე, ვინ არ ვიხილეთ... ჰამლეტ გონაშვილი კი — ვერა...

ვერ დავითანხმეთ. ერთი ისეთი „არა" გვითხრა, უკან დავიხიეთ, ვეღარც შევბედეთ. რა შეგვაბედინებდა:

დედა იყო მისი სალოცავი ხატი. შინ დედა ეხვეწებოდა თურმე, დედაშვილობამ, რა იქნება, ერთხელ „თავო ჩემო" მიმღერეო...

ისე წავიდა ამქვეყნიდან, სურვილი არ შეუსრულა დედას, ვანო სარაჯიშვილის ნაკვალევს ფეხი არ დააკარა, მისი ყელიდან ვანოს ნამღერი არ ამოსულა... ვანო იყო მისი კერპი.

ყოველ ხალხს აქვს თავისი სანუკვარი სულიერი სფერო, სადაც იგი გამოხატავს თავის სატკივარს, თავის სიხარულს, თავის განცდებს. ქართველი კაცისათვის ასეთია ქართული სიმღერა.

საუკუნეების სიღრმიდან მოდის ქართული ხალხური სიმღერა. ისე უხმოდ, ისე ჩუმად, რომ წამოგეპარება, როგორც ჯეჯილს ნიავი, ვერც კი იგრძნობ, რადგან თავად შენშია იგი.

უსახელო გმირებმა მოიტანეს ეს საოცრება ჩვენამდე. ზოგჯერ უსახელო გმირებსაც თავისი სახელები აქვთ: ერქომაიშვილები, სიმონიშვილები, კავსაძეები, თარხნიშვილები, პაჭკორიები, დედას ლევანა... საბედნიეროდ, ერთ ასეთს ჩვენც მოვესწარით. მისი სახელია ჰამლეტ გონაშვილი.

ხმა ღვთისა და ხმა ერისა,
ულიში ვარდი კდებია.
ეჰ, შენსაკით საქართველოს
ცოტა ძონტრებია.

ძიწი შკრთა დაზაფრული,
ძზე თვით შენი ყელია...
ეჰ, უშენოდ გაზაფხული? —
წრმოუდგესელია...

ენტრები ბაშულს, ბმაო,
ერს — სისხლად რომ სდიოდი;
ცრემლი დასწვიმს სასაფლაოს —
დიმიტრის და ვიორგის.

ხმა ღვთისა და ხმა არ სხვისი,
ხმა ვკასმინე — შენია.
ჭყვავის ძენი საბრძანისი
თეთრად, ვით ყალეშია...

ხმაწმინდა და ხმასათელო,
ულიში ვარდი კდებია,
ეჰ, შენსაკით საქართველოს —
ცოტა თუ ჰყვარებია...

თემურ ჩალაბაშვილი

მერი ნაკაშიძე

1914-1995

„საქართველოს ბულბული"

ფერცხლიმა თქვა: „ეს ვინ არის,
სიმღერითაც რომ ძღვნიან?..
ეს ფაფალი, ფეხებში
ხეებიდან ფრენის,
ძალიან აკანკალებს, რომ ფრთებით
ჯერ ალალად სითქვენს.
ფიარცხვენს, დაუფენს
და ძალიან სიმღერას.

იოსებ გრიშაშვილი

ქართველი მომღერალი (ლირიკულ-კოლორატული სოპრანო), საქართველოს სახალხო არტისტი მერი ნაზარის ასული ნაკაშიძე დაიბადა 1914 წლის 1(14) დეკემბერს ქ. სიღნაღში.

1936 წელს დაამთავრა თბილისის კონსერვატორია (პროფ. ი. ბახუტაშვილ-შულგინას კლასი).

1935-1960 წწ. თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტია. ფაქიზი, ლამაზი ხმისა და შესანიშნავი სცენური გარეგნობის მქონე მსახიობმა შექმნა მრავალი საინტერესო ვოკალური სახე, რომელთაგან ნატიფი ლირიზმითა და პოეტურობით გამოირჩევა: მარო (ზ. ფალიაშვილის „დაისი"), ქეთო (ვ. დოლიძის „ქეთო და კოტე"), ცირა (მ. ბალანჩივაძის „დარეჯან ცბიერი"), მზია, ბულბული (ა. ანდრიაშვილის „კაკო ყაჩაღი", „ჩხიკვთა ქორწილი"), ლატავრა (ზ. ფალიაშვილის „ლატავრა"), ლაკმე (დელიშის „ლაკმე"), ვიოლეტა, ჯილდა (ვერდის „ტრავიატა", „რიგოლეტო"), მარფა (რიმსკიკორსაკოვის „მეფის საცოლე"), როზინა (როსინის „სევილიელი დალაქი") და სხვა.

მ. ნაკაშიძე ეწეოდა ნაყოფიერ საკონცერტო მოღვაწეობას. გასტროლებს მართავდა სსრკ ქალაქებში, იყო პოლონეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, დიდი ოსტატობით ასრულებდა ე. ბრუსილოვსკის „ორ მერცხალს", შტრაუსის „ვალსს" (ვენის ტყის ზღაპარი), უკრაინულ ხალხურ სიმღერას „სოლოვეიკოს" და სხვ.

1951-1957 წწ. იყო ვოკალისტთა რესპუბლიკური და საკავშირო კონკურსების ლაურეატი.

მერი ნაკაშიძე დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშისა და „საპატიო ნიშნის" ორდენებით.

ძალიან უყვარდათ მერი ნაკაშიძე თანამედროვეებს, არა მარტო კარგი ხმისთვის და კარგი სიმღერისათვის, არამედ კარგი ადამიანობისთვისაც, ამაღლებული სულისთვისაც, სიკეთისთვისაც...

ახლა გიგა ლორთქიფანიძეს მივცეთ სიტყვა:

„ჩემი ბავშვობა და ახალგა ზრდობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ოპერისა და ბალეტის თეატრთან.

ჩვენთვის, ჩვენი თაობის ახალგა ზრდებისათვის ოპერის თეატრი იყო კულტურული ცენტრიც და ესთეტიკური ტკბობისა და გატაცების საგანიც, რადგან ვუსმენდით შესანიშნავ მომღერლებს: დ. ანდღულაძეს, დ. გამრეკელს, პ. ამირანაშვილს. ბედნიერება გვქონდა მოგვესმინა იმ პერიოდის ცნობილი უკრაინელი მომღერლები: მ. გრიშკო, მ. მიგაი, ა. კიპარენკო-დამანსკი... ამ ვარსკვლავებში განსაკუთრებული სიკაშკაშით და მშვენიერებით გამოირჩეოდა ჩვენი ქართული ოპერის ბულბული, ულამაზესი ქალი და შესანიშნავი მომღერალი მერი ნაკაშიძე. მას ზე მთელი ჩვენი თაობა შეყვარებული იყო — იგი იყო ჩვენი კერპი და თაყვანისცემის ობიექტი. მერიმ გული დაგვწყვიტა, როცა ადრე დაანება სიმღერას თავი, მაგრამ ორმოცდაათიან წლებში მოხდა სასწაული და მისი ხმა ისეთივე ელვარებით აჟღერდა, როგორც ახალგა ზრდულ წლებში. მე პირადად მოწმე ვარ ტრიუმფალური გამოსვლისა 1958 წელს, ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის დროს სა ზეიმო კონცერტ ზე, რომლის რეჟისორიც მე გახლდით. მოსკოვის მწვანე თეატრი სავსე იყო საბჭოთა და უცხოელი სტუმრებით, მუსიკის სპეციალისტებით. მერი ნაკაშიძის გამოსვლას მჭეხარე ტაშით შეხვდნენ.

მერი ნაკაშიძის სახელი მართლაც რომ ოქროს ასოებითაა ჩაწერილი ქართული საოპერო ხელოვნების ისტორიაში“,

როს აკვნესდები, კით ლერწმის ღერი
და. ტკბილო მერი, მოსთქვამ და მღერი,
შე მაკონწიდება სუფევლაფერი,
სუფველი ხმა და სუფველა ფერი.
მომკონდება კალაკტიონი,
ფენი სახელის მადიდებელი,
და ჩემს ვრცნობაში სულ მღერი, მღერი,
ფეერიული და ეფემერი.
ფენ ბულბული ხარ კადაფურჩნილი,
ფოთქმა ხარ ნესტან-დარეჯანისა,
ხან საქართველოს სიოს ჩურჩული,
ნატოს ეშხი და ვერეოს კდემაკ!
ქართველო ნანავ, დედის ალერსო,
ხან სამშობლის ფიერო, ხან ტამოდეომაკ,
ხან ვაზაფხულზე უმხურვალესო,
ვაკას შვილის ნეკრის უანსო თრთოლავ,
ვიმზერ და ვული ლხენით ამეკსო.
აბა, ამ ზეიმს როგორ დავესწრო,
რომ ჩემებურად ფენ არ ვაკლექსო.
ხარაკიძეილის ნანატრო ალრო,
ციცისათელავ ჩვენი ცხოვრების,
ბულბულო, კარდის ეშხით დამწკარო,
სამშობლოს მუდამ ემახსოვრები.

პიერ კობახიძე

სპარტაკ ბაღაშვილი

1914-1977

ბამოჩენილი კინომსახიობი, ქართული საბჭოთა კინოს მგზნებარე რაინდი სპარტაკ ბაღაშვილი, დაუდეგარი, მაძიებელი ხელოვანი, რომელიც ოთხი ათეული წლის განმავლობაში დაუღალავად იღვწოდა და მშობელი ხალხისა და საყვარელი ხელოვნების სამსახურში დაილია, დაიბადა 1914 წლის 7 დეკემბერს სიღნაღის რაიონის სოფ. ბოდბისხევში. მამამისი ლევანი, ადელხანოვის ფეხსაცმლის ფაბრიკის მუშა, სახალხო სცენის ნიჭიერი მსახიობი იყო, რომელსაც კარგად იცნობდნენ ხარფუხის, ორთაჭალის, ავლაბრის, ავჭალის აუდიტორიებში, ხოლო 1923 წელს რუსთაველის სახელობის თეატრში მას სასცენო მოღვაწეობის 25-ე წლისთავიც გადაუხადეს...

1935 წლის ზაფხულში რეჟისორი მ. ჭიაურელი, რომელიც თავისი მომავალი ფილმის „არსენას" გმირს დაეძებდა, შეხვდა ნარმოსადეგი გარეგნობის ვაჟკაცს და მოიხიბლა მისი ტანადობით, მეტყველი თვალებით, ომახიანი ხმით. ამ შეხვედრამ გადაწყვიტა სატყეო ინსტიტუტის მეოთხე კურსის სტუდენტის, სპარტაკ ბაღაშვილის კინოხელოვანებაში მოსვლა.

გამორჩეული ელვარებით აკიაფდა 1935 წელს ეკრანებზე ამ მოღიმარი ბრგე ვაჟკაცის არსენა. თაობებს ახსოვთ მას შემდეგ მთელი გალერეა ეკრანული სახეებისა, რომლებშიც გამოსჭვიოდა მსახიობის უტყუარი ნიჭი და უშუალობა, პატრიოტული შემართება, ზნეობრივი და ემოციური დამუხტულობა. ქართული ფილმები „დიადი განთიადი", „კოლხეთის ჩირაღდნები", „ქაჯანა", „გიორგი სააკაძე", „პოეტის აკვანი", „ვედრება" და ბევრი სხვა — აი საფეხურები, რომლებიც განვლო მსახიობმა სრულყოფისაკენ სწრაფვით. უკანასკნელი პერიოდის ფილმებიდან მაყურებელს ყველაზე მეტად გულში ჩასწვდა მწყემს მარტიას დაუვიწყარი სახე, რომელიც მან ფილმ „თერთ ქარავანში" შექმნა.

სპარტაკ ბაღაშვილი ბევრი მხრით იყო უჩვეულო და თავისებური. გულს სიხარულით ავსებდა მისი ლიტერატურული განსწავლულობა და მჭევრმეტყველება, რომელიც მხოლოდ მისთვის ჩვეული სახიერებით და აფორიზმული ხატოვანებით გამოირჩეოდა, და ყველარერ ამას დამატებული — მოქალაქეობრივი მოვალეობის დიდი შეგნება. თავისი ალალი შრომითა და ნიჭით მოიპოვა სპარტაკ ბაღაშვილმა მრავალრიცხოვანი მაყურებლის და კინემატოგრაფისტთა დიდი პატივისცემა, სიყვარული, პოპულარობა.

მთავრობამ ღირსეულად დააფასა გამოჩენილი კინომსახიობის ღვაწლი. ის დაჯილდოებული იყო ორი შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლებით, იყო სსრკ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი.

წვლილი, რომელიც შეიტანა სპარტაკ ბაღაშვილმა ქართული საბჭოთა კინოხელოვნების განვითარებაში, სულიერი მღელვარება და სინრფელე, რასაც არ იშურებდა ის თავისი ხალხისათვის, დაუვიწყარს ხდის მის შემოქმედებას.

ფორე მოსულიშვილი

1916-1944

ბარიბალდებო! ნუთიერი დუმილით პატივი ვცეთ გმირის ხსოვნას. დაე მაგალითი, რომელსაც იძლევიან საქართველო და მისი ღირსეული შვილები, ყოველთვის შთაგვაგონებდეს ჩვენს კეთილშობილურ ბრძოლაში მშობლიური მიწის განთავისუფლებისათვის"

გაზეთი „ლა სტელლა ალპინა"

1944წ. 26 ოქტომბრის ნომერი, იტალია.

ქართველი მეომარი, იტალიის ეროვნული და საბჭოთა კავშირის გმირი, ფორე (ქრისტეფორე) ნიკოლოზის ძე მოსულიშვილი დაიბადა 1916 წლის 23 აგვისტოს სიღნაღის რაიონის სოფ. ქვემო მაჩხაანში.

II მსოფლიო ომის (1939-45 წწ.) დროს იტალიის წინააღმდეგობის მოძრაობის აქტიური მონაწილე, იტალიის ეროვნული გმირი. 1939 წელს დაამთავრა ქვემო მაჩხაანის არასრული საშუალო სკოლა. მუშაობდა ქ. მაჩხაანის კოლმეურნეობაში. 1940 წელს გაიწვიეს არმიაში. მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში. 1941 წ. მძიმედ დაჭრილი ტყვედ ჩავარდა. ტყვეობა გაატარა ფაშისტურ საკონცენტრაციო ბანაკებში (პოლონეთი, საფრანგეთი, იტალია). 1944 წელს თავი დააღწია ტყვეობას და „რემო სერვადეს" (იტალიელ პარტიზანთა შენაერთი) 118 ბრიგადის „პეპინის" სახ. ბატალიონის რიგებში იბრძოდა. 1944 წლის 3 დეკემბერს გერმანელმა ფაშისტებმა ალყა შემოარტყეს პარტიზანებს და გამოუცხადეს: თუ მეთაური ტყვედ ჩაბარდებოდა, დანარჩენებს სიცოცხლეს შეუნარჩუნებდნენ. თანამებრძოლების გადასარჩენად ფ. მოსულიშვილი ნამდვილი მეთაურის ნაცვლად ნარუდგა გერმანელებს, კვლავ ტყვეობას სიკვდილი არჩია და ფაშისტების თვალწინ მოიკლა თავი...

ქალაქ არონაში, იტალიელი და საბჭოთა პარტიზანების ძმათა სასაფლაოზე ნაცვალ საფლავს ფორე მოსულიშვილისა, რომელიც 1970 წელს იტალიის პრეზიდენტის დეკრეტით სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა ოქროს მედლით „მხედრული მამაცობისათვის"

ოქროს მედალი „მხედრული მამაცობისათვის" არის სახელმწიფოს უმაღლესი სამხედრო ორდენი! ეს იმას ნიშნავს, რომ დაჯილდოებული ქვეყნის ეროვნულ გმირად არის აღიარებული. ეს იმას ნიშნავს, რომ ჯარისკაცს, რომელიც ამ ორდენს ატარებს, გენერალიც კი პირველი უნდა მიესალმოს...

ფორეს პარტიზანული მეტსახელი ყოფილა „მარშალო" სიტყვა „მარშალო" იტალიურად ზემდეგს ნიშნავს. თუმცა იტალიელები, როცა ფორეს მარშალო შეარქვეს, ზემდეგს როდი გულისხმობდნენ...

1984 წლის 2 დეკემბერს ჩრდილოეთ იტალიის ქალაქ ნოვარაში იტალიელმა ხალხმა ღირსეულად აღნიშნა მათი ეროვნული გმირის, ქართველი პარტიზანის ფ. მოსულიშვილის თავდადების მე-40-ე წლისთავი.

1987 წლის 20 სექტემბერს მაჯორეს ტბის ნაპირას ქ. ბელჯიხატეს ტერიტორიაზე, იქ, სადაც 1944 წლის 3 დეკემბერს გაიმართა საბედისწერო ბრძოლა, ათასობით იტალიელის მონაწილეობით საზეიმოდ გაიხსნა ფ. მოსულიშვილის მემორიალური მუზეუმი.

1990 წლის 5 მაისი. სსრ კავშირის პრეზიდენტის მ. გორბაჩოვის ბრძანებულებით, ფორე მოსულიშვილს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

სიკო სიმონ ფაშალიშვილი

1894-1970

„ნეტავი ასი სიცოცხლე მომცა, —
ასივე შენთვის შემომენირა

„სემი სიცოცხლე — ეს ბუნების ჰატარა ძაღვი —
და სემი ქვეყნის სამსხურში დაღლილა დღესა! —
ძმანდა ეს ხერ-ფეკი არასოდეს არ დაშეთხიკოს. —
ამაზე ფალარე „ალაბ ზეკ-ს რა უნდა ხთასოკის.“

ამიტ სამანეს. ეწერო ფდინარეს.
დრო ჰქრის ოფლსხამსამებლად.
ძზე ეკალხენს. ხხიეთ ფფინარე —
ერთი დღის დასადაშებლად!
აი. ეგ არი. რაც არი.
ფიერში მარცვლად რომ ეფორა. —
ერთი ჰატარა ზდაპარი
„იეო და არა იეო რა“.
ს. ფაშალიშვილი

დროზე ნასმარი ფარიცა
ივიეე ხმალი არია.
ილია

ქართველი მწერალი, ჟურნალისტი, მთარგმნელი სიკო (სვიმონ) ილიას ძე ფაშალიშვილი დაიბადა 1894 წლის 11 დეკემბერს სიღნაღის რაიონის სოფ. ქვემო მაჩხანში.

უკანასკნელი ოცი-ოცდაათი წლის განმავლობაში ქართველი საზოგადოება ს. ფაშალიშვილს უპირატესად იცნობდა, როგორც თვალსაჩინო ქართველ იუმორისტს, მთარგმნელს, დრამატურგსა და კინოსცენარისტს, პუბლიცისტს და ჟურნალისტს. იგი მრავალმხრივი შემოქმედია.

წლების განმავლობაში იგი ნაყოფიერ მთარგმნელობით მუშაობას ეწეოდა. მსოფლიო პროლეტარიატის ჰიმნი — „ინტერნაციონალი“ ს. ფაშალიშვილის თარგმანით ჟღერს ქართულ ენაზე. მან თარგმნა უილიამ შექსპირის „ჭირვეულის მორჯულება“, „მეთორმეტე ღამე“, „შეცდომების კომედია“, ლოპე დე-ვეგას „ცეკვის მასწავლებელი“, ა. გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“, გოეთეს, პუშკინის, ნეკრასოვის, შევჩენკოს, მიცკევიჩის ლექსები, აგრეთვე, თანამედროვე საბჭოთა მწერლების ბევრი ნაწარმოები. დაწერა მრავალი პიესა. ს. ფაშალიშვილს ეკუთვნის, აგრეთვე, ცნობილი ქართული კინოკომედიის „ქეთო და კოტეს“ სცენარი.

დიდი ნვლილი შეიტანა მან ქართული იუმორისტული ლიტერატურის განვითარებაში. ჩვენი მკითხველი კარგად იცნობს მის სატირულ-იუმორისტულ ფელეტონებს, რომლბსაც მწერალი ნლების განმავლობაში ბეჭდავდა ჟურნალ „ნიანგის" ფურცლებზე „ფარსადანის" ფსევდონიმით. ბოლო ხანებში ს. ფაშალიშვილი გავიცანით, როგორც ავტორი შესანიშნავად დანერილი მოგონებებისა და მემუარებისა, რომლებმაც უკვე მოიპოვა მკითხველთა ფართო საზოგადოების მოწონება და ქართული მემუარული ლიტერატურის საგულისხმო შენაძენის სახელი დაიმკვიდრა. ამ მოგონებებში ავტორი ღრმა სიყვარულითა და უსაზღვრო მონიწებით გვიამბობს აკაკისა და ვაჟა-ფშაველას, დავით კლდიაშვილის, ეროდიონ ევდოშვილის, ვანო სარაჯიშვილის, ნიკო სულხანიშვილის, თედო რაზიკაშვილის და სხვათა ცხოვრებისა და მოღვაწეობის საინტერესო ეპიზოდებს...

რაც შეეხება მის პოეზიას, მისი მთავარი თავისებურება მაინც ის არის, რომ ლექსებში ზომიერადაა შერწყმული ეპიკური და ლირიკული ელემენტები, აზრი და გრძნობა.

ს. ფაშალიშვილი სიუჟეტური ლექსის კარგი ოსტატია. მის ლექსებს ახასიათებს აზრის სიცხადე, განწყობილების მთლიანობა, კომპოზიციური დახვეწილობა. დამახასიათებელია ისიც, რომ მისი კომპოზიცია, ჩვეულებრივ, სრულდება სხარტი სტრიქონებით, რომლებიც ზოგჯერ აფორისტული სიცხადით აღწევენ და ელვარე შუქით ანათებენ ლექსის პოეტურ აზრს...



აბელ ანდრონიკაშვილი

ჯახეთის სამეფოს პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, XVII ს. ბოლოსა და XVIII ს. პირველ ნახევარში ქიზიყის მოურავი, სარდალი. დაწინაურდა კახეთში ბეჟან-ხანის მმართველობის (1677-1683) დროს. XVII ს. 80-იანი წწ. ბოლოს კახეთის ხანის ძალაუფლების დასუსტების შედეგად ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების სადავეები, ხელთ იგდეს რევაზ ჩოლოყაშვილმა, მერაბ ჯორჯაძემ და ა. ანდრონიკაშვილმა, რომელთაც ქართლის მეფე გიორგი XI მფარველობდა (1688-1703 წწ. ქიზიყი ქართლის მეფეს ემორჩილებოდა). ა. ანდრონიკაშვილს ცოლად ჰყავდა ერეკლე I-ის ქალიშვილი ქეთევანი. ერეკლე I-ის ირანში განვევის (1703 წ.) შემდეგ ა. ანდრონიკაშვილის პოლიტიკური პოზიციები შეირყა. ქიზიყის მოურავობა მისმა უახლოესმა ნათესავებმა — პაატა და რევაზ ანდრონიკაშვილებმა მიიღეს. ოსმალების მიერ კახეთის მეფე კონსტანტინე II-ის და კახი დიდებულების დახოცვის (1729 წ.) შემდეგ კვლავ დაწინაურდა და დაიწყო ბრძოლა ოსმალთა წინააღმდეგ. ერთ-ერთი ბრძოლაში ა. ანდრონიკაშვილმა დაამარცხა ისაყ-ფაშა (ახალციხის ფაშა, რომელიც თბილისის მმართველად იყო დანიშნული). 1735-36 წწ. იბრძოდა ალექსანდრე ბატონიშვილის (ალი-მირზას) კახეთში გასამეფებლად. მის ამ განზრახვას წინ აღუდგა თეიმურაზ II-ის მეუღლე თამარი. ა. ანდრონიკაშვილმა ქიზიყის მოსახლეობას მიმართა, მაგრამ მათ მეფე თეიმურაზს უერთგულეს და მას მხარი არ დაუჭირეს. ალექსანდრე ბატონიშვილის ირანში განვევის (1737 წ.) შემდეგ ა. ანდრონიკაშვილი ჩამოშორდა პოლიტიკურ ასპარეზს.

(იგი ერეკლე მეორეს სიჭაბუკეში საომარ ხელოვნებას ასწავლიდა - ო. ნ.)

ანზორ აბულაშვილი

წუხელის ბიჭი დაბადებული.
ეადაკრობებად თუ არ ჩაძითელით.
ისეთი ბიჭი დაბადებული.
დაურქმევიათ თურმე დავითი...
წუხელის ეოფაც დაბადებული.
ცის ნაში — ცისფრად ნაუფაძარი.
ისეთი ეოფა დაბადებული.
დაურქმევიათ თურმე ოაძარი...

ჟ ნიჭიერესი ქართველი პოეტი ანზორ აბულაშვილი დაიბადა 1932 წლის 3 მაისს სიღ ნაღის რაიონის სოფ. ჯუგაანში

ილია რურუა: „ანზორ აბულაშვილი იმგვარი რეპუტაციის პოეტად მიმაჩნია, რომლის სახელის ყოველი გამოჩენა პერიოდიკის ფურცლებზე რაღაც ახალთან და ააინტერესოსთან შეხვედრის მოლოდინს აღგვიძრავს. იგი პარადოქსული აზროვნებისა და მოულოდნელი ხილვების შემოქმედია...

მარგალიტივით ხალასი ლექსი-შედევრი „მახარობელი", რომელსაც გამოქვეყნების დღიდან მთელი საქართველო ზეპირად ამბობს, როგორც თავის გულნადებ სიტყვას... შემთხვევითი არ იყო ანზორ აბულაშვილის ლექსებში... ასეთ ლექსებს ლოცვასავით იმეორებს ხალხი... და კიდევ უფრო ამჭიდროვებს მათ მშობელი ქვეყნის ინტერესების გარშემო. ავტორს კი „დუმილისა და თვითკრიტიკული განნყობის ტალანტი არათუ ცხოვრებაში, ლექსშიც არ ტოვებს და ეს იშვიათი თვისება განადიდებს მას თავის თავთან და იმ დროის წინაშე, რომელსაც დღევანდელი მკითხველი საზოგადოება ვერ წარმოიდგენს. იგი კარგად გრძნობს შინაგან კავშირს ქართულ პოეტურ ტრადიციებთან და განნყობილებათა და მოტივების მეშვეობით გამოხატავს იმდაგვარ რამეს, რაც შეიძლება მისცეს იმის შეგნებამ, რომ იმყოფება დიდი ლიტერატურული კონცეფციის გავლენის ველში, სადაც ლანდებად გაელვებულ გურამიშვილის, ბარათაშვილის, ვაჟას, გიორგი ლეონიძის თუ სხვათა პოეტური ხატები ზნეობრივ დომინანტებად წარმოსდგებიან"

აი, რას წერს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" ლევან სანიკიძე: „... კახელობას დაგილოცავთ, „ძმანო კახელნო, ნამდვილ ქართველნო!" ამ მარადისი პოეტური ლოგოსის გამო: „წუხელის ბიჭი დაბადებულა..."

მაისის ერთ მშვენიერ დილას, სოფელ ჯუგაანში მამლების ყივილს თოფის ხმა მოჰყვა ანაზდად, სოფელმა მზეს დაასწრო გაღვიძება. აბულაანთ უბანი ფეხზე დადგა. ემოციები შეძახილებმა შეცვალა:

— რა მოხდა?!

— რა ამბავია?!

— წუხელის ბიჭი დაბადებულა,
დაურქმევიათ თურმე ანზორი,
ციდან მოფრენილ ანგელოზებს კი

დაუდგამთ მისთვის პოეტის თორი,
თან დაუნათლავთ, რომ ყოფილიყო
დიდ მოლექსეთა ტოლი და სწორი.
კ. ალიაშვილი

სახელი ესე — ანზორ — სანდრო შანშიაშვილმა დაანათლა, ცნობილმა პოეტმა და დრამატურგმა, მეზობელმა და მთელ ქიზიყში განთქმულმა მწერალმა და არანაკლებ სახელგანთქმულმა მეწისქვილემ. მონათვლით კიდევ, გაქანებული ათეიზმის ზეობის ჟამს, ორმა ყოვლად ღირსეულმა ადამიანმა, ან გარდაცვლილებმა — ნატა კაკუშაძემ და ლიდა ქართველიშვილმა მონათლეს საიდუმლოდ დიდუბის ეკლესიაში, როდესაც თექვსმეტი თუ ჩვიდმეტი წლისა იყო. პირველი ლექსიც ამ ხანებში დაწერა. *„აბა, მაშინ რას ვიფიქრებდი, თურმე, რა მდულარეში ვვარდებოდი. მამლაყინწური თავმონონების მეტი ხომ არაფერი მამოძრავებდა. თუმცა კი იმ ჩემს „წერასატანილობას“ დიდ საიდუმლოდ ვინახავდი და ძალიანაც მრცხვენოდა მისი გამხელა. მხოლოდ, მგონი, მეცხრე კლასში ყოფნისას გავამხილე გასამხელი და დღევანდელივით, მაშინაც არსებულ უთვალავ საზეიმო შეკრებიდან ერთ-ერთზე მთელ სკოლის წინაშე წარვდექი ხმამჭექარედ... ბოლოს ისე გავთამამდი, რომ დედის ძმის ცოლისძმას, ცნობილ პოეტს — სიკო ფაშალიშვილსაც ნავაკითხე... “— გვიყვება ბატონი ანზორი.*

სამსახური 1962 წელს ჟურნალ „დილაში“ კორექტორობით დავიწყე — აგრძელებს თხრობას ა. აბულაშვილი. — 1979 წლის მინურულს პასუხისმგებელი მდივნობით დამასრულებინეს. ამის მიზეზი ერთი სკანდალური შემთხვევა გახდა. 1979 წელს აგვისტოს ნომერში გამოვაქვეყნეთ იორამ ქემერტელიძის ლექსი-იგავი „დიალოგი ექვსი ნლის შვილთან“, რომელიც ზედაფენის ბობოლათა გაზულუქებულ ყოფას ამხელდა. ადრესატებმა ადვილად იცნეს თავი და დიდადაც შეიცხადეს ლექსის დედაზრი... რაკიღა ჟურნალი „დილა“ კომკავშირის ცეკას ორგანოდ ითქმებოდა, იმავე ნლის ოქტომბერში ჩვენი საკითხი თავიანთ ბიუროზე გაიტანეს. კომკავშირის ცეკას მაშინდელ პირველ მდივანს — კეთილადმოსაგონარ ჟიული შარტავას შეიძლება ძალიანაც ეუხერხულებოდა, მაგრამ ბიუროს გადანყვეტილება ურყევი იყო: — მომხსნეს თანამდებობიდან და გამომიყვანეს ჟურნალის რედკოლეგიიდან. ჩქარა კომკავშირის ცეკას პირველი მდივნის დაჟინებული თხოვნით, გადავედი გამომცემლობა „ნაკადულში“— ჯერ ალმანახ „ჯეჯილის“ მთავარ რედაქტორად, ხოლო შემდეგ — „ნაკადულის“ „საბავშვო წიგნის სახლის“ დირექტორად, სადაც წესით და რიგით, ახლაც უნდა ვყოფილიყავი, მაგრამ... ამაზე სხვა დროს...“

ასეთია ა. აბულაშვილის დღემდე განელილი გზა.

ალექსანდრე გეგაშვილი

1923-1989

ქართველი ხალხი.
ბევს ხალხმეს ვაძ! —
ბეკმარი ეულით გულდებული.
„ბოთა.
ილია.
ყვა.
ვეკ“—
რა ბრძოლად არის დალეკებული!

ქართული ხელეკის ბალალ მწვერვალებს
ბეკმარი. ეული ბიმზარდება...
ეკი ბრეკინაფს.
ეკ ელვარეებს.
ილია ბეკის ცასეკმე ბრწყინდება!

ის არ ბოლეკდარა.
ავლაკე ივალნაოელობის.
ეს ეული ხეკეით რად დარეილა?
ვის. ხად უსანაკს ხმა ქართველი.
ხმა „ვანდეკილი“ ხად დარეილა?!

ქართველი ხალხი.
ბევს ხიბრძოლეს ვაძ! —
ბეკმარი ეულით გულდებული.
„ბოთა.
ილია.
ყვა.
ვეკ“—
რა ბრძოლად არის დალეკებული!

ეოფელი ანაგა ცივ-გომბორის მთების კალთებზეა გაშენებული. დაბლა ზღვასავით გაშლილა გაზაფხულზე ჯეჯილით ამწვანებული, ატმისა და ნუშის ყვავილებით აფერადებული, ზაფხულში სამკალ-სათიბით ოქროსფრად მოელვარე, შემოდგომობით ჩაშაქრებული მტევნებით გულგახარებული ალაზნის ველი, რომელსაც ამაყად გადმოსცქერის თმათეთრი კავკასიონი. აქ დაიბადა 1923 წელს, ამ ზვრებში სასხლავით, ამ ყანებში ნამგლით მოტრიალე ხალხში გაიზარდა შესანიშნავი ქართველი პოეტი უპრეტენზიო და მოკრძალებული ადამიანი ალექსანდრე იოვანეს ძე ბეგაშვილი. თავის სოფელზე და კახეთზე უსაზღვროდ შეყვარებულმა ბევრი ლექსი მიუღღვნა ამ მხარეს. იგი თავის შესანიშნავ ნიგნში (წინასიტყვაობა) პოეტური თვალით დანახულს აღწერს:

„სიტყვის სისადავის, ხალხურობისა და სინათელის ტრფიალსაც სოფელს ვუმადლი და ალბათ, ბუნებრივია, რომ დღესაც შუახანს გადაცილებულ კაცს, ბევრი სტრიქონი ბავშვობის წლების შთაბეჭდილებებმა დამაწერინა. ქალაქმა და ცხოვრების შარაგ ზა ზე გამოსვლამ კი ხალხთა ძმობისა და სხვა ბევრ სიკეთეს მა ზიარა, ქვეყანა გამაცნო და გულში მრავალი ლექსის კვირტი გამომინასკვა, რომლებიც გაიშალა, შეგროდა და ბოლოს ამ ნიგნად იქცა.

ჩემი პრო ზა პოეტის პრო ზაა: ჩანაწერებია, ნაფიქრალ-ნაგრძნობია; რაც მაღელვებდა, მანუხებდა თუ მახარებდა, იმას ვწერდი. შეიძლება ზოგს პატარა ლირიკული მოთხრობაც დაერქვას, ზოგ წერილში კი, შეიძლება, შიგადაშიგ მხატვრული სიტყვის ნიავიც ქროდეს“

იქნებ მწყურვალის
ეგრე ვერ მიეკარებით ოცნებისას.
ამაც მწყურვალმა
ბინაული სნეულია მიოვარია.
მაგრამ დროა.
დროა ბატიოსნების.
რომ ფრთალებს. —
ეს ხომ მონაბოვარია!..

იქნებ ისევ.
ოიყოლაც ლაქა ჩვენი ერის.
ხალმა ჩარა
ჩვენდ ხისლის მწყურია.

მაგრამ მორწა! —
მე ზემოდან ვერ დამცქერის.
ვერ დამცინის. —
ეს ხომ მონაბოვარია!..

რას დაკლებს
ალერთეელოს ემირულ წინსელან.
თუკი ალდმე აკვეული და
მსტოვარია...
ნაშესის მზეს
ეკრაფერი დაკეინისლაკს.
ხინ მიედიკონ.
ეს ხომ მონაბოვარია!..

ალექსანდრე ბეგაშვილი გარდაიცვალა 1989 წლის 13 იანვარს 66 წლის ასაკში.

ალდეთი ამოწანა.
ალმის ზარუნკა.
დეფრის ალეერსი:
ჩემი ქვეყანა.
ჩემი ალეხი უნაკარლესი.
ინ დამაზოკეს თავი თქვენთვის.
რაც ფიმაკეები.
ჩემი ლეკსები
ჩემი ეკლის ნაპერწკლები.

ჩემი ნაშობიდან.
ალერმიდანვე ეკლი ბაკს ფენი.
და ბ. ხანსიერად ამიმაკვნია
ეს ბერეკ ალეკნი!

ჩემო ფეითხველო.
ნაკეარელო ჩემო ფეითხველო.
ცოდვის და ალდლის
ფენ ფნაკულო და ვაკეითხველო.
ეენ,
ჩვენთა ეველთა კენიათა
ლეკსით დაბეკბარო.
ვლაკტიონის, ეოვლის ბიეკეის
ეკეით ვამთბარო.
რას ვეკეკვირვებ.
რომ ეოვიდენი ეე ამ ალეკს ბეირეს.
ეაგრამ...
ბალაბი ვეგიწოდე ირემმა ირემს!

გერდია გერიაშვილი

1938-1992

ქართველი პოეტი ბერდია პეტრეს ძე ბერიაშვილი დაიბადა 1938 წლის 15 სექტემბერს სიღნაღის რაიონის სოფელ ასანურში. 1957 წელს, საშუალო განათლების მიღების შემდეგ, სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის განყოფილებაზე, რომელიც დაამთავრა 1962 წელს.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ბერდია ბერიაშვილი მუშაობდა საქართველოს რადიოს კორესპონდენტად, გაზეთ „სოფლის ცხოვრების" ლიტერატურულ მუშაკად, განათლების მუშაკთა რესპუბლიკური სახლის ლიტერატურულ-შემოქმედებითი გაერთიანების ხელმძღვანელად. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში იგი რედაქტორობდა მის მიერვე დაარსებულ გაზეთ „ცისარტყელას"

ლიტერატურულ-შემოქმედებით მუშაობას ბერდია ბერიაშვილი ენეოდა 1958 ნლიდან, როდესაც ჟურნალ „ცისკარში" გამოქვეყნდა მისი პირველი ლექსები. მას შემდეგ ბერდია ბერიაშვილის ნაწარმოებები სისტემატურად ქვეყნდებოდა ჩვენს სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებში, გამოდიოდა ცალკე წიგნებად. იგი ოცზე მეტი პოეტური კრებულის ავტორია.

ბერდია ბერიაშვილის პოეტური კრებულები „მთვარის საქანელა", „სიკეთის მარცვალი", „ლექსები", „მზე შინა", „ჩემო ვენახო", „საფიცარი" და მრავალი სხვა გულთბილად მიიღო ქართველმა მკითხველმა. მისი ლირიკა დღევანდელობით სუნთქავდა. თანამედროვე ადამიანის თვალით უყურებდა და აღიქვამდა იგი ცხოვრებას, რომელიც სავსე იყო სიხარულითა და აღმაფრენით, სევდითა და ნაღველით.

ღაღადებდა ძირს ჩაკერდის ძალი. —
ტანი შეკუნტ მარანსაძის მსგავსი.
ეჩხუბოდა!!
ჭიანურად ყოველის.
სიყვარული იწყებოდა ასე!

ძალიადვე ემის. ეტყობლის ოთხელი.
მის ძალიად ჩანსაფრების ხმაზე.
— ეჯაბრობა!!
ანა. ჭიანურად ყოველის.
სიყვარული იწყებოდა ასე!

ოთახის ბურს ჩუნ ეკერესიენ ფეხი. —
ვარსკვლავებით ავსებული თაბი.
ძენ წითელი ჩითის კაბა ეაცვა.
სიყვარული იწყებოდა ასე!

მითხა ირეში მიუსმინაბდა ირეს.
ეკერ ირსმენილ. რადაც სულ სხვა ხმაზე.
— ეჯიბრალობა!!
ანა. ძაძინ თეორეე.
სიყვარული იწყებოდა ასე!

ეჯიბერობიდა ზიეკერ ჩუმი სეკდა
და თვალები ცრემლით ეკაინდა ხალხ
წუხდი. — ხმირად მიწერებარ დედა.
სიყვარული იწყებოდა ასე!

ზღაპრულ რაშით წელს მიჰყვება წელი
და დრო ზოგჯერ დღეის დარდით ეკვესების.
არ ჩაქრება გულში ცეცხლი ძველი.
სიყვარული იწყებოდა ასე!

ბორის ბოქოლიშვილი

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი ბორის ილიას ძე ბოქოლიშვილი დაიბადა 1936 წლის 26 ივლისს სიღნაღის რაიონის სოფ. ბოდბისხევში, მოსამსახურის ოჯახში. 1943 წლიდან, მამის სამამულო ომის ფრონტზე გარდაცვალების შემდეგ, იზრდებოდა პაპის, ქიზიყში თავისი სამართლიანობითა და ვაჟკაცობით ცნობილი ფარიმან ბოქოლიშვილის, დედის – მარიამის და გამზრდელის, რესპუბლიკის დამსახურებული მასნავლებლის ვარო ჭუჭულაშვილის გარემოში.

1943 წელს შევიდა სოფ. ბოდბისხევის საშუალო სკოლის პირველ კლასში, 1954 წელს მედალზე დაამთავრა სოფ. ქვემო მაჩხაანის საშუალო სკოლა და ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (ამჟამად ტექნიკური უნივერსიტეტი) მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1960 წელს და მიიღო ინჟინერ-მექანიკოსის კვალიფიკაცია. ინსტიტუტში სწავლის პერიოდში, როგორც ამაგალითო სტუდენტის, 1957-60 წწ. იღებდა სტალინურ სტიპენდიას.

მრომითი საქმიანობა დაიწყო ჯერ კიდევ საშუალო სკოლაში სწავლის პერიოდში, 1950-53 წწ. ზაფხულობით ბოდბისხევის კოლმეურნეობაში მუშაობდა.

1960-61 წწ. მუშაობდა საქართველოს ხე-ტყისა და მის დამამუშავებელი მრეწველობის სამმართველოს საკონსტრუქტორო ბიუროს უფროს კონსტრუქტორად; 1961-64 წლებში ბორის ბოქოლიშვილი მოსკოვის სატყეო ტექნიკური ინსტიტუტის ასპირანტია და იქვე იცავს საკანდიდატო დისერტაციას.

1964 წლიდან მუშაობს საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ასისტენტის, დოცენტის, პროფესორის თანამდებობებზე. 1984-86 წწ. ბორის ბოქოლიშვილი მუშაობდა ჯერ თბილისის ხის დამამუშავებელი კომბინატის დირექტორად, შემდეგ კი თბილისის მუსიკალური ინსტრუმენტების სანარმოო გაერთიანების გენერალურ დირექტორად. 1971-84 წწ. მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დეკანის მოადგილეა. 1989 წელს მექანიკა-მანქანათმშენებლობის სამეცნიერო საბჭო სამ კანდიდატურას შორის უპირატესობას აძლევს ბორის ბოქოლიშვილს და ირჩევს ფაკულტეტის დეკანად, ხოლო 1991 წელს მექანიკა-მანქანათმშენებლობის ახლად ჩამოყალიბებული სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის დირექტორად. ინსტიტუტის რეორგანიზაციის შემდეგ, 1995 წლის სექტემბრიდან იგი კვლავ ფაკულტეტის დეკანია. არის მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე და ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს წევრი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენერგეტიკის პრობლემათა კომისიის წევრი, საქართველოს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტის, მანქანათმშენებლობის საექსპერტო საბჭოს თავმჯდომარე.

გაითვალისწინა რა, რომ ბორის ბოქოლიშვილი ზედმიწევნით კარგად იცნობს ქიზიყის კუთხე-კუნჭულს, სრული შეგნებით აქვს გასიგრძეგანებული რეგიონის ნინაშე მდგომი ამოცანები, ქიზიყის აღორძინებისათვის 1995 წელს ჩამოყალიბებულმა საზოგადოებამ იგი თავის თავმჯდომარედ აირჩია. 1999 წლიდან ამ საზოგადოების მართვის სადავეები გადააბარა ახალგაზრდა თაობას და თვითონ საზოგადოების საპატიო თავმჯდომარე-

ნაირა გელაშვილი

ნერალი, მთარგმნელი, გერმანისტი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე ნაირა გელაშვილი დაიბადა 1947 წელს სიღნაღის რაიონის სოფ. ნუკრიანში. 1970 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი (გერმანული ენა და ლიტერატურა).

1970-73 წლებში ასპირანტურაში ეუფლებოდა დასავლეთ ევროპისა და ამერიკის ლიტერატურას.

კითხულობდა ლექციების კურსს „საზღვარგარეთის ლიტერატურის ისტორიაში" თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

1982 წლიდან მუშაობდა მხატვრული თარგმანის მთავარ სარედაქციო კოლეგიაში რედაქტორად და მთარგმნელად.

ნ. გელაშვილი სათავეში უდგას საერთო კავკასიურ კულტურულ-ეკოლოგიურ მოძრაობას: „კავკასია — ჩვენი საერთო სახლი"

1993 წლიდან ხელმძღვანელობს საქართველოს კულტურულ ურთიერთობათა ცენტრს — „კავკასიურ სახლს", რომელიც კოლეგებთან ერთად დააფუძნა მთარგმნელთა კოლეგიის ბაზაზე.

არის საქართველოს რილკეს საზოგადოების თავმჯდომარე.

ნაირა გელაშვილი არის მის მიერვე დაფუძნებული სალიტერატურო, რელიგიურ-ფილოსოფიურ და საზოგადოებრივ ჟურნალ „აფრას" მთავარი რედაქტორი; გაზეთ „ალტერნატივას" დამფუძნებელი და თანარედაქტორი, გაზეთ „Кавказский Акцент"-ის დამფუძნებელი და სარედაქციო საბჭოს წევრი.

ნაირა გელაშვილს თარგმნილი აქვს გერმანული ფილოსოფიისა და პოეზიის მნიშვნელოვანი ნიმუშები: ფ. ჰოლდერლინის, ნოვალისის, ფ. შელინგის, ფ. ნიცშეს, რ. მ. რილკეს, გ. თრაქლის, გ. ჰაიმის, ე.ლ. შიულერის, გ. ჰაიდეგერის, თ. მანის, ჰ. ჰესეს, გ. მარგველაშვილის და სხვათა ნაწარმოებები.

გამოცემული აქვს წიგნები:

„მოთხრობები"— 1983 წ.;

„ამბრნი, უმბრნი და არაბნი", მცირე რომანი — 1983 წ.;

„დედის ოთახი", რომანი — 1987 წ.;

„მთვარით განათებული ბაღი" — 1990 წ.;

„ტრაგიკული გრადაცია", წერილები ქართული და გერმანული ლიტერატურის პრობლემებზე და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებზე — 1991 წ.;

„რ.მ. რილკე. მალტე ლაურიდს ბრიგეს ჩანაწერები", თარგმანი გერმანულიდან, 1991 წ.;

„საქართველო — სამოთხე ნანგრევებში", დოკუმენტური პროზა, გერმანულ ენაზე, 1993 წ.;

„სიმშვიდის, სიხარულის, მწუხარების და ნუგეშის შესახებ", ოთხი პოემა, 1997 წ.;

„წინწკლების ქოხი", საბავშვო ზღაპრები, ლექსები, სიმღერები, 1999 წ.;

„ავტობიოგრაფიული, მეტისმეტად ავტობიოგრაფიული", რომანი.;

ლიტერატურული ზღაპრები, პოემები, ლექსები და სიმღერები, 1999 წ.

„აღმოჩნდა, რომ ჩემთვის ძალიან ძნელია რაიმე ვთქვა ნაირა გელაშვილზე. რატომ? პირველი (და, ალბათ, მეტნაკლებად ტრივიალური) პასუხი ამ კითხვაზე ასე გამოიყურება: იმიტომ, რომ მასთან მრავალი წელი და ბევრი რამ მაკავშირებს, იმიტომ რომ ასე

დიდი და ფართოა მისი საარსებო დიაპაზონი: როგორ გინდა ამ ყველაფრიდან გამოყო და ლაკონურად გამოთქვა ის, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია? ეს პასუხი თავისთავად არსებობს, მას ძებნა და ფორმულირება არ სჭირდება, მაგრამ... მაგრამ მაშინვე გრძნობ მის სიცარიელეს, გრძნობ იმას, რომ იგი რაღაც არსებითს გვერდს უვლის. ეს არსებითი კი მოდის თვით არსებობის სიღრმიდან: რაიმე'თქვა (ილაპარაკო) ნაირაზე, ნიშნავს ახსენო იგი მესამე პირში, ე.ი. აქციო იგი მსჯელობის საგნად. ეს კი შეუძლებელია, რადგან — და ეს არის მთავარი — ნაირა შენთვის (ჩემთვის) შინაგანი მოსაუბრე, შენი უწყვეტი შინაგანი დიალოგის მონაწილეა. ნაირა მთელი თავისი არსებით ისაა, ვისაც „შენ" უნდა უთხრა და ვინ „შენ" უნდა გითხრას — სხვანაირად იგი იკარგება შენთვის.

მაგრამ მე მინდა დავუბრუნდე იმას, რითაც დავიწყე და რითაც — მე მსურს ასე ვიფიქრო — ითქვა ყველაზე მნიშვნელოვანი: იმისთვის, ვისაც ეს ცხოვრება და ეს ქვეყანა ვერ წარმოუდგენია ნაირას გარეშე, ნაირა არის უწყვეტი და „შინაგანი მოსაუბრე" — ის ვისთანაც დიალოგი ჭეშმარიტად ადამიანური არსებობის წინაპირობაა, ყველაფერი დანარჩენი, ალბათ, ნაირა გელაშვილის ამ სიღრმისეული არსის ის რეალიზაციაა, რომელიც დიდი ნიჭის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. მაგრამ ყოველგვარ ნიჭს „წინ უსწრებს" პიროვნული არსი — ის, რის თუნდაც მხოლოდ მინიშნებას ჩვენ შევეცადეთ"

გურამ ლებანიძე

ნუნუ დუღაშვილი

ქართველი კომპოზიტორი ნუნუ დუღაშვილი დაიბადა 1938 წლის 7 თებერვალს ქ. თბილისში, ვერის უბანში.

დაამთავრა თბილისის ქალთა №6 საშუალო სკოლა და ვ. ვირსალაძის სახელობის თბილიის ნიჭიერ ბავშვთა მუსიკალური ათწლედი (დამსახურებული პედაგოგის მარო აგლაძის კლასი), როგორც პიანისტმა, შემდეგ სწავლა გააგრძელა და დაამთავრა ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საკომპოზიციო ფაკულტეტი, მისი პედაგოგი იყო გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორი ანდრია ბალანჩივაძე.

დაწერილი აქვს საფორტეპიანო კონცერტი, საფორტეპიანო სონატა, სავიოლინო სონატა, სავიოლინო პიესები, საორკესტრო პიესები, მათ შორის საცეკვაოები, სუიტა „სათაფლია", მუსიკა დოკუმენტური კინოფილმისათვის „რიონის ხეობა", სატელევიზიო ფილმებისათვის: „ქალაქი მთებში", „ციმბირის პაპა", სატელევიზიო მხატვრული ფილმისათვის „ხსოვნა" და სხვ.

მოღვაწეობდა ჯაზის ჟანრშიც. 1964წ. ჯაზის მსოფლიო ფესტივალზე ჩეხოსლოვაკიაში, სადაც ჟიურის თავმჯდომარე იყო ელა ფიტცჯერალდი, მომღერალმა გიული ჩოხელმა შეასრულა მისი სიმღერა „გზა შენსკენ". მომღერალმა ოქროს მედალი, ხოლო სიმღერამ უმაღლესი ჯილდო მოიპოვა! სიმღერა „იმერეთის ნიავო" 1975 წლის, ხოლო „ქართულო მინავ" 1987 წლის საუკეთესო სიმღერებად გამოცხადდა. სიმღერამ აჭარაზე, „ბათუმი რად ღირს" აილო პირველი პრემია ბათუმის კონკურსზე 1995-1996 წწ.

საქართველოს ტელევიზიის პროგრამა იწყება ნუნუ დუღაშვილის სიმღერით „გადამრიე". მისი პატარა პიმნით იწყებს საქართველოს ტელევიზია პოლიტიკურ ინფორმაციებს და მიმოხილვებს. ტელევიზიამ დააარსა მუსიკალურ გაფორმებათა განყოფილება, რომელსაც 1990 წლამდე ნუნუ დუღაშვილი ხელმძღვანელობდა და ამავე დროს იყო ტელევიზიის ხმის მთავარი რეჟისორი.

ნუნუ დუღაშვილი ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას. მას ჰყავს საკომპოზიციო კლასი ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის სამუსიკო გიმნაზიაში.

აი, რას წერს გიორგი ლალიაშვილი ნ. დუღაშვილზე სტატიაში „ეს გალობაა საქართველოსი":

„... სახელოვანი კომპოზიტორის ბოლოდროინდელი ქმნილებები, რომლებიც თავის ინტონაციურ-მელოდიური ელვარებით, განცდის სახიერებითა და ამაღლებულობით ისეთიეე გულშიჩასანვდომია, როგორც კომპოზიტორის რჩეული, გახალხურებული ნიმუშები და თუკი მათ საჯაროდ შესრულება უნერიათ უთუოდ საყოველთაო აღიარებასა და სიყვარულს მოიპოვებენ.

შეუძლებელია „კახეთოს", „ქართულო მიწავ", „ღმერთი სიყვარულისა", „სიმღერა ქუთაისზე", „იმერეთის ნიავო", „ბათუმი რად ღირს", ანდა „გადამრიე, გადამრიე"-ს ავტორი როდისმე დავიწყებას მიეცეს. მან ქართული სასიმღერო ჟანრი საგანძურით გაამდიდრა, რაც ყოველთვის აგვაღელვებს და დაგვჭირდება"

ნუნუ დუღაშვილის, როგორც კომპოზიტორის, თავისებურებებს ზუსტად წარმოაჩენს მუსიკისმცოდნე ნანა ქვათაძის დაკვირვება: „მისი მუსიკა ხალხური შემოქმედების ძალას ემყარება. დუღაშვილის სიმღერები ქართლ-კახური მუსიკალური ფოლკლორის

ნიაღმი დაბადებული ხელოვნებაა... ისინი ხალხური პროფესიონალიზმის ზღურბლთან დგანან, მაგრამ ისე, რომ არც ერთი კონკრეტული ფოლკლორული ციტატა არა აქვს გამოყენებული. მის სიმღერებში ხალხური მუსიკის ატმოსფერო მხოლოდ ზოგადი სტილური ნიშნების გარდაქმნა-გათავისებით არის მიღწეული"

ნუნუ დუღაშვილის შემოქმედების ძალმოსილებას ბუნებრივ ნიჭიერებასთან ერთად მაღალი კომპოზიტორული ოსტატობაც განაპირობებს. მან ხომ მკვიდრი პროფესიული სკოლა ქართული მუსიკის დიდი მაესტროს, ანდრია ბალანჩივაძის ხელმძღვანელობით გაიარა.

ჩვენი გამოჩენილი მუსიკისმცოდნე და საზოგადო მოღვაწე ანტონ წულუკიძე ყოველთვის აღფრთოვანებული იყო დუღაშვილის სიმღერებით, რისი დასტურიცაა ჟურნალ „ხელოვნებაში" დაბეჭდილი მისი წერილი. აი ისიც:

„განსაკუთრებული სულიერი საზრდო მისცა ნუნუ დუღაშვილს იოსებ ნონეშვილის პოეზიამ და არც ეს არის შემთხვევითი, — მადლმოსილი მგოსნის პოეზიას დღეს შარავანდედად დაჰნათის მისივე სიტყვები: „წუთისოფელს კაცად შერჩე ბოლომდე, თურმე ესეც გმირობაა დიდი"! ნუნუ დუღაშვილის მუსიკაში ეს სიტყვები უშუალოდ არ ასახულა, მაგრამ მისი ზნეობრივი არსი უთუოდ გასდევს მას..."

კომპოზიტორი არჩილ ჩიმაკაძე: „ჩვენ, უკვე აღიარებული კომპოზიტორები შუბლიდან ოფლს ვინმენდთ, რათა ერთი მარცვალი მაინც გვაპოვნინა ისეთი, რომელიც ჩვენიც იქნება და ხალხურიც, ეს ისე უხვად აქვს მომადლებული ამ გოგოს, როგორც დიდ მუსორგსკის, დიდ გლინკას და დიდ ნიკო სულხანიშვილს"

ზაზა ელაშვილი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ზაზა მიხეილის ძე ელაშვილი დაიბადა 1934 წლის 15 მაისს სიღნაღის რაიონის სოფ. ჯუგაანში მოსამსახურის ოჯახში. 1952 წელს წარმატებით დაამთავრა სოფ. ქვემო მაჩხაანის საშუალო სკოლა და ამავე წელს ჩაირიცხა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით (წითელ დიპლომზე) დაამთავრა 1957 წელს.

1957-59 წლებში ზ. ელაშვილი მუშაობას იწყებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ. მელიქიშვილის სახელობის ქიმიის სახელმწიფო ინსტიტუტში — ჯერ ლაბორანტად, მერე კი უმცროს მეცნიერ თანამშრომლად. 1959-62 წლებში იყო ამავე ინსტიტუტის ასპირანტი.

ზ. ელაშვილი 1963 წლიდან დღემდე მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტში — 1969 წლამდე უფროს ინჟინრად, 1969-86 წლებში უფროს მეცნიერ თანამშრომლად, 1986 წლიდან წამყვანი მეცნიერ თანამშრომელია.

ზ. ელაშვილმა 1968 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1993 წელს სადოქტორო დისერტაციები.

1989 წელს მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია. არის ერთი მონოგრაფიაა და ასამდე სამეცნიერო შრომის ავტორი.

ილია ზარაფიშვილი

1856-1909

ილია ზარაფიშვილი დაიბადა სოფ. ქვემო მაჩხაანში (სიღნაღის რაიონი). პატარა ილია მამამ სასწავლებლად თელავის სასულიერო სასწავლებელში მიაბარა, შემდეგ კი მან თბილისის სასულიერო სემინარიაში განაგრძო სწავლა.

1878 წელს ილია ზარაფიშვილმა დაამთავრა სემინარია, სამოღვანეოდ თელავში დაბრუნდა და თელავის სასულიერო სასწავლებლის ქართული ენის მასწავლებლად დაინიშნა, წმინდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელში კი მათემატიკას ასწავლიდა.

ილია ზარაფიშვილი მოსწავლეთა და მშობელთა დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა, რაც სასწავლებლის ადმინისტრაციას შეუმჩნეველი არ დარჩენია.

ილიას განუყრელი მეგობრები იყვნენ: ალ. ყიფშიძე, ანტონ ფურცელაძე, ვასილ ბარნოვი, იოსებ დავითაშვილი და სხვები. ილიას ოჯახში იმართებოდა მწვავე დისკუსიები მაშინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებზე.

ილია ზარაფიშვილის ოჯახში გაიზარდა ხალხური სიმღერების ჩამნერი და კომპოზიტორი ნიკო სულხანიშვილი, რომელმაც აქ შეიყვარა ქართული ნიგნი. ილია ზარაფიშვილის მდიდარი ბიბლიოთეკა აწვდიდა მას სულიერ საზრდოს.

ი. ზარაფიშვილი ფრიად განათლებული, როგორც იტყვიან ხოლმე, ნამდვილი ცოცხალი ენციკლოპედია იყო.

1895 წელს ი. ზარაფიშვილმა თავისი ოჯახის გარშემო შემოიკრიბა მონინავე ქალთა ჯგუფი: ბაბო სულხანიშვილი (ილია ზარაფიშვილის ცოლისდა), ქეთო ზარაფიშვილი, დები ანა და თამარ პაატაშვილები. ამ პატარა ჯგუფმა ილიას მეთაურობით და ხელმძღვანელობით გადაწყვიტა ქალთა ამხანაგობის დაარსება. ი. ზარაფიშვილმა თვითონ შეადგინა ამხანაგობის სამოქმედო გეგმა.

ილია ზარაფიშვილის ხელმძღვანელობით თელავის ქალთა ამხანაგობამ ფართოდ გაშალა მუშაობა. ამხანაგობაში გაერთიანდა ორმოცდაათამდე ქალი: მართავდნენ კრებებს, იქ იკითხებოდა მოხსენებები, ჩამოაყალიბეს სცენისმოსყვარეთა წრე და მართავდნენ წარმოდგენებს.

ამხანაგობამ გახსნა ჭრა-კერვის სასწავლებელი ახალგაზრდა ღარიბი ქალებისათვის, ხელი მოკიდეს აბრეშუმის ჭიის მოვლა-მოშენებას, მოაწყვეს პატარა ძაფსახვევი ქარხანა. დაიწყეს მატყლის დამუშავება. ამავე დროს არ შეწყვეტილა ლექცია-მოხსენებების კითხვა.

ილია აქტიური წევრი იყო „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა"

ი. ზარაფიშვილის ხელმძღვანელობით და თავმჯდომარეობით 1905 წლის რევოლუციის დროს თელავისა და მის ახლო სოფლების მასწავლებლებს საშუალება მიეცათ, მოეწყოთ მასწავლებელთა კავშირი, რომლის წევრებს დაევალა ხალხში გასვლა და რევოლუციაში აქტიური მონაწილეობის მიღება.

მეფის დამქაშებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ილია ზარაფიშვილის აქტიური მონაწილეობა რევოლუციურ მოძრაობაში, იგი დააპატიმრეს და შორეულ ჩრდილოეთში გადასახლება გადაუწყვიტეს, ხანდაზმულობისა და ავადმყოფობის გამო გადასახლება სამშობლოს დატოვებით შეუცვალეს. მან თავრიზს შეაფარა თავი, მაგრამ საქართველო-. ოდან გადახვეწილს, მასაც ის ბედი ენია, რაც ბევრ მის თანამოაზრეს. ილია ზარაფიშვილი დაავადმყოფდა და დაუძლურდა. მან სამშობლოში დაბრუნება ითხოვა.

იგი მრავალგზის შეურაცხყოფილი დაუბრუნდა მის საყვარელ თელავს, სადაც 1909 წელს გარდაიცვალა.

თამაზ თამაზაშვილი

პოლიციის გენერალი, შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის რეგიონის მთავარი სამმართველოს უფროსი თამაზ ალექსანდრეს ძე თამაზაშვილი დაიბადა 1957 წლის 2 თებერვალს სიღნაღის რაიონის სოფ. ქვემო მაჩხაანში. წითელწყაროს საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ იმსახურა სამხედრო სამსახურში ქ. მოსკოვში. პოლიციის აკადემიის დამთავრებისთანავე მუშაობა დაიწყო ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის მილიციაში სისხლის სამართლის სამძებროს ოპერრწმუნებულად, შემდეგ ქ. თბილისის ქალაქის სამმართველოში სისხლის სამართლის სამძებროს უფროს-ოპერრწმუნებულად. შემდგომში თ. თამაზაშვილი დაბრუნდა მშობლიურ რაიონში და სამსახური დაიწყო წითელწყაროს რაიონის პოლიციის უფროსად, ხოლო იქიდან გადაყვანილ იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის რეგიონის სამხარეო მთავარი სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებროს უფროსად, ორგანიზებული დანაშაულის, რეკეტისა და ეკონომიკური დივერსიის წინააღმდეგ მებრძოლი დეპარტამენტის, კახეთის რეგიონალური განყოფილების უფროსად. 1995 წლიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსია.

პოლკოვნიკ თამაზ თამაზაშვილს საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 23 მაისის განკარგულებით მიენიჭა პოლიციის გენერალ-მაიორის სპეციალური წოდება.

დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენით, ღირსების ორდენით და სხვა მედლებით. 45-ჯერ არის წახალისებული მადლობებითა და სიგელებით. ჰყავს მეუღლე და 4 შვილი.

ანდრო ლეჟავა
1870-1937

საბჭოთა პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე, რევოლუციური მოძრაობის ნევრი 1904 წლიდან ანრდო მათეს ძე ლეჟავა დაიბადა 1870 წლის 19 თებერვალს ქ. სიღნაღში.

ა. ლეჟავა რევოლუციურ მოძრაობაში ჩაება 90-იანი წლებიდან. მისიბინა თბილისში ერთ-ერთ უბანში, ჩულურეთში, რევოლუციურად განწყობილი მოსნავლე-ახალგაზრდობის შეკრების ადგილად იქცა. 1893 წლიდან რევოლუციურ მოძრაობას ეწეოდა ქ. სმოლენსკში, სადაც დააპატიმრეს არალეგალური სტამბის მოწყობისათვის. 2 ნელზე მეტი დაჰყო მან პეტრე-პავლეს ციხეში, 5 ნელი გადასახლებაში — იაკუტიაში. გადასახლების შემდეგ პარტიულ მუშაობას განაგრძობდა ვორონეჟში, ნიჟნი-ნოვგოროდში, სარატოვსა და მოსკოვში.

ა. ლეჟავას მოღვაწეობა ყურადღებას იპყრობს 1917 წლის შემდეგ, როდესაც იგი სხვადასხვა ხელმძღვანელ სამეურნეო სამუშაოზე იყო. 1919-20 წწ. „ცენტროსოიუზის" თავმჯდომარე, 1921-22 წწ. საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო კომისარი; 1924-30 წწ. რსფსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე; ერთდროულად რასფსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე, შემდეგ ტრესტ "სოიუზრიბის" თავმჯდომარე, 1930-37 წწ. საბჭოთა კავშირის სუბტროპიკული კულტურების მთავარი სამმართველოს უფროსი. კომუნისტური პარტიის X, XII-XVII ყრილობების დელეგატი. არჩეული იყო ცენტრალური საკონტროლო კომისიის ნევრად. იყო სრულიად რუსეთის ცაკის და სსრ კავშირის ცაკის რიგი მონვევების ნევრი.

ნიკო მამაიაშვილი

1902-1997

ლედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანის ლენინისორდენოსანი კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი ნიკოლოზ პეტრეს მამაიაშვილი დაიბადა სიღნაღის რაიონის სოფელ ტიბაანში 1902 წლის 5 (18) თებერვალს. 1937 წლიდან სოფელ ზემო მაჩხაანის სახელოვან ისტორიასთან, კოლმეურნეობის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ორგანიზაციულ და სამეურნეო განმტკიცებასთან როგორც დიდ სამამულო ომამდე, ისე ომის შემდგომ პერიოდში, მთლიანად და განუყოფლად დაკავშირებულია ნიკოლოზ მამიაშვილის სახელი.

ზემო მაჩხაანის ყოველ კუთხეში, ყოველ კუნჭულში იგრძნობოდა გონიერი თავკაცის ხელი. ნ. მამაიაშვილს მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის, აგრეთვე, სოფლის მეურნეობის კადრების აღზრდა-მომზადებაში. კოლმეურნეობაში წარმატებით მუშაობდა ასზე მეტი უმაღლესი და საშუალო განათლების სპეციალისტი.

კოლმეურნეობის ყოველდღიურ სამეურნეო — საფინანსო საქმიანობას გამგეობა წარმართავდა პარტიულ ორგანიზაციასთან ერთად. ნ. მამაიშვილი კარგად უთავსებს ერთმანეთს პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელის საქმიანობას.

ნ. მამაიაშვილი იყო სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობის (1969წ.) დელეგატი, კოლმეურნეობათა სოციალური უზრუნველყოფის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე.

ასე შეესისხლხორცა და შეენივთა ერთმანეთს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ამ გამოჩენილი ორგანიზატორისა და მისი მძლავრი კოლმეურნეობის სახელი. თავმჯდომარის დიდი ავტორიტეტი და მდიდარი გამოცდილება, მთელი მისი ცხოვრება და მოღვაწეობა თითოეული თანასოფლელისათვის ცოცხალი, თვალსაჩინო მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა იღვწოდეს ადამიანი თავისი ხალხისა და ქვეყნისათვის.

ვაჟა მამაიაშვილი

ფაკულტეტ „სამტრესტის" თავმჯდომარე, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ვაჟა ნიკოლოზის ძე მამაიაშვილი დაიბადა 1939 წლის 9 მაისს სიღნაღის რაიონის სოფ. ტიბაანში. 1962 წელს დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი ინჟინერ-ტექნოლოგის კვალიფიკაციით. იმავე წელს დაინყო მუშაობა საქართველოს კვების მრენველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეღვინეობის განყოფილებაში.

1965 ნელს ჩაირიცხა საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურაში, რომელიც დაამთავრა 1968 ნელს.

1971 ნელს ნარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მიენიჭა ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. გამოქვეყნებული აქვს ორი მონოგრაფია და 25 სამეცნიერო ნაშრომი. არჩეულია საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნევრ-კორესპონდენტად.

1970 ნლიდან 1984 ნლამდე ვ. მამაიაშვილი მუშაობდა საქართველოს კვების მრენველობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში უფროს მეცნიერმუშაკად, მეღვინეობის განყოფილების ნორმირების სექტორის გამგის თანამდებობაზე.

ვ. მამაიაშვილი 1984 ნლიდან მუშაობას იწყებს ღვინის მრენველობის სახელმწიფო კომიტეტის სიღნაღის ღვინის კომბინატის გენერალურ დირექტორად, შემდეგ სიღნაღის რაიონის სამრენველო-კომერციული ფირმა „ქიზიყის" გენერალურ დირექტორად.

ნლების მანძილზე მუშაობს სხვადასხვა ორგანიზაციებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე.

არის მევენახეობისა და მეღვინეობის საერთაშორისო ასოციაციის ექსპერტი. ვ. მამაიაშვილი აღნიშნული ასოციაციის გენერალური მდივნის გეორგ დუტრუკ როსეტეს მიწვევით იმყოფებოდა საფრანგეთში, როგორც საერთაშორისო ექსპერტი, მევენახეობისა და მეღვინეობის ოცდამეხუთე საერთაშორისო კონგრესზე, რომელიც გაიმართა 2000 ნლის მაისში, პარიზში.

ვაჟა მამაიაშვილი არის მთელი რიგი კომპანიებისა და ორგანიზაციების ნევრი და დამფუძნებელი.

ელგუჯა მაღრაძე

1927-1999

ცამოჩენილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ელგუჯა სამოელის ძე მაღრაძე დაიბადა 1927 წლის 1 იანვარს სიღნაღის რაიონის სოფ. ანაგაში.

იგი იყო თანამედროვე ქართული მწერლობის ერთ-ერთი გამორჩეული, კოლორიტული წარმომადგენელი.

ეროვნულ ნახევარი საუკუნე იარა მან თავისი ღრმადშინაარსიანი, ბობოქარი შემოქმედებითი ცხოვრებით. ეს ცხოვრება ერთი საუკეთესო ნიმუშია იმისა, თუ როგორ უნდა ემსახურებოდეს ჭეშმარიტი მამულიშვილი და შემოქმედი თავის სამშობლოს, თავის ერს.

ფართოა ე. მაღრაძის შემოქმედებითი ინტერესების სფერო. იგი ერთდროულად და ერთნაირი ძალმოსილებით ემსახურებოდა მეცნიერებასაც და სიტყვაკაზმულ მწერლობასაც, დიდი ამაგი დასდო ჩვენი ლიტერატურის აწმყოსაც და მის მშვენიერ, ამავე დროს, მეტად ტკივილიან წარსულსაც. ჩვენი ლიტერატურული აზროვნების ისტორიაში უაღრესად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მის შესანიშნავ წიგნებს გრიგოლ ორბელიანსა და დავით გურამიშვილზე, ილია ჭავჭავაძეზე, კონსტანტინე გამსახურდიასა და ლევან გოთუაზე. ის ფაქტი, რომ თავისი შემოქმედების გმირებად ჩვენი წარსულისა და თანამედროვეობის ეს სახელოვანი მწერლები აქცია, ნათლად მიგვანიშნებს მის პატრიოტულ მისწრაფებებზეც, ესთეტიკურ მრწამსზეც და დახვენილ გემოვნებაზეც.

ელგუჯა მაღრაძის სადოქტორო დისერტაცია „გრიგოლ ორბელიანის ცხოვრება და შემოქმედება" ერთხმად იქნა აღიარებული პირველხარისხოვან მონოგრაფიად ქართული მწერლობის ამ დიდი კლასიკოსის შესწავლის ისტორიაში. ამ მონოგრაფიაში მან კიდევ ერთხელ დაგვანახა გრიგოლ ორბელიანის — დიდებული პოეტისა და მამულიშვილის ჭეშმარიტი სახე.

ე. მაღრაძის მწერლურ-მეცნიერულმა ნიჭმა განსაკუთრებით დიდი გასაქანი ჰპოვა „გოდებაში" — ბრწყინვალე მხატვრულ-დოკუმენტურ მონოგრაფიაში დავით გურამიშვილის შესახებ. წიგნში ნათლად არის ნაჩვენები ქართლის ჭირის მემატიანის პიროვნება — მისი მსოფლმხედველობა, ფილოსოფია, ჭეშმარიტი პატრიოტიზმი.

ე. მაღრაძის სახით ქართულ მწერლობას „რომანიზებული ბიოგრაფიის" ჟანრში მართლაც რომ სნორუპოვარი ოსტატი ჰყავს.

რომანიზებული ბიოგრაფიის ჟანრს განეკუთვნება მისი გახმაურებული ნაწარმოებიც, „რად სოფელო", რომელიც საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე უფრო ტრაგიკულ პიროვნებას — თეიმურაზ პირველს მიუძღვნა.

ქართველი მკითხველი დიდი ინტერესით ეცნობოდა ე. მაღრაძის მართალსა და პირუთვნელ ნერილებს სულხან-საბა ორბელიანსა და ილია ჭავჭავაძეზე, გიორგი ლეონიძესა და ილო მოსაშვილზე, იოსებ ნონეშვილსა და ნოდარ დუმბაძეზე, ნიკო კეცხოველსა და ედიშერ ყიფიანზე, ირაკლი აბაშიძესა და ჯანსუღ ჩარკვიანზე, შოთა ნიშნიანიძესა და მუხრან მაჭავარიანზე, რევაზ ჯაფარიძეზე და სხვ.

მრავალი საინტერესო სტატია უძღვნა მან მსოფლიო ლიტერატურის ისეთ წარმომადგენლებს, როგორებიც არიან უილიამ შექსპირი, ჯონათან სვიფტი, სერვანტესი, უილიამ თეკერეი, ჩარლზ დიკენსი, ჯონ გოლზუორთი, თეოდორ დრაიზერი, დანიელ დეფო, უოლტ უიტმენი, ვალტერ სკოტი და მრავალი სხვა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ე. მაღრაძის დიდი და ნაყოფიერი მთარგმნელობითი საქმიანობა. ჯერ ქართული მთარგმნელობითი სკოლის ერთ-ერთი ღირსეული ნარმომადგენელია. მისი პირველხარისხოვანი თარგმანებით გაეცნო ქართველი მკითხველი ჯონ გოლზუორთის, რაფაელ საბატინის, თომას მაინ-რიდის, ჯუდა უოტენის, უილიამ მაკგოვერნის, არტურ კონან-დოილის შემოქმედების ცალკეულ ნიმუშებს.

ელგუჯა მაღრაძის სახით თანამედროვე ქართულ მწერლობას ერთობ აქტიური საზოგადო მოღვაწე ჰყავდა. წლების განმავლობაში მუშაობდა იგი ჟურნალების „ნიანგისა" და „მნათობის" მთავარ რედაქტორად, საქართველოს მწერალთა კავშირის პირველ მდივნად, გამომცემლობა „საქართველოს" დირექტორად, გამსახკომის თავმჯდომარედ, თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორად. სიცოცხლის ბოლო წლებში საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი, საქართველოს ლიტერატურული ფონდის დირექტორია. იგი თავისი ჩვეული ენერგიით იღვწოდა ქართული მწერლობის წინსვლისათვის.

კაცური კაცობა, შეუდრეკელობა, პირუთვნელობა, მოყვასის სიყვარულის დიდი ნიჭი, — ეს თვისებები ძალუმად გამოარჩევდა მას მუდამ და დღესაც ასეთად რჩება ქართველი ხალხის შემეცნებაში.

წელთა სიმრავლემ ვერაფერი დააკლო მას. ამის დასტურია სულ ახლახან გამოცემული მესანიშნავი ნიგნი „მოძღვარი", რომელიც ილია ჭავჭავაძეს ეძღვნება და რომელშიც ახლებურად მოჩანს ქართველი ერის დიდი ნინამძღოლის დიდებული სახე.

დიდია ელგუჯა მაღრაძის იმქვეყნად ნასვლით გამონვეული მნუხარება. იგი გარდაიცვალა 1999 წლის 24 ივნისს, დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ვახტანგ მენთეშაშვილი

1919-1992

ქართული პოლიგრაფიის მოღვაწეთა შორის ყოველთვის დიდი პატივისცემით მოიხსენიება ვახტანგ მენთეშაშვილი მან ღვთისაგან ბოძებული 73 წლიდან 48 ქართული წიგნის საქმეს მოახმარა.

ქვემო მაჩხაანში, „გალიანთ" იოსების ოჯახში დაიბადა 1919 წლის 6 აპრილს. მამა მესამე შვილის დაბადებას ვეღარ მოესწრო. დაობლებულ ოჯახს მარჩენალის გარეშე გაუჭირდა. 20-იანი წლების სოციალურმა კატაკლიზმებმა შიმშილი და სიღატაკე მოუტანა ქვეყანას. ახალგაზრდა ქვრივი ევგენია ბოსტოღლანაშვილი ქალაქში ჩამოვიდა, რათა გადაერჩინა შვილები და სათანადო განათლება მიეცა მათთვის. ბავშვები სკოლაში მიაბარა. ცოდნას მონყურებულ ვახტანგს წიგნი უყვარდა, მუხლჩაუხრელ შრომას კი ბავშვობიდან ოჯახში მიეჩვია. ბევრი არ უფიქრია, მუშაობა სტამბაში დაიწყო, პარალელურად კი პოლიგრაფიულ ტექნიკუმში სწავლობდა. კარგად შეისწავლა პოლიგრაფიისა და საგამომცემლო საქმე, ნიჭიც გამოავლინა და ალღოც. ჭაბუკმა გულწრფელად შეიყვარა თავისი საქმე. წლების განმავლობაში გატაცებით ეუფლებოდა არჩეულ პროფესიას და, სიცოცხლის ბოლომდე არც უღალატია მისთვის.

1942 წელს, დიდი სამამულო ომის დროს, ვახტანგი გადაჰყავთ ამიერკავკასიის ფრონტთან არსებულ გამომცემლობაში, 1944 წელს კი „კომუნისტის" რედაქციაში. პოეტი ლადო სულაბერიძე იხსენებს: „ჯერ ისევ ფრონტული ფარაჯა მეცვა, ლექსების პირველი ცალკე კრებული რომ წარვუდგინე მაშინდელ „საბლიტგამს" ჩემთვის იმ დაუვიწყარ მომცრო წიგნთან ერთად ჩემი ფრონტელი მეგობრების — მურმან ლებანიძის, თეიმურაზ ჯანგულაშვილისა და ვახტანგ გორგანელის წიგნებიც უნდა დაბეჭდილიყო. დასაბეჭდად გამზადებულ წიგნებს ჩვენც შევყევით საამქროში და მისი უფროსი ვიკითხეთ. შუეანი ღიმილის ახალგაზრდა გაგვეცნო, — დარდი ნუ გექნებათ, თქვენს სიყრმიშვილებს არაფერს მოვაკლებო, — გვითხრა. მეორე შეხვედრისას ჩვენი წიგნების ავკარგზე გვესაუბრა და ზოგიერთი სტროფი ზეპირადაც გვითხრა. მახსოვს, როგორი სიყვარულითა და მოფერებით დატრიალებდა ამ ფარაჯიანი ჭაბუკების პირველ წიგნებს; როგორ ფრთხილად და ნაზად შლიდა მათ ფურცლებს"

1850 წელს ვ. მენთეშაშვილს ამიერკავკასიის რკინიგზის სტამბის დირექტორად ნიშნავენ, ხოლო 1958 წელს „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის", პოლიგრაფიის მაშინდელი ფლაგმანის, დირექტორი ხდება. დაიწყო მძიმე, საპასუხისმგებლო, მაგრამ სახელოვანი ეტაპი მისი მოღვაწეობისა, რომელიც შემდეგ ხელმძღვანელ თანამდებობებზე პირველ სტამბაში, წიგნის ფაბრიკაში, ისევ ბეჭდვითი სიტყვის კომბინატში, ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობაში გაგრძელდა.

გამრჯე პროფესიონალი ყოველთვის იმ საწარმოებში გადაჰყავდათ, სადაც საქმე ჩავარდნილი იყო. ტრიალებდა ვახტანგი ჯარასავით და მალე ჩამორჩენილი საწარმო მონინავეთა შორის მოიხსენებოდა.

№1 სტამბას, ერთ-ერთ უძველესს საქართველოს პოლიგრაფიულ საწარმოთა შორის, სამოციანი წლების ბოლოს კრიზისული პერიოდი დაუდგა. ასოთამწყობი რევაზ მეტრეველი იხსენებს იმ დროს: „სტამბა ჩამორჩენილად ითვლებოდა, მთელი მუშაობა

ჩაშლილი იყო. წლობით არ სრულდებოდა გეგმები, ხშირად ვუშვებდით უხარისხო პროდუქციას, ტერიტორია მოუწყობელი იყო. ვალები გვქონდა, ხალხი გარბოდა...“

მაგრამ ვახტანგ მენთეშაშვილის მოსვლით საქმე აქაც გამოსწორდა. იგი გულწრფელად შეიყვარა აქაურმა კოლექტივმა, მხარში ამოუდგა და, მართლაც რომ გმირული შრომით, ჩავარდნილი სანარმო ერთ-ერთ მონინავე პოლიგრაფიულ ნარმოებად აქცია. ვახტანგს კოლექტივის მართვა-მობილიზაციის შესაშური უნარი გააჩნდა. ამიტომ იგი ყოველთვის უანგარო სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა და თვითონაც ასეთივე სიყვარულს აფრქვევდა გარშემომყოფთა მიმართ.

ასეთმა ურთიერთობამ, საქმისადმი მაღალპროფესიულმა [illegible] [illegible] [illegible]

ალექსი მირიანაშვილი

1860-1925

ცნობილი პედაგოგი, სახალხო მასწავლებელი, პუბლიცისტი-მწერალი, ბავშვთა საყვარელი ბელეტრისტი, ხალხური შემოქმედების ნიმუშთა გულისხმიერი შემკრები და საზოგადო მოღვაწე ალექსი მირიანაშვილი ეკუთვნის ქართველ პატრიოტთა იმ თაობას, რომელსაც მტკიცედ სწამდა: რაც არ იწვის, არ ანათებს, რაც კი იწვის — ანათებს, მაგრამ თვითონ კი იფერფლებაო.

ამ ფერფლისაგან ქართული კულტურის საგანძურში არა ერთი და ორი ღირსსაცნობი ქმნილება დარჩა ალექსი მირიანაშვილის უზადო სახელის მატარებელი. თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში ემსახურა ეს იშვიათი და ჩუმი მუშაკი ქართულ მწერლობას, სახალხო განათლებასა და ქართულ სკოლას და ნანატრ დღეებსაც მოესწრო— მოიპოვა ნამდვილი ქართული ეროვნული სკოლის მასწავლებლისა და ხელმძღვანელის სახელი.

ალექსი ივანეს ძე მირიანაშვილი დაიბადა 1860 წ. სიღნაღის რაიონის სოფ. ანაგაში, დიდად შრომისმოყვარე, ნერა-კითხვის მცოდნე გლეხის ოჯახში. „6-7 წლისა თუ ვიქნებოდი, — იგონებს ალექსი, — როცა მამამ ვაქირის დანყებით სკოლაში მიმბარა, სადაც მასწავლებლობდა იქაური მღვდელ-ბლაღოჩინი ხატიაშვილი, რომელსაც სკოლა ღვთის ანაბარად ჰეონდა მიტოვებული. ბავშვები მოვიდოდნენ დილით ადრე და მხოლოდ მზის ჩასვლისას წავიდოდნენ შინ... აქ ყოველგვარ საძაგლობას ჰქონდა ადგილი. არ იყო მხოლოდ წიგნის სნავლა. მღვდელ ხატიაშვილს თვალს მოკრავდით ხანდახან და ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ მთელი სკოლის მოსნავლეებისათვის, რომელთა რიცხვი 50-60 აღემატებოდა, ებძრანებინა მინდორ-ვენახებში წასვლა და იმის სადილისათვის სატაცურის მოკრეფა, ან კალო-საბძელში მუშაობა, ან მისი ეზოს გასუფთავება, ან მატყლის ნენვა, ქათმის ბუმბულის რჩევა და სხვა ამგვარები...“

ცხადია, ამგვარ პირობებში იმ დროს არაერთი სკოლა იყო სოფლად. ასე თუ ისე გათვითცნობიერებულმა ივანემ ნიჭიერი და მკვირცხლი ალექსი მეორე ნელსვე მოაშორა ამ თავგასულ ბუცეხს და ქ. სიღნაღის სამაზრო სასწავლებელში შეიყვანა. 1873 ნელს ალექსი თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტთან არსებულ საქალაქო სასწავლებელში შევიდა. 1877 ნელს ინსტიტუტში ჩაირიცხა და 1881 ნელს ინსტიტუტის სრული კურსი ნარმატებით დაამთავრა საქალაქო სასწავლებლის მასწავლებლის წოდებით.

ამავე ხანებშნი ის, როგორც სამწერლო ასპარეზზე უკვე გამოსული და საიმედო მომავლის მქონე, უახლოვდება ცნობილ ქართველ მწერლებსა და პედაგოგებს: სერგეი მესხს, ი. გოგებაშვილს, ნ. ცხვედაძეს, ნ. ლომოურსა და სხვებს. მათი დახმარებით ალექსი მირიანაშვილი დაინიშნა მასწავლებლად თბილისის ქართულ სკოლაში, რომელიც იმ ხანებში ახალჩამოყალიბებულ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ ეკუთვნოდა. რამდენიმე ნლის ნაყოფიერი მუშაობის შემდეგ ალექსი გადაყვთ თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტთან არსებულ საქალაქო სასწავლებელში. 1900 ნელს იწვევენ თბილისის კომერციულ სასწავლებელში, სადაც ნაყოფიერად და ხანგრძლივად იმოღვანა 1923 ნლამდე, ვიდრე ავად გახდებოდა და შრომის უნარს დაჰკარგავდა.

ალექსი მირიანაშვილი სამწერლო ასპარეზზე 1879 წელს გამოვიდა გაზეთ „დროებაში“ მოთავსებული კორესპონდენციით სიღნაღის მაზრის ცხოვრებიდან. მას შემდეგ ის „ანაგელის“, „ლილიპუტის“, „ან-მანის“ ფსევდონიმებით და პირადი ხელმოწერითაც შეუნყვეტლივ და ინტენსიურად თანამშრომლობს ქართული პერიოდული პრესის თითქმის ყველა ორგანოში („დროება“, „ივერია“, „იმედი“, „ნობათი“, „ჯეჯილი“, „ნაკადული“, „მოამბე“, „თეატრი“, „ცნობის ფურცელი“, „სახალხო გაზეთი“, „თემი“, „თეატრი და ცხოვრება“ და სხვ.). მის კალამს ეკუთვნის მრავალი, ქართულ პრესაში უხვად გაბნეული, პედაგოგიური და პუბლიცისტური სტატია, სამეცნიერო-პოპულარული შრომა და საბავშვო მოთხრობა და იგავ-არაკი.

ალექსი მირიანაშვილის სხვადასხვა დროს გამოცემული შვიდი წიგნიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია 1907 წელს გამოსული „ქართული ნერის დედანი“ და ჟურნალ „ნაკადულის“ მიერ თავის ხელისმომწერთათვის საჩუქრად გამოცემული „იგავ-არაკების კრებული“

პირველი „დედანი“ საინტერესოა იმით, რომ ავტორი ცდილობს ქართული ნერის პირდაპირი ხელისა და ნუსხური გადაბმული ჩქარი ნერის დანერგვას, რაც, მისი აზრით, „ძლიერ სჭირდება ახალ დროს, რადგან, თუ ნარსულში სტამბა არ არსებობდა და მის მაგივრობას ადამიანის ხელი ასრულებდა, დღეს ყველა საჭირო წიგნი ათასობით ისტამბება და ბეჭდური ხელით წერა კი არაა საჭირო, არამედ ნუსხური გადაბმული ჩქარი წერა, რაც ძველ ქართულს არ ახასიათებდა“. ამ მხრით ალ. მირიანაშვილის „ქართული ნერის დედანი“ დღესაც არ ჰკარგავს თავის მნიშვნელობას.

ალექსი მირიანაშვილის „იგავ-არაკების კრებული“, როგორც ბავშვების საყვარელი წიგნი, თავის დროზე საკმაო პოპულარობით სარგებლობდა. ამის დამადასტურებელია მისი მეორედ გამოცემა 1923 წელს — უკვე საბჭოთა პერიოდში. სნორი იყო გაზეთი „ჩვენი დროება“ (1913 წ., № 17), როცა წერდა: დიდი მადლობის ღირსია „ნაკადულის“ რედაქცია, რომ ასეთი საჩუქარი უძღვნა თავის პატარა მკითხველებს... ის მდიდარია შინაარსით, აზრით და დანერილია საუცხოო ქართულ ენით, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს “

ბელა მირიანაშვილი

1938-1992

ბელა მირიანაშვილი დაიბადა 1938 წელს სიღნაღში.

იგი შემოქმედი პიროვნება და ტიპური 60-იანელია. ორგანულად გამოხატავდა თავისი დროის ხელოვნების სულისკვეთებას, ყმანვილური მაქსიმალიზმით ებრძოდა კონფორმიზმის ყოველგვარ გამოვლინებას და ამიტომ სრულიად არ უჭირდა სტერეოტიპების ნგრევა, დოგმების მოშლა, წინააღმდეგობების გადალახვა და ახალი თეატრალური ენის ძიება.

ჯერ კიდევ სტუდენტობისას, 60-იანი წლების დასაწყისშივე, მიხეილ თუმანიშვილმა იგი თეატრში მიიყვანა და ლიდა მატროსოვას როლზე დანიშნა მედეა ჩახავას დუბლიორად სპექტაკლში „როცა ასეთი სიყვარულია" წარმოდგენას პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა ახალი ქართული თეატრის ისტორიისათვის და აქ მოპოვებულმა წარმატებამ ბელას რუსთაველის თეატრის კარი გაუღო. ცოტა ხნის შემდეგ რობერტ სტურუამ ვ. როზოვის „ვახშმობის წინ" დადგა და ბელა მირიანაშვილისა და გოგი ქავთარაძის დუეტმა ახალი ტიპის ქართველ მსახიობთა სახელი მოუხვეჭა მათ. მაგრამ ის უშუალობა და სიმსუბუქე, სცენაზე წარმოდგენილი სიცოცხლის ნამდვილობის განცდა და ხასიათის ღრმა ფსიქოლოგიური ნვდომა, რომელიც ამ სპექტაკლში იქნა გამოხატული, ბელა მირიანაშვილის ტალანტის მხოლოდ ერთ თავისებურებას წარმოადგენდა და, როგორც კი მიხეილ თუმანიშვილმა კვლავ შექმნა ჭეშმარიტი არტისტიზმითა და გამონაგონის მშვენიერებით აღბეჭდილი სპექტაკლი, გ. ნახუცრიშვილის „ჭინჭრაქა", მსახიობმა დახვენილი პლასტიკურობით, სტილის ღრმა გრძნობით და რაფირინებული სისადავით შეასრულა მეფის ასულის როლი.

ბელა მირიანაშვილს წილად ხვდა ბედნიერება, მონაწილეობა მიეღო თითქმის ყველა მნიშვნელოვან სპექტაკლში, რომელიც ამ 9 წლის განმავლობაში დაიდგა რუსთაველის თეატრის სცენაზე.

სანდრო მრევლიშვილისეულ წარმოდგენაში უილიამ ჰიბსონის „სასწაულმოქმედის", ელენ კელერის შესანიშნავი სახე შექმნა. და ბოლოს, ტენესი უილიამსის „შუშის სამხეცეში", რომელიც მედეა კუჭუხიძემ უკვე ავადმყოფი ბელასათვის დადგა რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე. მსახიობმა ღრმა დრამატიზმითა და განსაცვიფრებელი ტაქტით წარმოგვიდგინა არასრულფასოვნების კომპლექსით დაღდასმული ლაურა უინქფილდის სულიერი ბიოგრაფია, რომელმაც პიროვნებად განხორციელების ურთულესი გზა უნდა განვლოს და შეიძლოს იცოცხლოს სიცოცლისათვის.

მძიმე და არსებითად გამოუცნობმა დაავადებამ იგი იძულებული გახადა დაეტოვებინა რუსთაველის თეატრი და უარი ეთქვა კინემატოგრაფში მოღვაწეობაზე. სწორედ მაშინ ქართულმა სცენამ და ეკრანმა დაკარგა ისეთი ვარსკვლავი, რომლის ადგილი შემდგომ ვეღარავინ დაიკავა. ბელა მირიანაშვილს ჰქონდა ის განსაკუთრებული ხიბლი, რომელიც ხელოვნებაში არ მეორდება. რასაკვირველია, მას სრულად არ გამოუმჟღავნებია თავისი შესაძლებლობები, მაგრამ ის, რისი განხორციელებაც 9 წლის განმავლობაში მოასწრო, სავსებით საკმარისი აღმოჩნდა, რათა მსახიობს ხალხის გულში შეეღწია და მისი სიყვარული მოეპოვებინა.

უნიჭიერესი მსახიობი ქალი 1992 წელს 55 წლის ასაკში გარდაიცვალა .

ედიშერ მირიანაშვილი

1925-1984

ქართველი მომღერალი, საქართველოს სახალხო არტისტი, მრავალი კონკურსების ლაურეატი ედიშერ გიორგის ძე მირიანაშვილი დაიბადა 1925 წლის 1 ივნისს ქ. თბილისში.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლას აგრძელებს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში, რომელსაც ამთავრებს 1946 წელს და მუშაობას იწყებს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში. რამდენიმე წლის შემდეგ ე. მირიანაშვილს იწვევენ ლენინგრადის საოპერო თეატრში სამუშაოდ, სადაც დაჰყო 8 წელინადი. ლენინგრადში ე. მირიანაშვილი თავის რეპერტუარს ამდიდრებს საოპერო პარტიებით. წარმატებით მღერის რიგოლეტოს — ვერდის (რიგოლეტო), ტონიოს და პროლოგს — ლეონკავალოს (ჯამბაზები), ჟერმონს — ვერდის (ტრავიატა) და სხვა. ედიშერის ლამაზმა ხმამ მალე მიიპყრო ლენინგრადის მსმენელთა ყურადღება. იგი შეიყვარეს როგორც საუკეთესო საოპერო და კამერული მომღერალი.აქვე მიიღო რუსეთის სსრ დამსახურებული არტისტის წოდება და სხვა მრავალი ჯილდოები.

1970 წელს ედიშერ მირიანაშვილს ინვევენ თბილისის ოპერის თეატრში და იგი კვლავ ხდება ამ თეატრის ერთ-ერთი ნამძვანი სოლისტი, სადაც უამრავი როლები აქვს შესრულებული. აქ მან წარმატებით შეასრულა ვალენტინი — (ფაუსტი), ჟერმონი — (ტრავიატა), ტომსკი — (პიკის ქალი), ტონიო — (ჯამბაზები) და სხვა. (ე. მირიანაშვილი ფართო მსმენელს ახსოვს როგორც „ღვინო კახეთოს" უბადლო შემსრულებელი)

1973 წლის აპრილ-მაისში იგი მიემგზავრება გერმანიასა და პოლონეთში. მართავს გასტროლებს შუა აზიასა და ციმბირში.

ნიკოლო ჰერლაიმ თავისი პირველი გასტროლების დროს თბილისში ედიშერ მირიანაშვილს მოუსმინა ოპერა „აიდაში" და თქვა: „ეს არის ნამდვილი ხმა, კომპაქტური ულამაზესი ტემბრით და ჟღერადობით."

და მაშინ, როდესაც საქართველოს ტელევიზია ამზადებდა მისი 10 წლისთავისადმი შემოქმედებით საღამოს ნინო რამიშვილის ხელმძღვანელობით, მოულოდნელად 1984 წელს, შეწყდა მისი სიცოცხლე, გულმა უღალატა.

ვახტანგ მირიანაშვილი

1910-1973

საქართველოს დამსახურებული აგრონომი, ოთხი ორდენის კავალერი ვახტანგ ვასილის ძე მირიანაშვილი დაიბადა 1910 წლის 5 აგვისტოს სიღნაღის რაიონის სოფელ ანაგაში.

შრომითი საქმიანობა დაიწყო ლაგოდეხის რაიონის სოფელ ცოდნისკარში. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდას, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტს ნიშნავენ საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მარცვლეული კულტურების სამმართველოს უფროსად. 1939-1944 წლებში იგი ნითელწყაროს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეა. 1944 წელს კი აირჩიეს წითელწყაროს რაიკომის პირველ მდივნად, სადაც 1950 წლამდე მუშაობდა. 1950-1952 წ.წ. სოფლის მეურნეობის მინისტრია.

შემდგომ წლებში ვ. მირიანაშვილი მუშაობს საგარეჯოს რაიაღმასკომის თავმჯდომარედ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სოფლის მეურნეობისა და დამზადების განყოფილების უფროსად, საქართველოს კპ სამგორის რაიკომის პირველ მდივნად, ბოლო შემდეგ გარდაბნის რაიონის რაიკომის პირველ მდივნად.

1966 წლიდან 1973 წლამდე ვ. მირიანაშვილი მუშაობდა საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს მევენახეობა-მეხილეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მმართველად.

ომის პერიოდში და მშვიდობიანი მშენებლობის წლებში ქვეყნის წინაშე დამსახურებისათვის მას მიანიჭეს შრომის გმირის წოდება, დაჯილდოებული იყო ლენინის, ოქტომბრის რევოლუციის, შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის" ორდენებითა და მედლებით.

ლუკა მოსულიშვილი

1836-1907

XIX-19 საუკუნის საქართველოში, კახეთში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ლუკა ზაქარიას ძე მოსულიშვილი (მოსულოვი), რომელიც ცნობილი იყო თავისი საზოგადო და სამეწარმეო საქმიანობით. განათლებით პროვიზორმა კახეთში პირველმა დააარსა სააფთიაქო ქსელი (თელავში, სიღნაღში, ლაგოდეხში, დედოფლისწყაროში და სხვა), ფლობდა მამულებს, ეწეოდა მეწარმეობას – მეღვინეობასა და მეფუტკრეობას. არჩეული იყო ქალაქ სიღნაღის თავად, იყო გიორგის ჯვრის ორგზის კავალერი. თავისი საქმიანობით მან დააგროვა დიდი კაპიტალი, რაზეც მეტყველებს მის მიერ მეფის ხაზინაში ნახევარი მილიონი რუსული რუბლის ქველმოქმედების მიზნით შეტანა და ქართველი სტუდენტებისათვის სტიპენდიების დანიშვნა. ასევე ცნობილია, რომ მას, როგორც საკუთარ, ისე ყველა შვილის სახელზე შვეიცარიის ბანკში შეტანილი ჰქონდა სოლიდური თანხა. საბუთები ამ თანხის შესახებ მოსულიშვილების ოჯახში არსებობდა, მაგრამ 1921 წელს რუსეთისაგან საქართველოს ანექსიის და შემდგომ 1924-37 წწ. მიმდინარე აჯანყების, ყაჩაღობის და რეპრესიების დროს განადგურდა და დაიკარგა. ლუკა ზაქარიას ძე მოსულიშვილის 8 შვილს (კოტე, თომა, ლუკა, მარო, ნინო, თამარა, ანეტო, ელო) ჰყავს შთამომავლობა, რომლებიც ცხოვრობენ როგორც ჩვენ ქვეყანაში, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

ლუკა მოსულიშვილი გარდაიცვალა 1907 წელს 71 წლის ასაკში.

ალექსანდრე მრევლიშვილი

1866-1933

ცნობილი ქართველი მხატვარი ალექსანდრე მრევლიშვილი დაიბადა 1866 წელს სიღნაღში. აქ სიტყვა დავუთმოთ თ. სახოკიას:

პარიზში 1900 წლის მსოფლიო გამოფენაა. საქართველოდან ჩამოსულს საფრანგეთია დედაქალაქში დამხვდა ჩემი მეგობარი, მხატვარი ალექსანდრე მრევლიშვილი. სამშობლოში უკვე ცნობილი და აქ ჩამოსული, აქაურ სამხატვრო აკადემიაში სამუშაოდ და თავის ხელობაში უფრო განსავითარებლად. იდგა მონპარნასის სადგურის ახლო, ერთ მოკრძალებულ ქუჩაზე, სადაც მხატვართა და მოქანდაკეთათვის მოწყობილი სახელოსნოები (ატელიე) არსებობდა ქირით. ერთი ასეთი ატელიე საშასაც დაქირავებული ჰქონდა. იგივე იყო დასაძინებელი, სასადილო და სასტუმრო ოთახიც. ღარიბული იყო ეს ოთაი, როგორც ყველა მხატვრისა: სანოლი იდგა, ერთი მაგიდა, ორი სკამი და სამხატვრო ხელსაწყო. კედელს ჰფარავდა ერთი შიშველი, არაჩვეულებრივი დუნდულების პატრონი ქალის სურათი, უჩარჩოო.

ალექსანდრე მრევლიშვილი მთელი დღე აკადემიაში მუშაობდა საუკეთესო პროფესორების ხელმძღვანელობით. თავის საქმეს ერთგულად ეკიდებოდა, მუყაითად, და დაჯილდოებული იყო ქების სიგელითაც. საღამოს, დაღლილი რომ მოვიდოდა ბინაზე, ერთს გაიზმორებდა და წამოწვებოდა. მერე ჩაისთვის წყალს აადუღებდა და, თუ ვინმე ვინმეოდით, ერთად ტკბილს ბაასში გართულები შევექცეოდით სახელდახელო ჭამადსა.

ბაასის საგანი: იქაური უმაღლესი სასწავლებლები, სადაც სწავლების საქმე ასე კარგად იყო დაყენებული და სადაც უცხოეთიდან მოსულს ოდნავ ხელის განძრევის მეტი არაფერი ჰქონდა გასაჭირი და თავში საცემი.

ალეუსანდრესთან ბაასში რაზედაც უნდა გველაპარაკნა, ბოლოს უნდა გაგვეთავებინა ჩვენი ქვეყნისა და ხალხის ბედძნელობის შესახებ ლაპარაკით. სულ თვალწინ გვედგა ჩვენი დაბეჩავებული, ყველასგან აბუჩად აგდებული, რუსთხელმწიფის სატრაპებისაგან ფეხით თელილი ხალხი ქართველთა, უპატრონო, გაჭირვებული ხალხი, რომელიც თავის შვილება შველასა სთხოვდა, მოზღვავებულ მტერთაგან ხსნასა, გათავისუფლებას; თავის შვილებს, ვისაც ბედი უცხოეთში ყოფნას ავალებდა, მეცადინეობას, სწავლის შეძენას ცოდნის ყველა დარგში, ვისაც რა ემარჯვებოდა. ჩვენი ბაასი უნდა გათავებულიყო საშას საყვარელი სიმღერით: „ანანურით წამოვედით, ჩვენ ვიყავით სამნი ძმანი". სიმღერაა რომ გავათავებდით, დამეკითხებოდა: ამ სიმღერას თუ რამე სჯობსო?! მართალი იყო მეგობარი... ქართველისათვის, სამშობლოდან გადახვენილი ქართველისათვის, რომელიც უყურებდა უცხო ქვეყნის დიდებას, მათს ძლევამოსილებას და ამ ქვეყნებისა და მათი ხალხის წინსვლასა და კულტურას და გაითვალისწინებდა თავის ერთ მუჯა დაკნინებულ ხალხსა და ქვეყანას, ყველასაგან დაბალ ღობედ მიჩნეულ, ყველასაგან ყბადაღებულს, ოღონდაც რომ გული გაეწურებოდა, ბედისაგან დაჩაგრულად იგრძნობდა თავს. და ამ სიმღერაში, საცა ჩაქსოვილია ტირილის მოტივები, წარმოდგენილია ხალხი, რომელმაც ეს სიმღერა შექმნა და შიგ ჩააქსოვა თავისი ბედშავობა, თავისი სიმწარე, დაჩაგრულობა!

ერთ-ერთ საღამოს დაგვახვედრა ესკიზი შემდეგში თავისი ცნობილის სურათისა — „დაბალი ღობე", თან მოგვიყვა, თუ ჩვენი დაბეჩავებული გლეხის ყოფა როგორ წარმოადგენს დაბალ ღობეს, რომელზედაც ვინც არა მგონი, ზედ გადადის, გვითხრა, ეს ყოფა ლიტერატურაში საკმაოდაა ასახული, ხოლო ტილოზე არავინ ცდილა მის გადაღებასაო. აი, ახლა მინდა მოვიცალო და დავხატო ფერადებით და ჩვენს საზოგადოებას დავანახვო ქართველი გლეხის, ამ ყველასაგან მივინყებული წოდების ბედძნელობა. იქნება ვაგრძნობინო მაყურებელს, თუ რარიგ გვმართებს ყველას ხელის გამოღება, ცდა, რომ ამ უფლებანართმეულ არსებას, როგორიცაა ქარველი გლეხი, დაუბრუნდეს ადამიანობა.

სამშობლოში დაბრუნებისას საშამ მეგობრობის ნიშნად სახსოვრად დამიტოვა ტილოზე თავისი ხელით ნახატი ერთი მეტრის სიმაღლის სურათი შიშველი ქალისა, რომელიც ზევით მოვიხსენიეთ. ყოველი დეტალი ქჭლის სხეულისა ზედმიწევნეილის სიცხოველით იყო გადმოცემული ტილოზე, გეგონებოდათ, ცოცხალი დგას ჩემს ნინაშე და საცაა დამელაპარაკებაო. სამწუხაროდ, ეს სურათი, ჩემს ბიბლიოთეკასთან ერთად, პირველი იმპერიალისტური ომის გამოცხადებისას თუ სოხუმიდან მცხოვრებთა აყრის დროს ამ ქალაქში დარჩენილა ერთ მეგობართან და ნაომევს რომ ჩამოეკითხათ, არც ეს სურათი აღმოჩნდა თავის ალაგას და აღარც ბიბლიოთეკის წიგნები. გულდასაწყვეტი ის იყო, რომ ალ. მრევლიშვილს მაგ ზომის სურათი ფერნერით სხვა მეტი არა ჰქონია. როცა 19 18 წელს ერთმანეთთან შეხვედრისას ვუამბე ამ სურათის თავგადასავალი, ძალიან ენყინა და თვითონვე მანუგეშა: ჩვენ კარგად ვიყვეთ და ამისთანას სხვას უკეთესს დავხატავო.

მაგრამ, სამწუხაროდ, სიკვდილმა მეტად ნაადრევად მოგვტაცა ხელიდან ეს ნიჭიერი მხატვარი, რომელსაც არა ერთისა და ორის სურათის დატოვება შეეძლო სხვა სურათებთან ერთად"

მაყვალა მრევლიშვილი

1909-1992

საბავშვო პოეტი მაყვალა ალექსანდრეს ასული მრევლიშვილი დაიბადა 1909 წლის 14 თებერვალს სიღნაღში, გამოჩენილი ქართველი მხატვრის ალექსანდრე მრევლიშვილის ოჯახში.

მას ბავშვობიდანვე მწერალთა და ხელოვანთა გარემოცვაში მოუწია აღზრდამ, რამაც განაპირობა მისი მოქალაქეობრივი პოზიციის ჩამოყალიბება, პოეტური გემოვნების დახვენა. 1925 წელს დაამთავრა თბილისის მე-8 საშუალო სკოლა, ხოლო 1930 წელს — თბილისის— სახელმწიფო— უნივერსიტეტის— პედაგოგიური— ფაკულტეტის ლიტერატურული განყოფილება. უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ, სხვადასხვა დროს მუშაობდა საქართველოს რადიოკომიტეტის საბავშვო გადაცემათა რედაქტორად, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში მეცნიერ თანამშრომლად, იყო მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის მხატვრული კითხვის წრის ხელმძღვანელი, საქართველოს მწერალთა კავშირის საბავშვო სექციის ბიუროს მდივანი, ჟურნალ „დილას" მთავარი რედაქტორის მოადგილე. პირველი ლექსი „წერილი აბასთუმნიდან" 1927 წელს გამოაქვეყნა, ხოლო პირველი წიგნი „ლექსები" — 1940 წელს. იმთავითვე მიიპყრო ჩვენი საზოგადოების ყურადღება ახალგაზრდა პოეტი ქალის შემოქმედებამ. მის ლექსებში განსაკუთრებით იგრძნობოდა ფრაზის სინათლე და სინატიფე, მუსიკალობა. სნორედ ამიტომაა, რომ მაყვალა მრევლიშვილის პოეზიამ, რომლის უპირველეს და უმთავრეს დანიშნულებას მოზარდი თაობის მშობლიური ერისადმი თავდადების სულისკვეთებით აღზრდა ნარმოადგენდა, სამართლიანად დაუმკვიდრა მას საპატიო ადგილი ქართულ საყმაწვილო ლიტერატურაში. ქართველმა ბავშვებმა გულით შეიყვარეს პოეტის შესანიშნავი ლექსები, „დილა მშვიდობისა", „სანყალი კურდღელი", „ჩიტო-ჩიტო", „შენ გიგალობ, პატარავ", პოემები — „ჭანჭიკელა", „გოგია და ტოლია", „მიყვარს ყველა ცისარტყელა" და მრავალი სხვა. მან გადაამუშავა და გამოსცა ქართული ხალხური ზღაპრები „ირმისა" და „კომბლე"

მაყვალა მრევლიშვილი ენეოდა მთარგმნელობით მოღვაწეობასაც. ქართველ მკითხველს გააცნო ფრანგული ხალხური საბავშვო ლექსები, შარლ დე კოსტერის რომანი „ულენშპიგელის ლეგენდა", ლიტვური ზღაპრები, „მზის დამხსნელი"

ღირსეულად დაფასდა გამოჩენილი პოეტი ქალის ღვაწლი. მას მინიჭებული ჰქონდა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია, დაჯილდოვებული იყო იაკობ გოგებაშვილის მედლით, შიო მღვიმელის სახელობის პრეემით, შრომის წითელი დროშის „საპატიო ნიშნის" ორდენებითა და მედლებით. მისი თხზულებები გამოქვეყნდა რუსულ, უკრაინულ, ჩეხურ, სლოვაკურ და მრავალ სხვა ენებზე.

მაყვალა მრევლიშვილი ექვსი ათეული წლის მანძილზე თავდადებით ემსახურებოდა ქართველი ახალგაზრდების აღზრდის საქმეს. მისი უკვდავი ლექსებით იზრდებოდა და კვლავაც გაიზრდებიან თაობები, თავისუფალი საქართველოს შვილები.

დავით მჭედლიშვილი

ყოფილ რედაქტორზე წერა ადვილიც არის და ძნელიც. განვლილი წლების თვალსაზიერიდან უფრო ნათლად ჩანს ის უნიკალური თვისებები, ალღო, ინტუიცია, პროფესიონალიზმი და პრინციპულობა, რომლებიც შენ ხელმძღვანელს ახასიათებდა. თუ ქართული საბჭოთა ჟურნალისტიკის გზას გადავხედავთ, იშვიათად შევხვდებით კაცს, რომელსაც ისე თავდავინყებით (თითქოს ყოველი ახალი ნომრის გამოცემა მისთვის პირველი ყოფილიყოს), ცოდნის და ენერგიის დაუშურებლად ემოღვაწოს ნახევარ საუკუნეზე მეტს, როგორც დავით მჭედლიშვილს.

მის მომდევნო თაობას, ყოველთვის გვაოცებდა მისი სხარტი, სწორედ საგაზეთოდ მონყობილი აზროვნება, სიახლისა და საინტერესოს, სადღეისოსი და გადაუდებელის შეგრძნება. დილიდანვე პატარძალივით კაზმავდა და აკოპნიავებდა ყოველ ნომერს. ბანდახან გული მოგვდიოდა კიდევ მასზე — გვიანი ღამეა, მან კი თითქმის გამზადებული გაზეთი დაგვიშალა, რაღაც ამოიღო, უფრო საინტერესო, საჭირო მასალით შეცვალა, მაკეტი გადაკეთა. საქმისათვის არც თავს იზოგავდა და არც ჩვენ, თანამშრომლებს, გვზოგავდა. თუ შეიძლება ასეთი ტერმინის ხმარება — დინჯად ჩქარობდაო, სწორედ დავით მჭედლიშვილზე შეიძლება ითქვას. სამაგიეროდ, მკითხველი დილით ძალზე საინტერესო, სხვა გაზეთებიდან გამორჩეულ, სიყვარულითა და რუდუნებით გაკეთებულ ნომერს ფურცლავდა.

1931 წელს ჩვიდმეტი წლის სიღნაღელი ბიჭი „კომუნისტში" მოვიდა და გაზეთის მუშაკთა მოსამზადებელ კურსებზე ჩაირიცხა. მაშინ გაზეთს რედაქტორობდა ნიკო კიკნაძე, ის კიკნაძე, ლენინს რომ პირადად იცნობდა და მის უახლოეს მონაფედ თვლიდა თავს... და რას წარმოიდგენდა, თუ ორი ათეული წლის შემდეგ „ჩვენი რედაქტორი" თავისი „დიდი რედაქტორის" კვალს გაჰყვებოდა, მის გზას დაადგებოდა...

მერე სიღნაღის გაზეთი. იყო პასუხისმგებელი მდივანი, რედაქტორის მოადგილე... 1935 წლიდან — „ახალგაზრდა კომუნისტის" განყოფილების გამგე. ჭაბუკი ჟურნალ „პიონერის" რედაქტორად დაინიშნა, იქიდან კი „ახალგაზრდა კომუნისტის" რედაქტორის მოადგილედ გადაიყვანეს. ცოტა ხანში იგი ჟურნალ „ახალგაზრდა ბოლშევიკს" მეთაურობს, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პრესის სექტორის გამგეა და მალე — „ახალგაზრდა კომუნისტის" რედაქტორიც. 1940 წელს „ჩვენი რედაქტორი" საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანია პროპაგანდის დარგში, შემდეგ პარტიის ცენტრალურ კომიტეტში მუშაობს პროპაგანდის განყოფილების გამგის მოადგილედ პრესის დარგში და ერთდროულად ჟურნალ „ბოლშევიკს" რედაქტორობს. 1952 წლიდან ბატონი დავითი საოლქო გაზეთ „გამარჯვებას" ხელმძღვანელობს. შემდეგ კი, ვიდრე პარტიის ცენტრალურ კომიტეტში მდივნად აირჩევდნენ, ერთი წელი „კომუნისტს" ურედაქტორა. 1958 წლიდან კი ოც წელზე მეტხანს კვლავ „კომუნისტის" რედაქტორი იყო.

ურთულეს პერიოდში კაცურად, თავდაუზოგავად ატარა ეს მძიმე ტვირთი, დაფასებაც უგემია და უმადურობაც, მადლიერებაც და... ასეა ცხოვრება.

ვინ გაუძლო რედაქტორობას, ვინ — ვერა. საქმეში ჩაუხედავმა კაცმა არ იცის, რამხელა და რა ძნელი ტვირთია რედაქტორობა, რამდენი თვალი და ყური უნდა გქონდეს, რამდენ ადამიანთან გიხდება ურთიერთობა, რაოდენი ზღვა მასალა უნდა წაიკითხო, კარგი გაზეთი რომ გამოუშვა. თან კოლექტივშიც წესრიგი უნდა გქონდეს, შენი უნდა სჯეროდეთ. სჯეროდეთ იმისი, რომ შენ პატიოსანი მოქალაქე, პრინციპული, მართალი კაცი და საზოგადო მოღვაწე ხარ ეს თვისებები ყოველთვის ახასიათებდა ბატონ დავითს.

გურამ ხარაიძე

შალვა მჭედლიშვილი

ავტოხეული ეკლების ხსოვნა შეიჭედა.
ძმე — ღვთაებრივი ქალის ხატება.
ო, უბედური ძალადობ ის ირის,
ვინც ირისადეს დაიბადება!

შ. მჭედლიშვილი

ქართველი მწერალი, ექიმი, აკადემიკოსი შალვა მჭედლიშვილი დაიბადა 1923 წლის 21 აპრილს სიღნაღის მაზრის სოფელ ანაგაში. 1940 წელს თბილისში წარჩინებით დაამთავრა საშუალო სკოლა, ხოლო 1941 წლიდან 1945 წლის მარტამდე სწავლობდა ქ. თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში. ეს ომის პერიოდი იყო, სადაც იგი არ გაინვიეს რადგან ტუბერკულოზით იყო დაავადებული.

შალვა მჭედლიშვილის პირველი ლექსები დაიბეჭდა ჟურნალ „პიონერში" და „ნორჩ ლენინელში" 1945 წლის 27 მარტს, ხელნაწერი ჟურნალის გამო პოეტ მარი აბრამიშვილთან ერთად დააპატიმრეს. მათი ლექსები მიუღებელი იყო იმ დროისათვის, რის გამოც ორივე გაასამართლეს. იმყოფებოდა ავჭალისა და რუსთავის კოლონიებში, შემდეგ ვორკუტაში (იმერპოლარეთში) გადაიყვანეს ქვანახშირის მაღაროში სამუშაოდ, სადაც მომხდარი ავარიის შედეგად მიიღო მძიმე ტრავმა. ამის შემდეგ შ. მჭედლიშვილი გადაიყვანეს ტუბერკულოზის სტაციონარში, სადაც თავისი პროფესიის მიხედვით მუშაობდა. პატიმრობის ვადის გასვლის შემდეგ კვლავ ვორკუტის ციხეში შეასახლეს, ხოლო შემდეგ სტოლიპინის ეტაპით გაამგზავრეს ციმბირში მუდმივ გადასახლებაში. იქ დაამთავრა სამედიცინო ინსტიტუტი (მოსკოვის ჯანდაცვის სამინისტროს ბრძანებით აღადგინეს სამედიცინო ინსტიტუტში 1953 წელს IV კურსზე). 1956 წლის იელისში მიენიჭა ექიმი-მკურნალის კვალიფიკაცია.

სამშობლოში შ. მჭედლშვილი დაბრუნდა 1957 წელს. მუშაობდა საქართველოს მრავალ კუთხეში, რადგანაც თბილისში ცხოვრების უფლება არ ჰქონდა.

1992 წელს გახდა მწერალთა კავშირის წევრი. 1996 წელს აირჩიეს ეროვნული აკადემიის ნამდვილ წევრად. 1998 წელს აღიარეს რეპრესიის მსხვერპლად.

აი, ასეთი უმძიმესი ცხოვრების წლები გამოიარა ამ შესანიშნავმა და სიკეთითა და სიცოცხლით სავსე ადამიანმა. მიუხედავად ამისა, იგი მრავალშვილიანი მამაა და ძალიან ბედნიერია. მისი პირველი წიგნი (ლექსები) გამოვიდა 1961 წელს ალმანახში „საბჭოთა მწერლები", შემდეგ დაბეჭდა კიდევ ხუთი ლექსების წიგნი, ხოლო პერიოდულ პრესაში სისტემატურად იბეჭდება შ. მჭედლიშვილის წერილები, ლექსები თუ ნოველები.

რ. მიშველაძე: ლეგენდარული შალვა მჭედლიშვილი.

ქართველი პოეტი და ექიმი. კომუნისტურ ციხესაპატიმროებს სასწაულებრივად გადარჩენილი კაცი.

ამასნინათ სადღაც მიხეილ ქვლივიძე წერდა: მეც და ერთი ორი სხვა მეგობარიც ვიყავით შალვა მჭედლიშვილთან ერთად არალეგალური ჯგუფის წევრები, ერთად ვიბრძოდით საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მრისხანე ორმოციან წლებში, ხოლო როცა შალვა მჭედლიშვილი დაიჭირეს, შინ ვიჯექით და არცთუ მშვიდად ველოდით ჩვენს რიგსო.

იგვიანებდაო ჯალათი, იხსენებს მიშა.

შალვამ ყველაფერი თავის თავზე აიღო, გაუძლო წამებას, წარბშეუხრელად შეხვდა განაჩენს, ჩვენზე კი სიტყვაც არ დასცდენიაო.

ასეთია შალვა მჭედლიშვილი ცხოვრებაშიც და პოეზიაშიც.

ნიკო ნადირაშვილი

1875-1953

ქართველი მწერალი, რუსთველოლოგი ნიკო ვასილის ძე ნადირაშვილი დაიბადა 1875 წლის 18 აგვისტოს სიღნაღის მაზრის სოფ. მაჩხაანში, მდიდარი ვაჭრის ოჯახში. მისი ბიძა (მამის ძმა) დიმიტრი მაჩხანელი (ნადირაშვილი) ცნობილი ხალხოსანი მწერალი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე იყო. პატარა ნიკოს შეგნებაზე, ხალხისა და სამშობლოს სიყვარულის გრძნობის გაღვივებაზე დიმიტრი მაჩხანელმა დიდი კვალი დააჩნია, ხოლო ნიკო ნადირაშვილის ძმისწული იყო ცნობილი მწერალი გიორგი ნადირაძე, რომელიც უმაღლეს სკოლაშიც მოღვაწეობდა და სამეცნიერო მუშაობასაც ეწეოდა. ასე რომ, ნადირაშვილთა ოჯახიდან რამდენიმე სახელოვანი პიროვნება გამოვიდა.

ნიკო ნადირაშვილი სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში, საიდანაც გაირიცხა მოსწავლეთა მღელვარებაში მონაწილეობის გამო; ამის შემდეგ პირველი თანრიგით დაამთავრა თბილისის ფეხოსანთა სამხედრო სასწავლებელი. აქედან ინყება მისი სამხედრო კარიერა. ფართო განათლება, ხასიათის სიმტკიცე, ბეჯითი შრომა მის წინსვლას ხელს უწყობდა და სამსახურებრივ კიბეზე ზევით მიინევდა. 1914 წელს მას მონაწილეობა მიუღია ავსტრია-გერმანიის წინააღმდეგ ომში და მამაცობისა და ნარმატებებისათვის დაუჯილდოებიათ ნმინდა ანას მესამე ხარისხის ორდენით, ნმინდა სტანისლავის მესამე ხარისხის ორდენით, მრავალი მედლით. კონტუზირებული ნიკო ნადირაშვილი გადაუყვანიათ ზურგში. იგი მსახურობდა ჯარების იმ ნაწილში, რომელიც იდგა ლაგოდეხის ყაზარმებში. სნორედ მაშინ მან დიდი ღვაწლი გასწია ოდესღაც სპარსელთა და ლეკთა შემოსევებისაგან გაუკაცრიელებულ ლაგოდეხის მხარეში ქართველთა ჩასახლებისა და ქართული სოფლების დაარსების საქმეში. მისი ეს ნაბიჯი დიდ რისკთან იყო დაკავშირებული, რადგან იმ ხანებში ცარიზმი აქ ასახლებდა შუა რუსეთიდან გადმოყვანილ მთელ სოფლებს. ნ. ნადირაშვილის მოღვაწეობა, ფაქტობრივად, უპირისპირდებოდა ოფიციალურ პოლიტიკას, მაგრამ ნ. ნადირაშვილი ამას არ უშინდებოდა. ასე დაარსდა სოფლები — შრომა, კავშირი, ვარდისუბანი და ა.შ.

ნ. ნადირაშვილი რევოლუციის შემდეგ სამუდამოდ დასახლდა ლაგოდეხში...

ნიკო ნადირაშვილი მაძიებელი გონების ადამიანია, რომელმაც დაგვიტოვა ხელნაწერები ისტორიულ გეოგრაფიაში, რუსთველოლოგიასა და ზოგ სხვა საკითხზე... არაერთი ადამიანი აღტაცებულა მისი პიროვნებით, მისი ერუდიციით და შრომისმოყვარეობით, მისი პატრიოტული აღტყინებით, კეთილსინდისიერებით, სისპეტაკით.

ნიკო ნადირაშვილი იყო კრისტალური ბუნების ადამიანი, თავმდაბალი და მოკრძალებული, კეთილშობილი და გამრჯე, იგი მუშა ფუტკარივით შრომობდა.

ნიკო ნადირაშვილი გარდაიცვალა 1953 წლის მარტში.

ელენე ბაგრატიონის ნაამბობი: „... ნიკოს მსგავს ადამიანს მე არ შევხვედრივარ ჩემს სიცოცხლეში. ეს იყო რაღაც საოცრება, დიდბუნებოვანი ადამიანი, უანგარო მოღვაწე, გატაცებული თავისი საქმით, ენერგიული, დაუღალავი და ამავე დროს ბავშვივით კეთილი და გულუბრყვილო. მთელი დღე რომ გესაუბრა მასთან, არ მოგწყინდებოდა. მუდამ გინდოდა მასთან ყოფილიყავი და განუწყვეტლივ გესმინა მისთვის...“

გიორგი ნადირაძე

1902-1960

ჭრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, პროფესორი, ცნობილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის დიმიტრი მაჩხანელის ძმისწული გიორგი ალექსანდრეს ძე ნადირაძე დაიბადა 1902 წლის 15 აპრილს სიღნაღის რაიონის სოფ. ქვემო მაჩხაანში.

ყმაწვილი ადრე მოექცა მოწინავე საზოგადოების წრეში, რამაც ხელი შეუწყო მის უანგარო სიყვარულსა და გატაცებას მშობლიური ლიტერატურით და ხელოვნებით. ნარმატებით სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჯერ ფილოსოფიის, შემდეგ ფილოლოგიის ფაკულტეტზე. სტუდენტობიდანვე ტოლ-ამხანაგებში გამოირჩეოდა ნიჭიერებით, შრომისმოყვარეობით და სიბეჯითით. კარგად იცნობდა დასავლეთ-ევროპულ ლიტერატურას, გერმანულ კლასიკურ ფილოსოფიას, მუსიკას და თეატრალურ ხელოვნებას. ამიტომ მისმა წერილებმა თავიდანვე მიიქცია ჩვენი საზოგადოებრიობა ყურადღება. 1937 წელს გამოქვეყნდა გ. ნადირაძის პირველი მონოგრაფია ნიკოლოზ ბანიშვილზე, სადაც გაშუქებულია კომპოზიტორის შემოქმედების ხალხურ-ეროვნული სანყისები. მომდევნო წელს დაიბეჭდა მეტად საგულისხმო მონოგრაფია ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ — „პოეტი და ადამიანი". მაგრამ მეცნიერის ინტერესები ამით არ ამოწურულა. ზედიზედ გამოქვეყნდა მისი ნაშრომები: „ბარათაშვილი და ლაიზევიცი", „ბუნების გრძნობა ბარათაშვილის პოეზიაში", „ბარათაშვილის ყვავილები", მონოგრაფია „ნ. ბარათაშვილის ცხოვრება და ესთეტიკური სამყარო",

გიორგი ნადირაძემ ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა რუსთაველის შემოქმედების კვლევის საქმეში. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ნაშრომი „რუსთაველის ესთეტიკა", რისთვისაც ავტორს ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი მიენიჭა. აღსანიშნავია, აგრეთვე, გ. ნადირაძის მთარგმნელობითი მოღვაწეობაც. მან ქართველ საზოგადოებას გააცნო გოეთეს, შილერის, ლესინგის, ლაიზევიცის ქმნილებანი. ფართო ერუდიციის მეცნიერი, შესანიშნავი აღმზრდელი და პედაგოგი სიკვდილამდე სათავეში ედგა სულხან-საბა ორბელიანის (იმხანად პუშკინის) სახელობის თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის დასავლეთ ევროპის ლიტერატურისა და ისტორიის კათედრას. იყო პატიოსნების, კაცთმოყვარეობის, კეთილშობილებისა და დიდსულოვნების განსახიერება, ქართული კულტურის დაუღალავი მოამაგე.

ვასილ ნანობაშვილი

1906-1989

ექიმი ვეტერინარი, ვეტერინარულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე ვასილ ნანობაშვილი დაიბადა 1906 წლის 15 ივნისს სიღნაღის რაიონის სოფ. ვაქირში.

1932 წელს დაამთავრა ერევნის საკავშირო ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტი. 1957-59 წწ. საქართველოს მეცხოველეობისა და ვეტერინარული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, ხოლო 1959 წლიდან საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის ტოქსიკოლოგიის განყოფილების გამგე. ვ. ნანობაშვილი უმთავრესად იკვლევს ვეტერინარული ტოქსიკოლოგიის საკითხებს, რაც დაკავშირებულია მინერალური ორგანიზმების სინთეზური და მცენარეული ნარმოშობის მხამების ტოქსიკოლოგიურ შესნავლასთან.

საქართველოში პირველად ვ. ნანობაშვილმა შეისნავლა ვეტერინარული ფოტოტოქსიკოლოგიის საკითხები. მას ეკუთვნის ვეტერინარული ტოქსიკოლოგიის საველმძღვანელო და სხვა ნაშრომები.

მიხეილ ნასიძე

1859-1935

მიხეილ ალექსანდრეს ძე ნასიძე დაიბადა 1859 წელს სიღნაღის რაიონის სოფელ მაღაროში.

1880 წელს 21 წლის ჭაბუკი ნარჩინებით (ოქროს მედლით) ამთავრებს თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტს და იქვე ტოვებენ მასწავლებლად. მიხეილ ნასიძე თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტში პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა 16 წლის განმავლობაში.

მ. ნასიძემ დაუსწრებლად, გამოცდის ჩაბარებით, დაამთავრა, აგრეთვე, იურიდიული ფაკულტეტი, მიიღო ვექილად მუშაობის უფლება და ერთ დროს კიდევაც მუშაობდა ამ სპეციალობით.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, სხვადასხვა დროს, მიხეილ ნასიძე მუშაობდა სიღნაღის ჰუმანიტარული ტექნიკუმის მასწავლებლად. მასწავლებლობდა ნითელწყაროს (დედოფლისწყაროს) საკოლმეურნეო სკოლაში და წერა-კითხვის უცოდინრობის სალიკვიდაციო სკოლებში, თანამშრომლობდა სიღნაღის გაზეთ „სინათლეში". ერთხანს მსახურობდა სამაზრო სტატბიუროს გამგედ. მან სამსახური მიატოვა, როგორც თვითონ აღნიშნავდა, „ღრმა მოხუცებულობის გამო"

მ. ნასიძეს მნიშვნელოვანი ამაგი მიუძღვის ჩვენ პერიოდულ პრესაში პედაგოგიური ხასიათის პრობლემების დამუშავებაში. იგი არის ავტორი რამდენიმე დამხმარე წიგნისა ქართულ ენასა და ლიტერატურაში.

ჟურნალ „ივერიის" 1884 წლის მე-4 (აპრილის) ნომერში მიხეილ ნასიძე ბეჭდავს საკმაოდ ვრცელ სტატიას „პედაგოგიური მოსაზრებანი"; მასში მოცემულია საყმანვილო ჟურნალ „ნობათის" მეორე და მესამე ნომრის მიმოხილვა. სტატიის შესავალში ავტორი აღნიშნავს, რომ „საყმანვილო ჟურნალი პედაგოგიური საქმეა", რომ „იგი უნდა ჰშველოდეს მშობლებს და აღმზრდელებს ბავშვების აღზრდაში და განათლებაში, სწავლებაში". მ. ნასიძე მოითხოვს, გათვალისწინებულ იქნას მკითხველის ასაკი. რომ საბავშვო ჟურნალს ჰქონდეს განყოფილებები: „სულ პატარა ყრმათათვის", „ბავშვთათვის" და, ბოლოს, „მოზრდილ ყრმათათვის"

მ. ნასიძე წერს: „... არ უნდა იქნას დავინყებული... პედაგოგიური პრინციპები: ჯერ ადვილი, მერე ძნელი, მერე უძნელესი; ჯერ ის, რაც ახლოა, რასაც იცნობ და შემდეგ შორეული საგნები და მოვლენანი; ჯერ მარტივი და ადვილი ასახსნელი და გასაგები მოვლენა, შემდეგ რთული და ძნელი გასაგები..." ამასთან ერთად მთავარია თემატიკა. ბავშვს, ნორჩ მკითხველს უყვარს მრავალფეროვნება. ამ მხრივ „ნობათში" „ყველაფერი ვერ არის რიგზე. ის შემოიფარგლა ვიწრო თემატიკური ჩარჩოთი. „ნობათი" ყველა ნომერში ჩიტებზე ლაპარაკობს. ჟურნალი ჩიტების მეტს ვერაფერს ჰხედავს. მკითხველი ძალაუნებურად იფიქრებს: „ქართველი ბავშვები მარტო ჩიტებს იჭერენ და აფრენენო"

მიხეილ ნასიძემ „ივერიაში" (1885 წლის №3) დაბეჭდა სტატია „პედაგოგიური მოსაზრებანი ქართული ენის სწავლების შესახებ". ამ სტატიაში მან გაილაშქრა „მწყემსი"-ს 1885 წლ. 22-ე ნომერში დაბეჭდილი ქ.-უ-ს წერილის წინააღმდეგ. ეს უკანასკნელი (ქ.-უ-ე) აღნიშნავდა: „ძლიერ საჭირო არის, რომ ამ მოკლე ხანში შესდგეს ერთი სახელმძღვანელო

წიგნი... ეს წიგნი უნდა იქმნეს ან „ქრისტომატია“ ან „საქართველოს ლიტერატურის მიმოხილვა... „ქრისტომატიის შემდგენელმა არასგზით არ უნდა დაივიწყოს საეკლესიო გრამატიკა, თორემ მის ქრისტომატიას არც ფასი ექნება და არც მსვლელობა“

ამის გამო მ. ნასიძე წერდა: „უპირველესად დააკვირდით ამას: ან ქრისტომატია, ან საქართველოს (ალბათ ქართული უნდა ეთქვა) ლიტერატურის მიმოხილვაო“ როგორ შეიძლება აქ ითქვას: ან ის, ან ისაო. განა ეს ორი საგანი ერთი და იგივეა? განა შეიძლება ითქვას: ან არითმეტიკა მასწავლეთ ან ალგებრაო?.. ალგებრის შესწავლა უარითმეტიკოდ ისევე შეუძლებელია, როგორც ის, რომ დაასკვნათ რამე არაფრიდან. ქრისტომატიის საგანი სხვა არის, ლიტერატურის მიმოხილვისა სულ სხვა. ქრისტომატია მხოლოდ გაძლევთ რჩეულ ნაწყვეტებს ნარჩინებულ მწერალთა ნაწერებიდან. „ზიმოხილვა“ კრიტიკაა, დაფასებაა მწერლისა და მისი ღვაწლისა. ვიდრე რაიმეს დაფასებას შეუდგებით, ჯერ უნდა შეისწავლოთ დასაფასებელი საგანი... მაშასადამე, ერთი არის წინმავალი შრომა, მეორე მისი შედეგი. ერთი იძლევა ფაქტებს, მეორე დასკვნას. ახირებულია თქვენმა მზემ, აქ ვსთქვათ: ან ერთი ან მეორეო“ მ. ნასიძე განაგრძობს: „ჩვენ ეს ცნება „საეკლესიო გრამატიკა“ ვერ მოგვინელება. ჩვენ რაღაც განსაკუთრებული საეკლესიო ენა არა გვაქვს, მაშასადამე, არც გრამატიკა უნდა გექონდეს. ჩვენი ენა ერთია — ქართული და გრამატიკაც ერთია“

მიხ. ნასიძეს მშობლიური ენის შესწავლა მიაჩნია ყველაზე მთავარ ამოცანად. მისი აზრით, ენის შესწავლამ უნდა გაამდიდროს, გაავსოს მოსწავლის სიტყვიერება, მისი ლექსიკონი. მისი მეოხებით მოსწავლეს უნდა შეეძლოს ყოველივე წაკითხულის გაგება სწორედ ისე, როგორც ესმის თვით დამწერს, ავტორს. ეს არ კმარა. იგი კითხვის დროს უნდა აღელდეს იმ გრძნობით, რა გრძნობაც აღელვებდა დამწერს... დასასრულ იგი მოითხოვს: შეიქმნას ქრესტომათიები (კლასების მიხედვით) საუკეთესო მწერალთა ნაწარმოებების კრებულის სახით, ასევე დაიბეჭდოს ქართული ენის გრამატიკა და ქართული ლიტერატურის ისტორია.

მიხეილ ნასიძე გარდაიცვალა 1935 წლის 5 აპრილს სიღნაღში, 76 წლის ასაკში.



გიორგი ნაცვლიშვილი

ქირურგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე გიორგი ნაცვლიშვილი დაიბადა 1925 წლის 2 სექტემბერს სიღნაღში.

1948 წელს დაამთავრა თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. 1956-60 წწ. მუშაობდა მოსკოვში ბ. პეტროვსკისთან.

1960-68 წწ. ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ინსტიტუტებში განაგებდა სისხლძარღვთა ქირურგიის განყოფილებას.

1968 წლიდან დღემდე თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში ხელმძღვანელობა სისხლძარღვთა ქირურგიის კურსს (1976-82 წწ. სისხლძარღვთა ქირურგიის კათედრას).

გ. ნაცვლიშვილი შეისწავლის გულ-სისხლძარღვთა ქირურგიის საკითხებს, სრულყოფს სისხლის ძარღვებისა და გულის დაავადებათა რენტგენოკონტრასტული კვლევის მეთოდებს და სხვ.

1983 წელს ხელის მტევნის და თითების რეპლანტაციის სასწრაფო ქირურგიული ოპერაციებისა დამუშავებისათვის (ი. კუზნეცოვთან ერთად) მიენიჭა სსრკ სახელმწიფო პრემია.

გიორგი ნაცვლიშვილი საქართველოში მიკროქირურგიის პიონერია

ილია ოქრომჭედლიშვილი

1838-1898



ილია ლაზარეს ძე ოქრომჭედლიშვილი დაიბადა 1838 წლის აპრილში ქალაქ სიღნაღში. მამამისი (სახაზინო გლეხი) სიღნაღის მკვიდრი, ბოლო დედა — ეკატერინე ფრანგუშკოვას ასული, ქართველი კათოლიკე იყო.

ოჯახი, რომელშიც პატარა ილია იზრდებოდა, ყოველთვის მატერიალურ სივინროვეს განიცდიდა; მამის მცირე შემოსავალი სრულიად ვერ აკმაყოფილებდა ოჯახის საჭიროებას. სიღარიბეს ზედ დაერთო ილიას მშობლების — ჯერ მამის, ბოლო შემდეგ დედის ნაადრევი სიკვდილი. მძიმე ხვედრმა ობოლი ილია ადრე ჩააბა შრომის ფერხულში. უფროსმა ძმამ, ივანემ, ილია თბილისში ნაიყვანა. აქ იგი შეიკედლა ერთმა კეთილმა ბათესავმა. ილია ოქრომჭედლიშვილს სკოლის კარები არ უნახავს. იგი თბილისში, თამამმოვის ქარვასლაში ფარჩეულის ერთ სავაჭრო დუქანში შეგირდად იყო.

ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოებული და მუდამ სნავლამოწყურებული ილია მუშაობის დამთავრების შემდეგ ღამეებს ნიგნის კითხვას და მეცადინეობას ანდომებდა, მთელი მონდომებით სნავლობდა რუსულ ენას. სახელმძღვანელო წიგნების საშუალებით ემზადებოდა საშუალო სკოლის პროგრამის შესათვისებლად.

მიუხედავად დუქანში აუტანელი შრომისა და ჯაფისა, მტკიცე ნებისყოფითა და ენერგიით აღსავსე ყმანვილმა ყოველგვარი დაბრკოლება დაძლია და შეძლო მაშინდელი გიმნაზიის პროგრამით გათვალისნინებული განათლების მიღება.

შემდგომ ი. ოქრომჭედლიშვილი მიემგზავრება პეტერბურგს და ირიცხება პეტერბურგის უნივერსიტეტში.

ი. ოქრომჭედლიშვილი პეტერბურგში დიდ მატერიალურ გაჭირვებაში იმყოფებოდა, მას საშუალება არ ჰქონდა, სნავლის ქირა ეხადა. 1862 წლის 21 თებერვალს მან თხოვნით მიმართა უნივერსიტეტის მმართველობის დროებით კომისიას და წარადგინა სიღნაღის ქალაქის თავის მიერ 1861 წლის 10 თებერვალს გაცემული სიღარიბის მოწმობაც. იგი ითხოვდა სნავლის გადასახადისაგან განთავისუფლებას.

დროებითმა კომისიამ აღძრა შუამდგომლობა პეტერბურგის სასნავლო ოლქის მზრუნველობის წინაშე 1860 წლის მეორე ნახევრიდან მისი სნავლის გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ. სასნავლო ოლქის მზრუნველმა შეიწყნარა შუამდგომლობა და ილია ოქრომჭედლიშვილი სნავლის გადასახადისაგან მთლიანად გაათავისუფლა.

1863 წლის 24 იანვრიდან, თანახმად მისი მოთხოვნისა, იგი გადარიცხეს იმავე ფაკულტეტის თავისუფალ მსმენელად. იმავე წლის 22 მარტს ილიამ მიმართა უნივერსიტეტის მმართველობის დროებითი კომისიის თავმჯდომარეს და ითხოვა, ნება დაერთოთ აღმოსავლური ენების ფაკულტეტის სომხურ-ქართულ განყოფილებაზე ჩაებარებინა გამოცდები უნივერსიტეტის დამთავრებისა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხით. კომისიის თავმჯდომარემ 1863 წლის 12 აპრილს მას გამოცდების ჩაბარების უფლება მისცა.

1863 წლის აპრილსა და მაისში ილიამ წარმატებით ჩააბარა საგამოცდო საგნები და ფაკულტეტს წარუდგინა სადისერტაციო ნაშრომი სათაურით: „თემურ-ლენგის ლაშქრობა საქართველოში" (ეს ფაქტი ცნობილი გახდა არქივში დაცული მოხსენებით, რომელიც 1863 წლის ივნისში უნივერსიტეტის მმართველობის დროებითი კომისიის თავმჯდომარისადმი წარუდგენია აღმოსავლური ენების ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრუ-

ლებელს პროფესორ დავით ჩუბინაშვილს). სამწუხაროდ, ილია ოქრომჭედლიშვილის ეს ნაშრომი ჯერჯერობით მიუკვლეველია. ცხადია, რომ სადისერტაციო შრომა მას დ. ჩუბინაშვილის ხელმძღვანელობით უნდა ჰქონოდა შესრულებული.

ჩუბინაშვილის მოხსენების საფუძველზე უნივერსიტეტის მმართველობის დროებითი კომისიის თავმჯდომარემ 1863 წლის 27 ივნისს აღძრა შუამდგომლობა პეტერბურგის სასწავლო ოლქის მზრუნველის წინაშე და ითხოვდა ილია ოქრომჭედლიშვილის მიერ უნივერსიტეტის კანდიდატის ხარისხის დიპლომით დამთავრების დამტკიცებას. 1863 წლის 27 ნოემბერს პეტერბურგის სასწავლო ოლქის მზრუნველმა ეს თხოვნა დაკმაყოფილა.

ლაზარევის ინსტიტუტის მზრუნველის შუამდგომლობით ილია ოქრომჭედლიშვილი 1863 წლის 14 ივლისიდან დანიშნეს ქართული ენის უფროსი მასწავლებლის მოვალეობის შემსრულებლად.

ი. ოქრომჭედლიშვილი დიდი სიყვარულითა და მონდომებით შეუდგა ქართული ენის სწავლებას ლაზარევის ინსტიტუტში. მან სულ მალე დაიმსახურა მოსკოვში სასწავლებლად ჩასული ქართველი ახალგაზრდობის დიდი სიყვარული. იგი იყო გულისხმიერი, კეთილი ადამიანი, მშობელი ხალხის ერთგული შვილი, სამშობლოს მომავალი კეთილდღეობისათვის მუდამ მზრუნველი, ჩუმი, თავმდაბალი. იგი გახდა გზის მაჩვენებელი სწავლამონყურებული ქართველი ახალგაზრდობისა, რომელსაც მთელი თავისი შესაძლებლობით ეხმარებოდა.

ი. ოქრომჭედლიშვილი 1865 წლის 1 ოქტომბრიდან შეთავსებით დაინიშნა მოსკოვის უნივერსიტეტში ქართული ენის მასწავლებლად.

1867 წლის იანვარში ილია ოჯახს მოეკიდა, ცოლად შეირთო შეძლებული მოსკოველი ვაჭრის — ვასილ მახალოვის ასული კლავდია.

1871 წლის 28 აგვისტოდან, როცა ლაზარევის ინსტიტუტში გაიხსნა სპეციალური კლასები და დაარსდა ქართული ენის კათედრა, ი. ოქრომჭედლიშვილი დოცენტის მოვალეობის შემსრულებლად დანიშნეს, ხოლო 1882 წლის 1 ნოემბრიდან პარალელურად აირჩიეს ინსტიტუტის სპეციალური კლასების საბჭოს მდივნად.

ი. ოქრომჭედლიშვილი უეცრად გარდაიცვალა 1898 წელს, დასაფლავებულია ქ. თბილისში, დიდუბის პანთეონში.



ალექსანდრე სარაჯიშვილი

1851-1914

ქართველი ლიტერატორი, რუსთველოლოგი ალექსანდრე სარაჯიშვილი დაიბადა 1851 წელს კახეთში.

გასულ საუკუნეში მრავალი ქართველი ცხოვრობდა შვეიცარიის ქალაქებში — ჟენევასა და ციურიხში. მათ შორის იყვნენ: სერგი მესხი, თუში დ. ქადაგიშვილი, ნიკო ნიკოლაძე, მისი დები, ელენე ყიფიანისა (დიმიტრი ყიფიანის ქალი), ეკატერინე მელიქიშვილისა (სტეფანე და ნიკოლოზ მელიქიშვილების და, მერე სერგი მესხის მეუღლე)

აი, ამათ უმშვენებდა მხარს ალექსანდრე სარაჯიშვილიც.

საზღვარგარეთიდან დაბრუნების შემდეგ ალექსანდრე სარაჯიშვილი დაღესტნის უფროსის ნიკოლოზ ჭავჭავაძის კანცელარიის ხელმძღვანელი იყო, საყვარელ და მოუსყიდველ ადამიანად ითვლებოდა.

ნ. ჭავჭავაძეს რომ მოშორდა, ალ. სარაჯიშვილი გადმოვიდა განჯაში საგლეხო სამმართველოს ნეერად. სწორედ ამ ხანში (1895 წ.) გამოვიდა იგი სალიტერატურო ასპარეზზე. თითქოს რაც აქამდე სდუმდა, ახლა უნდა აინაზღაუროსო... ბელი მოჰკიდა ისეთ საქმეს, რაც მანამდე ჩვენში ვერავის გაებედა და აზრადაც კი არავის მოსვლია.

ეს გახლდათ განწმენდა მთელი ქართველობის საამაყო და თავისმოსანონებელ სალიტერატურო განძის, როგორიცაა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი" და მისთვის ჩამოშორება მეტხორცისა, ისტორიულ მანძილზე სხვებისაგან ჩამატებული ყალბი ადგილებისა. „ვეფხისტყაოსნის" ცალკეული ადგილები, რომლებიც ალ. სარაჯიშვილამდე შოთა რუსთაველისად ითვლებოდა და მათ ყალბისმქნელობასა და „ჩანამატებში" ეჭვის შეტანას ვერავინა ბედავდა და ფიქრადაც არავის მოსდიოდა. „მოამბეში" დაბეჭდვის შემდეგ ყველასათვის ნათელი და უტყუარი შეიქნა.

დარბაისელ, მომზადებულ, ყოველის მხრივ განვითარებულ კალმის მსახურის სახელიც მას აქეთ დაიმსახურა ალ. სარაჯიშვილმა. მისი „ვეფხისტყაოსნის" ყალბი ადგილები მთელი ექვსი წლის განმავლობაში იბეჭდებოდა „მოამბეში..."

ამასობაში ალექსანდრე სარაჯიშვილი საცხოვრებლად გადმოდის თბილისში, სადაც საეთნოგრაფიო საზოგადოებას ჩაუდგება სათავეში და მიჰყავს ამ საზოგადოების საქმე მისთვის ჩვეული ყურადღებით და ენერგიით. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭოს ნეერად ირჩევენ და 1907 წელს ენკენისთვის 20-დან მასვე აკისრებენ უსასყიდლოდ ამ საზოგადოების ხაზინადრობას. ამ საზოგადოებას ალ. სარაჯიშვილი გარდაცვალებამდე, ე.ი. 1914 წლის ივნისის 1-მდე ჩვეული ყურადღებით და უანგაროდ ემსახურებოდა.

ალ. სარაჯიშვილმა დატოვა სახელი ზნეობრივად ყოვლად უმწიკვლო ადამიანისა, მოყვასის და ყველა გაჭირვებულის მწე და დამხმარესი.

ვახუშტი ქიზიყურაშვილი

რთულ სიტუაციებში ნარუმაკეტლობისას, საკუთარ თავში შემეცნებული სისუსტეების მიგნებით მიღებული ბუნიერების განცდა, სულიერად ამაღლებულია, გონიერთა ხეკდრია, რაც ეარაპირობებს მათში ნინაალმდეგობათა დაძლევის დიდი სურვილისა და მისი დაძლევისათვის საჭირო ენერგიის ნარმოშობას ნინაალმდეგობათა დაძლევისათვის კამოზნული ეშმდება კი გონიერი კაცისათვის, კამარჯვებისათვის მზადების, ბუნებაში არსებულ კანონზომიერებათა შეცნობისა და საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებთან შესაბამისობაში მოყვანის საფუძველ ზე. ღვთის სამსახურში ჩადგომაა, ეს კი გამარჯვების გარანტია.

ნეტარია ყველა, ვინც მშვენიერების სრულქმნილებიდან გამომრნყინებული უფლის განზრახულობათა აღმქმელი და შემსრულებელია.

ვ. ქიზიყურაშვილი

საქართველოს № 1 საინვესტიციო ფონდის მთავარინვესტის დამფუძნებელი და საბჭოს თავმჯდომარე, რესპუბლიკური საზოგადოება „ქართული სოფლის" ვიცე-პრეზიდენტი, ამერიკის შეერთებული შტატების მიერ დაარსებული ფონდის „დემოკრატია და აღორძინება" დირექტორი ვახუშტი ნიკოლოზის ძე ქიზიყურაშვილი დაიბადა 1940 წლის 8 ივლისს სიღნაღის რაიონის სოფ. ბოდბეში. 1957 წელს დაამთავრა ააშუალო სკოლა და 1958 წელს ჩაირიცხა ქ. ქუთაისის კვების მრეწველობის ინსტიტუტში, რომელიც შემდეგ გადაიტანეს ქ. სოხუმში (სუბტროპიკული კულტურების ინსტიტუტი), ხოლო ვ. ქიზიყურაშვილმა სწავლა გააგრძელა თბილისში საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე, რის დამთავრების შემდეგ (1964 წ.) მიიღო ინჟინერ-ტექნოლოგის დიპლომი. 1969 წელს ჩაირიცხა ქ. მოსკოვის საკავშირო კვების მრეწველობის ინსტიტუტში ეკონომიკურ ფაკულტეტზე.

ვ. ქიზიყურაშვილმა მუშაობა დაიწყო 1964 წელს დედოფლისწყაროს № 1 ქარხანაში მელვინედ, სადაც იმუშავა 10 წელიწადს, ხოლო მომდევნო ათი წელი მან დაჰყო ყველკარაქის სათაო ქარხნის დირექტორად.

1987 წლიდან მუშაობს: საქართველოს სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის სოციალური და ეკონომიკური განვითარების მთავარი სამმართველოს სექტორის უფროსად, ქ. თბილისი; გარდაბნის რაიონის გამარჯვების მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორის პირველ მოადგილედ; საქართველოს სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტში სოციალური და ეკონომიკური განვითარების დაგეგმვის მთავარი სამმართველოს წამყვან ეკონომისტად, მთავარ ეკონომისტად, ეკონომიკისა და მიწოდების კოორდინაციის მთავარი სამმართველოს შრომის ორგანიზაციის ხელფასისა და სოციალური განვითარების სამმართველოს სამეურნეო მექანიზმების სრულყოფის განვითარების გამგედ; სოფლის, ტყის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს ეკონომიკის მთავარი სამმართველოს მეურნეობრიობის ახალი ფორმების დანერგვის სექტორის უფროსად, მთავარ სპეციალისტად; საგარეო ეკონომიკური კოოპერატიული ფირმა „მერკურის" ტექნოლოგად; შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ფირმა „მერკურის" ვიცე-პრეზიდენტად. ვ. ქიზიყურაშვილი არის: შპს „მერკურის" გენერალური დირექტორი, ქ. თბილისი; შპს „ქიზიყის" აღმასრულებელი დირექტორი, ქ. თბილისი; შპს „ჯი აი აის" აღმასრულებელი დირექტორი, სადაზღვევო კომპანია ლლოიდის (ინგლისი) ბროკერი საქართველოში. ამბროლაურის რაიონის შპს „ბარაკონის" დამფუძნებელთა საბჭოს თავმჯდომარე; ხირსისა და წნორის ღვინის ქარხნების დამფუძნებელი საბჭოს ნევრი; ქ. თბილისის მარცვლეულისა და ნავთობის მთავარი ბირჟის დამფუძნებელი. ვახუშტი ქიზიყურაშვილი არჩეულია კალიფორნიის (აშშ) მეცნიერებათა, განათლების, მრეწველობისა და ხელოვნების საერთაშორისო აკადემიის წევრად.

ივანე შაიშმელაშვილი

1910-1992

ქართველი გენერალი, მწერალი და პუბლიცისტი ივანე შაიშმელაშვილი დაიბადა 1910 წელს სიღნაღში. იგი თითქმის ნახევარი საუკუნე ემსახურებოდა ჩვენი დიადი ქვეყნის სამხედრო ძლიერების განმტკიცებას. ლეიტენანტობით დაინყო და გენერალ-მაიორის ჩინით დაასრულა ეს სასახელო და საპატიო სამსახური. დიდი სამამულო ომის დროს იგი პირადი მაგალითით სიმხნევესა და მამაცობას შთაგონერგავდა ხელქვეითთ, რომლებმაც არაერთი სახელოვანი ფურცელი ჩანერეს გერმანელ ფაშისტებზე გამარჯვების მატიანეში.

საბჭოთა ქვეყანამ ღირსეულად დააფასა თავისი ერთგული შვილის ღვანლი. იგი დაჯილდოებულია ლენინის, წითელი დროშის, ნითელი ვარსკვლავის, სამამულო ომის პირველი ხარისხის, საპატიო ნიშნის (2) ორდენებითა და მედლებით.

ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწეოდა 1935 წლიდან, როდესაც გამოქვეყნდა მისი პირველი ლექსები და პოემები. მას შემდეგ ივანე შაიშმელაშვილის ნაწარმოებები პერიოდულად ქვეყნდებოდა ჩვენ სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებში, გამოდიოდა ცალკე წიგნებად. ქართველი მკითხველი ყურადღებით ეცნობოდა მის ლექსებსა და პოემებს.

ივანე შაიშმელაშვილმა ოთხი ათეული წელი შეალია ქართული სამხედრო ბელოვნების, მისი სტრატეგიისა და ტაქტიკის საკითხების შესწავლას. მწერლის სამეცნიერო-პოპულარული ნარკვევები „კრწანისის ომი", „შამქორი, ბასიანი", „ძველი საქართველოს ფოლადის გული", „დიდგორის ბრძოლა", „უჯარმისა და მარაბდის ბრძოლები", „ქიზიყი", რომლებიც ცალკე წიგნებად არის გამოცემული, ქართული სამხედრო ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვან შენაძენს წარმოადგენს.

ივანე შაიშმელაშვილი ავტორია წერილებისა „სამხედრო ხელოვნება „ვეფხისტყაოსანში" და „რუსთაველი და სამხედრო ხელოვნება". მან ცალკე წიგნად გამოსცა „სამეედრო ლექსიკონი", რომელიც მყისვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა.

ივანე შაიშმელაშვილი იყო ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-მუშაკი და მთელ თავის ძალას მშობელი ქვეყნის სამსახურს ახმარდა.

დიმიტრი შანშაშვილი

1907-1984

ავიაციის გენერალ-მაიორი დიმიტრი შანშაშვილი ქართველ მეომართა იმ სახელოვან პლეადას ეკუთვნის, რომელმაც თავი გამოიჩინა დიდი სამამულო ომის ფრონტებზე.

დიმიტრი შანშაშვილი დაიბადა 1907 წლის 25 მარტს სიღნაღის მაზრის სოფელ ქვემო მაჩხაანში. ჯერ კიდევ თბილისის ქვეითთა სკოლაში სწავლისას გამოიჩინა სამხედრო ნიჭი და შესაშური მონდომება. იყო სკოლის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი, აქვე შევიდა კომუნისტური პარტიის რიგებში. 1930 წელს წარმატებით დაამთავრა სასნავლებელი და დანიშნეს ოცეულის მეთაურად ქართულ მსროლელ დივიზიაში. აქაც გამოამჟღავნა დაუცხრომელი ენერგია, იყო ასეულის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი და ლეგიონის კომკავშირული ბიუროს წევრი. შემდეგ ჩააბარეს ლეგიონის სნაიპერული ოცეული.

1931 წლის მაისში შანშაშვილი ბელორუსიის სამხედრო ოლქშია, დააწინაურეს ესკადრილიის ავიარაზმის შტაბის უფროსად. აქაც ეწევა აქტიურ საზოგადოებრივ მუშაობას, იყო ესკადრილიის პარტბიუროს მდივანი, დიდ ყურადღებას უთმობდა მეომართა საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ამაღლებას, თვითონაც დღისითა და ღამით ფრინავდა საბრძოლო მანქანებით. მონდომებული და სწავლასმონყურებული ახალგაზრდა ოფიცერი შენიშნეს მეთაურებმა და სასწავლებლად გაგზავნეს ვ. ი. ლენინის სახელობის სამხედრო-პოლიტიკურ აკადემიაში. 1937 წელს წარჩინებით დაამთავრა აკადემია და დანიშნეს ავიაესკადრილიის კომისრად.

დ. შანშაშვილის მხედრული ნიჭი განსაკუთრებით გამოვლინდა დიდი სამამულო ომის პერიოდში, იგი ჯერ დივიზიის სამხედრო კომისრად დანიშნეს, 1942 წლის თებერვლიდან კი ლენინგრადის ფრონტის სამხედრო საჰაერო ძალების კომისარი იყო. 1944 წლის მაისში დ. შანშაშვილი მე-13 საჰაერო არმიის პოლიტგანყოფილების უფროსია.

მისი საბრძოლო და ორგანიზატორული მუშაობა დიდად შეფასდა. სარდლობის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის ქართველი გენერალი დაჯილდოვდა საბრძოლო ნითელი დროშის სამი ორდენით, სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენით, ნითელი ვარსკვლავის ორდენითა და მრავალი მედლით.

დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ, 1945 წლის ივლისში დ. შანშაშვილი დაანინაურეს. მუშაობდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობებზე.

თენგიზ შოშიაშვილი

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, პოლიციის გენერალ-მაიორი თენგიზ ხვთისოს ძე შოშიაშვილი დაიბადა 1954 წლის 31 მარტს მოსამსახურის ოჯახში.

1971 წელს დაამთავრა სიღნაღის რაიონის სოფელ ვაქირის საშუალო სკოლა 1972 წელს მუშაობა დაიწყო ქ. ნნორის საქკვებრემმშენის მე-8 უბანზე მუშად.

1973 წელს ჩაირიცხა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტზე.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ 1978 წელს სამუშაოდ გაანაწილეს საქართველოს შს ორგანოების სისტემაში.

1979 წლიდან 1986 წლამდე მსახურობდა ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების სოც. საკუთრების მტაცებლობისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლ ქვეგანყოფილებაში და განველო გზა ინსპექტორიდან ქვეგანყოფილების უფროსის თანამდებობამდე.

მუშაობის პარალელურად, თენგიზ შოშიაშვილი 1981 წელს ქ. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაირიცხა, რომელიც 1986 წელს დაამთავრა.

1986 წლის დეკემბერში დაინიშნა ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების უფროსის მოადგილედ, შემდეგ საგამოძიებო ქვეგანყოფილების უფროსად, ხოლო 1992 წლის სექტემბრის თვიდან ქ. თბილისის ისნის რაიონის შ.ს. რაიგანყოფილების უფროსის მოადგილედ, საგამოძიებო ქვეგანყოფილების უფროსად, შემდეგ კი ისნის საგამოძიებო განყოფილების უფროსად.

1995 წლის ოქტომბრიდან 1997 წლის მაისამდე თენგიზ შოშიაშვილი ქ. თბილისის საგამოძიებო სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილეა.

1997 წლის მაისში კი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსად დაინიშნა, ხოლო ივნისის თვიდან შსს-ს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარეა, სადაც 1999 წლამდე იმუშავა.

1999 წლის ნოემბრიდან თენგიზ ხვთისოს ძე შოშიაშვილი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეა.

ჰყავს მეუღლე შორენა პაიჭაძე და ორი ქალიშვილი მარიკა და თამარი, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები.

1999 წლის 25 მაისს თენგიზ შოშიაშვილი დაჯილდოვდა მედლით მხედრული მამაცობისათვის.

1999 წლის 8 ნოემბერს მიენიჭა პოლიციის გენერალ-მაიორის განსაკუთრებული ნოდება.

2001 წლის 2 ივნისს საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით თენგიზ ხვთისოს ძე შოშიაშვილი დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენით.

თენგიზ ხვთისოს ძე შოშიაშვილი თითქმის 25 წელიწადია შს ორგანოების სისტემაში მუშაობს. მან საკუთარი პროფესიონალური კარიერა რიგითი ინსპექტორის თანამდებობიდან დაიწყო და დღეს იგი შს მინისტრის მოადგილეა, რასაც დიდი შრომითა და პროფესიონალიზმით მიაღწია.

ნუგზარ შოშიაშვილი

საქართველოს ტრანსპორტის პროკურორი, იუსტიციის სახელმწიფო მრჩეველი (პროკურატურის გენერალი), ნუგზარ ხვთისოს ძე შოშიაშვილი დაიბადა 1947 წლის 11 ოქტომბერს ქ. თბილისში, მოსამსახურის ოჯახში.

1953 წლიდან მისი ოჯახი საცხოვრებლად პაპისეულ სახლში, სიღნაღის რაიონის სოფელ ვაქირში გადავიდა. მისი მშობლები ხვთისო მიხეილის ძე შოშიაშვილი და ლოლა ალექსანდრეს ასული ჯინჭარაძე-შოშიაშვილი დღემდე იქ ცხოვრობენ.

ნუგზარ ხვთისოს ძე შოშიაშვილმა 1965 წელს დაამთავრა სიღნაღის რაიონის სოფელ ვაქირის საშუალო სკოლა. სკოლის დამთავრებისთანავე შრომით საქმიანობას თბილისის №4 სტამბაში, მუშად იწყებს.

1966 წელს სწავლა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე განაგრძო და 1972 წელს სამართალმცოდნეობის სპეციალობით დაამთავრა.

1966 წლიდან 1972 წლამდე სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში მუშაობდა, ჯერ 26 კომისრისა და კიროვის რაიონების დაცვის განყოფილებაში, ხოლო შემდეგ გამომძიებლად შს სამმართველოს ქ. თბილისის საგამოძიებო განყოფილებაში.

ნუგზარ ხვთისოს ძე შოშიაშვილი პროკურატურის ორგანოებში 1977 წლიდან მუშაობს. იგი ჯერ ე. თბილისის პროკურატურის უფროსი გამომძიებელი, შემდეგ საგამოძიებო განყოფილების პროკურორი იყო. 1979 წლიდან ქ. თბილისის პროკურორის უფროს თანამემწედ მა ორგანოებში მოკვლევასა და გამოძიებაზე ზედამხედველობის ხაზით მუშაობდა.

1980 წლის თებერვლიდან 1985 წლის სექტემბრამდე ქ. თბილისის კიროვის სახელობის რაიონის პროკურორია, ხოლო 1985 წლის სექტემბრიდან 1986 წლის თებერვლამდე საქართველოს პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს უფროსის მოადგილედ მუშაობს.

შემდეგ, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილებით, ნუგზარ ხვთისოს ძე შოშიაშვილი პარტიულ სამუშაოზე იქნა გადაყვანილი და 1986 წლის თებერვლიდან 1987 წლის ივლისამდე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგის მოადგილედ მუშაობდა.

1987 წლის ივლისში საქართველოს რესპუბლიკის პროკურორის პირველ მოდგილედ დაინიშნა, საიდაც 1991 წლის იანვრამდე იმუშავა.

1991 წლის მარტიდან ამიერკავკასიის ტრანსპორტის პროკურორის მოადგილედ, შემდგომ საქართველოს ტრანსპორტის პროკურორის მოადგილედ მუშაობდა, ხოლო 1995 წლის მაისიდან ნუგზარ შოშიაშვილი საქართველოს ტრანსპორტის პროკურორია.

მისი ოჯახის ყველა წევრი იურისტია. მეუღლე — რუსუდან სისაური მუშაობს საქართველოს იუსტიციის სამინისტროში, შვილები — ნინო სახელმწიფო ნოტარიუსია, ლელა მუშაობს თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე მეცნიერ-მუშაკად.

ნუგზარ შოშიაშვილი 1970 წელს დაჯილდოვდა საიუბილეო მედლით შრომითი მამაცობისათვის.

1978 წლის 19 ოქტომბერს სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ მიენიჭა იუსტი-ციის სახელმწიფო მრჩევლის წოდება.

1998 წლის 8 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, საქართველ-ოში კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებაში შეტანილი პირადი წელილისა და ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

ნუგზარ შოშიაშვილი სამართალდამცავ სტრუქტურებში 35 წელინადია მუშაობს. მას იცნობენ, როგორც მაღალკვალიფიციურ პროფესიონალს, პრინციპულ, უკომპრომისო, მრომისმოყვარე, კეთილსინდისიერ და წესიერ კაცს. მის მშობლებს კი საამაყო ნამდვი-ლად აქვთ – საქართველოს მათ ორი გენერალი, ნუგზარ და თენგიზ შოშიაშვილები გაუ-ზარდეს.

თემურ ჩალაბაშვილი

ჩემ ციური სარ, სუსტი, ცდომილი,
ო, პანწინა თაფლის სახეელია,
აკეთილია ძრეველი ხელოვნურობილი,
ჩემ შეგინახავს ეს საქართველო.

ჩამოვიქრილებს ხელი ტაძარია
და კვ ხიშიხდე გასაკვირია.
ბეურეურ ძომხდურმა ცრეფლი წკარითვა.
ბეურეურ დალურილსარ და კიტირია.

ჩემ სანიელი სარ, სუსტი, უბრალო,
ძკურამ რაფდენი აკუნა ძივრძენია,
ჩემ, საქართველოს ქირისუფალო,
ბედნიერი სარ, წვა ტკვიფლია...

ჩრუსთაველის პროსპექტზე ხშირად შეამჩნევდით შავწვეროსან ახალგაზრდა კაცს, იგი ჩვენი სახელოვანი ნისქვილების ირგვლივ დაფუსფუსებს (გამომცემლობა „მერანი", „კულტურის ფონდი", „რუსთაველის თეატრი", „კულტურის სამინისტრო"). ნიადაგ მეგობრებით გარშემოხვეული რაღაცას ჰყვება, რაღაცას ამტკიცებს, რაღაცით შენუხებულია.

ჯერ ვიტყვი, რომ იგი პოეტი თემურ ჩალაბაშვილია. მერე იმასაც გავამხელ, რა საქმეები ანუხებს:

ჩემთან ხშირად მოსულა და არც ერთხელ თავის პირად სატკივარზე („ბატონო რევაზ, მხატვარი ვ. უსახსროდ დარჩა, შიმშილობს, იქნებ ვთხოვოთ ვინმეს, მცირე დახმარება მაინც გაუწიოს", „ახალგაზრდული თეატრი შეიქმნა, დეკორაციის ფული არა აქვთ, როგორ შეიძლება შევეწიოთ", „ახალგაზრდა პოეტი დ. სტუდქალაქში შევასახლოთ", „გუშინ სოფელში გახლდით, საყდრის ჩრდილო კედელი ჩამონგრეულია, მთელი ღამე არ მეძინა"...).

იშვიათად მინახავს ასე, ნიადაგ სხვებისათვის გადაგებული კაცი.

თვითონ სამი ბავშვით ერთ ჰატარა ოთახში („ბარაკს" რომ ეძახიან) ცხოვრობს. მახსენდება ორი სტრიქონი თემურის ლექსიდან:

ჩვენ კვეფართ ზღვაძი გამოიჭედულ დიდლილ თოლიების
ეკმბანსე რომ ჩამომსდარან სიფლიან ძზერით"

ასეთია თეიმურაზის თაობის კოლექტიური სიმბოლური სურათი"

რევაზ მიშველაძე

თემურ ბეჟანის ძე ჩალაბაშვილი დაიბადა 1951 წლის 12 ნოემბერს სიღნაღის რაიონის სოფელ ძველ ჭალანაგაში. 1969 წელს დაამთავრა ამავე სოფლის საშუალო სკოლა.

1972 წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და 1978 წელს დაამთავრა აღნიშნული უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო გამომცემლობის სახელმწიფო კომიტეტში, შემდეგ მუშაობდა გამომცემლობა „მერანში" განყოფილების გამგედ. ამჟამად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მეცნიერ-მუშაკის თანამდებობაზეა.

წერს ლექსებს. იგი თანამედროვეობის ერთ-ერთი უნიჭიერესი პოეტია, ძალინ გულითადი, გულთბილი და კეთილი ადამიანია.

მისი ლექსები ღრმად შინაარსიანი და სევდიანია, ამავე დროს, იმედიანი, მომავლის რწმენით გამსჭვალული. თემურ ჩალაბაშვილი შეყვარებულია თავის სამშობლოზე, ხალხზე, მის სანუკვარ თბილისზე. იგი ჭეშმარიტად ეროვნული პოეტია, რაც კარგად ჩანს მის ამ პატარა ლექსშიც კი:

ამ მოკარებულს რა ეკეთ ფიქრებს.
ვის გაეუმსილი ლექსად სათქმელი.
რიცა დრო სულის ნაფერდალს ბეჭრობს
და ძლივსღა ბეკუტაეს ხსოვნის სასთელი.
ჩანს მორით მოსნის ძველი ნათელი
და ეფორება რითმას ბოსანს.
ღმერთო კი მომკალ. როცა ქართველი
არ წაიკითხავს „ეეფხისტყაოსანს".

თემურ ჩალაბაშვილის ლექსები შეტანილია სკოლის სახელმძღვანელოებში. იგი მნერალთა კავშირის წევრია 1982 წლიდან.

ალექსანდრე სანდრო ჩოდრიშვილი

1876-1939

ალექსანდრე იოსების ძე ჩოდრიშვილი დაიბადა ქ. სიღნაღში, ხელოსნის ოჯახში. იგი ჯერ კიდევ ბავშვი იყო, როცა თბილისში ჩამოიყვანეს და ერთ-ერთ ვაჭართან ხელზე მოსამსახურედ დააყენეს. შემდეგ სადურგლო სახელოსნოში მოეწყო. მუშაობდა, აგრეთვე, ზეიცერის, გაუფის, რუქსის, კოტრინისა და იარალოვის მექანიკურ ქარხნებში, ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში და სხვ. მონაწილეობდა მუშათა გაფიცვებში.

1894 წელს ა. ჩოდრიშვილი მუშათა სოციალ-დემოკრატიული წრის წევრი გახდა. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო თბილისის მუშათა გაფიცვებში. 1902 წელს ა. ჩოდრიშვილი სამუშაოდან დაითხოვეს და თელავს გაემგზავრა. მას თან გაჰყვნენ ძმები ივანე და ნიკო. იგი სადურგლო სახელოსნოში მუშაობდა, ამავე დროს მოაწყო მუშათა სოციალ-დემოკრატიული წრე. მალე პოლიციის მიერ დევნილი ა. ჩოდრიშვილი თბილისში დაბრუნდა. იგი მუშაობდა ჯერ რკინიგზის მთავარი სახელოსნოების სამოდელო საამქროში, შემდეგ თავისი უფროსი ძმის მიხა ჩოდრიშვილის სადურგლო სახელოსნოში. ისინი ამზადებდნენ საიდუმლო სტამბისათვის ხელსაწყოებს, კარადებს, მაგიდებს და სხვ.

ა. ჩოდრიშვილი მონაწილეობდა თბილისში არალეგალური სტამბების კონსპირაციული ბინების მშენებლობაში. მან ივანე და ნიკო ჩოდრიშვილებთან ერთად მონაწილეობა მიიღო რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ავლაბრის არალეგალური სტამბის შენობის აგებაში.

რუსეთის პირველ რევოლუციაში იგი, როგორც მებრძოლი რაზმის წევრი, გმირულად იბრძოდა მეფის ჯარებისა და მოხელეების წინააღმდეგ, რისთვისაც რამდენჯერმე იყო დაპატიმრებული. 1907-1908 წლებში ა. ჩოდრიშვილი ეხმარებოდა ზ. ჩოდრიშვილსა და ა. ოქუაშვილს კუკიაზე (ნადიროვკაში) იარაღის საწყობისა და არალეგალური სტამბისათვის კონსპირაციული ბინის მოწყობაში.

ა. ჩოდრიშვილს რევოლუციურ მუშაობაში მხარში უდგნენ დედა ნინო, მეუღლე სოფიო და ქალიშვილი თამარი. მათ ბინაში მოეწყო ჰექტოგრაფი, რაზედაც ბეჭდავდნენ პროკლამაციებს; აქვე იმართებოდა არალეგალური კრებები. ა. ჩოდრიშვილის ოჯახის წევრები ავრცელებდნენ რევოლუციურ ლიტერატურას, მონაწილეობდნენ საბრძოლო იარაღისა და შრიფტის გადატანაში. ა. ჩოდრიშვილის ქალიშვილი თამარი მონაფეთა მანიფესტაციის მონყობაში მონაწილეობისათვის სკოლიდან გარიცხეს. იგი დიდი ენთუზიაზმით ასრულებდა პარტიული ორგანიზაციის დავალებებს. თ. ჩოდრიშვილი იყო წითელი ჯვრის წევრი და კავშირი ჰქონდა პოლიტიკურ პატიმრებთან, აწვდიდა მათ სურსათსა და ტანსაცმელს.

ა. ჩოდრიშვილი რევოლუციური მოძრაობის აღმავლობისა და საქართველოში მენშევიკების ბატონობის პერიოდში კვლავ განაგრძობდა პარტიულ მუშაობას. მონაწილეობდა არალეგალურ გამოცემათა ორგანიზაციის საქმეში, საბრძოლო იარაღის შეძენაში, ავრცელებდა ბოლშევიკურ ლიტერატურას.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ა. ჩოდრიშვილი მუშაობდა რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში.

მელანია ჩოდრიშვილი ესაულოვა

1867-1911

მელანია ლავრენტის ასული ჩოდრიშვილი დაიბადა ხელოსნის ოჯახში. 1892 წ. დაქორწინდა მიხა ჩოდრიშვილზე, რომლის გავლენითაც ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში. მელანია თავის მეუღლესთან ერთად არალეგალურ მუშაობას ეწეოდა ჯერ ბათუმში, შემდეგ თბილისში. 1898 წელს იგი შეეიდა რსდმპ რიგებში და ამ დროიდან აქტიურ მონაწილეობას იღებდა პარტიულ მუშაობაში.

მელანიასა და მიხას ბინა თბილისში (მიხეილის პროსპ. № 110) ბოლშევიკების შეხვედრებ პუნქტს წარმოადგენდა. იქ იმართებოდა კრებები და კონფერენციები. მელანია ამ შეკრებათა ფხიზელი დარაჯი იყო და არაერთხელ გადაურჩენია ამხანაგები დაპატიმრებას. იგი იყო წითელი ჯვრის ორგანიზაციის ხელმძღვანელი, ეკალებოდა პატიმრობაში ნაყოფ ამხანაგებთან კავშირის დამყარება, წერილებისა და ლიტერატურის შეგზავნა, სურსათისა და ტანსაცმლის მინოდება. მელანია დახმარებას უნევდა დაპატიმრებული ამხანაგების ოჯახებს.

მ. ჩოდრიშვილმა აქტიური მონაწილეობა მიიღო 1905 წლის რევოლუციაში, მოხერხებულად გადაჰქონდა საბრძოლო იარაღები და ასაფეთქებელი ნივთიერება. ავრცელებდა არალეგალურ ლიტერატურას და უკლიდა დაჭრილ მებრძოლებს.

მელანია პოლიციისა და ჟანდარმერიის მუდმივ დევნას განიცდიდა და არაერთხელ ყოფილა დაპატიმრებული. 1906 წელს იგი მიხასთან ერთად არხანგელსკის გუბერნიაში გადაასახლეს, მაგრამ გზაში ავად გახდა და როსტოვში დატოვეს. შემდეგ იგი დაბრუნდა თბილისში და განაგრძობდა არალეგალურ მუშაობას თბილისსა და ბაქოში.

1910 წ. მელანია და მიხა ჩოდრიშვილები გადაასახლეს ქ. როსტოვში. იქ მელანიას არ შეუწყვეტია არალეგალური მუშაობა. მან მოაწყო ქალთა წრე და ეხმარებოდა პოლიტიკურ პატიმრებს. მელანია გარდაიცვალა ქ. როსტოვში. ამხანაგებმა მის საფლავზე ძეგლი დადგეს, მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი წერილები დაიბეჭდა ქართულ გაზეთებში.



მიხეილ მიხა ჩოდრიშვილი

1848-1909

საქართველოს მუშათა რევოლუციური მოძრაობის ვეტერანი მიხა იოსების ძე ჩოდრიშვილი დაიბადა ქ. სიღნაღში, ღარიბი ხელოსნის ოჯახში. ეკონომიკური გაჭირვების გამო იძულებული იყო, მოჯამაგირეობით ერჩინა თავი.

1866 წელს მ. ჩოდრიშვილი ჩამოდის თბილისში და მუშაობას ინყებს ხელზე მოსამსახურედ. 1867 წელს იგი შეგირდად უდგება დურგალს, რომელიც სანარდო სამუშაოებს ასრულებდა ზეიცერისა და ბებუთოვის ფაბრიკებში.

1868-1889 წლებში მ. ჩოდრიშვილი მუშაობდა თბილისის, ბაქოს, ბათუმის, ხაშურისა და ჩრდილოეთ კავკასიის სხვადასხვა საწარმოებში. ამ პერიოდში იგი დამოუკიდებლად სწავლობს წერა-კითხვას და ებმება რევოლუციურ მოძრაობაში. ჯერ კიდევ 1873 წლიდან იგი დაკავშირებული იყო თბილისში ინტელიგენტურ ხალხოსნურ წრესთან, შემდეგ კი უახლოვდება სემინარიელთა ნაროდნიკულ წრეს, რომლის დავალებით ქმნის არალეგალურ მუშათა წრეებს და მონაწილეობს კონსპირაციული პუნქტების მოწყობაში, საბოლოდ მონყობილობის დამზადებაში და სხვ. ამავე პერიოდში მ. ჩოდრიშვილი მუშათა გაფიცვების ერთ-ერთი ხელმძღვანელია, რისთვისაც არაერთხელ დაითხოვეს სამუშაოდან.

1894 წელს მ. ჩოდრიშვილის ინიციატივით თბილისში დაარსდა ხელოსან მუშათა ამხანაგობა „შრომა"

მ. ჩოდრიშვილი უახლოვდება „მესამედასელებს", განსაკუთრებით ლ. კეცხოველს, რომლის დავალებით ქმნის სახელოსნოს მუშათა მარქსიტულ წრეს. ამ ხანებში მ. ჩოდრიშვილი საბოლოოდ თავისუფლდება ნაროდნიკული გავლენისაგან და ენერგიულად ებმება სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში.

1896-1898 წლებში მ. ჩოდრიშვილი თავისი ძმის ზ. ჩოდრიშვილის საშუალებით უკავშირდება ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარ სახელოსნოთა და დეპოს მუშათა სოციალ-დემოკრატიულ წრეებს, ასრულებს თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის სხვადასხვა დავალებას, აწყობს არალეგალურ კრებებს, ავრცელებს არალეგალურ ლიტერატურას, ენევა რევოლუციურ პროპაგანდას და სხვა.

1919 წელს მ. ჩოდრიშვილი მენშევიკებმა დააპატიმრეს. მან 5 თვე გაატარა მეტეხის ციხეში. 1920 წლის დამლევს იგი კვლავ დააპატიმრეს. ამჯერად ის ციხიდან გაათავისუფლა ააქართველოში გამარჯვებულმა საბჭოთა ხელისუფლებამ.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მ. ჩოდრიშვილი მუშაობდა საქართველოს იუსტიციის სახალხო კომისარიატის კოლეგიასა და საქართველოს რევოლუციური ტრიბუნალის ნევრად, „რემედასის" საქართველოს ც.კ-ის თავმჯდომარედ და სხვ. იყო საქართველოს სსრ და ამიერკავკასიის სფსრ-ს ცაკის წევრი.

მიხა ჭუჭულაშვილი-მნერლიშვილი

ამოდი ძუძურ-ვარსკვლავო.
ძიუარეს უარუნე ჰარი.
დიდის ჭიკვ. ამაძაღლი.
ძენ ვადძოფინე სსიეა.
ამოდი ძუ ქისიეში.
ეაკეცოცხლე სოფლის ეშირი.
ეკითხე მიხას სახელი.
ეგორდ ქუქულა-ფილი.

ჯეკრცდ იმს არ ვაქე, კინცა სიხსლისა ძეკერალია.
ჯეკრცდ ოკი ძიქი. კინცა უბედურთ მსხელი.

ილია

ეიზიყელი არსენა!

ამ სახელით იყო ცნობილი 900-იან წლებში კახეთში სახელგანთქმული დევნილი ვაუკაცი — მიხა ჭუჭულაშვილი-მნერლიშვილი. ეს სახელი ბევრს ავალებდა ტყეში გაჭრილ კაცს და მიხასაც ბოლომდე არ უღალატნია არსენას ტიპის ყაჩაღის დამახასიათებელი თვისებებისათვის.

რა დასამალია — ზოგჯერ მიხას ეჭვის თვალით უყურებდნენ: იყო კი იგი პოლიტიკური დევნილი, იყო კი იგი დაკავშირებული პარტიულ ორგანიზაციებთან და ენეოდა შეგნებულ, ორგანიზებულ ბრძოლას მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ?! თუ სტიქიურად, კერძო ინტერესების საფუძველზე გავარდა ყაჩაღად. შურს მხოლოდ პირადი მტრების განადგურებით იძიებდა და არაფერი აქვს საერთო ცხრაასხუთელ წითელ პარტიზანებთან?! მართალია, მიხა ჭუჭულაშვილი-მნერლიშვილი პირადი ინტერესის საფუძველზე გახდა დევნილი, მაგრამ შემდეგ — პირველი რევოლუციისა და რეაქციის პერიოდში მჭიდროდ დაუკავშირდა პარტიულ ორგანიზაციებს და მათი ხელმძღვანელობით მოქმედებდა. სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ მიხას პოლიტიკური მსოფლმხედველობა საკმაოდ მაინც არ იყო ჩამოყალიბებული და მისი ბრძოლა უსამართლობის წინააღმდეგ უფრო სტიქიურ ხასიათს ატარებდა.

მევყვეთ მიხას ცხოვრების საფეხურებს, რომლის პირველი მონაკვეთი თითქმის ბურუსით არის მოცული. ძალიან ცოტა რამ არის ცნობილი მიხას ბიოგრაფიიდან ცხრაასიან წლებამდე.

მიხა ჭუჭულაშვილი-მნერლიშვილი დაბადებულია სოფ. ქვემო მაჩხაანში (სიღნაღის რაიონი), ღარიბი გლეხის ოჯახში. როგორც ჩანს, მას არავითარი სასკოლო განათლება არ მიუღია, თუმცა ყოფილა

სიტყვა-ჰაფეხი ნასწ�sელი.
ჯეკრცდ გაძოზრდილია.
ძმეკუნის ძოსეყერულე.
მოლაპარაკე ტაბილია.

მიხა ბავშვობიდანვე ჩაბმულა ღარიბი გლეხკაცის დუხჭირი ცხოვრების უღელში; დიდხანს მწყემსად ყოფილა. ჭაბუკ მიხას გულში ჩავარდნია მდიდარი და გავლენიანი გლეხის წყალობა ოდოჭაშვილის ქალის, მანანას სიყვარული. წყალობას სასტიკი უარი უთქვამს ღარიბი სასიძოსათვის. მიხამ ძალას მიმართა და ქალი მოიტაცა. გაშმაგებულმა წყალობა ოდოჭაშ-

ვილმა მიხა დააპატიმრებინა და იმდენი მოახერხა, რომ ციმბირში გადასახლება მიუსაჯეს. როგორც ირკვევა, პატიმრისათვის საქართველოდან ყალბი საბუთები გაუგზავნიათ და მიხა „ერთ თვეზე უკან დაბრუნდა, როგორც ალაზნის შველია...“ შეიძლება ხალხურ ლექსში ნათქვამი ერთი თვე გადაჭარბებულად მოკლე დრო იყოს, მაგრამ ფაქტია, რომ გადასახლებიდან მიხა ძალიან მალე დაბრუნებულა. ამის შემდეგ მას იარაღი აუღია ხელში და ბრძოლა დაუწყია არა მხოლოდ პირადი მტრების, არამედ ხალხის მტრების წინააღმდეგაც. გამეფებულ უსამართლობას მიხას სამართალი შეერკინა. ჩვენი აზრით, მიხა ჭუჭულაშვილი-მწერლიშვილი „ყაჩაღობას“ ინყებს 1889-1900 წლებში.

ბარსნება ბაბისულიიო,
კვალი მსოფლიო სწერია:
ოთხი ოქრო ვარეყოთ,
ვინც მიხის დამჭერია.
ჭაღლეულ ძალიას ბეერი,
ბეგურეულ ბეგ და აბლია...
უბანლების ამტვრეულ ულაეი,
მეკარდუნიეთ ძალია.
ამიაჭრა ქუსლი, მიისხდიტა,
ვერ მიაეალეულ თოკლია:
ბეგულმა ტყვიას ისროდა,
რაეორც ოთან ნიდეარია
უხდება ბაკალა-ბაბოელი,
ბაბაცი ამტანიერია.
იარაღს რომ ამეიორტყამს,
ეეხედაკ. სასარეელია.

მიხამ კარგა ხანს იყო ლაღად, ქეიფებსა და ქორწილებსაც არ აკლდებოდა და „უბატონოდ ხმის გაცემას“ ვერავინ უბედავდა უშიშარ ვაჟკაცს. მაგრამ 1903 წლის იანვარში, გამცემმა გიორგი მჭედლიშვილმა სოფ. ქედელში, დღეობის დროს ხაფანგი მოუწყო მიხას, სახლში დაპატიჟა და თავს პოლიცია დაასხა:

მიხამ რი ბაშაისედა,
ეეინისეან იყო ძოერალია.
ეეიდე�არ ესროლა ბერდანა,
ალარ უკრიდა თვალია,
ძარცხეა ეელავეი ეოარტეან.
ალარა ჭონდა ძალია,
თოფი ძირს ჩამოეარდა,
თითონ ძამოსხნეს სმალია.
ჩაეწვინეს ყაიტარსში
დაკრილი, ეეინით მოერალია.
ეკერდით ჩუკდა სტრაყნეეი,
უსხიდან ამეეა ბარია.

1903 წლის 13 ოქტომბერს მიხას ისევ ციმბირში გადასახლება მიუსაჯეს და გაუყენეს კიდეც გზას, მაგრამ როგორც პირველად, ახლაც ყალბი საბუთები გადაუგზავნეს და მალე ისევ მშობლიურ ქიზიყში დაბრუნდა.

1904 წელს მიხა ისევ მეტეხის ციხეშია, იქიდან მოწერილი ბარათიც არის დაცული სიღნაღის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. მიხა ახლაც მალე აღწევს თავს ციხეს და დაუნდობლად ებრძვის მშრომელი ხალხის მჩაგვრელებს, ჯაშუშებსა და მოღალატეებს. იგი ნყალობა ოდოჭაშვილსაც კლავს.

მიხა რომ ხალხის ქომაგია — ეს იქიდანაც ჩანს, რომ ხალხური ლექსი თვითონ მას ათქმევინებს: „მდიდარის გამძარცველი ვარ, ღარიბის შემნახავია“. გარდა ადგილობრივი მოხელეებისა იგი ებრძოდა შარაგზის ავაზაკებსა და ქურდებს.

თამაზ აკაკი ხმალაძე

ქართველი მწერალი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი თამაზ ხმალაძე დაიბადა 1946 წლის 29 აგვისტოს სიღნაღის რაიონის სოფელ ნუკრიანში. სიღნაღის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სნავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიური ენების განყოფილებაზე. პარალელურად სნავლობდა თსუ ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტის კინოხელოვნება-ტელევიზიის განყოფილებაზე.

1979 წელს მუშაობას იწყებს საქტელერადიო კომიტეტში რადიოს ლიტერატურული პროგრამების რედაქტორად, შემდეგ პასუხისმგებელ მდივნად, განყოფილების გამგედ, მთავარი რედაქტორის მოადგილედ. 1993 წელს დაინიშნა საქართველოს რადიოს ლიტერატურულ-დრამატული პროგრამების მთავარი რედაქციის მთავარ რედაქტორად, სადაც დღემდე მუშაობს.

ენევა პედაგოგიურ მოღვაწეობასაც, ლექციებს კითხულობს ტელერადიოს ინსტიტუტში. არის თბილისის დავით აღმაშენებლის უნივერსიტეტის დოცენტი, ამავე უნივერსიტეტის ტელერადიო ჟურნალისტიკის კათედრის გამგე.

თამაზ ხმალაძე მონაფეობისას ბეჭდავდა ლექსებს სიღნაღის რაიონულ გაზეთ „კოლმეურნეში". პირველი მოთხრობა „მოლოდინი" მეორე კურსის სტუდენტმა გამოაქვეყნა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში" და მას შემდეგ ნაყოფიერად მუშაობს პროზის ურთულეს ჟანრში. მკითხველი ინტერესით შეხვდა თამაზის პროზაულ კრებულებს: „მოლოდინი", „ორნი ღუმელთან", „ათი ახალი მოთხრობა". ამ კრებულებში შესული ნაწარმოებები ჭეშმარიტი ოსტატის კალმით არის შექმნილი, მდიდარია მწერლური მიგნებებით, საინტერესო დეტალებით თუ პასაჟებით. ამ მოთხრობებში მწერალი ხატავს ქართულ სოფელს თავისი ჰარმონიით, იდილიით, ტკივილითა და სიხარულით. და მაინც მის მთავარ სანუხარს ადამიანური ყოფის ტრაგიზმი წარმოადგენს.

თამაზ ხმალაძის მწერლური ნიჭი განსაკუთრებით გამჟღავნდა ჯერ ჟურნალ „ცისკარში", შემდეგ კი ცალკე ნიგნად დასტამბულ რომანში „დროის მკვლელები". მისი გმირები ეძებენ საკუთარ თავს, საკუთარ შესაძლებლობებს, ნუხან სიცარიელით სავსე ყოფის გამო... მისი პროზისათვის დამახასიათებელია ლირიკული განწყობილებანი, კოლორატული სურათები. საუცხოო მთხრობელია, ლაღი და ცოცხალი, მდიდარი სალიტერატურო ენა,მადლიანი კახური, მრავალფეროვანი ლექსიკა მის ნაწარმოებებს განუმეორებელ ხიბლს სძენს...

თამაზ ხმალაძის შემოქმედებას დადებითად გამოეხმაურა ქართული კრიტიკა — გამოქვეყნდა არა ერთი და ორი საყურადღებო წერილი და გამოკვლევა.

მონონება დაიმსახურა მისი ნაწარმოებების რუსულმა თარგმანმა.

თავადაც ჩინებული მთარგმნელია. მისი თარგმანებით გაეცნო ქართველი მკითხველი ჩეხი მწერლების ირჟი კრშენეკის, ბოგუმილ ნოგელის, ოტო ჰაველის, ფრანტიშეკ კუბალას მოთხრობებს, რომლებიც შეეიდა ჩეხური მოთხრობების კრებულში „ვლავის მადონა" ქართული მწერლობის შენაძენს წარმოადგენს მეოცე საუუნის ჩინური ლიტერატურის კლასიკოსის ლაო შეს მოთხრობებისა და ესეების ქართველ მწერლისეული თარგმანი. ნათარგმნი აქვს, აგრეთვე, იუგოსლავური პროზის ცალკეული ნიმუშები.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია თამაზ ხმალაძის მოღვაწეობა საქართველოს რადიოში. იგი ავტორი და რედაქტორია ისეთი ცნობილი რადიოპროგრამებისა, როგორებიც არის „ენაი შემკული და კურთხეული", „დროება", „პოეზიის ქნარი". იგი თავგამოდებით იბრძვის ქართული სულიერების, ქართული ენისა და მწერლობის გადასარჩენად და ღირსეულად ართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობას.

1995 წლიდან თამაზ ხმალაძე სათავეში უდგას საქართველოს მწერალთა კავშირის ქიზიყ-ჰერეთის განყოფილებას და ერთგულად ემსახურება ამ მშვენიერ კუთხეში ლიტერატურული და კულტურული ტრადიციების განმტკიცებას. ხელმძღვანელობს ი. ჯავახიშვილის სახელობის თსუ სიღნაღის ფილიალის მწერალთა წრეს.

1990 წელს მიენიჭა საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის პირველი პრემია, 1996 წელს საქართველოს რადიოჟურნალისტთა ასოციაციის პირველი პრემია. მინიჭებული აქვს, აგრეთვე, ჟურნალ „დროშის" პრემია წლის განმავლობაში გამოქვეყნებული საუკეთესო მოთხრობებისათვის. 1998 წელს წარდგენილი იყო საქართველოს სახელმწიფო პრემიის მოსაპოვებლად.

დაჯილდოებულია ღირსების მედლითა და ღირსების ორდენით.

გიორგი ჯავახიშვილი

1877-1956

ქართველი ანთროპოლოგი, პროფესორი, მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწე გიორგი ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილი დაიბადა 1877 წლის 9 ნოემბერს სიღნაღში.

1903 წელს დაამთავრა დერპტის (ტარტუს) უნივერსიტეტი. 1903-05 წლებში მუშაობდა ბერლინის უნივერსიტეტში. 1905 წლიდან — პეტერბურგის აკადემიის ზოოლოგიურ და ანთროპოლოგიურ მუზეუმებში. 1911 წლიდან თბილისის ქალთა უმაღლესი კურსების ლექტორი იყო. 1921 წელს აირჩიეს თბილისის უნივერსიტეტის გეოგრაფიული და ანთროპოლოგიური კათედრის დოცენტად, ხოლო 1921-35 წლებში ზოოლოგიის კათედრის გამგედ.

გიორგი ჯავახიშვილმა 1921 წელს დააარსა ბათუმის (ციხისძირში) ბიოლოგიური სადგური, რომლის გამგეც თვითონ იყო. 1929 წელს თბილისის უნივერსიტეტის ზოოლოგიურ კათედრასთან ჩამოაყალიბა პროტოზოოლოგიის ლაბორატორია.

გ. ჯავახიშვილის ძირითადი შრომები ეხება ანთროპოლოგიის, ზოოლოგიისა და პალეონტოლოგიის საკითხებს. შეიმუშავა კრანიოლოგიის ახალი კონსტრუქციული მეთოდი. ავტორია მონოგრაფიებისა და სახელმძღვანელოებისა.

ნიკოლოზ ჯანდიერი

1873-1964

ჭეშ ტოსლტოიმ თქვა — ვინც თავისი დროის საუკეთესო ადამიანებისათვის ცხოვრობდა, ის ცხოვრობდა ყველა დროის ადამიანებისთვისო. ნიკოლოზ ჯანდიერი ცხოვრობდა თავისი დროის საუკეთესო ადამიანებისათვის: ილია ჭავჭავაძის, ივანე ჯავახიშვილის, ექვთიმე თაყაიშვილის, კოტე მარჯანიშვილის და საქართველოს მრავალი ბრწყინვალე შვილისათვის და მათთან ერთად მანაც უკვდავება დაიმსახურა.

ბრნყინვალე მკურნალი და საზოგადო მოღვაწე ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ჯანდიერი დაიბადა 1873 წლის 24 ნოემბერს ქალაქ ზაქათალაში (საინგილო). მამამისი ალექსანდრე ზაალის ძე ჯანდიერი, სიღნაღის საყარაულო ასეულის ოფიცერი, იმხანად მივლინებული ყოფილა ზაქათალაში და ცოლ-შვილიც თან ჰყოლია. ვაჟიშვილის დაბადების შემდეგ ოჯაიი ისევ სიღნაღში დაბრუნებულა. მათ ოთხი შვილი ჰყავდათ: კონსტანტინე, ნიკოლოზი, ელენე და ევგენია (ევგეშა).

ალექსანდრე ჯანდიერის ოჯახს ხელს უმართავდა ცოლისძმა დავით აბელიშვილი, სიღნაღის კომანდის უფროსი. მისი მეუღლე ეკატერინე იყო სოლომონ ჭავჭავაძის უფროსი ქალიშვილი. „ძალუა კატო", როგორც მას ეძახდნენ, ფრიად განათლებული ქალი ყოფილა. იყო თელავის წმინდა ნინოს სასწავლებლის საპატიო მზრუნველი, ღარიბთა დამხმარე კომიტეტის თავმჯდომარე.

(ცნობისათვის: დათიკოს დისწული იყო კოტე მაყაშვილი, ხოლო ეკატერინესი — კოტე მარჯანიშვილი — ო. ნ.).

კოტე და ნიკო მშობლებმა სიღნაღის ერთკლასიან სასწავლებელში მიაბარეს. ქალაქის სკოლა ოთხწლიანი იყო (სამი მოსამზადებელი კლასი ჰქონდა ერთკლასიან სკოლას). მისი გამგე და მასწავლებელი იყო ალექსანდრე ჯავახიშვილი — სასიქადულო ქართველი მამულიშვილისა და დიდი მეცნიერის, ივანე ჯავახიშვილის მამა. ალექსანდრე ჯავახიშვილი — მართალი და ფრიად განათლებული კაცი, ჩინებული მასწავლებელი და აღმზრდელი — დიდი პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდა სიღნაღის მოსახლეობის ყველა ფენაში.

ალექსანდრე ჯანდიერმა დიდი მცდელობის შემდეგ მოახერხა, რომ ნიკოლოზი 1888 ნელს ჩარიცხულიყო პირველი კლასიკური გიმნაზიის მესამე კლასში სახაზინო სტიპენდიანტად. იმავე წელს ივანე ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილიც ჩარიცხეს იმავე გიმნაზიის პირველ კლასში სტიპენდიანტად. ბავშვობის მეგობრები ერთმანეთს გიმნაზიის პანსიონში შეხვდნენ. არდადეგებზე ნიკოლოზ ჯანდიერი და კოტე მაყაშვილი ხშირად და ხალისით დადიოდნენ კოტე მარჯანიშვილთან. კოტეს დედა, ელისაბედ მაყაშვილი ცხოვრობდა გრიბოედოვის ქუჩის და გოლოვინის პროსპექტის კუთხეში. აქ ხშირად იყრიდნენ თავს გამოჩენილი ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები...

შემდგომში ილიას უშუალო დახმარებით ნიკოლოზ ჯანდიერი ხარკოვს გაემგზავრა. 1884 წლის სექტემბერში ნიკოლოზ ჯანდიერი ჩარიცხეს ქართული სათავადაზნაურო ბანკის სტიპენდიით ხარკოვის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის სტუდენტად...

ცხრაასიანი წლებისათვის საქართველოში ისევე, როგორც მთლიანად რუსეთის იმპერიაში, მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება მეტად სუსტი იყო, განსაკუთრებით სოფლებს აკლდა ყურადღება. ექიმთა რიცხვი მცირე იყო.

თბილისის გუბერნიის ექიმს ტიტე ქიქოძეს ძლიერ აფიქრებდა თავისი სამეურვეო გუბერნიის ჯანმრთელობის სავალალო მდგომარეობა. მან მოახერხა დიდი ქსელის ნაცვლად რამდენიმე ქსენონის გახსნა. სიღნაღის მაზრაში პირველი ქსენონი სოფელ ქვემო მაჩხაანში გაიხსნა. იქ დიმიტრი ერისთავი დაინიშნა ექიმად. ტიტე ქიქოძემ სოფელ ველისციხეში ქსენონის გახსნაზე გუბერნატორის თანხმობა რომ მიიღო, სნორედ მაშინ მოუვიდა ნიკოლოზ ჯანდიერის თხოვნა და ლევან ჯანდიერის პირით დასტური შეუთვალა. ნიკოლოზი საქართველოში ჩამოვიდა და 1904 წელს დაინიშნა სიღნაღის მაზრის ექიმად.

ნიკოლოზ ჯანდიერის სახელი, როგორც ექიმისა, დღითი დღე იზრდებოდა. იზრდებოდა მისი დატვირთვაც. მისაღები პუნქტის ნინ, ქუჩაში დილიდანვე დიდძალი ხალხი ელოდებოდა თავის ჯერს. რითი არ მოჰკავდათ ავადმყოფები: ურმით, ცხენით, სახედრით და გოდრითაც კი; ასაკი — ძუძუთა ბავშვებიდან ღრმა მოხუცამდე, დაავადება — ყოველნაირი. ხალხში ნიკოლოზის ძალის რწმენა იმდენად დიდი იყო, რომ ავადმყოფი უკვე უკეთ ხდებოდა, მისი მისვლის ამბავს რომ შეიტყობდა... „ექიმ ჯანდიერს ნყალი რომ მიეცა ავადმყოფისათვის და ეთქვა „ეს ნამალიაო", ისიც კი მოარჩენდა, იმდენად სწამდა ხალხს მისი ნამლის ძალა..." — არაერთხელ უთქვამთ მის თანამედროვეებს. გასაოცარი იყო ნიკოლოზის სიბრალული და სიყვარული ღარიბებისადმი. გაჭირვებულ ოჯახში ავადმყოფისათვის ნამლის ფულს ხომ დატოვებდა, თან რძის და კვერცხის ფულსაც აძლევედა — დედი, ავადმყოფი შვილი არ მოკლაო, ბუმრობით ეუბნებოდა მომველელს (ექიმი ყველა ქალს, დიდსა თუ პატარას, ასე მიმართავდა, რადგან სიტყვა „დედი" მისთვის უდიდესი პატივისცემისა და ღირსების გამომსახველი იყო). ქიზიყმა თავისი მზრუნველი ექიმი შეიყვარა, განადიდა და „პატარა ქრისტე" შეარქვა...

ნიკოლოზ ჯანდიერის ექიმობაზე ხალხი ზღაპრულ ამბებსაც თხზავდა. სიღნაღის მაზრაში მისი მოღვაწეობის დროს — 1904-1917 წწ. აფთიაქები გაიხსნა ვაქირში, ანაგაში, ბაკურციხეში, დედოფლისწყაროში, კელმეჩურში, ჭიაურაში; საფერშლო პუნქტი — სოფელ ნოვოალექსეევკაში, სადაც გამოცდილი ფერშალი ბორის ტოვსტოლი მოღვაწეობდა. ნიკოლოზმა ბოდბის მონასტრის იღუმენიის სემინარიის მოსნავლეთათვის და მოლოზნებისათვის ოთხსაწოლიანი სასკოლო საავადმყოფო გაახსნევინა.

ნიკოლოზ ჯანდიერი სხვებთან ერთად მონაწილეა კახეთის რკინიგზის მშენებლობისა და წევრია 1914 ნელს რკინიგზის სადგურის მიმღები კომისიისა...

იგი დიდი სამამულო ომის მეორე ნელს გავიდა პენსიაზე და სამოცდაცხრა ნლისა ვაქირში დაბინავდა. მიუხედავად ხანდაზმულობისა, დაუღალავად ემსახურებოდა ხალხს. ფეხით დადიოდა ვაქირსა და ანაგაში ავადმყოფებთან. ცოლის ავადმყოფობამ აიძულა, თბილისში გადასულიყო..თბილისშიც, მიუხედავად ასაკისა, არ დაიზარებდა მძიმე ავადმყოფის გასინჯვას; თუ საავადმყოფოში მოათავსებდა, მიაკითხავდა. მძიმე ავადმყოფის ბინაზე სასთუმალთან ღამისთევაზეც უარს არ ამბობდა, ცოტათი მაინც შეემსუბუქებინა ავადმყოფის ტანჯვა. დილით კი ძლივს მიატანდა სახლს.

1957 ნლის ოქტომბერში, ქ. თბილისში, ორჯონიკიძის ქუჩაზე № 22 სახლში, სადაც ილია ჭავჭავაძეს უცხოვრია, გაიხსნა მისი სახლ-მუზეუმი. 1962 ნლის 4 ნოემბერს ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში მოეწყო თბილისსა და მის ახლომახლო რაიონებში მცხოვრები ჭავჭავაძეების შეხვედრა ილიას თანამედროვეებთან. დამსწრეთა შორის იყო ილიას მკურნალი ექიმი ნიკოლოზ ჯანდიერიც. ნიკოლოზ ჯანდიერს სთხოვეს ეამბა ილიაზე. 89, ნელს მიღწეულმა მოხუცმა ექიმმა თავისი ნყნარი, უკვე მისუსტებული ხმით თქვა: „ავადმყოფობამ დამრია ხელი, სიბერემ მიწია, რამაც ძალიან დამაღონა. მაგრამ ეს მარტო ჩემს თავზე არ არის. მიჭირს ლაპარაკი. მე ჩემი წერილები დაწერილი და გამოქვეყნებული მაქვს. იმაზე მეტს რაღას ვიტყვი? მაპატიეთ, ძალიან მიძნელდება ამხელა დარბაზში ლაპარაკი. დღეს მოვინდომე აქ მოსვლა, რათა გამეგონა, ილიას შესახებ აბა რას იტყოდნენ. მე კი ვერაფერს ვიტყვი აღნიშნული მიზეზების გამო ილიას შესახებ".

ექიმ ნიკოლოზ ჯანდიერის გამოსვლის სტენოგრაფიული ჩანაწერი ინახება ილია ჭავჭავაძის თბილისის სახლ-მუზეუმის არქივში. იქვე ინახება ფირზე ჩაწერილი მისი მოგონება ილიაზე.

1964 წლის 22 დეკემბერს გარდაიცვალა ქიზიყის ამაგდარი, უბადლო ექიმი და კაცთმოყვარე ადამიანი.

ნიკოლოზ ჯანდიერი დაკრძალეს ვაკის სასაფლაოზე ვაჟიშვილის გვერდით. სასაფლაოზე პარაზიტოლოგთა საზოგადოების სახელით სიტყვა ნარმოსთქვა მიხეილ გიგიტიშვილმა. ჯანდიერის ოჯახს, ქალიშვილს რუსუდან ჯანდიერ-კემულარიას და ვაჟიშვილს გიორგი ჯანდიერს მრავალი სამძიმარის დეპეშა მოუვიდა.

აკადემიკოსი ავლიპ ზურაბაშვილი წერდა: ვიზიარებ თქვენს ღრმა მწუხარებას დიდი ეართველი პატრიოტის, გამოჩენილი მოღვაწის და მოამაგის ნიკოლოზ ჯანდიერის გარდაცვალების გამო, მისი სახელი უკვდავი იქნება.

ნიკოლოზ ჯანდიერის სიცოცხლეშივე და შემდეგაც ქართულმა პერიოდულმა პრესამ გააცნო ქართველ საზოგადოებას დიდი ილიას მკურნალის ვინაობა.

ვანო აბულაძე

1872-1948

ს იღნაღის მაზრის სოფელ ჯუგაანში 1872 წელს დაბადებულ და გაზრდილ ფალავანს ვანო აბულაშვილს ქიზიყელის სახელით იცნობდნენ, თუმცა მოგვიანებით მას დიდი ფიზიკური ძალის გამო მეტსახელად ხალხმა „კამბეჩუა" შეარქვა. ვანო აფიმებზე რატომღაც აბულაძედ მოიხსენიეს. მისი პროტესტი კი ყურად არ იღეს. სხვათა შორის, აბულაძეებს ჯუგაანში საერთოდ არ უცხოვრიათ...

პატარა ვანო ჯერ მენახშირე იყო, 1888 წელს კი თბილისში სირაჯ ქოსას (ბელაშვილს) დაუდგა მოჯამაგირედ. ღვინის სარდაფში დიდრონ კასრებს ბალიშებივით ათამაძებდა, მაგრამ ჭაბუკობაში ღვინოს არ გაპკარებია, ჭიდაობას მიჰყო ხელი. განსაკუთრებით გაითქვა სახელი XIX საუკუნის ცხრაასიან წლებში. ვანო ნიკიტინის ცირკის ხშირი სტუმარი იყო. უფრო ზუსტად, მასპინძელი. მირონცხებული ქართული ჭიდაობის გარდა ქიზიყელმა კარგად შეისნავლა ფრანგული, იაპონური, ჩინური ჭიდაობების წესები და იღეთები.

კამბეჩუამ ნიკიტინის ცირკში აჯობა ვინმე ვილჰელმს. დავით აღმაშენებლის გამზირზე უნინ ყოფილა ბაღი-რესტორანი „ნეაპოლი" ერთ დღეს ვანომ აქ დასცა მედროგე მიკიჩა, ბაბაჭუა და ლუკა დადიანი.

ვანო აბულაშვილს (აბულაძეს) თავისი ვირტუოზული ჭიდაობით მოუხიბლავს საფრანგეთის , გერმანიის, ინგლისის, ესპანეთის, იაპონიის, ჩინეთის და სხვა ქვეყნების გულშემატკივრები. არაერთი ჯილდო და მედალი აქვს მიღებული ქართველ ფალავანს საზღვარგარეთ. მან 25-30 ნლის განმავლობაში ბევრი ცნობილი მოჭიდავე დაამარცხა: ამერიკელი ჟაკ ლევისი, ჰოლანდიელი ლურიხ II, ევროპის ჩემპიონი იანი იაგო, გეორგ ლუნდი, ბუხარის ემირის ფალავანი კალინკინი, პირველი ებრაელი ფალავანი დიკელმანი, საბერძნეთის ჩემპიონი „ჯაჭვთა მეფე" აპოსტოლუს აპოსტოლუ, რუსეთის ჩემპიონი ჩერნიშევი, სპარსეთის ფალავანი ყარა ალი, სომეხი ფალავანი შაბლოიანი, გოლიათური საცურა, ცნობილი რუსი ათლეტი ნიკოლოზ ვახტუროვი, ავსტრიელი ფრანც ბლანდეტი და სხვები. მიღებული ჰქონდა ოქროს დიდი მედლები და ვარსკვლავები.

ჭიდაობისთვის თავის დანებების შემდეგ ვანოს თბილისში ღვინის სარდაფი ჰქონდა გახსნილი. ქიზიყელი ითვლება თბილისში ათლეტიზმისა და სპორტული სკოლის დამაარსებლად. ეს სკოლა მან 1923 წელს ხელოვნების მუშაკთა კავშირს გადასცა. მანვე ჩამოაყალიბა ცირკი „იპოდრომი",

ვანო აბულაშვილმა (აბულაძემ) გაიმარჯვა რუსეთის 12 ჩემპიონატში.

შესანიშნავმა ფალავანმა 76 ნელი იცოცხლა. გარდაიცვალა 1948 ნელს .

თამარ აბულაძე-ეგნატაშვილი

1922-2000

„ეს სეა ვაჩაფსული და
ჩემი ოცნების ყვავი ხარ.
რა დაკარგე ასეთი
ერთხელ ვაკოცე, რა მოხდა.“
თ. აბულაძე-ეგნატაშვილი

თამარ აბულაძე-ეგნატაშვილი ავტორია ლექსისა – „ერთხელ გაკოცე რა მოხდა?!“, რომელზე შექმნილ სიმღერასაც საქართველოში უკვე რამდენი თაობის კუთვნილებად იქცა. ბევრმა არ იცის, ვინ დაწერა იგი (ეს ავტორის განსაკუთრებული თავმდაბლობის ბრალია), მაგრამ, ალბათ, არავინ იცის, რომ ლექსი დაწერა 11 წლის გოგონამ 1933 წელს გულუბრყვილო, ბავშვური შემთხვევის გამო...

თამარ აბულაძე-ეგნატაშვილს ამ ლექსის მეტი რომ არაფერი დაეწერა, ესეც საკმაო იქნებოდა იმისათვის, რომ იგი მთელს საქართველოში ცნობილი ყოფილიყო, მაგრამ იგი ისე აქტიურად ცხოვრობდა, ისე თავდავიწყებით, ვნებიანად ეჭიდებოდა პირადულ-თუ საზოგადო პრობლემებს, რომ მის ფაქიზ ბუნებას დუმილი არ შეეძლო და ქმნიდა კიდეც ისეთ პოეტურ სამყაროს, რომელთანაც სიახლოვე ნებისმიერ მკითხველს სიამოვნებას ჰგვრის.

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მას, პროფესიით მედიკოსს, თავისი ხანგრძლივი მაღალპროფესიული და ნაყოფიერი მოღვაწეობით ყველა უმაღლესი ტიტული აქვს დამსახურებული, მაგრამ, როგორც თვითონ აღნიშნავდა, ლექსი უყვარდა თავდავიწყებით. ყველაფერს ერჩია საკუთარი სულის სიქველისათვის სამსახური – პოეზია, რომლის ღმერთსაც მორიდებითა და უხმაუროდ უნთებდა სანთელს, თავისი სულის სიწმინდით გაბრწყინებულს.

თამარ აბულაძე-ეგნატაშვილის პოეტური სამყარო სხივმოსილი და ხალისიანია, მაგრამ იმავდროულად, თუ ზოგან დარდიანიცაა, რომელსაც იგი უძლებდა და იტანდა არა ვინმეს განსაცვიფრებლად, არამედ იმის სურვილით, რომ ყველა თავისი მოქმედება თუ უქმად ყოფნა მოქალაქეობის პრინციპისათვის მიესადაგებინა.

თამარ აბულაძე-ეგნატაშვილი გარდაიცვალა 2000 წელს.

ნიკოლოზ აივაზოვი

1889-1938

ნიკოლოზ ემელიანეს ძე აივაზოვი დაიბადა ქ. სიღნაღში, ნვრილი ვაჭრის ოჯახში. სწავლობდა სიღნაღის სამოქალაქო სასწავლებელში და მონაწილეობდა მოსწავლეთა რევოლუციურ გამოსვლებში. 1905 წელს იგი ბოლშევიკური პარტიის რიგებში შედის. 1905-1906 წლებში ნ. აივაზოვი იყო სიღნაღის საქალაქო სასწავლებლის მოსწავლეთა სოციალ-დემოკრატიული წრის ორგანიზატორი, ხელმძღვანელობდა 1906 წლია მოსწავლეთა საპირველმაისო გაფიცვას.

1906 წელს დაამთავრა სასწავლებელი და ქ. სიღნაღის სტამბაში ასოთამწყობად დაიწყო მუშაობა, იქვე ბეჭდავდა პროკლამაციებს.

1906 წელს შევიდა ქ. თბილისში საბუღალტრო კურსებზე. აქ სხვა ამხანაგებთან ერთად მოაწყო პარტიული უჯრედი და ბიბლიოთეკა. ნ. აივაზოვი კურსების დამთავრების შემდეგ ქ. სიღნაღში დაბრუნდა, სტამბაში მოეწყო და კვლავ განაგრძობდა პარტიულ მუშაობას, ბეჭდავდა პროკლამაციებს და ორგანიზაციისათვის აგროვებდა ფულს. მეფის ადგილობრივმა ხელისუფლებამ მას დევნა დაუწყო, რის გამოც თბილისში ჩამოვიდა, მაგრამ აქაც დევნიან და პარტიამ ის გორისა და დუშეთის მაზრებში მიავლინა. იგი სოფლებში აწყობს პარტიულ უჯრედებს, გლეხებში ეწევა პარტიულ პროპაგანდას.

1909 წლის თებერვალში ნ. აივაზოვი თბილისში ჩამოვიდა. მუშაობდა ჯერ სტამბა „პროგრესში", შემდეგ სტამბა „კულტურაში" 1909-1912 წლებში დაკავშირებული იყო ე. სტასოვასთან და თბილისის ბოლშევიკური ორგანიზაციის სხვა ხელმძღვანელ ამხანაგეთბან, მათი დავალებით სტამბაში ბეჭდავდა პროკლამაციებს, ხელმძღვანელობდა სტამბის მუშათა ნრეებს. ნ. აივაზოვი ავრცელებდა გაზ. „პრავდას" და „პრავდის" ფონდის გასაძლიერებლად კრეფდა ფულს.

1912 წლის ივნისში, როდესაც ჩავარდა თბილისის ბოლშევიკური ორგანიზაცია, ის დაპატიმრებას გადაურჩა და დახმარებას უნევდა პატიმარ ამხანაგებს.

ნ. აივაზოვი გარდაიცვალა 1938 წელს.

დედოფლის წყარო



ადმინისტრაციულ-ტერიტორიული რაიონი აღმოსავლეთ საქართველოში, ივრის ზეგანზე. 1938 წლიდან ცალკე რაიონია.

ჰავა — ზომიერად ნოტიო, სუბტროპიკული.

ნიადაგი — ღია მურა ნიადაგი — მლაშე კომპლექსით, ტყის — ყავისფერი.

მცენარეები — საკმლის ხე, აკაკი, ღვია, ქართული ნეკერჩხალი, ბერყენა, თელა, ელდარის ფიჭვი, მუხა, რცხილა, ჭალის მუხა, ჭალის ვერხვი, წნორი, იალღუნი, კუნელი, ძეძვი, კონახური და სხვ.

ცხოველები — მგელი, მელა, ტურა, მაჩვი, დედოფალა, გარეული ღორი, კურდღელი და სხვა.

ფრინველი — ჩვეულებრივი კაკაბი, მწყერი, გნოლი, ყვავი, კაჭკაჭი, ქორი, ბეღურა, შაშვი, კვირიონი და სხვა.

თევზი — ქაშაპი, მტკვრის ტობი, მტკვრის წვერა, თაღლითა და სხვ.

მრეწველობა — კვების მრეწველობა, ღვინის ქარხანა (დედოფლის წყაროსა და ქვემო ქედში).

ხუროთმოძღვრული ძეგლები — ამაღლების გუმბათოვანი ტაძარი (IX ს.) ოზაანის მახლობლად, სამების ეკლესია (შუა საუკ.), ქ. დედოფლის წყაროს მახლობლად — ხორნაბუჯის ციხე (ადრინდ. შუა საუკ.) და სხვ.

ფიროსმანი

1862-1918

ბუნიერი ვარ. რომ ფიროსმანაშვილი ვნახე და ნაცნობი ვიყავ მისი... ის ისეთი ადამიანი იყო. რაც ეცოდინებოდა ჭეშმარიტ ადამიანს მისის...

კ. ზდანევიჩი.

ძალადა და ოცეის ძალრანა
ამ ისევ ჩანქმის ძალანია
ილია

ნიკო ფიროსმანაშვილის ცხოვრება და შემოქმედება დიდი ყურადღების ღირსია. ცხოვრება ამ გენიალური მხატვრისა აღსავსე იყო ტანჯვა-ნამებით. მარტოდმარტო უმკლავდებოდა იგი უნყალო ბედს, გულქვა და ულმობელ ადამიანებს, იბრძოდა თავისთავადობისათვის. ნ. ფიროსმანაშვილი ცხოვრობდა და მუშაობდა ცარიზმისა და მენშევიკური რეჟიმის პერიოდში; ხშირად ავადმყოფობდა, მაგრამ ძლიერი სულით იყო დაჯილდოებული. მას უსაზღვროდ უყვარდა ხელოვნება, მშობელი ხალხი და სამშობლო საქართველო, რამაც შეაძლებინა, წარმოუდგენელ პირობებში შეექმნა სურათების გრანდიოზული გალერეა, რომლის ნანილის დავინყებისა და განადგურებისაგან გადარჩენა მოხერხდა.

ცნობები მისი ცხოვრების შესახებ უმეტესად შეკრებილია მისი გარდაცვალების შემდეგ.

ნიკო ასლანის ძე ფიროსმანაშვილი დაიბადა 1862 წლის 5 მაისს კახეთში, სოფელ მირზაანში. მისი მამა ასლანი გამოცდილი მებაღე იყო. თავის ბავშვობას ნიკო იგონებდა, როგორც მომხიბლავ ზღაპარს, როდესაც იგი თავისუფლად და მხიარულად დაქროდა, ამხანაგებთან ერთად მინდორ-ბაღებში, „ყაჩაღობანას" თამაშობდა ანდა უსმენდა მშობლიური ისტორიის ეპიზოდებს, მერე კი დაღლილი მიირბენდა სახლში, სადაც მშობლის ალერსი და გემრიელი სადილი ხვდებოდა. დიახ, ლაღი და უღრუბლო იყო პატარა ნიკოს ცხოვრება, მაგრამ უეცრად თავს დაატყდა დიდი უბედურება: დედ-მამა თითქმის ერთსა და იმავე დროს ავად გაუხდა და გარდაეცვალა. სამი ბავშვი — მარიამი, ნიკო და უმცროსი ფეფუცა უდედმამოდ დარჩნენ...

... ასე დამთავრდა ფიროსმანაშვილის შეძლებული და უზრუნველი ცხოვრება...

ნიკო ფიროსმანაშვილს არ გაუვლია მხატვრობის სკოლა, მას არავინ ასნავლიდა ხატვას, იგი სნავლობდა ძველი ტაძრების კედლებზე შემორჩენილ ფრესკებზე (მცხეთა, ბეთანია და სხვა), აკვირდებოდა ცხოვრებას, შესანიშნავად იცნობდა ხალხურ შემოქმედებას, ყველგან ამჩნევდა ფორმებსა და ფერებს, ძველი ხელოვნების ტრადიციებს, ქართულ სტილს სახვით ხელოვნებაში. დაკვირვებული და შთაგონებული ნიკო ღრმად სნავლობდა ყველაფერ იმას, რამაც შემდეგ მის ხელოვნებაში იჩინა თავი.

წარმოუდგენელ პირობებში უხდებოდა მუშაობა. მხატვარი სურათებს ქმნიდა სადღაც, რომელიმე სამიკიტნოს ან სარდაფის კუთხეში მიმჯდარი. ადვილი წარმოსადგე-

ნია, რა უნდა ეგრძნო ნიკალას, როცა მის გარშემო მდგარი შეზარხოშებული სტუმრები ასნავლიდნენ, თუ როგორ უნდა დაეხატა ესა თუ ის საგანი ან ფიგურა.

1880-იან წლებში თვითნასწავლ გ. ზაზიაშვილთან ერთად გახსნა ფერწერის სახელოსნო და ბრების შეკვეთებს ღებულობდა. 1890-94 წლებში კონდუქტორად მუშაობდა ამიერკავკასიის რკინიგზაში, შემდეგ ვაჭრობაშიც სცადა ბედი.

XIX-XX საუკუნის მიჯნაზე თბილისელ მედუქნეებთან და მიკიტნებთან აფარებდა თავს. მათი შეკვეთით ხატავდა ბრებს, პორტრეტებს, სურათებს. სიცოცხლის ბოლომდე გაჭირვებას თავი ვერ დააღწია.

ნ. ფიროსმანაშვილი მარტოობაში გარდაიცვალა და მისი საფლავიც უცნობი დარჩა.

ფიროსმანის, როგორც მხატვრის, აღმოჩენაში, მისი სურათების შეგროვებასა და შემოქმედების პროპაგანდაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით ძმებ ზდანევიჩებს — მხატვარ კირილეს და პოეტ ილიას, მხატვრებს: მ. ლე დანტიუს, დ. შევარდნაძეს, ლ. გუდიაშვილს, დ. კაკაბაძეს და სხვ. უფრო გვიან, — გ. ლეონიძეს, რომელმაც მნიშვნელოვანი ცნობები მოიპოვა მისი ბიოგრაფიისათვის.

საინტერესო ლექსი უძღვნა პოეტმა ჯუმბერ უთრუთაშვილმა თავის დიდ თანამემამულეს:

სიცოცხლეში უსინდისოს
ტარი ვიდეს უფალის აკვერდით,
დუქნის ბრების რიმ ხატვდი.
თურქე უკვდავებს ნერდი.
ფიროსმანი კუთხის ძეიდი.
ბენი იყუ დარდიმ-სდი.
ჯერილს ფერია სიუხვეში
ერთადერთი ფერდი ჭკუდი.

ნიკო ფიროსმანაშვილის სურათების თემატიკა მრავალნაირია და სხვადასხვაგვარი. საქართველოს ცხოვრების ისტორია, ხალხი, ბუნება, ცხოველები, ნატურმორტი. დღესასწაულები, ქორწილი, შრომა სოფელში, მინდორში, პურის ლენვა კალოზე, რთველი. მოქალაქეებისა და კინტოების ქეიფი, დარბაისლური საოჯახო ნვეულება, პარაკლისები, რუსეთ-იაპონიის ომი, ლაშქრობა შამილზე, ყაჩაღები ცხენებს იპარავენ და მგზავრებს ძარცვავენ, დრამატული სცენები თეატრში, სალოცავად გამგზავრება... მხატვარს უყვარდა საქართველოს მშვენიერი ბუნება, ბევრ სურათზეა აღბეჭდილი მთები, მინდვრები, კლდები, ხეები, ცა, მთვარე. მისი პეიზაჟები პოეზიითაა აღსავსე.

ნიკო ფიროსმანის შემოქმედება ქართულ ნიადაგზეა აღმოცენებული. მის ხელოვნებას არ ამჩნევია ევროპული ან რუსული ფერწერის გავლენა, თუმცა თემის ფერწერული გადაწყვეტა ზოგჯერ ემთხვევა საქართველოს გარეთ ჯარსებულ ფერწერას. მისი შემოქმედება შედგება რამდენიმე ელემენტისაგან, რომელთაგან ძირითადია მონუმენტურობა, ტრადიციულობა და დეკორატიულობა. ნიკოს სურათები გასაგებია და ხალხს უყვარს მისი მხატვრობა, რადგან იგი მასში ხედავს ძველებური ოსტატების ხელოვნების განგრძობას, აღორძინებულსა და დღევანდელი დღის შესაბამისად გარდატეხილს. ხალხის აზრით, ფიროსმანმა გამონახა და დასახა გზები ქართული ფერწერული ხელოვნების აღსადგენად.

ნიკოს ერთ-ერთი ნაცნობი არჩილ მაისურაძე გვიამბობს: „1918 წლის გაზაფხულზე, საღამო ხანს მალაკნის ქუჩაზე მდებარე №29 სახლის სარდაფში შევიდა ფიროსმანაშვილი და იატაკზე დაწვა დასაძინებლად. ის ავად იყო, სამი დღის შემდეგ შემთხვევით მომიხდა სარდაფში ჩასვლა და იმ სიბნელესა და სიცივეში ჯერ ვერ ვიცანი და შევყვირე — ვინ ხარ-მეთქი. მე ვარო — მიპასუხა ნიკომ. ხმაზე შევატყვე, რომ ვერ მიცნო, მხოლოდ მითხრა, — ცუდადა ვარ. სამი დღეა აქ ვწევარ და გარეთ ვერ გამოვსულვარო. მე მაშინვე მოვიყვანე ეტლი, მას გვერდით მიუჯდა ილია მგალობლიშვილი და საავადმყოფოში ნავიყვანეთ. მგონი, არამიანცის საავადმყოფოში, სადაც დღე-ნახევრის შემდეგ მხატვარი გარდაიცვალა. ქონება მას არ დარჩენია. ჩემი აზრით, ის პეტრე-პავლეს სასაფლაოზეა დამარხული"

არჩილ მაისურაძე ცდება. ნიკომ დიდი განძი დაგვიტოვა. ეს არის მისი კეთილშობილი და ნათელი ნიჭი, ასე ბრწყინვალედ გამომჟღავნებული მის სურათებში, რომლებითაც შემკულია მუზეუმები და საცხოვრებელი ბინები. სურათები, რომლებიც ყველასათვის გასაგები, ახლობელი, ხალხური ენით მეტყველებენ.

ნიკო ფიროსმანაშვილის სიკვდილმა შეძრა მხატვრისადმი მხურვალე სიმპათიით გამსჭვალული საზოგადოება. ქართულმა, რუსულმა და სომხურმა ჟურნალ-გაზეთებმა მოათავსეს სტატიები არაჩვეულებრივ მხატვარზე, — ხელოვნებისათვის ნამებულ ნიკოზე.

ნ. ფიროსმანაშვილის ხელოვნება არ მომკვდარა, წლითიწლობით იზრდება და ფართოვდება მხატვრისადმი სიყვარული.

ფიროსმანი ერთი იმ ტალანტთაგანია, რომლებმაც ფრიად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქართველი ხალხის ეროვნულ კულტურაში.

ნიკო ფიროსმანაშვილის ტრაგიკულმა სიკვდილმა ხალხში დიდი გულისტკივილი გამოინვია. ნიკოს ხელოვნების ყველა თაყვანისმცემელი მის სიკვდილში დამნაშავედ თვლიდა თავს.

არაერთი ქართველი პოეტი შთაუგონებია ფიროსმანის თემას. შესანიშნავად გადმოაცემს ქართულ ხალხურ დღესასწაულს ტიციან ტაბიძე ლექსში „ალავერდობა“:

ნუკრე რაჰ ჩვიძ. ანდა რაჰ თოდა
ანდეხი ხალხი და ჯაბალთი.
ტუსტეს ალაზანს. ღვინოთ თუ ძოდი.
და ახლა კიდევ ქაძა თქვა ძათი.
ტკბილია ერსეთა. ძადელი ძენ ჯამსენს.
ძენ ბარაქარ და რბიან ცურებს.
ლრეგელი ცინ ძაუკეს ალაჩს
და ალაჩსაკით დიმ ძოსტურაკ.
ფეხ ოხპაკრი და ოთოქლი შჩადის.
ალი ან ბიღიმ თოკიდ ჯერ ბალელს.

ირეკი ირეკს ბალახს ძალჩდის.
ხაუე ლეთნის ჯაკს — ალეკლი ალეკლს
ფეხ ფიროსმანი. ხაკეს ფიკეობს
და ჩარდახან ურეკეის ძირეკს.
ეკეკ-ფაკეკლი ანეის ხალიბას
ჯიხვის ძირით ძეტეკლიან ბეკეკს.
ფიბნეს ერთად ძაკი-ალალი.
ბესიეის ძაკი და ხიაბანიკი.
კიდევ ბევრი ლიხინის ხაბანი.
ახლა ალეთში რაკეკი ბეკიკი

როდესაც ნიკო ფიროსმანაშვილის მემკვიდრეობას ვეცნობით, ნათელი ხდება მხატვრის ინტერესთა მრავალფეროვნება, რჩება შთაბეჭდილება, რომ მას სავსებით ჩამოყალიბებული მსოფლგაგება ჰქონდა და შეგნებულად, თანამიმდევრულად ქმნიდა თავის მხატვრულ სამყაროს. ფიროსმანის შემოქმედებამ ჩვენი საუკუნის 10-20-იანი წლების მიჯნაზე, როდესაც ხელოვნებაში მწვავედ დაისვა ქართული ეროვნული ფორმის ძიების საკითხი, დიდი გამოძახილი ჰპოვა ქართველ მხატვართა ახალი თაობის წარმომადგენლებში, რომელთაც სამართლიანად მიაჩნდათ, რომ ფიროსმანი ეროვნულ ნიადაგზე ორგანულად აღმოცენებული მხატვარია. დღეს ფიროსმანის შემოქმედება საყოველთაო სახალხო სიყვარულით სარგებლობს. მისი სახელი შორს გასცდა საქართველოს ფარგლებს.

ალექსანდრე ალადაშვილი

1876-1950

ქართველი თერაპევტი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწე, თერაპიული სკოლის ერთ-ერთი დამაარსებელი საქართველოში ალექსანდრე სტეფანეს ძე ალადაშვილი დაიბადა 1876 წლის 17 (30) ივნისს დედოფლისწყაროს რაიონის სოფ. არბოშიკში.

1904 წელს დაამთავრა იურიევის (ტარტუ) უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი. 1911 წელს ხარკოვში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „ბორჯომის მინერალური წყლის ფიზიოლოგიური მოქმედების საკითხისათვის" 1919 წელს აირჩიეს სიმფეროპოლის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის ფარმაკოლოგიის კათედრის გამგედ. 1919-21 წწ. მუშაობდა თბილისის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის შინაგან სნეულებათა დიაგნოსტიკის კათედრის გამგედ, 1921-24 წწ. იყო სამკურნალო ფაკულტეტის დეკანი, 1921-50 წწ. საფაკულტეტო თერაპიის კათედრის გამგე (ჯერ თსუ-ში, შემდეგ — სამედიცინო ინსტიტუტში).

ორავალი წლის მანძილზე იყო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის დეკანი და საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე (1937-50 წწ.).

ა. ალადაშვილი იყო საქართველოს თერაპევტთა საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელი და თავმჯდომარე. აქტიურად მონაწილეობდა საქართველოში კურორტოლოგიის, ტუბერკულოზისა და პროფესიულ დაავადებათა ინსტიტუტების და სასნრაფო დახმარების საავადმყოფოს დაარსებაში. წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა თბილისის II საავადმყოფოს, რომელსაც შემდეგ მისი სახელი მიეკუთვნა.

ა. ალადაშვილის მეცნიერული ნაშრომები უმთავრესად ეხება საქართველოს საკურორტო რესურსებისა და ადგილობრივი ნედლეულისაგან დამზადებული პრეპარატების სამკურნალო მიზნით გამოყენების საკითხებს. დაჯილდოებულია ორდენითა და მედლებით.

კახეთში, უფრო სწორად, კახეთის იმ ნაწილში, რომელსაც ქიზიყს უწოდებენ. დაბა წნორის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს სოფელი არბოშიკი. ამ სოფლის ერთ-ერთ უბანში, რომელიც ალადაანთ უბნის სახელითაა ცნობილი, დღესაც დგას სახლი, სადაც 1876 წლის 30 ივნისს სტეფანე და დარო ალადაშვილების ოჯახში დაიბადა საველგანთქმული ქართველი მკურნალი და მეცნიერი ალექსანდრე ალადაშვილი.

ალადაშვილების ოჯახში 8 შვილი იზრდებოდა (სამი და და ხუთი ძმა). მათგან ალექსანდრე ყველაზე უფროსი იყო. სტეფანე ალადაშვილი მღვდლის შვილი გახლდათ და სხვა გლეხებთან შედარებით უფრო შეძლებულადაც ცხოვრობდა.

პატარა ალექსანდრე (თანატოლები ბავშვობაში „შაშას" ეძახდნენ) რვა წლამდე სოფელში, მშობლების ოჯახში იზრდებოდა...

ალექსანდრეს თავის სოფელში არ უსწავლია. იმ დროისათვის არბოშიკში სკოლა არ იყო. მეზობელ სოფელ ზემო მაჩხაანამდე მისი ყოველდღე ტარება მეტად ძნელი იყო. თანაც მშობლებს გადაწყვეტილი ჰქონდათ, თავიანთი პირმშო რომელიმე რიგიან სასწავლებელში მიებარებინათ. ასეთ სასწავლებლად კი მიაჩნდათ სიღნაღის საქალაქო

სკოლა ან თელავის სასულიერო სასწავლებელი, მაგრამ იქ მათ არ ჰყავდათ ნათესაები ან ახლობლები, უცხო ოჯახში კი შვილის დატოვება ეძნელებოდათ . ამ გასაჭირში იყვნენ საშას მშობლები, რომ 1884 წლის აგვისტოს შუა რიცხვებში არბოშიკში ჩამოვიდა სტეფანეს ძმა დავითი.

დავით ალადაშვილმა იმ ნელინადს დაამთავრა კიევის სასულიერო სემინარია და გურიაში დაინიშნა ოზურგეთის სასულიერო სკოლის მასწავლებლად. ოზურგეთში გამგზავრებამდე იგი მამისეულ ოჯახს ეწვია ნათესავების მოსანახულებლად. ბიძამ ყურადღება მიაქცია ძმისშვილის ნიჭს, გადაწყვიტა, ბავშვი თან ნაეყვანა და იმავე სასწავლებელში მიებარებინა, სადაც თვითონ აპირებდა მუშაობის დაწყებას. ასეც მოხდა. ალექსანდრე ბედნიერი იყო, რომ მის სწორ აღზრდას ხელმძღვანელობდა სასწავლებლის მოსწავლეთა და მასწავლებელთათვის ერთნაირად საყვარელი ადამიანი, მისი მკვიდრი ბიძა.

დავით ალადაშვილის ავტორიტეტმა გადამწყვეტი გავლენა იქონია პატარა ალექსანდრეს ხასიათის ჩამოყალიბებაზე...

ა.ალადაშვილმა 1899 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია. როგორც სემინარიის წარჩინებულ კურსდამთავრებულს, მას ჰქონდა უფლება, ,ასულიერო აკადემიის გარდა, შესულიყო მხოლოდ იურიევის (დერატის) ან ტომსკის უნივერსიტეტში. ალექსანდრე იმავე წელს გაემგზავრა ქალაქ იურიევში (ტარტუ) და შევიდა უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე. ალექსანდრე აქაც ბიძის — დავით ალადაშვილის ხარჯზე სწავლობდა. ბიძა მას საკმარის თანხას უგზავნიდა ყოველთვიურად. ალექსანდრეც არ უკარგავდა ბიძას ამაგს, იჩენდა სიბეჯითეს სწავლაში.

იურიევის უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ ექიმი ალექსანდრე სტეფანეს ძე ალადაშვილი ბრუნდება თბილისში და მუშაობას იწყებს იმ დროს ყველაზე კარგად მოწყობილ სამკურნალო დანესებულებაში — მიხაილოვის საავადმყოფოში. ახალგაზრდა ექიმმა მალე მოიხვეჭა სახელი. შემდეგ ა. ალადაშვილი გადადის ქ. ხარკოვში, უნივერსიტეტის თერაპიულ კლინიკაში ორდინატორად.

როგორც ითქვა, ალ. ალადაშვილმა ხარკოვში დაიცვა დისერტაცია ბორჯომის ნყლის ფიზიოლოგიური მოქმედების შესახებ. დიდია ამ დისერტაციის მნიშვნელობა ქართული თერაპიისა და, საერთოდ, სამედიცინო მეცნიერების, კერძოდ, კურორტოლოგიის განვითარების საქმეში. მისი მნიშვნელობა სცილდება ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს. მას დიდი ადგილი აქვს საერთაშორისო კურორტოლოგიის განვითარებაში, მინერალური ნყლების ადამიანებზე მოქმედების შემდგომ შესწავლაში.

დისერტაციის დაცვამ ალ. ალადაშვილს ხარკოვში დიდი სახელი მოუხვეჭა.

მთელი პირველი მსოფლიო ომის განმავლობაში ალექსანდრე ჯარში იყო. მას აქაც პასუხსაგები თანამდებობები ეჭირა.

1918 წლის 26 ივნვარს — დავით ალადაშვილის ხსოვნის დღეს — გაიხსნა საქართველოს უნივერსიტეტი, რომლის უშუალო მონაწილეც გახდა ალ. ალადაშვილი. იგი იყო იმ 17 მეცნიერ-მედიკოსთა ჯგუფში, რომელთა უშუალო თაოსნობით ჩამოყალიბდა უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი. ალ. ალადაშვილმა იმდენი ამაგი დასდო მედიცინის ამ დარგის განვითარებას, რომ სამართლიანად ითვლება საქართველოში მეცნიერული თერაპიის ერთ-ერთ ფუძემდებლად.

1950 წლის 29 ივნისს 16 საათზე ალ. ალადაშვილი გარდაიცვალა. მას ერთი დღე დააკლდა, რომ ამევეყნად სრული 74 წელი გაეტარებინა.

ალ. ალადაშვილს სიკვდილის შემდეგ რამდენიმე ძეგლი აუგეს. მისი ძეგლები დგას მიხივე სახელობის საავადმყოფოს ეზოში, მშობლიურ სოფელში, სასაფლაოზე. მაგრამ ყველა ამ ძეგლზე დიდი ძეგლია მისი სახელი და საქმე. ეს სახელი და საქმე დიდხანს იცოცხლებს მადლიერი ქართველი ხალხის გულში.



დავით ალადაშვილი

1860-1939

დავით ალადაშვილი დაიბადა 1860 წელს დედოფლისწყაროს რაიონის სოფ. არბოშიკში. 1884 წელს დაამთავრა კიევის სასულიერო სემინარია და დაინიშნა ოზურგეთის სასულიერო სკოლის მასწავლებლად.

დ. ალადაშვილი, როგორც მისი ძმისშვილი ალექსანდრე ალადაშვილი იგონებს, გულკეთილი და ნათესავთმოყვარული კაცი ყოფილა. სასულიერო სამსახურთან დაკავშირებით მას გადაწყვეტილი ჰქონდა, არ გაეჩინა საკუთარი ოჯახი და ძირითადად თავის იმისნულზე ზრუნავდა.

დ. ალადაშვილი 1885 წელს ახალსენაკის სასულიერო სასწავლებლის ინსპექტორად გადაიყვანეს. დიდი ზეიმით აღნიშნეს მასწავლებლებმა მისი დანინაურება. იმ დროს, როცა რუსეთის მთავრობა მკაცრად ნერგავდა რუსიფიკატორულ რეჟიმს და დევნიდა ყველაფერს, რაც ხელს უშლიდა მისი პოლიტიკის გატარებას, ქართველი კაცის ასეთი ნარმატება მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა.

დ. ალადაშვილი ერთნაირად საყვარელი ადამიანი იყო როგორც მოსწავლეების, ისე მასნავლებელთათვის.

ანტონ ნატროშვილი

1852-1930

ანტონ ნატროშვილი იმ ქართველ მამულიშვილთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთაც, ი. ჭავჭავაძის გვერდით დარაზმულებმა, საკუთარი მხრებით ატარეს საქართველოს ბედი და ვისაც უნდა ეუმადლოდეთ ერის სულიერების, საერთოდ, ყოველივე ეროვნულია გადარჩენას. ამ მოღვაწეთა სახელები სამუდამოდ ჩაინერა ქართული ცხოვრების მატიანეში.

სამწუხაროდ, დღეს ცოტა ვინმეს თუ ახსოვს, ვინ იყო ა. ნატროშვილი. ნაკლებად იცნობენ მას მშობლიურ ეიზიყშიც.

დაიბადა იგი სოფელ ზემო მაჩხაანში, 1852 წელს. დაამთავრა თელავის სასულიერო სასწავლებელი, თბილისია სასულიერო სემინარია, შემდეგ ყაზანის სასულიერო აკადემია. პედაგოგიური მოღვაწეობის სარბიელზე გამოვიდა გასული საუკუნის 80-იან წლებში და ამ საქმეს უძღვნა თავისი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი. ეს იყო წლები დიდი რეაქციისა. აიკრძალა „საეართველო" აღარ არსებობდა, იყო მხოლოდ ორი დიდი გუბერნია: თბილისი და ქუთაისის. ქართული ენა განდევნილი იყო სახელმწიფო დანესებულებებიდან.

ამ ძნიმე ჟამა თითქმის არ ყოფილა საქართველოს სასიკეთო რაიმე წამოწყება, რომელშიც ა. ნატროშვილს ქმედითი მონაწილეობა არ მიეღოს.

იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუდმივი წევრი, საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრი და რწმუნებული, წევრი და მდივანი დ. სარაჯიშვილის მიერ დაარსებული საქველმოქმედო ნრისა, რომელიც რუსეთსა და საზღვარგარეთ განათლების მისაღებად სტიპენდიებს აძლევდა ქართველ ნიჭიერ ახალგაზრდობას; მუდმივი წევრი და კორესპონდენტია საზოგადოებისა „ეკეკასია" ოფლის მეურნეობა", თავმჯდომარეა თბილისის I ვაჟთა გიმნაზიაში მშობელთა ნრის, თავმჯდომარეა თბილისის სასულიერო სემინარიის სამშენებლო კომისიისა.

ა. ნატროშვილი, როგორც საქართველოს ისტორიის ძეგლების საუკეთესო მცოდხე, ეშირად ხელმძღვანელობდა ექსკურსიებს მცხეთაში, უფლისციხესა და სხვა ადგილებში, მანვე გააცნო სვეტიცხოვლის ისტორია ოლივერ უორდროპს. „უორდროპმა სთხოვა მას თანამშრომლობა „ეკეტიცხოველი" კემბრიჯის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისათვის. ავტორმა მას „საუკეთესო დაურათებული გამოცემა მიართვა"

ა. ნატროშვილის პედაგოგიური მოღვაწეობის დიდი პერიოდი — 34 წელი, დაკავშირებულია ეუთაისის სასულიერო სასწავლებელთან, რომელიც შემდგომ მისი ინიციატივით გიმნაზიად გადაკეთდა, შემოიღეს სწავლება მშობლიურ ენაზე.

მას განსაკუთრებული სიყვარულით უყვარდა მშობლიური ქიზიყი, რისთვისაც ერთმა ბეგობარმა წერალმა „ქიზიყის დიდი ჭირისუფალი" უნოდა...

ა. ნატროშვილის შემოქმედებითი მემკვიდრეობა ძირითადად ისტორიული თემატიკით განისაზღვრება, თუმცა შედგენილი აქვს სასკოლო სახელმძღვანელოებიც და უდიდესი ამაგი დასდო ქართული ეროვნული სკოლის ჩამოყალიბების საქმეს.

მისი დანერილი „მცხეთა და მისი ტაძარი სვეტიცხოველი" — ქართველი ერის ისტორიის დიდი წიგნია.

ა. ნატროშვილი გარდაიცვალა 1930 წელს. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ვლადიმერ ათანელიშვილი

ვლადიმერ ათანელიშვილი დაიბადა 1960 წლის 9 სექტემბერს დედოფლისწყაროს რაიონის სოფ. ჯაფარიძეში. 1977 წელს წარჩინებით დაამთავრა სკოლა. სწავლის პერიოდში მონაწილეობდა თვითშემოქმედი კოლექტივების დათვალიერებაში. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის მუსიკალურ ტექნიკუმში ვოკალურ განყოფილებაზე. მოიხადა სამხედრო სამსახური. შემდეგ სწავლა განაგრძო კონსერვატორიაში. ბევრს მოგზაურობდა საზღვარგარეთ, საიდანაც ხშირად გამარჯვებული ბრუნდებოდა. 1992 წელს ესპანეთში გაიმარჯვა და დაიმსახურა „გრან-პრი" 1990 წელს იტალიის ქალაქ ბასეტოში გამართულ კონკურსში „ვერდის ხმები" მიიღო მონაწილეობა. ამჟამად მოღვაწეობს გერმანიაში.

დიმიტრი ბენაშვილი

1910-1982

ქართველი კრიტიკოსი, ლიტერატურისმცოდნე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწე დიმიტრი გიორგის ძე ბენაშვილი დაიბადა 1910 წლის 28 ნოემბერს დედოფლისწყაროს რაიონის სოფ. ზემო მაჩხაანში.

დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტი, იყო ჟურნალ „ჩვენი თაობის" რედაქტორი, რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის განყოფილებია გამგე. 1962 წლიდან დ. ბენაშვილი ა. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგეა. სოციალისტური რეალიზმისა და მარქსისტული ესთეტიკის პრობლემებს მიეძღვნა დ. ბენაშვილის ნაშრომები „მარქსიზმი და ლიტერატურა", „ხელოვნების საკითხები" და სხვ. ავტორია ლიტერატურულ-კრიტიკული სტატიებისა, მონოგრაფიებისა — „ალექსანდრე ყაზბეგი", „მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრება და შემოქმედება", „ვაჟა-ფშაველა. შემოქმედი და მოაზროვნე" აგრეთვე, გამოკვლევებისა: „კრიტიკული ნარკვევები XX საუკუნის ქართულ ლიტერატურაზე", „სახისა და ხასიათის პრობლემა „ვეფხისტყაოსანში" „გალაკტიონ ტაბიძე", „კოლაუ ნადირაძე" და სხვ.

მონოლითური პიროვნება იყო. კარგი ლიტერატორი და გულმართალი კაცი, კარგი მეგობარი. მისი მეუღლე, ვერა ჩოფიკაშვილი ალ. ყაზბეგის შთამომავალია.

თავიანი მკაცრად ჩამოყალიბებული პრინციპები ჰქონდა.

თანამედროვე ქართულ პოეზიაზე საუბარი უყვარდა- გალაკტიონის შემდეგ სამ პოეტს ასაბელებდა: ტიციანს, ლადო ასათიანსა და ანა კალანდაძეს.

ეს — საუბარში. დანერით კოლაუ ნადირაძეზეც დაწერა. საგანგებო გამოკვლევა კი მიზოლოდ გალაკტიონს მიუძღვნა...

კრიტიკოსი საყვედურს გამოთქვამს თანამედროვე პოეტების მიმართ: „სამწუხაროა, თანამედროვე მგოსნების მდუმარე მუზების ინერტული დამოკიდებულება ქალიაანტრფოაადმი"

თავად დიმიტრი ბენაშვილის წერის მანერა და, საერთოდ, მისი პიროვნება ჰგავს „ბობოეარი ბეკარიონის" სტილსა და ხასიათს.

ე. შუბანია:

„დ. ბენაშვილს, როგორც კრიტიკოსს, გარდა ფართო განათლებისა და მაღალი ლიტერატურული გემოვნებისა, ამკობდა ვაჟკაცობაც, ამკობდა კეთილმოსურნეობის, დახმარებისა, მნერლის მიღნევებით გულნრფელი აღტაცების გრძნობა. ის იყო თანამედროვე ლიტერატურის ავ-კარგის, მისი მიღწევების ქომაგი და დამფასებელი. წრფელად უხაროდა ახალი სახელის გამოჩენა პოეზიის ცაზე. და თავისი გამოკვლევებითა და რედაქტორული მუშაობით ბევრი რამ გააკეთა იმისათვის, რომ უფრო ხმამაღლა აეღერებულიყო ეართული პოეტური სიტყვა. მის წიგნებში ერთად არის კრიტიკული ხედვა, პოეტური სული და ფილოსოფიური აზროვნება, რაც მის დიდ ღირსებას შეადგენს. და ისიც უნდა ითქვას, რომ მთავარ კრიტერიუმად აქ აღებულია ევროპული ორიენტირი, უნივერსალური მასშტაბები. ამ სიმაღლიდან შეხედა ამ დიდმა მკვლევარმა ქართულ ლიტერატურას და ეძებდა მასთან მიახლოების ნერტილებს"

გურამ ბენაშვილი

იგი უნესიერესი ადამიანი და ტალ-ად სასტკიერესი
და ხიქიური ლიტერატორი. რაც ძალიან
უხარია სხვისი წარმატება და სიხარული...
თამაზ ჭილაძე

საქართველოს მწერალთა საერთო-ეროვნული კავშირის თავმჯდომარის მოადგილე, რესპუბლიკის ლიტერატურათმცოდნეობის აკადემიის აკადემიკოსი, შვედეთის აკადემიის ნობელის პრემიების კომიტეტის მთავარი ექსპერტი საქართველოში (ლიტერატურის დარგში), სახელმწიფო პრემიების კომიტეტის ნევრი, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გურამ დიმიტრის ძე ბენაშვილი დაიბადა 1941 წლის 30 მაისს თბილისში, გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და ბაზოგადო მოღვაწის დიმიტრი ბენაშვილის ოჯახში. დაამთავრა 53-ე საშუალო სკოლა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. ასპირანტურის კურსი გაიარა უახლესი ქართული ლიტერატურის კათედრაზე პროფესორ სერგი ჭილაიას ხელმძღვანელობით. 1983 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო 1995 წელს მიენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი ნაშრომისათვის „ქართული ლირიკული პოეზია 50-90-იან წლებში"

გურამ ბენაშვილი სხვადასხვა დროს მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიურ უნივერსიტეტში.

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში 1973 წლიდან მოღვაწეობს. გაიარა გზა უმცროსი მეცნიერ- თანამშრომლიდან, უფროს მეცნიერ- მუშაკამდე. 1996 წელს დაინიშნა დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო ნაწილში. 1997 წლის მაისიდან ასრულებდა დირექტორის მოვალეობას. 1998 წლის 28 იანვარს კი ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორად აირჩიეს.

ჰყავს მეუღლე- ია ფოფხაძე და ორი ვაჟი – დიმიტრი და გიორგი.

შოთა ნიშნანიძე: „გურამ ბენაშვილს ქართველი საზოგადოება იცნობს, როგორც დახვეწილი გემოვნების მქონე პროფესიონალ ლიტერატორს, რომლის ნააზრევი და დასკვნები ყოველთვის დიდ ინტერესს ინვევს. მისი ნაწერები იკითხება არა მარტო, როგორც კრიტიკული შეფასებანი, არამედ მას გააჩნია თანამედროვე ევროპული დონის ესეის სიმაღლე და მასშტაბურობა. მე მასზე მაღალი აზრისა ვარ და მიხარია, რომ სნორედ იგი ხელმძღვანელობს რესპუბლიკის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სამეცნიერო დანესებულებას"

თამაზ წივწივაძე: „ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ სულ მალე ამ სტრიქონების დანერა მომინევდა. დღევანდელ საქართველოს მხოლოდ ბრძენი, შორსმჭვრეტელი, ღრმადერუდირებული და ფართო თვალსაწიერის მქონე კაცები თუ გადაარჩენენ.

ერთ-ერთ ასეთ კაცად მეგულები, ბატონო გურამ, ჩემო ძველო მეგობარო და თანამდგომო, ქვეყნის ჭეშმარიტო გულშემატკივარო..."

პროფესორი გურამ ბენაშვილი არის ოთხი წიგნისა და მრავალი სტატიის ავტორი.

გივი ბოსტოღანაშვილი

ბროზაიკოსი. პუბლიცისტი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გივი (გიორგი) ქიტესას ძე ბოსტოღანაშვილი დაიბადა 1936 წლის 1 მაისს დედოფლისწყაროს რაიონის სოფ. ზემო მაჩხაანში. დედა დაწყებითი სკოლის მასწავლებელი იყო. მამა მუშაობდა კოლმეურნეობის თავმჯდომარედ. სავალდებულო სამხედრო სამსახურში მყოფს მოუსწრო ომმა და 1941 წელს უგზო-უკვლოდ დაიკარგა. გივი და მიაი და დედამ გამოზარდა არნახული გაჭირვებით.

1953 წელს ჩაირიცხა ა.მ. გორკის სახელობის სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტზე. 1956 წლის იანვრიდან სწავლა განაგრძო. ი. გოგებაშვილის სახ. თელავის �ელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1957 წელს: მიიღო ششუალო სკოლის ისტორიის მასწავლებლის კვალიფიკაცია. 1957 წლის ზაფხულიდან 1958 წლის დეკემბრამდე მსახურობდა წითელწყაროს კომკავშირის რაიკომის ინსტრუქტორად. 1958 წელს გაინვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში, საიდანაც უმცროსი ლეიტენანტის წოდებით დაბრუნდა. 1961 წლიდან მუშაობდა წითელწყაროს რაიონის სოფ. ზემო ქედში საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებლად, სადაც ისტორიის ინსტიტუტში მაძიებელი გახდა, ამასთან, მუშაობა დაიწყო ნორჩ ნატურალისტთა რესპუბლიკურ სადგურში. 1969 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „სავაჭრო მინათმოქმედება აღმოსავლეთ საქართველოში სიღნაღის მაზრის მასალების მიხედვით" და 1972 წლამდე მუშაობდა თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტში უფროს მასწავლებლად. 1972 წლიდან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ისტორიის კათედრაზე უფროსი მასწავლებლის, შემდეგ დოცენტის თანამდებობაზეა.

გივი ბოსტოღანაშვილმა გამოსცა მონოგრაფია — „კაპიტალიზმის განვითარება საქართველოს სოფელში და აგრარული ურთიერთობა 1895-1917 წლებში" და ამ თემაზე იმავე წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, რომელიც მოსკოვმა დაამტკიცა 1991 წლის აგვისტოში. 1990 წლიდან მუშაობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრაზე პროფესორის თანამდებობაზე.

პირველი მოთხრობა გ. ბოსტოღანაშვილმა 1961 წელს გამოაქვეყნა მნერალთა გაზეთში „ლიტერატურა და ხელოვნებაში" შემდეგ იბეჭდებოდა „მნათობში", „ცისკარში", „დროშაში" და „ალმაგში". როგორც პროზაიკოსს, გამოქვეყნებული აქვს წიგნები: „მსაჯული", „ალბერკელი", „ნინაპართა ნატერფალი", „მოვალეობა", „ფესვები, „რეზო ჭანიშვილი" „ერთული ძიუდოს პაპა", „ბიოგრაფიული და მემუარული მოთხრობები", „გვრიტი" „პედაგოგიური ჩანახატები"

პერიოდიკაში გამოქვეყნებული აქვს ასზე მეტი მეცნიერული და პუბლიცისტური წერილი, უმთავრესად ეროვნულ, სოციალურ და ზნეობრივ საკითხებზე. მის წიგნებზე დაწერილია ათეულობით დადებითი რეცენზია.

1992 წლიდან გ. ბოსტოღანაშვილი მნერალთა კავშირის წევრია. 1995 წელს არჩეული იყო მნერალთა კავშირის სარევიზიო კომისიის წევრად. 1997 წლიდან ხელმძღვანელობს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მნერალთა ასოციაციას. 1995 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება.

1976 წლიდან გივი ბოსტოღანაშვილი არის ფიროსმანის სახელმწიფო მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს წევრი.

ვახტანგ გომელაური

1909-1975

ჩ ესპუბლიკის დამსახურებული მეტყევე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიის წევრი, მთავარი მეტყევე, ტყით სარგებლობისა და ტყეთმოწყობის სამმართველოს ყოფილი უფროსი ვახტანგ გიორგის ძე გომელაური დაიბადა 1909 წელს დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ მირზაანში.

საშუალო განათლება სიღნაღში მიიღო. 1926 წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის სატყეო სპეციალობაზე. 1930 წელს ნარჩინებით დაამთავრა თბილისის სატყეო ტექნიკური ინსტიტუტის სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტი.

1933 წლიდან ვ. გომელაური მუშაობას იწყებს ჯერ თბილისის სატყეო ტექნიკური ინსტიტუტის ასისტენტად, შემდეგ სხვადასხვა თანამდებობაზეა საქართველოს სატყეო მრეწველობის კომისარიატში, ტყის მოვლის განხრით, ხოლო 1935 წლიდან გორის სატყეოში რაიმეტყევედ ინიშნება. 1937 წელს გადმოჰყავთ საქართველოს სატყეო მრეწველობის კომისარიატში.

1941 წელს დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე ვ. გომელაური სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა. პირველი საბრძოლო ნათლობა ყირიმში მიიღო. სევასტოპოლის დაცვის ცხარე ბრძოლებში მძიმედ დაიჭრა. განკურნების შემდეგ, 1942 წლის ბოლოს დაინიშნა საქართველოს სატყეო მრეწველობის კომისარიატის საკურორტო ტყეების სამმართველოს უფროსად, ხოლო 1946 წლიდან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ნაკრძალთა მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილედ სამეცნიერო-კვლევით დარგში. 1952 წლიდან 1964 წლამდე მუშაობდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტში ტყის კულტურების სამმართველოს უფროსად, ხოლო 1961 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე სატყეო კომიტეტის მთავარი მეტყევე, ტყით სარგებლობისა და ტყეთმოწყობის სამმართველოს უფროსი იყო.

ვ. გომელაურმა ბევრი ენერგია და გამოცდილება მოახმარა რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის განვითარების საქმეს. მისი მოღვაწეობა დაფასდა კიდეც: 1963 წელს მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული მეტყევის წოდება. დაჯილდოებული იყო მედლებითა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

ივანე გომელაური

1867-1951

იქნებ მრავალს ელის მოსვლა
ჯადოსნურ ეროვნულ ცხოვრებაში,
ეროვნულობისა, ძალა
ხალხისაკენ აღმავლობისა,
იქნებ ხელოვნებ დაამსხვრიოს
შეკვეთის ობერეის ხიდები.
ბევრი ძალაა ქვეყნის
აუდიტორია ქართული
მოსწავლეთა ჯგუფი

ესე აფასებდნენ ივანე გომელაურის ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას მის მიერ უდიდესი ენერგიით, სიყვარულითა და გულისხმიერებით აღზრდილი მოსწავლეები. ამ სიტყვებში გადაუჭარბებლად არის გადმოცემული ი. გომელაურის მრავალწლიანი, მეტად ნაყოფიერი პედაგოგიური შრომის მნიშვნელობა სახალხო განათლების დარგში.

ივანე გომელაური, ქართველი სახალხო მასწავლებელი, დაიბადა 1867 წლის 10 სექტემბერს დედოფლისწყაროს რაიონის სოფ. მირზაანში საშუალო შეძლების აზნაურის ოჯახში.

იგი ძველი თაობის ქართველი სახალხო მასწავლებლების ვალმოხდილი ნარმომადგენელია. მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში დაუშრეტელი ენერგიითა და საქმისადმი უანგარო სიყვარულით ემსახურებოდა მოზარდი თაობის ნაყოფიერ სნავლა-განათლებასა და აღზრდას.

ი. გომელაური ქართული სკოლისა და ნაციონალური კულტურისათვის დაუცხრომელი და დაუღალავი მებრძოლი იყო. იგი არც საზოგადოების კულტურულ მოთხოვნილებებ ა ტოვებდა უყურადღებოდ. ოზურგეთში ჩასვლისთანავე (1890ნ.) მან განიზრახა ქართული თვითმოქმედი თეატრის გამართვა. ქალთა სკოლის დარბაზში მოაწყო მუდმივი სცენა, რომლისთვისაც ფარდა ოზურგეთში დროებით ჩამოსულ არტისტ მძინაროვს გამოართვა. შეკრიბა აქგილობრივი სცენის მოყვარულთა აქტივი და შეუდგა ქართული ნარმოდგენების პერიოდულად გამართვას...

1895ნ. ი. გომელაურმა ოზურგეთში შეადგინა და გამოსცა საბავშვო ლექსთა კრებული „საჩუქრის" სახელნოდებით, რომელიც მიზნად ისახავდა ბავშვთა ზნეობრივი აღზრდისათვის ხელის შენყობას.

ი. გომელაური ზუგდიდშიც მოღვაწეობდა. იქ, საქალაქო სასწავლებელში პედაგოგიური მუშაობის დანყებისთანავე შეუდგა ბრძოლას ქართული ენის უფლების აღდგენისათვის. იგი ქართულად ებაასებოდა მოსწავლეებს. ურჩევდა მათ ქართული წიგნების კითხვას და საკუთარი ბიბლიოთეკიდან აძლევდა წასაკითხად ქართველი მწერლების თხზულებებს. ქართულად კითხულობდა მოხსენებებს მოსწავლეებისა და საზოგადოებისათვის. იწერდა სკოლისათვის ქართულ წიგნებსა და საბავშვო ჟურნალ „ჯეჯილს"

ივანე გომელაურმა სამუდამოდ დაიმკვიდრა სახელი XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში სახალხო განათლების მუშაკთა მონინავე რიგებში.

ნიკოლოზ გომელაური

1907-1977

ქართველი მეცნიერი, მეტალურგი, პროფესორი, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექტორი 1944-1957 წლებში, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე 1965-1970 წლებში, საქართველოს სსრ II-VII მონვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ნიკოლოზ გიორგის ძე გომელაური დაიბადა 1907 წლის 28 აპრილს დედოფლისწყაროს რაიონის სოფ. მირზაანში.

ნ. გომელაური 1970 წლიდან მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტის დირექტორია. მისი ძირითადი შრომები ეხება სპილენძ-მოლიბდენის მადნების ფლოტაციური ფლოტაციისა და კომპლექსური გამოყენების, აგრეთვე, მანგანუმია ღარიბი მადნებისა და შლამების გამდიდრება-გამოყენების საკითხებს. რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავი აგრეგატის ავტომატიზაციისათვის, სპეციალისტების ჯგუფთან ერთად, მიენიჭა ლენინური პრემია. დაჯილდოებულია ლენინის ორი ორდენით, 3 სხვა ორდენითა და მედლებით.

შაქრო გომელაური

1888-1954

ქართველი მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი შაქრო გომელაური დაიბადა 1888 წელს დედოფლისწყაროში.

შაქრო გომელაურმა სახალხო თეატრის სცენაზე აიდგა ფეხი, აქ მიიღო მან პირველი შემოქმედებითი წრთობა, აქედან დაჰყვა მის შემოქმედებას ნათელი გააზრება...

1909 წელს ვალერიან გუნიამ ახალგაზრდა შაქრო გომელაური სახალხო თეატრის ნიჭიერ სცენისმოყვარეთაგან გამოარჩია და თბილისის ქართული დრამის დასში ჩარიცხა. მას აეკეთ, აიცოცხლის ბოლომდე შაქრო გომელაური თავდადებით ემსახურებოდა მრავალფეროვან ბელოვნებას. შ. გომელაურმა დიდ ქართველ მსახიობებთან — ვ. აბაშიძესთან, ლ. მეახიშვილსა და ვ. გუნიასთან ბედნიერი თანადგომით შეისწავლა, შეიძინა და შეითვისა აეტიორული ოსტატობის რეალისტური სკოლის გამოცდილება. ცნობილი რეჟისორის, ალ. ნუნუნავასა და ვ. შალიკაშვილის ხელმძღვანელობით განეული შემოქმედებითი შრომა დაეხმარა შ. გომელაურს, სცენური ხასიათები ცხოვრებისეული სიმართლით დაეტვირთა. შ. გომელაურის მოღვაწეობის სიმტკიცე და გაბედულება, შემართების ძალა და სიფინელეთა დაძლევის ნებისყოფა თავის უფროს თანამედროვეთა — ნ. ჩხეიძის, ალ. იმედაშვილისა და გ. არადელ-იშხნელის შთაგონებულმა მაგალითმა, ამ სახელოვან ოსტატებთან ერთობლივმა შემოქმედებითმა შრომამ და მოღვაწეობამ განაპირობა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდანვე შ. გომელაური მთელ თავის ნიჭსა და მზარდ ოსტატობას ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაა ახმარს. 1921-27 წლებში ის მუშაობს თბილისის, ბათუმის, გორის, ქუთაისისა და ბაგარეჯოს თეატრებში და ყველგან თავისი თავდადებული შრომითა და შთამბეჭდავი ანსაბიერობა ბელოვნებითი მაყურებელთა სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებს.

1928 წელს შაქრო გომელაური ერთ-ერთი ფუძემდებელი ხდება იმ თეატრისა, რომელსაც შემდეგ მისი დამაარსებლისა და ხელმძღვანელის, კოტე მარჯანიშვილის ანელი ენოდა. მას საგრძნობი წილი უძევს ხალხის საყვარელი თეატრის ზრდა-განვითარებასა და ნარმატებაში და ამიტომაც დაიმსახურა სახალხო არტისტად აღიარება.

დიდმა ქართველმა რეჟისორმა კ. მარჯანიშვილმა შ. გომელაურის ნიჭს ფრთა შეასხა, დიდ შემოქმედებით სარბიელზე გამოიყვანა, მის ოსტატობას შესძინა ტიპობრივი სახეების ცოცხლად გამოკვეთის ზნო და ლაზათი. ვისაც ერთხელ მაინც უნახავს მის მიერ განსაბიერებული რინკველი, შალვა დადიანის პიესაში „კაკალ გულში", მას არასოდეს დაავიწყდება ეს შთამბეჭდავი სახე, ამ სცენური ქმნილების გარეგნული სახიერების სიმკვეთრე, გამძაფრებული განზოგადებით ხატვის საოცარი უნარით, იმდენადვე შთამბეჭდავია, რამდენადაც შთამაგონებელი და დამაჯერებელია შინაგანი ხილვის ძალა, სულიერი ცხოვრების წარმოსახვის დაუშრეტელი ენერგია. ამიტომაც არის, რომ შ. გომელაური ამ როლში მნვავე სატირიკულ ჟღერადობას აღნევს. ასევე ითქმის მის მიერვე განსაბიერებულ ტიტე ნატუტარზე (პ. კაკაბაძის კომედია „ყვარყვარე თუთაბერი"). შ. გომელაურის მიერ შექმნილ ამ სახეებს დღემდე არ დაუკარგავთ ბრწყინვალება.

შ. გომელაურმა, როგორც ნაცადმა და ოსტატობით აღჭურვილმა მსახიობმა, ქართულ სცენაზე პირველმა განასახიერა ლენინის სახე შალვა დადიანის პიესაში „ნაპერწკლიდან"

მაჟვალა გონაშვილი

ძრეკოდეს ძირული ალდ
ძრეკოდეს წინაშრალ ვალით.
ხალრთველიანი ალეს ძმედია.
ალი ბო�ეი და ალი ქალი.
ეს ამას ნიშნავს. რომ ფეხმძღვანი
ბალმა დუალიდ ეზნიან ბალიეს.
ეალნ ფაკალეი ძალეურის ქალეს.
ალალ ქალეი ალეალიეს...
ეს ამას ნიშნავს. ალეალ ნამძალ
ძმას ხალეი ქალედ ხალიანდ ალალეს
და ხასალალიანს ზალალის ამალალი
ალეანეს ნალეს ალალ ქალეს
ალი ალალეალ ალალ და ალალა.
ალნ ფაკალეს ხალა ქალაძალ.

ეს ამას ნიშნავს. ეიი ალნალის ალალ
ხალალის ბალეეალი ალალალა.
და ხალ ამალალი ქალეის ალალ
არ ალალალეს ხალალ ალალ.
არ ალეს ალნ. ხამალალალ
ძნს ალალნალალ ძალალალეს.
ეს ამას ნიშნავს. [illegible]
რალ ხალალნალ ვალეს ალ ალ.
ეს ამას ნიშნავს. ალი ქალალნალი
ძნის და ალალ ძმალ ალალ
არ ძრეკოდეს ძირული ალ
არ ძრეკოდეს ზალალის ალ.
ხალრთველიანი ალეს ძმედია.
ალი ბოალ და ალი ქალი.

მ. გონაშვილი

ჯნელია, მაგრამ მაინც შესაძლებელია, და იყო არა მხოლოდ პოეტი, არამედ იყო კარგი პოეტი ქალი, რის უდავო მაგალითს ნარმოადგენს ნიჭიერი ქართველი მამულიშვილი მაყვალა კარლოს ასული გონაშვილი; იგი დაიბადა 1959 წლის 1 მარტს ნითელწყაროს (დედოფლისწყაროს) რაიონის სოფ. არბოშიკში. 1981 წ. დაამთავრა თბილისის სახ. უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი. სტუდენტობის ნლებიდანვე მუშაობს საქართველოს ტელევიზიის საბავშვო რედაქციაში რედაქტორად.

არის პოეტური კრებულების „ყაყაჩოების კოცონი" (1981), „მზის ცრემლი" (1985), „მე თქვენ მიყვარხართ" (1990), „სალოცავო ჩემო, საფიცარო ჩემო" (1992), „სახეები და სახელები" (1999), ავტორი, ასევე საბავშვო ნიგნების: „კიჭას საოცარი თავგადასავალი", „ქუდიანი ვარსკვლავის სამეფოში", „მზებუდობა" და სხვა.

მისი ლექსები თარგმნილია რუსულ, უკრაინულ, სომხურ, ლიტვურ, აზერბაიჯანულ, ბალყარულ, ბულგარულ, ირანულ და ესპანურ ენებზე, ხოლო საბავშო პიესები „ცა, ოცნება და ცირკი", „ზამთრის ზღაპარი" და „მზის ასული" დაიდგა თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, ბორჯომის თოჯინების თეატრებში.

მ. გონაშვილმა 1990 ნელს ახალგაზრდა მნერლებთან ერთად დააარსა ახალგაზრდა მნერალთა დამოუკიდებელი ასოციაცია „გულანი", რომლის პრეზიდენტიც დღემდე თვითონ არის.

1995 ნელს გახდა თბილისური გაზაფხულის ფესტივალის ლაურეატი.

1990 ნლიდან მაყვალა გონაშვილი საქართველოს მნერალთა კავშირის ნევრია.

აი, რას წერს მასზე ჯანსუღ ჩარკვიანი:

„არ მიყვარს, როცა მწერლობაში მბრნყინავი და ძვირფასი წამოსასხამებით მობრძანდებიან ხოლმე. არ მომწონს, როცა ყველაფერი რიგ ზეა და ჩახუჭუჭებულ ბურბუშელაძი უდარდელი კაცივით გდია გაშალაშინებულ-გარანდული ფიცარი... ბუნების მკაცრი ხელი განნულ სილასავით უნდა აჩნდეს შემოქმედს.

მე მაშინ „ცისკარში" ვიყავი, როცა მაყვალა გონაშვილი სრულიად ახალგა ზრდა ჩემთან მოვიდა და ლექსები მომიტანა.

ახალგა ზრდა ქალის ლექსთა მშვენიერება, როგორც წვიმის შემდეგ ცისარტყელა, ისე გამოკრთა ცა ზე.

მე ვხედავდი მის ფერებს ნარონინარს, მე ვგრძნობდი იმ ბავშვურსა და პირველყოფილ გულუბრყვილობას, რომელიც საფანელია ჭეშმარიტი პოე ზიისა.

მას შემდეგ ათასმა წელმა ჩაიარა. ათასმა ელვამ გაკვეესა და ათასმა მეხმა იგრიალა, ბაგრამ ეკლიან გ ზა ზე მდგარი პოეტი კი არ შემკრთალა, პირიქით, სხივი ჩაუდგა, მთვ-არეცავით გაივსო და ზევიდან გააშუქა საკუთარი ხმისა და საკუთარი ლექსის ადგილის დედა.

მაყვალა გონაშვილმა დღეს კარგად იცის, რას ნიშნავს იყო პოეტი:

ეს იძახ ნიშნავს, ყოველ ცისმარე.
ეზის სხივით ქსოვდე ჩლისფერ დროშებს
და სიმართლისთვის ზღაბრის ყვირიეით
რეინისკენ ნაკვდს იცეკეზე ქოშებს...

რევაზ მიშველაძე:

„ჩვენი მშვენიერი მაყვალა "თავისი ლექსივით მშვენიერია, ფაქი ზი და მართალი.

ახალგა ზრდა მწერალთა ასოციაცია „გულანის "პრე ზიდენტი გახლავთ და ეროვნული ფიქრებით გამსჭვალული პოეტია"

2001ნლიდან მაყვალა გონაშვილი არის საქართველოს მწერალთა საერთო ეროვნული კავშირის ახალგაზრდებთან მუშაობისა და უცხოეთთან ურთიერთობის განყოფილების გამგე.

არსენ კობაიძე

არსენ ალექსის ძე კობაიძე დაიბადა დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედში 1916 წლის 19 დეკემბერს. ქართველი აგრონომი, სოციალისტური შრომის გმირი, ზემო ქედის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე 1948 წლიდან, VIII ხუთწლედის ნარმატებით შესრულებისათვის იღებს შრომის გმირის წოდებას. დაჯილდოებულია ლენინის ორი ორდენით, „სკკპ ნიმნის" ორდენითა და მედლებით.

1936 წელს სიღნაღის პედტექნიკუმის დამთავრების შემდეგ მუშაობს მასწავლებლად სოფელ ზემო ქედში, ხოლო 1938 წელს მას ირჩევენ საქართველოს ალკკ ნითელწყაროა რაიკომის მეორე მდივნად. ამავე წელს ა. კობაიძე მიდის საბჭოთა არმიის რიგებში მოხალისედ, სადაც დაჰყო 1945 ნლამდე, ომის დამთავრებამდე. თითქმის რვა წელინადი იმყოფებოდა იგი არმიაში.ხუთიევე ძმა ფრონტზე იბრძოდა და მხოლოდ არსენი დაუბრუნდა მშობლიურ მხარეს.

არმიიდან დაბრუნების შემდეგ, 1946 წელს, ა. კობაიძეს ირჩევენ ზემო ქედის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ, ხოლო 1948 წლიდან კოლმეურნეობის დაშლამდე (საბჭოთა კავშირის დაშლასთან ერთად) მუშაობდა ამ თანამდებობაზე.

იგი არაერთხელ იყო არჩეული საქართველოს კპ ნ/ნყაროს რაიკომის წევრად, რაისაბჭოს დეპუტატად. არჩეული იყო, აგრეთვე, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ნევრად და სკკპ რამდენიმე ყრილობის დელეგატად.

არსენ კობაიძის ხელში დამშვენდა სოფელი ზემო ქედი. მისი კოლმეურნეობია სიმდიდრე კი ორ-ნახევარჯერ აღემატებოდა მთლიანად, ერთად აღებული რამდენიმე რაიონის სიმდიდრეს. არა, რაც გაკეთდა, მაინც არ არის საკმარისი. სოფელს მეტი სჭირდება, იგი ყოველდღე რაღაც ახალს იგონებს, სოფლის კოლმეურნეობის საკეთილდღეოდ.

ამიტომ უყვართ იგი სულითა და გულით თანასოფლელებს. ჩვენი არსენა ისეთია, თუ მოინდომა, ალაზანს შირაქის გულში ამოიყვანსო, ისე კი, ამაზეც ფიქრობდა არსენ კობაიძე...

ფარნაოზ ლაპიაშვილი

1917-1994

საქართველოს სახალხო მხატვარი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პროფესორი ფარნაოზ გიორგის ძე ლაპიაშვილი დაიბადა 1917 წლის 9 მაისს, სოფ. მირზაანში. 1922 წელს, მამის დახვრეტის შემდეგ ოჯახი გადმოსახლდა თბილისში, სადაც 1930 წელს ფარნაოზმა ნარჩინებით დაამთავრა საშუალო სკოლა და IV პედაგოგიური ტექნიკური, ხოლო 1941 წელს თბილისის სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტი. აქ იმ ხანად მოღვაწეობდნენ გამოჩენილი მხატვრები: დავით კაკაბაძე, სერგო ქობულაძე და თეატრალური მხატვრობის ერთ-ერთი ფუძემდებელი ვალერიან სიდამონ-ერისთავი. მათი ხელმძღვანელობით დაეუფლა მხატვრობის ურთულეს პროფესიას და ფერწერის საიდუმლოებაში გათვითცნობიერებული ილტვოდა, ყველა თავისი ნამუშევარი აეგო კოლორიტულ პრინციპებზე.

თეატრალურ-დეკორაციული მხატვრობით დაინტერესება სტუდენტური წლებიდან დაიწყო, როცა თავის თანაკურსელი ი. სუმბათაშვილთან ერთად მხატვრულად გააფორმა კ. შალიკაშვილის პიესა „უნიადაგონი", შემდეგ კი 1944 წელს კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრში მ. ჯაფარიძის „ჟამთაბერის ასული" და 1945 წელს ლ. გოთუას „დავით აღმაშენებელი". ამ სპექტაკლებმა მოამზადეს ნიადაგი მხატვრის დამოუკიდებელი მოღვაწეობისათვის ჯერ კ. მარჯანიშვილის და 1947 წლიდან კი შ. რუსთაველის სახელობის თეატრებში.

წლების განმავლობაში პროფესიული დაოსტატების ფონზე ჩამოყალიბდა მისი, როგორც მხატვრისა და მოქალაქის მეტად თავისებური, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სახე. მხატვრულ ნაწარმოებებში მას იტაცებდა მძაფრი ვნებები, ძლიერი და ბეჯითი ხასიათები, დიდი ადამიანური გრძნობათა ჭიდილი, ანტიკური ტრაგედიების ზეადამიანურად ამღლებული მღელვარე კონფლიქტები. ამ განწყობით გააფორმა სოფოკლეს ტრაგედიები – „ოიდიპოს მეფე" და „ანტიგონე", რამაც მხატვარს დიდი პოპულარობა მოუტანა, რის შემდეგაც „ანტიგონეს" გასაფორმებლად იწვევენ კიევში, ლენინგრადსა და ტაშკენტში.

ფარნაოზ ლაპიაშვილის შემოქმედებაში ყოველთვის იგრძნობა სპექტაკლის შინაარსი. ლრმა ნვდომა, რასაც იგი ახორციელებს არამარტო სცენური.სივრცის დაზგებისა ფერადოვანებისა ათვისებით. იგი ფერის დრამატურგიის შექმნით სპექტაკლის შინაგან ენერგიკას გადმოსცემდა.

ოთხი ათეული წლის განმავლობაში ფ. ლაპიაშვილმა სხვადასხვა ქალაქში შექმნა სცენური სამყარო – 85 დრამატული, 7 საოპერო, 6 საბალეტო, 5 მუსიკალური კომედიის სპექტაკლისა და 6 კინოფილმისათვის.

სპექტაკლები იდგმებოდა როგორც საქართველოს ქალაქებში, ისე მოსკოვში, კიევში, კიშინოვში, ტაშკენტში, ბუდაპეშტში.

ფ. ლაპიაშვილის ნამუშევრებიდან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე" და „ანტიგონე", ბ. ბრეხტის „სამგროშიანი ოპერა" (ქ. თბილისში 1965 წ. და ქ. კიშინოვში, 1967 წ.), ჯ. ვერდის ოპერა „ოტელო" (1986 წ. თბილისისა და 1980 წ. კიევის საოპერო თეატრებში), დ. თორაძის ბალეტი „გორდა" (1949 წელს მიენიჭა სსრკ-ის სახელ-

მნიფო პრემია, ხოლო 1964 წელს ბრაზილიის საერთაშორისო გამოფენაზე მისმა მაკეტმა ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. 1966 წელს ბალეტის ახალი ვარიანტის გაფორმებამ ბუდაპეშტის თეატრალურ ფესტივალზე პირველი პრემია მიიღო), კ. ბუაჩიძის „ეზოში ავი ძაღლია" (1957 წელს ამიერკავკასიის დრამატული თეატრების დათვალიერებისას დეკორაციამ პრემია მიიღო), ო. თაქთაქიშვილის ოპერა „მინდია" (1962 წ.), უ. შექსპირის „ჰამლეტი" (1960 წ.), ფ. შილერის „დონ კარლოსი" (1970 წ.), გ. ნახუცრიშვილის „ფიროსმანი" (1962 წ.), ლ. გოთუას „დავით აღმაშენებელი" (1957 წ.) და სხვა.

კინოფილმებიდან აღსანიშნავია რეჟისორ ვ. ტაბლიაშვილის „ქეთო და კოტე" (1946 წ.), რეჟისორ ს. ჭელიძის „ცისკარა" (1955 წ.) და რეჟისორ რ. ჩხეიძის „დონ კიხოტი" (1988 წ.).

ფ. ლაპიაშვილმა გააფორმა რამდენიმე სამთავრობო კონცერტი, თბილისსა და მოსკოვში, სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლები, საქართველოს ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადა 1958 წელს და ახალგაზრდობის ფესტივალები 1957 წელს მოსკოვში და 1963 წელს პრაღაში.

სპექტაკლების გაფორმების პარალელურად იგი ქმნიდა დეკორაციებისა და კოსტიუმების ესკიზებს, ფერწერულ ტილოებს. აღნიშნული ნამუშევრები გამოფენილი იყო ქ. თბილისში 1945, 1969, 1971 წლებში, მოსკოვში 1968, 1971, 1973, 1982 წლებში, პეტერბურგში 1968 და 1980 წელს, ბერლინის საერთაშორისო გამოფენაზე 1968 წელს, ბელგიის თეატრალურ-დეკორაციულ მხატვართა საერთაშორისო გამოფენაზე ბრიუსელში 1958 წელს და ბრაზილიის სახვითი ხელოვნების საერთაშორისო გამოფენაზე ქ. სან-პაულოში 1964 წელს. შესაბამისად, ყველა გამოფენილი ნამუშევარი შეტანილია კატალოგებში.

„დახვეწილი გემოვნება, მაღალი კულტურა, შინაგანი ინტელიგენტობა, ფერის შეგრძნება იყო მისი შემოქმედების ძირითადი თანმხლები კომპონენტები",— ასე ახასიათებდა მას დიდი ქართველი მსახიობი და მოქალაქე სერგო ზაქარიაძე.

ფ. ლაპიაშვილის ყველა ნამუშევარი გამოირჩეოდა განსაკუთრებული ხელნერით, ინდივიდუალობითა და, რაც მთავარია, ღვთით მონიჭებული ნიჭით. იგი 1960 წლიდან ხელმძღვანელობდა სამხატვრო აკადემიის თეატრალურ-დეკორაციულ სახელოსნოს, როგორც პროფესორი, და სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე თავდაუზოგავად ემსახურებოდა ახალგაზრდების დაოსტატების საქმეს.

მოწოდებით პედაგოგი არაფერს იშურებდა, რათა თავის მონაფეებში გაეღვიძებინა სიყვარული ფერწერისადმი, შრომისადმი და, რაც მთავარია, საკუთარი ქვეყნისადმი, რომლის კეთილდღეობა მისი უპირველესი საზრუნავი იყო.

ფ. ლაპიაშვილს მინიჭებული ჰქონდა: შრომის ნითელი დროშის ორი ორდენი (1958 წ., 1967 წ.), 1967 წელს საქართველოს რესპუბლიკის სახალხო მხატვრის ნოდება, ხოლო 1975 წელს, მხატვართა კავშირის მიერ იმ წელს პირველად დაწესებული მედალი „წლის საუკეთესო ნამუშევრისათვის"

ფარნაოზ ლაპიაშვილის ბიოგრაფია შეტანილია ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში (1981 წ. VI ტ.), დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში (1991 წ.), მოსკოვში გამოცემულ „საბალეტო ენციკლოპედიაში"

პეტრე ლესნოვი

ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, პუბლიცისტი, მკვლევარი და ეთნოგრაფი პეტრე ალექსანდრეს ძე ლესნოვი დაიბადა 1934 წლის 1 დეკემბერს დედოფლისწყაროში. 1955 წ. დაამთავრა ნითელწყაროს 1 საშუალო სკოლა და სავალდებულო ათმიწლიანი სამსახურის მოხდის შემდეგ, 1958 წელს, შევიდა ქ. თბილისის ზოოვეტერინარულ ინსტიტუტში, რომელიც 1963 წელს დაასრულა სპეციალობით — ზოოინჟინერი. 1963 წელსვე გადავიდა საცხოვრებლად ქალაქ სოჭში, სადაც დაინყო მისი შრომითი და მეცნიერული მოღვაწეობა. 1975 წლიდან ცხოვრობს მოსკოვში

სპეციალობის გარდა პ. ლესნოვი გატაცებულია ისტორიით, მუსიკით, ლიტერატურით, ეთნოგრაფიითა და ფილოსოფიით.

პეტრე ლესნოვს გამოქვეყნებული აქვს მრავალი მეცნიერული ნაშრომი რუსეთის ათვალასხვა გამომცემლობაში. ვფიქრობთ, მკითხველისათვის ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს იმ გამოცემათა და რუსეთის იმ გამომცემლობათა დასახელება, სადაც გამოქვეყნებულია მისი სტატიები საქართველოს და, კერძოდ, კახეთის, ქიზიყის შესახებ (რუსულ ენაზე): „საინტერესო მოთხრობები გარეულ ცხოველებზე"— კახეთის ცხოველთა სამყაროს შესახებ — გამომცემლობა «Знание», მოსკოვი; ნიგნი „ალაზნის ნაპირებზე"— ეს პირველი ბეჭდვითი გამოცემაა ქიზიყის ბუნებისა და, საერთოდ, ამ კუთხის ფლორისა და ფაუნის შესახებ — გამომცემლობა «Мысль», მოსკოვი; 5 ნიგნი სამეცნიერო თემებზე და 10 ხელნაწერი; მოსკოვის ერთ-ერთი გამომცემლობის „აგრომრეწველობის საერთაშორისო ჟურნალი", რომელიც გამოდის მსოფლიოს 7 საერთაშორისო ენაზე, სისტემატურად აქვეყნებს პ. ლესნოვის სამეცნიერო სტატიებს. მის სტატიებს აქვეყნებენ აგრეთვე — «Советская культура», «Известия», «Литературная Россия», ჟურნალები «Сельская молодежь», «Семья и школа», «Учительская газета» და სხვა.

1999 წლის მარტში ჟურნალმა «Русский язык за рубежом» გამოაქვეყნა პ. ლესნოვის სტატია „პუშკინის მოგზაურობა კავკასიაში"

პეტრე ლესნოვის შემოქმედება მიძღვნილია მხოლოდ საქართველოსადმი, მისთვის ათთაყვანო კახეთისადმი, მისი მდიდარი ბუნებისა და გამრჯე ადამიანებისადმი. მისი ყველა სტატია და ნაშრომი ეხება მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს.

პეტრე ლესნოვს ეკუთვნის სამი მეცნიერული აღმოჩენა — ბიოქიმიის, პალეონთოლოგიისა და ლიტერატურისმცოდნეობაში:

1. ბიოქიმია — მცენართა ჭკნობის შემდეგ მკვებავი ნივთიერების ავტომატური ტრანსფორმაციის კანონი — პრეპარატი "Закваска леснова — ნებისმიერი დაბალი ხარისხის საკვებში მისი დამატების შემდეგ საკვების კალორიულობა იზრდება 2,5-ჯერ).

2. პალეონტოლოგია — „შავი და კასპიის ზღვების კავშირი, გამოქვეყნდა 1974 წ. ჟურნალ «Наука и жизнь»-ში, სათაურით — „დინოზაურთა კვალი კახეთში"

3. ლიტერატურისმცოდნეობა — მ. ლერმონტოვმა პოემა „დემონი" დაწერა აქ, ყარაღაჯში, თამარ მეფის ციხესიმაგრეში (ხორნაბუჯი), ამ ადგილების შესაბამისად.

მან, აგრეთვე, დაამტკიცა, რომ ნაწარმოების პერსონაჟის, თამარის პროტოტიპი იყო 22 წლის ჩერქეზი ქალიშვილი კატია ნეჩვოლოდოვა.

პ. ლესნოვის ეს აღმოჩენა შეტანილია ლერმონტოვის ენციკლოპედიის სამტომეულში.

ბიძინა მაზიაშვილი

საბჭოთა კავშირის ისტორიაში პირველი დამსახურებული მნვრთნელი ჭიდაობაში ბიძინა მაზიაშვილი დაიბადა 1938 წლის 9 მაისს დედოფლისწყაროს რაიონის სოფ. ზემო მაჩხაანში.

მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება, ნაბევარ საუკუნეზე მეტი, ქართული სპორტის განვითარებას შესწირა. აქედან 40 წელინადზე მეტი — ჭიდაობის იაპონურ სახეობას, ძიუდოს, რომელიც ასე შეიყვარა და შეისიბლხორცა ქართველმა კაცმა; პირადად აღზარდა ასზე მეტი სპორტის ოსტატი, ოცი საერთაშორისო და ოთხი სპორტის დამსახურებული ოსტატი. მისი მზრუნველობა უგრძნია ყველა მოჭიდავეს, ვინც სხვადასხვა დროა გამოდიოდა ნაკრების შემადგენლობაში და მონაწილეობდა საბჭოთა კავშირის, ევროპის, მსოფლიო და ოლიმპიურ ჩემპიონატსა თუ მრავალრიცხოვან საერთაშორისო ტურნირებში...

1962 წელს ბ. მაზიაშვილი სათავეში ჩაუდგა მის მიერვე შექმნილ საქართველოს ძიუდოს ნაკრებს, რომელსაც ოცდაერთი წელი განუწყვეტლივ ხელმძღვანელობდა. პარალელურად, სსრკ ნაკრების მნვრთნელად მუშაობდა. ჩატარებული კონკურსების შემდეგ (ასეთი კონკურსებიც ტარდებოდა) მრავალჯერ აღიარეს საბჭოთა კავშირის საუკეთესო მნვრთნელად ამ სახეობაში. საქართველოსა და სსრკ დამსახურებული მნვრთნელის წოდება მიენიჭა სრულიად ახალგაზრდას — მის ასაკში ეს წოდება სხვას არავის მიუღია.

1962 წლამდე ძიუდოს საქართველოში არავითარი ტრადიციები არ ჰქონდა. ამდენად, ყველაფერი დაიწყო ნულიდან. საბჭოთა ნაკრების შემადგენლობის 50% საქართველოს ნარგზავნილი იყო, და თითქმის არასოდეს დაბრუნებულა რომელიმე მათგანი უმედლოდ ევროპის, მსოფლიოს პირველობებიდან თუ ოლიმპიური ასპარეზობიდან, მით უფრო, სხვა სახის საერთაშორისო შეჯიბრებებიდან. ამასთან, რეკორდების უმრავლესობა ჩვენს რესპუბლიკას ეკუთვნოდა. პირველი ევროპის ჩემპიონი, პირველი ოლიმპიური ჩემპიონი, პირველი სპარტაკიადის ჩემპიონი — საქართველოს ნაკრები, პირველი ახალგაზრდული ჩემპიონი — საქართველოს ნაკრები!..

ზემო მაჩხაანს ფალავნები მუდამ გამოულევლად ჰყავდა და გამონაკლისი, რა თქმა უნდა, არც ორმოციანი ნლები ყოფილა, როცა სოფელში პირველად შეამჩნიეს ტანმორჩილი, ჩასკვნილი ყმაწვილი. ერთი შეხედვით, იგი სხვებისაგან, მასავით საფალავნოდ გამზადებული თანატოლებისაგან, ბევრით არაფრით გამოირჩეოდა, მაგრამ ზემომაჩხაანელები რა ზემომაჩხაანელები იქნებოდნენ, მაზიაშვილებიანთ ბიძინასათვის კოჭებში არ შეეტყოთ, ვინც იყო. ჭაბუკი კი ასეთი გახლდათ: ძალისმიერი ჭიდაობის მოძულეო, კაცი ვერ იტყოდა, მაგრამ გული უფრო ფანდისა და ხერხისაკენ მიუნევდა, ეტყობა, მოჭიდავეები ასეთებად იბადებიან: გამჭრიახებად, საზრიანებად, მოჭადრაკეებისა არ იყოს, წინასწარ რამდენიმე „საჭიდაო სვლის" გამომთვლელებად. ასეთ ფალავნებს მრავლად ჰყავთ გულშემატკივრები და ჭიდაობის შემდეგ ისინი, როგორც ნესი. სამნვრთნელო მოღვაწეობას ინყებენ.

მისი ჭაბუკური ხილვებისა და ოცნებების გმირი ისევე, როგორც ბიძინა მაზიაშვილის ცხაობის ყველა მოჭიდავისა, იყო ბეჭდაუდებელი არსენ მეკოკიშვილი. იგი, რკინის არსენა, უფრო მეტი იყო ორმოციანი ნლების ახლად ულვაშაყრილი თაობისათვის, ვიდრე

უბრალოდ, ძლიერი მოჭიდავე. არსენა იყო თავისებური იდეალი, ფალავანთა ფალავანი, რომელსაც ბაძავდნენ ახალგაზრდები, ლამის აღმერთებდნენ და ცდილობდნენ, ჭიდაობაში დაემკვიდრებინათ ისეთივე გამორჩეული ადგილი, ჰქონოდათ ისეთივე, მკაფიო ინდივიდუალობით აღბეჭდილი საჭიდაო მანერა, როგორც არსენ მეკოკიშვილს. ამ ნიჭიერ ფალავანთა ტალღაში, ბიძინა მაზიაშვილი თავისი ოსტატობით, მონდომებით, მიზანსწრაფვით მუდამ ითვლებოდა საიმედო მოჭიდავედ, როგორც იტყვიან, გუნდურ მებრძოლად. მასში, სამბოს თავისებურ და ნაცად ოსტატში, იმთავითვე იძალა მწვრთნელის, აღმზრდელის თანდაყოლილმა ინსტინქტმა. ჯერ საჭიდაო ხალიჩისათვის თავი არც კი ჰქონდა დანებებული, რომ უკვე მრავლად ჰყავდა ნიჭიერი შეგირდი.

ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირში როგორც ყოფილი კალათბურთელები იყვნენ პირველი ხელბურთელები, ასევე პირველ ძიუდოისტებად მოგვევლინენ ყოფილი სამბისტები. ძიუდოისტთა პირველ შეჯიბრებებში მათ, ფაქტობრივად, ხალიჩაზე აუღეს ალღო მანამდე უცნობ იაპონურ ჭიდაობას. ჩვენს რესპუბლიკაში ძიუდოს ერთ-ერთი პიონერი სწორედ ბიძინა მაზიაშვილი იყო. იგი სხვა უძლიერეს ქართველ სამბისტებთან ერთად (ოთარ შინჯიკაშვილი, შოთა დაუშვილი, გურამ სიმონიშვილი) ორმოცდაათიანი წლების მინურულს „სასწრაფოდ" იცვლის საჭიდაო „პროფესიას" და იაპონურ კიმონოში გამოწყობილი გამოდის ძიუდოისტთა პირველ შეჯიბრებაში.

1957 წლის ნოემბერი - საბჭოთა ძიუდოისტების პირველი საერთაშორისო ნათლობა - ჩვენმა ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაში ბიძინა მაზიაშვილიც იყო, ამხანაგური მატჩი გამართა ბუდაპეშტში უნგრელ ძიუდოისტებთან.

საჭიდაო ხალიჩაზე თავიდანვე დაძაბული ბრძოლები წარიმართა. მას შემდეგ, რაც საბჭოთა სპორტსმენებმა პირველ ოთხ ნონით კატეგორიაში ქულებით გამარჯვება -გამოჰგლიჯეს" ხელიდან მონინააღმდეგეებს, სარბიელზე გამოვიდა საქართველოს წარმომადგენელი ბ. მაზიაშვილი. მან აგრესიულ, შემტევ სტილში წარმართა შეხვედრა და უკვე მესამე ილეთის შემდეგ მსაჯებმა შენყვიტეს ბრძოლა ქართველი მოჭიდავის აშკარა უპირატესობის გამო. ამრიგად, საბჭოთა სპორტსმენებმა მაქსიმალური ანგარიშით 8:0 აძლიეს უნგრელი ძიუდოისტები.

საბოლოოდ ძიუდო აღმოჩნდა ჭიდაობის ის სახეობა, რომელსაც ბიძინა მაზიაშვილი სამუდამოდ დაუკავშირდა, როგორც მწვრთნელი-აღმზრდელი. იგი, თუ შეიძლება ასე ითქვას, არის ქართული ძიუდოს სკოლის ერთ-ერთი უპირველესი მეაკვნე, მისი აღიარებული მოღვაწე და ამაგდარი. საკმარისია, დავასახელოთ ბიძინა მაზიაშვილის აღზრდილები, რომ საცნაური გახდეს მისი ნაყოფიერი მოღვაწეობა: ფარნაოზ ჩიქვილავე, გოდერძი ნონიკაშვილი, გურამ გოგოლაური, ანზორ მარტყოფლიშვილი, გივი ონაშვილი, ჯიბილო ნიჟარაძე, ამირან მუზაევი და სხვანი — მათ განსაკუთრებული რეკომენდაციები არც ესაჭიროებათ, რადგანაც სპორტის მოყვარულებმა კარგად იციან, რა თვალსაჩინო კვალი დაამჩნიეს საბჭოთა ძიუდოს განვითარებას.

ჯოველივე ეს, რა თქმა უნდა, უოფლოდ, უშრომლად არ მოსულა. ჩემპიონები ციდან არ ცვივიან, მათ ნიჭს გამოცდილი მჭედლის დარად ჭედავს მწვრთნელი, აღმზრდელი, რომელსაც მონაფეებისთვის არც დრო და არც ენერგია არ ენანება. ბ. მაზიაშვილის კეთილი საქმეები, მისი სიჭაბუკის ოცნებები, მეტწილად ახდენილი, ზოგიც აუხდენელი, ცოცხლობს მის ნიჭიერ მონაფეებში. იგი ნიადაგ ახალგაზრდებს შორის ტრიალებს, აფრიანებს ქართველ ძიუდოისტთა ახალ თაობებს, გზას უკვალავს დიდი სპორტისაკენ.

ბიძინა მაზიაშვილს უხვად ამადლია პიროვნული მომხიბველობა, დიდი ადამიანური სითბო, საკუთარი ენთუზიაზმის სხვებისთვის გადადებისა და მათი ტკივილების ღრმად გააზრების უნარი, ირგვლივ მყოფთა ნარმატებების გამო სიხარულის განცდა, არაჩვეულებრივი შრომისუნარიანობა, შრომისმოყვარეობა და უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობა, უკომპრომისო ობიექტურობა, გამბედაობა, საერთო საქმისათვის თავგანნირვამდე მისული ერთგულება, ქართული სპორტისა და საკუთარი ერის ფანტასტიკური სიყვარული და კიდევ მრავალი მისაბაძი თვისება...

ბატონი ბიძინა არის პირველი ქართველი მწვრთნელი, რომელმაც ქართული ჭიდაობის საიდუმლოებაში ჩაახედა იაპონელი სპეციალისტები.

ეს ის ადამიანია, ვისზეც იტყვიან ხოლმე – *ქალაქს უხდებაო!* დიახ, იგი უხდება ქალაქს, იგი ამშვენებს მას, იგი უხდება თავის განთქმულ სოფელს – ზემო მაჩხაანს, იგი უხდება თავის ქიზიყს, კახეთს და, საერთოდ, მთელ ჩვენ ქვეყანას. ბიძინა მაზიაშვილი თავისი საქმიანობით ხომ მსოფლიოში განთქმული ადამიანია, სულ ახლახან იგი XX საუკუნის საქართველოს მწვრთნელთა საუკეთესო ათეულში შეიყვანეს.

დიმიტრი ნადირაძე
მაჩხანელი

1861-1903

კაი ცხოვრების მონატრეს კაი ცოდნის ჭკვაც უნდა
მიუძღოდეს წინ, რომ ის მოასწავებდეს კაი ცხოვრების გზას
დ. ნადირაძე

ქართველი მნერალი, ხალხოსანი, დიმიტრი მიხეილის ძე ნადირაძე (მაჩხანელი) დაიბადა 1861 წელს დედოფლისწყაროს რაიონის სოფ. ზემო მაჩხაანში.

დიმიტრი მაჩხანელი სოფელ მაჩხაანში მცხოვრები გლეხის შვილი იყო. პირველდაწყებითი სნავლა მიიღო თუქურმიშაში (ახლანდელი დედოფლისწყარო) არსებულ საბიედრო სკოლაში...

მაჩხანელი ახალგაზრდობიდანვე გაიტაცა ხალხოსნობამ, ხალხში გასვლის იდეამ და სიყრმიდანვე მთელი თავისი არსებით ჩაება ხალხის საკეთილდღეო მოღვანეობაში.

... ამავე დროს მაჩხანელი აგრძელებს სამწერლო მუშაობას. 1881 წ. გამოდის მისი ლექსები კრებულები: „ახალი სიზმარი" და „სიყვარულის კონა" 1887 წელს - „ძმური სიტყვა", რომლის მეორე გამოცემა დაიბეჭდა ა. როინიშვილის საფასურით 1891 წელს.

1892 წელს, სოფლებს რომ ქოლერა მოედო, მაჩხანელმა შეადგინა დამხმარეთა წრე, დადიოდა სოფელ-სოფელ და ხალხს დიდ დახმარებას უწევდა.

1895 წელს დიმიტრიმ სოფელ მაჩხაანში გახსნა „დეპო", რათა გლეხობა გადაერჩინა. ჩარჩ-ვაჭრების მეტად დაუნდობელი ექსპლუატაციისაგან, რის შესახებაც ის ხშირად ეაუბრებოდა ხალხს მათთან ყოველდღიურ ურთიერთობისას...

ამავე ნელს დ. მაჩხანელის თაოსნობით სოფ. მაჩხაანში გაიხსნა სასოფლო ბაზარი, შემდეგ ეს ბაზარი გადაიტანეს ბოდბისხევში.

ნალე სოფ. მაჩხაანში დიმიტრის თაოსნობით გაიხსნა ქალთა სკოლა, რომელსაც მან თავისი საკუთარი დიდი შენობა დაუთმო

დ. მაჩხანელის ამ წამოწყებამ მცხოვრებთა შორის აღფრთოვანება გამოიწვია , პოეტმა ირ. ევდოშვილმა (ბოსიტაშვილმა) იმავე ნელს გაზეთ „ივერიის" № 108 კორესპონდენციაში აღნიშნა: „სოფელ მაჩხაანში დ. მაჩხანელმა, ამ დაუღალავმა და პატიოსანმა მუშაკმა, იმდენად დაიმსახურა ხალხის ნდობა, რომ დღეს ათასნაირ საქმეს უძღვება წინ და აგერ საცაა სამეურნეო სკოლაც უნდა გახსნას სოფელმა მისი მეოხებით"

მართლაც, იმავე 1895 ნლის სექტემბრისათვის სოფ. მაჩხაანში დიმიტრის ხელმძღვანელობით გაიხსნა სამეურნეო სასნავლებელიც.

დიმიტრი მაჩხანელის დაუშრეტელი ენერგია არც ამით ამოწურულა. 1897 წელს ის აარსება მნყემსთა საზოგადოებას ვაჭართა ექსპლუატაციის წინააღმდეგ; მისი ხელმძღვანელობით სოფელში აშენდა თეატრი და მისივე დახმარებით იმართებოდა წარმოდგენები, რომელთაც ღარიბები უფასოდ ესნრებოდნენ; საქართველოს პროვინციებში ეს პირველი საბალხო თეატრი იყო. 1898 წელს დიმიტრისავე თაოსნობითა და დახმარებით მაჩხაანში გაიხსნა ქსენონი დეპოს შენობაში...

გიორგი ნატროშვილი

1910-1998

ქართველი მწერალი და ლიტერატურისმცოდნე გიორგი კონსტანტინეს ძე ნატროშვილი დაიბადა 1910 წლის 10 (23) ნოემბერს.

დაამთავრა თსუ ფილოლოგიური ფაკულტეტი. 1930 წლიდან მუშაობდა ქართული ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში. 1943-63 წწ. იყო „ლიტერატურული გაზეთის", 1963-73 წწ. ჟურნალ „დროშის" მთავარი რედაქტორი, 1973-82 წწ. ჟურნალ „მნათობის" მთავარი რედაქტორია, 1982 წლიდან კი გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმის დირექტორი.

ლიტერატურული მოღვაწეობა 30-იანი წლებიდან დაიწყო. პირველი წიგნი — „დავით კლდიაშვილის შემოქმედება" 1934 წ. გამოსცა. დიდი სამამულო ომის მონაწილემ სამხედრო მოთხრობათა პირველი კრებული „დასავლეთის ფრონტზე" 1943 წელს გამოაქვეყნა, მოთხრობების მომდევნო კრებულებმა („ისევ გაზაფხული იყო", „უდარდელი კაცის სიკვდილი") გ. ნატროშვილს ქართული პროზის გამოჩენილი ოსტატის სახელი მოუხვეჭა. მასვე ეკუთვნის ლიტერატურულ-კრიტიკული ნაწარმოებების კრებულები, „წინაპრები და თანამედროვენი", „ორი საუკუნის მიჯნაზე" და სხვ.

გიორგი ნატროშვილს თვალსაჩინო წვლილი მიუძღვის ქართული ლიტერატურის კრიტიკასა და ლიტერატურისმცოდნეობაში. მისი ნაშრომები ეხება ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების ძირეულ პრობლემებს. გ. ნატროშვილი პროფესიულ დონეზე აშუქებს გ. ტაბიძის, კ. გამსახურდიას, ნ. ლორთქიფანიძის, გ. ლეონიძის, ს. ჩიქოვანის, ა. მირცხულავას, ი. აბაშიძის, კ. ლორთქიფანიძის, კ. კალაძის შემოქმედებას, იკვლევს კლასიკური ლიტერატურის მემკვიდრეობის (დ. გურამიშვილი, საიათნოვა, დ. კლდიაშვილი და სხვ.) სხვადასხვა საკითხს.

გ. ნატროშვილის თხზულებები თარგმნილია რუსულ, სომხურ, აფხაზურ ენებზე.

დაჯილდოებულია დიდი სამამულო ომის II ხარისხის ორდენით, შრომის წითელი დროშის 3 ორდენითა და მედლებით. იყო საქ. სსრ VIII, IX და X მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

აი, რას წერდა მასზე გიორგი ლეონიძე: — „გ. ნატროშვილი თანამედროვე ქართული მწერლობის მშვენებაა. იგი ყოველნაირად ცდილობს ქართული მწერლობის გამდიდრებასა და პოპულარიზაციას. ამასთან, შესანიშნავი, დახვეწილი გემოვნების შემოქმედია. აღლოიანი და პირუთვნელი კრიტიკოსი.

როგორც რედაქტორს, ხომ, თავის საქმეში ბადალი არ ჰყავს..."

„სალიტერატურო გაზეთი", 1998წ. აგვისტო, № 12.

დავით ნატროშვილი

ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის უმაღლესი მათემატიკის კათედრის გამგე დავით გიორგის ძე ნატროშვილი დაიბადა 1948 წლის 3 აგვისტოს დედოფლისწყაროს რაიონის სოფ. ზემო მაჩხაანში. 1965 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი წითელ დიპლომზე. 1984 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და 1985 წლიდან პროფესორია. 1987 წლიდან დღემდე არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის უმაღლესი მათემატიკის №99 კათედრის გამგე და თსუ-ს პროფესორი.

დ. ნატროშვილი ავტორია 130-ზე მეტი შრომისა, მათ შორის 4 მონოგრაფიისა და 5 სახელმძღვანელოსი. ერთი მონოგრაფია დაწერილია ინგლისურ ენაზე გერმანელი პროფესორის ლ. იენტჩის თანაავტორობით. ლექციებს კითხულობს ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე. მონაწილეა 50-მდე საერთაშორისო კონფერენციისა და სიმპოზიუმებისა.

დ. ნატროშვილმა აღზარდა 8 მეცნიერებათა კანდიდატი და 1 მეცნიერებათა დოქტორი. იგი სხვადასხვა წლებში მიწვეული იყო გერმანიაში ქემნიცის ტექნიკურ, შტუტგარტის, დარმშტატის, გოტინგენის, ჰამბურგის, ბერლინის მათემატიკის, ბერლინის ტექნიკურ უნივერსიტეტებში. ინგლისში – ლონდონის მათემატიკურ საზოგადოებაში სტუმრად, ბათის უნივერსიტეტში მანჩესტერის (სალფორდის), გლაზგოს (სტრაფკლაიდი) უნივერსიტეტებში, აშშ-ში – ტულსას (ოკლაჰომა), დელავერის (ნიუ- იორკის), როჩესტერის, მიჩიგანის (ჰოუგტონის) უნივერსიტეტებში, შვეიცარიაში – ციურიხის უნივერსიტეტში, საფრანგეთში – სორბონის (პარიზი) უნივერსიტეტში, პორტუგალიის, ირანის, პოლონეთის, ბულგარეთის უნივერსიტეტებში და სხვ.

დ. ნატროშვილის კვლევის სფეროს შეადგენს მათემატიკური ფიზიკის დიფერენციალური და ინტეგრალური განტოლებები, ტალღათა გავრცელების თეორია, მყარი დეფორმადი ტანია მექანიკის ამოცანები.

პროფესორ დ. ნატროშვილს მიღებული აქვს სოროსის სამეცნიერო გრანტი (აშშ), DAAD-ის სამეცნიერო გრანტი (გერმანია), DFG-ს სამეცნიერო გრანტი (გერმანია), ლონდონის მათემატიკური საზოგადოების გრანტი (ინგლისი).

დავით ნატროშვილი არის აგრეთვე:

– ამერიკის მათემატიკური საზოგადოების წევრი (ცენტრი მიჩიგანი);

– ევროპის მათემატიკური საზოგადოების წევრი (ცენტრი ფინეთი);

– მათემატიკისა და მექანიკის ურთიერთქმედების საერთაშორისო საზოგადოების წევრი (ცენტრი იტალია);

– ალბეზვრი ელემენტების საერთაშორისო საზოგადოების წევრი (ცენტრი ინგლისი);

– საქართველოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის წევრი;

– სოროსის სამეცნიერო და საგანმანათლებლო ფონდების საექსპერტო საბჭოების წევრი (ცენტრი ნიუ-იორკი);

ვენერა ნატროშვილი

ბოეტი ქალი ვენერა ნატროშვილი დაიბადა დედოფლისწყაროში 1936 წლის 25 დეკემბერს. თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიური ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, მუშაობას ინყებს სიღნაღის რაიონის სოფ. ვაქირში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად, ხოლო რამდენიმე ნლის შემდეგ მუშაობას განაგრძობს მშობლიურ დედოფლისწყაროს რაიონში.

მის შემოქმედებას იცნობდნენ გამოჩენილი პოეტები: იოსებ ნონეშვილი, ვასილ გვეტაძე, თეიმურაზ ჯანგულაშვილი და ურჩევდნენ, გამოეცა ლექსების კრებული, მას ბომ უკვე 300-ზე მეტი ლექსი ჰქონდა გამოქვეყნებული თუ გამოსაქვეყნებელი, მაგრამ პოეტი ქალი თავს იკავებდა, ალბათ, ღმერთი უკეთესი შემთხვევისათვის ამზადებდა და აი, მამა ზაეარიას დავალებით, იგი ნერს სახარებას ლექსად (!). მსგავსი რან მთელ მსოფლიოში არ მომხდარა!..

ასე შეიქმნა მისი „დიდება უფლისა", ღვთისადმი მიძღვნილი ლექსები და საგალობლები, პოემები: „ღვთისმშობელი მარიამი" და „სული წმიდისა ქნარი ნინო", რომელთაც უახლოეს მომავალში იხილავს მკითხველი.

ვენერა ნატროშვილმა ლექსების ნერა და გამოქვეყნება 60-იან ნლებში დაიწყო ჯერ სიღნაღისა და დედოფლისწყაროს რაიონების, შემდეგ თელავის „განთიადისა" და თბილისის თითქმის ყველა ჟურნალ-გაზეთში: ჟურნალ „პიონერში", „საქართველოს ქალში", „საქართველოს ბუნებაში"; გაზეთებში: „ლიტერატურული საქართველო", „სახალხო განათლება", „კომუნისტი", „სოფლის ცხოვრება" და სხვ.

თამაზ ნატროშვილი

ბ

ნერალი თამაზ გიორგის ძე ნატროშვილი დაიბადა 1937 წლის 20 მაისს დედოფლისწყაროში, გამოჩენილი ქართველი მწერლისა და ლიტერატურისმცოდნე გიორგი ნატროშვილის ოჯახში.

მიუხედავად იმისა, რომ იგი იზრდებოდა მწერლების გარემოცვაში, არჩევანი ისტორიკოსობაზე შეაჩერა. 1960 წელს დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკულტეტი. 1961 წელს მუშაობა დაიწყო გ. ნერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში. ლიტერატურიაა და ისტორიის სიყვარულმა აქცია იგი მხატვრულ-ისტორიული ჟანრის მწერლად.

თამაზ ნატროშვილის პირველი მოთხრობა „ბევალ დოღი იქნება ხეობამი" 1958 წელს დაიბეჭდა, ხოლო მისი პირველი კრებული „გამოღვიძება"— 1963 წელს.

ქართული მწერლობა, ქართულ ისტორიოგრაფიასთან ერთად მძიმე და სკრუპულოზურ შრომას ენევა, რათა „მწერლური თვალით" აღადგინოს გარდასულ დღეთა სურათები.

ანორედ ამ საინტერესო ჟანრში გამოირჩეა თამაზ ნატროშვილის, როგორც მწერლისა და მეცნიერის ნარმატებული მუშაობა. ავტორის თვალსანიერი ფართოა, მასალები უხვი და მეტნილ შემთხვევაში სანდო. სხვადასხვა წყაროდან მომდინარე ცნობების გულდასმით შეჯერების გარეშე, იგი იშვიათად გვთავაზობს დასკვნებს.

ბანგრძლივ ფიებათა შედეგია თამაზ ნატროშვილის წიგნი — „მაშრიყით მაღრიბამდე" რომელიც 1974 წელს დაიბეჭდა.

სათაურიდანვეა მოხაზული ფართო გეოგრაფიული არეალი, ამავე დროს იგი მიგვანიშნებს ავტორის ჩანაფიქრზე: როგორც ქართული, ისე უცხოური წყაროების მოშველიებით მეტი სიცხადით დაგვანახოს ჩვენი ქვეყნის წარსული, სახეები ჩვენთა ნინაპართა, რომელთაგან ზოგი ისტორიული უკუღმართობის გამო სამშობლოს გადასარჩენად შორეულ მხარეებში ლვნოდა, ხოლო ზოგი კი სირცხვილნაჭამი მოღალატის სახელით ემშვიდობებოდა სანუთრიოს.

წიგნში დიდძალი მასალაა თავმოყრილი: ზოგი ძველი, ზოგი ახალი, ზოგს უკვე იცნობდა ჩვენი ისტორიოგრაფია, ზოგი კი თვითონ წიგნის ავტორის მიერ არის მიკვლეული და ახლებურად გაშიფრული.

თამაზ ნატროშვილი ავტორია რამდენიმე მეტად საინტერესო ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის ნარკვევისა. მათ შორის „ქართული ლექსიკონი ყანდაარში", სადაც ერთმანეთს განუყრელად ერნყმის ლიტერატურული და ისტორიული ხასიათის ცნობები. ნარკვევის მთავარი გმირია მეფე და მნიგნობარი, მთელ აღმოსავლეთში სახელგანთქმული სარდალი გიორგი XI.

თამაზ ნატროშვილმა დიდი ნვლილი შეიტანა გიორგი XI-ის უანგარო ღვაწლის წარმოჩენის საქმეში.

ისტორიულ ასპარეზზე მოქმედი მრავალი გმირის პორტრეტია წარმოსახული წიგნი „მაშრიყით მაღრიბამდე" ფურცლებზე.

თამაზ ნატროშვილს წიგნში უხვი მასალ ით აქვს გადმოცემული ჩვენი ისტორიის ის მონაკვეთი, რომელსაც პირობითად თეიმურაზ პირველისა და გიორგი სააკაძის ეპოქა შეიფლება ვუწოდოთ.

თამაზ ნატროშვილის წიგნები გამოირჩევა თხრობის მოსაწონი ოსტატობით, რომელსაც არც ემოციურობა აკლია და არც მასალის სიუხვე. ამიტომაც მის წიგნს მუდამ ინტერესით გაეცნობა ყველა თაობის მკითხველი.

დავით პატატიშვილი

1918-1944

თუ დაეცემი,
კვლავ გავცოცხლდები, პოეზია ხომ სასწაულია.
დ. პატატიშვილი

ომში დაღუპული ახალგაზრდა ქართველი პოეტი დავით პატატიშვილი დაიბადა 1918 წლის 26 ივნისს დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ არბოშიკში. სწავლობდა მშობლიური სოფლის სკოლაში, სიღნაღის პედაგოგიურ ტექნიკუმში. შემდეგ ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში, რომელიც ნარჩინებით დაამთავრა 1940 წელს და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად, ამავე დროს სასწავლო წანილის გამგედ დაინყო მუშაობა დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანის საშუალო სკოლაში.

ომის დანყებისთანავე დ. პატატიშვილი ფრონტზეა. იბრძოდა ბესარაბიასა და სტალინგრადში, ვოროშილოვგრადსა და კოტოვსკში, ჩერკასკსა და პოლტავაში, მოსკოვსა და სმოლენსკში, ხარკოვსა და ორშაში...

იგი ბრძოლის ველზე დაიღუპა, ოცდაექვსი წლის ასაკში. სამხედრო წანილიდან მის მშობლებს მოუვიდათ ბედად გადარჩენილი ლექსების უბის ნიგნაკი „გული და ქარიშხალი", რომელიც ინერებოდა ბრძოლის ველზე, სანგრებში, ტყესა და ღრეში, ომის ქარ-ცეცხლში...

მე ყველაფერ ზე, ყველაფერ ზე ვიფიქრე დიდხანს,
მაგრამ სიკვდილ ზე, მეგობრებო, არც ერთი წამით.
რადგან მას სწამს, რომ
თუ დაეცემი, კვლავ გავცოცხლდები,
პოეზია ხომ სასწაულია.

პოეტის მე-60-ე წლისთავზე გამოცემული კრებულის — „გული და ქარიშხალი" რედაქტორი ა. ბრეგაძე აღნიშნავს: „პოეზია მართლაც სასწაულია და ჩვენ სასწაულებრივად გაგვიცოცხლა ქართველი პოეტების მძლავრი არმია — მირზა გელოვანი, გიორგი ნაფეტვარიძე, ვლადიმერ უბილავა და მათთან ერთად კიდევ ერთი ნიჭიერი პოეტი-ჯარისკაცი დავით პატატიშვილი"

პოეტის მშობლიური სოფლის სკოლა და დედოფლისწყაროს ერთ-ერთი ქუჩა ატარებს მის სახელს. სკოლაში დადგმულია დავით პატატიშვილის ბიუსტი.

სიკვდილით ორგ ზის უკვდავი გახდი,
როგორც მგოსანი და მეომარი.
მშობელი ხალხის გულში დასახლდი
ხალხის გულისთვის ომში მომკვდარი.
გულ-მკერდს უკოცნის, როგორც დედა შვილს,
მზე მოჩახჩახე ციე-გომბორის მთებს
და ღამე როცა შავ ნაბდებს გაშლის,
ცა სანთლებივით ვარსკვლავებს გინთებს.

ასე მიმართავს შინმოუსვლელ პოეტს თანასოფელი ჯუმბერ უთრუთაშვილი.

ავთანდილ პოპიაშვილი

ხელოვანი, საქართველოს მხატვართა კავშირის მდივანი, ფერწერის სექციის თავმჯდომარე, მხატვართა კავშირების საერთაშორისო კონფერენციების ნარმომადგენელი საქართველოში ავთანდილ ვახტანგის ძე პოპიაშვილი დაიბადა 1944 წლის 10 მარტს დედოფლისწყაროში.

1967 წ. თბილისში დაამთავრა სამხატვრო აკადემია.

შემდეგ ასწავლიდა ფერწერას სამხატვრო აკადემიაში, მუშაობდა სცენოგრაფიაზე, წიგნის გრაფიკაზე, ინტერიერების გაფორმებაზე (მოზაიკა).

მისი ნამუშევრები გამოფენილია საქართველოს სახვითი ხელოვნების მუზეუმში, ტრეტიაკოვის გალერეაში, აღმოსავლურ მუზეუმში (მოსკოვი) და საზღვარგარეთის კერძო კოლექციებში.

ავთანდილ პოპიაშვილს დიდი ხნის განმავლობაში მიჰყავდა ფერწერის კლასი თბილისის სამხატვრო აკადემიაში. დამოუკიდებელ მხატვრებად ჩამოყალიბებულმა მისმა მოსწავლეებმა, შეინარჩუნეს მასწავლებლისადმი პატივისცემა და იგი საქართველოს მხატვართა კავშირის ერთ-ერთ მდივნად აირჩიეს. პოპიაშვილის ხასიათშია, თავის ირგვლივ შემოიკრიბოს ხელოვნებისადმი თავდადებული ადამიანები - ესაა მისი ცხოვრების არსი.

ამოცდაათიან წლებში მან ჩამოაყალიბა სამხატვრო კავშირთან არსებული სამხატვრო ჯგუფი, სადაც არა მარტო ნატურას წერდნენ, არამედ იმართებოდა შემოქმედებითი დისკუსიები, ათვალიერებდნენ ალბომებს, სახავდნენ გეგმებს.

ხელოვნების განვითარება, როგორც მხატვარს მიაჩნია, წარმოუდგენელია მისი ისტორიის შეუსწავლელად, დიდ ოსტატთა გამოცდილების გათვალისწინების გარეშე. ავთანდილმა ცოტა დრო როდი დაუთმო პომპეუსის ფრესკების, ძველებური მოზაიკების, ხატების, იტალიური აღორძინების ხანის შესწავლას.

მისმა სამშობლომ — საქართველომ, შუასაუკუნეთა ფრესკებსა და მოზაიკაში შემოინახა ადრეულქრისტიანული ხელოვნების სახეები. ა. პოპიაშვილს იზიდავს ნაციონალური ისტორიის მეორე მხარეც — ხალხის კულტურაში ჯერ კიდევ ცოცხალი ენობრივი სარწმუნოებისა და წეს-ჩვეულებების კვალი. მათ შორის ტრადიციული საგაზაფხულო დღეასასწაული — ბერიკაობა, რომელშიც თვითონაც მიუღია მონაწილეობა (ყვარელში). ძველად ეს ყოველნლიური მოვლენა დაკავშირებული იყო მიწის ნაყოფიერების ღმერთების რიტუალებთან, ქრისტიანობამ მოიტანა ქცევის უფრო მკაცრი ნორმები. ეს დღეასასწაული არ გამქრალა, მან ტრანსფორმირება განიცადა და გადაიქცა ნიღბთა მისტერიად, რომელმაც თეატრალიზებული ფორმა მიიღო.

პოპიაშვილს არაერთხელ მიუმართავს ბერიკაობისათვის. სწორედ ამ სიუჟეტზე აგო 1976 წ. სადიპლომო ნაშრომი, რომელიც გამოფენილი იყო მიუნჰენისა და მოსკოვის საუკეთესო ნამუშევართა შორის. შემდგომშიც, მხატვრის სურათებსა და ეტიუდებში იმვიათად როდი გვხვდება მთლიანი დინამიკური და მხიარული ქმედება, მისი ცალკეული პერსონაჟები. ეს სამყარო, სადაც ადამიანები თამაშობენ როლებს და ნიღბებით მალავენ სახეებს, იქცა მისი სურათების სამყაროდ, რომლებიც გვაგონებენ საქართველოს უძველეს კულტურას და იმათ, ვინც ამ ნიღბებით განასახიერებს რწმენას, იმედსა და სიყვარულს.

ნუგზარ რობიტაშვილი

ინჟინერ-მექანიკოსი, საერთაშორისო ბიზნესის მენეჯერი, პატენტმცოდნე, თბილისის სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტი, სააქციო საზოგადოება „კახეთის" გენერალური დირექტორი ნუგზარ შალვას ძე რობიტაშვილი დაიბადა 1947 წლის 1 ივლისს დედოფლისწყაროში.

შრომითი საქმიანობა დაიწყო 14 წლის ასაკში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო მოსკოვის ქიმიური მანქანათმშენებლობის ინსტიტუტში, შემდეგ — საქართველოს პოლიტექნიკურ, იტალიის საერთაშორისო ბიზნესისა და პატენტმცოდნეობის ინსტიტუტებში.

ნ. რობიტაშვილი მუშაობდა თბილისის სათავო საკონსტრუქტორო ბიუროში კონსტრუქტორად, თბილისის შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და წარმოების მართვის ცენტრში ინსტრუქტორად და განყოფილების უფროსად, საქართველოს კვების მრეწველობის სამინისტროს პროდუქციის სტანდარტიზაციისა და მატერიალური რესურსების სპეციალისტად. 1975 წლიდან (26 წლის ასაკიდან) დღემდე სამრეწველო კომბინატ „კახეთის" გენერალური დირექტორია. ნუგზარ რობიტაშვილი სამჯერ იყო არჩეული ქ. თბილისის დეპუტატად, მათ შორის, თავისუფალი საქართველოს პირველ თავისუფალ არჩევნებზე, როგორც მაჟორიტარი დეპუტატი. იმავე წელს, იმავე პირობით, დაინიშნა ქ. თბილისის ვიცე-მერად და ქ. თბილისის მერიის მთავრობის პირველ პრემიერად. 1994 წელს აირჩიეს თბილისის მენარმეთა კორპორაციის თავმჯდომარედ; 1995 წლიდან 1998 წლამდე იყო საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს კოლეგიის წევრი. 1995 წელს თბილისის მეწარმეთა საერთო კრებაზე აირჩიეს და დღემდე მუშაობს ქ. თბილისის სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტად, პარალელურად, მუშაობას აგრძელებს საქართველოს პირველ სააქციო საზოგადოება „კახეთის" გენერალური დირექტორის პოსტზე.

ნუგზარ რობიტაშვილის სახელთან დაკავშირებულია საქართველოს ეროვნული მენარმეობის განვითარების ისეთი ეტაპები, როგორიც არის კერძო მეწარმეთა და სახელმნიფოს შორის საიჯარო ურთიერთობების თეორიის ჩამოყალიბება და მისი პრაქტიკული განხორციელება ექსპერიმენტული წესით საბჭოთა სინამდვილეში მანამდე (1988 წ.), სანამ ძალაში შევიდოდა კანონი სახელმწიფო ქონების (სანარმოების) იჯარის შესახებ. სანარმო, რომელსაც ის ხელმძღვანელობდა („კახეთი") მის მიერ შემუშავებული მეთოდიკით 1988 წელს გადავიდა საიჯარო ურთიერთობებზე, რაც სოციალიზმის პირობებში, კაპიტალისტური სისტემის დაფუძნების უპრეცედენტო მაგალითი გახდა. ამ პრაქტიკის განზოგადებამ და სხვა სანარმოებში დანერგვამ მკვეთრად დააჩქარა კერძო სანარმოთა ჩამოყალიბების პროცესი და შრომის პროცესების ინტენსიფიკაცია.

ნ. რობიტაშვილის სახელთან დაკავშირებულია საქართველოში სანარმოო აქციების გამოშვების პირველი მეთოდიკის ერთპიროვნული შემუშავება და „კახეთის" მაგალითზე სოციალიზმის პირობებში დანერგვა მანამდე არნახული შედეგებით.

ნ. რობიტაშვილის ერთ-ერთ გამორჩეულ წარმატებად განიხილება ის, რომ მისი ხელმძღვანელობით აშენებული მძლავრი სანარმოო კომპლექსი „კახეთი" საყოველთაოდაა აღიარებული საქართველოში.

ივანე ფიროსმანაშვილი

ივანე ალექსანდრეს ძე ფიროსმანაშვილი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა იმ 7 ნოვატორთაგანია, რომელთაც სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 12 დეკემბრის ბრძანებულებით, სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული დიდი წარმატებებისა და შრომითი მამაცობისათვის მიენიჭათ სოციალისტური შრომის გმირის წოდება და გადაეცათ ლენინის ორდენი და ოქროს მედალი „ნამგალი და ურო"

იგი დაიბადა 1927 წლის 15 აგვისტოს დედოფლისწყაროს რაიონის სოფ. გამარჯვებაში. კაცელი გლეხის ბიჭი ნითელწყაროს რაიონის სოფ. გამარჯვებაში აღიზარდა, გამოიზრთო და დავაჟკაცდა.

1962 წელს თანაოფლელებმა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ნიჭიერი ორგანიზატორი კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს. თითქმის 14 წელი დაჰყო მან ამ პატიოსანებ პოსტზე. ეს იყო სოფელ გამარჯვების ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის ნამდვილი ნინავლისა და აღმავლობის წლები, ნინსვლა და აღმავლობა კი თავისთავად როდი მოსულა. მასში მეტად დიდია ივანე ფიროსმანაშვილის ხელმძღვანელი და მაორგანიზებელი როლი.

შემდგომში, ასევე, დიდი ნდობა გამოუცხადეს ახლა უკვე რაიონის მშრომელებმა და იგი რაიონმა კომბინატის თავმჯდომარედ აირჩიეს.

ივანე ფიროსმანაშვილი ამჟამადაც მთელი ენერგიითა და მონდომებით შრომობს, ოღონდ ამ ენერგიას არ ზოგავს ეკეკლის ნინავლის საკეთილდღეოდ.

ალექსანდრე ყიასაშვილი

1897-1944

ნიჭიერი ქართველი მსახიობი ალექსანდრე ზაქარიას ძე ყიასაშვილი დაიბადა 1897 წელს დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანში. მან მშობლიურ კახეთში გაატარა ბავშვობა, დაწყებითი განათლებაც აქვე მიიღო. მალე თბილისის ვაჟთა მეორე გიმნაზიაში განაგრძო სწავლა. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ (1917 წელს) ა. ყიასაშვილი მშობელ კუთხეს დაუბრუნდა და სოფლის სკოლაში რუსული ენის მასწავლებლად დაინყო მუშაობა. იმავე დროს დგამდა ნარმოდგენებს სოფლის ახალგაზრდობასთან ერთად. ამ ნარმოდგენებს, როგორც მათი მომსწრენი და მონაწილენი ადასტურებენ, სოფლის ცხოვრებაში საკმაოდ სერიოზული ადგილი ეკავა და, ღრმა კვალიც დაუტოვებია ალ. ყიასაშვილს თანასოფლელთა გულსა და გონებაში.

1921 წელს ალ. ყიასაშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა. სულ მალე ყმანვილურმა გატაცებამ, თეატრის დიდმა სიყვარულმა - იგი საქართველოს პროლეტკულტის დრამატულ სტუდიაში მიიყვანა. სამსახიობო ხელოვნებას საბელმოხვეჭილი ქართველი რეჟისორები: ალ. წუნუნავა, კ. ანდრონიკაშვილი და მაშინ სრულიად ახალგაზრდა მიხ. ჭიაურელი ასწავლიდნენ. ეს იყო ჩინებული პროფესიული სკოლა. სტუდიის დამთავრებამდე, 1924 წლიდან დაინყო ალ. ყიასაშვილის აქტიორული ბიოგრაფია. იგი ჯერ თბილისის ნითელ თეატრში მუშაობდა (1924-1926 წწ.), მერე თბილისის მუშათა თეატრში, ეუთაისის, თელავის თეატრებში. თითო წელი დაჰყო მსახიობია და რეჟისორის როლში ლაგოდეხისა და ბორჯომის მუშათა კლუბებში. ახალგაზრდა ხალისით, გატაცებით იღვწოდა. ყველაფერს, რასაც კი აკეთებდა, თან ახლდა გასაოცარი მომხიბვლელობა და არტისტიზმი.

ვისაც ალ. ყიასაშვილის პირველი აქტიორული ნაბიჯები უნახავს, ყველა ერთხმად გვიდასტურებს, რომ მსახიობი იმთავითვე განსხვავდებოდა თავის თანატოლთაგან: ჰქონდა მშვენიერი გარეგნობა, სასიამოვნო ხმა, დარბაისლური მეტყველება, სცენური მომხიბვლელობა — ყველაფერი ის, რაც დაუღალავ შრომასთან შერწყმული კარგ მომავალს უქადდა ახალგაზრდას. დღესაც, ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ, სიამოვნებით იგონებენ ალ. ყიასაშვილის პირველ როლებს, პირველ ნარმატებებს...

არტისტული ბიოგრაფიის ჭეშმარიტი აღორძინება ალ. ყიასაშვილისათვის მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში მოსვლას უკავშირდება (1930 წ.), ეს არც არის გასაკვირი — ის აქ ერთდროულად მსახიობიც იყო და პედაგოგიც...

მსახიობი პროლეტკულტის სტუდიის დიპლომითა და გარკვეული პროფესიული გამოცდილებით აღჭურვილი მოვიდა ახალგაზრდა კოლექტივში, რომელიც ძნელ, გაუკვალავ გზას დადგომოდა. ეს იყო მანამდე არარსებული საბავშვო თეატრის შექმნის გზა. მოვიდა თავის თანატოლებთან, რომელთაც ამ რთულ გზაზე ჩინებული რეჟისორი და პედაგოგი, წარსულში თვითონაც სახელმოხვეჭილი მსახიობი, იმხანად კი ამ ახალი საქმისათვის თავგადაკლული მებრძოლი, ალექსანდრე თაყაიშვილი ჰყავდა მეგზურად. ალ. ყიასაშვილი ჩვეული ენერგიით მოეკიდა საქმეს. სულ მოკლე ხანში — პირველი როლებიდანვე დაიმსახურა, თეატრის ხელმძღვანელობის ნდობა და დაფასება, კოლეგების სიყვარული, მაყურებლის აღიარება. ჩინებულ მსახიობთა თანავარსკვლავედში, რომელიც

იმ წლების მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის სცენას ამშვენებდა, საკუთარი, მხოლოდ მისთვის განკუთვნილი ადგილის დამკვიდრება, ნორჩი მაყურებლის სიყვარულის მოპოვება, აღტაცებულთა ტაშის დამსახურება ადვილი საქმე არ იყო. ეს ცხადყოფდა, რომ იგი არ შემცდარა, როცა თავის პირველ პროფესიას — მასნავლებლობას „ულალატა". თუმცა, აბა ეს რა ღალატი იყო - აქაც ხომ ნორჩების აღზრდის ძნელ საქმეს ემსახურებოდა. და რარიგ დასანანი იყო, როდესაც ოჯახურმა პირობებმა აქტიორული შემოქმედების ზენიტში დაატოვებინა სცენა და დააბრუნა მშობლიურ სოფელ მაჩხაანში — რუსული ენისა და ლიტერატურის მასნავლებლად და კვლავ, როგორც ახალგაზრდობის წლებში —დრამატული წრის მსახიობად და რეჟისორად, მის უცვლელ ხელმძღვანელად მოგვევლინა 1948 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე.

მაგრამ დავუბრუნდეთ მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრს, დავუბრუნდეთ ალ. ყიასაშვილის შემოქმედების საუკეთესო, უმნიშვნელოვანეს და, ალბათ, უბედნიერეს პერიოდს.

მის მაყურებლებს, ყოველთვის გვახარებდა ალ. ყიასაშვილის გმირებთან შეხვედრა. ერთნაირად საინტერესო იყო მის მიერ გაცოცხლებული ყველა პერსონაჟი. მსახიობის მადლიანი ნიჭის მეოხებით საშინლად გვძულდა ბოროტი მეფე „კომბლედან", როტმისტრი ლავროვი („ცეცხლის ხაზზე"), კულაკი („მარშალი ბავშვობისას"), გვძაგდა ყოველივე ბოროტი, რასაც ფარდას ხდიდა მსახიობი, გვიყვარდა გელა, პატარა კახის ერთგული თანამებრძოლი, თანავუგრძნობდით თავად ციციშვილს („შორეული გზით"), საბრალო ეაჯანას ბედკრულ მამას, მსახიობის მიერ გაცოცხლებულ სხვა დრამატულ პერსონაჟებს. ინტერესით ვადევნებდით თვალს მის ჟერონს („სკაპენის ოინები"), ლვთისავარს („არსენა მარაბდელი"), ჰერცოგს („რომეო და ჯულიეტა"), თავად გივის („სურამის ციხე"), ბევრ ადგა როლს. ეს როლები რაღაც ახალს გვასნავლიდა, ხელოვნებასთან თანაზიარობის სიხარულს გვანიჭებდა.

ა. ყიასაშვილი გარდაიცვალა 47 წლის ასაკში, 1944 წელს.



ნიკო ყიასაშვილი

1926-1996

საზღვარგარეთის თანამედროვე ლიტერატურული პროცესების სამეცნიერო ლაბორატორიის ხელმძღვანელი, საკავშირო მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული შექსპირის შემსწავლელი კომისიის საქართველოს განყოფილების თავმჯდომარე, შექსპირის საერთაშორისო ასოციაციის საპატიო ნევრი, მისი აღმასრულებელი კომიტეტის ნევრი საბჭოთა კავშირიდან, მწერალთა კავშირის მთარგმნელთა ბიუროს თავმჯდომარე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი—ასეთი იყო ნიკო ყიასაშვილის მოღვაწეობის ამსახველი ტიტულატურა. ნიკო(ნიკოლოზ) ალექსანდრეს ძე ყიასაშვილი დაიბადა 1926 ნელს დედოფლისწყაროს რ-ნის სოფ. ზემო მაჩხაანში.

იგი ნლების მანძილზე ბელმძღვანელობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისტიკის დარგს. თაობები აღიზარდნენ მის ტკბილ ქართულსა და კეთილხმოვან ინგლისურზე. და თუ როგორი აღმზრდელი და მოამაგე იყო, ეს მისი მეგობრების, აღმზრდელების საუბრებშიც ნათლად ჩანს.

ნიკო ყიასაშვილის მშობლები მსახიობები იყვნენ, თვითონ კი რეჟისორობაზე ოცნებობდა. საშუალო ადამიანი ხელოვნებაში ხელმოცარულიაო, ეუბნებოდა მამა და მისგან ოსტატობას მოითხოვდა, ისეთ ოსტატობას, ქართული თეატრის ისტორიაში საკუთარ ხელწერას რომ მოიტანდა. მერე ისევ უნივერსიტეტი აირჩია. ამ დროისათვის საკმაოდ კარგად ფლობდა ინგლისურ ენას და გატაცებული იყო მხატვრული ლიტერატურით.

ერეკლე ტატიშვილისაგან — დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის დამაარსებლისაგან ბატონი ნიკო და მისი მეგობრები უფრო მეტს სნავლობდნენ, ვიდრე რომელიმე სასნავლო გეგმასა და სახელმძღვანელოშია ჩაწერილი. მისმა საუბრებმა ფილოსოფიურ თუ ესთეტიკურ პრობლემებზე და ქართული ლიტერატურის მკვლევარის გრიგოლ კიკნაძის დახვენილმა გემოვნებამ, ადამიანებისადმი დამოკიდებულების განსაკუთრებულმა უნარმა კეთილი კვალი დაამჩნია ახალგაზრდების სულს.

ქართულ შექსპირიანას ივანე მაჩაბლისეული თარგმანები ამშვენებს. იმთავითვე იგრძნო ქართველმა მკითხველმა შექსპირის დრამატურგიის, მისი პოეზიის სიდიადე. ნიკო ყიასაშვილი ამ საშვილიშვილო გამოცემის მთავარი რედაქტორი, წინასიტყაობისა და კომენტარების ავტორია. უნივერსიტეტში შექსპირის კაბინეტი რომ არსებობს და საზღვარგარეთთან კულტურული ურთიერთობის კეთილ საქმეებს ამრავლებს, ესეც ნ. ყიასაშვილის დამსახურებაა.

„ულისეს“ ორიგინალში ნაკითხვას ვერ ვბედავ, რადგან ამისათვის ინგლისური ენის განსაკუთრებული ცოდნაა საჭირო, “ — წერდა თომას მანი. ნიკო ყიასაშვილს უნდა ვუმადლოდეთ, რომ საშუალება გვაქვს, ვიცოდეთ (ვიცნობდეთ მაინც!) ჯეიმზ ჯოისი — მოდერნისტული ლიტერატურის კლასიკოსი.

მთარგმნელს „ულისეს“ შესავალში მოაქვს, მორგენს ბოისენის ციტატა, რომელიც კარგად გამოხატავს მის განწყობილებას: „ახსნა იმისა, თუ როგორ უნდა ითარგმნოს „ულისე“, ანდა როგორ ვცადე მე ამის გაკეთება? შეუძლებელია! მაშინ ორიოდე სქელი ტომი უნდა დამეწერა ამ მძიმე განსაცდელის მთელ საშინელებათა და სიამეთა აღსანერად“

მშვენიერი ცხოვრების გზაზე კეთილმა მწყემსმა თავმდაბლად, უხმაუროდ აკეთა დიდი საქმე და ერისა და საზოგადოების წინაშე ვალმოხდილმა დატოვა საწუთრო.

ნიკოლოზ ჟოჩიაშვილი

1918-1991

ნიკო სტეფანეს ძე ყოჩიაშვილი დაიბადა 1918 წელს სიღნაღის რაიონის სოფ. ზემო მაჩიაანში.

1933 წელს დაამთავრა ნითელწყაროს გლეხთა ახალგაზრდობის სკოლა, დაიწყო მუშაობა ა. ჯაფარიძის კოლმეურნეობაში რიგით კოლმეურნედ.

1942 წლიდან 1946 წლამდე იყო სოფ. ჯაფარიძის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე.

1946 წლიდან 1989 წლამდე ხელმძღვანელობდა სოფ. ჯაფარიძის კოლმეურნეობის გამგეობას.

1956 წელს დაამთავრა გურჯაანის რაიონის სოფ. ბაკურციხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი უმცროსი აგრონომის პროფილით.

იყო: საკ. სსრ უმაღლესი საბჭოს V-VI-VII მოწვევის დეპუტატი, ნითელწყაროს რაიონული საბჭოს დეპუტატი, საქართველოსა და საბჭოთა კავშირის კომ. პარტიის მე-20 და 23-ე ყრილობის დელეგატი, საკავშირო კოლმეურნეთა III-IV ყრილობის დელეგატი.

დაჯილდოებულია ოთხი ორდენითა და 10 მედლით. არის სოციალისტური შრომის გმირი.



კოგა ჩოხელი

1893-1971

კოგა ხარსიელის ძე ჩოხელი დაიბადა 1893 წლის 3 აგვისტოს სოფ. ჯუღისში. 1921-25 წლებში იყო დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედის ე.წ. თემკომის თავმჯდომარე, ხოლო 1926-32 წლებში მის მიერვე შექმნილი კომუნის ხელმძღვანელი, შემდგომ კომუნის ბაზაზე შექმნილ კოლმეურნეობას თავმჯდომარეობდა 1932-48 წლებში.

კ. ჩოხელი გარდაიცვალა 1971 წელს.

დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით, ოქტომბრის რევოლუციის ორდენითა და მედლებით.

ალექსანდრე ალადაშვილი

1909-1974

ალექსანდრე ალადაშვილი დაიბადა 1909 წელს დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ არბოშიკში. საშუალო განათლება მიიღო თბილისში. საბუღალტრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მთელი სიცოცხლე ბუღალტრად მუშაობდა, თავისუფალ დროს კი ყოველთვის დიდი გატაცებით ხატავდა.

ა. ალადაშვილმა თავისი ნამუშევრები პირველად 1965 წელს გამოიტანა საქართველოს სამხატვრო გალერეაში მონყობილ თვითნასწავლ მხატვართა ნამუშევრების რესპუბლიკურ გამოფენაზე, ამის შემდეგ იგი სისტემატურად მონაწილეობდა თვითნასწავლ მხატვართა ნამუშევრების რესპუბლიკურ და საკავშირო გამოფენებზე და მისი სურათები ყოველთვის განსაკუთრებულ მონონებას იმსახურებდა

1967 წელს ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავთან დაკავშირებით, თვითნასწავლ მხატვართა სრულიად საკავშირო გამოფენაზე ა. ალადაშვილმა დაიმსახურა პირველი ხარისხის დიპლომი, ოქროს მედალი და გამოფენის ლაურეატის ნოდება; 1970 წელს ვ.ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს პროფკავშირების მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკური სახლის მიერ მონყობილ სახვითი და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ხალხურ ოსტატთა რესპუბლიკურ გამოფენა-კონკურსზე ჟიურიმ ა. ალადაშვილი ნიკო ფიროსმანაშვილის სახელობის პირველი პრემიითა და საპატიო სიგელით დააჯილდოვა. 1972 წელს მოძმე რესპუბლიკების თვითნასწავლ მხატვართა ნამუშევრების მოძრავ გამოფენებზე ბაქოსა და ერევანში ა. ალადაშვილის ნამუშევრება საპატიო სიგელები მიანიჭეს, შემდგომშიც არაერთხელ დაუმსახურებია ქება და მონონება საკავშირო თუ საზღვარგარეთ გამოფენილ მის ნამუშევრებს. ისინი დემონსტრირებული იყო ჩეხოსლოვაკიაში, პოლონეთში, გერმანიის ფედერაციულ და დემოკრატიულ რესპუბლიკებსა და სხვა ქვეყნებში. ალექსანდრე ალადაშვილი შესულია ნიკო ფიროსმანის გვერდით, ნაივური ხელოვნების ნლის მსოფლიო ენციკლოპედიაში.

ყვარელი


ყვარლის რაიონი
საქართველო
ალაზანი
ბრეები
ყაბეჯ
ბილღა
ენისელი
ალაზანი
ყვარელი
ანაკლოფელი
ქუქანი
ქიკანი
ბოისძირი
გავაზი
ბ ე ს ლ ე ნ ი ს
ს ე ბ
0 5 10 15 20 25 30 35 40 45 50 55 60 65 70 75 80 85 90 95 100 105 110 115 120 125 130 135 140 145 150 155 160 165 170 175 180 185 190 195

ყვარლის რაიონი — ადმინისტრაციულ-ტერიტორიული რაიონი აღმოსავლეთ საქართველოში, შიგნით კახეთში, მდ. ალაზნის მარცხენა მხარეს. 1930 წლამდე შედიოდა თელავის მაზრაში. 1930 წლიდან დამოუკიდებელი რაიონია.

პაპა — ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული.

ნიადაგი — უკარბონატო ალუვიური თიხნარი და მასთან მიახლოებული ნიადაგები.

მცენარეული — დაბლობის მუხა, ვერხვი, იფანი, მურყანი, რცხილა, წიფელი, ნაბლი, ცაცხვი, ნეკერჩხალი, ბზა. ქვეტყეს ქმნის კუნელი, ზღმარტლი, შინდი, თხილი, გარეული ტყემალი და სხვ.

ცხოველი — მურა დათვი, შველი, არჩვი, გარეული ღორი, მგელი, მელა, ტურა, კურდღელი, დედოფალა და სხვ.

თევზი — ხრამული, მურწა, კარჩხალი, წვერა, ლოქო, კობრი, გოჭალა, ჭანარი, ჭერეხი და სხვ.

მრეწველობა — კვების მრეწველობა, 4 ღვინის ქარხანა (ენისელში, ყვარელში, შილდასა და ახალსოფელში) და სხვ.

ხუროთმოძღვრული ძეგლებია — ძველი გავაზის ღვთისმშობლის ეკლესია (VI ს.) ახალსოფლის მახლობლად, გრემის მთავარანგელოზის ტაძარი (1565 წ.), ნეკრესის სამონასტრო ანსამბლი (IV-IX სს. XVI ს.), აღდგომის ეკლესია ენისელში (XV ს.), გუმბათოვანი ეკლესია „კვირაცხოველი", სოფ. ჭიკაანში (XV-XVII სს.), შილდისა და ყვარლის ციხეები (XVIII ს.) და სხვ.

ი ლ ი ა

1837-1907

[illegible] ორგიერთს [illegible] ეკუნიასს [illegible] ქართველს [illegible]
[illegible] თავისი ერისათვის. [illegible] ქვეს [illegible] ეროვნულს
საქართველოისთვის

ი. გოგებაშვილი

[illegible] ქვეთ. [illegible] [illegible]
[illegible] [illegible] [illegible] [illegible]—

ილია ქართველი მწერალი, მრავალმხრივი მოაზროვნე და მკვლევარი, მებრძოლი პუბლიცისტიკის ფუძემდებელი, XIX საუკუნის საქართველოს უდიდესი ეროვნული მოღვაწე, ქართული ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის სულისჩამდგმელი და ნინამძღოლი, ქართველი ერის მამად წოდებული, ქართველი ხალხის უსაყვარლესი პოეტი და დრამატურგი ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე დაიბადა 1837 წლის 8 ნოემბერს ყვარელში.

ილიას მამა გრიგოლ ჭავჭავაძე ხელმოკლე მემამულე იყო, სამხედრო პირი. მან თავი გაანება სამხედრო სამსახურს, დაბრუნდა ყვარელში და მთელი ცხოვრება იქ გაატარა.

გრიგოლი მაშინდელი დროისათვის საკმაოდ განათლებული პიროვნება ყოფილა.

ილიას დედა — მარიამ ბებურიშვილი კარგად იცნობდა ქართულ მწერლობას, ზეპირად იცოდა ბევრი ლექსი და მოთხრობა...

ათ წლამდე ილია ყვარელში იზრდებოდა. მომავალ პოეტს წერა-კითხვა შეასწავლა ყვარლის ეკლესიის დიაკვანმა, რომელიც ქართული მწერლობისა და საქართველოს ისტორიის კარგი მცოდნე ყოფილა. მან იცოდა წარსული ამბების მშვენივრად თხრობა. უკვე ხანში შესული ილია ჭავჭავაძე სიამოვნებით იგონებს დიაკვნის ნაამბობს. „ბევრი ამ ამბავთაგანი, — ამბობს პოეტი, — ღრმად ჩამრჩა გულში და ერთი მათ შორის — „დიმიტრი თავდადებული" — თემად გამოვიყენე მრავალი წლის შემდეგ. ჩემს „გლახის ნაამბობში" ზოგიერთ ადგილას ცხადად ამჩნევია კვალი დიაკვნის ნაამბობის გავლენისა"

როდესაც ილიას დედა გარდაიცვალა, გრიგოლმა სთხოვა თავის ქვრივ დას, მაკრინეს, დაბრუნებულიყო ოჯახში და დახმარებოდა მცირეწლოვანი ბავშვების აღზრდაში. მაკრინე დათანხმდა და დედობრივი მზრუნველობით შეუდგა ობლების აღზრდას. იგი განათლებული, ნაკითხი ქალი იყო და დიდი გავლენაც მოახდინა ილიაზე.

ილიას ბავშვობიდანვე იტაცებდა ხალხური ლექსები, ხშირად მოიხმობდა სოფლის ბავშვებს, მოსამსახურეებს და ლექსებს ათქმევინებდა...

1850 წელს ილია შეიყვანეს თბილისის გიმნაზიაში, სადაც ადრე საქართველოს გამოჩენილი მგოსანი ნიკოლოზ ბარათაშვილი სწავლობდა. გიმნაზიაში ილია ნიჭიერ და გონებამახვილ მოსწავლედ ითვლებოდა; ბევრს მეცადინეობდა; რასაც ხელს მოჰკიდებდა, უსათუოდ ღრმად და ზედმიწევნით შეისწავლიდა.

1857 წელს ილია სწავლის გასაგრძელებლად რუსეთში გაემგზავრა და შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. იმ ხანებში პეტერბურგში ბევრი ქართველი სტუდენტი სწავლობდა. მათ დააარსეს წრე, რომლის ხელმძღვანელობა ილია

ჭავჭავაძეს დააკისრეს. ილია ძალიან ბევრს კითხულობდა როგორც ქართულ, ისე რუსულ და ევროპულ ლიტერატურას.

ამ ხანებში პეტერბურგისა და, საერთოდ, რუსეთის უნივერსიტეტების მონინავე სტუდენტებში ფეხს იკიდებდა რევოლუციური აზრები. ილია ჭავჭავაძე თანაუგრძნობდა ამ მოძრაობას. სნორედ ამ დროს მან დაწერა „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან", „გუთნისდედა", „ელეგია", „პოეტი", „მესჰის, მესმის", „გაზაფხული", შეუდგა „კაცია-ადამიანის?!" წერას და სხვ.

რევოლუციურად განწყობილი სტუდენტების ნინააღმდეგ მთავრობა სასტიკ ზომებს იღებდა. უნივერსიტეტში შემოიღეს ახალი, მკაცრი რეჟიმი. ილია მაშინ მეოთხე კურსზე ანავლობდა. მან, პროტესტის ნიშნად, მიატოვა უნივერსიტეტი, სამშობლოში დაბრუნდა და განაგრძო მეტად ნაყოფიერი შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობა.

1863 წელს ილიამ გამოსცა ჟურნალი „საქართველოს მოამბე". ამ ჟურნალის გარშემო გაერთიანდა მაშინდელი მონინავე ინტელიგენცია. „საქართველოს მოამბემ" მალე დიდი პოპულარობა მოიპოვა.

ჟურნალის დაბურვის შემდეგ ილია ჭავჭავაძე შევიდა სახელმწიფო სამსახურში. იგი დაინიშნა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის საგანგებო მინდობილობათა მოხელედ. შემდეგ გადაიყვანეს დუშეთში, სადაც ჯერ მომრიგებელ-შუამავლად მუშაობდა, ხოლო შემდეგ — მომრიგებელ-მოსამართლედ.

ილია ხალხის დიდი სიყვარულით სარგებლობდა. გლეხები მას იცნობდნენ, როგორც ჩაგრულთა მოსარჩლესა და მიუდგომელ მოსამართლეს, თავადები კი მტრულად უყურებდნენ.

თავადაზნაურთა საგანგებო ყრილობაზე, სადაც ირჩეოდა საკითხი — როგორ უნდა გათავისუფლდნენ გლეხები ბატონყმობისაგან — უმინოდ თუ მინიანად, ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძემ განაცხადა: გლეხებს მინა უნდა მიეცესო; ამის გამო ერთ-ერთმა თავადმა ხანჯალი იშიშვლა და ილიასაკენ გაექანა, მაგრამ შეაკავეს.

გლეხები უმინოდ გაათავისუფლეს, მაგრამ ილიამ ყვარელში თავის გლეხებს ვენახები და მინები უსასყიდლოდ გადასცა და ხელშეუხებელ საკუთრებად დაუმტკიცა. ამით მოსჰო ყოველგვარი ბატონყმური დამოკიდებულება ყოფილ ყმებთან.

დუშეთში ილია ათ წელს მსახურობდა.

მაშინდელი ახალგაზრდა მოღვაწეები დიდად იყვნენ მონადინებულნი, რომ ილია თბილისში დაბრუნებულიყო და სათავეში ჩასდგომოდა ლიტერატურულ საქმიანობას.

1874 წელს ილია თბილისში გადმოვიდა. იგი აირჩიეს ახალგახსნილი სათავადაზნაურო ბანკის დირექტორად. ამ თანამდებობაზე 30 წელს იმუშავა. მისი მეშვეობით ბანკი დიდ დახმარებას უნევდა სკოლებს, ქართულ თეატრს, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასა და სხვა კულტურულ დაწესებულებებს.

თბილისში გადმოსვლის შემდეგ ილია ბევრ საზოგადოებრივ საქმეში მონაწილეობდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მუშაობა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში, რომელიც ქართველმა მოღვაწეებმა 1879 წელს დააარსეს. ილია ამ საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე იყო...

ფასდაუდებელია ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობა საქართველოში პროფესიული და უმაღლესი განათლების საქმეში. იგი ზრუნვასა და შემწეობას არ აკლებდა უცხოეთში მყოფ ქართველ სტუდენტებს. დაგვიტოვა მრავალი ნაშრომი სახალხო განათლებისა და პედაგოგიურ საკითხებზე . განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მათში ფუნდამენტურ ნაშრომს: „პედაგოგიკის საფუძვლები" (1888ნ.)

უაღრესად ვრცელი იყო მისი მოღვაწეობის სფერო: პოეზია, პროზა, დრამატურგია, ისტორია, ენის თეორია, სამართალი, ეკონომიკური მეცნიერება, პუბლიცისტიკა, ქართული თეატრი, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, საადგილმამულო ბანკი, პერიოდიკა — „საქართველოს მოამბე" და „ივერია", პედაგოგიკა, ლიტერატურული კრიტიკა, თარგმანი, — ყველა ამ დარგში ილია ჭავჭავაძემ ღრმა კვალი გაავლო, როგორც მოაზროვნემ, მხატვარმა და საზოგადო მოღვაწემ.

*დაე, თეძო ძოუტე

ქეთევან წამებული

1575-1624

ახელოვანი დედოფალი კახეთისა, ქეშმარიტი დედა სრულიად საქართველოსი, საარაკო გმირი და სამშობლოსათვის ნამებული წმინდანი — წმინდა ნინოსა და თამარ შვიდმნათობიერის ბადალი ქალი-მნათობი დაიბადა XVII საუკუნეში არაგვის ხეობაში. გრემ-ქალაქის ისტორია სისხლხორცეულადაა გადაჯაჭვული ქეთევან დედოფლის მოღვაწეობასთან, მის გმირულ ცხოვრებასა და ტრაგიკულ ბედთან.

მრავალ ერს ბუნურდებოდა, ჰყოლოდა ისეთი პატრიოტი დედოფალი, როგორიც ქეთევანი იყო. მამული, ენა, საარწმუნოება იყო სწორედ ის უმაღლესი მრწამსი, რისთვისაც ენამა და სიცოცხლე განირა გმირმა დედოფალმა. იგი მაშინ ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, როცა ირანის ძლევამოსილი შაჰ-აბას პირველი გულდაგულ ემზადებოდა საქართველოს საბოლოოდ ამოსაგდებად და ყიზილბაშურ სახანოდ გადასაქცევად.

1624 წელს შირაზში (სპარსეთის დედაქალაქი) შაჰ-აბასის ბრძანებით, სასტიკი წამების შემდეგ მოაკვდინეს ქეთევან დედოფალი.

ქეთევანი იყო ამოთან მურანბატონის ასული. 14 წლისა იგი ცოლად შერთეს კახეთის მეფის—ალექსანდრეს ვაჟს, დავითს. აშოთანი თავისი დროის ცნობილი მოღვაწე იყო. სწორედ მისი მეცადინეობით დაზავდნენ სვიმონ ქართლისა და ალექსანდრე კახთა მეფეები.

ქეთევანის ვაჟი, თეიმურაზი სულ პატარა იყო, როდესაც ბიძამისმა გიორგიმ დაატყვევა თავისივე მამა მეფე ალექსანდრე და ძმა დავითი. მალე, 1602 წელს ქეთევანის მეუღლე გარდაიცვალა. ამ დროისათვის ალექსანდრე მეფეც საკმაოდ მოხუცი იყო. იმის მიხედვით, რომ გიორგი დაიპყრობდა კახეთს და თეიმურაზსაც არ დაინდობდა, ქეთევანმა ერთადერთი ვაჟი შაჰ-აბასს გაუგზავნა „აღსაზრდელად“

ამასობაში შაჰის კარზე გაზრდილმა, გამაჰმადიანებულმა კონსტანტინემ, რომელიც, აგრეთვე, ალექსანდრეს ვაჟი იყო, შაჰის ბრძანებით ვერაგულად მოკლა თავისი მამა და ძმა, გიორგი და ტაბატი დაიკავა.

მამისა და ძმის მკვლელმა თავის რძალს, ქეთევანს ქმრობა შესთავაზა, ქეთევანმა, რომელიც კახეთის მეფეთაგან ედგა სათავეში, ბრძოლა გაუმართა ირანის აგენტს. დედოფალმა დაამარცხა კონსტანტინე (რომელიც ამ ბრძოლაში დაიღუპა) და კახეთში გამეფდა. მალე შაჰ-აბასს ეეთევანის ელჩებმა თეიმურაზის კახეთის მეფედ გამოგზავნა სთხოვეს. 1606 წელს 16 წლის თეიმურაზი კახეთის ტახტზე ავიდა. ვაჟის მცირენლოვანების გამო რამდენიმე ხნის განმავლობაში სამეფოს ენერგიული და ქკვიანი ქეთევან დედოფალი განაგებდა...

... შაჰ-აბასმა ეეთევან დედოფალს ცოლობა სთხოვა. ცოტა ხნით ადრე, 1620 წელს, შაჰ-აბასმა ქეთევანის ორი შვილიშვილი — ლევანი და ალექსანდრე დაასაჭურისებინა, რის შემდეგაც უმცროსი ვაჟი — გარდაიცვალა, უფროსი კი ჭკუიდან შეიშალა. შაჰის ბიწიერი თხოვნით შეურაცხყოფილ დედოფალს თავისი უზადო ქალური სიმშვენიერეც შესძაგდა და გულზიზღიანად ბრძანა: აღარავინ გამიბედოს ესოდენ მკრეხელური სიტყვაო... უსაზღვროდ დამცირებულად იგრძნო თავი შაჰ-აბასმა და ბრძანა წამება ქართველი ქალისა. „წამების ხელოვნებას“ კი ოცდაერთი საუკუნის გამოცდილება ჰქონია სპარსეთში. ყოველივე ეს მან დაავალა იმამ-ყული-ხან უნდილაძეს: „დაუყოვნებლივ, ჩემი სახელით უბრძანე ქეთევან დედოფალს, — ბრძანებდა იგი, — ქრისტიანობა განაგდოს და მაჰმადიანობა მიიღოს, ხოლო უკეთუ ჩემი ბრძანება არ აასრულოს, მაშინვე სასტიკი წამებით შეჰყარე სიკვდილს!“

სხვა გზა არ იყო, უნდილაძე ღვთაებრივ ქეთევან დედოფალს ემუდარებოდა, მხოლოდ გარეგნულად, სპარსელთა საჩვენებლად მაინც მიელო მაჰმადიანობა, ხოლო გულით ისევ ქრისტიანი ყოფილიყო. ქეთევანმა მშვიდად უპასუხა: „ჩემო კეთილო ძმაო! სხეულის სიკვდილისათვის არ გავწირავ ჩემს სულს, რასაც ჰქვია ქრისტიანობა და ქართველობა! სხეული მიწაა და დღეს თუ ხვალ იაედაც მიწად უნდა იქცეს, ბოლო ქრისტეს სჯული და ქართველი, რომელიც ჩემ ხში დაბადებითვე ჩანაილებულია, უკვდავია, მარადიული და მისი მოკვლა არც შენს იელმწიფეს ძალუძს და არც მის ცრო ღვთაებას!" ეს სიტყვები დღესაც ამაყად ყლერა. ... ქართველი დედოფალი ფემმარიტ პატრიოტიზმსა და მის უკვდავებაზე ღაღადებენ. დედოფლის ... ნი ... ლოდ ერთეულები არიან. მათი უკვდავი სახელები შთამომავლობას საუოებით გადაეცემა.

ისევ იმ ავბედით დღეს დავუბრუნდეთ. შირაზი, 1624 წლის 13 სექტემბერი. ხალხით იყო გაჭედილი ეგრეთ წოდებული „შეიდანი" აქ თავი მოეყარათ სპარსელთ, ქართველთ, სომეხთ, ჩერქეზთ, იტალიელებს, პორტუგალიელ მიციონერებს... თვთრი კაბით შემოსილი გამოვიდა ქეთევან დედოფალი. მას ნინელ ხალათიანი ჯალათები მოაცილებდნენ. ჯადოსნური სილამაზის ქალმა სიკვდილის წინ ითხოვა, ლოცვის ნება დაერთოთ. კათოლიკურ ეკლესიაში შევიდა რიტუალის შესასრულებლად. დედოფალმა დალოცა საქართველო, ღვთისმშობელს შეავედრა მისი ნილხვედრი ქვეყანა, მერე მარიამს და იესოს ტკივილთა დათრგუნვის ძალა მესთხოვა და განნმენდილი და განმტკიცებული გამოვიდა სამლოცველოდან. ეს მისი უკანასკნელი ლოცვა იყო. ამის შემდეგ ცეცხლთან მივიდა, დადგა და ანიშნა ჯალათებს, რომ მზად იყო მათი ნების აღსასრულებლად, მათაც არ დააყოვნეს, გაიურებული ბანთებით მოჰგლეჯეს ორივე მკერდი და სხეულს ცეცხლი ნაუკიდეს. „საქართველო"! – კიდევ აღმოიდა ნამებულის ბაგეს ეს უკანასკნელი სათაყვანებელი სიტყვა. ქეთევან დედოფლის დამწვარი, დასაბიჩრებული სხეული ჯალათებმა უსაფლავოდ მიატოვეს. მისმა ღირსეულმა ფერ თეიმურაზმა გმირი დედის ნამთები ძვირფას კუბოში ჩაასვენა. კუბეთი გადმოაკვეთა და ალაგერდი ტაძარში დაკრძალა.

ქეთევან დედოფლის ტრაგიკული აღსასრული ქართულ პოეზიაში პირველად აღნერა თეიმურაზმა პოემაში „ნამება ქეთევან დედოფლისა". იგი დანერილია 1629-1634 ნლებს შორის.

თეიმურაზი დანვრილებით აგვინერს ქეთევანის თავგადასავალს და განსაკუთრებით შემზარავი ნატურალიზმით გადმოგვცემს ნამების მომენტს:



„მოკვდა დედოფალი და ნამებული ქეთევანი, რომელიც მინიერი დედოფლიდან ციური დედოფალი გახდა", – ნერს ამბროსიო დუშ ანეუში – პორტუგალიელი ავგუსტინელი მისიონერი, წმ. კონგრეგაცია დე ფიდეს გენერალური პროკურორი აღმოსავლეთ ინდოეთში და მისი მისიონის პრეზიდენტი საქართველოში. იგი შირაზში პირველად ჩავიდა 1618 ნელს და მაშინვე შეხვდა ქეთევან დედოფალს, ხოლო 1622 ნლიდან იგი განუწყვეტლივ შირაზში იყო, დედოფალს ხვდებოდა და მისი მონამებრივი სიკვდილის მოწმე გახდა.

ქართულმა ეკლესიამ სამშობლოსა და სარწმუნოებისათვის ნამებული დედოფალი წმინდანად შერაცხა.

დაე, ქეთევანის მსგავს გმირთა წმინდა აჩრდილები იფარავდნენ დღევანდელ საქართველოს, მის მიწასა და ზეცას, მის მრავალ ჭირნახულ ხალხს.

კოტე მარჯანიშვილი

1872-1932

ივარლის მუაგულში ამაყად დგას XIX საუკუნის პირველ ნახევარში აგებული ლამაზი ორსართულიანი შენობა, სადაც დაახლოებით 150 წლის წინათ, 1872 წლის 28 მაისს (9 ივნისს) დაიბადა დიდი ქართველი თეატრალური რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი — ელისაბედ ქავქავაძისა და ალექსანდრე მარჯანიშვილის მერვე შვილი და პირველი ვაჟიშვილი.

კოტემ განათლება მიიღო თბილისის პირველ გიმნაზიაში, სადაც ხშირად მონაწილეობდა საკოლო წარმოდგენებში.

კოტე მარჯანიშვილი თეატრის სცენაზე პირველად გამოვიდა 1894 წელს ქუთაისის დრამატულ დასში, რომელსაც ა. მეაი ხელმძღვანელობდა. ამავე წლის 27 ნოემბერს დებიუტი ჰქონდა თბილისის სცენაზე, შეასრულა ერეკლეს როლი ა. ნერეთლის დრამატულ პოემაში „პატარა კახი". 1897 წელს მარჯანიშვილი გაემგზავრა რუსეთში, მსახიობობდა ე. ელიზავეტგრადში, ეკრჩში, ბაკოში, ტაშკენტში, აშხაბადში, ტულაში, ლუგანსკში, ვიატკაში. 1900-01 წ. სათეატრო სეზონში ვიატკაში დადგა ა. ჩეხოვის პიესა „ძია ვანია". 1904 წლიდან მოღვაწეობდა, როგორც რეჟისორი. 1904-05 და 1905-06 წწ. სეზონში მიიწვიეს კ. ნეზლობინის დრამატული დასის რეჟისორად რიგაში, სადაც დადგა მ. გორკის პიესა „მოაგარაკენი".

კ. მარჯანიშვილი რეჟისორად მუშაობდა ხარკოვის, კიევის, ოდესის დრამატულ დასებში. 1909 წელს მოსკოვის კ. ნეზლობინის თეატრის რეჟისორი იყო. ამ პერიოდში ა. სუმბათაშვილთან ერთად აქტიურ დახმარებას უწევდა ქართველ რეჟისორებს: ვ. შალიკაშვილს, ა. ნუნუნავასა და ვ. მჭედლიშვილს, რომლებიც მოსკოვის სამხატვრო თეატრის სტუდიაში სწავლობდნენ. მოსკოვში მონაწილეობდა ქართული დრამატული თეატრის შეკენაში...

1919 წელს მარჯანიშვილმა კიევის სოლოვცოვის თეატრში დადგა ლოპე დე ვეგას დრამა „ცვრია წყარო". ეს დადგმა შევიდა საბჭოთა თეატრის ისტორიაში, როგორც პირველი საბჭოთა სპექტაკლი. 1920 წელს მარჯანიშვილმა პეტროგრადში დააარსა კომიკური ოპერის თეატრი, რომელმაც საინტერესო დადგმები განახორციელა.

1922 წელა მარჯანიშვილი საქართველოში დაბრუნდა. მან სათუთად შემოინახა რევოლუციამდელი ქართული თეატრის დემოკრატიული და რეალისტური ტრადიციები.

კოტე მარჯანიშვილი მონოდებული იყო ახლის მოსაპოვებლად ხელოვნებაში, არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ მისი პიროვნების ეს შესანიშნავი თვისება ყველაზე უკეთ მსახიობთა აღზრდაში გამოვლინდა.

თავის უკანასკნელ თეატრში მარჯანიშვილი ხანდაზმული მოვიდა. ახალ თეატრალურ კოლექტივში იგი იმედს ამყარებს, უპირველესად, მსახიობზე, ზრდის მათ მეთოდურად, გულმოდგინედ, ბეჯითად. ბრნყინვალე დამდგმელი, მკაფიო, გაბედული, უჩვეულო სცენურ გადაწყვეტათა მაძიებელი, უღიმღამო და უფერული თეატრის მტერი — მარჯანიშვილი მსახიობთან მუშაობისას არაჩვეულებრივი დაკვირვებული და „ფრთხილი" ოსტატია. ბრძნულად და ღრმად ესმოდა მას მსახიობის ადგილი თეატრში, სწორად ფლობდა მასთან მუშაობის რთული ანალიზურ-ფსიქოლოგიური მეთოდების საიდუმლოებას. რეჟისორის შემოქმედებითი გაბედულება და ფანტაზიის აღმაფრენა არასოდეს ეწინ-

ააღმდეგებოდა მსახიობის ინდივიდუალობას და ეს ფრთხილი დამოკიდებულება მსახიობი-ადამიანის სულიერი სამყაროსადმი მას მთელი სიცოცხლე გაჰყვა...

კოტე მარჯანიშვილს მუშაობა მოუხდა მესანიშნავი მსახიობების არაერთ თაობასთან. ამ მსახიობთა სახელები მიმართულებისა და სკოლების სიმბოლურ გამოხატულებად გვესახება, ზოგჯერ კი მთელი ეპოქის დროშას წარმოადგენს: ანდრეევა და კნიპერ-ჩეხოვა, კაჩალოვი და მოსკვინი, ლეონიდოვი და ლუჟსკი, პოპოვი და გოგოლევა, იმედაშვილი და ნ. ჩხეიძე, თ. ქავქავაძე, ვ. ანჯაფარიძე, ნ. ვაჩნაძე, უშ. ჩხეიძე და ა. ხორავა, დავითაშვილი და ვასაძე, ღამბაშიძე, კვანტალიანი და ჟორჟოლიანი... ვერ ჩამოვთვლი და ეს არასრული სიაც კი მონმობს რეჟისორისა და მსახიობის შეხვედრის დიდ მნიშვნელობას, იმას, რომ ეს შეხვედრები უკვალოდ არ ქრებოდა არც ერთი მსახიობისათვის. მსახიობებმა, რომლებსაც თუნდაც ერთხელ მაინც უმუშავიათ მარჯანიშვილთან, სამუდამოდ შემოინახეს გულში ღრმა თაყვანისცემა მისი პიროვნებისადმი და ჭეშმარიტი შემოქმედებითი ტკბობის, იმ წუთების განცდა, რამაც ბევრად განსაზღვრა მათი შემდგომი ბიოგრაფია.

დიდი ემოციების მქონე მარჯანიშვილი ნამიერად აღინთებოდა, ცოცხლად, სწრაფად შეიგრძნობდა მსახიობის ინდივიდუალობის ამა თუ იმ გამოვლინებას, ავითარებდა მის ამ „განაცხადს", ამდიდრებდა თავისი მინიშნებითა და რეჟისორული ხედვით. ასეთ წუთებში მარჯანიშვილი განსაკუთრებით მთაგონებული იყო, მისი ფანტაზია ფოიერვერკივით ენთებოდა, აზრები ნინ უსწრებდა ერთი მეორეს და სულ ახალ-ახალ, განსხვავებულ აღმოჩენებს ბადებდა.

სწორედ ამგვარ მრავალფეროვნებას ესწრაფოდა კოტე მარჯანიშვილი მთელი თავისი შემოქმედებითი ცხოვრებით და მუდმივი ძიების ეს მარჯანიშვილისეული ტრადიცია წარმართავს დღესაც თანამედროვე თეატრალურ ხელოვნებას.

„ერთხელ ნატო ვაჩნაძემ აღფრთოვანებულმა მითხრა: — სიკო, იცი, რა ბედნიერებაა კოტესთან მუშაობა, ეს სულ სხვა ადამიანია, სხვა რეჟისორი.

არ შეიძლებოდა, რომ კოტე მარჯანიშვილის ღიმილს, მის საოცარ კეთილშობილურ ბუნებას ადამიანი არ მოეხიბლა და პირველ შეხვედრისთანავე მისი თაყვანისმცემელი არ გამხდარიყო, ნიჭი, საოცარი ნიჭი, რომლითაც ის იყო დაჯილდოებული, ერთნაირად ხიბლავდა ადამიანს მის ნამუშევრებში, როგორც კინოში, ისე თეატრში.

ვისაც ქართული თეატრი უყვარს, ვისაც ქართული კინოს წარმატება ახარებს, ვისაც გული შესტკივა ქართულ ხელოვნებაზე, ის მუდამ დიდი სიყვარულითა და პატივისცემით მოიგონებს კოტე მარჯანიშვილს, რომლის საოცარმა ნიჭმა ნარუშლელი კვალი დატოვა ქართული თეატრისა და კინოს ისტორიაში"

სიკო დოლიძე

დედა ფამარი

1869-1936

საქართველოში ცოტამ თუ იცოდა, რომ რეჟისორ კოტე მარჯანიშვილის უფროსი და თამარ მარჯანიშვილი ცნობილი სასულიერო მოღვაწე იყო.

სქემიღუმენი დედა ფამარი ერთ-ერთი დიდი ფიგურაა მეოცე საუკუნის რუსეთის მართლმადიდებელ-ური ეკლესიის მოღვაწეთა შორის. ოცდაათიან წლებში იგი რეპრესირებული იყო. ამიტომაც საბჭოთა პერიოდში მასზე ჩვენში თითქმის არაფერი ინერებოდა.

1983 წელს საფრანგეთში, რუსეთის უმიგრანტული ეკლესიის კრებულში დაიბეჭდა მონაზონ ეერაფიმას მოგონებები დედა ფამარზე.

სქემიღუმენი ფამარი, ერისქალობაში თამარ ალექსანდრეს ასული მარჯანიშვილი, თავადის ასული, დაიბადა 1869 წელს ყვარელში. იგი იყო მდიდარი ქართული ოჯახის შვილი, მიღებული ჰქონდა უაღრესად კარგი აღზრდა-განათლება. მარჯანიშვილების ოჯახში უფრო არისტოკრატული ატმოსფერო სუფევდა, ვიდრე სასულიერო. მამა — ალექსანდრე გარდაიცვალა ჯერ კიდევ მაშინ, როცა თამარი ძალიან პატარა იყო, ხოლო დედა 20 ნლისას დაეღუპა.

თამარს ჰქონდა დიდი მუსიკალური ნიჭი და შესანიშნავი ხმა, ემზადებოდა პეტერბურგის კონსერვატორიაში შესასვლელად... მაგრამ მოულოდნელად ბედის ბორბალი სულ სხვა მიმართულებით დატრიალდა და... თამარი მონაზვნად აღიკვეცა. დედის გარდაცვალების შემდეგ, ზაფხულში, იგი თავის დასა და ორ უმცროს ძმასთან ერთად სტუმრობდა ქალაქ სიღნაღში, დეიდასთან. აქ, ქალაქის ახლოს, სოფელ ბოდბეში მდებარეობდა იმჟამად ახლად დაარსებული წმინდა ნინოს სახელობის დედათა მონა-სტერი... მარიამი მოაჯადოვა აქ გამეფებულმა სულიერმა ატმოსფერომ და მაშინვე მტკიცედ გადაწყვიტა — აღკვეცილიყო მონაზვნად და მთელი ცხოვრება ღვთის სამსახურისათვის მიეძღვნა.

მონაატერში იგი ცხოვრობდა იღუმენ იუბენალიას უშუალო ხელმძღვანელობით, რომელსაც ძალიან მეეთვისა.

ცოტა ხნის შემდეგ თამარი მონაზვნად აღკვეცეს, საეკლესიო სახელად კი იუბენალია უწოდეს.

1902 წელს სრულიად ახალგაზრდა დედა ფამარი დაინიშნა წმინდა ნინოს სახელობის მონაატრის იღუმენად, იმ მონასტრისა, რომელშიც იმხანად სამასი და იმყოფებოდა. დედა ფამარს იმ დროს დიდი დახმარება აღმოუჩინა ეიოანე კრონშტადელმა.

ძალიან უყვარდა ბოდბის მონასტერი დედა ფამარს, შემდგომში ხშირად იგონებდა მას, მაგრამ დიდხანს არ ყოფილა მისი წინამძღვარი...

1905 წელს, უწმინდესი სინოდის ბრძანებით, იგი გადაიყვანეს მოსკოვში და პოკროვის საზოგადოების წინამძღვრად დანიშნეს...

1931 წელს დედა თავის რამდენიმე დასთან და მღვდლებთან ერთად ბოლშევიკებმა დააპატიმრეს. ციხეში მასთან ერთად იჯდა მისი ერთგული მორჩილი.

განაჩენის გამოტანის შემდეგ დედა ფამარი ციმბირში გადაასახლეს, ირკუტსკიდან ორასი კილომეტრის მოშორებით. გასაგებია, რა მძიმე და დამქანცველი იქნებოდა ეს

მგზავრობა. გზის ბოლოს დედას ფეხით სიარულმა მოუწია. გადასახლებაშიც თან გაჰყვა მორჩილი, მისი მოსიყვარულე და მისთვის თავგანწირული ახალგაზრდა ქალიშვილი.

რამ გადაატანინა პატიმრობა და სამწლიანი გადასახლება? მას ხომ ფეხიც სტკიოდა და ჭლექიც სტანჯავდა. რწმენამ, ნებისყოფამ და დიდმა გამძლეობამ.

დედა ფამარს დიდხანს აწუხებდა ავადმყოფობა. გადასახლებისას სენი უძლიერდებოდა, სულ უფრო და უფრო უარესდებოდა მისი ჯანმრთელობა. ახლობლებისადმი გამოგზავნილ წერილებში იგი დაჟინებით იმეორებდა: მინდა, როგორმე „დიევუბრუნდე ჩემს ნაპირებს". ღმერთმა მართლაც ინება მისი სურვილის აღსრულება, იგი სასნაულით გადარჩა და „დაუბრუნა თავის ნაპირებს"

დედა ფამარს გადასახლების ვადა 1934 წლის შემოდგომაზე დაუმთავრდა. დაბრუნების შემდეგ იგი დასახლდა პატარა სახლში ბელორუსიის რკინიგზის სადგურ პიონერსკაიასთან. ამ დროისათვის უკვე ძალიან ავად იყო. გადასახლებაში ყელის ტუბერკულოზიც დაეწყო, ავადმყოფობა უმონყალოდ აძაბუნებდა.

დედა ფამარი გარდაიცვალა 1936 წლის 10 (23) ივნისს. მას წესი აუგო მეუფე არსენმა. დაკრძალულია მოსკოვში, ვედენის მთაზე, მამა ალექსი მეჩევის საფლავის ახლოს.



დავით ავაზაშვილი

1914-1984

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის უმაღლესი მათემატიკის კათედრის გამგე, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი დავით ზაქარიას ძე ავაზაშვილი დაიბადა 1914 წელს ყვარელში.

დაწყებით განათლებას მშობლიურ ყვარელში ღებულობს, 1925 წლიდან კი სწავლას თბილისის მეორე შრომის სკოლაში განაგრძობს, რომელსაც წარჩინებით ამთავრებს 1931 წელს. შემდეგ დ. ავაზაშვილი შედის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც ეუფლება მათემატიკურ მეცნიერებას ნ. მუსხელიშვილის, ა. ხარაძის, ი. ვეკუას, ვ. კუპრაძის, ნ. მიქელაძის, ლ. გოკიელის და სხვა გამოჩენილი ქართველი მათემატიკოსების ხელმძღვანელობით. 1937 წელს დ. ავაზაშვილი წარჩინებით ამთავრებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს.

ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში აკადემიკოს ნ. მუსხელიშვილის ხელმძღვანელობით დ. ავაზაშვილი ორიგინალურ შედეგებს ღებულობს ლოგარითმული პოტენციალის ასასაზღვრო ამოცანების შესწავლისას, რაც შემდეგ გამოქვეყნდა კიდეც თბილისის მათემატიკური ინსტიტუტის შრომების კრებულში, სახელოვან ხელმძღვანელთან თანაავტორობით. ეს შედეგები 1941 წელს შეტანილია აკადემიკოს ვ. სმირნოვის ცნობილი მრავალტომეულის მეოთხე ტომში. ამ წარმატებამ არსებითად განსაზღვრა დ. ავაზაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შემდგომი გზა.

1937 წელს დ. ავაზაშვილი ჩაირიცხა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ასპირანტურაში გამოყენებითი მათემატიკის განხრით. ასპირანტურაში დ. ავაზაშვილის ხელმძღვანელები იყვნენ ნ. მუსხელიშვილი და ვ. კუპრაძე. 1940 წელს ასპირანტურის დამთავრებისთანავე დ. ავაზაშვილი წარმატებით იცავს საკანდიდატო დისერტაციას თემაზე: „მაქსველის დიფერენციალურ განტოლებათა სისტემის ამოცანა ერთადერთობის დამტკიცება უსასრულო არაერთგვაროვანი არისათვის“

დ. ავაზაშვილის ადრეული შრომებიდან აღსანიშნავია, აგრეთვე, მის მიერ კომპლექსური ცვლადის ფუნქციათა თეორიის გამოყენებით შესწავლილი გრეხისა და ღუნვის ამოცანები ისეთი არეებისათვის, რომლებიც რაციონალური ფუნქციებით კონფორმულად აიასახებიან წრეზე. ამ მიმართულებით მიღებული შედეგები შევიდა ი. სოკოლნიკოვის 1946 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში „დრეკადობის მათემატიკური თეორია“ (ნიუ-იორკი-ლონდონი).

ასპირანტურის წლებშივე იწყებს დ. ავაზაშვილი პედაგოგიურ მოღვაწეობას და 1940 წელს მას ამტკიცებენ მათემატიკის კათედრის დოცენტად. სხვადასხვა წლებში იგი მუშაობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სატყეო ინსტიტუტში და ბოლოს თბილისის რკინიგზის სატრანსპორტო ინსტიტუტში, სადაც 1959 წლამდე მოღვაწეობს. დ. ავაზაშვილი გადის გზას უმაღლესი მათემატიკის კათედრის ასისტენტიდან კათედრის გამგემდე, ამ თანამდებობაზე მას ირჩევენ 1956 წელს. ამასთან, 1940-42 წლებში იგი შეთავსებით მუშაობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დოცენტის, ხოლო 1944-48

ნლებში — ა. რაზმაძის სახელობის თბილისის მათემატიკური ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობაზე.

ამ პერიოდში დ. ავაზაშვილი ეწევა ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევით მუშაობას მათემატიკური ფიზიკის დიფერენციალურ განტოლებათა თეორიაში. იგი მნიშვნელოვან შედეგებს ღებულობს სტაციონარულ ელექტრომაგნიტურ რხევათა დიფრაქციის სასაზღვრო ამოცანების შესწავლისას. იკვლევს ელექტრომაგნიტური სინუსოიდური ტალღების დიფრაქციის სივრცულ სასაზღვრო ამოცანას მარტივადბმული, მრავლადბმული, ფენოვანი არეებისათვის. ამტკიცებს გამოსხივების პრინციპს რხევის განტოლებისათვის სივრცეში.

ეს შედეგები საფუძვლად დაედო დ. ავაზაშვილის სადოქტორო დისერტაციას „ელექტრომაგნიტური რხევის დიფრაქციის ამოცანა", რომელიც წარმატებით დაიცვა 1957 წელს.

შემდგომ პერიოდში დ. ავაზაშვილმა შეისწავლა ელექტროდინამიკის პირველი ძირითადი სასაზღვრო ამოცანა ნახევარსივრცეში, აგრეთვე, რხევის განტოლების ძირითადი სასაზღვრო ამოცანის ამონახსნის არსებობისა და ერთადერთობის საკითხები, აკუსტიკური ტალღის დიფრაქციის სივრცული ამოცანები მარტივადბმული, მრავლადბმული და ფენოვანი არეებისათვის, აგრეთვე, მეტაჰარმონიულ ფუნქციათა შეუღლების სასაზღვრო ამოცანები.

1959 წლიდან დ. ავაზაშვილის მოღვაწეობა მთლიანად დაკავშირებულია თბილისის რკინიგზის სატრანსპორტო და ინდუსტრიული ინსტიტუტების ბაზაზე ახლად შექმნილ საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან. 1959 წელს მას ინვევენ უმაღლესი მათემატიკის კათედრის პროფესორად, იმავე წელს უმტკიცებენ წოდებას, ხოლო 1960 წელს ირჩევენ ამ კათედრის გამგედ.

ჭეშმარიტად ფასდაუდებელია დ. ავაზაშვილის მრავალმხრივი მოღვაწეობა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.

დ. ავაზაშვილი რედაქტორია საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებულისა „მათემატიკა, მექანიკა" და რამდენიმე სახელმძღვანელოსი.

დ. ავაზაშვილი ორმოცდაათზე მეტი გამოქვეყნებული ნაშრომის ავტორია, მათ შორის ოთხი სახელმძღვანელოსი. იგი არაერთხელ გამოსულა მოხსენებით რესპუბლიკურ, საკავშირო თუ საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებზე.

დ. ავაზაშვილი იყო ნევრი არაერთი ავტორიტეტული სამეცნიერო საბჭოსი. 1967 წელს მიენიჭა საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება, დაჯილდოვდა ორდენით, მედლებითა და სიგელებით.

აკაკი ანდრიაშვილი

1904-1987

კომპოზიტორი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე აკაკი კირილეს ძე ანდრიაშვილი დაიბადა 1904 წლის 4 ნოემბერს ყვარლის რაიონის სოფ. ძველ გავაზში (ახლანდელი ახალსოფელი).

1933 წელა დაამთავრა თბილისის კონსერვატორია (პროფესორ ს. ბარხუდარიანის საკომპოზიციო კლასი); ასპირანტურის დამთავრების შემდეგ ინყებს პედაგოგიურ მოღვაწეობას.

დანერილი აქვს ორი სიმფონია, საფორტეპიანო კონცერტი, სიმფონიური პოემა „საბჭოთა ოსეთი", კვარტეტი, ოპერები: „კაკო ყაჩაღი", „ზვავი", „ნანა", „ოთარაანთ ქვრივი" „მეგობრობა , კომიკური ოპერა „ლაშქარა", საბავშვო ოპერა „ჩხიკვთა ქორწილი", სიმღერები, მუსიკა თეატრისათვის და სხვ.

ა. ანდრიაშვილის ოპერებიდან განსაკუთრებული ნარმატება ხვდა ჰეროიკულ ოპერას „კაკო ყაჩაღი", რომლის მუსიკალური სტილი დაფუძნებულია აღმოსავლეთ საქართველოს ხალხურ სიმღერებზე.

აღ აანიშნავია ა. ანდრიაშვილის სარედაქტორო მუშაობაც. მას ეკუთვნის ზ. ფალიაშვილის ოპერა „ლატავრას" ახალი რედაქცია (ვ. ფალიაშვილსა და მ. კვალიაშვილთან ერთად).

კონსტანტინე ანდრონიკაშვილი

1887-1954

ქართველი რეჟისორი, საქართველოს დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი კონსტანტინე იოსების ძე ანდრონიკაშვილი დაიბადა 1887 წლის 8(20) დეკემბერს ყვარელში.

საშუალო განათლება მიიღო თბილისის კადეტთა კორპუსში, შემდეგ სწავლა განაგრძო უენევაში, სადაც ცოტა ხანს დაჰყო. მალე სასწავლებლად საფრანგეთში გადავიდა და სორბონის უნივერსიტეტში, ლიტერატურის ფაკულტეტზე შევიდა. პარალელურად მოეწყო დრამატულ თეატრში „ოდეონში". აქ იგი შეხვდა გამოჩენილ ფრანგ რეჟისორსა და თეორეტიკოსს ანდრე ანტუანს. მოისმინა მისი ლეექციების თეორიული კურსი, ახლოს გაეცნო დიდი რეჟისორის თეატრალურ პრინციპებს.

კ. ანდრონიკაშვილს სიკვდილამდე გაჰყვა პარიზის შთაბეჭდილებები. ვერ დაივიწყა აიფაბუკის წლებში ნანახი და განცდილი.

პარიზი იმხანად თეატრალური რეფორმებით იქცევდა ყურადღებას. კ. ანდრონიკაშვილი დიდი ინტერესით ადევნებდა თვალყურს პარიზის თეატრალურ ცხოვრებას. ცდილობდა, თავადაც მიეკვლია პარიზელების ყურადღება. იგი აქტიურად მონაწილეობდა „ქავკასიურ საღამოებში"

ერთ-ერთ ამგვარ საღამოზე თავისი ცეკვით მაყურებლის მოწონება დაიმსახურა. მან და ელო ანდრონიკაშვილმა აცეკვეს „ქართული". იმ საღამოს მ. ქორელი იგონებდა: „კონო, თუ მეიძლება ასე ითქვას, ელოს ბანს აიღევდა, თითქოს საქართველოს მშობლიურმა აიომ დაგვიბერა და ჩვენს წინაშე ორი მიჯნურის მორცხვი და ამავე დროს ძლიერი და უკვდავი მოთხრობა გადაიშალა. ამ ცეკვამ დამსწრე საზოგადოებაში დიდი აღტაცება გამოიწვია და სამჯერაც გაამეორებინეს"

პარიზში ცეკვავდა კონსტანტინე და თავიისა ლამაზი „ქართულით" იქ მყოფ ქართველებს მშობლიურ მხარეს აგონებდა.

სამიოდე წლის შემდეგ კ. ანდრონიკაშვილი საქართველოში ბრუნდება და თეატრალურ მოღვაწეობას იწყებს ქართული დრამატული საზოგადოების დასში.

კ. ანდრონიკაშვილის რეჟისორული მუშაობის პირველი ათი წელი ქართული თეატრალური რეფორმის წინა პერიოდს მოიცავს. ეს პერიოდი კი დიდხანს არ იყო სათანადოდ შეფასებული. არც ალ. წულუკიძეს, მ. ქორელს, ა. ფალავას, ვ. ბალიკაშვილისა და კ. ანდრონიკაშვილის მიერ განეული შრომა ყოფილა საგანგებოდ გამოკვლეული. და ეს მაშინ, როცა სწორედ ამ ადამიანებმა განსაზღვრეს რევოლუციამდელი ქართული პროფესიული რეჟისურის ხასიათი.

ქართული თეატრის შემდეგ ეტაპზე უკვე კოტე მარჯანიშვილის სახელი ბრწყინავდა, მალე გაიელვა ს. ახმეტელის ტალანტმაც. ამ პერიოდში ყველა რეჟისორის სახელი მეორე პლანზე გადავიდა. ქართული თეატრალური აზროვნება მთლიანად დაუკავშირდა კ. მარჯანიშვილისა და ს. ახმეტელის სახელებს. 1931 წლიდან კ. ანდრონიკაშვილი რუსეთში წავიდა სამოღვაწეოდ, ხოლო იქიდან დაბრუნების შემდეგ პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა.

სწორედ ამ ფაქტორებმა განაპირობეს მისი ღვაწლის შეუფასებლობაც.

კ. ანდრონიკაშვილმა აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველოს თეატრალურ მუშაკთა პირველ ყრილობაში (1914 წელს), ყრილობას თავმჯდომარეობდა აკ. წერეთელი. მას შემდეგაც არ შეუწყვეტია საზოგადოებრივი მოღვაწეობა. იგი ქართველ მსახიობთა პროფესიული კავშირის დაარსების თვალსაჩინო მონაწილეც იყო.

ყრილობებზე იგი სიტყვითა და მოხსენებით გამოდიოდა. განსაკუთრებით საყურადღებო იყო მისი გამოსვლა ქართული კინოხელოვნების განვითარების საკითხებზე.

1922-1924 წლებში კ. ანდრონიკაშვილი მიინვიეს ბათუმის თეატრის ხელმძღვანელად. მან აქ დადგა აკ. წერეთლის „თამარ ცბიერი", ნ. შიუკაშვილის „სიმახინჯე", ჰაიერმანსის „იმედის დაღუპვა" და სხვა.

კ. ანდრონიკაშვილი ბათუმიდან თბილისში ბრუნდება და 1931 წლამდე აქ მოღვაწეობს. 1931 წლიდან 1945 წლამდე რუსეთშია (კუიბიშევი, გორკი, ყაზანი, სვერდლოვსკი, სარატოვი). 1945 წელს მიიწვიეს მარჯანიშვილის თეატრში, სადაც მან 1947 წლამდე დაჰყო. 1947 წლიდან გარდაცვალებამდე თეატრალურ ინსტიტუტში მუშაობს როგორც პროფესორი.

ასეთია კ. ანდრონიკაშვილის ზოგადი ბიოგრაფიული ცნობები.

1920 წლის 10 მაისს შედგა ქართველ მსახიობთა კავშირის მეოთხე ყრილობა. ყრილობას თავმჯდომარეობდა კ. ანდრონიკაშვილი. ამ ყრილობაზე გარკვევით ითქვა, თუ რა მძიმე დღეში იყო ეართველი მსახიობი. კ. ანდრონიკაშვილმა გაბედულად აღიმაღლა ხმა ქართული თეატრის დასაცავად. მის ხმას მიჰყვნენ სხვებიც და ამ ყრილობაზე შეიქმნა ერთიანი საზოგადოებრივი აზრი, ქართული თეატრი როგორმე აეცდინათ „ხელოვნური სიკეთილისათვის" საამისოდ ღონისძიებებიც შეიმუშავეს. 1920-21 წელს უკვე დაიწყო ქართული დრამატული დასის სეზონი. ამ სეზონში რეჟისორად კ. ანდრონიკაშვილიც იყო მინვეული. დადგა ვ. გუნიას „აღლუმი", დ. ერისთავის „სამშობლო", გ. ერისთავის „დავა", კ. მესხის „რუსთაველი" და სხვ. იგი ომამდეგნო წლებშიაც ნაყოფიერად მოღვაწეობდა.

კ. ანდრონიკაშვილის მიერ დადგმული პიესების მარტო დასახელებაც კი საკმარისია, რომ ერთგვარი ნარმოდგენა შეგვქმნას იმაზე, თუ რა შემოქმედებითი ინტერესები გააჩნდა რეჟისორს. მის რეპერტუარშია: ი. გედევანიშვილის „სინათლე", ვ. შალიკაშვილის „გადაჭრილი მუხა", ჰოფმანსტალის „ელექტრა", შ. დადიანის „ვარამი", სარდუს „მადამ სან ჟენ", სოფოკლეს „ანტიგონე", კაიზერის „გეზი" და სხვა.

ყველგან — სადაც არ უნდა ყოფილიყო იგი — ყაზანსა თუ სარატოვში, კუიბიშევსა თუ გორკში, თეატრის მოღვაწეებს შორის დიდი კულტურით, ფართო განათლებითა და განსნავლულობით გამოირჩეოდა. მის დინჯსა და კეთილშობილურ ხასიათს ამშვენებდა მისი აადა და მართალი ხელოვნება

სამწუხაროდ, ჩვენ ჯერ კიდევ ცოტა რამ ვიცოდით იმის შესახებ, თუ რა ღვანლი დადგა კ. ანდრონიკაშვილმა რუსულ თეატრს. იგი ხომ თოთხმეტი ნელი ემსახურა მას!..



ქეთევან ანდრონიკაშვილი ზურაბაშვილი

1862-1941

ქართველი მსახიობი ქალი ქეთევან ელეფთერის ასული ანდრონიკაშვილი (ზურაბაშვილი) დაიბადა 1862 წლის ოქტომბერში ყვარელში.

1881-82 წლებში მონაწილეობდა თელავის სცენისმოყვარეთა წრის წარმოდგენებში. 1884-91 წწ. მუშაობდა თბილისის თეატრებში. 1892-1917 წწ. — ბაქოს ქართულ თეატრში. 1921 წლიდან მუშაობდა საქართველოს თეატრებსა და კინოსტუდიაში. როლები: ქეთევანი (ერისთავის „სამშობლო"), ოროსმე (ცაგარელის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ"), მარინე (გუნიას „და-ძმა"), თამარი (წერეთლის „თამარ-ცბიერი") და სხვ.

ქეთევან ანდრონიკაშვილი გარდაიცვალა თბილისში 1941 წლის 1 თებერვალს.

მარიამ არჯევნიშვილი

1915-1958

ეროვნულ მუსიკის ოფლისენი.
ჩვენი ხალხური ფერხული,
ერმანეულ დიბიფეულნარ.
..— ეფერ; ჯიქ მიხალეფი, ეფერ ხეალი!

ქნარის ხიმღერა ხალხურნეს
ხალხის ქანი და ზეფანი,
და ძალერლები ეკეფანს.
ძეფარ ხალხეფი ინფერნი!

ძეს ხალ ხალხეფ ეფარიფ
ერთან ქანი ეფის ინარ.
ქანიეფი ეს ეფიფეფი,
ფეფეფეფი ინარ.

ა. გელოვანი

ხელოვნების დამსახურებული-მოღვაწე, ხალხური სიმღერის საუცხოო მცოდნე და შემსრულებელი, დაკვრის გამოჩენილი ოსტატი, გუნდის სახელოვანი ლოტბარი, ხალხური სასიმღერო და საკრავიერი შემოქმედების ჩამნერი-დამმუშავებელი და, აგრეთვე, ორიგინალური ნანარმოებების ავტორი მარიამ არჯევნიშვილი დაიბადა 1915 წელს ყვარლის რაიონის სოფ. გრემში.

განსაკუთრებით გასაოცარი იყო მ. არჯევნიშვილის შეუნელებელი ენერგია. ქალი იყო, მაგრამ მისი ენერგიის მქონე ადამიანს ვაჟკაციც ვერ გაუტოლდებოდა. მუდამ დაუზარელი, მშობლიური დურუჯივით დაუდეგარი და თავგამოდებული. ნაყოფიერი და მრავალფეროვანია მისი მოღვაწეობა. სიკეთეს თესდა, კულტურულ მშენებლობაში მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა, მის გაზრდასა და განვითარებას ემსახურებოდა.

უნდა აღინიშნოს მისი მუშაობის განსაკუთრებული მრავალმხრივობა, რაც ყველას, ვინაც ეართული კულტურისათვის გული შესტკივა, იზიდავდა და ახარებდა.

მუდამ გხიბლავდა მ. არჯევნიშვილის უშუალობა და იშვიათი ალღო, რომელიც ეხმარებოდა, შეერჩია და გამოემზეურებინა ხალხური მუსიკალური შემოქმედების მეტად ორიგინალური და დამახასიათებელი ნიმუშები, მანამდე რომ არავინ იცნობდა და არავინ მოეძინა.

მ. არჯევნიშვილის დამსახურებას მიენერება ისიც, რომ თუშ-ფშავ-ხევსურების მუსიკალური აზროვნების უმანკო და შეუბღალავი ნიმუშები პირველმა ჩამოიტანა მთიდან და ბარს გააცნო, რითაც დიდი სამსახური გაუწია მივინყებული კილოების გამოვლინებას.

ყოველივე ეა კეთდებოდა ჩუმად, რადგან ამ თავმდაბალ მოღვაწეს საკუთარ თავზე, თავის შემოქმედებაზე ყვირილი არ ახასიათებდა. ამავე დროს, მუდამ მებრძოლი იყო, სიმართლის პირში თქმის უნარი შესნევდა და ფსიზელ დარაჯად ედგა მშობლიურ მუსიკალურ კულტურას.

ამით მან თვითონ აიგო ხელთუქმნელი ძეგლი — ეს არის მის მიერ მოპოვებული და მომავალი თაობებისათვის სახსოვრად დატოვებული ის ძვირფასი მარგალიტები, რომელსაც ხალხური სიმღერა ეწოდება.

დედასლევანა
ლევან ასაბაშვილი
1858-1934

„ღერის კახეთში „დედასლევანა" — წერდა ტიციან ტაბიძე ლევან ასაბაშვილზე. იგი ყვარლის რაიონის სოფელ შილდაში დაიბადა. ძუძუს დიდბანს — თითქმის შვიდ წლამდე წოვდა და ამიტომ „დედასლევანა" შეარქვეს.

თავის შესანიშნავ ხმას ლევან ასაბაშვილი კახეთში განთქმულ თანატოლ მომღერლებთან ავარჯიშებდა. ესენი იყვნენ: ალექსი ელოშვილი (ოსტატი ალექსა), მიხა ირემაშვილი, ბათო როსტომაშვილი, მიხო ავგაროზიშვილი და სხვები. ისინი, როგორც თვითონ დედასლევანა, თანასოფლელმა ლადო აღნიაშვილმა 1885 წელს თბილისს ჩამოიყვანა და ჩეხ მომღერალსა და მუსიკოსს, იოსებ რატილს წარუდგინა. ჩეხმა მომღერალმა მრავალი კახური ხალხური სიმღერა ჩაიწერა.

პოეტმა იოსებ მჭედლიშვილმა 1927 წელს რუსთაველის სახელობის თეატრის შენობაში ლექსების კითხვის ოსტატის, ცნობილი კოლა ერისთავის მიერ გამართულ კონცერტზე გამოიყვანა კახელი მომღერლები: — შილდიდან ლევან ასაბაშვილი და ალექსა ელოშვილი, გრემიდან — მიხო= ავგაროზიშვილი, კაკაბეთიდან — მიხო ჯიღაური ახალგაზრდა ვანო მჭედლიშვილის თანხლებით. ამ საკმაოდ ხანდაზმულმა მომღერლებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს აუდიტორიაზე, რომელთა შორის იყვნენ დ. არაყიშვილი, ზ. ფალიაშვილი, მ. ბალანჩივაძე, კ. ფოცხვერაშვილი და ხალხური სიმღერის მოყვარული სხვა მონინავე ინტელიგენტები. განსაკუთრებით გამოირჩეოდა „დედასლევანას" ძლიერი, მჭექარე ხმა, ამიტომაც ვერაფერი გაუვიდა მაშინ დ. არაყიშვილს — ჩუმი, ნელი სიმღერა ვერ გამოტყუა ლევან ასაბაშვილს.

ასევე გაუჭირდა ზაქარია ფალიაშვილსაც მისგან სიმღერის ჩანერა ადრე შილდაში, ხოლო შემდეგ თბილისში, როცა სიმღერა „ხევურროს" წერდა, ჯერ გასინჯა და, როცა შეატყო, რომ „დედასლევანას" პიანოს ვერ ათქმევინებდა, ჩამნერი აპარატიდან შორს დააყენა, ახლო კი დანარჩენი მომღერლები, მათ შორის მიხა ავგაროზიშვილი დასვა. მაგრამ ამ ხერხმაც ვერ გასჭრა. „დედასლევანას" დაავინყდა, რომ ჩუმად უნდა ემღერა და, ხმა რომ თავისუფლად გაშალა, ჩამწერი აპარატი დაზიანდა, მოიშალა, ამგვარად ზ. ფალიაშვილი იძულებული გახდა „ხევურრო" სმენით გადაეღო ნოტებზე. „გადამეტებით არ ვიტყვი, მაგრამ ამისთანა მომღერლებს მე ჯერ არსად შევხვედრივარ", — ამბობდა ზ. ფალიაშვილი.

„დედასლევანა" ერთ-ერთი საუკეთესო მომღერალთაგანი იყო კახეთში. სიცოცხლის ბოლო წუთამდე, 1934 წლამდე, შერჩა მის ხმას მჭექარობა. მან ბევრ ახალგაზრდა კახელს გადასცა თავისი ცოდნა და გამოცდილება.

ლადო აღნიაშვილი

1860-1904

ცნობილი საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი, ეთნოგრაფი, ფოლკლორისტი ვლადიმერ (ლადო) დიმიტრის ძე აღნიაშვილი დაიბადა 1860 წლის 7 თებერვალს ყვარლის რაიონის სოფ. შილდაში, მღვდლის ოჯახში.

დაწყებითი განათლება თელავის აასულიერო სასწავლებელში მიიღო. შემდეგ გორის სამასწავლებლო სემინარია დაამთავრა. ერთხანს თბილისის სათავადაზნაურო სასწავლებელში ქართულ ენას ასწავლიდა. შემდეგ კი ქართველ კათოლიკეთა სკოლაში მოღვაწეობდა. ამაა გარდა, იყო მთარგმნელი, სათეატრო სანახაობათა მომწყობი, საბავშვო ჟურნალ-გაზეთების აქტიური კორესპონდენტი და ზეპირსიტყვიერების შემკრები.

ლადო აღნიაშვილი, რასაც კი ხელი მოჰკიდებდა, უსათუოდ ბოლომდე მიიყვანდა, განზრახვას ბორკს შეასახამდა. უცნაური ადამიანი იყო: სმენას სრულიად მოკლებულმა განიზრახა ქართული გალობისა და სიმღერის აღდგენა.

„სერენკი კოზლიკის" სიმღერით ჩვენი მოზარდი ახალგაზრდობა სრულიად გადაგვარდებაო, ჩვენი მდიდარი, ტკბილ-ამოვანი ბალხის სიმღერა სამუდამოდ დაგვეკარგებაო, — თქვა ეს და შეუდგა სიტყვის საქმედ ქცევას.

1885 წ. შეადგინა ქალთა და ვაჟთა გაერთიანებული გუნდი, სათავეში ჩაუყენა ოპერის მომღერალი ი. რატილი, ჩეხი.

ალბათ, უცნაურია, რომ პირველ ქართულ გუნდს ჩეხი მუსიკოსი ხელმძღვანელობდა. მაგრამ ეს ჩეხი ბევრ ქართველზე უკეთ ემსახურა საქართველოს და კარგი საქმეც მრავლად გააკეთა.

გუნდი მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, აწყობდა ეთნოგრაფიულ კონცერტებს, ენეოდა ქართული ხალხური მუსიკის პროპაგანდას.

დიდი დიმიტრი არაყიშვილი არმავირში ცხოვრობდა და გამყიდველად მუშაობდა მაღაზიაში, როცა არმავირში ჩამოვიდა ლ. აღნიაშვილის ცნობილი გუნდი, რომლის კონცერტმაც ნარუმლელი შთაბეჭდილება მოახდინა ჭაბუკ დიმიტრიზე. „როდესაც გუნდმა ქართული ხალხური სიმღერები ნამოინყო, მე აღტაცებული დავრჩი... მე თვითონ მინდოდა მუსიკის წერა. ამრიგად, ამ გუნდის კონცერტი ჩემი შემოქმედების პირველ ბიძგად იქცა", — წერდა იგი მოგვიანებით.

"... ვ. აღნიაშვილი ხელმოკლე კაცი იყო და რასაც მასწავლებლობით შოულობდა, სულ საენეს ანმარდა". და ეს ხელმოკლე კაცი პირველი გაემგზავრა ფერეიდანში 300 წლის წინ გადასახლებულ თანამემამულეებთან, ნელინად-ნახევარი დაჰყო იქ და დაბრუნებულმა გამოსცა ნიგნი: „სპარსეთი და იქაური ქართველები". ეს ხელმოკლე კაცი გარს უვლიდა საქართველოს და აგროვებდა ფოლკლორის ნიმუშებს. ხელმოკლეობის მიუხედავად, საკუთარი ხარჯებით შეკრიბა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან საუკეთესო მომღერლები და ჩამოაყალიბა პირველი ქართული გუნდი, გამართა პირველი კონცერტი და ამით ფასდაუდებელი ანაგი დასდო ეროვნულ მუსიკას, მთელ საქართველოს.

ანდრია ბენაშვილი

1868-1941

სანამ არსებობს საქართველო და ქართული სალიტერატურო ენა, იქნება ცოცხალი უნივერსიტეტი...

...რევოლუციურ მოძრაობაში არ ყოფილიყო. ძალიან ადვილად ეროვნული ბურჟოაზიისთვის დამოუკიდებელობა ეკისრებოდა. მონარქიული ხელისუფლების მიმართ.

1937 წლის ნოემბერში დაწერილი ეს მართალი სიტყვები დამაჯერებელი იყო იმათ წინააღმდეგ, ვისაც შეეძლო მკაცრი პროფესორ-გამომცდელი და მეცნიერ-ხელმძღვანელი, როგორც „მეფის არმიის გენერალ-ლეიტენანტი", ბალბის ბტრადაც კი გამოეცხადებინა ყველა თანამდევი შედეგით. საქმე ბომ იმ არმიას ეხებოდა, რომელიც რევოლუციამ ძირფესვიანად დაამსხვრია.

1938 წლის 21 ივლისს ანდრია ბენაშვილი წერდა: „კიდევ ერთხელ კატეგორიულად ვაცხადებ, რომ ჩავთვლი უსინდისო კაცად ყველას, ვინც გაბედავს შელაბოს ჩემი, როგორც პატიოსანი საბჭოთა მოქალაქის, რეპუტაცია. ბენაშვილი ეკუთვნის ადამიანთა იმ კატეგორიას, რომელიც არც ერთ ვითარებაში არ გაგცემს და არ გიღალატებს.

სულ 6 დღე იცოცხლა სამამულო ომის დაწყების შემდეგ პატრიოტმა პროფესორმა და გენერალმა, მაგრამ იგი, 73 წელს მიღწეული, სთხოვს საბჭოთა ხელისუფლებას, გამოიყენოს მისი ცოდნა ქვეყნის თავდაცვისათვის, ხოლო საბჭოთა ხალხის გამარჯვებაში დარწმუნებული, საკუთარ მონაფეებს უხსნის: გამარჯვების შემდეგ ერთობლივად მოგვინევს სამშობლოს საზღვრის გასწორების სამუშაოებში მონაწილეობაო.

სამშობლომ ღრმა პატივისცემა გამოხატა თავისი ნიჭიერი, ერთგული შვილისადმი.

1941 წლის 24 თებერვალს პირველად მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება მეცნიერთა ერთ ჯგუფს, მათ შორის იყო პროფესორი ანდრია ბენაშვილი.

ანდრია მიხეილის ძე ბენაშვილი დაიბადა 1868 წლის 23 მარტს (4 აპრილს) კახეთში, ყვარელში. მამა — მიხეილ ანდროს ძე ბენაშვილი სამხედრო მოსამსახურე, მაიორი იყო. დედა — ელისაბედ ლაზარეს ასული ყულდოაშვილი — დიასახლისი. მიხეილ ბენაშვილის ოჯახში აღიზარდა 8 შვილი — ორი ქალიშვილი და 6 ვაჟიშვილი. ანდრია 6 წლამდე ყვარელში იზრდებოდა, შემდეგ კი თელავში...

1885 წელს კადეტთა კორპუსის დამთავრების შემდეგ ანდრია ბენაშვილი მოსკოვის ალექსანდრეს სამხედრო სასწავლებელში შედის, რომელსაც იგი ორი წლის შემდეგ ნარჩინებით ამთავრებს. ეს უკანასკნელი გარემოება მას უფლებას აძლევს აირჩიოს მომავალი მუშაობის ადგილის სასურველი ვაკანსია და 1887 წელს იგი თბილისშია სამეგრელოს გრენადერთა მე-16 პოლკში. სამხედრო სამსახურით არ იზღუდებოდა საქართველოში მისი საქმიანობა. იგი მშობლიური ხალხის კულტურული ცხოვრების აქტიური მონაწილეა. ამ პერიოდს ეკუთვნის ანდრია ბენაშვილის ლიტერატურული მოღვაწეობაც. იგი აქვეყნებს რამდენიმე მოთხრობას, ხოლო „ივერიაში" იბეჭდება მისი პიესები „დასრულებული ამბავი, ანუ თელაველი ოტელო", „დროთა ბრუნვა" და სხვ.

„თელაველი ოტელო" სცენაზეც იდგმებოდა და ილიას „ივერია" ამას თავის დროზე მოწონებით შეხვდა, რომ „კვირას, 27 სექტემბერს ქართულმა დრამატულმა დასმა

პირველი წარმოდგენა გამართა. წარმოადგინეს ა. ბენაშვილის პიესა „თელაველი ოტელო" და ვ. გუნიას ვოდევილი „ხოლერობა". წარმოდგენას, როგორც მოსალოდნელი იყო, ხალხი კარგა ბლომად დაესწრო"

ანდრია ბენაშვილის ოცნებაა უმაღლესი განათლების მიღება...

გენერალური შტაბის აკადემიის გეოდეზიურ განყოფილებაზე მიღება მკაცრად შეზღუდული იყო, მხოლოდ ლუწ წლებში ხდებოდა. ამ აკადემიის გეოდეზიური განყოფილების კურსდამთავრებულ ოფიცერს ენიჭებოდა გეოდეზისტის (ასტრონომის) მეცნიერული წოდება. მათ უფლება ჰქონდათ ყველა უმაღლეს სასწავლებელში, მათ შორის სამოქალაქოში, დამატებითი დისერტაციის დაცვის გარეშე ლექციების კითხვისა. გეოდეზისტის წოდება უთანაბრდებოდა ასტრონომიისა და გეოდეზიის დოქტორის ხარისხს.

მისაღები კონტინგენტი 7 კაცზე მეტი არ იყო. მაგრამ ამ ძნელ პირობებში ზოგჯერ 3-4 კაცი ხვდებოდა, ზოგჯერ კი საერთოდ ვერ არჩევდნენ ღირსეულთ. ორი კურსის ჩაბარების შემდეგ ოფიცრებს გზავნიდნენ პულკოვოს მთავარ ასტრონომიულ ობსერვატორიაში ასტრონომიასა და გეოდეზიაში პრაქტიკული კურსების გავლისათვის. ობსერვატორიაში ორი წლის მუშაობის შემდეგ მსმენელებს უნდა დაეწერათ ასტრონომიულ თემაზე დისერტაცია. დისერტაციას შემდგომ იხილავდა კომისია ყველა პროფესორ-გეოდეზისტის შემადგენლობით. კომისია თავის დასკვნას მოახსენებდა გენერალური შტაბის აკადემიის კონფერენციას, ეს უკანასკნელი კი წყვეტდა საკითხს, ეცნო თუ არა დისერტანტი გეოდეზისტის (ასტრონომის) სამეცნიერო წოდების ღირსად.

პირველი მსოფლიო ომის წინ ოცამდე გეოდეზისტი ასტრონომი თუ იყო მთელ რუსეთში.

ანდრია ბენაშვილის დისერტაცია (ამ აკადემიაში ჩარიცხვის შემდეგ — ო.ნ.) კონფერენციის მიერ აღიარებულ იქნა როგორც თვალსაჩინო მეცნიერული გამოკვლევა და დაიბეჭდა გენერალური შტაბის სამხედრო ტოპოგრაფიული განყოფილების მთავარი სამმართველოს კრებულში, მისი ძირითადი დებულებები შემდგომ გადაიბეჭდა გერმანულ და ფრანგულ სპეციალურ გამოცემებში.

1918 წლის 13 აპრილიდან 1923 წლამდე პროფ. ა. ბენაშვილი ხელმძღვანელობდა საქართველის ფიზიკურ ობსერვატორიას. შემდეგ გენერალ-ლეიტენანტი ანდრია ბენაშვილი ინიშნება თბილისის სამხედრო სასწავლებლის უფროსად. შემდგომში გენერალს ნიშნავენ ამიერკავკასიის არმიის შტაბის სალიკვიდაციო განყოფილების უფროსად...

პროფესორი ანდრია ბენაშვილი 1918 წლიდან (ანუ თბილისის უნივერსიტეტის დაარსებიდან) 1936 წლამდე უნივერსიტეტის ასტრონომიისა და გეოდეზიის კათედრას განაგებდა. მაშინვე დააარსა მან ასტრონომიისა და გეოდეზიის კაბინეტი. შემდგომში კათედრა განვითარდა როგორც ასტრონომიის კათედრა, მასთან ჩამოყალიბდა ასტრონომიის სპეციალიზაცია. ეს ყველაფერი ანდრია ბენაშვილმა დააარსა და დღეს მადლიერებითა და პატივისცემის გრძნობით აღვნიშნავთ ღვაწლმოსილი პროფესორის დამსახურებას.

უბანგრძლივესი მეგობრობა აკავშირებდათ ივანე ჯავახიშვილსა და ანდრია ბენაშვილს. 1938 წლის ოქტომბერში ანდრია ბენაშვილი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს ივანე ჯავახიშვილს სწერდა: „თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ ჩემი მეცნიერული და პედაგოგიური მოღვაწეობა დაიწყო თითქმის 40 წლის წინ ძყოფილ პეტერბურგში და დღემდე გრძელდებოდა საქართველოში"

ივანე ჯავახიშვილი სიამაყით წერდა ქართველ პროფესორზე, რომელმაც ბუნებისმეტყველების რთულ დარგში წარმოაჩინა ჩვენი ხალხის ნიჭი.

პროფესორი ანდრია ბენაშვილი გარდაიცვალა 1941 წლის 28 ივნისს სოხუმში. მასწავლებლის ნეშთი მისმა მონაფეებმა პროფ. ნ. თევზაძის თაოსნობით, თბილისში გადმოასვენეს. დაკრძალულია ვაკის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

გიორგი ბერიაშვილი
1903-1987

ს ილარიბე და დუხჭირი ცხოვრება მრავალ გლეხკაცს აიძულებდა, მიეტოვებინა მშობლიური სახლ-კარი და სოფლიდან ქალაქში გადასულიყო ბედის საძიებლად. ასე აღმოჩნდა სოფელ საბუეს მკვიდრ სოლომონ ბერიაშვილის პირმშო მიხეილი XIX საუკუნის ბოლოს ქალაქ თბილისში. იგი ქალაქის წყალსადენში მოენყო წყლის გამანაწილებელ კვანძში მეონკანედ. იქვე გაიცნო რუსი გოგონა ეკატერინე სიმონის ასული პროხოროვა. ახალგაზრდებმა იქორწინეს, დაიქირავეს ერთი პატარა ოთახი საბურთალოზე პანკისის ქუჩა № 12-ში. შეეძინათ სამი ვაჟი და ერთი ქალიშვილი, ივანე, მარია, გიორგი და კონსტანტინე.

გიორგი მიხეილის ძე ბერიაშვილი დაიბადა 1903 წლის 13 თებერვალს. იგი მიაბარეს დაწყებით სამკლასიან სკოლაში, შემდეგ კი გადაიყვანეს უმაღლეს დაწყებით სასწავლებელში. სწორედ ამ ხანებში გაეცნო იგი პირველად ავიაციას. თვითონ გიორგი ბერიაშვილი ასე იგონებს ამ ამბავს: „იმ წელინადს მეორე კლასში გადავედი. ეს იყო 1910 წლის ივლისი, საშინლად ცხელი ზაფხული იდგა. ერთი სული მქონდა მშობლებს მამისეულ სოფელში — საბუეში ნავეყვანე. ასეც დამპირდნენ, შაბათს ყველანი სოფელში ნავალთო, მაგრამ უცებ მთელ ქალაქში გავრცელდა ხმა, რომ თბილისში ჩამოვიდა ცნობილი რუსი ავიატორი სერგეი უტოჩკინი, რომელიც თავისი თვითმფრინავით ზეცაში აფრინდება და დიდხანს იფრენსო. ამ ახალმა სენსაციურმა ცნობამ მთელი ქალაქი ფეხზე დააყენა.

ჩვენი ოჯახი — მამა, დედა, ოთხი და-ძმა და დიდედაც კი დიდუბისაკენ დავიძარით. მტკვარზე ბორნით გადავედით იქ, სადაც სამეფო იპოდრომი იყო მოწყობილი. იპოდრომთან აუარებელი ხალხი იყო თავმოყრილი, ყველა ცდილობდა როგორმე ნინ გასულიყო, რომ უკეთესად დაენახა როგორ აფრინდებოდა უტოჩკინი ზეცაში. როგორც იქნა, მფრინავმა დაამთავრა თვითმფრინავის მომზადება და თავისი „პარატით ჰაერში აინია. განცვიფრებულნი თვალს ვერ ვაშორებდით ამ საკვირველ სანახაობას“

შესაძლოა, იმ პირველი ფრენის ნახვის შედეგად პატარა გიორგისაც ჩაებეჭდა გულში ფრენისადმი სწრაფვა.

1921 წლის გაზაფხულზე გიორგის დედა მოულოდნელად გარდაეცვალა. თვრამეტი წლის ყმაწვილი სახლში ვეღარ ძლებდა და მოხალისედ წავიდა წითელ არმიაში. იგი ჩაირიცხა პირველი ქართული ლეგიონის კავშირგაბმულობის ბატალიონში.

1922 წელს ამიერკავკასიის ჯარების სარდლის ალექსანდრე ეგოროვის მხარდაჭერითა და ინიციატივით თბილისში შეიქმნა ჰაერში ცურვის ოფიციალური წრე. 1923 წელს ამ წრეში გიორგი ბერიაშვილიც მიიღეს. იგი პატარაობიდანვე „დაავადებული“ იყო ჰაერში ცურვაზე ოცნებით, გულით უნდოდა ეგოროვის საფრენოსნო სკოლაში სწავლა და მფრინავის სპეციალობის მიღება.

1924 წელს გიორგი ბერიაშვილმა გამოცდები ჩააბარა თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში და, როგორც სტუდენტი არმიიდან დემობილიზებულ იქნა. მაშინ ინსტიტუტი მდებარეობდა რუსთაველის გამზირზე იმ შენობაში, სადაც დღეს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრია. ქვედა ნახევარი შენობისა თეატრს ეკავა, ხოლო ზედა სართულებზე მოთავსებული იყო სამოსწავლო აუდიტორიები და ინსტიტუტის სააქტო დარბაზი.

გიორგი ბერიაშვილი ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის მდივნად აირჩიეს, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ პარტიის წევრობის კანდიდატად მიიღეს. ერთი წლის შემდეგ მას ირჩევენ თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად.

თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში იმ დროს მაღალკვალიფიციური პედაგოგ-მასწავლებლები ასწავლიდნენ. მაგალითად, თეორიული მექანიკის კურსს კითხულობდა პროფესორი ნიკოლოზ მუსხელიშვილი, შემდგომში საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი; უმაღლეს მათემატიკას ასწავლიდა პროფესორი ანდრო რაზმაძე და სხვა.

გიორგი ბერიაშვილს სწავლა არ უჭირდა, საგნებში მაღალ შეფასებას იღებდა, მაგრამ ცაზე ფიქრი არ ასვენებდა. მეორე კურსზე იყო, როცა შეიტყო, ლენინგრადში მ. ი. კალინინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში საზღვაო ფაკულტეტთან საავიაციო განყოფილებაც არსებობსო და მყარად გადაწყვიტა ლენინგრადში წასვლა და იქ სწავლის გაგრძელება საავიაციო განხრით.

1925 წლის შემოდგომაზე ქართველი სტუდენტი ჩაირიცხა ლენინგრადის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, რომელიც 1902 წლიდან ფუნქციონირებდა.

გიორგიმ აისრულა ოცნება, მანამ ავიაკონსტრუქტორი გახდებოდა, იგი უკვე დამოუკიდებლად ფრენდა. მისი ბავშვობის დროინდელი ოცნება რეალობად იქცა.

ერთხელ ნევის პროსპექტზე სეირნობის დროს გაიცნო რუსი გოგონა მარია აბლამაზოვა. ახალგაზრდებს შეუყვარდათ ერთმანეთი. ისინი თითქმის ყოველდღე ხვდებოდნენ ერთმანეთს გამზირზე და, როგორც კი საზაფხულო არდადეგების დროს საშუალება გამონახეს, გიორგიმ თბილისში წამოიყვანა თავისი საცოლე მამისა და ნათესავების სანახავად. გიორგის დედა ცოცხალი აღარ იყო და ახალგაზრდა რძალმა ითავა ოჯახის დიასახლისობა.

1930 წლის იანვარში გიორგის ჯგუფმა დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი.

იგი გაგზავნეს საზღვაო თვითმფრინავმშენებლობის საკავშირო საავიაციო გაერთიანების საკონსტრუქტორო ბიუროში (მოსკოვი), რომელსაც სათავეში ედგა საფრანგეთიდან კონტრაქტით ჩამოსული ავიატორი პოლ ემა რიშერი და ფრანგი ავიაინჟინრები ოჟე და ლიავილი.

ახალგაზრდა სპეციალისტს ბედმა გაუღიმა. საცდელ-საკონსტრუქტორო ბიუროში, გარდა ფრანგებისა, მუშაობდნენ ისეთი სახელოვანი ავიაკონსტრუქტორები, როგორებიც იყვნენ: სერგო კოროლიოვი — შემდგომში აეროკოსმოსური სისტემებისა და საფრენი აპარატების გენერალური კონსტრუქტორი, სემიონ ლავოჩკინი, ნიკოლოზ კამოვი, მიხაილ გურევიჩი, ვადიმ შავროვი და სხვანი.

გ. ბერიაშვილი მალე გადაიყვანეს საცდელ საამქროში წამყვანი ინჟინრის მოადგილედ, სადაც იმ ხანად მიმდინარეობდა საზღვაო თვითმფრინავ „ტომ-1"-ის (ღია ზღვის ტორპედომზიდი) საცდელი ეგზემპლარის მშენებლობა.

იმ დროისათვის ეს საკონსტრუქტორო ბიურო იყო ყველაზე დიდი საბჭოთა ავიამშენებელთა შორის, იგი აპროექტებდა მრავალი სახის თვითმფრინავს, მათ შორის ბომბდამშენებს, გამანადგურებლებს, მზვერავებს და საზღვაო თვითმფრინავებს.

მენჟინსკის სახელობის ქარხანაში გიორგი ბერიაშვილი დანიშნეს ჯერ ცენტრალური საკონსტრუქტორო ბიუროს საზღვაო განყოფილების უფროსად, ხოლო შემდეგ სამხედრო-საზღვაო თვითმფრინავმშენებლობის საცდელი ქარხნის მშენებლობის დირექტორად და მთავარ კონსტრუქტორად. სწორედ იმ ხანებში შეიქმნა შესანიშნავი საბრძოლო მანქანა Б-6, რომელზეც დაიდგა ა.დ. შვეცოვის კონსტრუქციის აშ-73 ორი ძრავა. ამ თვითმფრინავმა საყოველთაო აღიარება ჰპოვა. მას დიდად აფასებდნენ საზღვაო მფრინავები, ხოლო ჩრდილოეთის საზღვაო ფლოტის მფრინავებმა მისი კონსტრუქტორის პატივსაცემად და დამსახურების აღსანიშნავად ჩრდილოეთის ზღვის ერთ-ერთ ყურეში მონოლითის პოსტამენტზე სამუდამოდ ჩაადულაბეს ფრთებგაშლილი შევარდენი „Б-6" („Б" — ბერიაშვილი — ო.ნ).

გიორგი ბერიაშვილის დამსახურება ჩვენი ქვეყნის წინაშე უფრო ნათლად რომ წარმოვიდგინოთ, მის პირად საქმეში დაცული თავისთავად მნიშვნელოვანი და საყურადღებო

ზღვა მასალიდან გავეცნოთ მხოლოდ რამდენიმე ამონაწერს — დახასიათებებიდან, წარდგინებებიდან და სხვა დოკუმენტებიდან:

„მისი (გ. ბერიაშვილის) ხელმძღვანელობით დაპროექტდა საზღვაო სამხედრო თვითმფრინავების ხუთი სახეობა, მათ შორის ორი სახეობა მიღებულ იქნა სამხედრო დანიშნულებისათვის და მიეცა ნაკადი. ერთი გადაეცა სახელმწიფო გამოცდისათვის, ერთი აშენების პროცესშია, ხოლო მეხუთე საჭიროებს შემდგომ დახვეწას...

გ. ბერიაშვილის ხელმძღვანელობით კონსტრუირებული სამხედრო თვითმფრინავების მრავალსახეობა ადასტურებს კონსტრუქტორ გიორგი ბერიაშვილის, როგორც მთავარი კონსტრუქტორის ტექნიკური განათლების მაღალ დონეს" (1940 წლის 19 ივლისის დახასიათებიდან).

„ამხ. გ. მ. ბერიაშვილი არის საბჭოთა ჰიდროთვითმფრინავმშენებლობის ერთ-ერთი ძირითადი ფუძემდებელი, იგი მაღალკვალიფიციურძი სპეციალისტია, გ. მ. ბერიაშვილმა შექმნა მრავალი ახალი თვითმფრინავის სახეობა, რომელთაგანაც 6 სახეობა დაინერგა და მიეცა მსვლელობა" (საბჭოთა კავშირის საავიაციო მრეწველობის სამინისტროს №7 მთავარი სამმართველოს უფროსის ალექსეევის 1946 წლის 12 სექტემბრის დახასიათებიდან).

1953 წლის 27 იანვარს საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭომ გამოიტანა დადგენილება: „საბჭოთა არმიაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის, სამამულო ავიაციის განვითარებაში დიდი წვლილის შეტანისათვის და მაღალი მეცნიერულ-კონსტრუქტორული უნარის გამოვლენისათვის, რაც გამოიხატა მისი მრავალი ახალი ჰიდროთვითმფრინავების კონსტრუირება-დანერგვაში, გიორგი მიხეილის ძე ბერიაშვილს მიენიჭოს ინჟინერ-ტექნიკური სამსახურის გენერალ-მაიორის სამხედრო წოდება"

გიორგი ბერიაშვილი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, სხვა ორდენებითა და მედლებით.

ზარბეგ ბერიაშვილი

სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისა და საბჭოთა კავშირის მრავალგზის ოქროს მედალოსანი, მსოფლიოს ჩემპიონი და ოთხგზის ევროპის ჩემპიონი ზარბეგ ივანეს ძე ბერიაშვილი დაიბადა 1939 წლის 10 სექტემბერს ყვარლის რაიონის სოფ. აბუეში, მოსამსახურის ოჯახში.

1946 წელს იგი სასწავლებლად შეჰყავთ 118-ე საშუალო სკოლაში, რომელიც 1957 წელს დაამთავრა. ზარბეგი კარგად სწავლობდა, მაგრამ არც სპორტს ივინყებდა — თამაშობდა ფეხბურთს და ჭიდაობდა...

1957 წელს ბერიაშვილმა სწავლა განაგრძო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე, რომელიც წარმატებით დაამთავრა 1964 წელს.

ინსტიტუტში თავისუფალ ჭიდაობაში ვარჯიში დაიწყო საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის, საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონის გიორგი როსტომაშვილის ხელმძღვანელობით.

1959 წელს ზ. ბერიაშვილი სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის" ცენტრალური აბჭოს ჩემპიონი გახდა და ეს წოდება 1960 წელსაც შეინარჩუნა. იმავე წელს მან თბილისის ჩემპიონობაც მოიპოვა.

1961 წელს ზარბეგმა პროფკავშირების საკავშირო სპარტაკიადაზე დაამარცხა ყველა მეტოქე და ჩემპიონის ოქროს მედალი დაიმსახურა.

1962 წლის აპრილში თბილისში ჩატარებულ პირველ საერთაშორისო ტურნირში ბერიაშვილი შესანიშნავად გამოვიდა და ჩემპიონობა მოიპოვა, ხოლო სექტემბერში ორჯონიკიძეში სსრ კავშირის პირველობაზე ბრწყინვალედ იასპარეზა, დაამარცხა თავიანი მეტოქეები — ა. ბესტაევი, ვ. სინიავსკი, რ. ჯღამაძე და სხვები. პირველად მოიხვეჭა კავშირის ჩემპიონის წოდება და ოქროს მედალი.

1963 წლის მაისში სოფიაში მსოფლიო ჩემპიონატზე ზარბეგი პირველად შეხვდა ცნობილ ფალავნებს, სხვადასხვა ქვეყნის ჩემპიონებს. მან აქ სძლია მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონს, ბულგარელ ე. ვილჩეს, თურქ მ. ათალაის და ფინალში შეხვდა იაპონელ ნ. ბარიუჩს, რომელსაც მოუგო შეხვედრა 2:1, მაგრამ მსაჯებმა არაობიექტური გადაწყვეტილება მიიღეს და გამარჯვებულად ცნეს იაპონელი, რომელიც მსოფლიო ჩემპიონი გახდა, ბერიაშვილმა კი ვერცხლის მედალი მიიღო.

1964 წელს ზ. ბერიაშვილმა შესანიშნავად იასპარეზა და თავის ძველ მეტოქეებთან ერთად სსრ კავშირის ჩემპიონის სახელი შეინარჩუნა.

1965 წლის თებერვალში ზარბეგმა დაამარცხა ყველა მოწინააღმდეგე, მათ შორის მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ა. მოვახედ-არდაბალი და თბილისის IV საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონის სახელი მოიპოვა. ივნისში კი ინგლისის ქალაქ მანჩესტერში მსოფლიო პირველობაზე დაამარცხა სხვადასხვა ქვეყნის ფალავნები, თურქეთის მრავალგზის ჩემპიონ მ. ათალაისთან შერკინება კი ფრედ დაამთავრა და ვერცხლის მედლით დაკმაყოფილდა. აქვე ტარდებოდა ევროპის ჩემპიონატიც, სადაც მსოფლიო ჩემპიონატში მოპოვებული საუკეთესო შედეგებით ევროპის წარმომადგენელი კონტინენტის ჩემპიონად ცხადდებოდა და ოქროს მედლით ჯილდოვდებოდა. ამიტომ

იყო, რომ ზ. ბერიაშვილი, რომელმაც მსოფლიოში მეორე ადგილი დაიკავა, ევროპაში პირველ ადგილზე გავიდა და კონტინენტის ოქროს დიდი მედლის მფლობელი გახდა.

ამავე წელს კიდევ ერთ წარმატებას მიაღწია სექტემბერში ერევანში სსრ კავშირის გამოჩენილ მოჭიდავეებთან შერკინებისას პირველი ადგილი დაიკავა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლით დაჯილდოდა. ზარბეგმა ეს საპატიო ტიტული 1966 წელსაც მეინარჩუნა ნოვოსიბირსკში ჩატარებულ პირველობაზე.

1966 წელს ზ. ბერიაშვილმა ევროპის ჩემპიონობა და ოქროს დიდი მედალი მოიპოვა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ კარლსრუეში კონტინენტის სახელგანთქმულ ფალავნებთან ბულგარელ კ. ბიმბალოვთან, თურქ აგრალისთან და სხვებთან ჭიდილში...

1967 წელს სახელგანთქმულმა საბჭოთა ფალავანმა ოქროს დიდი მედალი და ჩემპიონის ტიტული მოიპოვა მსუბუქ წონაში (70 კგ.) სტამბოლში ჩატარებულ ევროპის პირველობაზე, სადაც კონტინენტის უძლიერესი მოჭიდავეები დაამარცხა .

1968 წლის მარტში ზ. ბერიაშვილმა მონანილეობა მიიღო იაპონიის ღია ჩემპიონატში, სადაც სძლია მსოფლიოსა და იაპონიის მრავალგზის ჩემპიონ ნ. ხარიუჩსა და სხვებს და ამ ქვეყნის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა...

თავის სპორტულ ცხოვრებაში ყველაზე დიდი გამარჯვება ნიჭიერმა სპორტსმენმა არგენტინის ქალაქ მარ-დე-პალტაში ჩატარებულ მსოფლიო ჩემპიონატში მოიპოვა, სადაც დაუღალავმა ზარბეგმა დაამარცხა მსოფლიოს სახელგანთქმული ფალავნები — სიცვადასხვა სახელმწიფოს ჩემპიონები, დამსახურებულად მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის საპატიო სახელი და ოქროს დიდი მედლით დაბრუნდა სამშობლოში.

ლამაზად გაიმარჯვა ზ. ბერიაშვილმა მინსკში ჩატარებულ საბჭოთა კავშირის პირველობაზეც, სადაც დაამარცხა სსრ კავშირის გამოჩენილი მოჭიდავეები და მეექვსედ დაეუფლა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის საპატიო ტიტულს და ოქროს მედალს.

შემდეგ ალმა-ათაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა საქართველოს გუნდი, რომლის შემადგენლობაში ზარბეგიც იყო. ბერიაშვილმა იქ ყველა შეხვედრა მოიგო.

1970 ნელმა ზარბეგს აბალი ნარმატებები მოუტანა: ივნისში ბერლინში ჩატარებულ ევროპის ჩემპიონატში ხუთი გამარჯვებით კონტინენტის უძლიერესი მოჭიდავის სახელი მოიხვეჭა და მეოთხედ დაიმშვენა მკერდი ოქროს დიდი მედლით, ლენინგრადში ჩატარებულ სსრ კავშირის თასის გათამაშებაში კი მისთვის ჩვეული აგრესიული სტილით დაამარცხა ბევრი გამოჩენილი ფალავანი და პირველი ადგილი დაიკავა.

1962 წლიდან 1970 წლამდე ზარბეგმა 60-ზე მეტი საერთაშორისო შეხვედრა ჩაატარა. იგი მრავალი ქვეყნის საჭიდაო ხალიჩაზე გამოსულა. 21 საერთაშორისო შეხვედრიდან წაგებული აქვს მხოლოდ ორი, ერთი — მსოფლიოს ოთხგზისა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონ ირანელ ა. მოვახედ-არდაბალისთან, რომელთანაც საერთო ანგარიშია 3,5:3,5, მეორე — მსოფლიო ჩემპიონ იაპონელ ნ. ხარაუჩთან, რომელთანაც საერთო ბალანსია 5:1, სახელოვანი ქართველი მოჭიდავის სასარგებლოდ.

ზ. ბერიაშვილი დაჯილდოებულია მთავრობის ჯილდოებით — „საპატიო ნიშნის" ორდენით, მედლით „შრომითი მამაცობისათვის", მრავალი სიგელითა და დიპლომით.

მიხეილ ბერიაშვილი

1907-1976

ქართველი მსახიობი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი მიხეილ იოსების ძე ბერიაშვილი დაიბადა 1907 წელს ყვარლის რაიონის სოფ. საბუეში, ღარიბი გლეხის ოჯახში.

იგი იმ სახელოვან პლეადას ეკუთვნის, ვინც შორს გაიტანა მშობლიური კუთხის ნიჭი და ავტორიტეტი.

ბავშვობაში იშვიათი მონაცემების მქონე ბიჭუნას ყოველი ღონისძიებით შეუწყვეს ხელი ოჯახის ნევრებმა და ახლობლებმა და დედაქალაქში წაიყვანეს ცოდნის მისაღებად. ზაეარია ფალიაშვილმა იგი უყოყმანოდ, პირველი გასინჯვისთანავე ჩარიცხა თბილისის გიმნაზიის დიდ გუნდში.

ჯერ კიდევ ათი წლის ბიჭუნა ზაქარია ფალიაშვილის მიერ თბილისის გიმნაზიაში ჩამოყალიბებულ დიდ გუნდში მოხვდა, შემდგომ, ცოტა უფრო მოგვიანებით, მორდვინის საბალეტო სტუდიაში ცეკვავდა. იშვიათი ტალანტით აღაფრთოვანებდა მაყურებელს.

რუსთაველის თეატრში უაღრესად ექსპრესიული როლები შეასრულა ს. შანშიაშვილის „ანზორში" – ახალგაზრდა პარტიზანი დალარბი; კირშონის ორ პიესაში „ქართა ქალაქი" და „ლიანდაგი გუგუნებს" – ხანდარ მამედოვი და კომკავშირელი მიშკა; „კომუნა ველზე" – მიკიტენკო; „ანათეთ ვარსკვლავნო" – უსახლკარო კოტკა და სხვ.

ყველაზე დაუვიწყარი მაინც მისი დებიუტი იყო ზ. ფალიაშვილის ოპერისა და ბალეტის თეატრში – ლენსკის პარტია „ევგენი ონეგინში"

ლენინგრადის მუსიკალური კომედიის თეატრში უმოკლეს ხანში – ერთ თვეში მოამზადა პარისის პარტია ოფენბახის ოპერეტა „მშვენიერ ელენეში", რომელსაც, როგორც იმდროინდელი პრესა შენიშნავდა, იშვიათი ლირიზმით ასრულებდა.

მალეროდა ტაშკენტის ალშირ ნავოის სახელობის და სომხეთის მუსიკალურ თეატრებში, სადაც ნამყვან პარტიებს ასრულებდა.

ბაკოცხლის ყველაზე ძვირფასი წლები ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრს შეალია, შექმნა ასამდე შთამბეჭდავი სახე.

თეატრალურ პატრიოტულ გრძნობას, რას უნდა ჩამოეტანა მისეული 300-მდე წიგნი მშობლიურ სოფელში, რომელიც სიკვდილამდე გაამზადა საბუის №1 ბიბლიოთეკისათვის გადასაცემად.

მიხეილ ბერიაშვილი თავისი შემოქმედების 70-ე წლისთავის იუბილეს ველარ მოესწრო...

შენდა მიაი მაჯისცემა. ვასო აბაშიძის მუსიკალურმა თეატრმა ჭეშმარიტად ვალმოხდილი მსახიობი დაკარგა, მეგობრებმა – შესანიშნავი მეგობარი, ახლობლებმა – გულთბილი ახლობელი.

ილიო ბეროშვილი

1917- 1990

ლეონიძეს ჭეშმარიტ ბრძენ ამიდან ამიხეიდის
ქართველი კაცის ბუნება.
სად ვეფხისტყაოსან' სად თქმულან'
ძის სულის დაძაბუნება.
ამის დაბადების წრესული.
ბადიდების ქართველის ცხოვრება.
ორ ეპოქათ' ჭეშმარიტ ბრძენ ბერეთისა.
ძის ბოლოდის ეძებსოფრება...

ი.ბეროშვილი

ილია მიხეილის ძე ბეროშვილი დაიბადა 1917 წელს ყვარლის რაიონის სოფელ ძველ გავაზში (დღევანდელი ახალსოფელი). საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტში, მერე კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ამ წლებში სისტემატურად აქვეყნებს ლექსებს, მოთხრობებს, ნერილებს...

1957 წელს გამომცემლობა "საბჭოთა მწერალმა" გამოსცა ილო ბეროშვილის პირველი პოეტური კრებული "სალამური ღულუნებდა" მას შემდეგ მისი ლექსები, მოთხრობები, პუბლიცისტური ნერილები სისტემატურად ქვეყნდებოდა ჩვენს სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებში, გამოდიოდა ცალკე წიგნებად.

ქართველი მკითხველი მუდამ დიდი ინტერესით ეცნობოდა ილო ბეროშვილის პოეტურ თუ პროზაულ კრებულებს. სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულით, ოცნებით უკეთეს მერმისზე და ამ მერმისისაკენ სავალი გზების ძიების სურვილითაა გამსჭვალული მნერლის მთელი შემოქმედება. ძარღვიანი ქართული, უშუალობა, სისადავე, გამოარჩევდა მის ქმნილებებს.

„ვითარცა ნვეთის სიწმინდესა და სიანკარეზეა დამოკიდებული ზღვის ფერი და იერი, ხიღლო უჯრედის სისაღე ზე ორგანიზმის სიჯანმრთელე, ასევეა ადამიანი კაცობრიობის - ათვის. ადამიანის განკაცება აკეთილშობილებს პირველ რიგში დამბადებელ ერს, ერი კი — კაცობრიობას. აქედან გამომდინარე, გაკეთილშობილება საერო და საკაცობრიო მნიშ-ვნელობის საკითხია (ი. ბეროშვილი)

ამ პრინციპით იცხოვრა ილია ბეროშვილმა მთელი თავისი გააზრებული ცხოვრება. ნმინდა იყო მისი მიზანი და განზრახვა: *"რადგან სიკეთის ქმნა ბოროტების დათრგუნვას ნიშნავს, სწორედ ბოროტთა წინააღმდეგობის წყალობით კეთილი მიზნისაკენ მიმავა-ლთა გზა ყოველთვის ნარეკლიანია, წინააღმდეგობებითაა სავსე, მაგრამ, თუკი ადამია-ნს ცხოვრების მიზნად ქვეყნის სამსახური და სიკეთის თესვა გაუხდია, მას არასდროს შეეშინდება ნარეკლისა, არცა მტრობისა და შურისა. პირიქით, მტრისა და მოშურნის ძლიერება და წინააღმდეგობა ხშირად ხდება კეთილმზრახველთა შინაგანი ენერგიის მაორგანიზებელი, ახდენს უჩინარი სულიერი ძალებისა და პოტენციის ისეთ ამოფრქვ-ევას, რომელ ზეც ადრე თავადაც არ ჰქონდა ამ ბრძოლაში ჩაბმულ ადამიანს წარმოდგენა"* — ნერდა ის ერთ-ერთ თავის პუბლიცისტურ ნერილში.

ეს დასკვნა მისი პირადი ცხოვრების ლოგიკური შედეგია. რამდენი წინააღმდეგობა, რამდენი დაპირისპირება შეხვედრია მიზნისაკენ მიმავალ გზაზე, ვერ გატეხეს, ვერ გა-დააფიქრებინეს ქმნა სიკეთისა.

აქტიური საზოგადო მოღვაწე გახლდათ ილო ბეროშვილი. მთელი სიცოცხლე ყვარელში გაატარა, დიდი ილიას მამულში და შეიძლება ითქვას, რომ მართლაც მეციხოვნედ ედგა სულმნათი მწერლის სახლ-მუზეუმს. სულ იმის ცდაში იყო, როგორ გაემშვენიერებინა მუზეუმის ფონდები, უსაზღვროდ ბედნიერი იყო, როცა ილიას 150 წლისთავის დღეებში ყვარელი ღირსეულად დახვდა მსოფლიოს ყველა კუთხის მწერალს.

თავადაც ილიას გზას მიჰყვებოდა. საქართველოში ფართოდ გაშლილ ეროვნულ მოძრაობას პირველივე დღეებიდან ამოუდგა მხარში და თავისი ნვლილიც შეჰქონდა საერთო-სახალხო საქმეში. მამულის უკვდავების რწმენა ასულდგმულებდა. ღირსეულად იცხოვრა, ღირსეული შვილები დაუტოვა სამშობლოს.

ქართველ მნერლობას, დიდხანს ემახსოვრება სამშობლოსა და მშობლიური ლიტერატურია სამსახურში ჩაფერფლილი შემოქმედისა და საზოგადო მოღვანის, ილია ბეროშვილის ნათელი სახე.

ნიკო ჭავჭავაძე: სათნო და ღვთისნიერი, მშვენიერი პოეტი, სწორუპოვარი მოქართულე, ღირსეული მოქალაქე, საამაყო ოჯახის მამა, თავდადებული პატრიოტი, სამშობლოსი და ყოველი გაჭირვებულის მოჭირნახულე, ჭეშმარიტი ქრისტიანი, სიკეთითა და სიყვარულით მტრის მძლეველი, ყვარლის რაიონის ნამდვილი სულიერი თავკაცი და დღევანდელი ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი გამლვიძებელი გახლდათ ბატონი ილო.

საოცრად ჰარმონიული პიროვნება იყო — ლაღი და კაცთმოყვარე, ალალი და რაინდულად შემართული, დაბვენილი ინტელიგენტი და მარჯვე სოფლის მეურნე, ბრძენკაცი და ბავშვივით მიამიტი, ლამაზი და მოხდენილი.

ილიას და ვაჟას ღირსეული მიმდევარი იყო ცხოვრებაშიც და შემოქმედებაშიც. ორივეს აღმერთებდა. მაინც განსაკუთრებით ილია უყვარდა, იმიტომ, რომ ილიას მოძღვრებაში ხედავდა საქართველოს მომავლის გზამკვლევს. გამორჩეული პოეტური ნიჭის პატრონმა გვერდზე განია თავისი შემოქმედება და თითქმის მესამედი საუკუნე შეალია ილია ჭავჭავაძის ყვარლის მუზეუმის მოვლა-პატრონობას, ილიას ნაამაგარის ხალხში გავრცელებასა და დანერგვას. ილიას სიყვარული ბატონმა ილომ მთელ ყვარლელ ჭავჭავაძეთა საგვარეულოზეც გადაიტანა და მათ ღირსეულ წარმომადგენლებსაც დასდო ფასდაუდებელი ამაგი — გამოავლინა და საზოგადოებას ამცნო დიდი ნიკოს და იური ჭავჭავაძეთა ეროვნული ღვანლი. და ეს ჯერ კიდევ იმ დროს, როცა თავადაზნაურთა ნარმომადგენლების კეთილად ხსენება სარისკო საქმე იყო...

ილო ბეროშვილის ხსოვნას

კარდაცალება სიკვდილს არ ნიშნავს,
ის უკვდავების ღია კარია.
ცოდვილ სხეულთან სულის ვითიცა
ასალ ცხოვრების საწინდარია.

იგი კარდაცალის დღიდან იწყება
და უსასრულო დროში ვრცელდება,
სადაც სახელის არდაეწყების
ღვთიური საქმე ბორკიელდება.

სადაც მოკვდავი უფალს ედრება,
სუფევს სიმშვიდე და იდილია
და სადაც დკანან ნიმანსყეტებად
მითა.

დაკითი,
ვაჟა,
ილია!

მიხეილ ქვლივიძე

დავით ბეჯითაშვილი

1861-1926

დავით ბეჯითაშვილი ყვარლიდან იყო, სოფელ საბუედან. მისი პაპა, დედის მხრიდან, რუსი ყოფილა და ამიტომ რუსიშვილი შეარქვეს.

დათიკო რუსიშვილს რუსეთში დაუძლევია ძლიერი ფალავანი — ვილიამ მორორი (ზნამენსკი). მეორე ჯერზეც წაუქცევია ვილიამი ქართველს. ეს 1903 წლის 11 აპრილს მომხდარა: „ხალხის სასხდომ სკამებისაკენ გადაჩეხა მოხერხებულის კისრულ-მოგვერდით"

1908 წელს თბილისში, ნიკიტინის ცირკში, რუსეთიდან გამოუძახიათ დავითი ფალავან მორისთან შესარკინებლად, რომელიც ბეჭებით გაუკრავს ძირს.

ბეჯითაშვილისა და ნორიოელ „ქონდარას" (ლონიშვილის) პაექრობა დიდხანს ჰქონდათ ფველ ქომაგებს საბაასოდ. ეს ჭიდაობა 1914 წელს გამართულა, დათას რკინასავით მაგარი ნორიოელი ქონდარაც დაუძლევია.

დავით ბეჯითაშვილი (რუსიშვილი) 1926 წელს 65 წლისა გარდაიცვალა. დაკრძალულია სოფელ საბუეში.

ჯემშიდ გიუნაშვილი

საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ირანის ისლამურ რესპუბლიკაში ჯემშიდ შალვას ძე გიუნაშვილი დაიბადა 1931 წლის 1 მაისს ქ. თეირანში (ირანი) ინჟინრის ოჯახში. დედამისი — ელენე, წარმოშობით თელავის მაზრის სოფ. გრემიდან იყო, ხოლო მამა — იმავე მაზრის სოფ. აბალსოფლიდან (ძველი გავაზი). გიუნამვილების ოჯახი რეპატრიაციის წესით 1947 წელს ჩამოვიდა საქართველოში, მაგრამ 1951 წელს გადასახლებული იქნა სამხრეთ ყაზახეთში. ჯემშიდ გიუნაშვილი 1958 წელს დაბრუნდა თბილისში.

1947 წელა ჯ. გიუნაშვილმა თეირანში დაამთავრა კოლეჯ „ალბორზის" მე-4 (მე-10) კლასი, 1949 — წელს თბილისის მე-9 ვაჟთა სკოლა და განაგრძო სწავლა თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის ირანული ფილოლოგიის განყოფილებაზე. 1953 წელს ექსტერნად დაამთავრა შუა აზიის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ქ. ტაშკენტი) აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის ირანულ-ავღანური ფილოლოგიის განყოფილება. იმ დროა რეპრესირებული მოქალაქისათვის სააღმოსავლეთმცოდნეო დარგში მუშაობის დაწყება აბსოლუტურად გამორიცხული იყო. 1955 წელს ჯ. გიუნაშვილი ამთავრებს ქ. ტაშკენტის წისქვილ-ელევატორის ტექნიკუმს. 1958 წელს თბილისის უნივერსიტეტში იცავს საკანდიდატო, ხოლო 1966 წელს სადოქტორო დისერტაციებს, 1970 წლიდან იგი პროფესორია, 1989 წლიდან ევროპის ირანისტების საზოგადოების წევრი.

ჯ. გიუნაშვილი ავტორია თბილისში, ყოფილი საბჭოთა კავშირის ავტორიტეტულ სამეცნიერო ცენტრებსა და სხვა ქვეყნებში გამოქვეყნებული 160-მდე ნაშრომის სპარსული ენის ფონეტიკა-ფონოლოგიის, გრამატიკული სტრუქტურის, ლექსიკოლოგიის, ტექსტოლოგიის, ირან-საქართველოს კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის, ირანის ისტორიისა და თანამედროვე საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებში. მისი ხელმძღვანელობით დამზადდა 16 საკანდიდატო დისერტაცია.

1956-58 წლებში ჯ. გიუნაშვილი მუშაობს შუა აზიის უნივერსიტეტის ირანულ-ავღანური ფილოლოგიის კათედრის სპარსული ენის მასწავლებლად, 1958-60 წლებში — საქართველოა მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ახლო აღმოსავლეთის ენების განყოფილების უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად, 1961-1994 წლებში — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ინდურ-ირანული ენების განყოფილების ხელმძღვანელად, ხოლო 1974-94 წლებში იმავე ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეა სამეცნიერო დარგში. 1958-1994 წლებში ჯ. გიუნაშვილი კითხულობს ლექციებს თბილისის უნივერსიტეტში, 1991-94 წწ. — თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტში. 1994 წლის აგვისტოში იგი ინიშნება საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ირანის ისლამურ რესპუბლიკაში.

1958-94 წწ. ჯემშიდ გიუნაშვილი მონაწილეობდა უცხოეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობისა და უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საზოგადოებების მუშაობაში. 1994 წელს იგი აფუძნებს საქართველო-ირანის სამეცნიერო-კულტურული ურთიერთობისა და თანამშრომლობის საზოგადოებას, 1996 წელს მისი ინიციატივით თეირანში იქმნება ირან-საქართველოს მეგობრობის საზოგადოება, რომლის აკვმირანობაში აქტიურად მონაწილეობენ ფერეიდნელი თანამემამულეები. წლების მანძილზე ჯემშიდ გიუნაშვილი იყო გრემ-ნეკრესის სახალხო უნივერსიტეტის რექტორი.

ანა ვარდიაშვილი

1900-1978

საკვირველია, კახეთის ამ მშვენიერ სოფელს, სადაც 1900 წლის 20 მაისს ანა ვარდიაშვილი დაიბადა, რატომ ჰქვია საბუე, როცა მის არემარეს განუწყვეტლივ ბულბულების სტვენა ახმიანებს. იქნებ ამ ბულბულებმა დაანათლეს ვარდიაშვილების მთელ გვარს იშვიათი ხმა და მუსიკალობა.

ჯერ გავიხსენოთ ანას მამა — დიმიტრი, გალობის მასნავლებელი დიდუბის ეკლესიასთან არსებულ სკოლაში; დედა — ოლღა, მშვენიერი მომღერალი, უფრო კი — ჩინებული ხმით დაჯილდოებული მამიდა ქეთევანი, რომლის სიმღერის იშვიათმა შესრულებამ და ოჯახში ხალხური საკრავების ჟღერამ გააღვიძა პატარა ანას გულში სიმღერისა და მუსიკის დიდი ტრფიალი.

ანას გარე მასნავლებელი მწყემსი ანდრია ვარდიაშვილი იყო, მთელ კახეთში, უფრო კი მეცხვარეებში (ანაც მთელ ზაფხულს მათთან ატარებდა) განთქმული მეფანდურე და საუცხოო მომღერალი.

ახალგაზრდა ანამ, როგორც იტყვიან, სცენის მტვერი პირველად თელავის თეატრში ჩაყლაპა. მან ფანდურზე დაამღერა ქართული ხალხური სიმღერები „იავნანა", „გუთნური", „შაირები" და დამსწრენი მოხიბლა არა მარტო საამურმა ხმამ, არამედ იმ პატარა ფანდურმაც, რომელიც სცენიდან პირველად მოისმინეს.

ეს იყო მხოლოდ დასაწყისი!

ანას თეატრი იზიდავდა, თბილისს მიაშურა, შევიდა დრამატულ სტუდიაში, რომელიც 1931 წელს დაამთავრა. სტუდიაში სწავლის პერიოდში იგი რუსთაველის საო. თეატრის სცენაზე გამოჰყავდათ.

ჯერ კიდევ აკაკი ნერეთელს უთქვამს: ჩვენში ახალ საქმეს ბუკი და ნაღარა ესაჭიროებაო. მაგრამ, ბუკსა და ნაღარას ვინ ჩივის, ანა ვარდიაშვილს იმ დროს მუსიკოსებისგან უბრალო მხარდაჭერაც კი არ ჰქონია, მაგრამ ანას მონდომებამ მაინც გამოიღო ნაყოფი.

გავიხსენოთ ფანდურით მომღერლის პირველი გამოსვლა ჩვენი რადიოთი, კიევში, განსაკუთრებით მოსკოვის რადიოთი, ევროპის ქალაქებსაც რომ გადაეცა. მას ყველგან დიდი წარმატება და მოწონება ხვდა წილად, ამ გამოსვლებმა სახელი მოუხვეჭეს როგორც მომღერალს, ისე ამ პატარა ქართულ ინსტრუმენტსაც.

თუ დღეს ფირფიტებზე ჩაწერილი მისი სიმღერები შემოგვრჩა, ამას ანას მეუღლეს — ვანო ყიფიანს უნდა ვუმადლოდეთ, დიდი ყიფიანების ჩამომავალს. ვანო ანას კონცერტებზე თან დაჰყვებოდა, საგანგებოდ დუდუკზე დაკვრაც ისწავლა, მონაფეებიც აღზარდა და მათი შემწეობით გააკეთა ეს საშვილიშვილო საქმე.

და აი... 1939 წელი...

საკვირველი ის არის, რომ ანა ვარდიაშვილის პირველი დიდი კონცერტი მედუდუკეთა ანსამბლის თანხლებით გაიმართა არა თბილისში, არამედ კიევში. წარმოდგენაც კი ძნელია იმ დიდი წარმატებისა, რაც იქ დაიმსახურეს ანამ და ანსამბლმა.

ალბათ, ეს გახდა საწინდარი, იმავე წელს ჩვენს რადიოკომიტეტს ანა ვარდიაშვილი მედუდუკეთა ანსამბლის სოლისტად მიეწვია. ამ დღიდან მომღერლისათვის ფართო ასპარეზი გაიხსნა. იმდენად სწრაფად მოიპოვა პოპულარობა და საზოგადოების სიყვარული, რომ კონცერტებით ისედაც დატვირთულ ანას, სიმღერისა და ხალხური საკრა-

ვების მასწავლებლად ინვევენ სკოლებში, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში, კულტურის სახლებში...

მეტად თვალსაჩინოა ანა ვარდიაშვილის მუშაობა დიდი სამამულო ომის პერიოდში, მომღერალი ქალი ჯარის ნაწილებში გამოდის და მებრძოლებს თავისი გამარჯვების სიმღერებით ამხნევებს. ბევრი კონცერტი აქვს ჩატარებული სამხედრო კლუბებში, ჰოსპიტლებში.

მაგრამ ანა ვარდიაშვილმა ყველაზე დიდი შრომა ქ. ქლუხორში გასწია 1948 წელს, სადაც მთავრობამ მივლინებით გაუშვა. იგი თავდადებულად მუშაობდა სნორედ იმ საბავშვო სახლებში, სადაც სამამულო ომში დაღუპულ ქართველთა ბავშვები იზრდებოდნენ.

ანასთან მიმოწერა ჰქონდათ ყვავილების მესაიდუმლეს, მიხ. მამულაშვილს, სიტყვის დიდოსტატს, იოსებ გრიშაშვილს და სხვა საპატიო პირებს, განსაკუთრებით კი მის ახლო მეგობარს, ივანე მაჩაბლის ქალს — ელენე ჩერქეზიშვილისას.

„... ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ა. ვარდიაშვილის ღაღადმა არნივზე.

ვგონებ არ გადავაჭარბებ გითხრა, რომ თვით ვაჟა-ფშაველა თავის საფლავში უნდა ილხენდეს, რომ ქართველმა ერმა არა თუ ჭკუით შეიგნო მისი თხზულება, არამედ სიმღერითაც; ღმერთო, რაოდენ დიდი უნდა იყოს ის ერი, რომელიც ასე უმნიკვლოდ ითვისებს თავის მეობას... სიხარული და სიამაყე როგორც ა. ვარდიაშვილის დედ-მამას, ისევე იმას, ვინც ის მუსიკა შეთხზა"

ელენე ჩერქეზიშვილი
(ივანე მაჩაბლის ქალი)

კიდევ ბევრი რამის თქმა შეიძლება ანა ვარდიაშვილზე, მის პოეტობაზე, მის ხელსაქმიანობაზე, ხალიჩების, ხურჯინების და ოთახის ათასი სხვა სამკაულის ქსოვა-ქარგვაზე.

ანა ვარდიაშვილის სახე ჩვენი მხატვრების ყურადღებას იქცევდა. არც ერთ ხელოვანს არ რგებია იმდენი მეგობრული შარჟი, რამდენიც ანა ვარდიაშვილს, დაბეჭდილი თუ კონცერტების დროს სახელდახელოდ შესრულებული და მირთმეული.

ანას პორტრეტებიდან ყველაზე საუკეთესოა გამოჩენილი მხატვრის, ელენე ახვლედიანის მიერ შესრულებული ნახატი, რომელიც ხელოვნების მუზეუმის კუთვნილებაა. მხატვარმა მასში შემოქმედებითად შთაგონებული ხელოვანი აღბეჭდა.

ანა ვარდიაშვილს ხელოვნებისა და პედაგოგიურ სარბიელზე ხანგრძლივი, ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის 1960 წელს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წოდება მიენიჭა.

ილია ზურაბიშვილი

1872-1955

ქართველი მწერალი და თეატრალური მოღვაწე ილია ელეფთერის ძე ზურაბიშვილი დაიბადა 1872 წლის 18 მარტს ყვარელში.

პირველი მოთხრობა „მამულის მსხვერპლი" 1894 წელს „კვალში" გამოაქვეყნა. თანამშრომლობდა ი. ჭავჭავაძის გაზეთ „ივერიაში", სადაც ბეჭდავდა მოთხრობებსა და თეატრალურ რეცენზიებს. მის მოთხრობებში „გაროზგილი", „ორი მონადირე" (ადრინდელი სახელწოდება „ტურიკო, მგელიკო და თოლია") ასახულია მეფის არმიაში მყოფი ქართველი ჯარისკაცის ყოფა, გადმოცემულია რევოლუციამდელი ქართული სოფლის რეალისტური სურათები.

ხელოვნებათმცოდნეობით ნაშრომთაგან აღსანიშნავია „ვანო სარაჯიშვილი", „ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი", „ხალხის შემოქმედი გენია. ლეკური, კახური მრავალჟამიერი, ურმული" და სხვ.

მან მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლე შესწირა ქართული ენისა და ლიტერატურის უანგარო სამსახურს. ი. ზურაბიშვილის კალამს ეკუთვნის არაერთი შესანიშნავი მოთხრობა, გამოკვლევა, სტატია, მონოგრაფია და მოგონება.

ილია ზურაბიშვილმა მატერიალური უსახსრობის გამო მხოლოდ ორწლიანი დაწყებითი სასწავლებელი დაამთავრა. იგი ბავშვობიდანვე დაეწაფა მხატვრულ ლიტერატურას, ადრინდელ ასაკში გაეცნო მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსთა საუკეთესო ქმნილებებს.

1894 წელს ჟურნალ „კვალში" გამოქვეყნდა ი. ზურაბიშვილის პირველი მოთხრობა „მამულის მსხვერპლი". ეს იყო პირველი ნაწარმოები ქართულ ლიტერატურაში, რომელიც ასახავდა მეფის არმიაში მყოფი ქართველი ჯარისკაცის ცხოვრებას. ამ დროს ჟურნალ „კვალის" რედაქტორ-გამომცემლები იყვნენ გიორგი წერეთელი და ანასტასია თუმანოვა-წერეთელი. ისინი დიდი ყურადღებით მოეკიდნენ ახალგაზრდა ავტორს და იმავე ჟურნალში იმავე წელს გამოაქვეყნეს მისი მეორე მოთხრობა, რომელშიც მხილებული იყო პოლიციის მოხელეთა თავხედური ქცევა სოფლად.

მომდევნო წლებში ი. ზურაბიშვილი თანამშრომლობას იწყებს „ივერიაში"; აქ იგი გარდა მოთხრობებისა, აქვეყნებდა თეატრალურ რეცენზიებსაც.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ აქტიურად თანამშრომლობდა საბჭოთა პრესაში, აქვეყნებდა რეცენზიებს თეატრალური და საოპერო დადგმების შესახებ.

ი. ზურაბაშვილის განსაკუთრებით საყურადღებო ნაწარმოებს წარმოადგენს „გაროზგილი" ამ მოთხრობაში ასახულია რევოლუციამდელი ქართული სოფლის დუხჭირი ცხოვრება. მოთხრობა რამდენჯერმე გამოიცა ცალკე წიგნად.

უაღრესად საინტერესო და ძლიერი ნაწარმოებია „ორი მონადირე". 1926 წელს ამ მოთხრობის საფუძველზე გადაიღეს ამავე სახელწოდების კინოსურათი.

იგი ქართული ხელოვნების შესანიშნავი მცოდნე იყო. მის კალამს ეკუთვნის ბრწყინვალე ოსტატობით დაწერილი გამოკვლევები — „ლეკური", „კახური მრავალჟამიერი" და „ურმული", რომლებიც შეეიდნენ წიგნში „ხალხის შემოქმედი გენია", მასვე ეკუთვნის

„მოგონებანი ილია ჭავჭავაძეზე და აკაკი წერეთელზე", „ოთხი პორტრეტი" (გამოჩენილი ქართველი მსახიობების სცენური პორტრეტები) და მრავალი მხატვრული ნარკვევი. ცალკე წიგნებადაა გამოსული მონოგრაფიები „ვანო სარაჯიშვილი" და „ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი", რომლებშიც საქმის ღრმა ცოდნით, დიდი პროფესიული კულტურით და მაღალმხატვრული ოსტატობით არის გადმოცემული ქართული მუსიკის ამ ბუმბერაზ მოღვაწეთა შემოქმედებითი თავისებურებანი.

ილია ზურაბიშვილი იყო მაღალი გემოვნების მწერალი, მის კალამს ეკუთვნის, აგრეთვე, მრავალი თარგმანი.

მის მიერ შემოტანილი მრავალი ტერმინი მტკიცედ დამკვიდრდა ქართულ სალიტერატურო ენაში.

ი. ზურაბიშვილი იყო ქართული კულტურის უანგარო და თავდადებული მუშაკი. მას, მიუხედავად ხანდაზმულობისა, სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე ხელიდან არ გაუგდია კალამი

მედეა კახიძე

ქართველი პოეტი ქალი მედეა ილიას ასული კახიძე დაიბადა 1930 წლის 30 დეკემბერს ყვარლის რაიონის სოფ. ახალსოფელში.

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და სსრკ მნერალთა კავშირთან არსებული უმაღლესი ლიტერატურული კურსები. 1977 წლიდან საქართველოს მნერალთა კავშირის ლიტერატურის პროპაგანდის ბიუროს თავმჯდომარეა. ლექსთა პირველი კრებული „საყვარლის ასაკი" 1950 წელს გამოაქვეყნა. მ. კახიის ძირითადი პოეტური კრებულებია: „განა ნყარო ვარ", „სადა ბარ, ჩემო მებაღეო", „სიყვარულს უმენებია", „ინდი-მინდი", „წინათგრძნობა", „ლექსები" და სხვ. მასვე ეკუთვნის საბავშვო ლექსთა წიგნები: „ჯიუტი ჩიტები", „მოდი ეკა შეერიგდეთ", „ინდი-ფრინდი" და სხვ.

მ. კახიძის ლექსები თარგმნილია რუსულ, აზერბაიჯანულ, სომხურ, ტაჯიკურ, რუმინულ, სერბ-ხორვატულ, ჩეხურ, ბულგარულ და სხვა ენებზე.

...ხალხურიგულის ძალედრილი ბედური ჯერ
და ძმის ძარღვების ანალოგად ვეძნრები"

აი, რას ნერდა მასზე პოეტი ანზორ აბულაძვილი ჯერ კიდევ 1976 ნელს:

„თავიდანვე ჩვენი გულითადი მეგობრობის მიუხედავად, დანამდვილებით — დღეს, უკვე აღარ მახსოვს — პირველად როდის და სად შევხვდი მედეა კახიძეს. ნუ დაგავიწყდებათ, მას მერე თითქმის ოცდამეთხუთმეტე ნელი ინურება. სამაგიეროდ, მისი მაშინდელი თვალისმომჭრელი გარეგნობა: უაღრესად ქართული იერი, გარკვეულად — ველურმშვენებაშერეული, სოფლურ თუ ბალღურ გულუბრყვილობაში გადასული, ახლაც ნათლად მიდგას თვალნინ. მაღალს, თვალებბრიალას სახეზე ცხადად ენერა გაოცება, სიკეთე და სიმიამიტე. რაც არ უნდა გაცვეთილი იყოს ქალის შველთან შედარება, მომკალით და, მედეა მართლა შველი იყო გამოცხადებული. ქუჩაში მიმავალს დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, ყველა, უკლებლივ, უეჭველად თვალს გააყოლებდა ხოლმე. ის კი, ვითომცდა არაფერი, მიდიოდა და აინუნშიც არავის აგდებდა.

— მოგცლიათ, ერთი!

ნუ დაეჭვდებით, ეს მართლაც ასე იყო. თუმცა ზოგიერთმა შეიძლება, ერთი პირი, ქალურ თვალთმაქცობად მონათლოთ, მაგრამ, არა, ჩემო კეთილო, დარწმუნებული ვარ. მაშინ ასეთი თვალთმაქცობა, ისევე როგორც ქალური კეკლუცობა და აზიზმაზიზობა მისთვის სრულიად გაუგებარიც კი იყო. ეგ კი არა, პირიქით, გული მოსდიოდა, ბრაზდებოდა: — საქმე რამ გამოულიათო.

მიზეზი?

მიზეზს აგერ გეტყვით და ყველაფერი ცხადი გახდება: საქმე ის იყო, რომ მედეა კახიძეს ნამდვილი ბიჭური ხასიათი ჰქონდა, მკაცრი, ამაყი, შეუპოვარი, ბიჭური სიკერპით. ქალაქში სათუთად და ნებივრად გაზრდილებს, მინაზებულ თვალუუფუნებს, თეთრხელებიან უსაქმურებს, ჩაცმა-დახურვას გადაყოლილებს, ისევე როგორც მთელ ქალაქურ.ყოფას (ალბათ, უკლებლად ყველა გულუბრყვილო სოფლელი ბიჭის დამოკიდებულება) ზემოდან, დამცინავად, აშკარად გამომწვევად უყურებდა, უდიერად ეპყრობოდა.

ახლა მის მაშინდელ მეგობრებს არ იკითხავთ?!

ლადო მრელაშვილი, შოთა ნიშნიანიძე, კარლო კობერიძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, მორის ფოცხიშვილი, გივი გეგეჭკორი, უდროოდ გარდაცვლილი კარლო ქილარჯიანი.

ხედავთ? არცერთი ქალი! ნუ მიწყენს მედეასთვის დღეს უკვე დასთან სათქმელი, ჩვენი შეუანიშნავი პოეტი ნაზი კილასონია, მაგრამ მათი მეგობრობა მერე და მერე აეწყო... იმხანად მედეა კახიძე მხოლოდ ბიჭებით გარშემორტყმული, ბიჭების ამალით ამოიელდა ხოლმე რუსთაველის გამზირზე.

ის ჭაბუკები – დამწყები პოეტები თუ მწერლები, ჯერ ისევ სტუდენტები იყვნენ და ამიტომაც ძალზე ხშირად ქეიატად გახლდნენ. საღამოხანს მწერალთა კავშირიდან გამოსულები გზადაგზა ჯიბეებს მოიჩხრეკდნენ, თითო-ოროლა მანეთობით მცირე თანხას მოაგროვებდნენ, იაფფასიან ძეხვსა და პურს იყიდდნენ და ფიქრის გორაზე, მედეა კახიძის ოჯახში სიცილ-ყაყანით შელაგდებოდნენ... თადარიგიანი მასპინძლის მარიფათი და მოხერხება საგანგებოდ მეგობრებისათვის გადანახულ ღვინოსაც გამოაჩენდა და, იცოცხლე, ხელმწიფის საკადრისი სადილ-ვახშამიც მზად იყო! მერედა, რა სერობა იმართებოდა! ამაღლებული, გულითადი, ალბათ გულუბრყვილოც; პოეზიით, მოსნრებული ხუმრობით და ზმით შეზავებული..."

ის ქალს.
იმ ბერიკაცს ვუმარჯოს.
ვისი ცხოვრების ფსაც შეუძლია.
ვისაც
არასოდეს ვუმართლდა.
ძალიც სიყვარული შეუძლია.
ვისაც იმედები ჰეროდ ჰეროფნის
ვინც ძოულ ქვეყანაზე ეუძია.
ვისაც.
სიყვარულით უარყოფილს.
სხვისი სიყვარული შეუძლია.
იმ ქალს.
იმ ბერიკაცს ვუმარჯოს.
ვისი სიძლიერებიც მწუსარია.
ვისაც სიხარული ვუაუდრდა.
სხვისი ვალიბება უსარია!
ვისაც

შეუძლია ატირება.
ძმით და სიყვეთით ძლეულია.
დიდი შეცოდების ჰატიება
ვისაც
დიდულოვნად შეუძლია!
ვისაც
უსარია ყველაფერი —
ტყვება თუ ველებია.
ვისც ჩვენი ძმულის
ფერად ფერებს
ვერა და ვერაფრით შელევია!
ვისაც
არასოდეს ვაუვარდა
ძალიც იმედებით ვრძნეულია
ეს იმ ადამიანს ვაუმარჯოს.
ვისაც სიყვარული შეუძლია!

რაცა ქუჩაში დიდთოვლობისას
ადარ ვესწრიან ბიჭები ვუნდას,
ძენ დრო და ჭიში ყვაუილობისა
უკვე წარსულად ჩათვალო უნდა.

სიქართველოში მოაფრენა მერცხლის
რაცა სულერთი იესება ზენთვის,

თუ თვალსმიერად არავის შეტრფი
ვაუსუნებია სიხმრები თეთრი.

ხიდან ჩამოშლას ჩიტის ბუდისას
როდესაც ვეღარ მიიტან ვულთან,
ზენ სიძლიერები სიჭაბუკისა
უკვე წარსულად ჩათვალო უნდა!

კონსტანტინე კოტიკო მარჯანიშვილი

1903-1981

ქართველი მათემატიკოსი, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სოციალისტური შრომის გმირი, კოტე მარჯანიშვილის შვილი, კონსტანტინე (კოტიკო) კონსტანტინეს ძე მარჯანიშვილი დაიბადა 1903 წლის 26 აგვისტოს ქ. მოსკოვში.

1924 წ. დაამთავრა ლენინგრადის უნივერსიტეტი. 1934-1949 წწ., შემდგომ კი 1951 წლიდან მუშაობდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში ვ. სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში. ძირითადი შედეგები აქვს მიღებული რიცხვთა ადიციურ თეორიაში (რიცხვების ნარმოდგენა ხარისხების ჯამების სახით) და გამოყენებით მათემატიკაში.

დაჯილდოებულია ორდენებით — მათ შორის ლენინის ორდენით და მედლებით.

კონსტანტინე მარჯანიშვილი დაკრძალულია თბილისში, დიდუბის პანთეონში.

ნინო მაჟაშვილი-ტაბიძე

1900-1965

ლიტერატორი, ტიციან ტაბიძის მეუღლე ნინო ალექსანდრეს ასული მაყაშვილი დაიბადა 1900 წლის 15 მარტს ყვარელში. თელავის წმინდა ნინოს სახელობის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ თბილისში გადმოვიდა. აქ გაეცნო ტიციანს და 1920 წლია 14 იანვარს, თავისი სახელობის დღეს, დაინერეს ჯვარი. ამ დღიდან დაბეჭდული სიცოცხლის ბოლომდე ნინო მეუღლის ერთგული დარჩა.

მათი ოჯახი იმთავითვე იქცა თავისებურ ლიტერატურულ სალონად. ქართველ მწერალთა გარდა აქ თავს იყრიდნენ ს. ესენინი, ა. ბელი, ი. ერენბურგი, ბ. პასტერნაკი, ლ. ლეონოვი, ი. ტინიანოვი, ნ. ტიონოვი, ნ. ზაბოლოცკი, პ. ანტოკოლსკი, მ. ბაჟანი, ე. ჩარენცი, ო. თუმანიანი, ა. ისააკიანი და სხვ. ქალბატონი ნინო იყო გულუხვი, სათნო და დარბაიელი მასპინძელი, თავისი ღირსეული მეუღლის სწორი პიროვნება.

ბემდეგ ავბედითი 1937 წელი... ძვირფას ადამიანებთან სამუდამოდ განშორება. მაგრამ მეგობრობის ნერგებმა გაუძლო ქარიშხალს, ფუძე მაინც არ მოიშალა, ერთგულმა ადამიანებმა არ მიატოვეს ტაბიძეების კერა. მარტო ბ. პასტერნაკის ტიციანის ოჯახზე ლეგენდადქცეული ზრუნვა და ყურადღება რამდენის მთქმელია.

ყოველივე ეს ნინო ტაბიძემ დაგვიტოვა მოგონებებში, რომელიც ფასდაუდებელია ჩვენი, და არა მარტო ჩვენი, მნერლობის, კულტურის და ისტორიისათვის.

მართალია, ნინო ტაბიძეს დამთავრებული ჰქონდა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი და 1955 ნლამდე მუშაობდა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში პარაზიტოლოგიის კათედრაზე, მაგრამ იგი მთელი ცხოვრება იყო და დარჩა ქართული სიტყვის თაყვანისმცემელი და მნიგნობარი. მის კალამს ეკუთვნის გრ. ორბელიანის და ალ. ყაზბეგის, ტიციანისა და მისი მეგობრების ნაწარმოებთა რუსული პნკარედები.

კარგად თქვა გიორგი ლეონიძემ ნინო ტაბიძის დასაფლავებაზე გამოსამშვიდობებელ სიტყვაში: „... არ ვიცით, სად ნევს ტიციანი, თუმცა მისი საბოლოო მამული დიდუბის მინაში უნდა ყოფილიყო და ამიტომაც შენ წვები ამ მინაში ტიციანის მაგივრადაც და ამ ერროდ გათბრილ ერთ საფლავში ამიერიდან ჩვენთვის ორი სამარე იქნება — ნინოსი და ტიციანის“

გიორგი მერკვილაძე

1898-1967

ქართული სპორტის მოღვაწე, სსრკ სპორტის დამსახურებული მოღვაწე, სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი, საქართველოს დამსაურებული მასწავლებელი, საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე გიორგი ნოშრევანის ძე მერკვილაძე დაიბადა 1898 წლის 1(13) აგვისტოს ყვარლის რაიონის სოფ. შილდაში.

1921-25 წწ. ქართული დივიზიის ინსპექტორი სპორტში. 1924-30 წწ. ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭოს სამეცნიერო ტექნიკური კომიტეტის თავმჯდომარე. ერთდროულად 1921 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა განათლების სისტემის ორგანოებში. გ. მერკვილაძე აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს უმაღლესი სპორტული განათლების, სპორტში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და, განსაკუთრებით, ბავშვთა შორის სპორტული მუშაობის ორგანიზაციისა და გაშლის საქმეში. მისი უშუალო მონაწილეობით 1933 წელს თსუ-ში შეიქმნა ფიზკულტურის ფაკულტეტი. მისი თანადგომით 1934 წელს თბილისში გაიხსნა სსრ კავშირში პირველი სპორტული სკოლა.

დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, 2 შრომის წითელი დროშის ორდენით, საპატიო ნიშნის ორდენით და მედლებით.

ანდრო მირიანაშვილი

1927-1991

ქართველი მეცნიერი მკვლევარი ანდრო მირიანაშვილი დაიბადა 1927 წელს კახეთში, სოფელ შილდაში. მთელი ცხოვრება თან სდევდა თავისი კუთხის ხიბლი და მადლი. უღალატო მეგობარი იყო, სიკეთით და სიყვარულით აღსავსე. 1949 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სულ ახალგაზრდას ერგო პატივი, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი გამხდარიყო. იმ დროს ინსტიტუტი ორმოციოდე თანამშრომელს თუ ითვლიდა და ახალგაზრდა მკვლევარის იქ მოხვედრა უკვე თავისთავად მეტყველებდა მის ნიჭსა და ღირსებებზე. აქვე დაჰყო სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე და, უბრალოდ, ვერც წარმოედგინა ცხოვრება ინსტიტუტის გარეშე, რადგან სნორედ აქ იყო მთლიანად თავმოყრილი მისი ინტერესები, მისთვის ყველაფერი ქართულ ლიტერატურასთან იყო დაკავშირებული. მის მიერ შესწავლილი და გაანალიზებული პროცესი მეოცე საუკუნის მწერლობისა ქართული ლიტერატურის ისტორიის მეხუთე ტომის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. მისი მონოგრაფიული გამოკვლევები გიორგი ლეონიძეზე, იოსებ გრიშაშვილზე, ალექსანდრე აბაშელზე, მიხეილ ჯავახიშვილზე და სხვებზე ფრიად ღრმა და საინტერესოა, მისი კრიტიკული ნერილები ლიტერატურაზე უკომპრომისო, პრინციპული და, იმავ დროს, მწერლობის სიყვარულით გამთბარია.

სამწუხაროდ, დაუსტამბავი დარჩა ორი მშვენიერი მონოგრაფია – „შიო არაგვისპირელი" და „ვასილ ბარნოვი", სადაც მოცემულია ცდა ორი დიდი ქართველი მწერლის შემოქმედების ახლებური ინტერპრეტაციისა. ყურადღებას იპყრობს ანდრო მირიანაშვილის ნარკვევები "პაოლო იაშვილი", „ილო მოსაშვილი", „ლევან გოთუა", „ბასილ მელიქიშვილი" და სხვა. ბოლო წლებში განსაკუთრებულად გამოჩნდა ანდრო მირიანაშვილის შესაძლებლობანი, როდესაც მკვლევარს შემოეხსნა დროით გაბსაზღვრული არტახები და თავისუფალ შეფასებათა საშუალება მიეცა. რაც დაგვიტოვა მკვლევარმა, უთუოდ თავის ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს ქართული კრიტიკა და ლიტერატურისმცოდნეობის მატიანეში.

ანდრო მირიანაშვილი ნაყოფიერ პედაგოგიურ მუშაობასაც ეწეოდა. სხვადასხვა დროს ქართული ლიტერატურის ისტორიის კურსს კითხულობდა ცხინვალის, თბილისის ულიან-საბა ორბელიანის სახელობის და თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტებში.

ანდრო მირიანაშვილი გარდაიცვალა 1991 წელს.

გურამ მირიანაშვილი

1927-2000

ბრნყინვალე მოქალაქე და მამულიშვილი, ნიჭიერი არქიტექტორი, დიდბუნებოვანი და დიდი ერუდიციის პიროვნება, გამორჩეული ხელმძღვანელი, შესანიშნავი აღმზრდელი, საზოგადო მოღვაწე, მეცნიერი და ხელოვანი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის, არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის მოსკოვის ფილიალის, ეკოლოგიისა და ბუნებათმცოდნეობის საერთაშორისო აკადემიის და საქართველოს ეკოლოგიის აკადემიების აკადემიკოსი გურამ ზაალის ძე მირიანაშვილი დაიბადა 1927 წლის 7 ნოემბერს ყვარლის რაიონის სოფ. შილდაში.

დაამთავრა თბილისის მე-2 საშუალო სკოლა, 1949 წელს – საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი და მუშაობა დაიწყო საპროექტო ინსტიტუტ „თბილქალაქპროექტში" 1952-1954 წლებში ისმენდა ლექციებს მოსკოვის არქიტექტურული ინსტიტუტის კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტზე. 1954-1956 წლებში ამ ინსტიტუტის ასპირანტია და თვითონ კითხულობს კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსს.

1958 წელს ბრუნდება მშობლიურ თბილისში, 1959-1969 წლებში იყო „საქქალაქმშენსახპროექტის" ლაბორატორიის ხელმძღვანელი, პროექტის მთავარი არქიტექტორი, სექტორის ხელმძღვანელი, მოსკოვის საბინაო მშენებლობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტის თბილისის ფილიალის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი. ამავე დროს, მეთავსებით მუშაობდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში არქიტექტურული პროექტირების კათედრაზე. 1967 წლიდან იგი უფროსი მეცნიერ-თანამშრომელია, 1980 წლიდან დოცენტია, ხოლო 1995 წელს პროფესორი ხდება. 1960 წლიდან საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამგეობისა და პრეზიდიუმის, ხოლო 1982-1987 წლებში სსრკ არქიტექტორთა კავშირის გამგეობის წევრი იყო.

1964-1972 წლებში „თბილზნიეპის" ლაბორატორიის და განყოფილების ხელმძღვანელია. 1972 წელს დანიშნეს „საქქალაქმშენსახპროექტის" მთავარ არქიტექტორად და დირექტორის მოადგილედ, ხოლო 1973-1978 წლებში „თბილქალაქპროექტის" დირექტორად მუშაობდა.

1978-1995 წლებში გურამ მირიანაშვილი საქართველოს რესპუბლიკაში სამშენებლო დარგის ხელმძღვანელია: 1978-1989 წლებში საქართველოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის, ქვეყნის სამშენებლო კომპლექსის რეორგანიზაციის შემდეგ სახმშენის თავმჯდომარის პირველი მოადგილის და არქიტექტურის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობები ეკავა. 1991-1995 წლებში გურამ მირიანაშვილი მუშაობდა საქართველოს არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა მინისტრად.

ყველგან, სადაც მოღვაწეობდა გ. მირიანაშვილი, მას იცნობდნენ, როგორც შემოქმედ, დიდი ერუდიციის და ხალასი ნიჭის ინტელიგენტს, გულისხმიერ და ორგანიზატორული უნარით დაჯილდოებულ ხელმძღვანელს.

დიდია პროფესორ გურამ მირიანაშვილის ღვაწლი სამშობლოსა და ხალხის წინაშე, მან ქვეყანას აღუზარდა არქიტექტორთა ბრწყინვალე პლეადა.

გურამ მირიანაშვილის სახელთანაა დაკავშირებული ათობით შესანიშნავი პროექტი, მათ შორის ისეთი უნიკალური ნაგებობების, როგორიცაა სახელმწიფო კანცელარიის შენობა თბილისში, ექიმთა დახელოვნების კლინიკა, პოლიტგანათლების სახლი, ხე-ტყის მრეწველობის სამინისტროს შენობა და სხვა.

გურამ მირიანაშვილს შესრულებული აქვს ათზე მეტი საკონკურსო პროექტი, მონაწილეობდა არქიტექტორთა მთელ რიგ კონკურსებში, მათ შორის, საფრანგეთსა და კუბაში.

გურამ მირიანაშვილი ავტორია სამ ათეულზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა, სამეცნიერო ტექნიკური ანგარიშებისა, სამი გამოგონების, სახელმძღვანელოსი „სამოქალაქო შენობების ინტერიერი"

გ. მირიანაშვილი მუდამ აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, აქვეყნებდა სტატიებს, 1982-1987 წლებში იყო მეცნიერების და ტექნიკის დარგში, ასევე ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგში სახელმწიფო პრემიების მიმნიჭებელი კომიტეტების წევრი, მინისტრთა საბჭოსთან არსებული მონუმენტური ხელოვნების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. 1995-1999 წლებში ხელმძღვანელობდა საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის მშენებლობისა და კომუნალური მეურნეობის ქვეკომიტეტის სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს.

გურამ მირიანაშვილს 1983 წელს მიენიჭა საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს პრემია, ხოლო 1985 წელს ის გახდა რუსთაველის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი. დაჯილდოებული იყო ორდენებით და მედლებით, მათ შორის ღირსების ორდენით, სხვადასხვა დიპლომებით, სიგელებით, იყო ქალაქ-მუზეუმ მცხეთის საპატიო მოქალაქე. მთელი მისი ცხოვრება მაგალითია ქვეყნის უანგარო სიყვარულისა და თავდადებისა.

მათე მირიანაშვილი

1906-1975

ქართველი ფიზიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე მათე მიხეილის ძე მირიანაშვილი დაიბადა 1906 წლის 5(18) ოქტომბერს ქ. ყვარელში.

გამორჩენილი ფიზიკოს-მათემატიკოსი იმ თაობის წარმომადგენელი იყო, რომელმაც 30-იან წლებში საქართველოში თანამედროვე ფიზიკა და მისი სწავლება დაამკვიდრა.

1934 წლიდან იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობდა. იყო ნ. აკინფიევის, ნ. მუსხელიშვილის, გ. ნიკოლაძის, ა. რაზმაძის და სხვათა მოსწავლე. 1937 წელს კი ა. დიდებულიძის ზოგადი ფიზიკის კათედრის მუშაობაშიც ჩაება. 1955-59 წწ. მ. მირიანაშვილი ფიზიკის ფაკულტეტის დეკანია, შემდეგ უნივერსიტეტის პრორექტორი, 1932 წლიდან კი სიცოცხლის ბოლომდე ზოგადი ფიზიკის კათედრის გამგეა. 1943 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკისა და გეოფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი, შემდეგ ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი და ნამდვილი წევრი. 1964 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შექმნა ფარდობითობის ზოგადი თეორიის მკვლევართა ჯგუფი, რომელიც საბჭოთა კავშირის გარეთაც გახდა ცნობილი. ამის შემდეგ მეორე საკავშირო და მეხუთე საერთაშორისო კონფერენციები გრავიტაციისა და ფარდობითობის თეორიაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა.

ქართული ფიზიკის ისტორიაში მათე მირიანაშვილი პირველი ფიზიკოს-თეორეტიკოსია, რომელიც XX საუკუნეში წარმოშობილმა ფუნდამენტურმა ფიზიკამ მოითხოვა.

მათე მირიანაშვილს მუდამ იზიდავდა ფიზიკის კანონთა უღრმესი შინაარსი და კავშირი, ფიზიკის ერთიანი დედუქციური სურათი, რომლის საჭიროება და სილამაზე მან პირველმა დაანახა საქართველოს ფიზიკოსებს თავისი შესანიშნავი ლექციებით. მ. მირიანაშვილი ბუნებრივი ფუნდამენტური ფიზიკის მკვლევარი იყო. ამ ხაზით გააუმჯობესა მან ბრაუნისეული მოძრაობის თეორია, მიიღო პირველი ზუსტი შედეგი დიტერიუმის ელექტრულ თვისებათა თეორიაში და პირველმა წამოაყენა (ი. მამალაძესა და ვ. ჭავჭანიძესთან ერთად) ჰიპოთეზა, რომელიც მხოლოდ ერთი წლის შემდეგ გამოთქვა ნობელის პრემიის ლაურეატმა, იანგმა. ვაკუუმის პოლარიზაციის პირველი შემაჯამებელი გამოკვლევაც მ. მირიანაშვილმა შეასრულა 1958 წელს, რისთვისაც ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი მიენიჭა.

მ. მირიანაშვილი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო მთელ მსოფლიოში, ვინც გაიგო ზოგადი ფიზიკა, არა როგორც სალექციო ცდებიდან გამომდინარე დასკვნების ერთობლიობა, არამედ, როგორც ფუნდამენტური თეორიული ფიზიკის ზოგადი თვისებრივი მონახაზი, მკაფიოდ გამოხატული ფუძით და კავშირებით.

დაუვიწყარია მისი საფაკულტეტო სემინარები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თუ მოხსენებები სხვა ინსტიტუტებში, მისი კონსულტაციები... რასაც იგი უხვად, ხალისიანად, მისთვის ჩვეული ალერსიანი ღიმილით აწვდიდა ყოველ მსურველს.

მათე მირიანაშვილს ღირსეული ადგილი ეკუთვნის ქართული მეცნიერების ისტორიაში.

ილია ნატროშვილი

1912-1979

ცოცხალსაჩინო ჟურნალისტი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი ილია ალექსის ძე ნატროშვილი დაიბადა 1912 წელს ახალსოფელში (ყვარლის რაიონი). 1931 წელს დაამთავრა თელავის საშუალო სკოლა და ერთხანს მასწავლებლად მუშაობდა სოფელ ზემო ალვანის სკოლაში. ამავე წელს სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე, რომლის დამთავრებისთანავე, 1936 წელს, დაინიშნა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კადრების გამყოფილების გამგედ.

1937 წლიდან ი. ნატროშვილი გაზეთ „საბჭოთა მასწავლებლის" რედაქციის პასუხისმგებელი მდივანი იყო. 1940 წლიდან მუშაობდა საქართველოს სსრ რადიოკომიტეტში ჯერ პოლიტიკურ გადაცემათა მთავარ რედაქტორად, ხოლო შემდეგ — თავმჯდომარის მოადგილედ. 1944 წელს ი. ნატროშვილი კვალიფიკაციის ასამაღლებლად მიავლინეს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში, რის შემდეგ მსახურობდა საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროში.

1946-1953 წლებში ი. ნატროშვილი მუშაობდა გაზეთ „კომუნისტის" რედაქტორის მოადგილედ, ხოლო 1954-1957 წლებში — ჟურნალ „საქართველოს კომუნისტის" რედაქტორად.

მრავალმხრივი და დიდად ნაყოფიერი იყო ი. ნატროშვილის სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობა. 1947 წელს მან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშაობა დაიწყო სახელმწიფო სამართლის კათედრის ასისტენტად. 1951 წელს ნარმატებით დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1964 წელს სადოქტორო დისერტაცია. 1953 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის კათედრის დოცენტია, 1969 წლიდან — პროფესორი. ათეული წლის განმავლობაში კითხულობდა ლექციების კურსს საბჭოთა ჟურნალისტიკის თეორიასა და პრაქტიკაში, პარტიული და საბჭოთა პრესის ისტორიაში და ჟურნალისტიკის არაერთ სხვა ნამყვან დისციპლინაში, როგორც თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის, ისე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული უმაღლესი პარტიული სკოლისა და კურსების მსმენელთათვის.

ი. ნატროშვილი ასზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა და მრავალი საგაზეთო-საჟურნალო სტატიის ავტორია. ქართული ჟურნალისტიკის თეორიისა და ისტორიის მნიშვნელოვანი მენაიენია სხვადასხვა დროს წიგნებად გამოცემული მისი ვრცელი მონოგრაფიები, ორ წიგნად გამოიცა „საბჭოთა ჟურნალისტიკის თეორიისა და პრაქტიკის" სახელმძღვანელო.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ი. ნატროშვილის პედაგოგიური ღვაწლი. მან დიდი ამაგი დასდო ჟურნალისტთა არაერთი თაობის აღზრდის საქმეს. ი. ნატროშვილის პიროვნებაში შერწყმული იყო მტკიცე პრინციპულობა და სათუთი გულისხმიერება, სამაგალითო პასუხისმგებლობა და იშვიათი თავმდაბლობა.

გამოირჩეოდა აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობით. ორგზის იყო არჩეული თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატად. მიღებული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები.

ვახტანგ ტაბლიაშვილი

„ჩემი არსებობის ბალავარია: ყვარელი, ოჯახი, მარჯანიშვილის თეატრი, მოსკოვის სამხატვრო თეატრი და ლუნაჩარსკის სახელობის თეატრალური ინსტიტუტი.
ყვარელი ჩემი სამშობლოა. მისი ბუნება და ხალხი ჩემს გამზრდელად მიმაჩნია. ყვარელელები დინჯი და ენერგიულები არიან, დარბაისლურია მათი სჯა-ბაასი და საუბრის კილო, შთაგონებით მღერიან ხალხურ სიმღერებს. ჩემი ბავშვობის უდიდესი შთაბეჭდილება იყო მუშაობიდან მწუხრისას შინ მიმავალი გლეხების "მუმლი მუხასა" ეს ჰიმნია ბალხის უტეხი სულისა, ამ სიმღერას ასეთი ძალით საქართველოში ვერსად მღერიან. ულამაზესია ყვარლის შემოგარენი. მცირენლოვანმა შევიგრძენი მისი მთების სიდიადე და ველთა სიტურფე. სამშობლოს ფესვმაგარმა ხალხმა და ბუნების სილამაზემ ჩამინერგა ბოროტ ზე კეთილის გამარჯვების რწმენა და სიცოცხლის სიყვარული...“

ვ. ტაბლიაშვილი

ეროვნული ქართველი რეჟისორი, საქართველოს სახალხო არტისტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი (2001 წ.) ვახტანგ ვალერიანის ძე ტაბლიაშვილი დაიბადა 1914 წლის 16 მაისს ყვარელში.

1939 წელს დაამთავრა მოსკოვის ლუნაჩარსკის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტი. 1940-56 წწ. მუშაობს მარჯანიშვილის სახელობის თეატრში დამდგმელ და მთავარ რეჟისორად. თავისი სცენარით დადგა ლავრენტი არდაზიანის „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“, ოსტროვსკის „უმზითვო“, ლ. გოთუას „დავით აღმაშენებელი“, „მეფე ერეკლე“, „უძლეველნი“, შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“, „ანტონიოსი და კლეოპატრა“, „ოტელო“ ალ. ყაზბეგის „მოძღვარი“, ვლ. კანდელაკის „ბაია ნყნეთელი“ და სხვ.

1956-66 წწ. თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მთავარი რეჟისორია. აქ მან დადგა: ზ. ფალიაშვილის „დაისი“, შ. მშველიძის „დიდოსტატის მარჯვენა“, ვერდის „ტრუბადური“, მ. ბალანჩივაძის „დარეჯან ცბიერი“ და სხვ.

1967 წლიდან მოღვაწეობს თბილისის კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ დამდგმელ რეჟისორად. დადგა: „ქეთო და კოტე“ (შ. გედევანიშვილთან ერთად), „დიდოსტატის მარჯვენა“ (დ. აბაშიძესთან ერთად), სცენარის ავტორები კ. გამსახურდია, ვ. ტაბლიაშვილი; „ლევან ხიდაშელი“ (სცენარის ავტორები გ. ფანჯიკიძე, ვ. ტაბლიაშვილი).

სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა ტაბლიაშვილს, მარტო კინოფილმ „ქეთო და კოტეს" დადგმითაც დარჩებოდა ქართული (და არა მარტო ქართული) ხელოვნების ისტორიაში. რამდენი რამ შეიცვალა კინოში მას აქეთ, შეიცვალა გამოსახვის საშუალებები, ლექსიკა, ათასგვარი სტილურ ძიებებში ნარმოიქმნა ახალი კინოტენდენციები, მაგრამ ქართველი რეჟისორის ამ ფილმს შეუცვლელი ღირებულება აქვს...

აპექტაკლებიდან განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს ვ. ტაბლიაშვილის მიერ 1942 ნელს დადგმული ლევან გოთუას „მეფე ერეკლე" კრიტიკამ და საზოგადოებამ ამ სპექტაკლს მარჯანიშვილის სპექტაკლი უწოდა, ტაბლიაშვილმა კი საბოლოოდ განიმტკიცა თავისი ადგილი ქართულ თეატრში. მან აქ გვიჩვენა თავისი შემოქმედების მყარი ეროვნული საფუძვლები, მის სიღრმეებში ნვდომის ძალა.

ქართული თეატრის ისტორიაში ბევრი არ არის იმგვარი სპექტაკლი, რომელსაც ასე აემღელვარებინოს დიდძალი მაყურებლის აზრი და გრძნობა. ფართო რეჟისორული მონასმები, ვაჟკაცური, ენერგიული თეატრალური სტილი, შერწყმული დიდ პატრიოტულ ჟღერადობასთან, იყო ის ძალა, რომელმაც ასე გაიტაცა აუდიტორია. სპექტაკლს ფართოდ გამოეხმაურა პრესა. ბ. ჟღენტის აზრით, „მარჯანიშვილის თეატრმა ამ პიესის განსახიერებით შექმნა დიდი იდეური და ესთეტიკური სპექტაკლი. რეჟისორი ვ. ტაბლიაშვილი ამ დადგმით ღრმა პოტენციის და მდიდარი ფანტაზიის ხელოვნად მოგვეელინა. იგი ემნის ორიგინალურად და მკაფიოდ დაფიქსირებულ მიზანსცენებს, აღნევს ნარმტაც სანახაობით ეფექტს, რომელიც კი არ ჩრდილავს, არამედ ავლენს პიესის შინაარსს..." (გაზეთი „ლიტერატურა და ხელოვნება").

ვახტანგ ტაბლიაშვილი დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით.

ვახტანგ ტაბლიაშვილი არის ორიგინალური და მრავალმხრივი, ფართო დიაპაზონისა და ეროვნულობით გაჟღენთილი თვითმყოფადი რეჟისორი.

ამ აზრის დასადასტურებლად მარტო მის მიერ დადგმული შ. მშველიძის „დიდოსტატის მარჯვენა" იკმარებდა. რეჟისორმა დიდებულად იგრძნო კომპოზიტორის მუსიკის სიღრმე და სცენაზე, შეძლო მისი პოეტური სცენური ნაკითხვა...

და რაოდენ გულდასაწყვეტია, რომ ამხელა რეჟისორი, დიდი ერუდიციისა და გამოცდილების მქონე ხელოვანი, გენიალური „ქეთო და კოტეს" შემქმნელი ვახტანგ ტაბლიაშვილი, ნლების განმავლობაში მოწყვეტილია ქართულ კინოს, თეატრს...

აბესალომ ყურაშვილი

საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი აბესალომ იოსების ძე ყურაშვილი დაიბადა 1928 წლის 16 სექტემბერს ყვარლის რაიონის სოფ. შილდაში. 1944 წელს დაამთავრა სოფელ შილდის საშუალო სკოლა, ხოლო 1950 წელს — თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი „ხიდების და გვირაბების მშენებელი ინჟინრის" კვალიფიკაციით.

განაწილებით მუშაობა დაიწყო ქ. ბაქოს მეტროპოლიტენის მშენებლობაზე, საიდანაც 1951 წ. გაიწვიეს სამხედრო სამსახურში კარპატებში, დასავლეთ უკრაინაში, სადაც ომის დროს დანგრეული რკინიგზა აღადგინა.

1952 წელს დემობილიზაციით დაბრუნდა თბილისში და მუშაობა დაიწყო თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლობაზე, სადაც იმუშავა 1973 წლამდე, უბნის უფროსიდან სამმართველოს უფროსამდე. არის გვირაბების ერთ-ერთი უდიდესი სპეციალისტი, მისი ხელმძღვანელობით აშენდა და გაიხსნა თბილისში მეტროსადგურები: რუსთაველის, მარჯანიშვილის, ვაგზლის მოედნის, ავლაბრის, სამასი არაგველის, ისნისა და სამგორის. მანვე ააშენა პოლიტექნიკურისა და სამედიცინო ინსტიტუტის მეტროს სადგურები. მიაი გაყვანილია მინისქვეშა გადასასვლებები: რუსთაველის ძეგლთან, პუშკინის (სულხანსაბას) ინსტიტუტთან, კინო „საქართველოსთან"

1973 წელს გადაიყვანეს ქ. თბილისის ტრესტ „ინჟმშენის" მმართველად. 1976 წელს დანიშნეს გაერთიანება „თბილქალაქმშენის" უფროსად — საქართველოს მშენებლობის მინისტრის მოადგილედ. ორი წლის შემდეგ კი — საქართველოს საბინაო-კომუნალური მეურნეობის მინისტრია მოადგილედ. ხოლო 1991 წელს ამ სამინისტროს გაუქმების შემდეგ მუშაობს „თბილმეტრომშენის" სამმართველოს განყოფილების გამგედ.

მისი აშენებულია თბილისში რკინაბეტონის კონსტრუქციების სამი ქარხანა და საცხოვრებელი სახლები გლდანის მეოთხე, მეხუთე, მეექვსე და მერვე მიკრორაიონებში. მისი გაყვანილია წყალსადენი საქართველოში და მრავალი სხვა.

1969 წელს დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის წოდება. არის საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი, დამსახურებული რაციონალიზატორი და დამსახურებული გამომგონებელი. 1973 წელს მიენიჭა სსრკ სახელმწიფო პრემია.

დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, ორი შრომის წითელი დროშის ორდენით და ხალხთა მეგობრობის ორდენებით (4 ორდენი). სახელმწიფო საზღვრის დაცვის საქმეში ნარმატებებისათვის აქვს 3 მედალი. დაჯილდოებულია საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

არის ოცდაორი გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომის ავტორი და ერთი საავტორო მოწმობის მფლობელი, აგრეთვე სახალხო მეურნეობის გამოფენის — ბრინჯაოსა და ვერცხლის მედალოსანი, გამოფენების თორმეტგზის მონაწილე.

მერი შილდელი

1915-1982

„რომ იცოდე ჩემი გულის დარდები,
ვეფიცები. ცრემლი. ძვირფასი.“

ქართველი მომღერალი (კონტრალტო), საქართველოს დამსახურებული არტისტი მერი გიორგის ასული შილდელი (მიჩელაშვილი) დაიბადა 1915 წლის 10 ოქტომბერს ყვარლის რაიონის სოფ. შილდაში.

„საყვარელო მერი, როდესაც თქვენ მღერით...“ ასე ინყებოდა ბარათი, რომელიც მარჯანიშვილის წყნარ ქუჩაზე მოვიდა. — ბარათს უცნობი გოგონა აწერდა ხელს. მერი შილდელი დიდხანს იმზირებოდა გარეთ. ეზოში ჰყვაოდა სამფერა, ია, ვაზებს მაღალი, ფაღარა კაცი სხლავდა. იქვე ფუსფუსებდა ჭირისა და ლხინის მოზიარე დედა.

„როდესაც თქვენ მღერით“ — იმ გოგონას, ალბათ, ახლახან შეუსრულდა თვრამეტი წელი. ალბათ, გაზაფხულთან ერთად მოვიდა მასთან პირველი სიყვარული: წმინდა, ფარული; ალბათ, დადის გოგონა მარტოდმარტო მიყრუებულ ქუჩებში და თავისთვის ღიღინებს:

„რომ იცოდე ჩემი გულის დარდები,
ვეფიცები. ცრემლი. ძვირფასი.“

ეს სიმღერა და მერი შილდელი კი განუყრელნი არიან...

მაინც ვინ ასწავლა, ვინ აგრძნობინა ქართული მელოდიის სიტკბო, ვინ ჩააგონა, რომ გულსაც ბულბულივით შეუძლია სიყვარულზე სტკენა?

ბებია, დარია ჩიკვაიძის ქალი, კავებზე გადაისვამდა ხელს, ლეჩაქს კოხტად გადაიგდებდა მხრებზე, ტახტზე ფეხს მოირთხამდა, გვერდით თვალებბრიალა პატარა მერის მოისვამდა და ძველებურ ბაიათს ააკვნესებდა:

„ძიერის ღამეს ძილი ჩემი მფრთხალია...
ალვარლად გული ჩემი მკვდარიაა“

„გული ჩემი მკვდარია“— იმეორებდა შილდის მაღალი ცა. ცაზე თეთრი ღრუბლები მისრიალებდნენ, ამოვიდოდა სავსე მთვარე და პატარა მერი გუმანით ხვდებოდა: ასეთ ღამაზ, მთვარიან ღამეს ალბათ, მართლაც შეუძლია დაუფრთხოს ძილი ადამიანს. „კიდევ, ბებია, კიდევ იმღერე“, შეთხოვდა იგი საყვარელ მოხუცს.

სიმღერის სიყვარული სკოლაშიც წაჰყვა.

ცხრა წლის გოგონამ თელავში, ზაქარია ჩიკვაიძის გუნდში, პირველი სოლო შეასრულა წკრიალა ხმით. მერე ოჯახი თბილისში გადავიდა საცხოვრებლად. ეს იყო 1926 წელს. №-7 შრომის სკოლის მოსწავლეთა გუნდს ცნობილი პედაგოგი ბიძინა წულაძე ხელმძღვანელობდა. გუნდი თბილისში ერთი საუკეთესოთაგანი იყო. მას მოსწავლე გოგონების: ნადია ხარაძის, მერი ნაკაშიძისა და მერი მიჩელაშვილის ხმები ამშვენებდა. დღეა ვინ არ იცნობს ცნობილ მომღერლებს — ნადია ხარაძესა და მერი ნაკაშიძეს. მიჩელაშვილი კი ქართული რომანსების შესანიშნავი შემსრულებლის — მერი შილდელის ნანდვილი გვარია.

მერის მშვენიერი კონტრალტო აღმოაჩნდა. მაგრამ ხმის დამუშავებაზე არასოდეს უფიქრია. 1936-37 წლებში იგი სანდრო კავსაძის ცნობილ გუნდში მღერის. გუნდი ქართლ-კახური სიმღერების საუკეთესო შემსრულებლად ითვლებოდა.

1940 წლის ერთ მშვენიერ დღეს ფილარმონიამ აფიშები გამოაკრა. დასახელებული იყო მომღერალი მერი შილდელი. „შილდელი"– ეს გვარი არაფერს ეუბნებოდა მაყურებელს. ისე კი მეტად ლამაზად ჟღერდა. მერი ვადაჭკორიამ (ამ დროს მერი უკვე მეუღლის გვარს ატარებდა) თვალი გადაავლო აფიშას და აღელვებული შეიჭრა ფილარმონიის დირექტორის – ლადო კავსაძის კაბინეტში. „ძია ლადო, უჩემოდ რატომ შეცვალეთ ჩემი გვარი?.." იკითხა გაკვირვებით. „არაფერია, შვილო, – უთხრა ლადომ, – შილდა გადაივიწყე და შილდის სახელი მაინც დაგრჩეს, თანაც ლამაზად ისმის" და, მართლაც, შილდელის გვარით შეითვისა მსმენელმა მერის სიმღერები. მერის ახსოვს ლადოს საყვედური და ყოველ წელს მშობლიურ შილდაში ჩადის, მართავს კონცერტებს, მილდელები სიყვარულით ხვდებიან თანასოფლელს.

1944 წელს, ესტრადის საკავშირო დათვალიერებაზე, ცნობილ არკადი რაიკინს ისე მოეწონა მერის ხმა, რომ იგი თავის მინიატურების თეატრში მიიწვია. მხოლოდ ექვსი თვე დაჰყო მერიმ რაიკინთან. შემდეგ კვლავ თბილისს დაუბრუნდა – ვერ გაძლო მის გარეშე.

მერი შილდელი არასოდეს მღეროდა შინაარსისაგან დაცლილ, მანჭია ტექსტზე დანერილ სიმღერას. მისი სიმღერა ყოველთვის რაიმეს მოუთხრობდა მსმენელს სიყვარულზე, სამშობლოზე, მეგობრობაზე, დედაზე...

ადამ ჩახტაშრი

1908-1981

რომ შემხვედროდა დიოფანტი ჩვენს ახალ ცხოვრებაში
ეახურული თვისი ფარნით ხელში ძალის.
„აბეს ვეძებო“— რომ ეთქვა ჩემთვის.
არც დაეფიქრებოდი! ჩაუქრობდი ექვიან ფარანს.
ხელის ჩაქიდებდი. შოეირხეკდი ჯიბეში ძმრის.
„ეექსი“— კიეკირებდი და
ხარჭარად — ფელიისაკენ!
ჯეკეოდი ძოფერს...
ეძიბარსხებოდით ზარის ეწრიალებდა
ერთის ფეხვეთი ლრუბელივით კუბტი და ფაცარი..
და ფერ. როცა ყაღლიდით ფლაკუნს
და ხეკარად ჩიდიმებდით.
ბაკუბრუნდებოდი ხაოცარ ბერძენს
და ჯეკეოდი: — თქვენ კაცს ეძებდით!
ეაერ — კაცი!

მურმან ლებანიძე

მ ვალსაჩინო ქართველი მათემატიკოსი, გეომეტრი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, „საპატიო ნიშნის“ ორდენის კავალერი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, პროფესორი ადამ ილიას ძე ჩახტაური დაიბადა 1908 წლის 27 იანვარს ყვარლის რაიონის სოფ. შილდაში. საშუალო სკოლა თელავში დაამთავრა 1928 წელს და იმავე წელს თბილისის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. 1932 წელს უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე იქვე დაიწყო ასისტენტად მუშაობა, ხოლო ორი წლის შემდეგ ასპირანტურაში შევიდა.

იუბილარის თხოვნით, საზეიმო სხდომა არ შედგებაო, — ასე ეწერა სამახსოვრო ბარათში, რომლითაც ადამ ჩახტაურის დაბადების 70-ე და სამეცნიერო-კვლევითი, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 45-ე წლისთავს იუწყებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატი...

გეომეტრია მას სტუდენტობიდანვე შეაყვარა ამ დარგის გამოჩენილმა მკვლევარმა და საერთოდ მრავალმხრივმა მოღვაწემ გიორგი ნიკოლაძემ. სხვათა შორის, ა. ჩახტაურს საქმითაც და სიტყვითაც არაერთგზის გამოუხატავს მადლიერების ღრმა გრძნობა მასწავლებლის მიმართ. ა. ჩახტაურმა თარგმნა ქართულ ენაზე გ. ნიკოლაძის ფრანგულად დაწერილი სადოქტორო დისერტაცია „გეომეტრიულ ნაკეთთა უწყვეტობის სისტემების შესახებ“ (ეს თარგმანი 1947 წელს გამოქვეყნდა ა. რაზმაძის სახელობის თბილისის მათემატიკის ინსტიტუტის შრომების XV ტომში, რომელიც გიორგი ნიკოლაძის ხსოვნას მიეძღვნა); დაბოლოს, თვითონ ა. ჩახტაური ამბობს: „ბევრმა ჩვენგანმა გეომეტრია იმიტომ აირჩია სპეციალობად, რომ გიორგი ნიკოლაძე იყო გეომეტრი. ცნობილია, რომ იმავე მიზეზით ბევრი გახდა მეტალურგი, ბევრი ალპინისტი და ა.შ.“

გ. ნიკოლაძის გარდაცვალების შემდეგ ა. ჩახტაურმა არჩეულ სპეციალობაში დახელოვნება მოსკოვის უნივერსიტეტში განაგრძო, ვ. კაგანის ცნობილ გეომეტრიულ სემინარზე. აქ იგი ა. ნორდენის მეურვეობით ეუფლება გეომეტრიის ახალ მეთოდებს და ეცნობა უახლეს პრობლემატიკას. 1938 წელს ა. ჩახტაური მოსკოვის უნივერსიტეტშივე წარმატებით იცავს საკანდიდატო დისერტაციას.

თბილისში დაბრუნებული ახალგაზრდა სპეციალისტი მშობლიურ უნივერსიტეტში შეუდგა თანამედროვე გეომეტრიის იმ დარგის დანერგვა-განვითარებას, რომელსაც პროექციული დიფერენციალური გეომეტრია ეწოდება. ეს დარგი ჩვენი საუკუნის დასაწყისში ჩაისახა, 30-40-იან წლებში მიაღწია თავის აყვავებას და ამჟამად დამოუკიდებელ ვრცელ მეცნიერულ დარგად წარმოგვიდგება. განვითარების ამ პროცესში თვალსაჩინო წვლილი შეიტანა ა. ჩახტაურმაც. მისი ნაშრომები უმეტესად განეკუთვნება ბრტყელ და ჰიპერბრტყელ ბადეთა ტენზორულ თეორიას და ამ ბადეთა გამოყენებას ზედაპირთა პროექციულ თეორიაში. დღეისათვის უკვე ფართოდ აღიარებული „ჩახტაურის ბრტყელ ბადეთა თეორია" ავტორისა და მისი მონაფეების მიერ იმდენად სრულყოფილად არის დამუშავებული, რომ მისი პრინციპული გაუმჯობესება აღარც შეიძლება. დამუშავების ამ რთულ და ხანგრძლივ პროცესში გადამწყვეტი აღმოჩნდა ახალი ინვარიანტის, „ჩახტაურის ტენზორის" კონსტრუირება. მახვილმა გეომეტრიულმა ალღომ მკვლევარი ერთობ ბუნებრივი და ლოგიკური გზით მიიყვანა აღნიშნული ტენზორის მიგნებამდე. შემდგომ „ჩახტაურის ტენზორის" გავლენით როგორც საბჭოთა კავშირში, ისე უცხოეთში მოძებნილ იქნა მისი ეკვივალენტური ინვარიანტები.

ზემოხსენებულმა შედეგებმა შეადგინა ა. ჩახტაურის სადოქტორო დისერტაცია...

მომდევნო წლებში ა. ჩახტაური თავის გამოკვლევებს აზოგადებს მაღალი განზომილების სივრცეებისათვის, სადაც პირველად შემოჰყავს მეტად ორიგინალურად აგებული კონფიგურაციები და მათთან დაკავშირებული ტენზორები. ეს შედეგები აღლაც არის ბევრი წამყვანი გეომეტრის კვლევის ინტერესების ცენტრში.

ა. ჩახტაურის ნაშრომებს მკაფიო ინდივიდუალობის ბეჭედი აზის. კვალიფიციურ მკითხველს თავიდანვე იპყრობს ჩანაფიქრის გამოკვეთილობა, გადმოცემის ლაკონურობა, მაქსიმალური დატვირთვა შინაარსითა და იდეებით. ა. ჩახტაურის ფორმულების მიღმა ყოველთვის ჩანს პრობლემათა ღრმა გეომეტრიული შეგრძნება და უტყუარი ინტუიცია. ეს შემოქმედებითი ნიშნები მკვეთრად შეიმჩნევა მის სალექციო-პედაგოგიურ მოღვაწეობაში როგორც სტუდენტებთან, ისე ასპირანტებთან, განსაკუთრებით კი სპეკკურსებსა, სპეცსემინარებსა და სამეცნიერო სემინარებზე. ასეთივე სულისკვეთებით არის გამსჭვალული ა. ჩახტაურის სრულიად ორიგინალური ქართული სახელმძღვანელოები ანალიზურ გეომეტრიასა და დიფერენციალურ გეომეტრიაში, სახელმძღვანელოები, რომლებზეც დაფუძნებულია გეომეტრიული განათლება ჩვენ უმაღლეს სკოლებში, პირველ რიგში კი უნივერსიტეტში. მის მიერ აღზრდილი სპეციალისტები ნარმატებით მუშაობენ საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ. ა. ჩახტაურთან ურთიერთობაში ბევრი რამ ადამიანური გასაგები და დასამახსოვრებელი რჩება. მისი სათნოება, სიკეთე და თანდაყოლილი ხალხური სიბრძნე მართლაც რომ სულში ჩამწვდომია და ფრიად შთამბეჭდავი. ალბათ, ყველაფერმა ამან დაანერინა დიდ ქართველ პოეტს მურმან ლებანიძეს ლექსი, რომელიც ამ სტატიის შესავალ ნაწილში მოვიტანეთ და რომელიც ადამ ჩახტაურს ეძღვნება...

ვახტანგ ჩელთისპირელი

1900-1981

ელავის თეატრის კორიფეების პირველ რიგში დგას ვახტანგ ჩელთისპირელი (მატარაძე). მისი სამსახიობო კარიერა დაიწყო ფოთის თეატრში 1924 წელს. მემდეგ რამდენიმე სეზონი მუშაობდა ყიათურის, სიღნაღის, ველისციხის ამკოლმეურნეო თეატრებში, ხოლო 1933 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე თელავის თეატრში მოღვაწეობდა მსახიობად და რეჟისორად. მისი აქტიორული ბუნება გამოირჩეოდა ვანცდის სიმართლით, დახვენილი აქტიორული მეტყველებით. თავისუფლად ასრულებდა როგორც კლასიკური, ისე ეროვნული დრამატურგიის გმირებს თუ სახასიათო როლებს. მეტმნილი აცენური სახეებიდან აღსანიშნავია: ფერდინანდი („ვერაგობა და სიყვარული"), მაესიმილიან მოორი („ყაჩაღები"), კლავდიუსი („ჰამლეტი"), დე აანტოსი („ურველ აკისტა"), ფრონდოზო („ცივრის წყარო"), პეპო, ოსმან-აღა („სურამის ციხე"), მიკირტუმა („გაყრა"), ხურია ბარატელი („ხარატაანთა კერა"), ლევან ხიმშიაშვილი („აამბობლო"). გაიოზ ფაღავა („და-ძმა"), ანანია („ღალატი"), პეპია („გლახის ნაამბობი"), ბაერო („მეტეების ჩრდილში"), მეფე ერეკლე („მაია წყნეთელი"). განახორციელა სპეციალური: გ. მდივნის „ბრმა", ა. ცაგარელის „ხანუმა" და „ციმბირელი", კ. ბუაჩიძის „მკაცრი ვალიშვილები", გ. ნახუცრიშვილის „აჩაკუნე", დ. ერისთავის „სამშობლო", ა. შირვანზადეს „პატიოსნებისათვის" ვახტანგ ჩელთისპირელი 1943-46 წლებში იყო თელავის თეატრის დირექტორი და მთავარი რეჟისორი.

დურმიშხან ჩიტაშვილი

საქართველოში პირველი დოქტორი და პროფესორი სპორტის ფიზიოლოგიის განხრით, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის პირველი პრორექტორი სასნავლო დარგში დურმიშხან მიხეილის ძე ჩიტაშვილი დაიბადა 1933 წლის 6 მაისს ყვარლის რაიონის სოფ. შილდაში. მისი მშობლები გამორჩეულნი იყვნენ თავიანთი საქმიანობით. მამა, — მიხეილ საბას ძე ჩიტაშვილი, ცნობილი მევენახე, დაჯილდოებული იყო ოთხი ორდენით და მრავალი მედლით.

დედა — მარიამ მათეს ასული ცაცაშვილი-ჩიტაშვილისა, ნოვატორი მეაბრეშუმე, დაჯილოდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით და ფულადი პრემიით.

დ. ჩიტაშვილმა 1951 წელს დაამთავრა სოფ. შილდის საშუალო სკოლა და იმავე წელს სწავლა განაგრძო მოსკოვის ფილიალის თელავის საბუღალტრო სასნავლებელში.

1953-54 წლებში სნავლობდა საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტში (ამჟამად ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია), რომელიც დაამთავრა წარჩინებით. როგორც პერსპექტიული ახალგაზრდა კადრი, დატოვეს ინსტიტუტის სასნავლო ნაწილში ინსპექტორად.

1958 წელს ჩაირიცხა იმავე ინსტიტუტის ფიზიოლოგიის კათედრის ასპირანტად სპორტის ფიზიოლოგიის განხრით.

1961 წლიდან მუშაობა დაიწყო ფიზიოლოგიის კათედრაზე ჯერ მასწავლებლად, შემდეგ უფროს მასწავლებლად (1968-72), 1972 წლიდან კათედრის დოცენტად, 1981-1991 წლებში კი ამავე კათედრის გამგედ, ხოლო 1996 წლიდან — კათედრის პროფესორია.

1971 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, 1996 წელს — სადოქტორო.

1976-1978 წლებში იყო ინსტიტუტის პრორექტორი აღმზრდელობით დარგში.

1980-1999 წლებში მწვრთნელთა ფაკულტეტის დეკანია, ხოლო 1999 წლიდან მუშაობს საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიაში პრორექტორად სასნავლო დარგში.

გამოქვეყნებული აქვს 100-ზე მეტი სამეცნიერო შრომა, მათ შორის 3 მონოგრაფიის სახით, 27 სამეცნიერო ნაშრომი გამოქვეყნდა უცხოეთში. არის მრავალი საერთაშორისო სამეცნიერო ყრილობისა და სიმპოზიუმის მონაწილე.

1964 წლიდან ანაზღაურების გარეშე, როგორც მეცნიერ-კონსულტანტი, მუშაობდა და დღესაც მუშაობს საქართველოს სპორტის სხვადასხვა (კრივი, ფარიკაობა, ნიჩბოსნობა, მძლეოსნობა, ძიუდო და სხვა) სახეობაში და გარკვეული დამსახურება მასაც მიუძღვის სპორტსმენთა წარმატებებში .

სამეცნიერო-პედაგოგიურ და ორგანიზაციულ მუშაობაში თავის გამოჩენისათვის დურმიშხან ჩიტაშვილი დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

გრიგოლ ჩხეიძე

1903-1975

გრიგოლ დავითის ძე ჩხეიძე დაიბადა 1903 წლის 28 თებერვალს. ხუთი წლის იყო, მამა რომ გარდაეცვალა. ადრე დაობლებული გრიგოლი და მისი ძმა ბიძამ გაზარდა, რომელიც პიატიგორსკში მუშაობდა და გრიგოლმაც იქ დაამთავრა გიმნაზია. 1923 წელს იგი საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში შევიდა, ხოლო შემდგომ სწავლა განაგრძო ბაუმანის სახელობის მოსკოვის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში.

გ. ჩხეიძის მრომითი ბიოგრაფია მეტად საინტერესოა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წინა თვეებში გრიგოლი ყვარელში იმყოფებოდა, ხოლო 1925 წლის შემდეგ იყო მანინდელი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეში მიმდინარე ბევრი საპროექტო და აამშენებლო აამუშაოა მონაწილე. აშენებდა ბამ-ის გზებს, გაყავდა ვოლგა-ბალტიის სამდინარო არხი, აშენებდა იმიერპოლარეთის რკინიგზის მაგისტრალს, გაყავდა ნავთობსადენი. ტრასა ვოლგისპირეთში და სხვ.

1941 წელს გ. ჩხეიძე დაინიშნა სამ თავდაცვით სამშენებლო ობიექტზე: სახალინ-მატერიკის სახელწოდებით ცნობილ ნავთობსადენის მაგისტრალის მშენელობაზე მთავარ ინჟინრად, რომელიც იმ უმძიმეს ომის წლებში გადიოდა გაუვალი ტაიგის ტყეებში. პირველად მსოფლიო სამშენებლო პრაქტიკაში გამოიყენა მან აფეთქებით ტრანშეს გაჭრა ზღვის ფსკერზე, ნავთობსადენის გასაყვანად, ზამთრის პერიოდში. მშენებლობა დამთავრებული იქნა საპროექტო გაანგარიშებით 3 წლის ნაცვლად — 10 თვეში. ამისათვის გ. ჩხეიძე დააჯილდოვეს ლენინის ორდენით.

მეორე ობიექტი იყო ქ. კომსომოლსკ ამურზე აეროდრომების მშენებლობა, რისთვისაც დაჯილდოებულ იქნა ნიშნით „საპატიო ინჟინერი", ხოლო მესამე — ნავთობსადენის მშენებლობა ასტრახანი-სარატოვი, ამისთვის კი დაჯილდოვეს „შრომის წითელი დროშის" ორდენით.

1944 წელს გრიგოლ ჩხეიძე ინიშნება ყიათურის „ამიერკავკასიის მეტალურგმშენის" მშენებლობის უფროსად, საიდანაც 1946 წლის თებერვალში გადაჰყავთ მოსკოვში „მინმშენის" კოლეგიის მდივნად.

1957 წელს იგი ინიშნება ქ. ნოვოსიბირსკში მშენებარე სამეცნიერო ქალაქის და მისი ფილიალების მშენებლობის დირექტორად, ხოლო ამავე წლის ოქტომბრიდან — საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების კაპიტალური მშენებლობის აამმართველოს უფროსად.

1960 წელს გ. ჩხეიძე გადაჰყავთ რსფსრ სახმშენის მძიმე ინდუსტრიის სამშენებლო დანესებულების უფროსის მოადგილედ და ხდება რსფსრ სახმშენის ტექნიკური და არქიტექტურის პლენარული საბჭოს წევრი, 1964 წლიდან კი ინიშნება ნავთობისა და გაზის მრეწველობის კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს უფროსად, სადაც იმყოფება პერსონალურ პენსიაში გასვლამდე.

ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გრიგოლ ჩხეიძე გარდაიცვალა 1975 წლის 15 მაისს.

თამარ ჭავჭავაძე

1896-1968

ბედნიერი ვარ რომ დავიბადე მშვენიერ ყვარელში,
იქ, სადაც ირწეოდა აკვანი ორი დიდი საზოგადო მოღვაწისა — საქართველოს მესაიდუმლის, დიდი პოეტის ილია ჭავჭავაძისა და სცენის დიდი ოსტატის კოტე მარჯანიშვილისა.

თ. ჭავჭავაძე

ქართული საბჭოთა თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელი. კ. მარჯანიშვილის მონაფე და მიმდევარი, საქართველოს სახალხო არტისტი, ეროვნული თეატრის სახელოვანი მოღვაწე თამარ ჭავჭავაძე დაიბადა 1896 წლის 16(29) ოქტომბერს. რეალისტურ ტრადიციებზე აღზრდილმა მსახიობმა ბუნებრივად შეისისხლხორცა ახალი თეატრის მბატვრული პრინციპები და ნახევარი საუკუნის განმავლობაში გულწრფელად ემსახურა სოციალისტური ეპოქის თეატრალურ კულტურას. მთელი მისი ცხოვრება და მოღვაწეობა იყო ქართული სასცენო ხელოვნებისადმი უანგარო სამსახურის ჩინებული ნიმუში.

ყვარელში დღესაც მედიდურად გადაჰყურებს ალაზნის ველს ძველი, ასნლოვანი კაკლის ხეებით, ფანჩატურებითა და დიდი ბალით დამშვენებული კარ-მიდამო. ქვითკირის ორსართულიანი სახლი, რომელსაც ირგვლივ განიერი ღია აივნები მიუყვება, მთავრდებოდა ლამაზი, მაღალი მრგვალი ეოთკით, რომელსაც ქვედა სართული ქვის გრძელი კიბით უკავშირდებოდა...

ეს კარ-მიდამო კახეთის მდიდარ მემამულეს, თავად გიორგი მელქისედეკის (მელიქსეტის) ძე ჭავჭავაძეს ეკუთვნოდა. სტუმრისათვის მუდამ ღია კარი, გულუბვი მასპინძლობა და იმდროინდელ მოწინავე ქართველ მოღვაწეთა სიახლოვე განსაკუთრებით ალამაზებდა გიორგი ჭავჭავაძისა და თამარ ივანეს ასულ ვახვახიშვილის ოჯახს, რომელიც მტკიცედ იცავდა ქართულ ტრადიციებს.

შვიდი და-ძმისაგან განსაკუთრებული ნიჭით გამოირჩეოდა გიორგი ჭავჭავაძის უფროსი შვილი ირაკლი, რომელიც მამამ განათლების მისაღებად იაროსლავლში, იუნკერთა სასნავლებელში გაგზავნა. სამი ქალიშვილიდან ერთი გენერალ მაყაშვილს გაჰყვა ცოლად, მეორე — ჩვენი სასიქადულო მსახიობის ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილის ძმის, სარდიონის მეუღლე იყო. მათმა ქალიშვილმა ნინომ არაერთი მნიშვნელოვანი როლი განასახიერა რუსთაველის თეატრის სცენაზე და მეგობრობა გაუწია ქართული თეატრის ერთ-ერთ ფუძემდებელს, სახელოვან მსახიობს აკაკი ხორავას.

დიდად გაიხარა გიორგი ჭავჭავაძემ, როდესაც მისმა უფროსმა ვაჟმა ირაკლიმ თავისი დროისათვის კარგად განათლებული და მოწინავე ადამიანის, საქართველოში ცნობილი მოღვაწის, რომან დავითის ძე ჭავჭავაძის შვილიშვილთან, გიორგი მაყაშვილის ასულ ელენესთან იქორწინა.

გიორგიმ მამა-პაპათა სახლის კოშკურიანი სართული გვარის გამგრძელებელ ირაკლი ჭავჭავაძეს უბოძა საცხოვრებლად, ხოლო თვითონ ქვედა სართულში ჩავიდა. აი, ამ კოშკურიან სართულში დაიბადა 1896 წლის 16 ოქტომბერს მომავალი მსახიობი, ირაკლის მესამე შვილი, თამარ ჭავჭავაძე.

ჭავჭავაძიანთ დიდმა ოჯახმა უჩვეულო ალერსში გახვია საყვარელი პანია — ნაბიჯ-ლარას მასზე სამი-ოთხიოდე წლით უფროსი დები, ირინე და მერიც კი ანებივრებდნენ. ყველას მოსწონდა ცელქი გოგონას სიმღერა, ქართველი პოეტების ლექსების ჩინებულად კითხვა და ცეკვა, ცეკვა, რომლითაც არასოდეს იღლებოდა თამარი...

თამარის დედა, შესანიშნავი ოჯახის შვილი და განათლებული ქალი, თავიდანვე მიზანდინებული იყო, რომ შვილებისთვის სათანადო აღზრდა-განათლება მიეცა. ეს მას დღეგამ, რომან ჭავჭავაძის დიდად განათლებულმა ქალიშვილმა, ანასტასიამ უანდერძა...

თელავში, კახეთის ამ უძველეს ქალაქში დაინყო თამარ ჭავჭავაძის სასკოლო ნვრთნა. იგი შვიდი წლის შესრულდა, როდესაც ირაკლი ჭავჭავაძის ოჯახი ყვარლიდან თელავში ცადმოსახლდა.

ვომბორის მთის ძირში გაშენებული ეს მშვენიერი ქალაქი, რომელიც თავისი მრავალი ისტორიული ნაგებობითა და კახეთის მეფეთა სასახლით გადაჰყურებს თვალუწვდენელ ალაზნის ველს, იყო და არის ცნობისმოყვარე, რომანტიკულად განწყობილი ახალგაზრდობია საყვარელი ადგილი. ამ ინტერესს ქალაქის რთული და ლამაზი წარსულიც აღძრავს.

თელავიდან შვიდიოდე კილომეტრზე მდებარეობს იყალთო თავისი სახელოვანი აკადემიით, რომელმაც XI საუკუნიდან მოყოლებული რამდენიმე საუკუნე იარსება და დიდად შეუწყო ხელი შუა საუკუნეების საქართველოში მეცნიერების განვითარებას. ქვემოთ, ველზე აღმართულია აკადემიის თანამედროვე, უდიდესი ტაძარი ალავერდისა, თავისი დროისათვის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი შენობათაგანი მსოფლიოში და უძვირფასესი ძეგლი ძველი საქართველოს ხუროთმოძღვრებისა. ალაზნის მარცხენა ნაპირზე კი ბაბტრიონის ციხის ნანგრევებია, ციხისა, რომელიც ქართველებმა სპარსელებთან არაერთი სისხლისმღვრელი ბრძოლით შეინარჩუნეს.

ყოველივე ეს მართლაც რომ დიდად თვალსაჩინო აღმზრდელობითი ფაქტორი იყო იმ ახალგაზრდობისათვის, რომელიც თელავის სასწავლებლებში იზრდებოდა. შემთხვევითი არ არის, რომ ამ სკოლებმა არაერთი განათლებული მამულიშვილი აღუზარდა საქართველოს.

აი, ამ ქალაქში მეიყვანეს თამარი სასწავლებლად და აქვე ავიდა იგი პირველად სცენია ფიცარნაგზე.

ქართული საბჭოთა თეატრის ერთ-ერთი მესაძირკვლისა და გამოჩენილი მსახიობის, თამარ ჭავჭავაძის მრავალფეროვან სცენურ შემოქმედებას, მის მაღალ არტისტულ პროფესიონალიზმს დიდად ამშვენებდა ფართო საზოგადოებრივი მოღვაწეობა. თამარს ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირი, სახალხო საქმეებში მონაწილეობა თავის მოვალეობად მიაჩნდა. საოცარი გულისყურით ეკიდებოდა საზოგადოებრივ დავალებებს და მათ განაახორციელებლად დრო და ენერგია არასოდეს დაუზოგავს.

იგი ხომ საერთველოს რადიომაუწყებლობის დრამატულ-მხატვრულ გადაცემათა აქტიური მონაწილე იყო დღიდან ამ გადაცემის დაარსებისა.

1920-28 წწ. და 1942-64 წწ. თამარ ჭავჭავაძე იყო რუსთაველის სახელობის თეატრის მსახიობი, შემდეგ მონაწილეობდა მეორე სახელმწიფო თეატრის (ქუთაისის-1928, 1933 წლიდან კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრი) ჩამოყალიბებაში. მოღვაწეობდა აქ 1928-42 წლებში. 1964-68 წლებში მუშაობდა სოხუმის თეატრში.

თამარ ჭავჭავაძეს მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ქართული ესტრადის განვითარებაშიც. იგი მხატვრული კითხვის ჩინებული ოსტატი იყო. 1926 წლიდან იღებდნენ კინოშიც. ფილმები: დინა ძაძუ („თავადის ქალი"); ხანუმა („ქეთო და კოტე",) და სხვ.

დაჯილდოებულია ლენინის და შრომის წითელი დროშის ორდენით, საპატიო ნიშნის ორდენითა და მედლებით.

საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა აკაკი ხორავამ გულწრფელად დაიტირა თავისი მეგობარი და პარტნიორი.

„ისე, როგორც დიდი კოტეს სახელი, — წერდა იგი გაზეთ „კომუნისტში", — თამარის სახელიც უკვდავია ქართული თეატრის ისტორიაში. ის ხომ ერთ-ერთი პირველი მერცხალი იყო ქართული თეატრის ფორმირების გზაზე. მისმა ნიჭმა, ტემპერამენტმა იმთავითვე დაარწმუნა ქართველი მაყურებელი, რომ მხცოვან ბუმბერაზებს ჰყავს ძლიერი განმგრძობი, რომელსაც ძალუძს სათავეში ჩაუდგეს თეატრს. თამარი მუდამ იცოცხლებს ქართული თეატრის ისტორიაში"

ზურაბ ჭავჭავაძე

1953-1989

„ამ არ ვიცოდი თანდასწრებიან ისეთის, რომ სულ კეთილი ეწუხვართ. ზურაბი იყო ყმანვილი ადამიანი. ამაში ამ დავრეშული ამბის, როცა იგი სანქტიანქ-ოში ამნურობდა.
ლეონიდ დოლიძეთის ამბავი სული ზეციერ სანქტიაუ-ლოში: ამბავ დიაცვამ ანძლის სანქტიაულია.
რიუეარგ ჩანს. ლეონიდ ეფერი ეფერი ზურაბი. ეიდრე სულ. ამიერამაც ეფეგანა...
ლეონიდ ვანთლის ზურაბის სული. ამის"

ილია მეორე

ჭავალსაჩინო ეროვნული მოღვაწე, ლიტერატურისმცოდნე, კრიტიკოსი, პუბლიცისტი, მთარგმნელი ზურაბ ჭავჭავაძე დაიბადა 1953 წელს ყვარელში. იმ ახალი სინამდვილის დამკვიდრებაში, რომელშიც ჩვენ ყველანი ვცხოვრობთ დღეს, როცა ეიმავალს იმედით შეპყურებს ქართველი, ზურაბ ჭავჭავაძის კვალი ნარუმლელია.

ზურაბ ჭავჭავაძე იყო ერთი პირველთაგანი, ვისი ბაგეებიდანაც საჯაროდ, ყველას გასაგონად გაისმა ლოზუნგი, რომელსაც დღეს სკოლის ბავშვიც კი პატარა დროშით ხელში გაიძახის: „გაუმარჯოს ქრისტიანულ, დამოუკიდებელ საქართველოს!" და მისი ენერგიული ხმა რწმენით იყო სავსე.

ზურაბ ჭავჭავაძე იყო ერთი პირველთაგანი, ვინც მრავალრიცხოვან მიტინგზე, ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის ჯერ კიდევ უჩვეულო დროშებით ხელში, ფერმკრთალი, აღძრული ამ ისტორიულ წამთა მნიშვნელობის სრული შეგნებით, წინ მიუძღოდა თავის მეგობრებს, ახლად შექმნილი საზოგადოების ნევრებს.

ზურაბ ჭავჭავაძე იყო პირველი იმათგან, ვისთვისაც საქართველოს დამოუკიდებლობა წარმოუდგენელი და მიუღებელია ქრისტიანული სარწმუნოების გარეშე. იმ დროშებზე, რომლებიც მას თავის მეგობრებთან ერთად მოპქონდა მანიფესტაციებზე, გამოსახული იყო ძლევამოსილი წმიდა გიორგის სახე და წმიდა ნინოს ჯვარი ჩალისფერ ტილოზე. მას ხელთ ეპყრა ეს დროშა იმის შეგნებით, რომ ამ დროშის უკან დგას რეალური ძალა, რომელსაც არაერთგზის გადაურჩენია ქვეყანა და კვლავაც იხსნის, თუ ის რწმენით იქნება აღმართული.

მას შეგნებული ჰქონდა ქრისტიანად ყოფნის სიძნელე ამ ნუთისოფელში, კიდევ უფრო დამძიმებული თავსმოხვეული ნყობილების პირობებით; ბევრისაგან განსხვავებით, ის არ კმაყოფილდებოდა ნინაპართა რელიგიის ფორმალური აღიარებით, არამედ ილტვოდა ქრისტიანული ეთიკის დასამკვიდრებლად პოლიტიკურ ურთიერთობებში.

ჯერ კიდევ სოხუმის იმ სამარცხვინო ამბებამდე ამ სულისკვეთებით იღვნოდა ის აფხაზეთში ქართველ-აფხაზთა ტრადიციული ერთობის და მეგობრობის აღსადგენად, რიითაც არაერთგზის ჩაუგდია თავი საფრთხეში.

დაუღალავი ზურაბი, უძინარი, ღამეულ გზებზე სერავდა საქართველოს დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ — ხვდებოდა აფხაზებს, ლეკებს, ოსებს ცხინვალში თუ ალაგი-

რში. „ხეთაგის ჭალაში" თავშეყრილთ; როგორც ჭეშმარიტი წარმომადგენელი ქრისტიანული საქართველოსი, კავკასიის ხალხთა ისტორიული ერთიანობის იდეის მატარებელი, ის საუბრობდა მშვიდობიანად, ხმის აუწევლად, მაგრამ მისი სიტყვა იყო ყოველთვის მტკიცე, უკომპრომისო, შეუვალი.

ჭეშმარიტად ქრისტიანული, ნამდვილად მამულიშვილური იყო მისი პოზიცია საშინაოპლიოდაკარგული მესხების მიმართ. იგი, როგორც პატრიოტი, განიცდიდა შინაგან პასუხისმგებლობას შავ ბედში მყოფ, თუნდაც (შეიძლება, მით უფრო) ეროვნულშეგნება-დაკარგულ თუ ენადაკარგულ თანამოძმეთა წინაშე. ეს ვალი მისთვის ზნეობრივი იმპერატივია ძალისა იყო, ქრისტიანული რელიგიის ერთ-ერთი სათნოებათაგანი. მათ ტრაგედიაში ია განიცდიდა, როგორც საქართველოს შინაგან სატკივარს და არა რაღაც გარედან მომდინარე საფრთხეს, რომელიც შეიძლება ერმა მოიგერიოს და ასე აიცილოს თავიდან. იგი ბოლომდე მტკიცედ იდგა ამ პოზიციაზე, თუნდაც ამისთვის საზოგადოების შეჩვენება დასტეხოდა თავს, რადგან სწამდა, რომ მომავლის წინაშე პირნათელი იყო.

ცოტა ვისმე თუ ხვდომია წილად, ასეთ მოკლე ხანში ეცხოვრა მოქალაქის და მამულიშვილის ინტენსიური ცხოვრებით. თუმცა ამქვეყნიდან წასვლით აქ დატოვა თავისი წილი სამოქმედო ასპარეზი. მისი ცხოვრების წიგნში ჩაწერილია ყოველი ქრისტიანის დამაშშვებებელი ღვაწლი. იგი ბედნიერი იყო იმით, რომ მან მოიხადა ვალი ყვარლის ნათლისმცემლის მრევლის წინაშე. მისი ინიციატივით და დაუღალავი მეცადინეობით გაიხსნა ეკლესია – ყვარლელ ჭავჭავაძეთა საგვარეულო ეკლესია.

ზურაბ ჭავჭავაძე ბედნიერია კიდევ იმით, რომ მისმა სიკვდილმა ააღორძინა ნიხასპართა ტრადიცია, ჩვენ ურჯულო დროში გაწყვეტილი. მისი ნეშტი განისვენებს ნათლისმცემლის ეკლესიის გუმბათქვეშ, მამა-პაპის გვერდით, აღდგომის მოლოდინში.



ნიკო ჭავჭავაძე

1923-1997

ბიდი გვარის დიდი ნარმომადგენელი, გამორჩეული საზოგადო მოღვაწე, თვალსაჩინო მეცნიერი, უშიშარი მოქალაქე, ერთაშორის მეგობრობის დაუღალავი ქომაგი და ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო ლიდერის, ზურაბ ჭავჭავაძის მამა ნიკო (ნიკოლოზ) ზურაბის ძე ჭავჭავაძე დაიბადა 1923 ნლის 5 მაისს ყვარელში.

1929 ნელს ნიკოს მამა, თავადი ზურაბ ჭავჭავაძე რეპრესიებში მოჰყვა.

1941 ნელს ნიკო ჭავჭავაძე გაინვიეს საბჭოთა არმიის რიგებში და თბილისის სამხედრო სასნავლებლის დამთავრების შემდეგ გაგზავნეს მოქმედ არმიაში. იბრძოდა ვორონეჟის, კალინინის, ჩრდილოეთ კავკასიისა და ყირიმის ფრონტებზე. ამ ბრძოლების დროს ოთხჯერ დაიჭრა და 1944 ნელს ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო დემობილიზაცია მეეხო.

1945 ნლიდან 1949 ნლამდე ნიკო ჭავჭავაძე სნავლობდა თბილისის სახელმნიფო უნივერსიტეტში, 1949 ნელს მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად, 1967 ნლიდან ამავე ინსტიტუტის დირექტორია, ხოლო 1979 ნლიდან — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნევრ-კორესპონდენტი.

მაშინ, როდესაც ჭეშმარიტი ფილოსოფია მთელ კავშირში იდევნებოდა, ნიკო ჭავჭავაძემ სხვა ქართველ ფილოსოფოსებთან ერთად შეინარჩუნა და ახალ სიმაღლეზე აიყვანა ქართული ფილოსოფიური, კერძოდ კი ესთეტიკური სკოლა. ესთეტიკური აზროვნების ისეთი უმნიშვნელოვანესი პრობლემები, როგორიცაა ხელოვნების არსი, ესთეტიკური საგნის ბუნება, სნორედ ნიკო ჭავჭავაძის შრომებში პოულობს სათანადო მეცნიერულ გაშუქებას. მისი ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში მუშაობის სტრატეგიული ხაზი: ადამიანი — კულტურა — ღირებულებანი.

იგი იყო ბევრი კონგრესის, კონფერენციის, სესიის თუ დისკუსიის ორგანიზატორიც და ერთ-ერთი მთავარი მონაწილეც, საქართველოს ფილოსოფიური საზოგადოების თავმჯდომარე, ჟურნალ „მაცნეს" (ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია) რედაქტორი, მრავალი სარედაქციო კოლეგიისა თუ სამეცნიერო საბჭოს ნევრი.

ისიც სათქმელია, რომ, როგორც მისი მეცნიერული შრომებისათვის, ისე მეცნიერული თუ პოლიტიკური განსჯისათვის ძირითადი დამახასიათებელი იყო ურთულესი აზრის ნათლად გამოთქმა. სნორედ ამიტომ მისი ყოველთვის კარგად ესმოდათ არა მარტო სპეციალისტებს, არამედ რიგით მსმენელსა თუ მკითხველს და, თუ ფილოსოფიისათვის უმთავრესი სულიერი, ზნეობრივი და აზრობრივი სინათლე და სიმართლეა, ამ მოთხოვნებს ბატონი ნიკო თავისი შრომითა და მოღვაწეობით ზუსტად უპასუხებდა.

დღევანდელ ქართველ ესთეტიკოსთა (და არა მხოლოდ ესთეტიკოსთა!) რამდენიმე თაობა ნიკო ჭავჭავაძის დამოძღვრილია. მის საქვეყნოდ ცნობილ წიგნებზე დღესაც იზრდება ჩვენი სტუდენტობა.

ცხოვრებასა და მეცნიერებაში ნიკო ჭავჭავაძეს ეკლიანი გზით სიარულმა მოუნია, ბედს არასოდეს გაუნებივრებია და სწორედ ეს არის საგულისხმო, რომ კაცი, რომელმაც

ასეთი რთული გზა გამოიარა, ფლობდა მოვალეობის უაღრესად გამახვილებულ გრძნობას, იყო ჭეშმარიტი ჰუმანისტი, საკაცობრიო იდეალების მქადაგებელი და ერთ-ერთი დამცველი.

ბატონი ნიკო არასოდეს ყოფილა კაბინეტში ჩაკეტილი მეცნიერი, მხოლოდ ფიქრსა და ჭვრეტაში დანთქმული ფილოსოფოსი; ცხოვრების შუაგულში მდგომი კაცი იყო — ჯერ როგორც ქართული ფილოსოფიური სკოლის ყველაზე პროგრესულ მიმდინარეობათა გადარჩენისათვის თავგამოდებული მებრძოლი, საქართველოში „ზნეობრივი რევოლუციის" პრინციპების ერთ-ერთი ჩამომყალიბებელი, ხოლო შემდეგ — მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოღვაწეც, სახელმწიფო საბჭოსა და პარლამენტის წევრი, პარლამენტის აფხაზეთის კომისიის თავმჯდომარე... მან უანგაროდ და თავგამოდებით იღვანა ქართველთა და აფხაზთა, ქართველთა და ოსთა შერიგების ისტორიული პროცესის დანყებისთვის.

სიბრძნის, სიკეთის, სიმშვიდის, სიყვარულის განსახიერება იყო და სწორედ ამიტომ შესძლო დაპირისპირებულ მხარეებთან მშვიდი, არგუმენტირებული საუბარი. შინაგანად სამართლიანი იყო და მიუკერძოებელი, — ეტყობა, სწორედ ამიტომ გულდასმით და დაჯერებულად უგდებდნენ ყურს ოსებიც და აფხაზებიც, ქართველებიც და რუსებიც... მის სიტყვას დიდი ფასი და გავლენა ჰქონდა.

ამის გამოა, რომ ნიკო ჭავჭავაძე დააკლდა არა მარტო ქართულ მეცნიერებას, არა მარტო ქართულ პოლიტიკას, არამედ ჩვენ საქვეყნო ცხოვრებასაც, რომელშიც ჯერ კიდევ ბევრია რთული და გადასაჭრელი პრობლემა.

ნიკო ჭავჭავაძე

1830-1899

ავალერიის გენერალი ნიკო ზურაბის ძე ჭავჭავაძე კავკასიის არმიის ვეტერანთა პლეადას ეკუთვნის. იგი 1830 წელს დაიბადა თელავის მაზრის სოფ. ყვარელში. განათლება მიიღო თბილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიაში.

16 წლის ჭაბუკი სამხედრო სამსახურში განეწესა... სამხედრო მოღვაწეობის პირველივე დღეებიდან ნ. ჭავჭავაძე უფროსთა გაოცებას ინვევდა მამაცობითა და თავდადებით და მოკლე დროში დაიმსახურა პროპორშჩიკობა, პოდპორუჩიკობა და პორუჩიკობა.

1853-56 წლების რუსეთ-ოსმალეთის ყირიმის ომში კავალერიის ესკადრონის უფროსი ნ. ჭავჭავაძე აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ბაშკადიკლარის, ქიურუქ-დარას და ჩოლოქის ლეგენდარულ ბრძოლებში...

მსუბუქი ჭრილობით გადარჩენილი ადრევე დაუბრუნდა მწყობრს და ქართული ულანების შემადგენლობაში ჩოლოქის ბრძოლაში მიიღო მონაწილეობა. ქართული დრუჟინა ომის დასაწყისში მეიკრიბა. მას მეთაურობდა პოლკოვნიკი გიორგი ჯანდიერი, მამაცობით სახელგანთქმული, ზედმეტსახელად „დროშა გიორგით" ცნობილი. დრუჟინა 6 ასეულისგან შედგებოდა — თითოეული მათგანი აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეს წარმოადგენდა. მესამე ასეულს, რომელსაც მოყვითალო ნიშანი ამშვენებდა და თელავის მაზრის მოსახლეობით იყო დაკომპლექტებული, პორუჩიკი ნ. ჭავჭავაძე მეთაურობდა.

ჩოლოქის ბრძოლა 1854 წლის 4 ივლისს მოხდა. გურიის რაზმი, რომელსაც სახელგანო

ული გენერალი ი. ადრონიკაშვილი მეთაურობდა, სელიმ ფაშას მთელ კორპუსს ეკვეთა. დრუჟინა პირველი შეიჭრა მოწინააღმდეგის განლაგებაში და ხელჩართულ ბრძოლაში ჩაება. ასეულის მეთაურები ეახვახიშვილი და ანდრონიკაშვილი გმირულად დაეცნენ ბრძოლის ველზე, ხოლო ნ. ჭავჭავაძე მძიმედ დაიჭრა. უდიდესი ძალისა და ენერგიის ძამაცი ოფიცერი მოწინააღმდეგეს „ერთი-მეორეზე აწყობდა", მაგრამ გადამწყვეტ მომენტში მოწინააღმდეგის ტყვია ყელში გავლით ბეჭის სიღრმეში გაეჩხირა. დაჭრილ, ლონემიხდილ მეომარს თურქმა ოფიცერმა ხელზე ხმალი დაუსვა. ჩოლოქის ბრძოლა სელიმ ფაშას კორპუსის განადგურებით დამთავრდა. ნ. ჭავჭავაძე ქუთაისს გადაიყვანეს. აქ უკვე სახელგანთქმულმა სახალხო მკურნალმა თურმანიძემ მას ოპერაცია გაუკეთა, ტყვია სხეულიდან ამოუღო და მეორე დღეს „ეს ზღაპრული ათლეტი" ფეხზე დადგა. ომის დამთავრებამდე ბრძოლებში მას მონაწილეობა აღარ მიუღია. შემდგომში ნ. ჭავჭავაძე აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა შამილის წინააღმდეგ გადამწყვეტ ბრძოლებში...

1897 წლის 9 მარტს ღვაწლმოსილი გენერალი და საზოგადო მოღვაწე 67 წლის ასაკში გარდაიცვალა. დაკრძალვაზე გამოსულ მრავალრიცხოვან ორატორებს შორის განსაკუთრებით საყურადღებოა სახელოვანი ქართველი პოეტის აკაკი წერეთლის სიტყვა, რომელმაც ისაუბრა ნ. ჭავჭავაძეზე და მისი გმირული ცხოვრების შესახებ და ბოლოს საკუთარი ლექსიც წაიკითხა.

დოდო ჭიჭინაძე

და ეს ქალი ულალატოდ ძეგუნება
ამას: ეიეგლიეგუ ხეონალძსს ძალიანის,
მისი ამეგნიეთი, ხეშსეს ძალეგრიანელი
თეალები ეგძალსეკეს ხიეგარულის,
რიეშელსეგ ხსეის ძალრი კრაშიის

შილერი

საქართველოს სახალხო არტისტი, ულამაზესი ქართველი ქალი, კონომსახიობი დოდო ვასილის ასული ჭიჭინაძე დაიბადა 1925 წლის 28 თებერვალს ქ. ქუთაისში. მამა — ვასილ ჭიჭინაძე ყოფილა ფედერალისტი. 1924 წლის არეულობის დროს იგი დახვრეტას გადაარჩინა მისმა მეგობარმა სიმონ ჯუღელმა. მაშინვე გადავიდა კახეთში და მთელი ცხოვრება გაატარა იქ — შილდაში.

აი, რას ნერს თავის ბიოგრაფიაში ქალბატონი დოდო ჭიჭინაძე:

„ყოველი ქართველი, რომელი კუთხიდანაც არ უნდა იყოს წარმოშობით ის, საცა გაიზრდება, ჩამოყალიბდება პიროვნებად, იმ კუთხის შვილია. მე კახელი გახლავართ მთელი ჩემი ხასიათით, გარეგნობითაც კი. ჩემთვის საქართველოს ყველა კუთხე ისეთივე ძვირფასია, როგორც ყველა პატრიოტი ქართველისათვის, მაგრამ შილდამ და ყვარელმა იმდენი ბედნიერი, ზღაპრული დღეები მაჩუქა, გადმოცემაც კი შეუძლებელია. კალოობას კევრზე დგომა, ბზით გაგანგლული ტანსაცმელი და თმები. მდინარე ჩელთმა როგორ წამართვა ცალი ბაჩარი (ფეხსაცმელი) და როგორ ვლრიალებდი. როგორ მოვუსხდებოდით ფარდაგგადაფარებულ, მოეარგული ბალიშებით და მუთაქებით მორთულ ტახტზე მალუცა ბებიას მისი ორი შვილიშვილი — ლამარა (ეხლა დამსახურებული ექიმი), ბერდია (პროფესორ-გეოლოგი) გიოშვილები და მე და ჩემი ამა რეზო, ვუსმენდით მშვენიერ ზღაპრებს. ჩვენ ამ ტახტს ზღაპრების ტახტს ვეძახდით. საქანელები, ჭიაკოკონებზე ხტომა, „ფუი ეშმაკს" კივილ-წივილით. კალათებით ალილოზე სიარული — „ალათასა ბალათასა კვერცხი უნდა კალათასას" სიმღერებით.

დღესაც მესმის ლევანა პაპას (დედას ლევანას) ომახიანი ბარიტონი! მთვარიანი ღამეები, როცა აივანზე გაგვიშლიდნენ ბავშვებს ლოგინებს — დაგვიანებული კამეჩებშეგნული ურმის ჭრიალი და მეურმის ჩუმი ღიღინი. განა შეიძლება ამ ულამაზეს ზღაპარა რამე შეედაროს. ვისაც ეს ყველაფერი არ განუცდია, მან არ იცის, რა არის სამშობლო და მისდამი დაუოკებელი სიყვარული. ჩემი ბავშვობის მეგობრები მზია და ეთერი შალუტავაძეები, ეთერის ამაღლებული რომანტიკული ლექსები...

საოცრად ხელგაშლილი, ვაუკაცი, სიტყვაძვირი კახელები, მშრომელი და ბრძოლებში ულალატო, გაუტეხელნი, საოცრად ბრძნული სიმღერები, რომლებშიც ჩანს მათი მძიმეც და ლაღი ნარსულიც.

ბედნიერი ვარ, რომ ვარ დიდი ილია ჭავჭავაძისა და დიდი კოტე მარჯანიშვილის სამშობლოს, ყვარლის საპატიო მოქალაქე. ეს ჩემთვის უდიდესი ჯილდოა! მთელი ჩემი ცხოვრება ვთამაშობდი კინოში და თეატრშიც სამშობლოსათვის შეწირულ ქალების როლებს. მარტო „დავით გურამიშვილის" ქეთევანი და რევაზ ჯაფარიძის „ჯარისკაცის ქვრივიც" კი ემარა, რათა ჩამოყალიბებულიყო ჩემი ქართული ხასიათი. „ენა, მამული, სარწმუნოება!" — არის ჩემი ცხოვრების არსი."

გიორგი ხარატიშვილი

1905-1981

საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე გიორგი დავითის ძე ხარატიშვილი დაიბადა 1905 წლის 2 იანვარს სოფ. ყვარელში, გლეხის ოჯახში. დედა და მამა იყვნენ სოფელ ყვარლის მკვიდრი შეძლებული გლეხები და ცხოვრობდნენ ილია ჭავჭავაძის მეზობლად. სწორედ ამან განაპირობა ის, რომ სპეციალობით გეოლოგმა გიორგი ხარატიშვილმა დაწერა ნარკვევი „ილია ჭავჭავაძე და ყვარელი", 1974 წ.

გიორგი ხარატიშვილმა დაამთავრა რა ყვარლის შვიდწლიანი სკოლა და სწავლა გააგრძო თბილისის საშუალო სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1925 წელს. 1930 წ. დაამთავრა თსუ ბიოლოგიის სპეციალობით და იქვე მუშაობდა 1932 წლამდე. აქედან გიორგი ხარატიშვილი გაემგზავრა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტად ქ. ლენინგრადში. 1936 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია გეოლოგიაში და ამავე წელს დაბრუნდა თბილისში. მუშაობა დაიწყო თსუ ბიოლოგიური ფაკულტეტის დეკანის მოადგილედ, ხოლო 1937 წლიდან გეოლოგიის კათედრის დოცენტად, საიდანაც 1941 წელს ჯარში გაიწვიეს. 1943 წელს, ჯარიდან დაბრუნების შემდეგ მუშაობა დაიწყო საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში დოცენტის თანამდებობაზე „გეოლოგია და პალეონტოლოგიის" კათედრაზე. ამავე დროს შეთავსებით მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიისა და მინერალოგიის ინსტიტუტში უფროსი მეცნიერ-მუშაკის თანამდებობაზე. 1937 წლიდან მუშაობდა საქართველოს ისტორიული მუზეუმის დირექტორად. 1948 წელს დაინიშნა გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის კათედრის გამგის მოვალეობის დროებით შემსრულებლად, ხოლო 1950 წელს აირჩიეს ამავე კათედრის გამგედ. აქედან იწყება კათედრის ძირითადი მატერიალური ბაზის შექმნა და გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის მუზეუმისათვის ექსპონატების შეგროვება, რომელთა ბაზაზეც შეიქმნა მუზეუმი. ეს მუზეუმი ამჟამად ატარებს გიორგი ხარატიშვილის სახელს. ასეთი სახის მუზეუმი ერთადერთი იყო ყოფილ საბჭოთა კავშირში.

1958 წელს გიორგი ხარატიშვილს მიენიჭა პროფესორის წოდება, ხოლო შემდგომ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება. უმნიკელო მუშაობისათვის მიღებული ჰქონდა შრომის წითელი დროშის ორდენი, სხვადასხვა სახელმწიფო ჯილდოები: კავკასიის დაცვისათვის, გმირული შრომისათვის, სამამულო ომში გამარჯვებისათვის და ა. შ.

გ. ხარატიშვილი იყო გეოლოგიაში ხარისხების მიმნიჭებელი საბჭოს წევრი. მონაწილეობდა საერთაშორისო კონფერენციებში და სიმპოზიუმებში: აშშ, უნგრეთი, პოლონეთი და ა. შ. შექმნილი აქვს სახელმძღვანელო „ისტორიული გეოლოგია" 1967 წ., რომელიც სტუდენტების სამაგიდო წიგნია. მონოგრაფია „საყარაულოს ჰორიზონტის ფაუნა და მისი ასაკი"; დამხმარე სახელმძღვანელოები; გამოაქვეყნა 100-მდე სტატია. მისი ხელმძღვანელობით დაცულია რამდენიმე საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია. იგი იყო პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი, სადაც ხშირად გამოდიოდა საჯარო ლექცია-მოხსენებებით, რომლებიც უმრავლეს შემთხვევაში ბროშურების სახით ვრცელდებოდა ,

გიორგი ხარატიშვილი გარდაიცვალა 1981 წლის 5 მარტს, დასაფლავებულია ქ. თბილისში, საბურთალოს მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

იოსებ ხარატიშვილი

საქართველოს პარლამენტის წევრი, დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, მშენებლობისა და კომუნალური მეურნეობის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოსა და აფხაზეთის დამსახურებული ინჟინერი, მინისტრთა საბჭოს პრემიის ლაურეატი იოსებ ალექსის ძე ხარატიშვილი დაიბადა 1923 წლის 4 თებერვალს ოფელ ყვარელში.

1948 წელს ამთავრებს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტს, შემდეგ ასპირანტურას, 1950 წლიდან კი მუშაობს სპეციალობის მიხედვით. მან განვლო დიდი შრომითი გზა. 1968 წელს ს. ხარატიშვილს, ანინაურებენ და ნიშნავენ საქართველოს სასოფლო მშენებლობის მინისტრის პირველ მოადგილედ, ხოლო 1970 წლიდან მინისტრად და, იმავდროულად, რესპუბლიკის საკოლმეურნეო-სამშენებლო საბჭოს თავმჯდომარედ.

მისი ხელმძღვანელობით საქართველოს სოფლის მშენებლობა ჩამოყალიბდა, როგორც დამოუკიდებელი დარგი, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების საქმეში.

იოსებ ხარატიშვილს დიდი ნვლილი მიუძღვის მიტოვებული სოფლების — შატილის, ომალოს, სამთანყაროს, გუდანის აღდგენაში. მისი ინიციატივითა და მონაწილეობით საზოგადოებრივ სანყისებზე დამუშავდა და განხორციელდა საგარეჯოს რაიონის სოფლების — უდაბნოსა და ყანდაურას აღდგენისა და განვითარების პროექტები.

იგი პირადად ხელმძღვანელობდა სტიქიის შედეგად დაზარალებული სვანეთისა და აჭარისმოსაბლეობისათვის ახალი დასახლებების მშენებლობებს.

იოსებ ხარატიშვილის თაოკაცობით სოფლის მშენებლებმა გარკვეული წვლილი შეიტანეს თბილისის ძველი უბნების რესტავრაციის და ახალი ნაგებობების მშენებლობის საქმეში. ბატონი იოსები პირადად ხელმძღვანელობდა საქართველოს რესპუბლიკის სასოფლო მშენებლობის სამინისტროს საინჟინრო ლაბორატორიის მაღლივი კორპუსის, იპოდრომის მანეჟის, მაღაზია ლაღიძის, ძნელაძის სახელობის კომკავშირული ქალაქის კომპლექსის, პიონერულ ქალაქ „მზიურის", აგრეთვე, მოსკოვსა („მზიური") და ვოლგოგრადში საქართველოს კულტურის ცენტრების მშენებლობას. იგი არაერთგზის იყო სასოფლო მშენებლობის საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორი და გამარჯვებული.

ი. ხარატიშვილი წარმატებით ეწევა სამეცნიერო-საგამომგონებლო საქმიანობას. არის ავტორი 13 ნაშრომის, 2 მონოგრაფიისა და 2 გამოგონების. მას მჭიდრო საქმიანი კონტაქტები ჰქონდა საკავშირო და რესპუბლიკურ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან, არის მთელი რიგი რესპუბლიკური კონფერენციებისა და საერთაშორისო სამშენებლო გამოფენების მონყობის ინიციატორი.

მისი ინიციატივით მშენებლობაში პირველად გამოიყენეს ასანყობი მსუბუქი ბეტონის დიდპანელიანი კონსტრუქციები, მსუბუქი ბეტონის და აზბესტფანერის პანელები, ეფექტიანი ანტიკოროზიული ჰიდრო და თბოიზოლაციური მასალები. მსუბუქი ლითონკონსტრუქციების დანერგვისათვის 1981 წელს იგი დაჯილდოდა სახალხო მეურნეობის

მიღნევათა გამოფენის ოქროს მედლით და შემოქმედებით ჯგუფთან ერთად მიენიჭა „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ლაურეატის" წოდება.

იოსებ ხარატიშვილი ერთ-ერთი პირველი ინიციატორია სამშენებლო კომპლექსის შრომითი კოლექტივების არენდით მუშაობაზე გადასვლისა, მცირე სანარმოების შექმნის და მართვის სტრუქტურების რეფორმის განხორციელებისა. ამ მიზნით უშუალოდ ატარებდა შრომით კოლექტივებში ლექციებსა და საუბრებს.

15 წლის განმავლობაში ქართველი მშენებლები მისი ხელმძღვანელობით წარმატებით ახორციელებდნენ სამშენებლო სამუშაოებს ვოლოგდის ოლქში, აგებდნენ იქ საცხოვრებელ უბნებს, სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტებს, სანარმოო კომპლექსებს.

ჩრდილოეთ კავკასიაში, დაბა კოჩუბეის გვერდით გაჩნდა ახალი ქართული სასოფლო დასახლება „ივერია", რიგი სამრეწველო ობიექტები. სომხეთში მომხდარი მინისძვრის დროს ი. ხარატიშვილმა პირველსავე ტრაგიკულ საათებში აქტიური მონაწილეობა მიიღო მოსახლეობისათვის დახმარების განევასა და უბედურების ზონაში ნორმალური ცხოვრების რიტმის აღდგენაში. იგი ხელმძღვანელობდა სურსათისა და ტექნიკა-მონყობილობის მომარაგების საქმეს.

1984 ნელს ორი სამინისტროს — სასოფლო მშენებლობისა და მშენებლობის სამინისტროების გაერთიანებასთან დაკავშირებით იოსებ ხარატიშვილი ინიშნება საქართველოს მშენებლობის მინისტრად. 1987 ნელს შეიქმნა სახელმნიფო აგროსამრეწველო კომიტეტი, სასოფლო მშენებლობა გამოეყო მშენებლობის სამინისტროს და იოსებ ხარატიშვილი ინიშნება ამ კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ, კაპიტალური მშენებლობისა და რეკონსტრუქციის მთავარი სამმართველოს უფროსად, აგრეთვე, „საქაგრომშენის" თავმჯდომარედ.

1992 ნლიდან იოსებ ხარატიშვილი მუშაობს საქართველოს მინისტრთა კაბინეტში სამშენებლო კომპლექსის და კომუნალური მეურნეობის საკითხთა მთავარ სახელმნიფო მრჩეველად.

ი.ხარატიშვილის მრავალმხრივი მოღვაწეობის მაგალითია ის, რომ 1979-89 ნლებში იყო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარე, 1991 ნელს აირჩიეს სრულიად საქართველოს საზოგადოება — „კახეთის" პირველ ვიცე-პრეზიდენტად.

1981 ნელს სასოფლო მშენებლობაში მიღნეული მაღალი მაჩვენებლებისათვის, ტექნიკური პროგრესის საქმეში მიღნევებისათვის დაჯილდოებულია ოქროს მედლით, ორდენებით და სიგელებით.

ნოდარ ხარატიშვილი

ამოჩენილი ქართველი მეცნიერი, ტექნიკური ასოციაციების საერთაშორისო საბჭოს ექსპერტი, აკადემიკოსი ნოდარ ხარატიშვილი დაიბადა 1937 წლის 27 ივლისს ქ. თბილისში. 1955 წელს წარჩინებით დაამთავრა ქ. თბილისის 48-ე საშუალო სკოლა. იმავე წელს შევიდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში რადიოტექნიკის სპეციალობაზე. ამ სპეციალობის შემდეგ 1960 წელს წარჩინებით დაამთავრა „მათემატიკური და საანგარიშო-გამომთვლელი ხელსაწყოებისა და მოწყობილობების" სპეციალობა. მაგრამ მთელი ცხოვრება ემსახურება კავშირგაბმულობის დარგის გაბვითარებას და არამარტო საქართველოში. 1965 წელს ვადაზე ადრე დაამთავრა ლენინგრადის ზუსტი მექანიკისა და ოპტიკის ინსტიტუტის ასპირანტურა და დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 1966 წელს მიენიჭა დოცენტის წოდება. 1985 წელს მოსკოვის კავშირგაბმულობის ინსტიტუტში დაიცვა დისერტაცია, რომელიც მიჩნეული იყო ამ ნლის საუკეთესო სადოქტორო დისერტაციად. 1986 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება

ნ. ხარატიშვილმა 1970 წელს საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში დააარსა ერავალარხიანი ელექტროკავშირგაბმულობის კათედრა, რომელსაც ხელმძღვანელობდა 1989 ნლამდე. ამ კათედრის ბაზაზე მისი აქტიური მონაწილეობით 1972 წელს ჩამოყალიბდა კავშირგაბმულობის ფაკულტეტი. ამავე წელს კათედრასთან შექმნა საკავშირო დაქვემდებარების ციფრული სიგნალების გადაცემის დარგობრივი ლაბორატორია, რომლის ბაზაზე ჩატარდა რამდენიმე საერთაშორისო სემინარი და სიმპოზიუმი (1977, 1980, 1983. 1989 ნნ).

ნ. ხარატიშვილმა შექმნა სამეცნიერო სკოლა, სადაც მუშაობა მიმდინარეობდა გამოსახულების ციფრული კოდირებისა და დამუშავების სისტემების როგორც თეორიული, ასევე ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებზე. აქ შექმნილმა აპარატურამ „ინტერკოსმოსი"-ს პროგრამით გათვალისწინებულ ექსპერიმენტში 1985 წელს გამოცდა გაიარა ქ. დუბნაში და პირველად ყოფილ სსრკ ისტორიაში სამაუწყებლო ფერადი ტელევიზიის სიგნალი ციფრული ფორმით გადაიცა დედამიწის ხელოვნური თანამგზავრით. შემდგომში მის საფუძველზე იქმნებოდა სპეციალური დანიშნულებების მონყობილობები.

ნ. ხარატიშვილის ხელმძღვანელობით შესრულებული სამეცნიერო კვლევების ძირითადი შედეგები ცნობილი ხდებოდა მრავალრიცხოვან საერთაშორისო და ნაციონალურ სამეცნიერო კონფერენციებზე, სიმპოზიუმებზე, სემინარებზე (საქართველო, აშშ, იაპონია, საფრანგეთი, იტალია და ა.შ.), რომელთა ხელმძღვანელად ან ორგკომიტეტის წევრად ის არაერთხელ იქნა არჩეული.

ნ. ხარატიშვილი მინვეული იყო სხვადასხვა ქვეყანაში ლექციების წასაკითხად და ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ჩასატარებლად. აშშ-ში ლექციებს უკითხავდა სტუდენტებს, ჩინეთში ასპირანტებს, გაეროს ხაზით — განვითარებადი ქვეყნების სპეციალისტებს. ერთობლივ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებში მონაწილეობდა ჩეხოსლოვაკიაში, საფრანგეთში, რუსეთში და ა.შ.

ნ. ხარატიშვილის ხელმძღვანელობით მომზადებული და დაცულია 31 დისერტაცია, მათ შორის 4 ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის, 2 ტექნიკურ დარგში ფილოსოფიის

დოქტორის, 25 ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიტატის. მიღებული აქვს 28 საავტორო მონმობა გამოგონებაზე, სხვადასხვა ქვეყნის სამეცნიერო ჟურნალებში .დაიბეჭდა მისი 235 სამეცნიერო ნაშრომი. ავტორია საზღვარგარეთ გამოქვეყნებული 5 მონოგრაფიისა, მრავალი დამხმარე სახელმძღვანელოსი, ქართულ ენაზე შექმნილი სახელმძღვანელოსი „სიგნალების გადაცემის თეორია", რომელიც სტუდენტებისათვის ძირითად სახელმძღვანელოს წარმოადგენს.

ნ. ხარატიშვილის ხელმძღვანელობით შესრულებულ სამეცნიერო ნამუშევართა ციკლისათვის 1986 წელს ახალგაზრდა მეცნიერთა ჯგუფმა დაიმსახურა საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, ხოლო სტუდენტური სამეცნიერო ნაშრომი დაჯილდოვდა საკავშირო კონკურსის ოქროს მედლით.

ნ. ხარატიშვილმა 1988 წელს პირველად შექმნა რეგიონული (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი) სამეცნიერო ხარისხების მინიჭების სპეციალიზებული საბჭო, ხოლო 1991 წელს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ასეთივე საბჭო კავშირგაბმულობის დარგში, რომლის უცვლელი თავმჯდომარეა.

ნ. ხარატიშვილი სხვადასხვა დროს იყო სსრკ მეცნიერებათა აკადემიის „სტატისტიკური რადიოფიზიკის" სამეცნიერო საბჭოს წევრი, ფერადი ტელევიზიის დარგში სსრკ-საფრანგეთის შერეული კომისიის წევრი, გაეროს კოსმოსური კავშირგაბმულობის საერთაშორისო სკოლა-სემინარის ხელმძღვანელის მოადგილე, ტექნიკური ასოციაციების საერთაშორისო საბჭოს ექსპერტი ინფორმატიკის დარგში, საფრანგეთის გამოყენებითი მეცნიერების ნაციონალური ინსტიტუტის სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი კომისიის წევრი.

1990 წლიდან 1992 წლამდე ნ. ხარატიშვილი მუშაობდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პრორექტორად სამეცნიერო დარგში. მისი თაოსნობით 1991 წელს პირველად სტუს-ს ისტორიაში კავშირგაბმულობის ფაკულტეტზე გაიხსნა ინგლისური სექტორი .

1992-1998 წწ. ნ. ხარატიშვილი საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის მინისტრის პირველი მოადგილეა. ამ პერიოდში მისი უშუალო ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით შეიქმნა საქართველოს ტელეკომი, საქართველო გახდა კავშირგაბმულობის საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი და მიენიჭა საერთაშორისო სატელეფონო კოდი (995), საქართველო განევრიანდა თანამგზავრულ კავშირგაბმულობის ორგანიზაციებში — იუტელსატში და ინტერსპუტნიკში.

ნ. ხარატიშვილი არის ინფორმატიზაციის საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრი, კავშირგაბმულობის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი და პრეზიდიუმის წევრი, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, კავშირგაბმულობის საერთაშორისო აკადემიის საქართველოს განყოფილების პრეზიდენტი, რომლის ეგიდით ქ. თბილისში 1997 წელს ჩატარდა კავშირგაბმულობისა და ფოსტის დარგის სპეციალისტთა ფორუმი.

აშშ-ს ბიოგრაფიის ინსტიტუტმა ნ. ხარატიშვილი მისი დამსახურებისთვის 1998 წლის გამოჩენილ მოღვაწედ აირჩია. დაჯილდოებულია მსოფლიოში აღიარებული ლიდერის დიპლომით ინგლისში. 1999 წელს ნიუ-იორკში გამოცემულ წიგნში „მსოფლიოში აღიარებული ლიდერები" შეტანილია ნ. ხარატიშვილის ბიოგრაფია.

გულნარა ჯაფარიძე

1917-1978

ხელოვნებათმცოდნე, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გულნარა დავითის ასული ჯაფარიძე დაიბადა 1917 წლის 27 თებერვალს ყვარელში.

1941 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1946 წლიდან საქართველოს ხელოვნების მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელია, შემდეგ სწავლული მდივანი და განყოფილების გამგე. დიდი წვლილი შეიტანა მუზეუმის ფონდების შესწავლასა და ექსპოზიციების მოწყობაში. 1958-1960 წლებში ხელმძღვანელობდა საქართველოს კულტურის სამინისტროს სახვითი ხელოვნების განყოფილებას. იყო მხატვართა კავშირის კრიტიკოსთა სექციის მდივანი, შემდეგ ამავე სექციის თავმჯდომარე.

ახალი და უახლესი სახვითი ხელოვნების თვალსაჩინო მკვლევარი გ. ჯაფარიძე სისტემატურად ანყობდა ქართველი მხატვრების ნამუშევართა გამოფენას ჩვენშიც და უცხოეთშიც. მის კალამს ეკუთვნის არაერთი საინტერესო მონოგრაფია, 150-მდე სტატია. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ნაშრომები თანამედროვე ლითონმქანდაკებლობაზე. საგულისხმოა, რომ თვით ეს ტერმინიც ქართულ ლექსიკაში მანვე შემოიტანა და დაამკვიდრა. ჩინებულმა ხელოვნებათმცოდნემ საინტერესო გამოკვლევები უძღვნა სოსო გაბაშვილის, თამარ აბაკელიასა და კორნელი სანაძის ცხოვრებასა და შემოქმედებას, უცხოეთში მოღვაწე ქართველ მხატვრებს.

გულნარა ჯაფარიძე დაკრძალულია ქართველ მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

ვახტანგ ჯაფარიძე

1901-1986

ჟერმნერი, გრაფიკოსი, საქართველოს სახალხო მხატვარი ვახტანგ ნოშრევანის ძე ჯაფარიძე დაიბადა 1901 წლის 22 სექტემბერს ყვარელში.

სწავლობდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში. იყო გ. გაბაშვილის მონაფე. დაამთავრა ს.მ. კიროვის სახელობის ამიერკავკასიის ინდუსტრიული ინსტიტუტი.

პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა თბილისის სამხატვრო აკადემიაში (1937 წლიდან, 1966 წლიდან პროფესორი).

ძირითადად მუშაობს პეიზაჟზე. მისი ნამუშევრებისათვის დამახასიათებელია: დახვეწილი პროფესიული ოსტატობა, ლაკონური, ფერადოვანი გამა, კომპოზიციური სიცხადე და გამომსახველობა, პოეტურობა.

ნამუშევრები: „თბილისი, ბარათაშვილის აღმართი" (1937 წ. თბილისის ისტორია-ეთნოგრაფიის მუზეუმი), „სანაპირო ქუჩის მშენებლობა", „იყალთოს აკადემიის ნანგრევები", „ძველი თბილისი", „თბილისი წვიმიან დღეს", „ზემო სვანეთი", „საგურამო"

აკვარელების სერიისათვის „ძველი და ახალი თბილისი" მიენიჭა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრემია „ხუთნლედის მატიანე". ავტორია წიგნებისა: „აკვარელით ფერწერა" (ზოგადი საფუძვლები, 1952 წ.), „მხატვრის ჩანაწერები" (ფერწერია ზოგადი საკითხები, 1962 წ.) და სხვ.

ალექსანდრე შარა ჯორჯაძე

1882-1961

ცნობილი ქართველი გზათა მიმოსვლის ინჟინერი, პროფესორი ალექსანდრე ზაქარიას ძე ჯორჯაძე დაიბადა 1882 წ. ყვარელში.

იგი ფართოდ იყო ცნობილი საბჭოთა კავშირში და განსაკუთრებით კი ამიერკავკასიის რესპუბლიკებში, როგორც თვალსაჩინო სპეციალისტი, რკინიგზების, გვირაბებისა და გზატკეცილების მშენებელი. დიდი ღვაწლი მიუძღვის ამიერკავკასიის გზათა მშენებელი მრავალრიცხოვანი ნაციონალური კადრების აღზრდის საქმეში.

მამამისმა, ზაქარია ჯორჯაძემ, ილია ჭავჭავაძის უახლოესმა მეზობელმა და მეგობარმა (კახეთის სოფელ საბუეს მცხოვრები) პირველმა გააცნო ევროპას ქართული ღვინო და ახალი გაუთქვა ქართული ვაზის მაღალ ღირსებას. 1888 წელს ბრიუსელის საერთაშორისო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მან ოქროს მედალი მიიღო (მედალი ინახება ი. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში ყვარელში).

თბილისის I კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ალ. ჯორჯაძე შედის პეტერბურგის გზათა მიმოსვლის ინჟინერთა ინსტიტუტში, რომელსაც ამთავრებს 1908 წელს.

ამ ხნიდან დაწყებული, იგი განუწყვეტლივ მუშაობდა ჯერ შიდა რუსეთის რკინიგზებისა და გვირაბების, შემდეგ კი ამიერკავკასიის გზატკეცილების მშენებლობა-კეთილმოწყობაზე.

1909 წელს ალ. ჯორჯაძე მონაწილეობას ღებულობდა კახეთის რკინიგზის გამოკვლევაზე, ხოლო შემდეგ, 1918 წლამდე, არმავირ-ტუაფსესა და ყაზან-სვერდლოვსკის რკინიგზების მშენებლობაზე (ხადიჟენისა და კრასნოუფიმსკის გვირაბებით).

ოქტომბრის რევოლუციის მოხდენიდან 1922 წლამდე, რუსეთის რევოლუციური საბჭოს დადგენილებით, ალ. ჯორჯაძე ხელმძღვანელობდა სამოქალაქო ომების შედეგად დანგრეული სასურსათო დანიშნულების რკინიგზების (კოცი-სვერდლოვსკი და ერმოლოვო-კიკელი) აღსადგენ სამუშაოებს, რის შემდეგაც იგი გადმოიყვანეს ამიერკავკასიის მინისტრთა საბჭოს განკარგულებაში.

ხანგრძლივი მოუვლელობისა და უყურადღებობის შედეგად ამიერკავკასიის გზატკეცილები დანგრეული და უყურადღებოდ მიტოვებული იყო. ალ. ჯორჯაძეს დაავალეს ამ გზების, პირველ რიგში კი, საქართველოს სამხედრო გზის აღდგენა-კეთილმოწყობა. ეს მან გამოავლინა მაღალი ორგანიზატორული ნიჭი და დიდი სამშენებლო გამოცდილება.

1923 წელს ალ. ჯორჯაძე დაინიშნა ამიერკავკასიის ადგილობრივი ტრანსპორტის განყოფილების, ანუ ამიერკავკასიის გზატკეცილებისა და ავტოტრანსპორტის სამმართველოს უფროსად.

ალ. ჯორჯაძის წინაშე მეტად მნიშვნელოვანი ამოცანა იდგა — უნდა ეხელმძღვანელა ამიერკავკასიის რესპუბლიკებში არსებული უგზოობის ლიკვიდაციისა და ახალი კეთილმოწყობილი საავტომობილო-საგზაო ქსელის შექმნისათვის, მოეწესრიგებინა ავტოტრანსპორტის მოძრაობა.

1929 წლამდე ალ. ჯორჯაძე ამიერკავკასიის გზატკეცილების სამმართველოს უფროსი იყო, ხოლო 1931 წლამდე – მოადგილე.

1931-1934 წლებში იგი ხელმძღვანელობდა „ზაკენერგოს“ კაპიტალურ მშენებლობას და იმავე დროს იყო მისი საპროექტო ბიუროს მთავარი ინჟინერი. ეს იყო მეტად საპასუხისმგებლო საქმე, რადგან ამიერკავკასიის ფარგლებში მძლავრად ვითარდებოდა ელექტროფიკაცია, შენდებოდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ჰიდროელექტროსადგური.

1934 წელს ალ. ჯორჯაძე დაინიშნა საქართველოს სსრ გზატკეცილების სამმართველოს მთავარ ინჟინრად. აქ იგი მუშაობდა 1937 წლამდე.

რესპუბლიკის გზების აღდგენა-შეკეთებასთან ერთად საჭიროება მოითხოვდა ახალი საავტომობილო გზების მშენებლობას მთაგორიან რაიონებში, იქ, სადაც წინათ საურმე გზებიც კი არ არსებობდა და ადგილობრივი მოსახლეობა მონყვეტილი იყო ცენტრებს. ამ საქმის მონესრიგებაში თავისი დიდი ნვლილი აქვს შეტანილი ალ. ჯორჯაძეს. მეტად მორს ნაგვიყვანდა ყველა იმ ობიექტის ჩამოთვლა, რომლებსაც ხელმძღვანელობდა იგი. აქ დავასახელებთ მხოლოდ საქართველოს ფარგლებში მისი ხელმძღვანელობით გაყვანილ გზებს: ზემო სვანეთის გზა (სოფ. ჯვარიდან სოფ. მესტიამდე), ქვემო სვანეთის გზა (სოფ. ცაგერიდან სოფ. ლენტეხამდე), ფშავ-ხევსურეთის გზა (სოფ. ჟინვალიდან სოფ. ბარისახომდე), მან მოამზადა მთა-თუშეთის გზის მშენებლობის პროექტი (სტორის ხეობის მიმართულებით), რაც ნანილობრივ უფრო გვიან განხორციელდა, საქართველოს სამხედრო გზის ახალი უბნების მშენებლობა მდ. არაგვის გასნვრივ, ბაგის ჭალიდან ჟინვალ-ანანურამდე, ქ. დუშეთის ორი უღელტეხილისა და მდ. არყალის ხეობაში მცურავი გრუნტის (მენყერის) გვერდის ავლით; ახალი გზატკეცილის მშენებლობა რიკოთის უღელტეხილით, სადგ. ეირულადან დაბა სურამამდე აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოსთან დასაკავშირებლად კეთილმონყობილი საავტომობილო გზით; ახალი გზატკეცილის მშენებლობა მანგლისის გზის გაგრძელებით – ნალკიდან ს. ბოგდანოვკამდე; შესანიშნავი საავტომობილო გზის მშენებლობა ბზიფიდან რინის ტბამდე; გზატკეცილის მშენებლობა კახეთის ნავთობიან ადგილებში – ნნორი-მირზაანი-დედოფლისნყარო და სხვ.

ახალი გზატკეცილების მშენებლობასთან ერთად მისი ხელმძღვანელობით შეკეთდა და რეკონსტრუქცია გაუკეთდა მთელ რიგ გზატკეცილებს: თბილისი-ბოლნისი-ლენინაკანი (სომხეთის სსრ); რაჭის გზა (ქუთაისი-მამისონის უღელტეხილი); ტრანს-კავკასიის მაგისტრალი (ბათუმი-ქუთაისი-თბილისი-გატეხილი ხიდი-კიროვაბადი-ბაქო); შავი ზღვის სანაპირო გზატკეცილი, ბათუმი-სოხუმი-გაგრა და სხვ.

ამასთან, აღსანიშნავია მთელი რიგი კაპიტალური ხიდების მშენებლობა: ყვირილის, სოფ. ვარციხესთან; კავთისხევის, მდ. მტკვარზე (კასპის რაიონში); იორის, სოფ. სართიჭალასთან; გუბის-ნყლის, ქუთაის-სამტრედიის გზაზე; მაგანის რთული დაკიდული-ვანტიანი ხიდი სოფ. ჯვარში, რომელიც პირველი იყო საბჭოთა კავშირში.



არჩილ ჯორჯაძე

1872-1913

ქართველი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი არჩილ კონსტანტინეს ძე ჯორჯაძე დაიბადა 1872 წლის 10 იანვარს ყვარლის რაიონის სოფ. საბუეში.

აი, რას წერს მის შესახებ გამოჩენილი ქართველი მწერალი, მთარგმნელი, ეთნოგრაფი და ლექსიკოგრაფი თედო სახოკია:

„არჩილ ჯორჯაძე 1891 წელს გავიცანი თბილისში, როცა ის პირველი გიმნაზიის მერვე კლასის მონაფე იყო. დინჯი, დაფიქრებული და თან მეტად სანდომიანი სახის ყმაწვილი კაცი თავის ამხანაგებში გამოირჩეოდა და მთელ ჩვენ სიმპათიას თავისაკენ იზიდავდა. დედ-მამა, ერთ დროს შეძლებულები, ადრევე დაეხოცა და ახალგაზრდა არჩილის საზრუნავი იყო საკუთარი თავი, ორი და და ერთი პატარა ძმა, მაშინ რეალური სასწავლებლის მეოთხე კლასის მონაფე თვალწინ მედგა, როგორ ზრდიდა და ერთ ღარიბულ სასადილოში როგორ აყმევდა, თავისთან ერთად, ღარიბულ სადილებს თავის უმცროს ძმაა, კერძო გაკვეთილებით აღებული ფულით (თვეში სამმანეთიანი) მთლად მშობლიურ ზრუნვად გადაქცეული თვით საზრუნავი ყმაწვილი კაცი!..

გიმნაზიის კურსის დამთავრების შემდეგ არჩილი პეტროგრადის უნივერსიტეტში შევიდა ფილოლოგიის ფაკულტეტზე. უნივერსიტეტში გაუტაცნია ფილოსოფიას, კერძოდ, სარწმუნოებრივ საკითხებს და ჯერ ისევ სტუდენტობაში ბუდას მოძღვრების შესახებ ერთი სერიოზული შრომაც დაუბეჭდია რუსულ ჟურნალ „სევერნი ვესტნიკ"-ში. პეტროგრადის უნივერსიტეტიდან არჩილი გადასულა ვარშავისაში, სადაც მსახურობდა ვარშავის ციხის კომენდანტად მისი ნათესავი, ან განსვენებული გენერალი გიორგი ყაზბეგი.

ვარშავაში არჩილი ერთ-ორ წელიწადს დარჩენილა. ლ. ტოლსტოის მოღვაწეობით გატაცებული გადასულა ლონდონში და მოქცეულა ტოლსტოის მონაფის და მათაყვანებლის ჩერტკოვის წრეში, ორიოდ წელიწადშიც ლონდონში დაუყვია ტოლსტოელთა კოლონიაში და გადმოსულა პარიზში, სორბონში სასწავლებლად.

1902 წლის შემოდგომაზე არჩილი დაბრუნდა საქართველოდან პარიზში; მას მოჰყვა გ. ფეკანოზიშვილიც. დეკანოზიშვილმა საგანგებოდ ჩამოასხმევინა მომავალი ორგანოსათვრიფტი „პარიზულად" წოდებული. ხოლო არჩილი შეუდგა მასალების ნერას „საქართველოსათვის"

1904 წელს არჩილს ჭლექი გამოაჩნდა და იძულებული გახდა შვეიცარიაში წასულიყო საკურნოდ. მიუხედავად ავადმყოფობისა, შვეიცარიიდან განაგრძობდა „საქართველოსათვის" მასალების გზავნას. ყოველ წერილში ჩიოდა, — მომბეზრდა ავადმყოფობა და არ მინდა ექიმობა, მინდა პარიზში ჩამოვიდე, ვიმუშაო და მუშაობაშივე მოვკვდე, სულ ერთია, დიდი ხნის სიცოცხლე არ მინერიაო. 1905 წლის დამდეგს ჩამოვიდა პარიზში და გაგრძობდა მუშაობას უფრო მომეტებულად ისე, როცა 39 გრადუსი სიცხე ჰქონდა ხოლმე.

1905 წლის პირველი თვეებია. იაპონიასთან ბრძოლაში დამარცხებული მეფის რუსეთი უძლურდება. მთავრობა აღელვებულ ხალხს თავს ვეღარ უჭერს. იწყება რევოლუცია. მომავალი განთავისუფლების სუნი ტრიალებს ჰაერში. პარტიები მხურვალედ მუშაო-

ბენ. ყველას აღფრთოვანება ეტყობა. ჩვენი სამშობლოც საერთო ფერხულში ებმის. პრესა თითქმის თავისუფლად წერს ყველაფერზე, ყველას იმედი გვესახება, რომ მოახლოებულია ჟამი, როცა ფედერალისტთა პარტიის ოცნებას — საქართველოს ავტონომიას — ფრთები შეესხმის, სინამდვილედ გახდება.

არჩილი პარიზში დარჩა, რადგან ავადმყოფობის მიზეზით მგზავრობა აღარ შეეძლო. ,,ააშიში კი სხვაფრივ მაინც და მაინც არ იყო წამოსვლა, რადგან ოფიციალურად ცნობილი არ იყო, როგორც ემიგრანტი. თანაც საშუალება არა გვქონდა პარიზში შეგვენახა. გული კი საშინლად მოუნევდა სამშობლოსაკენ.

ზაფხულის გასულს არჩილიც გაუდგა სხვების გზას. ჩამოსვლისთანავე ის დააბინავეს ბათუმის ახლო, მახინჯაურის ერთ-ერთ აგარაკში. გამოუნელებელს სიცხეს აძლევდა, ძალზე ახველებდა, მადა ჭამისა ნაკლებადა ჰქონდა, ლოგინიდანაც ვეღარა დგებოდა. უვლიდა მისი განუყრელი და ენით გამოუთქმელი ამაგდარი ბიძაშვილი ელენე ჯორჯაძისა. ამას ჩიოდა განსვენებული — ავადმყოფობისა და თვით სიკვდილისა სრულებით არ მეშინიან, მეორე სიკვდილი ის არის, რომ როცა გარშემო სიცოცხლე დუღს, ჩვენს ქვეყანას მზიანი დღე უთენდება და თან სჭირდება ხალხი, მუშა, მოქმედი ხალხი, იძულებული ვარ ლოგინში ვიწვე და შორიდან გულხელდაკრეფილი შევცქეროდე ქვეყანასაო.

ამის შემდეგ არჩილი მოკეთებულა. პროცესი შესჩერებია და მორჩენის გზაზე დამდგარა. იწყება მისი ნაყოფიერი და სისტემატური მუშაობა „ცნობის ფურცელში"

1911 წელს ავადმყოფობა ისევ უხსენებს და ბათუმში მიჰყავთ საექიმოდ, 1913 წლის მარტის 23-ს განუტევა კიდეც სული ამ სულიერად და ხორციელად ლამაზმა არსებამ.

ვასილ ჯორჯაძე

1856-1927

ქართული ტექნიკური ინტელიგენციის იმ პლეადაში, რომელმაც თავისი კვალი დაამჩნია ჩვენში თანამედროვე სამშენებლო საინჟინრო ხელოვნების განვითარებას, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ინჟინერ ვასილ ნიკოლოზის ძე ჯორჯაძეს.

ვ. ჯორჯაძე დაიბადა 1856 წლის 29 თებერვალს ყვარლის რაიონის სოფ. გრემში, სამხედრო პირის, ნიკოლოზ ჯორჯაძის ოჯახში. საშუალო განათლება მიიღო კიევის სამხატვრო გიმნაზიაში, სადაც წარჩინებულ მოსწავლედ და კარგ სპორტსმენად ითვლებოდა.

XIX საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისში ვ. ჯორჯაძე დაბრუნდა საქართველოში და მუშაობა დაიწყო თბილისში კავკასიის სამხედრო-საინჟინრო სამმართველოში, ხოლო 1882 წელს სამხედრო ინჟინრის წოდება მიიღო.

სამხედრო სამსახურში ვ. ჯორჯაძემ 40 წელი დაჰყო. ის მუშაობდა თბილისში, ქუთაისში, ბაქოში, სტავროპოლში, მახაჩკალაში და კავკასიის სხვა ქალაქებში. 1916 წელს ვ. ჯორჯაძემ 60 წლის ასაკში დატოვა სამხედრო სამსახური და სოფელ გრემში თავის სახლკარს დაუბრუნდა.

სამხედრო სამსახურს იგი სამოქალაქო საინჟინრო საქმიანობასაც უთავსებდა. გასული საუკუნის 80-იან წლებში მუშაობდა ახლანდელი გარდაბნის სარწყავი სისტემის მშენებლობაზე, ხოლო ცხრაასიანი წლების დასაწყისში ხელმძღვანელობდა დიდ საირიგაციო მშენებლობას მდინარე არაქსის ველზე არაზდაიანის დაბლობზე.

ვ. ჯორჯაძე ხშირად აქვეყნებდა სტატიებს ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე, სადაც აღნიშნავდა, ტყის მოუვლელობისა და დაუზოგავი ჩეხის გამო საგრძნობლად შემცირდა მდინარეთა ჩამონადენი სავეგეტაციო პერიოდში, გადიდდა ნიაღვარნყლები და ღვარცოფები, ინტენსიურად ჩამოირეცხა მთის კალთები, რისგანაც ამაღლდა მდინარეთა ფსკერი, რომელიც თითქმის გაუსწორდა ნიადაგისეულ ზედაპირს და ამ ადგილებში ნყალდიდობა ემუქრება სოფლებს, მათ ბაღ-ვენახებსა და ნათესებსო. ამიტომ იგი საჭიროდ ჩიჩნევდა საბელმწიფო კანონით ტყის დაცვას. მდინარეთა ნაპირების გამაგრებას კაპიტალური დამბებით, რომელთა ზომებს და განლაგებას თვითონვე იძლეოდა.

როგორც პროგრესულმა ადამიანმა, ვ. ჯორჯაძემ თავიდანვე შეაფასა ბეტონისა და რკინა-ბეტონის ღირსება და უპირატესობანი, ხოლო ფრანგულის ცოდნამ საშუალება მიეცა, დეტალურად გასცნობოდა ტექნიკის ამ სიახლეს. შეიძლება ითქვას, რომ მან ერთერთმა პირველმა შემოიტანა და დანერგა რკინა-ბეტონი საქართველოსა და მთელ კავკასიაში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ 1907 წელს მან პირველმა დააპროექტა და განაბორციელა ასანყობი რკინა-ბეტონის თხელი კედლების კონსტრუქცია. რკინა-ბეტონის ეს ასანყობი კონსტრუქციები ფართოდ გამოიყენებოდა ჩრდილოეთ კავკასიის საფაბრიკო-საქარხნო მშენებლობაში ტიხრების მოსანყობად და ტერიტორიის შემოღობვაში.

ვ. ჯორჯაძე მიწვეული იყო ქართული უნივერსიტეტის მშენებლობაზე ბეტონისა და რკინა-ბეტონის სამუშაოების ხელმძღვანელად, როგორც ამ საქმის სპეციალისტი. საინ-

ტერესოა, რომ მას უნივერსიტეტის ფასადის გაფორმებაში შესწორება შეუტანია. პროექტის მიხედვით ფასადის განაპირა კუთხეებში ნიგნით ხელში წამოწოლილ მოსწავლეთა ქანდაკებანი უნდა დაედგათ, ვასილს კი შეუცვლია ისინი ახლანდელი გლობუსებიანი ფასადით, რომელიც მეცნიერებისა და საყოველთაო განათლების ემბლემად გვესახება.

ჩვენი საუკუნის დასაწყისისათვის ვ. ჯორჯაძე უკვე ცნობილი პიროვნება და გამოჩენილი ინჟინერი იყო...

ვ. ჯორჯაძე სპორტსაც მისდევდა. მას პირველი ადგილები აუღია ველოშეჯიბრებაში პეტერბურგში, ოდესაში, კიევსა და თბილისში. ამიტომ მისთვის კავკასიის პირველი ველოსიპედისტის სახელი მიუნიჭებიათ. მისივე ინიციატივით ქ. სტავროპოლში შექმნილა ველომოყვარულთა ნრე და აშენებულა ველოტრეკი.

საქართველოს ტექნიკური და სპორტული საზოგადოების ახალი თაობა უნდა იცნობდეს თავის თანამემამულეს, ტექნიკური პროგრესის ერთ-ერთ მოთავეს და ველოსპორტის პირველ ქართველ ნარმომადგენელს, რათა სათანადო ადგილი მიუჩინოს მას ტექნიკისა და სპორტის განვითარების ისტორიაში.



ზაქარია ჯორჯაძე

1847-1895

XIX საუკუნის II ნახევრიდან საზოგადოებრივ სარბიელზე თანდათან გამოჩნდნენ უცხოეთში განსწავლული, მაღალი კვალიფიკაციისა და ერუდიციის მქონე მამულიშვილები, რომლებმაც თავიანთი მოღვაწეობით დიდი ამაგი დასდეს ქართული მიწათმოქმედების განვითარებას. ერთ-ერთი მათგანი გახლდათ ზაქარია ალექსანდრეს ძე ჯორჯაძე, რომელიც დაიბადა 1847 წელს ყვარლის რაიონის სოფ. საბუეში შეძლებული თავადის ოჯახში.

მშობლები ყმანვილ ზაქარიას სამხედრო კარიერას უწინასწარმეტყველებდნენ. მათივე სურვილით მან ახალგაზრდობის წლები სამხედრო სამსახურში გაატარა, მაგრამ, სოფლის მეურნეობისადმი იმდენად დიდი ინტერესი ჰქონდა, რომ სამხედრო სამსახურს თავი დაანება და აგრონომიული ცოდნის შეძენის სურვილით ავსტრიაში გაემგზავრა.

ზ. ჯორჯაძე სწავლობდა და მუშაობდა მევენახეობა-მეღვინეობის ცნობილ ცენტრში — კლოსტერნოიბურგში გამოჩენილი მეცნიერის ბაბოს ხელმძღვანელობით. ახალგაზრდა ზაქარიას სიბეჯითისა და მონდომების დასტურია მის სასწავლო რვეულში შესრულებული ჩანაწერები და ჩანახატები. ეს რვეული ყვარლის ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმში ინახება.

ზ. ჯორჯაძეს დაუარსებია სავაჭრო ფირმა: „ზ.ა. ჯორჯაძე და კომპანია", რომლის ღვინის სარდაფი მოთავსებული იყო თბილისში, ამჟამად გოგოლის ქუჩაზე (სამტრესია ეოფილი №2 ღვინის ქარხანა). მას უდიდესი წვლილი მიუძღვის ქართული კონიაკის ნარმოებია განვითარებაში.

მაგრამ ზაქარია ჯორჯაძის გული და გონება მაინც მშობლიური კახეთისაკენ იწევდა, მით უფრო, რომ ეს ბუნებრივად მდიდარი მხარე ქართველი კაცის გამრჯე და მცოდნე ხელს ელოდა. აკი წერდა კიდეც ამ საჭიროებაზე რაფიელ ერისთავი გაზეთ „დროებაში" 1878 წელს: ბევრმა მემამულემ არ იცის ღვინის დაყენება, საჭიროა სადმე კახეთში გაიმართოა სამაგალითო სარდაფი, სადაც მცოდნე პირებმა, სპეციალისტებმა დააყენონ ღვინო და აქედან მერე სხვა მემამულეებმა შეისწავლონო.

1882 წელს ზაქარიამ ხელი მოჰკიდა ღვინის სარდაფის მშენებლობას კახეთში, სოფელ საბუეში. სარდაფის დასავლეთ ნაწილში ინახებოდა კახური წესით დამზადებული ღვინო, ხოლო აღმოსავლეთი ნაწილი დათმობილი ჰქონდა ევროპული წესით დაყენებულ ღვინოებს. ადგილზე დაყენებული ღვინოების გარდა საბუეში ურმებით ჩამოჰქონდათ მაღალხარისხოვანი ღვინო-მასალები.

სნორედ საბუის ღვინის სარდაფში დაყენებულ ღვინოს 1888 წელს ბრიუსელის მსოფლიო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მიანიჭეს დიდი ოქროს მედალი (მედალი ინახებოდა ყვარლის ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმში, მაგრამ, სამწუხაროდ, სამოციანი წლების შუაბანებში დაიკარგა).

ზაქარია ჯორჯაძემ აქტიურად გაილაშქრა ღვინის ფალსიფიკაციის წინააღმდეგ. პეტერბურგში იგი მოხსენებით წარსდგა მეღვინეთა ერთ-ერთ ყრილობაზე (ხელნაწერი ინახება ყვარლის ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმში). მოხსენებაში განხილულია ფალსიფიკაციის სახეები, მათი დადგენის გზები. „ფალსიფიკაცია იქაა, სადაც მისდევენ

მეღვინეობას, მაგრამ არ არის ვენახები, ხოლო იმ ადგილებში, სადაც ვენახებია, არ არსებობს არავითარი ფალსიფიკაცია", — წერდა ზაქარია ჯორჯაძე.

თავის საქმიანობაში ზაქარია ჯორჯაძე ეყრდნობოდა ქართველი ხალხის საუკუნეებით შემუშავებულ გამოცდილებას. იგი დიდად აფასებდა ქართველი გლეხკაცის საქმიანობას და ცოდნას, არ თაკილობდა, საბუელი მეზვრე-მევენახეებისაგან მიეღო რჩევა-დარიგებანი. ამის მაგალითად გამოდგება მისი ახლო ურთიერთობა გრემელ ადამო კახაშვილთან, რომელიც ჯორჯაძეთა მოურავი და ამავე დროს კარგი დეგუსტატორი იყო. ზაქარიას დაახლოებული ჰყავდა თავისივე მარჯვენა ხელი, ჭკვიანი და საზრიანი გლეხი — ო., იგონებს ზაქარიას ასული ნინო ჯორჯაძე. ერთხელ ადამო კახაშვილი, როგორც გამოცდილი დეგუსტატორი, მეღვინეთა ერთ-ერთ ყრილობაზე, პეტერბურგში თან ხლებია ზაქარია ჯორჯაძეს და თავისი ოსტატობით გაუოცებია დამსწრენი.

ზაქარია ჯორჯაძე ქართული მევენახეობა-მეღვინეობის მომავალს დიდი იმედით უყურებდა. იგი ჩვენი ეროვნული დარგების თავდადებული და ერთგული მოღვაწე იყო. ოცნებობდა, ენახა მშობლიური კახეთი ვენახებით დაფარული, გარდაექმნა იგი აყვავებულ მხარედ.

სამწუხაროდ, ნაადრევმა სიკვდილმა ფრთები შეაკვეცა ამ ჭეშმარიტად თავდადებული და ღირსეული მამულიშვილის ოცნებას; იგი 49 წლის ასაკში — 1895 წელს გარდაიცვალა.

ცნობისათვის: ზაქარია ჯორჯაძის მეუღლე იყო რაფიელ ერისთავის და, პირველი ქართველი მწერალი ქალი — ბარბარე ერისთავი.



ირაკლი ჯორჯაძე

ქართველი სამხედრო მეცნიერი, თეორეტიკოსი, არტილერიის გენერალ-ლეიტენანტი 1975 წლიდან, 1979 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, რსფსრ მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწე, სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ირაკლი ივანეს ძე ჯორჯაძე დაიბადა 1919 წლის 8 ოქტომბერს ყვარლის რაიონის სოფ. საბუეში.

დაამთავრა ფ. ძერჟინსკის სახელობის სამხედრო საარტილერიო აკადემია, სწავლობდა იმავე აკადემიაში ადიუნქტურაში.

დიდი სამამულო ომის დროს იბრძოდა ბრიანსკის, კალინინის, სტალინგრადის, ცენტრალური ბელორუსიის I და II ფრონტებზე. მეთაურობდა საარტილერიო დივიზიას, უმაღლეაი მთავარსარდლობის რეზერვის 240-ე და 1355-ე საარტილერიო პოლკებს, იყო 28-ე ბითელდროშოვანი, კუტუზოვის II ხარისხის ორდენის საზენიტო-საარტილერიო დივიზიის შტაბის უფროსი.

1946-62 წწ. ვ. ძერჟინსკის სახელობის სამხედრო საარტილერიო აკადემიაში ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას. 1963-65 წწ. ჩრდილოეთის ჯარების ჯგუფის სარდლის მოადგილე. საჰაერო თავდაცვის სარდალია.

1965-80 წწ. კვლავ პედაგოგიურ საქმიანობას დაუბრუნდა გენშტაბის აკადემიაში. ჯორჯაძის მიერ შემუშავებული სროლის მეთოდი (1943 წ.) საარტილერიო წესდებაში შევიდა. მას ეკუთვნის მრავალრიცხოვანი სამეცნიერო შრომები და ნიგნები სამხედრო საქმის ძირადასმვა საკითხებზე, რომელიც ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას ემსახურება.

გენერალ-ლეიტენანტი ირაკლი ჯორჯაძე ჩვენი სამშობლოს საამაყო შვილია. მისი ანუკვარი ოცნებაა დედამიწაზე მშვიდობის შენარჩუნება.

დაჯილდოებულია 8 ორდენითა და მედლებით.

ბუროკაანი



გურჯაანის რაიონი — ადმინისტრაციულ-ტერიტორიული რაიონი აღმოსავლეთ საქართველოში, შიგნით კახეთში.

1930 წლამდე შედიოდა აღმოსავლეთ საქართველოს თელავის მაზრაში. 1930 წლიდან დამოუკიდებელი რაიონია.

ᲰᲐᲕᲐ — ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული.

ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ — ალაზანი

ᲜᲘᲐᲓᲐᲒᲘ — ალუვიური კარბონატული (რიყნარი, ქვიშები, თიხები)

ᲛᲪᲔᲜᲐᲠᲔᲣᲚᲘ — ჭალის ტყვე, ძეძვი, ჯაგრცხილა, კუნელი, ასკილი, შავჯაგა და სხვ. მუხნარი, რცხილნარი, წიფლნარი.

ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲘ (გარეული) — შველი, მურა დათვი, მგელი, მელა, ტურა, კურდღელი და სხვ. ბევრია ფრინველი, ალაზანში არის ლოქო, ხრამული, მურნა და სხვ.

ᲦᲘᲠᲡᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲝᲑᲐᲜᲘ — რაიონში არის რესპუბლიკური მნიშვნელობის ტალახით სამკურნალო კურორტი „ახტალა", სადაც ყოველწლიურად დაახლოებით 6 ათასი კაცი ისვენებს და მკურნალობს.

VIII-IX სს. ქართული ხუროთმოძღვრების („გარდამავალი ხანის") უმნიშვნელოვანესი ძეგლი — ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია, ე.წ. „ყველაწმინდა". ქ. გურჯაანიდან 2 კმ-ზე.

გურჯაანის „ყველაწმინდა" ერთადერთი ორგუმბათიანი ეკლესიაა საქართველოში.

სხვა ისტორიული ძეგლებია: ვაზისუბნის (ურიათუბნის) სამნავიანი ბაზილიკა (VI ს.) და „დავითიანის" გუმბათოვანი ეკლესია (VI-VII სს.), მიდამოებში — მონასტერი „სანაგირე" (ეკლესია X-XI სს.); ვეჯინის კომპლექსი (შუა საუკუნეები) ვაჩნაძიანის ყველაწმინდის (V-IX სს.), კარდანახის საბაწმინდისა (XIII-XV სს.) და ზეგაანის (ეკლესია V ს.) მონასტრები, ჭერმის ნაქალაქარი სხვადასხვა დროინდელი საეკლესიო და საერო შენობებით და სხვა.

იოსებ ნონეშვილი

1918-1980

ცივ ეკმაურიდან სიკვდილი
სიცოცხლის ეგდესხედი.
მოსწყნს იისფერ ნისლებმა
ეხეთი. ხეში ეხეთი.

ი. ნონეშვილი

ქართველი ხალხის ერთ-ერთი უსაყვარლესი პოეტი, რუსთაველის საბელობის პრემიის ლაურეატი იოსებ ელიოზის ძე ნონეშვილი დაიბადა 1918 წლის 6 აპრილს გურჯაანის რაიონის სოფ. კარდანახში.

დაამთავრა თსუ-ის ფილოლოგიური ფაკულტეტი. 1943-45 წწ. მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში. იყო ჟურნალ „ნიანგის" მთავარი რედაქტორის მოადგილე, ჟურნალ „დილას" მთავარი რედაქტორი, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" მთავარი რედაქტორი, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი, 1973 წლიდან — მშვიდობის დაცვის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე.

პირველი ლექსი გამოაქვეყნა 1938 წელს, პირველი წიგნი „ლექსები" — 1940 წელს.

ი. ნონეშვილის პოეზია ორგანულადაა დაკავშირებული ქართული კლასიკური ლექსის ტრადიციასთან. იგი მოიცავს სატრფიალო და სამოქალაქო მოტივებს. გამოირჩევა განცდათა სიმდიდრე-სინატიფით... მისი ლექსის დამახასიათებელი თვისებებია პოეტური ემოციურობა, ექსპრესიულობა, მხატვრულ სახეთა სისადავე და ეფექტურობა.

ი. ნონეშვილის სატრფიალო ლირიკის, საუკეთესო ნიმუშებია ლექსები „საუბარი ნაძვებთან", „ფრთხილად იყავი", „შენ საქართველოს დედოფლობა დაგმშვენდებოდა", „რას მიყურებ" და სხვ.

40-იანი წლებიდან მისი პოეზია სულ უფრო მეტად იმსჭვალება საზოგადოებრივი ყღერადობით, მთავარ მოტივად მკვიდრდება სამშობლოს სიყვარული; ისტორიული ნარსული, მშვიდობისა და ხალხთა მეგობრობის თემა.

სატრფიალო ლირიკა ი. ნონეშვილის ლექსში დაუკავშირდა პატრიოტული პოეზიის რკალს. მისი პოეტური პალიტრის ფართო თემატურ და იდეურ-მხატვრულ დიაპაზონზე მეტყველებს ლექსები და პოეტური ციკლები „ქართვლის დიდება დავიცვათ", „სატევარი", „ჩუქურთმის მჭრელის ეპიტაფია", „შემოდგომა თბილისში", „ელადის ყვავილები", პოეტური ციკლები სომხეთზე, ყაზახეთზე და სხვ.

იოსებ ნონეშვილის ბევრი ლექსი სიმღერად გავრცელდა. პოეტის ნაწარმოებები თარგმნილია საზღვარგარეთის ხალხთა ენებზე...

„არიან ბუნებით მგოსნები, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, პოეტად შობილნი... სწორედ ამგვარი მგოსანი გახლდათ ... იოსებ ნონეშვილი...

... იოსებ ნონეშვილს მარტო „ჩუქურთმის მჭრელის ეპიტაფია" რომ შეექმნა, უკვე ამით შერჩებოდა სამარადჟამოდ ქართულ პოეზიას"

ევგენი ევტუშენკო: „ იოსებ ნონეშვილის პოეტური ჰანგების სათავე მშობელი ქვეყნის თავდავიწყებამდე მისულ სიყვარულში დევს. სამშობლო — მისი უმაღლესი და უწმინდესი მცნებაა, „დაუჩრდილავი" სილამაზეა და პოეტს გულის ფეძვებიდან მომსკდარი მღერით სურს მისდამი ღრმა თაყვანისცემისა და ერთგულების გამოხატვა:

წმინდაო, რაფაორ დედის ძესდილი.
ხელს ლაქმნი ქვეყნის ბედნა.
ბესდი სიტყვაშ ამოვარდნილიმ
ტკლიის ფესვები ამიიტანონს. —

და პოეტი სამშობლო ქვეყნისადმი თავის სიყვარულს ყოველთვის კონკრეტული განცდით გამოხატავს. მოყვანილი სტრიქონები შთაგონებულია მისი მშობლიური კახეთით.

ი. ნონეშვილი სიცოცხლის, მშვენიერების ღიმილიანი მომღერალი და მგალობელია, ცხოვრების სილამაზის აღტაცებული ტრფიალია:

ძარცხნივ ზესისუს ფიართოსლი
ძარჯანივ ვაქლის ძეუბია.
და ტეეები ლოოეებივით
*ბოლეს ძაჭეუდე

ნატო ვაჩნაძე

1904-1953

„ქალი დაინახე, თვალები ძოძიანი,
მწუხარეა მზერა. უკბილო ლიმილი
კინ ერის ეს ქალი? ეძებდა ნელ-ნელ
ნეტავ რაშ დაიდგა მეფეთა ასეთ.

პაოლო იაშვილი

„ნატო ვაჩნაძის პიროვნებაში იშვიათ გარეგნობასთან, მაღალნიჭიერებასა და დიდ აქტივობასთან ორიგინალურად იყო შეთავსებული საოცარი თავმდაბლობა, გულისხმიერება, უბრალოება, მოკრძალება.

იგი სიცოცხლისმოყვარეობის, გულითადობის, ხალისისა და მოქმედების ცოცხალი განსახიერება იყო"

ბესო ყლენტი

ულამაზესი, ქართველი კინომსახიობი ქალი ნატო გრიგოლის ასული ანდრონიკაშვილი (ვაჩნაძე) დაიბადა 1904 წლის 14 ივნისს პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში.

მისი მამა, გიორგი ანდრონიკაშვილი სამხედრო პირი იყო და ორი წლის განმავლობაში პოლონეთში მსახურობდა. შემდეგ გიორგი ოჯახით უკან ბრუნდება საქართველოში და მცირენლოვანი ნატო იზრდება თავის მშობლიურ სოფელ გურჯაანში. 1918 წელს იგი შეყავთ თბილისის ქალთა პირველ გიმნაზიაში, რომელსაც 1922 წელს წარმატებით ამთავრებს. ამავე წელს ზაფხულში იგი ცოლად მიჰყვება მერაბ ვაჩნაძეს. იგი სიცოცხლის ბოლომდე ატარებდა თავისი პირველი მეუღლის, ვაჩნაძის გვარს.

19 წლის ნატოს დებიუტი კინოში შედგა 1923 წელს. ეს მოხდა თითქმის ერთდროულად ორ ფილმში: ვლ. მარსკის „არსენა ყაჩაღსა" და ამო ბეკ-ნაზაროვის „მამის მკვლელში", სადაც მან ბრწყინვალედ განასახიერა ნენოსა და ნუნუს როლები. იგი შემდგომშიც ნაყოფიერად მოღვაწეობს, როგორც მუნჯ, ისე გახმოვანებულ კინოსურათებში. მაგრამ პოპულარობა მაინც მუნჯმა კინომ მოუტანა. იგი მოგვიანებით შეყვანილ იქნა მუნჯი ფილმების კინოვარსკვლავთა მსოფლიო ათეულში.

მისი ტალანტის დახვეწასა და სრულად გამოვლინებას დიდად შეუნყო ხელი მისმა მეორე მეუღლემ, კინორეჟისორმა ნიკოლოზ შენგელაიამ.

ნ. შენგელაიას ფილმში „ნარინჯის ველი" ნანის როლის საუკეთესო შესრულებისათვის სახელმწიფო პრემიით დაჯილდოვდა. იყო საქართველოს სახალხო არტისტი.

დროთა ვითარებაში სულ უფრო იტაცებდა მსახიობს შემოქმედებითი ძიებები. იგი ოცნებობდა ძლიერ, შეუპოვარ, აქტიურ ხასიათებზე. მალე ეს ოცნებაც აუსრულდა. 1937 წელს მიხეილ ჭიაურელმა დადგა ფილმი სახალხო გმირ არსენაზე, რომელშიც ნატომ ნენოს როლი განასახიერა. ეს იყო მისი მეორე შეხვედრა ამ საეკრანო როლთან და რაოდენ დაშორებული აღმოჩნდა კიდეც ეს საინტერესო, მკვეთრი ხასიათი იმ უმნეო, დაბეჩავებულ და საცოდავ ნენოსაგან, რომელიც მან ბარსკის ფილმში „არსენა ყაჩაღი" მორჩილად „წარმოსახა"

რამდენი შეუპოვარი ძიება, ცდა, ნამონყება, რა შიშისა და მღელვარების გადატანა დასჭირდა ნატოს ყველაფრის დასაძლევად. იგი არ უშინდებოდა დაბრკოლებებს. როდესაც გადაღებებზე ინვევდნენ, კინემატოგრაფიის რიგითი თანამშრომელი ხდებოდა, მუშაობდა პრაქტიკანტად, ასისტენტად.

იგი ასისტენტად მუშაობდა რეჟისორ-დოკუმენტალისტ ესთერ შუბთან ფილმზე „კომკავშირი — ელექტროფიკაციის შეფი". მან ერთგული თანაშემნეობა გაუწია რეჟისორს შორეული აღმოსავლეთის, ჩრდილოეთისა და შუა აზიის რთულ პირობებში მუშაობისას.

„შესანიშნავი ასისტენტი შევიძინე, — წერდა შუბი, — ვაჩნაძე გამოენყო სპეცტანსაცმელსა და თექის ჩექმებში. იგი გატაცებით, მთელი სულითა და გულით მუშაობდა და არავითარ საქმეს არ ერიდებოდა. მე შევიძინე არა მარტო ჩინებული და ინიციატივიანი თანაშემნე, არამედ ვიპოვე მეგობარი მთელი ცხოვრების მანძილზე"

1947 ნელს ნატო ვაჩნაძემ ითამაშა ძიძის, ქართველი გლეხი ქალის როლი ფილმში „აკაკის აკვანი". ეს სახე გაცისკროვნებულია დედობის სინმინდისა და კეთილშობილების შარავანდედით... ნატო ვაჩნაძემ მთელი თავისი არსებით, მთელი თავისი ცხოვრებით ატარა ეს გრძნობა, რომელიც მნიფდებოდა და ვითარდებოდა მასთან ერთად, მის სამ ვაჟიშვილთან ერთად და მის ცხოვრებას ბედნიერი მომავლის შექმნით ავსებდა.

ნატოს გონიერი და მომხიბვლელი სახე ძველებურად ლამაზი და განუმეორებელი იყო. მხოლოდ ესაა, თვალის უპეებში ოდნავ შესამჩნევი ნაოჭი გაუჩნდა, მოლურჯო-შავ თმაში ჭაღარა შეეპარა. დროის მსახვრალი ხელი მის ნარმტაც სახეს რაღაც მონინებითა და კრძალვით შეეხო, არაფერი ნაართვა, მხოლოდ შემოდგომის კეთილშობილური ფერები შესძინა მას.

ნატო ვაჩნაძე კინემატოგრაფისტთა იმ თაობას ეკუთვნის, რომელმაც გაიარა ააბჭოთა კინოს ყველაზე რთული — მისი ჩამოყალიბების პერიოდი. ამ ადამიანთა ცხოვრება ძნელი იყო, მაგრამ ეს იყო გზა კინოხელოვნების პირველაღმომჩენებისა, რომელმაც თითოეული მათგანი ბედნიერებას აზიარა. ლეგენდადქცეული ცხოვრება უეცრად შენყდა. ნატო ვაჩნაძე დაილუპა საავიაციო კატასტროფის დროს 1953 ნლის 14 ივნისს. მაგრამ ლეგენდა კვლავ ცოცხლობს. იგი აღბეჭდილია შესანიშნავი მსახიობისა და დიდებული ქართველი ქალის მონანილეობით შექმნილ 22 ფილმში.

დაკრძალულია დიდუბის პანთეონში თავისი მეორე მეუღლის, ნიკოლოზ შენგელაიას გვერდით.

მშობლიურ სოფელ გურჯაანში, მამისეულ სახლში, სადაც მან ბავშვობა გაატარა, 1981 ნელს გაიხსნა მისი სახელობის სახლ-მუზეუმი.

„მე სრულიად გადაუმტებლად შემიძლია ვთქვა, თუ ქართულმა კინომრეწველობამ გაიმარჯვა, ამის ერთი მთავარი მიზეზი ნატა ვაჩნაძეა.

ნატა ვაჩნაძის სახეში არის ზეციური სიმშვიდე და ანგელოზის სისადავე — ასეთი თვალები აქვს ქართულ ფრესკებზე ღვთისმშობელს, რომელსაც ნასვლია საღებავი და რომლის თვალები დახვრეტილია მონღოლებისა და ოსმალთა თუ ლეკების ტყვეთით...

ნატა ვაჩნაძე კინოხელოვნებაზე მაღლა დგას და ამ კინოზე გადანაზარდით ის უახლოვდება პოეზიას"

ტიციან ტაბიძე

ივანე ბერიტაშვილი

1884-1974

ქართველი ფიზიოლოგი, ფიზიოლოგიური სკოლის ფუძემდებელი საქართველოში, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწე, შრომის გმირი; ი. პავლოვის სახელობის ფიზიოლოგთა სრულიად საკავშირო საზოგადოების, ნიუიორკის მეცნიერებათა აკადემიის, ტვინის გამოკვლევის საერთაშორისო ორგანიზაციის, ამერიკის ელექტროენცეფალოგრაფიული საზოგადოების საერთაშორისო კოლეგიის, ამერიკის ბიოლოგიური ფსიქიატრიის საზოგადოების საპატიო წევრი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი ივანე სოლომონის ძე ბერიტაშვილი დაიბადა 1884 წლის 29 დეკემბერს გურჯაანის რაიონის სოფ. ვეჯინში.

დაწყებითი განათლება პატარა ივანემ სოფელში მიიღო, შემდეგ გადავიდა თელავის საასულიერო სასწავლებელში, იქიდან კი თბილისის სასულიერო სემინარიაში. სასულიერო სემინარია სრულიად არ აინტერესებდა და მესამე კლასიდან მიატოვა. ნიჭით, საქმისადმი სიყვარულით და განვითარებით ივანე თავიდანვე იპყრობდა მასწავლებლების ყურადღებას და მასზე დიდ იმედებს ამყარებდნენ.

პეტერბურგის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იქვე მუშაობდა ნ. ვედენსკის ხელმძღვანელობით, 1912 წელს სამეცნიერო მივლინებით გაემგზავრა ქ. ყაზანში, სადაც მუშაობდა ა. სამოილოვის ლაბორატორიაში, შემდეგ ჰოლანდიის, — ქ. უტრეხტის რ. მაგნუსის ლაბორატორიაში...

1916 წლიდან ი. ბერიტაშვილი მუშაობას იწყებს ოდესის უნივერსიტეტში, სადაც კითხულობს კურსს ნერვ-კუნთის სისტემის ფიზიოლოგიაში. იგი აახლებს ლაბორატორიულ მუშაობას ამ დარგში და პავლოვის გამოჩენილი მოწაფის, ბიბკინის დახმარებით მუშაობას იწყებს პირობით რეფლექსებზე.

1919 წლიდან ი. ბერიტაშვილს იწვევენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კათედრის გამგედ ფიზიოლოგიაში. მან მაშინვე იზრუნა ფიზიოლოგიაში ორიგინალური სახელმძღვანელოს შექმნაზე და იგი 1921 წელს გამოსცა ქართულად, ხოლო 1922 წელს რუსულად.

1941 წელს ჩამოყალიბდა მეცნიერებათა აკადემია, სადაც ი. ბერიტაშვილი აკადემიის ნამდვილ წევრად აირჩიეს. აქვე შეიქმნა ფიზიოლოგიის ინსტიტუტი, რომელსაც იგი 10 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა და რომელიც ამჟამად მის სახელს ატარებს.

აკადემიკოს ივანე ბერიტაშვილის მეცნიერული მოღვაწეობა ძირითადად მოიცავს ნერვ-კუნთის სისტემის, ცენტრალური ნერვული სისტემისა და უმაღლესი ნერვული მოქმედების ფიზიოლოგიას. ამ დარგში მეცნიერს უამრავი შრომა აქვს გამოქვეყნებული. მის მიერ შესწავლილმა ერთ-ერთმა მოვლენამ შემდეგში მიიღო ბერიტაშვილის ფენომენის სახელწოდება.

აკადემიკოსი ბერიტაშვილი მრავალ უაღრესად მნიშვნელოვან აღმოჩენათა ავტორია. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მოღვაწეობა პირობითი რეფლექსების, ანუ უმაღლესი ნერვული მოქმედების დარგში.

1916 წელს მან დაიწყო ძაღლებზე პირობითი რეფლექსების შესწავლა ჯერ ოდესაში, შემდეგ კი თბილისში ორიგინალური მეთოდიკით — მამოძრავებელ რეაქციათა — ერთდროულად რამდენიმე კიდურისა და თავის მოძრაობის რეგისტრაციით.

1926 წლიდან ი. ბერიტაშვილი იწყებს პირობით რეფლექსთა შესწავლას თავისუფალ მოძრაობათა ნესით. თავისი მასალა იმ მხრივაც გაამდიდრა, რომ დაკვირვებას აწარმოებდა ნაირგვარი სახეობის ცხოველებზე, ამასთანავე, იგი სწავლობს დიდი ტვინის სინთეზურ მოქმედებას.

განსაკუთრებით აღსანიშნავია აკადემიკოს ი. ბერიტაშვილის მეცნიერული მუშაობა საომარ პირობებში. მან შეისწავლა ფეთქებადი ტალღების გავლენა ძირითადად სასიცოცხლო მოვლენებზე.

აკადემიკოსი ბერიტაშვილი 400-ზე მეტი შრომის ავტორია.

1935 ნელს ი. ბერიტაშვილს ენიჭება ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი და მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

აკადემიკოს ბერიტაშვილს ირჩევენ ფიზიოლოგიის XV საერთაშორისო კონგრესის ვიცე-პრეზიდენტად. მას ენიჭება პავლოვის სახელობის პრემია. შემდეგ ფიზიოლოგიის საერთაშორისო ყრილობაზე მიემგზავრება ინგლისში, ბუენოს-აირესში შემდგარ ფიზიოლოგთა კონგრესზე მოხსენებით გამოდის და ქუხს დიდი მეცნიერის სახელი. ჭაღარა თავზე კი მეცნიერების ახალ-ახალი გვირგვინები იდგმება: მას ირჩევენ საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად, საბჭოთა კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

ადამიანის ტვინი... აზროვნების ამ უდიდესი სამყაროს ყველაზე სათუთი კვლევისათვის შორს გაითქვა სახელი. ოკეანეს გადაეცლო და სხვა კონტინენტებზე მეცნიერები აალაპარაკა. ამერიკელებმა მათთვის უცხოდ მჟღერი სახელი — ივანე — ხშირად წარმოთქვეს და აირჩიეს ამერიკის ელექტროენცეფალოგრაფიული საზოგადოების საპატიო წევრად.

მეცნიერებაში ი. ბერიტაშვილის დიდი დამსახურება საბჭოთა ხელისუფლებამ დააფასა. იგი დაჯილდოვდა ლენინის ორდენით, ნითელი დროშის ორდენით, მედლებით, მინიჭებული აქვს სახელმწიფო პრემია.

ნათელა იანქოშვილი

ქართველი ფერმწერი და გრაფიკოსი, საქართველოს სახალხო მხატვარი ნათელა არჩილის ასული იანქოშვილი დაიბადა 1918 წლის 28 აგვისტოს გურჯაანში.

დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია. უმთავრესად მუშაობს პორტრეტისა და პეიზაჟის ჟანრში. ნ. იანქოშვილის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია დეკორატიულობა, ფსიქოლოგიზმი, პოეტურობა, პირობითობა, ფერნერულობა, კონტრასტულობა.

ნამუშევრები: „ნინო ჭავჭავაძე" (საქართველოს ხელოვნების მუზეუმი), ავტოპორტრეტი, ანა კალანდაძის, ზინა კვერენჩხილაძის და სხვ. პორტრეტები: პეიზაჟები — „გაზაფხული გომბორზე", „სხალთა", „ნიკოზის ეკლესია", „მცხეთის ჯვარი", „გურჯაანი ყველანმინდა", „კვარას ციხე", „ომალო", „ვანის ქვაბები" და სხვ. (ყველა ავტორის საკუთრება).

ნათელა იანქოშვილი ქართული სულის გამომხატველია ფერით და ხაზით. ერს მაღალხელოვნების ნიმუშად მიაჩნია მისი შემოქმედება — გამორჩეული სტილით, ფილოსოფიური სიღრმით და პოეტური ზეშთაგონებით, ესთეტიკური პრინციპების მთლიანობით.

თხუთმეტნლიანი დაძაბული შემოქმედებითი წვის ნაყოფი — 250 ფერწერული და გრაფიკული ნამუშევარი ნარმოადგინა მხატვარმა 1960 წელს საქართველოს სურათების გალერეაში, პირველ პერსონალურ გამოფენაზე, რომელმაც ფართო გამოხმაურება ჰპოვა. ხალხმა ინამა, რომ ქართულ სახვით ხელოვნებას იმედის მომცემი სახელი შეემატა.

გამოფენა ლადო გუდიაშვილის და შალვა ამირანაშვილის ხელშეწყობით გაიმართა. ისინი იყვნენ ნ. იანქოშვილის გზის დამლოცავნი...

ძალზე საინტერესოდ მოაზროვნე მხატვარი ჩანს. იანქოშვილის პორტრეტებიდან, უდავო შედეგრებია მისი ფუნჯით სხვადასხვა წლებში შექმნილი „ნინო ჭავჭავაძე", „ირმა ჩოფიკაშვილი", „ანა ვარდიაშვილი", „ლადო ავალიანი", „სპარტაკ ბაღაშვილი", „მედეა ჯაფარიძე", „დოდო ჭიჭინაძე", „თამარ თარხნიშვილი", „მიხეილ თუმანიშვილი", „ზინა კვერენჩხილაძე"

დიდი სულიერი ღირებულებისაა ეს სურათები, რომლებშიც მხატვარი შორს არის პიროვნების იდეალიზაციისაგან, გამორიცხავს ზედაპირულ დეტალებს, უარყოფს აღნერითს, თხრობითს მიდგომას. მისთვის მთავარია მოდელის ხასიათის გადმოცემა და ფსიქოლოგიური დახასიათება.

სწორად შენიშნა ფარნაოზ ლაპიაშვილმა: „ამ პორტრეტებში ჩვენ ვგრძნობთ ადამიანთა დახასიათების დიდ სიმართლეს. მსგავსება მიღწეულია არა ფორმების მეთოდიკური მოდელებით, როგორც ეს ახასიათებს მრავალ პორტრეტისტს, არამედ გაბედული მონასმით ფიქსირებულია ყველაზე დამახასიათებელი — ნატურის შინაგანი რიტმი"

ნ. იანქოშვილის პეიზაჟი თავისი პოეტური საზრისით, ბომხიბვლელობით და კულტურული მნიშვნელობით, უნიკალური მოვლენაა. რომელი ერთი გინდა, გაიხსენო: „გომბორის გზა", „გაზაფხული კახეთში", „კახეთი", „შემოდგომა გომბორზე", „უფლისციხე", „უბისი", „მცხეთის ჯვარი", „იყალთო", „ქვირის ციხე", „ნიკოზის ტაძარი", „უჯარმა", „გურ-

ჯაანის ყველანმინდა". ისინი შინაგანი შემოქმედებითი თავისუფლების, მხატვრული შთაგონებისა და არაორდინარულობის ნიმუშებია.

მხატვარი ბუნებას აღიქვამს ადამიანური სინამდვილის ანალოგიით, გონებით, ვნებებით, სულიერებით აღსავსეს. ქართული პეიზაჟი მასთან წარმოგვიდგება, როგორც მრავალჭირგამძლე ერის სამოქმედო ისტორიული სივრცე. სევდიანია საქართველოს ისტორია, ისტორიის სევდა და ნაღველი მოედინება ამ ტილოებიდან.

პირველ პერსონალურ გამოფენაზე მხატვრის ტალანტი ამგვარად შეაფასა აკადემიკოსმა შალვა ამირანაშვილმა: „იანქოშვილის შემოქმედება აღბეჭდილია დაძაბული ძიებით, ჭეშმარიტი მღელვარებით, მას, უაღრესად თავისებურ შემოქმედს, როგორც დიდი ქართველი მწერალი გიორგი მერჩულე იტყოდა, სწორედ „მდუღარებაი სულისა" გამოარჩევს"

მესამე ათეული წელია „მდუღარებაი სულისა" გრძელდება, მხატვრის სულიერი სამყაროს გამონაშუქი მინყივ გვამდიდრებს, თავს სიხარულად გვეღვრება, სიამაყით გვავსებს.

ფრიად საგულისხმოა *ნ. დუმბაძის* აზრი: „მე ვამაყობ, რომ იგი ქართველია და ჩემი თანამემამულე. რატომ მიყვარს მე იგი? იმიტომ, რომ საოცრად ორიგინალურია, არავის არ ჰგავს იმ მხატვართაგან, ვინც კი ჩემს ცხოვრებაში მინახავს. მე ვთვლი, რომ იგი მოგავლის მხატვარია"

ხნავლია და საკუთარი ხელნერის ძიების ნლებში იანქოშვილი გატაცებული იყო ისეთი ტიტანებით, როგორიცაა ელ გრეკო, გოგენი, ფიროსმანი. მაგრამ ყველაზე დიდი ზეგოვემედება მასზე, როგორც მხატვარზე, მოახდინეს ქართულმა ფრესკებმა და ფიროსმანის სადა და ელვარე ტალანტმა, რომელთანაც მას სულიერი სიახლოვე აკავშირებს, რაც. უნინარეს ყოვლისა, ფერთმგრძნობელობას გულისხმობს...

ახალ ქართულ მხატვრობაში ფიროსმანის შემდეგ იანქოშვილი პირველია, ვინც ფერთა ამ კონფლიქტს მიმართა. ადამიანი, ბუნება, ისტორია — უპირველესად სნორედ აქ, ფერთა ამ კონფლიქტში აღიქმება იანქოშვილთან. ფიროსმანისა და იანქოშვილის ფერთმგრძნობელობას საერთო ემოციური ფესვები აქვს.

დასასრულ, შეიძლება ითქვას, რომ იანქოშვილის ფერნერა ფერთა მიმართულებით შეემნილი უალრესად თანამედროვე ხელოვნებაა.

იანქოშვილი ქართულ მხატვრობაში დაემკვიდრა არა როგორც მხოლოდ ფერის, არამედ როგორც ხაზის თვითმყოფადი ოსტატიც. მხატვარმა გრაფიკული ნამუშევრების ნთელი სერიები შექმნა, რომელთა მნიშვნელობაც მისი შემოქმედებისათვის და, საერთოდ, ქართული გრაფიკისათვის, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ძლიერ დიდია.

ილია ალხაზიშვილი

1853-1921

„პატარა ამბავი. ამბავი.
ნუ ეფარები ეორანა.
სიცოცხლეს კაცი ძუძუდაკეს
ხაჭკლია ეფერ ეორაუსა“.

...ადაძირის შენახვა ეერაფინ იდვა თავზედ:
ხენა, ფარცხეა, ზიდვა ხარზოსი ეასკერდა მეტად ძალზედ.
ხარმა სოფეა, ბერმა ნათელმა, მე დაეფერეა თავზედ.
მოცეფეანერ ანეელოზები. დაბეაცხეს ორთავ თეალზედ:
ნამალერა ეფალი სანთელი, ძიაერეს ორთავ რქაზედ:
ეკალი, ხარა, ამეაკეე. ერთეულად მთა და ბარზედ.
ექმნა ღ�ეა ეაბელმა ეიმი, მეძეიდეს დაეექ მხარზედ;
ეასეა ეფერა-ეაქმით ძეკაბა, ხელი შეასმეს მკლავზედ“

ილია ალხაზიშვილი, საზოგადო მოღვაწე და ლიტერატორი ილია სოლომონის ძე ალხაზიშვილი დაიბადა 1853 წლის 16 ნოემბერს გურჯაანის რაიონის სოფ. ზიარში. მამამისი იყო ყმა გენერალ სიმონ შალიკაშვილისა (დაღესტნის სამხედრო უფროსის), რომელმაც შემდეგში იკისრა ილია ალხაზიშვილის აღზრდა. პირველად ანბანი ისწავლა გურჯაანში ოპანესა დალაქის ცოლთან, რომელიც წერას ხარის ბეჭზე ასწავლიდა, კალმის ნაცვლად კი ქვაბის მურს ხმარობდა. შალიკაშვილის სიკვდილის მემდეგ ი. ალხაზიშვილი დამოუკიდებლად იკაფავს გზას: ჯერ ვეჯინში, მღვდლის ოჯახში სწავლობდა, მერე გურჯაანის სამრეველო სკოლაში, შემდეგ გორში, გერმანელი შეფის აფთიაქშია მონაფე, აქ ყოფნისას ალხაზიშვილი უკვე საბოლოოდ ყალიბდება როგორც პიროვნება და მომავალი ცხოვრების მიზნად ისახავს აფთიაქარად გახდომას, მიზნის განსახორციელებლად იგი საოცარ შრომისმოყვარეობას და შეუდრეკელ ენერგიას იჩენს. ხელმოკლეობის გამო სამაზრო სასწავლებლის დამთავრების მონმობას ვერ წარადგენდა, რათა პროვიზორის მონაფის წოდება მოეპოვებინა, ამიტომ იგი ჩამოდის თბილისში, სწავლობს ფერშლობას (ექიმის თანაშემწეობას), ორი წლის მეცადინეობის შემდეგ აბარებს სათანადო გამოცდებს და 1872 წ. ინიშნება ფერშლად ჯამაგირით ქ. ახალქალაქში, რომელსაც იგი ამიერიდან მჭიდროდ და განუყრელად უკავშირდება. 30 წლის ი. ალხაზიშვილი ახერხებს სანუკვარი ოცნების განხორციელებას: 1883 წელს ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში სათანადო გამოცდების ჩაბარების შემდგომ მან მოიპოვა აფთიაქის მონაფის წოდება და მეგობართა დახმარებით ახალქალაქშივე შეიძინა პატარა აფთიაქი. 1889-91 წლებში ალხაზიშვილს ვხედავთ ხარკოვის უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტის თავისუფალ მსმენელად; 1891 წ. მან მოიპოვა პროვიზორის დიპლომი („განსაკუთრებით ქებით“) და უმაღლესი ცოდნით აღჭურვილი კვლავ უბრუნდება ახალქალაქის აფთიაქს, სადაც დაჰყო სიკვდილამდე.

ჯავახეთთან ახალგაზრდობიდანვე შეთვისებული ალხაზიშვილი უახლოვდება მოსახლეობას, აგროვებს მასალებს არა მარტო თავისი სპეციალობით, არამედ იმასაც, რაც მის საქმიანობასთან უშუალოდ არაა დაკავშირებული, მაგრამ ესოდენ მნიშვნელოვანი და საინტერესოა ეროვნული კულტურის თვალსაზრისით და ცალკე წერილების სახით ანვდის მკითხველ საზოგადოებას. 1870-იანი წლებიდანვე ალხაზიშვილი საზოგადოების ყურადღებას ამახვილებს ყველასაგან მივიწყებული ჯავახეთის მდგომარეობაზე, იმაზე, თუ რა საფრთხე ელის ამა თუ იმ ისტორიულ ძეგლს, ამასთან ერთად, სიყვარულით აღწერს იქაურ ზნე-ჩვეულებებს, თუ არქეოლოგიურ ნაშთებს. მის ურიცხვ ნაშრომთა შორის დავასახელებთ მხოლოდ რამდენიმეს:

„ბუნება და ცხოვრება"; „ბუნება სურათებში"; „დიფტერიტი, ყალათმა, ხუნაგი"; „ჯავახეთი. ახალქალაქის მაზრა გეოგრაფიულ-არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული თვალსაზრისით", „ვარძია ინგრევა!", „როგორ გაჩნდა ღვინო; „ჰიგინეა, ჰაერი"; „ფარმაცევტული ტერმინები ქართულ ენაზედ", „სუმახ ქართულად თუთუბოა თუ თრიმლი?" და სხვა. მისი წერილები მიმობნეულია „დროებაში", „ივერიაში", „ჯეჯილში" და სხვა ჟურნალ-გაზეთებში, სადაც იგი ათეული წლების განმავლობაში ითვლებოდა მუდმივ და სასურველ თანამშრომლად.

უშუალოდ თავის სპეციალობაში ალხაზიშვილს შეგროვილი და ანბანზე განლაგებული აევს ორი ათასზე მეტი ტერმინი (ქართულ-რუსულ-ლათინური სახელები ნამლებისა) ეართული ფარმაცევტული საზოგადოებისათვის ნაანდერძევი.

ი. ალიაზიშვილი ავტორია ეთნოგრაფიულ-ფოლკლორული, ისტორიული და სამედიცინო ნაშრომებისა: „ბუნება და ცხოვრება", „მტკვარი, ჭოროხი და რიონი", „სამკურნალო მცენარეები საქართველოში", „ვარძიის მონასტერი" და სხვ. ი. ალხაზიშვილს ნვლილი მიუძღვის ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის შემუშავებაში. მისი თაოსნობით რამდენიმე სოფელში გაიხსნა სკოლა და ბიბლიოთეკა-სამკითხველო, ახალქალაქში — ეართული გიმნაზია.

ელო ანდრონიკაშვილი

1883-1961

ბესაბიობი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, საქართველოს დამსახურებული არტისტი ელო (ელენე) იოსების ასული ანდრონიკაშვილი დაიბადა 1883 წლის 27 აპრილს გურჯაანის რაიონის სოფელ კარდანახში.

არისტოკრატთა ოჯახის შვილი, ნებიერად აღზრდილი, საფრანგეთის სორბონის უნივერსიტეტის მსმენელი, მასწავლებლობის მონმობით აღჭურვილი თავის ბედს თეატრს უკავშირებს და არჩეულ გზას სიკვდილამდე არ ღალატობს. მას არ აშინებს მსახიობის ძნელი ხვედრი, ხანმოკლე სეზონი, უმუშევრობა, შიმშილ-წყურვილი... სამაგიეროდ — მაყურებლის სიყვარული, დაფასება, მონონება. განსაკუთრებით, როცა ის ქართულს ცეკვავდა!... 1905 წელია. პარიზში დანიშნულია კავკასიური საღამო. მომღერალთა ქართულ გუნდს მიხეილ ქორელი ხელმძღვანელობს. საღამოს დიდძალი საზოგადოება დაესწრო. დამსწრეთა შორის იმყოფება სახელგანთქმული ბალერინა პეტიპა. კონო ანდრონიკაშვილთან ბალერინა პეტიპამ ქართული იცეკვა და დამსწრეთა აღფრთოვანება გამოინვია. ვარდ-ყვავილებით და თაიგულებით აავსეს იგი. პეტიპას შემდეგ კონო ანდრონიკაშვილმა საცეკვაოდ გამოინვია ელო. გათავდა ცეკვა და დარბაზში მქუხარე ტაში ატყდა. ყველაზე მეტად აღფრთოვანებულია პეტიპა. მივიდა ელოსთან, გადაკოცნა და უთხრა: „ეკირფასო პატარა ქართველო ქალო, მაჯობეთ და ძალიან მიხარია, რომ მაჯობეთ, რადგან თქვენი ცეკვა სინამდვილეა, გულწრფელი განცდა. ნება მიბოძეთ ეს მშვენიერი თაიგული თქვენ გადმოგცეთ, ეს თქვენ უფრო გეკუთვნით, ვიდრე მე" ამ სიტყვებით კვლავ გადაეხვია ელოს. მთელი დარბაზი ტაშის გრიალით შეხვდა ამ სცენას...

ვისაც უნახავს ელოს ლუბა მაქსიმ გორკის „უკანასკნელებში", ლიდია ლეონიდ ანდრეევის „გაუდეამუსში", რუქაია ალექსანდრე სუმბათაშვილის „ღალატში", განა როდისმე დაივიწყებს ამ მსახიობს? თეატრალურ ლიტერატურაში დამკვიდრებული აზრი, რომ „დარისპანის გასაჭირში" ნატალია ჯავახიშვილის მიერ შექმნილი კაროჭნა განუმეორებელი სახეა და კლასიკურ შედევრთა რიცხვს მიეკუთვნება. ეს მართალია— ჯავახიშვილის კაროჭნა გხიბლავთ თავისი მხატვრული სრულყოფით.

მაგრამ როდესაც ელოს კაროჭნას უყურებდით, პირდაპირ გასაჭირში ვარდებოდით, როგორ წარმოგეთქვათ, რომ ელოს კაროჭნა არ ჩამოუვარდება ნატალიას კაროჭნას — ვერ ბედავდი იმიტომ, რომ გეშინოდა, მკრეხელობად არ მიეჩნიათ ეს.

მარტო მსახიობობით როდი კმაყოფილდებოდა ელო. ის ნაყოფიერ ლიტერატურულ მუშაობას ეწეოდა, წერდა მოთხრობებს, პიესებს, თარგმნიდა, ელო ანდრონიკაშვილი მიურვალე მონანილეობას იღებდა საბავშვო წარმოდგენების მონყობაში.

ცხოვრების „პრაქტიკული" ნიჭით ელო თავის მეუღლეს (შალვა დადიანი — ო.ნ.) არ ჩამოუვარდებოდა და ზოგჯერ სჯობნიდა კიდეც...

საბედისწერო დასასრულს ყველა მოელოდა. დიდი ხანია, სარეცელზე იყო მიჯაჭვული და სიკვდილს ებრძოდა. 1961 წელს თოვლჭყაპიანი მარტის 13-ს ელო ანდრონიკაშვილი გარდაიცვალა.

ივანე ანდრონიკაშვილი

1862-1947

ქართველი აგრონომი და საზოგადო მოღვაწე ივანე ზაქარიას ძე ანდრონიკაშვილი დაიბადა 1862 წლის 10 სექტემბერს გურჯაანის რაიონის სოფ. მელაანში.

1887 წ. მოსკოვში დაამთავრა პეტროვსკოეს სამინათმოქმედო და სატყეო აკადემია (ახლანდელი ტიმირიაზევის სახ. სასოფლო-სამეურნეო აკადემია). 1889-1902 წწ. მუშაობდა კავკასიის საფილოქსერო კომიტეტის მთავარ ექსპერტად და ხელმძღვანელობდა ფილოქსერის საწინააღმდეგო ექსპედიციებს საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიაში. ბალბში აგრონომიული ცოდნის პოპულარიზაციის მიზნით ანყობდა საჩვენებელ ნაკვეთება, ცდიდა ახალ სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებსა და სხვ. 1902-16 წწ. იყო ბათუმის ქალაქის თავი. მისი რედაქტორობით გამოდიოდა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი „ვაზი და ღვინო" 1921 წ. ი. ანდრონიკაშვილის ინიციატივით დაარსდა ჟურნალი „სოფლის მეურნე", რომელსაც თვითონ რედაქტორობდა. 1923 წ. მოსკოვში სრულიად რუსეთის პირველ სასოფლო-სამეურნეო და კუსტარულ-სამრეწველო გამოფენაზე ხელმძღვანელობდა, ხოლო 1939 წ. საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე კონსულტაციას უნევდა საქართველოს პავილიონის მონყობას.

ივანე ანდრონიკაშვილი გარდაიცვალა თბილისში 1947 წლის 11 ივლისს.

ივანე ანდრონიკაშვილი

1798-1868

ჩუსეთის არმიის კავალერიის გენერალი ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილი დაიბადა 1798 წელს გურჯაანის რაიონის სოფ. ქოდალოში.

სამხედრო სამსახური დაიწყო პეტერბურგის ლაიბ-გვარდიის ცხენოსანთა პოლკში (1817). 1824 წელს მაიორის ჩინით, პირადი სურვილით კავკასიაში ნიუეგოროდის დრაგუნთა პოლკში გადაიყვანეს. მონანილეობდა რუსეთ-ირანის 1826-28 წწ. და რუსეთ-ოსმალეთის 1828-29 წწ. ომებში. თავი გამოიჩინა ელიზავეტპოლის, ჯევან-ბულახის, სარდარ-აბადის, ერეენის, ახალციხისა და ბაიბურთის ბრძოლებში. 1841 წ. მიიღო გენერალ-მაიორის ჩინი

1846 წლის 6 ოქტომბერს გენერალ-მაიორი ანდრონიკაშვილი სამხედრო გუბერნატორად და გუბერნიის სამოქალაქო ნანილის მმართველად გვევლინება. მან აქაც ბრნყინვალედ გაამართლა ნდობა. იგი იცნობდა მხარეს და კარგად ესმოდა მოსახლეობის ჭირვარამი და სიხარული.

ანდრონიკაშვილი იყო გამოჩენილი მხედართმთავარი, რომლის ცხოვრებაც თითქოს სამუდამოდ დაუკავშირდა სამხედრო ხელოვნებას, თუმცა მან სამოქალაქო ცხოვრებაშიც ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთა: შემოიარა მთელი გუბერნია, გაეცნო ხალხის ცხოვრებას, მხარის მდგომარეობას, ყურადღება მიაქცია სასოფლო გზებს, ბრძანა მათი შეკეთება, ზოგ ადგილებზე კი ახლის გაყვანა; ლეკებისგან კახეთის დაცვის მიზნით ალაზნის მარცხენა მხარეს, ცარიელ ადგილებში, რუსები და ქართველები დაასახლა.

გუბერნიის საუკეთესო მოვლა-პატრონობისათვის ი.ანდრონიკაშვილს გენერალ-ლეიტენანტის ნოდება უბოძეს. ამრიგად, იგი კარგ მხედართმთავართან ერთად კარგი ადმინისტრატორიც აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა, ანდრონიკაშვილის სტიქია მაინც სამხედრო საქმე და ომი იყო. მართლაც, , 1853-1856 წლებში მას საშუალება მიეცა კვლავ ესახელებინა თავი ყირიმის ომში...

სამხედრო სამსახურიდან გასვლასთან დაკავშირებით 1856 წლის 29 იანვარს ანდრონიკაშვილს ვორონცოვი სნერდა: „ძვირფასო და პატივცემულო თავადო ივანე მალხაზის ძევ! მივიღე 15 დეკემბერს გამოგზავნილი თქვენი მეგობრული წერილი, გულითად მადლობას მოგახსენებთ ჩემდამი მეგობრული გრძნობისათვის, რომლითაც აღსავსეა ეს თქვენი ბარათი...

მე ყოველთვის მახსოვს და არასოდეს დავიინყებ 1853 წლის ომის დასანყისში თუ როგორ დასთანხმდით სათავეში ჩადგომოდით ახალციხისკენ სალაშქროდ განკუთვნილ ჯარებს. მაშინ თურქებზე ბრნყინვალე გამარჯვებით თქვენ გზა გაუხსენით ყველა შემდგომ წარმატებას, რომლებმაც განამტკიცეს ჩვენი მდგომარეობა და გამარჯვებული გამოგვიყვანეთ. მადლობას გიხდით, რომ გახსოვთ ჩემი მეუღლე, იგი გულითადად ჯანმრთელობას და ყოველივე კეთილს გისურვებთ. მას, ჩემთან ერთად, ყოველთვის ახსოვს საქართველო და მუდამ მასზე ლაპარაკობს, რომელიც ჩვენ ასე გვიყვარს; შეიძლება ითქვას, ამავე დროს, მხურვალედ გვიყვარს მისი ყველა თავადი, აზნაური და მთელი ხალხი. ჩვენ ყოველთვის ვლოცულობთ თქვენი ღვთაებრივი მხარის კეთილდღეობასა და წარმატებებზე"

სამსახურიდან გასვლის შემდეგ ყოფილი გენერალი თავის მამულს დაუბრუნდა კახეთში.

უკანასკნელი წლები ანდრონიკაშვილმა წყნარად გაატარა თავის მამულში. მას ამხნევებდა წარსულის მოგონება, შვილის მომავალი კეთილდღეობა და 4 შვილიშვილის პედნიერება.

1864 წლის 14 ივლისს მას სამხედრო მოღვაწეობის 50-ე წლის აღსანიშნავი იუბილე მოუწყვეს.

ამ დღესთან დაკავშირებით გენერალ-ლეიტენანტ ანდრონიკაშვილს კავალერიის გენერლის ჩინი უბოძეს და მეფემ მამულები აჩუქა სტავროპოლის გუბერნიაში.

ამ იუბილემ დიდი სიამოვნება მოჰგვარა იუბილარს, მაგრამ ავადმყოფობამ საშუალება არ მისცა, ეს ბედნიერება დიდხანს გაგრძელებულიყო, უშედეგო მკურნალობის ჩავლის შემდეგ იგი თავის მამულში წავიდა და ჩაწვა.

1868 წლის 19 ოქტომბერს გამოჩენილი მხედართმთავარი ივანე ანდრონიკაშვილი 75 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ნინო ანდრონიკაშვილი-აბაშიძე

1900-1983

ბსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი, მსახიობების – ვანო (ვანიკო) აბაშიძის მეუღლე და დავით (დოდო) აბაშიძის დედა დაიბადა 1900 წლის 15 ივნისს ქ. გურჯაანში, ცნობილი კახელი თავადის, დავით ანდრონიკაშვილის ოჯახში.

დავითს თეთრ დათას ეძახდნენ (მისი ბიძაშვილის შავი დათას საპირისპიროდ, რომელიც გლეხებთან ურთიერთობაში განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა). ნინოს დედა ქავქავაძის ქალი იყო. ნათესაური ურთიერთობა ჰქონდა დიდ ილიასთან. ბავშვობა და ახლგაზრდობა გურჯაანის უმშვენიერეს გარემოში გაატარა, სამ ძმასთან ერთად ლაღად იზრდებოდა. მისი უახლოესი მეგობრები იყვნენ ნატო ვაჩნაძე, თამარ ქავქავაძე, კირა ანდრონიკაშვილი და ლიტერატურისა და ხელოვნების სხვა გამოჩენილი მოღვაწეები.

ნინო ანდრონიკაშვილმა 1931 წელს დაამთავრა აკაკი ფაღავას თეატრალური სტუდია და რუსთაველის თეატრში ჩაირიცხა. ქეშმარიტი წარმატება მოუტანა ფატი მაჩუტაფის როლმა შალვა დადიანის პიესაში „ნაპერწკლიდან". გარემოს ცოდნამ, ბუნებრივმა არისტოკრატიზმმა, გარეგნულმა მომხიბვლელობამ და დახვეწილმა მანერებმა, რაც ემირის დაფარულ ანგარებასა და ციე ეგოიზმს ერწყმოდა, სრულყოფილად გამოხატა დრამატურგის ჩანაფიქრი.

ვანიკო აბაშიძის რუსთაველის თეატრიდან იძულებითი წასვლის შემდეგ, ნინოს მოღვაწეობა მოუხდა ლანჩხუთის დრამატულ თეატრში . შემდეგ კი თბილისის მუსიკალური კომედიის თეატრში მუშაობდა, სადაც 20-მდე როლი შეასრულა. წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ფილარმონიის საკონცერტო ჯგუფს. დიდი სამამულო ომის წლებში სათავეში ედგა საშეფო ბრიგადას. კონცერტებს მართავდა ჰოსპიტლებში, ჯარის ნაწილებში, ფაბრიკა-ქარხნებში, რისთვისაც მთავრობის ჯილდოები დაიმსახურა.

ნინო ანდრონიკაშვილმა დიდი, ლამაზი, ამასთანავე მნუხარებით აღსავსე გზა განვლო. იგი ქართველი საზოგადოების მეხსიერებაში დარჩა, როგორც სამაგალითო დედა, მეუღლე, რძალი, სილამაზითა და პატიოსნებით შემკული პიროვნება.

მიხეილ ასათიანი

1849-1879

მეცხიერების ხეჭნა მსურველს,
ტანსულ ძალია ძისი ალალნი;
ალრეა რაში ვეცდი. ითარემ ხელია ძალს
ფარ-ხმალ. ისარიც მეტად ძალური.

მ. ასათიანი

ქართველი მნერალი და პუბლიცისტი მიხეილ იოსების ძე ასათიანი დაიბადა 1849 ნელს გურჯაანის რაიონის სოფ. ბაკურციხეში.

იგი მიეკუთვნება XIX საუკუნის იმ მოღვაწეთა რიცხვს, ვის ნიჭსა და მონაცემებს სათანადოდ გამოჩენისა და გაშლის საშუალება არ მიეცა, ვინც მრავალთათვის მოქმედების ნყაროდ და ბიძგად ხდება, მაგრამ თვითონ კი სხვადასხვა შემთხვევითი პირობების გამო ჟამთა ვითარებაში იჩრდილება.

მიხეილ ასათიანი სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდის 70-იანი ნლების მეორე ნახევარში. 1874 ნელს აკადემიადამთავრებული, ცოდნით, ნიჭით და უნარით ენერგიულად ინყებს ნარ-ეკლიან გზაზე მოღვაწეობას. მას, როგორც ირკვევა, განზრახვა ჰქონდა თავისი ცხოვრების გზა ფართოდ და მისთვის დამახასიათებელი სიმკვეთრით აენერა ავტობიოგრაფიულ მოთხრობაში „მე და ონისიმე", მაგრამ, სამნუხაროდ, მისი მოულოდნელი სიკვდილის, მისი არქივის დაზიანებისა და ბოლოს დაკარგვის გამო ამ მოთხრობის მხოლოდ პირველი ნაწილის აღდგენა მოხერხდა...

მძიმე, არაჩვეულებრივი ბედი ენია მ. ასათიანის პოეტურ შემოქმედებას. ადამიანის ცხოვრებაც ბომ თავისებური კანონზომიერებისა და ჰარმონიის შემცველია. როგორც ირკვევა, მ. ასათიანს ბევრი უნერია. ვფიქრობთ, მისი პოეტური ნიჭი სემინარიაშივე გამომჟღავნდა. ხელნაწერი ლექსთა კრებულები, სემინარიაში ხელიდან ხელში გადადიოდა, ჟურნალი „ხმა უდაბნოდან", რომელშიც ასათიანის თქმით „გამოხეთქა სემინარიული ტვინის ძალამ", ალბათ, თვით მიხეილ ასათიანის ნაღვაწსაც შეიცავდა. ბევრთათვის ცნობილი ყოფილა მცხეთის ქალთა სასწავლებლის ზეიმზე მიხეილის მიერ (რცა ის ჯერ კიდევ სემინარიელი იყო) წარმოთქმული ექსპრომტი სათაურით „ქართველ ქალებს". „მიხაკომ, — გადმოგვცემს ეკატერინე ასათიანისა, — დიდებული ხოტბა შეასხა სასწავლებელს, გამოთქვა დიდი იმედი იქ აღზრდილ ქალებზედ... იმავე დღეს ექსპრომტად დანერილი ჩვენც გადმოგვცა. სათავე ამ ლექსისა არის „ქართველ ქალებს", რომელიც ჩვენ დავიზეპირეთ და ვმღეროდით თავისუფალ დროსო"

მაგრამ სერიოზული სამნერლო მუშაობა მას დაუწყია 1876 ნლიდან. ჰქონდა სემინარიისა და იმდროინდელი ცხოვრების ამსახველი რომანი „მე და ონისიმე", სადღეისო მღელვარე საკითხებზე დაწერილი ნერილები „შიკრიკი" (თავისებური ჟანრია), მოქალაქეობრივი მოტივებით დატვირთული ლექსები და პოემები.

...მიხეილ ასათიანს ჟურნალ „იმედის" გამოსაცემად დიდი ლიტერატურული და პრაქტიკული მუშაობა უნარმოებია. როგორც 1881 ნელს ჟურნალ „იმედში" მიხ. ასათიანის

დაბეჭდილი ნაწერების თარიღებიდან ჩანს, მას მასალები „იმედისათვის“ ჯერ კიდევ 1879 წლისათვის დაუმზადებია. მაგალითად, მისი „შიკრიკი“ განზრახული ყოფილა ჟურნალ „იმედის“ მონინავე, საპროგრამო წერილად. მართლაც, „იმედმა“ თავისი პირველი ნომრის მონინავედ მიხ. ასათიანის „შიკრიკი“ დაბეჭდა. ამ ნაწარმოებს ჟურნალ „იმედის“ რედაქტორი მიხ. გურგენიძე შესაფერ საგულისხმიერო შენიშვნას უკეთებს: „განსვენებულს, ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველს, მიხეილ ასათიანს, რომელსაც ეკუთვნის ჩვენი ჟურნალის დაარსების აზრი, შემდეგ იმის მოკვლისა, დარჩა ბევრი ხელნაწერები, თხზულებები ლექსათ თუ ისე. ეს იმის თხზულებები მისმა მეუღლემ, ქვრივმა ეკატერინე ასათიანისამ გადმოგვცა ჩვენ და დაიბეჭდებიან ჩვენს ჟურნალში. ამ იანვრის ნიგნში იბეჭდებიან „შიკრიკი“, პოემა („მტკვრის ბაასი რიონთან“) და „ოსეფას ანდერძი“

ამრიგად, დასტურდება, რომ მიხ. ასათიანს ბევრი რამ დაუწერია, მაგრამ ისინი გამოქვეყნებული არ ჰქონია.

ყველა ზემოაღნიშნული უტყუარი საბუთია, ვიფიქროთ, რომ მ. ასათიანის ნაადრევი, მოულოდნელი სიკვდილით ქართულმა სამწერლო ასპარეზმა დაკარგა ენერგიული და ნიჭიერი მუშაკი, ხოლო ქართულმა სამწერლო სალარომ დიდი განძი გამოუყენებელი.

კოტე აფხაზი

1867-1937

კონსტანტინე აფხაზი დიდი ილიას დისწული იყო. ისტორიაში დასარჩენად მას ესეც ეყოფოდა, მაგრამ გამორჩეულ გვარიშვილსა და განათლებულ პიროვნებას გენიოსი ბიძის სახელით ბოროტად არასოდეს უსარგებლია... მას, როგორც რუსეთის არმიის მამაც ოფიცერს, თავისი სამშობლოს ჭირ-ვარამის ახალგაზრდობიდანვე გამზიარებელს, კარგად იცნობდა თავისი დროის ქართველი საზოგადოება.

1867 წლის 25 სექტემბერს, სოფ. კარდანახში, ცნობილი კახელი თავადიშვილის ნიკოლოზ აფთაზისა და ნინო ჭავჭავაძის ოჯახში დაიბადა ვაჟი, რომელსაც კონსტანტინე (კოტე) დაარქვეს. კოტეს გარდა მათ კიდევ სამი შვილი შესძენიათ: გიგო, სიმონი და მაკო.

კ. აფთაზმა პირველდაწყებითი განათლება ოჯახში მიიღო, ხოლო 1886 წლის 1 სექტემბრიდან თბილისის კადეტთა კორპუსის იუნკერია. 1 9 წლის ჭაბუკი პეტერბურგს მიემგზავრება და კონსტანტინეს სამხედრო სასწავლებელში საარტილერიო საქმეს ეუფლება. აქ მან „ბრწყინვალე ნიჭი გამოავლინა" და 1887 წლის მაისში უნტერ-ოფიცრის ჩინი უბოძეს ხოლო რამდენიმე თვის შემდეგ ყანიმიანი იუნკრების უფროსად დაანინაურეს. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, 1888 წლის 9 აგვისტოს კ. აფხაზს პოდპორუჩიკის წოდება მიანიჭეს და ფეხოსანთა არტილერიის 39-ე საველე ბრიგადაში გაამწესეს.

1911 წლის დეკემბერში კ. აფხაზი თავის ბატარეასთან ერთად გაგზავნეს სპარსეთში, თავრიზის საბრძოლო რაზმის შემადგენლობაში, სადაც რამდენიმე თვე დაჰყო.

1900-1913 წლებში კ. აფხაზი თბილისის საადგილმამულო ბანკის საზედამხედველო კომიტეტის შემადგენლობაშია. ბანკის კრებებზე თავადი აფხაზი წარმოჩნდა, როგორც მოზერხებული და დაფიქრებული ორატორი.

აქტიურად მონაწილეობდა თბილისის უნივერსიტეტის დაარსებაში... მისი თანაავტორობით შემუშავდა „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი"... არჩეული იყო საქართველოს ეროვნული საბჭოს და პარლამენტის წევრად.

გამოჩენილ მამულიშვილთა შორის, რომლის პიროვნება მაგალითად შეიძლება დავუსახოთ მომავალ თაობებს, გენერალი კონსტანტინე ნიკოლოზის ძე აფხაზიც მოიხსენიება. მან მთელი შეგნებული ცხოვრება სამშობლოს უკეთეს მერმისზე ფიქრსა და ბრძოლაში გაატარა და საბოლოოდ ზვარაკად შეეწირა მას. კომუნისტური რეჟიმის სისასტიკის გამო საქართველოს საზოგადოებრიობის ძალზე მცირე ნაწილს თუ მოეხსენებოდა იმ ღვაწლის შესახებ, რომელიც კ. აფხაზს მიუძღოდა ერისა და ქვეყნის წინაშე. აბა ვინ გაბედავდა, რაიმე ეთქვა მის არისტოკრატულ წარმომავლობაზე, ღრმა განსწავლულობაზე, სამხედრო თუ სამოქალაქო სამსახურში მოპოვებულ წარმატებებზე ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში სულ რამდენიმე სტრიქონი აქვს დათმობილი კ. აფხაზს, საიდანაც დაინტერესებულ მკითხველს იმის გაგებაც კი არ შეუძლია, თუ როდის და სად დაიბადა იგი, როდის და რა ვითარებაში დაასრულა თავისი სიცოცხლე და ა.შ.

ქართველი საზოგადოებრიობისათვის არც ის არის ცნობილი, თუ რა ღვაწლი მიუძღვის კ. აფხაზს ისეთი ქართული ეროვნული ინსტიტუტების საქმიანობაში, როგორებიც იყო: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, საადგილმამულო ბანკი, ქართული თეატრი, თბილისის უნივერსიტეტის დაარსება, კახეთის

რკინიგზის მშენებლობის გასრულება... აგრეთვე, იმ თვალსაჩინო როლზე, რომელსაც იგი ასრულებდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის, საქართველოს ეროვნული საბჭოს, საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის შემუშავების, დემოკრატიული რესპუბლიკის მშენებლობის, მისი სახელმწიფოებრივი მონყობის, საკანონმდებლო ბაზის განმტკიცების, საქართველოს გაერთიანებული დემოკრატიული პარტიის შექმნისათვის, თუ როგორ გახდა კ. აფხაზი საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპირების შემდეგ 1921-1923 წლებში ეროვნულ განმათავისუფლებელი ბრძოლის მეთაური... ბოლო ხანებამდე თითქმის უცნობი იყო ისიც, თუ როგორ დააპატიმრეს „ჩეკას" მიერ მიჩენილი აგენტისაგან გაცემული „სამხედრო ცენტრის" წევრები — კ. აფხაზი და მისი თანამებრძოლები და რა არაადამიანური წამებით ამოხადეს სული...

მომავალი თაობებისათვის მუდამ ზნეობრივ გაკვეთილად გამოდგება კ. აფხაზის უკანასკნელი მოქმედება როცა მან ჯალათებს ამაყად განუცხადა: „მშვიდად ვტოვებ ამ ქვეყანას, რადგან მწამს სამშობლოს აღორძინება"

1923 წლის თებერვალში „საოკუპაციო ძალა თავის აგენტების საშუალებით აღნევს შეთქმულთა ვინაობის მიგნებას, ატუსაღებს მათ..."

1923 წლის მარტის ბოლოს ბოლშევიკურ ხელისუფლებას თითქმის ყველა „დამნაშავე" საგანგებო კომისიის ჯურღმულებში ჰყავდა გამოკეტილი. „ჩეკისტთა" უპირველესი და ძალზე ძვირადღირებული ნადავლი გენერალი აფხაზი და სხვა ცნობილი ქართველი სამხედრო მოღვაწენი იყვნენ.

„კოტე აფხაზის დაპატიმრების ორდერი №36 გაცემულია 1923 წლის 3 მარტს. მისი ბინა გაჩხრიკა და თვითონ კოტე აფხაზი დააპატიმრა ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის საიდუმლო ოპერატიულმა ნაწილმა. კერძოდ, ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის თანამშრომელმა ვინმე გონჩაროვმა. მაშინ კ. აფხაზი ცხოვრობდა ბებუთოვის ქ. №36, ბ. 1-ში.

ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის 3 მარტის №36 ორდერის საფუძველზე მოხდა ჩხრეკა"

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სამხედრო კომისია დაუყოვნებლივ შესდგომია მზადებას იმისათვის, თუ „სამხედრო ცენტრის" წევრებს კ. აფხაზის მეთაურობით სიკვდილს გადაუწყვეტდნენ, რა გაეკეთებიათ მათ გადასარჩენად.

სოლომონ ზალდასტანიშვილი ამასთან დაკავშირებით იგონებს: „გადავწყვიტეთ განსაკუთრებული რაზმი შეგვედგინა, რომელიც ღამე დაეცემოდა ჩეკას და ყველა დატუსაღებულებს გაანთავისუფლებდა. ამ ამოცანის შესრულება ვიკისრეთ მე და გიორგი წინამძღვრიშვილმა. მაისის პირველ რიცხვებში როტმისტრი ვ. ყარანგოზიშვილის მეთაურობით რაზმი გამზადებული იყო და „დამკომის" გადაწყვეტას ელოდა. „დამკომში" ყველა არ იზიარებდა ამ ამოცანის შესრულებას..." მაგრამ კიდეც რომ ყოფილიყო „დამკომის" დასტური, ჩავარდნა მაინც გარდუვალი იქნებოდა, ვინაიდან ჩეკისტთა აგენტურა აქაც მონოდების სიმაღლეზე მდგარა... როტმისტრ ყარანგოზიშვილის რაზმში შეგზავნილ მოღალატეს, ვინმე შ. კანდელაკს, ყველაფერი დანვრილებით შეუტყობინებია, სადაც ჯერ იყო. რა თქმა უნდა, კ. აფხაზის გადარჩენის ხსენებული გეგმა განუხორციელები დარჩა.

თითქმის სამი თვე მიმდინარეობდა დაპატიმრებულთა არაადამიანური ტანჯვა-ნამება, მაგრამ პირსისხლიანმა მტარვალებმა ვერ შეძლეს მათი სულიერი სიმტკიცის გატეხა.

აქ მკითხველს მივაწვდით ერთ სისხლიან დოკუმენტს, რომელიც მოიძია და ბოლო ხანს გამოცემულ თავის წიგნში პირველად გამოაქვეყნა მკვლევარმა ნესტან კირთაძემ. აი, ისიც:

ამონაწერი

„ამიერკავკასიისა და საქართველოს საგანგებო კომისიათა 1923 წლის 19 მაისის გაფართოებული სხდომის № 19 ოქმისა.

თავმჯდომარეობდა ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის თავმჯდომარე ამხ. მოგილევსკი.

ესწრებოდნენ ამხ. ამხ. პანკრატოვი, ზონოვი, მახნოვსკი, ნიკოლაევი, კვანტალიანი, ბერია, მიქელაძე, ელიავა, ორახელაშვილი და ლომინაძე.

მოისმინეს: (მომხსენებელი ამხ. აშუკინი)

1) 1. *ანტისაბჭოთა პარტიების სამხედრო ორგანიზაციის საქმე, რომლის მიხედვითაც ბრალად ედება კონსტანტინე ნიკოლოზის ძე აფხაზს, 55 წლისას, უმაღლესი განათლების მქონეს, ყოფ. თავადს, ყოფ. გენერალს, ყოფ. თავადა ზნაურთა წინამძღოლს, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარეს, — საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეთქმულების მონწყობა, საქართველოში ბანდიტური მოძრაობის შექმნა და მასში მონაწილეობა, ანტანტის სასარგებლო შპიონაჟი, მუშურ-გლეხური სახელმწიფოს გაცემა და ღალატი.*

დაადგინეს:

კონსტანტინე ნიკოლოზის ძე აფხაზი, 55 წლისა, უმაღლესი განათლების მქონე, ყოფ. თავადი, ყოფ. გენერალი, ყოფ. თავადა ზნაურთა წინამძღოლი, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე, რომელიც შევიდა სამხედრო ცენტრში და მონაწილეობდა საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყების მომზადების ხელმძღვანელობაში, ეროვნულ დემოკრატთა ცენტრალურ კომიტეტში აჯანყების საკითხის განხილვისას, როგორც თვითონ აღიარა, ხმა მისცა დაუყოვნებლივ შეიარაღებულ აჯანყებას — დაიხვრიტოს. განაჩენი მოყვანილ იქნას სისრულეში 24 საათში.

ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის

სარეგისტრაციო განყოფილების უფროსი მაისოვი"

(იხ. ნ. კირთაძე, 1924 წლის აჯანყება საქართველოში, გვ. 279.)

1923 წლის 19 მაისს სასამართლო გარჩევის, ანუ გასამართლების გარეშე დახვრეტა მიუსაჯეს 15 ქართველ ოფიცერს, რაც მეორე დღესვე სისრულეში მოიყვანეს ქალაქგარეთ, ახლანდელი ვაკის პარკის მიდამოებში.

დავით საღირაშვილის თქმით, დახვრეტის წინ აფხაზის უკანასკნელი სიტყვები ყოფილა: „я умираю с радостью, так как я удостоился быть жертвой на алтаре Грузинской свободы. Наша смерть принесет Грузии победу."

გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, ზურაბ ავალიშვილის შეფასებით: „მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს ეროვნული შეგნების უმთავრესი გამომხატველის, თავადი ილია ჭავჭავაძის დისწულმა კონსტანტინე აფხაზმა სახელმწიფო საბჭოს არჩეულმა ნევრმა, პატიოსნათ და ღირსეულად დაასრულა 1917 წელს აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურობის წინამძღოლთა წრე, რომელიც ასზე მეტი წლის წინათ დაიწყო თავადმა გარსევან ჭავჭავაძემ (1801 წლამდე იყო საქართველოს მეფეთა მინისტრთა რუსეთის სასახლეში) — 1923 წლის მაისში საბჭოთა სანინააღმდეგო შეიარაღებული აჯანყების მონყობაში ბრალდებული, იგი 15 სხვა სახელოვან მეომართან და მამულიშვილთან ერთად მოკვდა ვაჟკაცურის სიკვდილით"

ზაზა ბანელაშვილი

ქართველი მსახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი, აკაკი ხორავას საზოგადოების თავმჯდომარე ზაზა (ზიგმუნდ) იოსების ძე ბანელაშვილი დაიბადა 1939 წლის 23 იანვარს გურჯაანის რაიონის სოფელ არაშენდაში. 1946 წ. სნავლა დაიწყო მშობლიური სოფლის საშუალო სკოლაში. რადგანაც მამა სამამულო ომში დაეღუპა და დედა ავადმყოფობდა, 1949 წლიდან ზაზა და მისი ძმა კარდანახის საბავშვო სახლში იზრდებოდნენ, მან 1957 წ. საშუალო სკოლაც აქვე დაამთავრა ვერცხლის მედალზე. 1960 წელს გახდა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტის სტუდენტი, რომელიც დაამთავრა 1964 წელს. იყო ჯერ მარჯანიშვილის, შემდეგ ლენინის სახელობის სტიპენდიანტი. ამავე წელს მუშაობა დაიწყო რუსთაველის თეატრში მსახიობად. შესრულებული აქვს შემდეგი როლები, ნოდარ დუმბაძის „მზიანი ღამე"— ლექსო, მიხეილ ჯავახიშვილის „ქალის ტვირთი"— ლევანი, გურამ ფანჯიკიძის „მეშვიდე ცა"— არჩემაშვილი, პოლიკარპე კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი"— მდივანი, შექსპირის ტრაგედიებში:— „რომეო და ჯულიეტა"— პრინცი ესკალური, „ანტონიუსი და კლეოპატრა"— ალექსასი, „იულიუს კეისარი"— მისანი და სხვ. თეატრალური საზოგადოების მიერ გამართულ მხატვრული კითხვის კონკურსებში მიღებული აქვს პრემიები: შოთა რუსთაველის სახელობის II პრემია, მაიაკოვსკის სახელობის II პრემია, ბარათაშვილის სახელობის I პრემია. 1958 წელს დაუსწრებლად დაამთავრა პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიური ფაკულტეტი, აქვე ხელმძღვანელობდა სტუდენტურ თეატრს. არის საბავშვო მოთხრობების ორი კრებულის ავტორი, მისმა პიესამ „მენისქვილე" 1971 წელს საქართველოს პროფკავშირებისა და მწერალთა კავშირის მიერ გამოცხადებულ კონკურსში III პრემია დაიმსახურა. საუკეთესო საბავშო მოთხრობისათვის ორჯერ მიიღო ჟურნალ „პიონერის" პრემია. ამასთან ზაზა ბანელაშვილი ფართო პროპაგანდას უწევდა და დღესაც უწევს ქართულ ლიტერატურასა და პოეზიას. ამ მიზნით ოთხჯერ შემოიარა არა მარტო დედაქალაქის, არამედ მთელი საქართველოს უმაღლესი სასწავლებლები და საშუალო სკოლები, მოსწავლე ახალგაზრდობასთან გამართული აქვს სამი ათასზე მეტი ლიტერატურული შეხვედრა.

ზ. ბანელაშვილს 1988 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული არტისტის წოდება.

შემოქმედებითად განსაკუთრებით ნაყოფიერი აღმოჩნდა მისთვის ბოლო ხუთი-ექვსი წელი, როდესაც საქართველოს ტელევიზიაში შექმნა მხატვრულ გადაცემათა ციკლი ისტორიულ თემაზე საერთო სათაურით „ზარი მეფობისაი", რომლის ავტორიცა და შემსრულებელიც თვითონ არის. ეს გადაცემებია: „დავით აღმაშენებელი", „თამარ მეფე", „ვახტანგ გორგასალი", რომელიც გასულ წლებში არაერთხელ იხილა ტელემაყურებელმა. ამასთანავე, არის ოთხნაწილიანი სატელევიზიო ფილმის „ფარსმან ქველი" მემატიანე-მთხრობელი.

2000 წელს ზ. ბანელაშვილი ხელმეორედ მიუბრუნდა დავით აღმაშენებლის თემას და შექმნა ორნაწილიანი გადაცემის ახალი ვარიანტი „დავით აღმაშენებელი", რომელიც საქართველოს ტელევიზიით სრულიად საქართველომ იხილა.

ის, რაც ზაზა ბანელაშვილმა ამ ორნანილიან ტელეგადაცემაში შესძლო, არის მსახიობის შემოქმედებითი შესაძლებლობების ზეიმი, რაც განსაკუთრებით გადაცემის მეორე ნანილში გამობრწყინდა სრული სიცხადით, როდესაც იგი დიდებული მეფის ანდერძებს და „გალობანი სინანულისანი"-ს გვიკითხავს. იგი შინაგანი გარდასახვითა და თანაგანცდით გადმოგვცემს გმირი მეფის ფიქრებსა და სულიერ ტკივილებს, მისი უიშვიათესი, ღვთისაგან მომადლებული ხმა თითქოს საუკუნეებიდან გვესმის...

საქართველოს ტელევიზიისა და ზაზა ბანელაშვილის ეს ერთობლივი ნამუშევარი — ორნანილიანი ისტორიულ-მხატვრული ტელეგადაცემა „დავით აღმაშენებელი", უდავოდ, დიდი გამარჯვებაა.

ამ გადაცემის ავტორი და შემსრულებელი-მთხრობელი, საქართველოს დამსახურებული არტისტი ზაზა ბანელაშვილი წარდგენილია სახელმწიფო პრემიის მოსაპოვებლად.



გივი გერიკაშვილი

ქართველი ხალხის უსაყვარლესი მსახიობი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი გივი ზაქარიას ძე ბერიკაშვილი დაიბადა 1934 წლის 27 ივლისს გურჯაანის რაიონის სოფ. კოლაგში. მუშაობს კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში.

ბავშვობა თელავის რაიონის სოფ. ქვემო ხოდაშენში გაატარა ბებიასთან. მამა, ზაქარია ბერიკაშვილი მალე გარდაეცვალა და გივი დედასთან ერთად საცხოვრებლად თბილისში გადავიდა. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სასწავლებლად შევიდა თეატრალურ ინსტიტუტში. დამთავრებისთანავე მუშაობას იწყებს თეატრში მსახიობად, სადაც დღემდე აგრძელებს მუშაობას. არის მეტად პოპულარული კინომსახიობი.

გ. ბერიკაშვილი ჭეშმარიტად უნიჭიერესი და შრომისმოყვარე არტისტია. მრავალფეროვანია მის მიერ შექმნილი გმირების პალიტრაც. იგი ახერხებს, შექმნას ხასიათით ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული ტიპები. მან შექმნა კახელი კაცის არქეტიპული სახე, რაც ნამდვილად შევა კინემატოგრაფიის ისტორიაში. ამის მშვენიერი მაგალითებია მის მიერ ნათამაშევი როლები ფილმებში: „ღვინის ქურდები" და „ღობე". სნორედ ასეთი სახეების შექმნისათვის უყვარს იგი მაყურებელს, რადგანაც ამ ტიპის პერსონაჟები ძალიან ახლოს დგანან მის პიროვნებასთან, მის ბუნებასთან.

ძალზე საინტერესოა იგი გ. ლორთქიფანიძის ფილმში „დათა თუთაშხია". მსახიობმა მოახერხა, მოკლე ეპიზოდში თავისი გმირის მედლის ორივე მხარე ეჩვენებინა, ხოლო ეპიზოდი „ბორანზე", შეიძლება ჩაითვალოს მსახიობური ოსტატობის ნიმუშად, და რა თქმა უნდა შეუდარებელია ის ო. იოსელიანის პიესაში „ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი.

მის მიერ განსახიერებული როლების სია საკმაოდ გრძელია, მაგრამ არ შეიძლება არ მოიხსენიო მის მიერ შესანიშნავად შესრულებული მთავარი როლი ფილმში „ლონდრე", სადაც იგი ქმნის ორ ერთმანეთში შეხამებას.

გივი ბერიკაშვილზე, ამ შესანიშნავი ბუნების ადამიანზე, უსასრულოდ შეიძლება ისაუბრო.

აი, რას ამბობენ მასზე ვასილ კიკნაძე, სოფიკო ჭიაურელი და ეფრაიმ გური:

ვასილ კიკნაძე — გივი ბერიკაშვილი საოცარი ფენომენია ქართულ თეატრში, იგი დემოკრატიული, ხალხური სტიქიის მსახიობის ტიპია. ის უნიკალური მსახიობია, საერთოდ არავის არ ჰგავს. მის ფენომენს შემოქმედისა და პიროვნების საოცარი მთლიანობა ქმნის. ის არის უკეთილშობილესი, გულში ანგელოზასახული კაცი, სიკეთის რაინდი, ისაა ყველას ნუგეში, საიმედო დასაყრდენი, დღეს , გულის მიმართ ასეთ სასტიკ დროებაში, გივი ბერიკაშვილს გამოარჩევს განსაკუთრებული გულისხმიერება და გვერდში ამოდგომის ნიჭი.

სოფიკო ჭიაურელი — გივი ჩემი უსაყვარლესი პარტნიორია სცენაზე, უერთგულესი მეგობარი ცხოვრებაში. ჩვენ ერთმანეთს პერიალისის „ბაბთიან გოგონაში" შევხვდით, ეს იყო ძალიან დიდი ხნის წინათ, ჩვენ ორივენი თითქმის ბავშვები ვიყავით აი, იქიდან მოვდივართ ერთად ; ის იყო ჩემი ლალე „ბერიკონში", ლუარსაბი „კაცია ადამიანში", ალექ-

სანდრე „ეზოში ავი ძაღლია", ჯენერი „მილიონერი ნეაპოლი" და რომელი ერთი ჩამოვთვალო. ვთვლი, რომ იგი უნიჭიერესი მსახიობია მათ შორის, ვინც კი შემხვედრია, ამასთან, როგორც პარტნიორი, გამგებია, დამთმობია, კეთილმოსურნე, ნამდვილი რაინდი.

ეფრაიმ გური — გივი ბერიკაშვილი უპოპულარესი მსახიობია არა მარტო თავის სამშობლოში, არამედ ჩვენთან, ისრაელშიც. მის ფოტოებს თითქმის ყველა ქართველი ებრაელის ოჯახში შეხვდებით, უფროს თაობას იგი სცენაზე უნახავს. ჩვენი თაობა კი შესანიშნავი კინონამუშევრებით იცნობს. მე მთელი ჯგუფის სახელით შემიძლია ვთქვა, რომ ბედნიერი ვარ, რომ მის საღამოს დავესწარი. ჩვენი დელეგაცია ორ ქვეყანას შორის კულტურული კონტაქტების გაღრმავებას ისახავს მიზნად. ჩვენ გვინდა გივი ბერიკაშვილის შემოქმედებითი შეხვედრების მოწყობა ისრაელში, ეს მთელი ქართველი ებრაელების ზეიმად გადაიქცევა.



ნოდარ ბერიკაშვილი

ბათემატიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნოდარ ალექსის ძე ბერიკაშვილი დაიბადა 1929 წლის 25 იანვარს ქ. თბილისში.

1935-1938 წლებში სწავლობდა გურჯაანის რაიონის სოფ. ვაზისუბნის, ხოლო 1938-1941 წლებში თბილისის მე-4 საშუალო სკოლაში.

ომიანობის წლებში ნ. ბერიკაშვილის ოჯახს რამდენჯერმე მოუხდა საცხოვრებელი ადგილის შეცვლა და, ამდენად, ნ. ბერიკაშვილიც 1941-1943 წლებშნი სწავლას განაგრძობს ისევ სოფ. ვაზისუბნის საშუალო სკოლაში, ხოლო 1943-1947 წლებში თბილისის მე-2 საშუალო სკოლაში.

1947 წელს შედის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, რომელსაც ამთავრებს 1952 წელს და სწავლას განაგრძობს ამავე უნივერსიტეტის ასპირანტურაში აკადემიკოს გიორგი ჭოღოშვილის ხელმძღვანელობით.

1955 წლიდან 1959 წლამდე ნ. ბერიკაშვილი მუშაობს მოსკოვის ვ. სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ-მუშაკად.

1959 წლიდან ბრუნდება საქართველოში და მუშაობას იწყებს თბილისის ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში, სადაც მუშაობს დღემდე, 1989 წლიდან გეომეტრიისა და ტოპოლოგიის განყოფილების გამგეა. პარალელურად მუშაობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე.

1979 წლიდან არჩეულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად ფიზიკისა და მათემატიკის განყოფილებაში.

ნ. ბერიკაშვილის ძირითადი შრომები ეხება ტოპოლოგიურ სივრცეთა და ვიბრაციათა ჰომოლოგიისა და ჰომოტოპიის საკითხებს, იკვლევდა, აგრეთვე, სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა სისტემების საკითხებს.

ნოდარ ბერიკაშვილის ბიოგრაფია შეტანილია 1997 წლის საქართველოს ახალი ენციკლოპედიის პირველ ტომში.

ვლადიმერ ბეროშვილი

1907-1944

საბჭოთა კავშირის გმირი ვლადიმერ ლევანის ძე ბეროშვილი დაიბადა 1907 წელს გურჯაანის რაიონის სოფ. კარდანახში.

1930 წელს გაინვიეს ჯარში. სამხედრო სამსახურის მოხდის შემდეგ დარჩა წითელ არმიაში, დაამთავრა სამხედრო სკოლა და გახდა უმცროსი მეთაური.

1935 წლამდე რამდენჯერმე მიიღო მადლობა და სხვადასხვა ჯილდო.

წითელი არმიიდან დაბრუნების შემდეგ დაამთავრა თბილისის მუშფაკი, ორ წელს სწავლობდა საამშენებლო ინსტიტუტში, შემდეგ კი მუშაობდა ქ. თბილისში.

სამამულო ომის დაწყებიდანვე ფრონტზეა. ვლ. ბეროშვილი იბრძოდა უკრაინის განთავისუფლებისათვის. მან განსაკუთრებული მამაცობა გამოიჩინა მდ. დნეპრის გადალახვისას. ეს მოხდა 1943 წლის ოქტომბრის პირველ რიცხვებში. ბეროშვილმა მიმართა თავის ოცეულს: მეგობრებო, ერთი საათის შემდეგ ჩვენ დავიძვრებით, მზად იყავით. პირველი ტივი მოშორდა დნეპრს. გერმანელებმა ძლიერი სროლა ატეხეს. მრისხანედ აქაფდა დნეპრი, მაგრამ ისინი აღალბედზე ისროდნენ. ტივიდან ნაპირზე პირველმა ბეროშვილმა გადადგა ფეხი. იგი თავისი ოცეულით ფრთხილად წავიდა, შეაფასა ვითარება. ადგილი მარჯვე იყო. ტანკები ადვილად ვერ წამოვიდოდნენ. ბეროშვილმა დაიწყო ოცეული, განალაგა ცეცხლსასროლი საშუალებანი და გასცა ბრძანება — მინაში ჩაფლულილყვნენ. მოუთმენლად ელოდნენ განთიადს. დილით გერმანელებმა აღმოაჩინეს გაბედული ვაჟკაცები, ნაღმსატყორცნი ცეცხლი დაატეხეს მათ თავს. ატყდა მსხვილკალიბრიან ტყვიამფრქვევთა სროლა. ბეროშვილის ოცეული არ პასუხობდა. ფაშისტები გამხნევდნენ, უფრო ახლო მიდიოდნენ. ისინი რამდენიმე ათეულ მეტრზე მოუშვეს, შემდეგ ტყვიის ნიაღვრით შეეგებნენ. თერთმეტჯერ ეკვეთა მტერი ერთ მუჭა მამაცთ, მაგრამ ყოველთვის დიდი ზარალით უკუაგდეს. ერთ-ერთი შეტაკების დროა გერმანელთა ჯუგფმა მოახერხა ოცეულის პოზიციაზე შემოჭრა. ოცეულის მეთაური თვითონ გადაეშვა ხელჩართულ ბრძოლაში. კონდახის დარტყმით წააქცია ერთი, და ხიშტი ჩაასო მკერდში. დღის ბოლოს ოცეულის პოზიციების წინ მტრის ორმოცდაათი გვამი ეყარა. ურყევ აიმაგრედ იდგნენ მებრძოლები. მეორე დღეს ბეროშვილმა ახალი ბრძანება მიიღო. მეზობელ ბატალიონს გერმანელები აწვებოდნენ. ბატალიონი სისხლით იცლებოდა, მაგრამ მაინც უმკლავდებოდა. უნდა დახმარებოდნენ ამხანაგებს. ბეროშვილის ოცეული მოულოდნელად ფლანგიდან დაატყდა თავს მტერს. მარჯვე, გაბედული მოქმედებით მდგომარეობა აღდგენილ იქნა. ბატალიონმა განდევნა მტერი და განთავისუფლებულ მინაზე მაგრად დამკვიდრდა ექვსი დღის შეუპოვარი ბრძოლების განმავლობაში უმცროს ლეიტენანტ ვლადიმერ ბეროშვილის ოცეულმა მოიგერია მტერი და ასამდე ჰიტლერელი გაჟლიტა. ოცეულის მეთაურმა პირადად მოკლა შვიდი ფაშისტი.

1943 წელს კიევის ჩრდილოეთით მდინარე დნეპრის წარმატებით გადალახვისათვის, მდინარე დნეპრის დასავლეთ ნაპირზე პლაცდარმის გამაგრებისა და, ამასთან, მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 16 ოქტომბრის ბრძანებულებით, გვარდიის უმცროს ლეიტენანტს ვლადიმერ ლევანის ძე ბეროშვილს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის ნოდება და გადაეცა ლენინის ორდენი და „ოქროს ვარსკვლავი“

იგი გმირულად დაეცა 1944 წელს კიევის ოლქის, ჩერნობილის რაიონის სოფ. ოპოჩიჩის განთავისუფლების დროს.

ვ. ბეროშვილი დაკრძალულია იქვე, სოფ. ოპოჩიჩში.

ზაქარია გულისაშვილი

1857-1913

ქართველი მწერალი და პუბლიცისტი ზაქარია მიხეილის ძე გულისაშვილი დაიბადა 1857 წელს გურჯაანის რაიონის სოფ. ჯიმითში.

•თბილისის სასულიერო სემინარიიდან გარიცხეს მოსწავლეთა არალეგალურ ნრეში მონაწილეობისათვის. მასწავლებლობდა ქართლისა და კახეთის სოფლებში. იყო ქართულ ხალხსანთა ჯგუფის აქტიური ნევრი. 1897 წელს მღვდლად ეკურთხა. მისი პირველი თხზულება „ორიოდე სურათი მოთხრობიდან" 1879 წელს გამოქვეყნდა („ივერია №3). ზ.მ. გულისაშვილის მოთხრობები („მარტიაანთ პაპა", „ბედნიერი კუნჭული", „მეტივე"), ნარკვევები („მგზავრის შენიშვნები, „ანინდელ კახეთზე და ქართლზე", „რკინიგზით განჯისაკენ"), ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნერილები („გარდაბნისა და გაჩიანის საერისთაონი და მათნი ნაშთნი" და სხვ.) იბეჭდებოდა ჟურნალ-გაზეთებში „ივერია", „იმედი", „დროება", „თეატრი" და სხვ.

ზაქარია გულისაშვილი, ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში შაქროს ფსევდონიმით ცნობილი, დღეს სრულიად დაუმსახურებლად მივიწყებულ მწერალთა რიგშია.

ზაქარია გულისაშვილი ეკუთვნის იმავე ხალხოსან მწერალთა პლეადას, რომელიც 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან გამოვიდა ჩვენი მწერლობის ასპარეზზე.

იგი ენერგიულად ემსახურებოდა ხალხოსნურ იდეებს როგორც პრაქტიკული მოღვაწეობით (ხალხში გასვლით ამ ცნების ფართო გაგებით), ისე მხატვრული კალმით.

საუკეთესო ნაწილი ზ. გულისაშვილის მხატვრული შემოქმედებისა და პრაქტიკული საქმიანობისაც სწორედ 80-90-იან წლებზე მოდის.

ზაქარია გულისაშვილი კარგად ითვალისწინებს სკოლის, განსაკუთრებით სოფლის სკოლისა და მასწავლებლის დიდ მნიშვნელობას და ხშირად უბრუნდება ამ საკითხს. იგი ხომ ერთ-ერთი პრაქტიკული მოღვაწე იყო ამ ასპარეზზე! მთავრობა მას, მიზეზის აუხსნელად, დაუნდობლად ისვრიდა ერთი სოფლიდან მეორეში, ვინაიდან მის პრაქტიკულ მოღვაწეობას უნდობლად ეკიდებოდა...

უსნორო ბრძოლით დაქანცული, ზ. გულისაშვილი იძულებული გახდა მღვდლად ნასულიყო, მაგრამ შეძლებისდაგვარად მაინც აგრძელებს თავის საქმეს, მისი მხატვრული აპერცეპცია კვლავ გლეხკაცის, მისი მდგომარეობის გარშემოა, მისი კეთილდღეობითაა დაინტერესებული, თუმცა პირველი პერიოდის სიმახვილე და გაქანება აღარა აქვს.

მისი შემოქმედება წარმოადგენს დიდ კულტურულ მემკვიდრეობას, რომელშიც „არის, რაც წარსულს არ გადასცემია, რაც მომავალს ეკუთვნის"

ზ. გულისაშვილი გარდაიცვალა 1913 წლის 25 იანვარს. დასაფლავებულია ქ. თბილისში წმინდა მარინეს ეკლესიის სასაფლაოზე.

ნელი გურგენიძე

ნელი ვლადიმერის ასული გურგენიძე – ჩვენი საზოგადოების ერთ-ერთი გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწეა. იგი დაიბადა 1932 წლის 25 დეკემბერს გურჯაანში, აქვე გაატარა ბავშვობისა და ახალგაზრდობის წლები, მიიღო საშუალო განათლება და ცხოვრების პირველი გაკვეთილები. იგი თავიდანვე რაიონის ახალგაზრდობის აღიარებული ლიდერი იყო, შემდეგ კი ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობის ზრუნვასა და აღზრდას ახმარდა მთელ თავის ენერგიას.

ნელი გურგენიძემ გამოიჩინა დიდი უნარი ადამიანებთან კეთილშობილური დამოკიდებულებისა და მათი ცხოვრებისადმი ინტერესი, მრავალი წლის განმავლობაში იყო თავკაცი რაიონში ღონისძიებების ორგანიზებისა, სადაც თბილისის აქტივის დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ თავი გამოიჩინა როგორც საქართველოს ეროვნული თვითგამორკვევის დაუღალავმა მოამაგემ. 1991 წლიდან დღემდე მეცნიერულ სფეროში ენევა მოღვაწეობას, არის მეცნიერებათა აკადემიის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში, ამავე დროს არის ე. შევარდნაძის ფონდის „დემოკრატია და აღორძინება“ ვიცე-პრეზიდენტი. ამასთან ერთად, განაგრძობს რა საზოგადოებრივ საქველმოქმედო მოღვაწეობას, 1995 წლიდან „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტია. არის მთელი რიგი სარედაქციო კოლეგიებისა და სამთავრობო კომისიების წევრი, ბევრს ზრუნავს ადამიანთა სოციალური პრობლემების მოგვარებისათვის, იღვწის უდედმამო და უსახლკარო მოზარდების, ინვალიდი, მრავალშვილიანი ოჯახებისა და მარტოხელა ხანდაზმული ადამიანების კეთილდღეობისათვის.

ნელი გურგენიძე დაჯილდოებულია „ღირსების ორდენით“ და სხვა მრავალი ჯილდოთი.

მარიამ მერი დავითაშვილი

1907-1975

ქართველი მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი მარიამ (მერი) პეტრეს ასული დავითაშვილი დაიბადა 1907 წელს გურჯაანის რაიონის სოფ. მელაანში.

1920 წელს შევიდა აკაკი ფაღავას დრამატულ სკოლაში.

სტუდიის დამთავრების შემდეგ მერი დავითაშვილი თბილისის მუშათა თეატრშია. ეს თეატრი სნორედ იმ ნელს შეიქმნა სახალხო სახლში. სპექტაკლებს დგამდნენ: ალ. ნუნუნავა, მიხ. ქორელი, მიხ. ჭიაურელი. მათთან იყვნენ ლ. გუდიაშვილი, ა. ბალანჩივაძე, ნ. ჩხეიძე, ც. ნუნუნავა, ალ. იმედაშვილი, ვ. ანჯაფარიძე და სხვანი. მათთან მუშაობა დამნყები მსახიობისათვის დიდი სიხარულისა და სარგებლობის მომტანი იყო, . მაგრამ 1928 ნელს, როდესაც მარჯანიშვილი ქუთაის-ბათუმის თეატრს ჩაუდგა სათავეში, მის ერთგულ მონაფეებთან ერთად მერი დავითაშვილმაც მის თეატრს მიაშურა. ხოლო 1930 ნელს მათთან ერთად დაბრუნდა თბილისში. მერი დავითაშვილმა მთელი თავისი შემდგომი ცხოვრებით დაამტკიცა, რომ ის მარჯანიშვილის თეატრალური რწმენის ერთგულია.

ყოველი სცენური გმირის ცხოვრება უნყვეტი ქმედებაა, მის მიერ ჩადენილ-საქციელთა თანმიმდევრობა სხვა მოქმედ პირებთან განუნყვეტელ ურთიერთობაშია. ამიტომ ამ სკოლის მსახიობმა მუდამ უნდა იცოდეს, რა მიზნითაა ახლა იგი ამოქმედებული, უნდა ჰქონდეს სურვილი ზემოქმედება მოახდინოს პარტნორის შეგნებაზე, მის გრძნობასა თუ გუნებაგანწყობილებაზე. აქტიურად მხოლოდ დაინტერესებული ადამიანი მოქმედებს. ინტერესი ცნობიერია. მაშასადამე, სახეობრივ საშუალებათა შერჩევაც კონკრეტული უნდა იყოს. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში ამოიცნობა ისინი მაყურებლის მიერ და აღმოცენდება ის კონტაქტი სცენასა და დარბაზს შორის, რისთვისაც იღწვის სცენის ხელოვანი.

მიზნის განხორციელების სურვილით ამოქმედებული ადამიანის სიტყვა აუცილებლად იქნება გამოწვეული მისი წარმოთქმის შინაგანი აუცილებლობით, რადგან ეს სიტყვა მეორე ადამიანზე ზემოქმედების მოსახდენად წარმოითქმის — ის ხომ პარტნიორთან დამაკავშირებელი საშუალებაა! კავშირი კი მრავალნაირია. უსიტყვობაც, დუმილიც აზრითა და განცდით უნდა იყოს დატვირთული.

როლის დაწუნება არ სჩვეოდა. არა იმიტომ, რომ მუდამ მისთვის სასურველ როლს სთავაზობდნენ, იმიტომ, რომ მიაჩნდა — ყოველნაირი ადამიანი საინტერესოა, რადგან თავისებური და განუმეორებელია. ყველა როლს თავისი სირთულე ახლავს თან, რადგან ავტორის მიერ მისთვის განკუთვნილი სიტყვები თვალსაჩინო ზედაპირია მხოლოდ, თავისებური კარი, რომლითაც მსახიობი მოქმედი პირის შინასამყაროში შედის. სიტყვები მწერლის შერჩეულია და უამრავს იტყვენ, ამიტომ ავტორისეულ განმარტებებს არ საჭიროებენ. მსახიობმა უნდა ამოიცნოს უთქმელი და წარმოთქმული, სიტყვის მიღმა ღრმად მიმალული. მაშასადამე, მწერლის სიტყვის შეგრძნებას განსაკუთრებული უნარი უნდა ჰქონდეს. მხოლოდ ასეთ შემთხვევაშია სცენური ქმნილება მწერლისა და მსახიობის ღვიძლი შვილი. მერი დავითაშვილს მიაჩნდა, რომ ნამდვილი მწერლის მხატვრული სიტყვით გამსჭვალვა უდიდესი სირთულეცაა და უდიდესი სიხარულიც.

მან იცოდა ნებისმიერი სიდიდის როლის დაკავშირება სხვა დანარჩენ მოქმედ პირთა ცხოვრების ქმედით ხაზთან.

მზია დავითაშვილი

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის წამყვანი სოლისტი მზია ვლადიმერის ასული დავითაშვილი დაიბადა გურჯაანის რაიონის სოფ. ვაზისუბანში. ჰოროსკოპით მშვილდოსანი. დაამთავრა თბილისის მეოთხე სამუსიკო სასნავლებელი პადაგოგ ჩაჩანიძის ხელმძღვანელობით, შემდეგ ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია, მედეა გაბუნიას კლასი, სოლო სიმღერის სპეციალობით.

მ. დავითაშვილის დებიუტი შედგა ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისში", შეასრულა „მაროს" პარტია, სადაც მალხაზს მღეროდა სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეული დიდი ზურაბ ანჯაფარიძე. შემდგომში მან განასახიერა: ეთერი — ზაქარია ფალიაშვილის ოპერიდან „აბესალომ და ეთერი", მზია — ოთარ თაქთაქიშვილის ოპერიდან „მინდია", ლელა — რევაზ ლაღიძის ოპერიდან „ლელა", ტატიანა და ლიზა — პეტრე ჩაიკოვსკის ოპერებიდან „ევგენი ონეგინი" და „პიკის ქალი", ელიზაბეტა, ლეონორა და აიდა — ჯუზეპე ვერდის „დონ კარლოსი", „ტრუბადური" და „აიდა", მიქაელა და ფრასკოტა — ჟორჟ ბიზეს ოპერიდან „კარმენი", დონა ანა და დონა ელვირა— მოცარტის ოპერიდან „დონ ჟუანი", მთავარი პარტია ბახის ოპერიდან „ამადოსი" და სხვ.

მზია დავითაშვილს უდიდესი წარმატება მოუტანა ოპერამ „ლელა" ეს ოპერა მისი შესრულებით (კონკურსის ნესით) ოქროს ფონდშია ჩანერილი.

მ. დავითაშვილის არაჩვეულებრივი სილამაზის ლირიკულ-დრამატული სოპრანო 20 წელზე მეტია ხიბლავს ადამიანებს. მისი პირველი საგასტროლო გამოსვლა შედგა ლენინგრადში.— ბახის „ამადოსში" იმღერა ორენას პარტია. ეს მისი პირველი გასვლა იყო კამერულ ორკესტრთან და ლ. ისაკაძესთან ერთად.

1990 წელს ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი მიიწვიეს პროკოფიევის ფესტივალზე. პროკოფიევის „დუენია"- ში, კლარას მთავარ პარტიას მ. დავითაშვილი მღეროდა. სწორედ მაშინ აჟღერდა იქ პირველად ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი"

შემდეგ დასი მიიწვიეს იტალიაში. ეს იყო 1991 წელს. აქაც ეთერი-ს პარტია შეასრულა. მ. დავითაშვილმა კონცერტები გამართა, აგრეთვე, ესპანეთში, საფრანგეთში, მოგვიანებით ისევ იტალიაში.

მოგეხსენებათ, იტალია ვოკალური ხელოვნების სამშობლოა. წარმოუდგენლად დიდი ნარმატება ხვდა დასს და ქართველ სოპრანოს - იყო დაუსრულებელი აპლოდისმენტები და „ბრავოს" შეძახილები.

აი, როგორ იხსენებს მზია დავითაშვილი ერთ ეპიზოდს ამ იტალიური ტურნედან: „როდესაც ქალაქში გავედით დასათვალიერებლად (ეს არის ქალაქი ბუსეტო, ვერდის სამშობლო) არ მავიწყდება, როგორ გვიყურებდნენ იქაური მცხოვრებლები. მახსოვს, ერთ-ერთ მაღაზიასთან ვიდექი, ვიტრინას ვათვალიერებდი, ამ დროს მესმის ხმა „სოლისტო, სოლისტო". მოვიხედე და ვხედავ ჩემს წინ იტალიელი ნყვილი დგას და მანვდიან რაღაცას, — „სუვენირო, სუვენირო" — მეუბნებიან, ესე იგი, იმდენად მოვენონე, დავუმახსოვრებივარ, საჩუქარი უყიდიათ და ღრმა პატივისცემის ნიშნად, მისახსოვრეს"

მ. დავითაშვილი მიწვეულია პედაგოგად და წარმატებით მუშაობს ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში, სადაც თავის გამოცდილებას დიდი სიამოვნებით უზიარებს ახალგაზრდებს...

გამოჩენილი მომღერალი და პედაგოგი ნოდარ ანდღულაძე, რომელიც შესანიშნავად იცნობს მზიას შემოქმედებას, ასე ახასიათებს მას: – „მზია ეკუთვნის ახალ გენერაციას ეართველ მომღერალ ქალთა შორის. მისი განვითარება ჰარმონიული და თანმიმდევრული იყო. იგი თავისი პიროვნებით, ნიჭის მახასიათებლებით აღმოსავლურ ქართულ ტიპაჟს შეიძლება მივაკუთვნოთ. თავდაჭერილი, კდემამოსილი, ალალმართალი, დინჯი, გამსჯელი, ამიტომ ასე ორგანულია იგი ქართველ ქალთა ტიპაჟების განსახიერებისას: მარო, ეთერი, ლელა და სხვ...“

მზია დავითაშვილი 1998 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.



ჯილდა დათუაშვილი

1946-1971

ჯილდა, ჯილდა,
რაღაის გერგო ხვედრი დასაკილავ!
ხვედა თუ ხელის რისხვა მეზნებარე,
ეზნებარე რისხვა ფრეს ვადასცილდა.
ძარს ძიდის ზეკით, რომ ვადალასას
ლაზეკარი ძიწის და ცალა ძორის,
ხვედ. რომელსაც ხურს იდალადოს,
ჰიმი ოდიოკან დაწყებულ ბრძოლის...

ჯილდა,
დუსაკეს ღმერთებმა აკ!..
ბრძოლა ძალებდე მათ სარაკო.
ეკლის იმერი თავდაგეწყებით,
ეკანთა ძენი უტეხი ვნება. —
რომ ესაუარდა დიდლილი ფრთებით
დაკორიდიკუ ენაზეს ხმებად...

სილოვან ნარიმანიძე

ეუძლებელია, იმსჯელო პოლიტექნიკური ინსტიტუტის თვითმოქმედ სტუდენტურ შემოქმედებაზე, თქვა რაიმე მათ მიღწევებზე, ნარმატებებზე, მათი შემოქმედების იმ ურიცხვ თაყვანისმცემლებზე, რომლებიც მუდამ მათ გვერდით იყვნენ და არ გაიხსენო უნიჭიერესი მომღერალი ჯილდა დათუაშვილი, რომელიც ეჩვეულო ელვარებით ამობრწყინდა ქართული კულტურის კაბადონზე. იგი დაიბადა 1946 ნლის 8 აგვისტოს გურჯაანის რაიონის სოფ. ველისციხეში. ჯერ კიდევ საშუალო სკოლის მოსანავლე იყო ჯილდა, სრულიად ბავშვი, როდესაც პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში ეოფნიასას გამოაკლინა ის მონაცემები, რაც შემდგომ დაიხვეწა და განვითარდა სანდრო მირიანაშვილის შემოქმედებით ლაბორატორიაში, საიდანაც მისივე ხელმძღვანელობით ტალანტს გზა გადაელოცა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის-აკენ. ბნორედ აე მოღვაწეობამ მოუტანა აღიარება ჯილდას თვითმყობად ნიჭს. მისი ხმა აქედან გადასნვდა არა მარტო საქართველოს, არამედ, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, მთელ მაოფლიოს. ჯილდა ცისარტყელას ფერადოვნებით შემოერტყა მუსიკალურ ეამყაროს, მეტეორივით გაიკრლა და ასეთივე სისწრაფით გაქრა ჩვენგან ფიზიკურად, მაგრამ მისი ალმღერები სამუდამოდ შემორჩა მეხსიერებას.

— არ შეიძლება დიდი პატივისცემითა და სიყვარულით არ მოვიგონოთ ჯილდა დათუაშვილი, — ამბობს საესტრადო ორკესტრის ხელმძღვანელი ი. ტუღუში, - პირველად იგი სანდრო მირიანაშვილის ვოკალურ ჯგუფში მოღვაწეობდა, შემდეგ კი წლების მანძილზე საესტრადო ორკესტრს ამშვენებდა. ჯილდა ორკესტრთან ერთად დიდი წარმატებით ასრულებდა როგორც ქართულ, ისე რუსულ და ევროპულ სიმღერებს და ყველას დიდ მონონებას იმსახურებდა. განსაკუთრებული წარმატება ხვდა წილად სოჭში

გამართულ საესტრადო სიმღერების ფესტივალზე, სადაც ჯილდამ შეასრულა „ჯარისკაცის დედა", რომელიც ოვაციაში გადაიზარდა.

მომღერალი ჯილდა დათუაშვილი თავისი განუმეორებელი ხმითა და გრძნობათა სიმართლით ბრწყინვალედ ასრულებდა სოლო საყვირზე იტალიურ სიმღერას „ნუ დამიეინყებ"

„ჯილდა, — გვიამბობს მაშინდელი ორკესტრის ხელმძღვანელი ანზორ მაისურაძე, — ისეთი გრძნობით ასრულებდა ამ სიმღერას, რომ შეუძლებელი იყო საყვირის სოლოში არ გამოხატულიყო მის მიერ სიმღერაში ჩაქსოვილი ეს დიდი განცდა. ეს სიმღერა საკავშირო ტელევიზიით გადაიცა..."

ასევე დიდი განცდით ასრულებდა იგი პოპულარულ სიმღერას „ავე მარიას", რომელიც ბევრი აღიარებული მომღერლის რეპერტუარშია შეტანილი. ჯილდამ იგი ახალი მტრიხებითა და ნიუანსებით, სავსებით განსხვავებული ინტერპრეტაციით წარმოუდგინა მსმენელს.

ერთგული ამხანაგი და მეგობარი, ყველასათვის საყვარელი და მოსიყვარულე, სიმღერის სიყვარულით შთაგონებული და სიმღერის სამსახურში დაფერფლილი — ასეთად დარჩება ჯილდა დათუაშვილი ყველასათვის, ვინც კი იცნობდა მის პიროვნებასა და შემოქმედებას.

მოამაგე მასწავლებელმა სანდრო მირიანაშვილმა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის თავკაცებთან ერთად საკუთარი მხრებითა და საკუთარი სიმღერით უკანასკნელად გამოაცილეს ჯილდა დათუაშვილი მშობლიური ინსტიტუტიდან დაგვრჩა მხოლოდ მოგონება, რომელიც არ წაიშლება, სანამ არსებობს ქართული სიმღერა.

მისი ხანმოკლე, მაგრამ შინაარსიანი ცხოვრების შესანიშნავ ფურცლებს ეძღვნება თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში დადგმული ბიუსტი, მოსკოვსა და თბილისში გამოცემული წიგნები, აგრეთვე, საკავშირო (მაშინდელი) თუ საზღვარგარეთის პრესაში გამოქვეყნებული სტატიები, ნარკვევები...

ქალაქის აღმასკომმა დააარსა ჯილდა დათუაშვილის სახელობის პრიზი.



დავით დოიაშვილი

დავით თეიმურაზის ძე დოიაშვილი — რეჟისორი, კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მთავარი რეჟისორი. ნარმომობით კახეთიდან არია — გურჯაანის რაიონიდან (ს. ჩალაუბანი). 1988 წელს დაამთავრა თბილისის 130-ე საშუალო სკოლა, ხოლო 1993 წელს საქართველოს თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტი დიდი ქართველი რეჟისორის მიხეილ თუმანიშვილის ხელმძღვანელობით. თეატრალური საზოგადოების ყურადღება მიიპყრო უკვე მისმა სტუდენტურმა დადგმებმა (ი. ბაბელის „მარია", 1991 და გ. ფლობერის „მადამ ბოვარი", 1993), ხოლო კინოშაობიობთა თეატრში განხორციელებულმა სადიპლომო სპექტაკლმა „ცხოვრება იდიოტისა" (აკუტაგავას მოთხრობების მიხედვით) საყოველთაო აღიარება მოიპოვა.

გარდა დასახელებული სპექტაკლებისა, რეჟისორმა განახორციელა შემდეგი დადგმები: შექსპირის „მეფე ლირი" (1995), ჟ. ანიუს „მედეა" (1995), ჰ. ვაისის „მარატ-სადი" 1996 წ., ა. მილერის „სეილემის პროცესი" (1996), ა. ჩეხოვის „სამი და" (1997), მ. დოიაშვილის „ია, ია" (1997), ო. უაილდის „სალომეა" (1998) და სხვ.

ახალგაზრდა რეჟისორს საერთაშორისო აღიარება მოუტანა უ. შექსპირის „მეფე ლირმა" (ლირის როლში — ოთარ მელვინეთუხუცესი), რომელმაც ედინბურგის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე დიდი გამოხმაურება ჰპოვა. გამოქვეყნდა ათამდე რეცენზია, მასალები გადაეცა ინგლისის რადიოთი და ტელევიზიით. ამ აღიარების კიდევ ერთი დადასტურება იყო ინგლისის ცნობილ თეატრ „პლეიჰაუზში" განხორციელებული ა. მილერის „სეილემას პროცესი", რასაც ბრიტანული პრესის ასეთივე მაღალი შეფასება მოჰყვა. დ. დოიაშვილის დადგმებმა ნარმატებით მოიარა ლიტვის, პოლონეთის, ჩეხეთისა და რუმინეთის სცენები.

1998-1999 წლებში დ. დოიაშვილი იყო კ. მარჯანიშვილის სახელობის აკადემიური თეატრის მთავარი რეჟისორი.

„ვიყავი მარჯანიშვილის თეატრში. „მეფე ლირი" ვნახე. კიდეც ვუთხარი ბატონ ოთარ მელვინეთუხუცესს, ამ შესანიშნავ კოლექტივს და სრულიად ახალგაზრდა რეჟისორს ბატონ დავით დოიაშვილს, მის ახალგაზრდა კოლეგებს, რომ ეს იყო არა ერთი სასნაული, არამედ სასნაულთა ფოიერვერკი"

ე. შევარდნაძე.

„ამ ცოტა ხნის წინათ მთავარ რეჟისორად დაინიშნა დავით დოიაშვილი. ახალგაზრდა ნიჭიერი რეჟისორი ჯერ მხოლოდ 26 წლისაა და ეს იშვიათი, განსაკუთრებული შემთხვევაა თეატრის ისტორიაში. მან ორი სპექტაკლი დადგა — შექსპირის „მეფე ლირი" და ჩეხოვი „სამი და" სპექტაკლებმა თეატრსა და რეჟისორსაც სახელი მოუტანა"

ოთარ მელვინეთუხუცესი.

„24 წლის ვუნდერკინდი დავით დოიაშვილი რადიკალურად ცვლის მეფე ლირს... დავით დოიაშვილი ბრწყინვალე იდეებით აღსავსე სცენების დადგმის ოსტატია..."

მაიკლ მილინგტონი, *გაზეთი „გარდიანი" (ინგლისი)*

„ვიცი, მაგრამ მაინც დაუჯერებელია, რომ 22 წლის ასაკში დათო დოიაშვილმა ამგვარი გადაწყვეტისა და აზროვნების სპექტაკლი შექმნა... მიუხედავად პოლონეთის თეატრის წარმოდგენებისა, დღეს ქართული თეატრი ერთ-ერთ ნამყვან თეატრად მიმაჩნია მთელ ევროპაში"

ადამ ხანუშკევიჩი *(პოლონეთი)*

თეიმურაზ დოიაშვილი

ლიტერატურისმცოდნე, კრიტიკოსი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი. შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ნაბყვანი მეცნიერ თანამშრომელი, ჟურნალ „ლაშარის" მთავარი რედაქტორი. საქართველოს მწერალთა და ჟურნალისტთა კავშირების წევრი.

თეიმურაზ იოსების ძე დოიაშვილის მშობლები წარმოშობით კახეთიდან არიან. მამა — გურჯაანისა, ხოლო დედა — სიღნაღის რაიონიდან. 1965 წელს დაამთავრა თბილისის 35-ე სკოლა, 1970 წელს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1970-73 წლებში გაიარა ასპირანტურის კურსი ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში. 1974 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია („ევფონიის ფუნქცია ლექსში"), ხოლო 1995 წელს სადოქტორო დისერტაცია („გალაკტიონ ტაბიძის სახეობრივი აზროვნება").

სხვადასხვა დროს იყო მთავარი რედაქტორი საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალებისა: „კრიტიკა", „ქართული მწერლობა", „ცისკარი", „ლაშარი". არჩეული იყო საქართველოს მწერალთა კავშირის კრიტიკის სექციის ბიუროს თავმჯდომარედ. მიღებული აქვს მწერალთა კავშირის პრემია ნლის საუკეთესო კრიტიკული ნაშრომისათვის.

თ. დოიაშვილი ავტორია ოთხი წიგნისა: „ლექსის ევფონია" (1981), „ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები" (1982), „დაკარგული გასაღების ძიებაში" (1985, ლ. ბრეგაძესთან თანაავტორობით) და „გუშინ, დღეს, ხვალ" (1989). გამოქვეყნებული აქვს ასზე მეტი გამოკვლევა და წერილი ლიტერატურის თეორიის, ისტორიისა და კრიტიკის პრობლემებზე.

გიორგი ვარაზაშვილი

1914-1945

1971 წელს იტალიელებმა ფორე მოსულიშვილის დარად, კიდევ ერთი ქართველი დააჯილდოვეს „ბრინჯაოს მედლით" მხედრული მამაცობისათვის სიკვდილის შემდეგ. ეს არის გიორგი დიმიტრის ძე ვარაზაშვილი, დაბადებული 1914 წლის 12 მაისს გურჯაანის რაიონის სოფ. ჯიმითში, მეორე მსოფლიო ომის (1939-45 წწ.) დროს იტალიის ნინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილე.

1940 წელს დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემიის ქანდაკების ფაკულტეტი და იმავე წელს გაინვიეს წითელ არმიაში. 1941 წელს დაჭრილი ტყვედ ჩავარდა. 1942 წელს ტყვეობას თავი დააღწია და ბრიანსკის ტყეებში პარტიზანულ რაზმში იბრძოდა. 1943 წელს კვლავ ტყვეობაში იმყოფებოდა ფაშისტურ საკონცენტრაციო ბანაკებში (იუგოსლავია, იტალია). 1944 წელს ტყვეობიდან გაიქცა და „კაპიტან მონტის" ფსევდონიმით იბრძოდა იტალიის პარტიზანულ რაზმში „პიავეში" 1945 წლის 6 თებერვალს იტალიელმა ფაშისტებმა დაზვერვაზე წასულ გ. ვარაზაშვილს და ორ იტალიელ პარტიზანს ალყა შემოარტყეა და ტყვედ დანებება მოსთხოვეს. გიორგი ვარაზაშვილმა ტყვეობას სიკვდილი ამჯობინა და ხელყუმბარა აიფეთქა.

იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტის 1971 წლის 25 იანვრის დადგენილებით, გ. ვარაზაშვილი სიკვდილის შემდეგ დააჯილდოვეს ბრინჯაოს მედლით „მხედრული მამაცობისათვის

გაიოზ კახელი ჩალათაშვილი

1850-1910

ძველ საჭიდაო წრეებში ცნობილი იყო გაიოზ კახელის ფსევდონიმით მოასპარეზე მოჭიდავე იოსებ ჩალათაშვილი, ერთობ საინტერესო პიროვნება.

პოემაში „კაკო ყაჩაღი" დიდმა მნერალმა ილია ჭავჭავაძემ მთავარ გმირად სინამდვილეში არსებული პიროვნება გამოიყვანა – კარდანახელი გლეხი ივანე ჩალათაშვილი – ბატონისაგან გამწარებულს გაუხარაშვილი რომ შეარქვეს, პოემაში კი კაკო ბღაჭიაშვილად არის წარმოდგენილი.

ივანე ჩალათაშვილს ერთი ვაჟიშვილი დარჩა – იოსები, რომელიც, როგორც მოგახსენეთ, გაიოზ კახელის ფსევდონიმით გამოდიოდა საჭიდაო სარბიელზე. გაიოზ კახელი და კულა გლდანელი ერთ პერიოდში ჭიდაობდნენ და ორჯერ შეხვედრიან ერთმანეთს სარბიელზე.

ამბობენ, ერთი სანახაობის (ჭიდაობის) შემოსავალი კულა გლდანელს გაიოზ კახელისთვის დაუთმია, მას კი მაშინვე გამოუსყიდია ბატონისაგან წართმეული მამისეული კარმიდამო...

ირაკლი კახელი ვაჩნაძე

1890-1919



ავადაზნაურული გვარის წარმომადგენელი, ულამაზესი გარეგნობის მქონე ირაკლი ილიას ძე ვაჩნაძე, მართალია, არცთუ ისე დიდხანს გამოდიოდა საჭიდაო სარბიელზე, მაგრამ მოკლე ხანში მაყურებელთა აშკარა სიმპათია და პატივიცემა დაიმსახურა. ირაკლი თბილისის ქართულ გიმნაზიაში, შემდეგ მეორე კომერციულ სასწავლებელში სწავლობდა. ირაკლი ვაჩნაძე თავისი მოხდენილობით დიდად პოპულარული იყო იმდროინდელ თბილისელ მანდილოსნებში და არამარტო მათთვის...

ახვათა შორის, კომპოზიტორმა ზაქარია ფალიაშვილმა ოპერა „აბესალომ და ეთერში" ირაკლის, როგორც კარგ მედოლეს, ერთ-ერთ დადგმაში დოლი დააკვრევინა.

ირაკლი ვაჩნაძე მოჭიდავედ გამოზარდა შაშო ვერელმა, რითაც ამაყობდა კიდეც მისი მასნავლებელი.

1911 წელს ირაკლი კახელმა ტანის სილამაზის კონკურსშიც გაიმარჯვა. იმავე წელს ირაკლი შეებრძოლა კლემენტი ბულს და შესანიშნავი გამარჯვება მოიპოვა. მაყურებელი ამას ნამდვილად არ მოელოდა და ოვაცია გაუმართა ირაკლი კახელს. შემდეგ გრ. ნავთლუღელი და ს. ჯაფარიძეც დაამარცხა.

საყოველთაოდ გახმაურდა ირაკლი ვაჩნაძისა და ირანელი ფალავნის ახკი სულეიმანის ჭიდაობის ამბავი. ეს საინტერესო ჭიდაობა დიდუბეში „გრიშუას ბაღში", „კნიაზების კრუგს" რომ ეძახდნენ, იქ გამართულა. ჭიდაობის საცქერლად მილეთის ხალხი შეკრებილა. ეტლების რიგს, თურმე, ბოლო არ უჩანდა... ამ ჭიდაობის ერთ-ერთი მსაჯი ყოფილა შესანიშნავი მომღერალი, „საქართველოს ბულბულად" წოდებული ვანო სარაჯიშვილი.

ირაკლი ვაჩნაძეს ზორბა სულეიმანი კარგა ხნის ბრძოლის შემდეგ სარმით ძირს დაუნარცხებია ორთავ ბეჭით. სულ ორჯერ ნაუქცევია კახელს სულეიმანი.

ამბიდერო მოსამსახურე, ოფიცერი ირაკლი ვაჩნაძე პირველი მსოფლიო ომიდან დაბრუნებული 1919 წელს ცხენიდან გადმოვარდა და ავადმყოფობის მერე 29 წლის ასაკში გარდაიცვალა. დაკრძალულია მშობლიურ სოფელ კოლაგში.

კარლო კობერიძე

ქართველი მწერალი კარლო ალექსანდრეს ძე კობერიძე დაიბადა 1931 წლის 27 ნოემბერს გურჯაანის რაიონის სოფ. შაშიანში, მასწავლებლის ოჯახში. მამა ადრე გარდაეცვალა. გაიზარდა უკიდურეს სიდუხჭირეში. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტში, პირველი ლექსი დაბეჭდა 1952 წელს ჟურნალ „პირმშოში", ხოლო მისი პირველი წიგნი გამოსცა „ნაკადულმა" 1959 წელს. არის ორმოცდაათამდე წიგნის ავტორი.

კარლო კობერიძის პროზა ლაღი, ხატოვანი ქართულით, შთამბეჭდავი ხასიათებით და საინტერესო, იუმორჩატანებული სიუჟეტებით გამოირჩევა.

არავითარი მიძალება სიტყვასთან, არავითარი პაუზები, ენანყლიანი მთხრობელი გვიამბობს და გვაიძულებს, სულგანაბული ვუსმინოთ. არ ვიცი, ვინ თქვა პირველად — „ერთი ამოსუნთქვით იკითხება", მაგრამ მშვენიერი ფრაზაა, კარლო კობერიძის მოთხრობებიც ერთი ამოსუნთქვით იკითხება.

ახლა კარლო თელავში ცხოვრობს და მწერალთა კავშირის კახეთის განყოფილების ჟურნალს — „ალაზანს" უნარიანად რედაქტორობს.

ისევ ძველებურად ფიცხი და კეთილი, მუდამ სამეგობროდ ხელგაწვდილი და დაჩაგრული კაცის მოსარჩლე კარლოა.

რამდენი კარგი ნერილი მახსოვს კარლო კობერიძისა მისთვის ჩვეული პუბლიცისტური მრისხანებით დანერილი.

ერთი სურვილი: თელავის სახელოვანი თეატრიდან კარლო ორ ნაბიჯზე ცხოვრობს, როდის ვნახავ მისი პროზის კარგ ხასიათებს თელავის სცენაზე გაცოცხლებულს?

თუმცა ჩვენში ხომ შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვს.

რევაზ მიშველაძე

ელგუჯა ლებანიძე

ჟურნალისტი ელგუჯა მიხეილის ძე ლებანიძე დაიბადა 1937 წლის 8 ნოემბერს გურჯაანის რაიონის სოფ. მუკუზანში.

ოციანი წლების მინურულს რაჭაში სახლკარჩამორთმეული მისი მამა-პაპა კვაშხიეთიდან აიყარა და კახეთში დასახლდა. მამა — მიხეილ ლებანიძე რამდენიმე წელი ცხოვრობდა თელავში. ჰქონდა პურის საცხობი, მაღაზია და საკუთარი სახლი. იქაც არ მოასვენეს — ოცდაათიანი წლების დასაწყისში ყველაფერი აუწერეს. ამ დროს პაპა მუკუზნის რკინიგზის სადგურში მუშაობდა. მამამ თელავში სასწრაფოდ გაყიდა ყველაფერი და მუკუზანში დასახლდა.

აი ამ სოფელში მოევლინა ქვეყანას ე. ლებანიძე 1937 წლის 8 ნოემბერს. იგი ამაყობს იმით, რომ დიდი ილიას დაბადების ზუსტად მე-100-ე წლისთავზე მოევლინა იგი ამ ქვეყანას. არანაკლებ ახარებს სხვა რამაც: დედამისი თინა ძამუნაშვილი, ჭავჭავაძეთა ბრწყინვალე მამულის — ნინანდლის შვილი გახლდათ.

ე. ლებანიძემ 1956 წელს გაასრულა ველისციხის საშუალო სკოლა, იმავე წლის შემოდგომაზე გაინვიეს ჯარში. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის განყოფილებაზე. სტუდენტობისას იქორწინა თანაკურსელ ლამარა ესართიაზე. უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე მეუღლესთან ერთად სამუშაოდ წავიდა ახმეტის რაიონულ გაზეთ „ბახტრიონის" რედაქციაში. და ოთხი წლის განმავლობაში იყო ამ გაზეთის რედაქტორი.

1972 წლის ბოლოს საცხოვრებლად თბილისში გადმოვიდნენ. მუშაობდა სხვადასხვა რედაქციებში. ყველაზე დიდხანს, 14 წელი შემორჩა „სოფლის ცხოვრებას". იყო კორესპონდენტი, განყოფილების გამგე. მერე იყო გაზეთები „სიმართლე", „საქმიანი კვირა"... სადაც რედაქტორის მოადგილის მოვალეობას ასრულებდა. ამჟამად „საქართველოს რესპუბლიკის" მიმომხილველია.

ჰყავს ორი შვილი — შორენა და მირიანი. ორივემ მშობლებს მიბაძა: ჟურნალისტები არიან.

1990 წელს ეკონომიკის თემაზე გამოქვეყნებული ნარკვევებისათვის ე. ლებანიძეს მიენიჭა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრემია.

1996 წლიდან ინტენსიურად მუშაობს პროზაში. გამოცემული აქვს ნოველების რვა კრებული. მათი მთავარი გმირები სოფლის გამრჯე ადამიანები არიან.

ე. ლებანიძე დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

თომა მთავრიშვილი

1859-1928

ექტომბრის რევოლუციამდელ ქართველ მასწავლებელთა სახელოვან პლეადას უნდა მიეკუთვნოს ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე თომა აბრამის ძე მთავრიშვილი.

თომა მთავრიშვილი დაიბადა სიღნაღის მაზრაში, სოფ. ჯიმითში (ახლანდელი გურჯაანის რაიონი) 1859 წლის 6 ოქტომბერს. მის სახლს არც ჭერი ჰქონია, არც იატაკი, არც ფანჯრები; შუა ცეცხლისაგან ადენილი ბოლით ჩალის სახურავი გიშერივით ბრნყინავდაო, — იგონებს თომა მთავრიშვილი. თომას დედას, კარდანახელი ბერიძის ქალს, წერა-კითხვა სცოდნია და კარგად ჰქონია შესნავლილი ხელსაქმე. ამიტომ სოფ. ჯიმითია შეძლებულ ოჯახთა პატარა ქალები მასთან წერა-კითხვასა და ხელსაქმეს სწავლობდნენ.

ექვსი წლის თომა მამას სოფ. ჯიმითის სამრევლო სკოლაში მიუბარებია, სადაც მასწავლებლად სემინარიის კურსდამთავრებული მღვდელი დ. შიშნიაშვილი ყოფილა, რომელიც მოსწავლეთა წარმატებაზე ნაელვად ზრუნავდა და დროს უმთავრესად ნადირობაში ატარებდა. ამ სკოლაში თომა სამ წელიწადს დარჩენილა და შეუსწავლია ქართული წერა-კითხვა, ხუცური ანბანი და დავითნის კითხვა.

1881-82 სასწავლო წლის სექტემბერიდან ქუთაისის სააზნაურო სკოლას ორი განყოფილება უნდა მიმატებოდა, მე-3 და მე-4 პარალელური. საჭირო იყო ორი მასწავლებლის მონვევა; ერთი მათგანი იყო თბილისის საოსტატო ინსტიტუტის ახლად კურსდამთავრებული თომა აბრამის ძე მთავრიშვილი. „ჩემი საუკეთესო დღენი 33 წლის განმავლობაში ამ სასწავლებელს შევალიე, — აღნიშნავს თომა მთავრიშვილი, — და არცა ვნანობ, რომ ასე მოვიქეცი. ჩემი გულითადი სურვილი იყო მეშრომა ქართულ სასწავლებელში და კიდეც ამისრულდა ეს ნატვრა" ინტერესს მოკლებული არ არის თომა მთავრიშვილის აზრი ქუთაისის სააზნაურო სკოლის პირველი ინსპექტორის მისი ხელმძღვანელის ალექსი ჭიჭინაძის შესახებ: „მე, როგორც გამოუცდელ მასწავლებელს, ხელმძღვანელად ისეთი დახელოვნებული და მაღალ ნიჭიერი პედაგოგი შემხვედა, როგორიც იყო ან განსვენებული ალექსი ბესარიონის ძე ჭიჭინაძე (გარდაიცვალა 1916 წელს). ის იყო განხორციელებული ენერგია, შრომის მოყვარული ადამიანი, სასწავლებლის წარმატების სურვილით გატაცებული. მე არ ვიცნობ მეორე ამისთანა თავგანწირულ ადამიანს: სასწავლებელში ყველაზე ადრე უნდა მოსულიყო და ყველაზე გვიან უნდა წასულიყო. სასწავლებელს არ მოსცილდებოდა, სანამ არ დარწმუნდებოდა, რომ ყველაფერი რიგზედ არის მოწყობილი. დაღლა მისთვის არ არსებობდა, მთელი დღე ნაყოფიერად მუშაობდა და ხშირად შუაღამემდი იჯდა ერთ უბრალო ოთახში და სასწავლებლის წარმატებაზე ფიქრობდა და შრომობდა. ამასთან ფრიად სამართლიანი, მიუდგომელი და უანგარო ადამიანი იყო. ერთხელ შემოლებულ წესს არც თვითონ არღვევდა და არც სხვას დაარღვევინებდა. ამიტომაც მის დროს დაწყებითი სასწავლებელი და მასთან არსებული ოთხკლასიანი პროგიმნაზია საუკეთესო მდგომარეობაში იყო. . . . მე დიდი მადლობელი ვიყავი მისი, და, ეფიქრობ, არც ის იყო ჩემით უკმაყოფილო, რადგან კარგად ხედავდა, რომ სწავლის საქმეს გულგრილად არ ვეკიდებოდი და სრული ჩემის ძალღონით სასწავლებელს ერთგულად ვემსახურებოდი"

თომა მთავრიშვილს, როგორც კარგ მასწავლებელს, სათანადო შეფასებას აძლევდა იაკობ გოგებაშვილიც. ქ.შ.ნ.კ. გამავრცელებული საზოგადოების გამგეობის სხდომაზე, 1898 წლის 3 აგვისტოს, მან წინადადება შეიტანა, ქუთაისის სააზნაურო სოკლის მასწავლებელი თომა მთავრიშვილი დაჯილდოებულ იქნას პროგიმნაზიულ კლასებში გადაყვანით ან გაკვეთილების შემცირებით ჯამაგირის შეუმცირებლადო. მართლაც, მალე თ. მთავრიშვილი პროგიმნაზიულ კლასებში გადაიყვანეს.

თომა მთავრიშვილს, რომლის ავტობიოგრაფია დაწერილია მისი მოხუცებულობის წლებში, დავინყებია, რომ ის „ივერიაზე" ადრე თანამშრომლობდა გაზ. „დროებაში" და ქუთაისის გაზ. „შრომაში" ფსევდონიმებით — კახელი თომა და ზიარელი თ., რომლებმიც აშუქებდა კახეთის გლეხკაცობის გაჭირვებულ მდგომარეობას, სკოლების საჭიროებას

ნიკო მთვარელიშვილი

1844-1923

ეცხრამეტე საუკუნის სამოციანი წლების გამოჩენილი ქართველი მოღვაწეების ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილის, ნიკო ცხვედაძის და პეტრე უმიკაშვილის წრეში ტრიალებდა ქართველი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ნიკოლოზ (ნიკო) ვასილის ძე მთვარელიშვილი, ეს უანგარო მოღვაწე მათთან ერთად მონაწილეობდა მრავალ კულტურულ საქმის წამოწყებაში.

ნიკოლოზ ვასილის ძე მთვარელიშვილი დაიბადა 1844 წელს გურჯაანის რაიონის სოფელ ურიათუბანში (ახლანდელი ვაზისუბანი), სოფლის მღვდლის ოჯახში.

თელავის სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ნ. მთვარელიშვილი სწავლას აგრძელებს თბილისის სასულიერო სემინარიაში. სემინარიის დამთავრების შემდეგ უბრუნდება თელავის სასულიერო სასწავლებელს, სადაც 4 წლის განმავლობაში მასწავლებლობს. აღებულ ხელფასს აგროვებს, რათა სწავლა გააგრძელოს. მიემგზავრება პეტერბურგში, ეწყობა სასულიერო აკადემიაში, სადაც 4 წელი დაჰყო. აკადემიის დამთავრების შემდეგ სამშობლოში ბრუნდება თელავის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად.

ნ. მთვარელიშვილი თავისი მოღვაწეობით მოსწავლეებს უნერგავდა პროგრესულ აზრებს, რაც გახდა მიზეზი მისი სამსახურიდან დათხოვნისა. იგი სამუშაოს საძებნელად მიემგზავრება თბილისში, სადაც დიდი ნვალების შემდეგ მუშაობას ინყებს სათავადაზნაურო სკოლაში ქართული ლიტერატურისა და ისტორიის მასწავლებლად. იგი აქაც შესანიშნავ პედაგოგად იქნა აღიარებული.

ნიკო მთვარელიშვილი ნაყოფიერ პედაგოგიურ მუშაობასთან ერთად საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწეოდა. იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების აქტიური მუშაკი, მისი მდივანი და გამგეობის წევრი.

ნ. მთვარელიშვილი სისტემატურად ათავსებდა ლიტერატურულ-სამეცნიერო სტატია-ნარკვევებს ქართულ ჟურნალ-გაზეთებში, იგი თანამშრომლობდა „ივერიაში", „საქართველოს მოამბეში" და „მწყემსში", სადაც საკუთარ გვარსა და სახელთან ერთად „ქართლოსასძის" ფსევდონიმითაც წერდა.

ნიკო მთვარელიშვილი გამუდმებულმა მუშაობამ ადრე გატეხა და ჩამოაშორა ქართველ მოღვაწეთა სახელოვან პლეადას. მან ადრე დაკარგა მხედველობა და მიატოვა თბილისი, რის შემდეგაც დაუბრუნდა მშობლიურ სოფელს, ურიათუბანს. იგი 1923 წლის 2 ოქტომბერს გარდაიცვალა.

ლევან მუღალაშვილი

1872-1955

ქართული ხალხური სიმღერის ოსტატი ლევან დავითის ძე მუღალაშვილი დაიბადა 1872 წელს სოფ. გურჯაანში, ღარიბი გლეხის ოჯახში.

ლევანის მამას, დავითს ათი შვილი ჰყავდა. პატარა ლევანმა ყრმობის წლები მოჯამაგირეობაში გაატარა.

ბავშვობაში ლევანს არ უსწავლია, რადგან სოფ. გურჯაანში არსებულ სამკლასიან აასწავლებელში იმ დროს მოსწავლეთა მიღება კენჭის ყრით ყოფილა. მას ბედმა არ გაუღიმა, წერა-კითხვა მხოლოდ სამხედრო სამსახურში ყოფნის დროს (1893-97 წწ.) უსწავლია.

1897 წელა დემობილიზაციის შემდეგ თბილისში ინჟინერ პასეკის ქარხანაში დარაჯად დაუწყია მუშაობა. ამ მუშაობის პერიოდში ლევანს გაუცნია სემინარიელი მოსწავლე პეტრე კაპანაძე. ამ კაცმა დიდი გავლენა იქონია ლ. მუღალაშვილის ცხოვრებაზე, მან შთაუნერგა ქართული ხალხური სიმღერების სიყვარული, რაც ლევანს სიცოცხლის ბოლომდე შემორჩა.

თბილისიდან დაბრუნებისთანავე ლევან მუღალაშვილი გატაცებით ეწაფება ქართული ხალხური სიმღერების შესწავლა-დამუშავებას. გარშემო იკრებს დაინტერესებულ ახალგაზრდებს და საფუძველს უყრის მომღერალთა ჯგუფის ჩამოყალიბებას...

ლევანმა შეისწავლა და დაამუშავა ქართული ხალხური სიმღერები. მისი დამსახურება იმდენად დიდი იყო, რომ 1923 წელს მადლიერმა მსმენელებმა სიყვარულით აღნიშნეს მისი მოღვაწეობის 25-ე წლისთავი. მან გააძლიერა გუნდი, გაამდიდრა რეპერტუარი, მალე მისმა გუნდმა რესპუბლიკაში გაითქვა სახელი. იგი წარმატებით მონაწილეობდა საქართველოს რესპუბლიკურ ოლიამპიადაში.

მის რეპერტუარში შედიოდა შემდეგი ხალხური სიმღერები: „ძველი დაინგრა", "ერი ჩემი", „ჩემო კარგო ქვეყანავ", „ელეგია", „თქვენი ჭირიმე", „ერთხელ ვნახე გლეხის ქალი", „სიმღერა შოთა რუსთაველზე", „ხელში ავიღებ ჩანგურს", „ტყემ მოისხა ფოთოლი", „ქალი ვნახე ფეხშიშველი", „ჰერი, ჰერი", „ტაძარი", „პაპა მყავდა მეომარი", „დიდება შენდა", „მორბის არგვი", „განთიადი", „ლაჟვარდი ცაზე", „პაწაწინა იადონი", „დაიგვიანეს", „სალამურსა გულში ჩავწვდი", „შეეჩვია ტანჯვა-ვაებას გული", „და კარგია სამშობლო", „ტანგო", „მხოლოდ შენ ერთს", „ლალე, ლალე" და მრავალი სხვა.

ქართველი ერის ერთ-ერთმა გამოჩენილმა მოღვაწემ, კახური სიმღერების ოსტატმა და შემნახველმა, საკუთარი სიმღერების შემდგენელმა, 52 წელი იმოღვაწა .

ლ. მუღალაშვილი გარდაიცვალა 1955 წლის 31 იანვარს. დაკრძალულია სოფ. გურჯაანში.

გიორგი როგიტაშვილი

1906-1987

გიორგი ვლადიმერის ძე რობიტაშვილი დაიბადა 1906 წელს გურჯაანის რაიონის სოფელ ახაშენში, მასნავლებლის ოჯახში.

1931 წელს, ამიერკავკასიის რკინიგზის საინჟინრო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, იგი დატოვეს საავტომობილო გზების კათედრაზე ასისტენტად, სადაც 1936 წლამდე ასრულებდა დოცენტის მოვალეობას, ამავე დროს შეითავსებით მუშაობდა ამიერკავკასიის საგზაო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. 1937 წლიდან 1939 წლამდე ხელმძღვანელობდა რესპუბლიკის გზატკეცილების მთავარი სამმართველოს საგეგმო განყოფილებას. 1939-42 წლებში ამავე სამმართველოს მთავარი ინჟინერია. 1942 წლის თებერვალში დაინიშნა სამმართველოს უფროსად, ხოლო 1968-84 წლებში იყო საქართველოს სსრ საავტომობილო გზების მინისტრი.

დიდია გ. რობიტაშვილის დამსახურება საქართველოს საავტომობილო გზების განვითარების საქმეში. მისი ხელმძღვანელობის პერიოდში რესპუბლიკის მანამდე ჩამორჩენილი და საკმაოდ შეზღუდული საგზაო ქსელი თანამედროვე კეთილმოწყობილ ავტომაგისტრალების სისტემად გადაიქცა.

დიდი სამამულო ომის პერიოდში იგი იყო ინიციატორი და აქტიური მონაწილე იმ საავტომობილო გზების და ხელოვნურ ნაგებობათა მშენებლობისა, რომლებსაც საარსებო მნიშვნელობა ჰქონდა კავკასიის ფრონტისათვის და გარკვეულწილად განაპირობა აქ საბრძოლო ოპერაციების წარმატება.

დიდია გ. რობიტაშვილის ღვაწლი საგზაო დარგის ინჟინერ-ტექნიკური კადრების აღზრდის საქმეშიც. იგი ენეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას, არის მთელი რიგი სახელმძღვანელობის ავტორი გზების მშენებლობისა და ექსპლოატაციის დარგში, გამოქვეყნებული აქვს 30-მდე სამეცნიერო შრომა.

გ. რობიტაშვილი ფართო საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა. არჩეული იყო საქართველოს სსრ მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე და მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

ხელისუფლებამ ღირსეულად დააფასა მისი დამსახურება, იგი დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით, ოქტომბრის რევოლუციის, სამი შრომის ნითელი დროშის, ნითელი ვარსკვლავის ორდენებით და მედლებით.

მიხეილ რჩეულიშვილი

1906-1987

ბოტანიკოსი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი მიხეილ დიმიტრის ძე რჩეულიშვილი დაიბადა 1907 წლის 19 დეკემბერს გურჯაანის რაიონის სოფ. ვაზისუბანში.

1929 წელს დაამთავრა თსუ აგრონომიული ფაკულტეტი. 1958წ. საქართველოს მეცხოველეობისა და ვეტერინარიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეა სამეცნიერო ნაწილში. ამავე ინსტიტუტში მისი ხელმძღვანელობით დაარსდა გენეტიკის განყოფილება. 1976 წელს მისივე თაოსნობით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიურ ინსტიტუტთან დაარსდა მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლების ბიოლოგიური საფუძვლების ლაბორატორია. მ. რჩეულიშვილმა გამოიკვლია და დაამუშავა მომთაბარე მეცხოველეობის და იონალიზაციისა და ინტენსიფიკაციის ორიგინალური სისტემები, საქართველოში პირველმა დაიწყო მომთაბარე მეხორცული მეცხვარეობისა და ექსტრემალურ პირობებში ზებუსთან შეჯვარებით მეხორცული მეძროხეობის შესწავლა, აგრეთვე, ადგილობრივი ცხვრის გენოფონდის გამოკვლევა და ენდემურ სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა გენოფონდის დაცვისა და გამოყენების პრობლემების დამუშავება. 1975-79 წწ. მ. რჩეულიშვილი საქართველოს გენეტიკოსთა და სელექციონერთა საზოგადოების პრეზიდენტი იყო. 1976 წლიდან იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეცხოველეობის ინტენსიფიკაციის პრობლემების სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით და მედლებით.

გიორგი გულო რცხილაძე

1909-1969

ეის სამუშაო ოთახში რომანტიკული ატმოსფერო სუფევს. ნიგნის თაროები, დაობლებული ფორტეპიანო, მრავალფეროვანი ფირფიტები... აქ უცხოვრია ზედმინევნით საინტერესო კაცს, აქ გაუტარებია სიჭარმაგის ნლები, აქვე გამოთხოვებია ძალიან ლამაზ, შინაარსიან სიცოცხლეს.

გიორგი (გულო) რცხილაძე დაიბადა 1909 ნელს გურჯაანოს რაიონის სოფ. შაშიანში.

არსებობს ადამიანი, რომელიც ინტელიგენტი ხდება თავისი საერთო განვითარებით, მნიგნობრობით, ინტელექტით, ესე იგი, ყოველივე ეს შეძენილი, შეთვისებული ცოდნის ნაყოფი გახლავთ. მაგრამ არის ინტელიგენტთა კიდევ ერთი განსხვავებული კატეგორია, რომელსაც, ყველა ამ თვისების გარდა, თანდაყოლილი სულიერი სიმდიდრეც გამოარჩევს. ასეთებს გაცილებით ნაკლებად ვხვდებით და მათ ფიგურალურად სულიერი ინტელიგენტები შეიძლება ვუნოდოთ.

ასეთი ფიქრები გიპყრობს ძალაუნებურად, როცა ცდილობ, რამდენიმე ძუნნი შტრიხით წარმოადგინო ერთი კაცური კაცის პორტრეტი. ეს გიორგი რცხილაძე გაბლავთ, ჩვენი ძია გულო, ქართული სპორტის მშვენება, მისი სიამაყე და სინდისი.

გულო რცხილაძე! რაოდენ კეთილშობილურ, რაინდულ, სასახელო ასოციაციებს ინვევს ამ სახელის გაგონებაც კი, რამდენად მშობლიური, ახლობელი, ძვირფასი გრძნობები იბადება იმათ გულში, ვისაც მასთან სიახლოვის ბედნიერება რგებია.

მე არასდროს მინახავს ძია გულო ტანვარჯიშულ იარაღზე, არასდროს განმიცდია მისი მაგიური პედაგოგიური ალღო. ყოველივე ეს ჩემთვის ან ნაკითხულით, ან ზეპირი გადმოცემით არის ცნობილი. და იყო ამ ნაამბობში ისეთი რამ, რაც ადამიანს ლეგენდად აქცევს. მასზე ლაპარაკობდა ყველა — ძველი და ახალი თაობების ნარმომადგენლები, ტანმოვარჯიშეები და ფეხბურთელები, მოფარიკავეები და მძლეოსნები, მწერლები და მხატვრები... თითოეული მათგანი გულო რცხილაძის პიროვნებაში პოულობდა იშვიათ თვისებებს, რაც მხოლოდ ერის კაცს შეიძლება ახასიათებდეს.

გულო რცხილაძე კლასიკური მუსიკით ყოფილა გატაცებული. კონსერვატორიაშიც უსნავლია, ფორტეპიანოსთან ატარებდა დღეებსა და თვეებს... მერე ამ კაცმა დათმო უძლიერესი გატაცება, რათა თავის საყვარელ ტანვარჯიშს დაბრუნებოდა. არის ამ დაბრუნებაში რაღაც სიმბოლური და თავისებური: ბედნიერია, ვინც ადრეულ სიჭაბუკეშივე მიაგნებს თავის ნამდვილ მონოდებას.

გულო რცხილაძემ დიდი საქმე გააკეთა ეროვნული ტანვარჯიშისათვის, თუმცა სიცოცხლის ბოლო დღეებამდე არც ფორტეპიანოსთვის უღალატია. დიდუბის ქუჩაზე მცხოვრებთ ახლაც კარგად ახსოვთ სახლი, საიდანაც თითქმის ყოველ საღამოს იღვრებოდა ბეთჰოვენის, ლისტის, შოპენის მომაჯადოებელი ჰანგები.

— მის სამუშაო ოთახში რომანტიკული ატმოსფერო სუფევს. ნიგნის თაროები, დაობლებული ფორტეპიანო, ფირფიტები... აქ უცხოვრია ზედმინევნით საინტერესო კაცს, აქ გაუტარებია სიჭარმაგის ნლები, აქვე გამოთხოვებია ძალიან ლამაზ, შინაარსიან სიცოცხლეს, რომელიც ქართული სპორტის ისტორიაში თავისებურ ლეგენდად შევიდა.

გიორგი რცხილაძე გარდაიცვალა 1969 განისვენებს დიდუბის პანთეონში.

ვასილ ვასო რცხილაძე

1860-1920

ამოჩენილ ქართველ მოღვაწეთა შორის ვასილ რცხილაძეს ერთ-ერთი საპატიო ადგილი უჭირავს. იგი აქტიურად მონაწილეობდა ილია ჭავჭავაძის მეთაურობით დაწყებულ ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. ვ. რცხილაძე მოწინავე, პროგრესული იდეების მიმდევარი და სიმართლისა და ჭეშმარიტების დაუღალავი მქადაგებელი იყო. მან გამოსცა მრავალი სახელმძღვანელო, რომლის შემოსავალი ხმარდებოდა ქართულ უნივერსიტეტს. თავდადებულმა მამულიშვილმა მთელი ენერგია მშრომელ ხალხს და საყვარელ სამშობლოს მოახმარა.

ვასილ ილიას ძე რცხილაძე დაიბადა 1860 წელს სოფელ შაშიანში (თელავის მაზრა). დედის სურვილით 11 წლის ვასილი სასწავლებლად მიაბარეს საცხენისის სკოლაში. აქ ქართულ ენას არ ასწავლიდნენ და ქართველი ბავშვები აუტანელ მდგომარეობაში იყვნენ. ამიტომ ვ. რცხილაძე ორი წლის შემდეგ თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტში გადავიდა. იქ ვასილმა ჩამოაყალიბა ლიტერატურული წრეები ლეგალური მუშაობისათვის. კურსი 19 წლისამ დაამთავრა, შემდეგ აქტიურად ჩაება ხალხოსნურ მოძრაობაში. ვასილი სხვა ამხანაგებთან ერთად ესწრებოდა ფარულ კრებებს ავლაბარში, სადაც საუბრობდნენ პოლიტიკურ საკითხებზე. მათ ჰქონდათ საბეჭდი მანქანა, რომლითაც ბეჭდავდნენ პროკლამაციებს და ღამით კედლებზე აკრავდნენ.

80-იან წლებში იგი ჭრელაშვილთან ერთად დაუახლოვდა „ქარგალთა კავშირს" ამ კავშირის მესვეურის, მ. ჩოდრიშვილის დახმარებით მოინვია ქართველი მუშების გაერთიანებული კრება. ვასილი მუშებს ესაუბრა საქართველოს წარსულ ისტორიაზე, რუსეთის თვითმპყრობელობის მძიმე უღელზე, ეროვნულ ჩაგვრასა და სხვა საჭირბოროტო საკითხებზე. ასეთ კრებებს იგი ხშირად მართავდა მოწინავე მუშების დახმარებით.

ვ. რცხილაძე მუშების საშუალებით ხალხში ავრცელებდა პროკლამაციებს. რცხილაძის ასეთი მოქმედება მეფის მოხელეებს მხედველობიდან არ გამოპარვიათ და მას დევნა დაუნყეს. ვ. რცხილაძე ამხანაგების დახმარებით ახერხებს შვეიცარიაში წასვლას.

ჟენევაში ვასილი ცხოვრობდა გრესოს ოჯახში, სადაც რევოლუციონერები იკრიბებოდნენ და საუბრობდნენ პოლიტიკურ საკითხებზე.

1884 წელს ვასილ რცხილაძე შედის ჟენევის უნივერსიტეტში, სადაც ორი წელი დაჰყო. მიუხედავად იმისა, რომ მეფის მთავრობა ალმაცერად უყურებდა, მაინც თბილისში დაბრუნდა. აქ მან მეფის მთავრობის დევნის თავიდან ასაცილებლად მასწავლებლობა დაიწყო (1884-1900), ხოლო შემდეგ ინსპექტორად მუშაობდა სახელოსნო სასწავლებელში (1892-1898 წწ.).

თბილისის სახელოსნო სასწავლებელში მოღვაწეობის პერიოდში ვ. რცხილაძემ რუსულიდან თარგმნა და 1897 წელს გამოსცა როსკოს ქიმია, რაც იმ დროისათვის დიდ მოვლენად ითვლებოდა .

ვ. რცხილაძე სამწერლო ასპარეზზე გამოდის გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან. იგი ქართულ ჟურნალ-გაზეთებში ათავსებდა სხვადასხვა შინაარსის, უმეტესად კი სასოფლო-სამეურნეო ხასიათის წერილებს. გამოსცა რამდენიმე წიგნი: „ნიადაგი", „იონჯა", „საკვები ბალახები" და სხვ. თარგმნა, შეადგინა და გამოსცა: „ქიმია"როსკოსი (სასკოლო სახელმძღვანელო), 1897; „კრებული არითმეტიკული ამოცანებისა", ნაწ. II, 1898;

„შვეიცარიის ძირითადი კანონები", 1906; „ბუნების მოვლენათა აღწერა", 1905; „მცენარენი და ცხოველნი", 1913.

ამ გამოცემათა შემოსავალი თბილისის სახალხო უნივერსიტეტს გადაეცა.

ვ. რცხილაძე არჩეული იყო ქართული დრამატული და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებების წევრად.

1907 წელს ვ. რცხილაძის აქტიური მონაწილეობით დაარსდა სახალხო უნივერსიტეტი, რომლის თავმჯდომარედ მუშაობდა დაარსებიდან 1915 წლამდე. ვასილი დღედაღამ უნივერსიტეტში ტრიალებდა. ბევრი ტანჯვა და უსიამოვნება შეხვდა მეფის მთავრობის მოხელეებისაგან, როცა მათ გაიგეს, რომ ამ დაწესებულების უფროსი ვასილი იყო (ისინი ვ. რცხილაძეს მეტსახელად წითელს ეძახდნენ). რამდენიმე ხნის შემდეგ მთავრობამ სახალხო უნივერსიტეტში აკრძალა ქართულ და სომხურ ენებზე ლექციების კითხვა, ბოლო თვით რცხილაძე დააპატიმრეს. განთავისუფლების შემდეგაც მას არ შეუწყვეტია საზოგადოებრივი საქმიანობა.

1909 წელს თავისი ხარჯით (1914 წლიდან კი ჟურნალი ქართული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ხარჯზე გამოდის) დააარსა სამეურნეო ჟურნალი „მოსავალი"

მოსკოვიდან კონსტანტინე ბერეკაშვილი ვ. რცხილაძეს წერს: „საფრანგეთიდან დავბრუნდი და „მოსავლის" რედაქციიდან მოწოდება დამიხვდა ჟურნალში თანამშრომლობის შესახებ. ჟურნალის გამოცემას და დაფუძნებას აღტაცებით ვეგებები და გამარჯვებას გისურვებთ მთელის გულით. რასაკვირველია შეძლებისდაგვარად შრომას არ დავიზარებ ჟურნალში"

ვ. რცხილაძის მიზანი იყო, კახეთში დაეარსებინა სასოფლო-სამეურნეო სკოლები. მას ღრმად სწამდა, რომ ჩვენი გლეხკაცობა მხოლოდ მაშინ ეღირსებოდა ბედნიერ ცხოვრებას, როცა ცოდნით აღიჭურვებოდა და მინას სწორად დაამუშავებდა.

მრავალფეროვანია ვასილ ილიას ძე რცხილაძის მოღვაწეობა, რომელიც ძალმომრეობის მძიმე წლებში ქედს არ იხრიდა საფრთხის წინაშე და მსხვერპლად ეწირებოდა სამშობლოს თავისუფლებისა და ბედნიერების წმინდა საქმეს. იგი მთელი არსებით დაკავშირებული იყო ხალხთან, ბრნყინვალედ იცოდა მისი მრავალსაუკუნოვანი წარსული და დარწმუნებული იყო მის კარგ მომავალში.

ვასილ რცხილაძე გარდაიცვალა 1920 წელს. იგი დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.



ვიქტორ რცხილაძე



საქართველოს პოლიგრაფიული და საგამომცემლო საქმის სამსახურის თავმჯდომარე, ჟურნალ „რელიგიის" მთავარი რედაქტორი ვიქტორ გიორგის ძე რცხილაძე დაიბადა 1941 წლის 10 მარტს ქ. თბილისში. მისი წინაპრები არიან ცნობილი პედაგოგები და საზოგადო მოღვაწენი, რომელთაგან ოთხი დიდუბის პანთეონში განისვენებს.

1964 წელს ვ. რცხილაძე ამთავრებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტს. ბედის ირონიით, იმავე წელს აპატიმრებენ მოსკოვში და ათავსებენ „ბუტირკის" ციხეში იმის გამო, რომ ვერ აიტანა ქართული ეროვნული ღირსების შეურაცხყოფა. გათავისუფლების შემდეგ იგი ინტერესდება რელიგიის საკითხებით და იწყებს თვითგანვითარებას. 1974 წლიდან იგი ერთ-ერთი დამაარსებელია საქართველოში მოქმედი „ადამიანის უფლებათა დაცვის საინიციატივო ჯგუფისა", ხოლო 1976 წლიდან — „ჰელსინკის ჯგუფისაც". 1977 წლის დასაწყისიდან ამის გამო დევნას შეეწროებას განიცდის და მალე აპატიმრებენ კიდეც. სუკ-ის შიდა საპატიმროში ერთი წლის ყოფნის მერე, ქ. ტაშკენტის ციხის გავლით, ასახლებენ შორეულ ყაზახეთში, ჩინეთის საზღვრის მახლობლად, დახურულ „სასაზღვრო ზონაში"

საქართველოში დაბრუნების შემდეგ კარგან ხანს უმუშევრად ამყოფებენ. ბოლოს მუშაობას იწყებს თბილისის სახელმწიფო მუზეუმში მეცნიერ-თანამშრომლად, ამავე დროს მოღვაწეობს „სამსახურებრივი მოხმარებისათვის" განკუთვნილ ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ჟურნალ „საღვთისმეტყველო კრებულში", სადაც 1982 წლიდან აქვეყნებს თარგმანებს და ორიგინალურ თხზულებებს რელიგიის ფსიქოლოგიისა და საღვთისმეტყველო საკითხებზე. 1988 წელს მერაბ კოსტავასთან ერთად გამოსცემს წმ. დავით აღმაშენებლის ქართველ ქრისტიანთა კავშირის თვითგამოცემას, ჟურნალ „ძელი ყვავარიტს", რომელშიც თეოლოგიური საკითხების გვერდით მწვავე პოლიტიკური საკითხებიც განიხილება.

1990-1991 წლებში ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის მიწვეული ლექციებს კითხულობს თეოლოგიის ისტორიაში.

იმავე დროს ვ. რცხილაძეს ირჩევენ საქართველოს ეროვნული კონგრესის წევრად, სადაც იმყოფება კონგრესის თვითლიკვიდაციამდე.

1992 წლიდან პირველი პარლამენტის შექმნამდე იგი საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს წევრია.

1992 წელს აარსებს ჟურნალ „რელიგიას", რომლის მთავარი რედაქტორია დღემდე. ამავე დროს არის საქართველოს რესპუბლიკის პოლიგრაფიისა და საგამომცემლო საქმის კორპორაციის თავმჯდომარე. ჟურნალში აქტიური მოღვაწეობის გარდა იგი ავტორია ორი წიგნისა: „სულთა გამოცხადებანი და სპირიტიზმი ბიბლიისა და ქრისტიანულ-მართლმადიდებლური რწმენის სამსჯავროზე" (თბ., 1992 წ.), „ქართველები გერმანული დროშის ქვეშ მეორე მსოფლიო ომში" (თბ., 1994 წ.).

1994 წელს ვ. რცხილაძეს მიენიჭა ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო ქართულ-ევროპული ინსტიტუტის საგანგებო პრემია ა. ბრუნერის „ფილოსოფიის ძირითადი საკითხების" გერმანულიდან თარგმანისათვის.

გიგო რცხილაძე

1876-1934

XX ე-20 საუკუნის დასაწყისის გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი ლიდერი და მისი ნამყვანი თეორეტიკოსი გრიგოლ (გიგო) სიმონის ძე რცხილაძე დაიბადა ცნობილი მღვდელმთავრის – საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის მთავარი ხაზინადარის ოჯახში. მან იურიდიული განათლება ისევე, როგორც მისმა უმცროსმა დებმა, ნინომ და მარიამმა, დასავლეთ ევროპაში მიიღო. ნინო (ნუცა) პირველი ქართველი სტომატოლოგი ქალია, რომელმაც უმაღლესი განათლება ვარშავაში მიიღო, ხოლო მარიამმა დაამთავრა სორბონის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. 1918-21 წლებში გიგო რცხილაძე ასრულებდა კონსულის მოვალეობას იტალიაში. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის თბილისის უნივერსიტეტის დაარსებაში.

ირაკლი რცხილაძე

1900-1974

პროფესორი ირაკლი მიხეილის ძე რცხილაძე დაიბადა 1900 წლის 10 ოქტომბერს თელავის მაზრის სოფელ შაშიანში პედაგოგის ოჯახში. 1907 წელს სწავლა დაიწყო თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში, რომლის დამთავრების შემდეგ ორი წელი სწავლობდა სამხატვრო აკადემიაში, ხოლო 1921 წელს სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე. 1928 წლიდან 1933 წლამდე იგი პროფ. მარიამ უგრელიძის კათედრაზეა ორდინატორად, ამავე დროს მუშაობს საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროში ბავშვთა ბაგების, საბავშვო ბაღებისა და სანატორიუმების განყოფილების ნამყვან თანამშრომლად. ამ პერიოდში მის მიერ დაარსებული და გახსნილია ბავშვთა კვების სამზარეულოები, ბაგები და მრავალი სანატორიუმი (წაღვერი, პატარა ცემი, წყნეთი, კოჯორი, ჯავა და სხვ.) 1933 წლიდან ი. რცხილაძე პროფ. ნანეიშვილთან სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიის კათედრაზეა ასისტენტად. 1939 წელს იცავს საკანდიდატო დისერტაციას თემაზე: „ქოლეციტოპათიები ბავშვთა ასაკში", რომელიც გამოიცა მონოგრაფიის სახით და მაღალი შეფასება დაიმსახურა, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. 1940 წლიდან იგი ამავე კათედრაზე მუშაობს დოცენტის თანამდებობაზე. 1944 წელს პროფ. პ. ნანეიშვილის გარდაცვალების შემდეგ, ხდება პედიატრიის კათედრის გამგე. 1947 წ. ირაკლი რცხილაძე იცავს სადოქტორო დისერტაციას.

ირაკლი რცხილაძის მეცნიერული კვლევის დიაპაზონი უაღრესად ფართოა. მან პროფ. ნანეიშვილთან ერთად დაიწყო მუშაობა ტუბერკულოზური მენინგიტის კლინიკის და დიაგნოსტიკის საკითხებზე და შეიმუშავა ამ დაავადების განკურნების ორიგინალური გზა სტრეპტომიცინის სუბოქციპიტალურად შეყვანის უნიკალური მეთოდით. იგი შეისწავლიდა კუჭ-ნაწლავის ქრონიკულ და მწვავე დაავადებებს, მრავალი შრომა მიუძღვნა ფილტვის პათოლოგიებს და ჩამოაყალიბა პნევმონიების ახალი კლასიფიკაცია და პნევმონიების მკურნალობის თანამედროვე მიდგომა. მის მეცნიერულ მოღვაწეობაში დიდი ყურადღება ეთმობა ალერგიების და ბრონქული ასთმის ეთიოლოგიის და პათოგენეზის დადგენის საკითხებს. მისი ბოლო წლების გატაცება იყო ნეფროლოგიის და ჰემატოლოგიის საკითხებზე მუშაობა.

ლიდია პროფ. ი. რცხილაძის დამსახურება მოსახლეობის სამედიცინო განათლების სფეროში. მან მრავალი საგაზეთო სტატია, ბროშურა და მონოგრაფია მიუძღვნა ბავშვის აღზრდისა და მოვლის საკითხებს.

ირაკლი რცხილაძის მეცნიერულმა მოღვაწეობამ ასახვა ჰპოვა არა მხოლოდ მის მრავალრიცხოვან სამეცნიერო შრომებსა და მონოგრაფიებში, არამედ მისი მრავალი მონაფის კანდიდატად და სადოქტორო დისერტაციებშიც. 1965 წელს, 65 წლის ასაკში ჯერ კიდევ ფიზიკურად და გონებრივად სრულიად ჯანმრთელმა კათედრის გამგეობა გადასცა თავის ერთ-ერთ მონაფეს, პროფ. მერი გელოვანს. ირაკლი რცხილაძე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა სტუდენტების აღზრდას, რაც გამოიხატებოდა ავადმყოფების ყოველდღიურ დილისა და საღამოს კლინიკურ შემოვლებში, სტუდენტთა სამეცნიერო წრეების ხელმძღვანელობაში და უმაღლესი დონის, თანამედროვე ლექციების მომზადებაში.

იგი მთელი სიცოცხლის მანძილზე დიდ ზრუნვასა და სიყვარულს იჩენდა მშობლიური რაიონის მიმართ, რის საპასუხოდ მადლიერმა სოფლის მოსახლეობამ სკოლის 100 წლის იუბილეზე, ირ. რცხილაძის სახელი მიანიჭა შაშიანის საშუალო სკოლას. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიულ ფაკულტეტზე მისი სახელობის 2 სტიპენდია დაინიშნა.

შაქრო სამადაშვილი

1916-1995

იქნება მითხრან.
ახლა რა დროს ბუნარიო,
მისი ბიალ-ცეცხლი
ახლა ვიღას უნარიო

სსოვს სხვა ინტერეს.
ტეხრუჯიდან რაც სურს. რაც უნდა.
ეგ ისევ მსიბლიკეს.
ძაყარს მისი ცეცხლი Oპუნუნა.
ოიაცა ეგზეზეს
ეს ბუნარი ამისეული —
ალ ტკანია.
ტეიბუნეს მშობლის სხეული.

ქართველი მწერალი შაქრო სამადაშვილი დაიბადა 1916 წელს გურჯაანის რაიონის სოფ. ბაკურციხეში.

აი, რას წერს მასზე მისი ბავშვობის მეგობარი მწერალი კარლო კობერიძე:

„ჩვენს გვერდით მყოფ სიჭაბუკე გამოვლილ კაცს წლების დამღას ვერ ვამჩნევთ — გვგონია, გაცნობის დღიდან სულ ასეთი იყო. თვალხელშუა გვიდნება წლები და ერთ დღესაც ვიგებთ, თურმე ჩვენი ცხოვრების ზამთარში გადავმდგარვართ. გონების თვალს, აი, მხოლოდ ამის შემდეგ ვატანთ ძალას და ცვლილება იმდენად აშკარაა, საკუთარ თავს საყვედურებით ვავსებთ, აქამდე ხალხი ვერ შევამჩნიეთო, თუმცა, სხეულის გარდაუვალი სიბერე სულის სიბერესაც არ ნიშნავს“

ეს იყო შორეულ წარსულში, 1976 წელს, როდესაც „მწერალ შაქრო სამადაშვილს 60 წელი შეუსრულდა. ამ კეთილ კაცზე ფიქრმა, მასთან ნლობით ურთიერთობამ, ბევრი ნათელი დღე გამახსენა, რამაც ბუნებრივად დაბადა ეს პატარა ექსკურსი.

შაქრო სამადაშვილს იმ დროიდან ვიცნობ, ბავშვობიდან აკვიატებული მწერლობისკენ მიმავალი გზა მოსკენებას რომ არ მაძლევდა, გაუბედავ სტრიქონებსა ვნერდი — ვცოდვილობდი და მაცოდვილებდნენ. არასოდეს დამავიწყდება მისი მეგობრული რჩევა-დარიგება. მისი გადამდები, ხალასი ოპტიმიზმი.

ნიშანდობლივია, რომ მრავალ წელს მასწავლებლობდა თავის მშობლიურ სოფელ ბაკურციხეში, მომავალი თაობის ღირსეულად აღზრდა თავისთავად ტოლფასოვანია მწერლური პროფესიისა, მაგრამ ავადმყოფობამ ადრე გაიყვანა პენსიაში და მის შემოქმედებასაც ბარაქა დაედო...

შაქრო სამადაშვილის ლექსები და მოთხრობები მართლაც თავისებური ნიმუშია გულნრფელობის, სიკეთის, სიყვარულისა, მამულის სიყვარული, როგორც ყოველი ჭეშ-მარიტი მწერლის შემოქმედებაში, აქაც უპირველესად არის ნარმოჩინებული...

ერთ ლექსში პოეტი საკუთარ გულს ეკვედრება:

დაკეცილნო.
ეულნო. სიკვდილს რისთვის მიქადი.
ტირვა. მოფცილდი.
ძმაშე სენო. რა დიდხანს მეძრახ!
რაიკარ მინდ.
რაიკარ მინდ დაკარგე იქამდის —
სანამ ჭკვიანქალს
ეკიკვანდე საკეთილ სენში.

ეს უაღრესად პატიოსანი და წესიერი კაცი გარდაიცვალა 1995 წელს 79 წლის ასაკში. განისვენებს დიდუბის პანთეონში.



გიორგი ტარასაშვილი

1900-1971

ნიადაგმცოდნე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი და პროფესორი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე გიორგი მიხეილის ძე ტარასაშვილი დაიბადა 1900 წლის 22 თებერვალს გურჯაანის რაიონის სოფ. ველისციხეში.

1927 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტი. 1951-70 წწ. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ნიადაგმცოდნეობის კათედრის პროფესორი იყო, შემდეგ — მეცნიერ-კონსულტანტი. შეისწავლა კახეთის რაიონების ნიადაგები. გამოიკვლია საქართველოს მაღალმთიანეთის, ალპური და სუბალპური ზონების ნიადაგები. საფუძველი ჩაუყარა მთა-მდელოს ნიადაგების სისტემატიკისა და გენეზისის შესწავლას, შექმნა შრომები ტყის ყომრალი ნიადაგების შესახებ და სხვ.

მას ეკუთვნის სახელმძღვანელოები და ნაშრომები: „ნიადაგმცოდნეობის შემოკლებული კურსი", „ნიადაგმცოდნეობა", „აღმოსავლეთ საქართველოს მთა-ტყისა და მთა-მდელოს ნიადაგები" და სხვ.

დაჯილდოებულია ორი ორდენითა და მედლებით.

ელისაბედ ტურიაშვილი

1916-1985

ქართველი სამხედრო მფრინავი ქალი, სამამულო ომის მონაწილე ელისაბედ (ლიზა) სიმონის ასული ტურიაშვილი დაიბადა 1916 წელს გურჯაანის რაიონის სოფელ კარდანახში. დაამთავრა თბილისის მე-2 საშუალო სკოლა და მუშაობა დაიწყო „საბჭოთა წერწვის" ხმის ჩამწერ საამქროში, საიდანაც კომკავშირმა სასწავლებლად თბილისის აეროკლუბში გაგზავნა. აქ ინსტრუქტორ ლ. თალაკვაძის ხელმძღვანელობით ლიზა დაეუფლა ფრენას. კურსი დაასრულა და დიდი სამამულო ომიც დაიწყო. იგი მოხალისედ ნავიდა ფრონტზე და 141-ე სანიტარულ ავიალეგიონში ჩაირიცხა.

ლ. ტურიაშვილზე, როგორც უშიშარ, მფრინავ ქალზე, ბევრს წერდნენ ზღვისპირეთის არმიისა და შენაერთის ნითელარმიული გაზეთები. სევასტოპოლის დამცველები 1941 წლის მარტ-აპრილში განიცდიდნენ მედიკამენტებისა და შესახვევი მასალების დიდ ნაკლებობას, ლიზას სამხედრო შენაერთი სევასტოპოლის დამცველებს უზიდავდა მედიკამენტებსა და სურსათს.

ლიზა საბრძოლო დავალების შესრულების დროს ოსტატურად არიდებდა თავს მტრის მზვერავ და გამანადგურებელ თვითმფრინავებს, საზენიტო არტილერიის ცეცხლის რკალს და დიდი შეტევების დროსაც კი შეუფერხებლად ამარაგებდა სევასტოპოლს საჭირო ნივთებითა და სურსათით.

მამაცმა მფრინავმა ქალმა არა ერთი მებრძოლი გადაარჩინა დაღუპვას. ერთ-ერთი საბრთოლო გაფრენის დროს, ლიზამ შეამჩნია დაჭრილი და მისაშველებლად მინაზე დაეშვა. თვითმფრინავი ჭაობიან ადგილზე დაჯდა და თვლები ტალახში ჩაეფლო. იგი მტერმა შეამჩნია, დაუშინეს ცეცხლი და მის ხელში ჩასაგდებად გამოეშურნენ. ლიზა მაინც არ დაიბნა. მტერს რომ ხელში არ ჩაეგდო თვითმფრინავი, ააფეთქა მანქანა. შემდეგ დაჭრილი მებრძოლი ზურგზე წამოიკიდა და მინაზე ფორთხვით გაჭირვებით მიაღწია ჩვენი ჯარის განლაგებამდე.

ერთხელ, საბრძოლო დავალების შესრულების შემდეგ, უკან დაბრუნებისას, მისი თვითმფრინავი მტრის ცეცხლის რკალში მოხვდა. ლიზამ და შტურმანმა მიხეილ შიშინმა დავალება შეასრულეს, მაგრამ ორივენი მძიმედ დაიჭრნენ. სამი თვე ჰოსპიტალში ინვა, განკურნებია შემდეგ კი დაუბრუნდა მოქმედ არიმას.

ჩრდილო კავკასიის განთავისუფლების შემდეგ ლ. ტურიაშივლი ბელორუსიის მეორე ფრონტის მე-4 საჰაერო არმიის 144-ე დივიზიის სანიტარული ავიაციის ლეგიონში ჩარიცხეს.

ბელორუსიის განთავისუფლების შემდეგ მფრინავი ლ. ტურიაშვილი იბრძოდა პოლონეთში, შემდეგ კი გერმანიაში და ომი ბერლინის მისადგომებთან დაამთავრა. რაიხსტაგზე თავისი ავტოგრაფი დატოვა.

უფროსი ლეიტენანტის ლ. ტურიაშვილის საბრძოლო გზა აღინიშნა დიდი სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენით, საბრძოლო მედლებითა და მრავალი სიგელით.

დიმიტრი შალიკაშვილი

1896-1978

შალიკაშვილთა პირვანდელი გვარი როჭიკაშვილი ყოფილა. შალიკაშვილებს მჭიდრო კავშირი ჰქონიათ ილია ჭავჭავაძის ოჯახთან.ამას თუნდაც ასეთი ფაქტი მოწმობს:

1880 წელს, როდესაც ილია ჭავჭავაძესა და ნიკო ნიკოლაძეს შორის ცხარე კამათი დაიწყო „ივერიისა" და „დროების" ფურცლებზე, ნიკო ნიკოლაძემ ილია დუელში გამოიწვია. ილიას სეკუნდანტები იყვნენ იოსებ შალიკაშვილი, დ. შალიკაშვილის მამა და ნ. ერისთავი, ხოლო ნიკო ნიკოლაძისა — პოეტი სიმბირსკი და დ. გურამიშვილი. ორივე მხარის სეკუნდანტების ჩარევისა და მცდელობის შედეგად დუელი არ შედგა და, საბედნიეროდ, საქმე შერიგებით დამთავრდა...

რუსეთის იმპერიისა და შემდეგ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის ოფიცერი დიმიტრი იოსების ძე შალიკაშვილი დაიბადა 1896 წელს გურჯაანში.

დიმიტრი შალიკაშვილს როგორც მამის, ასევე დედის მხრიდან შესანიშნავი ნინაპრები ჰყავდა.

დიმიტრის პაპა ივანე იოსების ძე შალიკაშვილი (1813-1860) რუსეთის საიმპერიო არმიის გენერალ-მაიორი იყო. მას ცოლად ჰყავდა გულბაათ ჭავჭავაძის ასული დარია.

დიმიტრის მამა იოსებ ივანეს ძე შალიკაშვილი (1847-1904) სანკტ-პეტერბურგის კადეტთა კორპუსში სწავლობდა...

დიმიტრის დედის, ნინო დიმიტრის ასულ სტაროსელსკაიას დედა — ეკატერინე თავად თადეოზ ზაალის ძე გურამიშვილის ასული იყო. თადეოზ გურამიშვილი ქართლის ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი მემამულე — მარიამ ციციშვილის დედის ძმისწული იყო. თადეოზის მამა ზაალი მარიამ დედოფლის დედის — ელენეს ძმა, ხოლო დედა, ნინო — ზაზა ანდრონიკაშვილის და. ეკატერინეს დედა ადრე გარდაიცვალა, თადეოზს მისგან დარჩა ორი ასული — ეკატერინე და ოლღა.

ეკატერინე გათხოვდა დიმიტრი სტაროსელსკიზე, ხოლო ოლღა — ილია ჭავჭავაძეზე. ამგვარად, ეკატერინე (ნინოს დედა) და ოლღა — ილია ჭავჭავაძის მეუღლე — დები იყვნენ. დიმიტრის ბებიას, ეკატერინეს ჰყავდა სამი ვაჟი და ხუთი ქალიშვილი. აქედან უფროსი იყო ნინო, დიმიტრის დედა.

1957 წელს რუსულ ენაზე დაწერილ თავის „მოგონებებში" დიმიტრის მოკლედ აქვს აღნერილი ილიას მკვლელობის ამბავი, რის შემდეგაც, ილიას დაქვრივებულ და დაავადებულ მეუღლეს ოლღას, თავისი დისწული, — დიმიტრის დედა, ნინო უვლიდა.

1914 წელს გიმნაზიადამთავრებული დ. შალიკაშვილი პეტერბურგში პაჟთა კორპუსის სამხედრო სასწავლებელში ჩაირიცხა, რომლის დამთავრების შემდეგ რუსეთ-გერმანიის ფრონტზე იბრძოდა. 1918 წელს, საქართველოში დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ, იგი სამშობლოში დაბრუნდა და მონაწილეობდა ახალი სახელმწიფოს მშენებლობაში.

1921 წელს დიმიტრი შალიკაშვილი ანკარაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საელჩოს თანამშრომელი იყო...

დიმიტრი შალიკაშვილს ჰყავდა ძმა — დავითი (1886-1940) და და — თამარი (1888-1955).

1921 წლის თებერვალში საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ძმები შალიკაშვილები იძულებული გახდნენ, ემიგრაციაში წასულიყვნენ, ხოლო მათი და — თამარი დედასთან ერთად თბილისში დარჩა.

აღსანიშნავია, რომ ემიგრაციაში მიმავალ პოლკოვნიკ დავით შალიკაშვილს, როგორც თავის საუკეთესო მეგობარს, საკუთარი ხმალ-ხანჯალი მიაბარა საქართველოს ეროვნულმა გმირმა, ლეგენდარულმა ქაქუცა (ქაიხოსრო) ჩოლოყაშვილმა, რომელიც დ. შალიკაშვილს პარიზში ჩასვლისთანავე დაუბრუნებია ქაქუცასათვის...

ემიგრაციაში გახიზნულმა დიმიტრი შალიკაშვილმა თავი პოლონეთს შეაფარა.

1942 წელს დიმიტრი შალიკაშვილი მაიორის წოდებით მსახურობდა გერმანიის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში მყოფ საჯარისო შენაერთ „ქართულ ლეგიონში" შალიკაშვილის გერმანელების მხარეზე ბრძოლას, არაერთი ქართველი ემიგრანტის მსგავსად, საქართველოს ბოლშევიკური რეჟიმისაგან განთავისუფლების სურვილი განაპირობებდა.

მაიორი დ. შალიკაშვილი 1944 წლის ივნისამდე (მეორე ფრონტის გახსნამდე) — ნორმანდიაშია (ჩრდილოეთ საფრანგეთში), ხოლო ივნისიდან — 1945 წლის მაისამდე ჩრდილოეთ იტალიაში იმყოფებოდა. იგი ტყვედ ჩაუვარდა ინგლისელებს , რომლებმაც 1946 წელს გაათავისუფლეს.

ჯონ მალხაზ შალიკაშვილი

ბოსფლიოს პირველი გენერალი, როგორც მას უწოდებენ, ჯონ (მალხაზ) დიმიტრის ძე შალიკაშვილი დაიბადა 1936 წლის 27 ივნისს ქალაქ ვარშავაში, განათლებული და ნარჩინებული ოფიცრის ოჯახში. იცის გერმანული, პოლონური და ინგლისური ენები. 32 წელზე მეტია, მსახურობს ჯარში. იყო ვიეტნამსა და კორეაში, აქტიური მონაწილეობა მიიღო ერაყ-ქუვეითის ომში...

ამბობენ, რომ მან, ბავშვობაში, ცხადია, მამის დიდი მეცადინეობით, ქართულიც დიდებულად აითვისა, მაგრამ, სამწუხაროდ, დიმიტრის გარდაცვალების შემდეგ მშობლიურ ენაზე მოუბარი არავინ ჰყოლია და თავისი მამა-პაპის ენაც დავინყებია... ორმოციან წლებში შალიკაშვილების ოჯახი ამერიკაში გადასახლდა და პატარა მალბაზმა იქ მიიღო განათლება. ამის მერე იყო ბრედლის უნივერსიტეტი, სადაც მან მეცნიერების ბაკალავრის ხარისხი მიიღო. ცოტა ხანს ინჟინერ-მექანიკოსად იმუშავა, შემდეგ კი სნავლა ვაშინგტონის უნივერსიტეტში განაგრძო და სრული კურსის გავლის შემდეგ მათემატიკის მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხი მიენიჭა. მოგვიანებით, ახლობლების რჩევით, სამხედრო განათლებას იღებს. სნავლობდა ჯერ საველე არტილერიის სკოლაში, შემდეგ სამხედრო საზღვაო სარდლობის კოლეჯში და მისი დასრულების შემდეგ ძალიან მალე აუყვა დიდების გზას. ნიჭიერი და გამჭრიახი კაცი მალე შეამჩნიეს. ცოდნამ და ერუდიციამ, აგრეთვე, ორგანიზატორულმა ნიჭმა, თავისი სიტყვა თქვა და მალე იგი ერთ-ერთ თვალსაჩინო სამხედრო პირად აღიარეს მსოფლიოს ყველაზე დიდ და ძლიერ ქვეყანაში... ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბების უფროსთა კომიტეტის თავმჯდომარის თანაშემწე; გერმანიაში განლაგებული ამერიკის მეშვიდე არმიის მეთაური, ხოლო ხუთი წლის განმავლობაში (1987-1992) ევროპაში ნატოს ჯარების მთავარსარდლის თანაშემწე, ცოტა ხანში კი ამ მეტად მნიშვნელოვანი სამსახურის ხელმძღვანელი და ბოლოს, მეტად მკაცრი კონკურსის შედეგად, ქართული გენის კაცი ჯონ (მალხაზ) შალიკაშვილი სათავეში ჩაუდგა ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბების უფროსთა კომიტეტს... ასეთი მაღალი სამხედრო მნევრეალი საქართველოს გარეთ მცხოვრებ არც ერთ ქართველს არ დაუპყრია.

თუ არ ვცდები, ამ პლანეტაზე უფრო დიდი და პრესტიჟული სამხედრო თანამდებობა არც არსებობს...

როგორც მიამბეს, არანაკლებ საინტერესო კაცი გახლავთ მისი ძმა, ბატონი ოთარ შალიკაშვილიც, ასევე სამხედრო პირი, რომელიც რამდენჯერმე იყო წინაპართა სამშობლოში.

ბატონი ჯონ (მალხაზ) შალიკაშვილი იქ, შორეულ ამერიკაში, დიდი შემართებით ენევა ქართულ ჭაპანს და ბევრს, ძალიან ბევრს ფიქრობს საქართველოზე. შესანიშნავად იცის გენერალმა, რომ მძიმე აღმართზე შემდგარ მის სათაყვანებელ სამშობლოს დიდი სიძნელეები აქვს დასაძლევი და ბევრს აკეთებს მათ გადასალახავად...

ბატონ ჯონ (მალხაზ) შალიკაშვილის სტუმრობის დროს იყო საოცარი, როგორც თვითონ სტუმრებმა ბრძანეს, დაუვინყარი შეხვედრები: თელავში დიდი ერეკლეს მუზეუმში,

წინანდალში და, რაღა თქმა უნდა, გურჯაანში. წინაპართა მიწის შვილები სიმღერით, ცეკვით და საოცარი წითელი ვარდებით შეხვდნენ ამერიკელ სტუმრებს. თუმცა არა! ორივე ძმამ ერთდროულად თქვა: ჩვენ სტუმრები არა ვართ, ჩვენ შინ, საკუთარ სახლში დავბრუნდით. საუცხოოდ მოვლილ ეზო-კარში შალიკაშვილებსა და მათ თანმხლებ პირებს დიდებული სადილი და კონცერტი გაუმართეს.

როცა სვეტიცხოველში მალხაზ შალიკაშვილმა წმინდა გიორგის სანთელი აუნთო, მის თვალებში ცრემლი აკიაფდა. მოგეხსენებათ, გენერლები იშვიათად ტირიან...

და ბოლოს, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, საქართველომ, კონკრეტულად კი გურჯაანმა და თელავმა, დიდი სიყვარულით ჩაიკრა გულში ნანატრი შვილი. ყვავილები, ღიმილი, კეთილგანწყობა წამითაც არ მოჰკლებია გენერალს... მასპინძლებმა სტუმარი პირველ რიგში სოფელ ვეჯინის ამაღლებულ კომპლექსში აიყვანეს, სადაც გენერლის მამა-პაპის საფლავებია... ამან ისე იმოქმედა ბატონ მალხაზზე, რომ გულაჩუყებულმა სთხოვა იქაურებს: პირობა მომეცით, ჩემი აღსრულების შემდეგ სწორედ აქ მიმიჩენთ საუკუნო განსასვენებელსო...

დიდხანს სიცოცხლე ვუსურვოთ ჩვენ დიდებულ და საამაყო მამულიშვილს და იმედი ვიქონიოთ, რომ იგი სიცოცხლეშივე დაუბრუნდება მამა-პაპეულ მინა-წყალს, თავის სამშობლოს.

მ. ბერაძე

კოტე ჩოლოყაშვილი

ქართველი მეცნიერი, ეთნოგრაფი, საქართველოს თავადაზნაურთა და მათთა თანამდგომთა წინამძღოლი კოტე კონსტანტინეს ძე ჩოლოყაშვილი დაიბადა 1922 წლის 18 აგვისტოს თბილისში.

ბოლშევიკებმა საქართველო რომ გაანთელეს, უპირველესად საუკეთესოებს დაერინენ, მათ შორის კ. ჩოლოყაშვილის მამა, 28 წლის კოტე ჩოლოყაშვილიც აღმოჩნდა, რომელიც არა მარტო იმიტომ დახვრიტეს, რომ ჩოლოყაშვილი იყო, იგი ქაქუცა ჩოლოყაშვილს — „ბანდიტური გამოსვლების" თავკაცს ეხმარებოდა. ასე რომ, ორი კვირის კოტეს კარგა ხნით აეკრძალა მამა-პაპის გვარის ტარება და ჩერქეზიშვილი გახდა (დედის გვარია).

— მამაჩემი რომ დახვრიტეს, დედაჩემს მამიდაჩემებთანაც ვეღარ მივყავდი, საღლი ალარ გვეონდა, ისე გამოვიქეცით, რომ თან არაფერი ნამოგვილია — იხსენებს კოტე ჩოლოყაშვილი. მაგრამ ბოლშევიკების ტერორმა საბოლოოდ მაინც ვერ აღმოფხვრა ის, რასაც კაცთა შორის თანადგომა ჰქვია და იმ საყოველთაო დასმენების ხანაშიც კი ჩნდებოდნენ ისეთი ადამიანები, ვინც ხალხის „მტრების" ოჯახებს იფარებდნენ. კოტე დედაასთან ერთად გამოჩენილმა ექიმმა და მეცნიერმა ალექსანდრე ალადაშვილმა მეიფარა. მერე ყველაფერი დროის შესაფერისად, ჩვეულებრივად, ყველანაირი „ანიაზობის" გარეშე მიდიოდა. 1929-1940 წლებში სწავლობდა ქ. თბილისის 25-ე საშუალო სკოლაში. 1945 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1942 წელს მუშაობა დაიწყო საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ჯერ ბიბლიოთეკაში, ხოლო 1946 წლიდან გადაიყვანეს ეთნოგრაფიის განყოფილებაში მეცნიერ-თანამშრომლად. 1961 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე — „საქართველოში საჭურველის წარმოების ისტორიისათვის" 1963 წელს დაინიშნა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერული პროპაგანდის განყოფილების გამგედ. 1970 წელს მისი თავმჯდომარეობით საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ჩატარდა მეიარაღეთა მე-2 საკავშირო კონფერენცია. კ. ჩოლოყაშვილის მონაწილეობით ქ. რუსთავსა და ქ. ზესტაფონში დაარსდა მუზეუმები. მას დიდი წვლილი მიუძღვის ქ. თელავის და ბოლნისის მუზეუმების განახლებაში.

კოტე ჩოლოყაშვილი ასწავლიდა და ასწავლის შემდეგ სასწავლებლებში: ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიურ უნივერსიტეტში, პოლტექნიკურ უნივერსიტეტში, სამხატვრო აკადემიაში, თეატრალურ და ფიზიკულტურის ინსტიტუტებში.

1991 წელს მისი თავმჯდომარეობით დაარსდა საქართველოს სახელმწიფო ეროვნული ფონდი. 1998 წელს კოტე ჩოლოყაშვილი აირჩიეს საქართველოს თავად-აზნაურთა და მათ თანამდგომთა საკრებულოს წინამძღოლად.

კ. ჩოლოყაშვილს გამოქვეყნებული აქვს უამრავი სამეცნიერო ნაშრომი.

და ისევ გვარი, ისტორია, იარაღი — ხალიბის რკინა, მკვეთელი და საიდუმლოებით მოცული. ბატონმა კოტემ ხომ იმ ცნობილი ოსტატის რეცეპტს მიაკვლია, რომლის შესასწავლად რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზმა ზლატაუსტელი და უცხოელი ოსტატები გამოაგზავნა და წაიღო, როგორც „ოქროს საწმისი"

მე იმ გვარის წარმომადგენელი ვარ — ამბობს ბატონი კოტე, — რომელიც სულ იბრძოდა. შეიძლება ითქვას, იარაღის სიყვარული თან დამყვა. ილია ჭავჭავაძისა არ იყოს, სნორედ იარაღმა გადაგვარჩინა.

იარაღმა გადაგვარჩინა და დავრჩით ქართველებად. ამაყნი, ხანდახან უკიდეგანო — ან ძალიან კარგი, ან ძალიან ცუდი, მაგრამ მაინც ლაზათიანი და მომთმენი. გადარჩა ქართული სუფრაც და გადარჩა ის უნიკალური ინსტიტუტიც, რასაც თამადობა ჰქვია. კ. ჩოლოყაშვილიც ცნობილი თამადაა.

— ქართულმა სუფრამ დიდი საქმე გააკეთა ერთ დროს, დიდი ამბები რომ გვეკითხებოდა, მაშინ. მერე რუსეთმა ეს ყველაფერი ხელიდან გამოგვაცალა. სუფრაზე კი ვიოხებდით გულს, ისევ იმ ქართველებად ვრჩებოდით. ქართული სუფრა, ეს არის შეჯიბრიც, თამაშიც, ნარმოდგენაც — ამბობს ბატონი კოტე...

იარაღი, ქართული სუფრა, — ყველაფერი ერთად კი ქართველობას ნიშნავს. როგორც ბატონი კოტე ამბობს, ქართველობა დიდი ვალია...

კოტე ჩოლოყაშვილი უანგაროდ ემსახურება სამშობლოს და თავის საქმეზე უსაზღვროდ არის შეყვარებული. არასოდეს ყოფილა არც ერთი პარტიის ნევრი, ის მხოლოდ ეართველია და მისთვის ეს სრულებით საკმარისია.

კოტე ჩოლოყაშვილი კაცი-სიმბოლოა ყველა მთავრობისა და პარტიისათვის ხელშეუხები ავტორიტეტით, რომელიც არავის შეუქმნია და, რომელიც მხოლოდ კოტე ჩოლოყაშვილმა მოიპოვა.



სოლომონ ჩოლოყაშვილი

1883-1944

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს მევენახეობის ფუძემდებელი სოლომონ მიხელის ძე ჩოლოყაშვილი დაიბადა 1883 წლის 1 ივნისს გურჯაანის რაიონის სოფ. ბაკურციხეში.

სოლომონ ჩოლოყაშვილის დედა იმდროისათვის საკმაოდ განათლებული ადამიანი ყოფილა, მამა — სპეციალობით იურისტი, მევენახეობის დარგის დიდი მოყვარული.

პირველდაწყებითი განათლება სოლომონმა სახლში მიიღო, ხოლო შემდეგ თბილისის გიმნაზიის პანსიონატში.

როგორც ირკვევა, სოლომონის დედა ადგენდა დღიურებს იმის შესახებ, თუ როგორი წესით და მზრუნველობით ზრდიდა და უვლიდა ის თავის შვილს, პატარა სოლომონს. თვით პროფესორ ჩოლოყაშვილს უკვე გვიან, უნივერსიტეტში მუშაობის დროს, ეს დღიურები გადაუცია სპეციალისტებისათვის, როგორც საინტერესო მასალა პედაგოგიური და პედიატრიული თვალსაზრისით...

1904 წელს სოლომონ ჩოლოყაშვილმა შესასვლელი გამოცდები ჩააბარა კლოსტერნეიბურგის (ვენა) მევენახეობა-მეხილეობისა და დეკორაციული მებაღეობის უმაღლეს სკოლაში და მიიღეს მევენახეობა-მეღვინეობის განყოფილებაზე, რომელიც წარმატებით დაამთავრა 1907 წელს. სამეცნიერო მუშაობის სტაჟისათვის ის დარჩა დასახელებული უმაღლესი სკოლის სამეცნიერო ინსტიტუტის ეთნოქიმიისა და მიკრობიოლოგიის ლაბორატორიაში, სადაც მისი ხელმძღვანელები იყვნენ პროფესორი ზეიფერტი და რაიში. 1908 წელს, ევროპულ განათლებას და სასოფლო-სამეურნეო ცოდნას საკმაოდ დაუფლებული 25 წლის ახალგაზრდა სპეციალისტი სამშობლოში ბრუნდება.

სოლომონ ჩოლოყაშვილის მიერ გამოქვეყნებულმა პირველმა შრომებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს საქართველოს მევენახეობის კულტურული დონის ამაღლებაში, ამ შრომებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია „ფილოქსერა და მასთან ბრძოლა", რომელიც ცალკე ბროშურად გამოიცა.

1925 წელს, სახელმწიფო უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით, სოლომონ ჩოლოყაშვილი სამეცნიერო მივლინებით მიდის საზღვარგარეთ — საფრანგეთში, გერმანიასა და ევროპის სხვა ქვეყნებში, სადაც დაჰყო წელინადნახევარი. მუშაობდა გეიზენგეიმში პროფესორ კრემერთან და მონპელიეში აკადემიკოს რავაზთან. ამ პერიოდში ის საფუძვლიანად გაეცნო მევენახეობა-მეღვინეობის საკვლევ დაწესებულებებსა და რაიონებს საფრანგეთში, გერმანიაში, უნგრეთსა და ავსტრიაში. საზღვარგარეთიდან დაბრუნების შემდეგ სოლომონ ჩოლოყაშვილს დაავალეს მოხსენების გაკეთება საქართველოს აგრონომიულ საზოგადოებაში. ამ მოხსენებას სტუდენტებიც ესწრებოდნენ.

ახალგაზრდები დიდი ინტერესით უსმენდნენ საზღვარგარეთულ შთაბეჭდილებებს, რომლებსაც მომხსენებელი ავსებდა ცოცხალი მაგალითებით და მომავალი მუშაობის გზების დასახვით. განსაკუთრებით საინტერესო იყო მისი პასუხი შეკითხვაზე: „როგორ არის დაყენებული საზღვარგარეთ და, კერძოდ, საფრანგეთში სეტყვის წინააღმდეგ ბრძოლის საქმე და რამდენად მიზანშეწონილია ჩვენში გამოყენებული წესი?" იგულისხმებო-

და სეტყვის წინააღმდეგ იმდროისათვის ხმარებული შუშხუნები, რომელსაც საუფლისნულო მეურნეობები საფრანგეთიდან თითო ცალს 2-3 მანეთად ღებულობდნენ.

სეტყვის წინააღმდეგ ერთი ოპერაციის ჩატარება მეურნეობას უჯდებოდა 1500-2000 მანეთი ოქროთი. ამ საკითხის შესახებ, — პასუხობს სოლომონ ჩოლოყაშვილი — გამომგზავრების უკანასკნელ თვეებში საუბარი მქონდა ავსტრიელ პროფესორ-კლიმატოლოგთან, რომელმაც აღნიშნა, რომ საფრანგეთიდან მიღებულ შუშხუნებს ისეთივე სარგებლობა მოაქვს სეტყვის წინააღმდეგ, როგორც დიდ ხანძარში ჩაფურთხებას. ცოტა ხნის შემდეგ, საფრანგეთში ყოფნის დროს გავიგე, რომ აქ უკვე 2-3 წელია, რაც ასეთ შუშხუნებს არ იყენებდნენ, მაგრამ მას ამზადებდნენ ჩვენთვის და ჩვენისთანებისთვის.

ამის შემდეგ ჩვენში ხელი აიღეს სეტყვის წინააღმდეგ შუშხუნების გამოყენებაზე.

საზღვარგარეთიდან დაბრუნების შემდეგ სოლომონ ჩოლოყაშვილი განაგრძობს ენერგიულ მუშაობას როგორც უმაღლეს სასწავლებელში, ისე სხვადასხვა სამეურნეო ორგანიზაციებში. ეწევა სამეცნიერო მუშაობას და აქვეყნებს სტატიებს მევენახეობის აქტუალურ საკითხებზე.

1930 წლიდან, მევენახეობა-მეღვინეობის საკავშირო-საკვლევი ინსტიტუტის დაარსების დღიდანვე, ის ითვლებოდა ამ ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო ნაწილში. სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით, ააკავშირო ინსტიტუტი რომელიც თელავში იყო გადაკეთდა ჯერ ამიერკავკასიის, ხოლო შემდეგ საქართველოს ინსტიტუტად. სოლომონ ჩოლოყაშვილი სამეცნიერო ნაწილში მოადგილეობას ათავსებდა მევენახეობის კათედრის გამგის თანამდებობასთან.

1935 წელს იგი თავს ანებებს კვლევით ინსტიტუტში მუშაობას. სადაც თვალსაჩინო როლი ითამაშა საქართველოს ვაზის ჯიშების ამპელოგრაფიული შესწავლით, რაც მან ფართო მასშტაბით დაიწყო და, , ეს მუშაობა საქართველოში და სხვა მეზობელ რესპუბლიკებში ძირითადად მისი ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა. შემდეგში ის იყო საბჭოთა ამპელოგრაფიის სარედაქციო კოლეგიის წევრი...

სოლომონ მიხეილის ძე ჩოლოყაშვილი გარდაიცვალა 1944 წლის ივნისში მძიმე ავადმყოფობის შემდეგ.

რომანოზ ძამსაშვილი ცამციევი

1853-1885

რომანოზ დავითის ძე ძამსაშვილი-ცამციევის საზოგადოებრივ-პედაგოგიური მოღვაწეობა მეტად მრავალფეროვანი და საინტერესოა. იგი ცნობილი იყო, როგორც მოწინავე პედაგოგი, სიმღერა-გალობის საუკეთესო მცოდნე, ისტორიკოსი, ეთნოგრაფი, ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე. რომანოზს ჰქონდა პედაგოგის შემოქმედებითი ნიჭი, ფართო ცოდნა, მუშაობის ორიგინალური სტილი და მეცნიერული ძიების უნარი.

რომანოზ ძამსაშვილი დაიბადა 1853 წელს კახეთში, გურჯაანის რაიონის სოფელ ვაჩნაძიანში. პირველდაწყებითი განათლება მიიღო სოფ. ვაჩნაძიანის სკოლაში, სადაც რომანოზის მამა ასწავლიდა. წიგნისა და მუსიკის სიყვარული მშობლებზე არანაკლებად რომანოზს შთაუნერგა ბიძამ, გრიგოლ ისაკის ძე ძამსაშვილმა, რომელსაც ძლიერი და ტკბილი სასიმღერო ხმა ჰქონდა. 10 წლის რომანოზს მამა გარდაეცვალა. ბიძამ, გრიგოლმა, რომელსაც თარგმნილი და გამოცემული აქვს რამდენიმე რუსული წიგნი, რომანოზი თბილისში წამოიყვანა.

1863 წელს რომანოზი მიაბარეს თბილისის სასულიერო სასწავლებელში, სადაც აუტანელი რეჟიმი სუფევდა, მაგრამ ზედამხედველად იაკობ გოგებაშვილის დანიშვნის შემდეგ მოსწავლე ახალგაზრდობამ შვება იგრძნო. 1871 წლის 30 ივლისს რომანოზმა ვასილ ბარნოვთან ერთად წარმატებით დაამთავრა თბილისის სასულიერო სასწავლებელი და იმავე წელს თბილისის სასულიერო სემინარიაში ჩაირიცხა.

როგორც ცნობილია, 1872 წლის პირველ ნახევრამდე სასულიერო სემინარიის პედაგოგიურ საბჭოში უმთავრესად პროგრესული ან ზომიერი მიმართულების ქართველი მოღვაწეები შედიოდნენ. სხვებთან ერთად რომანოზი გატაცებით კითხულობდა მშობლიურ წიგნებს, რუს და ევროპელ კლასიკოსებს: პუშკინს, ლომონოსოვს, ბელინსკის, შილერს, ჰაინეს და სხვ.

1877 წლის ივნისში რომანოზმა წარმატებით დაასრულა თბილისის სასულიერო სემინარიის კურსი და სემინარიის სამმართველოს 1877 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილებით, რ. ძამსაშვილი-ცამციევი ჩარიცხულ იქნა სემინარიის აღზრდილთა პირველ თანრიგოსნებში. მასთან ერთად სწავლობდნენ და სემინარია წარმატებით დაამთავრეს: ვასილ ბარნოვმა, იოსებ სანებლიძემ, ქრისტეფორე უღრელიძემ, პოლიევქტო კვიცარიძემ, დიმიტრი მეტრეველმა, ივანე მახარობლიძემ და სხვებმა.

ბიძა, გრიგოლი და სხვა ახლო ნათესავები რომანოზს დაბეჯითებით ურჩევდნენ მღვდელი გამხდარიყო, მაგრამ... რომანოზმა ჯერ კიდევ სასულიერო სასწავლებელში გამოიჩინა მუსიკალური ნიჭი, ხოლო სასულიერო სემინარიაში ისე დახელოვნდა სიმღერაში, რომ თავისი მშვენიერი ხმის გამო არქიელის გუნდში მგალობლად მიიღეს

1876 წელს თელავის სასულიერო სასწავლებლის ხელმძღვანელობამ სემინარიის გამგეობას სთხოვა რომანოზის თელავში დანიშვნა. რომანოზის არჩევანიც სწორედ თელავი იყო, ეს ულამაზესი კუთხე მშვენიერი კახეთისა. 1877 წლის 1 ოქტომბერს ძამსაშვილ-ცამციევმა მუშაობა დაიწყო თელავის სასულიერო სასწავლებელში ქართული ენისა და

ქართულ-რუსული გალობის მასწავლებლად. 1883 წელს ძამსაშვილი-ცამციევი მაზრის ადმინისტრაციასთან შეხლა-შემოხლის გამო იძულებული გახდა, მიეტოვებინა კახეთი და ქუთაისში გადასულიყო, სადაც 1885 წლამდე მუშაობდა ქართული ენისა და სიმღერა-გალობის მასწავლებლად სათავადაზნაურო სასწავლებელში.

ჭაბუკი პედაგოგი მოღვაწეობის დასაწყისიდანვე მთლიანად მიეცა საყვარელ საქმეს და იმთავითვე მოიპოვა ავტორიტეტი.

ძამსაშვილი-ცამციევი თელავის სასულიერო სასწავლებელში ყოფნის დროსაც მოსწავლეებს საამო ხმით უმღეროდა და ბეჯითად ასწავლიდა ძველ ქართულ სიმღერა-გალობას. აღსაზრდელებს იგი საკუთარი ტკბილი სიმღერით უნერგავდა ნაციონალური მუსიკის სიყვარულს.

რომანოზი ქართული სიმღერა-გალობის მარტო მოყვარულ-მოთაყვანე როდი იყო ან კიდევ მარტო ქართული გუნდების ლოტბარი, იგი კალმითაც ემსახურებოდა ქართული მუსიკის ზრდას და განვითარებას.

რ. ძამსაშვილი-ცამციევი მძიმე ნივთიერ გაჭირვებას განიცდიდა. თავის უმწეო მდგომარეობაზე იგი გაზეთ „შროშანში" ჩიოდა: „დღეში სამი-ოთხი გაკვეთილი უნდა მივცე ცივს და მტვრიანს კლასში და დაღლილ-დაწყვეტილი დავბრუნდე სახლში, რომელიც კლასზედ უკეთესი არ არის და შეუდგე სახლშიც რვეულების გასწორებას და ნავიკითხო რამე...და რითი ჯილდოვდება ჩემი და ჩემისთანა მომსახურეთა შრომა — დღეში ერთის მანეთით და ექვსის შაურით!"

ასეთმა პირობებმა დაუსუსტა ჯანმრთელობა, რის გამოც მხოლოდ 32 წელი იცოცხლა. ტუბერკულოზით დაავადებული რ. ძამსაშვილი-ცამციევი 1885 წლის 8 აგვისტოს გარდაიცვალა ქ. თელავში.

ჟურნალმა „თეატრმა" რომანოზის გარდაცვალების გამო მცირე, მაგრამ ბევრის მთქმელი ცნობა მოათავსა, „დროების" რედაქციამ კი მოზრდილი ნეკროლოგი გამოაქვეყნა, რომელიც საქართველოს ხალხს ამცნობდა: „სიკვდილმა კიდევ წაართვა ჩვენს ევეყანას ერთი პატიოსანი და მშრომელი ახალგაზრდა... თავისი ნიჭი და გონება მიწაში არ ჩაუმარხავს და რაც მისცა ბუნებამ და ქვეყანამ, უკანვე დაუბრუნა სამშობლოს"

გურამ ჭილაშვილი

1928-1990

„ადამიანურები ვიცით, რომელმაც საქართველოსათვის მძიმე დროს ღირსეულად ცხოვრება, ღირსეულად სიმართლის თქმა და სიმართლის მსახურება, და ეს გაგვეთა არა საღმე მიურეველად ადგილას, არამედ უნივერსიტეტში — ქართველი ერის დღევანდელობის ზნეობრივ სათავეში“

გია არსენიშვილი.

გურამ ალექსანდრეს ძე ჭილაშვილი დაიბადა 1928 წ. 17 სექტემბერს ქ. გურჯაანში, მოსამსახურის ოჯახში. 1945 წ. ოქროს მედლით დაამთავრა გურჯაანის საშუალო სკოლა და ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. ნიჭიერი ახალგაზრდა ყურადღებას იქცევს ბეჯითი სწავლითა და მეცნიერული კვლევებისადმი განსაკუთრებული ინტერესით, რის გამოც დაენიშნა სტალინური სტიპენდია.

1951 წ. წარმატებით ამთავრებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს და სწავლას აგრძელებს ასპირანტურაში თეორიული ფიზიკის განხრით. ასპირანტურის დასრულებისთანავე იცავს საკანდიდატო დისერტაციას და ხდება უნივერსიტეტის თეორიული ფიზიკის კეთედრის თანამშრომელი.

1962-1964 წწ. გ. ჭილაშვილი დუბნის ბირთვული გამოკვლევების ინსტიტუტშია, სადაც არაერთი სამეცნიერო შრომა გამოაქვეყნა და ყურადღება მიიქცია, როგორც მზარდმა ახალგაზრდა სპეციალისტმა.

თბილისში დაბრუნებულს უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის დეკანად ირჩევენ, სადაც ხუთი წელი დაჰყო. 1969 წ. ინიშნება უნივერსიტეტის პრორექტორად სასწავლო მუშაობის დარგში და ამ თანამდებობაზე ეწევა უმძიმეს ჭაპანს 18 წლის განმავლობაში. შეიძლება ითქვას, რომ თითქმის ორი ათეული წლის განმავლობაში თავისი პრინციპულობით, სამართლიანობით და დიდი მეცნიერული გაქანებით ის ყველაზე პოპულარული კაცი იყო უნივერსიტეტში.

მისთვის, როგორც მაღალზნეობრივი მოქალაქისა და პედაგოგისათვის უპირველესი სუბიექტი სტუდენტი იყო, ახალგაზრდა კაცი, რომლის გზაზე დაყენება და განვრთნა იყო საჭირო. აქ გურამ ჭილაშვილი უბადლო ოსტატად მოგვევლინა. მისი უსაზღვრო შრომისუნარიანობის ნაყოფი იყო, რომ არ დარჩენილა თეორიული ფიზიკის არც ერთი კურსი, რომელიც მას უდიდესი მონდომებით და პასუხისმგებლობით არ წაეკითხა. პირველი სახელმძღვანელო რომელიც მან გამოაქვეყნა, იყო ვ. მამასახლისოვთან ერთად შექმნილი „მექანიკა“, შემდეგ ვ. მამასახლისოვთან და ი. ვაშაკიძესთან ერთად გამოსცა „კვანტური მექანიკა“. ამას მოჰყვა მისი „ჰიდროდინამიკა“, „ტენზორული აღრიცხვის ელემენტები“, „თავისუფალი ნაწილაკი“, „ორი და სამი სხეულის კვანტური მექანიკა“ სახელმძღვანელოები შედგენილი იყო არა მხოლოდ სტუდენტთათვის, არამედ ასპირანტებისა და მეცნიერ-მუშაკებისთვისაც. ასეთი რიგის სახელმძღვანელოების შექმნას თან სდევდა სათანადო ქართული ტერმინოლოგიის შემუშავება, რასაც გ. ჭილაშვილი ჩინებულად ართმევდა თავს.

გურამ ჭილაშვილი არ იყო ორდინარული პიროვნება, გამორჩეული იყო, — „ყოველთვის კარგ ფორმაში იყო. ის თავისი დახვენილი ელეგანტური გარეგნობითაც ამშვენებდა

პიროვნება, უნივერსიტეტისათვის რომ სიცოცხლე ასე შეენიროს. იგი იყო ჭეშმარიტი ზვარაკი, ჩვენი ერის ინტელექტისა და ზნეობის, საერო ტაძრის შეუპოვარი დამცველი" (ვახტანგ გოგუაძე).

ვისაც არ უნახავს პირადად, ვინც არ მოსწრებია მის მოღვაწეობას, ძნელად თუ დაიჯერებს, რამხელა სისპეტაკე, ენერგია, შრომისმოყვარეობა და სიმართლე თავსდებოდა ერთ ადამიანში. არნახული შეტევების პირობებში როგორ ინარჩუნებდა სიმშვიდეს და როგორი ჭეშმარიტად მამულიშვილური განცდებით იღებდა გადაწყვეტილებებს, როგორ იგერიებდა და აქარწყლებდა იოლი გზით მოსიარულეთა პრეტენზიებს. მთელი მისი ცხოვრება ბრძოლა იყო, ბრძოლა სიკეთისათვის, სამართლიანობისათვის, ქვეყნის მომავლისათვის. ამ ბრძოლას შეენირა ის, კვლავაც დაუშრეტელი ენერგიით სავსე, 1990 წლის 7 აგვისტოს.

„რა დასანანია, რომ ასეთი ადამიანი ჩვენმა საზოგადოებამ დაკარგა სწორედ დღეს, მაშინ, როცა ყველაზე მეტად გვჭირდებოდა მისი ცხოვრების მაგალითი. მთელი თავისი ნიჭი, სულიერი ძალა, თავისი სიცოცხლე მან შეალია ჩვენს უნივერსიტეტს — წმინდა ტაძარს, რომლის ბალავარი დიდმა მამულიშვილებმა დადეს, რათა აქ აღორძინებული ერის ზნეობა და გონება აღზრდილიყო. მან ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ მათ მიერ დანთებული შუქი არ ჩამქრალიყო. გააკეთა ეს ისე, თითქოს ჩვეულებრივი საქმე ყოფილიყოს, მაშინ, როცა ეს იყო ნამდვილი ვაჟკაცობა, თავგანწირვა ერისათვის" (ლალი ჯავახიშვილი).



ლევან ჭილაშვილი

ქრქეოლოგი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერებათა აკადემიის ნევრ-კორესპონდენტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, „საპატიო ნიშნის" და ღირსების ორდენების კავალერი, აკადემიკოს ს. ჯანაშიას პრემიის ლაურეატი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი ლევან ალექსანდრეს ძე ჭილაშვილი დაიბადა 1930 წ. 17 აგვისტოს ქ. გურჯაანში, მოსამსახურის ოჯახში. 1947 წ. ვერცხლის მედალზე დაამთავრა გურჯაანის საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა წარჩინებით 1953 წ. 1953-56 წწ. გაიარა ასპირანტურის კურსი არქეოლოგის სპეციალობით ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტში აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით. 1957 წლიდან მუშაობს საქართველოს სახელმნიფო მუზეუმში, ჯერ უმცროს (1957-1960), შემდეგ უფროს (1960-1070) მეცნიერ-თანამშრომლად. 1970 წლიდან, დირეექტორის მოადგილეა, ხოლო 1973 წლიდან დღემდე დირექტორია.

ასპირანტურაში სწავლის წლებიდანვე ებმება აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის და მისი მონაფეების მიერ წარმატებით წამოწყებულ საქმეში და ინყებს ძველი ქართული ქალაქების შესწავლას. პირველივე მისი ნიგნი „ქალაქი რუსთავი" (1958), რომლითაც მოიპოვა მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, საისტორიო საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოხვდა, როგორც ძველი ქართული ქალაქის ისტორიულ-არქეოლოგიური მონოგრაფია. მას მოყვა „ნაქალაქარი ურბნისი" (1964), ქალაქები ფეოდალურ საქართველოში I (1968), II (1970), ძველი გავაზი (1974), კახეთის ქალაქები (1980), არეში (1990) და სხვ. მისი კვლევის ძირითადი სფეროა არქეოლოგიური ძეგლები ვრცელი ქრონოლოგიური დიაპაზონით, ადრებრინჯაოს ხანიდან მოყოლებული ახ. წ. XVII-XVIII საუკუნეებამდე. მას დიდი ამაგი აქვს არქეოლოგიურ ნივთთა კლასიფიკაციის დადგენის საქმეში. ლ. ჭილაშვილმა პირველმა დაათარიღა და ცალკე პერიოდებად გამოყო ძვ. წ. III-I საუკუნეების და ახ. წ. IX-XIII სს კერამიკული ნაწარმი. მის მიერაა შემუშავებული ძველ ქართულ ქალაქთა პერიოდიზაცია და განვითარების გზა დღიდან ქალაქური დასახლების წარმოშობისა.

ლევან ჭილაშვილი აქტიური საველე მუშაკია, არაერთი არქეოლოგიური ექსპედიციის მონაწილე. მისი ხელმძღვანელობით ითხრებოდა მნიშვნელოვანი ობიექტები ურბნისის ნაქალაქარზე, გრემში, ხელმძღვანელობდა საველე სამუშაოებს სამშვილდის, არეშის და გავაზის ნაქალაქარებზე, ამჟამად დიდი წარმატებებით ახორციელებს კვლევა-ძიებას ნეკრესის ნაქალაქარზე. ლევან ჭილაშვილის ხელმძღვანელობით აქ არის გათხრილი უნიკალური წარმართული ძეგლი, ქალაქის დაცვის სისტემა, სამეურნეო ნაგებობები და სხვ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ნაქალაქარის ტერიტორიაზე გამოვლენილი ქართული წარწერები, რომლებიც ახ. წ. პირველ საუკუნეებს განეკუთვნება და დღეისათვის ქართული დამწერლობის ყველაზე ძველი ნიმუშებია.

ბოლო ხანს ლევან ჭილაშვილი დიდ დროს უთმობს წინაქრისტიანული ხანის საკულტო ძეგლების გამოვლენას და შესწავლას, რასაც უძღვნა ახლახან გამოცემული ნიგნი „ნეკრესის წარმართული სამლოცველოები" (2000 წ.)

ლ. ჭილაშვილის გამოკვლევებში ბევრი საინტერესო საკითხია განხილული. მატერიალური კულტურის ძეგლების გვერდით იგი დიდ ადგილს უთმობს პოლიტიკურ ისტორიას, ვრცლად აქვს განხილული სავაჭრო გზების თემა, არქიტექტურული ნაგებობები და სხვ.

ლ. ჭილაშვილი თვალსაჩინო სპეციალისტი და სამუზეუმო საქმის ერთ-ერთი ფუძემდებელია საქართველოში. მის კალამს ეკუთვნის ნაშრომები: „მუზეუმმცოდნეობა და სამუზეუმო საქმის საფუძვლები (1984) და „მსოფლიოს დიდი სამუზეუმო ცენტრები" I (1984), II (1985), რომლებიც სამაგიდო ნიგნებადაა ქცეული ამ დარგის სპეციალისტებისათვის.

იგი ავტორია 12 ნიგნისა და 60-მდე სამეცნიერო ნაშრომისა, რომლებიც გამოქვეყნებულია ქართულ, რუსულ, გერმანულ, იტალიურ, ბულგარულ და თურქულ ენებზე.

დიდია ლ. ჭილაშვილის დამსახურება სამუზეუმო-საექსპოზიციო საქმიანობაში. მისი უშუალო ხელმძღვანელობით შეიქმნა IV-XVIII სს. მატერიალური კულტურის გამოფენა მუზეუმში. მისი აქტიური მონაწილეობით მოეწყო ქართული ძველი კულტურის ამსახველი გამოფენები პარიზში (1982), ტოკიოსა და ოსაკაში (1985), ზაარბრუკენში, მიუნხენსა და დრეზდენში (1995-96), რომელთაც საერთაშორისო აღიარება მოუტანეს ქართულ კულტურას. მიმიმე პირობების მიუხედავად, ლ. ჭილაშვილის ხელმძღვანელობით შეიქმნა შუასაუკუნეების ოქრომჭედლობის ამსახველი გამოფენა მუზეუმის საგანძურში.

ლევან ჭილაშვილი ენევა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის უნივერსიტეტში, მისი ხელმძღვანელობით დაცულია არაერთი დისერტაცია.

მუზეუმის დირექტორის პოსტზე მას დიდი სიძნელეების გადალახვა მოუხდა, განსაკუთრებით უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში; 90-იან ნლებში მისი უნარიანი ხელმძღვანელობით მუზეუმი გადაურჩა გაძარცვასა და განადგურებას. 1991 ნ. დეკემბერში კი, მუზეუმია თანამშრომელთა ერთ ნაწილთან ერთად, ტყვიების ნვიმაში უხდებოდა უკეთურთა მოგერიება და ხანძრის კერების ლიკვიდაცია. თუ დღეს მუზეუმი კვლავაც არსებობს და მის ადგილზე ნახანძრალი არ არის, ამაში მისი დამსახურება განუზომელია, რაც უყურადღებოდ არ დარჩენილა:

„პატონო ლევან,

მინდა მოგესალმოთ დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით და გითხრათ, რომ საქმე, რომელსაც ასე ერთგულად ემსახურებით, ქართული კულტურის სიძველეთა წარმოჩენა, გაანალი ზება და დაცვა – ჩვენი დამოუკიდებელი სახელმწიფოს საერთაშორისო ასპარეზზე დამკვიდრებისათვის მეტად მნიშვნელოვანია.

თქვენი და თქვენი თანამშრომლების მიერ მოწყობილი გამოფენებით მსოფლიო ნელნელა, მაგრამ შთამბეჭდავად გებულობს ვინ ვიყავით ქართველები, რა გვქონდა, რა დამწერლობა, რას ვაკეთებდით და მშვენივრად ვაკეთებდით.

დიდი მადლობა ამისათვის.

პატივისცემით
ედუარდ შევარდნაძე

ივანე ხოხლოვი

1908-1982

ეცნიერი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი, საკავშირო სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნევრ-კორესპონდენტი და საქართველოს მინისტრთა საბჭოს რესპულიკური გაერთიანება „საქსოფტექნიკის" ყოფილი თავმჯდომარე ივანე მიხეილის ძე ხოხლოვი დაიბადა 1908 წლის 4 ივნისს გურჯაანის რაიონის სოფ. ველისციხეში.

კახეთი ყველას ხიბლავს თავისი მადლიანი ბუნებით და, რაც მთავარია, სტუმართმოყვარე ხალხით. ამიტომ იყო, რომ რიაზანის გუბერნიიდან გადმოსახლებულმა ივანე ხოხლოვის წინაპრებმა აქ მშობლიური სითბო იგრძნეს. ისინი ჯერ სიღნაღში ცხოვრობდნენ, შემდეგ კი სოფ. ველისციხეში დასახლდნენ.

ივანეს მამა, მიხეილ სერგოს ძე ხოხლოვი საქართველოში აღიზარდა, ქართული ენა ისე იცოდა, როგორც დედაენა. მას მამისაგან ჰქონდა შესწავლილი ბონდერ-მეკასრის ხელობა, ახალგაზრდობისას მუშაობდა წინანდლის საუფლისწულო მამულში და, როგორც კარგი და მარჯვე ხელოსანი, განთქმული იყო მთელ კახეთში. მან ბევრ ადგილობრივ მკვიდრს შეასწავლა თავისი ხელობა.

ივანე ხოხლოვმა სიჭაბუკე ველისციხეში გაატარა. აქ მიიღო დაწყებითი განათლება. მისი თანასოფლელები და სიყრმის მეგობრები არიან: გიორგი ტარასაშვილი — გამოჩენილი მეცნიერი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორი, დიმიტრი მამისაშვილი — სოციალისტური შრომის გმირი, ველისციხის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, გერასიმე გელაშვილი — ველისიცხის სამომხმარებლო კოოპერაციის თავმჯდომარე, მარო მესხი — საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი და სხვ.

ივანე ხოხლოვი დიდი სიყვარულით იგონებს თავისი სოფლის სკოლის იმდროინდელ მასწავლებლებს: სევერიანე გოგსაძეს, ნიკოლოზ ყულოშვილს, გიორგი ხატისკაცს და სხვ.

საქართველოში თითქმის ყველა მექანიზატორი ივანე ხოხლოვის მონაფეა, მათ შორის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მანქანა-ტრაქტორთა პარკის ექსპლოატაციის კათედრის მთელი შემადგენლობა: დოც. ა. კერვალიძე, უფ. მასწავლებელი ა. კოხრეიძე და ასისტენტი ე. ჭელიძე მისი მოწაფეა, აგრეთვე, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა დიდი უმრავლესობა. არ არის რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის წარმოება-დაწესებულება, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო თუ საშუალო სასწავლებელი, სადაც ივანე ხოხლოვის მონაფეები თვალსაჩინო როლს არ ასრულებდნენ...

ეკატერინე ჯანდიერი-მაჭავარიანი

1881-1930

პროფესორ ალექსანდრე მაჭავარიანის მეუღლე, ერთ-ერთი პირველი აგრონომი ქართველი ქალი ეკატერინე ლევანის ასული ჯანდიერი დაიბადა 1881 წლის 7 დეკემბერს გურჯაანის რაიონის სოფ. ვაჩნაძიანში.

1889 წელს ჩაირიცხა ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტში, რომელიც წარმატებით დაამთავრა. ილია ჭავჭავაძის და აკაკი წერეთლის თხოვნით, მშობლებმა ნიჭიერი ქალიშვილი გაგზავნეს ქალაქ ლოზანაში (შვეიცარია) სწავლის გასაგრძელებლად. აქ იგი ჩაირიცხა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, რომელიც 1907 წელს ნარჩინებით დაამთავრა. სამშობლოში დაბრუნებულმა მთელი ცხოვრება სოფელში გაატარა, სადაც ნაყოფიერად მუშაობდა სოფლის მეურნეობის დარგში. აქვე საკუთარი სახსრებით ააშენა ბიბლიოთეკა, მის მიერ შექმნილმა საგლეხო ბანკმა რამდენიმე წელს იარსება და ასობით გლეხკაცს მატერიალურად გაუმართა ხელი. დააარსა სკოლა, ასწავლიდა ვაჩნაძიანებს, თბილისშიც ჩამოდიოდა და ლექციებს კითხულობდა საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში. ეკატერინე მაჭავარიანის შემნეობით და ხელმძღვანელობით აოფელ ვაჩნაძიანში შეიქმნა ლაბორატორია, სადაც იგი პრაქტიკულ მეცადინეობებს ატარებდა ახალგაზრდებთან. მან ევროპიდან სამშობლოში ჩამოიტანა სათესი, მიწის გამაფხვიერებელი, ბორბლის დამახარისხებელი მანქანები. იგი იყო ერთ-ერთი პირველი აგრონომი ქართველი ქალი, რომელსაც ივანე ოქრომჭედლიშვილთან, ალექსანდრე შანშიაშვილთან და ერმილე ნაკაშიძესთან ერთად საპატიო ადგილი უჭირავს ქართული სოფლის განვითარების საქმეში. ამასთანავე, იგი იყო სანიმუშო მეუღლე და დედა. უფროსი ვაჟიშვილი ლევანი რესპუბლიკის დამსახურებული ექიმია, გიორგი კი თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის საფაკულტეტო ქირურგიის კათედრის დოცენტი. ეკატერინე მაჭავარიანის უფროსი ძმა, ილია ლევანის ძე ჯანდიერი იყო პროფესორი, საქართველოს ზოოტექნიკურ-ვეტერინარული ინსტიტუტის ერთ-ერთი ფუძემდებელი, სამწუხაროდ, 1937 წლის რეპრესიებმა იმსხვერპლა.

ილია ჯანდიერი

1880-1937

ქართველი ზოოტექნიკოსი, ქართული ზოოტექნიკის მეცნიერების ფუძემდებელი, პროფესორი ილია ლევანის ძე ჯანდიერი დაიბადა 1880 წელს გურჯაანის რაიონის სოფ. ვაჩნაძიანში.

1906 წელს დაამთავრა რიგის პოლიტექნიკური ინსტიტუტი, 1911-1913 წწ. სამეცნიერო მივლინებით იყო გერმანიასა და ჰოლანდიაში. 1914-1917 წწ. პეტროგრადის აგრონომიული ინსტიტუტის ზოგადი ზოოტექნიკის გამგე. შემდეგ ამავე ინსტიტუტის პრორექტორი (1917-19 წწ.) და რექტორია (1919-25). 1925 წლიდან თსუ-ის პროფესორი.

1927 წელს მისი ინიციატივით დაარსდა საქართველოს ცენტრალური ზოოტექნიკური სადგური, რომელიც 1931 წელს გადაკეთდა ამიერკავკასიის, ხოლო შემდეგ (1938 წ.) საქართველოს მეცხოველეობის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტად და მის დირექტორად დაინიშნა ი. ჯანდიერი.

1930 წლიდან საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის, ხოლო 1932 წლიდან ზოოტექნიკური ინსტიტუტის კვების კათედრის გამგეა. ი. ჯანდიერის გამოკვლევები ეხება საქართველოს ყველა ზონის ბალახების ყუათიანობას, ცხვრის დუმის ბიოლოგიურ მნიშვნელობას ნყურვილისა და შიმშილის დროს, მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავებასა და სხვ. ი. ჯანდიერის ინიციატივით შეიმუშავეს რძისა და ყველის ქარხნების განლაგებისა და ტიპების პროექტები. ექსპედიციური და სტაციონარული გამოკვლევებით ი. ჯანდიერმა დაადგინა ადგილობრივი ჯიშების გენოფონდი, მათი პოტენცია.

დავით ჯაფარიძე

1886-1969

Დავით სიმონის ძე ჯაფარიძე დაიბადა 1886 წლის 5 მარტს სოფელ ჩუმლაყში (ყოფ. სიღნაღის მაზრა). 1893 წელს შეუყვანიათ სოფ. ახალსოფლის საცხენის. 2 კლასიან სასნავლებელში (ყვარელის რ-ნი). დამთავრებისთანავე დაინყო სწავლა თელავის სასწავლებელში და დაამთავრა 1902 წელს. 1903 წელს მოეწყო თბილისის საბაღ-ოსნო ტექნიკუმში, სადაც კარგი სწავლისათვის ქართული ბანკი უხდიდა სტიპენდიას. ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ მიიღო საუკეთესო ატესტატი და მუშაობა დაინყო მუკუზნის საუფლისწულო მამულში. 1909 წელს დაინიშნა წინანდლის საუფლინულო მამ-ულია მევენახედ. ვენახები ჯაფარიძის ხელმძღვანელობით გადაწვენილ იქნა მნკრივში და სამ წვერ მავთულზე ჭიგოდან.

1910 წელს ქართულმა ბანკმა მას სოფ. ყვარელში 7 დესეტინა ვენახი, 2 დესეტინა ალბანავი და 200 დესეტინა მთა (ნაბლი და მუხა) გადასცა. 1910 წელს გადაიყვანეს მუკუზნის მეურნეობაში მთავარ მეღვინე-მევენახედ. შემდეგ იგი ვაჭყვის საბჭოთა მეურნეობის დირექტორია. ვაჭყვში აგრო-ტექნიკა შეიტანა. შემდეგ დაინიშნა სასოფლო-სამეურნეო სექციის თავმჯდომარედ.

1925-27 წ.წ. ჩაუყარა საძირკველი პატარა, ღვინის დამზადების პირველად მარნებს არგვეთში, ჩხარში, თერჯოლაში, სიმონეთში, საზანოში, საქონის საცდელ სადგურში და თვით ვაჭყვის საბჭ. მეურნეობაში, რომლებიც თანდათან გაფართოვდნენ.

1929 წელს გადმოიყვნეს სამტრედიის მთავარ მეღვინე-მევენახედ და 1959 წლამდე მუშ-აობდა ამ თანამდებობაზე. დ. ჯაფარიძეს ფასდაუდებელი ღვაწლი მიუძღვის საქართვე-ლოში ვაზის გაშენებისა და სამარნე მეურნეობის ჩამოყალიბების მამულიშვილურ საქმ-ეში.

გარდაიცვალა 1969 წლის 23 აგვისტოს.

იოსებ ჯიმითელი გეთიაშვილი

1891-1974

სოფელ ჯიმითიდან თბილისში, ოქრომჭედლების ქუჩაზე ჩამოიყვანა გიორგიმ თავისი ვაჟი იოსები და მიკიტან კონუ გურგენიძეს მიაბარა. ვეშაპივით კაცი ყოფილა კონუა მიკიტანი. ამასთან ერთად, ძალზე კეთილი და ალალი.

მეღვინე სიკო ლეკიშვილი დიდად ნასიამოვნები იყო იოსებ ჯიმითელის ჭიდაობის გახსენებით. გიორგი ზაალიშვილი კი 8 წლისა ყოფილა, ნიკიტინების ცირკში ჯიმითელის ჭიდაობას რომ მოუხიბლავს...

გურჯაანის რაიონის სოფელ ჯიმითში დაბადებულმა იოსებ გეთიაშვილმა ჯიმითელის ფსევდონიმი, ანუ „ცრუ გვარი" აიღო იმ დროს საყოველთაოდ მიღებულ საჭიდაო ზედმეტსახელად. იოსები დაბალი ტანის დაკუნთული მოჭიდავე იყო. დიდრონი კუნთების პატრონს მესამური გამძლეობაც ჰქონდა. მეტოქეს ჯერ დაქანცავდა და მერე შეტევაზე გადავიდოდა. ნიკიტინების ცირკში ერთხელ ჯიმითელი ლილოელს შეერკინა. დიდხანს იჭიდავეს ფალავნებმა. იოსები უფრო მეტს მოძრაობდა. ვეება თედო დაბეტონებულივით იდგა. ხალხი აყვირდა, გააშველეთ, გააშველეთო! ჭიდაობა ზავით, უნდა დასრულებულიყო. ამ დროს იოსებს სარმა გამოუკრავს გოლიათისათვის და თედო მოჭრილ ხესავით დაცემულა ძირს...

რაღა თქმა უნდა, ძმაბიჭებმა ჯიმითელი ჭიდაობის მერე ფაეტონით გააქანეს ორთაჭალის ბაღებში. ამის მნახველმა შაშო ვერელმა მეორე დღეს გამოინვია ჯიმითელი. შაშო და იოსები მეგობრები იყვნენ. ხალხი ეჭვობდა, ესენი გულისყურით არ იჭიდავებენო. ფალავნებმა მოილაპარაკეს, დაუძახეს სტამბის ბიჭებს და აფიშები დააბეჭდვინეს. შეხვედრის დღეც დადგა. დიდ საჭიდაო ნრეში შაშომ ჯიმითელთან ერთად ყველა ფანდი ინმარა, ხერხიანმა ვერელმა მოტყუებაც სცადა, — ხან ზევით აიხედა, ხან ქვევით, მერე შუაკაური დაუპირა, მაგრამ ჯიმითელმა უცბად გამოკრა ფეხი და შაშო დასცა .

დიდი ბრძოლა ჰქონდა ჯიმითელს გორელ მოჭიდავე გიორგი დოთიაშვილთან, ვერელ ჯაფარასთან, „გიმნაზისტთან", ქიზიყელ გურაშვილთან.

ერთხელ მეგობარს, ასევე ცნობილ მოჭიდავეს, პატარძეულელ ნიკა ელერდაშვილს ჯიმითელი შინ სტუმრად მიუწვევია . ნიკას მამას შვილისათვის უთქვამს — ადექი, თუ ვაჟკაცი ხარ, გამოქანდი და ნამაქციეო. ნიკაც ამდგარა და ნასულა მამისკენ, მისულა თუ არა ახლოს, მამას უცბად გამოუკრავს ფეხებში და შვილი ძირს დაუგდია. ისე რომ, ორ ფალავანს თვალის შევლებაც ვერ მოუსწრია მოხუცის ფანდისთვის. იოსებს კარგად შეუსწავლია ნიკა ელერდაშვილის მამისგან ის „სხარტი" ხერხი და ხშირად გამოსდგომია კიდეც ჭიდაობაში...

ერთხელ ჯიმითელი ჭიდაობის მერე დაიჭირეს ჟანდარმებმა — გოროდში უპასპორტოდ ცხოვრობო. გუბერსკის ციხეში ჩასვეს და განჯაში გაასახლეს. ორ წელიწადს იყო იოსები განჯაში და სახელი გაითქვა, როგორც კარგმა მოჭიდავემ. თავდაპირველად განჯის გამგეებელს აუთვალისწუნებია იოსები — რა მოჭიდავეა, ქერის ფხას უგავს ულვაშები, ეგ ზერტელ ტიელიძეს ვერ გაუძლებსო. მოჭიდავე ტიელიძე კისრულის ფანდის შესრულების მართლაც კარგი ოსტატი იყო. ზერტელისა და ჯიმითელის ჭიდაობას განჯაში ბლომად ხალხი დაესწრო. ჯიმითელმა ზერტელს ჩოხის ორივე ყური დაუჭირა, თეძოზე წამოიღო, ჩააჩოქა, მერე მარჯვენა ფეხიც გამოჰკრა და ტიელიძე ბეჭებით გაშალა...

სულ ბოლოს იოსებ ჯიმითელმა თბილისში, ნიკიტინების ცირკში, 1924 წელს იჭიდავა.

მზია ჯუღელი

მზია ნიკოლოზის ასული ჯუღელი — ქართული ტანვარჯიშის ერთგულ ქომაგებს, უეჭველია, ემახსოვრებათ ეს შესანიშნავი სპორტსმენი, საოცარი ბუნების ქალბატონი, რომელმაც შორს გაიტანა ქართული სპორტის ღირსება, სახელი და დიდება, მერე კი დიდხანს ემსახურება მომავალი თაობის აღზრდის საქმეს.

მზია ჯუღელი დაიბადა 1925 წლის 1 აგვისტოს გურჯაანში. ქართული ტანვარჯიშის სკოლას არაერთი სახელი ამშვენებს, მათში გამორჩეული ადგილი ქალბატონ მზიას უჭირავს. ყოფილი საბჭოეთის სახელმოხვეჭილ ტანმოვარჯიშე ქალთაგან იგი თავისებური რეკორდსმენია: ბჯენით ხტომებში ზედიზედ შვიდჯერ მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა, მერვე ოქროს მედალი კი რგოლებზე ვარჯიშში ერგო. ქალბატონ მზიას მონაგარი: 13 ოქროს, 9 ვერცხლის და 6 ბრინჯაოს მედალს შეადგენს. ყველაზე დიდ წარმატებას მაინც 1952 წელს მიაღწია. ჰელსინკის XV ოლიმპიურ თამაშებში მზია ჯუღელი ჩემპიონი გახდა და ფინეთის დედაქალაქშივე სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიანიჭეს. ყოველივეს კი საფუძველი 1939 წელს ჩაუყარა, როცა სრულიად ნორჩმა აპორტსმენმა თვალსაჩინო წარმატებები მოიხვეჭა მოსწავლეთა რესპუბლიკურ და საკავშირო პირველობებზე. მრავალმხრივი სპორტსმენი იყო: ჩინებულად ასპარეზობდა ცურვაში, კომკურიდან ხტომაში, მძლეოსნობასა თუ სათხილამურო სპორტში. საბოლოო არჩევანი სპორტულ ტანვარჯიშზე შეაჩერა და არც შემცდარა. იმის მიუხედავად, რომ ბავშვობისას მძიმე სულიერი ტრავმა გადაიტანა (1938 წელს მშობლები დაუპატიმრეს), მ. ჯუღელმა გადალახა სიძნელეები და სანადელსაც მიაღწია.

ექვსი ათეული წელინადია მზია ჯუღელი სპორტს ემსახურება. დიდი სარბიელიდან ნასვლის შემდეგ დაინიშნა საბჭოთა კავშირის ნაკრების უფროს მწვრთნელად საქართველოში. 20 წელინადი ტანვარჯიშის უმაღლესი სპორტული დაოსტატების რესპუბლიკურ სკოლას ხელმძღვანელობდა. მზია ჯუღელის დიდი დამსახურებაა, რომ სანაპიროს ტანვარჯიშული კომპლექსის მმენებლობა უმოკლეს ვადაში დასრულდა და საექსპლუატაციოდ გადაეცა. დიდი ნვლილი მიუძღვის ქალბატონ მზიას ისეთი სპორტსმენების აღზრდაში, როგორებიც არიან: ოლიმპიური ჩემპიონი ვლადიმერ გოგოლაძე, მსოფლიო ჩემპიონები — რუსუდან სიხარულიძე, ნინო დრონოვა, რუსუდან ხოფერია, მსოფლიო თასის მფლობელები — პაატა შამუგია, ელისო ბედოშვილი, ევროპის ჩემპიონები — ანა დოლონაძე, ზაზა აბრამიშვილი და სხვები.

1991 ნლიდან დღემდე მზია ჯუღელი საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტია, თუმცა, უამრავი საქმით დატვირთული, მაინც პოულობს დროს მდიდარი ცოდნა და გამოცდილება გაუზიაროს მომავალ თაობა ა, რომელიც დღეს იკვლევს გზას დიდი სპორტისაკენ.

მზია ჯუღელის თავდადებული გარჯა უყურადღებოდ არ დარჩენილა: იგი დაჯილდოებულია მრავალი ორდენითა და მედლით, დიპლომითა და სიგელით. საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებულ მოღვაწეს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს 1996 წელს „ღირსების ორდენი" გადაეცა.

საგულისხმოა ისიც, რომ მზია ჯუღელის სურათი ისევე, როგორც ოლიმპიური ჩემპიონების — დავით ციმაკურიძის და რაფაელ ჩიმიშკიანისა საფოსტო მარკებზეა აღბეჭდილი, ხოლო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მისი სახელობის სტიპენდია გაიცემა.

საგარეჯო


ბ ( ) ( ) ( )

საგარეჯოს რაიონი – ადმინისტრაციულ-ტერიტორიული რაიონი აღმოსავლეთ საქართველოში. შედიოდა თბილისის მაზრაში. 1930 წლიდან დამოუკიდებელი რაიონია. ესაზღვრება აზერბაიჯანს, გარდაბნის, მცხეთის, თიანეთის, ახმეტისა და თელავის რაიონებს.

მდინარე იორი.

შავმინა და წაბლა ნიადაგი.

ჰავა – სტეპურიდან ნოტიოზე ზომიერად გარდამავალი.

მცენარეული – ურიანი და ვაცინვერიანი სტეპი, ჭალის ვერხვი, ჭალის მუხა, თელა, წნორი, იალღუნი, რცხილა, ნეკერჩხალი, აქა-იქ ფიჭვი და სხვ.

ცხოველი (გარეული) – მურა დათვი, შველი, მგელი, მელა, თეთრყელა კვერნა, მაჩვი, ტურა, დედოფალა, ზოლებიანი აფთარი, ენოტისებრი ძაღლი და სხვ.

ფრინველი – კაკაბი, ჩვეულებრივი ხოხობი, მწყერი, გარეული მტრედი, ქორი, შაშვი, ჩხიკვი, კაჭკაჭი, ყვავი, კვირიონი და სხვ.

თევზი – ქაშაპი, მტკვრის ტობი, ხრამული, მტკვრის წვერა, მურწა, ფრიტა, თაღლითა, გველანა და სხვ.

მრეწველობა – კვების მრეწველობა, არის 3 ღვინის ქარხანა (საგარეჯოში, ბადიაურში და მანავში)

ხუროთმოძღვრული ძეგლებია ბოჭორმის (X-XI სს.), ნინოწმინდის (VI ს.) ანსამბლები, დავითგარეჯის სამონასტრო გამოქვაბულთა კომპლექსის (VI ს.), უჯარმის ციხე-ქალაქი (VI ს.), კანარეთის სამება (VI-VII სს.) ხაშმის მიდამოებში და მრ. სხვა.

გიორგი ლეონიძე

1899-1961

ქართული მწერლობის იერსახე.

ალაზნის ველებს დასცვივდათ ოქრო.
დადგება. რაც მთებს დაჰვერცხლებია.
ვინ იცადოქროს?
უკვდავების დღეს
მსოფლიოდ ლექსები დაესწრებინ!

გ. ლეონიძე

ყოველ დიდ პოეტს ორი რამ ასაზრდოებს უნინარეს : გრძნობა მშობლიური ფესვისა და მისი ბედი, რომელიც საკუთარი ქვეყნის ბედთან გადაჯაჭვულა. გიორგი ლეონიძე სწორედ ასეთ შემოქმედთა რიცხვს მიეკუთვნება...

მშობელი ძიწყნ მიდგს ფესვები,
რაფორც ჭალაში დგას ხეთრის ძირები.
სიცოცხლეს ვერვის დაუსუსტები,
თუ სამშობლოსკენ ვეფეხრები.

ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს სახალხო პოეტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გიორგი (გოგლა) ნიკოლოზის ძე ლეონიძე დაიბადა 1899 წლის 27 დეკემბერს საგარეჯოს რაიონის სოფ. პატარძეულში.

თავის პირველ პოეტურ ასპარეზად პატარძეულის მიდამოებს თვლიდა. ლურჯთვალა იებსა და მზით ამოვსებულ თავთავებში დაეძებდა სიტყვებს, ვერცხლურა იორი და ივრის თვალსამთხე ნაპირები იყო მისი ყრმობის ემბაზი. და ეს იდილია სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე დარჩა მისი მუდმივი მოსახედავი.

ყველა პატარძეულელის ოჯახში სასურველი სტუმარი იყო გოგლა. მაღალი, ტანადი; ჭროღა, მეოცნებე თვალებით; მძლავრი, მაგრამ ცოტათი ჩახრინნული ხმით მოსაუბრე. შეთხელებული თმით და სუფთად გაპარსული პირით — თავისი გარეგნობითაც დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა ყველაზე. სუფრასაც განსაკუთრებულს უნყობდნენ. პურობისას შემწვარ ინდაურს მიართმევდნენ უცილოდ. მისებურად ჩაბუბუნებდა თურმე, შემწვარი ინდაურის სურნელი მიყვარს იმიტომ, რომ დავიბადე თუ არა, მაშინვე მიყნოსიაო...

იცოდნენ თანასოფლელებმა მისი დაბადების ისტორია. თურმე საგარეჯოში მძიმე ავადმყოფთან თბილისიდან ეტლით ექიმი მოჰყავდათ. პატარძეულში გამოსვლისას ძლიერი ქარიშხალი ამოვარდნილა და შემდგომ მგზავრობა შეუძლებელი გამხდარა. ბინდბუნდი ყოფილა. მეეტლეს სოფლის მამასახლისისათვის უთხოვია სტუმრის მიღება. მამასახლისს ნიკო ლეონიძის (პოეტის მამის) სახლი მიუჩნევია საკადრის ოჯახად. სტუმართმოყვარე, პურადი ოჯახი ჰქონია ნიკო ლეონიძეს. სიამოვნებით უმასპინძლია გზად შემოღამებული ექიმისათვის. დიასახლისს სტუმრისათვის ინდაური შეუნვავს, მაგრამ

სუფრის გაშლა აღარ დასცლია. იმ ღამეს დაბადებულა მომავალი პოეტი და, თურმე შემთხვევით შემოსწრებული ექიმი რომ არა, საფრთხე ელოდა დედასაც და შვილსაც...

მოგვიანებით მისჯდომია სუფრას უკვე ნაჯაფარი ექიმი და კახური ღვინით დაულოცავს ახალშობილი. ალბათ, ოცნებაშიც ვერ წარმოიდგენდა პატარძეულელთა სტუმარი, თუ როგორი ყრმის ნათლია გახდა იმ ღამეს...

უწყლო და გვალვიანი სოფელი ყოფილა პატარძეული ოდითგანვე. ამადაც იყო, ჯერ კიდევ ბავშვობაში რომ უნატრია მომავალ პოეტს, ჩემ უწყლო სოფელს წყალი მე უნდა გამოვუყვანოო. ყრმობაში გულს ჩათქმული ოცნება დიდობაში სინამდვილედ უქცევია სოფლის საფიცარს და 1961 წელს სასმელი წყალი გამოუყვანია, რასაც პატარძეულელები გოგლას წყალს ეძახიან.

პატარძეულის სკოლასაც დიდი მგოსნის სახელი ჰქვია. აქ ხშირად ენყობა გიორგი ლეონიძისადმი მიძღვნილი ლიტერატურული კომპოზიციები. ყოველ წელინადს სოფელი ზეიმობს სახალხო დღესასწაულს — გოგლაობას. თანასოფლელები საკადრის პატივს მიაგებენ პოეტის ხსოვნას. ყოველ ხსოვნის დღეს პატარძეულელები ადიან მთანმინდაზე და პოეტის მშობლიურ სოფელში დაკრეფილი იებით ამკობენ ქართული სიტყვის თვალჯაფარის მუდმივ სასუფეველს.

არიან ადამიანები, რომლებიც გოგლას უსაყვედურებდნენ კუთხურ, კახურ პატრიოტიზმს, მიკერძოებას. რა დასამალია, გოგლას პირველ რიგში თავისი კახეთი უყვარდა. ასეა, ალბათ, გურული, მეგრელი, რაჭველი, იმერელი, ქართლელი... სავსებით ბუნებრივია, რომ მათ უყვართ თავიანთი კუთხე, სადაც დაიბადნენ და აღიზარდნენ. ყოველ კუთხეს აქვს თავისი სახე, თავისი ადათი, ჩვეულებანი, სიმღერის, ცეკვის, მეტყველების თავისებურება.

გოგლამაც ისევე, როგორც სანდრო შანშიაშვილმა, პაოლო იაშვილმა, ტიციან ტაბიძემ, მუხრან მაჭავარიანმა და სხვებმა, მშობლიურ სოფელს, მხარეს საუკეთესო ლექსები მიუძღვნა. არ არის საჭირო, დავასახელო გოგლას ის შედევრები, რომლებიც კახეთის სიყვარულით არის ნაკარნახევი. გოგლა მართლაც გატაცებული იყო კახეთით, სადაც „ციაგის ციალს აჰყვება შუქი შორეულ შუქურთა და გამოჩნდება სამშობლო, როგორც მოჭრილი ჩუქურთმა". მისი ოცნება საქართველო, ქართველი ხალხი იყო და მთელი მისი პოეზია ხომ ამ ერთ თემას, სამშობლოს თემას თითქმის არ სცილდება. შეიძლება კახეთი იმიტომ კი არ უყვარდა ასე ძლიერად, რომ კახელი იყო, არამედ საქართველოს ტრაგიკულ წარსულს მასში ხედავდა უფრო მკაფიოდ...

გიორგი ლეონიძე თბილისის სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ 1913 წლიდან თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლობდა. პირველი ლექსი „მცხეთა" ყრმობის ჟამს გამოაქვეყნა (1911 წ. გაზ. „სინათლე"); ერთი წლის შემდეგ ლექსი უძღვნა ვაჟაფშაველას, რომელიც საპასუხო ლექსით (1912 წ. დაიბეჭდა 1915 წ. გაზ. „განათლებაში") გამოეხმაურა პოეტს. 1912 წლიდან გ. ლეონიძის ლექსები სისტემატურად იბეჭდებოდა ჟურნალ-გაზეთებში...

1922-23 წწ. იგი „ცისფერყანწელთა" ყოველკვირეულ სალიტერატურო გაზეთ „ბახტრიონს" რედაქტორობდა...

გ. ლეონიძე თვითმყოფადი და ღრმად ეროვნული პოეტია, რომლის ადრინდელმა ლირიკულმა შედევრებმა („ნინოწმინდის ღამე", „სიმღერა პირველი თოვლისა", „მყვირალობა", „ყივჩაღის პაემანი", „ყივჩაღური ღამე", „ოლე" და სხვ.) იმთავითვე განსაზღვრა პოეტი ის როლი XX საუკუნის ქართულ პოეზიაში.

გიორგი ლეონიძის ღრმა პატრიოტიზმი, მისი მოქალაქეობრივი პროგრამაა ჩამოყალიბებული ლექსში „ვუმღერ სამშობლოს"

პოეტი გამოეხმაურა დიდ სამამულო ომს („მხედარი პირტახია", „შინმოუსვლელო სადა ხარ", „არ დაიდარდო დედაო" და სხვ.). სამშობლოს ძნელბედობის ჟამს შექმნილი ზოგიერთი მისი ლექსი ხალხურ სიმღერად იქცა...

გ. ლეონიძის მოთხრობების ნიგნმა „ნატვრის ხემ" (1962 წ., ამავე სახელწოდების ფილმი — 1976 წ. რეჟ. თ. აბულაძე) სრულიად ახალ მხატვრულ სამყაროს აზიარა მკითხველი. პოეტის ყრმობის აჩრდილები ხორცშესხმულნი დიდი მხატვრის ღრმა ინტელექტით, თანამედროვე ოსტატის თვალთახედვით წარმოგვიდგებიან. ერთმანეთთან დაუკავშირე-

ბელი მცირე მოთხრობების ეპიკურობა მძლავრი პოეტური ნაკადით არის გაჯერებული.

გ. ლეონიძე ნაყოფიერად იღვწოდა ლიტერატურისმცოდნეობაშიც. იყო ქართული ლიტერატურის, განსაკუთრებით ძველი ქართული მწერლობის, ქართულ-რუსული, ქართულ-უკრაინული ლიტერატურის ურთიერთობათა მკვლევარი, ძველი ხელნაწერების დაუცხრომელი მაძიებელი და გამომცემელი. 30-იან წლებში მისი ინიციატივით დაარსდა საქართველოს სსრ სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმი (ამჟამად გ. ლეონიძის სახელობისა), ი. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი საგურამოში, ალმანახი „ლიტერატურული მემკვიდრეობა", რომელსაც თვითონვე რედაქტორობდა. 1940-48 წწ. „ლიტერატურული მატიანის" რედაქტორი იყო. 1951-53 წწ. ხელმძღვანელობდა საქართველოს მწერალთა კავშირს, 1957-66 წწ. შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტს.

გიორგი ლეონიძემ სათანადო კომენტარებითა და გამოკვლევებით გამოსცა მ. ბარათაშვილის „ჭაშნიკი", ს.ს. ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა", იოსებ თბილელის „დიდმოურავიანი" და სხვ. გ. ლეონიძეს ეკუთვნის გამოკვლევები ვეფხისტყაოსნის, ვახტანგ VI-ის, დ. გურამიშვილის, ბესიკის, საიათნოვას, ანთიმოზ ივერიელის, მ. გურიელის, ა. ყაზბეგის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ვ. ბარნოვის და სხვათა შესახებ. კინოფილმ „ჯურღაის ფარის" (1944 წ., რეჟ. ს. დოლიძე, დ. რონდელი) სცენარისათვის მიენიჭა სსრკ სახელმწიფო პრემია (1950 წ.).

დაჯილდოებულია 2 ლენინის ორდენით, ნითელი დროშის ორდენითა და მედლებით.

ლეონიძეს ერის გულში უდევს ბინა...

გიორგი მხვნელ-მთესველს ნიშნავს, გეორგია — საქართველოს. ლეონიძე ლომის ბოკვერად იკითხება (შდრ. ლეონ-ლომი). მაშასადამე, გიორგი ლეონიძე საქართველოს ლომია. დიახაც, რომ ქართული პოეზიის ლომია გიორგი ლეონიძე. ასე ადეკვატურად შეერწყა ერთმანეთს დიდი მგოსნის სახელისა და გვარის ორთოეპიული ჟღერადობა და ამ სახელითა და გვარით აღნიშნული პოეზიის ფილოსოფიური არსი. ეს ადეკვატურობა გ. ლეონიძის დიდი პოეზიის ფორმისა და შინაარსის ადეკვატურობასაც გვაგონებს.

გიორგი მხვნელ-მთესველს ნიშნავს. ქართული პოეზიის ყამირს იშვიათად ჰყოლია ისეთი გუთნისდედა, ისეთი მხვნელ-მთესველი, როგორიც გიორგი ლეონიძეა.

რა გენიალურად ჩაუქსოვია მაინც დედა-ბუნებას პოეტის გვარისა და სახელის ჟღერაში მისი შემოქმედების მნიშვნელობა ერის კულტურის ისტორიისათვის.

გრიგოლ ბაგრატიონ-მუხრანელი

1792-1871

გრიგოლი იყო შვილი იოანე ბაგრატიონ-მუხრანელისა და ერეკლე მეორის ასულის, ქეთევანისა. გრიგოლის მოსახელე და ისიც იოანე ბაგრატიონის (ბატონიშვილი) ძე ორი სხვადასხვა მწერალია. გრიგოლის მამა იოანე კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელი ერეკლეს კარზე მნიშვნელოვანი ფიგურა იყო. მას ხელი აქვს მოწერილი რუსეთსა და საქართველოს შორის 1783 წლის ტრაქტატზე. 1783 წელს (27.VII) ერეკლე მეფემ სახლთხუცესობა ჩამოართვა უფროს სიძეს დავით ორბელიანს და ეს დიდი სახელო უბოძა იოანე კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელს (გარდაიცვალა 1800 წ.).

გრიგოლის დედა ქეთევანი (1764-1840) თავისი დროის დიდად სახელოვანი ქალი იყო. კეთილქმნულებასთან ერთად მას დაჰყვა პოეტური ნიჭი და დიდი სიყვარული სამშობლოსადმი.

იოანე ბაგრატიონ-მუხრანელსა და ქეთევან ბატონიშვილს ჰყავდათ ხუთი შვილი. მათ შორის პოეტური ნიჭი აღმოაჩნდა გრიგოლს. მწერლობაში მცირე წვლილი აქვს შეტანილი ბარბარესაც.

გრიგოლ ბაგრატიონ-მუხრანელი დაიბადა საგარეჯოს რაიონის სოფელ ხაშმში 1792 წლის 30 იანვარს. მის თავგადასავალს ვეცნობით ავტობიოგრაფიული პოემით „გრიგოლიანი". დედამ ბავშვობიდანვე ჩაუნერგა მშობლიური ხალხური სიტყვიერებისა და მწერლობის სიყვარული. სიყრმის წლებში მას რომანტიკულად უხატავდნენ მამისა და პაპის სახელოვან საქმეთ. გრიგოლმა მიიღო სამხედრო განათლება, სწავლობდა ვაჟთა კორპუსში, რომელიც დაასრულა დაახლოებით 1815-1820 წლებში.

გრიგოლ მუხრანელის სათავგადასავლო პოემა საყურადღებო ლიტერატურული ნაწარმოებია. „გრიგოლიანი" ამ შეფასებას იმსახურებს მისი ხალხური კოლორიტისა და რუსეთთან ქართლ-კახეთის და იმერეთის შეერთების დროინდელი ამბების მართალი გადმოცემით. „გრიგოლიანი" „13 თქმულად" დაუყვია ავტორს. თითოეულ „თქმულში" რუსეთისა და საქართველოს ისტორიის არაერთი ეპიზოდია აღნერილი.

გრიგოლს ეკუთვნის „მოთხრობა ივერიისათვის", რომელიც მოკლედ გადმოგვცემს ამბებს ფარნავაზიანთა დროიდან XIX საუკუნის დამთავრებამდე.

გრიგოლ მუხრანელის წვლილია ეპისტოლარულ პოეზიაში.

ხელნაწერებში გვხვდება, აგრეთვე, „მუხრანის ბატონიშვილი გრიგოლისაგან თქმული „ატრფიალო", ეროტიკული ლექსები.

დიმიტრი ბაქრაძე

1826-1890

ქართველი ისტორიკოსი, არქეოლოგი და ეთნოგრაფი, პეტერბურგის აკადემიის წევრ-კორესპონდენტი დიმიტრი ზაქარიას ძე ბაქრაძე დაიბადა 1826 წლის 26 ოქტომბერს საგარეჯოს რაიონის სოფ. ხაშმში.

1851 წელს დაამთავრა თბილისის სასულიერო სასწავლებელი, შემდეგ უმაღლესი სასულიერო განათლება მიიღო მოსკოვში. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ უარი ეთქვა სასულიერო მოღვაწეობაზე და მთელი სიცოცხლე საქართველოს ისტორიის შესწავლას შესწირა. მის გამოკვლევათაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: „კავკასია ქრისტიანობის ძველ ძეგლებში", „ქართული პალეოგრაფია" და „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში", „ისტორია საქართველოსი უძველესი დროიდან X საუკუნემდე" და სხვ. მეცნიერულ მუშაობასთან ერთად იგი დიდ საზოგადოებრივ მუშაობასაც ეწეოდა. მისი თაოსნობით დაარსდა ქართული ისტორიული ძეგლების საეკლესიო მუზეუმი უძვირფასესი ხელნაწერების დასაცავად. მისი მონაწილეობით ჩამოყალიბდა „კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოება", რომელმაც რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წინაშე დასვა საკითხი არქეოლოგთა V ყრილობის საქართველოში მოწვევის შესახებ. ეს ყრილობა ჩატარდა თბილისში 1881 წელს. მან ხელი შეუწყო საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიის გაღრმავებულ შესწავლას. ყრილობის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდა დ. ბერაძე. მეცნიერებაში დიდი დამსახურებისათვის ის აირჩიეს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტად.

1852-57 წწ. დ. ბაქრაძე მუშაობდა გორის სამაზრო სკოლაში. ამავე პერიოდში აქვეყნებდა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ნერილებს ქართულ და რუსულ პერიოდულ პრესაში. 1858-61 წწ. მსახურობდა ქუთაისის გუბერნატორის კანცელარიაში. 1861 წლიდან გარდაცვალებამდე ცხოვრობდა თბილისში, თანამშრომლობდა კავკასიის არქეოგრაფიულ კომისიაში, იყო ქართული გამოცემების ცენზორი, თავმჯდომარეობდა საადგილმამულო კომისიებს, ეწეოდა ინტენსიურ მეცნიერულ მუშაობას.

დ. ბაქრაძის ინიციატივით დაარსდა კავკასიის არქიტექტურის მოყვარულთა საზოგადოება, რომლის ბაზაზე მისივე თავმჯდომარეობით შეიქმნა კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის საზოგადოება...

1879 წელს დიმიტრი ბაქრაძემ დ. ყიფიანთან და ი. ჭავჭავაძესთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებაში. მისი რედაქტორობით გამოქვეყნდა იოანე ბატონიშვილის „ალმასობა", ვახუშტის „საქართველოს ისტორია", ვახტანგ VI-ის კანონთა კრებულის რუსული თარგმანი და სხვ. იგი წერდა ნარკვევებს საქართველოს ისტორიის ცალკეულ საკითხებზეც. 1889 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი „ისტორია საქართველოსი" (უძველესი დროიდან X საუკუნის დასასრულამდე).

80-იან წლებში გამანადგურებელი პასუხი გასცა ქ. პატკანოვს, რომელიც ხელაღებით უარყოფდა „ქართლის ცხოვრების", როგორც ისტორიული წყაროს მნიშვნელობას.

თავის ნაშრომებში დ. ბაქრაძე დიდ ყურადღებას უთმობდა ნივთიერი კულტურის ძეგლებს, მათ აღწერას, სალექსიკონო მასალას. 1875 წელს ლექსიკონის სახით შეადგინა „კავ-

კასია ქრისტიანობის უძველეს ძეგლებში" (რუსულ ენაზე), რომელიც შეიცავს ცნობებს საქართველოსა და სომხეთის ხუროთმოძღვრული ძეგლების შესახებ, სათანადო ბიბლიოგრაფიითურთ. 1861-62 ნლებში ჟურნალ „ცისკრის" ფურცლებზე გამოქვეყნდა იოანე ბატონიშვილის „კალმასობა". ამ ნაწარმოებს წინ უძღოდა ახალგაზრდა ისტორიკოსის დ. ბაქრაძის შესავალი, რომელიც სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლის ერთგვარ მონოდებას შეიცავდა. ავტორი აღნიშნავდა, რომ საზოგადოებას უნდა „მისცემოდა მოძრაობა განათლებისა", „თავისუფლების მოყვარეობისა და სულის სიმტკიცე"

დ. ბაქრაძე ქართული ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის წარმომადგენელია. თავდაპირველად იგი პოზიტივისტურ თვალსაზრისზე იდგა, შემდეგ კი ქართული ისტორიული აზროვნების რევოლუციურ-დემოკრატიულ მიმართულებას მიემხრო. ისტორიული მეცნიერების უმთავრეს ამოცანად იგი მიიჩნევდა ხალხის შინაგანი ცხოვრების შესწავლას.

დიმიტრი ბაქრაძემ საფუძველი ჩაუყარა საქართველოს ისტორიის დამხმარე მეცნიერულ დარგებს (პალეოგრაფია და სხვ.).



თამარ ბაძრაძე

1907-1992

ქართველი მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი თამარ ივანეს ასული ბაქრაძე დაიბადა 1907 წლის 28 დეკემბერს საგარეჯოს რაიონის სოფ. ხამმში.

დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკულტეტი და თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრთან არსებული დრამატული სტუდია; 1930-67 წწ. რუსთაველის სახელობის დრამატული თეატრის მსახიობია.

მესრულებული აქვს როლები: ამალია (შილერის „ყაჩაღები"), ლიდია კოვალი (კორნეიჩუკის „პლატონ კრეჩეტი"), ემილია (შექსპირის „ოტელო"), კრუჩინინა (ოსტროვსკის „უდანაშაულო დამნაშავენი"), კნეინა ჩიტუნია (დადიანის „გუშინდელნი"), ქეთევან დედოფალი (შანშიაშვილის „გიორგი სააკაძე"), ზეინაბი (სუმბათაშვილის „ღალატი"), ოთარაანთ ქვრივი (ი. ჭავჭავაძის მოთხრობის მიხედვით), სანათა (მრევლიშვილის „ზვავი"), გერტრუდა (შექსპირის „ჰამლეტი") და სხვ.

1963 წლიდან ენევა პედაგოგიურ მოღვაწეობას.

დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის" ორდენითა და მედლებით.

ზაქარია ბილანიშვილი

1862-1934

„ძალიან და ცხენი წამოიქცა. ძალიანი. ძუ-ძალიანი. ლეკი. ლეკი. ძალიანი"

ქართველი საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, ფოლკლორისტი ზაქარია (შაქრო) გრიგოლის ძე ბილანიშვილი დაიბადა 1862 წელს საგარეჯოს რაიონის სოფ. პატარძეულში.

მშობლებმა, როგორც ეს წესად ჰქონდათ თავადაზნაურებს, რვა წლის შაქრო ვორონეჟის სამხედრო სასწავლებელში მიაბარეს, მაგრამ ადრე გათვითცნობიერებულმა ზაეარიამ ოფიცრის კარიერა არ ისურვა.

საქართველოში დაბრუნებული, ის მთელი გატაცებით ჩაება ხალხოსნურ მოძრაობა-

1882 წელს ზ. ბილანიშვილი მიდის თავის სოფელ პატარძეულში, სადაც ეწეოდა „ნაროდნაია ვოლიას" იდეების ქადაგებას. მხარში ედგა გლეხთა ღარიბ ფენებს და ებრძოდა უფრო შეძლებულ ნაწილს. საერთო მამულების დანაწილების დროს ის ღარიბთა ინტერესებს იცავდა.

1885-86 წწ. ზ. ბილანიშვილი მუშაობს იმერეთში, შავი ქვის მრეწველ ნ. ღოღობერიძესთან. აქ იგი ცდილობს, მაღაროს მუშებში გაავრცელოს „ნაროდნაია ვოლიას" იდეები. იბრძვის მუშების ხელფასის გადიდებისათვის, მანვე მოაწყო მუშათა გაფიცვა, რაც მუშათა გამარჯვებით გათავდა.

1901-02 წწ. იგი ისევ თბილისში დაბრუნდა, სადაც კვლავ განაახლა პროპაგანდა რკინიგზის მუშათა შორის.

ზ. ბილანიშვილის ეს მუშაობა შეუმჩნეველი არ დარჩა მთავრობას და 1902 წელს უკვე მეტეოია ციხეშია, ხოლო 1910 წელს ხუთი წლით ასახლებენ როსტოვში...

განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის ზ. ბილანიშვილს ჩვენი ხალხური ზეპირსიტყვიერების შეკრების საქმეში. მას საოცარი ზედმიწევნილობით ჰქონდა შესწავლილი ხალხის ზნე-ჩვეულებანი. შესანიშნავია მისი მოხსენება ქართველი მეგუთნეების ჩვეულებათა შესახებ, წაკითხული „ქართული კულტურის საზოგადოებაში" ზ. ბილანიშვილმა სიცოცხლეშივე მოასწრო გამოექვეყნებინა მის მიერ შეკრებილი ხალხურ თქმულებათა მარგალიტები: ლექსები და ანდაზები („ხალხური სიტყვიერება", წიგნი I, საეთნოგრაფიო-საისტორიო საზოგადოების გამოცემა).

ეს სათნო ხასიათის, ტკბილი მოსაუბრე, ქართული მწერლობის ჩუმი და უანგარო მუშაკი, ყველაზე წაკლებ თავისი თავისადმი მზრუნველი, უპრეტენზიო, მაგრამ დიდი იდეებისათვის მებრძოლი ადამიანი უკვე საკმაოდ ხანშიშესული გარდაიცვალა 1934 წელს.

გურამ გედეხაური

მსოფლიოს ჩემპიონი, მსოფლიოს თასის მფლობელი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და მრავალგზის პრიზიორი გურამ ირაკლის ძე გედეხაური დაიბადა 1962 წლის 23 იანვარს სართიჭალაში.

თოთხმეტი წლის გურამი სერიოზულად შეიპყრო სპორტის „სენმა", ყოველდღიურად, ნებისმიერ ამინდში გადიოდა ოცდაათ კილომეტრს, რათა სავარჯიშოდ ჩამოსულიყო თბილისში. დარბაზში ყველაზე ადრე მიდიოდა, გვიანობამდე რჩებოდა. ასეთმა ენთუზიაზმმა თავისი ნაყოფიც გამოიღო. 1980 წელს გურამმა მოსწავლეთა შორის ქვეყნის ჩემპიონის წოდება მოიპოვა. მასზე იმედებს ამყარებდნენ, მან კი უეცრად ზრდა შეაჩერა, ჩრდილში აღმოჩნდა... 1986 წელს ი. პოდდუბნის პრესტიჟულ მემორიალზე გამარჯვების შემდეგ მასზე მთელი სერიოზულობით ალაპარაკდნენ. შემდეგ გედეხაურმა გაიმეორა ეს ნარმატება — ქართველი კლასიკოსი ამ ტურნირზე უკვე მონიფულ ოსტატად წარდგა და იგი ქვეყნის ნაკრებში შეიყვანეს. საფრანგეთში მსოფლიოს ჩემპიონატზე მწვრთნელებმა ქართველი მოჭიდავე წაიყვანეს და არც შემცდარან...

ოცნება აუსრულდა გურამ გედეხაურს. 24 წლის სართიჭალელი ათლეტი საბჭოთა კავშირის კლასიკური ჭიდაობის ოლიმპიურ ნაკრებში შეიყვანეს.

მაგრამ ამ უფლებას კიდევ სჭირდებოდა დამტკიცება. წინ იყო საბჭოთა კავშირის მორიგი ჩემპიონატი თბილისში. გედეხაურისაგან თაყვანისმცემლები მხოლოდ გამარჯვებას ელოდნენ. ცოტა ხნით ადრე ხომ იგი დამაჯერებლად გამოვიდა მსოფლიოს თასის გათამაშებაში. კვლავ მოუგო დენის კოზლოვსკის, მაგრამ ამჯერად მეორე ადგილს დასჯერდა — ფინალში თავის ძირითად კონკურენტთან ანატოლი ფედორენკოსთან ნააგო. როგორც ჩანს, გავლენა იქონია უწვეულო ვითარებამ: იგი ხომ პირველად გამოდიოდა ქართველი გულშემატკივრების წინაშე. კარგად იცოდა, რას ელოდნენ მისგან. ძალზე ღელავდა. შებოჭილი იყო.

სართიჭალელები, რომლებიც ენამახვილობით გამოირჩევიან, ასე ხუმრობენ: „ის რა სოფელია, რომელსაც თავისი მსოფლიო ჩემპიონი არა ჰყავს?" მას საყოველთაო აღიარება გურამ გედეხაურმა 1987 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე თავისი ბრწყინვალე გამარჯვებით მოუტანა. მისი გამოსვლა საფრანგეთის ქალაქ კლერმონ-ფერანის „სპორტის სახლის" ხალიჩაზე ტურნირის ყველაზე დიდი მოულოდნელობა გახდა — მის დანყებამდე ხომ საერთაშორისო ასპარეზზე სპორტსმენი ფართო აუდიტორიისათვის არ იყო ცნობილი. დებიუტანტმა უშფოთველი მეტოქეები თავისი ძლიერებით, მრავალფეროვანი ტექნიკით დაჯაბნა. ყველას დაამახსოვრდა სასიამოვნო გარეგნობის, სიმპათიური, ძლიერი ვაჟკაცი.

ფინალში მას შეხვდა ამერიკელი დენის კოზლოვსკი. წინასწარ ბრძოლებში მან მოუგო 1984 წლის ოლიმპიადის გამარჯვებულს რუმინელ ვასილე ანდრეის, რომელიც ჩემპიონატის ძირითად ფავორიტად ითვლებოდა. გედეხაურმა ამერიკის შეერთებული შტატების მოჭიდავეს მოუგო და მსოფლიოს უძლიერესი ქვემძიმე წონის მოჭიდავე გახდა.

გედეხაურის წარმატება აღსანიშნავია იმითაც, რომ 1981 წლიდან მსოფლიოს ჩემპიონატზე თბილისელი მიხეილ სალაძის გამარჯვების შემდეგ საბჭოთა „კლასიკოსებმა" ამ წონით კატეგორიაში პირველობა დათმეს...

არჩილ გულისაშვილი

1888-1971

ინჟინერ-მეტალურგი, საქართველოს მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი არჩილ გულისაშვილი დაიბადა 1888 წელს სოფ. საგარეჯოში.

დაამთავრა პეტერბურგის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეტალურგიული ფაკულტეტი. მუშაობდა ურალის მეტალურგიულ ქარხნებში. 1921 წელს დაბრუნდა საქართველოში და მუშაობა დაიწყო სპეციალისტ-კონსულტანტად სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში, პარალელურად ეწეოდა პედაგოგიურ მუშაობას.

ა.ა. გულისაშვილი მონაწილეობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან პოლიტექნიკური ფაკულტეტის გამოყოფასა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაარსებაში. 1930 წლიდან იყო ამ ინსტიტუტის პროფესორი, მეტალურგიული ფაკულტეტის დეკანი და კათედრის გამგე, ხოლო 1948-53 წწ. დირექტორის მოადგილე სასწავლო სამეცნიერო დარგში.

ა.ა. გულისაშვილს ეკუთვნის მეტალურგიის, მხაზველობითი გეომეტრიისა და მანქანათა ნაწილების სახელმძღვანელოები.

1930 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა საქ. პოლიტექნიკური ინსტიტუტის მხაზველობითი გეომეტრიისა და საინჟინრო გრაფიკის კათედრას.

დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, 2 შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის" ორდენებითა და მედლებით.

ვასილ გულისაშვილი

1903-1994

ვეტყევე-ეკოლოგი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწე ვასილ ზაქარიას ძე გულისაშვილი დაიბადა 1903 წელს სოფელ საგარეჯოში.

1926 წელს დაამთავრა ლენინგრადის სატყეო-ტექნიკური აკადემიის სატყეო მეურნეობის ფაკულტეტი, ხოლო 1931 წელს ამავე აკადემიის ქიმიის ტექნოლოგიის ფაკულტეტი.

1927 წლიდან ლენინგრადის სატყეო-ტექნიკური აკადემიის მეტყევეობის კათედრის ტექნიკოსია. 1927-30 წწ. — ლენინგრადის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ასისტენტი, შემდეგ უფროს მეცნიერ-თანამშრომელი.

1931 წლიდან ვ. ზ. გულისაშვილი საქართველოში დაბრუნდა და მუშაობა დაიწყო თბილისის სატყეო ტექნიკურ ინსტიტუტში კათედრის გამგედ. 1932-44 წწ. სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე იყო. 1945 წლიდან ხელმძღვანელობს თბილისის სატყეო ინსტიტუტს.

ვ. ზ. გულისაშვილის მეცნიერული შრომები ეხება მცენარეთა მერქნიანი ჯიშების ბიოლოგიას, ეკოლოგიასა და გეოგრაფიას, ბუნების დაცვისა და სხვა საკითხებს; შეისწავლა ტყის ნიადაგის ფიზიკური თვისებები და მათი ცვალებადობა ამორჩევითი, პირნმინდა ჭრისა და სასოფლო სამეურნეო სავარგულებად დროებით გამოყენებისას.

ვ. ზ. გულისაშვილი იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბუნების დაცვის კომისიის თავმჯდომარე და საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე. 1974 წელს მიენიჭა საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემია. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, 4 სხვა ორდენითა და მედლებით.

იერემია გულისაშვილი

1863-1958

ახალხო განათლების უანგარო მოამაგე იერემია დიმიტრის ძე გულისაშვილი დაიბადა 1863 წელს საგარეჯოს რაიონის სოფელ გიორგიწმინდაში, სადაც მამამისი იმ ხანებში მღვდლად იყო განწესებული. 1870 წელს პატარა იერემია მიაბარეს საგარეჯოს სამრევლო სკოლაში. 1871 წელს იგი მამამ თბილისში წაიყვანა და ოთხკლასიან სასულიერო სასწავლებელში შეიყვანა. 1874 წლის დეკემბერში იერემია უფროსმა ძმამ იოსებმა სასულიერო სასწავლებლიდან გამოიყვანა და დაუნყო მომზადება საერო სასწავლებლისათვის.

1875 წელს იერემია გულისაშვილმა თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტთან არსებულ სანიმუშო სასწავლებელში ჩააბარა გამოცდები.

1881 წელს იერემია გულისაშვილმა დაამთავრა სანიმუშო ექვსკლასიანი სამოქალაქო სასწავლებელი და იმავე წელს შევიდა ახლად გახსნილ ხონის სამასწავლებლო სემინარიაში, სადაც იგი საბელმწიფო ხარჯზე მიიღეს.

1884 წელს იერემიამ ხონის სამასწავლებლო სემინარია დაამთავრა და დაინიშნა მასწავლებლად ქ. ზუგდიდის ორკლასიან ე.წ. ნორმალურ სასწავლებელში. მან შემოიკრიბა ეალაქის ინტელიგენცია და მათი დახმარებით მართავდა ნარმოდგენებს. ნარმოდგენილ იქნა გ. ერისთავის პიესა „ძუნწი" ნარმოდგენის შემოსავლით იერემია გულისაშვილმა საფუძველი ჩაუყარა ზუგდიდის ბიბლიოთეკა-სამკითხველოს დაარსებას.

1887 წლის ივნისიდან იგი გადმოდის თბილისში გერმანულ შვიდკლასიან სასწავლებელში რუსული ენის მასწავლებლად. ამ სასწავლებელში იერემია 25 წელიწადი მასწავლებლობდა. სასწავლებელში დიდი დატვირთვის მიუხედავად იერემია გულისაშვილი მხურვალე მონაწილეობას იღებდა კულტურულ საქმიანობაში.

1890 წელს ალექსანდრე ჯაბადართან და ლადო აღნიაშვილთან ერთად იერემია მონაწილეობას იღებს „ქართველთა ამხანაგობა წიგნის გამოცემის" დაარსებაში.

1897 წლის 22 ოქტომბერს ქართულ სცენაზე დაიდგა ი. გულისაშვილის 4-მოქმედებიანი დრამა „ცხოვრება ბრძოლაა"

1915 წლის ნოემბერში იერემია საქველმოქმედო საზოგადოებამ გაგზავნა აჭარაში ქართული სკოლების დამაარსებლად და ხელმძღვანელად.

ქართველთა საქველმოქმედო საზოგადოებამ იერემია გულისაშვილის ხელმძღვანელობით აჭარის სოფლებში (ყორისთავი, ხუცუბანი, აღამბარი, აგარა და ჩხუტუნეთი) გახსნა აკოლები, სადაც სწავლება ქართულ ენაზე მიმდინარეობდა, რუსული ენა კი ისწავლებოდა, როგორც საგანი. ბათუმში და ქობულეთში ქალებისათვის სამკერვალო სასწავლებლები დააარსა, სოფელ ხულოში კი სამჭედლო-საზეინკლო სასწავლებელი. ქართული სკოლები გაივსო აჭარელი გოგო-ბიჭებით და სკოლებში ამეტყველდა იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა". ქართული სკოლების წარმატებამ ლახვარი ჩასცა აჭარელი ბალების მტრებს. ი. გულისაშვილს დიდი დაბრკოლებების გადალახვა მოუხდა.

1934 წელს მადლიერმა საზოგადოებამ სახალხო განათლების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის 50 წლის იუბილე გადაუხადა , ხოლო 1939 წელს მას საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება მიენიჭა .

იერემია გულისაშვილი გარდაიცვალა 1958 წლის აპრილში.

სოლომონ გულისაშვილი

1874-1952

ბამოჩენილი ქართველი პედაგოგი სოლომონ თევდორეს ძე გულისაშვილი დაიბადა 1874 წელს საგარეჯოს რაიონის სოფელ გიორგინმინდაში. თბილისის მე-2 გიმნაზიის კურსის დამთავრების შემდეგ, სოლომონმა სწავლა განაგრძო ოდესის (ნოვოროსიისკის) უნივერსიტეტში, ბუნებისმეტყველების ფაკულტეტზე.

სოლომონმა 1901 წელს წარჩინებით დაამთავრა უნივერსიტეტი. ბოტანიკის პროფესორმა კამენსკიმ მისი უნივერსიტეტში დატოვება მოინდომა, მაგრამ უარი მიიღო. სოლომონმა თავისი უარი ავადმყოფობით დაასაბუთა.

ღრმად განსწავლული სოლომონი ისწრაფოდა, მშობლიურ საქართველოში მთელი ენერგიით შესდგომოდა ახალთაობის სწავლა-აღზრდის საპატიო საქმეს. მაგრამ მან მაშინვე ვერ განახორციელა თავისი განზრახვა, ვინაიდან მეფის მთავრობა, როგორც ცნობილია, ნებას არ აძლევდა რუსეთის იმპერიაში შემავალი ჩაგრული ერების ნარმომადგენლებს — უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდებს ემუშავათ თავიანთ სამშობლოში. სოლომონ გულისაშვილი იძულებული გახდა, სამსახური დაეწყო ბაქოს ნავთის სარენებში. მხოლოდ 1907 წელს დაინიშნა მასწავლებლად თბილისის ქართულ გიმნაზიაში. ასწავლიდა საბუნებისმეტყველო საგნებს და გეოგრაფიას. უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა ის მასწავლებელთა და მოსწავლეთა შორის. სოლომონ გულისაშვილი თბილისის ქართულ გიმნაზიაში მასწავლებლად დარჩა 1923 წლამდე. ამ პერიოდში იგი ორჯერ აირჩიეს პედაგოგიური საბჭოს მდივნად, რაც საპატიოდ ითვლებოდა მასწავლებლისათვის.

1923 წლიდან სოლომონ გულისაშვილი ერთხანს საგარეჯოში ახალგახსნილ 9-წლიან სკოლას ხელმძღვანელობდა, შემდგომ კი იმავე სკოლაში დარჩა მასწავლებლად.

სოლომონი ყველას აკვირვებდა თავისი მრავალმხრივი ცოდნით. იგი თითქმის ყველა საგანს, რაც საშუალო სკოლაში ისწავლებოდა, საფუძლიანად ფლობდა.

განსაკუთრებული სიყვარულითა და სიმპათიით სარგებლობდა ს. გულისაშვილი საგარეჯოს მასწავლებლებს შორის. იგი ყოველთვის დიდი პასუხისმგებლობით ემზადებოდა თითოეული გაკვეთილისათვის, ამიტომ მისი გაკვეთილი სანიმუშო იყო და მოსწავლეები დიდი ინტერესით უსმენდნენ.

სოლომონ გულისაშვილი უფრო ხშირად გამოსაშვები კლასების ხელმძღვანელი იყო. იგი, როგორც აღმზრდელი, სამაგალითო იყო როგორც მასწავლებლებისათვის, ისე მოსწავლეებისა და მათი მშობლებისათვის; ყველას გულისხმიერად ეკიდებოდა.

დიდი ღვაწლი მიუძღვის სოლომონს მასწავლებელთა დახელოვნების საქმეში. 1918 წლიდან ხელმძღვანელობდა მასწავლებელთა დახელოვნების კურსებს.

სოლომონ გულისაშვილი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა საგარეჯოს რაიონის განათლების განყოფილების პედაგოგიური კაბინეტის მთელი რიგი სექციების, განსაკუთრებით ქიმია-ბუნებისმეტყველებისა და გეოგრაფიის სექციების მუშაობას.

იგი არ შემოფარგლულა მარტო პედაგოგიურ ასპარეზზე მოღვაწეობით და აქტიურ მონაწილეობას იღებდა საზოგადოებრივ საქმიანობაში. ჩაბმული იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მუშაობაში. ამ საზოგადოების გამგეობის დავალებით იგი მთელი პასუხიმგებლობით მუშაობდა ქართულ ენაზე ბუნებისმეტყველების ტერმინოლოგიის დასადგენად.

სოლომონ გულისაშვილის რედაქციით გამოვიდა პირველად ქართულ ენაზე გეოგრაფიული ატლასი და ნახევარსფეროების რუკა.

იგი აქტიურად თანამშრომლობდა საბავშვო ჟურნალ „ნაკადულში", რომელშიც განაგებდა საბუნებისმეტყველო განყოფილებას.

1939 წლიდან სოლომონ გულისაშვილს სისტემატურად ირჩევდნენ საგარეჯოს რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს დეპუტატად. იგი ღირსეულად ატარებდა ხალხის მსახურის სახელს. მთელი ენერგიით იღვწოდა თავისი რაიონის მშრომელთა საკეთილდღეოდ.

სოლომონს მეგობრობდნენ პროფესორები გ. გეხტმანი და გ. ჯავახიშვილი. მათ არაერთხელ უთხოვიათ მისთვის , ხელი მოეკიდა მეცნიერული მოღვაწეობისათვის, მუშაობა დაენყო უნივერსიტეტში.

საგარეჯოს რაიონის ხელმძღვანელმა ორგანოებმა და ინტელიგენციამ ღირსეულად დააფასეს სოლომონ გულისაშვილის ღვაწლი და 1939 წელს, მისი პედაგოგიური მოღვაწეობის 33-ე წლისთავზე, გადაუხადეს იუბილე, რასაც გამოეხმაურნენ განათლების მუშაკები თბილისიდან, რაიონებიდან. მრავალი მათგანი ეწვია საგარეჯოს.

1939 წელს სოლომონ გულისაშვილს მიანიჭეს საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება, დააჯილდოვეს მთავრობის უმაღლესი ჯილდოთი — ლენინის ორდენით, მედლით „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის" და განათლების სამინისტროს სამკერდე ნიშნით „სახალხო განათლების წარჩინებული"

ს. გულისაშვილი გარდაიცვალა 1952 წლის 20 მარტს. იგი დაკრძალულია სოფ. გიორგიწმინდაში.

ლევან თედიაშვილი

ქართველი სპორტსმენი (თავისუფალი ჭიდაობა), სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი, ოლიმპიური ორგზის, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი, ლევან ქიტესას ძე თედიაშვილი დაიბადა 1948 წლის 15 მარტს საგარეჯოში.

1971 წელს დაამთავრა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი, ხოლო 1978 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. ხუთჯერ მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონის სახელი: 1971 წ. (სოფია), 1973 წ. (თავისუფალი ჭიდაობა და სამბო, თეირანი), 1974 წ. (სტამბოლი) და 1975 წ. (მინსკი); 1972 წელს მიუნჰენის და 1976 წ. მონრეალის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, 1975 წლის მსოფლიო თასის მფლობელი (ტოლიდო, აშშ), ევროპის ჩემპიონი (1974 წ. მადრიდი, 1978 წ. სოფია). სსრკ ოთხგზის ჩემპიონი (1971, 1972, 1973 და 1974 წწ.). ჭიდაობდა ტექნიკურად, მრავალფეროვნული სტილით, ახასიათებდა დიდი ფიზიკური ძალა, გამძლეობა და დხვეწილი ტექნიკური ოსტატობა.

დაჯილდოებულია: საპატიო ნიშნის ორდენით, ლენინის ორდენით, ლენინური კომკავშირის საპატიო ნიშნის ორდენით, გორგასლის II ხარისხის ორდენით.

სპორტული ნადავლი:

ოლიმპიური თამაშების 2 ოქროს მედალი (1972, 1976). მსოფლიოს ჩემპიონატის 5 ოქროს (1971, 1973, 1974, 1975) და 1 ვერცხლის მედალი (1978წ.).

მსოფლიო თასის გათამაშების 2 ოქროს მედალი (1973, 1974) ევროპის ჩემპიონატის 3 ოქროს (1971, 1973, 1974) და 3 ვერცხლის მედალი (1975, 1977, 1980) და მრავალი ოქროსა და ვერცხლის მედლები ახალგაზრდულ თუ საერთაშორისო შეჯიბრება-ტურნირებში.

არის ქალაქების: მახაჩკალისა და კრასნოიარსკის (სსრკ), ოპაიოს შტატის (აშშ), ტოკიოს (იაპონია) საპატიო მოქალაქე.

1973 წლის სსრკ საუკეთესო სპორტსმენი. კალიფორნიის შტატის საპატიო შერიფი.

აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების კინოფესტივალების ლაურეატი, მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის I პრიზი „ოქროს არჩა" ფილმში „ხარება და გოგია". ქ. ტაშკენტი, 1988 წელი.

1992 წლის საქართველოს № 1 მეცენატი, და რაც მთავარია, ლევან თედიაშვილი არის ძალიან საინტერესო, ყოვლად კეთილმოსურნე და პატიოსანი ადამიანი. ამის დასტურად მოვიყვანთ ერთ ასეთ ეპიზოდს მისი საინტერესო ცხოვრებიდან:

ევროპის ერთ-ერთ ჩემპიონატზე თედიაშვილის მოსყიდვა განიზრახეს. მას დიდძალი თანხა აღუთქვეს, თუ ასპარეზობის ფინალურ ბრძოლას მასპინძელთა გუნდის ნარმომადგენელთან წააგებდა.

ლევანმა ის შეხვედრა წმინდად მოიგო.

ლევან თედიაშვილის დარი სპორტსმენები თითებზე ჩამოსათვლელი ჰყავდა საქართველოს. არ დარჩენილა სპორტული ტიტული, რომ მას არ მოეპოვებინოს. ქართველ სპორტსმენთაგან მოჭიდავეები არიან ყველაზე ტიტულოვანნი, ლევანი კი მათ ფონზეც გამორჩეულია, მაგრამ ტიტულებთან ერთად ლევანმა მოიხვეჭა ყველაზე მთავარი — თავისი ქვეყნის, თავისი ხალხის სიყვარული და პატივისცემა.

იგი სისხლხორციელადაა შეყვარებული თავის სამშობლოზე, თავის სათაყვანო კახეთზე, კაკაბეთზე. იგი მზადაა ყველაფერი შესწიროს თავისი ქვეყნის, თავისი ხალხის საკეთილდღეოდ. ბატონო ლევან! ალბათ, ასეთი ბედნიერი დღეც მალე ეახლება შენს სანუკვარ საქართველოს! იმედი ვიქონიოთ.

ერთი უცხოელი სოციოლოგი ჩიოდა: თანამედროვე ადამიანმა თითქმის დაკარგა უძვირფასესი თვისება — განცვიფრების უნარი. მთვარეზე კაცი გაფრინდა და, თითქოს, არაფერი მომხდარიყოს, ბეისბოლის მატჩი უფრო აინტერესებთო...

ჩვენ იგი გვანცვიფრებს, „ჭიდაობით საქართველოში, აბა, ვინ უნდა გააკვირვო. ჩვენ ბევრი გვყოლია ოლიმპიური, მსოფლიო, ევროპის, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი... ვგონებ არავისთვის სადავო არ არის, რომ ქართული საფალავნო სკოლა ერთ-ერთ მოწინავე ადგილზეა მსოფლიოში. ამას ტრაბახით არ ვამბობთ: ჭიდაობის ისტორიის ფურცლები სავსეა ჩვენი ფალავნების ტრიუმფალური გამარჯვებებით. წაიკითხე და გაიხარე, რა გინდა, სულო და გულო, რომელი ლითონისგან გამოჭედილ მედალს არ ნახავ ჩვენი მოჭიდავეების საძმო ყულაბაში.

და მაინც, იგი გვანცვიფრებს, მიუხედავად ჩვენი ჭიდაობის უმდიდრესი ტრადიციებისა, მიუხედავად მისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა და, ბოლოს, ურიცხვი ფალავან-ჩემპიონისა.

ის დარჩა, როგორც თავისებური სიმბოლო თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა სკოლის წინანდელი ძლევამოსილებისა, როგორც მისი უპირველესი და, სამწუხაროდ, თითქმის ერთადერთი ალამდარი.

დიახ, იგი მსოფლიოს საუკეთესო ჩემპიონია, ყველა დროის ფალავანი, როგორც მას უწოდებენ საბჭოთა და უცხოელი სპორტული მიმომხილველები.



ალექსანდრე იმედაშვილი

1882-1942

საქართველოს სახალხო არტისტი ალექსანდრე იმედაშვილი დაიბადა 1882 წლის 18 ოქტომბერს საგარეჯოს რაიონის სოფ. ხაშმში. იგი ლადო მესხიშვილის სკოლის მსახიობია. 50 წელი ემსახურა ქართულ სცენას ჯერ სცენისმოყვარულთა წრეებში, შემდეგ კი, 1900 წლიდან, ქართული თეატრის დასში. ალ. იმედაშვილი ხელმძღვანელობდა ქუთაისის, ბათუმის, ჭიათურის ქართულ დასებს, მუშაობდა რუსთაველის თეატრში, კ. მარჯანიშვილთან ერთად მოღვაწეობდა ქუთაისში, იყო მსახიობთა პროფესიული კავშირის ერთ-ერთი დამაარსებელი, რამდენიმე პიესის ავტორი და მთარგმნელი. ქართველი მაყურებელი სათანადოდ აფასებდა ა. იმედაშვილის დიდ ნიჭს, საოცარ შრომისუნარიანობას (500-მდე როლი), შესანიშნავ ხმას, მეტყველების ძალაღ კულტურას და გარდასახვის დიდ უნარს. ალ. იმედაშვილი მრავალმხრივი მსახიობი იყო, მაგრამ განსაკუთრებული სიძლიერით გამოირჩეოდა დრამასა და ტრაგედიაში.

ალ. იმედაშვილის მრავალრიცხოვანი როლებიდან აღსანიშნავია:

მადიმანი — ს. შანშიაშვილის „უგვირგვინო მეფენი"; გიგუა — ი. გედევანიშვილის „მსოვერპლი"; ლიონიძე — დ. ერისთავის „სამშობლო"; პროტასოვი — ლ. ტოლსტოის „ცოცხალი ლეში"; ბერსენევი — ლავრენიევის „რღვევა"; კარლ მოორი — შილერის „ყაჩაღები"; ოტელო — შექსპირის „ოტელო"; ლირი — შექსპირის „მეფე ლირი"; მაკბეტი — შექსპირის „მაკბეტი"; ოიდიპოსი — სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე"; დათო — ალ. სუმბათაშვილ-იუჟინის „ღალატი"; დე სანტოსი — კ. გუცკოვის „ურიელ აკოსტა"; არსენა — ს. შანშიაშვილის „არსენა"; გიჟუა — ა. ცაგარელის „რაც გინახავს, ეეღარ ნახავ"; სატინი — მ. გორკის „ფსკერზე"; დობჩინსკი — გოგოლის „რევიზორი"; ვანიუშინის მამა — ნადიდენოვის „ვანიუშინების ოჯახი" და სხვა მრავალი.

. . რა იყო მიზეზი, რომ ასე ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენდა საშა იმედაშვილი? უპირველეს ყოვლისა, ის იშვიათი ხმის პატრონი იყო. მართალია, მის ხმაში არ იყო სასიამოვნო, მოსალბუნე ბგერები, რომლებითაც ასე გვხიბლავდა გიორგი იშხნელი, მაგრამ იმედაშვილის ხმას ჰქონდა ფოლადი. ვისაც შემთხვევა ჰქონდა, ენახა ეს ორი ოსტატი „ოიდიპოს მეფეში", ვერასოდეს ვერ დაივიწყებს ამ მსახიობთა მეტყველებას, ხმის სიძლიერეს. ბუნებისაგან იმედაშვილი არ იყო არტისტული გარეგნობით დაჯილდოებული. ქუჩაში რომ შეხვედროდით, ვერასოდეს იფიქრებდით, რომ მსახიობი იყო. მაგრამ ეს დიდად ნიჭიერი მსახიობი სცენაზე სულ იცვლებოდა. ვისაც უნახავს საშა იმედაშვილის ოიდიპოსი, ის იტყვის, ასეთი კლასიკური სილამაზის მსახიობს მეორეს არ შეეხვედრიეარო. ასეთი გარდასახვა კი მხოლოდ ჭეშმარიტ ნიჭს შეუძლია.

მეგობრობაში ძალიან კეთილი იყო. არც ერთი მეგობარი, ამხანაგი ისეთ დახმარებას არ გაგიწევდა, როგორც იმედაშვილი. ისეთ მზრუნველობას იჩენდა ყველასადმი, რომ მამა, ძმა არ გაგიწევდა. სნორედ ამიტომ, ხუმრობით მთელი თავისი თაობის მსახიობებმა „პაპაშა" შეარქვეს. მეტისმეტად გულჩვილიც იყო. გაჭირვებაში ყველასთან იყო, ყველას ეხმარებოდა და ხუმრობით მილიონერს ეძახდნენ.

პატარა პორტრეტში ძნელია ამ დიდი ბუნების ადამიანის ცხოვრების თუნდაც ოდნავ ასახვა. მასზე თამამად შეგეძლო გეთქვა — „ის კაცი იყო, ვით შეშვენის კაცსა კაცობა".

ქართველ ხალხს უყვარდა და უყვარს ალექსანდრე იმედაშვილი და ამაყობს ამ თვალსაჩინო მსახიობით.



გაიოზ იმედაშვილი

1906-1995

მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, რუსთველოლოგი, კრიტიკოსი გაიოზ იოსების ძე იმედაშვილი დაიბადა 1906 წლის 20 მარტს საგარეჯოს რაიონის სოფელ ხაშმში.

შოთა რუსთაველის შემოქმედებით დაინტერესებული მრავალრიცხოვანი მკითხველი კარგად იცნობს ამ ძველი ქართული პოეტური კულტურის შესანიშნავ მკვლევარს. მან ათეული წლები მიუძღვნა „ვეფხისტყაოსნის" საკითხების კვლევა-ძიებას, შედეგიც ხელშესახები და შთამბეჭდავია — მას ეკუთვნის არაერთი პირველხარისხოვანი გამოკვლევა და ცალკე ნიგნად გამოქვეყნებულლი რამდენიმე მონოგრაფიული ნაშრომი.

სიყმაწვილიდანვე მისი ინტერესები ქართული მწერლობისაკენ იყო მიმართული. ამაში, რასაკვირველია, უპირველესი როლი მისმა ოჯახურმა გარემომ ითამაშა. იმედაშვილების ოჯახი ათიანი წლებიდან აქტიურ მონაწილეობას იღებდა ჩვენი ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში. გ. იმედაშვილის მამა გახლდათ ცნობილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ლექსიკოგრაფი და თეატრალური მოღვაწე, „თეატრი და ცხოვრების" გამომცემელი და რედაქტორი იოსებ იმედაშვილი. ამან, უეჭველია, განსაზღვრა მომავალი მკვლევარის არჩევანი. ოციანი წლებიდან სნორედ „თეატრი და ცხოვრებაში" იგი სისტემატურად აქვეყნებს წერილებს ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხებზე...

გ. იმედაშვილი ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა იყო, როდესაც დასტამბა უაღრესად საგულისხმო ნიგნი „რუსთველოლოგია" (1941 წ.), რომელშიც ისტორიულ-კრიტიკულ მიმობილვასთან ერთად შეჯამებული იყო ძირითადი ისტორიული ეტაპები და უმთავრეესი პრობლემატიკა. აქ გამოჩნდა იგი, როგორც პროფესიონალი რუსთველოლოგი, რომელსაც შეეძლო ქართული ფილოლოგიის ამ ურთულეს დარგში ნარმატებით მუშაობა.

გაიოზ იმედაშვილი ნლების განმავლობაში იკვლევდა და ასაბუთებდა რუსთაველის ღრმა კავშირს ეროვნული კულტურის ძირებთან. ვინც რუსთველოლოგიის ისტორიას იცნობს, კარგად მოეხსენება ამ პრობლემატიკის მნიშვნელოვნობა. ამ მხრივ ძალზე ფასეულია გ. იმედაშვილის მართლაც ჩინებული გამოკვლევები — „ვეფხისტყაოსნის პარალელები მეათე საუკუნის ქართულ ჰიმნოგრაფიაში" (1944 წელი), „ვეფხისტყაოსანი" და ეართული კულტურა" (1968), „ვეფხისტყაოსანი" და ქართული მწერლობა" (1986).

ამ მიმართულებით მანამდეც გაკეთებული იყო ზოგი რამ, მაგრამ ასე სრულად, თანამედროვე მეცნიერების დონეზე ეს საკითხები დამუშავებული არ იყო.

დღეს სამაგიდო ნიგნად ითვლება გაიოზ იმედაშვილის მონუმენტური ნაშრომი „რუსთველოლოგიური ლიტერატურა", რომელიც შეიცავს ერცელბიბლიოგრაფიულ ანოტაციებს 1712 ნლიდან ჩვენი დროის 60-იან ნლებამდე. ჩვენ სამეცნიერო წრეებში აღიარებულია ამ ნაშრომის მაღალი ღირსებები.

„რუსთველოლოგიური"ლიტერატურა შორს სცილდება ჩვეულებრივ ბიბლიოგრაფიულ საძიებელს. აქ ცალკეული სტატია გამოკვლევაა, რომელშიც ნარმოჩენილია აღნერის საგნად ქცეული ნაშრომების ძირითადი დებულებები. ასეთი ტიპის

ბიბლიოგრაფიული საძიებლის შექმნა მხოლოდ და მხოლოდ მაღალი კვალიფიკაციის მეცნიერ-ფილოლოგს ძალუძს...

გაიოზ იმედაშვილმა, ერთ-ერთმა პირველთაგანმა ქართული ლიტერატურათმცოდ-ნეობაში, შესწავლის საგნად გაიხადა ქართული საგალობლების პოეტიკისა და მეტყველების საკითხები. შრომაში „ქართული საგალობლების პოეტიკის საკითხები" (1960) საგალობელთა პოეტური ენის, კომპოზიციისა თუ სხვა მხატვრული კომპონენტების ანალიზთან ერთად მასში გამოთქმულია საგულისხმო მოსაზრებანი თვით საგალობ-ლთა ლექსწყობის თავისებურებაზე. ამ ნაშრომისათვის მის ავტორს 1962 წელს მიენიჭა ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი.

გ. იმედაშვილი თავისი ცხოვრებით, შემოქმედებით ყოველთვის ახლო იდგა თანამედ-როვე ქართულ მწერლობასთან, რასაც მეტყველებს მისი წერილები იოსებ იმედაშვილზე, ტერენტი გრანელზე, გიორგი ლეონიძეზე, ნიკო სამადაშვილზე, ჭაბუა ამირეჯიბზე.

გაიოზ იმედაშვილმა შესანიშნავი წიგნი უძღვნა თავის დიდ მამას იოსებ იმედაშვილს — „იოსებ იმედაშვილის ცხოვრების გზებზე" (1984), რომელიც ფართო პანორამაა იმ რთული დროისა, მეოცე საუკუნის ქართული ცხოვრებისა და კულტურის ხასიათი რომ განსაზღვრა.

გაიოზ იმედაშვილი გარდაიცვალა 1995 წელს, 13 თებერვალს.

იოსებ იმედაშვილი

1876-1952

ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე იოსებ ზაქარიას ძე იმედაშვილი დაიბადა 1876 წლის 20 აპრილს საგარეჯოს რაიონის სოფ. ხაშმში.

ბავშვობა მწყემსობაში გაატარა. სწავლობდა თბილისის სახელოსნო სასწავლებელში. 1890-იანი წლებიდან ეწეოდა რევოლუციურ აგიტაციას თბილისის ქარხნებსა და რკინიგზის სახელოსნოებში, ავრცელებდა არალეგალურ ლიტერატურას. 1903 წლიდან რსდმპ-ის წევრი იყო, 1906 წ. აირჩიეს I სახელმწიფო სათათბიროს ამომრჩევლად. 1905-06 წწ. ხელმძღვანელობდა ივრის ხეობის, ე.წ. „გარე კახეთის ერთობის" რევოლუციურ მოძრაობას. 1905 წელს თბილისის გლეხთა რაზმთან ერთად პროტესტით წარუდგა მეფის ნაცვალს გურიაში დამსჯელი რაზმების გაგზავნის გამო. 1910 წელს რევოლუციური პროპაგანდისტული მუშაობისათვის 4 წლის კატორღა მიუსაჯეს, რაც ავადმყოფობის გამო მეტეხის ციხეში პატიმრობით შეუცვალეს.

ი. იმედაშვილი ნაყოფიერად იღვწოდა ლიტერატურულ-კულტურულ სარბიელზე. 1895 წლიდან აქვეყნებს, ხოლო 1902 წ. ავლაბრის მუშათა თეატრების ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი და პირველი რეჟისორი იყო. შეადგინა და გამოსცა ორიგინალური და თარგმნილი პიესების ორი კრებული — „ცხოვრების სარკე", 1902 წ. გამოსცა გორკის მოთხრობათა პირველი ქართული თარგმანების კრებული. 1903 წლიდან გამოაქვეყნა ურბანისტული შინაარსის მოთხრობები, სატირული რომანი „აახ-ვაახ", ლექსთა რამდენიმე წიგნაკი („სიყვარულის ძალა", „პროლეტარიატის ჰიმნი", „წითელი დროშა") და სხვა. 1904 წ. გამოსცა პრველი „უცხო სიტყვათა ლექსიკონი" (II, III გამოც. 1918, 1928 წ.წ.) იყო ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების" რედაქტორ-გამომცემელი, გაზეთების „ხალხის ერთობა", ხოლო შემდეგ „ხალხის თავისუფლების" რედაქტორი. ავტორია რომანებისა: „განახლებული აიცოცხლე" და „ციბრუტა" 1920-იან წლებში ცალკე წიგნად გამოიცა ი. იმედაშვილის პიესები („ნამუსიანი ხალხი", „ალების ცეკვა", „მზე ჩაესვენა" და სხვა) და პოემები („მზეთა-მზე", „მშვენიერა"), მას ეკუთვნის პიესები „იოსებ ლაღიაშვილი", „უკანასკნელი დედოფალი", ისტორიულ-ბიოგრაფიული ნარკვევები ლადო აღნიაშვილსა და ივანე როსტომაშვილზე, ლიტერატურული და თეატრალური წერილები, მოგონებები, თარგმანები სომხური და აზერბაიჯანული ენებიდან. შეადგინა უნიკალური „ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონი" (არ გამოქვეყნებულა), რომელშიც წარმოდგენილია ქართველ მოღვაწეთა ბიოგრაფიები ბიბლიოგრაფიითურთ ჩ. წ. აღ-მდე VI-III საუკუნეებიდან ვიდრე 1952 წლამდე. სნორედ 1952 წლის 5 მაისს გარდაიცვალა იოსებ იმედაშვილი და სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა ამ ფუნდამენტურ, მრავალტომიან, ენციკლოპედიურ ნაშრომზე.

1978 წელს კობა იმედაშვილმა გამოსცა იოსებ იმედაშვილის მოგონებათა კრებული — „ჩემი ცხოვრების წიგნი" — მეოცე საუკუნის ქართული კულტურული ცხოვრების მატიანე.

1983 წელს ხაშმსა და თბილისში დაარსდა იოსებ იმედაშვილის სახლ-მუზეუმები. ხაშმის კულტურის სახლს მიეკუთვნა მისი სახელი.

კობა იმედაშვილი

ჟურნალისტი, პედაგოგი, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის კულტურის, მეცნიერების, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი კობა იოსების ძე იმედაშვილი დაიბადა თბილისში 1935 წ. 15 აპრილს. მშობლები — ნინო იმედაშვილი, იოსებ იმედაშვილი (იშვილა პაპამ, მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ იოსებ იმედაშვილმა, მამის 1937 წელს რეპრესირების გამო); მეუღლე — ნანა ასკურავა, სახელმწიფო კონსერვატორიის კონცერტმაისტერი. შვილები — ლაშა იმედაშვილი, პროზაიკოსი, საბა იმედაშვილი — სტუდენტი.

კობა იმედაშვილმა დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი (1958). იყო რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის ლაბორანტი, უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი, რუსთაველის თეატრის ლიტერატურული ნაწილის გამგე, თბილისის პირველი საშუალო სკოლის პედაგოგი, თეატრალური და პედაგოგიური ინსტიტუტების ლექტორი, ტელევიზიის შემოქმედებითი გაერთიანება „სხივის" ხელმძღვანელი, ჯერ სახელმწიფო საბჭოს, შემდეგ სახელმწიფოს მეთაურის აპარატის მთავარი სახელმწიფო მრჩეველი. არის ლიტერატურის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე — „ქართული საბჭოთა პროზის გმირი" (1973). გამოცემული აქვს შვიდი წიგნი: „დიდი და ძნელი გამოცდები", „მონოლოგები და დიალოგები", „მიჯნა", „ოცდაათი წლის შემდეგ", „საუბრები " და სხვ. იყო რუსთაველის საზოგადოების ვიცეპრეზიდენტი. არის მწერალთა და ჟურნალისტთა კავშირის წევრი. 1995 წელს მიიღო სახელმწიფო პრემია პუბლიცისტიკის დარგში.

უკანასკნელი წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ არაერთი ქართველი მწერალი ახალ ამპლუაში — მებრძოლი პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის ამპლუაში წარმოგვიდგინა.

ერთი მათგანია კობა იმედაშვილი.

თუ მანამდე კობას ვიცნობდით, როგორც ობიექტურ კრიტიკოსს, საინტერესო ლიტერატურისმცოდნეს, დღეს იგი პოლიტიკოსიცაა, საქართველოს მტრების წინააღმდეგ ხმალს იქნევს და მუდამ ბრძოლის წინა ხაზზე ჩანს.

ყოველ შემთხვევაში, იმ თითზე ჩამოსათვლელ მწერალთა შორისა არის, „დროის დისტანციის თეორიას" რომ არად დაგიდევენ და დღეის დღის სათქმელს დღესვე ამბობენ.

რ. მიშველაძე

რევაზ ინანიშვილი

1926-1993

ადიდი ქართველი მწერალი, რევაზ კონსტანტინეს ძე ინანიშვილი დაიბადა 1926 წლის 20 დეკემბერს საგარეჯოს რაიონის სოფ. ხაშმში.

დაამთავრა თსუ-ის ფილოლოგიური ფაკულტეტი. იგი თანამედროვე ქართული პროზიკ ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, იმათ რიცხვს განეკუთვნება, ვისი სახელიც ქართველმა მკითხველმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურულ ალმანახ „პირველი სხივის" ფურცლებიდან შეიტყო.

რ. ინანიშვილის მოთხრობათა ძირითადი კრებულებია: „მეგობრისადმი მინანერი წერილებიდან", „წვეთები ფოთლებზე", „ცისფერი გორგალი", „საღამო ხანის ჩანაწერები", „ბარისკენ მოფრინავს ჯაფარა", „ჩიტების გამომზამთრებელი" საბავშვო კრებულები: „ბედნიერი მთა", „ბიბო", „სად ცხოვრობს მეზღაპრე", „მგლის ლეკვები", „შორი თეთრი მწვერვალი" – 1977 წ. რუსთაველის სახელობის პრემია მიიღო.

რ. ინანიშვილის წინაპარი მრავალტანჯული გლეხია. იგი მინაზე ორივე ფეხით მკვიდრად დგას, მისი ფესვები მინაში ღრმად არის ჩასული და მან კარგად იცის, ამ მინას როგორ უნდა შეუერთდეს: *„ხშირი მუქი ბალახი ამოვირჩიე, ჩავწექი იმ ბალახში და გაშლილი ხელებითა და მარცხენა ლოყით დავეხუტე მინას.*

იმწამსვე ვიგრძენი, რომ მოვიდა წმინდა, კეთილი სხეულის ყოველი ნაკვთის, ყოველი ნერვის დამამშვიდებელი, დამასვენებელი, უჩინარი, უსახელო შუქი"

რეზო ინანიშვილმა იმ ქართველი მნერლის ტიპი გაიმეორა (ოღონდ სულით თანამედროვე), რომელიც თავისი შემოქმედებით, თავისი ნარმომავლობით, თავისი ფესვებით მშობელ მინასთან არის დაკავშირებული, – „მშობელ მინაში უდგას ფესვები"

მას რომ მეცხრამეტე საუკუნეში ეცხოვრა, იგი გაიმეორებდა ვაჟას, თედო რაზიკაშვილის, იროდიონ ევდოშვილის ცხოვრების გზას. გუთანს გაჰყვებოდა და როგორც ვაჟა ჩამოდიოდა ჩარგლიდან ან თედო რაზიკაშვილი ხეთუბნიდან, ისე ჩამოვიდოდა და თავის მოთხრობებს თბილისში ხურჯინით ჩამოიტანდა.

ალბათ, ბევრმა არ იცის, რომ ზოგი მოთხრობა რეზო ინანიშვილს ტყეში აქვს დაწერილი, იქა აქვს გამართული ხის მაგიდა და ტყის სიჩუმეში, როგორც ბუნების ნიაღში გაბულ მხატვარს, ქაღალდზე გადააქვს თავისი ცხოვრება თავის მოთხრობებს ოგი ნერს ფანქრით (კოხინორით) და ფანქრით ნაწერი მისი ასოები გვერდზეა გადახრილი, ფანქრით ნაწერს, ეტყობა ის უპირატესობა აქვს, რომ თუ გასასწორებელია, საშლელით ადვილად წაიშლება.

მის მოთხრობებში მჟღავნდება ქართული კლასიკური პროზის ტრადიციები და გამოცდილება. იგი დავალებულია ი. ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივით", ვაჟას, თედო რაზიკაშვილის, იროდიონ ევდოშვილის და ბოლოს ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობებით. აბალგა ზრდობაში მისი საყვარელი ნიგნები ყოფილა სტენდალის „წითელი და შავი", ალფონს დოდეს „ნერილები ჩემი ნისქვილიდან", ჟან ჟიონოს „დიდი ფარა"

ცხოვრებიდან და ნიგნებიდან მან ისწავლა ადამიანის სიყვარული, ბუნების შვილობა და უშუალობა, სიტყვის ერთგულება და პოეზია. ჩვენ გვხიბლავს და გვითრევს მისი პროზის ინტონაცია, მელოდია. ყველაფერი, რასაც იგი წერს, ჩვენს თვალწინ ხდება. ჩვენ მონაწილენი ვართ და ამიტომ არ შეიძლება არ იმოქმედოს ჩვენზე. ინანიშვილის პოე-

ტურ ქვეყანაში როცა ვხვდებით, ჩვენში შემოდის „ყრუ, განწმენდილი ტკივილები" და გვინდა, რომ ასეთი ყოფნა გაგრძელდეს, რაც შეიძლება დიდხანს...

მაგალითად, მოთხრობა „ნეკერჩხლის წითელი ფოთოლი", იგი თანამედროვე მწერლის მოთხრობაა, რომელიც ეხმიანება ვაჟას „შვლის ნუკრის ნაამბობს", თედო რაზიკაშვილის „ფითრს" ან იროდიონ ევდოშვილის „უბედურ ქორბუდას"

რეზო ინანიშვილი ყველა ფესვით დაკავშირებულია ქართულ კლასიკურობასთან და ამავე დროს, თავისი ხედვით, წერის მანერით, ხასიათით და ლექსიკით უაღრესად თანამედროვე მწერალია.

აი, რას ნერს მის შესახებ ნიკო კეცხოველი:

„რ. ინანიშვილი დაუღალავად შრომობს და ჰქმნის შესანიშნავ მოთხრობებს. არც ერთ მის ნაწერს არ ატყვია აჩქარება, სამაგიეროდ, ყოველთვის ჭარბად არის სიყვარული. მე მისი მკითხველი ვარ თავიდან, პირველი მოთხრობიდანვე შემიყვარდა მისი ნაწარმოებები და სანამდე არ დავამთავრებ არ მოვეშვები; მიხარია, როდესაც ვკითხულობ, ყოველი სტრიქონი მისი მოთხრობისა ვერცხლის ზარივით წკრიალებს და გულის სიღრმის კუთხეს სნვდება.

მკითხველი მისი მოთხრობის გმირების მეინახე ხდება, მათი საქმის მონაწილე"

რევაზ ინანიშვილი გარდაიცვალა 1993 წელს. მისი და და სიძე ლაპარაკობდნენ 1992 ნლის დეკემბერ-იანვრის სისხლიან ამბებზე. თვალი გაახილა და ამოიკვნესა „რას ამბობთ, ქართველები ხოცავენ ერთმანეთს". მერე დილამდე ხმა არ ამოუღია, ისე გარდაიცვალა.

რევაზ მიშველაძე:

„რევაზ ინანიშვილი ჩვენს მწერლობაში იმ ბედნიერ გამონაკლისთა რიცხვს ეკუთვნის, ვისაც შეუძლია მშვიდად იყოს; მან საკუთარი მონეტა მოჭრა ჩვენს ლიტერატურაში.

ახალი, განუმეორებელი მხატვრული სამყარო შექმნა.

რევაზ ინანიშვილი იუველირის სიზუსტით ეკიდებოდა სიტყვას.

მისი ფრაზა გამჭვირვალე და ტევადია. მოვლენებთან მწერლის დამოკიდებულება კი უაღრესად პოეტური და ფაქიზია.

ძირითადად ლირიულ ეტიუდებს წერდა. პროზის ამ მცირე ფორმაში შეძლო მან ყველა ზე მეტად თავისი სტილის გამოხატვა და დამკვიდრება...

რევაზ ინანიშვილის ეტიუდების კითხვისას განწმენდის, სულიერი კათარზისის განწყობილება გეუფლება, უნებურად ხელებ ზე დაიხედავ კაცი და პერანგის ღილებს მოსინჯავ ხელით, ამ სუფთა ნიგნთან მოშვებული ხომ არ მოვედიო.

მოყვასისათვის ატკიებული გული ფეთქავს „ცოცხალი ჯვრების" ავტორის შემოქმედებაში. და იგი ისევე ვერ უძლებს გამონვილვით განჩხრეკას, ცივი გონებით შეფასებას, როგორც ბაღის ბოლოს, ფოთოლგაცვენილ კაკალ ზე შემომჯდარი „ზამთრისპირის სევდის" დიდი, უცხო ფრინველი კაცის მიახლოებას.

რევაზ ინანიშვილის პროზა განმარტოებით დგას ჩვენს მწერლობაში, როგორც ღარიბი კაცის ხელისგულებით ნალესი ქოხი, მიზე ზის გამო უფრო ახლოველი და სასვარელი.

პიროვნებაც თავისებურია: მოკრძალებული, არაკატეგორიული, არამჭეკარე. „ეროტიკის" რედაქტორად ყოფნის დროს რამდენჯერმე ვთხოვე, ა ზრი გამოეთქვა რომელიმე სხვა მწერლის შემოქმედება ზე.

თუ ძმა ხარ, ხალხს ნუ მომამდურებო, პროზაიკოსი რომ პროზაიკოს ზე ლაპარაკობს, ან ერთია მონაფის როლში, ან მეორეო. ყველამ თავისი საქმე იცის, აბა მე რა გამგე ვარ სხვისი საქმეებისაო.

არ ვეთანხმები ახლაც, მაგრამ ბ-ნი რევაზი ასეთია, თავისი პოზიცია აქვს, თავ ზე არასოდეს გახვევს.

მახსოვს ერთხელ მწერალთა კავშირში ტრიბუნიდან შეეკამათეთ ერთმანეთს მწერლის დანიშნულება ზე.

მე ვამბობდი: მწერალი ბარიკადებ ზე უნდა იდგეს. სოციალურ-პოლიტიკურ ბრძოლაში უნდა მონაწილეობდეს, ერს ბრძოლისათვის უნდა აღანთებდეს-მეთქი.

არაო, რა მწერლის საქმეა ბრძოლა და ბარიკადებიო, ლიტერატურას ლოკალური ფუნქცია აქვს, ადამიანს მხოლოდ ესთეტიკური ტკბობა უნდა მიანჭოსო.

არ დავეთანხმე, მაგრამ შეხედულებათა სხვადასხვაობას ჩვენი კეთილგანწყობილებისა და მეგობრობისათვის ხელი არასოდეს შეუშლია.

ამ ხუთიოდე წლის წინათ ზუგდიდში შეხვედრა ზე ერთად გახლდით. სასტუმროში ერთ ნომერში გვეძინა. ლამის დილამდე ვისაუბრეთ. ისე შემოგვათენდა, არც გაგვიგია.

ვლაპარაკობდით ჩვენს უბედურ დროზე, ცენზურაზე, მწერლობის შეკვეცილ ფრთებზე.

ახლაც თვალწინ მიდგას. სანოლზე მჯდარი და ნელა, კახელი გლეხის სიდინჯით, საოცრად ალალად და გულწრფელად მოლაპარაკე რევაზ ინანიშვილი.

ღმერთო, რა სუფთა კაცია, ვფიქრობდი და მისმა შემოქმედებამ, მისმა ულალატო კაცობამ არაერთხელ განმიმტკიცა ეს აზრი"



ნოდარ მგალობლიშვილი

ქართველი მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი ნოდარ ალექსანდრეს ძე მგალობლიშვილი დაიბადა 1931 წლის 15 ივლისს საგარეჯოს რაიონის სოფ. გომბორში.

1954 წელს დაამთავრა რუსთაველის სახელობის თბილისის თეატრალური ინსტიტუტი და ჩაირიცხა კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის დასში, ხოლო 1967-75 წწ. მუშაობს რუსთაველის სახელობის თეატრში. 1975 წლიდან ისევ მარჯანიშვილის თეატრშია. შეასრულა გუგუნას (ვ. კანდელაკის „მაია წყნეთელი"), მოშიაშვილის (ნ. დუმბაძის „საბრალდებო დასკვნა"), ტონის (კ. ჩაპეკის „დედა"), რილეევის (ვ. კოროსტილიოვის „ასი წლის შემდეგ"), ოსვალდის (ჰ. იბსენის „მოჩვენებანი"), ჩუდაკოვის (ვ. მაიაკოვსკის „აბანო"), იაგო (უ. შექსპირის „ოტელო") და სხვ. როლები. სატელევიზიო ფილმში „ჯაყოს ხიზნები" ითამაშა თეიმურაზ ხევისთავი.

გ. ბათიაშვილი:

„სცენა ზე პირველი გამოჩენისთანავე მომხიბლა მსახიობმა, იგი შემოვიდა, როგორც სტიქია, რომელიც არავის ეკითხება, თუ როგორ იმოქმედოს. იგი თავად ქმნის მოქმედების კანონებს და ამით იმორჩილებს ყოველივეს. ნ. მგალობლიშვილი იაგოს გამოჩენისთანავე თვალხილული ხდება, რომ ეს არის ძლიერი, მთლიანი პიროვნება. იგი საშიშია იმდენად, რამდენადაც ძლიერია. და ძლიერია იმდენად, რამდენადანაც ძალუძს სრულიადაც არ მოგვაჩვენოს თავი საშიშ პიროვნებად. სპექტაკლის მსვლელობის მანძილზე თანდათან რწმუნდები, რომ ეს იაგო არ არის ზრდადასრულებული ბოროტება. ნ. მგალობლიშვილის იაგო არნივივით დააცხრა თავს მოვლენას. ეს მართლაც შექსპირისეული 28 წლის ახალგაზრდაა „მე ეს ოთხჯერ შვიდი წელიწადია, ქვეყანა ზედ დავლონღიალობ", —ენერგიით, ძალით, სიცოცხლის წყურვილით აღსავსე. მგალობლიშვილის სცენური ქმედება მისი იერსახე იმდენად ზუსტია, რომ თითქმის ტექსტიც აღარ სჭირდება. შემოვიდა არა ბოროტება, არამედ ძალა, სტიქია, უმალ ცხადი ხდება: რასაკვირველია, ასეთი ძალა საკუთარ ნებას მოახვევს თავს ცხოვრების თავდაღმართზე დაქანებულ ოტელოს. ნ. მგალობლიშვილისეული სიმაღლის მიღწევა საშურია ქართულ თეატრალურ ხელოვნებაში..."

მედეა მეზვრიშვილი

ქონდაქრებივით ვითუალქაფნენ ფიქრები სხეულის
და ფუნის ტალეებს ვიძაბოდა უდაბნოს ხეკი.
მაინკუნებდი მხრებმებკენით ვარეკის სხეულს
და ტკივილებში ძალდებოდა ხაძმობლის ხეკი...

ნ. ჯანტურია

ცნობილი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე მედეა არჩილის ასული მეზვრიშვილი დაიბადა 1929 წლის 12 აპრილს საგარეჯოში.

ძალზე ფართოა და უკიდეგანო მისი პოლიტიკურ-სამეურნეო შემოქმედების არეალი. ძნელია, პატარა მიმოხილვაში დატიო ყველა ის ნამოქმედარი, რასაც მისი მეტად ნაყოფიერი მოღვაწეობის ასპარეზი მოიცავს. ამიტომ მხოლოდ მ. მეზვრიშვილის მიერ შეარულებულ იმ უმძიმესსა და ურთულეს საქმიანობაზე ვისაუბრებთ, რომელიც მან გაანია საეართველოს ერთ-ერთი უმშვენიერესი და ულამაზესი ძეგლის დავით- გარეჯის აღდგენა-რესტავრაციის საქმეში, მ. მეზვრიშვილის სახით ნამდვილი პატრონი რომ გამოუჩნდა...

1973 წლის იანვარში მედეა მეზვრიშვილი თელავიდან საგარეჯოში გადაიყვანეს აღმასკომის თავმჯდომარედ. რაიკომის მაშინდელმა პირველმა მდივანმა, ოთარ აბაშვილმა, სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით თქვა, თუ აქ პირველ მდივნად მედიკოს აირჩევენ, ეს იქნება საგარეჯოსათვის დიდი ბედნიერებაო. ასეც მოხდა...

საეართველოს ახალი ხელმძღვანელობა ჰყავდა. დამდგარიყო ამინდი ისეთი ადამიანების სამოქმედოდ, სამუშაოდ და სამოღვანეოდ, როგორიც მედეა მეზვრიშვილია.

...გამთენიაზე გამოიძახა მძღოლი, მანქანა მოაყვანინა, საველე სასიარულოდ გამონყობილი გამოვიდა, ჩაჯდა და დავით-გარეჯისაკენ მიმავალ გზას დაადგა.

ადრე, მონაფეობის დროს, ხშირად უვლია გარეჯის უდაბნოში... მძიმედ ვიდოდა მანქანა. უჭირდა უსნორმასნორო, დაბრეცილ ნაგზაურებზე სიარული. კიდევ ერთი აღმართი აითავა მანქანამ, კიდევ ერთ მთას გადაადგა და უდაბნოც გამოჩნდა. მანქანა დადგა.

მედეა დაქვეითდა და დიდხანს უცქირა უდაბნოს ველს მძიმე ფიქრებში ჩაძირულმა. საყურიანი გველები, გველხოკერები, ჯოჯონი, ღრიანკალნი და დედაზარდალნი დაუფლებოდნენ ცხვრის ბოსლებად გადაქცეულ ღვთის სახეთა საუფლოებს.

ლავრიდან გამოტრიალდა მეზვრიშვილის ქალი, გაოგნებული და გაშეთებული.

ნათლისმცემელს მიაშურა, მერე დოდოსრქას.

აეაც, ორივეგან „ცხოვარსა უცხოსა“ დაედო ბინა.

კურთხეული საბა ორბელიანის ნაბინავარი და ნაწმინდავარი ცხვრის მყრალი კელით ამოვსებულიყო და კაცის სიმაღლეზე ამოტენილიყო. იქაც უხამსნარნერიანი, ბოროტი ჟინით გადაფხეკილი და გადაქლეშილი კედლები.

„როგორ გვამნარებს დღეს ბედი საბა ორბელიანისა, რომლის ფეხთაზე აღარ შემოგვრჩა აღარც სახელი, აღარც სალოცავი, აღარც საფლავი“, — ნუხდა რაიონის ხელმძღვანელი.

ბერთუბნისაკენ გაეშურა.

აქამდე რაც ნახა, ეს ხომ საგარეჯოში აღარ შედიოდა და მეზობელ გარდაბნის რაიონს ეკუთვნოდა.

და ერთხელ კიდევ იხილა მედეა მეზვრიშვილმა გატიალება და გათახსირება დიდი კულტურული ძეგლისა...

„დავით-გარეჯას ნეკროზი დასწყებია, განგრენა და შეუჩერებლად მოიწევს იგი საგარეჯოსკენ. სასწრაფოდ უნდა აღიკვეთოს, დაუყოვნებლივ, გადაუდებლივ... და აღიკვეთოს დიდი ქართული სულის აღდგინებით, დავით-გარეჯის ძეგლთა და სავანეთა გაცოცხლებით, გაახლებით, აღდგომითა და აღორძინებით. და ეს აღდგომა უნდა იყოს საყოველთაო, სახალხო, სადღესასწაულო, წინაპართა ფესვებზე აღმოცენებული ახალნერგი ქართული სულის ბრუნვით და ზარზეიმით"

და... აღადგინა! გააცოცხლა, გააახლა, ააღორძინა!

და თუ დღეს გარეჯმა დაიბრუნა თავისი პირვანდელი სახე, და თუ დღეს მასში ქართულის სულის „ზარ-ზეიმია", ეს უპირველესად მედეა მეზვრიშვილის დამსახურებაა და მისი უდიდესი შრომისა და გარჯის ნაყოფი.

აი ასეთი ლექსი უძღვნა მას პოეტმა მედეა კახიძემ:

საშობლოსა�სულის სიფიცოს
ყოცი. ბრუდად ჯიდებთ.
იქვენი ხადეურძელო იყოს,
იქვენი ბრაჯლეჯშიერ!

როგორც ზემოთ აღინიშნა, დიდია მ. მეზვრიშვილის ღვაწლი და დამსახურება საქართველოს და კერძოდ, თავისი მშობლიური კახეთის მიმართ. ბევრი სასიკეთო საქმე აქვს მას გაკეთებული მისთვის, მისი ხალხისთვის, და როგორც თვითონ ამბობს — ჯერ კიდევ ბევრი აქვს გასაკეთებელი. ვუსურვებთ მას, ასეთივე შემართებით ებძოლოს და ემოღვაწეოს ქართველი ხალხის სასიკეთოდ.

არსენ მეკოკიშვილი

1912-1972

სპორტსმენი, მოჭიდავე, სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი არსენ მეკოკიშვილი დაიბადა 1912 წელს საგარეჯოს რაიონის სოფ. გიორგიწმინდაში. 1934-44 წწ. საქართველოს ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში. 1944-54 წწ. სპორტსაზოგადოება „დინამოს", ბოლო 1940, 1947-52 წწ. სსრკ ჩემპიონი სამბოში. 1945, 1946, 1948-53, 1956 წწ. სსრკ ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში, ოლიმპიური თამაშების (ჰელსინკი, 1952წ.) ჩემპიონი. სტუდენტთა და ახალგაზრდობის IV ფესტივალის ჩემპიონი (ბუქარესტი, 1953 წ.); 1954 წ. ტოკიოში მოიგო მსოფლიო პირველობა. უკანასკნელად 1956 წელს იასპარეზა სსრკ ხალხთა პირველ სპარტაკიადაში, სადაც 44 წლისამ დაამარცხა ყველა მეტოქე და ჩემპიონობა მოიპოვა. იგი ჩვიდმეტჯერ გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი.

1963 წლიდან თამამდება არსენ მეკოკიშვილის სახელობის თასი ქართულ ჭიდაობაში.

დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით.

ეს ბრძოლა იყო დაუსრულებელი. უფრო სწორად, მათ კარგა ხანს არაფერი იცოდნენ ერთმანეთის შესახებ. ცხოვრობდა კახეთში, სოფელ გიორგიწმინდაში ერთი ჯმუხი და შავტუხა ჭაბუკი. ადრე დაიგდო ბეჭდაუდებელი ფალავნის სახელი. ქართული ჭიდაობა უნაკლოდ იცოდა, ამიტომ იყო აღიარებული ფალავანი. მაგრამ დიდ სარბიელს მხოლოდ ქართული ჭიდაობის ხერხი არ ჰყოფნიდა და არსენაც შეუდგა კლასიკური სისტემის შესნავლას.

ამ დროს კი ათასობით კილომეტრის დაშორებით, შორეულ ჩრდილოეთში, ჭიდაობის მხარეში, რომელსაც შვედეთი ეწოდება, დაიბადა ბავშვი ბერტილ ანტონსონის სახელით. აბა, რა უნდა სცოდნოდათ მათ ერთმანეთისა? — გიორგიწმინდელი ჭაბუკი თავის მომავალ მეტოქეზე სულ მცირე 15 წლით უფროსი იყო და, ესეც რომ არა, სად კახეთი და სად შვედეთი?

ერთი სიტყვით, მათი ცხოვრების გზები სულ სხვადასხვა მიმართულებით ვითარდებოდა. ევროპიანმა შვედმა ჭიდაობის სიბრძნე პირველად რომ გაიგო, ა. მეკოკიშვილის ?? საბჭოთა კავშირში არავინ იყო. და აი, ჩვენი საუკუნის მეორე ნახევრის მიჯნაზე ბედმა ისინი ერთმანეთს ფინეთში შეახვედრა. XV ოლიმპიურ თამაშებზე ა. მეკოკიშვილი 40 წლის ვაჟკაცი იყო. საბჭოთა კავშირში მას კარგა ხანია ტოლი არ ჰყავდა და ჩრდილოეთს ენვია ღირსეული მეტოქის მოლოდინში.

ბერტელ ანტონსონი ამ დროისათვის ევროპაში პოპულარული ფალავანი იყო. ჩრდილოეთის გიგანტს ბრძოლა სწყუროდა.

დადგა გადამწყვეტი ბრძოლის დღე. სარბიელის ერთ მხარეს არსენ მეკოკიშვილია, სანინააღმდეგო კუთხეში — ბერტელ ანტონსონი. შვედმა მხოლოდ ახლა შეამჩნია, რომ, წლების მიუხედავად, მეტოქე ახალგაზრდულად გამოიყურება და საკმაოდ სწრაფიც არია. (ეს მან ხალიჩაზე შემოსვლისას შეატყო არსენს). ნეტავ ღონე თუ შერჩა, — გაუელვა გულში და იმავე წამს იგრძნო, რომ კისერზე რკინის მკლავი და ტონიანი ხელი მოევლო. ძალისმიერი ბრძოლის გზა შვედისათვის დაიკეტა.

სისწრაფე, — აი, რა უნდა იყოს ჩემი კოზირი, იფიქრა მან, ქორივით შემოურბინა მეტოქეს და ეკვეთა, მაგრამ — რაშია საქმე? მიწაში ხომ არ არის ჩასობილი ეს კაცი?

ანტონსონმა ძვრა ვერ უყო, ფეხი ვერ გადაადგმევინა მეტოქეს. და, ალბათ, მაშინ მიხვდა შვედი, რომ იგი არ იყო მეკოიშვილის პარტნიორი. მიხვდა და მაინც ვაჟკაცურად განაგრძო უაზრო ბრძოლა...

ორი წლის შემდეგ ისინი კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს. ამჯერად ტოკიოში და აქაც ზუსტად ჰელსინკის ბრძოლა განმეორდა. არსენ მეკოიშვილი გახდა მსოფლიო ჩემპიონი, ბერტელ ანტონსონი კი მეორე პრიზიორი.

არსენ მეკოიშვილის სპორტული ბიოგრაფია დაუბერებელი ფალავნის ცხოვრებაა. 45 წლის ასაკში იგი ისეთივე მუხლმოუდრეკელი იყო, როგორიც ახალგაზრდობის საუკეთესო წლებში. სწორედ ამიტომ დატოვა გიორგიწმინდელმა ვაჟკაცმა წარუშლელი კვალი ჭიდაობაში.



იოსებ მჭედლიშვილი

1888-1950

რიტმული ლტრიალის ძალი ვარ
ველ ველ ძალველიანი ცხოვრების.
ხან ვკიაფი, ხანაც ვხარხარებ!
ალალია! ალალია! ალალია!

ი. მჭედლიშვილი

ქართველი მწერალი იოსებ ნიკოლოზის ძე მჭედლიშვილი დაიბადა 1888 წელს საგარეჯოს რაიონის სოფ. კაკაბეთში.

ლიტერატურულ სარბიელზე XX საუკუნის 10-იან წლებში გამოვიდა. ი. მჭედლიშვილის ადრინდელ ლექსებში, ერთი მხრით, მებრძოლი განწყობილება, მეორე მხრით, სასონარკვეთილება და ამქვეყნიური ცხოვრების უარყოფა გამოვლინდა. მას ეკუთვნის ხალხური სიმღერის „ურმულის" ტექსტი და დ. არაყიშვილის ოპერის „თქმულება ძოთა რუსთაველზე" ლიბრეტო. ი. მჭედლიშვილმა ამაგი დასდო ქართულ დრამატურგიას. მისი პიესები („გიორგი მესამე", „ალექსანდრე ბატონიშვილი" „ოიანა-ბუიანა") ძირითადად ისტორიულ თემაზეა შექმნილი. თანამედროვეობას ეძღვნება მჭედლიშვილის მოთხრობები „შევარდენი" „თეთრი მდინარე" და სხვ. მას ეკუთვნის ნადირობის თემაზე შექმნილი მოთხრობების ციკლი („ბონადირის დღიურიდან"), ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული ხასიათის ნარკვევები („ქართული ხალხური თეატრი", „ქართული ნეს-ჩვეულებანი"), საბავშვო თხზულებანი და სხვ.

იოსებ მჭედლიშვილი ქართული მნერლობის ერთი ჩუმი, უპტერენზიო ნარმომადგენელია, თუმცა მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა საკმაოდ ფართო და მრავალფეროვანია. ის იყო პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი, მთარგმნელი, ფოლკლორისტი.

ი. მჭედლიშვილმა ლიტერატურული მოღვაწეობა ლექსებით დაიწყო რუსეთის ორი დიდი რევოლუციის შუა პერიოდში, როცა რეაქციის მძიმე ბურუსში სნორი გზის პოვნა მეტად ძნელი იყო და ახალგაზრდა პოეტიც ადვილად მოექცა მაშინდელი ლიტერატურული გავლენის სფეროში (ამას იგი აღნიშნავს ლექსში , რომელიც მოყვანილია ზემოთ — ო.ნ.).

მართლაც, პოეტის იმდროინდელ ლექსებში ერთმანეთს ენაცვლება თავისუფლების რნმენა და ამქვეყნიური ცხოვრებისაგან განდგომის სურვილი, ბრძოლისა და უიმედობის განწყობილებანი. ერთგან პოეტი ჩივის: *„თურმე ეცდებოდი, როდესაც მწამდა ძმათ სიყვარული და წმინდა სახე"*, მაგრამ სხვაგან იგი თავისუფლებისაკენ მოუნოდებს თანამოძმეებს და გულს ასეთი სტრიქონებით იმხნევებს:

მწყურვლის ფუხით ნასრესო ბულო.
ჯი-ჯიში და ცრემლი იყმარე!
ვარ ცა ძედაშ სისლებში არის.
რომ შენ სულ ჭეშეხი დღე-დამ, ცისმარე.!!
შენ ვაკაცი ხარ და, ვით ვაკაცმა,
ბემოიხიე სუდარა მწარე
და ვისც შენ ვიძღენა უბედო ბედი.
თვითონ იმასვე ვადაფარე!

იოსებ მჭედლიშვილს, როგორც პოეტს, ერთ დროს დიდად აფასებდნენ და ი. გრიშაშვილის გვერდითაც კი აყენებდნენ...

იგი გარდაიცვალა 1950 წელს, 62 წლის ასაკში.

გიორგი გუგა ნახუცრიშვილი

1902-1971

ქართული საბჭოთა საბავშვო დრამატურგიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი გიორგი (გუგა) ნახუცრიშვილი დაიბადა საგარეჯოს რაიონის სოფ. ხაშმში 1902 წლის 7 მაისს (ძვ. სტილით). საშუალო სასწავლებელი 1920 წელს დაამთავრა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი — 1928 წელს.

გუგა ნახუცრიშვილი 18 წლისა იყო, როცა ჟურნალ „ნაკადულში" დაბეჭდა თავისი პირველი საბავშვო მოთხრობა „თაგუნას თავგადასავალი". მისი ადრინდელი საბავშვო ნაწარმოებებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია „პაპის ნაამბობი" და „თამროს ოცნება" ამ მოთხრობებში ნათლად ჩანს ბავშვთა სულიერი სამყაროს ცოდნა, რაც უფრო სრულყოფილად გამომჟღავნდა მისი შემდგომი პერიოდის ნაწარმოებებში.

გ. ნახუცრიშვილმა 1933 წელს გამოსცა საკმაოდ მოზრდილი ზომის საბავშვო მოთხრობა „მამამ გამომგზავნა", 1934 წელს — „სილვა ვასილევი", რომელიც მისი ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია. მაგრამ ნორჩი მკითხველი და ჩვენი ახალგაზრდობა გიორგი ნახუცრიშვილს იცნობენ არა მარტო მოთხრობებით, არამედ შესანიშნავი პიესებითაც („ნაცარქექია", „კომბლე", „აჩაკუნე", „ლადო კეცხოველი", „მგელკაცა". ეს პიესა დაწერილია მისივე რომანის „მგელკაცას" მიხედვით). მისი პიესები ცნობილია არამარტო ჩვენ რესპუბლიკაში, ასე მაგალითად — „ნაცარქექია", რომელიც პირველად თბილისის ქართულ მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრში 1936 წელს დაიდგა და ცალკე წიგნად 1937 წელს გამოიცა, თარგმნილი და გამოცემულია რუსულ ენაზეც. მისი დადგმა განხორციელდა მოსკოვში, ალმა-ათაში, ტაშკენტში, ბაქოში, გროზნოში, კალინინში, სარატოვში და საბჭოთა კავშირის ბევრი სხვა ქალაქის საბავშვო თეატრებში. საბჭოთა ქვეყნის მოზარდი მაყურებლის კუთვნილებად გადაიქცა აგრეთვე „კომბლე"

გუგა ნახუცრიშვილის „ჭინჭრაქა" იდგმებოდა მთელი კავშირის მასშტაბით და ევროპის მრავალ ქვეყანაში. ცნობილია აგრეთვე მისი პიესები: „ფიროსმანი", „წინამური", „სიჭაბუკე ბელადისა", „შაითან ხიხო", „მინა თავისას მოითხოვს" და სხვ.

საერთოდ, აღიარებული ჭეშმარიტებაა, რომ ენის მრავალფეროვნებასა და პოეტურობაზე დიდად არის დამოკიდებული ნაწარმოების წარმატება. გიორგი ნახუცრიშვილის ენა ხატოვანი და ცოცხალია. მისი მოთხრობები და პიესები ემოციებით მდიდარია და დიდი ინტერესით იკითხება.

1952 წელს გ. ნახუცრიშვილი წარდგენილი იყო სტალინის პრემიის მოსაპოვებლად, მაგრამ ბელადის სიკვდილის გამო პრემია აღარ მიანიჭეს.

დავით ნახუცრიშვილი
1874-1952

ქასიქადულო მამულიშვილი, ქართული ესთეტიკური კულტურის უანგარო მოღვაწე, უბადლო ქურუმი ქართული თეატრისა, მწერალი, ფოლკლორისტი, პუბლიცისტი და მთარგმნელი დავით გიორგის ძე ნახუცრიშვილი დაიბადა 1874 წლის 23 ივლისს (ახალი სტილით 4 აგვისტოს) სოფელ ხაშმში (მაშინდელი თბილისის მაზრა, ამჟამინდელი საგარეჯოს რაიონი).

ნუთისოფლის ულმობელმა კანონმა თითქოსდა დავიწყებას მისცა ამ შესანიშნავი ეართველი კაცის ცხოვრება, კაცისა, რომელიც გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი ნლებიდან თითქმის 40 ნლის განმავლობაში ნმინდა სანთლად ენთო ქართულ თეატრს, ეართულ კულტურას...

... მაინც ვინ იყვნენ ის ადამიანები, რომლებიც იოსებ იმედაშვილსა და დავით ნახუცრიშვილს მხარში ედგნენ და ერთგულად ეწეოდნენ წინ ქართული თეატრის ჭაპანს? ესენი იყვნენ: გიორგი და ივანე ნახუცრიშვილები, ალექსანდრე და ნიკო ნათიშვილები, გიორგი და ფირუზ ქოქრაშვილები, ივანე ხაბაზიშვილი, ელენე მამულაშვილი, ნინო ნახუცრიშვილი, ესტატე ლოლაძე, ვანტო მარინდაშვილი, იაგორ გოგნიაშვილი, ნუში ლაღიძე და სხვები...

... დავითი ის პიროვნებაა, რომელმაც იოსებ იმედაშვილთან ერთად უდიდესი ღვაწლი დასდო საქართველოში პირველი სასოფლო წიგნსაცავ-სამკითხველოსა და სასოფლო საბალხო თეატრის შექმნის კეთილშობილურ საქმეს.

დ. ნახუცრიშვილის ლიტერატურული მოღვაწეობის დასაწყისად 1895-96 ნლები უნდა მივიჩნიოთ. სნორედ ამ ნლებში ჟურნალ „ჯეჯილში" დაიბეჭდა მის მიერ ჩანერილი და გადამუშავებული ხალხური ზღაპარი „არაფერი" და ხალხურივე „იავნანა"

ცნობილია ისიც, რომ ილია ჭავჭავაძის დაკრძალვაზე ქართული დრამატული საზოგადოების სახელით სამგლოვიარო ადრესი ნაიკითხა დავით ნახუცრიშვილმა. მან თავისი სიტყვას თავისივე ლექსით დაამატა, ლექსი ძალზე დიდია და აქ მხოლოდ ბოლო სამ სტროფს მოვიყვანთ:

ჩვენო ილიავ. შენი სიცოცხლე
ქვეყნისთვის იყო საღვთო ანდელი.
შენი სიკვდილიც იქნება ჩვენთვის
ნაკე დიდების — დაღუჭულთ მხსნელი.
ეემშიდობებით თაყვანისცემით
სისხლით ძღვებილს შენსა ბაღარას,
ერმნობით ალსაყე მაღალ შუბლს, ნაკვემს,
რაც კეალად მოგვცემს ბედშავთ ადარას!..
კიდევ მშვიდობით, ჩვენო დიდებავ,
ჩვენო მოძღვარო, მკვდარო მწარადო.
ვერ დავივიწყებს ვერა ქართველი,
ძველი ჩვენს ბულში დგას სამარადო...

შალვა ნახუცრიშვილი

1901-1980

ბოტანიკოსი (გეობოტანიკოსი, მდელოთმცოდნე), ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, მდელოთმცოდნეობის ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში შალვა ნახუცრიშვილი დაიბადა 1901 წლის 14 ნოემბერს საგარეჯოს რაიონის სოფ. ხაშმში.

1934 წლიდან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-მუშაკი, 1969 წლიდან ამავე ინსტიტუტის მდელოსნობის ჯგუფს ხელმძღვანელობდა. შეისწავლა საქართველოს ზამთრისა და ზაფხულის სათიბ-საძოვრები.

მისი ძირითადი ნაშრომებია: „ჯავახეთის ძიგვიანები და მათი გაუმჯობესება", „აღმოსავლეთ საქართველოს ზამთრის საძოვრების ძირითადი ფორმაციების ბალახნარის დინამიკა", „მაღალმთის საძოვრების დინამიკა" და სხვ.

დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით.

მიხეილ ქვლივიძე

სამნუხაროა, მაგრამ სიცოცხლის გახანგრძლივების ერთადერთი საშუალება — სიბერეა.

* * *

ძმერ!. დასასრული სულ ცხოვრების
ქვეყანა. როგორც უფლის წყალობა
და ძმ ვიცოდე (დასხლიებითი!)
...რა იქმნის სულმე მთლიმაკლობა"!

ქართველი პოეტი, პოლონეთისა და უნგრეთის კულტურის დამსახურებული მოღვაწე მიხეილ გიორგის ძე ქვლივიძე დაიბადა 1925 წლის 22 ივნისს საგარეჯოში.

დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია. ძირითადი წიგნები: „ლირიკა", „მოკითხვამდე", „ლექსები", „დაბრუნება", „შენთან ყოფნიდან უშენობამდე", პროზაული კრებული „ფიერები... ფიქრები", მონოგრაფია „ვეფხისტყაოსნის დასურათების ისტორიისათვის", „ვეფხისტყაოსნის დასურათებანი", საყმაწვილო კრებულები და სხვ.

მ. ქვლივიძემ თარგმნა თანამედროვე პოეტების ლექსები: კრებული „მთვარის თეთრი იალქანი", ს. კვაზიმოდოს „ლექსები", „ტ. რუჟევიჩისა და ზ. ჰერბერტის ლექსები, ე. შვარცის, ვ. კოროსტილიოვის, ე. როსტანის, ი. კატონას, ლოპე დე ვეგას და სხვ. პიესები, მ. ქვლივიძის მრავალი კრებულია გამოცემული რუსულ ენაზე. მისი ლექსები თარგმნილია იტალიურ, პოლონურ, უნგრულ და სხვ. ენებზე.

მიხეილ ქვლივიძე ერთი იმ პოეტთაგანია, ვის პოეზიაზე საუბრის დროსაც აუცილებლად მოგვაკითხავს ფიქრი მის პიროვნულ ბედზე. მის მარადიულ დაბრუნება-განშორებაში არის ისეთი დამთრგუნველი, მოუხელთებელი რამ, რომელსაც ვერ ამოხსნის ვერც ერთი გულდამჯდარი ბიოგრაფი და რომელიც, ვინ იცის, არც მიხეილ ქვლივიძეს აქვს ბოლომდე გაცნობიერებული. იქნებ ეს გამუდმებული ხეტიალი მარტოობის გადალახვის განუწყვეტელი მცდელობაა? როდის გაჩნდა ეს დამთრგუნველი გრძნობა? მაშინ, როცა გარდაეცვალა დედა და *„ძოლო ცრემლივით ქუჩის ლოყა ზე დამტოვე მარად შეუშრობელი"* თუ მაშინ, როდესაც პირველად მოევლინა ქვეყანას და ეს მარტოობაც თანდაყოლილი სენივით დაახვედრა სამყარომ. მიხეილ ქვლივიძის ცხოვრებისეული ბედისნერა თანამედროვე ქართული პოეზიისათვის სასიკეთო გამოდგა.

მ. ქვლივიძის შემოქმედება — ეს არის პოეტის სულიერი მდგომარეობის განუწყვეტელი შემონმება და აიფბიზლე. მისი პოეზიის გაცნობის შემდეგ ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ სნორედ ეს გაორებული ყოფა აძლევდა ძალას, ყოფილიყო გამუდმებით ერთიანი, მონოლითური, შემართული, ერთგული და ჩასაფრებული.

თავისთავად ის ფაქტი, რომ მიხეილ ქვლივიძემ ოცდაათ წელზე მეტი იცხოვრა მოსკოვში, ოცდაათი წლის განმავლობაში თავის ადამიანურ ტკივილებს, განცდებს, ფიქრებს, ოცნებებს, სასონარკვეთას, სიხარულს ბუნებრივი კონტაქტების გამო გამოხატავდა რუსულ ენაზე და მაინც ქართველ პოეტად რჩებოდა, მრავლისმეტყველია. და აი, ასეთი თვალხილული გმირობაა დღეს, ამ გაიოლებულ სატრანსპორტო კომფორტის პი-

რობებში 30 წელი იცხოვრო რუსეთში და ქართულად წერო ლექსები. სწორად უთქვამს ნახევრად ხუმრობით — მოსკოვი და თბილისი რა შუაშია, მე მუდამ ქართული ენის სახელმწიფოში ვცხოვრობდიო. ეს სახელმწიფო მისი პოეტად ყოფნაა. მისი პოეზიაა, მისი სიძლიერის, მისი სიკეთის, სინათლისა და სადა სილამაზის ყველაზე უტყუარი დასტური...

... და აი. მ. ქვლივიძის პოეტურ შთაგონებას ძველებური სიხარულითა და სიძლიერით მოაკითხავს „დიდი თოვლის ეფემერა"

დ. შეკვრები. დაფეთებული. ფაფარგაშლილი
დ. თავლულები.
ჩემს წინალეკად — ქალთა კრებული მოჰქრის
და შეც. ქუჩებში სათბუნებულებს და
სიცოცხლეზე უფრო სასურველს.
პირველეოფილი ძიძით შეკვურებ ამ საარეო
თოვლის ანულებს,
რომ დაშანიეს და გამიბრეს და ამიტეხს
ხელში ჯანგაში...
ფიქრით „ი ისევ „ან მაბრუნებს ჩემს
საოცნებო თბილის ქალაქში!

თითქოს გაოგნებულ, ექსტაზში შესულ, სიხარულისგან თავბრუდახვეულ პოეტს ნამიერ გასხივოსნებასავით მოაკითხავს კიდევ უფრო დიდი სიყვარული, ქალზე უფრო დიდი სევდა — თბილისი. და ამ ლექსში დასმული სამი წერტილის მიღმაც მკითხველი თითქოს ფიზიკურად იმ სევდიან პროფილსაც ხედავს, რომლითაც ყველაზე დიდ და შეჩვეულ სასნაულს — სამშობლოს უმზერს პოეტი მიხეილ ქვლივიძე.



ნიკოლოზ ქიზიყურაშვილი
1915-1984

ჩ ესპუბლიკური მნიშვნელობის ეკონომისტ-ფინანსისტი, ომისა და მრომის ვეტერანი, ნიჭიერი ორგანიზატორი, ორი ორდენის კავალერი ნიკოლოზ ზაქარიას ძე ქიზიყურაშვილი დაიბადა 1915 წლის 11 თებერვალს საგარაჯოს რაიონის სოფელ კაკაბეთში.

1933 წელს დაამთავრა თბილისის კოოპერატიული ტექნიკუმი, ხოლო 1937 წელს-საქართველოს ფინანსთა სახელმწიფო კომისარიატის უმაღლესი საფინანსო სასწავლებელი. 1937 წლიდან 1942 წლამდე მუშაობდა სიღნაღის რაიფინგანის უფროს ინსპექტორად, 1944 წლიდან 1953 წლამდე კი საქნავთის წითელწყაროს განყოფილების სისტემაში.

1953 წელს მუშაობას იწყებს წითელწყაროს სოფლის კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარედ, ხოლო 1960 წელს ნ. ქიზიყურაშვილს ირჩევენ სოფელ გამარჯვების ულიანოვიას სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ. შემდეგ იგი მუშაობდა ახვადასხვა თანამდებობებზე და ეწეოდა საზოგადო მოღვაწეობას. იყო წითელწყაროს საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე. 1978 წლიდან ინიშნება საქსოფინდუსტრიის საკარიერო მეურნეობის გენერალურ დირექტორად.

1979 წლიდან პერსონალური პენსიონერია. წლების განმავლობაში იყო საქართველოს კომპარტიის წითელწყაროს რაიკომის ბიუროს წევრი, რაიონული საბჭოს დეპუტატი.

დაჯილდოებულია ორფენებით და მედლებით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ააპატიო სიგელებით და სხვ.

გარდაიცვალა 1984 წელს.



გრიგოლ გიგო ქურდიანი

ეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე, ინჟინერ -ხუროთმოძღვარი გრიგოლ (გიგო) ზაქარიას ძე ქურდიანი დაიბადა 1873 წელს სოფელ საგარეჯოში. დაამთავრა ქ. თბილისის რეალური სასწავლებელი.

1898 წელს დაამთავრა ხარკოვის ტექნოლოგიური ინსტიტუტი და დაინყო მუშაობა ინჟინრად ალავერდში სპილენძის საბადოებზე, 1899 წელს კი ქ. ბაკოში ნავთობმრეწველობაში ნობელთან ერთად.

1900 წელს ქ. თბილისის წყალმომარაგების ქსელის მმართველად. 1902 წელს ქ. თბილისის საქალაქო დუმის მთავარი ინჟინერი, 1906 - 1916 წლებში ხელმძღვანელობს ქ. თბილისის წყალმომარაგების ქსელის რეკონსტრუქციის პროექტს.

1912-1914 წლებში ხელმძღვანელობს საინჟინრო ჯგუფს, რომელიც ამუშავებდა ქ. ქუთაისის წყალმომარაგების და კანალიზაციის პროექტს.

1916-1917 წლებში ახორციელებს პირველ მსხვილ კვლევებს ბულაჩაურის და ნატახტრის წყაროების და ქ. თბილისის წყლის მომარაგებისთვის ახალი სათავეების საძიებლად. გრიგოლ ქურდიანის ხელმძღვანელობით დაპროექტებულია და განხორციელებულია 150-მდე წყალსადენი 200-მდე სოფელში. განსაკუთრებით კახეთსა და ქართლში, მათ შორის: გურჯაანი, საგარეჯო, წნორი, ნინონმინდა, შილდა, ველისციხე და მრავალი სხვა.

გიგო ქურდიანის ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით, მის მიერ უსასყიდლოდ ხორციელდებოდა სოფლების წყალმომარაგება.

1918 წელს დააარსა საქართველოს ტექნიკური საზოგადოება და გახდა მისი თავმჯდომარე.

1922 წელს ინიშნება მთავარ ინჟინრად, ჩატახის თუჯ-ჩამომსხმელი ქარხნის აღსადგენად.

1924 წელს ქ. თბილისის საქალაქო აღმასკომის მთავარ ინჟინრად მუშაობისას იკვლევს ქალაქის კეთილმონყობა-განაშენიანების საკითხებს. იგი ანარმოებს ელბაქიძის დაღმართის გაფართოებას. ქმნის კაეშირს საბურთალოს და რკინიგზის სადგურის მიმდებარე რაიონებს შორის.

1925 წელს მიდის გერმანიაში, რათა შეისწავლოს ევროპის ქალაქების კეთილმონყობის საკითხები.

1926 წელს იწყებს ელბაქიძის და კ. მარქსის ხიდებს შორის სანაპიროს მშენებლობას. მისი პროექტით ხდება მდ. მტკვარის მარჯვენა მკლავის ჩაკეტვა და იქვე ინყება საჯებირო კედლის მშენებლობა, რაც არის მომავალი სანაპიროს ელემენტი.

30-იან წლებში გრძელდება სანაპიროს მსხვილმასშტაბიანი მშენებლობა გრ. ქურდიანის ხელმძღვანელობით. იგეგმება და ფართოვდება ლესელიძის ქუჩა.

მის მოღვაწეობას არქიტექტურაში მაღალ შეფასებას აძლევს ვახტანგ ბერიძე წიგნში _ „თბილისის ხუროთმოძღვრება" (გვ. 152, სურ. 154).

გრიგოლ ქურდიანის ინიციატივით შესწორებული იქნა კახეთის რკინიგზის პროექტი და ამით დაახლოებული იქნა რკინიგზის ხაზი საგარეჯოსთან. მისივე ხელმძღვანელობით გაყვანილი იქნა გზა სადგურსა და სოფელს შორის.

მისი არქიტექტურული პროექტითაა აგებული საგარეჯოში საავადმყოფო.

გრ. ქურდიანს გარდა საინჟინრო და ხუროთმოძღვრული პრაქტიკული შემოქმედებისა, დიდი ამაგი აქვს ახალგაზრდა კადრების მომზადებაში.

მას დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებაში. უნივერსიტეტის შენობის დამთავრებისას მან მიიღო მადლობის წერილი უსასყიდლო დახმარებისათვის. წერილს აწერენ ხელს პ. მელიქიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ი. ყიფშიძე.

იგი იყო ერთ-ერთი პირველი ლექტორი: უნივერსიტეტში, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, თბილისის სამხატვრო აკადემიაში და სამშენებლო ტექნიკუმში.

მის კალამს ეკუთვნის მთელი რიგი კაპიტალური ნაშრომები. მათ შორის პირველი ქართული სახელმძღვანელო ჰიდროტექნიკაში, რომელიც 1923 წელს გამოიცა.



არჩილ ქურდიანი

1903-1988

საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სახალხო არქიტექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პროფესორი არჩილ გრიგოლის ძე ქურდიანი დაიბადა 1903 წლის 26 მარტს ქ. თბილისში ღვაწლმოსილი ინჟინრის და ხუროთმოძღვრის გრიგოლ ქურდიანის ოჯახში.

1922 წელს ამთავრებს თბილისის პირველ გიმნაზიას და შედის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტექნიკური ფაკულტეტის არქიტექტურის განყოფილებაზე.

1929 ნელს პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტს ამთავრებს მხოლოდ ორი დიპლომატი: არჩილ ქურდიანი და მისი მომავალი მეუღლე ქეთევან სოკოლოვა — პირველი ქართველი არქიტექტორი ქალი.

ოცდაათიანი წლები არჩილ ქურდიანის და მისი ოჯახისათვის იყო სანყისი დიდი ეპოპეის, რასაც ერქვა „დინამოს" სტადიონი. ეს ცნება იქცა ოჯახის ტრადიციად.

1936 წლიდან არჩილ ქურდიანი ინიშნება ქ. თბილისის მთავარ არქიტექტორად. ამ პოსტზე მუშაობს წლების მანძილზე და ხელმძღვანელობს სარეკონსტრუქციო-კეთილმოწყობით სამუშაოებს.

1932-1935 ნელს აპროექტებს და აშენებს "დინამოს" სტადიონს.

არჩილ ქურდიანის შემოქმედების ერთ-ერთ ეტაპობრივ ნანარმოებს ნარმოადგენს ოცდაათიანი წლების თბილისის „დინამოს" სტადიონი.

სპორტულ-ტექნიკურ და კონსტრუქციულად ახლებურ გადაწყვეტასთან ერთად, სტადიონი თავისი არქიტექტურით წარმოადგენდა ახალი ქართული არქიტექტურის შესანიშნავ ნიმუშს. ეს იყო დროის შესაბამისად დანახული ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიულად ჩამოყალიბებული კომპოზიციები, არქიტექტურული ფორმების შექმნის პრინციპები და შემოქმედებითი გარდაქმნის ახლებური მიდგომა-ძიება. ეს იყო თანამედროვეობის კარნახის აშენებული პირველი სპორტული ნაგებობა საქართველოში. თბილისის „დინამოს" სტადიონი თავისი მასშტაბითა და არქიტექტურული ღირსებით მიეკუთვნებოდა საუკეთესო სპორტულ ნაგებობათა რიცხვს.

„დინამოს" სტადიონის დამთავრებისთანავე, არჩილ ქურდიანი არქიტექტორებთან გ. ლეჟავასთან, ი. ჟიტკოვსკისთან, ქ. სოკოლოვა-ქურდიანთან ერთად მოსკოვში აპროექტებს და აშენებს საქართველოს პავილიონს.

საქართველოს პავილიონი აღიარებული იყო გამოფენაზე როგორც საუკეთესო, და მის ავტორს არჩილ ქურდიანს მიენიჭა სტალინური პრემიის ლაურეატის ნოდება და საბჭოთა კავშირის უმაღლესი ჯილდო „ლენინის ორდენი"

ეს იყო არჩილ ქურდიანის ნიჭის კიდევ ერთი შესანიშნავი გამოვლინება და ახალი ქართული ხუროთმოძღვრების უბადლო ნიმუში.

სამწუხაროდ პავილიონი დაიწვა.

ქურდიანების ოჯახის ერთობლივი შემოქმედებითი მოღვანეობა ითვლის დაახლოებით 100 წელზე მეტს. შემოქმედებითი ძიების ყველა მომენტი თუ კომპონენტი პირველ რიგში განიცდიდა და განიცდის უმკაცრეს აპრობირებას ოჯახში და მხოლოდ შემდგომში გამოდის სამსჯავროზე. ეს პრინციპი ყალიბდებოდა ოციან წლებში, როდესაც იწყებდნენ მოღვაწეობას არჩილი და ქეთევანი, ეს იყო, როდესაც მოღვაწეობდნენ არჩილი,

ქეთევანი და გია, ეს გრძელდება დღესაც, როდესაც მოღვაწეობენ გია და არჩილი, ხოლო მათთან ერთად, უხილავად, დიდი არჩილი და ქეთევანი.

40-50-იანი წლების არჩილ ქურდიანის შემოქმედება აღინიშნება მთელი რიგი ახალი ობიექტების მშენებლობით, რომლებიც ხასიათდება მაღალი მახტვრულ-არქიტექტურული ღირსებით.

ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი კრნანისში; დიდი საცხოვრებელი სახლი რუსთაველის გამზირის დასაწყისში მ. მელიასა და ს. ყუბანეიშვილთან ერთად, ბარათაშვილის ქუჩაზე საცხოვრებელი სახლი ს. დემჩინელთან და გ. ჯანდიერთან ერთად; დიდუბის ხიდი ინჟინერ დიდიძესთან ერთად; მუზეუმი გორში; სასტუმრო „ინტურისტი" გორში, მეუღლესთან ქალბატონ ქეთევანთან ერთად; ტელეცენტრის შენობა თბილისში და სხვა. შემოქმედებით მოღვაწეობასთან ერთად, არჩილ ქურდიანი ეწეოდა საზოგადოებრივ საქმიანობას: არეიტექტორთა კავშირის გამგეობის წევრი და თავმჯდომარე, „თბილქალაქპროექტის" დამაარსებელი და მმართველი; თბილისის მთავარი არქიტექტორი და აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე, სახმშენისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის დამაარსებელი.

ახალგაზრდობიდანვე ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას ჯერ ახლად დაარსებულ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, შემდგომ კი, სიცოცხლის ბოლომდე თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტის პროფესორად.

არის დავით გარეჯის სახალხო უნივერსიტეტის საპატიო რექტორი.

60-70 წლებში არქიტექტორები არჩილ ქურდიანი და გია ქურდიანი, კონსტრუქტორი შალვა გაზაშვილი მუშაობდნენ თბილისის „დინამოს" სტადიონის რეკონსტრუქცია-გაფართოების პროექტზე. არ შეიძლება არ ავღნიშნოთ, რომ ძველი "დინამოს" სტადიონის იდუალებითი დანგრევა, ეს იყო არჩილ ქურდიანის ოჯახის შემოქმედებითი ტრაგედია, მაგრამ, ამასთან ერთად, ეს იყო ახალი დიდი შემოქმედებითი ნარმატების მაუწყებელი — ახალი „დინამოს" სტადიონის ტრიუმფალური გახსნა.

სცენისა თუ სპორტის მოღვაწეებისაგან განსხვავებით, ხუროთმოძღვარი, როგორც წესი, მოკლებულია თავისი შემოქმედების აღიარების ისეთ გამოვლინებას, როგორიცაა ტაში, ოვაცია და ა.შ.

1976 წლის 26 სექტემბერს თბილისის "დინამოს" სტადიონის გახსნა ნამდვილ სახალხო ზეიმად იქცა. სნორედ ამ ზეიმის დროს, სტადიონის მრავალათასიანი მაყურებელი ფეხზე ადგომითა და ტაშით მიესალმა სტადიონის ავტორებს. ეს იყო მათი შრომის, მოღვაწეობის მაღალი შეფასება. ეს იყო ავტორებისათვის ბედნიერი წუთები; ხოლო, გავიდა წლები, და 1988 წლის ოქტომბერში, ბატონი არჩილის გარდაცვალებისას, მრავალათასიანმა ფეხბურთის გულშემატკივარმა, სტადიონზე ფეხზე ადგომითა და წუთიერი დუმილით პატივი მიაგო მის ხსოვნას.

80-იან წლებში არჩილ ქურდიანი თავის ვაჟთან გია ქურდიანთან და შვილიშვილთან არჩილ ქურდიანთან ერთად აპროექტებს თბილისის ტელეცენტრის რეკონსტრუქციას და „დინამოს" სპორტული დიდების მუზეუმს.

არჩილ ქურდიანი გარდაიცვალა 1988 წლის ოქტომბერში.

გიორგი გია ქურდიანი

1932 – 0 7

ბიორგი გია არჩილის ძე ქურდიანი, საქართველოს დამსახურებული არქიტექტორი, საქართველოს არქიტექტორთა კავშირის წევრი 1961 წლიდან, ღირსების ორდენის კავალერი დაიბადა 1932 წლის 15 ოქტომბერს ქ. თბილისში ცნობილი ხუროთმოძღვრების — არჩილ ქურდიანის და ქეთევან სოკოლოვა-ქურდიანის ოჯახში.

1950 წელს დაამთავრა მე-9 ვაჟთა გიმნაზია.

1950 წელს ჩაბარა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ფერწერის ფაკულტეტზე, შემდეგ 1952 წელს გადავიდა არქიტექტურის ფაკულტეტზე და დაამთავრა 1958 წელს. სამხატვრო აკადემიის დამთავრებისთანავე იწყებს შემოქმედებით მოღვაწეობას.

არის ასზე მეტი პროექტის ავტორი. მათგან უდიდესი ნაწილი იქნა განხორციელებული ნატურაში.

სრულიად ახალგაზრდა, ჯერ კიდევ სტუდენტი გია, უშუალო მონაწილეა მშობლების არჩილისა და ქეთევანის შემოქმედებითი პროცესებისა. ეს იყო გიასათვის დიდი სკოლა. გია ყალიბდებოდა, როგორც პროფესიონალი, როგორც მოქალაქე _ თაყვანისმცემელი ქართული ხელოვნების და ქართული ხუროთმოძღვრების მდიდარი ტრადიციებისა.

თბილისის სამხატვრო აკადემიის დამთავრებისთანავე, გია მუშაობს მიხეილ მელიას საიელოსნოში, ლადო მესხიშვილის სახელოსნოში. ორთაჭალაში აპროექტებს ლადო მესხიშვილთან და გურამ მებუკესთან ერთად მრავალსართულიან მრგვალ გარაჟს.

60-იან წლებში მამასთან ერთად მუშაობს ავტორად და პროექტის მთავარ არქიტექტორად თბილისის "დინამოს"სტადიონის რეკონსტრუქციისთვის.

"დინამოს" სტადიონი ველარ აკმაყოფილებდა თავისი ტევადობით მრავალათასიან გულშემატკივართა უდიდეს ინტერესს ფეხბურთისადმი. აუცილებელი გახდა ან ახალი სტადიონის აშენება, ან არსებული "დინამოს" სტადიონის რეკონსტრუქცია-გაფართოება.

იმ პერიოდში აიკრძალა ნებისმიერი სპორტული ნაგებობის აშენება. თბილისის "დინამოს" სტადიონს რეკონსტრუქციის უფლება მიეცა მხოლოდ იმიტომ, რომ დასწრების მხრივ თბილისის „დინამოს" სტადიონი ყოფილი კავშირის მასშტაბით, იყოკონკურსგარეშე.

რეკონსტრუქციის პროექტის პირველი ვარიანტი მთლიანად ინარჩუნებდა არსებული სტადიონის არქიტექტურას. პროექტი ითვალისწინებდა დიდ თაღებს, ხოლო არსებული სტადიონი უნდა ყოფილიყო ახლის ინტერიერში. სხვადასხვა მიზეზების გამო პროექტის პირველი ვარიანტი, გადაწყვეტილი ეროვნულ არქიტექტურაში უარყოფილ იქნა. შეიქმნა ახალი, თანამედროვე არქიტექტურულ-კონსტრუქციული ნაგებობის პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა 100000 ადგილს. დაინყო არსებული სტადიონის ნგრევა და ახლის აშენება, რომელიც კვლავ შეჩერდა. მოსკოვის წინადადებით ტევადობა უნდა შემცირებულიყო 75000-მდე, მოიჭრა აშენებული კონსტრუქციები. ავტორების წინაშე დაისვა რთული ამოცანა — უმოკლეს ვადაში უნდა შექმნილიყო ახალი პროექტი. ავტორებმა, არქიტექტორებმა არჩილ და გია ქურდიანებმა, ინჟინერ კონსტრუქტორ შალვა გაზაშვილთან ერთად ამჯერადაც მიაღწიეს დიდ გამარჯვებას 1976 წელს გაიხსნა

დიდი ფეხბურთისა და სპორტის სხვადასხვა სახეობის კომპლექსი — ცენტრალური ეროვნული სტადიონი — სტადიონი, რომელმაც მსოფლიო აღიარება მოიპოვა.

სტადიონის რეკონსტრუქციის დროს და შემდგომ პერიოდში გია მუშაობს სხვადასხვა ობიექტებზე.

მრავალსართულიანი მრგვალი გარაჟი ორთაჭალაში, ვლ. მესხიშვილთან და გ. მებუკესთან ერთად. მრავალსართულიანი მრგვალი გარაჟი კრწანისში.

1967 წელს კრწანისის სამთავრობო რეზიდენციის პირველი სასტუმრო სახლის რეკონსტრუქცია (არჩილ ქურდიანთან ერთად).

1981 წელს პირველი სასტუმრო სახლის საფუძვლიანი რეკონსტრუქცია, ხოლო 1998 წელს იგივე ნაგებობის რეკონსტრუქცია მის ვაჟთან, არჩილ ქურდიანთან ერთად.

მეორე სასტუმრო სახლი და გამაჯანსაღებელი კომპლექსი — აბანო; ხელოვნური ტბა; მესამე სასტუმრო სახლი; რეზიდენციები: ბობოყვათში და ვარციხეში; მაღალი სტუმრების მიღების თეთრი დარბაზი ყოფილ მთავრობის სახლში; ცეკავშირის ხაზით, მთელი რიგი ობიექტებისა საქართველოს ყველა რეგიონში. რამდენიმე ათეული ობიექტი განხორციელებულია თავის ვაჟ, არქიტექტორ არჩილ ქურდიანთან ერთად.

აღსანიშნავია, რომ თითქმის ყველა მისი ობიექტის ინტერიერს და დიზაინს თვითონვე აკორციელებს. იგი ქმნის ინტერიერს, ავეჯს, ჭურჭელს, სიმბოლიკას და სხვა.

სხვადასხვა დროს მოღვაწეობდა პროექტის მთავარ არქიტექტორად, საპროექტო საბელოსნოს უფროსის მოადგილედ და უფროსად, საქართველოს მთავრობის მთავარი სამმართველოს, სახელმწიფოს მეთაურისა და პრეზიდენტის აპარატის, მთავარ არქიტექტორად. ამჟამად არის კრწანისის სამთავრობო რეზიდენციის არქიტექტორ-კონსულტანტი და „გია ქურდიანის შემოქმედებითი სახელოსნოს" ხელმძღვანელი.

ელიზბარ ქურდიანი
1905-1989

ამოჩენილი ქართველი ორთოპედი, სამედიცინო მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ელიზბარ გრიგოლის ძე ქურდიანი დაიბადა 1905 წელს ქ. თბილისში ცნობილი ინჟინრის გრ. ქურდიანის ოჯახში.

1924 წ. დაამთავრა თბილისის № 1 ვაჟთა გიმნაზია და იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახ. უნივერსიტეტში.

იმ ხანებში თბილისში ჯერ არ არსებობდა სამედიცინო ინსტიტუტი და ამიტომაც საქართველოს ე.წ. პირველი თაობის ექიმები, რომელთა შორისაც ელიზბარ ქურდიანი იყო, თბილისის სახ. უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზე იღებდნენ სამედიცინო განათლებას.

1929 წ. მან დაამთავრა აღნიშნული უნივერსიტეტი და მუშაობა დაიწყო ჰოსპიტალური ქირურგიის კლინიკაში (ე.წ. "მიხაილოვის" საავადმყოფოში), რომელსაც აკად. გრიგოლ მუხაძე ხელმძღვანელობდა. (სხვა ექიმებთან ერთად ამავე კლინიკაში მუშაობდა მისი მეუღლე ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის დარგის ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში, შემდგომში სამედიცინო მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თამარ ჟვანია).

1932 წლამდე საქართველოში ორთოპედია და ტრავმატოლოგია, როგორც დამოუკიდებელი დისციპლინა, ქირურგიისგან ჯერ არ იყო გამოყოფილი. ამ დარგის ცალკე გამოყოფის საჭიროება და პერსპექტივა კი ნამდვილად არსებობდა. ამიტომაც 1932 წ. ახალგაზრდა ექიმი ე. ეურდიანი გაგზავნილი იყო ქ. ლენინგრადში პროფესორ ვრედენთან ტრავმატოლოგიის ინსტიტუტში სპეციფიური გამოცდილების მისაღებად.

1933 წ. ე. ქურდიანმა მის პედაგოგ მ. ცხაკაიასთან ერთად ჩამოაყალიბა ორთოპედიის და ტრავმატოლოგიის განყოფილება თბილისის ცენტრალურ რესპუბლიკურ საავადმყოფოში, რითაც საფუძველი ჩაუყარეს ამ დარგის განვითარებას საქართველოში.

1934 წ. ე. ქურდიანმა დაიწყო თავისი პედაგოგიური მუშაობა — ანყობდა პრაქტიკულ მეცადინეობებს სტუდენტებთან.

მას ხშირად უხდებოდა ქირურგიული მოღვაწეობა რესპუბლიკის რაიონებში. 1931 წ. იგი მუშაობდა სიღნაღის საავადმყოფოში ქირურგად. 1935 წ. კი ხელმძღვანელობდა სამედიცინო ექსპედიციას ქ. თელავსა და მის მახლობელ ოც სოფელში. მათი მიზანი იყო ამ რაიონის მოსახლეობაში საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის შეძენილი და თანდაყოლილი დეფორმაციების გამოვლენა და მკურნალობა. ექსპედიციამ 30 000 მოსახლე გასინჯა და გამოავლინა ცხრაასი ადამიანი ფიზიკური დეფექტით, რომელთაც შემდგომში შესაბამისი სამედიცინო დახმარება ჰქონდათ გაწეული. მისი ცხოვრების შემდგომ პერიოდში კი ე. ქურდიანი მუშაობდა ქ. საგარეჯოს საავადმყოფოს ქირურგ-კონსულტანტად.

1934 წ. გაიგზავნა სამეცნიერო მივლინებაში კვალიფიკაციის ასამაღლებლად ქ. ხარკოვის ორთოპედიის და ტრავმატოლოგიის ინსტიტუტში გამოჩენილ სპეციალისტთან მ. სიტენკოსთან.

1940 წ. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მიენიჭა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

სამამულო ომის გამოცხადების დღიდან მან მუშაობა დაიწყი ევაკოჰოსპიტალში. 1941 წლის დეკემბერში ე. ქურდიანი ყირიმის ფრონტზე გააგზავნეს, სადაც ჩასვლისთანავე ქ. ქერჩის სამხედრო ჰოსპიტლის მთავარ ქირურგად იყო დანიშნული. აქ მას სხვა ქართველ ექიმებთან ერთად მეტად მძიმე პირობებში მოუხდა მუშაობა. ჰოსპიტალში დღე და ღამ განუწყვეტლივ მოედინებოდა დაჭრილთა ეშელონები. ექიმები იმდენად იყვნენ გადატვირთულნი, რომ დღე-ღამეში ერთ-ორ საათს ოუ დაისვენებდნენ.

ელიზბარ ქურდიანმა ფრონტზე მუშაობისას ცოდნასთან ერთად განსაკუთრებული გამძლეობა და სულიერი სიმშვიდე გამოიჩინა. ერთხელ იგი მუცელში დაჭრილ მეომარს უკეთებდა ოპერაციას. უცებ ატყდა ძლიერი ბომბარდირება, სადღაც სულ ახლოს ყუმბარა გასკდა. იქ მყოფი პერსონელი პანიკამ მოიცვა. სულ მალე საოპერაციოში სამნი დარჩნენ _ ქირურგები ე. ქურდიანი, მედდა და დაჭრილი. ეს უკანასკნელი ითხოვდა, თავი დაენებებინათ მისთვის და გაქცეულიყვნენ თავშესაფარში. ოპერატორი სრული სიდინჯით აგრძელებდა ოპერაციას და არ მიიღო საჭირო თავდასაცავი ზომები მანამ, სანამ ოპერაცია არ იყო წარმატებულად დასრულებული.

1944 წლიდან ომის დამთავრებამდე ე. ქურდიანი აგრძელებდა მუშაობას ქ. ქუთაისის ევაკოჰოსპიტალში წამყვან ქირურგად.

1947 წ. მას მიენიჭა დოცენტის წოდება და დაინიშნა ჯანდაცვის სამინისტროს ჰოსპიტლების სამმართველოს წამყვან სპეციალისტად აღდგენით ქირურგიაში.

1946 წელს იგი გახდა ორთოპედიისა და აღდგენითი ქირურგიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში არსებული (100 საოლიანი) აღდგენითი კლინიკის ხელმძღვანელი. გარდა პრაქტიკული მუშაობისა იგი ნაყოფიერ სამეცნიერო კვლევებს ანარმოებდა აღდგენითი ქირურგიის დარგში.

1953 წელს ელიზბარ ქურდიანმა საფუძველი ჩაუყარა ბავშვთა ორთოპედიის განვითარებას საქართველოში. მისი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით აღნიშნულ ინსტიტუტში გაიხსნა ბავშვთა ორთოპედიის განყოფილება. მისი თაოსნობით დაიწყო ჩვენს ქვეყანაში ახალშობილ ბავშვთა ორთოპედიული გასინჯვები.

ე. ქურდიანი იყო მრავალი ახალი სამკურნალო და ოპერაციული მეთოდის ავტორი (მაგ., ბვალშიგნითა ანესთეზიის მეთოდი და მრავალი სხვა) რომლებიც აპრობირებული და დანერგილი იყო მოსკოვის ცენტრალურ ტრავმატოლოგიურ ინსტიტუტში და სხვა ყოფილი სსრ კავშირის წამყვან კლინიკებში.

ე. ქურდიანი წლების განმავლობაში ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში. მისი ხელმძღვანელობით ორთოპედ-ტრავმატოლოგთა და ბავშვთა ორთოპედთა მრავალი თაობა აღიზარდა. ელიზბარ ქურდიანი ოპერაციის ნამდვილი ხელოვანი იყო. მისი ოპერაციული ტექნიკა და სინატიფე ყოველთვის იწვევდა მის ოპერაციებზე დამსწრეთა აღტაცებას. მას "დასტაქრის მადლიანი ხელი" ჰქონდა _ ასე წერდა გაზეთი "სოფლის ცხოვრება" (1966 წ. 6 თებერვალი) ე. ქურდიანის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ სტატიაში.

მთელი ცხოვრების მანძილზე იგი ერთგულად ემსახურებოდა სამშობლოს, თავის საქმეს. მასთან ავადმყოფები საქართველოს ყველა კუთხიდან მოდიოდნენ. განსაკუთრებული სიყვარული კი მას მშობლიური კუთხის საგარეჯოს მიმართ ჰქონდა, სადაც იგი ხშირად ჩადიოდა თავის მამაპაპისეულ სახში. როგრც კი ხალხი გაიგებდა, რომ ცნობილი დასტაქარი ჩამოსულია, ნაკადად მიედინებოდნენ მასთან რჩევისა და შველის სათხოვნელად. ელიზბარ ქურდიანი უანგაროდ და უსასყიდლოდ ემსახურებოდა მათ და იყო ბედნიერი, რომ მრავალი კეთილი საქმის კეთების უნარი შესწევდა.

1969 წელს მან დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და მიენიჭა პროფესორის წოდება. იგი იყო ავტორი 54 სამეცნიერო შრომისა.

1989 წლის დეკემბერში დასრულდა მისი სიცოცხლე.

ზაქარია ქურდიანი

 არქიტექტორი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი ზაქარია ქურდიანი დაიბადა 1909 წლის 14 ივნისს ქალაქ აშხაბადში. 1932 წ. დაამთავრა საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტი თბილისში, ინჟინერ-არქიტექტორის სპეციალობით. შრომითი მოღვაწეობა დაიწყო 1926 წლიდან თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომში, სადაც მუშაობდა განუწყვეტლივ 28 წლის განმავლობაში. 1934-44 წლებში ხელმძღვანელობს არქიტექტურულ-დაგეგმარებით სახელოსნოს, რომელიც შემდგომში გადაიქცა საპროექტო ინსტიტუტ „თბილქალაქპროექტად" 1944-54 წლებში არის თბილისის მთავარი არქიტექტორი. 1954-70 წ.წ. საქართველოს სახელმწიფო მშენებლობის კომიტეტში არის კოლეგიის წევრი და ხელმძღვანელობს ქალაქმშენებლობის სამმართველოს. ზაქარია ქურდიანი თბილისის მთავარი არქიტექტორისა და საქართველოს სახმშენის ქალაქმშენებლობის საბჭოების უცვლელი წევრია დღიდან მათი ჩამოყალიბებისა. ძირითადი ნამუშევრები: თბილისის განვითარების და რეკონსტრუქციის პირველი და მეორე გენერალური გეგმები (1936-34, 1948-52, ავტორთა ჯგუფების ხელმძღვანელი); თბილისში კულტურის და დასვენების პარკი მთაწმინდის პლატო ზე (1936-38, ნ. ქურდიანთან და არქიტექტორ-დენდროლოგ ნ. ციციშვილთან ერთად); თბილისში მთანმინდის პარკის მთავარი შენობა (1938, ნ. ქურდიანთან ერთად ა. ვოლობუევის მონაწილეობით); ქ. რუსთავის პირველი გენერალური გეგმა (1943-44, ნ. ქურდიანთან ერთად); გორში სტალინის ძეგლის კვარცხლბეკი (1950, ნ. ქურდიანთან ერთად); ქ. ქუთაისის განვითარების და რეკონსტრუქციის გენერალური გეგმა (1970-73, საავტორო ჯგუფთან ერთად) და სხვა. გარდა ამისა ქურდიანი არის თბილისში მეტროპოლიტენის მშენებლობის ინიციატორი და მისი ტრასის და სადგურების განლაგების პირველი სქემის ავტორი. კოლეგებთან ერთად წარმატებით მონაწილეობს რიგ მნიშვნელოვან კონკურსებში. ზაქარია ქურდიანი გარდაიცვალა 1983 წელს.

ირაკლი ქურდიანი

1907-1984

საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, პროფესორი ირაკლი სოლომონის ძე ქურდიანი, კარგადაა ცნობილი საინჟინრო საზოგადოებაში, როგორც დიდი სანარმოო გამოცდილებისა და მაღალი ერუდიციის მეცნიერი. დაიბადა 1907 წელს პოლონეთში. ცნობილი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, პროფ.ს.ქურდიანის ოჯახში.

1930 წ. საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, იგი აქტიურად მონაწილეობდა ახალი ენერგეტიკული ობიექტების დაპროექტებასა და მათ გამართვა-მონყობაში (ალაზანჰესი, თბილისის თბოსადგური და სხვ.). 1932 წ. დაიწყო სამუშაოები ზაჰესის გაფართობასთან დაკავშირებით. ორი ახალი ჰიდროგენერატორის დამონტაჟება, გამანაწილებელი მონყობილობის გაფართოვება და მეორადი საკომუტაციო ნრედებია გადაკეთება უშუალოდ ი.ქურდიანის ხელმძღვანელობით მოხდა. ი.ქურდიანის ხელმძღვანელობითვე მიმდინარეობდა მშენებარე თბილისის თბოელექტროსადგურის სამონტაჟო სამუშაოები, ელექტრული ნანილის ახალი პროექტიც მისი ხელმძღვანელობით იყო შესრულებული.

1944 წ. ი.ქურდიანი დანიშნული იყო თბილისის საქალაქო ქსელების სამმართველოს მთავარ ინჟინრად, სადაც მან ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ომის მძიმე პირობებში სამხედრო თავდაცვის ნარმოებას შეუფერხებლად ემუშავა. მხოლოდ საქმის ღრმა ცოდნით და დიდი ინჟინრული ერუდიციით შეიძლებოდა ასეთი რთული ამოცანის გადაწყვეტა, როდესაც ქალაქს ათჯერ მეტი სიმძლავრე ესაჭიროებოდა, ვიდრე მას ჰქონდა.

სახელოვანი მეცნიერის მნიშვნელოვან დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ომისშემდგომ პერიოდში (1948წ.) სასოფლო-სამეურნეო რაიონების ელექტროფიკაციის მთელი რიგი პრობლემების გადაწყვეტა. ამ პერიოდის მისი სამეცნიერო შრომები ფართოდ დაინერგა ენერეტიკაში. მაშინ, როდესაც სახალხო მეურნეობა ფერადი და შავი ლითონების დიდ გაჭირვებას განიცდიდა, ახალი ელექტროსადგურების მშენებლობა მეტად გაძნელებული იყო. სნორედ ამიტომ ი.ქურდიანის უშუალო მონაწილეობით განხორციელდა იდეა – სოფლის ქსელების მშენებლობა მხოლოდ ორი სადენით, მესამე სადენად გამოიყენებოდა მიწა. ამ სიახლემ ელექტროქსელების ღირებულება 40%-ით შეამცირა. ი.ქურდიანის ხელმძღვანელობითვე მოხდა ასეთი ქსელების მუშაობის რეჟიმების შესნავლა და შედეგები შემდგომ განზოგადოებული იყო მთელი ქვეყნის მასშტაბით.

ი.ქურდიანის უშუალო ხელმძღვანელობით ჩატარდა სამუშაოები სოფლის ჰესების სრული ავტომატიზაციის დარგში. პირველად სსრკ-ში მთლიანად ავტომატიზირებულ იქნა რიგი ელექტროსადგურებისა, მათ შორის – ტირიფონჰესი, იგოეთჰესი, ბოლნისჰესი და სხვ. ავტომატიზირებული ელექტრული სადგური მუშაობდა პერსონალის გარეშე შენობა საერთოდ ბოქლომზე იყო ჩაკეტილი. ცხოვრების ბოლო წლებში ი.ქურდიანი მუშაობდა მძლავრი ენერგოსისტემების სისტემური ავტომატიკის საკითხებზე. მისი ბრძოლები ამ დარგში ფართოდაა ცნობილი, მისი გამოგონებები კი დაინერგა არა მარტო საქართველოში, არამედ სსრკ-ს ბევრ დიდ ელექტროსადგურებშიც.

1962 წლიდან ი.ქურდიანი კათედრის პროფესორია, ხოლო 1964 წლიდან იგი არჩეულ იქნა პოლიტექნიკური ინსტიტუტის "ელსადგურებისა და სისტემების" კათედრის გამგედ, რომელსაც უძღვებოდა მრავალი წლის განმავლობაში. გარდაიცვალა 1984 წლის 2 დეკემბერს.

სოლომონ ქურდიანი

1867-1937

ახლა კაცობრიობის ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემაა გადაარჩინოს მინა, წყალი, ჰაერი, ტყე და ცხოველთა სამყარო. იყვნენ ადამიანები, რომლებმაც თავის დროზე იგრძნეს ბუნების გაძარცვის საშიშროება და განგაში ატეხეს. ასეთი ადამიანების რიცხვს ეკუთვნის სატყეო მეურნეობის ცნობილი ქართველი მეცნიერი, პროფესორი სოლომონ ზაქარიას ძე ქურდიანი. დღეს იგი გვესაუბება, როგორც გამოჩენილი მკვლევარი, რუსეთსა და საქართველოში ტყის მერქნიანი მცენარეების ჰიბრიდიზაციის პიონერი, დენდროლოგიაში აღიარებული პირველი სახელმძღვანელოების ავტორი, მეტყევეობის ენციკლოპედიის პირველი შემქმნელი, საქართველოში უმაღლესი სატყეო განათლების ფუძემდებელი.

სოლომონ ქურდიანი დაიბადა სოფ.საგარეჯოში 1867 წელს. თბილისის სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ 1896 წ., სწავლის გასაგრძელებლად პოლონეთში გაემგზავრა, ნოვოალექსანდრიის სოფლის მეურნეობისა და მეტყევეობის ინსტიტუტში. 1900 წელს დაამთავრა სატყეო ფაკულტეტი და იქვე დარჩა ასისტენტად მეტყევეობის კათედრაზე. სოლომონ ქურდიანის მოღვაწეობის ნოვოალექსანდრიის პერიოდი ნაყოფიერ პედაგოგიურ მუშაობასთან ერთად ხასიათდება ინტენსიური სამეცნიერო-კვლევითი მუშაობით. ორი ათეული წლის განმავლობაში კითხულობდა დენდროლოგიის კურსს სატყეო მეურნეობის ფაკულტეტზე და ნოვოალექსანდრიის საცდელ სადგურ "რუდაში" იკვლევდა მერქნიანი მცენარეების, კერძოდ ფიჭვის, ბიოლოგიურ თვისებებს, სწავლობდა ტყის მერქნიან სახეობათა სელექციის საკითხებს.

მიუხედავად იმისა, რომ პროფ.ქურდიანს ცხოვრება უხდებოდა საქართველოდან მოშორებით, ის მაინც მჭიდროდ იყო დაკავშირებული მშობლიურ მხარესთან. იგი სისტემატურად ჩამოდიოდა საქართველოში, აწყობდა ექსპედიციებს ჩვენი ტყეების შესწავლის მიზნით. პოლონეთიდან ჩამოჰყავდა სტუდენტები ბორჯომ-ბაკურიანის, აბასთუმნისა და საქართველოს სხვა კუთხეების ტყეებში პრაქტიკის გასავლელად. ს.ქურდიანის საქართველოსთან არსებულ მჭიდრო კავშირზე მიუთითებს სქელტანიანი მონოგრაფია ციე-გომბორის ტყეების შესახებ, რომელიც პეტერბურგში დაისტამბა 1913 წლს. ამ დროისთვის ს.ქურდიანი უკვე სახელმოხვეჭილი მეცნიერი იყო და საზღვარგარეთის სამეცნიერო საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი.

ეს ის დროა, როცა საქართველოში ი.ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობდა ქართული უნივერსიტეტის დაფუძნებისათვის. მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვის მიზნით ი.ჯავახიშვილმა 1918 წელს საზღვარგარეთ მცხოვრებ სხვა ქართველ მამულიშვილებთან ერთად მოინვია პროფ.ს.ქურდიანიც. უშუალოდ ს.ქურდიანის მონაწილეობით უნივერსიტეტში გაიხსნა აგრონომიული ფაკულტეტი, შემდეგ კი მის ბაზაზე დაარსდა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. ამგვარად ს.ქურდიანი გვევლინება როგორც სახელმწიფო უნივერსიტეტის, ასევე საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ერთ-ერთი ფუძემდებელი. საქართველოში ჩამოსვლისთანავე ის შეუდგა სახელმძღვანელოების შექმნას ქართულ ენაზე და გახდა ქართულ ენაზე დენდროლოგია-მეტყევეობის პირველი ორიგინალური სახელმძღვანელოს ავტორი.

პროფ.ს.ქურდიანის უშუალო ხელმძღვანელობით ჩატარდა საქართველოს ტყეების პირველი სრულფასოვანი მოწყობა, შედგენილ იქნა სატყეო მეურნეობის ორგანიზაციისა და განვითარების პერსპექტიული გეგმები.

ს. ქურდიანი მეცნიერიც იყო და ნამდვილი მებრძოლიც. თავის თანამოაზრეებთან ერთად ის დაუნდობლად ილაშქრებდა ტყის არარაციონალური ექსპლოატაციის წინააღმდეგ, მოითხოვდა დაცული ყოფილიყო მთიანი რელიეფის პირობებისთვის შესაბამისი ჭრის წესები, რათა ტყით სარგებლობას ტყის ნამატისთვის არ გაესწრო. მრავალი გაფრთხილების მიუხედავად ს.ქურდიანი საჯაროდ გამოდიოდა საკავშირო მთავრობის იმ დადგენილების წინააღმდეგ (1931 წ), რომელმაც საქართველოს ტყეები რუსეთის ტყეებთან ერთად საექსპლოატაციო ზონად გამოაცხადა. მაგრამ ბრძოლა ამაო იყო.

უმნარესი ხვედრი ერგო სახელგანთქმულ მეცნიერს. იგი 1937 წლის რეპრესიებს შეეწირა. მისი მეცნიერული მემკვიდრეობის გაყალბებამ ზენიტს მიაღწია, როდესაც მას დაუმსახურებლად მიანერეს ინგირის ქაღალდის კომბინატის მონინააღმდეგის სახელი. არადა ის მხოლოდ მიუთითებდა, რომ ქაღალდის კომბინატის მოთხოვნილების დაკმაყოფილება მხოლოდ ზემო სვანეთის ტყეების ხარჯზე გამოიწვევს მათ გაჩანაგებას და ხე-ტყის შემოზიდვა საჭიროა სხვა რეგიონებიდან. ამის გამო, უაღრესად კეთილშობილი, რაინდული სულის კაცი ხალხის მტრად გამოაცხადეს და როგორც სუკ-ის საიდუმლო დოკუმენტებიდან გაირკვა, დაპატიმრებიდან მესამე დღეს დახვრიტეს. ასე ტრაგიკულად დასრულდა მისი სიცოცხლე.

პროფ. სოლომონ ქურდიანის მემკვიდრეობისადმი, როგორც უნიკალური განძისადმი, გულგრილი დამოკიდებულება არავის გვეპატიება.

(მასალა მოწოდებულია სამთო მეტყევეობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის, აკადემიკოს გიორგი გიგაურის მიერ, 1990 წელს)

მიხა ქურხული

1880-1961

საგარეჯოელ მიხა ქურხულს ყასაბად უმუშავია საგარეჯოს რკინიგზის სადგურთან ახლოს „ბოინში"

მიხა თურმე საქონელს მუშტის ერთი დარტყმით კლავდა. ეს რომ უნახავს ერთ თბილისელ „ენიაზს", კაცი გაოცებულა და თბილისში ნაუყვანია შინამოსამსახურედ, იმ დროისათვის კარგ ჯამაგირსაც უხდიდა — თვეში 30 მანეთს.

მიხა ქურხული ახოვანი ტანის ვაჟკაცი იყო. თბილისში ნიკიტინის ცირკში დაინყო საყიდაო ნრეში გამოსვლები.

1912-1913 ნლებში საგარეჯოელმა გოლიათმა ნიკიტინის ცირკის „კრუგში" დასცა ცნობილი სიმიაკინი, „ჩორნი ვორონი" და სხვები. მან დაამარცხა გლდანელი გიორგი ოდიშვილი, მიხას იოსებ ცერაძეც ჰყავდა ნაქცეული, შაშო ვერელთან ერთი შეხვედრა მოიგო, ხოლო მეორეში დამარცხდა. მოუგო კირბალელ გიორგი დოთიაშვილსაც.

საინტერესოა, რომ ერთ დროს მიხა ქურხულის დაოსტატება ითავა ნესტორ ესებუან. ამით დიდად კმაყოფილი იყო ქურხული. ბევრი რამ ასნავლა სახელოვანმა ფალავანმა. მიხამ უძლიერესი მოჭიდავე აბული გორში გააკრა ბეჭებით სარბიელს. ერთხელ ნიძლავზე მიხამ 5 ნუთი გაუძლო დევგმირ სანდრო კანდელაკს და ამით ორი „პოსკა" (ოთხთვლიანი ურემი) თეთრი ფქვილი მოიგო და გამოატანა თბილისიდან საგარეჯოში თავის ძმას. საგარეჯოს რაიონში ცნობილი მოჭიდავე ნიკა ბუზარიაშვილი იყო მიხას ერთგული მეგობარი. მიხა ნიკას გარეშე არ ნავიდოდა პრინციპულ შერკინებებზე. მიხას მეგობარი იყო აგრეთვე კამბეჩუა (ვანო აბულაშვილი), ის მიხასთან შედარებით მცირე ტანისა იყო და ამიტომ ისინი არასდროს შეხვედრიან ერთმანეთს. ბოლოს მიხა ქურხულმა ფალავნობა პატარა გლდანელს — ვანო ნამალაშვილს გადაულოცა. მათ შორის ასაკით განსხვავება მთელი 24 ნელი იყო...

ჭიდაობას რომ დაანება თავი, საგარეჯოში მუშაობდა ბრიგადირად. მიხას 4 შვილი ჰყავდა — 2 ვაჟი და 2 ქალი.



გივი ყანდარელი

ხატვარი, გობელენის ოსტატი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გივი ლუარსაბის ძე ყანდარელი დაიბადა 1933 წლის 21 თებერვალს.

1956 წელს დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია. 1960-73 წწ. იქვე ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. გ. ყანდარელს გარკვეული წვლილი მიუძღვის თანამედროვე ქართული გობელენის განვითარებაში. ნამუშევრები: სერია „ჩემი სამშობლო" — „ბალადა ფიროსმანაშვილზე", „ჰური ჩვენი არსებისა", „მშვიდობა საიმედო ხელშია", „ალვანელი კოლმეურნე ქალები" და სხვ.

მიღებული აქვს სახელმწიფო პრემია (1983 წ.).

აი, რას წერს მასზე ვახტანგ დავითაია:

„ავრცელებული აზრია: ხელოვნება პიროვნების გამოხატულებაა, მისი ადეკვატიაო. ეს მართალია და არცაა მართალი. ზოგჯერ, უყურებ ნახატს, ქანდაკებას, რომელიც საოცრად გართულებული და ბუნდოვანია, ხოლო ავტორი ჩვეულებრივი, მინიერია, ამ-ქვეყნიური. ტრადიციებისა და წეს-ჩვეულების ერთგული კაცია.

ის არ ირთულებს ცხოვრებას და არც სხვას უქმნის პრობლემებს. ამიტომაც ასე ლაღად გრძნობ თავს საგამოფენო დარბაზში და გეძნელება მასთან განშორება.

ჩვენ ორი ზაფხულის დაუვიწყარი დღეები დავყავით სტუდენტებთან ერთად სვანეთში. იფარში იყო ჩვენი ბაზა, „საკუთარი" კოშკითა და დიდი აივნიანი „ოლათი" გივი ანყვეტილი მუშაობდა დილის 7 საათიდან დაბნელებამდე, ერთ წუთს არ კარგავდა. როგორც წესი ორ პლანშეტს ზე მუშაობდა ერთდროულად, სანამ ერთი შეშრებოდა, მეორე ზე აგრძელებდა მუშაობას. არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა ამინდს, კოკისპირული წვიმებიც შეგვესწრო, მერე რა, აივანი ხომ გადახურულია, მერე რა, რომ ირგვლივ ყველაფერი ნაცრისფერია და ხილვადობაც ცუდია, სამაგიეროდ პლანშეტ ზე კაბკაბა მზეა ან მზის ჩასვლა, მოლურჯო-მოიასამნო ფერებით. ნატურა გივისთვის მბოლოდ საბაბი იყო და არა მხოლოდ ფერის მხრივ, არამედ კომპოზიციურადაც, ხან რაღაცას ამატებდა, ხანაც აკლებდა. მთავარია არა ის, რაც არის, არამედ შთაბეჭდილება, განწყობილება. ეს უმთავრესად პეი ზაჟთან მიმართებაში. რაც შეეხება არქიტექტურას, მისი მეტი რიდი ჰქონდა, თავს აშვების უფლებას არ აძლევდა. ან რას გამოიგონებს ადამიანი სვანეთის არქიტექტურა ზე უფრო დიდებულს და მნიშვნელოვანს.

„გივი, შენი ფერები უფრო გამჭვირვალეა, გამიმხილე საიდუმლოება", — ვეხვეწები. — მბოლოდ ნასვლის დღეს გეტყვი, მანამდე ნუ ცდილობ რაიმე საიდუმლო დამციინცლო", — ეგუდებ. სიცილით. სტუდენტები გარს შემოჰხვევიან მაესტროს, უკეთეს სპექტაკლს სად და როდის ნახავენ! ნასვლის დღეს კი ყველას გასაგონად მეუბნება: „შენ გეგონა მე ჩვეულებრივ წყალს ვხმარობ აკვარელში? არა ბატონო, წვიმის წყლით ვხატავ" — გამანდო მთავარი საიდუმლოება, — „კიდევ რაღაცეები მაქვს შემონახული, ყველაფერს ერთად ხომ არ გასწავლი, ცოტა მომავალი წლისთვის შემოვინახოთ"

„დაჯექი, დაგხატო, მომბეზრდა პეი ზაჟები, თანაც რა უნამუსოდ წვიმს მთელი დღე!" — ოც წუთში ბრწყინვალე პორტრეტი შექმნა, აი დავაყვედრე კიდეც გამოფენის გახსნა ზე: შენს შემოქმედებაში ახალი ეტაპი, თანაც უფრო მნიშვნელოვანი, ჩემი პორტრეტიდან დაიწყო-მეთქი.

გივიმ თავისი საიდუმლოება არც მეორე წელს გამიმხილა. მე თავად მივხვდი ყველაფერს. ესაა ელვარე ნიჭი ელვარე კაცისა!

ზაქარია ყანჩაველი

1890-1932

ბოტანიკოსი, სისტემატიკოს-ფლორისტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოტანიკის კათედრის პირველი გამგე, პროფესორი ზაქარია ყანჩაველი დაიბადა 1890 წლის 16 დეკემბერს საგარეჯოს რაიონის სოფ. კაკაბეთში.

პირველი ქართველი დოქტორი ბოტანიკის დარგში, პროფესორი. დაამთავრა ხარკოვის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილება. მუშაობდა ბათუმის ბოტანიკურ ბაღში და ხელმძღვანელობდა შავი ზღვისა და თბილისის გუბერნიებში სამკურნალო მცენარეთა შემსწავლელ ორგანიზაციას. 1917 წლიდან მიინვიეს თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ბოტანიკის კათედრაზე. 1918 წლიდან მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1922-32 წწ. უნივერსიტეტია ბოტანიკის კათედრის გამგე იყო. შეთავსებით განაგებდა თბილისის ბოტანიკური ბაღის ჯერ ფლორისტულ კაბინეტს, ხოლო შემდეგ (გარდაცვალებამდე) მისი დირექტორი იყო. ბან ჩამოაყალიბა ბოტანიკის კათედრები სასოფლო-სამეურნეო, სამედიცინო და პედაგოგიურ ინსტიტუტებში; დიდი წვლილი მიუძღვის ქართველ ბოტანიკოსთა კადრების აღზრდაში. დაამუშავა ქართული ბოტანიკური ტერმინოლოგია. 1919 წელს გამოსცა (პირველად ქართულ ენაზე) გვიმრანაირ და ყვავილოვან მცენარეთა სარკვევი, 1927 წელს — ბოტანიკის პირველი ქართული სახელმძღვანელო 2 ტომად. ზ. ყანჩაველი ხელმძღვანელობდა შირაქ-ელდარის, ციე-გომბორის, სოღანლუღის, სამგორის ფლორისტულ ექსპედიციებს. მონაწილეობდა ნყალთა მეურნეობის მიერ ახალი სარწყავი რაიონების დაპროექტებაში.

ლევან ყანჩაველი

1900-1987

ქართველი ფიტოპათოლოგი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე ლევან ალექსის ძე ყანჩაველი დაიბადა 1900 წლის 21 აგვისტოს ახლანდელი ზესტაფონის რაიონის სოფელ ალავერდში.

1902 წელს დაამთავრა თსუ-ის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი ბოტანიკის განხრით.

1931-1974 წლებში ლ. ყანჩაველი იყო თბილისის ბოტანიკური ბაღის მიკოლოგიისა და ფიტოპათოლოგიის ლაბორატორიის ბაზაზე დაარსებული მცენარეთა დაცვის უცვლელი დირექტორი.

ლ. ყანჩაველის მეცნიერული კვლევის უმთავრესი პრობლემები შეეხება საქართველოს მიკროფლორის პარაზიტულ ნარმომადგენლებს, კერძოდ, ქართლ-კახეთის პირობებში ვაზის დაავადება – გავრცელებას, დასავლეთ საქართველოში ციტრუსების დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებს. მანვე შეისწავლა საქართველოს მთიანი ზონის მარცვლეული კულტურების დაავადებანი და გავრცელების პირობები, გამოიკვლია ტყის მცენარეების სოკოვანი დაავადებანი და სხვ. ავტორია უმაღლესი აასნავლებლების სახელმძღვანელოებისა.

ლ. ყანჩაველი დაჯილდოებულია 2 ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით, ხალხთა მეგობრობის, „საპატიო ნიშნის" ორდენებითა და მედლებით. მისი სახელი მინიჭებული აქვს საქართველოს მცენარეთა დაცვის სახელმწიფო კვლევით ინსტიტუტს.

გივი ყვარელაშვილი

ენერალ-მაიორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის კათედრის პროფესორი, საერთაშორისო სპორტის ოსტატი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი, მსოფლიო თასის მფლობელი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და მრავალგზის პრიზიორი გივი გიორგის ძე ყვარელაშვილი დაიბადა 1945 წლის 5 სექტემბერს ყვარელში.

1967 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ხოლო 1979 წელს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური და 1986 წელს იურიდიული ფაკულტეტები.

1982-1984 წლებში სნავლობდა და ნარჩინებით დაამთავრა სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის პირველი ფაკულტეტი.

საქართველოში თანამედროვე ეტაპზე სასჯელაღსრულების სამართლის განვითარება და რეფორმა მჭიდროდაა დაკავშირებული გივი ყვარელაშვილის სახელთან. იგი არის მრავალი სამეცნიერო შრომის ავტორი, გამოქვეყნებული აქვა ორი მონოგრაფია: „არასრულნლოვან მსჯავრდებულთა ქცევის დეკრიმინალიზაციის პრობლემები" და „პატიმრობის შესახებ საქართველოს კანონის კომენტარები" სულ ახლახანს გამოსცა სახელმძღვანელო: „სასჯელაღსრულებითი სამართალი" თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ნაკითხული ლექციების მიხედვით.

გივი ყვარელაშვილი წარსულში სახელოვანი სპორტსმენი იყო (თავისუფალი ჭიდაობა), საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი. ჭიდაობაში ვარჯიში დაიწყო 1960 წლიდან. 1965-1975 წლებში იყო სსრკ მოჭიდავეთა ნაკრების წევრი.

1988-1991 წლებში არჩეული იყო საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის თავმჯდომარედ.

ჭიდაობდა ტექნიკურად, მრავალფეროვანი სტილით, ახასიათებდა გამძლეობა, შეუპოვრობა და დახვეწილი ტექნიკური ოსტატობა. ვისაც მისი ჭიდაობა უნახავს, იგი მთლიანად ჩასნვდომია სპორტის ამ ვაჟკაცური სახეობის სიდიადესა და მომხიბვლელობას.

1978 წლიდან გ. ყვარელაშვილი მუშაობას აგრძელებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში სხვადასხვა ხელმძღვანელ ადგილებზე: სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველოს განყოფილების უფროსის, ოპერატიულ-ტექნიკური სამმართველოს, არასაუწყებო დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსის, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ მებრძოლი მთავარი სამმართველოს უფროსის თანამდებობებზე, ხოლო 1994 წლიდან 2000 წლამდე იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე.

საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 10 ნოემბრის ბრძანებულებით, ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისათვის, მაღალი პროფესიონალიზმისა და მართლწესრიგის განმტკიცების საქმეში შეტანილი დიდი წვლილისათვის, გივი ყვარელაშვილი დაჯილდოებულია მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის", ხოლო

პრეზიდენტის 1999 წლის 18 თებერვლის განკარგულებით — „ვახტანგ გორგასლის მე-3 ხარისხის" ორდენით.

როგორც ზემოთ აღინიშნა, 1994 წლიდან გივი ყვარელაშვილი დაინიშნა უკიდურესად რთულ უბანზე, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარედ, სადაც ქვეყანაში შექმნილი რთული მდგომარეობიდან გამომდინარე, დაძაბული კრიმინოგენური ვითარება იყო. მაგრამ იგი ჩვეული შემართებითა და დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით, პრაქტიკულად ენთუზიაზმზე შეუდგა მუშაობას.

გ. ყვარელაშვილის ხელმძღვანელობით, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიერ ოპერატიულ-პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარების შედეგად, მიღწეულია უმნიშვნელოვანესი შედეგები, რაც გამოიხატება იმით, რომ საგრძნობლად შემცირა (საშუალოდ 95%) მსჯავრდებულთა მიერ დანაშაულობების ჩადენის შემთხვევები.

მისი ხელმძღვანელობით წინა პლანზე იქნა წამონეული მსჯავრდებულთა ადაპტაციისა და რეაბილიტაციის საკითხები. თითქმის ყველა დაწესებულებაში ამენდა ეკლესიები და სამლოცველოები, გამოიცა მსჯავრდებულთა მხატვრული ნაწარმოებების 215-გვერდიანი კრებული, მსჯავრდებულთა მონაწილეობით დაიდგა სპექტაკლები სახელმწიფო თეატრებში, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში. სამხატვრო გალერეაში მოეწყო მსჯავრდებულთა ნამუშევრების გამოფენა. მოეწყო სილამაზის კონკურსი, „მხიარულთა და საზრიანთა კლუბების" შეჯიბრებები, სპარტაკიადები და მრავალი ღონისძიება, სადაც წარმოდგენილი იყო მსჯავრდებულთა თვითშემოქმედება.

გივი ყვარელაშვილმა შვეიცარიაში ყოფნის დროს მიაღწია შეთანხმებას და შვეიცარიის არმიიდან საქართველოს პენიტენციალურ სისტემას გამოეყო დახმარება.

„უნდა ვირწმუნოთ, რომ ყოველ ჭეშმარიტ ქართველს უდიდეს სიხარულსა და სიამაყეს ანიჭებს თანაქართველობა გივი ყვარელაშვილისა — მსოფლიო, სანიშანსვეტო ფალავანთ-ფალავანისა, მაღალღირსეული მამულიშვილისა და კაცურკაცისა.

საგანგებოდ აღსანიშნავია გივი ყვარელაშვილის უშურველობა მისი ყოველი თანამემამულე ქართველის წარმატებისადმი; და, ეს მაშინ, როცა „ბიბლიაშიც" თითქოს ჩვენზე, ქართველებზე თქმულიყოს ეს ლოგოსი: „ურმან სახელისა შენისამან შემჭამა მე",

ამიტომ ამ მწარე ნათქვამს დღეს ჩვენს გივის ასე ახლებურად და ტკბილად ვეტყოდი

ლევან სანიკიძე

დავით ყვარელაშვილი

ქართველი სპორტსმენი (თავისუფალი ჭიდაობა), მსოფლიო ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის, სსრკ ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის, საკავშირო უნივერსიადის ჩემპიონი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, პოლიციის პოლკოვნიკი დავით გიორგის ძე ყვარელაშვილი დაიბადა 1953 წლის 1 იანვარს.

1975 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ხოლო 1982 წელს — თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

ჭიდაობაში ვარჯიში დაიწყო 19 წლიდან. 1971 წელს ტოკიოს მსოფლიო ჩემპიონატზე მოიპოვა ჩემპიონის ტიტული ახალგაზრდებს შორის. 1969-1971-1972 წლების სსრკ ახალგაზრდებს შორის ჩემპიონი, ხოლო 1973 წელს საკავშირო უნივერსიადის ჩემპიონი გახდა

მოგებული აქვს საერთაშორისო ტურნირები იაპონიაში, ინდოეთში, ბულგარეთში, პოლონეთში. დ. ყვარელაშვილი 8 წლის მანძილზე სტაბილურად იმყოფებოდა სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში.

დავით ყვარელაშვილი იყო ქართული ჭიდაობის ამომავალი ვარსკვლავი. ახალგაზრდებს შორის ტურნირებში მონაწილეობის დროს თვალში საცემი იყო მისი შეუდარებელი ბრძოლა, რომელშიც მხოლოდ ძალა კი არა, ღმერთისგან ბოძებული ნიჭიც იკვეთებოდა.

შემდგომში დავითმა ახალგაზრდა სპორტსმენებს დაუთმო ჭიდაობაში ასპარეზი და თვითონ სახელმწიფოს სამსახურში მართლწესრიგის განმტკიცებისათვის განაგრძო ბრძოლა — ბრძოლა დამნაშავეობასთან, და მას აქაც მუდმივ თანამგზავრად სდევს გამარჯვება.

16 წლიდან იგი მუშაობს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობებზე, კერძოდ, ქ. თბილისის ვაკის რაიონის პოლიციის უფროსის, გლდანის, დიდი დიღმის, დიღმის ქ/დანაყოფების უფროსად.

დ. ყვარელაშვილს მიღებული აქვს მონანილეობა სამაჩაბლოსა და აფხაზეთში მიმდინარე საბრძოლო პროცესებში.

წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა დედაქალაქის ნარკომანიასთან ბრძოლის განყოფილებას.

ამჟამად იგი დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის კრიმინალური პოლიციის უფროსის თანამდებობაზეა.

„საამაყოა, როცა იცნობ და ხედავ ისეთ ადამიანს, რომელთან ურთიერთობისას ბოლომდე ივსები შენი ქვეყნის სიყვარულით და გავიწყებს ტკივილს თუ წყენას შენი ერის წარსულზე. დავით ყვარელაშვილი ერთ-ერთი იმათთაგანია, რომლებზედაც შეიძლება ასე ითქვას, რომელთა ღვანლით გული უცემდა და უცემს ჩვენს ქვეყანას დღემდე.

სწორედ დათოსნაირ მამულიშვილებზე შეიძლება გაიმეორო დავით მეფსალმუნის ეს შესანიშნავი სიტყვები:

„ვითარცა ხე დანერგული თანაწარსადინელსა წყალთასა, რომელმან გამოსცის ნაყოფი თვისი ჟამსა თვისსა და ფურცელნი მისნი არა დასცვივენ და რაოდენიცა რა ჰყოს, წარემართოს მას“

რევაზ მიშველაძე

მიხეილ ყვარელაშვილი

1906-1965

ნობილი მომღერალი მიხეილ ყვარელაშვილი დაიბადა 1906 წელს საგარეჯოს რაიონის სოფ. ხაშმში.

საშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ შევიდა რუსთაველის თეატრთან არსებულ სტუდიაში, რომელსაც ა. ფალავა ხელმძღვანელობდა. ეს სტუდია ითვლებოდა კონსერვატორიის დრამატულ ფაკულტეტად. სტუდიაში ყოფნის დროს პარალელურად ანავლობდა ბახუტაშვილის კლასში, სადაც ეუფლებოდა ვოკალურ ხელოვნებას. სახელმწიფო კონსერვატორია დაამთავრა 1932 წელს და ამავე წლის 24 დეკემბერს მისი დებიუტი შედგა ოპერა „დაისში", რომელშიც შეასრულა მალხაზის როლი. „დაისის" ეს პირველი, განახლებული დადგმა ვანო სარაჯიშვილის გარდაცვალების მე-8 წლისთავს მიეძღვნა. ოპერა დადგა ა. ნუნუნავამ. მიხეილ ყვარელაშვილის სიმღერამ, ასევე სცენურმა მოემედებამ ბრწყინვალე შთაბეჭდილება დატოვა მსმენელებზე. ეს მისი დიდი გამარჯვება იყო.

1932 წლიდან 1959 წლამდე მან ოპერის თეატრში ლირიკული ტენორის ოცდაათამდე პარტია შეასრულა. ამ პასუხსაგებ როლებზე მასთან მუშაობდნენ დირიჟორები ივ. ფალიაშვილი, ს. სტოლერმანი, ე. მიქელაძე, შ. აზმაიფარაშვილი და სხვ...

მიხ. ყვარელაშვილს ჰქონდა ლამაზი ტემბრი, შესანიშნავი სცენური მონაცემები, გულნრფელობა და უშუალობა, რითაც საზოგადოების ყურადღებას იმსახურებდა. იგი წარმატებით მღეროდა ლენსკის — „ევგენი ონეგინში", ჰერცოგს — „რიგოლეტოში", ფაუსტს — „ფაუსტში", „ტრავიატაში"— ალფრედს, „ჩიო-ჩიო-სანში" — პინკერტონს. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ეროვნული ოპერის საშემსრულებლო დონის ამაღლებას. მიხეილ ყვარელაშვილი მონაწილეობდა თითქმის ყველა ქართულ ოპერაში: ზ. ფალიაშვილის „დაისში", „ლატავრაში", მ. ბალანჩივაძის „დარეჯან ცბიერში", დ. არაყიშვილის ოპერაში „თქმულება შოთა რუსთაველზე", აკ. ანდრიაშვილის „კაკო ყაჩაღში", მისივე „ლაშქარში"

მიხეილ ყვარელაშვილმა დიდი სარგებლობა მოუტანა ჩვენი ეროვნული რეპერტუარის განმტკიცებას იმით, რომ იგი გულნრფელად ემსახურებოდა მას თავისი ნიჭით.

ვასილ ყუშიტაშვილი

1894-1962

ქართველი რეჟისორი, საქართველოს სახალხო არტისტი ვასილ პავლეს ძე ყუშიტაშვილი დაიბადა 1894 წლის 25 აპრილს (7 მაისს) საგარეჯოს რაიონის სოფ. პატარძეულში.

1913 წელს ჩაირიცხა მოსკოვის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე. პარალელურად სწავლობდა ვ. კომისარჟევსკაიას სახელობის თეატრის სტუდიაში...

პატარძეულში ხშირად იმართებოდა სახალხო თამაშობები, კერძოდ, ბერიკაობა, რომელმაც შემდგომში ასაზრდოა ალექსანდრე (საშა) ბერიკაშვილის და ვასო ყუშიტაშვილის თეატრალური ნიჭი. სიმბოლურია, რომ პატარძეულელი გლეხის პავლე ყუშიტაშვილის პირმშო ვასილ ყუშიტაშვილი თეატრებს ხსნის პარიზში, ნიუ-იორკში, ახალ ორლეანში.

მან საფრანგეთში დიელენთან ერთად დააარსა თეატრი „ატელია", პირველი პიესა, რომელიც ქართველმა რეჟისორმა საფრანგეთში დადგა, იყო იტალიელი კომედიოგრაფის კარლო გოლდონის „მარაო". პარიზში საკმაო ხმაურით აღინიშნა ვასო ყუშიტაშვილის ეს პირველი რეჟისორული ნაბიჯი.

ათი წლის მუშაობის შემდეგ ვასო ყუშიტაშვილმა დატოვა საფრანგეთი და ნიუ-იორკის კომიკური ოპერის მიწვევით ამერიკაში ჩავიდა. აქ გამართულ პირველ ნარმოდგენას არნახული ნარმატება ხვედა ნილად. ამერიკელმა მაყურებელმა გულთბილად მიიღო მიატერ ყუშიტა (როგორც მას აქ უნოდებდნენ).

ნიუ-იორკიდან ვასო ყუშიტაშვილი უკვე ახალ ორლეანში მიემგზავრება ლაბორატორიული თეატრის მეცენატთა კოლეგიის მიწვევით. ყველგან უდიდესი ნარმატებები, ყველგან უდიდესი დაფასება და სიყვარული ერგო. უცხოეთის თეატრალური საზოგადოება ყოველთვის აღტაცებული უკრავდა ტაშს ქართველ რეჟისორს. მაგრამ იძალა მშობლიური მინის ყივილმა და უცხოეთში 14 წლის მოღვაწეობის შემდეგ ვ. ყუშიტაშვილი საქართველოს დაუბრუნდა.

„არასოდეს მიგრძვნია თავი ისე ბედნიერად, როგორც მაშინ, როდესაც სამშობლოს მინაზე დავდგი ფეხი. ყველაფერი — ხეებიც, მთებიც, ადამიანებიც ბუმბერაზებად, უძლეველი ნებისყოფის გამოხატულებად, თავისუფალ ტიტანებად მეჩვენებოდნენ. ეს ჩემთვის მეორედ დაბადება იყო", — იგონებდა ბატონი ვასო.

შემდეგ იგი მოღვაწეობდა თბილისში, ქუთაისში, ზუგდიდში, გორში, ბათუმში და ფოთში.

ვასო ყუშიტაშვილი სიკვდილამდე უანგაროდ ემსახურებოდა თავის ხალხს. ამადაც არ ივიწყებდნენ პატარძეულელები. სიცოცხლეშივე უნყობდნენ შეხვედრებს. მისი 90-ე წლისთავის იუბილე კი აკ. ხორავას სახელობის მსახიობის სახლში ერთად აღნიშნეს პატარძეულის სკოლამ, სოფელმა და მარჯანიშვილის სახელობის თეატრალურმა საზოგადოებამ.

აი, რას წერს მასზე **გიგა ლორთქიფანიძე**:

„ინსტიტუტი რომ დავამთავრე, ორი სეზონი ვილნიუსსა და კაუნასში ვიმუშავე. საქართველოში დაბრუნებულს გორის თეატრში მომიწია მუშაობა. მაშინ ამ თეატრს ვასო ყუშიტაშვილი ხელმძღვანელობდა. გორში, ვ. ყუშიტაშვილის გვერდით გატარებული

ნლეები ჩემთვის დიდი სკოლა აღმოჩნდა. მოსკოვში თეატრალური ხელოვნების ინსტიტუტში შესანიშნავი პედაგოგები მყავდა — ა. პოპოვი და მ. კნებელი. ასეთი პედაგოგების შემდეგ ჩემთვის წარმოუდგენელი იყო, რომ შევხვდებოდი ადამიანს, რომელიც არა მარტო ხელმძღვანელი იქნებოდა თეატრის, არამედ ჩემს პედაგოგად, მასწავლებლად იქცეოდა, და რომელსაც დღემდე ვთვლი ადამიანად, რომელმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა ჩემს რეჟისორად ჩამოყალიბებაში. პრაქტიკულად ვ. ყუშიტაშვილმა შეპქმნა ჩემი რეჟისორული მრწამსი. ამიტომ იგი დღემდე ჩემთვის რჩება შეუვალ ავტორიტეტად, განსაკუთრებით გემოვნების საკითხში.

ჩემდა საბედნიეროდ, მრავალი წელი მომიხდა ვ. ყუშიტაშვილთან მუშაობა ჯერ გორის, შემდეგ კი კ. მარჯანიშვილის სახელმწიფო თეატრებში და მე არ მახსოვს შემთხვევა, რომ ვ. ყუშიტაშვილი როდესმე შემცდარიყოს ხელოვნების ამა თუ იმ ქმნილების, პიესის შეფასების საკითხში. იგი რეალისტური, ფსიქოლოგიური თეატრის მიმდევარი იყო. სხვა არაფერი არ სწამდა. ის იყო თვალმოუცილებელი დამცველი და მიმდევარი მსახიობის თეატრისა და ამიტომ მისი სპექტაკლები ყოველთვის ბრწყინვალე აქტიორული ანსამბლით გამოირჩეოდნენ.

ვ. ყუშიტაშვილი ენციკლოპედიური განათლების კაცი გახლდათ, უდიდესი კულტურის მატარებელი, ამიტომაც მისი სპექტაკლები ყოველთვის მაღალი შემოქმედებითი კულტურით იყო აღბეჭდილი. გარდა ამისა, ვ. ყუშიტაშვილი ჩემთვის სამაგალითო პიროვნება იყო იმითაც, რომ მიუხედავად ბრწყინვალე შემოქმედებითი ბიოგრაფიისა, (იგი ხომ დიდხანს საფრანგეთის და ამერიკის შეერთებული შტატების თეატრებში მუშაობდა), მისთვის არ არსებობდა დიდი და პატარა თეატრი. არავითარ ყურადღებას არ აქცევდა საყოფაცხოვრებო პირობებს და შეიძლება ითქვას, გაშშაგებით, გატაცებით მუშაობდა გორის, ზუგდიდის, ბათუმის, სოხუმის, ქუთაისის თეატრებში. მუშაობდა ისე, თითქოს, სწორედ ახლა, ამ ქალაქში წყდებოდა ქართული თეატრისა და მისი შემოქმედებითი ბედი.

ვ. ყუშიტაშვილის გავლენა სცილდებოდა თეატრის კედლებს და ჩემი ღრმა რწმენით, ქალაქები, სადაც ის მუშაობდა, უფრო მაღალი კულტურის მატარებელნი ხდებოდნენ. ასეთ ატმოსფეროს ქმნიდა იგი თავის ირგვლივ. არასოდეს არ დამავიწყდება და მიმაჩნია, რომ ყოველი შემოქმედისათვის ეს უნდა იყოს საპროგრამო დევიზი, როცა იგი ამბობდა: „მე იქ კი არ უნდა ვიმუშავო, სადაც მე მსურს და მომწონს, არამედ იქ, სადაც საჭირო ვარ“

მართალია, ვ. ყუშიტაშვილის სახელი საკმაოდ ცნობილია საქართველოში, მაგრამ მე მაინც გულისტკივილივით მინდა აღვნიშნო, რომ მისი პიროვნება არ არის ჯეროვნად შეფასებული ჩვენი თეატრის ისტორიაში, რადგან ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ კ. მარჯანიშვილისა და სანდრო ახმეტელის შემდეგ ვ. ყუშიტაშვილი იმ მცირერიცხოვან რეჟისორთა შორისაა, რომლებმაც უდიდესი კვალი დაჩნიეს ქართული თეატრის განვითარებას.

ვ. ყუშიტაშვილი საოცრად თავმდაბალი კაცი იყო. არასოდეს გვიამბობდა, თუ რას აკეთებდა საფრანგეთსა თუ ამერიკაში და რაოდენ მოულოდნელი იყო ჩვენთვის, ერთი ასეთი ფაქტი: 60-იან წლებში თბილისში საგასტროლოდ ჩამოვიდა პარიზის თეატრი „ატელია“. ჩვენ მათ სადგურში დავხვდით, პირველი, რაც ფრანგმა მსახიობებმა იკითხეს, ეს იყო ვ. ყუშიტაშვილის საფლავი და მოითხოვეს სასაფლაო ზეგასვლა. სასაფლაო ზე ერთ-ერთმა უხუცესმა ფრანგმა მსახიობმა ვასო ყუშიტაშვილს მიმართა შესანიშნავი სიტყვით, რომლის შინაარსი დაახლოებით ასეთი იყო:

— ჩვენო ძვირფასო მასწავლებელო, ჩვენი თეატრის დამაარსებელო, დღეს ჩვენ ჩამოვედით თქვენს სამშობლოში და გაძლევთ სიტყვას, რომ ყველაფერს გავაკეთებთ, რათა არ შეგარცხვინოთ თქვენს თანამემამულეთა წინაშე.

იმ წუთებში ჩვენს თვალწინ გაცოცხლდა პატარა ტანის, მუდამ მოფუსფუსე, ჭაღარა, აბურდული თმით, ვ. ყუშიტაშვილის საყვარელი სახე, რომელსაც ყოველთვის სადღაც მიეჩქარებოდა, რათა ყოფილიყო მათთან, ვისაც ყველა ზე მეტად სჭირდებოდა მისი ხელოვნება და თეატრი“.

მიხეილ ჭიაურელი

1894-1974

ქართული კინემატოგრაფიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, რეჟისორი, სსრ კავშირის და საქართველოს სახალხო არტისტი, შესანიშნავი მხატვარი, ჩინებული მოქანდაკე, მომღერალი მიხეილ ჭიაურელი დაიბადა 1894 წელს საგარეჯოში.

17 წლის ასაკში დიდ ქართველ მეცნიერთან ექვთიმე თაყაიშვილთან ერთად მონაწილეობდა ექსპედიციაში ქართული ფრესკების აღსადგენად თურქეთის ტერიტორიაზე — ოშკი, ხახული, ხერთვისი.

ხელოვნების მრავალ სფეროში გამოვლინდა მიხეილ ჭიაურელის ტალანტი: ყველა არსებული პრემიის ლაურეატი, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს ხუთი მოწვევის დეპუტატი, მრავალი ქვეყნის ორდენების კავალერი.

რეჟისორული მოღვაწეობა თეატრით დაიწყო. 1921 წელს ჩამოაყალიბა „სატირ-აგიტკის" თეატრი, შემდეგ მუშათა თეატრი, არის მუსიკალური კომედიის თეატრის ერთ-ერთი დამაარსებელი. კინოს მთელი თავისი ცხოვრება შესწირა. მუშაობდა „ქართულ ფილმში" და „მოსფილმზე." თავისი ფილმები „ფიცი", „ბერლინის დაცემა" და „1919 წელი" უძღვნა თავის კერპს-სტალინს, რისთვისაც „პიროვნების კულტთან" ბრძოლის პერიოდში გადასახლებული იყო ქალაქ სვერდლოვსკში. საქართველოში დაბრუნების შემდეგ გადაიღო ორი მხატვრული სურათი „ოთარაანთ ქვრივი" და „რაც გინახავს ვეღარ ნახავ. ბოლო წლებში მუშაობდა მულტიპლიკაციაში.

როცა „არსენა" ეკრანზე გამოვიდა, ჭიაურელის შემოქმედებაზე უკვე ბევრს ნერდნენ... მისი დაბადების 70-ე წლისთავის იუბილესაგან საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკაში შეადგინეს სპეციალური ბიბლიოგრაფია. ეს არ ყოფილა საიუბილეო საღამოზე ხელდასამშვენებლად მოტანილი ძღვენი. ეს იყო ჭეშმარიტი საქმე — საჭირო, კეთილშობილური...

„არსენამდე" ჭიაურელს გამოვლილი ჰქონდა მრავალმხრივი და საინტერესო, ნინაალმდეგობრივი, ძიებითა და გატაცებით აღსავსე შემოქმედების გზა — მხატვრობაშიც, თეატრშიც, კინოშიც.

იგი იმთავითვე გაიტაცა პოლიტიკურმა ჟანრმა, დროის დრამატულ კოლიზიათა ხელოვნებაში გამოხატვის ჟინმა.

რევოლუციამდელ ქართულ სატირულ-იუმორისტულ ჟურნალებში ნახავთ ბევრ სოციალურად და პოლიტიკურად გამძაფრებულ კარიკატურას, გონებამახვილურ შარჟს, რომლებსაც მინერილი აქვთ „მიშა ჭიაურელი"

მ. ჭიაურელმა კინოში მისვლამდე სამოცზე მეტი როლი შეასრულა ქართულ სცენაზე. დადგმული აქვს ბევრი სპექტაკლი, ხშირად თავად დაუხატავს სცენურ გმირთა გრიმისა და დეკორაციების ესკიზები. ჭიაურელის სცენაზე მხილველებს დიდხანს არ ავიწყდებოდათ მისი ავეტიკა „რაც გინახავს, ვეღარ ნახავში", მთავარი როლები — შიუკაშვილის „სულელში", ახმეტელის „ბერდო ზმანიაში"

დიდი ღვაწლი დასდო მ. ჭიაურელმა ქართული საოპერეტო თეატრის შექმნას, რომელსაც შემდგომი წლების განმავლობაში თავკაცობდა...

ბევრი მას მოქანდაკის ბრწყინვალე მომავალს უწინასწარმეტყველებდა. 1922 წელს გერმანიაშიც გაგზავნეს სკულპტურაში დახელოვნებისათვის. 1967 წელს კი, ჭიაურელის იუბილეს რომ იხდიდნენ, რუსთაველის თეატრის ფოიეში გამოფენილი იყო მისი

ნაქანდაკარიც: ქართული კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეთა — ვანო სარაჯიშვილის, კოტე მესხის, ივანე ფალიაშვილის, ნიკო გოცირიძის, ვასო აბაშიძის, ვალერიან გუნიასა და სხვათა სკულპტურული პორტრეტები.

ეს არ არის დილეტანტის ნამუშევრები. თითოეულ სახეში იგრძნობა ოსტატის დაჯერებული ხელი, მოდელის შინაგანი სამყაროს ხილვისა და თიხაში გამყლავნების უნარი, გამხელილია მათდამი შემოქმედის დამოკიდებულება და გარკვეული ინტერესი...

ჭიაურელი დაუცხრომლად ეძებდა, დაუდეგარი და დროის პულსს მიყურადებული ხელოვანი ნაპირს ვერ ჭვრეტდა. გული რაღაც სხვას, ახალს, ბევრისგან გაუვლელს და გაუთელავს მიელტვოდა.

კინო კი თანდათან იმკვიდრებდა ადგილს ხელოვნებაში.

ჭიაურელის მრავალმხრივი ტალანტი თითქოს სნორედ კინოსთვის იყო მონოდებული. და აკი ვერც ასცდა კინორეჟისორობას... მისი სახელი მოიხსენიება მსოფლიოში სახელგანთქმული დიდოსტატების გვერდით.

მიხეილ ჭიაურელი გარდაიცვალა 1974 წელს. დაკრძალულია კინო-სტუდია „ქართული ფილმის" ბაღში.

„მიხეილ ედიშერის ძე ჭიაურელს მე დიდი ხანია ვიცნობ. როგორც კომპოზიტორი მაათან ვმუშაობდი სურათზე „ბერლინის დაცემა" და „დაუვინყარი 1919 წელი". კარგად ვიცნობ მ. ჭიაურელის სხვა სურათებსაც.

მ. ჭიაურელი საბჭოთა კინემატოგრაფიის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი ხელოვანია. დიდი და ნათელი ტალანტის პატრონი, ამავე დროს მრავალმხრივ განათლებული და კულტურული ადამიანია. ის შესანიშნავი მხატვარი და მშვენიერი მუსიკოსია. ამაში მასთან მუშაობის პროცესში დავრწმუდი. მისი დავალებები კომპოზიტორის მიმართ მუდამ ღრმად პროფესიული და პოეტური იყო. მ. ჭიაურელს უყვარს მუსიკა, კარგად იცნობს მას და ჩინებულად ერკვევა კიდეც მასში. იგი რღმად გრძნობს დრამატურგიას. მაყურებელი ყველა მის სურათს აღტაცებით უყურებს.

მე ვთვლი. რომ მ. ჭიაურელმა უნდა იმუშაოს მხატვრულ კინემატოგრაფიაში, რადგან, ვიმეორებ, იგი საბჭოთა კინემატოგრაფიის ერთ-ერთი ყველაზე უნიჭიერესი ხელოვანია"

დიმიტრი შოსტაკოვიჩი

სოფიკო ჭიაურელი

ამოჩენილი ქართველი მსახიობი, საქართველოს და სომხეთის სახალხო არტისტი სოფიკო მიხეილის ასული ჭიაურელი დაიბადა ქ. თბილისში, სსრ კავშირის სახალხო არტისტების მიხეილ ჭიაურელის და ვერიკო ანჯაფარიძის ოჯახში.

სოფიკო ჭიაურელი: ბრწყინვალე მსახიობი, შესანიშნავი ქალი, ურთიერთობაში — უბრალო, მეგობრობაში — ერთგული.

რა თქმა უნდა, ნიჭი, რომლითაც დაჯილდოებულია სოფიკო, მიღწეულზე არ ჩერდება, იგი მზარდი მსახიობია, ამიტომ ნებისმიერი მონათხრობი მის შესახებ რამდენიმე წლის კი არა, რამდენიმე თვის შემდეგაც მოძველებული ხდება. მსახიობი ერთგულია თავის კრწმენის, სჯერა საკუთარი თავის, ეტრფის ხელოვნებას, ყველაფერში თავისებური, ინდივიდუალურია.

სოფიკო ჭიაურელი ის მსახიობია, რომლის ბრწყინვალე ტალანტმა გზა გაიკვლია ქართველი და მთელი ჩვენი ქვეყნის მაყურებელთა გულებისაკენ, იგი ჭეშმარიტად ქართველი მსახიობია. ამის გაგება უცბად შეუძლებელია, მისი ნიჭი გამოიხატება არა გარეგნული სახით, არამედ მთელი მისი მდიდარი შინაგანი ტემპერამენტით, ფიცხი ხასიათით და თბილი ბუნებით. მსახიობში შესანიშნავად არის შერწყმული უბრალო ადამიანის ბუნებრიობა, სილალე და დახვეწილი ინტელიგენტობა, ნებისმიერ სიტუაციაში გრძნობების მოთოკვის უნარი. მთელი სიცოცხლე შიშობდა, არ დარჩენილიყო თავისი მშობლების — ვერიკო ანჯაფარიძისა და მიხეილ ჭიაურელის დიდების ჩრდილში. როგორც ჩანს, სოფიკოს გამოყვა მათი ტალანტი...

მიუხედავად იმისა, რომ იგი იზრდებოდა შემოქმედებით ატმოსფეროში, თეატრალური კულისები კი მისი მეორე სახლი იყო, ხელოვნებაში მოულოდნელად შემოიჭრა. უნდოდა. ყოფილიყო ექიმი, თანაც აუცილებლად ქირურგი, რათა დახმარება აღმოეჩინა დაჭრილი მებრძოლებისათვის. მძვინვარებდა სამამულო ომი... ვინ შეიძლება დარჩენილიყო საყოველთაო მნუხარების მიღმა. მას კი, ამ პატარა გოგონას, ეგონა, აირჩია ცხოვრებია გზა, თანაც ფიქრობდა, რომ იგი საბოლოო იყო.

მანამდე აწყობდა საოჯახო სპექტაკლებს, სადაც გამოდიოდა, როგორც რეჟიორი, დრამატურგი, მსახიობი და ყოველ სპექტაკლში იღუპებოდა სხვისი სიცოცხლის გადასარჩენად, მაგრამ მთელი თავისი ცხოვრება რომ თეატრისათვის შეენირა — ამის გაფიქრებაც კი არ უნდოდა...

სოფიკო ჭიაურელს შესრულებული აქვს 100-ზე მეტი მთავარი როლი, აქედან ნახევარზე მეტი კინოროლებია. აი რამდენიმე მათგანი: რეზო ჩხეიძის „ჩვენი ეზო, გიორგი შენგელაიას „ვერის უბნის მელოდიები," გიორგი დანელიას „არ დაიდარდო, თენგიზ აბულაძის „ნატვრის ხე," აგრეთვე „აურზაური სალხინეთში," „ამბავი ერთი ქალიშვილისა," „გენერალი და ზიზილები," „რაც გინახავს ველარ ნახავ, „ფერიცვალება," „ხევსურული ბალადა," „ნუთისოფელი," „ვიღაცას ავტობუსზე აგვიანდება" და მრავალი, მრავალი სხვა.

ყველასათვის და თავისთვისაც მოულოდნელად სულის უხილავმა ძალებმა მოსკოვში გაიტაცა. საბუთები შეიტანა როგორც კინოსამსახიობოზე, ასევე თეატრალურზე და

კონკურსით ორივე ინსტიტუტში გავიდა. ამოირჩია მეორე და დღემდე თვლის, რომ ბედნიერია.

-ყოველთვის მაწუხებს, რომ ყველას უფრო აინტერესებს ჩემი, როგორც მსახიობის პიროვნება, ვიდრე ადამიანისა, რომელიც შრომობს, აზროვნებს, გრძნობს ხელოვნების მიღმა. მართალია, ჩვენ, მსახიობებს ერთი ცხოვრების მანძილზე გვიხდება მრავალი სხვისი ცხოვრებით ცხოვრება, მაგრამ თითოეულს ხომ მაინც ერთი, თავისი საკუთარი გააჩნია. ხშირად მეკითხებიან ჩემი „ჰობის" შესახებ. რა არის ეს? შეიძლება ვიგულისხმოთ ამაში ქალის სიყვარული – მოამზადოს გემრიელი საჭმელი, ლამაზად მორთოს ტორტი ან მართოს მანქანა? ერთისთვის ეს გატაცებაა, მეორისათვის – აუცილებლობა! ანდა შეიძლება „ჰობი" ვუწოდოთ ადამიანის გატაცებას კითხვით? ბარათაშვილის, ვაჟა-ფშაველას, აკაკი ნერეთლის ლექსების კითხვას, რომელთა ნანარმოებებმაც, მიუხედავად მათი ღრმა ეროვნული ხასიათისა, შეძლეს შემოქმედების უმაღლეს მწვერვალზე ასვლა, მათი ნანარმოებები ხომ მსოფლიო კულტურის შედევრადაა აღიარებული"

დიდი გულისტკივილით უნდა აღვნიშნო, – აგრძელებს სოფიკო, – რომ თანამედროვე კინოს ძალიან უჭირს ახალგაზრდა მსახიობთა კადრები. მართალია, ეროვნული თეატრალური და კინემატოგრაფიული დრამატურგია ყოველთვის არ აძლევს მსახიობს საშუალებას დროულად და სრულად ასახოს ცხოვრების ცვლილებები, მაგრამ მე მგონი, კინოს ნომერი პირველი პრობლემა მაინც ახალგაზრდა მსახიობია. ჩემის აზრით, თანამედროვე მსახიობი ყოველმხრივ უნდა იყოს განვითარებული, ანუ უნდა იყოს „სინთეტური" ამიტომაც ვერ ვიტყვი ჩემს მიერ განსახიერებული რომელიმე როლით კმაყოფილი ვარ მეთქი. თუმცა, ყოველთვის მინდოდა საპირისპირო ჟანრის ნიმუშებში მიმეღო ხოლმე მონაწილეობა.

„სინთეტური" მსახიობის იდეალად პიტერ ო`ტული მიმაჩნია, ჩემის აზრით, მას ერთნაირად ხელეწიფება ყველაფერი – მელოდრამა იქნება ეს თუ ტრაგედია, მიუზიკლი თუ აბობოქრებული ბუფონადა. მსახიობ ქალთაგან კატრინ ჰეპბერნს ვეთაყვანები. საბჭოთა მაყურებელს ნანახი ყავს ეს ორი უბრწყინვალესი მსახიობი კინოფილმში „ლომი ზამთარში" ძალიან შემიყვარდა ჟანა მორო, მას შემდეგ, რაც მ. ანტონიონის ფილმ „ღამეში" ვიხილე. მე მგონი, ჩვენ, მსახიობები, სნორედ ამგვარ თამაშს უნდა ველტვოდეთ. სნორედ ამაა ჰევია თანამედროვე მსახიობი, – როცა ხელოვანი იმგვარად ასახავს ეკრანზე თავის გმირს, რომ მაყურებელს აიძულებს დაფიქრდეს, განიმსჭვალოს გმირის ბუნებით, საკუთარ სულში ჩაიხედოს"

ტ. თვალჭრელიძე.

ჩვენის აზრით, სოფიკო ჭიაურელის ნიჭის მადლი სნორედ ის არის, რომ იგი ილტვის განსხვავებული სახეების შექმნისაკენ, რაც სხვადასხვა ჟანრის სპეციფიკის ათვისების ბინაპირობას ნარმოადგენს.

ალექსანდრე ჯაბადარი

1861-1933

ჩვენი ცხოვრების შემტანიმ ჯაბადარ ულმ. ალექსანდრ. რომ ამ ძმეუნიერი შენიშვნის ერთი ეპოქელი. რომელიც ჩვენი მწერლობის. ჩვენი მეცნიერების ზრდა-განვითარების ქვა. სამარეულოდან ალექსანდრე ჯაბადარის ამოვიდა.

ი. ჭავჭავაძე

1933 წლის აპრილის 4-ს თბილისში გარდაიცვალა, დაბადებიდან 72 წლისა, და ვერის ახალ სასაფლაოზე დასაფლავეს ალექსანდრე ჯაბადარი, რომლის სიცოცხლე, შეიძლება თამამად ითქვას, მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქართული მწიგნობრობის და კულტურის განვითარებასთან.

1890 წელს მისი ინიციატივით დაარსდა „ქართველთა ამხანაგობა წიგნების გამოცემისა". თუ აქამდე ქართული წიგნი კანტიკუნტად გამოდიოდა და მის გამოცემასაც ქველმოქმედების ხასიათი ჰქონდა, ამ „ამხანაგობის" დაარსების შემდეგ გამომცემლობის საქმე რაციონალურ ნიადაგზე დადგა. ტომებად გამოიცა ნააზრევი ჩვენი პირველხარისხოვანი მწერლებისა: ილია ჭავჭავაძისა, აკაკი წერეთლისა, რაფიელ ერისთავისა, ალექსანდრე ყაზბეგისა და მათი ნააზრევი ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდა. 1891 წელს „ამხანაგობამ" უკვე საკუთარი სტამბა შეიძინა იოსებ მანსვეტაშვილისაგან ყოფილ ლორის –მელიქოვის ქუჩაზე, ქაშუეთის ეკლესიის შენობაში, რამაც წიგნის გამოცემის საქმე უფრო გააადვილა.

ამ ხანებში ქართულად მხოლოდ ერთადერთი პერიოდული გამოცემა არსებობდა – გაზეთი „ივერია", რომელიც ი. ჭავჭავაძის რედაქტორობით გამოდიოდა, 600 ცალი ტირაჟით. 1893 წელს „ამხანაგობამ" გამოიტანა ნებართვა, გამოეცა ყოველთვიური საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალი „მოამბე", რომელიც გამოდიოდა 1894 წლიდან ვიდრე 1925 წლამდე და ემსახურებოდა იმდროინდელ ქართულ აზროვნებას და კულტურას. თვითონ ალექსანდრე ჯაბადარი გამომცემელი იყო „მოამბისა"

1900 წელს ალ. ჯაბადარმა ვალერიან გუნიასაგან შეიძინა გაზეთი „ცნობის ფურცელი" (შემდეგში ქართველ ფედერალისტთა პარტიის ორგანოდ გადაკეთდა), იკისრა ამ გაზეთის რედაქტორობა და ერთბაშად გააცხოველა მუშაობა. მალე გაზეთს დაემატა ყოველკვირეული სურათებიანი დამატება, რამაც მკითხველების რიცხვი უცებ გაზარდა. მაგალითად, 1905 წელს გაზეთი გამოდიოდა 12000 ცალად, რაც ქართული გამოცემისათვის, ისიც პერიოდულისათვის, პირდაპირ გაუგონარი იყო.

ერთი სიტყვით, ალ. ჯაბადარმა ქართულ გაზეთს მკითხველი გაუჩინა, ხოლო წიგნს – ბაზარი. ამავე დროს დააარსა საუკეთესოდ მოწყობილი სტამბა, თავისი ცინკოგრაფიით, ასოების ჩამოსასხმელი განყოფილებით, საამკინძაოთი, რაც ერთიორად აადვილებდა წიგნის გამოცემის საქმეს...

მთელი ცხოვრება ალ. ჯაბადარისა წარმოადგენდა განუწყვეტელ საქმიანობას, რომელსაც აწარმოებდა იშვიათი ცოდნით, ენერგიით და უნარიანობით. მას ახასიათებდა ნმინდა გერმანული პუნქტუალობა, ქართველი კაცისთვის ეს დიახ იშვიათი და სანატრელი თვისება.

თავისი მდიდარი და იშვიათი ბიბლიოთეკა ალ. ჯაბადარმა სიცოცხლეშივე საქართველოს უნივერსიტეტს გადასცა.

გიორგი ჯაბადარი

1888-1938

ბშირად გვსმენია და წაგვიკითხავს გიორგი ჯაბადარის ქართული სტუდია-თეატრის შესახებ ძველ პრესასა და ახალ მემუარულ ლიტერატურაში. ა. ფევრალსკის მონოგრაფიაში ჯაბადარი ორგან არის ნახსენები — ერთგან, როგორც შ. დადიანის „გუმინდელნის" დამდგმელი, ხოლო მეორეგან ნათქვამია: „1918 წელს ჩამოყალიბდა თეატრალური სტუდია, გიორგი ჯაბადარის ხელმძღვანელობით, რომელშიც თავი მოიყარა თეატრალურმა ახალგაზრდობამ. ამ სტუდიის ბევრმა აღზრდილმა შემდგომში წამყვანი ადგილი დაიკავა თეატრებში. მათ შორის იყვნენ: ვ. ანჯაფარიძე, დ. ანთაძე, ა. ვასაძე, შ. ღამბაშიძე, მ. გელოვანი, დ. ძნელაძე, დ. მუავია, მ. ჭიაურელი"

ეართული თეატრალური სტუდიის ერთ-ერთი ფუძემდებელი გიორგი ჯაბადარი დაიბადა საგარეჯოს რაიონის სოფ. ხაშმში 1888 წლის 2 ივნისს, თავისი დროის გამოჩენილი ეართველი საზოგადო მოღვაწის ალექსანდრე გიორგის ძე ჯაბადარის ოჯახში. პირველდაწყებითი განათლების შემდეგ, სხვა ძმებთან ერთად, 1902 წელს გიორგი სასწავლებლად ბრიუსელში გააგზავნეს. შემდეგ საფუძვლიანი ცოდნა შეიძინა ევროპის კულტურულ ცენტრებში, კერძოდ, სწავლობდა და სარეჟისორო ხელოვნებას დაეუფლა ცნობილი გერმანელი მსახიობის, რეჟისორისა და თეატრალური მოღვაწის მაქს რეინჰარდტის (1873-1943) თეატრალურ აკადემიაში. გ. ჯაბადარი უცხოეთიდან 1918 წელს დაბრუნდა და საგარეჯოში დაბინავდა. ამ დროისათვის ქართული თეატრი კრიზისს განიცდიდა. მეტად მწვავედ იგრძნობოდა ძველი თაობის შემცველელ მსახიობთა სიმცირე. მართალია, აქა-იქ გამოჩნდნენ ახალგაზრდა ძალები , მაგრამ შემოქმედებითი ზრდის პერსპექტივები მათ არ გააჩნდათ. დრამატულმა საზოგადოებამ, შეძლებულთა ერთ ჯგუფთან ერთად, გ. ჯაბადარი თბილისში დაიბარა და ქართული თეატრის განახლებისა და მსახიობთა ახალი თაობის მოსამზადებელი საქმიანობის ხელმძღვანელობა შესთავაზა. მცირე ყოყმანის შემდეგ ახალგაზრდა რეჟისორი მუშაობას შეუდგა იმ პირობით, რომ სრულიად თავისუფალი და დამოუკიდებელი იქნებოდა და სტუდიაში მიიღებდა მხოლოდ ახალგაზრდობას. ქართული თეატრის განახლების ორგანიზატორს ორი წელი — პირველი წარმოდგენის დადგმამდე — უსასყიდლოდ უნდა ემუშავა. სტუდიის საჭიროებისთვის განკუთვნილი თანხა დრამატულ საზოგადოებასა და მეცენატთა ჯგუფს უნდა გამოეღო.

უჯამაგირო რეჟისორმა გვერდში ამოიყენა ახალგაზრდა რეჟისორი მიხეილ ქორელი, ჩამოაყალიბა დრამატული სტუდია, გარშემო შემოიკრიბა ხელოვნებით გატაცებული, ენერგიული ახალგაზრდები და ქართული თეატრის განახლების საქმეს შეუდგა.

აღსანიშნავია, რომ თავისი მოწაფეების — მსახიობებისა და ორატორული ხელოვნებია მოყვარულთათვის გ. ჯაბადარმა თბილისში 1918 წელს გამოსცა საინტერესო და დღეისათვის ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეული 70-გვერდიანი წიგნი: „დიქცია" რომელშიც განხილულია ზოგიერთი პრობლემატური, ქართული თეატრალური ხელოვნებისათვის საჭირო და ამჟამადაც საყურადღებო საკითხი. ამ საჭირო და საგულისხმო შრომის ავტორი მაგალითებით, ფაქტების მოშველიებითა და უცხოური ლიტერატურის დამოწმებით ღრმა ანალიზს უკეთებს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: ხმის დაყენება, სუნთქვის გამომუშავება, გამოთქმის დახვეწა, მახვილის დასმა, ძირითად და მნიშვნელოვან სიტყვათა გამორჩევა, სწორი კილოს დაუფლება და ხმის ინტონაციის შეთვისება.

„დიქციაში" ოსტატურად არის ჩამოყალიბებული და განმარტებული, თუ როგორ უნდა იკითხებოდეს შოთა რუსთაველის, გრ. ორბელიანის, ნ. ბარათაშვილის, ილიას, აკაკის ნაწარმოებები და ხალხური ლექსები. ავტორი იშველიებს და იმოწმებს სულხან-საბა ორბელიანს, ვახუშტის, ალ. ხახანაშვილს, დავით ჩუბინაშვილს და ხელოვნების უცხოელ მკვლევარებს.

მას შემდეგ, რაც 1920 წელს ჯაბადარი სტუდიას ჩამოაცილეს, საკუთარი ფულის ხელფასებად დარიგებით გაღარიბებული რეჟისორი, რომელმაც ლომბარდში დაგირავებული ტანსაცმელი და საათიც კი დაკარგა, იძულებული შეიქნა, სამშობლო მიეტოვებინა და უცხოეთისთვის შეეფარებინა თავი. 1924 წლამდე გიორგი ევროპის ქალაქებში დაეხეტებოდა სამუშაოს საძებნელად, ხოლო 1925 წლის პირველ ნახევარში სტამბოლში იყო და მუშაობდა სკანდინავიის კინოსაზოგადოებაში, რომელიც იღებდა აღმოსავლეთის ხალხთა ცხოვრების სურათებს. შემდეგ იგი პარიზის „ოდეონში" და გერმანიაში მოღვაწეობდა თეატრალურ სარბიელზე. 1937 წლისათვის ბერლინში დანერილი ჰქონდა ვრცელი შრომა „ქართული თეატრი", მაგრამ გამოქვეყნება ვერ მოასწრო — 1938 წლის 16 ივლისს გარდაიცვალა. მეორე მსოფლიო ომის დროს ბერლინის დაბომბვისას განადგურდა სახლი, სადაც გ. ჯაბადარის ოჯახი ცხოვრობდა, ბევრი ხელნაწერი, მათ შორის გამოსაცემად გამზადებული შრომაც დაიღუპა. მისი მეუღლის ქაღალდებში აღმოჩნდა მხოლოდ შავად ნაწერი ზოგიერთი ნაწყვეტი, აგრეთვე მოგონება ბერლინში „ღალატის" დადგმის შესახებ.

ერეკლე ჯაბადარი

1892-1937

ერეკლე ჯაბადარი დაიბადა 1892 წლის 17 ოქტომბერს თბილისში, ქართველი საზოგადო მოღვაწის, ჟურნალისტის, რედაქტორ-გამომცემელის ალექსანდრე ჯაბადარის ოჯახში.

ყმაწვილს ბავშვობიდან დაჰყვა აბსოლუტური მუსიკალური სმენა და მშობლებმა ევროპაში გააგზავნეს სასწავლებლად. უმაღლესი განათლება მიიღო ბრიუსელის კონსერვატორიაში. სამი წლის შემდეგ გადავიდა ვენაში, სადაც იღრმავებდა თეორიულ ცოდნას და სრულყოფდა საშემსრულებლო ხელოვნებას. 1931 წლის 7 მარტს აქვე, მუსიკოსთა საზოგადოების დარბაზში დვორჟაკის მონაფის ოსკარ ნედბალის დირიჟორობით შესრულდა ახალგაზრდა კომპოზიტორის „ქართული რაფსოდია", რითაც სათავე დაედო ქართულ სიმფონიურ მუსიკას. ამას მოჰყვა სხვა ჟანრის უამრავი ნაწარმოები, რომლებმაც სახელი გაუთქვეს ახალგაზრდა კომპოზიტორს. მისი ვოკალური ციკლიდან აღსანიშნავია „სულო ბოროტო", „მერანი", „ქართული ლეგენდა", „თბილისური", „რიჰარდ ჰოიბერგერის ხსოვნას", „რანინა-რანუნი", „განცდილი წუთები" და სხვ. მასვე ეკუთვნის 3-მოქმედებიანი ოპერა „გულნარა" (ა. ყაზბეგის მიხედვით). ოპერის ლიბრეტო დაწერეს თავად კომპოზიტორმა და მისმა მეუღლემ, უნგრელმა მანდილოსანმა მარგიტ ბარვზამ. ე.ჯაბადარს ეკუთვნის უნგრულ თემაზე დაუმთავრებელი ოპერა „ბაბე". იგი ავტორია აგრეთვე ორკესტრთან ერთად სამი საფორტეპიანო და ორი სავიოლონჩელო კონცერტისა. აღსანიშნავია ერეკლე ჯაბადარის მუსიკის განსაკუთრებით გამოკვეთილი ეროვნულობა. მის ნაწარმოებებში უხვად არის გამოყენებული ქართული ხალხური მოტივები და მელოდიები.

საკომპოზიციო მუშაობასთან ერთად იგი ეწეოდა დიდ საშემსრულებლო მოღვაწეობასაც. ერეკლე ჯაბადარი სამართლიანად არის მიჩნეული ჩვენი საუკუნის ოციანი წლების გამოჩენილ პიანისტად. ბრიუსელის, პარიზის, ვენის, ციურიხისა და დასავლეთ ევროპის სხვა დიდი ქალაქების საკონცერტო დარბაზები ოვაციით ხვდებოდნენ მის გამოჩენას.

ერეკლე ჯაბადარის მუდმივი ოცნება სამშობლოში დაბრუნება იყო, მაგრამ ეს ნატვრა აუხდენელი დარჩა. მხოლოდ 30 წლის შემდეგ ეღირსა მის ნეშტს მშობლიური მინა.

გიორგი ჯავახიშვილი

ქართველი მეცნიერი, საქართველოს ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, გიორგი ნიკოლოზის ძე ჯავახიშვილი დაიბადა 1942 წლის 20 დეკემბერს საგარეჯოს რაიონის სოფელ ყანდაურაში.

1960 წელს დაამთავრა ყანდაურის საშუალო სკოლა და იმავე წელს დაინყო მუშაობა სოფლის კლუბ-ბიბლიოთეკის გამგედ. 1962 წელს ჩაირიცხა თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც ნარჩინებით დაამთავრა 1967 წელს. სტუდენტობისას იღებდა სახელობით სტიპენდიას.

1967 წლიდან მუშაობს თელავის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში (დღეს სახელმწიფო უნივერსიტეტში) ლაბორანტად, მასწავლებლად, უფროს მასწავლებლად, ქართული ლიტერატურის კათედრის დოცენტად, კათედრის გამგედ (11 წელი); სადოქტორო დისერტაციის დაცვის შედეგად პროფესორად, 1998 წლის 19 დეკემბერს კი საქართველოს ეროვნული აკადემიის ნამდვილ წევრად ირჩევენ.

გიორგი ჯავახიშვილს ეკუთვნის გამოკვლევები ქართული ფოლკლორისტიკის, ლიტერატურისმცოდნეობის, წიგნმცოდნეობისა და საქართველოს ისტორიის ცალკეულ საკითხებზე. არის ავტორი წიგნებისა: 1. „წიგნი და გამომცემელი" (1980 წ.), 2. „ორი სახელის გახსენება" (1982 წ.), 3. „პროტოტიპების ლექსიკონი" (1997 წ.), 4. „თელავის ლიტერატურული ბოჰემა" (1998 წ.), 5. „გიორგი ლეონიძის თვალსანიერი" (1999 წ.), 6. „შეხვედრები გიორგი ლეონიძესთან" (თბ. 2000 წ.) მან შეადგინა და შესავალით და ბოლოსიტყვაობით გამოსცა წიგნები და ბუკლეტები: 1. „ალექსანდრე ჭავჭავაძე" (1987 წ.), 2. იოსებ მჭედლიშვილის ლექსების კრებული „ფერადი მძივი" (1988 წ.), 3. გალაკტიონ ტაბიძის ლექსების ციკლი „ალზიორა" (1991 წ.), 4. ალექსანდრე ორბელიანის ნარკვევი „თელავი" (1997 წ.), 5. გიორგი ლეონიძის ნარკვევების წიგნი „ნამცვრევის" სახელწოდებით (2000 წ.) პროფ. რ. ჭიკაძესთან თანააავტორობით, 6. „ფილტვად აქვს კახეთს თელავი" ლექსები თელავზე (თბ. 2000 წ.).

განსაკუთრებული გამოხმაურება ჰპოვა გ. ჯავახიშვილის ნაშრომმა „ნამცვრევი"; იგი გვიამბობს 20-მდე „მივინყებულ და გამოჩენილ" მოღვაწეზე, რომლებიც ცხოვრობდნენ მე-19-20 საუკუნეებში კახეთში. ამ ნაშრომს გამოეხმაურენ და დიდი შეფასება მისცეს პროფესორმა ივანე ლოლაშვილმა, პროფესორმა გაიოზ იმედაშვილმა, დოცენტმა ალ. გვენცაძემს, ბიბლიოგრაფმა თამარ მაჭავარიანმა, მწერალმა ნიკა აგიაშვილმა, მხატვარმა ლადო გუდიაშვილმა, აკადემიკოსებმა: ვახტანგ ბერიძემ და ავლიპ ზურაბაშვილმა.

გ. ჯავახიშვილს (ქართულ, რუსულ, უკრაინულ და ჩეჩნურ ენაზე) გამოქვეყნებული აქვს ასობით საგაზეთო და საჟურნალო ხასიათის წერილი; ახსნილი აქვს ასობით ფსევდონიმი და კრიპტონიმი.

შეისწავლა და გამოაქვეყნა ასობით საარქივო მასალა. განსაკუთრებით საინტერესოა სახელოვან ადამიანთა ეპისტოლური მემკვიდრეობის გამოვლენა-

შესნავლა. მან პირველად მიაკვლია ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, იაკობ გოგებაძვილის, გიორგი ლეონიძისა და სხვათა ეპისტოლეებს.

გიორგი ჯავახიშვილი სახელოვანი ქართველი პოეტის გიორგი ლეონიძის აღზრდილია. 1962 წლის 22 დეკემბერს დიდი პოეტი თელავის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორს დოცენტ ალექსანდრე გვენცაძეს წერდა: „... ნელს თქვენი ინსტიტუტის სტუდენტი გახდა ჩემი შვილობილი გიორგი ჯავახიშვილი. კარგი ყმანვილია, ობლად გაზრდილი და ჩემი ხელფასიდან ყველთვე მოუვა 50 მანეთი. ეგ ჩემი სახელობის სტიპენდია იქნება. მეც უმამოდ გავიზარდე და დღესაც კეთილად ვიხსენებ იმათ, ვინც ჩემს ახალგაზრდობაში ამაგი დამდო. დარწმუნებული ვარ, თქვენც არ მოაკლებთ ყურადღებას. ბატონმა ნიკომაც (ქორთუამ) (ინსტიტუტის მაშინდელი რექტორი — ო. ნ.) იცის და თქვენც შეგიძლიათ მაგ ყმანვილის საშუალებით დამიკავშირდეთ. თელავში ეგ იქნება ჩემი ელჩი...“

გ. ჯავახიშვილი ხელმძღვანელობს თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში „გიორგი ლეონიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შემსწავლელ მუდმივმოქმედ ფილოლოგიურ სემინარს“, არის რამდენიმე სამეცნიერო საბჭოს და რამდენიმე ჟურნალ-გაზეთის სარედაქციო საბჭოს ნევრი.

გ. ჯავახიშვილის საენციკლოპედიო სტატიები შესულია ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიასა და ენციკლოპედია „საქართველოში“ (თბ. 1997. ტ. 1, გვ.გვ. 221, 150. 248, 434).

გ. ჯავახიშვილი არის აგრეთვე, ბიბლიოფილი და უნიკალური ბიბლიოთეკის პატრონი. მან შეკრიბა და სისტემაში მოიყვანა 500-ზე მეტი ნიგნი, რომელთა შორის ვხვდებით უნიკალურ გამოცემებსაც. ყველაზე ძველი ნიგნი მის ბიბლიოთეკაში არის „პარაკლიტონი“, რომელიც თბილისშია გამოცემული 1772 ნელს. მასთან ინახება ვენეციაში 1859 ნელს დაბეჭდილი ქართული ნიგნი „ნმინდათა ცხოვრება“, 1882 ნელს გამოცემული რ. ცამციშვილის „საქართველოს ისტორია“, ამბროსი ნეკრესელის „ქადაგებანი და მოძღვრებანი“ (1881 ნ.), სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუისა“ (1892 ნ.), „ვეფხისტყაოსნის“ 1892 ნლის და 1899 ნლის გამოცემები, რომლებიც ოზურგეთსა და და ბათუმში დაისტამბა (ბიბლიოთეკაში აქვს 50 გამოცემა), ილიას ოთხტომეული, მის სიცოცხლეში გამოცემული, მარი ბროსეს „საქართველოს ისტორია“ (1895 ნ.), „არჩილიანი“ (1888 ნ.), თედო ჟორდანიას „ქრონიკები“ და სხვა.

გ. ჯავახიშვილს მიღებული აქვს პრეზიდენტის მადლობა, ჟურნალ „დროშას“ და გიორგი ლეონიძის სახელობის პრემიები.

თეიმურაზ ჯანგულაშვილი

1923-1999

ბოეტი, დიდი სამამულო ომის მონაწილე თეიმურაზ ალექსანდრეს ძე ჯანგულაშვილი დაიბადა 1923 წლის 25 მაისს საგარეჯოში.

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. იყო გაზეთ „ნიგნის სამყაროს" რედაქტორი, საქართველოს სსრ გამსახკომის მხატვრული ლიტერატურის განყოფილების უფროსი.

ლექსების პირველი კრებული „ცხრაასორმოცდაერთი" გამოსცა 1948 წელს. თ. ჯანგულაშვილს ეკუთვნის კრებულები: „მაისი ოდერზე", „ლექსები", „მეოთხედი საუკუნის გადასარბენზე", „შუააზიური ჩანაწერები", „ზღვისა და მინის ლეგენდა", „აღმართი", „იმედის ზვრები"

თ. ჯანგულაშვილის ლექსები თარგმნილია რუსულ, ოსურ, აფხაზურ, აზერბაიჯანულ, სომხურ, ყირგიზულ, ესტონურ, მოლდავურ, პოლონურ, რუმინულ, უნგრულ და სხვა ენებზე.

დაჯილდოებულია ნითელი ვარსკვლავის, „საპატიო ნიშნის" ორდენით და მედლებით.

თეიმურაზ ჯანგულაშვილი თანამედროვე ქართველი პოეტების იმ თაობის წარმომადგენელია, რომლისთვისაც დიდი სამამულო ომი იყო დამოუკიდებელი ცხოვრების პირველი გაკვეთილი. მას თვრამეტი წელიც არ შესრულებოდა, ომი რომ დაიწყო, მეოცე წელინადში გადამდგარი კი, 1943 წელს, ბრძოლის ქარცეცხლში მოხვდა და პირისპირ აღმოჩნდა დიდ განსაცდელთან. *„ვიყავი ბავშვი — მრისხანე ომში ასე უდროოდ დაკაცებული, თოთო ყვავილი ვაშლის თუ კომშის, ქარიშხლის ფრთებით ატაცებული; ცეცხლის მორევში, სასტიკ ბრძოლებში გადასროლილი, გადატყორცნილი, სიკვდილის ბაგით გადაკოცნილი და მის კლანჭთაგან თავდაღწეული";*— ამბობს პოეტი ერთ ბოლოდროინდელ ლექსში...

თ. ჯანგულაშვილის ფრონტული რვეულები, უშუალოდ ბრძოლის ველზე დანერილი ლექსები დიდი სამამულო ომის მონანილის ერთგვარი პოეტური რეპორტაჟებია.

თუ რა კოლორიტულად ხატავს თ. ჯანგულაშვილი ჟანრულ ფრონტულ სურათება, რა მარჯვედ არჩევს დეტალებსა და შტრიხებს ამა თუ იმ კონკრეტული განნყობილების გადმოსაცემად, ჩანს მის პატარა ლექსში „ბერლინი ავიღეთ". აი, ისიც:

„ჩამოდგა სიჩუმე. სარდაფში შეეყურით.
ყვითლ ელექტრონულად აუდარჯიბს ავდარი.
— ფეხებსა. ფხანა! იოსო დღეკრძელი
მოაყარსარდალი.

აწრიეთ ქვეყნ და...
ეკაკუს ძლაბიდან.
— ვისმენთ. ამხანაგო კაპიტან!
თითქოს მაუთულებმაც იგრძეს ძლევამრეა,
რომ მოაქვთ ამბავი ელვად მოფრენილი.
— დღეს ჩვენი ფრონტის და ქვეყიოვის ჯარებმა
ბერლინი ავიღეთ!"

საერთოდ, თ. ჯანგულაშვილი ნათელი სტილის პოეტია. იგი არ ცდილობს პოეტური აზრისა თუ განცდის გართულებას, შენიღბვას, მკითხველის გონებაზე ძალდატანებას, ივი მკითხველის გულთან უპრეტენზიო საუბარს, მისი გრძნობის სიმების შერხევას ამჯობინებს. მას ემოციური ლექსი, ლირიკული სურათის თუ განწყობილების შექმნა უფრო ემარჯვება...

კონსტანტინე სიმონოვმა ერთი მეგობარი პოეტის წიგნს მისი სულის შენობა უნოდა. თ. ჯანგულაშვილის „სიმღერა და მახვილიც" ასევე შეგვიძლია მივიჩნიოთ ნაომარი პოეტის სულის შენობად...

მარე კახეთი



„ორს ეხე მარტყოფი ჯერხოეთი,
ხალიეთი და ყოკლიეთ შეჭული,
ყოთარეა ხეკურაძი ძეჭული“

ვახუშტი ბაგრატიონი

ამჟამად შედის გარდაბნის რაიონში, იალნოს ქედის სამხრეთ კალთაზე, მდინარეების ალიხევისა და ტევალის ხეობებში. აქ იყო კახეთის მეფეთა ერთ-ერთი რეზიდენცია.

ᲙᲐᲪᲐ — სტეპურიდან ნოტიოზე ზომიერად გარდამავალი.

მცენარეული — ჭალის ვერხვი, ჭალის მუხა, თელა, წნორი, იალღუნი, რცხილა, ნეკერჩხალი, ფიჭვი.

ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲘ — მურა დათვი, შველი, მგელი, მელა, თეთრყელა, კვერნა, მაჩვი, ტურა, დედოფალა, ზოლებიანი აფთარი, ენოტისებრი ძაღლი, კურდღელი და სხვ.

ᲤᲠᲘᲜᲕᲔᲚᲘ — კაკაბი, ჩვეულებრივი ხოხობი, მწყერი, გარეული მტრედი, ქორი, შაშვი, ჩხიკვი, კაჭკაჭი, ყვავი, კვირიონი და სხვ.

ᲗᲔᲕᲖᲘ — ქაშაპი, მტკვრის ტობი, ხრამული, მტკვრის წვერა, მურნა, თაღლითა, გველანა და სხვ.

აღნიშნულ ტერიტორიაზე შემორჩენილია გუმბათოვანი ეკლესიის ნანგრევები. იგი 1810 წელს ააგო რუსთავის ეპისკოპოსმა სტეფანე II-მ. არის აგრეთვე XVIII საუკუნის რამდენიმე საგვარეულო საცხოვრებელი — საბრძოლო კოშკი.

ერთ-ერთ ქედზე V-VI სს. სამონასტრო კომპლექსია შემორჩენილი.

ეგნატე იოსელიანი
მარტყოფელი
1766-1843

მამა პლატონისა მღვდელი ეგნატე მეფის გიორგისაგე ახლდა, მაგრამ ეს ეგნატე არამცთუ ერთისა, მთელი საქართველოს სამეფოსა ოჯახისა თავშეწირული ერთგული იყო და უმეტნაკესად თავის მშობელის მამულისა (მარტყოფისა) დიდი გონიერი კაცი იყო და უმეტნაკესად თავის მშობელის მამულისა დიდი გონიერი კაცი იყო ეს ეგნატე და დიდი მადლიანი წმინდა...

ეგნატე ონისეს ძე იოსელიანი დაიბადა 1766 წელს მარტყოფში.

სასულიერო ასპარეზზე მოღვაწეობა ადრეე დაიწყო. 90-იან წლებში მოხდა მისი მთავარდიაკონად ხელდასხმა. 1806 წელს კათალიკოს-პატრიარქმა ანტონ II მღვდლად, ხოლო 1831 წელს საქართველოს ეგზარქოსმა იონამ დეკანოზად აკურთხეს. ყველგან და ყოველთვის ხასიათდებოდა როგორც ყოველმხრივ ენსიერი და ღრმად განსწავლული პიროვნება. სწორედ განსწავლულობის წყალობით გახდა იგი სამეფო კარის მნერალი.

სამეფო კარზე ეგნატე იოსელიანს მრავალი სახელმწიფოებრივი დავალების შესრულება უხდებოდა. 1798 წელს მან სხვებთან ერთად გიორგი XII-ის დავალებით მონაწილეობა მიიღო კახეთისა და ელის მოსახლეობის აღწერაში...

ეგნატე მარტყოფელმა თავისი სიცოცხლე ძირითადად თბილისსა და მარტყოფში გაატარა. სწორედ აქ აქვს მას გადაწერილი მრავალი ძვირფასი ხელნაწერი და ბ'ველი წიგნი თავისი ხელით. ამათგან აღსანიშნავია ეპისკოპოს კირილე ალექსანდრიელის (VII საუკუნე) წიგნი „საუნჯე", წმინდანთა ცხოვრება „წამება დავით და კონსტანტინესი" (მინაწერით: „გადმოვსწერე უმეტნაკლებოდ მღვდელმან ეგნატი იოსელიანმან. წმინდანო ღვთისანო, მეოხებითა თქუენითა შემინყალეთ მე"), სოლომონ ლიონიძის სიტყვა, წარმოთქმული ერეკლე II-ის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, მეფე კიროსის მოკლე ისტორია და სხვა.

ეგნატე მარტყოფელი იყო ლამაზად და მკაფიოდ წერის ხელოვნების დიდოსტატი. ამასთანავე მეფე გიორგი XII-ის დავალებით მის მიერ შესრულებული წერილები აზრის სიღრმითა და სიცხადით გამოირჩევა. გარდა მწიგნობრობისა, ეგნატე იოსელიანი, როგორც ზემოთ აღინიშნა, სასულიერო მოღვაწეობასაც ეწეოდა. სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის კირიონ მეორის შეფასებით: „ეგნატე იოსელიანი თავისი განათლებითა და შემოქმედებითი შრომით ნებისმიერი ეკლესიის მშვენება იქნებოდაო"

ცნობილი მწიგნობარი და მეცნიერი, თელავის სემინარიის ხელმძღვანელი დავით ალექსი-მესხიშვილი ეგნატეს უწოდებდა თავის „სულიერ ძმას და უსაკუთრეს მეგობარს, კეთილშობილს, პატიოსანს მეცნიერს და განვითარებულ ღირსეულ მამულიშვილს"

თავისი დროის კვალობაზე როგორც საკმაოდ ღრმად განსწავლული პიროვნება ეგნატე იოსელიანი სამასწავლებლო საქმიანობასაც ეწეოდა სამეფო კარზე — ამეცადინებდა უფლისწულებს ვარსკვლავთმრიცხველობაში და ფიზიკაში.

ეგნატე იოსელიანი გარდაიცვალა 1843 წელს 77 წლის ასაკში.

პლატონ იოსელიანი

1809-1875

როდესაც ბაბუებით ჯვითხელთა ხერხიანის წარმტაც ხერიქონებს, როდესაც ეშაკურდღეა ჭეროდოტეს და ეროტეის დარბაისლურ კიდეთ — მზეთსდება ამ დროს ილესელიანის „ძალი ნიჭნიც“ წითელი ალიებით — ალლა ისე მწვანეა მისი ხერიქონები. ძმისი ეხეთ ხეცა ჭალისა, რომ მისი დაწყება ძირმეცნია ყველაფერს. ხან ვით მწარა, შეუდანიელი ხალეთია ხეკმეთ წარმოქმელი. ხან ვით ხარდალი ძალის ვაქ ვრეტელი. ხან ვით მეთანი ბანდ და კეთილ ბარდაქცეული ბალეს ოდალის. ანა, ძმ ეს წარმოვიდგენ ხალარეველიაში! მე ის ელლინელად ძმაზნია. ჭეროელიანის ხანაში, ძმისი ელლინელობა ამოვეკითხე მის ხეკდან ხანეკ. მის ასეტურ ცხოვრებაში ეს, რიგინ ძეხანეს, რომ იკი ან ეკი ოაბარის ხანაში. ძაძის ხალ ხნიეებით შემოსაკდა ხერიქონებს

გიორგი ლეონიძე

XX საუკუნის ყველაზე დიდი ქართველი მემატიანე, უდიდესი მეცნიერი და დიდი მამულიშვილი, ისტორიკოს-არქეოლოგი პლატონ ეგნატეს ძე იოსელიანი დაიბადა 1809 წელს სოფ. მარტყოფში.

თავდაპირველად თავისი მამის დიდი მეგობარი დავით ალექსი-მესხიშვილი (დავით რეკტორი – ო.ნ.) ასწავლიდა, შემდეგ სწავლა გააგრძელა იოანე ნათლისმცემლის ორწლიან სამრევლო სასწავლებელში მღვდელ იესე ჩუბინაშვილთან. ათი წლის პლატონი 1819 წელს მიაბარეს თბილისის სასულიერო სამაზრო სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ 1821 წლის ენკენის თვეში შევიდა თბილისის სასულიერო სასწავლებელში...

მან ჯერ კიდევ სიჭაბუკის წლებში ფილოსოფიურ-ღვთისმეტყველური აზროვნების დიდი უნარი გამოავლინა. სასულიერო სემინარიაში სწავლის უკვე მეორე წელს 15 წლის პლატონმა დაწერა თხზულება „შესავალი ფილოსოფიის ისტორიაში“, რომელიც დღემდე იპყრობს მკვლევართა ყურადღებას.

ფრიად ნიშანდობლივია ის გარემობა, რომ მისმა მეგობარმა ნიკოლოზ ბარათაშვილმა სიყვარულით და მოსწრებულად მას თავიდანვე „პლატონ ფილოსოფოსი“ შეარქვა მეტსახელად, რაც პლატონ იოსელიანს მთელი სიცოცხლის მანძილზე გაჰყვა ძველი ბერძენი სიბრძნისმეტყველის პლატონის მსგავსად.

პლატონ იოსელიანს ჯერ სემინარია არც კი ჰქონდა დამთავრებული, როცა სემინარიასთან არსებულ სამაზრო სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლად

გაამნესეს. ეს მოხდა 1828 წელს; ამრიგად, იგი ერთდროულად მოწაფეც იყო და მასწავლებელიც...

1830 წელს პლატონი დანიშნეს თბილისის სასულიერო სემინარიის წიგნსაცავის გამგედ, ამავე დროს იგი დანიშნა სამაზრო სამრევლო სასწავლებლის ზედამხედველად.

პლატონ იოსელიანის, როგორც ისტორიული პიროვნების სახელს, დიდად ამაღლებს ჭეშმარიტად ღვთაებრივი სარწმუნოებისადმი — მართლმადიდებლობისადმი უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება, რომელმაც უკვე 24 წლის ახალგაზრდას შეაქმნევინა შესანიშნავი, რუდუნებითა და სიყვარულით დაწერილი ნაშრომი „ქართული ეკლესიის მოკლე ისტორია", რასაც შემდგომში მიემატა „ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ ქება-დიდება შესხმულ წმინდანთა ცხოვრების აღწერა", „მცხეთის ტაძარი", „ალავერდის ტაძარი", „მარტყოფის მონასტრის აღწერა", „ათონის მთის ივერია-პორტაიტის მონასტრის აღწერა" და სხვანი. ამასვე ადასტურებს მის მიერ თბილისში ამაღლების ეკლესიის აგება.

1831 წლის შემოდგომაზე პლ. იოსელიანი მიემგზავრება პეტერბურგს უმაღლესი განათლების მისაღებად. შედის სასულიერო აკადემიაში, რომელსაც ამთავრებს 1835 წელს ღვთისმეტყველების პირველი სამეცნიერო ხარისხით.

პეტერბურგში ყოფნის ჟამს პლატონი უახლოვდება და გამუდმებით ხვდება იქ გადასახლებულ ბაგრატიონთა ყოფილი სამეფო ოჯახის წევრებს, რომლებსაც კელავ უღვიოდათ გულში სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის აღდგენის იმედი. მათგან პირველ რიგში უნდა დავასახელოთ მირიან, ფარნაოზ, თეიმურაზ, ბაგრატ და მიხეილ ბატონიშვილები, აგრეთვე, გიორგი XII-ის მეუღლე, დედოფალი მარიამი, სოლომონ II-ის მეუღლე, დედოფალი მარიამ დადიანი და სხვანი. პეტერბურგში მას დედობრივი სიყვარულით ხვდება თავისი ნათლია ელენე — დავით ბატონიშვილის მეუღლე, რომელიც საამაყო ნათლულს მზრუნველობასა და ყურადღებას არ აკლებდა. ბატონიშვილებიდან იგი განსაკუთრებით ყოფილა მიღებული თეიმურაზ ბაგრატიონისა და მისი ოჯახის მიერ...

1835 წელს პლ. იოსელიანი ბრუნდება სამშობლოში. იგი იყო პირველი ქართველი, რომელმაც დაამთავრა რუსეთის უმაღლესი სასულიერო სასწავლებელი...

სამასწავლებლო მოღვაწეობასთან ერთად, პლ. იოსელიანი დაუღალავ მუშაობასაც ეწევა, დიდი გულმოდგინებით ეცნობა საისტორიო წყაროებს, კრებს უამრავ წერილობით მასალას საქართველოს წარსულის შესახებ. ამაში მას ფასდაუდებელ დახმარებას უნევს უცხო ენების, განსაკუთრებით ბერძნულისა და ლათინურის საფუძვლიანი ცოდნა, რასაც მიაღწია ბეჯითი შრომით თბილისის სემინარიასა და პეტერბურგის უმაღლეს სასულიერო აკადემიებში ყოფნის ჟამს.

უკვე 30-იანი წლების მეორე ნახევრისათვის იმდენად ხელშესახები იყო მისი სამეცნიერო მუშაობის შედეგები, რომ 28 წლის პლატონს კიევის სასულიერო აკადემიის კრება წერილობით მადლობას უცხადებს მეცნიერული შრომებისათვის...

პლატონ იოსელიანის შემოქმედებით ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია მის მგზავრობას საბერძნეთში, ათონის მთის ივერიის მონასტერში 1849 წლის გაზაფხულზე, რათა, პლატონის სიტყვებით რომ ვთქვათ, „მიმოეხილა ქართული მწერლობის ეს საუნჯე", შეესწავლა იქ დაცული ძველი ქართული ხელნაწერები. ათ წელიწადზე მეტ ხანს ელოლიავებოდა მეცნიერი იქ გამგზავრების იმედს და, როგორც იქნა, აუსრულდა... იქ გამგზავრების ნებართვის მისაღებად მას დასჭირდა კავკასიის მეფისნაცვლის მ. ვორონცოვის მეშვეობით თვით ნიკოლოზ I-ის თანხმობა...

ათონის ივერთა მონასტრიდან წამოღებული ძვირფასი საისტორიო მასალა პლატონმა მისთვის ჩვეული ოსტატობით გამოიყენა სხვადასხვა შრომაში...

პლ. იოსელიანის მეცნიერული შრომების გაცნობისას, რომელთა მოცულობა (ხელნაწერი შრომების ჩათვლით) სულ ცოტა ოცი ტომი მაინც გამოვა, თვალში გეცემათ ღვაწლმოსილი მეცნიერისა და მამულიშვილის „ანტიკურ მწერლობასა და წყაროებში ღრმა განსწავლულობა"

თავის გამოკვლევებში, რომლებიც ეძღვნება კოლხეთისა და იბერიის უძველეს ისტორიას, პლატონ იოსელიანი სარგებლობდა უშუალოდ ჰომეროსის, ჰეროდოტეს, დიოდორ სიცილიელის, სტრაბონის, პლინიუსის, პლუტარქესა და სხვათა თხზულებებით...

=დიდი, დაძაბული და ნაყოფიერი მეცნიერული კვლევა-ძიებით პლ. იოსელიანმა ადრევე მიიპყრო სამეცნიერო წრეების ყურადღება არა მარტო სამშობლოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. იყო ოდესის ისტორიისა და სიძველეთა საზოგადოების ნამდვილი წევრი, ათენის არქეოლოგიური საზოგადოების ნამდვილი წევრი, თანამშრომლობდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიასთან, პეტერბურგში მყოფ თეიმურაზ ბაგრატიონთან და ცნობილ ფრანგ ქართველოლოგთან, აკადემიკოს მარი ფელისტე ბროსესთან. მოგვიანებით პლატონ იოსელიანი არჩეულ იქნა აღმოსავლეთის ენების პარიზის საზოგადოების წევრად...

გურამ შარაძე: „პლ. იოსელიანს სრულიად გამორჩეული ადგილი უჭირავს XIX ს. მეცნიერებისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში. არ დარჩენილა ამ დროის ქართული ეროვნული მეცნიერებისა თუ დიდი კულტურული წამოწყების რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელშიც პლ. იოსელიანს მონაწილეობა არ მიეღოს და თავისი ავტორიტეტული სიტყვა არ ეთქვას...

პლ. იოსელიანის თხზულებათა სრული კრებულის გამოცემა დღესაც დიდ სამსახურს ეაუწევდა სამამულო მეცნიერებას“



იაკობ მანსვეტაშვილი

1855-1939

ჟურნალისტი და ლიტერატორი იაკობ მანსვეტაშვილი თანამშრომელი იყო ილია ჭავჭავაძის „ივერიისა", თავის დროზე კარგად ცნობილი „დონ-იაგოს" ფსევდონიმით.

იაკობ ალექსანდრეს ძე მანსვეტაშვილი დაიბადა 1855 წელს სოფელ ნორიოში, გარე-კახეთში, სადაც მამამისი სოფლის მღვდლად იყო განწესებული.

წერა-კითხვა ოჯახში ისწავლა, დედისაგან, შემდეგ სოფლის სკოლაში დადიოდა, რომელიც მამამისს თავის ხარჯზე ჰქონდა გახსნილი და თვითონვე ასწავლიდა სოფლის ბავშვებს უსასყიდლოდ.

რვა წლის ასაკში იაკობს აბარებენ ტფილისის სასულიერო სასწავლებელში. თუ როგორი რეაქციული სული და სწავლების სქოლასტიკური მეთოდები იყო გამეფებული მაძიებელ სასულიერო სასწავლებლებსა და სემინარიებში, ამის შესახებ საკმაოდ დაწვრილებით გვიამბობს თავის მემუარებში ი. მანსვეტაშვილი. ერთადერთ ნათელ მოგონებად სასწავლებელში ყოფნის პერიოდიდან იაკობს დარჩენია ის დრო, როდესაც სემინარიაში მცირე ხნით მასწავლებლობდნენ იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ცხვედაძე, გ. იოსელიანი და ლ. ტურიაშვილი — ახალგაზრდა, უმაღლესი განათლებით აღჭურვილი და პროგრესული იდეებით გამსჭვალული პედაგოგები. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მასწავლებელი მეფის მთავრობამ ჩქარა სამსახურიდან დაითხოვა, როგორც „არაკეთილსაიმედო" პირები, იმ ინციდენტის გამო, რომელიც მეფის ნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძესა და სემინარიის მონაფეებს შორის მოხდა ალექსანდრეს ბაღში.

სემინარიის დამთავრების შემდეგ ი. მანსვეტაშვილი მიემგზავრება პეტერბურგის უნივერსიტეტში და შედის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე.

პეტერბურგის პერიოდი ი. მანსვეტაშვილის მოგონებების მეტად საინტერესო და საგულისხმო ფურცელია. აქ მას აღწერილი აქვს 70-იან წლების მინურულის საუნივერსიტეტო ცხოვრება, გამოჩენილი პროფესორების — მენდელეევის, ბუტლეროვის, ვაგნერის, სეჩენოვის ლექციები, სტუდენტობის მღელვარება, ცნობილი წლიური აქტი პეტრებურგის უნივერსიტეტში, როდესაც სტუდენტებმა სილა გაანწეს განათლების მინისტრ საბუროვს და გრანდიოზული დემონსტრაცია მოაწყვეს მთავრობის წინააღმდეგ. მაგრამ მოგონებებში ყველაზე საინტერესოა ორი ფაქტი, რის მონმე და თვითმხილველიც თვიონ ავტორი ყოფილა.

ერთია ნეკრასოვის დასაფლავება, რაც „ნაროდნაია ვოლიას" ხელმძღვანელობით სტუდენტობამ და რევოლუციონურმა ინტელიგენციამ პოლიტიკურ დემონსტრაციად გადააქცია. ამ დასაფლავებაზე სიტყვა თქვა დოსტოევსკიმ. მეორე ფაქტია ალექსანდრე მეორის მკვლელობის ორგანიზატორთა, ცნობილი ნაროდოოლცების: ჟელიაბოვის, პეროვსკაიას, კიბალჩიჩის, მიხაილოვისა და რისაკოვის საჯარო ჩამოხრჩობა; ეს არის ერთი ყველაზე ტრაგიკული ეპიზოდთაგანი რუსეთის ინტელიგენციის ბრძოლის ისტორიიდან თვითმპყრობელური რეჟიმის წინააღმდეგ; მანსვეტაშვილის მოგონებებში ამ სურათის აღწერა მკითხველზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ი. მანსვეტაშვილი ბრუნდება სამშობლოში. აქ იგი ინყებს მუშაობას სალიტერატურო და საზოგადოებრივ ასპარეზზე. 1886 წლიდან 1890

ნლამდე იგი მუშაობს ილია ჭავჭავაძის „ივერიაში" რედაქციის მუდმივ თანამშრომლად. ამავე დროს ბეჭდავს გაზეთში სხვადასხვა ხასიათის ნერილებს. მისი ფსევდონიმებია: „დონ-იაგო", „ალექსანდრიძე", „ბარელი" და „შერმადინი" პირველი ფსევდონიმით იგი ნერდა უმეტეს ნაწილად პოპულარულ სამეცნიერო ნერილებს და სხვა ფელეტონებს. დანარჩენი ფსევდონიმებით ნერდა რეცენზიებს, კრიტიკულ ნერილებს, პატარა მოთხრობებს და ეპიგრამებს. „ივერიაში" ი. მანსვეტაშვილი ბეჭდავდა, აგრეთვე, ჟურნალ-გაზეთების მიმობილვებს სათაურით „ნარკვევი", რაც ხელმოუწერელად მიდიოდა. მის კალამს ეკუთვნის „ივერიის" ზოგიერთი მეთაური სტატიაც.

„ივერიაში" მუშაობის დროს ი. მანსვეტაშვილი თანამშრომლობდა აგრეთვე, საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილში" და თვიურ ჟურნალ „მოამბეში", როდესაც იგი ა. ყყონიას რედაქტორობით გამოდიოდა. გარდა ამისა, ხუთი წლის განმავლობაში ი. მანსვეტაშვილს ეკავა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" მდივნის თანამდებობა. მისი თაოსნობით დააარსა საზოგადოებამ თავისი პირველი ნიგნის მაღაზია, რომელიც მთელ საქართველოში ავრცელებდა ქართულ ნიგნებს. მის დროსვე ჩაეყარა საფუძველი საქართველოს სიძველეთა მუზეუმს, როდესაც ფოტოგრაფმა როინაშვილმა შესნირა ნ.-კ. საზოგადოებას თავისი მდიდარი კოლექცია სიძველეებისა, შეკრებილი საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში.

ი. მანსვეტაშვილის მემუარების მთავარსა და ყველაზე საინტერესო ნაწილს შეადგენს მისი მოგონებები „ივერიაში" მუშაობის პერიოდიდან, სადაც იგი აგვინერს ილია ჭავჭავაძეს და მისი „ივერიის" გარშემო შეკრებილ თანამშრომლებს, 80-იან წლების ჩვენ მოღვანეებსა და მნერლებს.

ი. მანსვეტაშვილი ახლობელი თანამშრომელი იყო ილია ჭავჭავაძისა. იგი წლების განმავლობაში ყოველდღე ხვდებოდა ილიას, მუშაობდა მისი ხელმძღვანელობით, ეცნობოდა მის ხასიათს, როგორც გარეთ, ოფიციალურ გარემოში, ისე მინ, ოჯახურ პირობებში. ამიტომაც არის, რომ ი. მანსვეტაშვილი ასე საინტერესოდ და ზედმინევნით აგვინერს ილია ჭავჭავაძის, როგორც საზოგადო მოღვანის, ყოველდღიურ მუშაობას, მის გარეგნობას, ცხოერების ზნესა და ხასიათის თვისებებს. როგორც ახლობელ პირს და ეაღრესად დაკვირვებული თვალის პატრონს, ი. მანსვეტაშვილს არ გამოპარვია უდიდეაი ქართველი მნერლის ნვრილმანი ადამიანური თვისებებიც.

ილიას გარდა ი. მანსვეტაშვილს თავის მოგონებებში მეტად ცოცხლად ჰყავს აღნერილი 70-90-იანი წლების თითქმის ყველა გამოჩენილი ქართველი მოღვანე და მნერალი. აქ ჩვენ ენახავთ მოღვანეთა მთელ გალერეას, როგორიც არიან: პლატონ იოსელიანი, გრ. ორბელიანი, ნიკო ნიკოლაძე, დიმიტრი ყიფიანი, აკაკი, ლუკა ისარლოვი, ივ. ჯაბადარი, დ. მაჩხანელი, ლადო აღნიაშვილი, იოსებ დავითაშვილი, ვაჟა-ფშაველა, გრ. ვოლსკი, რაფიელ ერისთავი, ივანე მაჩაბელი, ნიკო ხიზანაშვილი, მარჯორი ეორდროპი, ასიკო ცაგარელი, პეტრე უმიკაშვილი, ალ. ყაზბეგი, ი. გოგებაშვილი, ნ. ცხვედაძე, დავით ერისთავი, ვასო აბაშიძე, ლადო მესხიშვილი, კოტე ყიფიანი და სხვები.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ი. მანსვეტაშვილი ნიგნში არსად არ ეხება ილიას შეხედულებებს სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებზე. ავტორს ილია წარმოდგენილი ჰყავს, როგორც გამომხატველი ქართველი ერის „მთლიანობისა", როგორც სიმბოლო ერთიანი, ყოველგვარი წოდებრივი და კლასობრივი ნინააღმდეგობის გარეშე მდგომი „ნაციონალური იდეისა"

ეს მოგონებები ფრიად საგულისხმო ნიგნია ჩვენი მემუარული ლიტერატურისა, როგორც თავისი მდიდარი ფაქტობრივი მასალით და სხარტული დახასიათებებით, ისე ჩვენი წარსული ცხოერების სურათების ცხოველი გადმოცემით.

ქრისტეფორე კეჟერაშვილი

ქრისტეფორე კეჟერაშვილი ძველი თაობის პროფესიონალი მესტამბეა. მან ფასდაუდებელი ღვაწლი და ამაგი დასდო ქართული ნიგნის ბეჭდვა-გამოცემის განვითარების საქმეს. იგი სამოღვაწეო ასპარეზზე XVIII საუკუნის 80-იან წლებში გამოვიდა და როგორც გამოჩენილმა მესტამბე-გამომცემელმა უმალვე მოიპოვა დიდი ავტორიტეტი. ამას მოწმობს 1784 წელს დაბეჭდილი „კიტაიის სიბრძნის" ტექსტის ბოლოს დართული მესტამბეთა შემდეგი ანდერძი: „შენდობას ვითხოვთ. ახალი მოსწავლენი ვიყავით. მოძღვარსა ჩვენსა და მასწავლებელს მისის უმაღლესობის კარის ხუცესს ქრისტესიას შენდობა უბრძანეთ"

ქრისტეფორეს წინაპართა ძირძველი გვარი ბადრიძე ყოფილა. მათი სახლიკაცები საისტორიო საბუთებში აზნაურებად იხსენებიან. ამ გვარის ერთ-ერთი წარმომადგენელი უმემკვიდროდ გადაშენებულ მარტყოფელ კეჟერაანთ ნამამულარში დასახლებულა და გვართან ერთად აზნაურობის ხარისხიც დაუკარგავს. 1798 წელს გიორგი XIII-ის მიერ ქრისტეფორესადმი მიცემულ ნყალობის სიგელში ნათქვამია: „პირველად აზნაურიშვილები ვყოფილიყავით გვაროვნებით ბადრიძე. ერთი თქვენი გვარისა მარტყოფს მოსულიყო, საგლეხოს კეჟერაანთ ბეითალმანს მამულზედ დასახლებულიყო და გაგლეხკაცებულიყო"

ქრისტეფორე ერეკლე II-ისა და გიორგი XIII-ის სამეფო კარზე დიდად დაახლოებული ყოფილა. ერთი ხანობა მას სამეფო კარის ეკლესიის მღვდლად უმსახურია. როგორც განათლებულსა და დამნერლობის კარგ მცოდნეს, იმდენად გამოუჩენია თავი, რომ ერეკლეს იგი იერუსალიმში გაუგზავნია ნიგნების ბეჭდვის საქმის შესასნავლად. დაოსტატების შემდეგ სამშობლოში დაბრუნებული სტამბის მმართველ-გამგებლად დაუნიშნავთ. გიორგი XIII-ის ზემოდასახელებულ სიგელში ამის შესახებ ვკითხულობთ: „მერმედ ნახველ აღთქმის ქვეყანასა, მესტამბეობა მიგეღო. მოხველ, საქართველო საღმრთო ნიგნებისაგან ნაკლებად იყო და თოთხმეტი ათასი საღმრთო ნიგნი დაგვიბეჭდე"

იერუსალიმიდან დაბრუნებული ქრისტეფორე ერეკლეს სტამბას იჯარით იღებს. ამის მემდეგ ნიგნების ბეჭდვის საქმე საგრძნობლად გამოცოცხლდა და წინ ნავიდა. მის ხელში სტამბამ 1795 წლამდე იარსება და ამ ხნის განმავლობაში დაიბეჭდა: „დაუჯდომელი", „ლოცვანი", „სახარება", „დავითნი", „სამოციქულო", „უამნი" და სხვ.

ერეკლე II კეთილად ყოფილა განწყობილი ქრისტეფორეს მიმართ. თავის მხრივ ეს უკანასკნელიც ერთგულად ემსახურებოდა მნყალობელ მეფეს. იგი თან ხლებია ერეკლეს თურქთაგან ერევნის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. ორმოცი დღე-ღამის განმავლობაში გვერდიდან არ მოშორებია ქრისტეფორე მეტეხში „საოფლისაგან" ავად გამხდარ მეფეს. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ქრისტეფორემ აღა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის აოხრების ჟამს ტყვედ ნაყვანილ ქართველთა სამშობლოში დასაბრუნებლად. გიორგი XIII-ის ნყალობის სიგელში ნათქვამია: „შემდგომ აღამაჰმად ხანი მოვიდა, ტფილისი დასწვა და ტყვენი მრავალნი დაატყვევნა და ამ ტვეთაგან ბევრნი განჯის ხანსა ჰყვანდნენ ტყვედ... შენ და მისკარბაში იოსებ გაგგზავნეთ განჯის ციხეში ხანთან. იქაც დიდად გაისარჯე. გულ-უშიშრად სახლები და დუქნები დაგევლო და სადაც დამალული ტყვე ჰყოლიათ, ისიც გეპოვა და სამ და თად შვიდასი ტყვე გამოგეყვანათ განჯის ციხიდან"

ქრისტეფორეს ერთგულება და თავდადება ერეკლესადმი თვალნათლივ გამოვლინდა ამ უკანასკნელის გარდაცვალებისას. მიუხედავად იმისა, რომ იმ დროს მცხეთაში სახადი მძვინვარებდა, ქრისტეფორე არ შეუშინდა ძლიერ სენს, მარტოდმარტო, ფეხდაფეხ შეჰყვა მცხეთაში და უჭირისუფლა ერეკლეს. აი, როგორ აღწერს გიორგი XIII ამ ამბავს თავის სიგელში: „ვითარცა არს სოფლის ჩვეულება, კურთხეული მამა ჩვენი თელავს მიიცვალა. მცხეთას უნდა მიგვესვენებინა. მცხეთაში დიდი ჭირი იყო, სვრა. შენ დაუღალავი შეიქმენ, თავი გამოიმეტე, მოგვახსენე, რომ მე შევყვებიო. იახელ თანა და ეართლიდამ დიაღ მრავალი ხალხი ახლდა თან, მაგრამ შენს მეტი არავინ შეჰყოლია, ვინც შიგ არ იყვნენ მცხეთელთ მეტი ჭირიანები, იქ საფლავს მიუდექი და ემსახურე... აღდგომის დღეს, ნირვის უკან სამთავროს გამოსულიყავ და ნესისამებრ მართებული აღაპი გადაგეხადა"

ასევე ერთგულად ემსახურებოდა ქრისტეფორე საქართველოს უკანასკნელ მეფეს გიორგი XIII-ს. როგორც ცნობილია, ერეკლე II-ს თბილისში სპილენძის დამამუშავებელი ქარხანა ჰქონდა დაარსებული, რომელშიაც ხელოსნებად ძირითადად ბერძნები მუშაობდნენ. გიორგის მეფობისას ქალაქში ჭირი გაჩენილა. შეშინებული ბერძნები თბილისიდან გახიზნულან. ქრისტეფორეს კარგად სცოდნია ბერძნული. მას საერთო ენა გამოუნახავს შემოფანტულ ოსტატებთან და ქარხანა აუმუშავებია. აღნიშნული და სხვა მრავალი დამსახურებისათვის გიორგის ქრისტეფორესათვის ნამდვილი გვარი დაუბრუნებია, აზნაურობა უბოძებია და უწინდელ მამა-პაპათა სამემკვიდროში — სოფელ ნორიოში დაუსახლებია. სიგელში წერია: „ნაცვლად ამ სამსახურისა შენისა წყალობა გიყავით... ჩვენ ისევ აზნაურშვილობა და ბარიძეობა განგიახლეთ და გიბოძეთ. კიდევ გიბოძეთ ზემო ნორიოს ხუთი საკომლო ბეითალმანი მამული... თვისის ნავენახრებით, საბნავით, სათესით, წყლით, ნისქვილით, მთით, ბარით, და თვისის სამართლიანის საზღვრებით"

1798 წელს ქრისტეფორე კვლავ თბილისშია და აღა-მაჰმად ხანის მიერ დანგრეული სტამბის აღდგენა განახლებაზე ზრუნავს.

ქრისტეფორე დასაფლავებული უნდა იყოს ნორიოს ღვთისმშობლის ეკლესიის ეზოში.



აბრამ გაგო შინჯიკაშვილი

1735-1816

ჟამთა სიავემ აზრათ ყული ბეგ მარტყოფელზე უფრო შორს გადაკარგა მარტყოფის მკვიდრი აბრამ (გაბო) შინჯიკაშვილი. იგი ღამის მეხრე იყო. როცა 21 წლის მარტყოფელი ჭაბუკი 1756 წლის გაზაფხულზე გუთნეულის ხარებს აძოვებდა მარტყოფის მინდორში, „საციკნის გორასთან", იგი მარბიელმა ლეკებმა შეიპყრეს და ახალციხეში წაიყვანეს. ახალციხის საფაშოდან აბრამ შინჯიკაშვილი სტამბულის მონათა ბაზარზე მოხვდა. იქ აბრამი ერთმა მისრელმა (ეგვიპტელმა) სოვდაგარმა იყიდა და მისრეთის დედაქალაქ ქაიროში ჩაიყვანა. აბრამ შინჯიკაშვილი მისრეთში მალე ჩარიცხეს მამლუქთა ჯარში მისი დიდი ძალ-ღონისა და შესანიშნავი ტანადობის გამო.

დროთა მსვლელობაში აშკარად გამოვლინდა აბრამ შინჯიკაშვილის მხედართმთავრული ნიჭი და ვაჟკაცობა. იგი მამლუქთა მთელი ჯარის ერთ-ერთი სახელმოხვეჭილი აარდალი გაიდა, 1767 წელს ბეგობა მიიღო, ხოლო 1775 წლიდან მთელი მისრეთის (ეგვიპტის) გამგებელი ხდება. მეოთხედ საუკუნეზე მეტხანს ეპყრა მას ეგვიპტის მართვა-გამგეობის სადავეები. უცბობობაში მას უნოდეს იბრაჰიმ ბეგი.

ცნობილია, რომ ეგვიპტეს საუკუნეთა განმავლობაში მამლუქები განაგებდნენ. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი კავკასიელებისაგან, მათ შორის ქართველებისაგან, შედგებოდა.

მართალია, მისრეთი XVI საუკუნიდან ოსმალეთის გავლენაში მოექცა, მაგრამ იქ არსებითად ისევ მამლუქები ბატონობდნენ. XVII-XVIII საუკუნეებში ისინი იმდენად გაძლიერდნენ, რომ ქაიროში მყოფი თურქი ფაშა მათ საპატიო ტყვედ იქცა. XVIII საუკუნის 70-იან წლებში ქვეყანას 18 მამლუქი ბეგი განაგებდა. მათი უმეტესობა ქართველი იყო. ამ დროს მათ შორის უპირველესი ადგილი აბრამ შინჯიკაშვილს — იბრაჰიმ ბეგს ეკავა. მას ჭეშმარიტად წოდება — შიხბალადი, ანუ უპირველესი ბელადი. მომდევნო ადგილზე იმყოფებოდა თბილისელი ქართველი მურად ბეგი... ორივენი მამლუქთა ჯარის აღიარებული მხედართმთავრები იყვნენ.

1775 წელს ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ მომხდარი აჯანყების შემდეგ, რომლის მეთაურები იბრაჰიმ ბეგი და მურად ბეგი იყვნენ, ქაიროდან საერთოდ გააძევეს თურქების ფაშა. ამავე წლიდან ეგვიპტის მმართველები მამლუქების ქართველი მხედართმთავრები — აბრამ შინჯიკაშვილი და მურად ბეგი ხდებიან. სწორედ ისინი მეთაურობდნენ მამლუქთა გმირულ ბრძოლას ნაპოლეონ ბონაპარტეს წინააღმდეგ 1798 წლის მკათათვეში მსოფლიოს ერთ-ერთ საოცრებასთან — ეგვიპტის სახელგანთქმულ პირამიდებთან.

დიდხანს, ძალიან დიდხანს საქართველოში და, ბუნებრივია, აბრამის მშობლიურ მარტყოფში, არავინ არაფერი იცოდა ლეკი ყაჩაღების მიერ „საციკნის გორიდან" გატაცებული ქართველის შესახებ, მაგრამ მიწის ყივილმა, ადგილის დედის ძახილმა, მშობლიურ მარტყოფში გატარებულმა ოცდაერთმა წელმა, შვილის გატაცებით გაუბედურებული დედისა და ოჯახის წევრების სიყვარულმა აბრამ შინჯიკაშვილს ხელში კალამი ააღებინა და თავის მშობლიურ ოჯახთან დაკავშირება სცადა. ბედმა გაუღიმა, მის პირველ წერილს მალე მოჰყვა მიმოწერა მეფე ერეკლესთან, მოგვიანებით კი გიორგი მეთორმეტესთანაც...

აბრამ შინჯიკაშვილის პირველი წერილი მარტყოფში 1777 წლის გიორგობისთვეში. ჩამოიტანა ერთმა თბილისელმა სოვდაგარმა, რომელიც აბრამმა ქაიროში ნახა. წერილში აბრამ შინჯიკაშვილი იტყობინებოდა თავის თავგადასავალს, თავის მაშინდელ მდგომარეობას და იბარებდა თავისიანებს — ჩამოდით, მნახეთო.

უკვე მომდევნო წელს მას ეგვიპტეში ეწვივნენ ძმა — ბასილა შინჯიკაძვილი და სიძე გოგია ბერუაშვილი. უსაზღვრო იყო მათი ურთიერთშეხვედრით გამონვეული სიხარული. აბრამმა ისინი ჭეშმარიტად ქართული სტუმართმოყვარეობით, სითბოთი და სიყვარულით მიიღო.

გამოჩენილმა არაბმა მემატიანემ აბდ. ჯაბარტმა განსაცვიფრებელი სიზუსტით ნარმოგვიდგინა მისრეთის ქართველი ხელმწიფე. იგი წერს: აბრამ შინჯიკაშვილისათვის „დამახასიათებელი იყო მამაცობა და გმირობა. მან ბევრი ომი გადაიხადა, იყო მშვიდი და მომთმენი, კეთილი, მეგობრული. მიდრეკილება ჰქონდა თვითშეზღუდვისაკენ. უყვარდა სამართლიანობა, იშვიათად ერთობოდა და სრულიად წესიერად და თავაზიანად ეჭირა თავი. არ უყვარდა ამაოდ სისხლის დაღვრა"



ვასილ ბეჟანიშვილი

1886-1962

ყვავილოვანი ფერნერის უბადლო ოსტატი, ამ უნიკალური დარგის ფუძემდებელი ვასილ ლავრენტის ძე ბეჟანიშვილი დაიბადა 1886 წელს მარტყოფში.

ჯერ კიდევ 25 წლის ახალგაზრდამ მოიყვანა აღტაცებაში ხელოვნებათმცოდნენი და საზოგადოება დიდი რუსი მწერლის ლევ ტოლსტოის ფერნერული გამოსახულების ცოცხალი ყვავილებით შექმნით. ეს მოვლენა საგანგებოდ აღნიშნა თბილისია საქალაქო გაზეთმა 1911 წელს. ლ. ტოლსტოის ყვავილოვანი გამოსახულებიდან გადაღებული ფოტოსურათი მსოფლიო საფოსტო კავშირმა მთელი დედამინის ზურგზე გაავრცელა...

მალე ვასილ ბეჟანიშვილი მოსკოვში მიდის სამუშაოდ. ამასთან დაკავშირებით ცნობილი ქართველი ჟურნალისტი ი. ჯავახიშვილი წერდა: ქართული განსაცვიფრებელი ამბავი მოსკოვსაც მოედო. მცენარის ფერი ყვავილი, ღერო და ფოთოლი ვასილ ბეჟანიშვილმა იქაც გამოიყენა ხელოვნების მხატვრული ნიმუშების შესაქმნელად. ტაგანკელები, მაგალითად, განცვიფრებულები ათვალიერებდნენ 1812 წლის ომის მონანილე რუსი და ფრანგი მხედართმთავრების ყვავილოვან გამოსახულებებს.

აქვე ი. ჯავახიშვილს მოჰყავს მოსკოველი ხელოვნებათმცოდნის, ა. ნენაროკოვის შეფასება, რომელიც აღნიშნავდა, რომ ვასილ ბეჟანიშვილის ნამუშევრებმა აბალი დარგი გახსნა მხატვრულ მებაღეობაში.

ვ. ბეჟანიშვილმა დიდი ამაგი დასდო მოსკოვში ე. ნ. „ყვავილოვანი ხეივნის" გამშვენიერებას. ვასილმა ხეივანი გაახალისა მწვანე ძეგლით, რომელიც ნარმოადგენდა თლილი ქვის დაკუთხულ, ზევითკენ თანდათანობით განვრილებულ სვეტს. დედამიწის ზედაპირიდან სვეტის შუაგულამდე ირგვლივ დაფერდებულად მოაწყო მთელი კრემლის ყვავილოვანი გამოფენა, რომელიც ასახავდა მის ქონგურებიან კედლებს, კოშკებს, გუმბათებსა და სასახლეებს. ი. ჯავახიშვილი მართებულად შენიშნავს: ნამდვილი კრემლის მნახველები გაოცებული რჩებოდნენ ამ სანახაობის ხედვით. ხელოვნებათმცოდნეების დასკვნით ვასილ ბეჟანიშვილმა გადატრიალება მოახდინა მხატვრულ მებაღეობაში. ამ დარგში შეტანილი მისი წვლილი აღიარებული იქნა გამოგონებად, „რომლის მსგავსი ცნობილი არ ყოფილა საზღვარგარეთ — არც ევროპაში, არც ამერიკაში..."

საგულისხმოა, აგრეთვე, ზემოხსენებული ხელოვნებათმცოდნის ა. ნენაროკოვის მიერ ვ. ბეჟანიშვილის შესახებ გამოთქმული აზრი. იგი წერდა: „... სნავლობს რა მცენარეთა ფერებსა და თვისებებს, ბეჟანიშვილს სურს მხატვარ-გამომსახველის საღებავები მცენარეებით შეცვალოს და მათი საშუალებით მიწაზე შექმნას ის, რასაც მხატვარი ტილოზე ქმნის. ეს ამოცანა ძალიან ძნელია, განსაკუთრებით, თუ მხედველობაში მიეიღებთ, რომ საღებავები ტილოზე არ იზრდება, ხოლო ბეჟანიშვილი ანგარიშს უნევს იმას, რომ მისი ყვავილოვანი გამოსახულებანი იზრდება და ერთსა და იმავე მდგომარეობაში არ რჩება"

მხატვრულ მებაღეობაში ბრნყინვალე ნამუშევრების შექმნისათვის რუსეთის საზოგადოებამ მხატვარ-მებაღე გამომსახველის საპატიო წოდება მიანიჭა და დიდი ოქროს მედლით დააჯილდოვა. ასეთი წოდება მანამდე არავის ჰქონია რუსეთში...

„ბეჟანიშვილის მხატვრულ ნაწარმოებებს აქვეყნებდა რუსეთის პრესა, ხოლო მის ნამუშევართა რეპროდუქციები ღია ბარათების სახით ხელიდან ხელში გადადიოდა არა მარტო რუსეთში, არამედ მთელს ევროპასა და ამერიკაშიც კი" (ირ. ხმალაძე)...

თენგიზ ეპიტაშვილი

ცნობილოვანი ქართველი გენერალი თენგიზ ვასილის ძე ეპიტაშვილი დაიბადა 1920 წელს მარტყოფში.

პატარა თენგიზის ომისდროინდელი ბავშვობა ისეთივე მძიმე და უსიხარულო იყო, როგორც ყველა მისი თანატოლისა. განსაკუთრებით მძიმე დარტყმა მისმა ოჯახმა ბაშინ განიცადა, როცა 1942 წლის გაზაფხულზე ალყაშემორტყმული სევასტოპოლიდან ოჯახია უფროსის – ვასილ ეპიტაშვილის დაღუპვის ცნობა მიიღო.

თენგიზი თბილისის 42-ე საშუალო სკოლაში შეიყვანეს, არდადეგებს კი მშობლიურ მარტყოფსა და დედის სოფელ, კლდისწყაროში ატარებდა. საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე, 1954 წელს, თ. ეპიტაშვილი შედის თბილისის სამხედრო სასწავლებელში, რომელსაც სამი წლის შემდეგ წარჩინებით ამთავრებს.

1957 წლიდან იწყება თენგიზ ეპიტაშვილის, როგორც მესაზღვრის ცხოვრების გზა, რომლის ყოველი მონაკვეთი აღსავსეა ხიფათითა და მოულოდნელობით. მსაბურო-ადალციის რაიონში თურქეთის საზღვართან, სადაც მთელი 15 წელი გაატარა. 1957-1959 წლებში თ. ეპიტაშვილი სასაზღვრო საგუშაგოს ჯერ უფროსის მოადგილე, ხოლო 1960-1965 წლებში ამ საგუშაგოს უფროსია. მალე აწინაურებენ და 1968 წელს სასაზღვრო გადმაგრებული ზოლის ყველა სახეობის ჯარის უფროსად ნიშნავენ. მას ბევრჯერ მიუღია ომიანობა მონაწილეობა სახელმწიფო საზღვრის დამრღვევთა, ჯამუთა, სისხლის სამართლის დამშაშავეთა, საეჭვო პირებთან შებრძოლებასა თუ შეიარაღებულ შეტაკებებში.

1972 წლიდან თ. ეპიტაშვილს გზავნიან მოსკოვის სამხედრო აკადემიაში სასწავლებლად, რომელსაც ასევე წარჩინებით ამთავრებს. სამეცნიერო ხარისხის მიღებაც ძმობდა თვითონ კითხულობს ლექციებს მოსკოვის უმაღლეს სასწავლებლებში. მას სამსაბურებრივი მივლინებით გზავნიან მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

70-იანი წლების დამლევს თ. ეპიტაშვილი მისი სურვილის გაუთვალისწინებლად (არაფერი ამ ანინააღმდეგოდ) იგზავნება ავღანეთში. სადაც 1983 წლამდე გაატარებს წლებს დიდი გულისტკივილით იგონებს. მომდევნო წლებში კვლავ მოსკოვში აგრძელებს მეშაობას – ენევა სამეცნიერო საქმიანობას.

ბოლოს დგება ნანატრი ჟამი – დედა-სამშობლოში – საქართველოში საბოლოო დაბრუნებისა და ერის სამსაბურში ჩადგომისა. ეს იყო 1988 წელს. ამავე წელს იგი ინიშნება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანი და დაძაბული აღმოჩნდა მის ცხოვრებაში 1991 წელი, როცა ჯერ ცხინვალის კომენდანტად დაინიშნა, ხოლო შემდეგ პრეზიდენტის საგანგებო რწმუნებულად ბიდა ქართლში. ამ დროს თენგიზ ეპიტაშვილი ძირითადად გორსა და ცხინვალში იწყოფებოდა. მაშინ მთელი საქართველო აღტაცებით ადევნებდა თვალს ამ საინტერესო პოლკოვნიკის და პიროვნების ვაჟკაცურ და უშიშარ მოღვაწეობას საქართველოა მინა-წყლის ერთიანობის დასაცავად. ასეთ ვითარებაში პოლკოვნიკ თ. ეპიტაშვილს გამუდმებით თან სდევდა სიკვდილის ანდა მძევლად აყვანის საფრთხე. საერთოდ იგი გამოირჩევა დიდი სიმამაცით, უშიშარი და გაუტეხელი ხასიათით, რკინის ნებისყოფით და ყველა იმ თვისებით, რაც უნდა ახლდეს სამხედრო გენერალს. იგი გამოირჩეოდა უდიდესი პატიოსნებით. მისი ურყევი გადწყვეტილებაა მოხუცებულობის ნლები მთლიანად თავის მშობლიურ მარტყოფში გაატაროს.

ირაკლი კანდელაკი

1901-1970

ბინორეჟისორი, საქართველოს სახალხო არტისტი ირაკლი ირაკლის ძე კანდელაკი დაიბადა 1901 წლის 27 სექტემბერს მარტყოფში.

1932 წელს დაამთავრა თბილისის კონსერვატორია ვოკალის განხრით. 1946 წლიდან დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების სტუდიაში მუშაობდა რეჟისორად ფილმებზე: „ნახევარი საუკუნე", „შემოდგომა საქართველოში", „სამგორი", „ამბავი სოფელ ნატანებისა", „სოფლის მეურნეობის გამოფენა", „უხვი მოსავლის ოსტატი", „მიზანი საქართველო", „უძველესი ქალაქის გაზაფხული", „მიღნეევათა წლები", „მტკვრის კვალდაკვალ", „ჩაძირული ქალაქის საუნჯენი", „დიოსკურია", „იზმირის საერთაშორისო გამოფენა", „მოგზაურობა ნარსულში", „თეირანის შთაბეჭდილებები", „შირაზი, ისპაჰანი, პერსეპოლი"

„ირაკლი კანდელაკი ისეთი დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების ავტორი იყო, რომელთა გარეშეც წარმოუდგენელია თანამედროვე ქართული დოკუმენტური კინოხელოვნება... მან მთელი ცხოვრება შესწირა არსებული, რეალური გმირების, ჩვენი ხალხის ცხოვრებაში მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენების ფირზე აღბეჭდვას, თანამედროვეებისათვის წარმოსახვას და შთამომავლობისათვის შემონახვას.

საბჭოთა კინემატოგრაფიის ისტორია გვერდს ვერ უვლის მის ამაგს. საქართველოს დოკუმენტურმა კინომ ხომ საყოველთაო აღიარება მოიპოვა და ამ საქმეში საგრძნობლად მნიშვნელოვანია ი. კანდელაკის ღვაწლი.

ირაკლი კანდელაკი სოფელ-სოფელ, ქალაქ-ქალაქ დადიოდა, არ ერიდებოდა არავითარ სიძნელეს, რათა არ გამორჩენოდა, რაც კი საყურადღებო იყო ჩვენი ხალხის დღევანდელი და ხვალინდელი დღისათვის.

სწორედ თავისი ხალხის ამ დიდმა სიყვარულმა მიიყვანა იგი სამამულო ომის ფრონტებზე ჩვენს მებრძოლებთან. თავისი ხალხის სვებედისგან განუყოფლობის ამ წმინდა გრძნობამ მიიყვანა იგი თავის წინაპართა — გარეკახელ გლეხთა შთამომავლებთან, ფერეიდნელ ქართველებთან. ქართველი ხალხი მარად მადლობელი იქნება მისი, რადგან მან პირველად შესძლო საქართველოსათვის წარმოეჩინა ჩვენგან ძალით მონყვეტილი ფერეიდნელი ქართველების ცხოვრება და ოცნება სამშობლოზე"

„ირაკლი კანდელაკი, როგორც ნამდვილი ხელოვანი და მამულიშვილი, შევიცან, როდესაც მასთან, როგორც დამდგმელ რეჟისორთან, მომიხდა სცენაზე მუშაობა ფილმისათვის „მტკვრის კვალდაკვალ"

ქართველი მწერლები განსაკუთრებით მადლიერნი ვართ იმის გამოც, რომ მან ფირზე შემოგვინახა, დავიწყებას წაართვა ბევრი ჩვენი მწერლის სახე, თავის ფილმებში აღბეჭდა ჩვენი კულტურის, ლიტერატურის მრავალი ღირსშესანიშნავი მოვლენა.

ირაკლი კანდელაკმა ღირსეულად მოიხადა ვალი სამშობლოს წინაშე თავისი ცხოვრებითა და გულწრფელი შემოქმედებით"

იოსებ ნონეშვილი

აკაკი მათიაშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური მონაწილე, მარტყოფის მემატიანე და მისი მხურვალე პატრიოტი, პროფესორი აკაკი გიორგის ძე მათიაშვილი დაიბადა 1933 წლის 16 იანვარს მარტყოფში. 1951 წელს ვერცხლის მედალზე დაამთავრა მშობლიური სოფლის საშუალო სკოლა და იმავე წელს სწავლა განაგრძო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გემოკვების ფაკულტეტზე, შემდგომში საბუთები გადაიტანა და სწავლა განაგრძო თსუ-ის ისტორიის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1957 წელს წარჩინებით (წითელ დიპლომზე). მაგრამ, როგორც 1956 წლის მარტის ეროვნული აჯანყების მონაწილეს, ასპირანტურაში შესასვლელად რეკომენდაცია არ მისცეს. იმავე წელს მუშაობა დაიწყო მარტყოფის საშუალო სკოლაში ისტორიის მასწავლებლად.

და მაინც, 1960 წლის ოქტომბერში მისაღები გამოცდები ჩააბარა და ჩაირიცხა თსუ-ის საეართველოს ისტორიის კათედრის ასპირანტურაში, რის შემდეგ 17 წელიწადი ლექციებს კითხულობდა თსუ-ში. ა. მათიაშვილი მუშაობდა ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში და მოსკოვის კოოპერატიული ინსტიტუტის თბილისის დაუსწრებელ განყოფილებაზე.

1991 წელს ა. მათიაშვილი აირჩიეს საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატად ახალგორის საარჩევნო ოლქში, ხოლო შემდგომ დანიშნულ იქნა ამავე რაიონის პრეფექტად.

ავტორია სამნაწილიანი წიგნისა — „აკრიანი — მარტომყოფი — მარტყოფი — 4500“

ნიკოლოზ ჯოჯოლა სამჭკუაშვილი

1914-1998

ერავალშვილიან მარტყოფელ ღარიბ გლეხს რაჟდენ სამჭკუაშვილს 1914 წლის 27 იანვარს შეეძინა ვაჟი, რომელსაც ნიკოლოზი, მეტსახელად ჯოყოლა შეარქვეს.

ჯოყოლა არ მოსწრებია, მაგრამ გადმოცემით იცოდა, რომ პაპამისი, ადამ სამჭკუაშვილი, განთქმული მომღერალი იყო. მისი სახელი სხვა სოფლებსაც მოსდებია. გასული საუკუნის ბოლოს ადამ სამჭკუაშვილის სასიმღერო რეპერტუარი ბევრ საინტერესო ხალხურ ჰანგს შეიცავდა. შესანიშნავად მღეროდა თურმე იგი თავისი ძლიერი ტენორით „მრავალჟამიერს", „ზამთარს", „საქორწილო სიმღერას", „ქართლულოს", „ღმერთო, ღმერთოს", „ალილოს", „ბრძანე ბატონოს", „ჩონგუროს", „ნუ მოიშლება ჩვენს სახლში" და სხვას.

რაჟდენმა ბავშვობიდანვე ჩაუნერგა თავისპპატარა ბიჭს სიმღერისადმი სიყვარული. უფროსი შვილები, იოსები და შაქრო, მენშევიკებმა მოუკლეს. მონიფული შვილების დაკარგვამ ნელში გატეხა მშრომელი გლეხი, დააძაბუნა. იგი იძულებული გახდა, რვა ნლის ჯოყოლა მწყემსად გაებარებინა. სამწყესურში წასვლის წინ ხალხური სიმღერის კარგმა მცოდნემ და ფანდურზე დამკვრელმა, რაჟდენის ნათესავმა, მირონ სამჭკუაშვილმა პატარა ფანდური გამოუთალა ჯოყოლას, დაკვრა ასნავლა, ზოგი სიმღერაც დაამღერებინა და გზა დაულოცა.

პატარა ჯოყოლა ნახირში ყოველ თავისუფალ დროს ფანდურზე დაკვრას ანდომებდა.

მწყემსობაში თითქმის რვა ნელზე მეტი გაატარა. თექვსმეტი ნლისა იყო ჯოყოლა სამჭკუაშვილი, როცა მამა გარდაეცვალა. ობლად დარჩენილ ოჯახს პატრონობა სჭირდებოდა და 1930 ნლიდან ჯოყოლაც სოფელს დაუბრუნდა, მეურნეობის ჭაპანი იკისრა.

ორ ცეცხლს შუა მოექცა ჯოყოლა: ცალკე სამწყესურს ვერ თმობდა, გული მთისკენ მიუწევდა, ცალკე კიდევ დიდ სურვილს ხელოვნების სიყვარულს ელოლიავებოდა, ხალხის სამსახური სნყუროდა: სიმღერა უნდოდა, ხალხში გასვლა, „ურმული" უნდოდა ემღერა, „მრავალჟამიერი". ამიტომ იგი გაბედულად იწყებს მუშაობას; სიმღერის მასწავლებლად გაამწესეს მარტყოფის არასრულ საშუალო სკოლაში. მონაფეებს უნერგავს ხალხური სიმღერისადმი სიყვარულს, მრავალი სიმღერა შეასნავლა მათ, მომღერალთა გუნდი შექმნა და სკოლაში კონცერტები მოაწყო.

ახლოვდება 1937 ნელი. თვითმოქმედი გუნდები მონდომებით ემზადებიან საქართველოს მეოთხე რესპუბლიკური ოლიმპიადისათვის. სამჭკუაშვილიც მონდომებით მუშაობს. რესპუბლიკურ ოლიმპიადაში მონაწილეობისათვის დათვალიერების ხელმძღვანელებმა შეარჩიეს მარტყოფის მეჩონგურეთა ანსამბლი ჯ. სამჭკუაშვილის ხელმძღვანელობით.

მარტყოფის გუნდში რვა მომღერალი იყო: თამარ სტეფანიშვილი, ვლადიმერ შპეტიშვილი, ვლადიმერ კახაბრიშვილი, გიორგი ნაირაშვილი, ალექსანდრე რაზმაძე, ქიტესა ჯერენაშვილი, ნიკოლოზ თვალაშვილი და იოსებ სულხანიშვილი. ამ პატარა გუნდმა მეოთხე რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე თავი ისახელა ორგინალური რეპერტუარით.

მარტყოფის მომღერალთა გუნდის წარმატებამ დიდი აღფრთოვანება გამოინვია გარეკახელებში.

თბილისის საქალაქო დათვალიერებაზე 1938 წელს მარტყოფის გუნდმა დიდი შესაძლებლობა გამოამჟღავნა. წინსვლა დაეტყო გუნდის ხელმძღვანელის ჯ. სამჭკუაშვილის მუშაობასაც. მეხუთე რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე გუნდი წარმატებით გამოვიდა. იგი შემსრულებელთა პირველ რიგებში მოექცა.

ჯ. სამჭკუაშვილს მუსიკალური განათლების მიღების სურვილი სულ ჰქონდა, მაგრამ ამის შესაძლებლობა უფრო გვიან მიეცა. 1939 წლის მარტში საქართველოს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკურმა სახლმა სხვა ლოტბარებთან ერთად ჯ. სამჭკუაშვილიც გამოიძახა სამთვიან საგუნდო-სადირიჟორო კურსებზე ლექციების მოსასმენად.

ჯოყოლა ფანდურზე დაკვრის ოსტატად ითვლებოდა; საინტერესოა, რომ ამ თვითმყოფადი შემსრულებლისაგან ბევრმა დამკვრელმა — ვანო მჭედლიშვილმა, კირილე ვამაკიძემ, ტატიანა მახარაძემ, გრ. გარუჩავამ და სხვებმა, თვით ავქსენტი მეგრელიძემაც კი გადაიღეს დაკვრის ხერხები; მოხდა ცოდნის ურთიერთგაზიარება, რამაც დადებითი შედეგი გამოიღო.

ჯ. სამჭკუაშვილმა აამღერა ნორიოს, ლილოს, დიღმის მცხოვრებნი... სამ ხმაზე სიმღერა სოფლად სამჭკუაშვილმა განავითარა, რაც მის შემოქმედებითსა. და პედაგოგიურ უნარს მიენერება; დიდ ლილოში კარგად მღერიან: ვ. და გ. ფუხაშვილები, მ. აბაშვილი, მ. აზაროვა, ხოლო ნორიოში ბ. ცისკარიშვილი, გ. უერთაშვილი, შ. აბრამიშვილი, ეთ. ბადრიძე, შ. ქოპილაშვილი, ელ. ეპიტაშვილი და ბევრი სხვა ახალგაზრდა.

ჯ. სამჭკუაშვილი ორმოცი წლის განმავლობაში დაუღალავად შრომობდა .

პოეტი სილოვან ნარიმანიძე ჯოყოლას გარდაცვალების შემდეგ წერდა:

დიმბრიდა წლები, ვაქირდა ყოფნა,
სიმღერაც ადარ ისმის მდელოდან.
რად გაბეზრენ თავი მარტყოფმა,
როცა ჯოყოლა იქა მღერიდა?!

შშანგ სახლთხუციშვილი

საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, მთარგმნელი, პუბლიცისტი უშანგ დიმიტრის ძე სახლთხუციშვილი დაიბადა 1937 წლის 26 მარტს მარტყოფში. 1945 წელს შევიდა მარტყოფის საშუალო სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1956 წელს. იმავე წელს გაინვიეს საბჭოთა არმიის რიგებში. 1959 წელს ჩაირიცხა თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტზე.

1963 წელს ლატვიისა და თბილისის უნივერსიტეტებმა სტუდენტები გაცვალეს. ეს იყო პირველი ექსპერიმენტი საბჭოთა კავშირში. რიგაში ლატვიური ენის, ლიტერატურის, ლატვიის ისტორიის შესასწავლად აგზავნიან სამ ქართველ სტუდენტს (ბ. ჯორბენაძეს, ჯ. სილაგაძესა და უ. სახლთხუციშვილს).

უ. სახლთხუციშვილმა უნივერსიტეტის სრული კურსი დაამთავრა 1964 წელს. ერთ ასწავლო წელს ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა საცხენჰესის რვაწლიან სკოლაში.

1965 წლის აპრილში ჩაირიცხა თსუ ასპირანტურაში (ხელმძღვანელი აკად. ვ. თოფურია) და ლატვიური ენისა და ლიტერატურის უკეთ დაუფლების მიზნით სწავლას აგრძელებს ლატვიის უნივერსიტეტში, 1969 წელს ამთავრებს ასპირანტურას.

1969 წლიდან დღემდე მუშაობს თსუ ახალი ქართული ენის კათედრასთან არსებული ფარნაოზ ერთელიშვილის სახელობის ონომასტიკის ს/კ ლაბორატორიაში (უმცროს ლაბორანტად, უფროს ლაბორანტად, უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად, უფროს მეცნიერ-თანამშრომლად). დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ქართულ ტოპონიმთა ისტორია-ეტიმოლოგიისათვის (აღმოსავლეთ საქართველოს მასალების მიხედვით)". აღნერილი აქვს ტოპონიმიკური მასალა (40 ათასამდე ერთეული), ძირითადად კახეთის რეგიონში.

1965 წლიდან იბეჭდება. გამოქვეყნებული აქვს ასამდე სტატია და ნარკვევი (ქართულ, ლატვიურ, რუსულ ენებზე). ენევა მთარგმნელობით მოღვაწეობას. 1970 წელს გამოაქვეყნა (ჯ. სილაგაძესთან ერთად) ლატვიელი მწერლის ზ. სკუინის რომანი „კოლუმბის შვილიშვილები", შემდეგ კი ე. გრივას „ნოქტიურნი", ა. ბელის რომანი „გალია", ლატვიელ მწერალთა მოთხრობების კრებული „ქარვის ზღვის პირას", „თბილისო, თბილისო, თბილისო...", ვ. ბელშევიცას „სულ იმ ყეყეჩი პაულინეს ბრალია"

გამოცემული აქვს ა. იაკუბანის მოთხრობების კრებული, იან რაინისის „აზრები", აგრეთვე, ორიგინალური ნაშრომი „ლატვიურ-ქართული სასაუბრო ლატვიური ენის გრამატიკის მიმოხილვითა და ლატვიურ-ქართული ლექსიკონით"

1997 წელს გამოსცა ნარკვევების კრებულის „ადგილის დედა ანუ რას მოგვითხრობენ ტოპონიმები", პირველი და მეორე წიგნები, აგრეთვე, „ლოჭინის ხეობის ონომასტიკონი"

უკვე რამდენიმე წელია საქართველოს რადიოსა და ქართულ გაზეთებში: „სოფლის ცხოვრება", „საქართველოს რესპუბლიკა"... ხელმძღვანელობს რუბრიკას „რას მოგვითხრობენ ტოპონიმები"

თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტსა და გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე კითხულობს ლექციების კურსს ქართული ონომასტიკის საკითხებზე. ფილოლოგიის მთარგმნელობით განყოფილებაზე კი ბალტიური (ლატვიური) ფილოლოგიის კურსს.

უშანგ სახლთხუციშვილი შეყვანილია ლატვიის ენციკლოპედიაში.

ამირან ტოტიკაშვილი

ბოსფლიოს, ევროპისა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, საერთაშოისო კლასის მსაჯი ამირან მიხეილის ძე ტოტიკაშვილი დაიბადა 1969 წლის 21 ივნისს მარტყოფში. 1986 წელს დაამთავრა მარტყოფის №1 საშუალო სკოლა და ამავე წელს ჩაირიცხა თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე.

ა. ტოტიკაშვილი 1979 წლიდან იწყებს ვარჯიშს ძიუდოს ჯგუფში. პირველ წარმატებას აღნევს 1981 წელს საქართველოს პირველობაზე ჭაბუკთა შორის. შემდგომში იგი ხდება ხუთგზის საბჭოთა კავშირის ჩემპიონია ჭაბუკთა და ახალგაზრდებს შორის.

საერიოზულ წარმატებას ამირან ტოტიკაშვილი აღნევს 1988 წელს, როდესაც ხდება საბჭოთა კავშირის ჩემპიონი დიდებს შორის ალმა-ატაში, ხოლო ერთი წლის შემდეგ იგი იმეორებს ამ შედეგს ბელორუსიის დედაქალაქ მინსკში. ამავე წლებში იგი ხდება ევროპის ორგზის ჩემპიონი. ა. ტოტიკაშვილი 1988 წელს მონაწილეობას იღებს სეულის ოლიმპიურ თამაშებში, სადაც ეუფლება ოლიმპიურ ბრინჯაოს მედალს. 1989 წელს იუგოსლავიაში იგი ხდება მსოფლიოს ჩემპიონი, ამავე წელს მსოფლიო უნივერსიადის ჩემპიონია. 1990 წელს ტოტიკაშვილი მონაწილეობს ამერიკის შეერთებული შტატების კეთილი ნებია თამაშებში ქ. სიეტლში და ეუფლება ოქროს მედალს. არის მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული.

მისი განსაკუთრებულად დადებითი თვისება იყო ის, რომ იგი ასპარეზობის დროს იყო მეტად უშიშარი მებრძოლი, უყვარდა შერკინება ტიტულოვან სპორტსმენებთან, მათ მიმართ ჰქონდა განსაკუთრებული განწყობა, სპორტული ჟინი, რაც ხშირად მისი წარმატების საფუძველი ხდებოდა.

ამირან ტოტიკაშვილი 1977 წლიდან 2000 წლამდე იყო საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი. ამ პერიოდში მისმა გუნდმა ევროპისა და მსოფლიო პირველობებზე 13 მედალი მოიპოვა. განსაკუთრებულად კარგი შედეგი უჩვენა გუნდმა 1998 წელს ბავშვთა ევროპის ოლიმპიურ თამაშებზე დანიაში, სადაც 8 მონაწილიდან შვიდმა მედალი მოიპოვა.



ახმეტა

ახმეტის რაიონი
4493
4235
3294
3578
ქედა
ვეკუასიძირი
ვესგომთა
ხახაბო
ბანარას ნაკოდ
ბირკიანი
ჯოყოლო
ბაბანეულის ნაკოდ
ფშაველი
ნაფარეული
ალვანი
ზემო ალვანი
ახმეტა
ქისტაური
ზემო ხოდაშენი
ოლოი
ბოდბისი
ალაზანი
ასა
ბურნაკეთი
ალაზანი
ასა
ბურნაკეთი
ალაზანი
ასა
ბურნაკეთ

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული რაიონი აღმოსავლეთ საქართველოში.

1946 წლიდან გამოეყო თელავის რაიონს დღევანდელ საზღვრებში.

ჰავა – ზომიერად ნოტიო, ზომიერად თბილი, ცხელი ზაფხულით.

ნიადაგი – მთა-მდელოს კორდიანი.

მცენარეები – უმთავრესად მუხა, რცხილა და წიფელი.

ცხოველები – ჯიხვი, ნიამორი, არჩვი, შველი, მურა დათვი, ფოცხვერი, გარეული კატა, მგელი, ტურა, მელა, კვერნა, მაჩვი, დედოფალა, კავკასიური ციყვი, ძილგუდა, კურდღელი, კავკასიური ირემი, კავკასიური შურთხი, ორბი.

ფრინველი – შოშია, ყვავი, ბეღურა, ბუ და სხვა. საქართველოში გავრცელებული ფრინველი (კაჭკაჭი, მწყერი, შაშვი და სხვ.).

თევზი – კალმახი, ჭერეხი, ქაშაპი, ტობი, მურწა, წვერა და სხვ.

მრეწველობა – მთავარი – ხე-ტყის მრეწველობა, 2 ღვინის ქარხანა (ახმეტაში და ქისტაურში).

ხუროთმოძღვრული ძეგლებია: ბახტრიონის ციხე-გალავანი, კვეტერის ციხე (შუა საუკ. ეკლესია – XI ს.), ალავერდის ანსამბლი (მთავარი ტაძარი XI ს. I მეოთხედი), მატნის –ცხრაკარის" მონასტერი (ეკლესია – V-VI სს.), ზემო ალვანის „ცხრაკარა" (სასახლე XVI ს.) და სხვ.

რაფიელ ერისთავი

1824-1901

„ქართული მწერლობის ბაღრიანი“.

სადაც ვმობილვარ, გავზრდილვარ და მისროლია ისარი.
სად მამა-ბაბა მეგულვის. იმთი კუბოს ფიცარი.
სადაც ხიურმითვე ეზეულვარ — ჩემი სამშობლო ის,
არ ვავცვალი სალსა კლდეებსა უდაბეებისა სქ

.
არ ვავცვალი მე ჩემს სამშობლოს სსვა ქვეყნის სამოთხესაც.

1824 წლის 9 აპრილს ახმეტის რაიონის სოფ. ქისტაურში დაიბადა თვალსაჩინო ქართველი მწერალი, ეთნოგრაფი და საზოგადო მოღვაწე, რაფიელ დავითის ძე ერისთავი.

რ. ერისთავი არაგვის ზვიად ერისთავთა შთამომავალია, რომლის უკანასკნელი შტო მეთვრამეტე საუკუნეში ჟამთა სიავის გამო ანანურიდან ქისტაურში ჩასახლებულა. ერეკლე II-ის დროს კვლავ დანინაურებულა ამ ერისთავთა შთამომავლობა. რაფიელის მამის დავითის სახლი განთქმული ყოფილა, როგორც ძველი ტრადიციული ოჯახი. 1847 წელს ქართული კულტურის შესასწავლად ჩამოსული მარი ბროსე რაფიელს თიანეთიდან მამისეულ მამულში მიუწვევია. იგი აღტაცებულა, როცა რაფიელის სახლში უნახავს მდიდარი ბიბლიოთეკა და სათუთად შენახული ძველი ხელნაწერები. ამ ოჯახის ხშირი სტუმრები ყოფილან გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანები, მელიტონ ბარათაშვილი, ალექსანდრე და გრიგოლ ჭავჭავაძეები, რაფიელის დედის — ნინო ავთანდილის ასულ ამილახვრის ნათესავები, გიორგი ერისთავი, ფილადელფოს კიკნაძე და სხვ.

ფილადელფოსი შემდეგში რაფიელის მასწავლებელი იყო შუამთის შიო მღვიმის მონასტერში... რაფიელის მამა იყო თელავის მაზრის სოფ. ქისტაურის ცნობილი მებატონე თავადი დავით რაფიელის ძე ერისთავი.

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ რაფიელი მუშაობას იწყებს თარჯიმნად თიანეთში თუშ-ფშავ-ხევსურეთის სამმართველოში. რ. ერისთავმა აქ დიდძალი ეთნოგრაფიული მასალა მოაგროვა, რომელიც ხშირად იბეჭდებოდა „კავკაზის“ ფურცლებზე. თვითმპყრობელობის მიერ შევინროებულ მთის ხალხის ცხოვრებაზე და ლეგენდებზეა დანერილი მისი პირველი პროზაული ნაწარმოები „ობორვანეც“ (რომელიც ალმანახ „ზურნაში“ დაიბეჭდა 1855 წელს), ლექსი, პოემა — „ნაამბობი მოხუცისა“ და სხვა მრავალი, რომელთა შემდეგ მოჰყვა რ. ერისთავის უჭკნობი ქმნილება „სამშობლო ხევსურისა“. პოეტის პირველი ლექსები „დარიგება“ და „ყვავილს“ გიორგი ერისთავის „ცისკარში“ დაიბეჭდა.

დასავლეთ საქართველოში მუშაობის წლებმა (1851-1871 წწ. — ქუთაისი, ახალციხე, ზუგდიდი) ახალი გამოცდილება შესძინეს მწერალს. ივანე კერესელიძის განახლებულ „ცისკარში“ ზედიზედ გამოჩნდა უკუღმართი სოციალური ყოფის მამხილებელი ლექსები, მოთხრობები, ეთნოგრაფიული და პუბლიცისტური წერილები. პრესამ მაღალი შეფასება მისცა რ. ერისთავის მხატვრულ ნიჭს. ილია ჭავჭავაძე საგანგებოდ აღნიშნავდა, რაფიელ ერისთავმა ლექსში „მთხოვნელი მსაჯულისადმი“ პირველმა დასძრა ხმა ბატონყმობის ნინააღმდეგო.

რ. ერისთავის — შემოქმედისა და მოღვაწის ცხოვრებას მაღალი ზნეობა და დიდი მოქალაქეობრივი იდეალები განსაზღვრავდა. ამ თვისებით გახდა იგი ხალხის საყვარელი პოეტი. ეს მაღალი საერთო და მოქალაქეობრივი მოტივი რ. ერისთავის შემოქმედებისა და საზოგადო მოღვაწეობისა პირველად ქართულ მწერლობაში ვაჟა-ფშაველამ შენიშნა და თავისი თავი რ. ერისთავის მიმდევრად გამოაცხადა. *„ჩვენმა სახელოვანმა მხცოვანმა მგოსანმა, — აღნიშნავდა ვაჟა — რაკი საერთო კილო დაუმკვიდრა ლექსებს და ჟურნალ „ივერიამ“ გზა დაუთმო, მეც გაბედულება მომემატა და სხვანაირად ააჩქროლა ჩემი გული“*

რაიფელ ერისთავმა ადრევე შეიცნო ქართველის ბედი, ხალხის ფიქრები, მისი სოციალურ-ეროვნული ტკივილები. ამიტომ მუდამ სიკეთის მქადაგებელი პოეტი ლექსში „კაცი ის არის“ ხმამაღლა ქადაგებდა ადამიანის მაღალ დანიშნულებას. პოეტის თქმით, ნამდვილი კაცი ჩვენს დროში ის არის, ვინც „იბრძვის ერისათვის და ქვეყანას მისცემს შვებას, ვინც მამულს ეტრფის, ეთაყვანება და ნამდვილ შვილად გამოადგება.

ვისაც სამშობლო ტაძრად აქვს
თაკი — სამსხვერპლო წილადა,
ვისაც ვერ დასწყვეს მტრის ოქრო,
ვერც მისი მკერდ ბრძანება,
ვისაც სამშობლოს ოხერისთვის
ლოთ-კული მოეფსანება.
ვინც დასთხოვს მისთვის წმინდა სისხლს,
ძოწეულს დაეკვანება.

... რ. ერისთავს მრავალი პატრიოტული ლექსი აქვს შექმნილი. „სამშობლო ხევსურისა“ ისეთი რანგის ნაწარმოებია, რომელიც დაბეჭდვისთანავე აიტაცა ქართველმა მკითხველმა და „უკვდავების ბინადარი“ გახადა. ლექსის მარადიულ სიცოცხლეზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ სამამულო ომის მძიმე დღეებში საბჭოთა ჯარისკაცებს აღაფრთოვანებდა ამ ქმნილების სტრიქონები:

სამშობლო დედის ძუძუი,
არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია, ძმობილო,
მირჩევნია ორივ თუალზედა,
როგორც უფალი, სამშობლო
ერთია ქვეყანაზედა...

ასეთი ლექსებით, აღნიშნავდა ილია ჭავჭავაძე 1895 წელს, *„რ. ერისთავმა შექმნა თავისი საკუთარი სკოლა ხალხური პოეზიისა. მისი მიმდევარნი არიან ძმები რაზიკაშვილები“*

... ჰუმანისტმა მწერალმა, უანგარო საზოგადო მოღვაწემ უმწიკვლოდ მოიხადა ვალი სამშობლოს წინაშე. ღვაწლმოსილი მწერალი გარდაიცვალა 1901 წელს, 77 წლის ასაკში.

ქართველმა ხალხმა სიცოცხლეშივე ღირსეულად დაიფასა იგი და ჩვენი ერის დიდი მოამაგეების ი. ჭავჭავაძისა და აკ. წერეთლის მეთაურობით, საქართველომ 1895 წელს საყოველთაოდ იდღესასწაულა მისი ლიტერატურული და საზოგადო მოღვაწეობის ორმოცდამეათე წლის იუბილე, რაც პირველი შემთხვევა იყო საქართველოში. ზეიმზე ჩამოვიდნენ ქართლ-კახეთიდან, იმერეთიდან, ფშავ-ხევსურეთიდან, გურიიდან და საქართველოს სხვა კუთხეებიდან ეროვნულ ტანსაცმელში გამონყობილი მრავალრიცხოვანი სტუმრები. ზეიმზე მიმავალ, თეთრცხენებიან ეტლში მჯდომ პოეტს, რომელსაც გვერდით ილია და აკაკი უსხდნენ, მთელი ქალაქი მიაცილებდა. ამიტომაც იუბილემ ეროვნული ზეიმის ხასიათი მიიღო. საიუბილეო საღამოზე რ. ერისთავისადმი მიძღვნილი ლექსი წაიკითხა 16 წლის სემინარიელმა იოსებ ჯუღაშვილმა. ეს ლექსი „სოსელოს“ ფსევდონიმით დაიბეჭდა 1895 წლის 29 ოქტომბრის „ივერიაში“

ერის მოჭირნახულე ჭაღარა პოეტის საიუბილეო დღესასწაულს ქართველმა ხალხმა საერთო დღესასწაული უწოდა და ამ შემთხვევის აღმნუსხველ საგანგებო კრებულსაც „საერთო დღესასწაული" ეწოდა. მას ნამძღვარებული აქვს ნიკოლოზ ბარათაშვილის უკვდავი სტრიქონები:

რაც ერთხელ ცხოელად სულს დაჰნდების,
საქმელიაქვილოდ კარდაეცემის.

თავისი წვლილი რაფიელ ერისთავმა მეცნიერებაშიც შეიტანა. მის მიერ შედგენილი ლექსიკონი ბუნების სამთა სამეფოსაგან, ალექსანდრე ეპისკოპოსის სიფასით გამოცემული, იმ დროს ერთადერთი იყო ჩვენს მწერლობაში. დიდი ამაგი დაგვდო მან, როგორც სულხან-საბა ორბელიანის ქართული ლექსიკონის რედაქტორმა. ჩვენი საყვარელი პოეტის კურთხეული მარჯვენა ჩვენს ნორჩ თეატრსაც სნვდა, იმასაც დასდო ამაგი. „ბიძიასთან გამოხუმრება", „პარიკმახერისას", „ჯერ დაიხოცნენ მერე იქორწინეს" და სხვა პიესები რაფიელ ერისთავმა შესძინა ჩვენი თეატრის რეპერტუარს.

რაფიელ ერისთავი დაკრძალულია ქ. თელავში, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ეზოში.

ნიკო სულხანიშვილი

1871-1919

ლიდი ქართველი კომპოზიტორი, ლოტბარი, მომღერალი ნიკოლოზ (ნიკო) პაატას ძე სულხანიშვილი დაიბადა 1871 წელს ახმეტის რაიონის სოფ. ანყურში.

1878 წელს შევიდა თელავის სასულიერო სემინარიაში (გალობას ასწავლიდნენ დ. ელიოზაშვილი და ზ. ჩხიკვაძე). 1884 წლიდან სწავლობდა თბილისის სასულიერო აემინარიაში. პირველი საკომპოზიტორო ცდები თარიღდება 1886 წლით. მოგვიანებით სიმღერას სწავლობდა ცნობილ პედაგოგ დ. უსატოვთან.

1890-1900 წლებში მუშაობდა თელავის სასულიერო სემინარიაში სიმღერის მასწავლებლად, იქვე შეუდგენია ქართული გალობის მოყვარულთა გუნდი. ამ პერიოდში შექმნა ცნობილი სიმღერა „ტურფავ, მოდი, ნუ ხარ მტრულად" დ. მაჩხანელის ტექსტზე (სიმღერის ნანილი ი. ჟავჭავაძის ლექსის „გახსოვს ტურფავ" ტექსტზე სრულდება).

1900-1912 წწ. ნ. სულხანიშვილი ისევ თბილისშია, 1902 ნ. თეორიულ დისციპლინებში მეცადინეობდა თბილისის სამუსიკო სასწავლებელში; ამავე დროს, კერძო გაკვეთილებს იღებდა კომპოზიციაში გ. ნატრაძესთან. 1912-14 წწ. იმოგზაურა კახეთში და ჩაინერა ქართული ხალხური სიმღერები. 1918 წელს ხელმძღვანელობდა ფასიან გუნდს, 1919 წელს — ფილარმონიულ საზოგადოებასთან არსებულ კაპელას.

ნიკო სულხანიშვილმა საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე ქართულ საგუნდო მუსიკას და ამ ჟანრის პირველი კლასიკური ნიმუშები შექმნა. ზ. ფალიაშვილთან ერთად მან გზა გაუკაფა ქართული საგუნდო ხელოვნების განვითარებას.

1892 წელს მუშაობდა ოპერა „პატარა კახზე" (ა. ნერეთლის მიხედვით, შემოგვრჩა ორი ნანყვეტი — მწყემსისა და პატარა კახის არიები „დაიგვიანეს" და „ძლივს მარტო დავრჩი").

ნ. სულხანიშვილის ყველა გუნდი თანხლების გარეშე (ა. კაპელა) სრულდება, ძირითადად ოთხმიანია და შერეული. ახასიათებს დიალოგური ხერხის გამოყენება — გუნდისა და სოლისტის დაპირისპირება ან შეზავება, ცალკეული სოლო ეპიზოდების გატარება გუნდის ფონზე. ნ. სულხანიშვილის საუკეთესო გუნდებია: „გუთნური" (ი. ჭავჭავაძის ლექსზე „გუთნია დედა"), „სამშობლო ხევსურისა" (რ. ერისთავის ლექსზე), „მესტვირული" (ა. ნერეთლის ლექსზე „ჩონგურს სიმები გავუბი"), „მაშ გამარჯვება" (ს. ფაშალიშვილის ლექსზე) და სხვ.

აღსანიშნავია, რომ ნ. სულხანიშვილმა ქართულ მუსიკაში პირველმა მიმართა რუსთაველის პოეზიას: საგუნდო „ღმერთო, ღმერთო" (დანერილი ავთანდილის ლოცვის ტექსტზე) და რომანსი „მო, ზუალო"

ნიკო სულხანიშვილი გარდაიცვალა 1919 წელს. იგი სამყაროს გამოეთხოვა სიტყვებით: „კონცერტს ვმართავ"

მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეთა მიჯნა ქართული მუსიკალური კულტურის ბრნყინვალე თავფურცელია. აქედან სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდიან პირველი ქართველი კომპოზიტორები და საფუძველი ეყრება ეროვნულ ოპერას.

ნიკო სულხანიშვილის „პატარა კახიდან" მარტო „დაიგვიანეს" შემოგვრჩა. ვანო სარაჯიშვილმა საოცარი მომხიბვლელობით დააღუღუნა ეს მშვენიერი ჰანგი და შემდეგ იგი მთელმა სამშობლომ აიტაცა. მაგრამ კომპოზიტორის დაღუპვის დღესვე „პატარა კახი" სადღაც გაქრა და მისი მრავალტანჯული ოსტატი ქართული ოპერის მესვეურთა რიგებს გარეთ დარჩა. ნიჭიერ ნიკო სულხანიშვილს უპატრონოდ ამოხდა სული.

ეს საშინელი ბედისწერა წარსულს ეკუთვნის.

ზიქინა ხოლოფაშვილი

?-1659

ნუ ელეთ ნეტარ სანატრელ
მე ძალი ვარ ჯანმე. ნაკვალევი ლეკვისაგან
ეი აქ ვარ. ალიაქეთ ნეტარ ნეტარისან

ბილერი.

ძალი ხალ ალალური
ხანიერებე ანიერებიდან.
ეფრინდურეთის ალბანეთიდან
ნეტარ მინიდან.

შექსპირი

ქართლის სამეფო ტახტზე 1658 წელს ავიდა ვახტანგ V, სპარსთაგან შაჰნავაზად ნოდებული.

კახეთი სპარსეთს თავის „სახანოდ" მიაჩნდა და მის სამმართავად აქ თავისი მობელე ჰყავდა. იმჟამად კახეთის გამგებელი იყო სელიმ-ხანი.

სელიმ-ხანს მისი მბრძანებელი ხელმწიფე, შაჰ აბას II, ძალიან დიდ ამოცანას აკისრებდა.

კახეთის მოსახლეობის გაუტეხლობამ და მისი მეფის, თეიმურაზ პირველის ახალმა, ცხოველმა „რუსულმა პოლიტიკამ" ირანის სასახლის კარზე ისევ ააღორძინა დიდი შაჰ აბასის უბოროტესი განაზრახი — კახეთიდან ქართველთა აყრა და მათ ნაცვლად მომთაბარე ელებისა და თურქმანების ჩასახლება.

ამ განაზრახის აღსრულება ახლა სწორედ სელიმ-ხანს ჰქონდა დაკისრებული.

პირველ ჯერზე ერთბაშად 15 000 მრავალსულიანი თურქმანული ოჯახი უნდა ჩაესახლებინათ შიდა და გარე კახეთის მადლიან მიწაზე. უნდა ჩაესახლებინათ და როგორმე ეს ქოჩად მღოლავნი მინაზე დაემაგრებინათ, ხვნა-თესვა, შენება და მკვიდრი ცხოვრება ჩაენერგათ და ჩაემკვიდრებინათ.

ელნი-თურქმანნი ყიშლაღ-იალაღურ ცხოვრებას მისდევდნენ და ქინქლასავით მრავლდებოდნენ. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ სულ მალე მთელი კახეთი ამნაირი „ქინქლებით"

გავსებულიყო, მაღალკულტურული ქართული მინათმეურნეობა დაქცეულიყო და ყიშ-ლაღური ქოჩადმავლებით კახეთის დოვლათიანი მინები სავსებით გაბერნებულიყო.

ასედაც დაიწყო. სელიმ-ხანმა ორ წელიწადში აზერბაიჯანიდან კახეთს თურქმანთა ურდოები კალიასავით შემოუსია და ტანში ტკიპასავით ჩაუჭედა.

ისევ იდროვეს ლეკებმა და კახეთის სოფლებზე აბრაგული შემოსევები განაახლეს. სელიმ-ხანი ლეკთა ყაჩაღობას თითქოს ვერა ხედავდა — კახეთის „თურქმანიზაციას" გულდანდობილად განაგრძობდა.

სპარსეთის ხელმწიფემ, შაჰ აბას მეორემ ეს საკმარისად არ მიიჩნია და თურქმანული კოლონიზაციის უფრო ფართოდ წარმართვისათვის კახეთში საგანგებოდ გამოგზავნა ირანის მაშინდელი ყულარაღასი და სპასალარი ალავერდი-ხანი.

ალავერდი-ხანმა კახეთში სამი ციხე ააშენა: ბახტრიონს, ალავერდს და ყარაღაჯს. საამისოდ ირანიდან ხუროთმოძღვარი, კალატოზები, მშენებლები და ფულიც კი გამოგ-ზავნეს. სამივე ციხეში ძლიერი ყიზილბაშური ციხიონები ჩააყენა ალავერდი-ხანმა. ამ სამ ციხეს უნდა დაეცვა ყიზილბაშობა და თურქმანობა კახელი შურისმგებელი გუნდების თავდასხმებისაგან.

და კახეთის ბარში ერთბაშად 80 000 ელი-თურქმანი ჩაასახლეს.

ბარი იქცეოდა და მისი პურისა და ღვინის შემყურე მთიელობაც დაქცევისა და დამე-ხვის უფსკრულს მისდგომოდა.

ველური ელი-თურქმანი ყრუ გულცივობით ჩეხავდა კახური მზითა და კახელი კაცის სულით აყვავებულ ვაზს...

სნორედ ამ უბოროტეს ჟამს დაიბადა ეს მწარე სიმღერა:

ბასტრიონს ხეზედ თათრები,
სიღეკვის ამბობენ ძმელსაო:
ასეთ ჩაუკრით ყურსასხ,
ძაკ ჩაუსახლებთ ელსაო!

საომრად იარაღასხმული ხალხი „აესხა" კახეთის მთასა და ბარს.

დაჰქროდნენ შურისმგებლური სახალხო რაზმები — ხან აქ და ხან იქ, ყიზილბაშთა და თურქმანთა ზარასაცემად და სისხლის საქცევად.

ხალხის ნიაღში შობილნი შექმნილიყვნენ მშობელი ხალხისავე ბელადნი — ლეგენდარული თუში ზეზვა გაფრინდაული და ხევსური ნადირა ხოშარეული, ფშაველი — გურგენ ჭინჭარაული, გოგოლაური და ძმანი გულუხიძენი, ალვანელი ფუნჩაიშვილი, თუშები — შველაიძე და საღირიშვილი.

... გზად ერთი ხუცესი მოდიოდა, დაღლილ-დაქანცული.

თურქმანები შემოეფეთნენ, შეიპყრეს, საშინლად სცემეს, თმა-წვერი დააგლიჯეს.

ბოღმითა და სირცხვილით გულადუღებული მღვდელი დუშეთს მივარდა და ზაალ არაგვის ერისთავს შეპბღავლა: „შენ ზაალ ერისთავი ხარ და კახეთის გამგებელი; გააოხრეს სრულიად კახეთი უსჯულოთა აგარიანთა და მე გზად შემიპყრეს და შემამთხვიეს საქმე უშვერი ... და ან ამისა პასუხი ღმერთს შენ მიეც და შენ უნდა გასცე. ვინაითგან შენდა რწმუნებულ არს კახეთი"

მძიმედ ჩაფიქრდა და „დიდად მწუხარე იქმნა ზაალ ერისთავი". იგი „ყაენის მომდურავი" იყო მაშინ. ესეც იცოდა ზაალმა, რომ მთისა და ბარის მოსახლეობას უკვე „თავისით" დაეწყო ბრძოლა „თათრული უღლის" ჩამოსაგდებად და მოძალადედ ჩამოსახლებულ „ურჯულო თურქმანთა" ამოსაგდებად. ზეზვა გაფრინდაულის სახელიც ხშირად სმენოდა, მაგრამ აჯანყებული ერის მეთაურობა მაინც „ერის მესვეურ ერისთავს" უნდა მინდობოდა.

სხვა ცნობებიც ჰქონდა ზაალ ერისთავს: აჯანყების სამეთაუროდ თურმე ემზადებოდნენ მისი სიძე ბიძინა ჩოლოყაშვილი, ძმები შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთა-ვანი და ეპის კოპოსი ალავერდელი.

სნორედ ესენი შეყარა ზაალ ერისთავმა სათათბიროდ დუშეთს. ზეზვა გაფრინდაუ-ლიც მოინვიეს („შემოფიცნეს მთის კაცნი თუშნი") და მტკიცედ გადაწყვიტეს აჯანყება „უსჯულო თათართა" ამოსაწყვეტად და კახეთის გასათავისუფლებლად.

საომარი განაზრახიც განსაზღვრეს და გაითვალეს. საპაემნო ადგილებიც დაიგულ-ეს, საიდუმლო ნიშნებიც დაინიშნეს და გულს დაიდუმეს. ერთმანეთს შეჰფიცეს, იარაღი „ბოიკარგეს" და გაუჩინარდნენ.

ზაალ ერისთავი თვითონ არ ნასულა ბრძოლაში, თავისი უფროსი ძე, ზურაბი გაგზავნა არაგველთა ჯარით...

საომარი განაზრახი კი იყო მარტივი, გაბედული და გამანადგურებელი: ნაშუალამევს ერთდროულად და ანაზდეულად უნდა დასცემოდნენ თათართა მთავარ ბუდეებს — ბახტრიონსა და ალავერდს.

ასე — ორ ნაკადად დაიძრა ქართველთა ლაშქარი: კახელები ბიძინა ჩოლოყაშვილის სარდლობით ალავერდისკენ მიისწრაფვიან; ქსნისა და არაგვის ჯარები შალვას, ელიზბარისა და ზურაბის მეთაურობით თიანეთს გადაივლიან, ახმეტას ჩავლენ და ბახტრიონს მიადგებიან.

ბახტრიონისკენ მიუძღვის ზეზვა გაფრინდაულიც უკუღმა დაჭედილ ცხენებზე ამხედრებულ მთიელთა ლაშქარს...

1659 წლის... (დღე ცნობილი არ არის).

ნაშუალამევი.

ბახტრიონი.

მიიერიშე რაზმს მიუძღვის ზეზვა გაფრინდაული.

ნაბდით თავნაკრულ პალოებს ზეაღმა ურჭობს და საოცარი სისწრაფით არბის ციხის კედელზე.

უკვე კიდევაც მოევლო და — „გადაფრინდა ბახტრიონ გალავანზედა"

სხვებიც მიჰყვნენ — თუშნი, ხევსურნი, ფშაველნი — კლდეებზე „ჯიხვებრ მბლტომელნი"

ციხის ალაყაფს დაეტაკნენ.

ვუშაგები ჩახოცეს.

ხმლის ჩახაჩუხმა და მომაკვდავთა ბღავილმა ფეხზე ნამოაგდო ყიზილბაშთა ბანაკი.

მაინც მოასწრო გაფრინდაულმა კარის გაღება.

და წამსვე ციხეში ნიაღვრად მოაზღვავეს ქსანელთა და არაგველთა ჯარები შალვამ, ელიზბარმა და ზურაბმა.

ბილად აღმოხდენილ ცინცხალ მზეს მეწამული სამოსელით შეეგება ბახტრიონი.

ყიზილბაშთა უმრავლესობა დაირეცა მათივე სისხლით ატალახებულ მინაზე.

ერთმა ნაწილმა მაინც მოახერხა გარეთ გაღწევა და ალავერდისკენ გაქცევა.

გამოედევნენ ქართველები.

ალავერდის ციხეში თავშესაფარებლად გარბოდნენ ბახტრიონის ჯოჯოხეთიდან თავდახსნილი ყიზილბაშები და არ იცოდნენ, რომ ალავერდშიც „ის ჯოჯოხეთი" დატრიალებულიყო, რაც ბახტრიონში.

ბიძინა ჩოლოყაშვილს და მის კახელობას ალავერდი უკვე აეღოთ, იქაური ირანული ციხიონი სანახევროდ ამოეულიტათ, დანარჩენ ყიზილბაშობას ალავერდის გალავნიდან გამოეღნია და ბახტრიონის ციხისკენ მირბოდა თავშესაფარებლად.

სნორედ საოცარი „სახილველი" იყო: ბახტრიონელი ყიზილბაშები ალავერდს გარბოდნენ, ალავერდელი ყიზილბაშები კი ბახტრიონს!

ზედ შუა გზაზე, ალვანის ველზე, ერთმანეთს შეასკდა ორის მხრიდან თავპირის-მტვრევით მომლტოლვარე ორი ციხის ყიზილბაშობა.

და სანამ გონს მოეგებოდნენ, ორივე მხრიდან წამოეწივნენ და ნამოესივნენ შურისგებით ადუღებული ქართველები. შემოესივნენ და ისე ასწყვიტეს, ცოცხლად ერთი მოამბეც არ გაუშვიათ.

როგორც კარგი მთიბავის ხელით ღესურად მოთიბული ბალახი ისევ ცერზე დადგება ხოლმე — ასე „ცერზე შეყენებულ ძნებად" ეყარა დახოცილ ყიზილბაშთა გროვანი.

და მაშინ სთქვა ზეზვა გაფრინდაულმა:

„როცა დახოცილი მტერი ასე დათიბული ბალახივით ფეხზე დადგება, ხმალი უნდა შეაყენო და ბრძოლის ველს გაშორდე, რადგან მაინც ცოდო არს ადამიანი"

„ადამიანი?!"

„პო, რამეთუ მტერი მტერია, მაგრამ მაინც არის ადამიანი“

და ცოცხლები მკვდრებს გაშორდნენ.

იმ დღიდან იმ ადგილს, მტრის სისხლით და ძვალ-ხორცით გაპოხილ მინას, ხალხმა დაარქვა „განყვეტილა“

„განყვეტილადან“ ქართველები თურქმანთა დასახლებებს მოედვნენ და დედანულიანად გაჟლიტეს ყველა, ვისაც იმ დღემდე წილი დაედო კახური ოჯახის დაქცევაში, კახური ვაზის გაჩეხვაში, ქართული ეკლესიების, სალოცავების, მინისა და წყლის შებილნვაში...

„ბახტრიონულმა ომმა“ მტერიც და მოყვარეც ერთჯერ კიდევ დაარწმუნა ქართველი ხალხის გაუტეხლობაში, უძლეველობასა და უკვდავებაში.

ირანის სასახლის კარმა ეგზომ დიდი მსხვერპლის სამაგიერო დამსჯელი „ილღარის“ მოწყობაც კი ვეღარ შეუბედა სახალხო აჯანყებით ადუღებულ კახეთს.

კახეთის „თურქმანიზაციაც“ შენყდა.

მბოლოდ აჯანყების მეთაურების დასჯისათვის ზრუნვას შეუდგა სპარსეთის ხელისუფლება.

სპარსელებმა ჯერ ზაალ ერისთავს დაადგეს თვალი, ვითარცა აჯანყების მეთაურს. ზაალმა თავისი „უდანაშაულობა“ იმითი „დაასაბუთა“, რომ აჯანყებაში პირადად მონაწილეობა არ მიუღია და ყველაფერი ალი-ყული-ხან ქენგერლუს „ცუდ ქცევას“ გადააბრალა.

ალი-ყული-ხან ქენგერლუ შაჰმა ბეგლარბეგობიდან გადააგდო და კახეთი მთლიანად მურთუზ-ყული ხანს ჩააბარა, მაგრამ ზაალ ერისთავი დაუსჯელად მაინც არ დატოვა.

სპარსელებმა არაგვის ბატონის განადგურება ქართლის მეფე ვახტანგ მეხუთეს დააკისრეს.

ვახტანგ მეფე ამდენ ხანს თითქოს „განზე იდგა“, თითქოს მას „ბახტრიონული ომი“ არც არაფერი შეუტყვია. სინამდვილეში ვახტანგის „ზომიერი პოლიტიკა“ კახელთა აჯანყებაში მის პირად მონაწილეობას გამორიცხავდა, მაგრამ კახელთა შურისმგებლობა ხელით სპარსელთა ამონყვეტას სულით და გულით თანაუგრძნობდა. ხოლო, რაც შეეხება თვითონ ზაალ ერისთავს, მისი პირადი განადგურება ვახტანგს კიდევაც ჰქონდა გულს ამოყრილი. საქმე ისაა, რომ ზაალ ერისთავი ქართლის მეფის განუყოფელ ხელისუფლებას ებრძოდა, ცალკე „ხელმწიფობას“ ჩემულობდა და კახეთის მიტაცებისთვისაც თავს არ იზოგავდა, და ეს ყოველივე მაშინ, როცა ვახტანგ მეფე — ვითარცა ქართლის უმაღლესი ხელისუფალი — თვითონ აპირებდა კახეთის შემოერთებასაც და საარაგვოს სრულ დამორჩილებასაც.

ერთი სიტყვით, ვახტანგ მეფეს ზაალ ერისთავი უნდა მოესპო არა როგორც კახეთის აჯანყების მონაწილე, არამედ როგორც ქართული მიწა-წყლის გაერთიანების მტერი და ხელის შემშლელი.

და მოსპო კიდეც — ძმისწულებს მოაკვლევინა.

ხოლო ზურაბი, ვითარცა ბახტრიონის აჯანყების მონაწილე და ერთ-ერთი მეთაური, სპარსელმა ჯალათებმა ციხეში მოკლეს.

ბოლოს დადგა საკითხი აჯანყების მთავარი და ნამდვილი ბელადების — ბიძინა ჩოლოყაშვილისა და ქსნის ერისთავთა დასჯისა.

რაკი საქართველოს „ყოველი საქმე“ მაინცდამაინც ვახტანგ მეფეს „ეკითხებოდა“, ბუნებრივია, ბიძინა, შალვა და ელიზბარი სწორედ ვახტანგთან უნდა მისულიყვნენ „კუთვნილი მსჯავრის“ მისაღებად.

მაგრამ ქართველები ქართველს არ ენდნენ. კახეთის აჯანყების მეთაურები ვახტანგ მეფის ნაცვლად ყიზილბაშ მურთუზ-ყული-ხანს ეახლნენ ყარაღაჯში.

სპარსელმა ბეგლარბეგმა კი სამივე ქართველი — ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავნი — მისვლისთანავე შეიპყრო და ირანს გაგზავნა, შაპის სამსჯავროში.

შაჰ აბას II თავისი დიდი წინაპრისა და სეხნიის მიმდევარი და მიმბაძველი იყო. ეს „პატარა შაჰ აბასი“ დიდი შაჰ აბასივით ცდილობდა, ყოველი დიდი ქართველი თათრობის

გზაზე შეეგდო და, საქართველოს სამტროდ და საზიანოდ, სპარსეთის „ისტორიის მჭედლად“ გადაექცია.

ასე დაუპირეს მაშინ ბახტრიონის აჯანყების ბელადებსაც. სამივეს იგივე უთხრეს, რაიც სპარსეთში მოუსმენია „მილიონ ერთს“: ან მაჰმადიანობა მიიღეთ და სპარსეთის სამსახურში შედით, ან სიკვდილისთვის მოემზადეთო!

სამივემ უყოყმანოდ, ქრისტიანობასა და ქართველობაზე ხელის აღებას სიკვდილი არჩია.

ბიძინამ მშვიდად და მტკიცედ უთხრა შალვას და ელიზბარს:

„ძმებო, ნუ მოემედგრდებით (ნუ დავეცემით) და ნუ შევშინდებით, რამეთუ სიკვდილი უნებელად დაბადებიდანვე თან გვახლავს, ვერც ვერავინ წინააღუდგების სიკვდილსა და რაკი უნდა მოვკვდეთ, ბარემ მოვკვდეთ ქრისტესთვის და საქართველოსთვის და სამარადჟამოდ დავიმკვიდროთ სასუფეველი“

არც შალვას და არც ელიზბარს წაქეზება არ სჭირდებოდათ, რადგან არც ერთი მათგანის გულსა და გონებას სხვა რამ აზრი არ გაპკარებია — მხოლოდ სიკვდილი ქრისტესთვის და საქართველოსთვის!

სამივე „განბასრეს (გაკიცხეს) და გინებულ ჰყვეს სჯული მაჰმადისა“. სამივემ „ერთხმობით“ სამარეში ჩასატანად დაინარჩუნა ქრისტიანობა და ქართველობა.

გაცოფდა ირანის მბრძანებელი.

და — „ვითარცა ნესი და ჩვეულება არს თათართა, რამეთუ მკვლელს ხელში მისცემენ მოსისხარსა“, შაჰის ბრძანებით სამივე ქართველი მამულიშვილი მიუგდეს იმ ელთურქმანებს, რომელთა ნათესავნი ჩოლოყაშვილისა და ქსნის ერისთავთა მეთაურობით ამონყვიტეს ქართველებმა ბახტრიონულ ომში.

ალბათ, რამდენჯერ უნატრიათ გონებაბრჯგუებს ბიძინა ჩოლოყაშვილისა და შალვა-ელიზბარ ერისთავთა სისხლის დალევა! და აი, აუსრულდათ ეს დღე-ღამ სანატრელი. და წამებასაც ხომ მრავალი საუკუნის „პრაქტიკულ-ნოვატორული“ ისტორია ჰქონდა ირანულ-თურქმანულ ტომებში...

და ანამეს დიდი ქართველი მამულიშვილნი.

ასოეულებად ასჭრეს და აჰკაფეს.

(„ხოლო უნყალოთა მათ მტარვალთა ინყეს რა მოჭრად თვითოეულთა ასოთა ყოველნიე თითნი ხელისა და ფეხისანი მოჰკვეთნეს თვითეულად სახსარ-სახსრად. და მერე, მაჯა-იდაყვნი, და მხარნი, და ფერხნი კოჭებიდგან მუხლებადმდე, და ესრეთვე თეძონიცა...“).

ქართულმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა სამივე გმირი — რაინდი ქრისტიანობისა და მამულიშვილობისა.

ქაქუცა ჩოლოყაშვილი

1888-1930

რა ყოფილ. ორგელ ადარ ვაძლებ.
ხმა ხმის ძახი ბადალი.
ქაქუცაზ ძახი ხეფერ.
ითმინი ჩანოძაყალი..

ხალხური

ქაქუცა ჩოლოყაშვილი ერთი იმათაგანია, ვისი სახელიც ლეგენდასავით გავიდა ხალხში. ამ ლეგენდებს კვლავ ახალი ემატება, რისი მიზეზი, უნინარეს ყოვლისა, ის არის, რომ მის სახელს დღემდე ჩვენში ტაბუ ჰქონდა დადებული. არადა, ალბერეული ამ პიროვნებისადმი, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, დღითი-დღე მატულო-

ქაიხისრო (მეტსახელად ქაქუცა) ჩოლოყაშვილი პირდაპირი ჩამომავალი იყო სახელოვანი ნინაპრის, საქართველოს ისტორიაში კარგად ცნობილი სახალხო გმირის, ბიძინა ჩოლოყაშვილისა. იგი დაბადებულა 1888 (საფლავის ქვაზე ამოკვეთილი მცდარი ცნობით 1880) წლის 14 ივლისს კახეთში, მამაპაპურ სოფელ მატანში. მისი დედ-მამა იყვნენ დარია და იოსებ ჩოლოყაშვილები. სწავლობდა თბილისის სათავადაზნაურო ქართულ გიმნაზიაში. სამხედრო სამსახური გაიარა რუსეთში, ტვერის დრაგუნთა პოლკში და სამმობლოში დაბრუნდა ოფიცრის ხარისხით. 1913 წელს ცოლად შეირთო ნინო ილიას ასული მეღვინეთუხუცესი, ვისგანაც ორი ასული – თამარი (ციცნა) და ქეთევანი შეეძინა... ამათგან ციცნა 1988 წლის შემოდგომაზე გარდაიცვალა თბილისში, ქეთევანი კი თავს მხნედ გრძნობს. დღეს მათი ქალიშვილები აგრძელებენ ქაქუცას გენს საქართველოში.

პირველი მსოფლიო ომის დაწყებისას, 1914 წელს, ქაქუცა ჩოლოყაშვილი ჯარში გაიწვიეს და ძთელი ომი ბრძოლის ქარცეცხლში გაატარა. როგორც ძლიერმა მამაკაცმა და ოფიცერმა მეთაურმა შორს გაითქვა სახელი.

თანამედროვეთა ერთსულოვანი დახასიათებით, „ქაქუცა ჩოლოყაშვილი იყო განსაკუთრება ქართველი რაინდისა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. დინჯი, დარბაისელი და უაღრესად კეთილი გულის პატრონი. ისეთი თვისებებით დაეჯილდოებინა იგი ბუნებას, ათას კაცში რომ აგერიათ, სრულიად უცნობი ადამიანიც კი მიაქცევდა მას ყურადღებას. ის ძალიან უყვარდა ჯარისკაცებს და მათი საერთო პატივისცემით სარგებლობდა კიდეც. როგორი მხდალიც არ უნდა ყოფილიყო ჯარისკაცი, საუკეთესო ვაჟკაცად იქცეოდა ქაქუცას ხელში. უდავოდ, მხედრად იყო დაბადებული" (ალ. სულხანიშვილი, ჩემი მოგონებანი, სან-ფრანცისკო, 1981, გვ. 196).

შ. ამირეჯიბის ცნობით, „1914 წელს ქაქუცა ჩოლოყაშვილი დაჭრილ იქმნა ავსტრიის ფრონტზე და გადმოყვანილი კავკასიის ფრონტზედ. როგორც დაჭრილი, ის უფროსობდა ზურგის ჯარის ასეულს და ამ დროს დაიწყო ოსმალეთის ჯარის იერიში სარაყამიშზედ. რუსის ჯარი ცოტა იყო. ოსმალები აშკარად სჭარბობდნენ. მათ უკვე შემოუარეს რუსებს ზურგიდან და აი, ამ დროს იღებს იგი ბრძანებას: თავის მუშა-ჯარისკაცებს თოფები დაურიგოს და ფრიად სტრატეგიული მნიშვნელობის „არწივის ბუდის" მთა ოს-

მალებისაგან უკან დაიბრუნოს. ჩოლოყაშვილმა ეს ბრძანება ბრწყინვალედ შეასრულა და „არწივის ბუდე" დაიბრუნა. ოსმალებმა ისევე განაახლეს „არწივის ბუდის" იერიშები. ჩოლოყაშვილი ფეხში დაიჭრა. მას წინადადებას აძლევენ უფროსობა სხვას გადასცეს ლ. თითიონ ლაზარეთში წავიდეს. იგი თავის პოსტზე რჩება და ისევ იღებს ჭრილობას, ამჯერად მკერდში და ფრიად მძიმეს, მაგრამ „არწივის ბუდე" მას რჩება"

მძიმედ დაჭრილი ჩოლოყაშვილი წმიდა ნინოს ქართულ საავადმყოფოში მოირჩენს თავს.

სარაყამიშის დაცვისათვის ქაქუცა ჩოლოყაშვილი ოქროს ხმლით დააჯილდოვეს.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ქაქუცა ჩოლოყაშვილი ქართულ ჯარში მსახურობს და, როგორც გამოცდილი და გულადი ოფიცერი, მონაწილეობს ამ ხანებში გადახდილ ყველა ბრძოლასა თუ სამხედრო საქმეში... იგი არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არ ეკუთვნოდა (ამიტომ სოციალ-დემოკრატები მას ნაკლებ ნდობით ეკიდებოდნენ, აქაოდა, თავადია და ჩვენ მხარს არ დაგვიჭერსო) და თავის მონოდებას მხოლოდ საქართველოს სამსახურში ხედავდა.

1921 წლის 24 თებერვალს მენშევიკების მთავრობამ თბილისი რომ დატოვა და ბათუმისკენ გაეშურა, ხოლო ქართულმა ჯარმა დაშლა დაიწყო, ამ დროს ქაქუცა ჩოლოყაშვილი სახელმოხვეჭილ ქართველ კავალერისტ გენერალ დავით ჭავჭავაძესთან ერთად სამეგრელოში იმყოფებოდა, სადაც ისინი მთავრობამ გაგზავნა ცხენოსანთა ნაწილების ჩამოსაყალიბებლად.

1921 წლის 17 მარტს ბათუმიდან გავიდა იტალიური გემი, რომელზეც ნოე ჟორდანია იმყოფებოდა... ქაქუცა ჩოლოყაშვილი მას არ გაჰყვა, საქართველოში დარჩა და ინყებს ბრძოლას ახალი წყობილების წინააღმდეგ.

ქაქუცა ჩოლოყაშვილი ჯერ თბილისში დაბრუნდა და პირველ თვეებში კვლავ ქართულ ათასეულში ვხედავთ. თბილისში იგი ხვდება გენერალ კონსტანტინე (კოტე) აბხაზს, ილია ჭავჭავაძის უფროსი დის — ნინოს ვაჟიშვილს, აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურობის ყოფილ მარშალს, მაშინდელი პარიტეტული კომიტეტის მეთაურს, რომელთანაც მოლაპარაკება ჰქონდა მოსალოდნელი ბრძოლების თაობაზე. შემდეგ კი იგი კახეთს გადავიდა, შეადგინა მცირე ჯგუფი „საქართველოს შეფიცულები", რომელსაც ორგანიზაცია უნდა გაეკეთებინა პარტიზანული ბრძოლის დაწყებისათვის (1921 წლის ივლისი). კახეთს გარდა ქაქუცა სანდო პირებს გზავნიდა სხვადასხვა კუთხეებში (დუშეთსა და გორის მაზრებში) და ქმნიდა ფარულ ორგანიზაციებს...

1922 წლის 12 მარტს ქაქუცა ჩოლოყაშვილი ქიზიყიდან თავისი შეფიცულებითურთ ტყეში გავიდა. პირველი ექვსი კაცი, რომლებთან ერთადაც ქაქუცა ჩოლოყაშვილი დაბანაკდა ალვანის ტყეში, ყოფილან მიხა ბალიაშვილი, ვასო თამაზაშვილი, სოსო ლოსაბერიძე, მიშა ნაცვლიშვილი, ს. ჩითინაშვილი და ქიზიყელი ბიჭი ქარუმა. შემდეგ მას სხვადასხვა დროს შეემატნენ ალექსანდრე სულხანიშვილი, სვიმონ (სიკო) ჩოლოყაშვილი (ძმა ქაქუცასი, რომელიც მალე დაიღუპა), ელიზბარ ვაჩნაძე, რაფიელ ერისთავი, ლელო ჩიქოვანი, ელიზბარ მაყაშვილი, ალექსანდრე კარგარეთელი, სერგო მაისურაძე, დიმიტრი ჭინჭარაული, მიხა ხელაშვილი, ალ. ბადურაშვილი, ილია ქარუმიძე, ალ. ცხვედაძე, გოლა პაელიაშვილი, მერაბ ჯორჯაძე, შალვა ნებიერიძე, მიშა ლაშქარაშვილი, ალექსი ფეიერიშვილი, შალვა და ლევან ჯავრიშვილები და სხვები...

პირველი შეტაკება ქაქუცა ჩოლოყაშვილს და მის შეფიცულთ ნითელრაზმელებთან მოუხდათ ქ. სიღნაღთან 1922 წლის ივნისში და აქედან იწყება ამ ორი მონინააღმდეგე ბანაკის თითქმის 4-წლიანი ბრძოლების მატიანე...

პარტიზანული ბრძოლის ხასიათი ქაქუცა ჩოლოყაშვილს აიძულებდა, თავისთან დიდი რაზმი არ ჰყოლოდა. იგი ადგილს მოულოდნელად იცვლიდა: ხან სიღნაღის მაზრაში იყო და ხან თელავისაში, ხან კიდევ ქართლში ან დუშეთის მაზრაში... 1922 წლის ზაფხულში მოაწყო ხევსურეთის ამბოხება, რომელიც წარუმატებლად დამთავრდა... ქაქუცა იძულებული შეიქნა, ჩრდილოეთ კავკასიაში გადასულიყო, მაგრამ შემოდგომაზე კვლავ უკან დაბრუნდა. ამის შემდეგ მთავარი ამბოხება, რომელშიც დასავლეთ საქართველოც მონაწილეობდა, დაინიშნა 1924 წლის 17 აგვისტოსათვის, მაგრამ შეუთანხმებლობის გამო, გადაიდო 29 აგვისტოსათვის, ღამის 2 საათზე. ჭიათურაში ამბოხება 29 აგვისტოს ნაცვ-

აქსვა და ამბოხება უკვე წინასწარ განწირული აღმოჩნდა. ზოგიერთები ჭიათურაში ამბოხების ერთი დღით ადრე დაწყებას ჭიათურის მადნეულის სალაროს გატეხა-გაძარცვით ხსნიან... ასე იყო თუ ისე, ამბოხება გასცეს, მაგრამ ქაქუცამ მაინც სცადა აჯანყების აღმოსავლეთ საქართველოში მოწყობა, მით უმეტეს, რომ 24 აგვისტოდან „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის" (დამკომის) წევრები (კოტე ანდრონიკაშვილი — თავმჯდომარე, სპირიდონ ჭავჭავაძე, იასონ ჯავახიშვილი, შალვა ამირეჯიბი და ბოჭორიშვილი) თბილისიდან ქაქუცას ბანაკში იყვნენ ჩასულნი. ამ მიზნით ქაქუცა ჩოლოყაშვილი თავისი რაზმით 1924 წლის 29 აგვისტოს ღამით თავს დაესხა მანგლისის სამხედრო ყაზარმებს და მანგლისი აიღო, შემდეგ გადავიდა ქართლში (დამკომის წევრები აქ დარჩნენ და ჩამოშორდნენ ქაქუცას), ხოლო 3 სექტემბერს იგი უკვე დუშეთშია, სადაც ციხიდან პატიმრები გაათავისუფლა... დუშეთიდან ქაქუცას ერნოში ვხედავთ, სადაც სვიმონიანთ-ხევში 6 სექტემბერს დიდი ბრძოლა გადაიხადა. სხვათა შორის, მან აქ გაიგო დამკომის მიერ გამოცემული ცნობილი პროკლამაცია, რომელიც აჯანყებას დამარცხებულად თვლიდა და ხალხს იარაღის დაყრისკენ მოუნოდებდა, მაგრამ ქაქუცამ კვლავ სცადა აჯანყების შემობრუნება... შემდეგ კვლავ კახეთი (ხევგრძელას ცნობილი ბრძოლა). ბორჩალო, თეთრინყარო...

ამბოხების სრულ უპერსპექტივაობაში საბოლოოდ დარწმუნებულმა ქაქუცა ჩოლოყაშვილმა და მისმა რაზმელებმა გადაწყვიტეს საზღვარგარეთ წასვლა. 1924 წლის სექტემბერში ისინი უკვე თურქეთის სასაზღვრო სოფელ ზურმანაში არიან, აქედან ჩავიდნენ ჯერ არდაგანში, შემდეგ ართვინში, სადაც ერთი იქაური ლაზის სასტუმროში ორი კვირა დაჰყვეს. ართვინიდან ქაქუცა ჩოლოყაშვილი მხლებლებითურთ (გენერალი სპირიდონ ჭავჭავაძე, ელიბზბარ ვაჩნაძე, რაფიელ ერისთავი, ალექსანდრე სულხანიშვილი, ლელო ჩიქოვანი, ს. ზალდასტანიშვილი, ალექსანდრე კარგარეთელი...) ხოფში გადავიდა. მათ მემოუერთდნენ ჭიათურიდან გამოქცეული მეამბოხენი (სვიმონ ნერეთელი, გიორგი ნერეთელი, შალვა ბერიშვილი, ი. სალუქვაძე, პროკოფი ინნკირველი და სხვ.). შემდეგ ტრაპიზონის გაელით ჩადიან სტამბოლში, საიდანაც ბერძნების გემით საფრანგეთისაკენ აიღეს გეზი: აქ ისინი ჯერ მარსელში ჩავიდნენ, ხოლო მარსელიდან ნაწილი საფრანგეთის სხვადასხვა ქალაქებში გაიფანტა, ხოლო ნაწილი, მათ შორის ქაქუცა, პარიზში დასახლდა...

ქაქუცას ერთ-ერთი რაზმელის ალ. კარგარეთელის სიტყვებით, „დაიწყო ჩვენი დუხჭირი ცხოვრება საფრანგეთში. გაჭირვებულებმა დავინყეთ სამუშაოს ძებნა. ზოგი სხვა და სხვა საფრანგეთის ქალაქებში გავიფანტენით. მაღაროებში თუ ქარხნებში დაინყეს მუშაობა. ჩვენი ჯგუფის ერთი ნაწილი მოეწყო ქ. ოდენკურში, „პეჟოს" ავტომობილის ქარხანაში, სადაც უკვე ბევრი წინანდელი ჩამოსული ქართველები დაგვხვდნენ. ქაქუცა პარიზში დაბინავებულიყო. რადგანაც ქაქუცას არ უნდოდა თავის შეფიცულების დაქსაქსვა სხვადასხვა ქალაქებში, მან გადასწყვიტა მათი ერთად ყოფნა; პარიზის მახლობლად ვიროფლეიში იქირავა სახლი, სადაც ყველა შეფიცულები ჩამოიყვანა და ერთად დაასახლა.

ამ სახლში ვცხოვრობდით ქაქუცასთან ერთად, რომელიც დიდ ყურადღებას გვაქცევდა. გვარიგებდა ყველას, როგორ მოვქცეულიყავით...

აქ დაეწყო მას ავადმყოფობა, რომელიც მისთვის საბედისწერო გახდა: გაეხსნა ძველი ჭრილობა, გაუჩნდა შიგ იარა. გაგზავნილ იქნა მთებში საექიმოდ, საიდანაც წერილებს ხშირად ინერებოდა..."

ალ. სულხანიშვილი ასე აღწერს ქაქუცა ჩოლოყაშვილის სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს ოტსაუას სანატორიუმში:

„... მე სადილი ვაჭამე ქაქუცას. ერთი ბენო შეჭამა... მერე გავედი და გარეთ დავჯექი. ძალიან ცოტა ეძინა, რამაც მხოლოდ დაასუსტა. ამასობაში სულ ორმოცდაათმა წუთმა თუ გაიარა, რომ დამიძახა. მაშინვე შევედი. ის საშინლად აღშფოთებული და გაჯავრებული დამხვდა. მან სავარძლის თავაყუდზე მიმითითა, სადაც ოქროს ჯაჭვზე ეკიდა ჯვარი ორ თუ სამ ოქროს წმინდათან ერთად და ჩემის ხელით ტყავში გამოკერილი საქართველოს მიწა, რომლებსაც განუყრელად თან ატარებდა ქაქუცა. „ჩამოხსენი"-ო, მითხ-

რა მან, როგორც კი შევედი. „რა მოხდა? რა ამბავია?"-მეთქი, — ვკითხე დაბნეულმა, რაზ-ეც ეს პასუხი გამცა: „შეხსენი საქართველოს მიწა, დადე აი, აქ, პატარა მაგიდაზე. ეს ჯვარი და წმინდანები ჩემს შვილს მიუტანე; ხომ იცი, იმისია"-ო. თურმე ორმოცდაათი წუთი რომ ჩაიძინა, თავისი უფროსი შვილი უნახავს სიზმარში და მას უთქვამს: „მამა ჩემო, მომეცი ჩემი ჯვარი"-ო, ამაზე იყო იგი შეშფოთებული: „ახლა კი გათავდა ჩემი ცხოვრება"-ო. მე თუმცაღა შევეცადე გამექარწყლებინა მისი ავისმომასნავებელი სიზ-მარი, მაგრამ ამაოდ: „შენ ახალგაზრდა ხარ; შენ ჩაუტანე ჩემი სულ ყველაფერი ჩემ შვი-ლებს"-აო, დამიბარა მან. აი, სნორედ მაშინ დაიბარა ანდერძად, რომ დაგვეწვა მისი ნეშტი, ხოლო სულ სხვა იყო ჩემი მოსაზრება ამის თაობაზე, რის გამო ანდერძის შეუსრულებლ-ობა ცოდვად არ ჩაითვლება..."

მეორე დღეს პარიზიდან ჩამოსულა ცნობილი ქართველი ექიმი ვახტანგ ღამბაშიძე, მაგრამ სულ ორი დღე გავიდა მისი ჩამოსვლიდან, რომ 1930 წლის 27 ივნისს ღამის 10 სთ. და 40 წთ-ზე ქაქუცა ჩოლოყაშვილი გარდაიცვალა: „... იქნებოდა დაახლოებით თე-რთმეტი საათი, რომ მე და ვახტანგი იმის პალატაში შევედით. მან რაღაც დაილაპარაკა. ჩვენ მაშინვე მივცვივდით და მე ხელით წამოვუნიე თავი ქაქუცას. მან კიდევ დაიბრია-ლა. აი, ის იყო უკანასკნელი დახმაურება ამ დიდი მებრძოლისა, რომელიც ვეფხვივით ებრძოდა თვით სიკვდილსაც კი!" — ჰყვება ალ. სულხანიშვილი.

ქაქუცა ჩოლოყაშვილის ცხედარი პარიზში გადაასვენეს ბერძნულ ეკლესიაში, სადაც ექვს დღეს იყო დასვენებული. დღეს მისი ნეშტი არ დაუწვიათ, რადგან ახლობლებმა კარ-გად იცოდნენ, რომ მას საშინლად სძაგდა დაწვა.



ალექსანდრე სულხანიშვილი

1895-1990

ერთი კიდეც დამდებოდა სამშობლოს მიწაზე ფეხი. ერთი კიდეც სამსალი-ჭ სვენი ანგეთის ჭიური და ფერე რაც იქნება. ადარ ეიდერდეს.

ა. სულხანიშვილი

ალექსანდრე სულხანიშვილი სან-ფრანცისკოელი ქართველი, საქართველოს ერთ-ერთი უხუცესი წარმომადგენელია. იგი ქაქუცა ჩოლოყაშვილის მეფიცულთა რაზ-მის წევრი იყო და არამარტო წევრი — მისი მარჯვენა ხელი, მისი მოადგილე და მეგო-ბარი. 1924 წლიდან ემიგრაციაშია. ჯერ მუშად იყო საფრანგეთის სხვადასხვა ქალაქში, ერთხანს ტაკსისტად უმუშავია პარიზში. გერმანიაშიც უცხოვრია, შვეიცარიაშიც. თითქ-მის 40 წელინადი ამერიკაში იცხოვრა. აქტიურად თანამშრომლობდა ქართულ ემიგრან-ტულ პრესაში. 1981 წელს სან-ფრანცისკოში გამოიცა წიგნი „ჩემი მოგონებანი" 1985-87 წწ. იქვე გამოსცა ბროშურა: „რა ხდებოდა მეტეხის ციხეში ქართველებს შორის 1923 და 1924 წლებში და ილიას მკვლელობის სინამდვილე", „ჩემი პასუხი ჟორდანიას მემკვიდრეებს" და „შეფიცულთა რაზმის ცხოვრება საფრანგეთში 1924 წლის ნოემბრიდან"

იქაური ქართველები მწვავედ განიცდიან უსამშობლობას. განსაკუთრებით ალექ-სანდრე სულხანიშვილი ღელავდა, როგორ დამშვენებულა თბილისიო, უხაროდა. ალექ-სანდრე სულხანიშვილმა ბოლოს ნასათუთარი სურვილი გაგვიმხილა — გვიამბობს პაატა ნაცვლიშვილი: „ჩემთან ინახება ქაქუცა ჩოლოყაშვილის ძვირფასი ხმალი და ქამარ-ხანჯალი, იქნებ დამდოთ პატივი და ეს ნივთები საქართველოში ჩაიტანოთო. დავთანხმ-დით. გაიხარა: თქვენ აგაშენათ ღმერთმა, რაკი ამ იარაღის დარდი აღარ მექნება, მმვი-დად მოვკვდებიო.

შემდეგ ალექსანდრე სულხანიშვილმა იარაღს აკოცა და გადმომცა. მადლობის თქმა ბოლომდე არ დამაცადეს, მთელი ბანაკი შემოგვეხვია, ყველას უნდოდა ენახა, რას წარ-მოადგენდა ნივთები, რომლებსაც მოხუცი ემიგრანტი ათეული წლების განმავლობაში ინახავდა და დღეს ბედნიერი იყო იმით, რომ სამშობლოს უბრუნებდა. მერე კიდევ სხვები შემოეხვივნენ საშას, ხელს ართმევდნენ, კოცნიდნენ, საშამ აქ უკვე ვეღარ შეიკავა ცრემ-ლები და აქვითინდა... არა, ხმალ-ხანჯალს კი არ მისტიროდა, ვინ იცის, იქნებ იმ ნივთებს შენატროდა კიდეც, სამშობლოში რომ ბრუნდებოდნენ..."

ალექსანდრე სულხანიშვილის ნატვრა ასრულდა, იგი 1990 წელს დაბრუნდა სამშობ-ლოში და ამავე წელს აქვე აღესრულა 95 წლის ასაკში.

ისე კალმანი ეთხოვება ცისფერ სამზეოს.
ისე კალმანი უბრუნდება მზისფერ საოავეს
და ვალისისდილი ცის და მიწის სინამდვილეესთან
კვდება უსუმრად, დაწინწკლული უბრალოებით...

ანგეთის ცაზე იკვეთება ჯვარი ვაზისა.
ანგეთში ტირის რეაწოთელი რტოებაკრილი,
ამაოამ ანგეთს ვაუხსნება ძველი ჭრილობა,
მიეკვებება თანამებრძოლს ჩილოყაშვილის.

ალაყურდს. ალბათ. ქარხანური დაფხიჩრება
დაფხიჩრება ძაი ცხენი. ფაფარაძლიილი.
თეთრი ეიორეის ეკლესია ვადფითრდება
და ქრთული ძაწს ნაესვეკ სულხანიშვილი.

ალაზნის კედელ ძირდისფერი იდგება დიდ.
ალაზნის კედელ ძირდისფერი იერლებს ქარი.
ამდარ. ალბათ. გაფვიმდება ანეურის ეზასე
და საბნელეში ვიელვეებს ქაქუცას ხმალი.

ამდარ ვახეთს წაბინდა ნინო მოეგლინება.
ვაზის რტოებმი ვაშიურთება ფაქიზი ხახე.
ამდარ ვახეთს უწერია ვამოფსინდება
და ეიეკეამიაერთან ვაბრწეინდება ბებერი მთვარე.

ანე ქრთეული ეთხოვება ცისფერ ანმეფოს.
ანე ქრთეული უბრუნდება ძნისფერ სათეეს
და ვალამოხდილი. ძაშელის და ღამრთის წინაშე.
„ეედება ქრთელია. ღირსეული უბრალოებით.“..

თინათინ მღვდლიაშვილი

11ნოემბერს დილით ალექსანდრე სულხანიშვილის ცხედარი გომბორის გზით ნაასვენეს ახმეტის რაიონის სოფელ აწყურში, სადაც იგი მშობლიური სოფლის ეკლესიის გალავანში, საგვარეულო საძვალეს მიაბარეს სამუდამო განსასვენებლად.

ზეზვა გაფრინდაული

ბევრჯერ უნახავს ქართველის მტერს,
რომ ცოტაც ბევრის მძლეველია.
ილია

საქართველოს დაუძინებელმა მტერმა შაჰ აბასმა 1617 წ. კახეთი ძირფესვიანად ამოაგდო. ასი ათასი კახელი განყდა მასთან ბრძოლაში. ამდენივე, თუ მეტი არა, მან სამუდამოდ სპარსეთში გადაასახლა. კახეთი დანვა და გადაბუგა, ვენახები და ხეები ააჩეხინა და საქართველოს ულამაზესი კუთხე უდაბნოდ აქცია. მაგრამ სისხლისაგან დაცლილმა კახეთმა დამპყრობელს ქედი არ მოუხარა, არაერთი საოკუპაციო ლაშქარი გაჟლიტეს კახელმა მოლაშქრეებმა, არაერთმა სახალხო აჯაყებამ იფეთქა უკაცურ კახეთში და შაჰ აბასი ისე ჩავიდა საფლავში, რომ კახეთის სიკვდილს ვერ ელირსა, მისი ჯავარი თან ჩაიყოლა.

მაგრამ შაჰ-აბასის სიკვდილით არ ეშველა კახეთს, აბასის მემკვიდრენი შაჰ სეფი და აბას მეორე განუხრელად ახორციელებდნენ აბას პირველის პოლიტიკას საქართველოში. კერძოდ, სპარსეთს მეტად აინტერესებდა კახეთი იმიტომაც, რომ უკანასკნელი აქტიურ მისწრაფებას იჩენდა რუსეთისადმი, უგზავნიდა ელჩებს და შველას სთხოვდა. ამ მხრივ კახეთი საფრთხეს უქმნიდა სპარსეთს. მაშინ ხელმეორედ გაიხსენეს შაჰ აბასის გეგმა — კახეთის დასახლება თურქმენი თათრებით, დაიწყო „სრულიად დაპყრობა თათართაგან" და „აღხოცვა კახეთსა" მომთაბარე თურქმენ-თათრები კალიასავით მოედნენ კახეთს და 80 000 კომლმა იორსა და ალაზანზე საუკეთესო ადგილები დაიჭირა. კახეთი უკვე განნირული იყო. მეფე თეიმურაზ პირველი იმერეთს იყო გადახვენილი და ხალხს მეთაური აღარ ჰყავდა. მაგრამ მამულის მოყვარული ქართველობა წინ აღუდგა მტრის ჯოჯოხეთურ გეგმას და 1659 წ. ბიძინა ჩოლოყაშვილის, შალვა და ელიზბარ ერისთავების მეთაურობით პარტიზანულმა რაზმებმა ამოწყვიტეს ოკუპანტები და გაათავისუფლეს კახეთი. ბრძოლა მოხდა ალაზანგაღმა, ალვანის მინდორზე, სადაც ქართველებმა დალეწეს მტრის უმტკიცესი ციხეები ბახტრიონისა და ალავერდისა.

გადმოცემით, ბახტრიონის აღებაში თავი ისახელა არა ერთმა და ორმა სახალხო გმირმა. მაგალითად, ძმებმა საღირიშვილებმა, ფშაველმა გოგოლაურმა, ხოშარეულმა და თუშების ბელადმა ზეზვამ.

ყველა საქმეში თუშები მას ირჩევდნენ წინამძღვრად:

ძენ. ზეზვავ, გაფრინდაულო,
ძიგლე ხარ, თუძო. ესითა,
თუშებს რო ვუშ'ირდებათ,
შენ დაგარჩევენ ხელითა...

თავისუფლებისა და მამულის მოყვარული გმირი ვერ ეგუებოდა კახეთის აკლებას და ალვანში თურქმენების ჩასახლებას.

ზეზვასთან ერთად სხვებიც იყენენ შეფიცულები, რომელთა გულში ნვეთ-ნვეთად გროვდებოდა შურისძიების ცეცხლი; მტკიცედ გადაწყვეტილი ჰქონდათ, შეემუსრათ თათრები და მათი მტარვალობის ბუდე ბახტრიონი:

ბიჭი ვარ ვოგოლაური...
ნუ მძინავ ტალავარშედა;
ხელს დაკრავ, ვადავფრინდები
ბახტრიონ ვლავანშედა!

არაერთი გმირი გაივლებდა ხოლმე გულში ამ სიტყვებს. ქართლ-კახეთი უკვე განადგურებული იყო.

მთაში გადარჩენილ ქართველობასღა შეეძლო მტერთან გამკლავება. მთა ამ დროს აქტივობას იჩენდა, რადგან „ზურგი აღარსათ ჰქონდათ", თუშ-ფშავ-ხევსურთა შეერთებულმა ყრილობამ ორჯერ, 1657 და 1658 წლებში, თავისი ხევისბერები გაუგზავნა ელჩებად მოსკოვის მეფეს და შემწეობა სთხოვა: „ამდენი ხანი არის საქართველოს ყაენი ებრძვის და ჩვენ არც შემოგვიშვია ყაენის კაცი და, სადაც მოგვიხელთებია, მოგვიკლავს და მისი სარდალი გაგვიქცევია და ლაშქარი გაგვინყვეტია... გვიმსახურე და გვალაშქრე. ამ დღეისით შენი ყმანი შევეწინალვართ"

სანატრელმა ნამმა დაპკრა... სამმობლოს სიყვარულმა აშალა ხალხი, ზოგი ქართველი ფეოდალიც შეუერთდა, სამშობლოს დასახსნელად ხალხმა მეთაურები იშოვნა. სახელოვანმა მამულიშვილებმა – შალვა და ელიზბარ ერისთავებმა იკისრეს ხალხის მეთავეობა. მათ ფარულად მიემხრო ზაალ არაგვის ერისთავი. „შემოიფიცეს საყმონი თვისნი და ფშავ-ხევსურ-თუშნი", წამოიყვანეს ქსნელ-არაგველები, დაფანტული კახელი პარტიზანები და მიუძღვნენ მტერზე. აღსდგა მთელი ქართველობა... მტრის მთავარი ძალები გამაგრებული იყო ალავერდისა და ბახტრიონის ციხეებში. ბახტრიონში იჯდა არდალანელი სულთანი, რომელმაც ეს ციხე ააგო კახეთის მოსათოკად (ბახტრიონი ალაზნის აღმოსავლეთის ნაპირზე იყო, უტოს ხევის შესართავის პირდაპირ). კახეთის მმართველი სელიმხანი კი ქიზიყის ბოლოს, ყარაღაჯში იყო დაბინავებული და იქიდან არბევდა კახეთს. არაგველები და ქსნელები საიდუმლოდ თიანეთით ჩავიდნენ ახმეტაში, ფშავლები ლაშარს წამოემართნენ, თუშები კი ორ ნყებად ნამოვიდნენ, ერთი პანკისის ხეობაზე, მეორე – ნაქერალაზე, ალვანზე გავლით ბაბტრიონში. ზეზვა იმ ნყებას ბელადობდა, რომელიც პანკისის გზით გამოემართა.

თუშური გადმოცემით, გზად ზეზვამ გააკეთა პალოები და ჩოხის კალთაში ჩაალაგა. როცა მიუდგომელ ბახტრიონის ციხეს ქართველთა შეერთებული ლაშქარი მიადგა, ზეზვა ციხესთან მიიპარა, ზედი ზედ პალოები ჩასსო კედელზე, შედგა ფეხი, გადაფრინდა ციხეში, ამოხოცა დარაჯნი და გააღო ციხის კარები. გათენებისას ქართველები იერიშით თავს დაესხნენ თათრებს:

ფარაკლინი. უკან ხევსურნი.
ბახტრიონს კედიხარ;
დალიეს თათრის დიაშქარი.
თუფის უკან ჭერანარ...

ფშავლები გალავანს გადადიოდნენ, ხევსურები მტრის კარვებს სჭრიდნენ, ზეზვა ამართული ხმლით აქეზებდა ლაშქარს:

სმალდასმალ ფაიდ თუ ვერ მოეკლა.
ეაქკალეფი თათრის ქალნადა!...

მტერი გათქერეს, დანდობა აღარ იყო. თათრები მხოლოდ იმასღა ფიქრობდნენ, როგორმე გადარჩენოდნენ ამ საშინელ რისხვას და თავის შესაფერებლად ალავერდის ციხისკენ გარბოდნენ.

გამარჯვებულ ზეზვაზე ხალხური ლექსი ამბობს:

სმალს ზეერაეს კაფრინდალი.
თორშეი მოეკლა ამითა.
დიდი ალეფსის მინდორი
ეკაკე თათრის ძვალითა.
ბეელს დეკცეთეე კბილები...
ტერის ლოეები ჭაბითა...

ზეზვას არაერთხელ გაუბრუნებია იერიშით წამოსული „მოძალე" და გაუმხნევებია თანამებრძოლნი, მაგრამ თორღოესათან ერთ ბრძოლაში სპარსელებს ზეზვა დაუჭრიათ, დაჭრილი ზეზვა მტერს მაინც არ დანებდა, მაგრამ ბოლოს მოტყუებით, „დაბალითებით" ჩაიგდეს ხელთ სახალხო გმირი. ხალხური ლექსი ამბობს, რომ ზეზვა „ღალატით დაჭერილია..."

რანაირი იყო ზეზვას ბოლო, არ ჩანს. ცხადია, რომ ზეზვამ „ვეღარ აავსო მტერი ჭირითა". ჩვენ ვიცით, რომ აჯანყებული ქართველების მეთაურები – შალვა, ელიზბარ, ბიძინა მტერს დანებდნენ და ეწამნენ სპარსეთში... ალბათ, ზეზვამაც წამებულთა ბედი გაიზიარა, როგორც სახალხო აჯანყების ერთმა მეთაურთაგანმა.

იგორ ივანოვი

რუსეთის საგარეო საქმეთა ამჟამინდელი მინისტრი იგორ ივანოვი დაიბადა 1945 წელს ახმეტაში. დაამთავრა მოსკოვის მორის ტორეზის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი ორი წამყვანი ენით — ესპანურითა და ინგლისურით. დიპლომატიაში ის 28 წლის ასაკში მოვიდა — 1973 წლიდან მუშაობდა ფრანკისტულ ესპანეთში საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობაში (მაშინ ესპანეთთან საბჭოთა კავშირს არ ჰქონდა დიპლომატიური ურთიერთობა), ხოლო შემდეგ — ახლად გახსნილ საელჩოში იყო მრჩეველი-დესპანი.

1991-94 წლებში იგორ ივანოვი უკვე რუსეთის ფედერაციის ელჩია ესპანეთის სამეფოში, საიდანაც ის მაშინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ანდრეი კოზირევმა თავის პირველ მოადგილედ გადმოიყვანა მოსკოვში.

1998 წლიდან იგორ ივანოვი რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშნეს.

იასონ იჩო აბაშიძე

1904-1989

ცნობილი მეტყევე-დენდროლოგი იასონ (იჩო) აბაშიძე დაიბადა 1904 წელს ახმეტის რაიონის სოფელ ზემო ალვანში. 1928 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის სატყეო განყოფილება. 1960 წლიდან მუშაობდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ზოგადი მეტყევეობისა და დენდროლოგიის კათედრის გამგედ.

1959 წლიდან სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორია, 1960 წლიდან კათედრის პროფესორი, ხოლო 1964 წელს მიანიჭეს საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

იჩო აბაშიძის სახელთანაა დაკავშირებული საქართველოში ტყის კულტურების გაჩვითარების, დენდროლოგიისა და მთიან ადგილებში სატყეო მეურნეობის ნარმოების საკითხები. იგი ავტორია 100-მდე სამეცნიერო ნაშრომისა, რომელთა უმრავლესობა მიძღვნილია მერქნიანი ჯიშების ბიოეკოლოგიისა და საქართველოში მათი ხელოვნურად გაშენების საკითხებისადმი. გამოქვეყნებული აქვს სახელმძღვანელოები დენდროლოგიაში ქართულ და რუსულ ენებზე.

ი. აბაშიძე პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა 1929 წლიდან, კითხულობდა ბოტანიკისა და დენდროლოგიის კურსებს. მის სახელთანაა დაკავშირებული სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში დენდროლოგიური მუზეუმის შექმნა; მისივე ხელმძღვანელობით გაშენდა ინსტიტუტის გარშემო დეკორატიული დენდროლოგიური პარკი. დაჯილდოებულია მთავრობის ჯილდოებით.

ადამ ალვანელი გოგლიაშვილი

1912-1943

ფრიალიყავი. ძალმეფეთ რაზე,
ჯიხვთა ბილიკების თუ ჯადაოსნური.
წამდად დამსჯელი თუმცდის ღიმე,
ქვეშ დამბყოლი ცეცხლი ქუნი.

დაუგვინა შეტევიდან მიგარემ ამოსული,
სიკვდილ ოქროსფერ შადრევნებიდან ველარ დამიოვა,
ცას ვადაეკრა შაგი ნისლი ამ საღამოსაც.
ამ საღამოსაც დუმრნივით ისევ მარტო ვარ.
ნეში ნაბიჯი წინაპართა ბილიკებს ისცდა
და ძიეშსგავსე უდაბნოში ძაკალ მათნოვარს,
ადრე სამიქრა ჭაბუკურად ძღელეარე ვასცდა.
ქრიან დღეები და ძე მაინც ისევ მარტო ვარ.
ბუკრი დაადნა სანიელიეთ თბილისის ქუჩებს,
ბეურმა მთოვანმა ვაეკაცური კვალი დატოვა.
ძე კი ვაეკრები სამწეოდან, ნრდილიეთ უცებ.
რადგან სიცოცხლის მიწურულში ისევ მარტო ვარ...

ა. ალვანელი

...ეს თუშებს სიმღერას დიდი ბოდიშებით შეაწყვეტინებ, რადგან გული აღარ გითმენს, და იკითხავ: ეს ვისი ლექსია, ხალხურია თუ?... ისეთი კილოთი მოგიგებენ, „ადამისაა, ბობღიაშვილისო", უთუოდ გაოცებულნი არიან, აქამდე რატომ არ უნდა გცოდნოდა.

— და ის ლექსები?...

ცდილობ მიახვედრო, რომელსაც გულისხმობ.

— ისინიც... ყველა ადამისაა.

თუშებს აოცებთ, მაგრამ გასაოცებელი ისიც კი არ არის, ადამ ბობღიაშვილის სახელი საერთოდ რომ არ გაგეგონოს, არც მისი ტრაგიკული ბედისა იცოდე არაფერი. შემთხვევით თუ შეიტყობდი და ეს ტრაგიკული ბედი ისე აგაღელვებდა, რომ მისი ლექსების საძებნელად აგიყოლიებდა. არა იმ ლექსებისა, „ჩვენს თაობაში" რომ გამოქვეყნდა და ირითადად ბევრი არაფრით გამოირჩევა იმდროინდელი პოეზიის საერთო ნაკადიდან, არამედ იმ ლექსებისა, რომელშიც თავისი ყოფის ტრაგიზმი დაიტირა პოეტური სიმძაფრით.

ეს მას მერე მოხდა, რაც რეპრესიებში მოყოლილი ჭაბუკი იძულებულ შეიქნა, თოფი აეღო და თუშეთის მთებში გადავარდნილიყო. ასე შერჩნენ ერთმანეთის პირისპირ მარტოკაცი და ტოტალიტარული სახელმწიფო, ასე გაინირა კიდევ ერთი ღირსეული პიროვნება და დაღუპვამდე კი ასე აღივსო მისი პოეზია მწვავე განცდებითა და უაღრესი სევდით.

მისი ლექსების ერთი ნანილი სიმღერებად ქცეულა თუშეთში და ესღა შემოგვრჩებოდა, გაცილებით უფრო მოზრდილი ნანილი და რამდენიმე მოთხრობა დედამისს რომ არ გადაემალა.

იმ რამდენიმე მოთხრობაში მკაფიოდ იგრძნობა, რომ ადამ ბობღიაშვილი ალექსანდრე ყაზბეგის მიერ დანერგილ ლიტერატურულ ტრადიციას მიჰყვება, მისი სკოლის პროზაიკოსია ნერის თავისებური მანერითაც და რომანტიკული გმირების ხატვითაც, თუმცა კარგად ახერხებს, ყაზბეგის სტილური ძიებანი და მიღწევანი ორიგინალურად გაიაზროს და თვითმყოფადობის შენარჩუნება არ გაუძნელდეს. რაც შეეხება რომანტიკული გმირების ხატვას, მისი ბუნებისათვის უთუოდ მახლობელი იყო ასეთი ხასიათები და რომანტიკული გმირების მეშვეობით, არსებითად, საკუთარ თავს გამოხატავდა...

ადამ ბობღიაშვილის ტრაგიკული ხვედრი ადრე თუ გვიან, ალბათ, რომანის თემადაც იქცევა, მაგრამ ხვალისა ხვალემ იკითხოს, ჯერ მისი ლიტერატურული მემკვიდრეობაა გამოსამზეურებელი, ჩვენი საუკუნის ქართული მწერლობის ერთი საგულისხმო ფურცელი.

თუშებს რომ ასე შემოუნახავთ მისი ხსოვნა და პოეზია, თავისთავად ესეც ბევრ რამეზე მეტყველებს.

ადამ ალვანელი ერთი იმ პიროვნებათაგანი გახლდათ, ვისაც, კარგად მოეხსენებოდა, რა დღეშიც ჩავარდნილიყო საქართველო, გულიც ერჩოდა და, მიუხედავად სასტიკი რეპრესიებისა და მძლავრი იდეოლოგიური წნეხისა, მის გამოხსნაზეც ეფიქრა და ვერც ვერაფრით აიძულეს ჩაედინა ისეთი რამ, რაც მის ეროვნულ მრწამსსა და სულიერ მიდრეკილებას არ ეთანხმებოდა...

ადამის სახელი მის სიცოცხლეშივე შეიმოსა რომანტიკული ელფერით, ოღონდ ეს რომანტიკული ელფერი უფრო მისი ცხოვრების გარეგნულ მხარეს გამოეწვია, ხიფათთან ყოფასა და მოუხელთებლობას: დაკლაკნილ ბილიკებსა და ფრიალოებზე ცხენის თავგამეტებულ ჭენებას, კლდიდან კლდეზე გადაფრენას, ტყვიის ტყვიაში ჩაჭედების უნარს, იშვიათ ალღოს, ალყიდან თავის დაღწევაში რომ შველოდა... ეს ყოველივე ძალდაუტანებლად აღავსებდა ფანტაზიას და ადამის სახელი აღმატებული გადადიოდა ბაგიდან ბაგეზე...

მაგრამ განსაკუთრებით მაინც ის აოცებდათ, რომ ადამს კაცის ცოდვა არ დასდებია; მდევრებს ისე გაუსხლტებოდა ან დაფანტავდა, რომ არავინ მოუკლავს.

ეს უაღრესად მნიშვნელოვანი თვისებაა მისი ბუნების შესაცნობად, სავსებით ნიშანდობლივი მისი პაციფისტური სულისკვეთებისათვის...

სიცოცხლეს არ დაიშურებდა თავის ზნეობრივ პრინციპთა და იდეალების გადასარჩენად და აკი არც დაიშურა...

რომანტიკული და ლეგენდარული წარმოსახვანი, რაც ხალხში გამოინვია ადამის პიროვნებამ, ერთიან ლეგენდად აქ შეიკრა და მოწამებრივი შარავანდედითაც შეიმოსა — თორღვას ხეობაში, როცა კლდის იქით ჩამალული გამცემის ტყვიამ ჯერ ადამის ერთ-ერთ მეგობარს შეუნგრია გულის ფიცარი... ადამს არც უფიქრია, რამეს მოფარებოდა, მინაზე დამხობილ მეგობარს მივარდნია, იქნებ ჭრილობა სასიკვდილო არ იყოსო... როგორც ცხოვრობდა, ისეც დაიღუპა...

ადამის ნატვრა და ოცნება იყო, ქართულ მიწაზე დაეღვარა სისხლი და ეს მაინც შეუსრულდა: მის სახელს სწორედ თორღვას ხეობა გადაეჯაჭვა და არა უცხო ტრამალი.

ელეფთერ ანდრონიკაშვილი

1910-1989

ფიზიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ელეფთერ ლუარსაბის ძე ანდრონიკაშვილი დაიბადა 1910 წლის 12 დეკემბერს პეტერბურგში, ცნობილი ქართველი იურისტისა და საზოგადო მოღვაწის ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ოჯახში.

ერთხანს ძმები ელეფთერი და ირაკლი (ირაკლი შემდგომში ცნობილი მწერალი, მეცნიერი და მსახიობია) სნავლობდნენ თბილისში. ოჯახის პეტერბურგში გადასვლის შემდეგ 1932 წელს ელეფთერმა დაამთავრა ლენინგრადის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფიზიკა-მექანიკის ფაკულტეტი და მუშაობა დაიწყო აეროჰიდროდინამიკის ინსტიტუტში. მალე გადმოვიდა თბილისის უნივერსიტეტში და სათავეში ჩაუდგა ექსპერიმენტული ფიზიკის კათედრას, ხოლო 1951 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორია. ე. ანდრონიკაშვილისათვის, როგორც ექსპერიმენტატორი ფიზიკოსისათვის, მეტად ნაყოფიერი გამოდგა ის ოთხიოდე წელი (1945-1949 წწ.), როცა იგი კვლევით სამუშაოს ეწეოდა მსოფლიოში სახელგანთქმული ფიზიკოსის ა.ლ. კაპიცას ხელმძღვანელობით. სწორედ აქ ქართველმა მეცნიერმა განახორციელა კლასიკური ექსპერიმენტები ჰელიუმის ზედენადობის უნიკალურ თვისებათა დადგენის მიზნით, რამაც მას საყოველთაო აღიარება მოუხვეჭა.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ე. ანდრონიკაშვილმა საფუძველი ჩაუყარა დაბალი ტემპერატურების ფიზიკის შესნავლის საქმეს. მისი დიდი ძალისხმევით ბიძგი მიეცა ჩვენში კოსმოსური სხივების ექსპერიმენტულ გამოკვლევათა განვითარებას; განუზომელია მეცნიერის წვლილი მყარი სხეულის რადიაციული ფიზიკის პრობლემების დამუშავებაში. ბოლო წლებში გამოჩენილი მკვლევარი ინტენსიურად და წარმატებით მუშაობდა ბიოლოგიური სისტემების თვისებათა კვლევისათვის ფიზიკური მეთოდების გამოყენების პრობლემებზე.

ელეფთერ ანდრონიკაშვილის ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის დაუცხრომელი და დიდად ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და ფართო საზოგადოებრივი მოღვაწეობა აღინიშნა სსრ კავშირის ორგზის სახელმწიფო პრემიის ლაურეატობით; ლენინის, სამი შრომის წითელი დროშის ორდენებით, მედლებითა და მრავალი სხვა ჯილდოთი.

ირაკლი ანდრონიკაშვილი ანდრონიკოვი

1908-1990

ცამოჩენილი მეცნიერი, მკვლევარი, ლიტერატურისმცოდნე, მწერალი, ახალი ლიტერატურული ჟანრის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ლიტერატურული თეატრის აქტიორი და რეჟისორი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის წევრი, ელეფთერ ანდრონიკაშვილის ძმა, პროფესორი, ირაკლი ლუარაბის ძე ანდრონიკაშვილი დაიბადა 1908 წლის 15 სექტემბერს სანქტ-პეტერბურგში.

ერთხელ ირაკლი ანდრონიკაშვილმა გონებამახვილურად შენიშნა, მწერალი ჩვეულებრივ ჯერ წერს მოთხრობას და მერე კითხულობს. მე კი სხვანაირად გამომდის: ჯერ ვკითხულობ და მერე ვწერო.

ეს გასაგები გახდება, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ირაკლი ანდრონიკაშვილი ზეპირ მოთხრობებზე ლაპარაკობს.

ირაკლი ანდრონიკაშვილი ზეპირი მოთხრობების დიდოსტატია. ის ახალი ლიტერატურული ჟანრის – „მეცნიერული ძებნის“ ჟანრის ერთ-ერთი ფუძემდებელიც არის. ანდრონიკაშვილის განსაზღვრით ამ ჟანრის ნიგნები მეცნიერულია თავისი არსით, რადგანაც ისინი შეიცავენ მკვლევარის დაკვირვებებს და დასკვნებს. ამავე დროს ისინი სიუჟეტის დაძაბულობით ენათესავებიან სათავგადასავლო ჟანრს. მათში ფართოდ იჭრება ცხოვრებისეული მასალა, რაც ამ ჟანრის ქმნილებებს აახლოებს ნარკვევთან. სტილით ისინი მოთხრობას ჰგვანან, ხოლო მოგონებების ფართოდ გამოყენებით – მემუარებს.

ეს ჟანრი ხელს უწყობს მეცნიერული აზრის გავრცელებას, რითაც ენათესავება სამეცნიერო-პოპულარულ ქმნილებებს.

ასეთი რთული სინთეზის შედეგია ეს ახალი ჟანრი.

სხვათა შორის, ზეპირი მოთხრობები დაბეჭდვის შემდეგაც „ზეპირ მოთხრობებად“ რჩებიან, დაბეჭდილ „ზეპირ მოთხრობებად“, რადგანაც ის განსაკუთრებული ლიტერატურული ჟანრის ნანარმოებია და გამოქვეყნება მას ვერ აქცევს სხვა ჟანრად. ირაკლი ანდრონიკაშვილი ჯერ ზეპირად თხზავდა თავის მოთხრობებს, კითხულობდა ტელევიზიით თუ რადიოთი ან სცენაზე. მის ლიტერატურულ კონცერტებზე ტევა არ იყო.

ირაკლი ანდრონიკაშვილი არა მარტო საინტერესო მეცნიერი, ლიტერატურათმცოდნე და მწერალი, არამედ დიდი მსახიობიც იყო. მას ბუნებით ჰქონდა მომადლებული გარდასახვის გასაოცარი უნარი.

როცა ირაკლი ანდრონიკაშვილი თავის ზეპირ მოთხრობებს კითხულობდა, თავი ერთი აქტიორის თეატრში გეგონებოდათ. თხრობისას იგი ასწრებდა ათეული სხვადასხვა ისტორიული, კონკრეტული პირის სცენური პორტრეტის შექმნას. და ის არა მარტო აქტიორი, არამედ რეჟისორიც იყო. ის თვითონ დგამდა გასაოცარ ლიტერატურულ სპექტაკლებს...

იგი ქართული ლიტერატურის ისტორიაშიც აკეთებს ღრმა ექსკურსს და ასახელებს ქართველ პოეტთა ბრწყინვალე ხომლს — არჩილიდან ვაჟა ფშაველამდე, გალაკტიონიდან ალიო მირცხულავამდე, რომლებიც უმღეროდნენ შოთას.

ირაკლი ანდრონიკაშვილი შენიშნავს, ყველა ხელნაწერი რომ დამწვარიყო, „ვეფხისტყაოსანი" მაინც გადარჩებოდა, რადგანაც ხალხმა ის ზეპირად იცოდაო.

ირაკლი ანდრონიკაშვილი ასახელებს ცნობილ რუს (მაიაკოვსკი, ასეევი, ტიხონოვი, ანტოკოლსკი და სხვ.), უკრაინელ (რილსკი, ტიჩინა, სოსიურა, მიკოლა ბაჟანი), სომეხ (ოვანეს თუმანიანი), ყაზახ (ჯამბული) და სხვა ერთა მგოსნებს, რომლებმაც პოეტური ხარკი გაუღეს დიდ რუსთაველს.

ის გვიამბობს „ვეფხისტყაოსნის" ევროპულ ენაზე თარგმნის პირველ ცდებზე, ჩერდება ბალმონტის პირველ რუსულ თარგმანზე.

ირაკლი ანდრონიკაშვილი ხატოვნად წარმოაჩენს შოთას მსოფლმხედველობის სიდიადეს და მასშტაბურობას, რომელიც სწვდება იმდროინდელი ევროპელის თითქმის მთელ თვალსანიერს. საინტერესოდ ჰყვება პოემის გეოგრაფიულ არეალზე, რომელიც თითქმის ნახევარ მსოფლიოს მოიცავს — ინდოეთი, ხორეზმი, არაბეთი, ჩინეთი და ა.შ. ხაზს უსვამს ქალის ემანსიპაციის იდეებს, ყურადღებას ამახვილებს სხვადასხვა ცის ქვეშ შობილ რაინდთა ძმობაზე, პოემის რენესანსულ სულისკვეთებაზე.

იგი ზეპირ მოთხრობაში იხსენებდა იტალიელი მწერლისა და მხატვრის კარლო ლევის საინტერესო გამონათქვამს: სერვანტესმა რაინდთა მზის ჩასვლა აჩვენა მსოფლიოს, ბოლო რუსთაველმა რაინდობის უზენაესი აყვავების ხანაო.

ირაკლი ანდრონიკაშვილს მოჰყავს ინგლისის პარლამენტის წევრის ჰიუზის საოცარი იუმორით სავსე სიტყვები: „მე შექსპირის ქვეყნის სახელით გამოვდივარ აქ. მეცნიერები დავობენ იმის შესახებ, შექსპირი მართლა გაუნათლებელი კაცი იყო, რომელსაც ხელის მოწერაც კი არ შეეძლო, თუ პირიქით, მაღალგანათლებული ადამიანი. მე ვფიქრობ, რომ ის ორივე შემთხვევაში უვიცი იყო: ის არ იცნობდა შოთა რუსთაველის პოემას!.. თორემ უთუოდ გამოიყენებდა მის მშვენიერ სიუჟეტს, ანუ, როგორც მეცნიერები ამბობენ, მისი გავლენის ქვეშ მოექცეოდა..."

მოსკოვში ცხოვრების მიუხედავად, ირაკლი ანდრონიკაშვილი არასოდეს მონყვეტია საკუთარ ფესვებს, ქართულ ლიტერატურას.

ლუარსაბ ანდრონიკაშვილი

1872-1939

ქართველი იურისტი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოში იურიდიული განათლების ერთ-ერთი ფუძემდებელი, პროფესორი ლუარსაბ ნიკოლოზის ძე ანდრონიკაშვილი დაიბადა 1872 წლის 14 თებერვალს ახმეტის რაიონის სოფ. ოჟიოში.

თბილისის კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, 1892 წელს ჩაირიცხა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტად. 1894 წელს დატოვა პეტერბურგი და ცოდნის გასაღრმავებლად გაემგზავრა გერმანიაში — ფილოსოფიის კურსს ისმენდა ჯერ ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში კუნო ფიშერთან, ოოლო შემდეგ სტრასბურგის უნივერსიტეტში ვილჰელმ ვინდელბანდთან. პარალელურად ესწრებოდა გამოჩენილი გერმანელი იურისტების ელინეკისა და ლაბანდის ლექციებს საჯელმწიფო სამართალში.

1897 წელს ლ. ანდრონიკაშვილი უბრუნდება პეტერბურგს და ორი წლის შემდეგ ნარჩინებით ამთავრებს უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტს. ნიჭი და ფართო განათლება ააშუალებას აძლევდა, აქვე დარჩენილიყო და საპროფესოროდ მომზადებულიყო, მაგრამ მან სხვა გზა აირჩია. იგი ჩაეწერა პეტერბურგის ადვოკატურაში და სულ მალე სახელი გაითქვა პეტერბურგში, და არა მარტო იმპერიის დედაქალაქში, როგორც ერთერთმა საუკეთესო პოლიტიკურმა ადვოკატმა. იგი მონანილეობდა ისტორიული მნიშვნელობის 100-ზე მეტ პოლიტიკურ სასამართლო პროცესში. მათ შორის აღსანიშნავია ბათუმის დემონსტრაციის საქმე, ლეიტენანტ შმიდტის მეთაურობით აჯანყებულ შავი ზღვის მეზღვაურთა, სევასტოპოლის, პეტერბურგის მუშათა დეპუტატების საბჭოს პროცესები, „ნოვოროსიისკის რესპუბლიკის", გრაფ იგნატიევის მკვლელობის, ნიკოლოზ მეორის მკვლელობის მომზადების, ჟურნალ „რუსკოე ბოგატსტვოს" რედაქტორის ვ. კოროლენკოს საქმეები და სხვ.

ლ. ანდრონიკაშვილი იყო „პოლიტიკური საქმეების დამცველთა ჯგუფის" ერთ-ერთი ორგანიზატორი, რომელიც დაუღალავ ბრძოლას ეწეოდა მეფის რეაქციულ სასამართლოსთან. იურისტის მაღალმა პროფესიულმა უნარმა მრავალი პოლიტიკური ბრალდებული იხსნა ჯალათის ყულფისა თუ დევნისაგან.

1906 წელს. ლ. ანდრონიკაშვილი აირჩიეს და 12 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა პეტერბურგის ახალგაზრდა ვექილთა თანაშემწეების თეორიულ კონფერენციებს.

თებერვლის რევოლუციის შემდეგ, გამოჩენილი ადვოკატის ა. ფ. კონის თავმჯდომარეობით შეიქმნა კომისია, რომელსაც ევალებოდა 1903 წლის სისხლის სამართლის დებულების დამუშავება. კომისიაში შედიოდნენ ცნობილი მეცნიერები: ა. უიჟილენკო, ნ. ტაგანცევი და ლ. ანდრონიკაშვილი. მათ დაევალათ პოლიტიკურ და რელიგიურ დანაშაულთა თავების გადამუშავება.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ლ. ანდრონიკაშვილი სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა — კითხულობდა ახალი ფილოსოფიის კურსს ტულის პედაგოგიურ ინსტიტუტში, სასამართლო მჭევრმეტყველებას მოსკოვის სიტყვის სახელმწიფო ინსტიტუტში. 1921 წლის ბოლოს იგი ოჯახით ბრუნდება საქართველოში და მოღვაწეობას იწყებს თბილისის უნივერსიტეტში. მან სათავე დაუდო რესპუბლიკაში იურიდიული განა-

თლების საქმეს. თავდაპირველად მხოლოდ მას უხდებოდა ყველა იურიდიული კურსის წაკითხვა. ფართო განათლება და პრაქტიკული გამოცდილება საშუალებას აძლევდა, თავი გაერთვა ამ რთული და საპატიო ამოცანისათვის. ამასთანავე, იგი მონაწილეობდა ჩვენში უმნიშვნელოვანესი საკანონმდებლო აქტების მომზადებაშიც. 1930-1931 წწ. ლ. ანდრონიკაშვილი მიავლინეს ამერიკის შეერთებულ შტატებში ჰარიმანის კონცესიის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით, რომელიც წარმატებით დაგვირგვინდა.

სამწუხაროდ, ჩვენამდე არ მოუღწევია გამოჩენილი იურისტის ბრწყინვალე სიტყვებს სასამართლოში ან მისი თეორიული ხასიათის ნაშრომებს. შემონახულია მხოლოდ მის მიერ რუსულად თარგმნილი კუნო ფიშერის „დეკარტე" და ნათარგმნის მეცნიერული რედაქცია. დარჩენილია ლ. ანდრონიკაშვილის ძირითად იდეათა მხოლოდ მოკლე ჩანაწერები, ლექციების კურსი დანაშაულის ფსიქოლოგიაზე და სიტყვის კულტურაზე. მის დაკრძალვაზე ივანე ჯავახიშვილს უთქვამს: „ლუარსაბ, შენ ნახვედი როგორც შესანიშნავი მომღერალი; ნახვედი, თან წაიტანე მთელი შენი სიმდიდრე და მომხიბვლელობა"

მზია ანდრონიკაშვილი

პირველი ქართველი ორიენტალისტი ქალი, ინდურ-ირანული ლიტერატურის ფილოლოგი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, თბილისის უნივერსიტეტის ენათმეცნიერების კათედრის პროფესორი მზია კონსტანტინეს ასული ანდრონიკაშვილი დაიბადა 1920 წლის 14 ოქტომბერს აბმეტის რაიონის სოფ. ოჟიოში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1937 წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე. ასპირანტურის დამთავრების შემდეგ 1946 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1966 წელს სადოქტორო დისერტაციები. ამავე წელს გამოსცა ორტომეული „ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან". მ. ანდრონიკაშვილი 1952 წლიდან (დისერტაციის დაცვამდე) პროფესორის თანამდებობაზე მუშაობდა თბილისის უნივერსიტეტში. იგი პირველი აღმოსავლეთმცოდნე ქალია მთელ კავკასიაში. 1975 წლიდან არის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. მზია ანდრონიკაშვილი ყოველთვის აქტიურ სამეცნიერო მუშაობას ეწეოდა, რის შედეგადაც აქვს უამრავი თარგმანი ვედური და ავესტური ენებიდან. 2000 წლის დეკემბერში აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში ჩატარდა მზია ანდრონიკაშვილისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია. იგი არის ასზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა და რამდენიმე მონოგრაფიის ავტორი. დაჯილდოებულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის მედლით, სხვა მედლებითა და სიგელებით. 2000 წელს, 80 წლის შესრულებასთან დაკავშირებით მიიღო საქართველოს პრეზიდენტის ე. შევარდნაძის პირადი მილოცვა, აგრეთვე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის ა. თავხელიძის მილოცვა.

მზია ანდრონიკაშვილი უაღრესად მოკრძალებული და პოეტური პიროვნებაა, ერთგული მეგობარი და საყვარელი ადამიანი, ამასთანავე, კარგი მეუღლე და მზრუნველი დედა. მისი ოჯახიც გამორჩეულია. ბებია, რომელთანაც იგი გაიზარდა, ყველასათვის საყვარელი მწერალი ეკატერინე გაბაშვილია, მამა — კონსტანტინე ანდრონიკაშვილი — მოატვარი და რეჟისორი, რომელიც, სამწუხაროდ, ადრე წავიდა ამ ქვეყნიდან, მეუღლე — ბრნყინვალე მეცნიერ-მათემატიკოსი, აკადემიკოსი გიორგი ჭოღოშვილი, შვილებიდან ერთი, არჩილი, პროფესორია ბიოლოგიის დარგში, ხოლო მეორე ვაჟი ლევანი უკვე სახელგანთქმული მხატვარია.

დრო საოცრად სწრაფად გარბის. უკან მოხედვასაც ვერ მოასწრებ, რომ ცხოვრების ათეული წლები უკან რჩება. ქალბატონ მზიას თამამად შეუძლია თქვას, რომ იგი მშობელი ხალხისა და ქვეყნის წინაშე პირნათელია.

დავით ანყურელი

1863-1928

ქართველი მსახიობი, თელავის თეატრის ერთ-ერთი დამაარსებელი დავით მერაბის ძე ანყურელი (გამყრელიძე) დაიბადა 1863 წელს ახმეტის რაიონის სოფ. ანყურში.

დავით ანყურელს, როგორც აქტიორს, გარდასახვის დიდი უნარი ჰქონდა. ისე ოსტატურად იკეთებდა ხოლმე გრიმს, რომ მაყურებელს დიდხანს უჭირდა ეცნო სცენაზე გამოსული მსახიობი. მაგრამ მარტო გარეგნული გარდასახვით არ იქცევდა ანყურელი ყურადღებას. იგი ნარმოსასახავი პერსონაჟის ნამდვილი ორეული ხდებოდა. იშვიათი პლასტიკა, საუცხოო ჟესტები, მოქნილი ტანი, მკაფიო დიქცია და ტემპერამენტი საშუალებას აძლევდა დავით ანყურელს, დამახასიათებელი სახეები შეექმნა.

დავით ანყურელის პეტუა აქესენტი ცაგარელის „ციმბირელში" და გიჟუა „რაც გინახავა, ვეღარ ნახავმი", ისაია გ. სუნდუკიანის „ხათაბალაში" და კაკულა ამავე დრამატურგის „პეპოში" აქტიორული ოსტატობის ნიმუშები იყო.

სანიმუშო იყო დავით ანყურელის მასხარა უ. შექსპირის „მეფე ლირში" და ლანჩელოტ გობო „ვენეციელ ვაჭარში..."

დავით ანყურელი ბაქოში გადასახლდა რადგან გაჭირვებამ აიძულა, მუშაობა დაენყო. აკედან მოყოლებული იგი პროფესიული დასის მუდმივი ნევრი აღარაა. ჩამომორდა მაახიობი სცენას და იგი დავიწყებას ეძლევა.

დ. ანყურელი პროფესიულ დასს კი ჩამოშორდა, მაგრამ სცენასთან კავშირი არ გაუწყვეტია. იგი საზოგადოება „კახეთის" წარმომადგენლად მუშაობს ბაქოში და ამავე დროს ადგილობრივი ქართული დასის აქტიური მონაწილე და სულისჩამდგმელია. შემდეგ თავის მშობლიურ ქალაქ თელავში დაიწყო მუშაობა...

დათიკო ანყურელი, როგორც მოქალაქე, ამხანაგი, სანიმუშო იყო. სადაც კი დავითი გამოჩნდებოდა, იქ მხიარულება მყარდებოდა. დავითის ცეკვას ყველა აღტაცებაში მოჰყავდა. ის რომ ხელს გაშლიდა და ბაღდადურს იცეკვებდა, ერთ რამედ ღირდა.

დათიკო საუცხოოდ უკრავდა ჭიანურს. ამასთან როგორც დაკვრით, ისე სიმღერით ხშირად უსინათლო აშუღებს აჯავრებდა ხოლმე. ვაგლახ! — უსინათლოებს აჯავრებდა და თვითონაც დაბრმავდა. თვალის ძარღვები გაუხმა და მხედველობა სრულიად დაკარგა...

დათიკო თანდათანობით განმარტოვდა. მნახველებმა იკლეს. თელავიდან სოფელ ანყურში გადასახლდა და სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე თავისი ფიქრებით საყვარელ ხელოვნებას, ქართულ თეატრს არ მოშორებია.

სამი წელიწადი იავადმყოფა დათიკომ. მთლად დაუძლურდა, დარდმა და ბოღმამ ჩამოახმო. თავისი საყვარელი ჭიანურიც კი დაივიწყა და იშვიათად თუ ამოაკვნესებდა ბოლმე:

ყმარა, ეს სოფლად სტუმრობა,
მოიცდენენ, ჩემო ძმანებო.
ჩემს ჩონგურსა თქვენ ვიტოვებთ,
ახლა დაუკარით ცხვენებო.

1928 წლის 9 აპრილს მას ჩონგური გავარდა ხელიდან. გათავდა დათიკო და მისმა ძვლებმაც მშობლიურ სოფელ ანყურში დაიმკვიდრეს სამუდამო ბინა.

ივანე ბუქურაული

1869-1943

ღამსახურებული სახალხო მასწავლებელი, საზოგადო მოღვაწე ივანე ალექსის ძე ბუქურაული — შინაურობაში ვანო, ნაცნობ-მეგობრებში „ვანო-თუში" ან მხოლოდ „თუში", დაიბადა 1969 წლის 4 აპრილს (ძვ. სტ.) სოფელ ზემო ალვანში (ამჟამად ახმეტის რაიონი). დაწყებითი განათლება მიიღო საცხენისის სკოლაში, შემდეგ თელავის საქალაქო სასწავლებელში და თბილისის ე.წ. ალექსანდრეს სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტთან არსებულ საქალაქო სასწავლებელში, რომლის კურსის დასრულების შემდეგ 1886 წელს შევიდა თბილისის საფერშლო სკოლაში. ვანომ ეს სკოლაც წარმატებით დაამთავრა და 1888 წელს, როგორც ფერშალმა, მუშაობა დაიწყო თბილისში, მაშინდელ ე.წ. მიხეილის სახელობის საავადმყოფოში.

ორი წლის მუშაობის შემდეგ ვანომ იგრძნო, რომ ის მედიცინის მუშაკად არ იყო დაბადებული. მისი გული სხვა ასპარეზისაკენ მიიწევდა. ამისათვის კი უფრო ფართო და ზოგადი განათლება იყო საჭირო და ვანოც მალე ახერხებს თბილისის ალექსანდრეს სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტში შესვლას.

1894 წელს, 25 წლის ივანე ბუქურაული ამთავრებს სამასწავლებლო ინსტიტუტის სრულ კურსს და იმავე წელს იწყებს მასწავლებლობას თბილისის ერთ-ერთ სკოლაში. ვანო საუკეთესო მასწავლებელი და აღმზრდელი გამოდგა. ამავე დროს, ის მოწინავე იდეებით აღჭურვილი პედაგოგი და მწერალიც იყო, რომელმაც როგორც თავის მოსწავლეებში, ისე კოლეგებსა და ქართველ საზოგადოებაში სიყვარული, ავტორიტეტი და პატივისცემა დაიმსახურა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას ივანე ბუქურაული, როგორც მოწინავე მასწავლებელი და მწერალი, აღფრთოვანებით შეეგება. ის განახლებული საბჭოთა სკოლის ერთი საუკეთესო მასწავლებელთაგანი იყო და განუწყვეტლივ მუშაობდა თბილისის 43-ე საშუალო სკოლაში.

მთელი ნახევარი საუკუნე ემსახურა ივანე ბუქურაული მომავალი თაობის აღზრდის საქმეს. მას სიკვდილამდე არ დაუნებებია თავი საყვარელი პროფესიისათვის — მასწავლებლობისათვის. ის იყო მეტად უბრალო, სადა და გულკეთილი ადამიანი, თავის სამშობლო ქვეყნისა და მშობლიური ხალხის გულნრფელი მოყვარე და უანგარო მსახური.

იგი გარდაიცვალა 1943 წლის 23 მარტს თავის მშობლიურ სოფელ ზემო ალვანში.

ივანე ბუქურაულის უანგარო შრომა და ღვაწლი მშობელი ხალხის წინაშე მარტო მასწავლებლობით არ ამოწურულა. მისი სახელი ქართულ ლიტერატურაში საკმაოდ ცნობილია, როგორც ეთნოგრაფი მწერლის, მკვლევარისა და ბელეტრისტის. მისი სამწერლო მოღვაწეობა ემთხვევა მე-19 საუკუნის დამლევსა და მე-20 საუკუნის პირველ ოციან ნლებს, როცა ქართველი ხალხის მოწინავენი მოღვაწენი და გამოჩენილი მწერლები გააფთრებით ებრძოდნენ ცარიზმს, მის გამარუსებელ პოლიტიკას და ცდილობდნენ ქართველ მშრომელ მასებში ეროვნული შეგნების შენარჩუნებას, მის განმტკიცებასა და გაღვივებას.

ივანე ბუქურაულმა თავისი მოღვაწეობის 50 წლის განმავლობაში, როგორც პედაგოგმა და მწერალმა, გარკვეული ნელილი შეიტანა ქართული ლიტერატურის საგანძურში. მან თავის ამ უანგარო და სასარგებლო შრომით სამუდამო ხსოვნა დაიმკვიდრა ქართველი ხალხის გულში და მისი მდიდარი კულტურის ისტორიაში.

ვიქტორ გამყრელიძე

1866-1942

ვ სახიობი, საქართველოს დამსახურებული არტისტი 1932 წლიდან ვიქტორ მერაბის ძე გამყრელიძე დაიბადა 1866 წელს ახმეტის რაიონის სოფ. ანყურში.

1885-1900 წწ. მუშაობდა ქუთაისის, ფოთის, თელავის თეატრებში, 1925-35 წწ. — „სახკინმრენვის" სტუდიაში.

სცენაზე განასახიერა 300-ზე მეტი როლი, მათ შორის: გელა (წერეთლის „პატარა კახი"), ანანია (სუმბათაშვილის „ღალატი"), გიუა (ცაგარელის „რაც გინახავს ვეღარ ნახავ") და სხვ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია გამყრელიძის მიერ 1892 წელს შესრულებული სვიმონ ლეონიძის როლი (ერისთავის „სამშობლო"), რის გამოც ილია ჭავჭავაძემ გამყრელიძეს მიუძღვნა ნერილი „ბატონი ვიქტორ გამყრელიძე სვიმონ ლიონიძის როლში"

ვისაც ის სცენაზე უნახავს, ვერასოდეს დაივიწყებს ამ როლში მისი გულიდან ამონაკვნეს ფრაზას, როცა ის ლევან ხიმშიაშვილს მიმართავს:

„— მამ, ნადი და მაგითი ჯავრი ამომყარე. რადგან ბედნიერება წამართვი — თავისუფლება მომანიჭე, ცოლი რომ მომტაცე — სამშობლო დამიბრუნე!"

ასევე დაუვიწყარია ი. გედევანიშვილის „მსხვერპლში" მოხუც გაბუას ვარამით ნათქვამი: „ცოდოა, ხალხო, ცოდოა, დიდ ბრალსა ვდებთ" ი. გედევანიშვილის დრამა „მსხვერპლი" ორი მსახიობის გ. არადელ-იშხნელის (გიგო) და ვ. გამყრელიძის (გაბუა) მეოხებით ტრაგედიულ მნვერვალებს აღწევდა. საუცხოოდ ასახიერებდა ვიქტორ გამყრელიძე ა. ცაგარელის „ხანუმაში" ვანო ფანტიაშვილს, „ციმბირელში" იოანე ციმბირელს და ხან კი კავკაველ პეტუას, და „რაც გინახავს, ვეღარ ნახავში" გიუუას, ასევე დაუვიწყარია მისი პეპო სუნდუკიანის ამავე სახელწოდების პიესაში. გამყრელიძე არ მისდევდა ჩვენ სცენაზე დამკვიდრებულ ერთგვარ შტამპს, როცა ყარაჩოხელის განსაბიერებისას კინტოს გვიხატავდნენ და ბევრი კი პირიქით, დოშლუღიან ახალუხიან ჰამლეტის სახეს ქმნიდა. ვიქტორ გამყრელიძე ამ მხრივაც სიმართლეს არ ღალატობდა და გიუუას, პეპოს, პეტუას ისეთ სახეებს ქმნიდა, როგორიც ჩაიფიქრეს ავტორებმა. ვიქტორი კლასიკურ პიესებშიაც ღირსეულად ასრულებდა დაკისრებულ როლებს. „ვენეციელ ვაჭარში" შეიოლოკის თავისებურ საინტერესო სახეს ქმნიდა. „ურიელ აკოსტაში" დესილვა ვიქტორის ერთი საყვარელი როლთაგანი იყო. ვიქტორ გამყრელიძე, ხიბლავდა რა მაყურებელს როლების სიმართლით წარმოსახვით, ცხოვრებაშიაც იყო სიმართლის მიმდევარი, უმნიკვლო, გულკეთილი, დარბაისელი, მოკრძალებული და ცოტა მიამიტიც.

ნახევარი საუკუნის განმავლობაში მუშაობდა ვიქტორ გამყრელიძე პროფესიულ დასებში და ყველგან იმსახურებდა როგორც ხალხის, ასევე ამხანაგების სიყვარულს. 1927 ნელს, ფოთში სეზონის დამთავრებისას, უკვე 60 ნელს გადაცილებული ვიქტორი გადადის სამუშაოდ კინოში.

ვისაც კი უნახავს „ნითელი ეშმაკუნები", „საკანი №79", „ჯანყი გურიაში", „ორი მონადირე", „ხაბარდა", „არსენა" და „უკანასკნელი მასკარადი", მათ ახსოვთ მეტად თავისებური, დამახასიათებელი სახეები, ვიქტორის მიერ ოსტატურად გამოძერწილი.

საბჭოთა ხელისუფლებამ ვიქტორ გამყრელიძის დამსახურება ღირსეულად დააფასა და მას საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის წოდება მიანიჭა. ვალმოხდილი მსახიობი 1942 წლის 14 აგვისტოს გარდაიცვალა.

„ცხოვრებაში რა წყნარი, რა დინჯი იყო ვიქტორი. მისი ხმამაღლი სიტყვა არავის გაუგია. არ შეიძლებოდა როლი დაეწუნებინოს ან უარი ეთქვას მის მიღებაზე. მისცემდნენ როლს — მეორე რეპეტიციაზევე ზეპირად იცოდა. მოვიდოდა მიესალმებოდა, ყველას გულთბილად მოიკითხავდა და შეუდგებოდა რეპეტიციას. რეჟისორის ყოველივე მითითება მისთვის კანონი იყო, არც ჰონორარზე დაიწყებდა კამათს, ვაჭრობას. ახალგაზრდობას ძლიერ უყვარდა ვიქტორთან საუბარი, მისი ბარიტონით დაწყებული სიმღერა ხომ ყველას ხიბლავდა. ვიქტორ გამყრელიძე, საშა იმედაშვილი, გიორგი იშხნელი, ნიკოლოზ ჩაგუნავა, სანდრო ყალაბეგაშვილი რომ იმღერებდნენ, ვერცერთი პროფესიონალი მომღერალთა გუნდი მათ ვერ გაუტოლდებოდა. ვიქტორ გამყრელიძე როგორც კარგი მსახიობი იყო, ისე კარგი მოქალაქეც. მისი ნათელი ხსოვნა სამუდამოდაა დარჩენილი მის მომსწრეთა მეხსიერებაში, ხოლო როგორც აქტიორს, მას სამარადისო ძეგლი დაუდგა ილია ჭავჭავაძემ თავის შესანიშნავ წერილში „ბატონი გამყრელიძე სიმონ ლიონიძის როლში“

შეთე გულუხაიძე

1798-1870

ჯამილის თანამედროვე, დაღესტნის ომების თუში სახალხო გმირი სოფ. ქუმელაურთიდან შეთე გულუხაიძე დაბადებული უნდა იყოს მე-19 საუკუნის დასაწყისში. მამას, ზვიად გულუხაიძეს მეზობლებთან ჩამოვარდნილი სისხლ-მესისხლეობის გამო მოუხდა თავისი თემ-სოფლის დატოვება. იგი ხევსურეთში, სოფ. არდოტში გადახვენილა და იმ ზამთარს მომკვდარა. შეთე მამის სიკვდილის შემდეგ დაბადებულა. უმარჩენლოდ დარჩენილ დედას ხევსურეთი დაუტოვებია, მაგრამ რაკი მოსისხლეთა შიშით ქმრის სოფელში ვერ დაბრუნდებოდა, ჭონთიოში შეხიზნებია თავისი დის ოჯახს. ასე რომ, შეთე, ძლიერი, გულადი, შეუპოვარი მეომარი .ჭონთიოში გაზრდილა. ასეთი კაცის ყოლა დიდი სიკეთე იქნებოდა სოფლისათვის. შეთეს საგვარეულოს მოლაპარაკება გაუმართავს მოსისხლეებთან. მათ სისხლი უპატიებიათ და თავის სოფელში დაბრუნების უფლება მიუციათ. შეთეც მამის ფუძეს მიპატრონებია. ამის შემდეგ შეთე ეუმელაურელია, ჭკუისსაკითხი და სახელოვანი კაცი არა მხოლოდ თუშეთის, არამედ მთელი კავკასიის მასშტაბით. მასზე იქმნება ლეგენდები. იგი მონაწილეობს თითქმის ყველა ექსპედიციაში და ძალიან დიდ როლს თამაშობს მათ წარმატებებში. მასთან ერთად ამ ომებში იბრძვიან მისი შვილებიც. ამბობენ, რომ დაღესტნის ერთი ძლიერ გაგმაგრებული პუნქტის, ხოტრახოს იერიშის დროს სასიკვდილოდ დაჭრილა მისი ერთი შვილი. შეთე თავს დაადგა მომაკვდავ შვილს. იგი კვნესოდა. — მე ვინ გავზარდე, ქალი თუ ვაუკაცი? — იკითხა თურმე შეთემ. — მაგას რატომ ამბობ, მამაჩემო, მე შენ არ შემირცხვენიხარ, — იყო შვილის პასუხი. — აბა რატომ მესმის კვნესა, ვაუკაცს რომ არ შეშვენის, ისეთი? — იკითხა კვლავ შეთემ. შვილი გაჩუმებულა და ისე დაულევია სული, რომ ერთიც აღარ დაუკვნესია. იმასაც იტყვიან, რომ შეთემ შვილს ნატყვიარი ადგილი ამოაჭრა, 75 ნაწილად დაჭრა, თავის ახლობლებს გაუგზავნა და თითოეულისგან ლეკის თითო მოკვეთილი მარჯვენა ხელი მოითხოვა შვილის სისხლის სანაცვლოდ. ერთი თვის შემდეგ მას მართლაც მიუღია 75 ლეკის მარჯვენა, თვითონაც 15 დაუმატებია და ამგვარად შვილის სისხლი აუღია 90 ლეკის დახოცვით. შეთეს ისეთ დიდ როლს მიაწერენ დაღესტანზე გამარჯვებაში, რომ უკვე დიდი ხნის შემდეგ, მე-20 ს-ის დასაწყისში ნიკო ფიროსმანი ქმნის ამ თემაზე მხატვრულ ტილოს, რომელსაც აქვს რუსული წარწერა: შეთე უჩვენებს ბარიატინსკის, თუ როგორ დაიჭიროს შამილი.

დაღესტნის ომების დამთავრების შემდეგ შეთე შილდაში სახლდება. მთავრობის მიერ იგი დანიშნულია დაღესტნის მხარის საყარაულო რაზმების ინსპექტორად. ერთი შემოვლის დროს შეთე გაციოდა და ფილტვების ანთებით გარდაიცვალა შილდაში. იგი ზემო ალვანში გადმოასვენეს და დაკრძალეს სამების ეკლესიაში, ამბობენ, რომ გაზაფხულზე, როცა სამთო გზები გაიხსნა, თუშების წესისამებრ, მისი ნეშტი თუშეთში გადაასვენეს და ქუმელაურთაში, მამა-პაპათა სასაფლაოზე დაკრძალესო. ძნელი სათქმელია, რამდენად შეეფერება ეს ზეპირი ცნობა სინამდვილეს — დღეს შეთეს საფლავი აღარ ჩანს არც ბარში და არც მთაში.

შეთეს დიდად აფასებდა კახეთის თავადაზნაურობა, რადგან მის მარბიელ რაზმებს არაერთხელ წაურთმევია ლეკთა ბანდებისათვის კახეთიდან წასხმული ტყვეები და დაუ-

ბრუნებია თავიანთი ოჯახებისათვის. ამის გამო იყო, რომ კამეჩებშებმულ ურემს, რომლითაც შეთეს ნეშტს მოასვენებდნენ შილდიდან ალვანისაკენ, ცხენებით ახლდა თითქმის მთელი კახეთის თავადაზნაურობა.

შემორჩენილია შეთეს დის ხმითნატირალის ფრაგმენტი:

შეთეკ. ნენ შეთეო. ნენ ლიჩითანო.
ბილეკ-ბებეეო. ბებარითეო.
ძის ბეძოსვიდოდეკ. ხიდის დაბიძეკებდეკ.
კარი კესეიდოდეკ. კარს კაბიძეკებდეკ.

რუსი სამხედრო ისტორიკოსი, პოლკოვნიკი ნერდა, კავკასიის ომების ისტორია ყოველთვის ნაკლულოვანი იქნება ამ ომში შეთეს როლის სრულად ჩვენების გარეშეო. კავკასიის ისტორიოგრაფიას დღესაც მართებს ცნობილი ისტორიკოსის მიერ დაკისრებული ეს ვალი.



ეთერ და ლელა თათარაიძეები

დიდხნის სადებ თიოდესაეთ
კარ ერთთა�დდუმარ.
იმ თეთრ საფარველსაეთ
ეუთესიფლის სტუმარ.
სამოგლეო სოფლისად
დღეგდა მშვიდარ. მეფობარ.
ალ დალოცვილ მიწისად
ერთ სამარით მშეობარ.

ეთერ თათარაიძე

ეხმეტა, ალვანი, ზეზვა გაფრინდაულის ქუჩა 128 — ამ მისამართიდან ფანდურისა და გარმონის ნელი კვნესა მოდის ჩემამდე, ლელა თათარაიძის ხმით მონუსხული და შეურჟოლებული. რა სიტყვებმა შეიძლება გამოხატოს ის მადლიერება ბატონ ვახუშტი კოტეტიშვილის იმ ღვაწლისადმი დები თათარაიძეების აღმოჩენასა და ამით ერის სულიერი საგანძურის გამდიდრებაში რომ მიუძღვის.

მადლიერება სიტყვებით სრულად ვერ გამოიხატება.

სიტყვებმა მხოლოდ ლელას მუსიკიდან შეიძლება აგაღელვოს, სხვა ელფერი და შინაარსი შეიძინოს, ანდა ეთერის ნაზი, სიფრიფანა ტონით გადმოიშალოს სცენიდან, რომლის ფონიც თუშეთია, თუშეთი — განუმეორებელი და ჯერაც გამოუმჟღავნებელი, გამორჩეული სიხალისითა და სინმინდით, მამაკაცური თავდაჭერილობითა და იშვიათი ქალური სინაზით, აქა-იქ გამორეული კუნელის სურნელით, ვაჟკაცური არა, ქალური, ოღონდ მთიელი ქალისათვის დამახასიათებელი სითამამითა და შეუპოვრობით, იქნებ სიჯიუტითაც; ვინ იცის.

ტყე-ტყე და მინდორ-მინდორ მიირწევა ჭრელწინდიანი თუშის ქალი, წინდას მიიქსოვს და მიღიღინებს ჩუმად თავისთვის. ცა ისე მაღალია მის თავს, ისე ლურჯი და თეთრ გვირილებაყრილი, არ შეიძლება უსიმღეროდ გაუძლოს გულმა, თანაც ისეთმა, ეთერის გული რომ არის — თუშეთის მინდვრების სურნელით გაჟღენთილი ლექსებით, ანდა — ლელასი — ხან ნაღვლიანი და ხანაც ამ მთებივით გოროზი, რომ აგიტაცებს და მასთან ერთად ფარფატით შემოგატარებს სალ კლდეებსა თუ პიტალოს, ათასფერი ყვავილებით მოჩითულ გორებსა თუ სათიბებს.

ზოგჯერ, ზევით, ცისა და მინის შესაყარზე ქორი გამოჩნდება, ფიქრში კი მაინც შავი მიმინო კრთება ბედისწერასავით და მაშინ ვეღარ აკავებენ თუში გოგონას ასკილისფერი ტუჩები ნაღვლიან ბგერებს — „რა უნდა, შავი მიმინო რა სულ ჩემ ცაზე ტრიალებს...“

ლელას ნამღერ მანანა ჩიტიშვილისეულ სტრიქონებს ის ცეცხლი უკიდია, მარტო ლექსში რომ იქნებ ვერც ამოეკითხა მკითხველს.

მანანა ლელას საყვარელი ავტორია. თითქოს მისთვის დაიწერა „ჯავრი“ და „ცხრაჯერ ჩავშალე ნანნავი“, მისთვის შეიქმნა ტარიელ ხარხელაურის ლექსიც — „ვერკვლის ციხე ვარ“, ანდა „ინგილოური ნანა“, „ლომო, შე ლომის მოკლულო“, თუ „ვერცხლისამც თასად მაქცია“

გამორჩეული გემოვნებით არის აგებული ლელა თათარაიძის რეპერტუარი. ფანდურს გა' ' '

სიმონ მაისურაძე

ხარი ხად ძალი აკლია,
ისიც კუთხეში აქვსო.

ვაჟა.

ეროვნული სპორტის განვითარებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართულ ჭიდაობას, რომლის შესახებ თავის დროზე არაერთი საყურადღებო წერილი გამოუქვეყნებიათ დიდ ილიას, აკაკის, ვაჟას და სხვა მამულიშვილებს. ისინი ქართულ ჭიდაობას, დიდ ქართულ ეროვნულ საუნჯეს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ.

მათ შორის, ვინც ჩვენს დროში ქართული ჭიდაობის განვითარებას ფასდაუდებელი ამაგი დასდო, არის სიმონ მაისურაძე. იგი უცვლელად იყო საქართველოს თერთმეტგზიანა ჩემპიონი და არაერთგზის — აბსოლუტურ წონაში. მისი ბადალი მოჭიდავე სპორტული მონაცემებით, აღნაგობით, სისწრაფით, მოხერხებულობით, ელვისებური ფანდებით მართლაც იშვიათად მოიძებნება. საკმარისია, აღინიშნოს, რომ მან 400-ზე მეტი ფანდი შეითვისა, დაამუშავა, განავითარა და დაამკვიდრა. სიმონმა თავისი მდიდარი გამოცდილების საფუძველზე შექმნა სახელმძღვანელო „ქართული ჭიდაობა"

ეს შესანიშნავი, სნორუპოვარი ფალავანი 1927 წლის 5 იანვარს ახმეტის რაიონის სოფელ ჩაბინაანში დაიბადა. იმ სოფელში, რომელსაც ქართული ჭიდაობის მექას უნოდებენ. საოცარია, მაგრამ იმ ხანად თითქმის ყველა შესანიშნავი ქართული სტილით მოჭიდავე ჩაბინაანიდან, ამ 40-კომლიანი სოფლიდან იყო. სწორედ ამ სოფელმა აღზარდა 50-იან წლებში ცნობილი მოჭიდავეები ზაქრო ბაკურაძე, ძმები ზაალ და თამაზ ჩიკვილაძეები, ბაგრატ მაისურაძე, ვლადიმერ ჩიკვილაძე და სხვები. ახმეტის რაიონიდან გამოდიოდნენ ბათო თედეევი, ანზორ ქიბროწაშვილი, ვლადიმერ თედეშვილი, კოსტა ბაშინურიძე... და მაინც მათ შორის სიმონ მაისურაძე სულ სხვა ვარსკვლავად ელავდა.

სიმონმა თავის წონაში ხომ მრავალგზის მოიპოვა ჩემპიონობა, ძალა აბსოლუტურ ფალავნობაშიც მოსინჯა. იგი ქვესაშუალო წონის მოჭიდავე იყო და, როგორც გამონაკლისი, დაუშვეს მძიმე წონის მოჭიდავეებთან შერკინებაზე. მოხდა გასაოცარი ამბავი: მან უკან ჩამოიტოვა ისეთი აღიარებული ფალავნები, როგორებიც იყვნენ ს. ბაიდურაშვილი, შ. გზირიშვილი, ბ. თედეევი, ა. რაზმაძე, შ. მაზმიშვილი, ლაფაური.

1949 წელს სიმონ მაისურაძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩაირიცხა სოფლის მეურნეობის ეკონომიკის სპეციალობით და სტუდენტ მოჭიდავეთა გუნდს ჩაუდგა სათავეში. ამ გუნდმა მალე რესპუბლიკაში უძლიერესის სახელი მოიპოვა.

სახელოვანი ფალავანი ამხანაგებში, საზოგადოებაში და ოჯახშიც რაინდული თვისებებით გამოირჩევა.

როგორ სწრაფად გაფრენილან წლები! ქართული ჭიდაობის ამ სწორუპოვარ ფალავანს უკვე 70-მა მიუკაკუნა. ამხანაგებმა და მეგობრებმა გულმხურვალედ მიულოცეს, გასაოცარია: საჭიდაო ხალიჩაზე ერთთავად შემართული, გაუტეხელი ადამიანი რა მორიდებული და თავმდაბალია ცხოვრებაში. თუმცა, გასაკვირი არაფერია: ვაჟკაცი ყველგან ვაჟკაცად რჩება, დიდი სპორტსმენი დიდი მოქალაქეც არის.

ოთარ მეღვინეთუხუცესი

Qართველი მსახიობი, სსრკ სახალხო არტისტი ოთარ ვახტანგის ძე მეღვინეთუხუცესი დაიბადა 1932 წლის 16 იანვარს ახმეტის რაიონის სოფ. ხორხელში.

1954წ. დაამთავრა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტი. 1954-67 წწ. იყო კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობი. ამ პერიოდში მისი როლებიდან აღსანიშნავია: ჩონთა (ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილი"), თედორე (ლ. ლეონოვის „შემოსვლა"), ნოდარი (ზაკისა და კუზნეცოვის „ორი ფერი", გაიდაი (კორნეიჩუკის „ესკადრის დაღუპვა"), ბენედიქტი (შექსპირის „აურზაური არაფრის გამო").

1967-76 წწ. რუსთავის დრამატულ თეატრში მუშაობდა, სადაც განასახიერა სირანო დე ბერჟერაკი (როსტანის „სირანო დე ბერჟერაკი"), ნიკოლოზ I (კოროსტილიოვის „ასი ნლის შემდეგ"), ფიროსმანი (კოროსტილიოვის „ფიროსმანი"), ლიმონა დევდარიანი (დუმბაძის „საბრალდებო დასკვნა") და სხვ.

1976 წლიდან კვლავ მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობია. ამ პერიოდში შეასრულა ოიდიპოსის როლი (სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე"), ოტელო (შექსპირის „ოტელო") და სხვ.

ო. მეღვინეთუხუცესის კინოფილმებში შესრულებული როლებიდან აღსანიშნავია: ჯამბულათი („ფატიმა"), გიგა ბეთანელი („კეთილი ადამიანები"), გაიოზ გადალენდია („ტარიელ გოლუა"), არზაყან ზვამბაია („მთვარის მოტაცება"), მეფე გიორგი („დიდოსტატის მარჯვენა"), ელიოზი („ნატვრის ხე"), დათა („დათა თუთაშხია"). ეს უკანასკნელი სსრკ სახელმწიფო პრემიით აღინიშნა 1981წ.

ოთარ მეღვინეთუხუცესის მიერ შექმნილი სახეები ღრმად ფსიქოლოგიური და რომანტიკულია, მათში ორგანულად არის შერწყმული ინტელექტუალური და ემოციური მხარეები.

კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი მსახიობი ამჟამადაც ნაყოფიერად მოღვაწეობს მარჯანიშვილის სახელობის სახ. თეატრში, არის მისი სამხატვრო ხელმძღვანელი.

ო. მეღვინეთუხუცესი ქართული თეატრისა და კინოს გამოჩენილი ოსტატია. თანამედროვე აქტიორული ხელოვნება წარმოუდგენელია მეღვინეთუხუცესის გარეშე. მისი სახეებით გამდიდრებულ ამჟამინდელ თეატრში ძალიან ძლიერია ო. მეღვინეთუხუცესის გმირების „ემოციური ნაკადი". არსებითად ეს შინაგანი, ფარული პოლემიკაა ანტიემოციურ თეატრთან. პოლემიკა პრაქტიკოსებისა, რომლებიც თავიანთი ნიჭითა და ოსტატობით ამკიდრებენ განსხვავებულ ტენდენციებს. ო. მეღვინეთუხუცესი ამ ტენდენციებში ეძებს თავის თეატრალურ გზას. იგი სულიერ ნათესაობას გრძნობს აკ. ვასაძესთან. მოხიბლულია მისი არტისტიზმით. აღმერთებს ასპაზიას, თაყვანს სცემს შრომას, პროფესიონალიზმს, თუმცა სცენაზე ადვილად ეძლევა სტიქიურ გატაცებას. ხშირად ერთმანეთში ერწყმის ყოველი, თუმცა ყველა შემთხვევაში ნაკლებად მიჰყვება მოდას. არ სჯერა, რომ თეატრმა მხარი უნდა აუბას განსაცვიფრებელ მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს. შეხედეთ მის გაოგნებულ, განწირულ თვალებს ოიდიპოსში, როცა გმირი მზეს მიმართავს („ჩაქრი, მზეო"); ფიროსმანის ცეკვა და სიკვდილის სცენა, დონ

კიხოტისა და სირანო დე ბერჟერაკის ნაღვლიანი გამოთხოვება, ნიკოლოზ პირველის „აფეთქება" და თქვენთვის ნათელი გახდება მარად ძველი და მარად ახალი „არტისტული პროგრესი"— მისი დიდი ადამიანური სიმართლე!

ო. მეღვინეთუხუცესი მაშინ გამოვიდა შემოქმედებით ასპარეზზე, როცა ქართულ თეატრში განმაახლებელი მოძრაობის „ახალი ტალღა" დაიძრა. ეს არის 50-იანი წლების მეორე ნახევარი .

ახლის ძიებათა რთულ პროცესში წარმოიშვა სხვადასხვა დინება, რაშიც კარგად იკითხება რეალიზმის საზღვრების გაფართოების სურვილი, ყოველი თეატრალური ტენდენცია ცალკე ანალიზის ღირსია. ჩვენ მხოლოდ ვადასტურებთ მრავალფეროვან ძიებათა ფაქტს. ყოველ მათგანს თავისი წარმატება და თავისი „აქილევსის ქუსლი" აქვს, მაგრამ, მთავარია, ერთმა ტენდენციამ ხელოვნურად არ ჩაკლას მეორე. სტილური მრავალფეროვნება ერის მდიდარ თეატრალურ შესაძლებლობაზე, მისი სულიერი ინტერესების მრავალმხრივობაზე მეტყველებს. თეატრალური ნოვაციის სიჭარბე, ახლებური თეატრალური აზროვნების წადილი თავის მხრივ თაობათა მონაცვლეობის რთულ პროცესთან არის დაკავშირებული. ქართულ თეატრში ეს ერთობ მტკივნეული, ნინააღმდეგობრივი და ზიგზაგობრივი პროცესია. დიდი ვარსკვლავთცვენის მოწმენი ვიყავით ქართულ თეატრში. მათი სახელები ყველას ახსოვს, მაგრამ, უდიდესი დანაკარგის მიუხედავად, მაინც არ შენელებულა ქართული თეატრის მაჯისცემა. დიდ თეატრალურ ავტორიტეტებს ახალი თაობები მოჰყვნენ და თავიანთი სათქმელი მოიტანეს. ყველაფერი ეს თვით ცხოვრებით ნაკარნახევი მოვლენებია. თეატრის განვითარების დინამიკაში მარად საცნაურია თანადროული აზროვნებისაკენ სწრაფვა. ბუნებრივია, რომ ასეთ პერიოდში ხდება აქცენტების გადაადგილება. უფრო მძლავრად იჩენს თავს ერთი რომელიმე ტენდენცია. ზოგჯერ მეორე პლანზე აღმოჩნდება ის, რაც ძირითადი იყო გუშინ თუ გუშინწინ. ამ ბუნებრივ მოძრაობაში იყო უკიდურესობანი, ზერელობა, აქტიორულ საშუალებათა ამჩატების, გაიოლების ტენდენცია, მაგრამ დრომ თეატრის ფსკერზე დატოვა მსოფლიო დანალექები, დრო-ჟამს შემორჩა, რაც გამძლე იყო, ნამდვილი. ო. მეღვინეთუხუცესი არ აჰყოლია მოდის ინერციას, იგი უფრო მტკიცედ იდგა „ძველ" პოზიციებზე. ზოგჯერ ზედმეტად სტაბილურიც იყო. მისი თაობის ნიჭიერი წარმომადგენლები ცდილან რადიკალურ განახლებას, ოთარ მეღვინეთუხუცესიც ორგანულად ერწყმოდა ამ საერთო დინებას. მაგრამ, როცა დადგა თეატრის ახალგაზრდობის ცალკე გამოყოფის ჟამი (რუსთავის თეატრიდან), ისინი შეეცადნენ, ხაზი გაესვათ თავიანთი პოზიციის განსაკუთრებულობისათვის. 60-იანი წლების მეორე ნახევარში ეს ერთგვარ გამოწვევასაც ნიშნავდა. პოლემიკური იყო თეატრის მხატვრული პოზიცია. ოფიციალურად განუცხადებელ პოლემიკაში მთავარი როლის შესრულება სნორედ ო. მეღვინეთუხუცესს მოუხდა.

ო. მეღვინეთუხუცესის შემოქმედებითი ბიოგრაფია უკვე ორმოც წელზე მეტს ითვლის — ეს ცოტა როდია. ბევრსაც მიაღწია მსახიობმა. ითამაშა ოიდიპოსი და ჰამლეტი. დრამატურგიაში ეს სახელები მწვერვალებია, მაგრამ მსახიობის ხელოვნებაში დრამატურგიული მწვერვალების გარეშეც მიიღწევა ხოლმე ახალი აქტიორული მწვერვალები, უცებ გაიხსნება ცა, გამოჩნდება მანამდე შეუმჩნეველი, სხვათა მიერ უბილავი სიმაღლეები. ამ სიმაღლეებისკენ ისწრაფიან ნიჭიერი მსახიობები, მიდიან სხვადასხვა გზებით. გამორჩეული გზა ხვდა ოთარ მეღვინეთუხუცესსაც!

სილოვან ნარიმანიძე

ელიზედ-ელიზეზედ:
ანსად არ უსნს ცეს ბოლოი.
ისედ ერთიდერთად ხსნად მოსნს
სეფორეეფოური. —
სიმბოლო!
ალეე. ამ ეზიი ალეე.
იქ ბიდის ეკეელი ეზი ბოდეოს.
ელსაც შენ დეეზიარე.
ერის ის ერთი. —
სიმბოლო!
ფერი და სიმალი კაცისა.
სიცოცხლის ეზნეი მოოური.
ანეეი ბოიმალისა. —
სიმბოლო.
სეფორეეფოური!

ამოჩენილი ქართველი პუბლიცისტი, პოეტი, ნოვატორი, ვერლიბრის დიდოსტატი, პროზაიკოსი და მრავალი საინტერესო პუბლიცისტური წერილის ავტორი სილოვან ალექსის ძე ნარიმანიძე დაიბადა 1925 წლის 15 მარტს ახმეტის რაიონის სოფ. მაღრაანში. „ციხე მაღრაანისა ანუ ციხე ბახტრივნისა", ასე უნერია ვახუშტი ბაგრატიონს. ის სოფელი თავისი მცხოვრებლებიანად მიწასთან გაუსწორებია შაჰ-აბასს, მხოლოდ რამდენიმე კაცს მოუხერხებია და ტყეში გახიზნულა. სოფელს მდინარე მაჭარეული ჩამოუდის, ცხრაკარაც იქვეა, რომელიც ალავერდს გაღმიდან გამოღმა გამოჰყურებს, როგორც დედაღმერთს. ამ ცხრაკარას შემოგარენთან დაიბადა და იქვე ყალიბდებოდა სილოვან ნარიმანიძის ცხოვრების აზრი და იტვირთებოდა სული ბუნების უთვალავი საოცრებით...

ჩემი სოფელი მაღრაანია.
შილდას არ გეტყვით,
ის სქართველოს ფალავანია!
მაჭარეული ღელე არის ჩემი სოფლისა,
მის სათავეში ძველი ციხე-კალაფანია...

მამა, ალექსი ნარიმანიძე მას არ ახსოვს, ოცდახუთი წლის ვაუკაცი ყაჩაღებმა მუხანათურად მოკლეს ცხრაკარასთან. მაშინ სილოვანი ერთი წლისაც არ იყო. ოთხ წლამდე დედასთან იზრდებოდა, მერე დედამისი გათხოვდა და პატარა სილოვანი თავის ძველ ოჯახში დარჩა პაპის, თედო ნარიმანიძის და მამიდების მზრუნველობის ქვეშ. ასეთი იყო მისი ბავშვობა.

1950 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. ჯერ კიდევ საშუალო სკოლაში სწავლისას გამოამჟღავნა პოეზიისადმი მისწრაფება. მისი პირველი პოეტური კრებული: „როცა იღვიძებენ ტყეები" 50-იან წლებში გამოიცა, რის შემდეგაც 25-მდე პოეტური კრებული და ერთტომეული დაბეჭდა. მკითხველთა ყურადღება მიიქცია პოეტურმა კრებულებმა: „ქვეყანა დიდია", „მაისის საღამო", „გედების გადაფრენა", „ბალადა ღამეული მგზავრისა", „კაცი, რომელიც მიყვარს", „შორეული დღე", „მზის სიახლოვეს", „ერთომეული", „ბოლო სადგური" და სხვა.

სილოვან ნარიმანიძემ 25 წელი იმუშავა გაზეთ „სამგორის" რედაქტორად. ვიღა არ მოდიოდა რედაქციაში და რა არ იბეჭდებოდა იქ: ვახტანგ ნადარეიშვილი, მუხრან მაჭავარიანი, ლადო მრელაშვილი, შოთა ნიშნიანიძე, სიმონ შამფრიანი, გივი ძნელაძე, ოთარ შალამბერიძე, იორამ ქემერტელიძე და სხვანი. გიორგი ლეონიძემ „სამგორელებს" სიყვარულითა და ხუმრობით ლიტერატურულ შეკრებულობას „ლოჭინ-ტაიმსი" უნოდა.

სულითა და ხორცით პოეტი შეუძლებელია გულგრილი მეთვალყურე იყოს ქვეყნად მიმდინარე მოვლენებისა და არც ამ მოვლენების ინდეფერენტული, თუნდაც სკრუპულოზური აღმნუსხავი და მემატიანე. პოეტი უპირველესად მონაწილე უნდა იყოს მის სამშობლოში დატრიალებული გრიგალებისა და სილოვან ნარიმანიძეც ამ მოვლენების შუაგულში ტრიალებს მუდამ...

ს. ნარიმანიძის ლექსები თარგმნილია რუსულ, უნგრულ, ბულგარულ, უკრაინულ, სომხურ, აზერბაიჯანულ, ოსურ, აფხაზურ, თათრულ და სხვა ენებზე. პოეტი ორჯერ იყო წარდგენილი სახელმწიფო პრემიაზე.

აი, ასეთ ღამაზ სტროფს უძღვნის მუხრან მაჭავარიანი ღვაწლმოსილ პოეტს:

ნორჩი მთვარე კახეთში,
ძორს ბღავის ბერის ირემი.
მთვარეს სვენსაეთ გახლეჩილს,
უძესოდ ვეროთირუბი.

პოეტმა დიდი დრო დაუთმო მსოფლიო პოეზიის შედევრების თარგმნას. მან ქართულ ენაზე თარგმნა მსოფლიოს ისეთი ბუმბერაზი პოეტები, როგორებიც არიან ბაირონი, გოეთე, ედგარ პო, მიცკევიჩი, უიტმენი, ჰიუგო, რემბო, ეუჯინიო მონტალე, კავაფისი, პაბლო ნერუდა, ესენინი და მრავალი სხვა.

ს. ნარიმანიძე არის საქართველოს მრავალი საზოგადოების წევრი.

მისი შემოქმედება, რომელიც ძირითადად პოეზიის კალსიკურ ფორმებს ეყრდნობა, ამუშავებს ქართული პოეზიის ტრადიციულ თემებს. უმღერის მაღალ მოქალაქეობრივ იდეებს. მას ყველაზე მეტი აღიარება მოუტანა თავისუფალმა ლექსებმა, რომელიც ძირითადად რიტმულ ჰარმონიას ეყრდნობა და აზრობრივ სიღრმეებს და გამოკვეთილობას მთავარ დატვირთვას ანიჭებს...

პოეტი რომ ხარ,
კარი რომ ხარ, ის მიხარია!
გასხოვს?.. მსარბეჭით, ლდეეებშუა ძლიეს ეტეოდი...
რამდენი მთა და რამდენი დღის ციცარია.
სვენგან ვსადგსა ადებული სანაძლეოთი...
სადაც ის მთები,
იქ ვეაეთ სვენც მიხატული,
თაეს ვვედგა თადი. — ეარსკვლავეთი ეკვაესიონის.
რომ საეტანა სვენი სიტეეა, სვენი ქართული.
რბილდენ ზვირთები, ალაზნისა, მტკვრის და რიონის.
*ძაურამ ეს ი

ეს სტრიქონები პოეტმა კარლო კალაძემ უძღვნა სილოვან ნარიმანიძეს და ჩერქეზული ნაბადიც აჩუქა მის იუბილეზე 1985 წელს.

და ბოლოს, აი, ს. ნარიმანიძის მიერ 1997 წელს დედისადმი მიძღვნილი უმშვენიერესი, ლამაზი ლექსი:

ვადუდგებლივ წვიმს მთელი დაშე.
ნისლს დაუფარავს ალაზნის ველი.
ვეფხის ხეები ებრძოდნენ ქარებს.
და შეშფოთებულა თეო ძმისაგერი.
დღეს კი ხალაბო ჩამოდგა ხვედის.
ფერი ფაფალი მძიმეული მიდამოს,
იქნებ ეს წვიმა ცრემლია დედის.
ძმურად ვანყალილი წარსულის ჯაშო...

სილოვან ნარიმანიძე არჩეულია ფაზისის აკადემიის აკადემიკოსად.

რევაზ მიშველაძე:

ქართული თავისუფალი ლექსი („ვერლიბრი") სათავეს შუა საუკუნეებიდან იღებს, ჩვენი საუკუნის ოციან წლებში გალაკტიონმა ააღორძინა იგი („ჯეონ რიდი"), მერე თვით „ლურჯა ცხენების" ავტორმაც მიივიწყა როგორც არაორგანული ნაწილი მეტაფორულ-მუსიკალური ქართული პოეზიისა.

და ორმოცდაათიან წლებში ჩვენს პოეზიაში კვლავ გამოჩნდა თავისუფალი და თეთრი ლექსი.

სილოვან ნარიმანიძემ იკისრა ჩვენს პოეზიაში თავისუფალი და თეთრი ლექსის განახლება და დამკვიდრება.

ლიტერატურის ისტორიაში შესასვლელად ეს მცირე წვლილი როდია.

გულხალასი პოეტია, თანაც პუბლიცისტიკაში გაბედული და უკომპრომისო.



თედო უთურგაიძე

ცნობილი ენათმეცნიერი და პედაგოგი თედო გიგოს ძე უთურგაიძე დაიბადა 1927 წელს ახმეტის რაიონის სოფელ ქვემო ალვანში.

1945-50 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, შემდეგ კი ასპირანტურაში ქართული ენის სპეციალობით.

1954 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ქართული ენის თუშური კილო", ხოლო 1969 წელს — სადოქტორო დისერტაცია თემაზე „ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა", რომლებიც გამოქვეყნებულია მონოგრაფიების სახით.

1961 წლიდან მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში. არის ქართველურ ენათა განყოფილების გამგე. ამავე დროს არის თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრის პროფესორი. არის გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

მრავალმხრივია თ. უთურგაიძის მეცნიერული მოღვაწეობა. წლების განმავლობაში იგი მუშაობდა ქართული ენის დიალექტების, კერძოდ, მთის კილოების ისტორიის, ლექსიკისა და სხვა ენებთან მათი ურთიერთობის საკითხებზე, იკვლევდა ქართული ენის ფონემატურ სტრუქტურას, ქართული ენის შესწავლის ისტორიას, ქართული ენის მორფოლოგიისა და მორფონოლოგიის მნიშვნელოვან საკითხებს. არის შვიდამდე მონოგრაფიისა და ათეულობით სამეცნიერო სტატიის ავტორი.

თ. უთურგაიძის ხელმძღვანელობით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში საფუძველი ჩაეყარა ქართული ენის კომპიუტერულ კვლევას. იგი მუშაობს ქართული ენის მორფოლოგიის კომპიუტერული მოდელირების საკითხებზე.

თ. უთურგაიძე სათავეში ედგა ქართული ენის დიალექტოლოგიური ატლასისათვის მასალების მოპოვების საქმეს. წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ენათმეცნიერების ინსტიტუტისა და სხვადასხვა სასწავლო ცენტრების ერთობლივ დიალექტოლოგიურ ექსპედიციებს გორის, ლენინგორის, ცხინვალის, შუახევის, ხულოს, ქედის, თელავის, ყაზბეგის, ახმეტისა და სხვა რაიონებში. 1968 წელს — თ. უთურგაიძისა და გ. ბაკურიძის ინიციატივით მოეწყო „დიკლო-შენაქოს წახდენის" მსხვერპლთა ხსენების 130 წლისთავის აღსანიშნავი დღეები, რომელშიც მონაწილეობდნენ ქართველი მწერლები, კულტურისა და მეცნიერების წარმომადგენლები.

1998 წელს თედო უთურგაიძე დარეჯან ჩხუბიანიშვილთან ერთად იყო სამეცნიერო ექსპედიციაში ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა და კულტურის სამინისტროების მიწვევით, ჩაიწერეს ფერეიდანის ყველა ქართულენოვანი სოფლების მეტყველების ნიმუშები.

თ. უთურგაიძე ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა ათეულობით წლების განმავლობაში საქართველოს სხვადასხვა რაიონის სასწავლო ცენტრებში (გორში, თელავში, ქუთაისში, ზუგდიდში და სხვ.).

შენგელი ფიცხელაშრი

საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, საერთაშორისო კლასის არბიტრი, გენერალ-მაიორი შენგელი ალექსის ძე ფიცხელაური დაიბადა 1946 წლის 2 აგვისტოს ახმეტის რაიონის სოფ. ახშანში. რაფიელ ერისთავის სახელობის ქისტაურის საშუალო სკოლის 8 კლასის დამთავრების შემდეგ, ვ. ბალერის და შ. ზუკაკიშვილის რჩევით, გადადის ქ. თბილისში და სწავლას აგრძელებს № 46 საშუალო სკოლაში, ხოლო 1965 წელს შედის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე, რომელსაც ამთავრებს 1970 წელს. ამის მემდეგ, 1977 წელს, ამთავრებს ამავე უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტს.

შ. ფიცხელაური 1970 წელს ხდება საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ჭიდაობა-სამბოში, ხოლო 1973 წელს ძიუდოსა და სამბოში. ამ დროისათვის იგი უკვე სამგზის საბჭოთა კავშირის ჩემპიონია. 1973 წელს ესპანეთში, ხოლო 1975 წელს ინგლისში შენგელი ფიცხელაური ხდება ევროპის ორგზის ჩემპიონი. იგი არის 1971 წლის (გეტერბორგი, შვეცია), 1973 წლის (მადრიდი, ესპანეთი) და 1974 წლის (ლიონი, საფრანგეთი) მეორე და ორგზის (ინგლისი) ევროპის მესამე პრიზიორი. 1973 წელს ქ. ლოზანაში (შვეიცარია) გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში შ. ფიცხელაური ეუფლება ბრინჯაოს მედალს. იგი არის საფრანგეთის, გერმანიის, ჩეხოსლოვაკიის, იაპონიის, კორეის, კუბის, თბილისის საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული.

შრომითი საქმიანობა შ. ფიცხელაურმა დაიწყო 1976 წელს, როდესაც იგი თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოში გამომძიებლად დანიშნეს. 1976 წელს იგი გადაჰყავთ ამავე სამმართველოს უფროსი გამომძიებლის თანამდებობაზე, ხოლო შემდგომ — განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლად. 1980 წ. შ. ფიცხელაური გადადის საგამომძიებლო ქვეგანაყოფის უფროსად, ხოლო 1983 წლიდან მშობლიური რაიონის, ახმეტის პოლიციის უფროსია. 1985 წელს ცეკას ბიუროზე, რომელსაც ხელმძღვანელობდა პირველი მდივანი ედუარდ შევარდნაძე, შენგელი ფიცხელაური აღიარებულ იქნა საუკეთესო მუშაკად. მისი მუშაობა შეფასდა დადებითად და გადმოიყვანეს თბილისში, ქალაქის სამძებრო განყოფილების უფროსად და ამავდროულად მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილედ საგამოძიებო სამსახურის დარგში. ამ თანამდებობაზე დაჰყო 1991 წლამდე. 1991 წლიდან 1997 წლამდე შ. ფიცხელაური ქ. თბილისის ისნის რაიონის სასამართლოს თავმჯდომარეა, აქ მას იუსტიციის სამინისტრო აღიარებს, როგორც სასამართლოს საუკეთესო მუშაკს.

1997 წლიდან დღემდე შ. ფიცხელაური საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის უფროსია.

1999 წლის 29 მაისს პრეზიდენტის განკარგულებით დაჯილოდებულია მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის", ხოლო ამავე წლის 2 დეკემბრის განკარგულებით მინიჭებული აქვს გენერალ-მაიორის წოდება.

შ. ფიცხელაურს სასამართლოში მუშაობის დროს მიღებული აქვს აგრეთვე მოსამართლეთა მომზადების დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანთა უფლებების დაცვის ვარშავის ბიუროს 1994 წლის საერთაშორისო სერთიფიკატი.

შენგელი ფიცხელაურს გავლილი აქვს სპეც-კურსები ამერიკის შეერთებულ შტატებში და აქვს შესაბამისი სერთიფიკატი.

თეიმურაზ ყაზარაშვილი

„სწრაფი. მოქნილი. ძალის ელექტრული. ძიებაში ის ერ სულელებია. ვინც ფიქრობ ვდები ძალიანაც. ან ეძიებენ თეძო ყაზარაშვილს ეი ეგულებიან ფეხბურთში. ეს ერ ახლა ზრდა და შაკი მოიყვანეთ ჩემპიონატ. ჯერ ეგ უმყურებიდა

სპორტის დამსახურებული ოსტატი, ოლიმპიური ჩემპიონი

ქ. ალმა-ატა

ქართველი სპორტსმენი, მოჭიდავე (კლასიკური ჭიდაობა), სსრკ სპორტის ოსტატი, სსრკ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი თეიმურაზ მიხეილის ძე ყაზარაშვილი დაიბადა 1959 წლის 7 დეკემბერს ახმეტის რაიონის სოფ. მეთანში.

1981 წელს დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო ფიზიკულტურის ინსტიტუტი. შემდეგ თსუ-ის ეკონომიკური ფაკულტეტის სტუდენტია. მსოფლიო ჩემპიონი გახდა 1982 წელს კატოვიცეში, იყო მსოფლიო თასის მფლობელი (1980წ. გეტებორგი, შვეცია); გაიმარჯვა უნივერსიადაში (1981წ. ბუქარესტი); მსოფლიო ჩემპიონატის (1983წ. კიევი) ბრინჯაოს პრიზიორი; სსრკ ორგზის (1982 და 1984წწ.) ჩემპიონი.

ჭიდაობაში რეკორდების ფიქსირება არ ხდება, მაგრამ მეხსიერებაში მაინც რჩებათ. ვთქვათ ის, რომ მოწინააღმდეგე შეიძლება ბეჭებზე ორ წამში დაანვინონ. არა გგონია? აი, ნახეთ. სასტვენის ხმა გაისმა, ნაბიჯი წინ ნადგა, დაიგრიხა, ტუშე! რამდენს აჩვენებს თვენი წამმზომი? ნამდვილად ორ წამს...

თემო ყაზარაშვილი მორიდებით ლაპარაკობს საკუთარ თავზე. „პირველი ხერხი, რომელსაც დავეუფლე, კისრული იყო. ყველა ქართველი მოჭიდავე ამით იწყებს. თუმცა ქართული ჭიდაობა არ მისწავლია, მაგრამ ამ ჩვენ ეროვნულ სპორტს თითქოს ჰაერთან ერთად ვისუნთქავთ. აი, ალბათ, მეც ჩავისუნთქე"

ღრმად ჩაისუნთქა. პირველი შეხვედრა მსოფლიო ჩემპიონატზე 1982 წელს უნგრელი ჩაბოი ვადასისთან ყაზარაშვილმა მეორე წუთზე დაამთავრა. სამჯერ კისრულით გადმოტანა მოასწრო და თითოეულ გდებაში მსაჯებმა უმაღლესი — 4-ქულიანი შეფასება მიაცეს.

12:0 — ეს წმინდა გამარჯვებაა ქულებით. მეორე წუთზე!..

ოცდასამი წლის თემო ყაზარაშვილი მსოფლიო ჩემპიონი გახდა!

ასეთი საინტერესო ბიოგრაფია აქვს წარსულში სახელგანთქმულ ქართველ ფალავანს, თეიმურაზ ყაზარაშვილს.

ვალერიან ჩეკურიშვილი

ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, სოფ. ყვარელწყალში ჯარისკაცის საბლის დამაარსებელი ვალერიან გრიგოლის ძე ჩეკურიშვილი დაიბადა 1932 წლის 16 დეკემბერს ახმეტის რაიონის ამავე სოფელში, ყვარელწყალში.

3. ჩეკურიშვილმა მძიმე ბავშვობა გამოიარა. გარდაეცვალა დედა, დები.

წერა ადრეულ ასაკში დაიწყო. პირველად ლექსებს წერდა, მაგრამ არავის აკითხებდა, წერდა მოთხრობებსაც. ბევრს კითხულობდა, განსაკუთრებით მხატვრულ ლიტერატურას.

კრებულები: — „ჩვენებური კაცი", „ბედი კაცთა", „სამი უჩინმაჩინი", „ფიდო პაპას ზღაპარი". რომანები: „მზე და ჯანღი კოშკებში", „სიკვდილი სირცხვილზე ადვილი იყო". ნისი პიესები დადგეს ქუთაისის, თელავის, ზუგდიდის სახელმწიფო თეატრებმა.

ვინც თვალს ადევნებს ამ მწერლის შემოქმედებას, ალბათ, შემჩნეული ექნება, რომ იგი თავის ნაწარმოებებში განსაკუთრებულ ადგილს უთმობს ახალგაზრდობის პრობლემებს.

ვალერიან ჩეკურიშვილი, როგორც მწერალი, ორმოცდაათიანი წლების ბოლოს გამოჩნდა, მაგრამ თანამოკალმეთა შორის რატომღაც ნაკლებ პოპულარულია. რატომ? — მწერალი ელგუჯა ლებანიძე გვიამბობს:

ამ უხერხულ კითხვაზე მე ასე მიპასუხა: „ეს უპირველესად ჩემი ბრალია — პოპულარობაზე არასოდეს მიზრუნია. ვფიქრობდი, მთავარია, პატიოსნად ვნერო, აღიარება თავისთავად მოვა-მეთქი. რედაქციებში მიტანილმა ბევრმა მოთხრობამ დღის სინათლე მხოლოდ იმიტომ ვერ იხილა, რომ მათი ბედით აღარ დავინტერესებულვარ... როგორც ჩანს, განგების ნებაც არის: ზოგნი ბედის საქოჩრეზე წამოსაკუპდებიან, სხვანი — სასნაულს ელიან. სასნაულები კი დღეს იშვიათად ხდება"

ერთხანს, როგორც მწერალი, თითქმის გაქრა არენიდან : ყოველდღიურმა საზრუნავმა სხვა პრობლემებისკენ გაახედა. სამაგიეროდ, ასპარეზზე გამოვიდა „მეორე" ვალერიან ჩეკურიშვილი — მახვილი კალმის ტელეჟურნალისტი, რომელიც გვერდს არასოდეს უვლიდა ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებს.

აი, როგორ მიყვება ბატონი ვალერიანი თავის მშობლიურ სოფელ ყვარელწყალში შინმოუსვლელი ვაჟკაცის — დავით ხადელაშვილის სახლის აღდგენის ისტორიას: „მოსწავლე ვიყავი, ნადირობიდან ვბრუნდებოდი, საღამო იყო. ნასვამ ხალხს თავი ავარიდე და იქვე ღობესთან ჩავცუცქდი. „მასპინძელო, მასპინძელო!" „სპიჩკა" გამოგვიტანე, „სპიჩკა", — იძახდა ერთი. „ვერ გამოგიტანს. ეგ სახლი 1941 წლის მერე დაკეტილია", — უპასუხა მეორემ. „ბოდიში, ბოდიში", — გასძახა სახლს პირველმა. ეს შემთხვევა სამუდამოდ ჩამრჩა ხსოვნაში" გავიდა დრო და ვ. ჩეკურიშვილმა დაწერა მოთხრობა „ჯარისკაცის სახლი". შემდეგ მიაღწია იმას, რომ ის სახლი აღადგინეს. დავით ხადელაშვილმა ომის პირველივე დღეებში გამოკეტა თავისი სახლის კარი, წავიდა და აღარც დაბრუნებულა. ახლა მის სახლს მთელი სოფელი პატრონობს.

აი, ეს სიკეთე, მოყვასის სიყვარული ვალერიან ჩეკურიშვილის მთელი ცხოვრების მრწამსია.

ფარნაოზ ჩიკვილაძე

1941-1966

ქართველი სპორტსმენი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, მსოფლიოსა და ევროპის მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორი ფარნაოზ ლუკას ძე ჩიკვილაძე დაბადა 1941 წლის 14 აპრილს ახმეტის რაიონის სოფ. ქისტაურში.

1963 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური გეოგრაფიის ფაკულტეტი.

აბიტურიენტი შემთხვევამ მოულოდნელად ჩამოაშორა უაღრესად ნიჭიერი და პერსპექტიული მოჭიდავე საბჭოთა კავშირის ნაკრებს.

ფარნაოზი დიდ სპორტს ქართული ჭიდაობით ეზიარა. იგი ბავშვობიდანვე გამოიდიოდა სხვადასხვა სახის შეჯიბრებაზე ქართულ ჭიდაობაში და წარმატებებსაც აღწევდა. თბილისში ჩამოსვლის შემდეგ თავის ძმასთან ზაალ ჩიკვილაძესთან ერთად მეუფლებოდა ოსტემატურ ვარჯიშს როგორც ქართულ ჭიდაობაში, ისე სამბოში. სამბოში იგი პირველად 1962 ნელს გამოჩნდა საკავშირო პირველობაზე, სადაც სრულიად ახალგაზრდა მეთიმე წონაში IV ადგილი დაიკავა. მზარდი ახალგაზრდის მონდომება და დიდი სურვილი ჭიდაობის მიმართ მალე შენიშნა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა და იგი საბჭოთა კავშირის ნაკრებში შეიყვანა, სადაც სამბოსთან ერთად ძიუდოში ვარჯიშსაც ინყებს. ფ. ჩიკვილაძე სულ მალე გახდა ჩემპიონი 1963 ნელს ჩატარებულ განეფოს თამამებისა და თავისი ადგილი დაიმკვიდრა საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდში. 1964 ნელს საბჭოთა ნაკრებთან ერთად იგი პირველად მიემგზავრება ევროპის პირველობაზე. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ ამ შეჯიბრებაში სახელოვანი ჰოლანდიელი გოლიათის ანტონ გეზინგის შემდეგ II ადგილი დაიკავა. ამავე ნელს იგი საბჭოთა ოლიმპიურ ნაკრებ გუნდთან ერთად გაემგზავრა XVIII ოლიმპიურ თამაშებზე, სადაც კვლავ ბრნყინვალედ გამოვიდა და საბჭოთა გუნდს ბრინჯაოს მედალი შეუმატა. მთავრობამ დიდად შეაფასა მისი სპორტული მიღნევა და მიანიჭა სპორტის დამსახურებული ოსტატის საპატიო წოდება.

ფარნაოზი იბრძოდა, რათა გამხდარიყო პირად პირველობაში ევროპის ჩემპიონი და ეს დღეც დადგა: 1965 ნელს ქ. მადრიდში ჩატარებულ ევროპის პირველობაზე მან მიაღწია თავის სანადელს და ჩემპიონობა მოიპოვა. იგი პირველად გახდა ევროპის ჩემპიონი მძიმე წონაში...

ფარნაოზ ჩიკვილაძემ სულ მოკლე ხანში საკმაოდ დიდ წარმატებებს მიაღწია და მოიპოვა ოთხი ოქროს, სამი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი.

უცაბედი სიკვდილი რომ არა, ვინ იცის, რამდენჯერ იბრძოლებდა წარმატებით და კიდევ რამდენჯერ ასახელებდა სამშობლოს.

დავით ჩოლოყაშვილი

1735-1809

ეფე ერეკლე II-ის მდივანბეგი, მეცნიერი, პოეტი, მთარგმნელი და საზოგადო მოღვაწე დავით ჯიმშერის ძე ჩოლოყაშვილი დაიბადა დაახლოებით 1735 წელს. მისი დაბადების თარიღის შესახებ ზუსტი ცნობა ვერ მოვიპოვეთ. ერთადერთ ცნობაა, როგორც ეს გ. ლეონიძემ მიუთითა (დროშა, 1925 წ. №25), იოანე ბატონიშვილი იხსენიებს „კალმასობაში", მაგრამ საეჭვოა, რომ იოანე ბატონიშვილს, რომელმაც „კალმასობა" 1813-1828 წლებში დაწერა, ზუსტად ხსომებოდა დავით ჩოლოყაშვილის წლოვანე-

დავით ჩოლოყაშვილის დახასიათება დაგვიტოვეს იოანე ბატონიშვილმა, პლატონ იოსელიანმა და სხვებმა. იოანეს ბიოგრაფიული დეტალებიც კი აქვს გადმოცემული („კალმასობა, 1936 წ. გვ. 97). ქართული ლიტერატურის ეს ისტორიკოსი დავითს ახსენებს ბელოიკის შემდგომ მესტიხეებში.

პლატონ იოსელიანის ცნობით, გიორგი მეფემ მოიწვია დავითი და ბეჭდის ლეგენდის შედგენა დაავალა. მართლაც, დავითმა შეადგინა ნარნერა: „სიმდაბლით გარდამოსულსა იესოს ვაქებ... მიერთვა მეფეს თელავს და მოეწონა..."

შემდეგ ისტორიკოსი ახასიათებს დავით ჩოლოყაშვილს, როგორც „კაცსა სიტყვა მარჯვესა და კვალად ატიკურად მნერალსა", „დიდათ ნიჭებულსა სიტყვითა და საქმითა...

დავით ჩოლოყაშვილი ნახსენებია აკად. მარი ბროსესა და თეიმურაზ ბატონიშვილის წერილებში. ბატონიშვილებმა იცოდნენ, რომ იგი დიდად განათლებული კაცი იყო, მცოდნე სანახაობითი კულტურისა და ბერძნული მითოლოგიისა.

დავით ჩოლოყაშვილის განათლებისა და იდეური ცხოვრების არე შეიძლება შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ.:

იგი იყო არა მარტო ქართული, არამედ რუსული და უცხო მწერლობის კარგი მცოდნე. როგორც ვთქვით, მან ღრმად იცოდა მითიოლოგია. იგი არა მხოლოდ რუსულიდან, არამედ ქართულიდან რუსულად თარგმნიდა წიგნებს. მაგალითად, მას დაავალეს რუსულად ეთარგმნა ვახტანგ მეექვსის კანონები.

დავითი როგორც ჩანს, პედაგოგიურ მუშაობასაც ეწეოდა. აღნიშნავენ, რომ ის იყო აღმზრდელთაგანი ივანე მურადაშვილისა (გ. ლეონიძე) და თეიმურაზ ბატონიშვილისა (წერილი დავით ჩოლოყაშვილზე).

დავით ჩოლოყაშვილი ეზიარა იმ დროის განმანათლებელთა იდეებს, ის არ ეთანხმებოდა დრომოჭმულ რელიგიურ შეხედულებებს, ამის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაძლევს იოანე ბატონიშვილი.

„კალმასობის" გმირები, იონა ხელაშვილი და ზურაბა ღამბარაშვილი, სოფელ ფაშაანში ეახლნენ დავით ჩოლოყაშვილს. იონა ეუბნება ზურაბს: ვაითუ დავითმა არ მიგვიღოს, უღვთო კაცს ამბობენო.

სტუმრები დავითის სახლს მიუახლოვდნენ და „ფანჯრიდამ შესძახეს: „მდივანბეგო, დღეგრძელდი, ღვთის სტუმარი შეგვიწყნარეთ, სახლი გვიბოძეთ". დავითმა მოსულებს ხმა გამოსცა და მსახურს უბრძანა: ჩუმად ნაიყვანე ესენი და „და ამ სოფლის ბოლოს დაქცეული საყდარი რომ არის, იქ მიიყვანე და ასე უთხარ: „რადგან ღვთის სტუმარი ხარ, აჰა ღვთის სახლი, და შენ კი წამოდი". იონა დანიშნულ ადგილზე მიიყვანა მსახურმა. იონა

მიხვდა რაშიც იყო საქმე და მსახურს უთხრა: „მდივანბეგს ასე მოახსენე: ოხერს საყდარს ეშმაკები უნდა ეპატრონებოდეს, და თქვენ უფრო გფერობთ აქ დგომაო"

დავითმა მიუგო: „ბერო, მე ცხონება და წარწყმედა არა მწამს" მე შენი ქადაგებით არ მოვიქცევი, მე მითოლოგია მისწავლია" და შენი არ მჯერაო. აქ დავითი იონას მონათხრობის მიხედვით გადმოსცემს მითოლოგიურ ამბებს (კალმასობა, გვ. 97, 98, 124).

იონე ბატონიშვილის ეს მოწმობა საკმარისი არ იქნებოდა, დავით ჩოლოყაშვილი გამოგვეცხადებია თავისუფალ მოაზროვნედ, წარმართობის გვიანდელ აპოლოგეტად; არ ვიცით, როგორი იყო ის პირად ცხოვრებაში, მისი ლიტერატურული შემოქმედება კი სულ სხვა რამეს გვეუბნება:

დავით ჩოლოყაშვილმა ლომონოსოვიდან სასულიერო ლექსები გადმოიღო; „იფიღენიას" ქართულ ვერსიებში, რომლებიც მან დაამუშავა, შეაზავა ქრისტიანული ელემენტები წარმართულთან.

მისი შემოქმედება, ზოგადად, შემდეგ სურათს იძლევა:

1. დავით ჩოლოყაშვილს ნვლილი უძევს ვახტანგ VI კანონების რუსულად თარგმნაში (Акты, т.1, стр. 447).

2. მანვე თარგმნა ირაკლი მეფისა და პავლე პირველის ხელშეკრულება (კალმასობა, 1936 ნ. გვ. 127).

3. სამაზრო ხაზინადართა არჩევნების დებულება (Проф. А. Цагарели, Сведения, вып. III, стр. 12).

დავით ჩოლოყაშვილი ავტორია როგორც ნათარგმნი, ისე ორიგინალური ლექსებისა.

4. მას ეკუთვნის ბეჭდის ლექსი, რომელიც ზემოთ მოვიტანეთ („სიმდაბლით გარდამოსულსა...").

5. რიგი მკვლევარებისა დაჟინებით მიაწერენ მას ცნობილ ლექსს „სიყვარულო ძალსა შენსა"

ეს ლექსი ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსთა კრებულშია შეტანილი. ალბათ, როგორც ეს სამართლიანად აღნიშნა მკვლევარმა გაიოზ იმედაშვილმა, ალ. ჭავჭავაძემ მოტივი გამოიყენა ამ ლექსისა. მისი დამწყები რომ დავითია, ამაში ეჭვი არ არის.

6. როგორც ითქვა, დავით ჩოლოყაშვილი პირველი ქართველი მთარგმნელია ლომონოსოვის სასულიერო ჰიმნებისა, სახელდობრ „საწინასწარმეტყველო, წიგნი იობისა, 40,4 I...", „145 ფსალმუნი გალექსილი"

დავით ჩოლოყაშვილი არ ჩანს 1809 წლის შემდეგ, ჩვენ ვიცნობთ მის უკანასკნელ სიგელს 1809 ნლისა, რომლითაც ის ნმინდა გიორგის წირავს მამულებს. ჩანს, ამის მერე მალე გარდაცვლილა.

დიმიტრი ცისკარიშვილი

1779-1841

�itري ივანეს ძე ცისკარიშვილი, იგივე ფოცხვეროვი დიმიტრი — დიმიტრი თუში დაიბადა 1779 წელს ახმეტის რაიონის სოფ. ზემო ალვანში. 1832 წლის 16 დეკემბერა შეთქმულების საგამომძიებლო კომისიას სოლომონ დოდაშვილმა უჩვენა: „სტუ-მრად ვიყავი პეტერბურგიდან ჩამოსულ კაპიტან ჩოლოყაშვილთან. ცოტა ხნის შემდეგ მასთან ძოვიდნენ ერთი მღვდელი, ბატონი ფოცხვეროვი და ერთი პრაპორშჩიკი. ჩაია ვიყამდით"

ამაზე შემთხვევის გამო ალ. ორბელიანმა უჩვენა: „ზაქარია ჩოლოყოვი ჩემი აბლო ნათესავი არის... მივედი. პატარა ხანს უკან დიმიტრი თუშს რომ ეძახიან, სიონია ქანდელაკი და პრაპორშჩიკი იოსელიანი შემოვიდნენ"

ს. დოდაშვილის ჩვენებით „ერთი მღვდელი" ყოფილა. ალ. ორბელიანის ჩვენებით „სიონის ქანდელაკი", „ერთი პრაპორშჩიკი" — „პრაპორშჩიკი იოსელიანი", ხოლო „ბატონი ფოცხვეროვი" — „დიმიტრი თუში"

დიმიტრი თუში, ფოცხვეროვი, სინამდვილეში გვარად ცისკარიშვილი იყო. მნერალი დიმიტრი ცისკაროვი შედის იმ ამალაში, რომელიც დარეჯან დედოფალს ახლდა რუსეთს გადასახლებისას (აქტები, II, 107).

დიმიტრი ცისკარიშვილს აქვს გუბერნსკი სეკრეტრის ჩინი, მის შესახებ რტიშჩევი მიწერს საქმეთა მინისტრს 1815 ნ. 30 აპრილს ნერს: „რაც შეეხება გუბ. სეკრეტრის ცისკაროვის დაჯილდოვებას, რომელმაც თავი გამოიჩინა ერთგული სამსახურით კახეთის ამბოხების დროს, მისი ღვანლის დასაფასებლად, ვფიქრობ, რომ იგი უნდა დაჯილდოვდეს მე-4 ხარისხის ვლადიმერის ორდენით; რაც გამოდგება ნუგეშის საცემელად მისი ბოზუცებული მამისათვის, რომელიც აგრეთვე გამოირჩეოდა თუშებში იმპერატორია ტახტისადმი ერთგულებით" (ფონდი 2/8, საქმე 368, ფ.73).

ნიკოლოზ ჩუბინოვი ნერს საქართველოს ეგზარქოსს თეოფილაქტეს 1800 ნ. 4 ივნისს: „ძდივანი ცისკაროვი, რომელიც სამეგრელოს დედოფლის ამალაშია, ცნობილია როგორც საუკეთესო კალიგრაფი და ქართული დამწერლობის ხელოვანად დაუფლებული. ის ცოტა ხნის ნინათ თბილისში იყო და სიამოვნებით დათანხმდა ჩემს წინადადებას გადანეროს ათონის მთაზე დაცული ქართული ბიბლია (А. Цагарели, Сведения, вып. III, 24).

დიმიტრი ცისკაროვი პეტერბურგში ახლავს სამეგრელოს დედოფალს ნინო გიორგის ასულს 1827 ნ. იონა ხელაშვილი ნერილს მოსწერს დიმიტრი იოანიჩ ცისკარიშვილს პეტერბურგიდან. 1831-1832 ნლებში ის თბილისში ჩანს.

ბროსეს ცნობით, „დიმიტრი ცისკაროვი, იოანეს ვაჟი, გუბერნიის სეკრეტარი და ორდენებით დაჯილდოებული, გარდაიცვალა 62 ნლისა 10 აგვისტოს 1841 ნელს. იგი დიდხანს ახლდა პეტერბურგში დედოფალ ნინას..." დასაფლავებულია ზემო ალვანში — სამების ეკლესიაში.

დიმიტრი ცისკარიშვილი

ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დიმიტრი ლევანის ძე ცისკარიშვილი დაიბადა 1939 წელს. 1963 წელს დაამთავრა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი. ორი წლის განმავლობაში მუშაობდა ქ. მცხეთის რაი-საავადმყოფოში ექიმ-ორდინატორად 1966 წლიდან მუშაობს თერაპიის ინსტიტუტში: ჯერ უმცროს მეცნიერ თანამშრომლად, შემდეგ კლინიკური ელექტროფიზიოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელად, ხოლო 1985 წლიდან კვლევის ფუნქციური მეთოდებისა და ლაზეროთერაპიის განყოფილების ხელმძღვანელად. 1973 წ. დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1989 წ. სადოქტორო დისერტაცია კარდიოლოგიის აქტუალურ საკითხებზე. ავტორია ასამდე სამეცნიერო ნაშრომისა (გამოქვეყნებულია ყოფილ სსრკ-ში, გერმანიაში, საფრანგეთში, იტალიაში, აშშ-ში), მათ შორის რამდენიმე მონოგრაფიაა. 1987 წელს მიენიჭა სსრკ-ს სამედიცინო აკადემიის პრემია საუკეთესო ნაშრომისათვის კარდიოლოგიის დარგში (მონოგრაფიისათვის „მიტრალური სარქველის პროლაფსი" 1985, თბილისი, რუსულ ენაზე, ნ. ყიფშიძესა და თ. დავარაშვილთან ერთად). დ. ცისკარიშვილი ერთ-ერთი პირველთაგანია საქართველოში ვინც გულის არითმიების ელექტრული მეთოდებით მკურნალობა დანერგა. იგი პიონერია ჩვენს ქვეყანაში ულტრაბგერითი გამოკვლევების მეთოდის დანერგვისა გულისა და მუცლის ღრუს ორგანოების დაავადებათა დროს.

მედიცინის დარგში მიღწეული წარმატებებისათვის 2000 წელს დაჯილდოვდა „ღირსების ორდენით"

მაგრამ, მედიცინა არ არის ერთადერთი დარგი, რომელიც დიმიტრი ცისკარიშვილის ინტერესთა სფეროში შედის. იგი დიდი ხანია ისტორიითაა გატაცებული და გატაცებულია იმდენად, რომ ხუმრობით უთქვამს კიდეც: მედიცინა ჩემთვის ჰობია, ნამდვილი პროფესია სამხედრო ისტორიაა. სწორედ ისტორიით დაინტერესების შედეგია ის ვრცელი ორტომეული, „ნაპოლეონი", რომელიც დ. ცისკარიშვილის მიერაა შექმნილი და ესოდენ დიდი მონონება დაიმსახურა მკითხველში. „დიდ კორსიკელზე" უზარმაზარი ლიტერატურა არსებობს, მაგრამ უკანასკნელ ხანამდე არ არსებობდა ქართული მონოგრაფია, „ქართულად დანახული" ნაპოლეონი. ახლა ასეთი ნიგნი აქვს ჩვენს მკითხველს.

ივანე ცისკარიშვილი

1821-1903

ივანე დავითის ძე ცისკარიშვილი დაიბადა 1821 ნელს ახმეტის რაიონის სოფ. ალვანში. იგი იმ ქართველ საზოგადო მოღვაწეთა ნრეს ეკუთვნოდა, თავიანთი უპრეტენზიო და მოკრძალებული შრომით გარკვეული კვალი რომ დააჩნიეს XIX ა-ის საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალ სფეროს და ამით ნიადაგი მეუმზადეს იმ ბუმბერაზ საზოგადო მოღვაწეებს, რომელთაც დიდი ილია მეთაურობდა და ურომლისოდაც მეფის რუსეთისდროინდელ საქართველოს გაუჭირდებოდა თავისი ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება.

ივანე ცისკარიშვილი უდავოდ ერთ-ერთი პირველთაგანი იყო ქართველ მოღვაწეთა შორის, რომელთაც საფუძველი ჩაუყარეს ქართულ ეთნოგრაფიას და საქმის ცოდნით ვაცნეს რუს მკითხველს საქართველოს ნარსული, მისი კულტურა, ყოფა-ცხოვრება, ნესჩვეულებები, ფოლკლორი და სხვ.

ივანე ცისკარიშვილს იმ დროისათვის სათანადო განათლება მიუღია, დაუმთავრებია თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზია და შემდეგ მას ვხვდებით სხვადასხვა თანამდებობებზე — თარჯიმნად, თუშ-ფშავ-ხევსურეთის მილიციის უფროსის მოადგილედ, თუშთა ასეულის მეთაურად და სხვა.

ივ. ცისკარიშვილი სამოღვაწეო ასპარეზზე XIX ს-ის 50-იან ნლებში გამოვიდა, ეს ის პერიოდია, როცა საქართველოში ჯერ კიდევ არ გამოდიოდა პერიოდული პრესა ქართულ ენაზე, ამდენად, ქართველ მოღვაწეებს ძირითადად რუსულ პერიოდულ ორგანოებში უხდებოდათ თანამშრომლობა. მათ მიერ მოწოდებული მასალა საქართველოს შესახებ სამუალებას აძლევდა რუს და ხშირ შემთხვევაში ევროპელ მკითხველებსაც (რომელთათვისაც შედარებით ხელმისაწვდომი იყო რუსული გამოცემები), ახლოს გასცნობოდნენ ქართველ ერს, მის ისტორიას, კულტურას, ტრადიციებს და ა.შ.

რა თქმა უნდა, რუსი მოღვაწეებიც წერდნენ საქართველოს შესახებ საისტორიო ნერილებსა და ნარკვევებს, მაგრამ მათ მიერ მოწოდებული ინფორმაცია ხშირად იმდენად არასრულყოფილი და ცალმხრივი იყო, რომ მკითხველს არასწორ წარმოდგენას უქმნიდა საქართველოზე.

ამ პერიოდში საქართველოში გამომავალ რუსულ ბეჭდვით ორგანოთა შორის გაზეთ „კავკაზს" (დაარსდა 1846 ნელს) უდავოდ ფლაგმანის როლი ჰქონდა დაკისრებული, რომელიც ოფიციალურ მასალასთან ერთად თანმიმდევრულად ბეჭდავდა იმდროინდელი საქართველოსა და რუსეთის იმპერიაში შემავალ სხვა კავკასიელ ხალხთა ცხოვრებასთან დაკავშირებულ წერილებს.

სწორედ გაზეთ „კავკაზის" ფურცლებზე მოუხდა თავისი წერილების გამოქვეყნება ივანე ცისკარიშვილს, რომლის საქმის ცოდნით დაწერილმა ეთნოგრაფიულმა მასალამ მაშინვე მიიპყრო მკითხველთა ყურადღება, მის წერილებს დიდი შეფასება მისცა ცნობილმა პოეტმა, ეთნოგრაფმა და საზოგადო მოღვაწემ რაფიელ ერისთავმა.

სულ რამდენიმე წერილი თუ კორესპონდენცია გამოაქვეყნა ივ. ცისკარიშვილმა, მაგრამ ის მცირედიც, რაც მან დაგვიტოვა მემკვიდრეობით, იმდენად მნიშვნელოვანია, რომ უდავოდ აყენებს მას ცნობილ ეთნოგრაფთა გვერდით.

ივ. ცისკარიშვილის უმთავრესი ნაშრომია „ჩანანერები თუშეთზე" („Записки о тушетии"), რომელიც იბეჭდებოდა გაზ. „კავკაზში" 1849 ნელს. აქ საკმაო სისრულითა და უაღრესად საინტერესოდ არის აღნერილი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ერთ-ერთი ულამაზესი კუთხის თუშეთის ეთნოგრაფიული სინამდვილე, ეთნიკური შემადგენლობა, წარმომავლობა, ენა, კულტურა, ისტორია, სარწმუნოება, მათი ფოლკლორი, სანესჩვეულებო რიტუალები და ა.შ. აქვე იგი საკმაოდ დახვეწილად და საქმის ცოდნით აღნერს ჩვეულებითი სამართლის საკითხებსაც.

ივანე ცისკარიშვილი საკმაოდ ვრცლად შეეხო დანაშაულისა და სასჯელის სახეებს, მოგვცა მათი ანალიზი.

ივ. ცისკარიშვილის ნარკვევში სათანადო ასახვა ჰპოვა სამოქალაქო სამართლებრივმა ინსტიტუტებმა, თუმცა არა ისე ფართო მასშტაბით, როგორც სისხლისა და სასამართლო ორგანიზაციის საკითხებმა.

ლევან ცისკარიშვილი

1897-1967

პროფესორი ლევან დიმიტრის ძე ცისკარიშვილი დაიბადა 1879 წელს. დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე წითელი არმიის რიგებშია. პირველად მუშაობს თბილისის ერთ-ერთი საევაკუაციო ჰოსპიტლის ქირურგიული განყოფილების გამგედ, ხოლო 1942 წელს გაიგზავნა მოქმედ არმიაში, ჯერ ყირიმში — ეერჩის ნახევარკუნძულზე ფრონტის ჰოსპიტლის ნამყვან ქირურგად, ხოლო შემდეგ მონაწილეობა მიიღო ჩრდ. კავკასიის, უკრაინის მესამე და მეოთხე ფრონტებზე. აქიგი საველე ჰოსპიტალში ასრულებდა ნამყვანი ქირურგისა და არმიის ქირურგის მოვალეობას. ლ. ცისკარიშვილს განსაკუთრებით მძიმე პირობებში მოუხდა მუშაობა ქერჩის ნახევარკუნძულზე. დაჭრილები სამხედრო მანქანებით პირდაპირ ქ. ქერჩში განლაგებულ ჰოსპიტლებში მოჰყავდათ. ჰოსპიტალი, რომელშიც ლ. ცისკარიშვილი მუშაობდა, ყველაზე დიდი იყო. მისი აქტიური მონაწილეობით ჰოსპიტალის 600 სანოლი დაიდგა კინოთეატრის შენობაში.

მიუხედავად იმისა, რომ ჰოსპიტლის მთელი კოლექტივი დღედაღამ განუწყვეტლივ მუშაობდა, დაჭრილებს ძლივს აუდიოდნენ. იმ ჰოსპიტლის გვერდით, სადაც ლ. ცისკარიშვილი მუშაობდა, დაბანაკებული იყო ფრონტის წინა ხაზიდან გადმოტანილი საველე ჰოსპიტალი. აღსანიშნავია, რომ ეს ჰოსპიტალი ქ. ქერჩში გაიხსნა და ძირითადად ქართველი მედიცინის მუშაკებით იყო დაკომპლექტებული. მტრის ავიაცია მოსვენებას არ აძლევდათ ჰოსპიტალში ნორმალური მუშაობისათვის. აი, რას იგონებს ლ. ცისკარიშვილი:

„ყუმბარების ნამსხვრევები ჩვენი ჰოსპიტალის ფანჯარაშიც ცვიოდა. ფანჯრებს ვამბობ, თორემ, არამცთუ მინები, არამედ ჩარჩოებიც ქალაქის ყველა შენობაში მოგლეჯილი იყო. ჩემი საოპერაციო ოთახის ჭერიც დაცხრილული და ჩამონგრეული იყო ყუმბარის ნატეხებისა და ფეთქებადი ტალღებისაგან. თავისთავად ცხადია, ამ პირობებში ზოგიერთი მედმუშაკი უიმედობამ მოიცვა და შიშმა აიტანა და ჩვენმა საქმიანობამაც ორგანიზებულობა დაკარგა. საჭირო იყო უფრო მხნე და მედგარი ხალხის მობილიზაცია და მუშაობის გაგრძელება. ასეთებიც აღმოჩნდნენ და შეეძელით ორი ბრიგადის შექმნა, რათა, პირველყოვლისა, დახმარება გაგვეწია იმ დაჭრილთათვის, რომლებიც კიდურებზე სისხლის შემაჩერებელი ლახტით იყვნენ მოყვანილი. გავდიოდით კინოდარბაზში, სადაც თავმოყრილი იყვნენ დაჭრილები, ვარჩევდით ლახტდადებულებს და პირდაპირ საოპერაციოში შეგვყავდა. ერთ-ერთი ასეთი შემოწმების დროს, საერთო ხმაურში, თვითმფრინავთა გამაყრუებელ გუგუნში, ვეებერთელა დარბაზის ერთი კუთხიდან მომესმა სუსტი ძახილი ქართულ ენაზე: „ლევან, მიშველე!..“ როგორც მოგეხსენებათ, ავადმყოფის კვნესა და წუხილი ექიმს არ გააკვირვებს, მით უმეტეს, ბრძოლის ველზე, მაგრამ ძახილმა „ლევან მიშველეო“, განსაკუთრებულად დაძაბა ჩემი ყურადღება და, როდესაც იგი განმეორდა, მე ჩემი ორი სანინსტრუქტორით (ერთი ახალციხელი ქართველი და მეორე ერევნელი სომეხი იყო) იქით გავწიე, საიდანაც მოდიოდა ეს ხმა. კიდევ მომესმა ხმა და მივაგენი საკაცზე მწოლიარე დაჭრილს, ლამაზი ქართული სახის ახალგაზრდა კაცს, რომელიც ძალზე გაფითრებული იყო (ბევრი სისხლი ჰქონდა დაკარგული), ვუყურებ მას დაკვირვებით და ვერ ვცნობ. იგი მისუსტებული ხმით მეუბნება:

ნუთუ ვერ მცნობ, მე გოგი ვარ, ერთად რომ წამოვედით თბილისიდან ფრონტზეო. მაშინ კი გამახსენდა, რომ თბილისიდან წამოსულ ექიმთა ჯგუფში, რომლის ხელმძღვანელადაც მე ვიყავი დანიშნული, იმყოფებოდა ახალგაზრდა ექიმი გიორგი ბოჭორიშვილი, რომელიც ქერჩში ჩამოსვლისას ჩამომცილდა, რადგან იგი გაანაწილეს რომელიღაც საველე ჰოსპიტალში, ნინა ხაზზე. მას ქვედა კიდური ბარძაყის ზემო მესამედში მოგლეჯილი ჰქონდა. დაუყოვნებლივ გადავიყვანე საოპერაციოში და, რათა მოსალოდნელი აირევანი ინფექციის განვითარება ამეცილებია მისთვის, გულდასმით ჩავუტარე ტაკვის ქირურგიული დამუშავება. დღეს გიორგი ბოჭორიშვილი მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, სამედიცინო ინსტიტუტის ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრის პროფესორი, ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი თვალსაჩინო ექიმი ქირურგია"

ლ. ცისკარიშვილმა უშუალოდ ფრონტის პირობებში ოპერაცია გაუკეთა და დახმარება გაუწია 32 000-ზე მეტ დაჭრილს. ლევან ცისკარიშვილი იყო არამარტო შესანიშნავი ექიმი და მეცნიერი, იგი არაჩვეულებრივად გულკეთილი და პატიოსანი ადამიანი იყო. მან ჭეშმარიტად ღირსეულად განვლო ნუთისოფელი და როცა თავის ხანგრძლივი სიცოცხლის დასასრული მოუახლოვდა მოკლე ანდერძი დაუტოვა ახლობლებს: საქართველო გახსოვდეთ, საქართველოზე იფიქრეთ, უკეთეს სამშობლოს ვერ ვიშოვით, უკეთესი დღეები კი აუცილებლად მოვაო...

ლ. ცისკარიშვილი საბრძოლო დამსახურებისათვის დაჯილოდებულია მთავრობის უმაღლესი ჯილდოებით: წითელი დროშის, სამამულო ომის მეორე ხარისხის, წითელი ვარსკვლავის ორდენებით და სამი მედლით.



მიხეილ ცისკარიშვილი

1928-1977

ქართველი ჰიდრომშენებელი, სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, საბჭოთა კავშირის საპატიო ენერგეტიკოსი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მიხეილ აპოლონის ძე ცისკარიშვილი დაიბადა 1928 წლის 11 ნოემბერს თბილისში. 1952 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. 1952-66 წლებში მუშაობდა საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტში, 1966-68 წლებში მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს ტრესტ „წყალმშენის" მეცხრე სამშენებლო სამმართველოს მთავარ ინჟინრად, შემდეგ ამავე სამინისტროს ტრეტს „ალაზანმშენის" მმართველად. 1972-79 წლებში მ. ცისკარიშვილი მუშაობს სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის სამინისტროს ენგურჰესის მშენებლობის უფროსად, ხოლო 1979 წლიდან ამავე სამინისტროს ტრესტ „საქჰიდროენერგომშენის" მმართველი და ენგურჰესის კასკადის მშენებლობის უფროსია, 1984 წლიდან ლენინის ორდენოსანი სანარმოო სამშენებლო-სამონტაჟო გაერთიანების „საქჰიდროენერგომშენის" უფროსი. მრავალი ყრილობის დელეგატი და სკკპ IX-XI მოწვევათა უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

მ. ცისკარიშვილი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლებით.

გარდაიცვალა 1977 წელს.

პეტრე ცისკარიშვილი

1902-1979

საქართველოს ქიმიკოსი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწე პეტრე დიმიტრის ძე ცისკარიშვილი დაიბადა 1902 წლის 15 ნოემბერს ახმეტის რაიონის სოფ. ზემო ალვანში. საქართველოს ინდუსტრიული (ახლანდელი პოლიტექნიკური) ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ. მელიქიშვილის საველობის ფიზიკისა და ორგანული ქიმიის ინსტიტუტში. იყო ამავე ინსტიტუტის ნაბშირებია ქიმიური ლაბორატორიის გამგე, შემდეგ კი — მაღალმოლეკულურ ნაერთთა ლაბორატორიის გამგე.

პ. ცისკარიშვილის ძირითადი მეცნიერული შრომები ეძღვნება მაღალმოლეკულურ ნაერთთა ქიმიას. მან აღმოაჩინა ნახშირების პლასტიფიკაცია და პირველმა შეისწავლა დეტალურად საქართველოს ნახშირების ქიმიური ბუნება, შეიმუშავა ნახშირების თერმოპლასტიფიკაციის მეთოდი.

დაჯილდოებულია ლენინის ორდენითა და მედლებით.

გიორგი ცოცანიძე

მწერალი, პუბლიცისტი, მეცნიერ-მუშაკი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი �იროდიონის ძე ცოცანიძე დაიბადა 1937 წლის 4 ოქტომბერს ახმეტის რაიონის სოფ. ქვემო ალვანში.

საშუალო განათლება მიიღო მშობლიური სოფლის, ქვემო ალვანის სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1956 წელს ვერცხლის მედლით. იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, ჟურნალისტიკის განყოფილებაზე. მეორე კურსიდან სწავლა განაგრძო ამავე ფაკულტეტის კავკასიური ენების განყოფილებაზე, სადაც ცნობილი ენათმეცნიერების: არნოლდ ჩიქობავას, გივი მაჭავარიანის, ქეთევან ლომთათიძის, ილია ცერცვაძის და სხვათა ხელმძღვანელობით ეუფლებოდა ქართველოლოგიისა და კავკასიოლოგიის ენათმეცნიერულ საფუძვლებს. უნივერსიტეტის კურსი დაამთავრა 1961 წელს. იმავე წელს დაინყო მუშაობა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილებაში, სადაც დღემდე მუშაობს. არის ამ ინსტიტუტის დიალექტოლოგიური ლაბორატორიის ხელმძღვანელი. ავტორია ქართულ ენასა და ქართულ დიალექტოლოგიაში 100-მდე სამეცნიერო ნაშრომის ა. 1978 წელს გამოაქვეყნა მონოგრაფია ფშაური დიალექტის შესახებ, რომელიც სპეციალისტებს ქართულ დიალექტოლოგიაში ახალ სიტყვად მიაჩნიათ

1987 და 1990 წლებში ორჯერ 40-ათასიანი ტირაჟით გამოიცა მისი წიგნი, სამეცნიერო პოპულარული ნარკვევი „გიორგობიდან გიორგობამდე" ამ წიგნს ეთნოგრაფები თვლიან საინტერესო ეთნოგრაფიულ ნაშრომად, ფოლკლორისტები — საიმედო ფოლკლორულ წყაროდ, დიალექტოლოგები ნახულობენ თუშურ დიალექტოლოგიურ ტექსტებს და ლექსიკოლოგიურ მასალას, პროფესორი ზურაბ კიკნაძე ჟურნალ "ცისკარში" გამოქვეყნებულ რეცენზიაში მას მხატერული სიტყვის ოსტატის ნაწარმოებად მოიხსენიებს.

1990-იანი წლებიდან ლიტერატურულ პერიოდიკაში იბეჭდება გ. ცოცანიძის მხატვრული თხზულებები — მოთხრობები და ნოველები ზოგადი სათაურებით: „მეცხვარული ნოველები" და "დაფანტული დღიურები" ორივე ამ ციკლის ნაწარმოებები შექმნილია ავტორის საველე-სამეცნიერო ექსპედიციებსა და მივლინებებში მიღებული შთაბეჭდილებების შედეგად. ამიტომაა, რომ მათ, მხატვრულ მშვენიერებასთან ერთად, ახასიათებს დოკუმენტურობა, ცხოვრებისეული სიბრძნე და ხალხური სისადავე.

2000 წელს ცალკე წიგნად გამოვიდა მოთხრობების კრებული სათაურით: „მეცხვარული ნოველები", რამაც ავტორს დიდი მწერლური აღიარება მოუტანა.

2001 წელს იბეჭდება თუშური დიალექტოლოგიური ლექსიკონი, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ ამ დიალექტისათვის დამახასიათებელ სიტყვიერ მასალას, არამედ მხატვრულ ფრაზეოლოგიასა და ეთნოგრაფიული რეალიების განმარტებებსაც.

გ. ცოცანიძე წლების განმავლობაში იყო საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილებასთან არსებული დიალექტოლოგიისა და ენის ისტორიის სამეცნიერო საბჭოს საქართველოს სექციის სწავლული მდივანი; არის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან შექმნილი საქართველოს მთიანეთის კომპლექსური შესწავლის კომისიის წევრი (აღმოსავლეთ საქართველოს ქვეკომისიის სწავლული მდივანი); საქართველოს ეთნოგრაფთა ასოციაციის პრეზიდიუმის წევრი.

შოთა ხოდაშნელი კონსტანტინიდი

ქართველი პოეტი, ფოლკლორისტი, „ვეფხისტყაოსნის" ზეპირად მცოდნეთა კლუბის დამაარსებელი შოთა კონსტანტინეს ძე ხოდაშნელი დაიბადა 1938 წლის 16 ივნისს ქ. თელავში სამხედრო მოსამსახურის ოჯახში.

მისი პაპის პაპა ბასილი კონსტანტინიდი იყო საბერძნეთის სამეფოს, კერძოდ, ბიზანტიის, ერთ-ერთი სამთავროს ჰალიკარნასის (ცნობილია მსოფლიო შვიდი საკვირველებიდან, ჰალიკარნასის სარკოფაგი) მთავარი, რომლის ძმა – დამასკინე კახეთის ეკლესიებია არქიმანდრიტი იყო (გარდაიცვალა ზემო ხოდაშენში 1851 წელს). მას თან წამოუყვანია ძმის, ბასილის შვილი, 10 წლის ნიკოლოზი, რომელიც დამასკინეს სიკვდილის შემდეგ აშვილებს ზემოხოდაშნელებმა კიკო და ეკატერინე ეპიტაშვილებმა, შერთეს აქაური ქალი ცაცა უიტიაშვილი – ტანად დიდი და ფიზიკურად ძლიერი (ცაცა ყოფილა ცაცია. ალბათ, ამ მათ შთამომავლობას ეძახიან ცაციკოანთ – შეიძლება მოფერებით ცაციკოს რომ ეძახდნენ, იქიდან ნარმოსდგა ეს სახელი).

ალბ, რომ მამის მხრივ შოთა ხოდაშნელი ბიზანტიის სამეფო გვარს ეკუთვნის (მასალები ინახება თელავის მუზეუმში).

დედა – ალექსანდრა (საშა) მდივნიშვილი – ცნობილი პედაგოგი, 50 წელი იმუშავა თელავისა და ახმეტის სკოლებში.

შოთა ხოდაშნელი 1945 წელს შევიდა ზემო ხოდაშენის დანყებით სკოლაში და 1949 წელს გადავიდა ანყურის საშუალო სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1956 წელს. მონანილეობდა პიესების დადგმაში, წერდა ლექსებს. გამოირჩეოდა უდიდესი მეხსიერებით. ზეპირად იცოდა ოცდახუთი პოემა – ილიას, ვაჟას, აკაკის, გრ. აბაშიძისა და სხვ. აგრეთვე – ერის უდიდესი საგანძური „ვეფხისტყაოსანი", რომელიც 50000 სიტყვას შეიცავს. ამასთან, მან ზეპირად იცის როგორც ქართული მნერლობის პროზაული ნიმუშები, ისე შექსპირის პიესები და სონეტები.

შოთა ხოდაშნელი 1956 წელს ჩაირიცხა თსუ-ს ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1961 წელს. ამჟამად ცხოვრობს თბილისში.

ცნობილი პოეტია. მუშაობს ოთხ ჟანრში: საბავშვო და ლირიკული პოეზია, ნარკვევები, ფეიერი. გამოცემული აქვს თოთხმეტი წიგნი. შეადგინა და გამოსცა ლოტო „ვეფხვი ბარბარეს", „გონებანი გონიერსა" და ვეფხისტყაოსნის „ფლირტი", სალაღობო გაბარეთ, ...

შოთა ხოდაშნელის ლექსები სიმღერებად აქციეს კომპოზიტორებმა შოთა მილორავამ, რუსუდან სებისკვერაძემ, შალვა დავითაშვილმა, ბიძინა კვერნაძემ, რამაზ კემულარიამ და სხვებმა.

მისი საბავშვო კრებული ენის გასატეხ ქართულ ანბანზე: „უკვდავია ჩვენი სიტყვა" ქართველი ლოგოპედების სახელმძღვანელოა. ამასთან, მრავალი ნელია იგი აქტიურად თანამშრომლობს რადიო და ტელეგადაცემებში.

მწერალი კვლავ დაუღლელი ენერგიით აგრძელებს მუშაობას და კიდევ ბევრს ჰპირდება ქართველ მკითხველს, რადიომსმენელსა და ტელემაყურებელს.

რეკა ზ მიძველაძე:

პოეტი შოთა ხოდაშნელი თავისი შთამბეჭდავი ლექსების გარდა სხვა მხრივაც საინტერესო და შეუცვლელი კაცია.

ქართველ მწერლებში მან ერთადერთმა თავიდან ბოლომდე ზეპირად იცის „ვეფხისტყაოსანი"

დაუღლელად ილვწის ამ ჩვენი ყველაზე ძვირფასი ეროვნული განძის დაცვისა და პოპულარიზაციისათვის.

ამასნინათ ყმანვილთათვის „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის შესწავლის გაადვილების მიზნით ორი უაღრესად საჭირო და მაღალპროფესიული საკარჯიშო წიგნი შეადგინა.

როგორც ვიცი, ჩვენი ბავშვებისათვის შეუცველელ ამ წიგნებს ჯერ სპონსორ-გამომცემელი არ გამოუჩნდა.



ბარბარე ჯორჯაძე ერისთავი

1811-1895

ფუდაფილობამ, მეცნ ინ ეთხოვ ძმის ძმის ძისაბარეო.
ნი ფორეს, სმელეთ ზურეფსეი ჩეძი სამსაბალი მსარეო.

ვირველი ქართველი მწერალი ქალი, რაფიელ ერისთავის და ბარბარე დავითის ასული ჯორჯაძე-ერისთავი დაიბადა 1811 წელს ახმეტის რაიონის სოფ. ქისტაურში.

იგი ცოლად გაჰყვა სოფ. გრემში მცხოვრებ სამხედრო პირს ზაქარია ჯორჯაძეს, რომელთანაც შეეძინა სამი შვილი: მიხეილი, ნოშრევანი და მანანა. მანანა გათხოვდა თბილისში გეხტმანზე, რომელთანაც შეეძინა ვაჟი, შემდგომში ცნობილი პროფესორი-გეოგრაფი – გიორგი გეხტმანი.

ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო 1858 წელს ჟურნალ „ცისკარში". ბარბარეს კალამს ეკუთვნის ძალიან ბევრი ლექსი და კომედია. „მამებისა" და „შვილების" ბრძოლაში „მამების" პოზიციებს იცავდა. ბ. ჯორჯაძე რომანტიკული სკოლის ნარმომადგენელია. მოგვიანებით ქართველ სამოციანელთა შეხედულებებიც გაიზიარა (ლექსი „გაზაფხული" და სხვ.). თავის დროზე პოპულარული იყო. ნერდა ლექსებს, მოთხრობებს, პუბლიცისტურ ნერილებს. მისი პოეზია გამსჭვალულია მოქალაქეობრივი ტკივილით, სამშობლოს სიყვარულით („ლენქორანი", „მოჩვენება"), ჩაგრულთა თანაგრძნობით („თედორეს საჩივარი"), უსამართლო მოხელეთა სიძულვილით („გამომძიებელს", „რას იბღინძები...") და სხვ.

დრამაში „შური" და კომედიაში „რას ვეძებდი და რა ვპოვე" მწერალი ამჟღავნებდა ინტერესს სოციალური პრობლემებისადმი, ცდილობდა, რეალისტურად წარმოესახა იმდროინდელი საზოგადოებრივი ურთიერთობანი, მაგრამ მაინც მამაპაპურ მყუდროებას მეჩვეული ეართველი თავადაზნაურობის პოზიციაზე დარჩა.

ილია და აკაკი დიდ შეფასებას აძლევდნენ ბარბარე ჯორჯაძის შემოქმედებას.

ბარბარეს პირველი რედაქტორი და მრჩეველი მისი ძმა რაფიელი იყო.

ბარბარე ჯორჯაძე გულით ავადმყოფი იყო. იგი 1895 წელს ეტლში გარდაიცვალა გომბორის გზაზე, როდესაც ლენქორანში მიდიოდა თავის შვილთან მიხეილთან, რომელიც იე მაზრის უფროსად მუშაობდა. სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში იგი აკაკის უკვდავ სიტყვებს ჩურჩულებდა:

აღსრულდა ბარბარეს ოცნება, იგი დაკრძალულია ქ. თელავში, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ეზოში თავისი ძმის, რაფიელ ერისთავის გვერდით.

თავადის ქალი, როგორც მისი ქალიშვილი აღნიშნავდა, არ თაკილობდა ოჯახის მოვლა-პატრონობას და საჭმელებსაც თვითონ ამზადებდა.

საკუთარი გამოცდილების საფუძველზე, პირველად საქართველოში 1874 წელს, ბარბარემ გამოსცა სამზარეულო წიგნი ქართული კერძებისა, რომელშიც, ამავე დროს, სხვა აუარებელ რჩევ- დარიგებასაც აძლევს დიასახლისებს.

წიგნი სამჯერ გამოიცა და დღესაც საზოგადოების უდიდეს მოწონებას იმსახურებს.

თავადის ქალი, როგორც მისი ქალიშვილი აღნიშნავდა, არ თაკილობდა ოჯახის მოვლა-პატრონობას და საჭმელებსაც თვითონ ამზადებდა.

საკუთარი გამოცდილების საფუძველზე, პირველად საქართველოში, 1874 წელს, ბარბარემ გამოსცა სამზარეულო წიგნი ქართული კერძებისა, ამავე დროს წიგნში სხვა აუარებელ რჩევა-დარიგებას აძლევს დიასახლისებს.

წიგნი სამჯერ გამოიცა და დღესაც საზოგადოების უდიდეს მოწონებას იმსახურებს.

ვახეთის მთიანეთი



ერწო-თიანეთი, ფშავ-ხევსურეთი



ადმინისტრაციულ-ტერიტორიული რაიონი აღმოსავლეთ საქართველოში. 1917 წლამდე თბილისის გუბერნიის თიანეთის მაზრაში შედიოდა, 1924 წლიდან– დუშეთის მაზრაში, ხოლო 1930 წლიდან – ტფილისის ოლქის ერწო-თიანეთის რაიონში. 1932 წლიდან გამოიყო ცალკე, როგორც თიანეთის რაიონი. აღმოსავლეთით ესაზღვრება ახმეტის, დასავლეთით დუშეთის, სამხრეთით მცხეთისა და საგარეჯოს რაიონები.

ჰაერ – ზომიერად ნოტიო.

ნიადაგი – დაბალ ნაწილში ტყის ყავისფერი ნიადაგია, უკარბონატო, ალუვიური.

ცხოველი – არჩვი, კავკასიური ირემი, შველი, კავკასიური მურა დათვი, მგელი, მელა, მაჩვი, კვერნა, იშვიათად ფოცხვერი, ბევრია მღრღნელი: თაგვი, ბუჩქნარის მემინდვრია.

ფრინველი – კრავიჭამია, მთის არწივი, ჭკა, ძერა, ქორი, კოდალა, შაშვი, ბევრია ჩხიკვი, მტრედი და სხვ. შემორჩენილია შურთხი და როჭო.

თევზი – კალმახი, ქაშაპი, მტკვრის ტობი, ხრამული, მტკვრის წვერა, მურნა, ნაფოტა და სხვ.

სახალხო მეურნეობა – მესაქონლეობა, მეცხვარეობა, მეღორეობა, მეფრინველეობა. კლიმატური პირობები და ნოყიერი ნიადაგები განაპირობებს ხორბლის, სიმინდის, ლობიოსა და კარტოფილის კულტურების გავრცელებას.

მრეწველობა – არის სიონის მცირე სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგური. რაიონში არის ხილკენკროვანი, ღვინის, ხე-ტყის, სახერხი ქარხნები.

ისტორიული ძეგლები – ციხე-დარბაზ-სასახლე *ცხრაკარის* კომპლექსი (ჭურჭელაურებთან); ოჩანის ციხე, ხუროთმოძღვრული კომპლექსი იხინჭა (სოფ. ჩაბანოსა და დულუზაურებს შორის მიდამოები); უძველესი ქალაქის – ყალეთის ნანგრევები, არჩელის მონასტერი ნადოკრაში.

ვ ა ჟ ა

1861-1915

რამ შეიქმნა ადამიანად,
რატომ არ მოვედ წყიმდა,
რომ ყოფილიყავ ქუდამ
დრეტელთ ბულ-ბერდის მსივდა.
მიწაზე გადმოსულებად
ცალად ან თოვლად ცივდა,
არ გაშვირავდა პატრონი
ასე ოხრად და ტივლად!

Didi ქართველი მწერალი და მოაზროვნე, პოეტური სიტყვის დიდოსტატი, ბუნების დიდი მომღერალი და მესაიდუმლე, სიცოცხლეშივე „მთის არნივად“ მონათლული ვაჟა-ფშაველა (ლუკა პავლეს ძე რაზიკაშვილი) დაიბადა 1861 წლის 26 ივლისს სოფელ ჩარგალში.

ვაჟას დედა ბარბარე, ოჯახისათვის თავდადებული, სათნო, სტუმართმოყვარე და თავისი დროის კვალობაზე კულტურული მანდილოსანი ყოფილა. მას კარგად სცოდნია მდიდარი ფშავხევსურული ზეპირსიტყვიერება და მომავალ პოეტს ბავშვობიდანვე ხალხური საუნჯისადმი განსაკუთრებულ სიყვარულს უნერგავდა.

ვაჟა-ფშაველას მამა პავლე რაზიკაშვილი, ფიზიკურად ჯანსაღი, მხნე და შრომისმოყვარე, ნიჭიერი, თავისი დროისათვის დიდად ნაკითხი და გონებაგახსნილი კაცი იყო. აი, როგორ ახასიათებს მამას თვითონ პოეტი:

„ეს პატარა ტანის კაცი განხორციელებული მხნეობა, ენერგია იყო. ამასთანავე იშვიათი ნიჭის პატრონი, ორატორი, ცნობისმოყვარე და მწიგნობარი. გარდა სასულიეროსი, ქართულ ენაზე წიგნი არ მოიპოვებოდა, იმას არ შაეძინა, არ ნაეკითხა“

ვაჟა-ფშაველას პირველი მასწავლებელი მამა იყო. მომავალმა დიდმა მგოსანმა წერა-კითხვა მისგან შეისწავლა, ხოლო შემდეგ, როდესაც მას ათი წელი შეუსრულდა, თელავში ჩაიყვანეს და იქ სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს. გონებაგახსნილ ბავშვს, რომელიც ჯერ კიდევ სკოლაში შესვლამდე „ვეფხისტყაოსანს“ კითხულობდა, სასულიერო სასწავლებლის პირობები სრულიად არ აკმაყოფილებდა.

თელავის სასულიერო სასწავლებელში ვაჟამ შვიდი წელი დაჰყო. 1877 წელს იგი თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტთან არსებულ ორკლასიან სამოქალაქო სასწავლებელში გადმოიყვანეს სწავლის გასაგრძელებლად.

1879 წლის გაზაფხულზე ვაჟამ თბილისის სამოქალაქო სასწავლებელი დაამთავრა, ძალიან უნდოდა, სწავლა თბილისში გაეგრძელებინა, მაგრამ მატერიალური ხელმოკლეობის გამო ეს ვერ შეძლო, იძულებული გახდა, გორში ჩასულიყო, და იმავე წლის შემოდგომაზე ჩაირიცხა გორის საოსტატო სემინარიაში. დაიწყო ახალი და კიდევ უფრო საინტერესო პერიოდი მომავალი დიდი პოეტის ცხოვრებაში.

1879- 1882 წლები ვაჟამ გორის საოსტატო სემინარიაში გაატარა.

„მაშინდელი გორის ახალგაზრდობა ხალხსნურ მოძრაობაში იყო ჩაბმული: სემინარიის მოსწავლენი, როგორც ვაჟა, ისე სხვები, დაიარებოდნენ ხალხსნებთან კრებაზე და ეცნობოდნენ ქართველი ხალხის ვითარებას, გლეხთა ცხოვრებას“.

სემინარიელი ჭაბუკი ნამდვილი მთის არწივი იყო, ყოჩაღი, გამბედავი, შეუპოვარი, მეგობართათვის თავდადებული, გამჭრიახი, წყლიანი მოლაპარაკე.

სემინარიაში ვაჟა გატაცებით ეცნობა საკაცობრიო კულტურის დიდ ნარმომადგენლებს, კითხულობს ჰომეროსს, პლატონს, არისტოტელეს, სოკრატეს, დანტეს, შექსპირს, გოეთეს, ბაირონს...

ასევე, დიდი ინტერესით კითხულობს რუსი მწერლების: გრიბოედოვის, პუშკინის, ლერმონტოვის, გოგოლის, ნეკრასოვისა და სხვათა შემოქმედებასაც.

1879 წლიდან სემინარიელი ვაჟა-ფშაველა აქვეყნებს პირველ საგაზეთო წერილებს ფშავ-ხევსურეთის ცხოვრებიდან. 1881 წელს ჟურნალ „იმედში" დაიბეჭდა პოეტის პირველი ლექსები; იმავე წელს გაზეთ „დროებაში" გამოაქვეყნა მოთხრობა „სურათი ფშაველის ცხოვრებიდან"

1882 წლის გაზაფხულზე ვაჟა გორის საოსტატო სემინარიას ამთავრებს და იკლისიდან მასწავლებლად ინიშნება თიანეთის რაიონის ტოლათსოფლის სკოლაში, სადაც სულ რამდენიმე თვე დაჰყო.

1883 წლის ზაფხულში პოეტი უმაღლესი განათლების მისაღებად პეტერბურგს მიემგზავრება. იმავე წელს იგი თავისუფალ მსმენელად შედის პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. ვაჟა მთელი მონდომებით ენაფება სწავლას, მაგრამ მძიმე მატერიალური მდგომარეობა ნორმალური მეცადინეობის საშუალებას არ აძლევს.

ვაჟა-ფშაველას ამ პერიოდის ცხოვრებაზე საინტერესო ცნობას გვაძლევს აკადემიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი:

„ვაჟა-ფშაველა მე პირველად გავიცანი პეტერბურგში, როდესაც უნივერსიტეტში შევედი, ის მოვიდა თავისუფალ მსმენელად უნივერსიტეტში და ესწრებოდა ქართველი სტუდენტების სხდომას სათვისტომო საკითხების შესახებ. ფშავ-ხევსურეთის სახალხო პოეზიიდან აუარებელი ლექსი იცოდა ზეპირად, არავითარი რვეული, ან ნერილობითი საბუთები ხელში არა ჰქონია და ყველანი განცვიფრებულნი ვიყავით, როგორ შეეძლო ამდენი ლექსის ზეპირად დამახსოვრება. ლექსები, რასაკვირველია, დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა ჩვენზე"

პოეტმა პეტერბურგში მხოლოდ რამდენიმე თვე გაატარა, უსახსრობის გამო იძულებული გახდა, უნივერსიტეტი მიეტოვებინა და სამშობლოში დაბრუნებულიყო.

1884 წელს იგი უკვე საქართველოშია, მშობლიურ ჩარგალში. უმაღლესი განათლების მიღებაზე საბოლოოდ გულგატეხილი მნერალი სახელმწიფო სამსახურშიც აღარ შედის.

1886 წლის გაზაფხულზე მან ცოლად შეირთო ამილახვრის ოჯახში გაზრდილი ეკატერინე ნებიერიძე.

1886 წლის შემოდგომაზე ვაჟა მასწავლებლად დაინიშნა სოფელ დიდ თონეთში. იქ მან სრული ორი წელინადი გატარა. სასწავლებელი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ეკუთვნოდა და სკოლისა და მასწავლებლის ბედს ილია ჭავჭავაძე ნყვეტდა, როგორც ამ საზოგადოების თავმჯდომარე.

ილია ამ დროს უკვე იცნობდა ვაჟა-ფშაველას, აფასებდა, როგორც ნიჭიერ ახალგაზრდა მნერალს და დიდ მომავალსაც უწინასწარმეტყველებდა.

სოფელ თონეთში გატარებული ორი წელი ვაჟას ცხოვრებაში მუდმივი ბრძოლისა და დავიდარაბის პერიოდია. სოფლის ვიგინდარა მოხელეები მწერალს გამუდმებით კრიჭაში ედგნენ, აბეზღებდნენ მაზრის უფროსთან ან პოლიციაში. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა იძულებული გახდა მნერალი სამსახურიდან გაეთავისუფლებინა.

1888 წლის შემოდგომაზე ვაჟა-ფშაველამ განიზრახა, მუშაობა დაეწყო „ივერიის" რედაქციაში, მაგრამ ეს ცდაც უშედეგო აღმოჩნდა. მან ამ დანესებულებაში მხოლოდ სამი დღე იმუშავა.

აქ, უნინარეს ყოვლისა, საჭიროა, აღინიშნოს ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულება ვაჟა-ფშაველასადმი. ვაჟას „ივერიის" რედაქციაში მუდმივ თანამშრომლად მიწვევაზე ილია ერთგვარად ყოყმანობდა, „ცოტათი ეჭვობდა". ამ დროისათვის ილია უკვე კარგად იცნ-

ობდა და გამოთქმულიც ჰქონდა თავისი აზრი ვაჟა-ფშაველაზე, როგორც დიდ მწერალზე; და თუ მაინც თავს იკავებდა სამსახურში ვაჟას მიღებაზე, მხოლოდ იმიტომ, რომ ილია ნინაალმდეგი იყო, ვაჟას ხელი მოეკიდა რაიმე სხვა საქმისათვის, გარდა ლიტერატურული მოღვაწეობისა.

ამავე მოსაზრებით ილია მხარს არ უჭერს ვაჟა-ფშაველას სურვილს, გაემგზავროს ევროპაში განათლების მისაღებად.

ამ შემთხვევის გამო: „ილია ჭავჭავაძემ ხელები გაასავსავა, — ვაი შენ ჩემო თავო! ეგ არ გამაგონოთ, სამუდამოდ დავკარგავთ ამ დიდის ნიჭის პატრონსაო; ევროპაში ფილოსოფიას გამოეკიდება და ამ დიდებულს ჩანგს კაჩხაზე ჩამოკიდებსო... დაანებეთ თავი, იყოს თავის ფშავეთში და განაგრძოს თავის შემოქმედებაო"

საქმე ისე ენყობოდა, რომ პოეტი აშკარად ულუმაპუროდ უნდა დარჩენილიყო, მაგრამ ამ დროს გადანყდა, ვაჟას „ივერიის" რედაქციისაგან ყოველთვიური დახმარება მიეღო. რაღა თქმა უნდა, ასეთი გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ ილია ჭავჭავაძეს ხელენიფებოდა.

ამის შემდეგ ვაჟა-ფშაველამ სამსახურის ძიებაზე ხელი აიღო, მშობლიურ სოფელში დაბინავდა და მთელი დანარჩენი ცხოვრება აქ გაატარა. გენიალურ პოეტს სოფელში ცხოვრება მძიმე პირობებში უხდებოდა;

მწერლის ქალიშვილი თამარი მოგვითხრობს:

„ხშირად ბუხრის სინათლეზე, მუხლზე დაიდებდა ნიგნს და პატარა-პატარა ქაღალდებს დასდებდა ზედ და ისე სწერდა"

ასეთ მძიმე პირობებში შეიქმნა მისი გენიალური „ბახტრიონი", „სტუმარ-მასპინძელი", „გველის მჭამელი" და სხვა მარგალიტები, რომელსაც ვაჟა „უთესდა" მშობელ ქვეყანას.

ზედმეტი ნუნუნი და მდიდართა კერპის ნინაშე ქედის მოხრა მას არ სჩვევია და ცხოვრებისაგან შევიწროებულს ვაჟკაცურად ამხნევებს:

ხარს ვგეავრ ნაიალაღარს, რქით მიწასა ვჩხვერ,
ვბუბუნებ:
ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე! — მძინარიც იმას ვდუდუნებ;
სანყალთ საწყლობა რო მესმის, იმათ მაგივრად ვწუწუნებ;
ხანდახან ჟინი ამიღებს, სიმღერას დავაგუგუნებ.

ასეთ ღარიბულ ყოფაში გადის დრო. ვაჟა-ფშაველას სახელი, როგორც მწერლისა, დღითი დღე იზრდება. მეოცე საუკუნის დამდეგს იგი უკვე საყოველთაოდ აღიარებული დიდი მწერალია, რომელიც ილიასა და აკაკისთან ერთად იხსენიება.

ვაჟა-ფშაველა, მიუხედავად სოფელში ცხოვრებისა და მძიმე მატერიალური მდგომარეობისა, საერთო ეროვნული საქმეებიდან მონყვეტილი არასოდეს ყოფილა. მგოსანი დროდადრო თბილისში ჩამოდიოდა და ახლო ურთიერთობა ჰქონდა ეპოქის მონინავე ადამიანებთან. იგი ხშირად გამოჩნდებოდა ქართული ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში, ქართულ თეატრში, ლიტერატურულ შეკრება-საღამოებზე და მათ საქმიანობაშიც მონაწილეობდა.

განსაკუთრებით მწვავედ განიცადა ილია ჭავჭავაძის მკვლელობა, ვერაგული აქტით აღელვებული მგოსანი ილიას საქართველოსთან აიგივებდა, სწორედ ამან ათქმევინა: „ილიას მკვლელებს რომ შეეძლოთ, საქართველოსაც მოჰკლავენ".

მგზნებარე სიტყვით გამოვიდა იგი ილიას დასაფლავების დღეს.

„დიდო მგოსანო! ყველანი ერთად ვსდებთ ფიცს წინაშე შენის დიდებულის ნეშტისა, რომ შენს მიერ აფრიალებული დროშა არ დავსწიოთ დაბლა, არამედ იგი გვეჭიროს მაღლა, თვალსაჩინოდ და ვემსახუროთ შენს მიერ ნაანდერძეს იდეალებს — ძმობის, ერთობის, თავისუფლებისა და სიყვარულისას მტკიცედ, შეუდრეკლად".

1908 წლის დეკემბერში აღინიშნა აკაკი წერეთლის სამწერლო მოღვაწეობის ორმოცდაათი წლისთავი, რომელმაც საყოველთაო-სახალხო დღესასწაულის ხასიათი მიიღო.

თბილისში აკაკის საიუბილეო ზეიმში მონაწილეობის მისაღებად დელეგაციები ჩამოვიდნენ, ვაჟა-ფშაველაც აქ იყო. მის გამოჩენას ხალხი განსაკუთრებული მოუთმენლო-

ბით მოელოდა და ეს ბუნებრივიც იყო — მეცხრამეტე საუკუნის მიწურულსა და მეოცე საუკუნის დამდეგს ქართულ მწერლობას სამი სახელი განსაზღვრავდა — ილია, აკაკი, ვაჟა.

აი სცენაზე გამოჩნდა მხნე ვაჟკაცი, ქართული ჩოხა-ახალუხით შემოსილი. იგი ბუბუნით იწყებს:

მშობელი ქვეყნის მოზარევ, უნდა გიმღერო მთურადა.

იმავ ჭირით ვარ სნეული, რაც შენ გატყვია წყლულადა...

დღევანდელ დღესა არ ძალმიძს, არ ჟღერდეს ჩემი ფანდური!

ილიაც მესაუბრება, უნდა დაუგდო მას ყური.

ხალხის აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა. ვაჟა და აკაკი ერთმანეთს გადაეხვივნენ.

ვაჟა ხელმოკლეობისა და ოჯახური პირობების გამო საქართველოში მოგზაურობას ნაკლებად ახერხებდა.

ჩვენამდე მოღწეული ცნობების თანახმად, 1912-13 წლებში იგი დასავლეთ საქართველოს ქალაქებში: ქუთაისში, ფოთსა და ჭიათურაში ყოფილა, სადაც სახელოვან მგოსანს უდიდესი პატივისცემითა და სიყვარულით ხვდებოდნენ.

1915 წლის აპრილში ვაჟა-ფშაველა თბილისში ჩამოვიდა. ავადმყოფობას დაეუძლურებინა და თითქოს დაებერებინა კიდეც. მისი თბილისში გამოჩენისთანავე გადანყდა მისთვის სალიტერატურო საღამოს გამართვა. ეს საღამო 1915 წლის 23 მაისს მოეწყო. მას საზოგადოების ფართო ფენები ესწრებოდა. სათანადო პატივი მიაგეს შეკრებილებმა დიდ მგოსანს, ქართული პოეზიის არწივს, ვაჟა-ფშაველას. საღამოს დამთავრების შემდეგ ორთაჭალის ბაღებში ნადიმი გაიმართა. ეს არაჩვეულებრივი საღამო მწარე მოგონებას უკავშირდება — მწერალი გაცივდა და საბოლოოდ ჩავარდა ლოგინად.

ივნისის შუა რიცხვებში ვაჟა საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც 1915 წლის 9 აგვისტოს გარდაიცვალა. მისი დასაფლავების დღეს, 15 აგვისტოს, ხალხმრავალ პროცესიას წინ ერთი დაფნის გვირგვინი მიუძღოდა წარწერით: „ვაჟა-ფშაველას — ქართველი ერისგან“



დავით გურამიშვილი

1705-1792

ისმინე სწავლის მძებნელი.
მოჰკე დავითის მკითხავსა.
ჯერ მწარე ქ-ძე. კვლავ ეაბილი.
თუ ეძებ ავძოვნეთ.

დავით გიორგის ძე გურამიშვილის დაბადების ადგილია საგურამო, — ყოფილი თეზმის-ხევი; დაბადების წელი — 1705.

პოეტის მამა თავადი გიორგი გურამიშვილი მთელ კახეთში ერთ-ერთი მდიდარი და პატივცემული კაცი ყოფილა. სახელოვან დიდგვაროვანთა ამაყ შთამომავალს მომდურ მტრებთან — ლეკებთან, სპარსელებთან და თურქებთან ბრძოლებში ბევრჯერ გამოუჩენია თავი და სნორუპოვარი ჩუბინისა და ხმალში უძლეველი მეომრის სახელი ჰქონია მოხვეჭილი. მისი სიმამაცის ამბავი დაღესტნამდე ყოფილა გავარდნილი: ვაჟკაცობით გამორჩეულ, ტანად ვეება და პირად მშვენიერ გიორგის სათნო, ნაზი და ღვთისმოსავი ქალი, კაბეთის თავადების — ეახვახიშვილთა ასული მზევინარი შეურთავს. სნორედ მათი ქორწინების შედეგად გაჩენილან ქვეყნად ქრისტეფორე, გიორგი, დავითი და მათი დები.

მომავალი პოეტი ადრევე გაუძიძავებიათ. თოთხმეტ-თხუთმეტი წლისა უკვე დახელოვნებული მოისარი, მოფარიკავე, სრულყოფილი მხედარი ყოფილა. დროს თავისი მოთხოვნები ჰქონდა და დავითიც დროის ჭეშმარიტი შვილი აღმოჩნდა.

გონების პირველი სალესი პატარა დავითისათვის მაინც ბუნება იყო. ბუნების ნიაღში საკუთარი თვალით იხილა და ჩაწვდა ცხოვრების კანონებს. ბუნებაში ნახა მან, როგორ ჩაგრავდა ძლიერი სუსტს, როგორი დაუნდობელი, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა იმართებოდა არსებობისათვის.

დავით გურამიშვილის ბიოგრაფია პოეტი-იობის ბიოგრაფიაა.

იდგა მრისხანე ისტორიული კატასტროფების ქარიშხლიანი წლები. შაჰის ირანი და სულთნის თურქეთი შეუბრალებლად ჯიჯგნიდნენ ქვეყანას, გლეჯდნენ მას ნაწილ-ნაწილ.

ვახტანგ VI იძულებული გახდა, თავისი ამალით, ქართველი ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილის თანხლებით, რუსეთში გადახვეწილიყო. მან გადაწყვიტა, მარჯვე დროისათვის დაეცადა, მომზადებულიყო ომისთვის დამპყრობთა წინააღმდეგ და რუსეთის დახმარებით მიეღწია სამშობლოს განთავისუფლებისათვის.

1728 წელს, ერთ-ერთი მორიგი თარეშის მსხვერპლი გახდა დავით გურამიშვილი — მას თავს დაესხნენ ლეკები და დაღესტნისკენ გაიტაცეს. დაღესტანს გურამიშვილმა დაახლოებით ერთი წელი დაჰყო — აქ ბნელ ხაროში ნახევრად ტიტველს და მშიერს ამყოფებდნენ. საქართველოში გაპარვა სცადა, მაგრამ დაიჭირეს. მაშინ გადაწყვიტა, თერგზე დაბანაკებულ რუსის ჯარებამდე მიეღწია და სწორედ აქ ჰპოვა თავშესაფარი რუს ახალმოშენეთა შორის.

1729 წელს მოსკოვს მიაღწია. მოსკოვში მეფე ვახტანგმა და მისმა ძემ ბაქარმა პოეტს სახელო უნყალობეს — მისცეს თოფხანის მეთვალყურის თანამდებობა მოსკოვის ქართულ არსენალში. ჩანს, 25 წლის გურამიშვილი გამოცდილი უნდა ყოფილიყო სამხედრო საქმ-

ეში, რაკი მას ასეთი თანამდებობა ანდეს, — ვახტანგ VI სერიოზულად ემზადებოდა დამპყრობელთა წინააღმდეგ სალაშქროდ და არსენალის ხელმძღვანელობას არასაიმედო კაცს არ მიანდობდა.

ვახტანგის ირგვლივ თავი მოეყარათ უმთავრესად მწერლებს და მეცნიერებს. თვით ვახტანგ VI და მისი ახლობელნი ნაყოფიერად მუშაობდნენ ლიტერატურაში.

ამ თანამდებობას დავით გურამიშვილი კარის პოეტის წოდებასთან ათავსებდა და არაერთხელ გამოსულა გამარჯვებული პოეტთა პაექრობაში, რომელიც ენყობოდა მოსკოვში ვახტანგის კარზე. მოსკოვი გურამიშვილის პოეტური დიდების აკვანი გახდა. იგი რუსეთის კულტურული და პოლიტიკური ცხოვრების შუაგულში აღმოჩნდა, ეს ნლები ფრიად ნაყოფიერი და მნიშვნელოვანი იყო გურამიშვილის მსოფლმხედველობისა და შემოქმედების ჩამოყალიბებისათვის.

მოსკოვის ქართულმა კოლონიამ დიდი როლი შეასრულა საქართველოსა და რუსეთს შორის კულტურული კავშირის განმტკიცების საქმეში.

როგორც ყველა მონაცემით ირკვევა, დავით გურამიშვილი დიდად განათლებული კაცი იყო, კარგად იცოდა ლიტერატურა და ფილოსოფია. მისი ლექსების კრებული „დავითიანი" მაშინდელი ცხოვრების ნამდვილი ენციკლოპედიაა მისთვის ნიშანდობლივი ისტორიული, ფილოსოფიური, დიდაქტიკური მოტივებით, მთელ ნიგნს აციისკროვნებს მისი ორი ყველაზე დიდი ღირსება: ხალხურობა და ლირიკულობა.

1734 ნლის ზაფხულს ვახტანგი საქართველოში გასამგზავრებლ'ად ემზადებოდა, მაგრამ მალე ცნობა მიიღო, რომ თბილისი ნადირ-შაჰს დაეპყრო. ვახტანგი თავისი თანამებრძოლებით, რომელთა შორის დავით გურამიშვილიც იყო, ასტრახანს დაბრუნდა. იმედგაცრუებული და სასოწარკვეთილი მეფე ასტრახანში გარდაიცვალა 1737 ნელს.

„მეფე მოგვიკვდა, ვიქმენით ჩვენ მნარედ
ოხერ ტიალი!
მით დაგვიბნელდა საწუთროს შუქთა
ბრნყინვა და ჭყრტიალი"

ვახტანგის სიკვდილის შემდეგ ქართველი ემიგრანტები მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. რუსეთის მთავრობამ მათ ჯამაგირი შეუნყვიტა და დახმარებას შეპპირდა იმ შემთხვევაში, თუ ქართველი ემიგრანტები რუსეთის მუდმივ ქვეშევრდომობას მიიღებდნენ და სამუდამოდ რუსეთში დარჩებოდნენ.

დ. გურამიშვილი შეუერთდა ქართველთა იმ პარტიას, რომელმაც რუსეთის ქვეშევრდომობა აირჩია.

იმპერატრიცა ანნამ რუსეთის ქვეშევრდომობაში გადასულ ქართველთაგან ჩამოაყალიბა ჯერ ასეული, შემდეგ კი ქართველ ჰუსართა პოლკი. თითოეულ ჰუსარს ებოძა მინის ნაკვეთი უკრაინაში. 1739 ნელს პოეტი უკრაინაში გაემგზავრა.

ქართული ესკადრონი, რომელშიც დ. გურამიშვილი შედის, როგორც ჰუსარი, შემდეგში პოლკად იქცა და რუსეთის არმიასთან ერთად მონაწილეობდა ომებში თურქეთის, შვეციის, პრუსიის წინააღმდეგ.

ქართველ ჰუსართა შორის სიმამაცით და გამბედაობით გამოირჩეოდა დავით გურამიშვილი. იგი რამდენჯერმე დაიჭრა ბრძოლებში.

1758 ნელს ჰუსართა პოლკი მონაწილეობს პრუსიის წინააღმდეგ ცხარე ბრძოლებში ცონდორფთან, ელერსდორფსა და კიუსტრინესთან. უკანასკნელ ბრძოლაში დაჭრილი დავით გურამიშვილი პრუსიელებმა ტყვედ ჩაიგდეს და მაგდებურგის ციხეში დაამწყვდიეს, სადაც ნელიწადზე მეტ ხანს დაჰყო.

1760 ნელს დ. გურამიშვილი ტყვეობიდან დაბრუნდა, მხედველობის დაკარგვის გამო იგი იძულებული გახდა, მიეტოვებინა სამხედრო სამსახური, სადაც 22 ნელი გაატარა.

ნაყოფიერი ლიტერატურული მუშაობის დაწყება მან შეძლო მხოლოდ 1761 ნლიდან; ამ დროს 56 ნლისა იყო.

62 წელინადი გაატარა გურამიშვილმა უკრაინასა და რუსეთში, მაგრამ მის ნაწარმოებებში სრულებით არ იგრძნობა, რომ საქართველოდან ფიზიკურად შორს ყოფნამ სულიერადაც მოსწყვიტა იგი სამშობლოს.

გურამიშვილის ფიქრის საგანი და მისი სიცოცხლის აზრი, ესაა სამშობლოს ბედი, ქართლის ბედი თუ უბედობა.

ქართული მინის შვილი სხვათა სამკვიდროში სამუდამოდ გადატყორცნილი უცხო �eis, უცხო ენის, უცხო გარემოცვაში ეტრფის შორეულ სამშობლოს.

მთელი მისი პოეზია — ეს არის ფიქრი მშობელ ხალხზე, სამშობლოზე. სამშობლოს სიყვარულია მისი პოეზიის ანი და ჰოე.

გურამიშვილის პოეტური შემოქმედების მწვერვალია „ქართლის ჭირი" — დიდი იდეურ-პოლიტიკური შინაარსის ნაწარმოები. ევროპაში ასახულია საქართველოს სუსხიანი სინამდვილე მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში, ის აურაცხელი უბედურება და გაჭირვება, რომელსაც საქართველო და ქართველობა განიცდიდა უცხო თუ შინაური მტრებისაგან. ევროპეის მთავარი გმირი ხალხია, ხოლო მისი მთავარი პრობლემა — ხალხის ბედი ღბალი.

დაეით გურამიშვილი გარდაიცვალა 1792 წლის აგვისტოში მირგოროდში. დასაფლავებულია მირგოროდის ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის ეზოში.

„სანუთროს სოფლისაგან ბევრის გზით
ვნებული,
მრავალს განსაცდელსა შინა შეყვარებული,
სხვის ქვეყნად სამკვიდროს ქვეყნით
გამოძებული...
„აქ საკვდავად რად მოგვყანდი, თუ მუნ
ცოცხალს ნამიყვანდი?

სად მომიყვანა სად მყოფი..."

მირზა გელოვანი

1917-1944

ქართლის მიწავ, უტყბილესო,
საუკარელო ქართლის მიწავ,
ჩვენს ცხრათვალა დიად მზეს და
ჩვენს ალისფერ დროშას ეფიცავ!
ამ მშვენ ხენ, ძელებზე გაზრდილს,
ამ ლოდების ხავსს და საფურს,
კავკასიონს, ცამდე აწვდილს,
მაღნაბადას, კულდაფასულს...
ეფიცავ სვანის ნათქვამ ლილეს,
ეფიცავ ხეში ლექსის ნინევეს! —
თუ ოდესმე, როგორც ძველად,
ამ ცა ეიმმე შეკვეცილოს...
ჩქინდა ეალის მოსასდელად
ეფოეტასოდ შეკეწირო.
მოკვდე ისე დიმილშენი,
ვით კვდებოდნენ ვეჩრნი ძველად,
რომ სამშობლოვ, საქმე ჩვენი
დარჩეს შენდა სადღეგრძელოდ.

მ.გელოვანი

ქართველი ხალხის ერთ-ერთი უსაყვარლესი პოეტი, პოეტი-ჯარისკაცი და თავისი ქვეყნის უდიდესი პატრიოტი მირზა (რევაზ) გედეონის ძე გელოვანი დაიბადა შფოთიან 1917 წელს თიანეთში. 1935 წელს თიანეთის პედაგოგიური ტექნიკუმი დაამთავრა. რამდენიმე თვეს სიმონიანთხევის საშუალო სკოლაში მასწავლებლობდა, 1936 წელს კი თბილისში ჩავიდა და მთლიანად მიეცა ლიტერატურულ მუშაობას... იგი უმაღლეს სასწავლებელში არ შესულა, მაგრამ ერთხანს თავისუფალ მსმენელად იყო უნივერსიტეტში, სადაც მრავალი მეგობარი შეიძინა. უფრო ხშირად კი ოთახში დილდილაობით განმარტოვდებოდა თავის თვინიერ მუზასთან და ნარმტაც ლექსებად ილვრებოდა ქაღალდის ფურცლებზე მისი ლამაზი სული. მასთან მისულ ახალგაზრდა პოეტებს აოცებდათ მირზას ნაყოფიერი მუშაობა, მაგრამ აქ გასაკვირი არაფერი იყო: განცდა და განსაცდელი მისი მუდმივი სტუმარი იყო, მისი ლექსები კი ძალზე ავტობიოგრაფიული, ხშირად დიდ განზოგადოებაში რომ გადადიოდა ხოლმე. მისი ზოგიერთი ლექსი თუ ბალადა უნივერსიტეტის ახალგაზრდობაში ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა და ბევრმა გამოქვეყნებამდე ზეპირად იცოდა...

ერთ ხანს გამომცემლობა „ფედერაციაში" მუშაობდა, შემდეგ აფხაზეთის გაზეთის რედაქციაში, მაგრამ დიდხანს არსად არ გაჩერებულა, რადგან წაშსახური მისთვის, როგორც პოეტისათვის, ხელის შემშლელი იყო.

მირზა გელოვანის პირველი ლექსები იმ ხანებში ახლად დაარსებულ ლიტერატურულ ჟურნალ „ჩვენ თაობაში" გამოქვეყნდა, შემდეგ კი სხვა ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთებშიც იბეჭდებოდა. მისმა პირველივე ლექსებმა მწერალთა საზოგადოების და მკითხველთა დიდი

მონონება დაიმსახურა. ხალასი პოეტური ნიჭით დაჯილდოებული ჭაბუკი დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა ქართულ სიტყვას და სხვებსაც აფრთხილებდა:

სიმ იცით ხალხის გულებია ეს ფანდურები,
ჩუქეთო ისე ქუჩეკანი ხელი არ იყოს.

1936-1939 წლებში ქვეყნდება პოეტის ყველაზე საყურადღებო ლექსები: „ფანდური", „თუშის ქალი წყაროზე", „გზაში", „საუბარი იორთან", „ცხრაკარა", „მწყემსის მუქარა", „ვაჟას ეზოში მოკლული ჩხიკვი", „ჭიამაია", ბალადები: „აონი", „ცხენის ტირილი", „ბალადა ვარძიის მშენებლებისა", „შავლეგო", „თორლვა", „შუაღამისას", „შავნაბადა" და სხვა...

1939 წლის დეკემბრის ერთ სუსხიან დილით გაუყვა იგი დიდ გზას უკვე მოახლოებული გრიგალებისკენ, საიდანაც აღარ დაბრუნებულა...

1940 წელს გამოგზავნილ მ. გელოვანის „სამხედრო შოფრის დღიურიდან" ვიგებთ, რომ იგი საბჭოთა ჯარის ნანილებთან ერთად ბესარაბიაში შევიდა... 1941 წელს კი მშობლებისა და დებისადმი გამოგზავნილ ბარათში იგი წერს: „*ომი დაიწყო, ვიცოდი რომ დაიწყებოდა* და შემდეგ ირწმუნება: *„გჯეროდეთ ჩემი, ძვირფასებო: თუ ჩემი ბედი ამ ომში დამთავრდება, თუ სიკვდილი მინერია ამ ომში, ძალიან ძვირად დავუსვამ მტერს სიცოცხლეს ჩემსას. დაე, ნუ შეგრცხვებათ, რომ მე თქვენი სისხლი და ხორცი ვარ. მე მაქვს უდიდესი სიმშვიდე. ჩემში ცოტნე დადიანის სულია და ნებისყოფა და თქვენ შეგიძლიათ ამაყად სთქვათ, რომ მე ვიცავ სამშობლოს, რათა მომავალი თაობები იყვნენ ჯანსაღნი, ბედნიერნი და ძლიერნი... მე საკუთარ სიცოცხლე ზე მეტად, თქვენზე მეტად მიყვარს ჩემი სამშობლო..."*

მირზა ფრონტიდან გზავნის სანგარში შესვენების დროს სახელდახელოდ დანერილ ლექსებს, მისი ნანერები ყოველთვის საპატიო ადგილს დაიკავებენ. მძაფრი სულიერი ტკივილები და გამარჯვების უდიდესი რწმენა ნითელ ზოლად გასდევს მის იმდროინდელ შემოქმედებას. ცეცხლის ხაზზე იგი კიდევ უფრო განუყრელია თავის მშობლიურ მინაწყალთან და მის მიდამოებს დასტრიალებს მეომარი პოეტის სული:

ქუხელი ვებრძოდი ცეცხლს და ურაგანს
და საშისელი ბრძოლების ნისლში
მე მოვიჩენი. სადაც ჩვენს უკან
აკლავებული იდვა თბილისი.
ორთაჭალაში ჰყვაოდ ნული,
ძოლიშინდის მხრებზე მზე იწვა თითქოს.
და შენც, ძვირფასო, ამ გაზაფხულში,
როგორც ყოველთვის, მოჰკვდი ხვითოს...

ნაზი პოეტური სუნთქვა ისმის დისადმი გამოგზავნილ მის ბარათში, რომელიც 1944 წლის 30 აპრილითაა დათარიღებული. მირზა უკვე ბელორუსიაშია. მას უკვე 27 წელი შეუსრულდა. ბელორუსიის ტყეებში დაიწყო გაზაფხული, რომელიც საქართველოს გაზაფხულს აგონებს...

ამავე წლის შემოდგომაზე კი შეწყდა მირზას სიცოცხლე.

იმ ჯანმორების სინანული ისევ ანთია!
და რომ ოდესმე დატოვებდე სამარეს ნეფულს,
ნასაფი სახელს, შენი ტრფობით ცამდე აწეულს,
მუსიკას, სადაც დირიჟორი შენი ლანდია.

ნიკო ქუმსიაშვილი

1892-1942

ქართული საოპერო ხელოვნების უბრწყინვალესი წარმომადგენელი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ნიკო გიორგის ძე ქუმსიაშვილი დაიბადა 1892 წლის 18 ნოემბერს თიანეთის რაიონის სოფ. ზემო ორხევში. 1905 წელს დაამთავრა თიანეთის საშუალო სკოლა, შემდეგ კი ნინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლა და სწავლა განაგრძო მეღვინეობისა და მებაღეობის სასწავლებელში ყირიმში, იალტის ახლოს. 1919 წელს ამ კურსის დამთავრების შემდეგ იგ ზავნება დასავლეთ ევროპაში, აადაც საფუძვლიანად ეცნობა სოფლის მეურნეობის საქმეს.

ნიკო ქუმსიაშვილს თავიდანვე აღმოაჩნდა კარგი ხმა და სიმღერის ნიჭი. მისი შემოქმედებითი ბიოგრაფია ქართული ვოკალური ხელოვნების ზრდასთან არის დაკავშირებული. დასაწყისი კი ასეთი იყო: ერთხელ მისმა უახლოესმა მეგობარმა, ცნობილმა მნერალმა და საზოგადო მოღვაწემ დავით თურდოსპირელმა იგი ძალით წაიყვანა კონსერვატორიაში ზაქარია ფალიაშვილთან. დიდ კომპოზიტორს ძალიან მოეწონა ქუმსიაშვილის ხმა და მაშინვე გაგზავნა პროფესორ ეეგენი რიადნოვთან, რომელმაც ხმა გაუსინჯა და იქვე ჩარიცხა თავის კლასში. ე. რიადნოვი შემდგომში ძალიან ამაყობდა მისით.

ნიკო ქუმსიაშვილი, როგორც მომღერალი, გამოჩნდა მაშინ, როცა ჩვენ საოპერო ხელოვნებას გამოაკლდა იშვიათი ხელოვანი, ქართული ოპერების უბადლო შემსრულებელი — ვანო სარაჯიშვილი. იგი შეცვალა ნიკო ქუმსიაშვილმა და სწორედ ნიკოს მეოხებით ქართულ საოპერო თეატრს არ უგრძნია ობლობა. იგი იყო აბესალომის, მალხაზის და ნიკოს პარტიების მგზნებარე შემსრულებელი. ნ. ქუმსიაშვილის ნიჭისა და ვოკალური ოსტატობისათვის დაუძლეველი არ აღმოჩნდა არც ევროპული და რუსული ოპერების პარტიები. ამ მხრივაც იგი განაგრძობდა ვანო სარაჯიშვილის შესანიშნავ ტრადიციებს. მაყურებელს ნიკო მიაჩნდა ვანო სარაჯიშვილის მემკვიდრედ და განსაკუთრებული სიყვარულით და სიხარულით ადევნებდა თვალს მის შეუჩერებელ ზრდას.

საზოგადოების განსაკუთრებული სიმპათიები ნ. ქუმსიაშვილისადმი იმასაც მიეწერება, რომ ნიკო შესანიშნავი ადამიანი იყო; იგი არ იფარგლებოდა მხოლოდ იმ ასპარეზით, რომელიც სამოღვაწეოდ აირჩია და ღრმა ინტერესით ადევნებდა თვალს ჩვენი მნერლობის, მეცნიერების, ჩვენი ნაციონალური კულტურის განვითარებას და შეძლებისდაგვარად ხელს უნყობდა ჩვენი ხალხის კულტურულ აღმავლობას.

საბჭოთა ხელისუფლებამ გამოხატა მთელი ქართველი ხალხის მადლიერება ნიკო ქუმსიაშვილისადმი, მას ჯერ დამსახურებული არტისტის (1936 წ.), შემდეგ საქართველოს სახალხო არტისტის წოდება (1941) მიანიჭა და შრომის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვა.

ნიკო ქუმსიაშვილის დამსახურებას ქართული საოპერო თეატრის წინაშე, მის მიერ შექმნილ მხატვრულ სახეებს მაყურებელი არ დაივიწყებს და ვანო სარაჯიშვილის გვერდით ყოველთვის მოიგონებს მისი ღირსეული მემკვიდრისა და შემცვლელის სახელს.

ნიკო ქუმსიაშვილი 1942 წლის 20 სექტემბერს გარდაიცვალა ყელის სიმსივნით.

აი, რას წერენ მასზე ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწეები:

„ჩემი ოპერები, საცოდავი ვანო სარაჯიშვილის შემდეგ, მეგონა ობლად დარჩებოდნენ, მაგრამ გამოვძებნეთ მომღერალი ქუმსიაშვილი, რომელიც ჩინებული აბესალომი და მალხა ზი აღმოჩნდა, სა ზოგადოებას მეტად მოსწონს და ღირსიც არის ქებისა, როგორც ჩინებული ხმის მქონე და მასთან ერთად ნამდვილი ქართველი მომღერალი... მალ-მალ იდგმის ორივე ოპერა და სა ზოგადოებაც დიდძალი ესწრება"

ზაქარია ფალიაშვილი

„ქართული ჰანგის მოტრფიალე, საქართველოს მომღერალი ნიკო ქუმსიაშვილი ერთი იმათგანი იყო, ვისი დავიწყება არ შეიძლება. გულის სიღრმიდან მომავალ მის სიმღერას, მომაჯადოებელ ხმის უხვად ყღერას თითქოს არ ჰქონდა სა ზღვარი. ნიკოს სიმღერა იტაცებდა მსმენელს გრძნეულ ხმათა სამყაროში, შლიდა მის წინ მუსიკალური სახეების უკვდავ სილამაზეს. იგი უყვარდა ხალხს და სიხარულით ეგებებოდა მას".

ვერიკო ანჯაფარიძე

„ნიკო ქუმსიაშვილის შემოქმედების წლები წინ უსწრებენ ჩემი შემოქმედების სარბიელს მშობლიურ ხელოვნებაში. მამაჩემის მელიტონ ბალანჩივაძისა და ნიკო ქუმსიაშვილის შემოქმედების პერიოდები უფრო უახლოვდებიან ერთმანეთს, ისინი მჭიდროდ დაკავშირა ქართული საოპერო ხელოვნების ბედმა — მისმა შემდგომმა განვითარებამ და ნარმატებებმა, ჩვენთან — სახლში თუ თეატრში ხშირი მომსწრე ვარ მათი საქმიანი შეხვედრებისა, რამდენჯერ მინახავს ისინი რუსთაველის გამზირზე საოპერო თეატრის მომავალ ზე მობაასენი..."

ანდრია ბალანჩივაძე

„ 1932 წელს ნიკო ქუმსიაშვილს შევხვდი ლენინგრადში. ამ დროისათვის მე უკვე ჩემი გარკვეული ადგილი მქონდა მოპოვებული საბალეტო ხელოვნებაში, კერძოდ კი ლენინგრადის ოპერისა და ბალეტის თეატრში, ისე რომ ნიკო ჩემ სტუმრად მეგულებოდა. მას სადებიუტოდ ლენინგრადის ოპერის თეატრმა ვერდის ოპერა „აიდა" შესთავაზა. ჩემდა სასიხარულოდ და საამაყოდ დებიუტმა მას ბრწყინვალე გამარჯვება მოუტანა. მისმა დიდი დიაპაზონის ხმამ და ლამაზი ბგერის ოსტატურად გამოყენების უნარმა, თავიდანვე მოხიბლა ლენინგრადის მუსიკოსები..."

ვახტანგ ჯაბუკიანი

ბაჩანა
ნიკო რაზიკაშვილი
1866-1927

ეკლესიისა. მეხანრი.
დიდება ამისასა ამბისასა:
ნუტა. ვერ ძალსწრაობთ
დამარცხებასა ძალისასა!
ეჯდეთ ბოლოსა ქარიოელსა,
ვადას ეფერეოდეს ხმელსასა,
ნათელი ეადგეს დიოდეს
ლაჟვარდს ეკერის ცისასა.

ბაჩანა

ნაზიკაშვილების ოჯახმა ქართულ ლიტერატურას სამი გამოჩენილი მწერალი მისცა. დიდი ვაჟას ძმა, ნიკო პავლეს ძე რაზიკაშვილი, რომელიც მწერლობაში ბაჩანას ფსევდონიმით არის ცნობილი, 1866 წლის 11 მაისს დაიბადა. მან პირველდაწყებითი განათლება სოფელ ჩარგლის სკოლაში მიიღო.

1880 წელს მშობლებმა მომავალი მწერალი გორის საოსტატო სემინარიაში შეიყვანეს.

ბაჩანას გორის საოსტატო სემინარიაში სწავლა მოუხდა იმ დროს, როდესაც ამ სასწავლებელში მოღვაწეობდნენ ცნობილი ქართველი მწერლები სოფრომ მგალობლიშვილი და ნიკო ლომოური. ბაჩანა აქტიურად ჩაება მოსწავლეთა თვითმოქმედ წრეში, მასზე დავალებული ჰქონდა ახალგაზრდების ხელნაწერი ჟურნალის „რიჟრაჟის" გამრავლება (ამ დროინდელი ცალად სუფთად გადანერა), რის გამოც მას მეგობრებმა მეტსახელად „მესაბეჭდ" შეარქვეს.

1885 წელს, გორის საოსტატო სემინარიის დამთავრებისთანავე, ბაჩანა მასწავლებლად დაინიშნა გურჯაანის რაიონის სოფელ ვეჯიხძი. მომავალ მწერალს გულით ენადა ბაღლესი განათლების მიღება. ამის შესახებ იგი თავის ძმას, თედო რაზიკაშვილს წერ-

„ეაქვეყნო მოღვაწეობას დიდი ცოდნა და გამოცდილება უნდა. მე კი ორზედვე ქესეეგ ვარ: მეორე რო მომავალმა ცხოვრებამ მომცეს, სწავლას, სამეცნიერო ცოდნას ვერ ეოსცემს, სინამდისის დრო მაქვს, უნდა წავიდე სადმე და ვისწავლო"

როგორც მწერლის მიმოწერიდან ჩანს, იგი ბევრს ცდილობდა, რომ საჭირო სახსარი ეოეპოვებინა და რომელიმე უმაღლეს სასწავლებელში შესულიყო, მაგრამ ყოველი ცდა უშედეგო აღმოჩნდა. იგი იძულებული გახდა, ამ კეთილშობილურ განზრახვაზე სამუდამოდ აეღო ხელი. ბაჩანა საბოლოოდ მასწავლებლის პროფესიას დასჯერდა და მისთვის ეიკვდილამდე არ უღალატია.

ვეჯიხის სკოლაში ბაჩანამ ხუთი წელიწადი გაატარა, 1890 წელს კი მშობლიურ რაიონში გადავიდა, სადაც სხვადასხვა დროს მასწავლებლობდა ფშავ-ხევსურეთის სოფლებში — ბარისახოში, მაღაროს კარში, ჩარგალსა და აფხუშოში.

აქ მას საზოგადოებრივ-პედაგოგიურ მოღვაწეობაში წინ ეღობებოდა მთელი რიგი სიძნელეები. ბაჩანას დიდი შრომის ფასად უჯდებოდა, შეეგნებინებინა მოსახლეობისა-

თვის, რომ ბავშვებისათვის აუცილებელია თუნდაც წერა-კითხვის ცოდნა. იმდროინდელი სოფლის კულტურულ ჩამორჩენილობას მწერალი მეტისმეტად მწვავედ განიცდიდა და, სულიერი ტკივილებით აღსავსე, თავის ძმას თედოს, წერდა:

„რაც შეეხება ჩემს სულიერ მდგომარეობას, ბევრს სანუგეშოს ვერას გეტყვი: რაც დრო და ხანი გადის, რაც უფრო მარტოკა ვარ, იმდენი უფრო შავი სევდისთვის ველარ დამიხწევია თავი: ვარ მარტოკა, ვესაუბრები მხოლოდ ჩემ თავს"

მიუხედავად ცხოვრების ამ მძიმე პირობებისა, ბაჩანა ნაყოფიერ ლიტერატურულ მუშაობას ეწეოდა. მის პოეტურ შემოქმედებას დიდად აფასებდნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, რაფიელ ერისთავი და ვაჟა-ფშაველა. არტურ ლაისტი მოგონებებში ილია ჭავჭავაძეზე ამბობს: „არ დამავიწყდება ის წუთი, როცა აღტაცებული ილია პირველად კითხულობდა ბაჩანას ლექსს „მუხას" და „ბინდი მთაში"

განსაკუთრებით აღსანიშნავია რაფიელ ერისთავის დამოკიდებულება ბაჩანასადმი. „სამშობლო ხევსურისას" ავტორი გულნრფელად აქებდა ნიჭიერ ახალგაზრდა მწერალს და თანაც გზას ულოცავდა ხალხის საკეთილდღეოდ მოღვაწეობისაკენ.

ილია ჭავჭავაძისა და რაფიელ ერისთავის მაღალი შეფასება ბაჩანამ ჯერ კიდევ იმ დროს დაიმსახურა, როდესაც იგი მხოლოდ თვრამეტი-ოცი წლის ახალგაზრდა იყო. ილიასა და რაფიელის შეფასება დროთა სვლამ დაადასტურა: ბაჩანას სახით საქართველოს ჰყავს მწერალი, რომელიც მნიშვნელოვან კვალს ტოვებს მეცხრამეტე საუკუნის მინურულისა და მეოცე საუკუნის დამდეგის ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

ბაჩანა გულწრფელად გამოეხმაურა აკაკი წერეთლის სალიტერატურო მოღვაწეობის ორმოცდამეათე წლისთავისადმი მიძღვნილ იუბილეს. ამის გამოა დაწერილი მისი ლექსი „სალამი პოეტ აკაკი წერეთელს.".

თავზარდამცემი იყო ბაჩანასთვის ვაჟას სიკვდილი. ძმებს ერთმანეთთან განსაკუთრებული სიყვარული, გულითადობა და საქმიანი ურთიერთობა აკავშირებდათ. ისინი, ყოველგვარი მიკერძოების გარეშე, დიდად აფასებდნენ ერთმანეთის პოეტურ ნიჭსა და საზოგადოებრივი საქმეებისათვის თავდადებას.

ვაჟას უდროოდ წასვლამ ყველა ქართველს გული ატკინა, მისი დასაფლავების დღე ეროვნული გლოვის დღედ იქცა. რაღა თქმა უნდა, ეს შემთხვევა განსაკუთრებით მძიმე იყო ბაჩანასათვის. მან ვაჟას სახით დაკარგა მშობლიურად მოამაგე უფროსი ძმა და მეგობარი, ამასთან, დიდი ქართველი მწერალი, რომელიც გარკვეულ იდეურ გავლენას ახდენდა მის შემოქმედებაზე. ვაჟას ხსოვნას ბაჩანამ რამდენიმე ლექსი მიუძღვნა.

ბაჩანამ, როგორც მხატვრული სიტყვის ნიჭიერმა ოსტატმა, ადრევე გაიკაფა გზა ფართო საზოგადოებისაკენ. იაკობ გოგებაშვილმა „ბუნების კარში" შეიტანა მისი ლექსები „ტყვის სიმღერა" და „პატარა მთიელის ნატვრა", ხოლო მეცხრამეტე საუკუნის მინურულს საშუალო სასწავლებლისათვის გ'ამოცემულ სახელმძღვანელო ნიგნში წარმოდგენილი იყო ბაჩანას ლექსები „მუხა", „ფშაველი ქალის ტირილი", „სანუთროს უკულმართობა" და სხვა.

ბაჩანას კალამს ეკუთვნის რამდენიმე პოემა. ამ პოემებში მწერალი ვიწრო კუთხური ჩარჩოებით არ იზღუდება, პირიქით, ეთნოგრაფიული მოვლენები ფართო ეროვნული მნიშვნელობით აქვს მხატვრულად განზოგადებული. ეს პოემებია: „თაღლაურა", „ნანაის სიმღერა", „საფრთხე", „წანლობა" და სხვები.

1924 წლის აგვისტოში ბაჩანას სამწერლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მეორმოცე წლისთავის იუბილე გადაუხადეს. ამ დღესასწაულს გულთბილად შეხვდა მთელი ქართველი ერი. ამის შემდგომ მწერალმა მხოლოდ სამიოდე წელინადი იცოცხლა.

ბაჩანა გარდაიცვალა 1927 წლის 17 დეკემბერს. დაკრძალულია ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

თედო რაზიკაშვილი

1869-1922

ვაჟა-ფშაველამ, ბაჩანამ ბაჰმღერეს ადიდა ძალი,
შენც ბანი მიეც ბარიდან, ძმებს ამოუდექ მსარეიდა!
დ. ერისთავი

ზოგჯერ რომ ადამი მომბერავს,
ეროვნულად ბორგავ ბორგავ,
ვითომ სულ ისლად ეძებინდეარ
ასადი თავი მოძებნა;
ანალი ფიქრი, სულ ტკბილი.
ადარსად გულის დოსება.
რარიგად ძიყვარს ქვეყანა.
ერთ წამს თავ-დავიწყებულსა.
ეველა კეთილად მიმაჩნია
სანე-ძმაერ გაბრწყინებულსა,
ეველარსად ტანჯულსა ეხედავ.
ეველარსად გაჭირეებულსა...
თ. რაზიკაშვილი

თედო პავლეს ძე რაზიკაშვილი დაიბადა 1869 წლის 1 ნოემბერს. ბავშვობა გაუსაძლის სიღარიბეში გაატარა. თედო რაზიკაშვილი თავის ავტობიოგრაფიაში საგანგებოდ მოგვითხრობს იმ ხელმოკლეობაზე, რომელსაც მისი ოჯახი განიცდიდა. იგი ლიტერატურულ ასპარეზზე გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან გამოჩნდა და მთელი სიცოცხლე ემსახურებოდა ქართულ მწერლობას.

თედო რაზიკაშვილის პირველი მასწავლებლები ოჯახის წევრები ყოფილან. მისთვის წერა-კითხვა ბაჩანას უსწავლებია, მამა ბავშვობიდანვე უნერგავდა წიგნის სიყვარულს, რასაც კიდევ უფრო ამძაფრებდა დედის მონაყოლი ხალხური ზღაპრები, თქმულებები თუ საგმირო ლექსები.

თედო რაზიკაშვილი მოგვითხრობს:

„დედაჩემი მდიდარი ფანტაზიის პატრონი იყო. უბრალო რამე ამბავს ისეთი ამბით, ისეთი ფერადებით შეზავებულს გადმოგვცემდა, რომ იხიბლებოდა მსმენელი. ის რო დეკებზედ ან ეშმაკებზედ, მოჯალაფეებზე დაიწყებდა ლაპარაკს, მე სადღაც მოჯადოვებულს არა არსთა სამეფოში გადამიტაცებდა ოცნება და ჩემი თავი თვით მნახველგამგონედ მეჩვენებოდა“

ხალხური ზეპირსიტყვიერებით დაინტერესების თვალსაზრისით დედის კეთილისმყოფელი გავლენა უდავოდ მნიშვნელოვანი ფაქტორია ვაჟა-ფშაველასა და ბაჩანას მხატვრულ შემოქმედებაში. ამ გავლენის მნიშვნელობა, როგორც შემდგომ დავინახავთ, კიდევ უფრო საგრძნობია თედო რაზიკაშვილის საზოგადოებრივ და ლიტერატურულ მოღვაწეობაში.

თედო პირველად სოფელ ჩარგლის დაწყებით სკოლაში შეიყვანეს, მაგრამ ორი წლის შემდგომ ეს სასნავლებელი დაიხურა და მომავალი მწერალი სკოლის გარეთ აღმოჩნდა. ამის შემდეგ თედო მთელი ორი წლის განმავლობაში ხან სახლშია მშობლებთან, ხან გორში ბაჩანასთან და კიდევ უფრო ხშირად ტოლათსოფელში ვაჟასთან.

თედო რაზიკაშვილი განსაკუთრებით აღნიშნავს ვაჟა-ფშაველას იმ მზრუნველობას, რომელსაც პედაგოგიური მოღვაწეობის გზაზე ახლად შემდგარი პოეტი უმცროსი ძმის მიმართ იჩენდა.

ორი წლის განმავლობაში სასნავლებლის გარეთ დარჩენილი თედო თვითგანვითარებას ენეოდა. სნორედ ამ პერიოდში თედოს მამამ ხელით გადაანერინა საქართველოს ისტორიის ერთი დიდი წიგნი. ამ წიგნის გაცნობამ მომავალ მწერალს საბოლოოდ ჩაუნერგა ქართველი ხალხის გმირული წარსულისადმი სიყვარული.

თედო რაზიკაშვილმა ვაჟასა და ბაჩანას მზრუნველობით, საბოლოოდ მაინც შეძლო გორის საოსტატო სემინარიაში ჩარიცხვა, რომელიც 1889 წელს დაასრულა.

1890 წ. თედო მასნავლებლად დაინიშნა სოფელ ხელთუბნის დაწყებით სკოლაში. მან ჩქარა შეაყვარა თავი როგორც მოსნავლე ახალგაზრდობას, ისე სოფლის მშრომელ მოსახლეობას.

თედო რაზიკაშვილი ხელთუბანში დასახლდა, აქვე დაცოლშვილდა და დარჩენილი სიცოცხლე ამ სოფელში გაატარა.

იგი აქტიურად მონანილეობდა 1905 ნლის რევოლუციაში, რის გამოც დააპატიმრეს და შორეულში გადასახლება მიუსაჯეს. იგი შემთხვევით გადარჩა დაღუპვას.

თედო რაზიკაშვილმა დიდი ამაგი დასდო ქართული ზეპირსიტყვიერების მასალების შეკრებისა და მეცნიერულად დამუშავების საქმეს. ფოლკლორული მასალების ჩასანერად მას მრავალგზის შემოუვლია ქართლის, კახეთის, ფშავის, ხევსურეთისა და თუშეთის სოფლები. მას საკუთარი ხელით ჩაუნერია ამ რაიონებში შეკრებილი სამი ათასზე მეტი ლექსი და ორასზე მეტი ხალხური ზღაპარი, თქმულება და სხვა, ამ განათლებული და ინტელიგენტი კაცის მიერ ჩანერილ მასალებს დიდი მხატვრული და მეცნიერული ღირებულება აქვს.

თედო რაზიკაშვილს, როგორც ნიჭიერ საბავშვო მწერალს, აღიარებდა და პატივს სცემდა ქართველი ინტელიგენცია. მას იცნობდნენ და სათანადოდ აფასებდნენ ილ. ჭავჭავაძე, ვაჟა-ფშაველა, აკ. წერეთელი, ნიკო ლომოური...

თედო რაზიკაშვილი 1922 ნლის 19 იანვარს ყაჩაღებმა მოკლეს თავისსავე სახლში.

დაკრძალულია თბილისში, ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვანეთა დიდების პანთეონში.

ვახტანგ ბენუკელი

1916-1971

ბოეტი და მთარგმნელი, შესანიშნავი მეგობარი, კეთილშობილი ადამიანი, უანგარო მამულიშვილი ვახტანგ პავლეს ძე ბენუკელი დაიბადა 1916 წლის 25 სექტემბერს თიანეთის რაიონის სოფ. მაგრანეთში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც დაამთავრა 1940 წელს.

1940-1945 წლებში ვ. ბენუკელი მუშაობდა გურჯაანისა და თიანეთის რაიონებში პედაგოგად და სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე: განათლების განყოფილებებში (ააკოლო ინსპექტორად და განყოფილების გამგედ). 1945 წლიდან საცხოვრებლად გადავიდა თბილისში და აქტიურად ჩაება მწერლობის საქმიანობაში.

მთარგმნელობით მუშაობას ვ. ბენუკელი ჯერ კიდევ სიჭაბუკეში შეუდგა. გერმანული ენა აფუთვლიანი მცოდნე და კარგი მოქართულე ხელს ჰკიდებს გოეთესა და შილერის ნაწარმოებების თარგმნას. მან პერიოდულ პრესაში დაბეჭდა და შემდეგ ცალკე წიგნად გამოსცა გოეთეს ნაწარმოებთა თარგმანები: „გიოც ფონ ბერლიხინგენი", „იფიგენია თავრიდში", „ეგმონტი", „ტორკვატო ტასო", „მოქალაქე გენერალი", „პრომეთე", „უკანონო ასული" და "ულპენარი" გოეთეს ლირიკა, შილერის ტრაგედიები („მარიამ სტუარტი", „ფუსკოს შეთქმულება", „ორლეანელი ქალწული", „დონ კარლოსი" და სხვ.) ლესინგის ტრაგედიები („ემილია გალოტი" და „ნათან ბრძენი"), ჰ. ჰაინეს ლექსები, რ. თაგორის „მებაღე", რომელიც 85 სიმღერისაგან შედგება. ამასთან, მან მაღალმხატვრულად თარგმნა გოეთეს, შილერის, რიუკერტის და სხვა გამოჩენილი გერმანელი პოეტების ლექსები და ბალადები.

თანამედროვე გერმანელი მწერლების ნაწარმოებებიდან ვ. ბენუკელმა თარგმნა და გამოაქვეყნა ჰაინრიხ მანის რომანი „მეფე ანრი IV სიჭაბუკე", ცალ-ცალკე წიგნად გამოაცა „დემოკრატიული გერმანიის პოეტები"

მან თარგმნა და გამოუქვეყნებელი დარჩა თ. მანის რომანი „ჯადოსნური მთა" და კნუტ ჰამსუნის ორტომეული.

ვ. ბენუკელი იყო ბევრი კარგი გამოცემის რედაქტორი, ახალგაზრდობის უანგარო მეგობარი და აღმზრდელი, თავისი სამშობლოს პატრიოტი, მუდამ მზად იყო, უპრეტენზიოდ, უხმაუროდ ეკეთებინა მშობელი ხალხის საკეთილდღეო საქმე.

1951 წლიდან ვ. ბენუკელი წლების განმავლობაში მუშაობდა გამომცემლობა „საბლიტგამში" ჯერ მეცნიერულ-პოპულარული ლიტერატურის განყოფილების გამგედ, შემდეგ კი მთავარ რედაქტორად.

1960 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე იყო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს" ჯერ მხატვრული ლიტერატურის, შემდეგ კი თარგმნითი მხატვრული ლიტერატურის რედაქციის გამგე.

თავისი დაუღალავი შრომით ვ. ბენუკელმა დიდი წვლილი შეიტანა მთარგმნელობით ლიტერატურაში. იგი დაჯილდოებული იყო მედლებითა და სიგელებით.

ვ. ბენუკელი წავიდა ჩვენგან იმ დროს, როცა თავისი ნიჭის გაფურჩქვნის ხანაში იყო. მან ბევრი განუხორციელებელი ოცნება წარიტანა თან.

იგი 1971 წელს გარდაიცვალა.

გიორგი ოჩიაური

საქართველოს სახალხო მხატვარი, მოქანდაკე, გრაფიკოსი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, პროფესორი გიორგი ოჩიაური დაიბადა 1927 წლის 10 იანვარს ახ-ლანდელი დუშეთის რაიონის სოფ. შუაფხოში. სწავლობდა თსსა ქანდაკების ფაკულტეტზე (1947-53 წ.წ), თსსა ასპირანტურაში (1956-57 წ.წ). გამოფენებში მონაწილეობს 1953 წლიდან. საქართველოს მხატვართა კავშირის წევრია 1954 წლიდან.

გ. ოჩიაურის ძირითადი ნამუშევრებია: თბილისის ქორწინების სახლის ბარელიეფი (1946 წ.), „ქალის ტორსი" (ალბერი, 1949 წ.), ვაჟა-ფშაველას ძეგლი თბილისში (1972 წ.), „სიცოცხლის ხე" (ტექსელი, 1977 წ.), თბილისის ვაკის პარკის დიდების მემორიალი, კომპოზიცია „რენესანსი" და სრავალი სხვა. მუშაობდა აგრეთვე დამდგმელ მხატვრად ფილმზე „ალავერდობა" (რეჟ. გ. მეხუზელაია). მიღებული აქვს მონაწილეობა უამრავ გამოფენებში, მათ შორის: რესპუბლიკური და საკავშირო (1953 წლიდან), პერსონალური – მოსკოვი (1973 წ.). მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოს სამხატვრო გალერეაში, ხელოვნებისა და თანამედროვე ხელოვნების მუზეუმებში. მონაწილეობდა ვაჟა-ფშაველას (I პრემია), ვახტანგ გორგასლის (III პრემია) ძეგლების, ბიჭვინთის დასასვენებელი კომპლექსის (I პრემია) კონკურსებში. იყო მხატვართა კავშირის მდივანი, უზენაესი საბჭოს დეპუტატი. ამჟამად გიორგი ოჩიაური არის საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარე, მიღებული აქვს „ხალხთა მეგობრობის ორდენი" (1984 წ.), სსრ კავშირის სახელმწიფო პრემია (1988 წ.), მუშაობს თსსა სამხატვრო კლასის ხელმძღვანელად. მისი ბიოგრაფია შეტანილია დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში, ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში, ამერიკულ ენციკლოპედიაში „მსოფლიოს 200 გამოჩენილი ადამიანი", „ვინ ვინაა საქართველოში", „მსოფლიოს წამყვანი ინტელექტუალები" კემბრიჯი 1999-2000 წ.წ., „მეოცე საუკუნის გამოჩენილი ადამიანები" (ამერიკის ბიოგრაფიული ინსტიტუტი) და სხვა.

აი, რას წერს მასზე მამუკა ნიკლაური: უკან მოხედვისა არ ეშინია გოგი ოჩიაურს.

ის ცხოვრობდა, იბრძოდა, იტანჯებოდა, სამშობლოს ჭრილობები არ აძინებდა და ამ ჭრილობებსაც ხატავდა და ასე შეიქმნა მისი „დაჩეხილი სამშობლო"... როცა ტკივილი მაინც გაუსაძლისი ხდებოდა – ვაჟა-ფშაველასთან მიდიოდა, მასთან ათევდა შუამით სავსე ღამეებს... მერე მიხვდა მხატვარი, რომ ისეთი ვაჟა-ფშაველა, როგორსაც იგი ხედავდა, სხვასაც ძალიან სჭირდებოდა ტკივილების გასაყუჩებლად და ასე დასახლდა ვაჟა დედაქალაქში, პროსპექტზე, ყველას დასანახად და იმედად... ეს მხოლოდ ვაჟა-ფშაველა არ იყო – ეს იყო ოჩიაურის ვაჟა-ფშაველა, თანამედროვე ქართველი მხატვრის ქმნილება.

ამ ოციოდე წლის წინათ გავიცანი საქართველოზე მართლაც უსაზღვროდ შეყვარებული ერთი გერმანელი ახალგაზრდა პოეტი. იგი ბედისწერამაც ამ მინაზე დატოვა სამუდამოდ – მტკვარში დაიხრჩო და აქ დავასაფლავეთ.

აი, ის პოეტი ერთ ლექსში ამბობს: – გალაკტიონ ტაბიძე ღამღამობით კვარცხლბეკიდან ჩამოდის და ქალაქში დაეხეტებაო, ხალხს ესაუბრება და თავის ამბავს უყვებაო. სხვათაშორის, ეს ლექსი ძალიან მომეწონა და ვთარგმნე, მაგრამ დაბეჭდვით აღარ დაბეჭდილა, სადღაც ჩემს არქივშია გაბნეული...

ეს ლექსი გალაკტიონ ტაბიძეზეა დაწერილი, მაგრამ ასე მგონია, ოჩიაურის ვაჟა-ფშაველაც ასე ცოცხლდება ღამ-ღამობით და დადის ამ ჩვენ აოხრებულ დედაქალქში... ზოგჯერ კი არაგვის, მტკვრის, რიონის, ენგურის ხეობებსაც აუყვება ხოლმე და ხალხს აიმედებს ხალხისავე ლექსით: „არ გასტყდეთ,.."

უკან მოხედვისა არ ეშინია ოჩიაურს...

ირაკლი ოჩიაური

საქართველი ფერმწერი, გრაფიკოსი, დაზგური გრაფიკის ოსტატი, მოქანდაკე, საქართველოს სახალხო მხატვარი, სსრკ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პროფესორი ირაკლი ალექსის ძე ოჩიაური დაიბადა 1924 წლის 20 ნოემბერს ახლანდელი დუშეთის რაიონის სოფ. შუაფხოში. სწავლობდა თსსა ქანდაკების ფაკულტეტზე. გამოფენებში მონაწილეობს 1953 წლიდან. საქართველოს მხატვართა კავშირის წევრია 1953 წლიდან.

ი. ოჩიაურის ძირითადი ნამუშევრებია:

ალ. ყაზბეგის ძეგლი ყაზბეგში (1959 წ.), ვაჟა-ფშაველას ძეგლი დუშეთში (1958 წ.), „ვაჟა-ფშაველას პორტრეტი" (მოსკოვი, ტრეტიაკოვის გალერეა), „სტუდენტი გოგონას პორტრეტი" (სახვითი ხელოვნების მუზეუმი) და სხვ. გამოფენები: მრავალი რესპუბლიკური და საკავშირო, 1969 წ. — მონრეალი, მსოფლიო, 1972 ოსაკის (იაპონია), ვენეციის ბიენალე, პერსონალური — დას. ბერლინი, ავსტრია, ბელგია, ნორვეგია, სირია.

ირაკლი ოჩიაურის ნამუშევრები დაცულია საქართველოს ხელოვნების მუზეუმში, მოსკოვის ტრეტიაკოვის გალერეაში, სიეტლის ხელოვნების მუზეუმში, იაპონიის, აშშ და მრავალი სხვა ქვეყნის კერძო კოლექციებში. 1954 წლიდან დღემდე მუშაობს პედაგოგად საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში.



გაბრიელ ჯაბუშანური

1914-1968

ვიმიღე, როგორც მკვიდრი ღილღველი და ვყაროთ რამლი ჩვენი ხვალისა, კვლავ თუ მოგვაშთობს მაინც ნაღველი, ვიმღეროთ საგა ზელიმხანისა“,— მიმართავდა გაბრიელ ჯაბუშანური „უნჯ სპათაგან“ დაცლილ, ოდინდელ მკვიდრთაგან იძულებით მიტოვებულ, უკაცურობით დაღონებულ კენტ აულს და თავს მოვალედ რაცხდა, უსამველო დარდი და ვარამი განექარვებინა უკეთური ძალების მიერ შეუბრალებლად აკლებულ-ატიალებული ქისტეთის მინა-ნყლისათვის.

იმ დროისათვის ჯერ კიდევ საკმაოდ ნელმაგარი, ხოლო დღეს გაქრობის ყუაზე მიმდგარი ხევსურეთის სოფელი არხოტი, სადაც გაბრიელ ჯაბუშანური დაიბადა 1914 წლის 11 სექტემბერს, ქისტეთის (ღილღოს) ტერიტორიას ესაზღვრება და მდინარე ასას (ანუ არხოტის ნყლის) სათავეებში მდებარეობს.

ღილღოსადმი მიძღვნილი ლექსებითა და ბალადებით გ. ჯაბუშანური ჩვენს ნინაშე წარმოსდგება, როგორც სიმწარენაგემი ქისტი ხალხის დანავსული ბედის მოზიარე და მისი გაუყუჩებული ტკივილების მოზიარე პოეტი.

გაბრიელის მგრძნობიარე გულს ლახვრად ხვდებოდა გაცქიოტებული აულების საევალალო ყოფის ყველა დეტალი და ჩიოდა, რომ „გაცრეცილ სახლებს დალენილი სტკივათ ფერცხლები“,

ნალასნებულო. კენტო აულო.
ძალკვებულო და უკაცურო.
ძისდა. ძრტვილი ვუკეცნურო
და შენთან ერთად ცრემლი დაეურო.
ჩამოუცვრეია ძველი ქოხები.
ეოსავს აკლდამებს ტორი ქამისა.
და ძეირი სულის მოსაოხებლად
დაუსტრეია ძე ადამისა.
მოუსულვარ შენთან ვინმე ლეკილი.
შენებრ ჰარტანი და მიკდებული.
უძარცო ცრემლით დაეკდათოვნილი.
შენსავით ძეირად დაფიქრებული.
ამბობენ. როგორც მკვიდრი ღილღველი
და ვყაროთ რამლი (*რამლი — ცრემლი) ჩვენი ხვალისა.*
კვლავ თუ მოგვაშთობს მაინც ნაღველი,
ვიმღეროთ საგა ზელიმხანისა.

გაბრიელ ჯაბუშანური გარდაიცვალა 1968 წელს 54 წლის ასაკში.

მიხა ხელაშვილი

1900-1925

ლექსი. ამოვიქოქ, ოხერო,
ოიარო იქნება გაკვდებოდე,
და შენ კი ჩემად სახსოვრად
ხალიასა რჩებოდე...

ნემი წრესული ცხოვრება
ისე არ ითმერება,
რიგორც დაგლეკილ მთათ შეურდი
ძაფით არ დიკერება

მიხა ხელაშვილი

ვაინც რა ნარსული ჰქონდა ასეთი ფშაურ, ლეგა ჩოხაში გამოწყობილ 25 წლის მხარბეჭიან ძალოვან და გულოვან ვაჟკაცს?!

მიხა ბავშვობაში ძალიან ჭკვიანი და სწავლის მოყვარული იყო. გრიგოლ აფშინაშვილმა ასწავლა ასოების გამოყვანა სიპ ქვაზე. ეს ბალღი ნიჭიერია, ცოდვა იქნება ამას რომ არ ასწავლოთო, ამბობდა იგი. აი რას წერს მის შესახებ თ. მგელიაშვილი:

მიხა ხელაშვილის ბავშვობამ ახადის მთებში გაიარა, ხოლო მისი ცხოვრება შფოთიან 1917 წელს დაემთხვა. ვერ შეურიგდა მთაში სისხლითა და ანიოკებით შემოსულ ნითელ „ჩეკისტებს", ძალმომრეობას. ტყეში ყაჩაღად გავარდა, ნაბადი და იარაღი იქცა მის მეგობრად და მესაიდუმლედ. ქაქუცა ჩოლოყაშვილს ძმად შეეფიცა და დაიფიცა, საქართველოს თავისუფლებას შესწირავდა ყველაზე ძვირფასს, უფლისაგან ნაბოძებს.

პოეტი იყო, ფანქარმომარჯვებული, ტყის სიღრმეში ხეზე მიყრდნობილი ლექსებად კინძავდა ნაფიქრალსა და განცდილს. სტანჯავდა ძლიერი ადამიანური გრძნობა სიცოცხლის სიყვარულისა, მონატრებისა, ისევ და ისევ სამშობლოს თავისუფლებისა.

წინასწარმეტყველური იერი, როგორც ყველა პოეტს, მუდამ თან სდევდა, აკი უთხრა კიდეც ერთ ლექსში დედას:

სხვან კი ორვის რა უშავ,
ჭერ შებრალები ბეჩავ.

სულ მალე, „ახალი ცხოვრების" დასამკვიდრებლად მებრძოლი ხელისუფალნი ნამეებით ამოხდიან სულს მის მოხუც დედას.

სველ მინაზე პირქვე დამხობილს, უსაშველოდ სტკიოდა ამაყი სული და დედის ნანამები სხეული. დასაფლავების დღეს ჩარგალში თავმოყრილ ხალხში, სადაც „წითელი ჩეკისტები" მეტობდნენ, ქარივით მივარდა თოფ-იარაღში ჩამჯდარი, უხმოდ ტიროდა,

ემთხვია დედას, ვერავინ გაბედა ნინ გადადგომოდა. უცბადვე შეერია ტყეს, მთელი ღამე მიაქროლებდა ცხენს, ბორგავდა მისი შეგინებული, გამწარებული სული, არაადამიანურ ტკივილს განიცდიდა, ტყის ექო ეხმიანებოდა:

დედის ვუყვარვართ შვილები.
დედა არ ვაჩუქოს მშვილებს,
ამიტომ სულისფული
აპეარაკოს და გვაცოდვილებს.

ხატების შემმუსრავმა, ეშმაკის თანაზიარმა ადამიანებმა მოისყიდეს სულმოკლე კაცუნები, მის მეგობრებად რომ ასაღებდნენ თავს, მასთან ლუკმა გატეხეს, მერე კი მძინარეს ტყვიები დაახალეს.

მიხა ხელაშვილი კარგი პოეტი იყო. ხალხში მრავლადაა გაბნეული მისი ლექსები, ბევრიც ხალხური პოეზიის კრებულებშია შესული, ოღონდ ავტორის ვინაობა არაა მითითებული.

მისთვის სიცოცხლის საზომი სიყვარული იყო, სიკვდილის შიშს რომ სჯობნის. სიკვდილს ამარცხებს და მასზე ძლიერია და თუ კაცის ღირსება მის არჩევანშია, იგი ყველაზე ღირსეული კაცი ყოფილა, რადგან მის არჩევანს „სამშობლო", „სიყვარული" და „ერთგულება" ერქვა.

ხვარამზე

ვერცხლის თასადმც მაქცია,
რო ღვინით აგევსებოდი.
დადგერილი მწარ ჭითლოდა,
მაშსაფლი. მაკერვებოდი.
ან მწარ ვერცხლის სათითე.
რო სულსე ჩაუდებოდი;
ან მწარ ოქროს ბურთეკი.
ცალთაში ჩაუყლებოდი:
ან ვერცხლის ფულიდ მაქცია.
ჯიბეში ჩაუყრეთოდი!
ან შენი საძღლის ყანა მწარ.
რო ფხაზე ძაუყრეთოდი:
ანა მწარ ვარდი. ლოილი.
რო ბინეზე დაუყრეთოდი:

ანა მწარ მოის ბერანკი
რომ გულზე დაკადნებოდი!
ან შენი ძმა მწარ მოხილე.
ალოდის გაუყრებოდი;
ან შენი სასდაური მწარ,
გულს კაკრად ჩაუჭრებოდი!
ძალიან დაწუხებული
გზაზედმც ძაუყრებოდი!

ხვარამზე

ხვარამზე სამუკაშვილი ერთ-ერთი იმ ბედნიერ ხალხურ შემოქმედთაგანია, ვინც წარსულის ბურუსს გამოაღნია, არ დაემორჩილა დავიწყების მახვილს და ჩვენამდე მოიტანა თავისი ლაღი და თამამი შემოქმედება, თავისი საოცარი ტკივილი და ბედნიერება.

დიდი სიყვარული ბრიალებს ხვარამზეს ლექსებში. „ვერცხლის თასადამც მაქცია, რომ ღვინით აგევსებოდი...“ — ასე თქვა პოეტმა და ნათქვამი სამუდამოდ ჩაიჭდია გულში ხალხმა. ხვარამზე თავისმა მწარე სიყვარულმა გადაარჩინა.

ვინ იყო ხვარამზე?

თედო რაზიკაშვილი ასეთ ცნობებს გვაწვდის: ხვარამზე (სამუკაათ ხვარამზე) „დედაჩემის ტოლი და ამხანაგი იყო“... მისი ლექსი „ვერცხლის თასადამც მაქცია...“ საგურამოში ერთი ფშაველი დედაკაცისაგან ჩაუნერია ილია ჭავჭავაძეს, ამ ლექსს დიდი პოეტი დიდებულად და შედევრად თვლიდაო.

პოეტს მეტად დრამატული ბიოგრაფია აქვს. იგი ივრის ფშავიდან იყო, არტნის ხეობიდან. ხვარამზე მოხდენილი გარეგნობის გამრჯე ასული ყოფილა, ამიტომაც შეჰყვარებია ფშავში სიმდიდრით განთქმულ ოჯახის შვილს, ვაჟიკა ნაკვეთაურს, თავადაც ლაზათიანსა და შრომითა თუ ვაჟკაცობით განთქმულ ჭაბუკს, მაგრამ ხვარამზე და ვაჟიკა ბოლოს უიმედო მიჯნურებად დარჩენილან, რადგანაც ფშავური თემური ტრადიციის თანახმად, მშობლებმა ერთსაც და მეორესაც თავიანთი რჩეულები შერთეს. ხვარამზეს სიკვდილამდე გაჰყვა ვაჟიკას სიყვარული, იგი ლექსებითღა იქარვებდა დარდს.

' ხალხური სიბრძნის სალაროში ხვარამზეს სახსოვრად მისი ფაქიზი სულიერი განცდით გამთბარი მაღალმხატვრული ლექსები დარჩა, როგორც ხალხური პოეზიის უკვდავი ნიმუშები.

ოლღა გურამიშვილი ჭავჭავაძისა

1843-1928

ქართველი საზოგადო მოღვაწე ქალი, დიდი ილიას ერთგული მეუღლე, ოლღა თადეოზის ასული გურამიშვილი დაიბადა 1843 წელს. იგი დიდ დახმარებას უწევდა თავის თანამედროვე მწერალ ქალებს. მისი საშუალებით დაუახლოვდნენ და გაიცნეს ილია პოეტმა ქალმა დომინიკა ერისთავმა (განდეგილმა), ნინო ტყეშელაშვილმა და სხვებმა. ოლღას წყალობით ილიას ოჯახის კარი მუდამ ღია იყო მწერალი ქალებისათვის.

ოლღა გურამიშვილი ახლო იდგა თავისი დროის მოწინავე ქალთა პერსონალთან. იგი დიდხანს თავმჯდომარეობდა „ქართველ ქალთა საზოგადოებას", იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების აქტიური წევრი.

ეხმარებოდა ეკატერინე გაბაშვილს პროფესიული სკოლის მუშაობაში.

ეკატერინე გაბაშვილი თავის მოგონებებში შემდეგნაირად იხსენებს: ილია დიდ ანგარიშს უწევდა ოლღას აზრსა და საქმიანობას: „ჩვენ ოლღას მივმართავდით, როცა ილიასი გვერიდებოდა და მეორე დღეს ყველაფერი მზად იყო", — წერს ეკ. გაბაშვილი.

ორმოცი წელინადი არცთუ ისე პატარა დროა ოჯახური ცხოვრებისათვის. ოლღამ და ილიამ ეს ორმოცი წელინადი ერთმანეთის ღრმა პატივისცემაში და სიყვარულში, ჯეეყანაზე ფიქრსა და ზრუნვაში გაატარეს.

1906 წელს, როცა თავადაზნაურთა კრების დადგენილების საფუძველზე ილია რუსეთის სახელმწიფოს საბჭოს ნევრად აირჩიეს, ოლღამ გადაწყვიტა თან გაჰყოლოდა მეუღლეს, რადგან ამ დროს ილია უკვე უჩიოდა ჯანმრთელობას.

ეს იყო მათი უკანასკნელი მოგზაურობის ბედნიერი დღეები...

ზაფხულის მინურული იქნებოდა. ერთ დღეს ილია და ოლღა ალექსანდრე ორბელიანს ესტუმრნენ. როცა საუბარი საგურამოში ილიას წასვლის შესახებ ჩამოვარდა, ოლღამ სტუმრებს მორიდებულად უთხრა: რაღაც საშინელი წინათგრძნობა მაქვს — სთხოვეთ ილიას რამდენიმე დღით გადადოს თავისი წასვლა საგურამოშიო.

დილის 10 საათზე, როცა გამზადებული ეტლი მოადგა ილიას სახლს, ოლღამ ერთხელ კიდევ ურჩია მეუღლეს — ნუ წავალთ დღეს, გზაში საშიშიაო... ილიამ აზრის დამთავრება არ აცალა ოლღას, მაინც თავისი არ დაიშალა და ეტლში ჩაჯდა.

გამართლდა ოლღას საშინელი წინათგრძნობა, 1907 წელს, 30 აგვისტოს წინამურთან თვითმპყრობელობის აგენტებმა ტყვიით განგმირეს ქართველი ხალხის სასიქადულო მამულიშვილი, საქართველოს ფარი და იმედი — ილია ჭავჭავაძე. თოფის ხმაზე ოლღა ნამომდგარა და სხეულით გადაფარებია მეუღლეს. მაგრამ მალე თოფის კონდახით თავგაბრუებული იქვე, ილიას გვერდით დაცემულა. ნაცემ-ნაგვემი მეუღლე ჭავჭავაძისა თბილისში წაიყვანეს.

ოლღა გურამიშვილის სახელი და ავტორიტეტი ერთიორად ამაღლდა, როცა მან წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარის გიორგი ნიკოლოზის ძე ყაზბეგის ხელით არზა გაუგზავნა გენერალ-გუბერნატორს, რომელშიაც ითხოვდა ილიას მკვლელების შეწყალებას, რადგან მათი სიკვდილით დასჯა ძლიერ დაამძიმებს ილიას სულსო.

ოლღა გურამიშვილის ასეთმა მოქმედებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა რუსეთის მოწინავე საზოგადოებაზე. ერთი გამოჩენილი რუსი მოღვაწე ოლღა გურამიშვილის შუამდგომლობის შესახებ აღფრთოვანებით წერდა:

„როდესაც მთელ რუსეთში გამეფებულია ზნეობრივი სიბნელე და უკუნეთი და ყოველ ნაბიჯზე გაისმის მოკალ, ჩამოახრჩე, დახვრიტე და ლამის სასონარკვეთილების მორევში ჩავიხრჩოთ, ამ დროს საქართველოს საუკეთესო შვილის ქვრივი, რომელსაც თავისი საყვარელი მეუღლე ბარბაროსულად მოუკლეს და თვითონაც იგი მხეცურად დასჭრეს, ევედრება მთავრობას, სიკვდილით ნუ დასჯით მკვლელებსო.

აქამდის ვიცოდით, რომ ფიზიკური მზე აღმოსავლეთიდან ამოდის, ახლა უნდა ვსთქვათ, ზნეობრივმა მზემ სამხრეთიდან, საქართველოდან ამოაშუქა"

ოლღა გურამიშვილმა ილიას სიკვდილის შემდეგაც არ შეწყვიტა კავშირი მეუღლის ახლო მეგობრებთან. ისინი დადიოდნენ ოლღასთან სახლში, ჰქონდათ მიწერ-მონერა, მარტოს არ სტოვებდნენ, ზრუნავდნენ მისთვის.

მაგრამ, ავადმყოფობამ სამუდამოდ მიაჯაჭვა საწოლს ილიას გაუბედურებული მეუღლე. სასთუმალთან განუშორებლივ მუდამ ედო მეუღლის საყვარელი საათი და ყველა ის ნივთი, რომელიც ილიას უყვარდა.

ოლღა გურამიშვილი 1928 წელს გარდაიცვალა.

ქართველმა ხალხმა თავისი უკანასკნელი სამყოფელი ძვირფასი მეუღლის ი. ჭავჭავაძის გვერდით მთაწმინდაზე მიუჩინა.

ცოტნე ალბუთაშვილი

ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ცოტნე ირაკლის ძე ალბუთამვილი დაიბადა 1950 წლის 2 მაისს, თიანეთის რაიონის სოფელ ჩაბანოში.

იუმორით, ლექსითა და მუსიკით გაჯერებულ ტრადიციულ ოჯახში გაზრდილი ცოტნე ალბუთაშვილი ბავშვობიდანვე ეზიარა პოეზიის სიყვარულს. მისი პირველი ლექსი 1957 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „პიონერში", შემდეგ მას მოჰყვა საყმაწვილო მოთხრობები ჟურნალ „საქართველოს ბუნებაში", რომელსაც აკადემიკოსმა ნიკო კეცხოველმა დიდი შეფასება მისცა და გზა დაულოცა ახალგაზრდა შემოქმედს.

1975 წლიდან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, ც. ალბუთაშვილი მუშაობას ინყებს „ახალგაზრდა კომუნისტის" რედაქციაში. 1978 წლიდან არის საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის ნევრი. მის კალამს ეკუთვნის მრავალი ნარკვევი და პუბლიცისტური ნერილი. ავტორია ათეულობით რადიო და სატელევიზიო გადაცემისა, დოკუმენტური ფილმების სცენარებისა.

1979 ნელს იგი თბილისის სახელმნიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტთან არსებული პრესის მასობრივი ინფორმაციის სოციოლოგიური კვლევის მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში იმარჯვებს, თუმცა რამდენიმე ნლის შემდეგ ისევ აქტიურ ჟურნალისტიკას უბრუნდება და ინიშნება ჟურნალ „ეკონომისტის" სამეცნიერო რედაქტორად.

ც. ალბუთაშვილისთვის აღნიშნულ ჟურნალში, (რომელსაც იმ დროს შესანიშნავი პიროვნება იგორ კრავცოვი ხელმძღვანელობდა), მოღვაწეობა საკმაოდ ნაყოფიერი გამოდგა, რასაც, თავისთავად, ხელი შეუწყო არაჩვეულებრივმა შემოქმედებითმა ატმოსფერომ და ოსეთი კორიფეების გვერდით ყოფნამ, როგორებიც იყვნენ: აკადემიკოსები პაატა გუგუშვილი, ირაკლი მიქელაძე, ვასილ ჩანტლაძე, პროფესორები პეტრე ყლენტი და დავით ძნელაძე. 1987 ნელს ც. ალბუთაშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიკურ ფაკულტეტს ამთავრებს და ენიჭება წარმოების ორგანიზატორის კვალიფიკაცია.

80-იანი ნლების დასაწყისში ცოტნე ალბუთაშვილი ერთ-ერთი მოთავე და მონაწილეა უანალოგო ჟურნალისტურ-ცხენოსნური ექსპედიციებისა. პირველი, იყო თეიმურაზისა და ვახტანგ VI-ის უკვდავსაყოფად მოწყობილი ექსპედიცია, რომელიც თბილისში დაინყო და ასტრახანში დასრულდა. „უნაგირზე დაწერილი რეპორტაჟებით" ექსპედიაციამ ქართველ მკითხველსა და მეზობელ რუს ხალხს კიდევ ერთხელ შეახსენა ჩვენი დიდი წინაპრების ღვაწლი და ქართული სახელმწიფოს სარკიდან არეკლილი მათი ტრაგიკული ცხოვრება.

მეორე, გახლდათ „კავკასიონი" აფხაზეთიდან, მზიმთას ხეობიდან დაწყებული ვიდრე თუშეთამდე, ომალომდე კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის ულელტეხილების გადავლა. ცხენოსნურმა ექსპედიციამ მაშინ თითქმის 1500 კილომეტრი გაიარა. ც. ალბუთაშვილმა ამ ექსპედიციას ნარკვევების ციკლი „გზანი გოდოლთანი" მიუძღვნა.

მესამე, და მისთვის ყველაზე საამაყო, ექსპედიცია იყო „დავით აღმაშენებლის ნაკვალევზე." მან მეფეთმეფე დავითის დროშით, გელათიდან მოყოლებული, კელავ ცხენზე ამხედრებულმა თავის განუყრელ მეგობრებთან ერთად იმოგზაურა იმ ადგილებში, სადაც ერთ დროს ჩვენი ერის უტყუარი სინდის-ნამუსი, ერთგულება და გულოვანება მტერსა და ორგულზე გამარჯვებებს ზეიმობდა.

1987 წელს ცოტნე ალბუთაშვილი ჟურნალ „საქართველოს ბუნების" მთავარი რედაქტორის მოადგილედ დაინიშნა. აქედან იწყება მისი შემოქმედების ახალი და საინტერესო პერიოდი. ფშაველი კაცი კვლავ ბუნებას მიუბრუნდა. წერს ნარკვევების სერიალს: „ჰქონდა ქალაქს ცხრა ხეობა", „პატარა მდინარეებს — დიდი სიცოცხლე", „ალავერდის ტყის ზღაპრები"

1988 წელი. „საოცარი ალმოჩენა" — ასე უნოდეს პალეონტოლოგებმა: აკადემიკოსმა ლეო გაბუნიამ და ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა აბესალომ ვეკუამ, აგრეთვე, გეომორფოლოგებმა: დემურ ტაბიძემ და ბორის ეფოვმა საქართველოში, იმერეთში, სოფელ საზანოს მახლობლად აღმოჩენილ 70 მილიონი წლის წინანდელ ოთხფეხა ცხოველის ნაფეხურებს. ამ ნიანგისებრი ცხოველის ნაკვალევის, რომელსაც შემდგომ „საზანოზავრი" უნოდეს, პირველი აღმომჩენი და სამეცნიერო ექსპედიციის სულისჩამდგმელი ცოტნე ალბუთაშვილი იყო. მანვე პირველმა დააფიქსირა ახმეტაში, ალავერდის ტყეში საქართველოს ფლორის ერთ-ერთი საოცრება, ხეხუმბერაზი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ჭალის ვერხვი თელავის ცნობილ ჭადარს სიმსხოთი 4-5 მეტრით რომ აღემატება, ანუ მისი გარშემონერილობა 17 მეტრს აღწევს.

ცოტნე ალბუთაშვილმა, რომელიც დაუღალავად იღვწის დედაბუნების გადასარჩენად, 1987 წელს თავის მეგობართან გ. ჩომახიშვილთან ერთად ჩამოაყალიბა საქართველოში პირველი ააქველმოქმედო, გარემოს დაცვითი ალტერნატიული არასახელმწიფო ორგანიზაცია „ბექთარი", რომელსაც არსებობის ბოლო დღემდე ხელმძღვანელობდა და რომლის ინიციატივითაც ჩატარდა სამი საერთაშორისო სიმპოზიუმი, სადაც საბოლოოდ დაიხვენა საქართველოს ეროვნული პარკების შექმნის იდეა. „ბექთარის" ბაზაზე შეიქმნა ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის — „W W F"-ის საქართველოს ბიურო. ცოტნე ალბუთაშვილის რედაქტორობით გამოიცა სამეცნიერო-პუბლიცისტური ალმანახი „ეროვნული პარკები — დედაბუნების გადარჩენის პერსპექტივა", რომელიც გერმანიაში, ნიდერლანდების პრინცის ბერნარდის მხარდაჭერით დაისტამბა და გავრცელდა საზოგადოებაში.

პირველი ეროვნული მთავრობის დროს ცოტნე ალბუთაშვილმა მოამზადა მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტების პაკეტი ბუნების დაცვითი სტრუქტურების ჩამოსაყალიბებლად. ის აქტიურად მონაწილეობდა ფაუნის იშვიათი ეგზემპლარების აღწერისა და იქთიოფაუნის დაცვის ღონისძიებებში.

მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებულ კაცს ბუნების სიყვარულმა ხატვის სურვილიც აღუძრა. საჭრეთელსაც კარგად ხმარობს და იკვეთება ჩუქურთმებიანი ხონჩა-ტაბაკები, მითური ჟანრის პეზაჟები, სიკვდილ-სიცოცხლის, ბოროტისა და კეთილის მარადიული ბრძოლის ამსახველი ბარელიეფები.

1991-92 წლებში გერმანელ ეთნოგრაფ, დოქტორ ჰელგა კოტოფთან ერთად შეისწავლა ფშაური სამგლოვიარო პოეზია „ხმით ნატირლები", რომელიც ქართულ-გერმანული პნგარედული თარგმანით, გამოკვლევის სახით, ორ ნაწილად გამოიცა გერმანიაში.

ამ ორიოდე წლის წინ მკითხველმა მიიღო მისი პირველი პოეტური კრებული „იმედი და ბედისწერა". გამოსაცემად მზად არის პოეტის რჩეული ლექსები და მოთხრობები, ცალკე წიგნად გამოიცემა მისი იუმორისტული ლექსები, ფუნაგორიები და მოგონებები.

ცოტნე ალბუთაშვილი 1992 წლიდან საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს სახელმწიფო მრჩეველია, შემდგომ ინიშნება საქართველოს სახელმწიფო მეთაურის აპარატის რეგიონებთან ურთიერთობის სამსახურის სახელმწიფო მრჩეველად, ხოლო 1997 წლიდან საქართველოს პრეზიდენტის რეგიონული პოლიტიკისა და მართვის სამსახურის რეფერენტია. ამასთანავე, არის ეაუა-ფშაველას საზოგადოების გამგეობისა და აკადემია „ფაზისის" წევრი, მწერალთა კავშირის სალიტერატურო ალმანახ „პირიმზის" მრჩეველთა საბჭოს კონსულტანტი.

იოსებ ბაიაშვილი
ქვისკარელი

1908-1983

წუთი წუთისოფელი
დანამცბები თვლისა.
ამ ქვეყნად წესი არ არის
მეორედ მოსვლა მკვდრისა.
ამიტომ ეკუმარიეთს ცოცხლითა
მოხდა სიცოცხლის ჯვლისა...

ი. ბაიაშვილი

ახალხო მთქმელი, მესიტყვე იოსებ მიხეილის ძე ბაიაშვილი დაიბადა 1908 წლის 2 დეკემბერს (ძველი სტილით) თიანეთის რაიონის სოფელ ზემო შარახევში (ქვისკარებში). ცხოვრების თითქმის ნახევარი დედოფლისწყაროს სოფ. ქვემო ქედში გაატარა, სადაც 1951 წელს გადასახლდა, და საიდანაც მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე მის მიერ მიტოვებულ მთას მისტიროდა. აკი იქ ენვია მას „ბედნიერი" სიკვდილი, ის ხომ იქ სიკვდილს ნატრობდა, და ასეც მოხდა — 1983 წლის 19 ივნისს გარდაიცვალა თავის სათაყვანო მხარეში.

1991 წელს ვახუშტი კოტეტიშვილმა გამოსცა ალმანახი „ფოლკლორული რვეულები", სადაც დაბეჭდილია იოსებ ბაიაშვილის საუკეთესო ლექსები და პოემები. ვ. კოტეტიშვილი მას ხალხური პოეზიის „მეფეს" უწოდებს.

აი რას წერენ მასზე:

იჯდა მოხუცი ბრძენკაცი, ამავე დროს, ნამდვილი გლეხი, დაკოჟრილი ხელებით, რომლებსაც ადგილს ვერ უძებნიდა და მისი პირით თითქოს მიწა ბუბუნებდა, სამშობლოს მიწა — სადა, უბრალო და დიადი.

ეს იყო თითქმის მთელი ქართულ ხალხური პოეზია ერთ პიროვნებაში მოქცეული, როგორც ბოთლში ჯინი, რომელმაც ამოსავალი გზა იპოვა და ერთბაშად ამოხეთქა. დამუნჯებულნი ვუსმენდით ლექსსა და ლექსს შორის პაუზებს. ეს მართლაც სასწაული იყო.

იგი საოცრად ფლობდა ქართული ენის მადლს. როგორი შეუმცდარი ალღოთი გრძნობდა ფრაზეოლოგიას, ტრადიციულ ხალხურ პოეტიკას, როგორ ძუნნად და უზუსტესად ხატავდა სურათებს და როგორი დახვენილი ოსტატობით ამთავრებდა თავის სათქმელს.

ეს იყო მართლაც დიდი მესიტყვე იმ ხალხისა, რომელმაც შექმნა უაღრესად თვითმყოფადი მრავალსაუკუნოვანი და უმაღლესი სიტყვიერი კულტურა. და სასწაული სწორედ ის გახლავთ, რომ ეს კულტურა არქეოლოგიური განათხარი ან წიგნებიდან მომდინარე ცოდნა კი არ არის, არამედ დღესაც ცოცხალია და იგი დაავქვთ ისეთ გარეგნულად შეუმჩნეველ პიროვნებებს, როგორიც იოსებ ბაიაშვილი იყო.

გიორგი გიგაური

საფლავს ეტყვ: ხალხისს ბინდი.
შენთან საუბარს ქვითინით ვბუდავ.
მე შენ სიკვდილიც მახსოვს ძმეფი.
თბილი ღიმილით დამშორდი ფეხი.

გ. გიგაური

ქართველი პოეტი, ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე გიორგი ხვთისოს ძე გიგაური დაიბადა 1928 წლის 23 მაისს დუშეთის რაიონის სოფელ ბლოში. მისი ოჯახი საცხოვრებლად გადავიდა თიანეთში, როდესაც იგი 8 წლისა იყო და დღესაც იქ სახლობს.

გ. გიგაური ჯერ ტუშურების საშუალო სკოლაში სწავლობდა, ხოლო შემდეგ ბარისახოს სკოლა-ინტერნატში, რომელიც 1945 წელს დაამთავრა.

უმაღლესი განათლება მიიღო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და პროფესიად მნერლობა და ჟურნალისტობა გაიხადა. პირველი ლექსი დაბეჭდა გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში" 1951 წელს, პირველი წიგნი 1957 წელს გამოსცა და მაშინვე მიიპყრო ფართო მკითხველისა და ქართული კრიტიკის ყურადღება. პოეტს დღემდე გამოცემული აქვს ლექსების, ბალადებისა და პოემების ოცდახუთამდე კრებული. მათ შორის „აღსარება", „ბალადა შვიდი ხევსურისა", „გზაგასაყართან", „იმედის ბილიკი", „ჭიუხი, წვიმა და ჩანჩქერები", „რჩეული", „შორეული ექო" და სხვა.

გ. გიგაურის შემოქმედება მამულის სიყვარულით არის გამთბარი. იგი გამოკვეთილი ფერებით გვიხატავს საქართველოს წარსულსა და აწმყოს, მის ტკივილსა და სიხარულს, სამშობლოს მეციხოვნეთა ცხოვრების ჩრდილ-ნათელს, უმღერის რწმენას, იმედს, ერთგულებას.

პოეტის ლექსები თარგმნილია რუსულ, უკრაინულ, აზერბაიჯანულ და ესპანურ ენებზე. იგი არის ვაჟა-ფშაველასი და შალვა დადიანის სახელობის პრემიების ლაურეატი, დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

გ. გიგაური ამჟამად მუშაობს ჟურნალ „რელიგიის" რედაქციაში — რელიგიის, კულტურისა და მეცნიერების განყოფილების გამგედ.

გიორგი გონჯილაშვილი

ქართველი ქირურგი, გრიგოლ მუხაძის სახელობის ჰემატოლოგიისა და ტრანსფიზიოლოგიის თბილისის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის საპატიო წევრი, პროფესორი გიორგი ვლადიმერის ძე გონჯილაშვილი დაიბადა 1928 წლის 21 ივნისს თიანეთის რაიონის სოფ. თიანეთში, მოსამსახურის ოჯახში.

1945 წ. დაამთავრა თიანეთის საშუალო სკოლა. 1946 წ. შევიდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1952 წ. ინსტიტუტში სწავლის პერიოდში (1951-52 წწ.) არჩეული იყო ინსტიტუტის სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარედ. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ივანე თარხნიშვილის სახელობის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების წარმომადგენლობითი კონფერენციის გადაწყვეტილებით, საზოგადოების წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის გ. გონჯილაშვილი არჩეული იყო ივანე თარხნიშვილის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების საპატიო წევრად.

1952-1955 წლებში მუშაობდა კლინიკურ ორდინატორად პედიატრიული და სანიტარიული ფაკულტეტების ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრაზე (კათედრის გამგე პროფ. მ. კ. ჩაჩავა).

ორდინატურის დამთავრების შემდეგ 1956 წ. მუშაობდა გუდაუთის რაისაავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების გამგედ, სადაც 800 ოპერაცია გააკეთა.

1956-1965 წწ-ში გ. გონჯილაშვილი მუშაობს ქ. გორის ბამბეულ ქსოვილთა კომბინატის სამედიცინო სანიტარული ნაწილების წამყვან ქირურგად. იქვე, 1962-63 წლებში სანიტარული ნაწილის უფროსიც იყო. უნდა აღინიშნოს, რომ ის არის ქირურგიული განყოფილების ჩამოყალიბების ერთ-ერთ ორგანიზატორი.

1958 წ. არჩეული იყო ქ. გორის ქირურგიული საზოგადოების თავმჯდომარედ, ხოლო შემდგომ 1959-65 წწ. — გორის ექიმთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარედ.

მ. გონჯილაშვილი 1963 წ. არჩეული იყო მშრომელთა დეპუტატობის გორის საქალაქო საბჭოს მე-9 მონვეევის დეპუტატად და მისი გორში მუშაობის ბოლო დღემდე საქ. კ. პ. გორის საქალაქო კომიტეტის წევრად.

რაიონში მუშაობისას, 1963 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო 1991 წელს მიენიჭა პროფესორის სამეცნიერო წოდება.

1965-1969 წლებში მუშაობდა გრ. მუხაძის სახელობის ჰემატოლოგიისა და ტრანსფიზიოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ქირურგიული განყოფილების გამგედ, ხოლო 1973 წელს აირჩიეს ამავე ინსტიტუტის ქირურგიული განყოფილების ხელმძღვანელად (იგი ითვლება ამ განყოფილების ერთ-ერთ დამფუძნებლად და შეტანილია ინსტიტუტის საპატიო წიგნში).

1981 წ. თბილისის სახ. სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით დაინიშნა სამკურნალო ფაკულტეტის ზოგადი ქირურგიის კათედრის გამგედ. 1985-93 წწ. უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ სამკურნალო ფაკულტეტის ზოგადი ქირურგიის კათედრის გამგედ აირჩია ახალი ვადით. 17 წელზე მეტ ხანს ხელმძღვანელობდა აღნიშნულ კათედრას. ამჟამად ითვლება კლინიკის კონსულტანტად.

გ. გონჯილაშვილი დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

ჯიბო ლომაშვილი

ბოტი, მეცნიერი, ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე, ვაჟა-ფშაველას საზოგადოების თავმჯდომარე, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ჯიბო ნიკოლოზის ძე ლომაშვილი დაიბადა 1925 წლის 15 თებერვალს დაბა თიანეთში. 1942 წელს იქვე დაამთავრა საშუალო სკოლა. მუშაობდა სახერხ ქარხანაში, სადაც რკინიგზისთვის ძელებს ამზადებდნენ. 1943 წელს აირჩიეს კომკავშირის თიანეთის რაიკომის მეორე მდივნად. 1944 წლის იანვრიდან 1944 წლის ივნისამდე სწავლობდა პარტიის ცეკასთან არსებულ 6-თვიან კურსებზე, 1944 წლის ივლისიდან 1945 წლის აგვისტომდე იყო პარტიის თიანეთის რაიკომის ინსტრუქტორი. 1945 წლის სექტემბრიდან 1956 წლის ივლისამდე სწავლობდა თბილისის სტალინის სახელობის უნივერსიტეტში აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე. სწავლის პერიოდში მუშაობდა პარტკომის მდივნის მოადგილედ და კომკავშირის კომიტეტის მდივნად.

1950 წლიდან 1954 წლის მაისამდე მუშაობდა საქართველოს კომპარტიის ცეკაში, ინსტრუქტორად და პასუხისმგებელ ორგანიზატორად. 1952 წელს იყო კომკავშირის ცეკას მეორე მდივანი. 1954 წლის მაისიდან 1954 წლის ბოლომდე ჯ. ლომაშვილი მუშაობდა კვების მრეწველობის მინისტრის მოადგილედ, ხოლო 1954 წლის დეკემბრიდან 1963 წლის იანვრამდე პარტიის ბორჯომის რაიკომის პირველ მდივნად. 1963 წლის იანვრიდან 1967 წლის ნოემბრამდე ჯ. ლომაშვილი იყო პარტიის ცეკას განყოფილების გამგის მოადგილე. 1967 წლის ნოემბრიდან 1976 წლამდე მუშაობდა გამსახკომის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ, ხოლო 1976 წლიდან 1980 წლის მაისამდე ნიგნის მოყვარულთა საზოგადოების თავმჯდომარის პირველ მოადგილედ.

ჯიბო ლომაშვილი 1980 წლის დეკემბრიდან დღემდე მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე. აქვს 70-მდე სამეცნიერო ნაშრომი. არის 7 ნიგნის ავტორი, მათ შორის ერთი მონოგრაფიისა.

1991 წლიდან არჩეულია ვაჟა-ფშაველას საზოგადოების თავმჯდომარედ. არის „ფაზისის" აკადემიის წევრი. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

ნიკო მგელიაშვილი

საინტერესო კაცია ნიკო მგელიაშვილი, თავის თავზე ხმას ვერ ამოაღებინებ, სულ სხვისი კეთილი საქმის გახსენება უყვარს.

ნიკო მიხეილის ძე მგელიაშვილი დაიბადა 1919 წელს თიანეთში. ლექსებს წერს ჩუმად, უხმაუროდ. ომის დროს გამოსცეს ლექსების კრებული სათაურით — „იერიში", იქ მისი ლექსიც არის დაბეჭდილი. აი, რამდენიმე სტრიქონი ამ ლექსიდან:

რაცა ძმენ დუქრეს ბრძოლაში,
და დაეხსიეს იარა.
ზაზა ძეკურს. სისხლმა დასვრა.
ქეურდმე რამ ჩამოვარა...

დიდიანს იყო იგი ფრონტის წინა ხაზზე. არსად არ შეურცხვენია ქართველი კაცის სახელი, მრავალჯერ დაიჭრა, სხეულის ნანილებიც მოეყინა, მაგრამ ყველაფერს გაუძლო. „ერთ-ერთი დიდი ბრძოლის შემდეგ, — გვიამბობს თვითონ, — როცა ბრძოლის ველიდან დაჭრილებისა და მოკლული მებრძოლების გაყვანა დაინყეს, მე — უგრძნობ მდგომარეობაში მყოფი და სისხლში მოსვრილი, ყველას მკვდარი ვეგონე: სანამ დაგვმარხავდნენ, მეცა და სხვა მკვდრებსაც დროებით მინურში მიგვიჩინეს ბინა. სამი დღე და ღამე მკვდრებში ვიყავი; მესამე დღეს კი, როცა ჩვენებმა საძმო საფლავი გათხარეს ჩვენ დასამარხად, ყველა განცვიფრდა, — ნახეს, რომ ჯერ კიდევ ვსუნთქავდი და სიცოცხლის მცირეოდენი ნაღვერდალი კვლავ ენთო ჩემში. მაშინვე სანიტარულ ბატალიონში გამგზავნეს თურმე, პირველი სამედიცინო დახმარებაც აღმომიჩინეს, სამი დღე და ღამე აგონიაში მყოფი ვიგერიებდი სიკვდილის შემოტევას. მეოთხე დღეს კი თვალი გავახილე და წყალი ვითხოვე...

როცა იერიშზე მივდიოდით, ხელჩართულ ბრძოლაში სულ წინ მივისწრაფოდით, უკან გამოხედვა არც გვინდოდა, პირისპირ ვუყურებდით სიკვდილს, მაგრამ მაინც ნინ მივდიოდით. მაშინდელი არც ერთი ხელჩართული ბრძოლა არ მახსოვს, ჩვენ რომ არ მოგვეგოს. ამიტომ მტერი ყოველთვის გაურბოდა ჩვენთან ხელჩართულ ბრძოლებს. გეტყვით სიმართლეს, სიკვდილი არ მაშინებდა, ერთადერთი ის ფიქრი მანვალებდა მუდამ, რომ, თუ დავეცემოდი, თავით წინ დავცემულიყავი, ტყვია მკერდიდან მომხვედროდა და არა ზურგიდან. მერე მებრძოლებმა მითხრეს: მართლაც, თავით წინ პირქვე იწექი, ტყვიაც წინიდან გქონდა მოხვედრილიო და არა ზურგში. არ მინდოდა, ვინმეს მკვდარი ვენახე და ეფიქრა, მტერს ზურგი უჩვენაო..."

თუ დავეცემოდი, თავით წინ დავცემულიყავი, ტყვია მკერდიდან მომხვედროდა და არა ზურგიდანო, — აი, ეს არის ნიკო მგელიაშვილი.

ალექსანდრე ნამორაძე

1891-1958

ქართველი ისტორიკოსი, ახალი და უახლესი ისტორიის კვლევის ერთ-ერთი ფუძემდებელი ალექსანდრე გიორგის ძე ნამორაძე დაიბადა 1891 წელს თიანეთში. 1910-14 წლებში სწავლობდა კიევის უნივერსიტეტში. 1924 წელს დაამთავრა თბილისია ააბელმნიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის ისტორიის განყოფილება. 1936 წლიდან თსუ ახალი ისტორიის კათედრის გამგე იყო; 1938 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და 1939 წლიდან პროფესორი, ხოლო 1946 წლიდან მეცნიერების დამსახურებული მოღვაწეა. ა. ნამორაძე იყო საქართველოში ახალი და უახლესი ისტორიის კვლევის ერთ-ერთი ფუძემდებელი ისტორიკოსი.

სხვადასხვა დროს ლექციებს კითხულობდა თბილისის პუშკინის სახელობის, თელავის ი. გოგებაშვილის სახელობისა და ქუთაისის წულუკიძის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტებში...

ა. ნამორაძე იკვლევდა დასავლეთ ევროპის ქვეყნების გენეზისის საფრანგეთის რევოლუციამდელ და რევოლუციის შემდგომი პერიოდის ისტორიას, აგრეთვე, ამერიკის ისტორიის საკითხებს.

ალ. ნამორაძემ 30 წელი იღვაწა თბილისის სახელმნიფო უნივერსიტეტში და დიდი ამაგი დასდო ქართველ პროფესიონალ ისტორიკოსთა აღზრდის, უნივერსიტეტში მსოფლიო ისტორიის, უმთავრესად კი შუასაუკუნეებისა და ახალი ისტორიის სწავლების საქმეს. დღეს მის მიერ დაწყებულ საქმეს ისტორიკოსთა მრავალრიცხოვანი კოლექტივი ემსახურება.

იგი გარდაიცვალა 1958 წელს 67 წლის ასაკში.

ალექსი ჭინჭარაული



ქართველი ენათმეცნიერი, ფოლკლორისტი და ტექსტოლოგი ალექსი ლეკოს ძე ჭინჭარაული დაიბადა დუშეთის რაიონის სოფელ შატილში 1925 წლის 25 დეკემბერს. დაამთავრა ბარისახოს საშუალო სკოლა, ერთხანს მუშაობდა სოფელ შატილის დაწყებითი სკოლის გამგედ, სოფლის საბჭოს თავმჯდომარედ. 1950 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიურ განყოფილებაზე. იყო ი. სტალინის სახელობის სტიპენდიატი. 1955 წ. ნარჩინებით დაამთავრა უნივერსიტეტის კურსი, სპეციალობით „კავკასიური ფილოლოგია"

1955 წ. ჩაირიცხა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილების ასპირანტად. 1960 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ხევსურულის თავისებურებანი" (ასპირანტის ხელმძღვანელი _ აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა).

1992 წელს დაიცვა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი (თემა – „მხატვრული ტექსტის ენობრივი ანალიზის საკითხები („ვეფხისტყაოსნისა" და ვაჟა-ფშაველას თხზულებათა მიხედვით"). 1958 წლიდან დღემდე მუშაობს აღნიშნულ ინსტიტუტში. ამჟამად არის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი და ლექსიკოლოგიის განყოფილების გამგე. 1995 წლის 25 მაისს აირჩიეს გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად.

სამეცნიერო ნაშრომები გამოქვეყნებული აქვს პრობლემებზე: ქართული ენა და მისი დიალექტები, ქართველური და ვაინახური ენები, ტექსტოლოგია, ეტიმოლოგია, ფოლკლორი, მწერლის ენა (რუსთაველი, დ. გურამიშვილი, ვაჟა-ფშაველა...), ონომასტიკა და სხვ.

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

აქტიურად მონაწილეობდა ქართული ხალხური სიტყვიერების ნიმუშების მოპოვებასა და ფოლკლორული საღამოების გამართვაში. 1985 წ. გამოიცა ალ. ჭინჭარაულის მიერ შედგენილი ქართული ხალხური პოეზიიის რჩეული კრებული _ „ლექსო, არ დაიკარგები" 1979 წ. მან გამოსცა ვაჟა-ფშაველას რჩეულ თხზულებათა ორტომეული. იგი მონაწილეობდა „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის" VII და VIII ტომების შედგენა-გამოცემაში.

ალ. ჭინჭარაულს გამოქვეყნებული აქვს 150-მდე სამეცნიერო წერილი და მონოგრაფია:

ხევსურულის თავისებურებანი, 1960 წ., ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი, 1969 წ., ვაჟა-ფშაველას თხზულებათა ტექსტის დადგენისათვის, 1977 წ., აკაკი შანიძე _ მთის მკვლევარი, 1977 წ., მთას ვიყავ, 1980 წ., „ვეფხისტყაოსნის" ენისა და ტექსტის საკითხები, I, 1989 წ.

მიმდინარე 2001 წელს დაიბეჭდება ალ. ჭინჭარაულის ყველაზე უფრო ფასეული ნაშრომი _ „ხევსურული ლექსიკონი" (დიდი ფორმატის 1.200 გვერდი) და გამოსაცემად მზადდება „ვეფხისტყაოსნის" ენისა და ტექსტის საკითხების" II წიგნი.

ალაზა ხაიაშრი

1936-1997

ვმა ხაბიდიოთ —
ხაშრე ძოიკრა..
ფოხფორის ხანიდეებს
ნთებს
იქ დიდით.
ზოვის სიკვდილში
ხიკოცხლე
ცოცხლოებს —
ზოვ სიკოცხლეში
ცოცხლოების
სიკვდიდი..

ა. ხაიური

ალაზა ხაიური ივრის ნაჟურით გაზრდილი მთიელი იყო. იგი დაიბადა 1936 წლის 22 ივნისს თიანეთში.

ჯერ კიდევ ყმანვილმა ღრმად ჩაიხედა პოეზიის სიღრმეებში და მისი ძალა იწამა, თავისი ცხოვრების მიზნად ის გაიხადა და მერე ერთი წუთითაც არ უცხოვრია ულექსოდ. ალაზა ვაჟას, მირზა გელოვანისა და გაბრიელ ჯაბუშანურის პოეზიის მემკვიდრე იყო, რომელმაც შესანიშნავად იცოდა ხალხური მარგალიტები და პოეზიაშიც ფორმით ვაჟასეულ გზას გაჰყვა. მისი შესანიშნავი შემოქმედება ჯერ კიდევ ყურადღებას და გამომზეურებას მოითხოვს.

ა. ხაიური გულმართალი, წრფელი, მიმნდობი და უღალატო იყო, შური და გესლი შორს იყო მისგან, მისი შემოქმედებაც, მისი ლექსებიც მას ჰგავდნენ.

აქვს წუთისოფელს ბილიკი ბევრი,
თვითეულ ჩვენგანს თითო უჩვენა.
ზოვი ვაიფლის დიდების კრდემლით,
ზოვი ჩვით,
ზოვი ხმა ბუმბნელად.
თავის ბედიღბალს ეჩვევა კაცი,
ცცნობენ? —
ერთია ბოლო...
დე, უცნობლობა მეახლოს მკაცრი
ოღოსდ მაკ თვალებს ვახსოვდე მხოლოდ!

• ალაზა ხაიური გარდაიცვალა 1997 წელს 60 წლის ასაკში.

ბესარიონ ბესიკ ხარანაული

მე ჰოეტი ვარ. ესე იგი ერთი ცრემლით მტკივა ერთ თვალისა.

რიმ აუდგე და წაბოვიდე.
ერთხელ დაბიძახე.
დედა, როგორ მენატრება
შენი ტკბილი სახე.
რაიდენიერ არ დაესაბმრე.
ერთხელაც ყურ ენახე.
სულიერი რას ბეძალები,
ეგეთი. სახეიანსე!

ბ. ხარანაული

ქართველი პოეტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ბესარიონ (ბესიკ) სილიბისტროს ძე ხარანაული დაიბადა 1939 წლის 11 ნოემბერს თიანეთში. 1957 წელს დაამთავრა თიანეთის საშუალო სკოლა, ხოლო 1962 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი.

პირველი ლექსი დაბეჭდა ჟურნალ „დროშაში" 1954 წელს, ხოლო ლექსების პირველი ნიგნი გამოსცა 1968 წელს.

ქართულ პოეზიაში ბესიკ ხარანაულის გამოჩენამ აზრთა პრინციპულ ი სხვადასხვაობა გამოიწვია. ეს გარკვეულ სიახლეზე მიგვანიშნებდა... მისი პოეტური ინდივიდუალიზმი შერწყმულია ეპოქისეულ თავისებურებებთან, რომელთა ერთიანობამაც გარკვეული სიახლე შესძინა მის პოეზიას. ნოვატორული ძიებები მხოლოდ მაშინ არის გამართლებული, როცა ეს ძიებები ესადაგება თანამედროვე ეტაპზე ლიტერატურის განვითარების ძირითად ტენდენციებს და არ ატარებს ფორმალისტურ ხასიათს. ბესიკ ხარანაულის ნოვატორობაზე როცა ვლაპარაკობთ, აუცილებელად ვგულისხმობთ იმ ტრადიციას, რომლის ფუძეზეც ეს ნოვატორიზმი იშვა. სხვაგვარად წარმოუდგენელიც არის. ტრადიციისა და ნოვატორობის დიალექტიკა მაღალ პოეტურ კულტურას მოითხოვს. ამ ძიებების მეკვლე იყო უსაზღვრო სიყვარული და მოკრძალება ქართული პოეტური კულტურისადმი. სატრფოს სახეში გასიმბოლოებულ პოეზიას პოეტი მიმართავს:

ჩემს სახეს
ცვივთულ ფოთოლზე დასატყულს,
ბენი ალერსი უნდა, მარინე.
ბიბრაბანე რაშე, ვეკეფერთელა
ლოდები ბოაზე ამატანინე.

ბესიკ ხარანაულის ინდივიდუალობა ნარმოჩინდება არა მხოლოდ ფორმისმიერ სიახლეებში, არამედ შინაარსეულ განსხვავებულობაშიც... პოეტი სამყაროს მრავალმხრივი ფორმით აღიქვამს. რაზეა დაფუძნებული აღმქმელობის ეს მრავალმხრივობა? რატომ ხედავს პოეტი იმაზე მეტს, რაც სინამდვილეშია, რატომ აღძრავს საგნებში იმ შესაძლებლობებს, რომელთაც ბრმად ჩაუვლიან სხვანი?.. პოეტი ახლებურად იმეცნებს საგანთა ბუნებას, გვთავაზობს მათი არსის ახალ, თავისებურ გაგებას და მათ ადგილს სამყაროს საერთო სისტემაში...

ტარიელ ხარხელაური

მოვსულვარ,
მოვკვდე და შესთვის ვწერო,
მოსა ფარსულის,
ახლის მლოცავი,
შენ გამახსენე,
მაძულო ჩემო
რაც თუ დამრჩეს დაუოცნავი.
მზე ფლამ თვალებს მტკივრით ამივსებს,
და მიმიდენავს სულს ქარიმხლიანს,
უნდა დავმიწდე ბებერ ერწანისზე
და კულზე მუხა ავიშრიალო.
ცა. როგორც ცხენმა.
ლაგამი. შევხარ,
ზმა ოქროსფერით მოვაარაკე,
სამშობლო ჩემო,
პოეტი შენ ხარ,
მე შენი ენით
მოლაპარაკე.

ტ. ხარხელაური

ტარიელ ხარხელაური დაიბადა 1946 წლის 1 იანვარს თიანეთის რაიონის სოფელ სიმონიანთხევში.

მუდამ წრფელი და მართალი გახლდათ საკუთარი მრწამსის, სინდისის, ხალხის წინაშე. ასეთად დარჩა ბოლომდე.

თავისი სავალი აქვს, თავის ცა და მიწა. მიწის კალთაზე დაულეველი საზრუნავით მიჯაჭვული პოეტისათვის მზერა ნიადაგ ცისკენ რომ გაურბის და ვარსკვლავთა ბჟუტვაში სამყაროს უსასრულობას ჭვრეტს, დამღლელი და დამაღონებელია ყოფიერების ტლანქი ტორები, სულიერებისგან დანრეტილი ანმყო, ადამიანებს შორის ავ ზმანებასავით განოლილი უნდობლობის მღვრიე ყინული.

ქრისტიანული თვალთახედვა და სულისკვეთება მსჭვალავს ტარიელ ხარხელაურის მედიტაციურ, მარადიულ პრობლემებზე ორიენტირებულ ლექსებს. არ ყვირის, არ ბობოქრობს, ზარებს არ არისხებს, ყურადღების მიქცევას არავისგან არ ითხოვს... და მაინც, იგი რამდენიმე შესანიშნავი პოეტური კრებულის ავტორია.

წინ კი ახალი სივრცეებია, ახალი სიღრმე და ახალი სიმაღლეები...

ლაგოდეხი



ადმინისტრაციულ-ტერიტორიული რაიონი აღმოსავლეთ საქართველოში, მდინარე ალაზნის აუზში. 1917 წლამდე ახლანდელი ლაგოდეხის რაიონის ტერიტორია თბილისის გუბერნიის სიღნაღის მაზრაში შედიოდა. 1921-1930 წწ. საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით — სიღნაღის მაზრაში. 1930 წლიდან გამოიყო ცალკე რაიონად. ჩრდილოეთით ესაზღვრება დაღესტანს, სამხრეთით გურჯაანისა და სიღნაღის რაიონებს, აღმოსავლეთით — აზერბაიჯანს, დასავლეთით — ყვარლის რაიონს. ფართი 890,2 კმ², რაიცენტრი — ქ. ლაგოდეხი.

ბუნება. რელიეფი. ლაგოდეხის რაიონის ჩრდილოეთი ნაწილი გაშლილია კახეთის კავკასიონის სამხრეთ კალთაზე, სამხრეთით — ალაზნის ვაკეზე. კავკასიონის საშუალო და მაღალმთიანი ზონა.

ჰავა — ვაკეზე ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული. ზამთარი ზომიერად ცივი, ზაფხული — ცხელი, ნელინადში 1200-1800 მმ ნალექით.

მცენარეული საფარი — ალაზნის ვაკეზე შემორჩენილია ვაკის ლეშამბოიანი ტყეები, სადაც ხარობს მუხა, რცხილა, ნეკერჩხალი, ცაცხვი, იფანი, თელა, ვერხვი, გვხვდება მურყანი და ლაფანი. ჭალის ტყეებში განვითარებულია ლეშამბოს მრავალი სახეობა.

ცხოველები — მთის ტყეებში ბინადრობს დათვი, ირემი, შველი, არჩვი, მგელი, მელა. ბევრია გარეული ღორი და კურდღელი, აგრეთვე, ციყვი, მაჩვი, კვერნა, დედოფალა, ტყის თაგვი. ალპიურ ზონაში -აღმოსავლეთკავკასიური ჯიხვი, აკლიმატიზებულია ნუტრია.

ფრინველი — კავკასიური როჭო, შურთხი, მთის არწივი, მწყერი, გარეული მტრედი, გვრიტი, ყვავი, შაშვი, კოდალა, კაჭკაჭი, ხოხობი და სხვ.

თევზეული — კალმახი, ხრამული, წვერა, ქაშაპი, მურწა, ლოქო და სხვ. ყველგან არის ბაყაყი, გომბეშო, გველხოკერა, გველი, ხვლიკი.

ისტორიული ძეგლები: ლელიანის წმინდა თევდორეს (X-XI სს.), ფონის (გვიანდელი შუა საუკუნე), არეშფერანის (შუა საუკუნეები) და ხოშატის ეკლესიები.

თინათინ დონჟაშვილი

1916-1992

ნობილი ქართველი მწერალი ქალი თინა გიორგის ასული დონჟაშვილი დაიბადა 1916 წლის 21 სექტემბერს ლაგოდეხში. 1934 წელს ჩაირიცხა მოსკოვის პირველ სამედიცინო ინსტიტუტში, რომელიც 1939 წელს დაამთავრა. ინსტიტუტის დამთავრებისთანავე იგი მობილიზებულ იქნა ლენინგრადის სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში. იმავე წელს მიენიჭა მესამე რანგის სამხედრო ექიმის წოდება. ქირურგ-ორდინატორად დაინყო მუშაობა თბილისის საოლქო სამხედრო ჰოსპიტალში. მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე თინა დონჟაშვილი, როგორც სამხედრო ექიმი, გაემგზავრა ფრონტზე, სადაც ომის დამთავრებამდე დაჰყო. შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში და სხვადასხვა დროს მუშაობდა „ლიტერატურნაია გაზეტას" საკუთარ კორესპონდენტად საქართველოში, გაზეთ „ზარია ვოსტოკას" ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილების გამგედ, მშვიდობის განყოფილების გამგედ, მშვიდობის დაცვის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პასუხისმგებელ მდივნად. სადაც უნდა ემუშავა თინა დონჟაშვილს, ყველგან გამოარჩევდა პასუხისმგებლობის დიდი გრძნობა, კეთილსინდისიერება და პროფესიონალიზმი.

თინა დონჟაშვილი ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწეოდა 1946 წლიდან, როდესაც გამოქვეყნდა მისი პირველი მოთხრობები. 1947 წელს ცალკე წიგნად გამოიცა თინა დონჟაშვილის ერცელი მოთხრობა „ვერ მიგატოვებ". ამ დროიდან მოყოლებული მწერლის ნაწარმოებები — მოთხრობები, რომანები, პიესები, ნარკვევები სისტემატურად ქვეყნდებოდა სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებში, გამოდიოდა ცალკე წიგნებად, იდგმებოდა თეატრებში.

ქართველი მკითხველი მუდამ დიდი ინტერესით ეცნობოდა თინა დონჟაშვილის მოთხრობებისა და რომანების კრებულებს („ვერ მიგატოვებ", „ჩემი მეგობარი", „განთიადი", „ალაზანზე", „გონჯაურა"). სწორედ ამ ნაწარმოებებში გამოჩნდა მთელი სისავსით თინა დონჟაშვილის მწერლური ნიჭიერება, პროზაიკოსისათვის აგრერიგად საჭირო მახვილი თვალი, მოვლენების ღრმა ანალიზის უნარი. მისი ნაწარმოებების გმირები ქართული სოფლის მკვიდრნი არიან, რომლებიც შრომობენ, იბრძვიან, ამკვიდრებენ სიკეთისა და პატიოსნების ნათელ იდეალებს.

თინა დონჟაშვილის პიესები „გამარჯვებულთა ღიმილი", „ახალი ქართლი", „პოემა ერთ ქალიშვილზე" წარმატებით იდგმებოდა ქართული თეატრების სცენაზე. იგი იყო მრავალი მხატვრული ნარკვევისა თუ ლიტერატურული წერილის ავტორი.

თინა დონჟაშვილის ნაწარმოებები თარგმნილია უკრაინულ, ბელორუსულ, რუსულ, ჩეხურ ენებზე.

იგი წლების განმავლობაში ეწეოდა ნაყოფიერ საზოგადოებრივ საქმიანობას. არჩეული იყო საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის, დრამატურგთა და პროზაიკოსთა სექციების ბიუროების წევრად.

პირდაპირობა და პირუთვნელობა გამოარჩევდა მუდამ ამ ღვანლმოსილ, მრავალჭირნახად შემოქმედსა და მოქალაქეს, რომლის ნათელი სახე დიდხანს ემახსოვრებათ ქართველ მწერლებს, მისი შემოქმედების თაყვანისმცემლებს.

მწერალი ქალი დაჯილდოებულია 5 ორდენით და მედლებით.

რ. მიშველაძე:

ჯუმბერ პატიაშვილი

„მე მოვდივარ იმ ქართველებთან და არაქართველებთან ერთად, ვინც იწამა ჩვენი გამარჯვების აუცილებლობა!„

ჩოგორც თითოეულ ჩვენგანს, ასევე ჯუმბერ ილიას ძე პატიშვილსაც საკუთარი ფესვები და გენური კოდი მოსდგამს. საუბარია გენეტიკურ კოდზე, რომელმაც იგი ჩამოაყალიბა და ცხოვრების ასპარეზზე გამოიყვანა.

ჩვენ ნინაპართა მორის პოპულარობით გამორჩეული სახელის – პაატას კინონობითმა ფორმამ – პატია, შუაგულ კახეთში სათავე დაუდო კიდევ ერთ ღირსეულ ქართულ გვარს – პატიაშვილების გვარს. პატიაშვილების გვარის აკვანი სოფელ კარდანახში დაირნა...

პატიაშვილები კარდანახის გარდა სხვა სოფლებშიც ცხოვრობდნენ: გრემი, ენისელი, მელაანი და სხვაგან. როგორც ჩანს, ამ გვარის კაცს ჯერ კიდევ ადრე კახეთის ლაშქრიდან მარაბდის ომში მიუღია მონაწილეობა და ეკლესიის ეზოში ცხრა ძმა ხერხეულიძეთა გვერდითაა დაუკრძალავთ.

ამ გვარს არც შემდგომში აკლდა მამულიშვილნი, ქვეყნის ერთგული შვილები. მათ მორის იყო ილია პატიაშვილი, ცნობილი მევენახე დავით პატიაშვილი, სახელგანთქმული ინჟინერ-მშენებელი ოთარ პატიაშვილი და მრავალი სხვა.

ჯუმბერ პატიაშვილი წარმოშობითა და ისტორიული ფესვებით კახელია. ორი-ორსაუუნენაბევრის შემდეგ მიწის ყივილმა თავისი გაიტანა და უკვე ქალაქ თბილისში მცხოვრებ მის მშობლებს – ილია პატიაშვილსა და ვერა შანიძეს კახეთში, ქალაქ ლაგოდეხში ვაჟიშვილი შეეძინათ, მას ჯუმბერი დაარქვეს სახელად. ამიტომაც უპრიანია ვთქვათ, რომ ბატონი ჯუმბერი ორგზის კახელია.

იგი დაიბადა 1940 წლის 5 იანვარს. 1957 წელს დაამთავრა ქ. თბილისის 55-ე საშუალო სკოლა, ხოლო 1962 წელს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. 1965 წ. დაამთავრა ასპირანტურა და 1966 წ. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 1970 წლიდან კომკავშირის ცკ-ის პირველი მდივანია.

1973 წლიდან ჯ. პატიაშვილი პარტიულ სამუშაოზეა: ჯერ გორის პარტიის რაიკომის პირველი მდივნის თანამდებობა უკავია, შემდეგ, 1974 წლიდან, საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მდივნად გადაჰყავთ, ხოლო 1987 წლიდან საქართველოს კომპარტიის ცკ-ს პირველი მდივნის თანამდებობაზეა. 1989 წლიდან დღემდე სამეცნიერო-სანარმოო გაერთიანება „თავთავის" გენერალური დირექტორია.

ჯ. პატიაშვილი იყო საქართველოს და საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. 1992-1999 წლებში აირჩიეს საქართველოს პარლამენტის წევრად.

უნდა აღინიშნოს, რომ ჯ. პატიაშვილი ქართველი ერის ნიაღიდან გამოსული და საზოგადოების მუდმივი ყურადღების ცენტრში მყოფი კაცია. ყველას გვახსოვს, ყოველდღიურად ჩვენ თვალწინ როგორ იწრთობოდა, სტუდენტი-ახალგაზრდობის უფროსი მრჩეველი ხდებოდა, იქით ინტელიგენციის, აქეთ კი მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხების ქომაგი იყო...

ტარიელ კვანჭილაშვილი

1920-1999

ლიტერატურის კრიტიკოსი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწე, ლაგოდეხის რაიონის საპატიო მოქალაქე ტარიელ სოლომონის ძე კვანჭილაშვილი დაიბადა 1920 წლის 25 დეკემბერს ლაგოდეხის რაიონის სოფ. შრომაში.

1938წ. დაამთავრა ლაგოდეხის მეთამბაქოეობის ტექნიკუმი და მუშაობა დაიწყო თბილისის თამბაქოს საფერმენტაციო ქარხანაში ტექნიკოს ფერმენტატორად.

1939 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე.

1941 წლის აგვისტოში გაიწვიეს ომში. სამ წელზე მეტი იბრძოლა მოქმედ არმიაში გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ. 1945 წლის დეკემბრის ბოლოს დაბრუნდა არმიიდან და სწავლა განაგრძო უნივერსიტეტში, რომელიც 1949 წელს დაამთავრა. 1949-50 წწ. იყო უნივერსიტეტის ასპირანტი. 1952წ. დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1965წ. სადოქტორო დისერტაციები. 1967 წლიდან პროფესორია.

1958 წლიდან არის საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, კრიტიკოსი.

1983წ. მიენიჭა საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

1979 წელს აირჩიეს სოფ. შრომის კოლმეურნეობის საპატიო წევრად.

1984 წლიდან ლაგოდეხის რაიონის საპატიო მოქალაქეა.

ავტორია ორასზე მეტი სამეცნიერო შრომისა, მრავალი ლიტერატურული და პუბლიცისტური წერილისა, 18 წიგნისა.

იყო რამდენიმე სამეცნიერო საბჭოს წევრი.

დაჯილდოებულია ორდენითა და მედლებით.

რევაზ მიშველაძე:

მიხეილ ჯავახიშვილის კვლევას მაშინ მოჰკიდა ხელი, როცა „ჯაყოს ბიზნების" ავტორის ქომაგობა „მისებრ მოაზროვნეთა" სიაში შენი ხელით შენი გვარის ჩაწერას ნიშნავდა და მიხეილ ჯავახიშვილის ბედის გაზიარება თუ არა, ხელისუფალთაგან ალმაცერად ცქერა ხომ ხელში გქონდა.

ღრმად განსწავლული მეცნიერ-ფილოლოგი და მებრძოლი მწერალ-პუბლიცისტია.

ასეთები ერის დედო-ზართან ახლოს დგანან და მაშინ შემოჰკრავენ ხოლმე, როცა ქვეყნის თავზე შავი ღრუბელი გროვდება, ან ერს ჩაძინების საფრთხე ემუქრება.

მაგიდაზე მიდევს ბატონი ტარიელის ახალი, უაღრესად საინტერესო, ჩვეული უკომპრომისობით და კეთილსინდისიერებით შექმნილი ლიტერატურულ-პუბლიცისტური წერილების კრებული.

ქადაგებს, საქართველოს სამათხოვრო არაფერი სჭირს, ნუ დავროკდებით რუსის. დუდუკზე, ნუ ჩავიდენთ საშვილიშვილო ცოდვასო...

ამაგდარი პედაგოგი, დამსახურებული და ღვაწლმოსილი მეცნიერი გარდაიცვალა 1999 წელს.

გურამ დოჩანაშვილი

თანამედროვე ქართველი პროზაიკოსი, საკუთარი ხელწერისა და სტილის მქონე მწერალი გურამ პეტრეს ძე დოჩანაშვილი დაიბადა 1939 წლის 26 მარტს ლაგოდ-ებში.

მისი შემოქმედება ამდიდრებს და ახალ ფერს მატებს ქართული მწერლობის იმ საუკ-ეთესო მონაპოვარს, რომელსაც ჩვენ თანამედროვე მწერლობას ვუწოდებთ. ეს ფერი ახალია და გაუხუნარი, თავისი ორგინალობითა და სიღრმით გამოსარჩევი. ავტორის ინდივიდუალობა შემოქმედებითი ბუნების გამოვლენის შინაგანად თავისებური ფორმაა და მხატვრული ნარმოსახვის განსხვავებულ ნიშნებს ეფუძნება.

მნერლის თითქმის ყოველი ნაწარმოები ღრმა ფიქრისა და განსჯის საფუძველს იძლ-ევა.

მისი პირველი მოთხრობები „პირველი კონცერტი" და „თანამგზავრი" 1961 წელს ჟურნალ „ცისკარში" გამოქვეყნდა, ხოლო პირველი წიგნი „მთის გადაღმა" 1966 ნელს დაისტამბა.

ეს მოთხრობები გახდა ნიშანი იმისა, რომ მოდიოდა შემოქმედი, რომელიც გატკეპნილი გზებით სიარულს ძიებასა და ჯიუტ ექსპერიმენტს ამჯობინებდა. ამგვარი მისწრაფება თავიდანვე გამოჩნდა გ. დოჩანაშვილის პროზაში და მას დღესაც არ შეუწყვეტია აღმავ-ალი გზით დინება. შემოქმედებითი ექსპერიმენტი სტილური ინდივიდუალობის მიგნებით, გამორჩეული ხელწერის მიღნევით დაგვირგვინდა.

იგი ავტორია მოთხრობების კრებულებისა: „ნაბიჯი" (1969 წ.), „მხიარული ბორცვი" (1971 წ.), „საქმე" (1974 წ.); რომანების: „სამოსელი პირველი" (1975 წ.), „ლოდი ნასაყდრალი (1999-2000 წწ.).

გურამ დოჩანაშვილის გმირები ნიღაბმოხსნილები, ადამიანური უშუალობით წარმო-დგებიან ჩვენ თვალწინ. ისინი ადამიანებზე, თანამოძმეებზე უსაზღვროდ შეყვარებულნი არიან. მათ სულში ჰუმანიზმი, სხვათა გაუკეთესებისაკენ იმედგაუცრუებელი ლტოლვა უაღრესად საინტერესოდ და თავისებურად გამოვლენილი გრძნობაა.

მნერლის მიერ დახატულ მთავარ პერსონაჟთა აბსოლუტური უმრავლესობა ან თავადაა შემოქმედი, ანდა სულით პოეტია. ფანატიკური სიყვარული ხელოვნებისადმი იქამდე მიდის, რომ ეგოისტური შური, ჩემის და სხვისის გარჩევა მათ შეგნებაში ნაშლი-ლია. ამ სიყვარულს სწირავენ ისინი ოჯახსაც, სამსახურსაც, სიცოცხლესაც კი. მათთვის არ არსებობს უფრო წმინდა და ამაღლებული რამ. ისინი მართლაცდა დიდი ადამიანები არიან, თავისებურნი და უჩვეულონი. ამ უჩვეულობას მწერალი ხშირად განტვირთავს და ანეიტრალებს ხოლმე იუმორით.

ამრიგად, გ. დოჩანაშვილის გმირები არ გვანან ერთიმეორეს, ისინი ერთ დიდ სათქმე-ლს ამბობენ, ერთ დიდ ჩანაფიქრს გამოხატავენ, ერთ დიდ მიზანს ემსახურებიან, ავსებენ და ამდიდრებენ იმ მხატვრული სამყაროს ფერადოვან ნახნაგებს, რომლებიც დოჩანაშ-ვილისეულია, სხვათაგან განსხვავებული და გამორჩეული.

ანა ანეტა დონჭაშვილი-ღამგაშიძე

1911-1961

ასახიობ შალვა ღამბაშიძის მეუღლე ანა გიორგის ასული დონჭანელი (დონჭაშვილი) დაიბადა 1911 წლის 3 თებერვალს ლაგოდეხში.

თბილისში დაამთავრა ქალთა პირველი გიმნაზია. შემდეგ სწავლობდა კ. მარჯანიშვილის სტუდიაში. 1928 წელს ჩაირიცხა მარჯანიშვილის სახელობის თეატრში. აქედან მოყოლებული 30 წელი იყო ამ შესანიშნავი კოლექტივის წევრი. აქ ა. დონჭანელმა შექმნა დასამახსოვრებელი სახეები: გრეტა („ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ"), დაშა („ პური"), ლიზა („რაც გინახავს, ვეღარ ნახავ"), კაკალა („ნინოშვილის გურია"), მერი კაციტაძე („იცკა რიჟინაშვილი), სპინოზა („ურიელ აკოსტა"), ირინე („კოლმეურნის ქორწინება"), თამარი („სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი"), ნიშეტ („მარგარიტა გოტიე"), გულიკო არაბიძე („მკაცრი ქალიშვილები"), სონა („ხანუმა"), რუსუდანი („ჟამთაბერის ასული"), ციცინო („გამახარე"), კატო („უფსკრულთან") და სხვ.

ა. დონჭანელმა მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ეროვნული კულტურის განვითარების საქმეს მოახმარა. უყვარდა მმობლიური თეატრი, სადაც აიდგა ფეები და უმნიკვლოდ ემსახურა. იგი მზად იყო, თავისი ცოდნა და მდიდარი გამოცდილება უშურველად გაეზიარებინა ახალგაზრდა მსახიობებისათვის. გამოირჩეოდა გულისხმიერებით, თავაზიანობით, სარგებლობდა დამსახურებული ავტორიტეტით და სიყვარულით.

მიხეილ გაფრინდაშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში მიხეილ მალაქიას ძე გაფრინდაშვილი დაიბადა 1927 წელს ქ. ლაგოდეხში.

მ. გაფრინდაშვილმა 1946 წ. დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტი, 1950 წ. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, 1954 წელს მიენიჭა დოცენტის, ხოლო 1980 წ. პროფესორის წოდება, სადოქტორო დისერტაცია დაიცვა 1978 წელს. იგი ავტორია ოთხმოცდაათზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა, მათ შორის 15 ვრცელი წიგნისა...

მიხეილ გაფრინდაშვილი არის სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის წევრი და სამეცნიერო პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად ეწევა ლიტერატურულ-ჟურნალისტურ საქმიანობას, თარგმნის სასნავლო-სამეცნიერო ნაშრომებს და მხატვრულ ნანარმოებებს ქართულად, აქვეყნებს პრესასა და ტელერადიოში პუბლიცისტურ ნაშრომებს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პრობლემებზე.

1961-64 წწ. მ. გაფრინდაშვილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეა სამეცნიერო დარგში. იგი დიდი ხანია ეწევა ნაყოფიერ სამეცნიერო-ორგანიზაციულ მუშაობასაც. ადრე, როგორც კათედრის გამგე, ახლა კი, როგორც ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, ისტორიის პრობლემების სამეცნიერო-საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და საქართველოს საისტორიო საზოგადოების თბილისის ორგანიზაციის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე.

ომარ გუგეშაშვილი

საბჭოთა კავშირის და საქართველოს დამსახურებული მნერთნელი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ომარ დომენტის ძე გუგეშაშვილი დაიბადა 1941 ნლის 30 მარტს ლაგოდეხის რაიონის სოფელ გიორგეთში. აქვე დაამთავრა საშუალო სკოლა. სამხედრო სამსახურიდან დაბრუნების შემდეგ შევიდა საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტში, რის დამთავრების შემდეგ სამუშაოდ გაანაწილეს ქ. რუსთავში მნერთნელად.

გუგეშამვილი 30 ნელზე მეტია ემსახურება ქართულ სპორტს. ამ ხნის მანძილზე აღზრდილი ჰყავს არაერთი როგორც რესპუბლიკის, ისე საკავშირო და საერთაშორისო ჩემპიონი და პრიზიორი, ბოლო მსოფლიოსა და ევროპის მრავალგზის ჩემპიონის თემურ ყაზარაშვილის აღზრდისათვის 1982 ნელს მიენიჭა საბჭოთა კავშირის დამსახურებული მნერთნელის საპატიო ნოდება.

ასე იგონებს თვითონ თემურ ყაზარაშვილი: „რუსთავის მე-17 სამრეწველო ტექნიკურ სკოლაში შევედი. ჭიდაობაზე არც მიფიქრია. ვიღებდი მონაწილეობას შეჯიბრებებში, კერძოდ მძლეოსნობაში. ერთხელ ჩემთან მოვიდა კლასიკური ჭიდაობის სპეციალისტი მნერთნელი ომარ გუგეშაშვილი, რომელმაც მითხრა: ვფიქრობ, ჭიდაობას შეძლებ. სალაბორატორიო ლარბაზში მოდი". ასე დაიწყო მომავალში სახელგანთქმული სპორტსმენის სპორტული კარიერა.

ამჟამადაც ომარ გუგეშაშვილი აქტიურად ემსახურება ქართულ სპორტს.

გიორგი ნარიმანიძე

ბიორგი ნარიმანიძე დაიბადა 1920 წლის 5 დეკემბერს ქ. ლაგოდეხში — ქართველი სპორტსმენი, ხელბურთელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი.

„გამთამაშებელი" სპორტის ნებისმიერ სახეობაში — ეს არის სპორტსმენი, რომლისგანაც მაგალითს იღებენ ახალგაზრდები, ვისაც არანაკლებ პატივს სცემენ, ვიდრე გუნდის ლიდერებს, ვის ზედაც საბოლოოდ შეიძლება დაეყრდნო ყველაზე მძიმე ნუთებში. ეს იმიტომ, რომ „გამთამაშებლებს" უწოდებენ ტექნიკურ, გამოცდილ და ისეთ სპორტსმენებს, რომლებსაც გააჩნიათ ტექნიკური ალღო და არიან თავისი გუნდის დიდი პატრიოტები. ნებისმიერ ოსტატთა გუნდს ჰყავს თავისი „გამთამაშებელი". ამ თვალსაზრისით არც თბილისის ხელბურთელთა გუნდი „ბურევესტნიკია" გამონაკლისი, სადაც წლების მანძილზე თამაშობდა გია ნარიმანიძე.

სპორტის ოსტატი გია ნარიმანიძე — სსრ კავშირის 1978 წლის თასის მფლობელი, 1977 — და 1980 წწ. გათამაშებისა და სსრკ ხალხთა VI სპარტაკიადის ბრინჯაოს პრიზიორი.

ხელბურთში იგი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკული ფაკულტეტის სტუდენტობის დროს მოვიდა.

1970 წლიდან გია ნარიმანიძე ჩაირიცხა საქართველოს საუკეთესო გუნდში თბილისის „ბურევესტნიკში", რომელსაც მაშინ ავარჯიშებდნენ ჯანო ბაგრატიონი და თამაზ ანთაძე. იგი იყო ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე ამ შესანიშნავ გუნდში.

ვაკ-ელისენი

საინგილო


I ბოლქვები
II ფეოდალური
III ფეოდალურ-ადმინ.
ქალაქები
სხვა ფეოდალური
ბოლქვიანი
II
ბაკურიანი
ბაკურიანი
ბაკურიანი

საქართველოს ისტორიული მხარე, მისი ჩრდილო აღმოსავლეთი ნაწილი, ახლანდელი აზერბაიჯანის ფარგლებში. მოიცავს ბელაქნის, ზაქათალისა და კახის რაიონების ტერიტორიას. ტერმინი „საინგილო" XIX საუკუნეში დამკვიდრდა ინგილოებით დასახლებული მხარის აღსანიშნავად. საინგილო შედგებოდა 2 პოლიტიკური ერთეულისაგან — ჭარ-ბელაქნისა (კაკ-ენისელი ან ელისენი) ელისუს სასულთანოსაგან. საინგილოს ტერიტორია ადრინდელ საუკუნეებში ძველი ქართული პროვინციის ჰერეთის შემადგენელი ნაწილი იყო. XI საუკუნის დასაწყისში ადმინისტრაციულად მაჭის საერისთავოს ფარგლებში მოექცა. XVI-XVII სს. პოლიტიკურმა ცვლილებებმა კახეთის სამეფოში, ოსმალეთის და სპარსეთის გამუდმებულმა აგრესიამ და დაღესტნელი ფეოდალების თავდასხმებმა ამ მხარის ეკონომიური და პოლიტიკური დაცემა გამოიწვია. ნადგურდებოდა მკვიდრი ქართველი მოსახლეობა, მათ ადგილზე სახლდებოდნენ ნახურელი და ავარიული ლეკები. ერთდროულად ხდებოდა ქართველი მოსახლეობის დაყმევება და გამაჰმადიანება. დროთა განმავლობაში საინგილო საერთოდ მოწყდა კახეთის სამეფოს. კახეთის მეფეების მრავალი ცდა, გაეთავისუფლებინათ აღმოსავლეთ კახეთის მიწები, უშედეგოდ მთავრდებოდა.

1840 წელს ბელაქნის მაზრა ადმინისტრაციულად საქართველო-იმერეთის გუბერნიაში შევიდა.

ივანე ბულუღაშვილი

1801-1872

იხსნა საინგილო გადარჯელებისგან
თანამედროვეები

საინგილოს დიდი ქომაგი, პროფესორი მოსე ჯანაშვილი წერდა: „ღვთიური ნაპერწკალი განურჩეელად ნოდებისა და გვარმოდგმისა, ყველა ნესიერად გაჩენილს თანატოლად მოსდევს, ხოლო რომ შემდეგ ზოგში ეს ნაპერწკალი ღვივდება ნათელ შარავანდედად და ზოგში კი გაუღვივებლივ იფერფლება და ალის ქვეშ იმარხება, ეს აიხსნება არა კაცის შობით გლეხად ანუ აზნაურად, არამედ თვით უზენაესის მიერ ბოძებულ ნიჭის მოხმარებითა, ზრდითა და მოვლით". ასეთი იყო ივანე ბულუღაშვილი. იგი დაიბადა საინგილოში, სოფელ იზირში (მთის ძირში), კაკთან (კახთან) ახლოს 1801 წელს.

ამ ჩვენ განაპირა ქართულ კუთხეში დღიდან მისი დაპყრობისა საქართველოსთან შერწყმის ნატვრა და წყურვილი არასოდეს განელებულა.

„მონინავე ქართველობამ ხმამაღლა დაიწყო ლაპარაკი, მეფე ალექსანდრეს მიერ 1442 წელს გაყრილი ღვიძლი ძმები იმპერატორმა ალექსანდრემ კვლავ შეგვარიგა",— წერს მ. ჯანაშვილი.

მთელი სიცოცხლე ივანე პაპამ საინგილოში ქართველთა ეროვნული სულისკვეთების მამულიშვილური გრძნობის გაძლიერებას მოახმარა. მან თითქოსდა სიცოცხლე შთაბერა საინგილოს. მისი თავგამოდების წყალობით იყო, რომ კახელებმა, ნაწილობრივ ალიაბადელებმა (ელისენი) და მის მიდამოებში მცხოვრებმა ქართველობამ არ მიატოვა მშობლიური კუთხე.

ინგილოები იბრძოდნენ, რათა დაეცვათ სარწმუნოება, ენა და ზნე-ჩვეულებანი. მტარვალებიც არ ინდობდნენ მათ და, თუ ხელში ჩაიგდებდნენ, მხეცურად ანამებდნენ. ნამებულთა ადგილს მყისვე იკავებდნენ უშიშარი მამულიშვილები.

იქნებ ამან ათქმევინა ინგილოებზე მზაკვარ შაჰ-აბასს: „ჰენგილო, სადაც კი შეგხვდეთ დედაბუდიანად მოსპეთ, არ დაინდოთ. ეს ისეთი გაუტანელი, ჯიუტი ხალხია, რაგინდა უჭირდეს, ვერ ათქმევინებთ გაჭირვებას"

1840 წელს სიონის ტაძარში მოინათლნენ ივანე ბულუღაშვილი, გიორგი ჯანაშვილი, კოტე ჭირიტაშვილი და სხვები. მათ გამოუცხადეს მთავარმართებელ ვორონცოვს: — „ჩვენ ქრისტიანები ვართ და გამოგვიგზავნეთ ქართველი მღვდლები, რომ მოუნათლავი ქრისტიანები მოგვნათლონო"

მათ ნათლობას დიდის ამბით მიესალმა ქართველი საზოგადოება. ერის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ბედუკულმართობით დაკარგული და დაჩაგრული ძმები ერთმანეთს ეხვეოდნენ. დაიწყო დაქცეული ტაძრების მშენებლობა.

ივანე პაპა — ბულუღაშვილი ამოღებული ხმალი იყო საინგილოს მტრებისათვის, მას ერის უკვდავი წინამძღოლს უწოდებს მოსე ჯანაშვილი.

ივანე ბულუღაშვილმა თავისი საქმის განმგრძობნიც დატოვა: მოძღვარი მიხეილ (პაპაშო) ყულოშვილი — მღვდელი, საინგილოს პირველი პუბლიცისტი დიმიტრი ჯანაშვილი და დიდი მეცენატი პროფესორი მოსე ჯანაშვილი, აბელ ბაირამაშვილი, ბართლომე ხუციშვილი, არჩილ დარეჯანაშვილი, პოლკოვნიკი კოტე ტარიელაშვილი, სოფიო ყულოშვილი და სხვანი.

მიხეილ ყულოშვილი

1820-1913

ეგვისტოში საინგილოს საზოგადოებამ წმინდა გიორგის სახელობის საყდრის ეზოში მღვდელ მიხეილ ყულოშვილის დაბადების 180-ე წლისთავთან დაკავშირებული საზეიმო შეკრება მოაწყო. სიტყვით გამოვიდა მისი შვილიშვილი, ექიმი მიხეილ ყულოშვილი. მან ისაუბრა პაპის გენეალოგიაზე, ერისათვის მის თავგანწირულ სამსახურზე, ისაუბრა პიროვნებაზე, ვინც ენით უთქმელი ტანჯვა აიტანა და ეწამა ქრისტიანული სარწმუნოებისთვის. შეკრებილებმა წამოაყენეს წინადადება: მიხეილ ყულოშვილი ერის წინაშე დიდი დამსახურების გამო შერაცხულ იქნას წმინდანად.

მიხეილ ყულოშვილმა 1858 წელს უშუალოდ ივან-ბაბა ბულუღამეილის ხელმძღვანელობით დააარსა ქართული ორკლასიანი სკოლა. ერის სულიერი წინამძღოლი სკოლის შენობის უქონლობის გამო საკუთარ სახლში ასწავლიდა ბავშვებს, წიგნებსაც თვითონ ყიდულობდა. ამას ყველაფერს სრულიად უანგაროდ აკეთებდა.

მიხეილ ყულოშვილმა განაახლა დანგრეული კასრის საყდარი, რომელიც ააშენა არჩილ მეფემ 1818 წელს. ძველ საძირკველზე 1912 წელს მიხეილ ყულოშვილმა საკუთარი სახსრებით მშვენიერი ტაძარი ააგო (ამის შესახებ მოგვითხრობს მოსე ჯანაშვილის წიგნი „საინგილო",). ქრისტიანობის აღორძინებისათვის მუსავატელებმა 93 წლის მოძღვარს თავი მოჰკვეთეს, ოქროს ჯვარი კი დაამტვრიეს და გაინაწილეს. ასეთი მოწამებრივი სიკვდილი ერგო მას...

საინგილოს საზოგადოებამ წინადადებით მიმართა იქაურ მღვდლებს: მამა მოსეს (ჭაჭაშვილს) და მამა რეზოს (ოთარაშვილს), შუამდგომლობა გაუწიონ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის წინაშე, რომ მოძღვარი მიხეილ ყულოშვილი ერის წინაშე უანგარო მოღვაწეობისათვის, ერისტეს რწმენისა და ქართველობის შენარჩუნებისათვის, შეირაცხოს წმინდანად.



დიმიტრი ჯანაშვილი

1840-1905

ქართველი ისტორიკოსი, ეთნოგრაფი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე დიმიტრი იოსების ძე ჯანაშვილი დაიბადა 1840 წლის 15 (27) დეკემბერს საინგილოში, სოფ. კახში.

1865 წელს დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია. 12 წელი საინგილოში იყო მღვდლად და პარალელურად ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. დააარსა ქართული სკოლები. 1873 წლიდან ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა ეუთაისის სასულიერო სასწავლებელში. 1878-81 წწ. სწავლობდა მოსკოვის სასულიერო აკადემიაში. შემდეგ გააგრძელა პედაგოგიური მოღვაწეობა თბილისში. სიცოცხლის ბოლო წლებში მღვდლად იყო კახეთში. იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წევრი.

ჯანაშვილი თანამშრომლობდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში: „დროება", „ივერია", „მოგზაური", „ნობათი", „მოამბე", „მნათობი", „ცისკარი". გამოდიოდა ქართული ენისა და ეროვნულობის დამცველად. თავის ნაშრომებში ეყრდნობა ქართულ წერილობით წყაროებსა და ფოლკლორულ მასალას. ნაშრომი „სასულიერო წოდება" ეხება ქართული ეკლესიის ისტორიას; ავტორი მჭიდროდ უკავშირებს ერთმანეთს ქართულ ეკლესიასა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას. აღნერს საქართველოში კათოლიკე მისიონერების მოღვაწეობას და კათოლიკობის შემოსვლას. თხზულებაში „ქართველი ქალი" ნაჩვენებია ქართველი ქალების — მეფეების, დედოფლების, დიდგვაროვნებისა და გლეხების (მაია წყნეთელი, თინა ნავკისელი, თამარ ვაშლოვნელი) მონაწილეობა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებასა და სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

დ. ჯანაშვილი ავტორია მრავალი წერილისა საქართველოს ეთნოგრაფიაში, აქვს საბავშვო ისტორიული მოთხრობებიც ვახტანგ გორგასალზე, თამარ მეფეზე და სხვ.

არჩილ ჯანაშვილი

1904-1985

ქართველი ზოოლოგი, პროფესორი, საქართველოს ზოოგეოგრაფიის ერთ-ერთი ფუძემდებელი არჩილ გაბრიელის ძე ჯანაშვილი დაიბადა 1904 წლის 9 იანვარს სოფ. კახში (საინგილო). ამ დარგში ა. ჯანაშვილის ნაშრომები — „ზოოგეოგრაფია" და „ზოოგეოგრაფიული რუკა" პირველია ქართულ ენაზე.

ა. ჯანაშვილმა დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტი საბუნებისმეტყველო განხრით. 1926 წლიდან მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოოლოგიის კათედრაზე. იყო თსუ ხერხემლიანთა ზოოლოგიის და თელავის სამასწავლებლო ინსტიტუტის ბუნებისმეტყველების კათედრის გამგე. სხვადასხვა დროს მუშაობდა თბილისის ზოოპარკში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის, თბილისის სასოფლო-სამეურნეო, თბილისის, გორის, ქუთაისის, სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტებში. ა. ჯანაშვილი იყო ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქციის წევრი.

არჩილ ჯანაშვილის კვლევის საგანი იყო საქართველოს ძუძუმწოვრები, ქვეწარმავლები, ამფიბიები. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული ზოოლოგიური ტერმინოლოგიის შედგენის საქმეში.

ა. ჯანაშვილი ავტორია მრავალი საბავშვო მოთხრობისა. 1985 წელს მას მიენიჭა სახელმწიფო პრემია.

რაჟდენ ხუციშვილი

1887-1942

ქართველი ფიზიკოსი და გეოფიზიკოსი, პროფესორი რაჟდენ ბართლომეს ძე ხუციშვილი დაიბადა 1887 წლის 5 (17) იანვარს სოფ. კახში (საინგილო).

1908-12 წწ. სწავლობდა ნოვოროსიისკის უნივერსიტეტში (ოდესა), ხოლო 1912 წელს დაამთავრა ხარკოვის უნივერსიტეტის გეოფიზიკის ფაკულტეტი. 1918 წელს ჩამოვიდა თბილისში და მუშაობა დაიწყო თბილისის ობსერვატორიაში მაგნიტიზმის განყოფილების გამგედ.

რ. ხუციშვილი 1920 წელს საპროფესორო პრაქტიკის გასავლელად სამი წლით მიავლინეს გერმანიაში, ქალაქ ბერლინში, სადაც მოუსმინა და საგნები ჩააბარა ა. აინშტაინს, მ. პლანკს, მ. ლაუეს, ვ. ნერნსტს, ე. ვარბურგსა და სხვ. გერმანიიდან დაბრუნების შემდეგ მუშაობა გააგრძელა თბილისის გეოფიზიკის ობსერვატორიაში, ხოლო 1924 წლიდან დაინიშნა მის დირექტორად. პარალელურად რ. ხუციშვილი კითხულობდა ფიზიკის კურსს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

1927 წელს გადავიდა ე. ლენინგრადის მთავარ გეოფიზიკის ობსერვატორიაში მაგნიტიზმის განყოფილების გამგედ. 1928-31 წლებში ამ ობსერვატორიასთან დაარსებულ დედამიწის მაგნიტიზმისა და ატმოსფერული ელექტრობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის (ქ. პავლოვსკი) დირექტორია. რ. ხუციშვილი იქ ხელმძღვანელობდა მაგნიტოლოგთა კადრების მომზადებას II საერთაშორისო პოლარული წლისთვის და მაგნიტოლოგიური ობსერვატორიის ორგანიზაციას ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანეში (ფრანც იოსების მიწა, რუდოლფის კუნძული და კუნძული ახალი მიწა). 1931 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კათედრის გამგედ.

ბათლომე ხუციშვილი

1860-1923

ბედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ბათლომე ზაქარიას ძე ხუციშვილი სოფ. კახის ხუციშვილების ერთ-ერთი შტოდან არის. იგი ეკუთვნოდა მე-19 საუკუნის საინგილოს მოღვაწეთა ბრწყინვალე თაობას. „ხუციშვილი ბათო ცნობილია მთელს მაზრაში, როგორც მეგვარტომეთა ჭირისუფალი, მოენე და დამცველი. იგი ცნობილია საპედაგოგო მწერლობაშიც. მის მიერ შედგენილი არითმეტიკის სახელმძღვანელო ერთხანს იხმარებოდა მთელ ამიერკავკასიის დანყებით სკოლებში" (მ. ჯანაშვილი, „საინგილო").

ბათლომე ზაქარიას ძე ხუციშვილი დაიბადა 1860 წელს სოფელ კახში, ინგილო გლეხის ოჯახში. ბათლომეს მამა ზაქარია ხუციშვილი წყნარი, უსიტყვო კაცი ყოფილა. ოჯახის თავი და გამძღოლი ბათლომეს დედა ნაზლუ იყო, მტკიცე ნებისყოფის, მხნე და თადარიგიანი ქალი. წერა-კითხვა იმ დროს საინგილოში ცოტამ იცოდა, მაგრამ ბათლომეს დედა ნაზლუ განთქმული ყოფილა სოფელში ანგარიშის ცოდნით, ძალიან მარჯვედ ანარმოებდა თურმე კენჭებზე არითმეტიკის ოთხსავე მოქმედებას. ამის გამო მას ხშირად ეძახდნენ მეზობლებში, როდესაც სჭირდებოდათ ვაჭრებისათვის ღვინის, აბრეშუმის პარკის, თხილის თუ სხვა რაიმეს მიყიდვა. საერთოდ, იმ დროს სწავლა საინგილოში დიდ პატივში არ ყოფილა, მაგრამ ბათლომეს დედას მოუნდომებია, თავისი ვაჟებისათვის ესწავლებინა. ამ მიზნით მას სამივე ვაჟი მიუბარებია კახის ვაჟთა ორკლასიან სასწავლებელში. ეს ორკლასიანი სასწავლებელი იმ დროს ახალგახსნილი ყოფილა. ბათლომეს ძმებს დიდი ხალისი არ გამოუჩენიათ სწავლაში, თვითონ კი კარგად დაუმთავრებია კახის ორკლასიანი სასწავლებელი და სხვა ინგილო ახალგაზრდებთან ერთად ზაქათალის სამოქალაქო სასწავლებელში გაუგზავნიათ. ამ სასწავლებელში ინგილო ბავშვებს არ მოსწონებიათ მასწავლებლების მოქცევა და გადაუწყვეტიათ გაქცევა. ამ მიზნით ოთხი ბიჭი ღამით გადამტარა სასწავლებლის ეზოს მაღალი გალავნიდან და გაპარულა კახში, ხოლო ბათლომესათვის კი ღამის დარაჯს წაუვლია ფეხში ხელი და არ გაუშვია.

ძალაუნებურად დარჩენილა ბათლომე ზაქათალის სამოქალაქო სასწავლებელში, შეჩვევია იქაურ გარემოს და პირველი მოსწავლის სახელით დაუმთავრებია იგი. ამის შემდეგ ბათლომე შესულა გორის სამასწავლებლო სემინარიაში და მისი კურსიც დაუმთავრებია პირველ მოსწავლედ (პირველი გამოშვება). იგი ითვლებოდა საუკეთესო მოსწავლედ განსაკუთრებით მათემატიკაში. სემინარიის დამთავრების შემდეგ ბათლომე ხუციშვილი გაგზავნეს მასწავლებლად დარუბანდში, შემდეგ აღბულაღში და დუშეთში. მხოლოდ 1893 წელს მოახერხა ბათლომე ხუციშვილმა თავის მშობლიურ სოფელში კახში მასწავლებლად მოწყობა, სადაც მან 18 წელი იმუშავა.

საინგილოში იმ დროს ძალიან მტკიცედ იყო დაცული ძველი ადათ-ჩვეულება. ქალი მამაკაცთან ხმას ვერ ამოიღებდა, სუფრასთან ვერ დაჯდებოდა, ქალი ოჯახში შვილად არ ითვლებოდა. ბათლომე ხუციშვილი, სხვა იმდროინდელ ინგილო მოღვაწეებთან ერთად, ყოველმხრივ ებრძოდა ამ ჩვეულებას, ყოველთვის დაურიდებლად არღვევდა ამ ადათს და არღვევინებდა სხვებსაც არა მარტო კახში, არამედ ინგილოთა სხვა სოფლებშიც.

ბათლომე კარგად იცნობდა კახის ინგილოთა ოჯახებს და ავლა-დიდებას. იგი ხშირად დადიოდა ამ ოჯახებში, დაუწყებდა გამოკითხვას და იმდენს იზამდა, რომ ქალსაც კი ამოაღებინებდა ხმას, თუმცა მხოლოდ ხანში შესულებს, ახალგაზრდებზე კი არავითარი ძალა არ სჭრიდა.—

სოფელ კახში და მის ახლომახლო სოფლებში ისე ლხინი არ გაიმართებოდა, რომ იქ ბათლომე არ ყოფილიყო.

ბათლომე ხუციშვილი ხეხილის მცნობი და ახალი ჯიშების გამოყვანის ნამდვილი ოსტატი იყო.

საუცხოოდ იცოდა მათემატიკა. როგორც მ. ჯანაშვილი აღნიშნავს, მის მიერ შედგენილი არითმეტიკის სახელმძღვანელო კარგა ხანს იხმარებოდა ამიერკავკასიის სკოლებში, ხოლო მის გაკვეთილებს არითმეტიკაში, მის ნათელ, თვალსაჩინო ახსნას მართლაც რომ არაფერი სჯობდაო.

ბათლომე ხუციშვილი მთელი თავისი სიცოცხლე იყო ნევრი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა. იგი საინგილოს ყოფა-ცხოვრების შესახებ სისტემატურად წერდა წერილებს და ათავსებდა „ქურმუხელასა“ და „მოსულის“ ფსევდონიმით ჟურნალ-გაზეთებში („ივერია“, „ცნობის ფურცელი“). ბათლომე ხუციშვილის უშუალო ინიციატივითა და მონაწილეობით კახში ჩამოყალიბდა დრამატული წრე.

900-იანი წლების მოღვაწეთა ბრწყინვალე თაობის (დიმ. ჯანაშვილი, ბათლომე ხუციშვილი, სოფიო ყულოშვილი, აბელ ბაირამაშვილი, მიხეილ ყულოშვილი და სხვები) ასეთი დაუღალავი მოღვაწეობის შედეგად შეიქმნა საინგილოში საკმაოდ დიდი ფენა ინტელიგენტი ახალგაზრდობისა. საკმარისია, დავასახელოთ ბათლომეს ცხრა შვილი, რომლებმაც უმაღლესი განათლება მიიღეს. ასეთივე განათლებული ოჯახები იყო გამა-ხარაშვილებისა, ჯანაშვილებისა, ივანიცკებისა, ბაირამაშვილებისა, ყულოშვილებისა, პაპიაშვილებისა და სხვა.

1917 წელს აზერბაიჯანში მუსავატელები გაბატონდნენ და ყოველ ნუთში მოსალოდნელი იყო ინგილო ხალხის გადაგვარება. ბათლომე ხუციშვილი, როგორც თავისი ხალხის მოჭირნახულე, გულშემატკივარი, ვერ შეურიგდა ამ ამბავს და ამის გამო მუსავატელების რისხვა დაიმსახურა. იგი იძულებული შეიქნა, გასცლოდა საინგილოს საზღვრებს. საყვარელი კუთხის — საინგილოს დაკარგვამ გატეხა და ლოგინად ჩააგდო. მან რამდენიმე წელს იავადმყოფა და გარდაიცვალა სოფ. ცოდნისკარში, ლაგოდეხის მახლობლად 1923 წელს.

ასე დასრულდა იმ ადამიანის სიცოცხლე, რომელმაც მთელი თავისი ცოდნა და დაუშრეტელი ენერგია შესწირა ინგილო ხალხის გათვითცნობიერებასა და ინგილო ახალგაზრდობის აღზრდას.

გივი ხუციშვილი

1921-1979

ქართველი ფიზიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნევრ-კორესპონდენტი გივი რაჟდენის ძე ხუციშვილი დაიბადა 1921 წლის 11 იანვარს სოფ. კახში (საინგილო). 1942 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი. 1958 წლიდან იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის თეორიული ფიზიკის განყოფილების ხელმძღვანელი. 1956 წლიდან უნივერსიტეტის პროფესორია.

გ. ხუციშვილი მყარ სხეულებში მაგნიტურ-რეზონანსული მოვლენების თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებელია. მისი კლასიკური გამოკვლევები ეხება ბირთვული მაგნიტური რეზონანსისა და მყარ სხეულებში ბირთვული სპინების დიფუზიის, პოლარიზაციისა და რელაქსაციის თეორიებს.

1955 ნ. ინგლისელ ფიზიკოს ნ. კიურტისაგან დამოუკიდებლად ნამოაყენა ფერომაგნიტურ ნივთიერებათა ბირთვების პოლარიზაციის მეთოდი, ახსნა ელექტრონული პარამაგნიტური რეზონანსის დისკრეტული გაჯერება. გ. ხუციშვილმა შექმნა კონდენსირებულ გარემოთა რადიოსპექტროსკოპიის თბილისური სკოლა, რომელიც ერთ-ერთი ნამყვანი იყო სსრ კავშირში.

გ. ხუციშვილს 1970 წელს მიღებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პ. მელიქიშვილის სახელობის პრემია. იყო ფიზიკოსთა საერთაშორისო საზოგადოება „ამპერეს" კომიტეტისა და მთავარი სამეცნიერო საბჭოს წევრი.

გ. ხუციშვილი გარდაიცვალა 1979 წელს 58 წლის ასაკში.

რაფიელ ივანიცკი-ინგილო

1886-1966

ჯამილის ბანაკს 22 წლის გალეკებული ახალგაზრდა ინგილო გამოექცა, თავშესაფარს ეძებდა. იგი მეფისნაცვალ ვორონცოვის ამალის მსახურმა, პოლკოვნიკმა ივანიცკიმ იშვილა, მონათლა და თავისი გვარი მისცა. ასე მიეცა დასაბამი ინგილო ივანიცკების ჯილაგს.

ალექსანდრე ივანიცკი სიონის მღვდლად ეკურთხა. იქ დადო ფიცი, რომ შვილებს სასულიერო სასწავლებელში აღზრდიდა, რადგან მის მშობლიურ საინგილოს ქრისტიანული რჯულის აღდგენა და განმტკიცება სჭირდებოდა. ასეც მოიქცა. ალექსანდრე ივანიცკიმ საინგილოს აღუზარდა ოთხი ღირსეული შვილი, მათ შორის — რაფიელ ივანიცკი — მსოფლიოში ცნობილი ინგილო.

გამოჩენილი ქართველი იურისტი, მთარგმნელი და საზოგადო მოღვაწე რაფიელ ალექსანდრეს ძე ივანიცკი-ინგილო დაიბადა 1886 წლის 23 ივლისს სოფელ კაკში (კახეთი).

თელავის სასულიერო სასწავლებლის და პეტერბურგის იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა იურისტად. 1921 წლიდან ცხოვრობდა გერმანიაში, ავსტრიაში, 1924-48 წლებში იტალიაში, რომში სახლობდა. იტალიურად გამოქვეყნებული ნარკვევებითა და სტატიებით საზოგადოებას უღვიეებდა ინტერესს ქართული კულტურისა და ისტორიისადმი. თარგმნიდა ქართული ლიტერატურის ნიმუშებს. 1942 წელს იტალიურად გამოსცა „ვეფხისტყაოსნის" არასრული თარგმანი, 1948 წელს პარიზში მღვდლად ეკურთხა. იყო ესპანეთის მართლმადიდებლური აკადემიის რექტორი. მადრიდში გამგზავრების წინ მთელი თავისი მდიდარი ბიბლიოთეკის ფონდი გადასცა რომის „რუსიკუმის" მონასტერს. რაფიელ ივანიცკი 1966 წელს გარდაიცვალა, დაკრძალულია პარიზში.

ალექსანდრეს მეორე შვილი, ტარას ივანიცკი 1894 წელს მოსკოვის სასულიერო აკადემიის დამთავრების შემდეგ თბილისიდან საინგილოში გაგზავნეს მისიონერად. იგი ქრისტიანულ სარწმუნოებას ქადაგებდა მაჰმადიან ინგილო საზოგადოებაში. ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოებისადმი წარმოდგენილ ანგარიშებში ამტკიცებდა, რომ მუსულმანი ინგილოები სუნას სექტის მიმდევრები არიან და განსაკუთრებით ქალთა შორის ქრისტიანობის გავრცელება შეიმჩნევაო. მისიონერს მოჰყავდა მუსულმან ინგილოებში ქრისტიანული სარწმუნოების გავლენის დამადასტურებელი ნიშნები — სანთლების ანთება, აღდგომის დღესასწაული, მაჰმადიანებისაგან ფარულად მარხვის შენახვა, ქრისტიანული მონასტერი სოფელ ბაღთალაში.

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი 1917 წელს წერდა: „კარგი განათლებული და თავის საქმის მოყვარული მისიონერი შეძლებს მაჰმადიანი ინგილოების გაქრისტიანებას!" მართლაც ტარას ივანიცკი ენერგიას არ იშურებდა. იგი თავისი საქმის მხურვალე ენთუზიასტი იყო და არა ფორმალური პროპაგანდისტი. ამ დიდი საქმეების გამგრძელებელი იყო ტარასის ძმა, აპოლონ ივანიკიც, რომელიც 1907 წელს ჩავიდა საინგილოში მისიონერად. თუკი ტარას ივანიცკი ისლამის წინააღმდეგ საუბრებს ატარებდა წინასწარ შერჩეულ და გაფრთხილებულ აუდიტორიაში, აპოლონმა ეს მეთოდი უარყო. იგი ისლამის საწინააღმდეგოდ ქადაგებდა, მაშინ, როდესაც თვით მაჰმადიანები გამოიწვევდნენ პოლემიკაში".

შთამომავლობას ახსოვს ალექსანდრე ივანიცკის მეოთხე შვილი, ვლადიმერი, რომელიც მღვდლად მსახურობდა კახში, სოფელ ალიბეგლოში (ქათმისხევი).

თენგიზ თენერ ივანიცკი

ქართველი გეოქიმიკოსი, გეოლოგია-მინეროლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწე თენგიზ (თენერ) ვახტანგის ძე ივანიცკი დაიბადა 1924 წლის 24 ივლისს საინგილოს სოფელ კაღნი.

1947 წ. დაამთავრა ს. კიროვის სახელობის საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტი და რუშაობას ინყებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. ჯანელიძის სახელობის გეოლოგიურ ინსტიტუტში, სადაც 1955 ნლიდან ხელმძღვანელობს გეოქიმიის განყოფილებას. 1955-75 ნლებში პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

თ. ივანიცკის შრომები ძირითადად ეხება მადნეულ საბადოთა მინერალოგია-გეოქიმიისა და მაგმური ქანების გეოქიმიის საკითხებს. მან ვ. ქოიავასთან ერთად 1972 ნელს გამოსცა პირველი ორიგინალური სახელმძღვანელო ქართულ ენაზე გეოქიმიაში (ზოგადი გეოქიმიის მოკლე კურსი).

თენგიზ (თენერ) ივანიცკის ბიოგრაფია შეტანილია ქართულ ენციკლოპედიაში.

ალექსანდრე პაპიაშვილი

1909-1994

ქიმი-ინჟინერი ალექსანდრე ივანეს-ძე პაპიაშვილი დაიბადა 1909 წლის 25 აპრილს სოფელ კაბში (საინგილო). დაამთავრა ხუთ კლასიანი სკოლა. 1924 წელს გადაიყვანეს ზაქათლის რუსულ სკოლაში.

1931 წელს ალექსანდრე პაპიაშვილი ჩაირიცხა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის საინჟინრო ფაკულტეტზე. მძიმე ეკონომიური მდგომარეობის მიუხედავად იგი აღერღვნებდა გულმოდგინე სწავლას და საზოგადოებრივ საქმიანობას ახმარდა. ხშირად უხდებოდა ოჯახურობა სვანეთსა და რაჭაში, მთიანეთში და თუშეთში. მან პირველმა გაიყვანა რადიოკავშირები საქართველოს მაღალმთიან რაიონებში. გახსნა ბიბლიოთეკები. 1937 წელს დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სრული კურსი და დაიწყო მუშაობა საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატში ნაციონალური უმცირესობის სკოლების ინსპექტორად. იგი შესანიშნავად ფლობდა რუსულ, აზერბაიჯანულ, სომხურ, გერმანულ და ბერძნულ ენებს. ამ პერიოდში მრავალი საქმის წამომწყები და უშუალო მონაწილე იყო.

საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის ერთ-ერთი მუხლის თანახმად, საბჭოთა მოქალაქეებს უფლება ჰქონდათ ესწავლათ იმ ენაზე, რომელზეც ლაპარაკობდნენ, რის საფუძველზეც გამოჩენილი ინგილო მეცნიერების რაჟდენ ხუციშვილის, გიორგი გამახარაშვილის, არჩილ ჯანაშვილის და ალექსანდრე პაპიაშვილის მოთხოვნით შესაძლებული გახდა საინგილოს სამ რაიონში მაჰმადიანი ქართველების სოფლებში ითითალას, ზაგამს ალიაბათს, თასმალოს, მარსანს, ენგიანსა და მოსულში ქართული სკოლები გაეხსნათ. 1937 წელს უშანგი ობოლაძესთან ერთად, რომელიც განსახკომის წარმომადგენელი იყო, ალექსანდრეს მოუნია ბაქოში ჩასვლა ქართული სკოლების გასახსნელად. ალექსანდრე ამთავრებს სამედიცინო ინსტიტუტს და სამსახურს აგრძელებს გაგრის რაიონის სოფელ ალაბაძეში. 1953 წელს (შვილის მირიანის ტრაგიკული დაღუპვის გამო) იგი ექიმობას ანებებს თავს და მუშაობას იწყებს დიღომში არსებულ მექანიზაციის ტექნიკუმში. ამავდროულად კითხულობს ლექციებს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, აგრეთვე ასწავლის პროფ-ტექნიკურ სკოლაში. 1969 წელს გადის პენსიაზე, როგორც დამსახურებული ინჟინერ-პედაგოგი.

საქართველოს მთავრობამ დააფასა მისი მრავალმხრივი მოღვაწეობა და 1970 წელს გადაუხადა 60 წლის იუბილე. სადაც არ უნდა ყოფილიყო, რა საქმესაც არ უნდა შესჭირებოდა, მას ყოველთვის თავისი ინგილო თანამოძმეები ახსოვდა. ერთ ჩანაწერში თავმდაბლად შენიშნავდა: მიხარდა საინგილოში ყოველი ახალგაზრდა მცოდნე კაცის შემატებაო. ამ სიხარულითა და მონადინებით მან მრავალ ახალგაზრდას მიაღებინა ცოდნა და სახელოვანი მამულიშვილები აღუზარდა სამშობლოს.

გარდაიცვალა 1994 წლის 19 ნოემბერს. მისმა სიკვდილმა ძლიერ დაამწუხრა თანამოძმენი. ამის დასტური იყო ის მრავალრიცხოვანი ჭირისუფალი, რომელმაც დიდი გლოვით გააცილა სახელოვანი მამულიშვილი უკანასკნელ გზაზე.

თამარ პაპიაშვილი

ქართველი ექიმი, პოეტი, ფოტოხელოვანი ქალი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი თამარ ალექსანდრეს ასული პაპიაშვილი დაიბადა 1941 წლის 25 ივნისს ქაინგილოში. 1964 წ. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიური ფაკულტეტი, ხოლო 1968 წელს — უცხოენათა ინსტიტუტის ინგლისური ფილოლოგიერ. თ. პაპიაშვილი არის მრავალმხრივი პროფესიის ადამიანი, მათ შორის, ნარმატებული ფოტოხელოვანი და საკმაოდ ცნობილი ექსტრასენსი. არაერთხელ გაუმარჯვნია როგორც რესპუბლიკურ ისე საკავშირო ფოტო-გამოფენებში. ამჟამად მუშაობს თბილისის სამედიცინო აკადემიის რეანიმაციის განყოფილებაში ექიმ-ლაბორანტად. ხელთა გვაქვს პოეტი ქალის თამარ პაპიაშვილის ლექსების პატარა წიგნი.

ბულბულ ძმეკეკა. რიდეესაც ეზედუ
ფრთეებამშეკრებულის ზენს ხიუმარეულეს.
ცალდეებს ძიჭოსდათ ეთნეული დოიდი. ძენ
ეზმოფხელის ეიეს ედიოდი...
დამეკეკუდი. ალრ ეამიდაეს ალდასმნურ
ზლაბრის ხათეო ბედი...
ამირანის ხმლის ლეფსა დოიწე. ეზეურს
ეალეიდან დოხმნა ძერედი. —

აი, ასე მიესალმა ინგილო ბიჭუნას ფართო გზაზე გამოჩენას მისივე კუთხის წარმომადგენელი თანამედროვე პოეტი ქალი.

ალაზნის ლანდშაფტები, კავკასიონის მთის მნვერვალები, მის ფერდობებზე მოჩუბჩუხე ანკარა ნაკადულები, აქა-იქ შემობერებულ-შემოლენილი გამხმარი კაკლის ხეები, მუდამფამს ღრუბლებში გახვეული სევდიანი ულუბაშის მთა, თანამომძმეთა შუბლშეკრული სახეები დროდადრო იმპულსურ გამოძახილს პოულობს თამარ პაპიაშვილის ლექსებში.

სევდა ანვება გულს. საიდანღაც კი მძლავრი, მჩქეფარე ქურმუხის ხმაური ისმის. ინგილო პოეტი ქალის რვეული ივსება პოეტური სტრიქონებით: *„ეურმეუხს ანეკეს ეზძანი დეერმი ეანმარეოებით. ძმოი. იეწუ დამეარო ჰაჰა მეუხის რეოებით. ოქანთალი ქეთიანეს ძეანეეკი ხეანელი. ხეთუ ეკელი ეთთედი. დეერმი ეანეეურნელი.!!. ხთანეალი ხეანი ბეერთათ და ძოეანათ... ანეკეი. ძენ ძიმრდილეფ ჰაჰა მეუხის რეოები"* („ქურმუხს ლექსი ჩამოჰქონდა").

თავის პირველ კრებულსაც ამ ლექსის სათაური დაანათლა თამარ პაპიაშვილმა და ეს ღრმად პატრიოტული გაბაასება ლაღი, გულწრფელი და აზრმდიდარია.

პოეტმა ქალმა სრულფასოვნად და მხატვრული საღებავების სიმკვეთრით წარმოგვისახა „განმარტოებით" დარჩენილი მდინარე ქურმუხის სახე და მისი თვალნარმტაცი სანახაობანი...

თამარ პაპიაშვილის მცირე წიგნი მრავალი თემის შემცველია. ძირითადი ამოსავალი კი ერთია — ეს არის სამშობლოს განუზომელი სიყვარული, მამულზე ზრუნვა, რომელიც მას დღენიადაგ ახსოვს: *„ჩემს ფეხს ხიეოდცხლე, ლიმერთი ძლიეერთ...* " („მამულის ფესვზე");

*

სოფიო ყულოშვილი

1871-1946

ღამასახურებული მასწავლებელი და საზოგადო მოღვაწე სოფიო სოლომონის ასული კონჭოშვილი-ყულოშვილი ეკუთვნოდა 900-იანი წლების იმ უანგარო საზოგადო მოღვაწეთა ჯგუფს, რომლებმაც სახელოვნად განვლეს ცხოვრების გზა და თაყვანი მოღვაწეობის შესახებ ბრნყინვალე მოგონება დაუტოვეს მომავალ თაობას.

ინგილო ხალხის გულშემატკივართა, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეების — მოსე ჯანაშვილის, დიმიტრი ჯანაშვილის, ივან-ბაბა ბულულაშვილის, ბათლომე ხუციშვილის, კოტე ტარტარაშვილის, აბელ ბაირამაშვილის, მიხეილ ყულოშვილისა და სხვ. შორის სოფიო ყულოშვილმა სამართლიანად მოიპოვა ერთ-ერთი საპატიო ადგილი.

სოფიო ყულოშვილი 50 წელიწადი ემსახურებოდა ინგილოების კეთილდღეობას.

სოფიო სოლომონის ასული ყულოშვილი თელავის მაზრის სოფ. ხოდაშნიდან იყო. მისი მამა სოლომონ დავითის ძე კონჭოშვილი, თავისი დროისათვის კარგად განათლებული პიროვნება, ახალგაზრდობისას შამილის სანინააღმდეგო ბრძოლებში მონაწილეობდა საინგილოში. დედა სოფიოსი, ქართული ენის კარგი მცოდნე, თელავის მაზრის სოფელ საბუედან იყო. წერა-კითხვა დედისგან ისწავლა სოფიომ. დედამ შეაყვარა მას ქართული ზღაპრები და ქართული ლიტერატურა. ამის შემდეგ სოფიო მიაბარეს თელავის წმინდა ნინოს სასწავლებელში. მშობლები ადრე გარდაიცვალნენ და სოფიოს აღზრდა იკისრა მისმა ბიძამ, პეტრე კონჭოშვილმა. წმინდა ნინოს სასწავლებელი სოფიომ 1892 წელს დაამარა და იმავე წელს მისთხოვდა ნიკოლოზ ყულოშვილს. ნიკოლოზს დამთავრებული ჰქონდა თბილისის სასულიერო სასწავლებელი. ახალშეუღლებულები გადასახლდნენ საინგილოში — სოფ. კახში, ნიკოლოზის მშობლიურ სოფელში. ნიკოლოზი მალე კახის ვაჟთა ორკლასიანი სასწავლებლის მასწავლებლად დანიშნეს, მაგრამ ორი წლის შემდეგ იგი გარდაიცვალა.

ახალგაზრდა, 21 წლის სოფიო დარჩა ცხოვრების გზაჯვარედინზე, პატარა აკვნის ბავშვით, მაგრამ იგი არ შეუშინდა ცხოვრებას.

იმ დროს ძალიან ცოტა იყო საინგილოში წერა-კითხვის მცოდნე. დამფრთხალი, ანიოკებული, საუკუნოვანი ბრძოლებით ნაწამები ინგილო ხალხი თავის საკუთარ ლანდსაც კი გაურბოდა.

1866 წელს სოფელ კახში ივან-ბაბა-ბულულაშვილმა ჩამოიარა და ყველას გამოუცხადა: საყდრის ეზოში იხსნება სამრევლო სკოლა და ყოველ ოჯახიდან თითო ბიჭი მაინც უნდა გამოგზავნოთ სასწავლებლადო. როგორც ჩანს, იმ დროს საინგილოში მშობლები ყველაზე სუსტსა და ოჯახისათვის გამოუსადეგარ შვილს თუ გაიმეტებდნენ სკოლაში გასაგზავნად. ინგილო, ქალიშვილს იმ დროს შვილად არ თვლიდა.

სოფიო ენერგიულად შეუდგა საქმეს და მოკლე ხანში მას რამდენიმე ათეული ინგილო გოგონა ჰყავდა სკოლაში.

იგი ასწავლიდა ქართულ ენას, რუსულ ენასა და არითმეტიკას. გარდა ამისა, ასწავლიდა მათ ჭრა-კერვას, ქარგვას, ჯეჯიმების ქსოვას, ოქრომკედს და სხვა ხელსაქმეს.

სოფიო ყულოშვილი გარდაიცვალა 1946 წელს. იგი დიდი პატივისცემით დაასაფლავეს კახის წმინდა გიორგის ეკლესიის ეზოში, თავისი მამამთილის მიხეილ ყულოშვილის გვერდით.

მოსე ჯანაშვილი

1855-1934

ქართველი ისტორიკოსი, ენათმეცნიერი, ეთნოგრაფი, პუბლიცისტი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, პროფესორი მოსე გიორგის ძე ჯანაშვილი დაიბადა 1855 წლის 19 (31) მარტს, სოფ. კახში (საინგილო). 1865 წლიდან სწავლობდა კახის სამრევლო სკოლაში, 1868-72 წწ. — ზაქათალის სამაზრო სასწავლებელში, შემდეგ — თბილისის [illegible]ლიერო სემინარიაში. 1878 წ. ქუთაისის გიმნაზიაში ჩააბარა გამოცდები და მასწავლებლის მონმობა მიიღო. 1875-1920 წ. პედაგოგიურ მოღვაწეობას ენეოდა ქუთაისსა და თბილისში (ასწავლიდა ქართულ ენასა და საქართველოს ისტორიას). 1888 წლიდან იყო საეკლესიო მუზეუმის თანამშრომელი, 1897-1926 წწ. — მისი გამგე. 1920 წლიდან მოღვაწეობდა უმაღლეს სასწავლებელში. იყო შრომის გმირი (1927), თსუ-ის სიძველეთმცოდნეობის დამსახურებული პროფესორი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო და ქართულ საენათმეცნიერო საზოგადოებების საპატიო წევრი (1930). ერთ-ერთმა პირველმა ბაუყარა საფუძველი სამეცნიერო მუშაობას საქართველოში. 1884 წ. გამოვიდა მისი „საქართველოს მოკლე ისტორია", რომელშიც „ქართლის ცხოვრების" სქემის მიხედვით [illegible] მოთხრობილი საქართველოს წარსული. ეს იყო საქართველოს ისტორიის პირველი [illegible]ელმძღვანელო. შემდეგ გამოცემებში („საქართველოს ისტორია", 1894, 1906) ავტორი [illegible]ერდნობოდა ფართო წყაროთმცოდნეობით ბაზას და მეტ ყურადღებას უთმობდა საქართველოს შინა ცხოვრებას, ისტორიული ფაქტების ახსნას. მ. ჯანაშვილი იკვლევდა ქართული ეკლესიის ისტორიას. მანვე აღმოაჩინა „ქართლის ცხოვრების" ე.ნ. ჯანაშვილისეული ნუსხა. ამ ნუსხის „ქართლის ცხოვრების" გაგრძელება გამოსცა „ახალი ქართლის ცხოვრების" სახელწოდებით („ნაშრომი"), ნ. I, 1907). ჯანაშვილმა მიაკვლია და 1909 წ. გამოსცა ბასილი ზარზმელის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება". იგი ავტორია მრავალი წყაროთმცოდნეობითი ნაშრომისა (ფარსადან გორგიჯანიძე, 1896 და სხვ.) და ისტორიული [illegible]ერილებისა.

ჯანაშვილმა დიდი წვლილი შეიტანა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნსაცავის, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კოლექციების, საეკლესიო მუზეუმის შექმნაში. ენეოდა არქეოგრაფიულ მოღვაწეობას, სცემდა ისტორიულ ძეგლებს, თუმცა ეს გამოცემები არ იყო კრიტიკული.

მ. ჯანაშვილი არის ქართული ეთნოგრაფიის ერთ-ერთი ფუძემდებელი. აქვს ნარკვევები აფხაზეთზე, საინგილოსა და მესხეთზე.

იგი ავტორია მრავალი საენათმეცნიერო ნაშრომისა, რომლებშიც გაშუქებულია ქართული გრამატიკის, დიალექტოლოგიის, ლექსიკოლოგიის, ქართული ენის შედარებითი შესწავლის საკითხები. მ. ჯანაშვილი ენათმეცნიერებას იშველიებდა საქართველოს ისტორიის პროცესების კვლევისას. მის საენათმეცნიერო ნაშრომებში გატარებულია ქართველურ ენათა ერთობლიობის იდეა. მეცნიერი ემხრობოდა ქართული ენის ინდოევროპულ ენებთან ნათესაობის კონცეფციას. მნიშვნელოვანია მისი ღვაწლი ქართული ზოგადი ენათმეცნიერების მიღწევათა პოპულარიზაციაში და საქართველოში საენათმეცნიერო კულტურის დამკვიდრებაში. მ. ჯანაშვილის „ქართული გრამატიკა" (1906) სალიტერატურო ქართულის მეცნიერულად დამუშავებული გრამატიკაა. ცნობილია მისი ეტიმოლოგიური ძიებანი, ლექსიკონები (განმარტებითი ლექსიკონი, ვეფხი-

სტყაოსნის ლექსიკონი, პეტრინის და სხვა ლექსიკონები), რომელთა ერთი ნაწილი გამოუქვეყნებელია. მან წვლილი შეიტანა ქართული სამხედრო ტერმინოლოგიის დადგენაშიც.

საყურადღებოა მ. ჯანაშვილის ნაშრომები ქართული ლიტერატურის ისტორიაში. განხილული აქვს ქართული ბიბლიისა და მისი გადმოთარგმნის, აგიოგრაფიის საკითხები. ავტორია გამოკვლევებისა ქართული საერო ლიტერატურის საკითხებზე. სწავლობდა ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობას და პოემის ორიგინალობის საკითხებს, პერსონაჟებს, დანერის თარიღს. მუშაობდა ქართულ ფოლკლორისტიკაში.

მ. ჯანაშვილმა გამოაქვეყნა ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს გეოგრაფია" (ქართული ტექსტი და მისი რუსული თარგმანი, 1904 წ.); მისი გეოგრაფიული ნაშრომებიდან აღსანიშნავია თბილისის, გორის, მცხეთისა და მისი მიდამოების, არაგვის ხეობის აღწერილობა. მხარეთმცოდნეობით ნაშრომებში მოცემულია საინგილოსა და მესხეთის ზოგადგეოგრაფიული აღწერა. ჯანაშვილი არის ავტორი წერილებისა სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში. ცდილობდა საქართველოში ევროპული სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და ახალი ჯიშების დანერგვას.

მოსე ჯანაშვილი გარდაიცვალა 1934 წლის 19 აპრილს. დაკრძალულია ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში.

კიდევაც დაიზრდებიან...

ავტორისაგან:

მიზეზთა გამო ბევრი ღირსეული ადამიანი ვერ მოხვდა ამ წიგნში, რისთვისაც გთხოვთ, მომიტევოთ, რამეთუ წიგნზე მუშაობა მიხდებოდა უმძიმეს პირობებში; უსახსრობასა და უდენობაში, სიცივესა და სიბნელეში.

მაგრამ ბევრი ძვიფასი ადამიანის მეშვეობით, მათი გულისხმიერებითა და მამულიშვილური ქმედებით, მხარში დგომით და მორალური თუ მატერიალური დახმარებით შევძელი ამ ნაშრომის გამოცემა.

უკვე დანყებულია და მალე დასრულდება მუშაობა საქართველოს სხვა რეგიონებზე. ამასთან ერთად, პარალელურად გამოიცემა ნინამდებარე წიგნის დამატება, სადაც შეეეცდებით ყველა გამოჩენილი ადამიანის წარმოდგენას, რომლებიც ვერ მოხვდნენ ამ ნიგნში, რისთვისაც დაინტერესებული პირები გთხოვთ დაგვიკავშირდეთ.

როგორც უკვე აღენიშნე, ბევრმა ადამიანმა გაგვინია დახმარება, მაგრამ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ბატონ ვახუშტი ქიზიყურაშვილის ფასდაუდებელი ნვლილი ნიგნის გამოცემის საქმეში. რომ არა მისი ძალისხმევა, ალბათ, ჯერ კიდევ დიდხანს ვერ იხილავდა სინათლეს ეს ნამუშევარი. ამ სიკეთით სავსე, მდიდარი ბუნების ადამიანს ხომ განსაკუთრებით უყვარს თავისი მშობლიური კახეთი და ყოველთვის მზადაა, გაიღოს მისთვის ყოველივე, რაც კი გააჩნია. უღრმესი მადლობა მას ამ მამულიშვილურ საქმეში დიდი და უანგარო დახმარებისათვის.

ასევე ლომის წილი უძევს ბატონ ბიძინა მაზიაშვილს, რომელიც მხარში ედგა ავტორს თითქმის მთელი მისი წიგნზე მუშაობის მანძილზე, და რომელმაც ყველაფერი გააკეთა, რაც მის შესაძლებლობებში იყო და, ალბათ, უფრო მეტიც.

განსაკუთრებული მადლობა გივი მეტრეველს.

ცალკე უნდა აღინიშნოს ბატონ ვასიკო მენთეშაშვილის უდიდესი ნვლილი და უანგარო დახმარება, რითაც მან კიდევ ერთხელ გამოხატა თავისი უსაზღვრო სიყვარული მშობლიური კახეთის მიმართ.

ძნელია ყველა ადამიანის ცალ-ცალკე ჩამოთვლა, რადგან თავისი მორალური თუ მატერიალური დახმარება მეტ-ნაკლებად ყველამ გასწია, ვინც წიგნშია შეტანილი ან მათი ახლობელია. ამიტომ ქვემოთ ჩამოთვლილ მამულიშვილებს უღრმესი მადლობა:

1. ცოტნე ალბუთაშვილი
2. გურამ ბენაშვილი
3. ზარბეგ ბერიაშვილი
4. ბორის ბოქოლიშვილი
5. კახაბერ დათუკიშვილი
6. ლიდა ესიტაშვილი
7. ლაერტი ზუბადალაშვილი
8. თამაზ თამაზაშვილი
9. ლევან თედიაშვილი
10. ვაჟა მამაიაშვილი
11. გიგა მირიანაშვილი
12. ნოდარ მოდებაძე
13. დავით ნატროშვილი
14. გივი ოქრომჭედლიშვილი
15. თამარ პაპიაშვილი
16. ჯუმბერ პატიაშვილი
17. თემურ რაზმაძე
18. ნუგზარ რობიტაშვილი
19. ვახტანგ რჩეულიშვილი
20. ლევან სანიკიძე

21. ამირან ტოტიკაშვილი
22. ჯუმბერ უთრუთაშვილი
23. შენგელი ფიცხელაური
24. თეიმურაზ ყაზარაშვილი
25. დავით ყვარელაშვილი
26. გივი ყვარელაშვილი
27. თენგიზ შოშიაშვილი
28. ნუგზარ შოშიაშვილი
29. დურმიშხან ჩიტაშვილი
30. დარეჯან და ივერ ჩხუბიანიშვილები
31. როინ ჭიკაძე
32. ჯემალ ჭიპაშვილი
33. ნანა ჭიჭინაძე
34. იოსებ ხარატიშვილი
35. ოთარ ხუციშვილი
36. გიორგი ჯავახიშვილი
37. სორთმან ჯაფარიძე

აღარაფერს ვამბობ მათზე, ვინც უშუალოდ წიგნის ჩამოყალიბებაში მიიღო უანგარო მონაწილეობა, ესენია: ბატონი სილოვან ნარიმანიძე (წინათქმა), ქალბატონი მზია ანდრონიკაშვილი, ბატონები არჩილ და ლევან ჭოღოშვილები (კახეთის როლი), ელგუჯა ლებანიძე (შესავალში ციტატა), ილია ჩახტაური.

გმადლობთ, გმადლობთ, გმადლობთ.

პატივისცემით ოთარ ნაცარაშვილი

ცოტა რამ წიგნის ავტორის შესახებ

ოთარ შოთას ძე ნაცარაშვილი დაიბადა 1949 წლის 6 ივნისს თელავის რაიონის სოფელ რუისპირში, მოსამსახურის ოჯახში.

მამა — შოთა ნაცარაშვილი პროფესიით ბუღალტერი, დედა — ლიდა ესიტაშვილი პედაგოგი. 6 წლის იყო ოთარი, როდესაც მშობლები საცხოვრებლად ქ. თელავში გადავიდნენ და მანაც აქვე დაამთავრა მე-8 საშუალო სკოლა, ხოლო 1971 წელს — ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიო-ფილოლოგიის ფაკულტეტი.

ნლების მანძილზე მუშაობდა სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობებზე, ხოლო ბოლო 10 წელი — თელავის რაიონის განათლების განყოფილებაში, პარალელურად კითხულობდა ლექციებს მშობლიურ ინსტიტუტში (ახლა უნივერსიტეტი.)

ჰყავს მეუღლე — ზოია (დოდო) ზედელაშვილი.

ორი შვილი — შოთა და დავითი, ორი შვილიშვილი — ოთარ და შოთიკო.

ამჟამად მუშაობას აგრძელებს საქართველოს სხვა კუთხეების ანალოგიურ წიგნზე.

გამოყენებული ლიტერატურის ავტორთა სია

1. აბაშიძე გ.
2. აბულაშვილი ა.
3. ავალიშვილი ზ.
ავაზაშვილი მ.
4. არაბული ა.
5. ამაშუკელი ე.
6. ალავიძე მ.
7. ალექსი-მესხიშვილი ვ.
8. ალიაშვილი ვ.
9. ალიმონაკი ლ.
10. ამირანაშვილი შ.
11. ამირეჯიბი შ.
12. ამონაშვილი შ.
13. ანდრონიკაშვილი ბ
14. ასათიანი ლ.
15. აფციაური ნ.
16. ახუაშვილი ი.
17. ბაბუნაშვილი ხ.
18. ბაგრატიონი დ.
19. ბადრიძე ე.
20. ბადრიძე შ.
21. ბათიაშვილი გ.
22. ბალახაშვილი ი.
23. ბარათაშვილი ლ.
24. ბარამიძე ა.
ბაჩიაშვილი ნ.
25. ბახტაძე გ.
26. ბენაშვილი გ.
27. ბერაძე მ.
28. ბერიძე ვ.
29. ბერძნიშვილი მ.
30. ბეწუკელი ვ.
31. ბილანიშვილი ე.
32. ბოგემსკაია ქ.
33. ბოსტოღანაშვილი გ.
34. ბუაჩიძე თ.
35. ბურთიკაშვილი ა.
36. ბუხნიკაშვილი გ.
37. გეგეშიძე ზ.
38. გეგეჭკორი გ.
39. გეგეჭკორი ლ.
40. გელაშვილი ა.
41. გელოვანი ა.
42. გელოვანი მ.
43. გერსამია ვ.
44. გიგინეიშვილი მ.
45. გიკაშვილი შ.
46. გიორგაძე თ.
47. გოგელია ა.
48. გოგოლაური ი.
49. გოგოლაშვილი მ.
50. გოგოლაძე მ.
51. გოგოჭური ლ.
52. გომართელი თ.
53. გონაშვილი მ.
54. გონჯილაშვილი გ.
55. გოგუაძე ნ.
56. გოზალიშვილი შ.
57. გორგიძე ა.
58. გოძიაშვილი ბ.
59. გოცაძე მ.
60. გრიგალაშვილი თ.
61. გუგუშვილი ე.
62. გუგუშვილი ნ.
63. გუნია ვ.
64. გუჩია ვ.
65. დანელია ვ.
66. დედაბრიშვილი გ.
67. დვალი დ.
68. დოიაშვილი თ.
69. დოლიძე კ.
70. დონაძე ლ.
71. დორუჩავა მ.
72. დოღლნაძე ლ.
73. ებანოიძე თ.
74. ერიცოვი ა.
75. ვაჩნაძე თ.
76. ზანდუკელი მ.
77. ზარიძე მ.
78. ზურაბაშვილი მ.
79. ზურაშვილი ვ.
80. თათარიშვილი ბ.
81. თბილელი მ.
82. თევზაძე ვ.
83. თოდუა გრ.
84. თომაძე მ.
85. თოფურია ვ.
86. თოფურია ს.
87. თურნავა ს.
88. იარალოვი ნ.
89. იმედაშვილი გ.
90. იოსელიანი პლ.
91. ინგოროყვა პ.
92. კაკულია ლ.
93. კალანდაძე ალ.
94. კანდელაკი ნ.
95. კარბელაშვილი ა.
96. კასრაძე ო.
97. კაპანაძე კ.
98. კეკელიძე მ.
99. კვასხვაძე შ.
100. კვანჭილაშვილი ტ.
101. კიკნაძე ზ.
102. კილასონია ნ.
103. კინნურაშვილი ლ.
104. კობერიძე კ.
105. კოვზირიძე დ.
106. კოპალეიშვილი ბ.
107. კრიჭენაშვილი თ.
108. კუდავა ბ.
109. ლაშხია ნ.
110. ლებანიძე ე.
111. ლეონიძე თ.
112. გაზ. „ლიტ. საქ".
113. ლომაძე დ.
114. ლორთქიფანიძე ნ.

115. მათიაშვილი ა.
116. მაკალათია ს.
117. მარტიაშვილი ხ.
118. მატარაძე ნ.
119. მაყაშვილი ვ.
120. მახათაძე ნ.
121. მახარაძე
122. მახვილაძე
123. მდივანი გ.
124. მეგრელიძე ი.
125. მეგრელიძე ო.
126. მეგრელიძე ს.
127. მეგრელიძე შ.
128. მერაბიშვილი ჯ.
129. მეტრეველი ე.
130. მეტრეველი მ.
131. მეუნარგია ი.
132. მეძმარიაშვილი მ.
133. მილორავა ლ.
134. მირიანაშვილი ა.
135. მიშველაძე რ.
136. მიქაძე გ.
137. ჟურნ. „მნათობი"
138. მონაზონი სერაფიმა
139. მოსაშვილი მ.
140. მუმლაძე დ.
141. გაზ. „მშენებელი".
142. მჭედლიშვილი ნ.
143. მჭედლიძე დ.
144. ნათაძე ლ.
145. ნანეიშვილი ბ.
146. ნარიმანიძე ს.
147. ნასიძე ს.
148. ნაცვლიშვილი პ.
149. ნოზაძე თ.
150. ნონეშვილი ი.
151. ომარაშვილი ა.
152. ორჯონიკიძე ე.
153. ოჩიური თ.
154. ოჩიური ლ.
155. ოჩიგავა ო.
156. პატრიკეევა ი.
157. პოლიეექტოვი-ნიკოლაძე ნ.
158. რადიანი შ.
159. რატიანი ჯ.
160. როსტომაშვილი ი.
161. რუხაძე ტ.
162. რჩეულიშვილი ვ.
163. საკაშვილი მ.
164. საითიძე გ.
165. სანიკიძე ლ.
166. სახოკია თ.
167. სერგეევა ვ.
168. სეფიაშვილი ო.
169. სულაბერიძე შ.
170. ტავლიაშვილი მ.
171. ტორაძე გ.
172. ტუხაშვილი ლ.
173. ურუშაძე ნ.
174. ფრუიძე ლ.
175. ქანთარია ვ.
176. ქაჯაია ე.
177. ქიქოძე გ.
178. ქორიძე დ.
179. ქორქია გ.
180. ღონღაძე ლ.
181. ყანჩელი გ.
182. ყურულაშვილი ლ.
183. შალაშვილი ც.
184. შენგელია მ.
185. შვანგირაძე ნ.
186. შველიძე ზ.
187. შუშანია ე.
188. ცაიშვილი ს.
189. ცამციშვილი ა.
190. ციციშვილი ი.
191. ცქიტიშვილი ზ.
192. ნერეთელი კ.
193. ნულუკიძე პ.
194. ჩაბრაძე ე.
195. ჩადუნელი ქ.
196. ჩეკურიშვილი ვალ.
197. ჩიხლაძე ნ.
198. ჩიჯავაძე ო.
199. ჩომახიშვილი ზ.
200. ჩხეიძე ც.
201. ჩხენკელი მ.
202. ჩხიკვაძე გ.
203. ჭავჭავაძე ი.
204. ჭეიშვილი ლ.
205. ჭელიძე მ.
206. ჭილაია ს.
207. ჭიჭინაძე ზ.
208. ჭუმბურიძე ზ.
209. ხარაიძე გ.
210. ხარატიშვილი გ.
211. ხარაძე ე.
212. ხინთიბიძე ა.
213. ხოზბერიძე ე.
214. ხუბულური ლ.
215. ხუციშვილი თ.
216. ხუციშვილი ს.
217. ხუხაშვილი გ.
218. ჯავახიშვილი გ.
219. ჯაერიშვილი ვ.
220. ჯანელიძე ა.
221. ჯაფარიძე მ.
222. ჯიბლაძე გ.
223. ჯიბუტი ე.
224. ჯორბენაძე ს.
225. ჯოხაძე მ.

სარჩევი

აბაშიძე ი. 633
აბულაძეი ა. 260
აბულაშვილი-
ეგნატაშვილი თ. 320
აბულაძე ვ. 319
აეაზაშვილი დ. 374
ათანელიშვილი ვ. 331
აიკაზაშვილი ი. 220
აიკაზოეი ნ. 321
ალადაშვილი ა. 327
ალადაშვილი ა. 362
ალადაშვილი დ. 329
ალბუთაშვილი ც. 701
ალექსი-მესხიშვილი ვ. 92
ალექსიძე ზ. 94
ალეანელი ა. 634
ალხაზიშვილი ი. 453
ამონაშვილი შ. 96
ანდრიაშვილი ა. 376
ანრდონიკაშვილი ა. 259
ანდრონიკაშვილი ვ. 636
ანდრონიკაშვილი ვ. 455
ანდრონიკაშვილი ი. 637
ანდრონიკაშვილი ი.ზ. 456
ანდრონიკაშვილი ი.მ. 457
ანდრონიკაშვილი კ. 377
ანდრონიკაშვილი ლ. 639
ანდრონიკაშვილი მ. 641
ანდრონიკაშვილი ნ. 459
ანდრონიკაშვილი ქ. 379
ანტონ II კათალიკოსი 27
არსენიშვილი გ. 97
არსენიშვილი ზ. 98
არჯევნიშვილი მ. 380
ასათიანი მ. 460
აფხაზი კ. 462
აღნიაშვილი ვ. 382
აწყურელი დ. 642
ახვლედიანი ე. 88
ახმეტა 613
ახმეტელი ს. 229

ბაგრატიონი თ. 39
ბაგრატიონ-მუხრანელი გ. ... 526
ბაგრატიონ-ქაეჭაეაძე ა. 69
ბაიაშვილი ი. 703
ბაგრატიონ-ქაეჭაეაძე
გრუზინსკაია თ. 71
ბატონიშვილი ა. 32
ბატონიშვილი დ. 36
ბატონიშვილი ე. 49
ბატონიშვილი თ. 45
ბატონიშვილი ი. 31
ბატონიშვილი ი. 37
ბატონიშვილი ლ. 29
ბატონიშვილი მ. 42
ბატონიშვილი ნ. 47

ბაქრაძე დ. 527
ბაქრაძე თ. 529
ბაღაშვილი ს. 255
ბაჩანა 688
ბანელაშვილი ზ. 465
ბეგაშვილი ა. 262
ბენაშვილი ა. 383
ბენაშვილი გ. 333
ბენაშვილი დ. 332
ბეეანიშვილი ვ. 605
ბერიაშვილი ბ. 264
ბერიაშვილი გ. 385
ბერიაშვილი ზ. 388
ბერიაშვილი მ. 390
ბერიკაშვილი გ. 467
ბერიკაშვილი ნ. 469
ბერიტაშვილი ი. 449
ბეროშვილი ელ. 470
ბეროშვილი ი. 391
ბენუელი ვ. 692
ბეჯითაშვილი დ. 393
ბილანიშვილი ზ. 530
ბოგველიშვილი გ. 99
ბოლქვაძე მ. 100
ბოსტოლანაშვილი გ. 334
ბოქოლიშვილი ბ. 265
ბოქორიშვილი ვ. 101
ბოქორიძე მ. 103
ბუიშვილი ლ. 105
ბულულაშვილი ი. 725
ბურბუთაშვილი თ. 107
ბუქურაული ი. 643

გ

გაიოზ რექტორი 227
გამყრელიძე ვ. 644
გარე კახეთი 593
გაფრინდაული ზ. 630
გაფრინდაშვილი მ. 720
გედეხაური გ. 531
გელაშვილი ნ. 266
გელოვანი მ. 684
გველესიანი დ. 111
გველესიანი რ. 109
გიგაური გ. 704
გიორგი XII 21
გიუნაშვილი ჯ. 394
გომელაური ვ. 112
გომელაური ვ. 335
გომელაური ი. 336
გომელაური ნ. 337
გომელაური შ. 338
გონაშვილი მ. 339
გონაშვილი პ. 251
გონჯილაშვილი გ. 705
გოძიაშვილი ვ. 243
გუგეშაშვილი ო. 721
გულისაშვილი ა. 532
გულისაშვილი ვ. 533
გულისაშვილი ზ. 471

გულისაშვილი ი. 534
გულისაშვილი ს. 535
გულუხაიძე შ. 646
გურამიშვილი დ. 681
გურამიშვილი-ქაეჭაეაძე ო. 699
გურგენიძე ნ. 472
გურჯაანი 443

დ

დაეითაშვილი მ. 473
დაეითაშვილი მ. 474
დაეითაშვილი მ. 113
დაეით რექტორი 75
დათუაშვილი ჯ. 476
დარეჯან დედოფალი 23
დედასლეეანა 381
დედა ფამარი 372
დედოფლის ნყარო 322
დემურხანაშვილი ს. 114
დოდაშვილი ს. 225
დოიაშვილი დ. 478
დოიაშვილი თ. 479
დონდუაშვილი ა. 719
დონდუაშვილი თ. 715
დოჩანაშვილი გ. 718
დუღაშვილი ნ. 268

ეკდოშვილი ი. 235
ელაშვილი ზ. 270
ერეკლე II, პატარა კახი 18
ეპიტაშვილი თ. 606
ერისთავი რ. 615
ესიტაშვილი ლ. 115

ეაეა 677
ეარაზაშვილი გ. 480
ეარდიაშვილი ა. 395
ეაჩნაძე ნ. 447

ზ

ზარაფიშვილი ი. 271
ზურაბაშვილი ა. 245
ზურაბიშვილი ი. 397

თამაზაშვილი თ. 272
თბილელი მ. 146
თედიაშვილი ლ. 537
თელავი 16
თუმანიშვილი გ. 82
თუმანიშვილი დ. 83
თურდოსპირელი დ. 117

იანქოშვილი ნ. 451
იაშვილი ქ. 119
ივანიცკი თ. 734
ივანიცკი რ. 733
ივანოვი ი. 632
ილია 365
იმედაშვილი ა. 539
იმედაშვილი გ. 540
იმედაშვილი ი. 542
იმედაშვილი კ. 543
ინანიშვილი რ. 544
ინამეული ს. 231
იორდანიშვილი ს. 120
იოსელიანი ვ. 595
იოსელიანი პ. 596

კაკ ელისენი საინგილო 723
კალმახელიძე ლ. 121
კანდელაკი ი. 607
კახეთის მთიანეთი 675
კახელი გ. 481
კახელი ი. 482
კახიძე მ. 399
კვეერაშვილი ქ. 601
კვანქილაშვილი ტ. 717
კვერნაძე ბ. 250
კობაიძე ა. 341
კობერიძე კ. 483
კოკორაშვილი მ. 122
კუპატაძე ა. 124

ლ

ლაგოდეხი 713
ლაპიაშვილი ფ. 342
ლებანიძე ე. 484
ლეონიძე გ. 523
ლეჟავა ა. 273
ლესნოვი პ. 344
ლორნიძე ი. 126
ლორნიძე ს. 77
ლომაშვილი ჯ. 706

მ

მაზიაშვილი ბ. 345
მათიაშვილი ა. 608
მაისურაძე გ. 80
მაისურაძე ს. 650
მამაიაშვილი ვ. 275
მამაიაშვილი ნ. 274
მამუკელაშვილი ა. 128
მამუკელაშვილი ვ. 129
მანსეტაშვილი ი. 599
მარიამ დედოფალი 25
მარჯანიშვილი კ. 370
მარჯანიშვილი კ.კ. 401
მატუაშვილი შ. 131
მაღრაძე ე. 276
მაყაშვილი მ. 132
მაყაშვილი-ტაბიძე ნ. 402
მაყაშვილი შ. 134
მახათელაშვილი ფ. 135
მგალობლიშვილი ნ. 547
მგელიაშვილი ნ. 707
მეზურიშვილი მ. 548
მეკოკიშვილი ა. 550
მენთეშაშვილი ვ. 278
მერკულაძე გ. 403
მესტვირიშვილი მ. 136
მეღვინეთუხუცესი ო. 651
მთავრიშვილი თ. 485
მთავრელიშვილი ნ. 487
მირიანაშვილი ა. 280
მირიანაშვილი ა. 404
მირიანაშვილი ბ. 282
მირიანაშვილი გ. 405
მირიანაშვილი ვ. 284
მირიანაშვილი ვ. 283
მირიანაშვილი მ. 407
მირიანაშვილი ს. 247
მიქელაძე შ. 138
მოდებაძე ნ. 139
მოსაშვილი ი. 241
მოსულიშვილი ლ. 285
მოსულიშვილი ფ. 256
მრეველიშვილი ა. 286
მრეველიშვილი ა. 143
მრეველიშვილი გ. 145
მრეველიშვილი თ. 148
მრეველიშვილი მ. 288
მრეველიშვილი მ. 152
მრეველიშვილი მ. 150
მრეველიშვილი ს. 140
მრელაშვილი ლ. 153
მუნჯიშვილი გ. 155
მუღალაშვილი ლ. 488
მჭედლიშვილი დ. 289
მჭედლიშვილი ი. 552
მჭედლიშვილი მ. 290

ნ

ნადირაშვილი ნ. 291
ნადირაძე გ. 292
ნადირაძე-მაჩხანელი დ. 348
ნაკაშიძე მ. 253
ნამორაძე ა. 708
ნანობაშვილი ვ. 293
ნანობაშვილი მ. 157
ნარიმანიძე გ. 722
ნარიმანიძე ს. 653
ნასიძე მ. 294
ნატროშვილი ა. 330
ნატროშვილი გ. 349
ნატრიშვილი დ. 350
ნატროშვილი ვ. 351
ნატროშვილი თ. 352
ნატროშვილი ი. 408
ნაცელიშვილი გ. 296
ნახუცრიშვილი გ. 553
ნახუცრიშვილი დ. 554
ნახუცრიშვილი მ. 555
ნიკოლიშვილი ს. 159
ნონეშვილი ი. .....
ნუცუბიძე გ.

ორბელიანი ა.
ორბელიანი ე. .....
ორბელიანი ვ. .....
ოქრომჭედლიშვილი ი. .....
ოჩიაური გ. .....
ოჩიაური ი. .....

პაპალაშვილი გ. 162
პოპიაშვილი ა. 354
პაპიაშვილი ა. 735
პაპიაშვილი თ. 736
პატატიშვილი დ. 353
პატიაშვილი ჯ. 716

რაზიკაშვილი თ. 690
რაზიკაშვილი გ. 489
რობიტაშვილი ნ. 355
როსტომაშვილი-ახმეტელი ა. 163
როსტომაშვილი ი. 164
როსტომაშვილი შ. 166
რჩეულიშვილი გ. 84
რჩეულიშვილი ვ. 169
რჩეულიშვილი მ. 490
რჩეულიშვილი შ. 167
რცხილაძე გ. 491
რცხილაძე გ. 495
რცხილაძე ვ. 492
რცხილაძე ვ. 494
რცხილაძე ი. 496

საგარეჯო 521
სამადაშვილი შ. 497
სამჭკუაშვილი ჯ. 609
სარაჯიშვილი ა. 299
სარაჯიშვილი დ. 237
სარაჯიშვილი ვ. 220
საფაროვა-აბაშიძე მ. 170
საყვარელიძე მ. 171
სახლოხუციშვილი უ. 611
სიღნაღი 221
სულხანიშვილი ა. 628
სულხანიშვილი ნ. 618
სუმბაძე ლ. 172

ტ

ტაბლიაშვილი ვ. 409
ტარასაშვილი გ. 499
ტოტიკაშვილი ა. 612
ტურიაშვილი ე. 500

..... 656

ფ

ფაშალიშვილი ს. 257
ფირსმანაშვილი ი. 356
ფირსმანი 324
ფიცხელაური შ. 657

ქ

ქარუხნიშვილი რ. 173
ქეთევან ნამებული 368
ქელეხიძე მ. 556
ქიზიყურაშვილი ვ. 300
ქიზიყურაშვილი ნ. 558
ქუსიაშვილი ნ. 686
ქურდიანი ა. 561
ქურდიანი გ. 599
ქურდიანი გ. 563
ქურდიანი ზ. 567
ქურდიანი ე. 565
ქურდიანი ი. 568
ქურდიანი ს. 569
ქურციკაშვილი-სალია ნ. 174
ქურხული მ. 571
ქუჩიშვილი გ. 175

ყაზარაშვილი თ. 658
ყანდარელი გ. 572
ყანჩაველი ზ. 573
ყანჩაველი ლ. 574
ყვარელაშვილი გ. 575
ყვარელაშვილი დ. 577
ყვარელაშვილი მ. 578
ყვარელი 364
ყიასაშვილი ა. 357
ყიასაშვილი ნ. 359
ყორჩიაშვილი ნ. 360
ყულოშვილი მ. 726
ყულოშვილი ს. 738
ყურაშვილი ა. 411
ყუშიტაშვილი ვ. 579

შ

შათირიშვილი გ. 177
შაიმშელაშვილი ი. 301
შალიკაშვილი დ. 501
შალიკაშვილი ჯ. 503
შანშაშვილი დ. 302
შანშიაშვილი ს. 239
შილდელი მ. 412
შინჯიკაშვილი ა. 603
შიუკაშვილი ა. 181
შიუკაშვილი ა. 178
შიუკაშვილი ე. 183
შიუკაშვილი ლ. 184
შიუკაშვილი ი. 179
შიუკაშვილი ნ. 180
შოშიაშვილი ნ. 304
შოშიაშვილი თ. 303

ჩალაბაშვილი თ. 306
ჩახტაური ა. 414
ჩეკურიშვილი ვ. 659
ჩელთისპირელი ვ. 416
ჩიკვილაძე ფ. 660
ჩიტაშვილი დ. 417
ჩოდრიშვილი ა. 308
ჩოდრიშვილი მ. 309
ჩოდრიშვილი მ. 310
ჩოლოყაშვილი ბ. 619
ჩოლოყაშვილი დ. 661
ჩოლოყაშვილი ი. 186
ჩოლოყაშვილი კ. 505
ჩოლოყაშვილი ს. 507
ჩოლოყაშვილი ქ. 624
ჩოხელი გ. 187
ჩოხელი კ. 361
ჩუბინაშვილი ნ. 90
ჩხეიძე გ. 418
ჩხეიძე თ. 188
ჩხეიძე ნ. 190
ჩხიკვაძე ზ. 191
ჩხიკვაძე რ. 192
ჩხუბიანიშვილი გ. 193
ჩხუბიანიშვილი ზ. 194
ჩხუბიანიშვილი ც. 195

ცაღქალამანიძე მ. 197
ცისკარიშვილი დ. 663
ცისკარიშვილი ი. 665
ცისკარიშვილი ლ. 667
ცისკარიშვილი პ. 670
ცოცანიძე გ. 671

ძ

ძამსაშვილი-ცამციევი რ. ...

ჭ

ჭაკჭავაძე ა. 57
ჭაკჭავაძე ა. 198
ჭაკჭავაძე გ. 55
ჭაკჭავაძე დ. 60
ჭაკჭავაძე ე. 66
ჭაკჭავაძე ზ. 200
ჭაკჭავაძე ზ. 421
ჭაკჭავაძე თ. 419
ჭაკჭავაძე ი. 1
ჭაკჭავაძე ნ. 62
ჭაკჭავაძე ნ. 423
ჭაკჭავაძე ნ. 425
ჭიაურელი მ. 581
ჭიაურელი ს. 583
ჭიკაძე რ. 203
ჭილაშვილი გ. 511
ჭილაშვილი ლ. 513
ჭინჭარაული ა. 709
ჭიორელი ს. 204
ჭიჭინაძე დ. 426
ჭუჭულაშვილი-მნერლიშვილი მ. 311

ხაიური ა. 710
ხარნაული ბ. 711
ხარატიშვილი გ. 427
ხარატიშვილი ი. 428
ხარატიშვილი ნ. 430
ხარება და ჯოგია 205
ხარხელაური ტ. 712
ხელაშვილი თ. 209
ხელაშვილი ი. 233
ხელაშვილი მ. 696
ხვარამზე 698
ხმალაძე თ. 313
ხოდაშნელი შ. 672
ხომიზურაშვილი ნ. 210
ხოხლოვი ი. 515
ხუციშვილი ბ. 730
ხუციშვილი გ. 732
ხუციშვილი კ. 212
ხუციშვილი ო. 213
ხუციშელი რ. 729
ხუციშვილი ჯ. 214

ჯ

ჯაბადარი ა. 585
ჯაბადარი გ. 586
ჯაბადარი ე. 588
ჯაბუშანური გ. 695
ჯავახიშვილი გ. 315
ჯავახიშვილი გ. 589
ჯანაშვილი ა. 728
ჯანაშვილი დ. 727
ჯანაშვილი მ. 739
ჯანგულაშვილი თ. 591
ჯანდიერი ი. 517
ჯანდიერი-მაჭავარიანი ე. 516
ჯანდიერი ნ. 316
ჯაფარიძე ა. 216
ჯაფარიძე გ. 432
ჯაფარიძე დ. 518
ჯაფარიძე ე. 433
ჯაფარიძე ლ. 217
ჯაფარიძე ს. 218
ჯაქეაძე ი. 219
ჯიმითელი ი. 519
ჯორჯაძე ა. 434
ჯორჯაძე ა. 436
ჯორჯაძე ბ. 674
ჯორჯაძე ვ. 438
ჯორჯაძე ზ. 440
ჯორჯაძე ი. 442
ჯუღელი მ. 520

„OUTSTANDING PEOPLE OF KAKHETI"

by Otar Natsarashvili

„ЗАМЕЧАТЕЛЬНЫЕ ЛЮДИ КАХЕТИИ"

Нацарашвили Отар Шотаевич

რედაქტორ-ოპერატორები ირინა სალუქვაძე
ქეთევან საყვარელიძე
მაია შანშიაშვილი
მიხეილ გაბეჩავა

ტექ. რედაქტორი ირაკლი ხუციშვილი

კორექტორი ნანა ჭულუხაძე

შეკვ. № 30

ფასი სახელშეკრულებო

შ.პ.ს. „მერანი-3"-ის სტამბა, თბილისი, რუსთაველის პრ. №42
ტელ.: 92 29 92; 93 53 96
ელ. ფოსტა: merani3@geo.net.ge